

მსოფლიო დიკტონარის წიგნი



«საქართველო»



ფრანგული
მრავალ

პირ კორნელი
* ჟან რასინი *
ჟან-ბატისტ მოლიერი

მ ს თ უ ლ ი თ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ი ს ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ ს ა ბ ჭ თ

ბ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე
მ ზ ი ა ბ ა ქ რ ა ძ ე
ბ ა ჩ ა ნ ა ბ რ ე ვ ვ ა ძ ე
თ ე ნ ბ ი ზ ბ შ ა ჩ ი ძ ე
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ო მ ი ა შ ვ ი ლ ი
დ ა ვ ი თ დ უ ნ დ უ ა
თ ა მ ა რ მ რ ი ს თ ა ვ ი
მ ა გ ა ლ ი თ ო დ უ ა
ც ი ა ლ ა თ ო ფ შ ო რ ი ძ ე

| მ ი ნ ე ი ლ კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა |

დ ა ვ ი თ ლ ა შ კ ა რ ა ძ ე
კ ო ნ ს თ ა ნ ბ ი ნ ე ლ ო რ თ ქ ი შ ა ნ ი ძ ე
ე ლ გ უ ჯ ა მ ა დ რ ა ძ ე
ბ ი ვ ი მ ე ლ ა ძ ე
ბ ი ო რ ბ ი ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი
შ ო თ ა ს უ ლ ა ბ ა რ ი ძ ე
ბ შ რ ა მ შ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე
ი ო რ ა მ ქ ე მ ე რ ტ ი ლ ი ძ ე
ნ ი კ ო ყ ი ა ს ა შ ვ ი ლ ი
ო თ ა რ ჩ ხ ე ი ძ ე
ბ ი ო რ ბ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი
ბ ი ვ ი ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი
ვ ა ხ ტ ა ნ ბ ზ ე ლ ი ძ ე
ვ ა ხ ტ ა ნ ბ ჯ ა ვ ა ს ა ძ ე

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ლ ა დ ო ბ რ ი გ ო ლ ი ა

ტ ე დ ა ქ ც ო რ ი

მ მ ზ ა რ კ ვ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი

ეპოქის ბუნება და მისი სიღრმე

პარიზის უთვალავ შენობას შორის თავისი ღირსშესანიშნაობით განსაკუთრებით გამოირჩევა „მოლიერის სახლი“. ასე უწოდებენ ალერსიანად საფრანგეთის უპირველეს დრამატულ თეატრს „კომედი ფრანსეზ“. იგი ფრანგული სიტყვის ჩაუქრობელი კერაცაა და სიმბოლოც. ეს თეატრი განუყოფელია მოლიერის სახელთან, იმ ადამიანის გარჯასთან, რომელსაც ფესით თუ ეტლით მოუვლია საფრანგეთის დაბაქალაქები, თან მაყურებელი გაურთია და თან მისი მარადიული გართობისათვის დაუგროვებია დაკვირვებანი; დღენიდაღ ათასი ჯუჯის ფარისევლთან თუ ჭკუამოკლესთან ბრძოლაში რომ დაფერფლილა და ხშირად უსახლკაროდაც დარჩენილა. იქნებ ამიტომაც შეურჩიეს მას მუდმივი ადგილსამყოფელი პარიზის შუაგულში, საიდანაც გაძევება აღარ ემუქრება.

მოლიერის სახლიდან თქვენს პირდაპირ ზედავთ ფართო გამზირს, რომლის შორეული პერსპექტივა გარნიესეული ოპერის შენობის საზღვრით ფასადით თავდება. ხელმარჯვნივ რიშელიეს ქუჩას თუ გაჰყვებით, ნაციონალურ ბიბლიოთეკასთან აღმოჩნდებით. მოლიერის პიესების პირველი წარმოდგენები, ჩვეულებრივ, სამეფო კარისთვის იმართებოდა. დღეს მას საერთაშორისო მაყურებელი ჰყავს: ზოგი ტეპლიკის შინაარსსაც აღიქვამს, ზოგიც წარმოდგენის გარეგნულ ქსოვილს ადევნებს თვალს. შექსპირის სტრეტფორდის თეატრის მსგავსად, „კომედი ფრანსეზსაც“ აკისრია ერთგვარი სამუზეუმო და წარმომადგენლობითი ფუნქციები. თუმცა უცხოურ სახელმწიფოთა მეთაურებისათვის თუ სხვა წარჩინებული სტუმრებისათვის ამ უკანასკნელ დანიშნულებას უფრო ხშირად მოპირდაპირე ოპერა ასრულებს, სადაც უცნობი სიტყვის შეზღუდულ არეალს მუსიკა ავსებს, ანდა სიტყვას საბალეტო ფესტი თუ მოძრაობა ენაცვლება.

მაგრამ აქ, მოლიერის სახლში, ისევე, როგორც მთელ საფრანგეთში და მის გარეთაც, სიტყვა ჟამშეუვალაია და ძლიერი. ხშირად მიმართავენ ზოლმე ისეთ პირობით ცნებას, როგორიცაა „ლიტერატურული ძეგლის“ ცნება და წინამდებარე ტომიც ამგვარადაა ჩაფიქრებული. ლიტერატურული ძეგლებია კორნელის, მოლიერის, რასინის საუკეთესო ქმნილებები, სოლო მათი მცველია ქვის არქიტექტურა. აქვე უნდა ითქვას, სა-

კუთრივ ძეგლი — მოლიერის ქანდაკება — აქვე, რიშელიეს ქუჩის დასაწყისშიც არის აღმართული და ფრანგ მწერალთა ბიუსტის სახით „კომედი ფრანსუზის“ ფოიესაც ამშვენებს. მოლიერის ქანდაკება-შადრევანის შთაგონებული აღწერით (მისდა უნახავად) იწყებს „ბატონ დე მოლიერის ცსოვრების“ თსრობას მიხეილ ბულგაკოვი.

მოლიერის სახლი ფრანგული დრამატურგიული მწერლობის სახლია, აქ იდგმება და იდგმებოდა ლესაჟი და ბომარშე, ვოლტერი და ვიქტორ ჰიუგო, მიუსე და როსტანი, კლოდელი და კოკტო... მაგრამ დაარსებიდანვე ამ თეატრის ბირთვის წარმოადგენს გორნელის, მოლიერისა და რასინის დიდი სამეული. და თუკი მათ ერთობლივ თავშესაფარს ერთ-ერთი მათგანის სახელი შერჩა, ალბათ, ამის მიზეზი იყო არა „საშუალო მათემატიკური ციფრი“ (მოლიერი კორნელზე უმცროსი იყო და რასინზე ცოტათი უფროსი), და არა ისტორიული დამთხვევები (სამი დრამატურგიდან მხოლოდ მოლიერმა დააარსა თეატრალური დასი), არამედ მოლიერის სიტყვის ფართო რეგისტრი, რომელმაც იმთავითვე გამოძახილი ჰპოვა როგორც ფრანგი გლეხისა და მოქალაქის, ისე ბრწყინვალე ღუი მეთოთხმეტისა და შის პერცოგთა და მარკიზთა გულბში. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ადამიანურმა თვისებებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ გადაწყვეტილებაში. ერთ დროს თავისი დიტერატურული მეტოქის, ჟან რასინის მიმართ მოლიერმა მისთვის ჩვეული დიდსულოვნება გამოიჩინა და ეს დიდსულოვნება საბოლოოდ ერთიორად დაუფასდა.

სამი დრამატურგის ცსოვრების ხანა — XVII საუკუნე — ფრანგული ცივილიზაციის ისტორიკოსების მიერ გამოჩნეული ხანაა. ეს გახლავთ საფრანგეთის სამეფოს განვითარების უმაღლესი წერტილი, აბსოლუტური მონარქიის სრული გაფურჩქვნა (რომლის სიმძიმე, ცხადია, ხალხს დააწვა), საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო როლის განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველივე ამან თავისი კვალი დაამრინა თვით საფრანგეთის იერსახეს: პარიზის მახლობლად აღიმართა სამეფო რეზიდენციის — ვერსალის დიდებული არქიტექტურული კომპლექსი, ეგრეთ წოდებული ფრანგული ბაღებითა და შადრევნებით გარემოცული; თვით პარიზში, სხვა მრავალ ნაგებობათა შორის აღიმართა ლუერის სასახლე, სადაც სადღეისოდ მსოფლიოში განთქმული სამხატვრო მუზეუმიცა გამართული, და კიდევ ვინ მოთვლის იმ დროს მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე აშენებულ ციხე-დარბაზებსა და სასახლეებს. მოქანდაკე პიუჟემ, მხატვრებმა ლებრენმა და ნიკოლა პუსენმა, კომპოზიტორებმა რამომ და კუპერენმა, მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა ბიუფონმა, ბლუზ პასკალმა და რენე დეკარტემ სახელი გაუთქვეს საფრანგეთის გენიას.

გაფურჩქენის ხანა დაუდგა ფრანგულ მწერლობასაც. პროზაში ისახება ფრანგული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი პირველი ნიმუში, ქალბატონ დე ლაფაიეტის „პრინცესა დე კლევი“, სტენდალის ეს საყვარელი ქმნილება, რასაც აბატ პრევოს შემოქმედება და მისი მარგალი-

ტი „მანონ ლესკო“ მოჰყვა; მაქსიმებისა და აფორიზმების დარგში და ხელოვანენ სექტიკოსი ლაროშეუკო და მორალისტი ლა ბრუიერი, ჭეშმარიტად პოეტურ სიმალღებებს მისწედა იგაივს ერთი შეხედვით დიდაქტიკური ჟანრში: ყან დე ლაფონტენი.

მაგარა. ლიტერატურული მოძრაობის ეპიტეტურში მანინც დრამატურგიაა, ეს გარემოება მთელმა რივმა ფაქტორებმა განაპირობა და, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ინტერესებმა. ისევე როგორც ანტიკურ საბერძნეთში იყო თეატრი ფართო საზოგადოებრივი ფორუმი, ასევე (ცხადია, სხვა ისტორიულ პირობებში და განსხვავებული რეზონანსით) XVII საუკუნის საფრანგეთში თეატრს დაეკისრა ფართო საზოგადოებრივი მისია.

მახყილი კეთებობდა ძლიერ, გაერთიანებულ სახელმწიფოზე, ძლიერ (ერთპიროვნულ) ცენტრალურ ძალაუფლებაზე, სახელმწიფო სანიმუშო ვითარების, სანიმუშო წესწყობილების ილუზიას ქმნიდა და ნაწილობრივ თვითონაც იზიარებდა ამ მის მიერვე შექმნილ ილუზიას, ამ ფერსულში ხელოვნების ჩართვასაც ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ. და რაკ ისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტური მონარქია ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით წინსვლა იყო, ხელოვნების სამსახურიც ამ დროისათვის პროგრესულ ფაქტორს წარმოადგენდა.

ოღონდ ესაა, რომ დიდი ხელოვნების დანიშნულება დღევანდლობის გარდა მარადიულობის სამსახურში დგომაცაა და როდესაც ყველა დროისა და ყველა ქვეყნის კაცობრიობაზე, ლუი მეოთხემეტის კარის განაწესისა და ეტიკეტის გატყუებას ცდილობდნენ, ამაში იყო აშკარა სისუსტე და შეუსაბამობა. ამ წყალქვეშა რიფებს შეეჯახნენ (და ზედ შერჩნენ) იმდროინდელი კონიუქტურული მწერლები, ხოლო თავი დააღწიეს მხოლოდ ჭეშმარიტმა შემოქმედებმა.

დიდი ისტორიული ცვლილებები ყოველთვის დრამატულია და ამჯერადაც დრამატურგულ ნაწარმოებთა კონფლიქტებსა და კვანძებში ჰპოვეს თავიანთი გამოხატულება.

პირველი დიდი შემოქმედი, რომელმაც შეიგნო და შეისისხლსორცა ეს საერთო საზოგადოებრივი პრობლემატიკა, იყო პიერ კორნელი.

ფრანგულ საზოგადოებაში წამყვან ძალად თავი სამეფო კარს მიაჩნდა და კორნელის ტრაგედიებშიც მეფე და არისტოკრატია გაითამაშებენ უმთავრეს კონფლიქტებს, ხალხი მარტო ფონს უქმნის მოქმედებას. კორნელს თავისი ტრაგედიების სამყარო ჩაფიქრებული აქვს, როგორც ერთგვარი საზოგადოებრივი საკურთხეველი. აქ გუნდრუკს უქმევენ საზოგადოებრივ გონებასა და გმირობას, გულისძახილს საზოგადოებრივ მოვალეობასა და მეფის სამსახურს უქმედებებარებენ. კორნელისეული ტრაგიზმის ლერძია გრძნობისა და მოვალეობის დაპირისპირება, მოვალეობისადმი გრძნობის მსხვერპლად მტკანა ან, უფრო ზუსტად, მოვალეობასთან დაპირისპირებული გრძნობის განწირულობა, ხოლო მოვალეობასთან შეჯერებული გრძნობის გამარჯვება.

ფრანგული ბალის განლაგებასავით, კორნელისეული ტრაგედიის ნა-

სატიც საზოგადოებრივი და სექტორული. თუკი მან დროის გამოცდას გაუძლო, ეს იმიტომ, რომ მასში კიდევ სხვა რამ ძევს. ასეთია დიალექტიკის პარადოქსები — ის, რაც კორნელის მრავალ თანამედროვეს მისი ბიუსების უმთავრეს ღირსებად ევლინებოდა. სადღეისოდ მეორესართისთვის პირობითობად აღიქმება, ხოლო ტექსტის სიღრმისეული ქსოვილი, მაშინ რომ შეუმჩნეველი დარჩა, სადღეისოდ მსხვილ პლანად ჩანს და აგტორის წარმატებას განაპირობებს. სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ მათი კმნილებების დღევანდელ ამოკითხვაში კორნელსაც, რასინსაც და თვით მოლიერსაც ბევრი რამ მოულოდნელი და უცნაური მოსწვენებოდა (მაგალითად, ტარტიუფის სასეში ადამიანური სიბრალულის გამოწვევი თვისებების გამოშეუბრება, რაც საინტერესოდ სცადა ეს ვილარმა, ანდა „სიღის დაქუცმაცება“ ცნობილი თანამედროვე რეჟისორის — როჟე პლანშონის ამავე სახელწოდების სპექტაკლში). მაგრამ ხელოვნების ჭეშმარიტ კმნილებას საოცრება მთელი მისი არსებობის მანძილზე თან სდევს.

კორნელის მდიდარი მემკვიდრეობიდან დრომ თავისი არჩევანი, პირველ ყოვლისა, ორ ტრაგედიაზე შეაჩერა. ესენია „სიღი“ და „ჰორაციუსი“. ორივე პიესის სიუჟეტი არაფრანგულია: „სიღის“ მოქმედება შუა საუკუნეების ესპანეთში ვითარდება, ხოლო „ჰორაციუსისა“ — ძველ რომში. ეს გარემოება დამახასიათებელია კორნელისა და რასინის და, საერთოდ, მთელი მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგული დრამატურგიისათვის. ტრაგედია გამორჩეულ ვითარებას აზიარებს მასურბელს. გამორჩეული კი ყოველდღიურობიდან უნდა იყოს დამორბეული დროსა და სიერცეში. ხალხისგან დაშორებულობას ხომ მოქმედების სასახლეში გადატანა თავისთავად კმნიდა. მაგრამ დაშორებულობა იქმნება კარისკაცთა და თვით მეფისთვისაც ს სხვა სასახლესა და სხვა დროში მოქმედების გადატანის გამოც. დაშორებულობა კი თავისთავად შეიცავს განდიდებას როგორც დროისა და ლეგენდების შარავანდედის წყალობით, ასევე იმ გარემოებითაც, რომ სიშორეში პიროვნებისა და მოვლენის მცირემნიშვნელოვანი ნაკეთები, თვისებები შთაინთქმება და მნიშვნელოვანი თვისებანი, მიაკოესკის თქმისა არ იყოს, გაძლიერებული ჯღერადობით გვევლინება. ამავე მიზანს ემსახურება ცნობილი „სამი ერთიანობის კანონი“, რაც, არცთუ მთლად ზუსტად, ფრანგმა კლასიციისტებმა არისტოტელეს ტრაქტატში ამოკითხეს და ბუალომ თავის „პოეტურ ხელოვნებაში“ იმის შემდეგ დააკონონა, რაც ამ ერთიანობებს სორცი შეესხა კორნელის და სხვა დრამატურგთა უმთავრეს კმნილებებში (კაცმა რომ თქვას, ბუალოს რეჟექსიას უფრო ლიტერატურული პროცესის განზოგადების დამსახურება აქვს, ვიდრე საბოლოო წესების დადგენისა): ყველა სასკოლო სახელმძღვანელოში განხილულ სამ ერთიანობაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ესენია: ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა. პიესის მთელი მოქმედება ერთ ადგილას (მაგალითად — სასახლეში) უნდა განვითარებულიყო და ოცდაოთხ საათში უნდა ჩატეულიყო. პიესის მოქმედებაში ინტრიგის მხოლოდ ერთი კვანძი უნდა

გახსნილიყო, ერთი ადგილი უნდა ყოფილიყო, ერთი დღე-ღამე, ერთი ინტრიგა... ყოველივე ეს მაყურებლის ყურადღების კონცენტრირებას ემსახურებოდა და რა დასამალია, ადამიანის გონებაში, მისი არსების ძვალსა და რბილში ნერვავდა საზოგადოებრივი პირამიდის მოყვანილობასაც, რომლის სათავეშიც ერთი მონარქი იდგა. ამ ერთიანობას თავისი სხვადასხვა წახნაგებით გზადაგზა შეგვახსენებენ პიესები.

ამ ერთიანობამ, ასე გასინჯეთ, თვით კორნელის პიესების სახელწოდებებშიც დაისადგურა: „კლიტანდრე“, „ქერივი ქალი“, „მსლბელი ქალი“, „სამეფო მოედანი“, „ილუზია“, „სიდი“, „პორაციუსი“, „ცინა“, „პოლიექტი“, „ცრუპენტელა“, „პერაკლე“... აქ ვერ შეხედებით ვერც „რომეო და ჯულიეტას“, ვერც „ორ ვერონელს“, ვერც „ორი ბატონის მსახურს“...

თუმცა „სიდის“ ტრაგიზმის ბირთვიც სიყვარულია, მაგრამ ორ მიჯნურთაგან ერთი — ხიმენა — მოქმედების ჩრდილს არის ამოწურებული; ხოლო მეორე — სიდი — პირველ პლანზე გამოყვანილი და ყველა საშუალებებით განათებული.

კაცური საწყისი წამყვანია კორნელის „სერიოზულ“ დრამატურგიაში (ზემოთ ნახსენები „მსლბელი ქალი“ და „ქერივი ქალი“ საარსებო მნიშვნელობის საზოგადოებრივი პრობლემების დამსახველი ტრაგედიები კი არა — ყოფითი კომედიებია). საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ (განსაკუთრებით კი უსამართლო ინსტიტუტების მიმართ) სიყვარული ქაოტური, მოუხელთებელი, დამანგრეველი ძალაც შეიძლება იყოს. (განა ასე არ უთხრიდა საფუძველს მონარქის ძალაუფლებასა და ძღვევამოსილებას ტრისტანისა და იზოლდას დაუოკებელი ვნება?) ამიტომ სიყვარულს კორნელი როგორც მოსათვინიერებელ ბაღს, ისე ეპყრობა, ჭკუას არიგებს, სახელმწიფო ღირებულებათა მკაცრ სკოლაში მიაბარებს. ასეთი ვითარება ეგულებოდა კორნელს ძველ რომში, რომლის სურათებს იგი „პორაციუსში“ გააცოცსლებს და აკრთევე შუა საუკუნეების ესპანეთში, რომლის წინაშე არაბ დამპყრობელთა განდევნის, საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნების ანუ „რეკონკისტას“ აუცილებლობა იდგა.

ისტორიულად არსებული პიროვნების, „სიდად“ ანუ „პატრონად“ (არაბულიდან „სეიდ“) წოდებული დონ როდრიგოს სახე კორნელამდე გამოყვანილია ესპანურ საგმირო ეპოსში — „სიმღერა ჩემს სიღზე“. საგმირო ეპოსისათვის ჩვეულ საზოგადოებრივ პერსპექტივასთან კორნელის დრამატურგიას ბუნებრივი, შინაგანი კავშირი აქვს. მართლაც, „სიმღერაში ჩემს სიღზე“ თუ „სიმღერაში როლანდზე“ გაერთიანებული სამეფოს, ძლიერი მონარქის იდეა ბატონობს. ცხადია, XII—XIV საუკუნეების ევროპასთან შედარებით XVII საუკუნის საფრანგეთის ვითარება შეიცვალა, რაც გრაფ როლანდისა თუ დონ როდრიგოს თვალთ არის დანახული, ის ერთგვარად მათი ხორცშესხმული იდეალია. ამდენად ბუნებრივია და კანონზომიერი კორნელის მიერ მისი ტრაგედიის თემისა და გმირის არჩევანი.

დრომ (XVII საუკუნემ) და ადგილმა (დრამატურგის მშობლიურ-

მა საფრანგეთმა) თავისი კორექტივი შეიტანეს თემის დამუშავებაში, კერძოდ, ქალის პერსონაჟის ასახვაში. „სიმღერაში ჩემს სიღზე“ სიყვარულის თემა დრამატულ და ოდნავ გროტესკულ ელფერს იძენს სიდის ორი ქალიშვილის სატრფიალო თავგადასავალში, მაგრამ სიდის სასე უშუალოდ სიყვარულის კონტექსტში არ არის ნაჩვენები. ხოლო „სიმღერაში როლანდზე“ როლანდის საცოლვე აღდას როლი საარაკოდ მცირეა და მის სასეს მთელი პოემიდან მხოლოდ ხუთიოდე სტრიქონი დაუთმო ტრუვერმა. კორნელი ზრდილი ვერსალის შვილია. მასთან ხიმენა მთელი ხმით მეტყველებს. ოღონდ... იმისთვის, რომ კიდევ უფრო ნათელი გახადოს თავისი საქმროს, როდრიგოს მოქმედებისა და არჩევანის უპირატესობა.

თუმცა თავისთავად ეს ეპიზოდი კორნელს არ მოუგონია. იგი დამოწმებულია ესპანურ საისტორიო ქრონიკებში და, კორნელისავე აღიარებით, გამოყენებულია მისი უშუალო წინამორბედის, ესპანელი დრამატურგის გილემ დე კასტროს პიესაში.

კორნელთან სწორედ ხიმენას სიყვარულია ის კვარცხლბეკი, რომელზედაც აღიზარდება სიდის სიღიადე. ამიტომ ნიშანდობლივია ისიც, რომ პიესა ხიმენას სიტყვებით იწყება. სწორედ სატრფოს არჩევანი ანიჭებს საბოლოო ფასს როდრიგოს მოქმედებას. ამაში ვლინდება XVII საუკუნის ფრანგი მწერლის თვალთახედვა: ძალაუფლებას უფრო ფაქიზი, ქალური გრძნობის დასტური განამტკიცებს.

კორნელის მსოფლალქმა პირდაპირია. ტრაგედიის მთავარი კონფლიქტი ისახება ხიმენას ამ პირველივე რეპლიკიდან, სადაც ქალი თავის მამას ასახელებს. მამისა და სატრფოსადმი სიყვარულის დაპირისპირება წარმოშობს მომდევნო სცენებში მწვავე დილემას. ელვირას პასუხში კი როდრიგოს სახელს ვხვდებით. ამრიგად, პირველსავე სტრიქონებიდან კონფლიქტის სამი უმთავრესი პერსონაჟია ნახსენები: სიმენა, მისი მამა და საქმრო.

კორნელის მთელი ხელოვნება ამ გაშიშვლებულობაშია. ხაზოვან დაპირისპირებაზეა აგებული მისი დრამატურგიული კონფლიქტიც და მისი ლექსის თითქმის ყველა სტრიქონიც. სიტყვათა შერკინებით გადმოცემული ხასიათთა დაპირისპირება წარმოშობს, უთუოდ, იმ ვაკუაცურ ატმოსფეროს, რაც ქმნის საკუთრივ „კორნელისეულ ფენომენს“. ოსტატობის მოდუნება და ზიზილ-ბიბილები ერთნაირად უცსოა ამ ჩრდილოელისათვის. რითმა სშირად ზუსტია და უპრეტენზიო, ხოლო კონფლიქტების გადაწყვეტა — უფრო ეფექტური, ვიდრე ფსიქოლოგიურად ნიუანსირებული. რა თქმა უნდა, კორნელი პირობითია და ეს პირობითობა თითქოს გეომეტრიული პროპორციით იზრდება დროსა და სივრცეში, დროში იმიტომ, რომ დღევანდელი ფრანგის მსოფლალქმისათვის იგი ძალზე შორეული ჩანს; სივრცეში იმის გამო, რომ კორნელის დრამატურგიამ არსებითად ვერ გადალახა ფრანგული კულტურული სამყაროს საზღვრები. და თუკი კორნელი მაინც მაღალ შემოქმედთა რანგს განეკუთვნება, ეს უთუოდ იმიტომ ხდება, რომ იგი „ერთიანი“ თავის

პირობითობასა თუ გაზვიადებაში. „რას იტყვის მეფე, რას იტყვის კასტილია?“ — ვკითხულობთ „სიდის“ ერთ რეპლიკაში, თითქოს მეფე და კასტილიის მთელი მოსახლეობა ერთსულოვან არსებად ქცეულიყოს ოდესმე. ეს ერთი რეპლიკა როდია. ესაა მთელი კორნელისეული შემოქმედება. მკითხველისა თუ მაყურებლის ყურთანმენისაკენ კორნელის სიტყვა ისევე ელვისებურად წარიმართება, როგორც გულისაკენ — გამგებნირაი დაშნა.

თვით კონფლიქტი, ხიმენასა და როდრიგოს მამების დაპირისპირებისა არ იყოს, ისევე მოულოდნელია და შეუმზადებელი, როგორც ორი ღრუბლის შეჯახებიდან ნაშობი ელვა. ბევრი რამ თავისთავად ნაგულისხმევი, თანდაყოლილი და აპრიორულია კორნელის სამყაროში. ეს ეჭვისა და ძიების საწყარო კი არა, იმპერატივეების საწყაროა. ყველაზე სშირად ხმარებულ ან ნაგულისხმევი ზმნად კორნელთან გვევლინება ზმნა „უნდა“. უნდა ამაღლდე შენს სიყვარულზე, უნდა მიჰყვე სისხლისა და მაღალი წოდების ძახილს, ეუბნებიან თავის თავს ყოველ ფეხის ნაბიჯზე კორნელის გმირები. და როდესაც „პორატიუსში“ უთანასწორო ბრძოლის ველიდან თავისი ვაჟის გაქცევით აღშფოთებულ მოხუც მამას ეკითხებიან, მაშ, რა ეწაო, იგი პასუხობს: „დე, მომეკვდარყო“. ამ ორ სიტყვაშია მთელი კორნელი — ვალისა და აპრიორული ზნეობის შესტბე. (მსგავს ალტერნატივას უსახავს თავის ვაჟს, როდრიგოს, დონ დიეგო: „მოკვდი ან მოკალა“)

კეთილისა და ბოროტების ნიუანსირება, ფალსტაფისეული შექჩრდილები უცხოა კორნელისათვის. მასთან ბოროტი ერთიანად ბოროტია და კეთილი — უმწიკვლოდ კეთილი. გრავ გომესს არისტოკრატის მოწოდებად ამიტომ მიაჩნია ის, რომ „კეთილი სიყვარულით აავსოს, ბოროტებს კი შიშის ზარი დასცეს“ (რაოდენ ახლობელია ეს თვალსაზრისი რუსთაველის ქმნილებების ერთ-ერთ ლეიტმოტივთან). თითქოსდა რუსთველური პერიფრაზია კორნელის სიტყვები: „დღის სინათლის ღირსი არ არის იგი, ვისაც შეუძლია პატივყარღმა იცხოვროს“.

კორნელის დრამატურგის მონოლითურ ერთიანობას რკინისებურად ჰედავს უზადო და ლაღად მდინარე ალექსანდრიული ლექსი, რომლის თორმეტ მარცვალს ორ თანაბარ ნაწილად კვეთს ცეზურა... მთელი „სიდის“ მსვლელობაში ერთხელ ძრღვევა ალექსანდრიული ლექსის ბრინჯაო. ეს ხდება მეორე მოქმედების მეშვიდე სურათში, სადაც მონოლოგს წარმოთქვამს საშინელი არჩევანის წინაშე დამდგარი როდრიგო: მან უნდა მოკლას საყვარელი საცოლის მამა, ანდა დაუსჯელი დატოვოს საკუთარი მამისადმი მიყენებული შურაცხყოფა. როდრიგოს თითქოს ენა წაუბოროტიდება და ალექსანდრიული ლექსის ტაეპებს უფრო მოკლე ზომის ტაეპები ენაცვლება. მაგრამ ეს „წაბოროტიებული“ სტრიქონები სხვა არაფერია, თუ არ ალექსანდრიული ლექსის ზუსტი ნახეარტაეპი, რომელსაც აქა-იქ ათმარცვლოვანი სტრიქონიც ენაცვლება. თითქოს ნებით თუ უნებლიეთ კორნელს იმის თქმა სურს, რომ წესრიგის დარღვევა მხოლოდ იმავე წესების ფარგლებშია შესაძლებელი. კორნელის სიტყვა თავისი მეფის უერთგულესი ვჰარისკაცია.

კორნელის პერსონაჟები, როგორც აღენიშნეთ, პირველ ყოვლისა, მორალური ვალის პერსონაჟები არიან. ისინი ყოველთვის უკომპრომი-სოდ მოქმედებენ (აქ იღებს სათავეს კორნელის შემოქმედების ბუნებრივი დრამატული წყარო). ურთულესი ვითარების გადალახვაში მათ ძლიერი მორალური იმპერატივი შეეღიბა. ამ მხრივ დამასასიათე-ბელია ხიშენას საქციელი, როდესაც მამა სატრუოს ხელით ელუბება. სიშენა მეფეს როდრიგოს სიკვდილით დასჯას სთხოვს. როდრიგოზე ძვირფასი მას არაფერს დაჩინია ამქვეყნად და მაინც ამ მსხვერპლის გა-ღებას სთხოვს მას მაღალი ზნეობა. იგივე ზნეობა აიძულებს როდრიგოს ხიშენას მამის მოკვლას. ამგვარად შექმნილი მორალური ჩიხიდან გა-მოსავალი კვლავ მოქმედებაშია: სამეფოსათვის გაწეული სამსახური და საქმენი საგმირონი დაუბრუნებენ როდრიგოს მის სანუგეარო ხიშენას.

პიესაში უმაღლესი კრიტერიუმია მეფის სამსახური. ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ რეპლიკას სწორედ მეფე ფერნანდო წარმოთქვამს და პიესის უკანასკნელი სიტყვაც „მეფეა“.

საგულისხმოა, რომ თავისი მეორე შედეგრი, ტრაგედია „პორა-ციუსი“ (1639 წ.) კორნელმა მონარქიის ერთგულ მსახურს, კარდინალ დე რიშელიეს უძღვნა.

ძველი საბერძნეთის, პირველ ყოვლისა, არისტოტელეს ესთეტიკა და რომის იმპერიის პოლიტიკური კონცეფცია კლასიკურ იდეალს წარ-მოადგენდნენ კორნელისათვის. ამდენად „პორაციუსის“ საშუალებით მაყურებლის ძველ რომში გადაყვანა სავსებით ბუნებრივია. კონფლიქ-ტის ღერძი ამ პიესაში არსებითად იგივეა, რაც „სიდიში“, მაგრამ უფ-რო დახლართულია: ნათესაურ კავშირზე მალა სახელმწიფოებრივი მო-ვალეობა და პატრიოტიზმის გრძობა დგება. ამჯერად გმირ ქალს არ-ჩეუანი უხდება ძმასა და ქმარს შორის, რომლებიც ისტორიული ვითა-რების გამო ერთმანეთს უნდა შეებრძოლონ. თანაც ნაგარაუდევია, რომ ეპიკატებმა იმთავითვე უნდა გააკეთონ ეს არჩევანი მოვალეობის სა-სარგებლოდ, ხოლო ქალებმა მქენჯნავი ტანჯვა უნდა გადაიტანონ და იძულებულნი უნდა გახდნენ, მაინც იმავე არჩევანამდე მივიდნენ. სამ-ყაროს ვაჟკაცური მოდელია წამყვანი, ქალური ქცევა კი მისდამია და-მორჩილებული.

კორნელისეული სამყარო კანონზომიერსა და გავრცელებულზე კი არა, უფრო იშვიათსა და განსაკუთრებულზეა დაფუძნებული. ასეთი იყო, როგორც ვნახეთ, „სიდიში“ შეყვარებულთა მამების დაპირისპირება, ასე-თია „პორაციუსში“ ახლო ნათესავთა დაპირისპირება, რაც კენჭისყრამ განაპირობა. შემოთქმულს თვით პორაციუსიც გვიდასტურებს, როდესაც კურაციუსს ეუბნება, ჩვენ „უჩვეულო სულების“ პატრონები ვართო.

„სიდიშ“ პერსონაჟებისა არ იყოს, კურაციუსიც ამბობს, „საჭი-როა“ და ისე „უნდა“ მოვიქცე, როგორც ამას ვალი მკარნახობსო. კორ-ნელის ტრაგედიაში მრქმედების მოტივირება გარეგნული ფაქტორია, პერსონაჟთა ყოყმანის დროს გადამწვევია მათ პიროვნებათა „გარეთ“ მოქცეული ზნეობრივი წესები, რომელთა გამომუშავებაში, ხშირ შემ-

თხვევაში, ამა თუ იმ კონკრეტულ პერსონაჟს მონაწილეობა არც მიუღია. მეტწილად ეს წესები მათ დაბადებამდეა დაკანონებული. პერსონაჟთა გალია, უბრალოდ შეასრულონ ეს წესები. ინდივიდუალურ ხასიათებსა თუ ტემპერამენტის თავისებურებებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. კორნელის გმირთა თავისებურება მათ განუმეორებელ თვითმყოფადობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ისინი წესისა და ალათის მიხედვით იქცევიან ყველაზე დაძაბულ. განსაკუთრებულ ვითარებაშიც კი. პერსონაჟთა რაობა მათ მოქმედებაში ელინდება, ხოლო ყველა პერსონაჟი უმაღლესი სახელმწიფოებრივი (თუ პატრიოტული) ვალის აღმსრულებელია. ამიტომ ისინი ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პორაციუსებისა და კურაციუსების ადგილას სიდიც, უთუოდ, ასევე მოიქცეოდა.

კორნელის ხელოვნების ცალკე ასპექტს წარმოადგენს ამ დაკანონებული მორალის სიტყვაკაზმული სახით წარმოდგენა. ამის დიდოსტატია კორნელი. როგორც ბრინჯაოს მედლებს, ისე ჭედავს იგი მორალურ სენტენციებს, რომელთა ცალკე კრებულად გაერთიანება ისეთივე საინტერესო იქნებოდა, როგორც შოთა რუსთაველის აფორიზმებისა. დროის გამოცდას ყველაზე უფრო ალბათ სწორედ ამ სენტენციებმა გაუძლეს. ერთსულ გაგონილი ეს სენტენციები მეხსიერებაში რჩება და ყველა განათლებული ფრანგი ისევე იყენებს მათ, როგორც ქართული კაცი რუსთაველის აფორიზმებს.

ჩვენ ვერ არ შევხებივართ კორნელისეული ტრაგიზმის ერთ-ერთ ყველაზე განყენებულ თვისებას. განსაკუთრებული, გამორჩეული საქციელი აღამაღლებს ადამიანს. პირველყოფლისა — მორალურად, მაგრამ აგრეთვე — სოციალურად. ხოლო ვინაიდან კორნელისდროინდელი ფრანგული საზოგადოება კასტების მიხედვითაა განლაგებული, უმაღლეს სოციალურ საფეხურებზე ძირითადად ერთი და იგივე ოჯახებია მოხვედრილი. ისინი, ასე ვთქვათ, დაბადებიდანვე ამაღლებულნი არიან. კორნელის შემოქმედება არსებულ სოციალურ სტრუქტურას ამართლებს და განადიდებს. ამდენად ლოგიკა მისგან მოითხოვდა, რომ დრამატურგს მაღალი სოციალური მდგომარეობის თანმხლებად მაღალი ზნეობა დაეხასია. კორნელი კიდევ უფრო შორს მიდის და ამ უკანასკნელ პირობად არისტოკრატობას სახავს. განა არ გვენიშნება ის გარემოება, რომ კორნელის გმირთა შორის მატროოდენ გრანდები, პატრიციები, გრაფები და მეფეები არიან და რომ გლეხის ქალის — ეანა დ'არკის გმირობას კორნელმა დუმილით გვერდი აუარა და ეს საპატიო ამოცანა ასე წლის შემდეგ შილერს დაუთმო?

ამგვარად, ტრაგედია მეფის კარის ცსოვრების ამსახველია და იმ დროის ოფიციალურ ესთეტიკას ერთგვარ პრივილეგირებულ ლიტერატურულ ეანრადაც კი ესახება. ანალოგიით ტრაგედიის ზემოქმედების საშუალებანი განცდა, ჭმუნვა, ცრემლი — მაღალ მორალურ და ესთეტიკურ კრიტერიუმებადაა დასასული, ხოლო მათ ანტიპოდს — კომე-

დიას — დიდსულოვნად ეთმობა ხალხის ცხოვრების კომიკურ ფერებში ასახვის ამოცანა.

მაგრამ სინამდვილე ამგვარი მკვეთრი შუქ-ჩრდილებით როდია დახატული. კორნელის უმცროსი თანამედროვის, მოლიერის გენიამ ცხად-პყო, თუ რაოდენ მაღალ ესთეტიკურ ხარისხს შეიძლება აღწევდეს „მდაბალი“ სიტყლი. მოლიერის კომედიით გაართობასა და დატკობას თვით „მზუთამეფე“ ლუი მეთოთსმეტეც არ თაკილობდა.

ერთი შესედეით, თითქოს მოულოდნელია, მაგრამ კორნელმაც სცადა ბედი კომედიის ქანში და ეს ცდა ისევე ამაო გამოდგა, როგორც ამაო იყო მოლიერის ცდა რასინის ვაჯიბრებოდა ტრაგედიის ასპარეზზე.

უნივერსალურობისაკენ სწრაფვაში მოწოდებით ტრაგიკოსმა კორნელმა რამდენიმე კომედიაც დაგვიტოვა, ხოლო უდიდეს კომედიოგრაფ მოლიერს რასინთან მეტოქეობამ ერთი უხეირო ტრაგედია დააწერინა. კორნელის კომედია „ტრუპენტელას“ (1642 წ.) არ აკლია ამ ქანრისთვის ჩვეული პერიპეტეიები: მამებისა და შეილების დაპირისპირება, ნამდვილი თუ გამოგონილი ფათერაკები, აქა-იქ — მოსწრებული სიტყვა-პასუხი, პატრონებისა და ლაქიების შეთქმულება სიყვარულის სამსასურში. სიტრუე მარტოოდენ ხერსია ბედნიერების მისაღწევად. პიუსა შეყვარებულთა შეუღლებით მთავრდება. ყოველივე თავ-თავის ადგილზეა და მაინც ნიადაგ რეპლიკასა და მონოლოგს ერთგვარი სიმძიმე ახასიათებს და მხიარული თუ საოინო ამბების მთხრობელი კლასიკოსის სელი იგრძნობა.

კორნელთან შედარებით, დაკვირვების სფერო მნიშვნელოვნად იცვლება ქან რასინის შემოქმედებაში. ეს გარემოება ცხადი შეიქნება, მარტოდენ სათაურებსაც რომ გადავაჯღოთ თვალი. კორნელს პიუსის სათაურში მეტწილად კაცთა სახელები აქვს გამოტანილი: სიდი, პორაციუსი, პოლიევქტი და ა. შ., რასინთან კი მეტწილად ქალთა სახელები სჭარბობს: ფედრა, იფიგენია, გოთოლია, ანდრომაქე...

ეს გარეგნული ნიშანი უფრო ღრმა, შინაგანი კანონზომიერების გამომხატველია. ძლიერი მონატრიისა და პატრიოტული ქმედების პრიმატი საკმაოდ ძალითა და სიღრმით კორნელმა განამტკიცა თავის შემოქმედებაში. ამდენად ეს ამოცანა, არსებითად, ამოწურულიც კი იყო და ამ ნიადაგზე სამუშაო მარტოდენ ეპიგონებისთვის თუ რჩებოდა, რომლებიც არც ერთ დროს არ გამოელევა. ლიტერატურული პროცესის განვითარების შინაგანი კანონზომიერება სხვა სფეროთა აღმოჩენისაკენ უბიძგებდა ახალ მამიებელთ.

ქან რასინი იმთავითვე თავისი თემითა და თავისი მისწრაფებებით შევიდა ფრანგულ დრამატულ მწერლობაში. პოლიტიკურად განმტკიცებული აბსოლუტიზმის პირობებში მას ეძლეოდა შესაძლებლობა ადამიანური ეჭვებისა თუ სისუსტეებისათვის უფრო ახლოდან შეეხედა. კორნელის დრამატურგიაში ნახევარჩრდილში დატოვებულმა ქალებმა ავანსცენისკენ სწორედ მაშინ გადმოინაცვლეს. კორნელის ქალები ვაჟაკუ-

რად თრგუნავდნენ საკუთარ სისუსტესა თუ ყოყმანს, რაც მათთვის ძვირფას არსებებს სახელმწიფოსა და ხელმწიფის სამსახურში ხელს შეუშლიდა. ხიშენა და დანი მისნი ამჯობინებენ არ ჩაიხედონ საკუთარი სულის უფსკრულში. ანდრომაქე, ფედრა, იფიგენია თუ გოთოლია სწორედ რომ უფსკრულის ხილვით არიან მოჯადობულნი და რასინის ტრაგედიის მთელი მსვლელობის დროს ჩვენც სულგანაბულნი თვალებურს ვადევნებთ უფსკრულის პირას მისული ამ სულელების ბორვას.

რასინის დაკვირვების არე უფრო ინტიმური ხდება; მაგრამ არ კარგავს უნივერსალიზმს, XVII საუკუნის ფრანგული კულტურისათვის ამ წამყვან ცნებას თუ თვისებას. რასინის „იფიგენიას“ წინათქმავი ვნებათა შექანიში მეტ-ნაკლებად ერთნაირად მოქმედებს ერთმანეთისაგან დროითა თუ სივრცით (ან დროითა და სივრცით) დამორბეულ ადამიანებში. ამიტომაც შენიშნავს იგი „იფიგენიას“ წინათქმავი: „პარიზისა და ათენის გემოვნება მსგავსი აღმოჩნდა; ჩემს მკურნებელსაც იგივე აღულებდა, რაც ოდესღაც ცრემლს აღურევინებდა საბერძნეთის უგანათლებულეს ერს“.

კორნელის „სიდამ“ თუ „პორაციუსთან“ შედარებით, რასინის „იფიგენიას“ პერსპექტივა ერთგვარად საპირისპიროდ იშლება: კორნელის პიესებში ქალთა დიალოგები და მონოლოგები ამზადდებიან პიესის მთავარი გმირების — კაცების — გამოჩენასა და მოქმედებას; რასინის პიესებში კი კაცების — აგამემნონის; არვასის; აქილევსისა და ულისეს საუბარი ამზადებს პიესის მთავარი გმირი ქალის — იფიგენიის გამოჩენას. კომპოზიციის ანგების ეს შედმიწინაა უსუსტი უკუპროპორციულობა. განსხვავებასთან ერთად, ორივე დრამატურგის მსგავს ესთეტიკურ კრედოს მოწმობს: გაშიშვლებული სახით კორნელისა და რასინის ტრაგედიის მოდელი ერთია; ოღონდ ადამიანური არსებობის სხვადასხვა სფეროებს ესება.

როგორც ჩვეულებრივ კლასიკურ დრამატურგიაში, „იფიგენიას“ მთელი პირველი მოქმედება პიესის კოლიზიის საჩვენებლად ამზადებს ნიადავს. ქალი პერსონაჟები მეორე მოქმედების დასაწყისშიღა გამოჩნდებიან. ვერსალის ბალებისა თუ ნიკოლა პუსენის ფერწერული სურათების მსგავსად, რასინის პიესაშიც პერსპექტივა გეომეტრიული სიმეტრიის კანონზომიერებით იშლება: მარტოოდენ მამაკაცთა რეპლიკები პირველ მოქმედებაში და მარტოოდენ ქალთა რეპლიკები მეორე მოქმედების დასაწყისში უსუსტ პარალელიზმს ქმნიან, რაც (პიესის სხვა ესთეტიკურ კატეგორიებთან ერთად) ერთგვარად წვრთნის მკურნებლისა თუ მკითხველის გემოვნებას.

პიესის მთავარი კონფლიქტი პირადულია და არა სახელმწიფოებრივი: ესაა ორი ქალის — იფიგენიასა და ერიფილეს — რაყიფობა. ორივე ქალს უყვარს აქილევსი. აქილევსი კი იფიგენიას შესტრფის. მაგრამ შემდგომში ამ კონფლიქტს სახელმწიფოებრივი და ღვთაებრივი სარჩულიც დაედება. წინასწარმეტყველის თქმით, ღმერთები მოითხოვენ იფიგენიას მსხვერპლად შეწირვას და ეს მსხვერპლი თვით მისმა მამამ, მეფე აგამემნონმა უნდა გაიღოს.

სწორედ ამ საკულმინაციო მომენტიდან მოყოლებული, პიესის დასასრულამდე, გადაიშლება ენებათა ლელვის გადმოცემის რასინისეული ოსტატობა. ინტრიგა რამდენიმე განშტოებად იხლართება, პერსონაჟთა ურთიერთმიმართება მოულოდნელ ცვლილებებს შეიცავს, ერთსელ მიღებული გადაწყვეტილებები უქმდება და ახალი ბრძანებები იცემა. კლასიკური ჩარჩოს მოწესრიგებულ ფარგლებში ესაა ენებათა ლელვის ნამდვილი ქარბორბალა.

კორნელის სამყაროსთან შედარებით უმთავრესი ალბათ ისაა, რომ მოვლენები არ ემორჩილებიან ადამიანებს და რომ ამ მოუწესრიგებელ ჭეყანაში ყველაზე დაბნეული თვით ხელმწიფეა. აგამემნონს საქმელო გადაწყვეტილების მიღება მართებს, მაგრამ ბოლომდე მერყეობს ისე, რომ საბოლოო განაჩენს მეფე კი არა, წინასწარმეტყველის პირით კვლავ ღმერთები ამცნობენ ადამიანებს. აგამემნონს ავტორი იმ მონაკვეთში წარმოგიდგენს, როდესაც იგი თავის პირდაპირ დანიშნულებას — ძალაუფლებას ვერ ანხორციელებს.

შექმნილი დრამატული კვანძის გასსნაში ინიციატივა ქალთა პერსონაჟებისაკენ გადაინაცვლებს, ხოლო აქილევსი კი უფრო განზრახულის შემსრულებლის როლს ასრულებს. დედოფალი კლიტემნესტრე გადაჭრით უპირისპირდება თავის მეუღლეს. იფიგენიასა და ერიფილეს სახეები უფრო რთულია და ნიუანსირებული. ეს ორი პერსონაჟი ყველაზე დამახასიათებელია საკუთრივ რასინის თეატრისათვის. ერიფილეს თაობაზე თვით ავტორი შენიშნავს თავის წინასიტყვაობაში, ამ სახისათვის რომ არ მიმეგნო, პიესასაც ვერ დაეწერდიო.

იფიგენიასა და ერიფილეს პირთენებათა რთული ფსიქოლოგიური ნახატი ძნელად ეგუება კლასიციისტური მსოფლალქმის სწორხაზოვნებას. აქილევსზე შეყვარებულ ერიფილეს ეჭვიანობა ტანჯავს იმის გამო, რომ ჭაბუკის არჩევანი იფიგენიაზე შეჩერდა. მისი სიმუხთლისა და ვერაგობის წყარო სიყვარულია. მაყურებელი მის საქციელს გმობს და ამავე დროს ებრალება კიდევ უიღბლო მიჯნური. მით უმეტეს, რომ ერიფილეს ვერაგობა მთელი სიცხადით ბიესის მსოფლო დასკვნის სტენებში გამოვლინდება. თანაც სიკვდილის განაჩენს ერიფილე გმირულად ხვდება.

ყველაზე რთული ქარგა აქვს იფიგენიას სახის ფსიქოლოგიურ დახასიათებას. ერთი მხრივ იგი მოსიყვარულე და დამიჯერი ასუღია, მეორე მხრივ კი მთელი სიმწრითა და აღშფოთებით აუჯანყდება მამას მისი გაუგონარი, სასტიკი გადაწყვეტილების გამო. იფიგენიას უყვარს წუთისოფელი, მაგრამ თავისი სიცოცხლე მამის კუთვნილებად მიაჩნია და თუკი მაინც გაუბედავს სიტყვის შებრუნებას, მას დედისა და საქმროს სიყვარული ალაპარაკებს, არ უნდა მათ მიაყენოს ტკივილი. აქილევსზე უფრო იფიგენიაა ტრაგედიის ყველაზე გმირული სახე.

„ჟედრა“ (1677 წ.) ჟან რასინის ყველაზე ცნობილი ქმნილებაა, სოლო პიესის მთავარი პერსონაჟი — სანუკვარი როლია ფრანგი მსახიობი ქალებისათვის. „ჟედრას“ განსაკუთრებულ ადგილს თავის შემოქმედებაში თვით ავტორიც აღნიშნავს წინასიტყვაობაში.

თავის ამ შედეგშიც რასინს არაერთმნიშვნელოვანი პიროვნება აინტერესებს, რომელსაც იგი შესანიშნავად განსაზღვრავს: „ფედრა არც მთლად დამნაშავეა და არც მთლად უდანაშაულო“. აქვე რასინი იძლევა თავისი პერსონაჟის ზედმიწევნით ზუსტ კრიტიკულ ანალიზს. გრძნობამორეული ფედრა, რასინის თქმით, „თავისი თავის ბატონი აღარაა“, სწორედ ასეთ სულიერ დაბნეულობაში მყოფი პერსონაჟის ასახვა იზიდავს რასინს, რითიც იგი მომდევნო საუკუნეთა ლიტერატურის მრავალ ძიებას უკაფავს გზას.

ფედრას ტიპილით, განცდით და აღსარებით აღსავსე დიალოგები ერთ-ერთი უმაღლესი ქმნილებაა ფრანგული ლირიზმისა. აქ თითოეული კომპონენტი აძლიერებს მეორეს: ზუსტი და გამჭვირვალე ეპითეტი, მდიდარი მეტაფორა, ზატოვანი ასოციაციები, გამოკვეთილი მუსიკალური ლექსი, რომლის ევფონიური შესაძლებლობანი უსაზღვროა, გამყდის დამაჯერებელი უშუალობა, სასაუბრო ინტონაციისა და მაღალი პოეზიის იდუმალი შერწყმა... ამგვარ პასაჟებს უმაღლის რასინი იმ გარემოებას, რომ მისი პოეზია დროთა მსვლელობაში, ენის განვითარების ცოცხალ პროცესში, თითქოს ახალ-ახალ ფერისცვალებას განიცდის და ყველა მომდევნო თაობას კიდევ ახალ, მანამდე უცნობ თავის იერსახეს აზიარებს. თუკი კორნელთან შეიხვედრის მისი სიტყვაკაზმული აფორიზმები ამასსოვრდება, რასინი თავისი ლექსის მუსიკალური მოდულაციებით გვაოცებს.

ტრაგედიის დანარჩენი რეპლიკები ერთგვარად უქვს მატებს, აძლიერებს და გამოჰყოფს ფედრას სიტყვებს, ვით ძვირფას ლითონში ჩასმულ ბატიოსან თვალს.

ოსტატურად არის აგებული ფედრასა და იპოლიტის დიალოგი, რომლის მსვლელობაში თეზევსის განდიდებით ფედრა ცდილობს იპოლიტისადმი თავისი სიყვარული გადაკრული სიტყვითა თუ მინიშნებით გამოხატოს. ეს გახლავთ დრამატული კვიპროკოს თვალსაჩინო წიშში, ისევე, როგორც კომიკური კვიპროკოს მრავალი მარგალიტია მიმოფანტული მოლიერის კომედიებში.

ფედრას დანაშაულებრივმა სიყვარულმა სამი სიცოცხლე შეიწირა: ილუპებიან იპოლიტი, ძიძა ენონა და თვით ფედრა. მეფე თეზევსი და იპოლიტის საცოლვე არიცია სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. საბედისწერო დასასრული თვალნათლივ დაგვანახებებს გარდაუვალი და აღვირახსნილი ვნების შემზარავ შედეგს. ამავე დროს „ფედრა“ არის ვნებით დატყვევებული ფძღვრის გონების ტრაგედია. ხოლო ყოველისშემძლე გონების განდიდების ხანაში ამგვარი კოლიზიის ასახვა მხოლოდ და მხოლოდ გაბედულ გენიას თუ ძალუძდა.

„გოთოლია“ ბიბლიურ სიუჟეტზეა დაწერილი. წინა ტრაგედიებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ პერსონაჟთა ფსიქოლოგია მეორე პლანზე გადაინაცვლებს, ხოლო წინა პლანზე ტასტისა და სამართლიანობისათვის ბძობის სტენები წამოიწეეს. აქ რასინი გვევლინება როგორც მასკობის მოძრადბათა მსახვარი, ხოლო ცალკეულ სიტყვებში კი...

ხმებს დროდადრო, როგორც ანტიკურ ტრავმედიში, ქოროს მიერ წარმოდგენილი სიტყვები ცვლის. თუკი „ფიგენიასა“ და „ფედრას“ რასინის ცვლაზე დამახასიათებელი მანერით დაწერილ პიესებად მივიჩნევთ, „გოთორღია“ უთუოდ რასინისათვის ნაკლებ დამახასიათებელ ქმნილებად წარმოვიდგება.

კორნელი და რასინი; სხვადასხვა კუთხითა და განსხვავებული საღებავებით, მიანიც ერთ საერთო ამოცანას ემსახურებიან: ტრაგიკული კონფლიქტების მეშვეობით სურთ აღძრან მაყურებელში მაღალი მჭმუნვარება.

მაგრამ მათ გვერდით მოლიერს არ ავიწყდება, რომ ადამიანის მრავალმხრივ ბუნებას მარტოდენ განცდა და ცრემლი როდი გადმოსცემს. არ ავიწყდება ფრანსუა რაბლეს დიდებულნი სიტყვები: „საცილი თვისებაა ადამიანისა“.

როგორც ჩანს, ეს გარემოება ახსოვდათ აგრეთვე ქართული თეატრის მუხეურთ, რომლებმაც გასულ საუკუნეში; ახალი ქართული თეატრის აკანთან სწორედ მოლიერიის სიცილი გაიხსენეს. შექსპირის ტრაგედიებმა მოვიანებით გაიდგეს ფესვი იუანე მაჩაბლის წყალოზით. ცხადია, რომ გარდა სხვა მოსაზრებისა, ქართული თეატრის მოღვაწეებს მოლიერიის შემოქმედებაში იზიდავდა აგრეთვე ქართულად ადამიანისათვის ახლობელი მოლიერიისეული სიცილი¹.

აქტუალური ჟღერადობა ჰქონდა ქართულ სცენაზე „სასაცილო პრესიოზუბს“ (1659 წ.). რომელსაც საფრანგეთშიც, პირველად დადგმიდან მოყოლებული, განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. იმთავითვე იგრძნობოდა, რომ მოლიერიის მიერ გამოწვეული სიცილი არც „მდაბალი“ იყო და არც ვისმეს ღირსებას აძედა. ბუნებრივი კომიზმით სუნთქავდა. თითოეული სიტყვა თუ სიტუაცია. იმდენად, რომ ბიუსის ცალკე გამოცემისათვის წამძღვარებული აუტორისეული წინასიტყვაობაც ერთ გონებამახვილურ სასცენო პროლოგად გამოიყურება.

„სასაცილო პრესიოზუბი“ არიან ეგრეთ წოდებულ „პრესიოზული“ სტილის მიმდევარნი, ან უკეთ, მიმბაძველნი. მათ ორი სიტყვა არ შეუძლიათ თქვან, ერთი მოძრაობა არ ძალუთ გააკეთონ, რომ რაღაც „ურვეულო“ არ მოიშეღიონ. სავარძელი რომ სავარძელია, იმასაც „საუბრისათვის განკუთვნილ მოწყობილობას“ უწოდებენ...

ცრუარისტოკრატიზმსა და ცრუდასვეწილობას მოლიერი აქ გულიანად დასცინის ისე, რომ მის სიცილს ჯერ კიდევ სატირის ღვარძლი და სიმძაფრე არ გარეჟია. ეს ჯერ კიდევ მოლიერიის დრამატურგიულ ნარბიელის გარიჟრაჟია.

¹ ამ თემას ჩვენ მივუძღვენით პარიზის ჟურნალ „ვეროის“ მოლიერისადმი მიძღვნილ ნომერში სავანგებო წერილი: „მოლიერიის ქართული სიცილი“ (1972 წ.).

„სასაცილო პრესიონებიდან“ „ტარტიუჟამდე“ (1664—1869 წწ.) მოლიერის სატირა სულ უფრო დაუნდობლად ამითრახებს ადამიანებისა და საზოგადოების მანკიერებათ, სულ უფრო დიდ მამხილებელ ძალას იძენს და თან შხარდ წინააღმდეგობას აწყდება გამასხარავებულთა მხრიდან. „ტარტიუჟის“ საბოლოო დადგმისათვის მოლიერმა ხუთწლიანი ბრძოლა გადაიტანა, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორი-გინალებმა კომედიის აკრძალვას მიაღწიეს“.

უთუოდ ტარტიუჟის სახემ გაამძაფრა და გაასკეცებული ძალით აამოქმედა მოლიერის სიძულელი ფარისევლობის, თვალთმაქცობისა და სიყალბის მიმართ. იმდენად შემზარავია ტარტიუჟის ზნედაცემულობა, რომ მოლიერი მთელ ერთ მოქმედებას ანდომებს მისი გამოჩენის შემსაძებას. მუწუზუელას მოჩვენებითი ღვთისმოსაობით მოტყუებულთა და საღი განსჯის ადამიანთა რეპლიკები მაყურებლის ფანტაზიას ჯერ კიდევ თავისუფალ სივრცეებს უტოვებს. პიესის ბოლომდე ტარტიუჟის ვერაგობა ახალ-ახალი „დაფნებით“ იმოსება, ვიდრე უკიდურეს უმადურობასა და ცინიზმს მიაღწევდეს. კომედიის ღერძი ისეთნაირადაა აგებული, რომ ტარტიუჟის მხილება სხვა პერსონაჟებს უხდებათ ტარტიუჟის თაყვანისმცემელი და მის მიერ ყოველ ფესის ნაბიჯზე გაცურებული ორგანის წინაშე, რომელიც, სწირ შემთხვევაში, იმასაც კი არ იჯერებს, რასაც საკუთარი თვალით ხედავს. ამის წყალობით მხილება უკიდურეს სიცხადეს აღწევს და ამაშია მოლიერის გენიისა და ანალიტიკური გონების გამარჯვება.

„ტარტიუჟის“ მნიშვნელობა ფრანგული თეატრისა და ლიტერატურის ფარგლებს გასცდა, ეროვნულ და საერთაშორისო მოვლენად იქცა. ტარტიუჟის სახელი ფრანგებისათვის „ფარისევლის“ სინონიმი გახდა, სოლო ამ მხატვრული სახის არსებობა მუდამ საყრდენი იქნება ფარისევლობასთან ბრძოლაში.

სულ სხვა ტონალობისაა მოლიერის მეორე შედეგრი — „დონ ჟუანი, ანუ ქვის სტუმარი“ (1665 წ.), ადამიანის ზნეობასა და რწმენა-ურწმუნოებისადმი მიძღვნილი, ფილოსოფიური ქვეტექსტებით მდიდარი თხზულება. მართალია, ისევე, როგორც ესპანურ თქმულებაში, მოლიერის პიესაშიც დონ ჟუანს თავს დაატყდება ზეცის რისხვა მისი უზნეო და უსარგებლო არსებობისათვის, მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ დონ ჟუანის დასაგმობად მოლიერს დასჭირდა ნაკლებად დამაჯერებელი მე-ხუთე მოქმედება, სადაც მანამდე უშიშარი დონ ჟუანი დაფრთხება და ღმერთთან თვალთმაქცობს. საქმე ისაა, რომ დონ ჟუანი ერთიანად უარყოფითი პიროვნება როდია. მას გონებაც უჭრის, ჭირში ჩაჯარდნილი კაცის შევლაც ძალუძს და საკუთარ ცინიზმზეც ამაღლება (ცნობილ სცენაში მათხოვართან). დონ ჟუანი ზნეობას აცდენილი და საკუთარი სილოგიზმების ტყვეობაში მოქცეული ადამიანია და არა ტარტიუჟივით მეთოდური და გამოუსწორებელი - ფარისეველი. დონ ჟუანი მრავალი არსების სანუკვარ იმედებს იმსხვერპლებს, მაგრამ ამავე დროს თვითონაც მსხვერპლია.

ამ კომედიისა და ამ სახის შექმნით მოლიერმა საკუთარი სამყაროს და კლასიკური კანონების საზღვრები გადალახა. მოლიერის დონე უნაღვე დაკვირვებათა უმრავლესი წყაროა და, მიუხედავად უკვე ცნობილი მისი მრავალი სცენური ხორცშესხმისა, უთუოდ კიდევ არა ერთი ახალი ამოკითხვის შესაძლებლობას გვიტოვებს.

„ეჭვით ავადმყოფის“ (1673 წ.) მასვილი ექიმბაზობისა და მედიცინის მექანიკური გამოყენების წინააღმდეგაა მიმართული. არგანს ყველა დროში გავრცელებული სენი — აჩარსებულ ავადმყოფობათა შიში ღრღინის და ამით სარგებლობენ მის გარშემო მყოფნი.

ისევე, როგორც „ტარტიუფი“ ვერ აპატიეს მოლიერს მღვდელთმსახურებმა, „ეჭვით ავადმყოფიც“ იწყინეს ექიმებმა. ეს პიესა საბედისწერო აღმოჩნდა ავტორისათვის: სწორედ მისი ერთ-ერთი წარმოდგენის დროს მოლიერმა ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უღალატა დასს. მოლიერი არგანის როლს ასრულებდა და მაყურებელს, როგორც ამბობენ, იმ საღამოს ძლიერ დამაჯერებლად ეჩვენა ამ ეჭვით ავადმყოფის ქცევა.

წარმოდგენის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია მოლიერს.

მაგრამ კორნელისა და რასინის სიტყვასთან ერთად მისმა სიტყვამაც საბოლოოდ დაისადგურა „მოლიერის სახლში“, სადაც ამჯერად მკითხველს მაღალი ჭმუნვისა და არცთუ მდაბალი სიცილის გასაზიარებლად მოელის შესვლა.

ბასტონ ბუნიძე

პირ კონსული



ტრაგედია ხუთ მოქმედებად

მის უგანათლებულესობას კერძოვ დ'ეპიოდის
ასულს

მიიღეთ, თქვენო უგანათლებულესობა, ცოცხალი გამოხატულება გმი-
ა, ვისაც ისედაც ადვილად გამოიცნობთ იმ დაფნის გვირგვინებით,
პლითაც იგი არის შემკული. მისი ცხოვრება გამარჯვებათა დაუსრულე-
ლი ჯაჭვია. მის ღიღებას სიკვდილმაც ვერაფერი დააკლო. გმირის ცხე-
ლი, მხედრობას რომ მიჰქონდა, ყველას ისევ შიშის ზარს სცემდა. და
სოლის ველზე კვლავ იმარჯვებდა. და ახლა, ექვსი საუკუნის შემდეგ,
ა სახელი საფრანგეთში ახალი ძალით აეღვიარდა. ესანელ გმირს აქ
ლითადად შეხედნენ, სინანული რომ არ ეგრძნო იმის გამო, თავი უცხო
ყანაში ამოვყავი და თანაც უცხო ენაზე აელაპარაკიო. წარმატებამ
ლა ჩემს პატივმოყვარულ მოლოდინს გადააქარბა და პირველად უხერ-
ლობა ვიგრძენი კიდევ, მაგრამ როგორც კი ჩემი გმირისადმი თქვენი
ილგანწყობილება შევნიშნე, უხერხულობა მყისვე გამოქრა, აი, სწო-
ვ მაშინ გაგებდე, რომ ჩემი იმედები, რომლებიც ახლა უკვე განხორ-
ლებულია, მისთვის დამეკავშირებინა და თქვენგან რომ ქება დაიმსახუ-
მაშინ გამეფიქრებინა, საყოველთაო მოწონება განადღებულ აქე-
ქი. ან სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო, თქვენო უგანათლებუ-
ლობა? როგორ უნდა შევიტანოთ ექვი იმის ღირსებაში, რასაც ბედმა
ღიმა და თქვენ მოგეწონათ? თქვენი მოსაზრებანი ნამდვილი შეფასე-
ქეშმარიტი ღირებულებისა და რადგან თქვენ ნიადაგ მხოლოდ ნამ-
ულ მშვენიერებას იწონებთ ხოლმე, მოჩვენებით ვერასოდეს შეცდომავნი
შეგიყვანთ. ამასთან თქვენი სულგრძელობა, ნაწარმოები რომ მოგე-
ნათ, მხოლოდ მისი უაზრო ქებით არ ამოიწურება: მას ღიღი სარგებ-
ბაც მოაქვს მისი შემქმნელისათვის იმ ღიღი გავლენის წყალობით,
პელიც თქვენი მდგომარეობისა და თქვენი სათნოების შედეგია. მე
ვარი სულგრძელობის ისეთი სიკეთე გამოვცადე, რომ არ ძალმიძს
ი შევიკავო და უღრმესი მადლობა არ მოვახსენოთ ჩემი და სიღის
ლით. ეს უღრმესი მადლიერების გრძნობა განსაკუთრებით ძვირფასია
თვის, რადგან ჩემს მადლიერებას ისე ვერ გაგიმხელთ, თუ ჩემი შრო-
მადმი თქვენი პატივისცემა არ ვახსენე. ამგვარად, თქვენო უგანათლე-
ბისობა, ჩემი კალმის ბედნიერ ქმნილებას ხანგრძლივ სიცოცხლეს
რომ კი არ ვუსურვებ, რომ ჩემი სახელი შთამომავლობას დაეუბრავო,
სედ ერთის მიზნით, — ჩემი თქვენდამი მადლიერების გრძნობა სამა-

რადისოდ აღვნიშნო და ვაიძულო ისინი, ვინც შემდგომ საუკუნეებში დაიბადებთან, ეს ჩემი საჯარო განცხადება წაიკითხონ.

უმორჩილესი, უქვეშევრდომესი და უკიდურესად დავალებული მსახური თქვენი უგანათლებულესობისა

კო რ ნ ე ლ ი.

წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ვ ა ამონარიდი

მარიანას იხსულებიდან: „ესპანეთის ისტორია“,
წიგნი IV, თავი I

„მანამ, რამდენიმე დღის წინ, ის შეებრძოლა დონ გომესს, გრაუ გორმასს, სძლია და განგმირა. ამ ამბავს ის მოჰყვა, რომ მან ცოლად მოიყვანა დონა ხიმენა, ქალიშვილი და მემკვიდრე ხსენებელი გრაფისა. ხიმენა თვით შეეცდრა მეფეს ეს საქმე ასე გადაეწყვიტა: ან როდრიგო ცოლად მოიყვანდა მას (მას მეტისმეტად უყვარდა ღირსებებით დაჯილდოებული როდრიგო), ან არადა, მამამისის მკვლელობისათვის კანონის შესაბამისად დასჯიდა. ქორწილი გაიძარტა და ყველა ნახიამოვინები დარჩა. ამ ჯვრისწერის წყალობით ცოლის დიდი მზითველი მიემატა იმას, რაც როდრიგომ მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო და ამგვარად მისი ძლიერება და სიმდიდრე ერთიორად გაიზარდა“.

აი, ისტორიამ რა უკარნახა დონ გილემ დე კასტროს, რომელმაც ჩემამდე გამოიყენა ეს ამბავი თეატრისათვის. ვინც ესპანური ენა იცის, ორ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას: პირველი — ხიმენას არ შეუძლია არ აღიაროს, რომ როდრიგო ღირსებით არის დაჯილდოებული და არ უყვარდეს იგი, მიუხედავად იმისა, რომ როდრიგო მამამისის მკვლელია. ხიმენა თვით მიდის მეფესთან კეთილშობილური არჩევანით: ან ქმრად არგუნოს როდრიგო, ან კანონის შესაბამისად დასაჯოს. მეორე — ქორწილით ყველა ნასიამოვნები დარჩა. სიღზე არსებულ ორ ქრონიკაში ისიცაა ნათქვამი, რომ მათ ჯვარი მეფისა და მთელი სასახლის თანდასწრებით სევილიის არქივებისკოპოსმა დასწერაო. მაგრამ მე მხოლოდ ისტორიკოსის ტექსტით შემოვიფარგდი, რადგან ორივე ქრონიკას ოდნავ რომანის სუნი დაკრავს და მათი უტყუარობა იმ გაღეჭილი ქრონიკების უტყუარობას არ აღემატება, რომელიც ჩვენში კარლოს დიდისა და როლანდის გარემო შეიქმნა. ის, რაც მარიანას ისტორიიდან გამოვიყენე, ნამდვილად საკმარისია ხიმენასა და მისე ქორწინების დასახასიათებლად, ან იმ დროის აღწერისათვის, როცა იგი ისეთ ბრწყინვალეებაში ცხოვრობდა, რომ არაგონისა და ნაგარის მეფეებმა მის ქალიშვილებზე დაქორწინება დიდ პატივად ჩათვალეს. გიდაც-ვიდაცები ჩვენს დროში მისი ასეთ-მადალი შეფასებისაგან თავს იკავებენ; იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რასაც ხიმენაზე თეატრალურ სამყაროში ამბობდნენ და ესპანეთის ისტორიის ფრანგ ავტორზე შევჩერდები. თავის წიგნში მან თავი ვერ შეიკავა და აღნიშნა,

ხიშენამ მამის სიკვდილი თითქოს ძალიან მალე გამოიგლოგაო და რასაც ხიშენას თანამედროვენი სულიერ სიდიადედ და განსაკუთრებულ სიმა-
მაყედ უთვლიდნენ, მის თავქარიანობად ჩათვალა. ის ორი ესპანური რო-
მანსერო, რომელთაც ჩემს წინასიტყვაობაში გაგაცნობთ, მის სასარგებ-
ლოდ კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობს. ეს ორი პატარა პოემა ძველი
თქმულებების ორიგინალური ფრაგმენტები უნდა იყოს. ხიშენას ხსოფ-
ნისადმი უპატივცემლობას გამოვიჩინდი, ფრანგებისათვის ხიშენა რომ გა-
მეცნო, მისი დახმარებით რაღაც სახელი რომ მომეპოვებინა და არ მეცადა
და არ დამეცვა იმ სამარცხენო თავდასხმისაგან, რომელიც თავს დაატყდა
მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ხელში გაიარა. მაშ, ასე, მე გაგაცნობთ ამ
თხზულებებს, რომლებიც ააშქარავენ თუ რა სახელი ჰქონდა ამ ქალს
თანამედროვეთა შორის, თუმცა იმას სულაც არ ვისახავ მიზნად, რომ გა-
ვამართლო ის ფრანგული, რა ფრანგულითაც იგი ავამეტყველე. ეს დროის
ბრაღია, და არა ჩემი. პიესის თარგმანები, შესრულებული იმ ხალხთა
ენებზე, რომლებიც დღეს თეატრით არიან დაინტერესებულნი, ე. ი. იტა-
ლიურ, ფლამანდურ და ინგლისურ ენებზე, თავისთავად მკვივრებულნი
დაცვას წარმოადგენს, მიმართულს ყოველგვარი ლანძღვის წინააღმდეგ.
ამას კიდევ ათიოდე ესპანური საღეჭსო სტრიქონი დავუმატოთ, თითქოს
ხიშენას დასაცავად შექმნილი. იგი ეკუთვნის სწორედ იმ ავტორს, ჩემს
წინამორბედ დონ ვილემ დე კასტროს, ვინც სხვა კომედიისაში, რომელსაც
მან „Enganarse enganando“ უწოდა, ბეარის მეფის ასულს ასეთი სი-
ტყუები ათქმევინა.

დავიხსოვოთ

თუ შეგხვდებით გამარჯვებას
ჩვენ გულგრილად, გამარჯვებას
აზრი აქვს და გამართლება.
თუკი ამით განსაზღვრავენ
ჩინეს ქალობას და დირსებას,
აღბათ ჩემი ღირსებების
განსაზღვრელიც ეს იქნება.
მაგრამ თუკი ვერ გაიგო,
ბოროტ ენას ისიც ძალუძს —
ცთუნებებზე გამარჯვება
დამარცხებად ჩაგვითვალს.
დღეს ღირსებას ინარჩუნებს
ის, ვინც ჩუმად არის მხოლოდ
და ძალუძს, რომ სურვილსა და
გატაცებას შეებრძოლოს.

განა ასე არ იქცევა ხიშენა მეფისა და ინფანტას თანდასწრებით ჩემს
პიესაში? მე ვამბობ მეფისა და ინფანტას თანდასწრებით-მეთქი, რადგან,
როცა მარტო რჩება, ან თავის მესაიდუმლე ქალთან, ანდა შეყვარებულ-
თან როცა არის, იგი სხვანაირად იქცევა. მისი საქციელი, არისტოტელეს

არისტოტელემ ეს კანონები შექმნა თავისი დროისათვის და საბერძნეთისათვის და არა ჩვენი დროისათვის და ფრანგებისათვისაო.

ეს მეორე, ჩემი დუმილის წყალობით დამკვიდრებული შეცდომა ისევე შეურაცხყოფელია არისტოტელესათვის, როგორც ჩემთვის. ეს დიდი აღამიანი პოეტკაზე ისე გონივრულად და ისეთი ცოდნით ლაპარაკობდა, რომ მის მიერ შედგენილი კანონები ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის გამოსადგვია. რადგან იგი შორს იყო იმისაგან, რომ ყოველგვარი პირობითობითა და სხვა ზიზილ-პიპილებით თავი გაერთო, რადგან თუ საქმე მოითხოვდა, შეეძლო მრავალფეროვანიც ყოფილიყო; ამიტომ მას განუხრელად ზუსტად ძალუძდა განეხილა მოძრაობა სულისა, რომლის ბუნებაც უცვლელი რჩება: მან დაგვანახა, თუ ტრაგედია რა ვნებებს უნდა აღვიძებდეს მაყურებლის სულში; განსაზღვრა ის პირობები, რაც აუცილებელია ამ ვნებების გამოსაწვევად, როგორც პერსონაჟებისათვის, ისე ასახული მოვლენებისათვის. არისტოტელემ გვიანდერძა ხერხები, რომლებიც ქვეყნის დასაბამიდან შეუცდომლად მოქმედებს ყველგან და იმოქმედებს მანამ, სანამ თეატრები და მსახიობები იარსებებენ. როდესაც თავის კანონებს აღგენდა, არისტოტელემ, მით უმეტეს, გაითვალისწინა, რომ მოქმედების დრო და ადგილი შეიძლებოდა შეცვლილიყო და ამიტომ მსახიობების რაოდენობა არ განუსაზღვრავს. მის მაგიერ ეს მოგვიანებით პორაციუსმა გააკეთა.

პირველი ალბათ მე გავეციხავდი „სიღს“, ჩვენი ფილოსოფოსის დიადი და ფუქემდებლური ანდერძი რომ დაერღვია. რადგან ჩემთვის მოურიდებლობა უცხოა, ამიტომ, მით უმეტეს, ვბედავ აღვნიშნო, რომ ჩემმა იღბლიანმა თხზულებამ მტკიცე წარმატება მოიპოვა მხოლოდ და მხოლოდ იმ ორი „მეფური“ (დმერთმა შემინდოს ეს ეპითეთი) პირობის გამო, რომელთაც დიდი მოძღვარი აუცილებლად მიიჩნევდა ყოველი სრულქმნილი ტრაგედიისათვის და რომლებიც ერთმანეთთან ესოდენ იშვიათად არიან ხოლმე შეთანხმებულნი ერთ ნაწარმოებში. სწორედ ამ გარემოებამ მისცა საშუალება დეტაბრივი ტრაქტატის ერთ-ერთ კომენტატორს ემტიციებინა, რომ თითქოს ანტიურობაში ამგვარი შეთანხმება მხოლოდ „ოიდიპოს მეფეში“ იყოს. პირველი ჰირობა იმაში მდგომარეობს, რომ წამებული და დევნილი არ უნდა იყოს არც მთლიანად ბოროტი და არც მთლიანად კეთილი, მაგრამ უფრო კეთილი უნდა ეთქმოდეს, ვიდრე ბოროტი, უნდა იყოს პიროვნება, ადამიანური (და არა დანაშაულებრივი) სისუსტის წყალობით რომ ხვდება განსაცდელში, რომელიც მას არ დაუშასაუბრებია; მეორე პირობა იმაში მდგომარეობს, რომ დევნა და მუქარა მომდინარეობს არა მტრისაგან და არა გულგრილი ადამიანისაგან, არამედ იმ ადამიანისაგან, რომელსაც უყვარს დევნილი და ამ დევნილსაც უყვარს იგი. აი, გულწრფელად რომ ვთქვათ, ის ნამდვილი და ერთადერთი მიზეზი „სიღის“ წარმატებისა, რადგან ამ დრამაში ზემოხსენებული ამ ორი პირობის არსებობა არ გამოგრჩებათ თუ, რა თქმა უნდა, გულღვარძლიანობისა გამო კაცი თვალებს არ დაბრმავებს. მე ამით ჩემს მიერ მოცემულ სიტყვას ვასრულებ და ვამთავრებ. ახლა კი, რახან თეატრალურ სიღზე

ყველაფერი გითხარით, ხიმენას დასაცავად გაგაცნობთ იმ ორ რომანსეროს,
თავიდან რომ დაგპირდით.

პირველი რომანსერო

ერთ საღამოს დიდ ხელმწიფეს,
რომ განაგებს ხალხს და ლეონს,
სთხოვს ხიმენა, მამაჩემი
მომიკლეს და მიშველეო.
დამაობლა აღრე სიღმა,
ღონ როდრიგო დე ბიეარმა,
მე იმისგან თავს დავიხსნი,
თუკი მეფემ შემიფარა.
თქვას, მართალი ვარ თუ არა,
დღეს ღირსეულს ბედმა ანდო
და ის საქმეს ღირსეულსა
ვერ გადასწყვეტს უღირსადო.
მე ის მტანჯავს, ყოველ დღით
ჩემს წინ ცხენს რომ ათამაშებს
ის, ვინც მგლურად სისხლს დააძღა,
დაუხნელა მზე მამაჩემს.
გთხოვ, უბრძანო, ხელმწიფეო,
თვალით აღარ დამენახოს,
შურისგებით გაწამებულ
ქალწულს ხელი რომ არ მახლოს.
თუკი სიტყვით მამაჩემმა
შეურაცხყო მამამისი,
სიცოცხლით რომ აზღვევინა,
ეგ არ არის საკმარისი?
მეფევე, ხელს თუ გამომიწვდით,
გადავრჩები თქვენი რიდით,
რადგან ჩემი დამცირობით
დამცირობს მეფეს სიდი.
უთხრა მეფემ: ო, ხიმენავე,
ნუ მიშხამავ დღეს გუნებას,
მალე წამალს სამკურნალოს
მოგიწახავ მე უებარს.
რა ვქნა, სიღს ვერ გავიმეტებ,
ჩვენ გვჭირდება მისი თავი,
ხვალ იქნება ეს სამეფო
ისევე სიღის დასაცავი.
მაგრამ ჩემთან მოვეუხმობ და
რახან გვიზის წინამძღოლად,

უნდა სიტყვა ჩამოვართვა,
რომ შეგირთავს მალე ცოლად.
მოეწონა ჩვენს ხიმენას
მეფის სიტყვა და წყალობა,
რომ დაიცავს ხელი მისი,
ვისმა ხელმაც დააობლა.

მეორე რომანსერო

ჩამოართვა სიტყვა მეფემ
ხიმენასა და როდრიგოს,
რომ ჯვარს დღესვე დაიწერდნენ,
ისე როგორც წესი იყო.
ერთმანეთის მტრები ახლა
სიყვარულმა შეაუღლა,
სიყვარული თუ მბრძანებლობს,
რა უნდა ქნას, ნეტაე, შუღლმა?

.
როცა ჯვარი დაიწერეს,
კაცმა ხელი ქალს ჩაჰკიდა,
მოეხვია და ხიმენას
შეხედა და უთხრა სიღმა:
„მე მოგიკალ მამა, მაგრამ
განა მალვით, ვით მამაცი
შურს იძიებს, სწორედ ისე
მოვკალ, როგორც კაცმა კაცი.
კაცი მოვკალ და სანაცვლოდ
მე გთავაზობ ჩემს თავს კაცად,
გყავდეს. ქმარი ღირსეული
დაკარგული მამის ნაცვლად“...
ეს გულწრფელი მისი სიტყვა
მოეწონა ყველას ძლიერ
და ქორწილი გადაუხადეს
ღონ როდრიგო კასტილიელს.

გ ა რ ჩ ე ვ ა

ამ თხზულების ფაბულა ისეთი ღირსებებით არის შემკული და იმ-
ენი შესანიშნავი აზრის მატარებელია, რომ მაყურებელთა და მკითხველ-
თა უმრავლესობა თეატრში მისი ნახვის სიამოვნებით დატკბა და მასში
არყოფითი მხარეების დანახვა არ ისურვა. მიუხედავად იმისა, რომ სცე-
ნათვის დაწერილი ყველა ჩემი „სწორი“ თხზულებებიდან „სილი“ ყვე-
ლაზე თავისუფალია, იგი კვლავინდებურად ყველაზე სრულქმნილია იმათ

თვალში, რომლებიც მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ და მკაცრად არ იცავენ წესებს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში სცენიდან არ ჩამოსულა „სიდი“ და ვერც დრომ და ვერც გემოვნების ცვალებადობამ ვერ გააუფერულა მისი წარმატება. იგი პასუხობს იმ ორ მნიშვნელოვან პირობას, რომლებიც არისტოტელეს ყოველი ქვეშაირიტად სრულქმნილი ტრაგედიის აუცილებელ კუთვნილებად მიაჩნდა და რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებულნი მეტისმეტად იშვიათად გვხვდებოდა, როგორც ძველ, ისე თანამედროვე ავტორებთან. ჩვენს ტრაგედიაში ეს პირობები ერთმანეთში უფრო მჭიდროდ და უფრო ოსტატურად არის გადახლართული, ვიდრე ბერძენი ფილოსოფოსების მიერ მოხსენიებულ ნიმუშებში. ჩემს დრამაში მოქმედებს შეყვარებული ქალი, ვისაც მოვალეობის გრძნობა აიძულებს ეძიოს სიკვდილი შეყვარებულისა და ამავე დროს, ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ეშინოდეს მისი სიკვდილისა. მისი ვნებები უფრო ძლიერია და უფრო ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ვიდრე ის ვნება, რომელიც შეიძლება იმორჩილებდეს ქმარსა და ცოლს, დედას და ვაჟიშვილს, დასა და ძმას. უმაღლესი სათნოება შეთანხმებული იმ ვნების ბუნებრიობასთან, რომელთაც თრგუნავს, მაგრამ არ კი ასუსტებს, პირიქით, უნარჩუნებს მთელ ძლიერებას, რათა გამარჯვება უფრო სასახლო იყოს, — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უფრო ამაღლებებელი, ამაღლებული და სასიამოვნოა, ვიდრე უღიმღამო სიკეთე, რომელსაც შეუძლია სისუსტე გამოამკლავნოს ან დანაშაულიც კი ჩაიღინოს. სწორედ ამ სიკეთის საფუძველზე ძერწავდნენ ხოლმე ჩვენი ძველი მწერლები იმ მეფეებისა და უფლისწულების ხასიათებს, რომლებიც თავის გმირებად გამოჰყავდათ. გმირების მამაცობანი და ბოროტმოქმედებანი, მათთვის ბოძებულ მცირეოდენ სათნოებას რომ ამახინჯებდა, ავტორების ჩანაფიქრით უნდა მისადაგებოდა და დაეკმაყოფილებინა მაყურებლის გემოვნება და მისწრაფებები, მათ გულში მმართველებისა და ხელმწიფეების შიში ჩაენერგა.

როდრიგო მოვალეობის ერთგულია, მაგრამ თავის გრძნობას წამითაც არ ღალატობს. ასევე იქცევა ხიმენაც. საყვარელ ადამიანზე შური უნდა იძიოს და ამ მისწრაფებით გამოწვეული ტანჯვა განზრახვას ვერ შეაცვლევინებს. სატრფოს სიახლოვე ზოგჯერ უკან ახევიანებს, ეს დაძაბუნება მხოლოდ წუთიერი და ქალიც მაშინვე წელში განიმართება ხოლმე. ხიმენა არა მარტო ხვდება თავის შეცდომას, — იგი ამის შესახებ ჩვენც კი გვატყობინებს — არამედ სწრაფად ისწორებს იმას, რასაც ძვირფასი ადამიანის სიახლოვე უნებურად ათქმევინებს, იგი სულაც არ უნდა გავამტყუნოთ იმის გამო, რომ შეყვარებულმა მამა მოუკლა და ამის შემდეგ ხვდება მას. ხიმენა აღიარებს, ავისმდომელებიც კი ამის გარდა ვერაფერს მიძრახებენო. მერე რაა, რომ გრძნობის მოზღვაებამ აიძულა ერთხელ როდრიგოს გამოსტყდომოდა, გაღმერთებ და მსხვერპლად გწირავო, დაე, ეს ყველამ იცოდესო. ეს მტკიცე გადაწყვეტილება სულაც არ უნდა გვეგონოს. მეფის თანდასწრებით იგი შესანიშნავად მალავს თავის სიყვარულს. თუმცა ღონსანჩოსთან საბრძოლველად მიმავალ როდრიგოს გასამხნეებლად მაინც წამოსცდება:

გამარჯვებული დამიბრუნდი, იმ ბრძოლის ჭილდო
მე ვარო...

მაგრამ ამ გამამხნეებელი სიტყვებით გამოწვეულ სირცხვილს იგი მხოლოდ გაქცევით არ აღწევს თავს, როცა ხიმენა პირისპირ რჩება ელვირასთან, რომელსაც იგი თავისი სულის საიდუმლოს ანდობს და როცა სატრფოს სიახლოვე იმის გულს აღარ სტანჯავს, ხიმენას გამქლავებული სურვილი უფრო გონივრულია და ერთნაირად ეხმარება მის სიყვარულსაც და მის სათნოებასაც. ხიმენა ღმერთს ევედრება, ორთაბრძოლა ისე დამთავრდეს:

რომ ორივენი ვერც დამარცხდნენ, ვერც გაიმარჯვონ.

მართალია, იგი როდრიგოსადმი თავის კეთილგანწყობილებას არ მალავს იმის გამო, რომ არ სურს ეკუთვნოდეს დონ სანჩოს, რომელსაც მტრული თვალთ უმზერს, მაგრამ მაინც უკან არ მიაქვს ალრე ნათქვამი მუქარა: თუ როდრიგომ გაიმარჯვა, მეფისადმი მიცემული პირობის მიუხედავად, როდრიგოს წინააღმდეგ ათას ახალ მებრძოლს გამოვიყვანო. გრძობის იმ აფეთქებასაც კი, რომელიც ხიმენამ ვერ დაიოკა მაშინ, როცა ეგონა, როდრიგო დაიღუპაო, თან ახლდა ორთაბრძოლის მეტად არასასიამოვნო პირობა, რომელიც მის თავს საყვარელ ადამიანს აკუთვნებდა. ხიმენა გულს მხოლოდ მაშინ დაიმშვიდებს, როცა ხელმწიფე იმედს მისცემს, მოითმინე და შეიძლება თქვენს ქორწინებას სხვა დაბრკოლება წინ აღუდგესო. მე კარგად ვიცი, რომ ღუმილი ჩვეულებრივ თანხმობის ნიშანია, მაგრამ, როცა მეფეები ლაპარაკობენ, საქმე რთულდება. ჩვეულებრივ მათ ტაშს უკრავენ ხოლმე. ერთადერთი ხერხი მათთან კამათისა მხოლოდ ღირსეული ღუმილია. ღუმილი მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა მათი ნება-სურვილის აღსრულება არცთუ ისე სიჩქაროა, შეიძლება შესაფერისი დროისათვის გადავდოთ და რაღაც გაუთვალისწინებელი შეფერხების იმედი ვიქონიოთ.

ისიც მართალია, რომ ჩვენი შემთხვევაში როდრიგოსათვის საფრთხე უნდა აგვერიდებინა და საქმე ხიმენაზე დაქორწინებამდე არ უნდა მიგვეყვანა. სიდი ისტორიული პიროვნებაა. იგი თავისი დროის გემოვნების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. მაგრამ ჩვენი დროის გემოვნების მოთხოვნილებებს საეკუთვოა, რომ აკმაყოფილებდეს. ჩემთვის საწყენია, რომ ესპანელი ავტორის თხზულებაში ხიმენა თანხმდება ხელი მისცეს სიდს. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესპანელ ავტორს თავისი პიქსის მოქმედება სამი წლით აქვს გაკვიანურებული. ისტორიისათვის რომ არ მეღალატა, საჭიროდ მივიჩნეო ზოგიერთი გარემოება მსხვერპლად შემეწირა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი, ჩვენი თეატრის პირობითობა ისტორიულ სიმართლესთან შემერიაგებინა.

როდრიგოსთან სატრფოს მოსვლამდე არის რაღაც მომენტი, რომელიც არღვევს ამ პირობითობას. მოვალეობის მკაცრ მოთხოვნილებებს ხიმენა უნდა აექმდებინა, როდრიგოსთან შეხვედრაზე უარი ეთქვა, და თავის კაბინეტში ჩაკეტილს მისთვის ყური აღარ დაეგდო. მაგრამ ნება მომეცით

დავეთანხმო ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მეტად გონიერ კაცს, რომელმაც შენიშნა, რომ „მათი საუბარი იმდენად ლამაზ გრძნობებს აღგვიძრავს, რომ მაყურებელთა უმრავლესობას ეს ნაკლი არ შეუძმჩნევია, ხოლო ვინც შეამჩნია, ადვილად მოუტევაო“. უფრო მეტიც, თავს ნებას მივცემ და აღვნიშნავ, რომ თითქმის ყველა მაყურებელმა სურვილი გამოთქვა ეს შეხვედრა უსათუოდ შემდგარიყო. ჭერ კიდევ პირველი წარმოდგენების დროს შეეამჩნიე, ეს უბედური შეყვარებული ხიშტისაა წინაშე როგორც კი აღმოჩნდებოდა, მთელს დარბაზს ერთხანტელი დაუვლიდა ხოლმე, რაც მეტისმეტი ცნობისმოყვარეობის მომასწავებელი იყო და იმას ნიშნავდა, რომ მაყურებელს ძალიან აინტერესებდა თუ რას ეტყოდნენ ისინი ერთმანეთს ამ უაღრესად დრამატულ პირობებში. არისტოტელე ამბობს, არსებობს შეუსაბამობანი, რომლებიც პიესებში იმ შემთხვევაში უნდა დაეტოვოთ, თუ იმედი გვექნება, რომ მაყურებელი კარგად მიიღებს და ყოველი პოეტის მოვალეობაა ამ შეუსაბამობათ ბრწყინვალემა შეუხარჩუნოსო. და, მაყურებელმა განსაჯოს, ჩემს მოვალეობას თავი გაეართვი თუ არა, რომ ამ ორ სცენას გამართლებამ მოეხაზოს. ამ ორი სცენიდან პირველ სცენაში ზოგიერთი გამონათქვამი მეტისმეტად გამოგონილი ჩანს იმისათვის, რომ ასეთ მწუხარებაში ჩაეარდნილმა ადამიანებმა ილაპარაკონ; თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია ვიმართლოთ, რომ ეს სცენა, ჭერ ერთი, ესპანურიდან ჩვენი სიტყვებით არის გადმოცემული, მეორეც, თუ ჩვენს თავს გამოუმგონებლობის ნებას არ მივცემთ და ვნებათაღელვის ჩვეულებრივი მიმდინარეობის გადმოცემის გარდა ყველაფერს ავუქრძალავთ, ჩვენი თხზულებანი მეტისმეტად გაფერმკრთალდებოდა და ბუნებრივი გრძნობების ნაცვლად მსახიობებს ჩვენ მხოლოდ შეძახილებისა და ოხერის ნებას მივცემდით. არ დაგვიმალავთ და იმასაც გეტყვით, რომ ის სცენა, სადაც როდრიგო ხიშტის თავის დაშნას სთავაზობს და ეუბნება, გადამწყვეტილი მაქვს, დონ სანჩოს ხელით მოკვდეთ, მე ახლა აღარ მომეწონებოდა. ეს შეიძლება აღრე მოსჩვენებოდათ ლამაზი, ახლა კი ლამაზად აღარ გვეჩვენება. პირველი სცენა ესპანურ ორიგინალშია, მეორე კი იმის მიხედვით არის შეთხზული. ორივე სცენა მაყურებელს მოეწონა და მათი სიმბათიაც დაეიმსახურე. მაგრამ მომავალში ჩვენი თეატრისათვის ამგვარი სცენების გამოხატვისაგან თავს შევიკავებდი.

მე უკვე მქონდა შემთხვევა გამომეტქვა ჩემი მოსაზრებანი ინფანტასა და მეფის შესახებ. მაგრამ იმაში მაინც უნდა გაეერკვიეთ თუ როგორ მოქმედებს ეს უკანასკნელი. მის შემოქმედებას შესაფერისი სიმტკიცე აქვია, რადგან მას უთუოდ უნდა დაეკავებინა გრაფი მას შემდეგ, რაც დონ დიეგოს სილა გააწნა; მაგრამ იგი მცველებსაც ეს არა გზავნის დონ დიეგოსა და მის წყათან. ამასთან დაკავშირებით აქ კარგი იყო ისიც გაგვეხსენებინა, რომ დონ ფერნანდო კასტილიის პირველი მეფე იყო, ხოლო მისი წინამორბედები მხოლოდ და მხოლოდ გრაფის ტიტულს ფლობდნენ და ალბათ თავის სახელმწიფოში დიდებულებზე აბსოლუტური ძალაუფლება არც ექნებოდათ. დონ გილემ დე კასტროს თხზულებაში, რომელმაც ეს სიუჟეტი ჩემამდე დაამუშავა და რომელსაც ჩემზე უკეთ უნდა სცოდ-

ნოდა, ამ პირველი მონარქის ძალაუფლება სადამდე ვრცელდებოდა, გრაფი დონ დიეგოს სილას გააწნავს მეფისა და მისი ორი მინისტრის თანდასწრებით. როცა გრაფი ამაყად გაშორდება მათ, სწორედ ეს მინისტრები, ხოლო შემდეგ დონ დიეგო (ოღონდ უკვე არა საამაყოთ, არამედ ნაღვლიანი ამოხვრით) ურჩევენ მეფეს, საქმე უქიდურესობამდე არ მიიყვანოს და გაითვალისწინოს ასტურიაში სიმრავლე გრაფის მომხრეებისა, რომელთაც შეიძლება ითაკილონ ეს უკადრისი მოპყრობა და დაუკავშირდნენ მავრებს, კასტილიას რომ შემორტყვიან გარს. მეფე ყურად იღებს რჩევას და გადაწყვეტს საქმე ვაუხმაჟობლად შოაგვაროს და დიდებულებს, ინციდენტის ერთადერთ მონაწილეებს, უბრძანებს, ყველაფერი სიიღუმლოდ შეინახონ. მე უარყვამი ეს ვარიანტი და გადაწყვეტი, მეფე უფრო ლმობიერად ამგმოქმედებინა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ჩვენს დროში, როცა მეფის ძალაუფლებას მეტი აბსოლუტიზმი ახასიათებს. მე არა მგონია, მეფეს დიდი შეცდომა დაეშვას, რახან თავის ქალაქში ღამით განგაში არ ატეხა, როცა ამცნეს, მგონი მავრები თავდასხმას გეზირებენო. ნავსადგურსა და ქალაქს თუმცა საიმედო მცველები იცავენ, მაგრამ სრულიად შეუწყწარებელია ის, რომ, როცა მავრები გამოჩნდებიან, მეფე ჩხირს არ აბრუნებს და ყველაფერს როდრიგოს გადააბარებს. დონ როდრიგოსთან ორთაბრძოლის პირობა, რომელსაც მეფე ხიმენას მანამდე შესთავაზებს, სანამ ამ ორთაბრძოლის ნებას დონ სანჩოს დატოვდა, არც ისე უსამართლოა, როგორც ეს ზოგიერთებს მოეჩვენათ, რადგან ხიმენას დასაყოლიბლად ის უფრო მუქარას წარმოადგენდა, რომ როგორმე ორთაბრძოლაზე უარი ეთქვა, ვიდრე მკაცრ განაჩენს. ეს, სხვათაშორის, ცხადი ხდება როდრიგოს გამარჯვების შემდეგ, როცა მეფე მიცემული სიტყვის შესრულებას მაინცდამაინც არ მოითხოვს და ხიმენას იმასაც კი აგრძობინებს, ორთაბრძოლის პირობების დაცვა იქნებ სულაც არ იყოს საქიროო.

არ უარყვამ, მოქმედება რომ ოცდაოთხ საათში უნდა ხდებოდეს, ამის გამო პიესის მოქმედება მეტისმეტად შემჭიდროებულია. რა თქმა უნდა, გრაფის სიკვდილი და მავრების თავდასხმა შეიძლებოდა ერთმანეთს სწრაფად მიჰყოლოდა, რადგან მავრების გაშოჩენა სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა და სხვა ამბებს სულ არ უკავშირდებოდა. მაგრამ დონ სანჩოსთან ორთაბრძოლის საკითხი სხვაგვარად დგას, მეფეს თავისუფლად შეეძლო სხვა უფრო შესაფერისი დრო გამოენახა და ორთაბრძოლა მავრების გაქცევიდან ორი საათის შემდეგ არ დაენიშნა. როდრიგო მეტისმეტად მოქანცა ღამის ბრძოლამ და ორ-სამღლიან დასვენებას ნამდვილად იმსახურებდა, თუ იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ სისხლისმღვრელი ბრძოლიდან, არა მგონია, სულ უვნებელი გამოსულიყო და ერთი ნაკაწრიც არა ჰქონოდა. მაგრამ ამაზე ვჩუმიდები, რადგან არ მინდა კვანძის გახსნას ხელი შევეშალო.

მოქმედება რომ ოცდაოთხ საათში უნდა ხდებოდეს, ეს ხიმენასაც აჩქარებს და მეფეს მფარველობას მეორედ ევედრება. მან მეფეს მფარველობა წინა სადამოს სთხოვა და სულ აღარ იყო აუცილებელი, რომ დილით ისევე მისულიყო და მეფისათვის იგივე თხოვნა გაემეორებინა, მით უმე-

3. ფრანგული დრამა

ტეს, რომ არავითარი გონიერული საფუძველი არ იყო, გვეფიქრა, მეფე თავის სიტყვას გადაეაო. რომანში შესაძლებელი იქნებოდა, რომ მეორე თხოვნამდე შვიდ-რვა დღეს მაინც გაეელო. მაგრამ დროის ერთიანობის კანონმა პიესაში ამის უფლება არ მოგვცა. ესეც თქვენი კანონის თვალში-საცემი უხერხულობა!

ახლა გადავიდეთ დროის ერთიანობის კანონზე, რომელმაც არანაკლებ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. იძულებული ვავხდით, სევილია ამომერჩია, თუმცა დონ ლუიზა სევილიის მბრძანებელი არასოდეს ყოფილა. მე იძულებული ვიყავი რეალობისათვის მედლატა, რომ მავრთა უეტარი თავდასხმა სიმართლისათვის მიმემგვანებინა, რადგან ხმელეთზე ჯარი ასე სწრაფად ქალაქს ვერ მოადგებოდა, ეს მხოლოდ ზღვაზე იყო შესაძლებელი. ამით მე სულაც არ მინდა ის ვამტკიცო, თითქოს ზღვის მოქცევას მავრების ხომალდები სევილიის კედლებამდე შეეძლო მიეყვანა; მაგრამ რადგან სენაზე გზა ზღვიდან პარიზამდე უფრო გრძელია, ვიდრე გვადალკვივირზე ზღვიდან სევილიის კედლებამდე, ეს ჩვენი მსჯელობა შეიძლება სიმართლესთან მიახლოებული მოეჩვენოს იმათ, ვინც ჩვენი მოქმედების ადგილზე არასოდეს ყოფილა.

მავრთა მოულოდნელ გამოჩენას არ ახსიათებს ის ნაკლოვანება, რომელიც სხვა ადგილას მე თვითონ აღვნიშნე ერთხელ. მავრები თავისთავად, ბუნებრივად გამოჩნდებიან, ისინი პირდაპირი ან შემოვლითი გზით პიესის პირველ მოქმედებაში რომელიმე პერსონაჟს არ დაუბარებია. მათი გამოჩენა უფრო კარგად არის მოტივირებული ესპანელი ავტორის „არასწორ“ პიესაში: როდრიგო სასახლეში გამოჩენას ვერ ვაბედავს და ისე ვაემართება მავრებთან საბრძოლველად საზღვარგარეთ. იქ პიესის მთავარი გმირი თვითონ გაეშურება მათ საქმენელად და ისე შემოპყავს ისინი მოქმედებაში. ერთი სიტყვით, ვიღემ დე კასტროს თხზულებაში ჩემი პიესის საპირისპირო ამბავი ხდება, რადგან ჩემს პიესაში მავრები მხოლოდ იმიტომ გამოჩნდებიან, რომ სიღმა მათ კუდიტ ქვა ასროლინოს, იმავე სიღმა მეფეს დაუფასებელი სამსახური გაუწიოს და ამის ჩილდოდ თვალის დახამხამებაში მეფის შეწყალება დაიმსახუროს. ეს კანონის მეორე უხერხულობაა ამ ტრაგედიაში.

საერთოდ ყველაფერი სევილიაში ხდება, რაც ადგილის ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა კი ცალ-ცალკე იგი იცვლება სცენიდან სცენაში: ჯერ სამეფო სასახლე ჩანს, შემდეგ ინფანტის დარბაზები, ხომენას სახლი, ქუჩა, მოედანი, ადვილი იყო მოქმედების საერთო ადგილი გამოგვეძებნა ერთმანეთთან დაუკავშირებელი სცენებისათვის, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული სცენებისათვის, მაგალითად, პირველი მოქმედების ბოლო ოთხი სურათისათვის მოქმედების საერთო ადგილის გამოძებნა უფრო ძნელი გამოდგა. ვრადი და დონ დიეგო სასახლიდან რომ გამოდიან, ჩხუბს მაშინ იწყებენ. ჩხუბი ქუჩაშიც შეეძლოთ დაეწყათ, მაგრამ სილის გაწვანის შემდეგ დონ დიეგო ქუჩაში ველარ იქნება და შვილის მოლოდინში ჩივილს ქუჩაში ვერ მოპყვება, რადგან გარშემო ან ხალხი შემოებხეოდა ან კიდევ მეგობრები შემოესწრაბოდნენ და დახმარებას შეს-

თავაზებდნენ. ამიტომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, სახლში მოპყოლო-
და ჩივილს, როგორც ეს ესპანელმა ავტორმა გააკეთა, რომ ღონ დიეგოს
საშუალება ჰქონოდა თავისუფლად ეთქვა თავისი საწუხარი. მაგრამ ამის
გამო სურათი უნდა დაგვექუცმატებინა, როგორც ეს იმავე გილემ დე
კასტროს თხზულებაშია. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ
პიესის წერისას ანგარიშს ვუწევთ თეატრს და ვცვლით ხოლმე იმას, რის
ჩვენებაც სცენიდან შეუძლებელია. მაგალითად, ორი კაცი შეჩერდება და
უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწყებულ საუბარს აგრძელებენ. მაგრამ როგორ
უნდა წარმოვადგინოთ ეს მაყურებლის წინაშე? ისინი ხომ მანამდე მიე-
ფარებიან თვალს, სანამ გადავლენ იმ სათქმელზე, რომელსაც მაყურებ-
ლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს? თეატრის პირობითობას თუ მივ-
მართავთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სასახლიდან გამოსული ღონ
დიეგო და გრაფი ჩხუბს განაგრძობენ და ჩხუბით დიეგოს სახლს მიადგე-
ბიან. და აი, სწორედ აქ გააწინავენ სილას დიეგოს და ეს აიძულებს მას,
რომ დახმარებისათვის სახლს მიაშუროს. თუ ეს პოეტური ფექცია არ
გაკმაყოფილებთ, დაე, დიეგო იქ დარჩეს, სადაც ხალხი იყრის თავს. დაე,
გარშემო ხალხი შემოეხვიოს და მეგობრებიც შეგროვდნენ, რომანისათვის
ეს შეტისშეტად გამოსადეგი იქნება. მაგრამ პიესაში ეს წერილმანები მოქ-
მედების ძირითად ხაზს ხელს არ უწყობს. პორაციუსი პოეტს მათგან ათა-
ვისუფლებს ამ სტრიქონებით:

პოემის მთხველმა რომ იცოდეს, რა აირჩიოს...
ან რა უარყოს.

ხოლო შემდეგ:

ის ხელს პირდაპირ საქმეს ჰკიდებს.

სწორედ ამან მაიძულა მეხუთე მოქმედებაში უგულებელმყოფო ღონ
დიეგოს ხუთასი მეგობარი და დახმარება ერთადერთი შეილისათვის მი-
მენდო. რა თქმა უნდა, მიმზიდველი იყო, რომ გამომეყვანა რამდენიმე-
მეგობარი, რომლებიც გვერდით გაჰყვებოდნენ ან მოძებნიდნენ მას, მაგრამ
ისეთი ხალხი რომ გამომეყვანა, რომლებსაც სათქმელი არ ექნებოდათ,
უაზრობა იქნებოდა, რადგან მოქმედებისათვის მხოლოდ ის იმსახურებს
ინტერესს, ვისაც ისინი გვერდით გაჰყვებოდნენ. ზედმეტი ხალხის გამო-
ჩენა სცენაზე მაყურებელს მუდამ აღიზიანებს, მით უმეტეს, თუ იმას გავი-
თვალისწინებთ, რომ მსახიობები მუნიჩი როლებისათვის ხშირად იყენებ-
დნენ გამნათებლებსა და თავის მოსამსახურეებს, რომლებმაც სულ არ
იციან, სცენაზე თავი როგორ დაიჭირონ.

სცენაზე გრაფის დაკრძალვის ჩვენებაც შეტისშეტად გაჭირდებოდა
იმ შემთხვევაშიც, თუკი გრაფს მანამდე დაკრძალავდნენ, სანამ პიესა დას-
რულდებოდა და იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი ცხედარი მისი სასახლის
დარბაზში იქნებოდა დასვენებული დაკრძალვის მოლოდინში. ამ საკითხის
გარშემო წარმოთქმული ყოველი სიტყვა მოლოდინის დაძაბულობას გა-
ფანტავდა და მაყურებელს იმედს გაუცრუებდა. მე უფრო გონივრულად

მივიჩნიე, მაყურებლისათვის დამეძალა გრაფის დაკრძალვა და აგრეთვე პირველი მოქმედების იმ ორი სურათის მოქმედების ადგილი, რომელზედაც ეს-ეს არის გელაპარაკებოდით. პირადად მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჩემმა პატარა ეშმაკობამ ნამდვილად გამიმართლა, რადგან არა მგონია, მაყურებელს ამ წვრილმანებისათვის ყურადღება მიექცია. მაყურებელთა უმრავლესობა, გატაცებული იმ პათეტიკით, პიესაში რომ უყურებდნენ და ეყურებოდით, ალბათ წუთითაც არ დაფიქრებულა ზემოჩამოყალიბებულ მოსაზრებებზე.

მე ჩემს შენიშვნებს ჰორაციუსის სიტყვებით ვამთავრებ: ყველაფერი, რაც მაყურებლის თვალწინ ხდება, უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე უბრალოდ მოყოლილიო.

სწორედ ამას ვითვალისწინებდი, როცა სილის გაწვნის სცენა წარმოვადგინე და მაყურებელს გრაფის სიკვდილი არ ვუჩვენე, რომ ჩემი გმირისადმი მაყურებლის კეთილი განწყობილება შემენარჩუნებინა, რაც ესოდენ აუცილებელია წარმატებისათვის თეატრში. უხეშად მოპყრობა და დამცირება იმ მოხუცისა, რომელსაც ამკობს გამარჯვებები და ჰალარა, თითქოს მაყურებლის გრძნობებს შეურაცხყოფს. ხოლო გრაფის სიკვდილის ამბავი, რომელსაც მეფეს უბრალოდ მოახსენებენ, არ უღვიძებს მაყურებელს იმ თანაგრძნობას, რაც შეიძლებოდა მათ თვალწინ დადგრილ სისხლს გამოეწვია და არც ზიზღს ჰაბუკი შეყვარებულისადმი, რომელიც იძულებულია უკიდურესობამდე მივიდეს და თავისი უძლიერესი და უნაზესი სიყვარული ღირსებას ანაცვალოს.

მოკმედი პირნი

დონ ფერნანდო, კასტილიის პირველი მეფე.

დონა ურაკა, კასტილიის ინფანტა.

დონ დიეგო, დონ როდრიგოს მამა.

დონ გომესი, დონ გორმასი, ზიმენას მამა.

დონ როდრიგო, ზიმენას მიწნური.

დონ სანჩო, ზიმენას უიღბლო მიწნური.

დონ არიასი

დონ ალონსო } კასტილიის დიდებულნი.

ზიმენა, დონ გომესის ქალიშვილი.

ლეთონრა, ინფანტას აღმზრდელი.

ელვირა, ზიმენას აღმზრდელი.

ინფანტას მამა.

მოქმედება წარმოებს სევილიაში.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

ხიზენა, ელვირა

ხ ი მ ე ნ ა

ელვირა, შენი მონათხრობი თუა გულწრფელი?
ასე თქვა მამამ, არაფერი არ დაგიმაღავს?

ე ლ ვ ი რ ა

ჩემი გონება მოხიბლული არის აქამდე:
როგორც თქვენ მოგწონთ, ისე მოსწონს იმას როდრიგო
და თუ არ ვცდები და განზრახვას სწორად მიეუხვდი,
მას სურს, სიყვარულს სიყვარულით რომ უპასუხოთ.

ხ ი მ ე ნ ა.

თუ ეს ასეა, სიტყვა, რამაც გაფიქრებინა,
რომ მოსწონს ჩემი არჩევანი, გამიმეორე.
გამაგებინე, რა იმედი მასულდგმულეზღეს,
სულს სიტყვა ტკბილი, ო, რარიგად ესალბუნება;
და სიყვარულით ანთებული ჩვენი გულები
თუ როგორ ელტვის სანეტარო თავისუფლებას!
იმ ნაბიჯებზე რა თქვა მამამ, რომელიც ალბათ
ღონ სანჩომ ანდა ღონ როდრიგომ უნდა გადადგან?
არ აგრძნობინე თუ ესოდენ უთანასწოროდ
ვისკენ იხრება ჩემი გული ორ მიჯნურს შორის?

ე ლ ვ ი რ ა

არა, მე ვუთხარ, რომ ბრძანდებით მეტად გულგრილი,

რომ არც ერთს იმედს არც უკარგავთ და არც უღვიძებთ,
 არც პირქუშია თქვენი მზერა, არც მწყალობელი
 და ელოდებით, საქმრო მამამ ამოგირჩიოთ.
 იგი ასეთმა მორჩილებამ ისე მოხიბლა,
 რომ ვერ შეძლო და სიხარული ვეღარ დაფარა.
 რახან გნებავთ რომ გესაუბროთ, იმასაც გეტყვით
 თუ ნაჩქარევად რა მიბრძანა თქვენზეც და მათზეც.
 ბრძანა: „იქცევა წესიერად ჩემი ხიმენა.
 ორივე არის ღირსეული და ორივენი
 კეთილშობილი გვარისანი არიან მეტად,
 ახალგაზრდები, ერთგულები და მათ მზერაში
 უმამაცესი წინაპრების მკლავნდება სული.
 მეტადრე მხიბლავს დონ როდრიგო, მის სიქველეში
 გვარწმუნებს მისი დახვეწილი სახის ნაკეთები.
 მის გვარს სახელი ბრძოლის ველზე მოუხვეჭია,
 დაბადებიდან თავს უმშვენებთ გვირგვინი დაფნის.
 ვაჟკაცობაში არც მამამისს არ ჰყავდა ტოლი,
 სანამ მხნეობა მოსდევდა და ძალა ჰყოფნიდა.
 მისი გმირობის და დიდების მატინანა
 დღეს ნაოჭებით დაღარული იმისი შუბლი.
 შვილი იქნება ღირსეული მემკვიდრე ალბათ
 და თუ ხიმენა შეიყვარებს, აბა, რა მეთქმის“.
 ის საბჭოს უნდა დასწრებოდა. წასვლის დრო იყო.
 წამოწყებული საუბარი შეწყვიტა უცებ,
 მაგრამ, მე მგონი, ამ სიტყვებით მისახვედრია,
 სათქვენოდ ამ ორ მიჯნურთაგან ვის ამჯობინებს.
 უფლისწულს უნდა შეურჩიოს მეფემ აღმზრდელი
 და ამ პატივის ღირსი მხოლოდ მამათქვენია.
 ეს არჩევანი უდავოა, რადგან ვერავინ
 რაინდობაში ვერ გაუწევს მეტოქეობას.
 ღვაწლმოსილია და ამიტომ სწორუბოვარი
 და საეჭვოა, მოლოდინი რომ გაუცრუვდეს.
 თუ დონ როდრიგომ მამამისი დაიყოლია —
 გრაფს შვილზე სიტყვა ჩამოუგდოს თათბირის შემდეგ
 და დონ დიეგომ ეს ნამდვილად თუ მოახერხა,
 თქვენს სურვილს წინ რა დაუდგება, თავად განსაჯეთ.

ხ ი მ ე ნ ა

სულს დაუკარგავს მოსვენება და მღელვარებით
დაქანცულია და სიზარულს ვერ ეგუება,
იცვლება კაცის ბედ-იღბალი წამში, ვაითუ
უბედურება დაემუქროს ბედნიერებას.

ე ლ ვ ი რ ა

საბედნიეროდ, თქვენი შიში უსაფუძვლოა.

ხ ი მ ე ნ ა

რაც გვიწერია, არ აგვედება. სჯობს, დაველოდოთ.

გამოსვლა იმორა

ინფანტა, ლეონორა, პაეი

ი ნ ფ ა ნ ტ ა

წადი, ხიმენას უთხარ, პაეო, ჩემი სახელით
დღეს სანახავად ჩემთან მოსვლას ნუ აგვიანებს,
დაემუქრა-თქო სიზარმაცე ჩვენს მეგობრობას.

(პაეი გადის)

ლ ე ო ნ ო რ ა

თქვენ გამოძრავებთ, ქალბატონო, ყოველდღე მხოლოდ
ერთი სურვილი, საუბარშიც თქვენ გსურთ ყოველდღე
შეიტყოთ როგორ იმორჩილებს მათ სიყვარული.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ამას თავისი მიზეზი აქვს: მე ვაიძულე,
რომ მისი სული ტრფობის ისრით განგმირულიყო
და ახლა უყვარს დონ როდრიგო, ეს სიყვარული
მე გაუწოდე, როდრიგოსაც მე დავანახე
ხიმენა. ახლა სიყვარულის აღევთ ბორკილი
და მათი ტანჯვის დასასრულიც მე უნდა ვნახო.

ლ ე ო ნ ო რ ა

მაინც გემჩნევათ, ქალბატონო, მათ სიხარულზე მოწყენილობა გეუფლებათ უკიდურესი.
როცა არიან სიყვარულით ფრთაშესხმულები,
შეპყრობილია თქვენი სული ღრმა მწუხარებით.
განა მათდამი თანაგრძნობამ თქვენ უბედური,
ხოლო ისინი ბედნიერი უნდა გახადოს?
თუმცა, მე ვატყობ, მეტი სმეტად გავკადნიერდი.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

კმუნვას ის უფრო მიორკეცებს, რომ კმუნვას ვფარავ.
თუ კედლებს როგორ ვეხლებოდი, გეტყვი და მიხვდი,
მიხვდი, ვით იბრძვის დღემდე ჩემი პატიოსნება.
მტარვალი არის სიყვარული, არავის ინდობს.
შეყვარებული ის რაინდი, სხვას რომ ვუბოძე,
მე მიყვარს!

ლ ე ო ნ ო რ ა

გიყვართ!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მოდი, გულზე დამადე ხელი,
ყური დაუგდე, ამ სახელმა ვით ამიჩქროლა
და როგორ ფეთქავს.

ლ ე ო ნ ო რ ა

ქალბატონო, მე მომიტევეთ,
ვნება, თქვენს სულში დანთებული, დასაგმობია.
დაგვიწყებიათ მეფის ასულს თქვენი ღირსება
და გსურთ შესწიროთ თქვენი გული უბრალო რაინდს.
რას იტყვის მეფე! კასტილია რას იტყვის, ღმერთო!
მეფის ასული რომ ბრძანდებით, გახსოვთ თუ არა!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

კარგად მახსოვს და მირჩევნია მოვიკლა თავი,
ვიღრე ღირსება შევიბლალო და დავიმცირო.

თუმცა, რომ მსურდეს, მე იმასაც გიპასუხებდი,
 რომ სიყვარული ღირსეულთა ხვედრია-მეთქი.
 არც ჩემი ვნების გამართლება არ არის ძნელი
 და მოვიტანდი წარსულიდან მრავალ მაგალითს.
 რად მინდა! საფრთხე ჩემს ღირსებას თუ დაემუქრა.
 მიყვარს და ალბათ მეყოფოდა გამბედაობაც,
 მაგრამ ხელმწიფის ასული ვარ, არ მეკადრება
 სხვა ვინმე, ჩემი შესაფერი მხოლოდ მეფეა.
 რაკილა მივხვდი, გრძნობას ველარ მოვერეოდი,
 თვით დავთმე, რასაც ხელს ვერასდროს ვერ შეეახებდი.
 ჩემს ნაცვლად ახლა ის ბორკილი ადევს ხიმენას.
 ჩემი კოცონი რომ ჩამექრო, მათი დავანთე.
 გაწამებული ჩემი სული, ნუ გაიოცებ,
 მათ ქორწინებას მოუთმენლად თუ ელოდება,
 ეგ არის მხოლოდ, შვებას მხოლოდ ეგ თუ მომიტანს.
 იმედის სიკვდილს სიყვარულის სიკვდილი მოსდევს.
 დროდადრო თუ არ შეუკეთე, ჩაქრება ცეცხლი.
 ჩემი უიღბლო სიყვარულის მიუხედავად,
 თუკი ხიმენა დონ როდრიგოს მხარს დაუშვენებს,
 იმედს დაკარგავ, მაგრამ სული განიკურნება.
 და მაინც როგორ ვიტანჯები, ვინ წარმოიდგენს.
 ქორწინებამდე ძვირფასია ჩემთვის როდრიგო,
 დრო არის დავთმო, მაგრამ რა ვქნა, რომ არ მეთმოდა
 და სინანული სათავეა ჩემი ჭმუნვისა.
 სასოწარკვეთილს სიყვარულით, ის ფიქრი მტანჯავს,
 რომ სასურველი სიყვარული უნდა უარყვო.
 გაყოფილია ახლა ორად ჩემი გონება:
 თან გულზე ცეცხლი მეკიდება, თან გულს არ ვიტეხ.
 საბედისწერო არის ჩემთვის ეს ქორწინება,
 მინდა და მათფრთხობს და სიხარულს არა მპირდება.
 და ისე მტანჯავს ხან ღირსება. ხან სიყვარული,
 რომ მოლოდინი სულს ამომხდის ქორწინებამდე.

ლ ე ო ნ ო რ ა

რა ვქნა, რა გითხრათ, ქალბატონო, რით განუგეშოთ
 მე მსურს იცოდეთ, თქვენთან ერთად მეც ვიტანჯები.

გვიცხავდით წელან, მებრალებით ახლა უზომოდ.
მაგრამ ნალველი უტკბილესი თქვენს სათნოებას
თუ ვერას აკლებს, სათნოება დაუღალავად
მისი ცთუნების იერიშებს თუ იგერიებს,
სიმშვიდეს ისევ დაიბრუნებს თქვენი გონება.
იმედი გქონდეთ სათნოების და კიდევ უამის .
და კიდევ უფლის, იგი არის სამართლიანი,
უმანკოებას ტანჯვისაგან ის თუ დაიხსნის.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ჩემთვის იმედის დაკარგვაა დიდი იმედი.

პ ა უ ი

თქვენი სურვილით მობრძანდება თქვენთან ხიმენა.

ი ნ ფ ა ნ ტ ა (ლეონორას)

წადით, გაუბით ლაპარაკი და შეაჩერეთ.

ლ ე ო ნ ო რ ა

თქვენ ალბათ გინდათ, მარტო დარჩეთ და იოცნებოთ?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

არა, მე მინდა, რაც არ უნდა სული მიწუხდეს,
სახეზე მაინც ვერაფერი რომ ვერ შემატყონ.
ახლავე მოვალ.

(მარტო) დამიფარე, ღმერთო ძლიერო,
მე ვარ ტანჯული, სასოება მომეც მკმუნვარეს,
სულის სიმშვიდე და ღირსება დაიცავ ჩემი.
ბედნიერი ვარ, სხვებს რომ ვწირავ ბედნიერებას.
ამ ქორწინებით აღსრულდება სურვილი სამთა.
ჰქმენ განზრახული, მომეც სული შეურყეველი;
ქორწილით მათი შეუღლება ჩემი ბოკილის
მსხვერევა არის და დასასრული ჩემი ტანჯვისა.
რად ვაგვიანებ? წასვლის დროა. იქნებ საუბრით
ხიმენამ მაინც გამიფანტოს ეს მკმუნვარება.

გრაფი, ღონ დიეგო

გ რ ა ფ ი

მაშ ასე, ბოლოს თქვენ მაჯობეთ, ჩვენმა ხელმწიფემ თქვენ გიწყალობათ ის, რაც მხოლოდ მე მეკუთვნოდა: აღმზრდელი თქვენ ხართ კასტილიის უფლისწულისა.

ღ ო ნ დ ი ე გ ო

მონიჭებული ეს პატივი იმას გვანიშნებს — სამართლიანი არის მეფე და რომ ჭეროვნად აფასებს, რაც კი სამსახური გაგვიწევია.

გ რ ა ფ ი

მეფე მეფეა, მაგრამ ისიც ჩვენი მსგავსია, როგორც ჩვენ ვცდებით, მეფეებიც ისე ცდებიან. ეს არჩევანი დასტურია მხოლოდ იმისა, რომ ერთგულების საზღაური მათ არ იციან.

ღ ო ნ დ ი ე გ ო

გონებას გიმღვრევთ, ნუ ვახსენებთ მეფის არჩევანს, იქნებ ხელმწიფემ მოწყალება გაიღო მხოლოდ; ჩვენი ვალია, არ განვსაჯოთ და უზენაეს ძალაუფლებას უყოყმანოდ დავემორჩილოთ. იქნებ თქვენც დამდოთ, როგორც მეფემ დამდო პატივი, ერთმანეთს ჩვენი ოჯახები დავუკავშიროთ; მე მხოლოდ ჩემი როდრიგო მყავს და თქვენც ასევე მხოლოდ ხიმენა. განვამტკიცებთ ჩვენს მეგობრობას ამ ქორწინებით. არ ისურვებთ სიძედ როდრიგოს?

გ რ ა ფ ი

ჩემი სიძობა თქვენს მემკვიდრეს დაეძრახება, თქვენ რომ გიბოძეს, იმ წოდების შარავანდელით დაბრმავებულმა ქედმაღლურად უნდა დაგვხედოს. ჭერ უფლისწული დააწაფეთ სიბრძნეს, ბატონო,

ასწავლეთ-მეთქი, თუ ქვეყანა როგორ განავოს
და როგორ უნდა დააშინოს კანონით ხალხი;
მტერს მტრულად დახვდეს და მიუზღას კეთილს სიკეთე.
განუმტკიცებდეთ თქვენს აღსაზრდელს მხედრის თვისებებს:
თუ როგორ უნდა გაუმაგრდეს ჭირსა და ტკივილს,
რომ ვერ აჯობოს ვერვინ ომის ხელოვნებაში;
თუ როგორ იჯდეს უძინარი ღღედალამ ცხენზე,
იღებდეს ციხეს და იარაღს არ იშორებდეს,
ანდა გმირობით ბრძოლის ბედი ვით გადაწყვიტოს,
და ყოველივე ზედმიწევნით რომ შეითვისოს,
ნურც თვალსაჩინო მაგალითებს ნუ დაივიწყებთ.

დონ დიეგო

ჩემი ცხოვრების მატთანე რომ წაიკითხოს,
ის შესაშური მაგალითი არ არის განა?
ჩემი ღიადი საქმეების უწყვეტი ჯაჭვი
მას მიახვედრებს, დამპყრობელი როგორ ალაგმოს,
დააწყოს ჯარი, იერიშით აიღოს ციხე
და ან დიდება სიმამაცით ვით მოიხვეჭოს.

გრათი

ცოცხალ მაგალითს კიდევ უფრო ღიადი ძალა აქვს,
როგორ ისწავლის უფლისწული მეფობას წიგნით;
თუმცა, რომ ითქვას, თქვენს ცხოვრებას, ესოდენ ხანგრძლივს,
ჩემი გმირულად ნაცხოვრები ერთი დღე უდრის.
შეუღრეკელი ბრძანდებოდით? შეუღრეკელი
ახლა მე ვარ და დასაყრდენიც მე ვარ მეფისა.
ხმალს რომ ვიშიშვლებ, თრთის გრანადა და არაგონი,
ჩემი სახელი კასტილიის მტკიცე ფარია.
უჩემოდ სხვისი კანონები სულს ამოგხდიდათ,
გეყოლებოდათ საძულველი მტერი მბრძანებლად.
ჩემს სახელს სხივი ემატება და დაფნის გვირგვინს
მიწნავს ყოველი გამარჯვება და დღე ყოველი.
ჩემს მაგალითზე, ჩემი ზრუნვით და მფარველობით
შეისწავლიდა მამაცობას და გამარჯვებას.
დარწმუნდებოდა, ამ მაღალი თანამდებობის
ღირსი რომ ვიყავ...

დონ დიეგო

თქვენ ერთგული მსახური მეფის
ბრძანდებით, ვიცი, თქვენი ბრძოლაც მინახავს მტერთან.
როდესაც სისხლი გამიგრილა ხანდაზმულობამ,
შემეცვალეთ, რადგან ჩემს მხნეობას აჯობა თქვენმა.
არ მსურს უაზრო საუბარი, ამიტომ გეტყვით:
რაც მე ოდესღაც ვიყავ, ახლა თქვენ ის ბრძანდებით,
და-მინც ჩვენი მბრძანებელი, ალბათ დარწმუნდით,
ჩვენ ამჟამადაც რომ გვანსხეავენს ერთმანეთისგან.

გრაფი

თქვენ გამომგლიჯეთ ის, რაც მხოლოდ მე მეჭუთვნოდა.

დონ დიეგო

ღირსი ვინც იყო, სწორედ იმან დაისაკუთრა.

გრაფი

ვინც საქმეს უკეთ გაუძღვება, ღირსიც ის არის.

დონ დიეგო

ეს რომ ასეა, დასტურდება ამ არჩევანით.

გრაფი

მაჯობეთ მხოლოდ ინტრიგით და პირმოთნეობით.

დონ დიეგო

მე მხარს მიჭერდა ბრწყინვალეობა ჩემი ღვაწლისა.

გრაფი

მეფემ, ეტყობა, დაათვასა თქვენი ასაკი.

დონ დიეგო

მამაცობაა ერთადერთი საზომი მეფის.

გრაფი

მაშ, არჩევანი ჩემს მარჯვენას უნდა რგებოდა.

დონ დიეგო

ვისაც არ ერგო არჩევანი, ღირსი არც იყო.

გრადო

ღირსი არ ვიყავ? ჩემზე ამბობ?

დონ დიეგო

თქვენზე.

გრადო

ბებერო,

ეგ ურცხვობა და თავხედობა ამის ღირსია.

(სილას გააწნავს.)

დონ დიეგო

(მახვილს იძრობს.)

მორჩი და ბარემ გამათავე, როგორ ვიცოცხლო,

სახელგატეხილს თავი არსად გამომეყოფა!

გრადო

ერთი მითხარი, შე ბებერო, რით მემუქრები?

დონ დიეგო

ო, მაინც როდის მიღალატა მხნეობამ, ღმერთო!

გრადო (მახვილს ხელიდან გააგდებინებს.)

შენი მახვილი ჩემს ხელთ არის! მაგრამ ამ პატივს

ვერ მოგანიჭებ და ხელს ამით ვერ დავიმძიმებ.

მშვიდობითი დასვი უფლისწული და წააკითხე,

უნდა თუ არა, მათიანე შენი ცხოვრების;

ნურც ამ მაგალითს დაივიწყებ, ჭკუის სასწავლად

გამოადგება, — უტიფრობა როგორ ისჯება.

გამოსვლა მეოთხე

ღონ დიეგო

ღონ დიეგო

ო, მრისხანებავ! ო, სიბერევე, დაუნდობელო!
მისთვის ვიცოცხლე, ბოლოს ამას რომ მოვსწრებოდი?
ან ბრძოლის ველზე ნუთუ მისთვის გავჭალარავდი,
რომ ასე უცებ დამჭკნობოდა დაფნის გვირგვინი?
ან ეს მარჯვენა, სალოცავი ესპანეთისა,
და არაერთხელ ჩვენი ქვეყნის გადამჩენელი,
დღევანდელ დღემდე დასაყრდენი სამეფო ტახტის,
რას ვიფიქრებდი, განსაცდელში მიღალატებდა?
ო, უღმობელო მკმუნვარებავ, ძველი დიდების:
ერთ დღეს გამქრალო მრავალი დღის შრომავ და ღვაწლო!
თანამდებობავ, ჩემდა ჭირად მონიჭებულო,
ჩემი ღირსების გადამჩეხო მაღალო კლდეო!
ნუთუ ვიხილო უნდა მხოლოდ გრაფის ზეიმი,
შურს ვერ ვიძიებ და მოგკედები დამცირებული?
დე, იყოს ჩემი უფლისწულის აღმზრდელად გრაფი,
მე დღეს ღირსება შემებღალა, აღარ შემფერის;
მან შეურაცხმყო, შურიანმა, ამპარტავანმა
და უღირსი ვარ, თუმცა მეფემ მე ამირჩია.
სახელგანთქმულო იარაღო, უწინ ბრძოლებში
რომ მიმიძლოდი და ახლა რომ აღარ მარგინარ,
უწინ ყველას რომ თავზარს სცემდი, დღეს რომ მიმტყუნე
და მიღალატე, ძველებურად ვერ დამიცავი,
წადი, მომშორდი უილაჯოს და ემსახურე
იმას, ვინც უნდა ჩემი ჯავრი ამოიყაროს.

გამოსვლა მესამე

ღონ დიეგო, ღონ როდრიგო

ღონ დიეგო

მამაცი თუ ხარ, თქვი, როდრიგო?

ღონ როდრიგო

ამას ახლავე

დაგიმტკიცებდით, რომ არ გერქვათ თქვენ მამაჩემი.

დონ დიეგო

რა ლამაზია ეგ სიშმაგე! მაგ სიშმაგეში
ხელად მქლავნდება ჩემი სისხლი კეთილშობილი.
უეცრად ჩემი სიჭაბუქე დამიდგა თვალწინ.
აქ მოდი, შვილო, ჩემო სისხლო, შური იძიე,
ამოიყარე ჩემი ჯავრი.

დონ როდრიგო

მამაე, რას ამბობ?

დონ დიეგო

უსასტიკესი მომაცენეს შეურაცხყოფა;
შებლალულია სამუდამოდ ჩვენი სახელი.
სილა გამაწნეს. მე სიცოცხლეს მოვუსწრაფებდი
კანდიერს, მაგრამ გამიმტყუნა სული სხეულმა,
დაშნა, რომელიც ველარ ზიდა ჩემმა მარჯვენამ,
გადმომიცია, შენა გქონდეს, შური იძიე.
წადი, ანანე თავხედობა მაგ სიმამაცით:
შეურაცხყოფა მხოლოდ სისხლით მოირეცხება.
მოჰკალ ან მოკვდი. მაგრამ გითხრა უთუოდ უნდა,
რომ სახიფათო მეტოქეა, უფროხილდი-მეთქი,
მე ის მინახავს ბრძოლის ველზე, მტერს მიჰყოდა
და სისხლიანი ზარსა სცემდა და ამარცხებდა.
მინახავს მისი მამაცობა. გაუქცევია
იმას ლაშქარი ცხენოსანთა. ის არც რაინდი
არ არის მხოლოდ და არც მხოლოდ შეუდრეკელი
მეომარია, იგი არის მთავარსარდალი,
იგი...

დონ როდრიგო

ვინ არის, გვედრები.

დონ დიეგო

ხიმენას მამა.

დონ როდრიგო
მამა...

დონ დიეგო

ნუ მეტყვი, ვიცი-მეთქი თქვენი ამბავი.
მაგრამ მითხარი, ვით იცოცხლოს შეგინებულმა?
უარესია, ღირსეულმა თუ დაგამცირა.
თავს რაც გადამხდა, იცი უკვე, იძიე შური.
გითხარ, ჩვენ შორის შენ ხარ მხოლოდ შურისმგებელი.
დაარწმუნე, რომ ღირსეული შვილი ხარ ჩემი.
მე აქ ვიქნები, მწუხარებით სასომიხდილი.
ნუ აგვიანებ, გასწიე და იძიე შური.

გამოსვლა მეექვსე

დონ როდრიგო

დონ როდრიგო

მე ბედისწერის ვერაგი ისრით
უეცრად სულში სასიკვდილოდ ვარ განგმირული,
უნდა ვეძებო სამართალი შურისმგებელმა
და განწირულმა, უსამართლო სიმკაცრის მსხვერპლმა.
გაქკვავებულვარ, თავსდატეხილ უბედურებას
სული უღონო ვერ უმკლავდება.
მომიახლოვდა ბედნიერება, —
მაგრამ უეცრად ცა გამირისხდა! —
მამაჩემია დამცირებული,
ის დაამცირა ხიმენას მამამ.

მომქანცავს ბრძოლა უთანასწორო!
ებრძვის ღირსებას სიყვარული შეურიგებლად,
შურისძიებას სიყვარული შეეწირება:
ერთი მაქეზებს და მეორე მკლავებს მიქვავებს.
და მე სიყვარულს ზურგს შევაქცევ თუ შერცხვენილი
ვიცხოვრებ ქვეყნად, სულ ერთი არის,
მე არ ამცდება მაინც წამება.
რად გამირისხდი, მაღალო ღმერთო!

ვით ვაპატიო შეურაცხყოფა,
ვით არ დავსაჯო ხიმენას მამა?

მამა, ღირსება და სიყვარული,
უზენაესი მეუფე და სათნო მტარვალი.
ბოლო. მოელო ჩემს დიდებას ან ჩემს სიხარულს.
ან ვერ ვიქნები ბედნიერი ან ვერ ვიცოცხლებ.
იმედი არის ულმობელი მტერი მამაცთა
და უნუგეშოდ შეყვარებულთა,
ჩემო მახვილო, დარდს რომ მიქარვებ
და ემუქრები ბედნიერებას,
ნუთუ ღირსება რომ დამიბრუნო,
ხიმენა უნდა დამაკარგინო?

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს.
მე მოვალე ვარ როგორც მამის, ისე მიჯნურის.
თუ შურს ვიძიებ, მისი რისხვა თავს დამატყდება,
თუ არ ვიძიებ, სამუდამოდ შევეზიზღები.
შურისძიებით უტკბეს იმედს შევინარჩუნებ
და არ ვიქნები მისი უღირსი.
სულ ამაოა ჩემი სურვილი —
ხსნა არსით არის და ვიტანჯები.
გამაგრდი, სულო! ამაყად მოვკვდეთ,
არ შეურაცხვყოთ ოღონდ ხიმენა.

ჩემი სიმართლე არავის ვუთხრა?!
ასე მოვკვდე და ჩაესვენოს ჩემი დიდება?!
ის ავიტანო, ესპანეთმა რომ შემაჩვენოს,
ჩემი ოჯახის ღირსება თუ ვერ დავიცავი?
იცოდე-მეთქი, თუ სიყვარულს დაემორჩილე,
თვით სიყვარულიც გაიწირება!
არ გაიკარო მაცდური ფიქრი:
წამებას ასე რომ გიორკეცებს.
წავიდეთ, ვიხსნათ ჩვენი ღირსება,
რადგან ხიმენა დავკარგეთ უნდა.

მე დამიბნელდა თითქოს გონება:
მიჯნურზე უწინ, რა თქმა უნდა, მამას ვეკუთვნი;

მე ბრძოლის ველზე დავეცემი თუ დარდი მომკლავს,
წმინდა მქონდა და წმინდა სისხლი უნდა დავღვარო.
ტყუილუბრალო ეჭვებს ნეტა რად მივცემივარ;
დაე, აღსრულდეს შურისძიება,
ყოყმანი უფრო სამარცხენოა,
ნურაფრის გამო ნუ ვიტანჯები,
ნურც იმის გამო, მამა მშობელი
რომ დამიმცირა ზიმენას მამამ.

მეორე მოქმედება

გამოსვლა პირველი

დონ არიასი, გრაფი

გ რ ა ფ ი

გავცხარდი, უნდა გამოგიტყდეთ, ვერ მოვითმინე
და სისხლი თავში ამივარდა, გაცხარებულმა
გავაწან სილა, მაგრამ ახლა რა ეშველება.

დონ არიასი

თქვენ უნდა მეფის ნება-სურვილს დაუმორჩილოთ
თქვენი სიქველე; ამ ამბავში გულფიცხი მეფე
ჩარეულია, მისი რისხვა თავს დაგატყდებათ.
ვინ გაგამართლებთ და დამცველად ვინ გეყოლებათ?
შეურაცხყოფის სიმძიმე და დამცირებულის
მდგომარეობა მორჩილებას გავალდებულებთ.
თუმც საეჭვოა, რომ ამით კი დააშოშმინოთ.

გ რ ა ფ ი

ჩემი სიცოცხლე მეფის სურვილს ემორჩილება.

დონ არიასი

თქვენი შეცდომა აიხსნება მხოლოდ სიფიცხით.
მეფეს უყვარხართ, ეცადეთ რომ გული მოუღბოთ
და რახან ბრძანა: „ასე მსურსო!“ — დაემორჩილეთ.

გ რ ა ფ ი

ბატონო ჩემო, ღირსება რომ შევინარჩუნოთ,
კოდვად არ უნდა ჩაგვეთვალოს მცირე ურჩობა;
მე რომ მიმიძღვის, იმ უდიდეს დამსახურებას
განა დაჩრდილავს ამდაგვარი დანაშაული?

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

თუნდ ქვეშევრდომი სახელოვნად მოემსახუროს,
ხელმწიფე მაინც არ იქნება დავალებული.
თქვენ მეტიმეტად მოგწონთ თავი; დაიმახსოვრეთ,
რომ ხელმწიფეთა სამსახური ჩვენი ვალია.
ეგ აზრი თუ არ შეიცვალეთ, თავს დაილუპავთ.

გ რ ა ფ ი

ცხოვრებამ თუ არ დამარწმუნა, ვერ დამარწმუნებთ.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

უფრთხილდით-მეთქი, მრისხანეა ძალა მეფისა.

გ რ ა ფ ი

არ წაიქცევა ჩემნაირი კაცი უეცრად.
ჩემი თავიდან მოცილება თუ გადაწყვიტეს
და თუ წავიქეც, დაიქცევა სამეფო ტახტი.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

სულ არ გაქვთ შიში უმაღლესი ხელისუფლების?

გ რ ა ფ ი

გაუვარდება ჩვენს ხელმწიფეს უჩემოდ სკიპტრა,
მე ვარ იმისი დასაყრდენი და თუ დაგორდა
ეს თავი, მეფეს არ შერჩება ოქროს გვირგვინი.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

მე გირჩევთ, ისე გადაწყვიტოთ, რომ მღელვარებამ
არ დაგიბნელოთ ეგ გონება.

გ რ ა ფ ი

მე გადავწყვიტე.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

ბოლოს და ბოლოს, მეფეს ჩვენსას რა მოვასხენო?

გ რ ა ფ ი

რომ ვერ შეძლებს და დამცირებას ვერ აიტანს-თქო.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ მეფეა უზენაესი.

გ რ ა ფ ი

მახსოვს, გადაწყდა და მეტს ნულარ ვილაპარაკებთ.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

მშვიდობით, ვატყობ, მე თქვენ ვეღარ დაგიყოლიებთ, მებს დაელოდეთ დაფნის ხეებს შეფარებული.

გ რ ა ფ ი

წარბშეუხრელად დავუხვდები.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

და არც აგცდებათ.

გ რ ა ფ ი

რას იზამ, მაშინ ღონ დიეგო ჯავრს ამოიყრის.

(მარტო.) -

ვისაც სიკვდილი არ აშინებს, იმას მუქარა
ვერ შეაშინებს, ვერ შედრკება სული ამაყი.
ჩემი სიცოცხლე უბედობას შეეგუება,
მაგრამ ღირსებას ვერასოდეს ვერ შევლევა.

გამოსვლა მეორე

გრაფი, ღონ როდრიგო

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ერთს გეტყვი მხოლოდ, გრაფო.

გ რ ა ფ ი

ბრძანე.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

მე მინდა ეჭვი რომ გამიფანტო. დონ დიეგოს კარგად თუ იცნობ?

გ რ ა ფ ი
ღიას.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

კარგია. აბა მაშინ ყური დამიგდე, თუ რა დიდება მოიხვეჭა ამ ხანდაზმულმა ადამიანმა თავის დროზე, იცი თუ არა?

გ რ ა ფ ი
ჰო, ვთქვათ და ვიცი...

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ახლა სწორედ იმისმა სისხლმა დაანთო ცეცხლი ჩემს თვალებში.

გ რ ა ფ ი

მერედა მე რა?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

წამოდი, იქით გავიდეთ და გაგაგებინებ.

გ რ ა ფ ი
გამითამამდი, ლაწირაკო!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ის გირჩევნია, თავს მოერიო. მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ასაკით სიმამაცეს რა ემატება?

გ რ ა ფ ი

ოჰ, ერთი ამას დამიხედეთ! ბრძოლას აპირებს,
რისი იმედით? იარაღი ხელში გჭერია?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

რა ვუყოთ! ერთხელ რომ ავიღო ხელში მახვილი,
ისიც მეყოფა, არ შევცდე და მტერს დავაძგერო.

გ რ ა ფ ი

იცი, ვინა ვარ, არ გეშლები?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ვიცი, სხვა ალბათ

შენი სახელის ხსენებაზე ათრთოლდებოდა.

დაფნის გვირგვინზე, გამარჯვებულს თავს რომ გიმშვენებს,
საბედისწერო აღსასრული წერია ჩემი.

მე მსურს, ვინც ყველას ამარცხებდა, ის დავამარცხო
და ამას შევძლებ, თუკი სულით არ დავეცემი.

დაეხმარება შურისმგებელს მალალი ღმერთი.

უძლეველი ხარ, მაგრამ არა დაუძლეველი.

გ რ ა ფ ი

დღეს მაგ სიტყვებით გამჟღავნებულ შეუბოვრობას
დიდი ხანია შენს თვალებში რომ ვკითხულობდი;

მჯეროდა, სახელს კასტილიას შენ გაუთქვამდი
და მიხაროდა, რომ ჩემს ასულს ჩაგაბარებდი.

მე ვიცი შენი გატაცება და ისიც მზიბლავს,
მოვალეობას გრძნობა როგორ დაუმორჩილე.

არ დაგირღვია სიყვარულმა დიდსულოვნება
და მე ვაფასებ ძველებურად შენს მამაცობას.

მეამაყება, არჩევანში რომ არ შევმცდარავარ,
სიძელ უნაკლო რაინდი რომ ამირჩევია.

ამიტომ უფრო მებრალები, ეგ ვაჟკაცობა
სათაყვანოა, მებრალება ეგ სიჭაბუქე.

ნუ იზამ, ნაბიჯს ნუ გადადგამ საბედისწეროს,
დამეხსენ, ბრძოლა მე არ მინდა უთანასწორო,

აბა, მითხარი, რას მომიტანს ეს გამარჯვება;
უგანსაცდელოდ გამარჯვება რის მაქნაია.
შენს დამარცხებას დიდ გმირობად არ ჩამითვლიან
და სიკვდილამდე სანანებლად მექნება მხოლოდ.

დონ როდრიგო

ჯერ შემობლაღე ღირსება და ახლა მიბრალე?
მოკვლა გიჭირს და დამცირება არ გაგიჭირდა?

გრაფი

წადი, მომშორდი.

დონ როდრიგო

წამომყევი ულაპარაკოდ.

გრაფი

სიკვდილი გინდა?

დონ როდრიგო

შიშმა ხომ არ დაგიმორჩილა?

გრაფი

წავიღეთ! შეილმა ქვეყანაზე როგორ იაროს,
მამის ღირსება როცა ფეხით გათელილია.

გამოსვლა მესამე

ინფანტა, ხიმენა, ლეონორა

ინფანტა

დამშვიდდი, ტკივილს გაუმკლავდი, ჩემო ხიმენა,
და მწუხარებას შეებრძოლე სულის სიმტკიცით.
გადიტან ავდარს და სიმშვიდე დაისადგურებს,
გაიფანტება ღრუბელი და გამოიდარებს,
რომ დაიბრუნო დაკარგული ბედნიერება.

ხიმენა

ნაღვლიან სულში დაიბუდა უნუგეშობამ,

მშვიდი ამინდი შეიცვალა უცებ ქარიშხლით
და ჩვენს ნავსადგურს დაატყდება თავზე უთუოდ;
მე აქ მომისწრებს, ნავსადგურში დავიღუპები.
ჩვენ ვლოცულობდით ერთმანეთზე და თანახმანი
იყვნენ მამებიც და ჩვენს ამბავს რომ მოგიტხრობდით,
დამდგარა უამი ავბედითი, თურმე ერთმანეთს
წაჰკიდებიან. თქვენ ბოლომდე ვერ მოისმინეთ...
მოულოდნელად გაპიცრუვდა ტკბილი იმედი.
შეჩვენებულო, დაწყევლილო ამპარტავნობავ,
შენს ძალადობას სულგრძელნიც რომ ვერ გაქცევიან,
ანდა ღირსებავ, დაუნდობლად რომ შემიცვალე
ცრემლით ოცნება, ვაი, როგორ ძვირად მიღირხარ!..

ი ნ ფ ა ნ ტ ა

უსაფუძვლოა შენი შიში, უთანხმოება
ერთ წამში გაჩნდა და ერთ წამში ისევ გაქრება:
თუმც მეტისმეტად გახმაურდა, მაგრამ უთუოდ
შეთანხმდებიან, ასეთია მეფის სურვილი.
მე კი შენს თვალებს სიხარული რომ დაეუბრუნო
და დაგეხმარო, შეუძლებელს შეეძლებ, მერწმუნე.

ხ ი მ ე ნ ა

ამ შემთხვევაში შეთანხმება არ მოხერხდება,
რა ეშველება დამცირებულ ღირსებას ამით.
სულ ამათა ზეგავლენა, ძალა და რჩევა,
მოჩვენებითი განკურნება იქნება მხოლოდ.
გულში ღრმად არის ჩამარხული ყრუ სიძულვილი,
ფარულად იწვის, მაგრამ უფრო დამღუპველია.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მჯერა, ხიმენას და როდრიგოს წმინდა კავშირი
მამებს სიძულვილს დაუცხრობს და შერიგდებიან.
სიყვარულს ვერვინ მოერევა და მალე თქვენი
ქორწილით ბოლო მოეღება უთანხმოებას.

ხ ი მ ე ნ ა

მეც ეგ მსურს, მაგრამ მაგ იმედით თავს ვერ ვიტყუებ,

ქედმაღალია დონ დიეგო, ხოლო მამაჩემს
მე კარგად ვიცნობ; ვერ შევიშრე თვალეებზე ცრემლი:
მტანჯავს წარსული და მომავალს ძრწოლით შეეყურებ.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

თქვი, რა გაშინებს, მრისხანება უმწეო ბებრის?

ხ ი მ ე ნ ა

როდრიგო არის უშიშარი.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ახალგაზრდაა.

ხ ი მ ე ნ ა

ვინც მამაცია, მამაცია გაჩენის დღიდან.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მაინც არ უნდა გეშინოდეს მისი ძალიან,
რადგან უყვარხარ და სიყვარულს ის ვერ გაწირავს,
შენ იმის რისხვას შეაჩერებ ორიოდ სიტყვით.

ხ ი მ ე ნ ა

გულს უფრო მეტად მომიკლავს, რომ არ დამიჯეროს!
რომ დამიჯეროს, რას იტყვიან იმაზე სხვები?
კეთილშობილი დამცირებას შეურიგდება?!
ვთქვათ, მე დამითმო და სიყვარულს დაემორჩილა, —
სირცხვილი დამწვეავს, ანდა ტანჯვას გამიორკეცებს
მისი ასეთი მორჩილება ანდა ურჩობა.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ხიმენა ჭირშიც ამაყი და უანგაროა;
სიმდაბლეს იგი ვერასოდეს ვერ აიტანდა;
მანამდე, სანამ ერთმანეთთან შერიგდებოდნენ
წაკიდებულნი, დავატყვევებ მშვენიერ მიჯნურს
და დონ როდრიგოს სიმამაცეს ბორკილს დავადებ,
ამისთვის შენი სიყვარული ზომ არ დამძრახავს?

ხ ი მ ე ნ ა

მოვისვენებ და არ მექნება სადარდებელი

გამოსვლა მეოთხე

ინფანტა, ხიმენა, ლეონორა, პაუი

ინფანტა

პაუო, როდრიგო მომიძებნე და მომიყვანე.

პაუი

იგი და გრაფი დე გორმასი...

ხიმენა

მიხსენ, უფალო!

ინფანტა

რა დაემართათ?

პაუი

სასახლიდან ერთად გავიდნენ.

ხიმენა

მარტონი?

პაუი

დიახ, ორნი იყვნენ, მგონი, ჩხუბობდნენ.

ხიმენა

ღმერთო, იბრძვიან. მაპატიეთ, უნდა გავიქცე,
ახლა საუბრის დრო არ არის, ველარ მოვიცდი.

გამოსვლა მესამე

ინფანტა, ლეონორა

ინფანტა

რა უცნაურმა მღელვარებამ შემიპყრო, ღმერთო!
თუმცა ხიმენა მებრალეა, მხიბლავს როდრიგო;
სიმშვიდე გაქრა, სიყვარულმა კვლავ გაიღვიძა.
ორი მიჯნურის დაშორებამ მოულოდნელმა

იმედი ისევ ჩამისახა; თუმც ველოდები
მათ განშორებას სინანულით, მაგრამ ფარულად
მოხიბლულია ამ იმედით ჩემი გონება.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნუთუ ღვთის მიერ ბოძებული სულის მხნეობა
მაგ დასაძრახის გატაცებას ვერ უმკლავდება?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ნუ, დასაძრახის ნუ უწოდებ, ძლევა მოსილი
მბრძანებელია, მხოლოდ იმას ვემორჩილები;
ჩემთვის ესოდენ უძვირფასესს ეცი პატივი,
მას ებრძვის ჩემი სათნოება, მაგრამ იმედი
ასე უგნური, გულში ისევ ჩასახლებული
ებლაუჭება სხვის დაკარგულ ბედნიერებას.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნუთუ თქვენ ისე გიღალატათ სულის მხნეობამ,
რომ ყურს ვერ უგდებთ ძველებურად გონების კარნახს?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

გონებას ვინღა ეკითხება, ვინღა უჭერებს,
სულს უტკბილესი საწამლავი თუკი აბრუებს.
თავისი ტანჯვა თუკი უყვარს ტანჯულს, ვერაფრით
ამ სნეულებას ვერ ელევა, არა მკურნალობს.

ლ ე ო ნ ო რ ა

ტკბილი ოცნებით მოხიბლულის ტანჯვაც ღწინია,
მაგრამ ის თქვენი შესაფერი მაინც არ არის.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მე ეგ ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ცთუნებამ
მომაჯადოვა, სიყვარულმა დამიმორჩილა.
თუკი როდრიგო გაიმარჯვებს ორთაბრძოლაში
და დაეცემა განგმირული მეტოქე მისი,
ღირსი იქნება, ღირსეულად რომ დავაფასო;

თუკი მან გრაფი დაამარცხა, ყველაფერს შეძლებს.
იმის საგმირო საქმეებზე მსურს ვიოცნებო, —
თუ სამეფონი მის წინ როგორ განერთხმებთან,
და გრძნობით თავბრუდახვეულმა მსურს დავინახო,
თუ როგორ ავა ის გრანადის სამეფო ტახტზე
და მუხლს მავრები მის წინაშე ვით მოიყრიან,
ან არაგონი ვით შეხვდება თავის დამპყრობელს,
ან კიდევ როგორ დააჩოქებს პორტუგალიას.
მისი დიდება იმქუხარებს ზღვების გადაღმა
და თავის გვირგვინს აფრიკელთა სისხლით შეღებავს.
თუ გაიმარჯვა, დღევანდლამდე რაც კი მსმენია,
ყველა გმირობას იმის სახელს დაეუკავშირებ,
ვიქნები მისი სიყვარულით უფრო ამაყი.

ლ ე ო ნ ო რ ა

ო, ქალბატონო, ორთაბრძოლამ, რომელიც იქნებ
არც კი შემდგარა, ახლა რაღა არ გათქმევინათ!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

გრაფმა როდრიგო შეურაცხყო და სასახლიდან
ერთად გასულან ორივენი, სხვა რაღა გინდა!

ლ ე ო ნ ო რ ა

ვთქვათ და ერთმანეთს შეებრძოლნენ, შეძლებს როდრიგო
რომ ადასრულოს ყველაფერი, რაც ჩამოთვალეთ?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

რა თქვი? მე ალბათ გავგიჟდები, რა მემართება!
მალე ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამექცევა!
იქნებ შენ მაინც მანუგეშო და დამამშვიდო,
წავიდეთ, მარტო არ დამტოვო მწუხარებასთან.

ღონ ფერნანდო, ღონ არიასი, ღონ სანჩო

ღონ ფერნანდო

მაშ, გრაფი ასე უგუნურია, ასე ამაყი?

რატომ ჰგონია, დანაშაულს რომ ვაპატიებ?

ღონ არიასი

თქვენი სახელით ძლიერ დიდხანს ველაპარაკე
და ყველაფერი ვცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

ღონ ფერნანდო

ღმერთო ძლიერო! ნუთუ ასე გაკადნიერდა
და სურს, რომ ჩემი მრისხანება დაიმსახუროს!
მან დაამცირა ღონ დიეგო, ჩემს სასახლეში
ახლა აბუჩად მე ამიგდო, დგას და მბრძანებლობს!
მერე რაა, რომ იგი არის მხედართმთავარი
სახელოვანი, მეომარი უმამაცესი.

დავთრგუნავ იმის სიამაყეს, კისერს მოვუვგრებ,
თვით ომის ღმერთი იყოს თუნდაც, დავიმორჩილებ.
თუმცა გაბედა თავხედობა, მაგრამ თავიდან
რომ ლმობიერად მოვქცეოდი, მსურდა და რახან
ჩემი განზრახვა მან ბოროტად გამოიყენა,
წადით და თუ არ დაგმორჩილდეთ, მაშინ შეკარით.

ღონ სანჩო

ის ალბათ მალე დამშვიდდება, დიდო ხელმწიფევე,
ჯერ იმის სულში მღელვარება თავდაპირველი
არ დამცხრალიყო, აღზნებული კვლავ ბობოქრობდა.
სხვის ნებას უცებ ვერ დაჰყვება სული ამაყი.
ქედმაღალია, მან იცის, რომ დამნაშავეა,
მაგრამ შევეციო, უძნელდება რომ აღიაროს.

ღონ ფერნანდო

გაჩუმდით, ნუღარ ლაპარაკობთ, ისე ნუ იზამთ,
რომ თანაგრძნობა ჩაგეთვალათ დანაშაულად.

დონ სანჩო

გემორჩილებით, მაგრამ თუკი მის დასაცავად
ორიოდ სიტყვას მათქმევინებთ...

დონ ფერნანდო

ჰო, რას იტყოდით?

დონ სანჩო

რომ მისი სული დიდ ბრძოლებში გამოწრთობილი
ქედის მოხრას და მორჩილებას ვერ ეგუება.
მორჩილებაში დამცირებაც იგულისხმება,
ამ ერთმა სიტყვამ აღაშფოთა, ეტყობა, გრაფი.
მას ცოტა მკაცრი მოეჩვენა თქვენი ბრძანება.
იგი ამაყი რომ არ იყოს, ქედს მოგიხრიდათ.
უბრძანეთ ომში გამოწრთობილ იმის მარჯვენას
შეურაცხყოფა იარაღით გამოისყიდოს.
მაგრამ მანამდე, ხელმწიფეო, თუ საჭიროა
და არის ვინმე, მის მაგიერ მე გავცემ პასუხს.

დონ ფერნანდო

თავს გაგივიდათ, მაგრამ თქვენი სიფიცხე მხოლოდ
ახალგაზრდობის ბრალი არის და გაპატიებთ.
წინდახედული და მზრუნველი მეფე ქვეშევრდომს
თავს დასტრიალებს, უფრთხილდება იმის სიცოცხლეს.
მეც ჩემს ხალხს ვიცავ და მეც ჩემს ხალხს ვემსახურები
და ისე ვზრუნავ, როგორც თავი ზრუნავს სხეულზე.
თქვენი საბუთი არაფერში გამომადგება.
მეომარი ხართ, მეფესავით თქვენ ვერასოდეს
ილაპარაკებთ, მეფობა კი ჩემი ვალია.
გრაფს ჩრდილი ჩემი მორჩილებით არ მიადგება.
გრაფმა, აღმზრდელად ჩემს მემკვიდრეს ვინც დავუნიშნე,
ის დაამცირა და ამიტომ მეც დამამცირა.
ჩემი არჩევნის ხელყოფაა ჩემი ხელყოფა
და ხელყოფაა უმაღლესი ხელისუფლების.
თუმცაღა კმარა. მაცნობეს, რომ გათავხედებულ
მტრებს აღუმართავთ ხომალდებზე თურმე დროშევი
და კვლავ მდინარის შესართავთან გამოჩენილან.

დონ არიასი

თქვენს ძლიერ სახელს ახსენებენ შიშით მავრები
და რადგან ბევრჯერ დაამარცხეთ, თქვენს წინააღმდეგ
გამოლაშქრებას ხელმეორედ ვერ გაბედავდნენ.

დონ ფერნანდო

აღბათ ისინი ვერასოდეს ვერ მოითმენენ,
რომ ჩემი სკიპტრა განაგებდეს ანდალუსიას,
ამ ლამაზ მხარეს მუდამ შურით შემოპყურებენ
და მის დაკარგვას დღევანდლამდე ვერ შეურიგდნენ.
ამიტომ დაედგი, ამ მიზეზით სევილიაში
ათი წლის წინათ კასტილიის სამეფო ტახტი,
რომ მათთან ახლოს ვყოფილიყავ და რომ მაშინვე
გავსწორებოდი თუკი რამეს წამოიწყებდნენ.

დონ არიასი

მეფეო, თქვენი გამოჩენა, იმათ იცინან,
რომ მხოლოდ მათი დამარცხების საწინდარია.
რალა გაწუხებთ?

დონ ფერნანდო

უნდა ვიყოთ ძალიან ფხიზლად;
უბედურების სათავეა უდარდებლობა.
თქვენ კარგად იცით, გასაკვირი სულაც არ არის,
ზღვის მოქცევისას მტერი თავზე რომ წამოგვადგეს.
და მაინც, სწორი არ ვიქნები, დამფრთხალ მალემსრბოლს
თუ დავენდობი და ტყუილად თუ შეგაშფოთებთ.
ნამდვილად თუ არ ემუქრება საფრთხე, განგაში
შუალამისას ქალაქს მხოლოდ ძილს დაუფრთხოვდა.
ქალაქის კედლებს და ნავსადგურს კიდევ მცველები
მივაშველოთ და კმარა ეგეც.

გამოსვლა მეზვიდე

დონ ფერნანდო, დონ სანჩო, დონ არიასი, დონ ალონსო

დონ ალონსო

დიდო ხელმწიფეე,
გრაფი მოკვდა და დონ დიეგომ შური იძია!

დონ ფერნანდო

შურისძიება, ვიცოდი რომ ახლოვდებოდა,
ბევრიც ვიღონე, მაგრამ მაინც ვერ ავიციდინე.

დონ არიასი

რომ დაგიჩოქოთ, მწუხარე და თვალცრემლიანი
მოდის ხიმენა და მოითხოვს მართლმსაჯულებას.

დონ ფერნანდო

თუშე მთელი გულით თანავუგრძნობ მის მწუხარებას,
მაგრამ, ეტყობა, გაუსწორდნენ გრაფს ღირსეულად.
მან ეს სასჯელი თავხედობით დაიმსახურა,
მაგრამ დიდია მაინც ჩემი გულისტკივილი
და სინანული, მე დაეკარგე მხედართმთავარი,
ვინც მსახურებდა მრავალტანჯულ ჩემს სახელმწიფოს
და ბრძოლის ველზე დაუღვრია სისხლი მრავალჯერ.
მე, ადრე მისი ქედმაღლობით განრისხებული,
მგლოვიარე ვარ, რადგან ბოძი გამომეცალა.

გამოსვლა მარვა

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, ხიმენა, დონ სანჩო,
დონ არიასი, დონ ალონსო

ხიმენა

მიშველეთ, მეფეე.

დონ დიეგო

მომისმინეთ, გემუდარებით.

ნგული დრამა

ხ ი მ ე ნ ა

მუხლმოდრეკილი გევედრებით.

დ ო ნ დ ი ე გ ო

მუხლებს გიკოცნით.

ხ ი მ ე ნ ა

მსაჯული მინდა.

დ ო ნ დ ი ე გ ო

მომისმინეთ და თავს დავიცავ.

ხ ი მ ე ნ ა

უნდა დასაჯოთ თავგასულის კადნიერება.

თქვენი სამეფოს დასაყრდენი მან დაანგრია.

მამა მომიკლა.

დ ო ნ დ ი ე გ ო

დაუბრუნა მამას ღირსება.

ხ ი მ ე ნ ა

სისხლი დაიქცა, მეფემ მკვლეელი უნდა დასაჯოს.

დ ო ნ დ ი ე გ ო

სამართლიანი შურისმგებლის დასჯა ვინა თქვა!

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

გთხოვთ, წამოდექით ორივენი. თქვით, რის თქმაც გნებაეთ.

ხიმენა, თქვენი მწუხარების მოზიარე ვარ

და ჩემი გლოვა თქვენი გლოვის თანაბარია.

(დონ დიეგოს)

თქვენ შემდეგ ბრძანეთ, ჯერ ხიმენამ თქვას, დააცადეთ.

ხ ი მ ე ნ ა

მომიკვდა მამა, ხელმწიფეო, მე ახლაც ვხედავ,

მკერდიდან სისხლი წყაროსავით როგორ თქრიალებს;

სისხლი, რომლითაც ის იცავდა თქვენს სიმაგრეებს

და ბევრი ბრძოლა გამარჯვებით გაღუწყვეტია;

სისხლი, რომელსაც ოხშივარი ასდის და კიდევ
ბობოქრობს, რადგან არ დაღვრილა თქვენთვის ამჯერად;
სისხლი, რომელსაც გაურბოდა შიშით სიკვდილი,
როდრიგომ მიწას შეუვრია თითქმის თქვენს თვალწინ.
მივრბოდი ქალადაკარგული, ღონემისდილი,
ვერ მივეუსწარი, რომ მივედი, აღარ სუნთქავდა.
ო, მააბთიეთ, ხელმწიფეო, ვერ ვლაპარაკობ,
ჩემი ცრემლები ალბათ უფრო უკეთ გეტყვიან.

დ ო ნ ფ ე რ ა ნ ა ნ დ ო

გამაგრდი-მეთქი, შვილო ჩემო, ამიერიდან
იცოდე, მამის მაგივრობას მეფე გაგიწევს.

ხ ი მ ე ნ ა

თქვენი წყალობა ემატება გლოვას, მეფეო.

ღიახ, ის უკვე არ სუნთქავდა, როგორც გითხარით.

მკერდიდან სისხლი თქრიალებდა და თითქოს სისხლით
მიწაზე, შური იძიეო, იწერებოდა.

ან, უფრო სწორად, ძალმისდილი, ღია ჭრილობით
მაჩქარებდა და შურისგებას მევედრებოდა.

მას სურდა, თქვენთან, მეფეებში ყველაზე მეტად
სამართლიანთან, იმის ნაცვლად მელაპარაკა.

ნუთუ მოითმენთ, რომ ასეთი თავგასულობა
არ ისჯებოდეს, ხელმწიფეო, თქვენს ქვეყანაში?

და დაუსჯელად უმამაცეს ადამიანებს

კადნიერებით და თავდასხმით ემუქრებოდნენ.

რომ იჩემებდეს თავგასული გმირის დიდებას

და უწმინდესი მისი ხსოვნა სისხლით წარეცხოს.

ალბათ ამგვარი აღსასრული მამაჩემისა

გულს გაუტეხდა თქვენი ტახტის ერთგულ ქვეშევრდომთ.

ღიახ, დაეცა მამაჩემი და მკვლელს თუ დასჯით,

თქვენ განიმტკიცებთ ძლიერებას; ვერ მანუგეშებს

მე მისი დასჯა; თქვენ დაკარგეთ უბადლო კაცი.

იმისი შური იძიეთ და სისხლი აიღეთ.

მკვლელს მსხვერპლად მე არ შემომწირავთ, იმას შესწირავთ
თქვენს სიდიადეს და თქვენს გვირგვინს, თქვენს პიროვნებას,

დიდო მეფეო, სახელმწიფოს მსხვერპლად შესწირეთ,
ვინც დანაშაულს ქედმაღლობით არ ერიდება.

დონ ფერნანდო

თქვენ რაღას იტყვით, დონ დიეგო?

დონ დიეგო

ძალადაკარგულს

ის ურჩევნია, სიცოცხლეს რომ გამოესაღმოს.

საცოდავია ღვაწლმოსილი ადამიანი,

თავად რომ ხედავს საკუთარი მზის ჩასვენებას!

მე, ვისაც ქვეყნის სამსახურმა ასეთ დიდებას

მაზიარა და გამარჯვების სიტკბო მაგემა,

მისთვის ვიცოცხლე, თურმე ამ დღეს რომ მოვსწრებოდი,
დამცილებული ვყოფილიყავ და ქედმოხრილი.

ის, რაც ვერ შეძლეს ვერც ალყაში, ვერც იერიშში,

ის, რაც ვერ შეძლო ვერც გრანადად, ვერც არაგონმა,

ის, რაც ვერ შეძლო ვერც მოშურნემ, ვერც მოძალადემ,

თქვენს თვალწინ გრამმა ჩაიდინა თქვენს სასახლეში.

დამცინა, თქვენი არჩევანით განრისხებულმა

და მოერია ჩემს ასაკს და ხანდაზმულობას.

მეფეო, ეს თმა, ბრძოლის ველზე გათეთრებული,

სისხლი, დაღვრილი უთვალავჯერ თქვენს სამსახურში

და ეს მარჯვენა, ზარდამცემი მტრისთვის ოდესღაც,

საფლავში უნდა ჩამეტანა შეგინებული,

რომ ღირსეული ვაჟიშვილი არა მყოლოდა,

ღირსი თავისი მეფისა და თავისი ქვეყნის.

გრაფს ჩემს მაგიერ შეებრძოლა და მოკლა კიდევ

და დამიბრუნა შებღალული ღირსება შვილმა.

თუკი ვაჟაკი დამცილებას რომ ვერ აიტანს

და შურს იძიებს, დაისაჯოს უნდა ამიტომ,

დღე, მაშინ თავზე მე დამატყდეს ჭეჭა-ქუხილი.

თუ ხელი შეცდა, უნდა აგოს პასუხი თავმა.

შეცდა კი ვინმე? ტყუილად ხომ არა ვკამათობთ?

მე თუ თავი ვარ, ჩემი შვილი ჩემი ხელია.

მეფეო, ხმენა ჩემს ვაჟიშვილს რატომ უჩივის,

მხნეობას რომ არ ეღალატა, გრავს მე მოვკლავდი.
აჰა, ეს თავი, წლოვანებით დამძიმებული,
როდრიგოს მკლავი კიდევ დიდხანს რომ გემსახუროთ.
იქნებ ზიმენა დაამშვიდოს ჩემმა სიკვდილმა.
მე მკაცრ განაჩენს უდრტვინველად შევეურიგდები.
რახან ღირსება დავიბრუნე, მე თანახმა ვარ,
იმ ქვეყანაში სინანული აღარ წამყვება.

დონ ფერნანდო

ეს საქმე უნდა ყოველსმხრივ ავწონ-დავწონოთ,
სხდომაზე თავი მოვიყაროთ და განვიხილოთ.
მე მსურს, ზიმენა გააცილოს შინამდე სანჩომ
და დონ დიეგომ სიტყვა მოგვეცეს, ჩემი სასახლის
ტყვე რომ იქნება. როდრიგო კი აქ მომიყვანეთ.

ზიმენა

მკვლელი ღირსია სიკვდილისა, დიდო მეფეო!

დონ ფერნანდო

წადი, დამშვიდდი, ჩემო შვილო, და დაისვენე!

ზიმენა

სიმშვიდე, მეფევე, მწუხარებას გამოიორკეცებს.

მესამე მოქმედება

განოცვლა პირველი

დონ როდრიგო, ელვირა

ელვირა

როდრიგო! აქ რამ მოგიყვანა, შე უბედურო?

დონ როდრიგო

ჩემმა წყეულმა ბედისწერამ, სხვამ არაფერმა.

ე ლ ვ ი რ ა

როგორ მოხდება, სიამაყით დაბრმავებულს,
აქ, სადაც ცრემლი მოიტანე და მწუხარება?
ნუთუ აქ მაინც არ გაწუხებს გრაფის აჩრდილი?
შენ არ მოკალი?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ვერ გავუძელ სირცხვილს, მიბრძანა
იმისი მოკვლა შელახულმა ჩემმა ღირსებამ.

ე ლ ვ ი რ ა

და იმედი გაქვს, თავშესაფარს რომ აქ იპოვი?
რომელმა მკვლელმა მოისვენა მოკლულის ჭერქვეშ!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

მე აქ მოვედი, რომ ჩემს მსაჯულს შევხვდე პირისპირ.
გაოცებული ნუ მიყურებ, მე სიკვდილს ვეძებ
მას შემდეგ, რაც კი სასიკვდილოდ სხვა გავიმეტე.
სიყვარული და ხიმენაა ჩემი მსაჯული.
იმის სიძულვილს მირჩევნია ახლავე მოვკვდე.
და უდიდესი მოწყალება იქნება ჩემთვის,
რომ მომისაჯოს სიკვდილი და თვით აღასრულოს.

ე ლ ვ ი რ ა

არ დაენახო, გაეჭეცი მის მრისხანებას,
თორემ ხიმენას გაათურება თავს დაგატყდება.
ჯერ მოერიდე გაშმაგებულს, ის გირჩევნია;
სანამ დაცხრება, წადი, წადი, ნუ ეჩვენები.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ო, არა, მხოლოდ იმიტომ ვარ სიკვდილის ღირსი,
რომ შევაძულე უძვირფასეს არსებას თავი:
სიცოცხლეს აღარ ვისურვებდი და სატანჯველსაც
თავს დავაღწევდი, თუკი უფრო შემძიულვბდა.

ე ლ ვ ი რ ა

სასახლეშია ხიმენა და ქვითინებს ახლა.

და შინ წამოსულს გამოჰყვება უთუოდ ვინმე.
წადი, როდრიგო, თუ ღმერთი გწამს, გემუდარები,
შენ რომ აქ გნახონ; ღმერთმა იცის, რას არ იტყვიან.
ის უმწეოა, შენ გინდა, რომ ილაპარაკონ,
თითქოს ზიმენა მამამისის მკვლელს შეურიგდა?
საცაა მოვა; მგონი მოდის, იმის ღირსებას
რომ გაუფრთხილდე, დაიმალე, სწრაფად, როდრიგო.

გამოსვლა მეორე

ღონ სანჩო, ზიმენა, ელვირა

ღონ სანჩო

თქვენ არ გასვენებთ შურისგება, თქვენი რისხვაა
სამართლიანი, ხოლო ცრემლი კანონიერი;
არ ვიცი, როგორ განუგეშოთ უძლეური სიტყვით
და მწუხარება როგორ უნდა შეგიმსუბუქოთ.
მაგრამ თუ ჩემი სამსახური დაგჭირდეთ, დღესვე
მზადა ვარ, ჩემი იარაღით რომ გემსახუროთ
და თუ გსურთ ჩემი სიყვარულით იძიეთ შური;
თქვენ თუ გმორჩილებთ, ეს მარჯვენა უძლეველია.

ზიმენა

რა საბრალო ვარ!

ღონ სანჩო

მიმსახურეთ, ღვთის გულისათვის.

ზიმენა

მეფეს რა ვუთხრა, ის შემპირდა მართლმსაჯულებას.

ღონ სანჩო

მოგეხსენებათ, არა ჩქარობს მართლმსაჯულება,
ჭიანურდება და ანელებს დანაშაულის
სიმძაფრეს ჟამი, ბოლოს შრება თვალებზე ცრემლიც.
მომეცით ნება, რომ რაინდმა შური ვიძიო,
ეგ გზა მსაჯულზე სწრაფია და უტყუარია.

ხ ი მ ე ნ ა

ბოლო იმედი ეგ იქნება, თუკი დამპყირდა
და თუ მანამდე ეგ სურვილი არ გაგიქრებათ,
აღარ დაგიშლით, ჩემს მაგივრად შური იძიოთ.

დ ო ნ ს ა ნ ჩ ო

ეგ არის ჩემი სანატრელი ბედნიერება
და მაგ იმედით ფრთაშესხმული მივდივარ თქვენგან.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ა ს ა მ ე

ხ ი მ ე ნ ა, ე ლ ვ ი რ ა

ხ ი მ ე ნ ა

ძლივს მარტონი ვართ. შემიძლია, რომ თავისუფლად
გაგიზიარო, მწუხარებით ვით ვიტანჯები.

მე შემიძლია, ოხვრა გულში რომ არ ჩავიკლა
და ნაღვლიანი ჩემი სული გადაგიშალო.

როდრიგომ მოკლა მამაჩემი, პირველად ხმალი
მან მამაჩემის უწმინდესი სისხლით შეღება.

ჩემი თვალები მწუხარების ცრემლით ტირიან.

ჩემს სულში ჩემი არსებობის ერთმა ნაწილმა

დაასამარა მეორე და აქ დარჩენილზე

შური ვიძიო მაიძულებს მზეგადასული.

ე ლ ვ ი რ ა

დამშვიდდით, ჩემო ქალბატონო.

ხ ი მ ე ნ ა

მწუხარებაში

სულმა სიმშვიდე როგორ ჰპოვოს, რას მეუბნები

შემიმსუბუქებს მკმუნვარებას ნუთუ რაიმე,

ვინც დამამწუხრა, თუკი მაინც ვერ შევიძულე?

ან რატომ მერგო სატანჯველი სამარადისო,

რომ მკვლელზე შური ვიძიო და მკვლელი მიყვარდეს?

ე ლ ვ ი რ ა

მამა წაგართვათ, ქალბატონო, და მაინც გიყვართ?

ხ ი მ ე ნ ა

ამბობ, გიყვარსო? კი არ მიყვარს, ვალმერთებ! ებრძვის
ეს უძლეველი სიყვარული შურისძიებას.
მე ვხედავ ძვირფას ადამიანს საძულველ მტერში
და მაინც, ჩემი გაშმაგების მიუხედავად,
მე გგრძნობ, ჩემს სულში როდრიგო რომ ებრძვის შამაჩემს —
თავს ესხმის, მერე ავიწროებს და მამაჩემი
ხან უკან იხევს, ხან მარცხდება და ხან იმარჯვებს.
სიყვარულის და სიძულვილის ორთაბრძოლაში
სული ტანჯული გაყოფილი მაინც არ არის
და სიყვარულმა რაც არ უნდა დამიმორჩილოს,
ვერ დამავიწყებს ვერასოდეს მოვალეობას.
მე იქით წავალ, სადაც მიხმობს ჩემი ღირსება.
ჩემთვის როდრიგო ძვირფასია, ემორჩილება
მას ჩემი გული, მაგრამ ვიცი, ვისი შვილი ვარ
და ისიც ვიცი, მამაჩემი თუ ვინ მომიკლა.

ე ლ ვ ი რ ა

და შურს იძიებთ?

ხ ი მ ე ნ ა

ეგ განზრახვა უღმობელია
და ის უღმობლად მომიწოდებს, შური ვიძიო.
მისი სიკვდილი მინდა, მაგრამ მოველი ძრწოლით
და თუ მოკვდება, იმის სიკვდილს ვერ გადავიტან.

ე ლ ვ ი რ ა

ო, ქალბატონო, მოიშორეთ ეგ სატანჯველი,
არ აღასრულოთ ჩვეულება უსასტიკესი.

ხ ი მ ე ნ ა

რას ამბობ! მამამ ჩემს ხელებში დალია სული,
მისი შვილი ვარ, მევედრება შურისძიებას!

თუ სიყვარულის ჯადოქრობას დავემორჩილე,
განსვენებულზე ვლევარო მხოლოდ უმწეო ცრემლი?
ვით ავიტანო, სიყვარულის ტკბილმა ცთუნებამ
რომ ჩემს ღირსებას აიშვვიდეში ბოლო მოუღოს?

ელ ვ ი რ ა

მერწმუნეთ, არვინ, ქალბატონო, თქვენ არ დაგძრახავთ,
თუ სწორუპოვარ ადამიანს არ შეიძულებთ
და ძვირფას მიჯნურს არ გასწირავთ; თქვენ მოიხადეთ
ვალი და მეფე ინახულებთ. კარგს იზამთ, თუკი
დაელოდებით განაჩენს და არ აჩქარდებით.

ხ ი მ ე ნ ა

შებლალულ სახელს იარაღი უშველის მხოლოდ
და სიყვარულმა რაც არ უნდა მომაჯადოვოს,
ამაყი სული სირცხვილს ველარ შეურიგდება.

ელ ვ ი რ ა

მაგრამ როდრიგო თუკი გიყვართ კვლავინდებურად?.

ხ ი მ ე ნ ა

ჰო, მიყვარს.

ელ ვ ი რ ა

მერე, რასა ფიქრობთ, რა გადაწყვიტეთ?

ხ ი მ ე ნ ა

ჩემი ღირსება დავიცვა და ბოლო მოვუღო
ჩემს ტანჯვას, შური ვიძიო და მერე მეც მოვკვდე.

გამოსვლა მეოთხე

დონ როდრიგო, ხიმენა, ელვირა

დონ როდრიგო

არა! მე ვერსად გაგეჰქცევით, თქვენი ღირსება
დაიცავით და ჩემს სიცოცხლეს ბოლო მოუღეთ.

ხ ი მ ე ნ ა

ამას ვის ვხედავ, ღმერთო ჩემო, სად ვარ, ელვირა?
ეს როდრიგოა! ის აქ არის, ის აქ მოვიდა!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

დაღვარეთ სისხლი, ნუ დამზოგავთ და უყოყმანოდ
იგებეთ სიტკბო სასურველი შურისძიების.

ხ ი მ ე ნ ა

ვაი!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ხიმენა!

ხ ი მ ე ნ ა

სუნთქვა მეკვრის!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ყური დამიგდე!

ხ ი მ ე ნ ა

წადი, სიკვდილი დამანებე!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ერთს გეტყვი მხოლოდ
და შემდეგ აი, ამ მახვილით გამეც პასუხი.

ხ ი მ ე ნ ა

ჯერ მამაჩემის სისხლი ზედ რომ არ შეშრობია?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ჩემო ხიმენა...

ხ ი მ ე ნ ა

მომაცილე ჩქარა მახვილი,
მამხილებელი საზიზლარი დანაშაულის.

დონ როდრიგო

არა! შენს სულში სიძულელი რომ აბობოქრდეს
და სასიკვდილოდ გამიმეტო, სწორედ ის მინდა.

ხიმენა

ის შენ შეღებე ჩემი სისხლით.

დონ როდრიგო

ახლა კი ჩემი

ცოდვილი სისხლით შენი სისხლის კვალი წაშალე.

ხიმენა

ო, უღმობელო, მახვილით რომ გამოასალმე
სიცოცხლეს მამა, ხოლო შეილი — მახვილის მზერით!
ველარ გავუძღებ, მომაცილე, არ დამანახო,
მითხარი, როგორ მოგისმინო, როდესაც მტანჯავ!

დონ როდრიგო

შენი სურვილის მორჩილი ვარ და მაინც მინდა,
ამ წუთისოფელს შენი ხელით გამოვეთხოვო;
რადგან ძლიერი სიყვარულიც ვერ მაიძულებს,
ნამოქმედარი რომ ლაჩრულად მოვიწინიო.

წამმა, რომელსაც ვერაფერი გამოისყიდის,
მოხუცს ღირსება შეულახა, მე შეურაცხმყო.

კეთილშობილი ვერ აიტანს — სილა გააწინან,

გაგვაწნა სილა მან ორივეს, შეურაცხყოფა

ვერ მოვითმინე და მივუზღე სამაგიერო.

მე ხელმეორედ ისევ ასე მოვიქცეოდი.

გულს, შურისგებით ამხედრებულს და გაშმაგებულ
მამაჩემს ჩვენი სიყვარული დიდხანს ებრძოდა.

როგორი ცეცხლი გიზგიზებდა ჩემს სულში, მიხვდი,
რომ შურისგებას ვაყოვნებდი და თავს ვებრძოდი.

ჩემი შერცხვენა ამერჩია თუ შენი რისხვა?

ანდა მახვილის გაშიშვლებას ხომ არ ვჩქარობდი?

ისიც ვიფიქრე, ვერ ვერევი სიბრაზეს-მეთქი

და სასწორს შენი სიყვარული გადასწონიდა,

რომ შენს მშვენებას გმირულად არ შევბრძოლებოდი.
ვთქვი: შერცხვენილი მისი ღირსი ველარ ვიქნები
და რაც არ უნდა ვყვარებოდი დღემდე, დღეიდან
სახელგატეხილს შემოძულებს უთუოდ-მეთქი.
თუ დაეუთმობდი სიყვარულს და ქედს მოვუხრდი,
მე შევბღალავდი შენს არჩევანს სულმოკლეობით.
გეტყვი და სანამ ცოცხალი ვარ, გავიმეორებ,
გავიმეორებ, გონებაზე სანამ ვიქნები:
ეს მწუხარება მოგიტანე მხოლოდ იმიტომ,
რომ დავიბრუნო ღირსება და დაგიმსახურო.
ჰე უჰე ხდესი მოვიხადე ვალი და ახლა
მოვედი შენთან და შენს სურვილს ვემორჩილები.
აიღე სისხლი, შევასრულე, რაც ვალად მედო
და ახლა ესლა მევალება, რომ შევასრულო.
შენ გიხმობს: შური იძიეო, მოკლული მამა,
მოვსულვარ შენთან ჩემი ფეხით შენი ზვარაკი.
არ შედრკე, მსხვერპლად მიუტანე იმისი სისხლი,
ვინც სამსხვერპლოზე მამაშენის სისხლი დაღვარა.

ხ ი მ ე ნ ა

ჩვენ, მართალია, დაგვაშორა შუღლმა, როდრიგო,
მაგრამ ეგ შენი საქციელი როგორ გავციცხლო
გატანჯული ვარ, მაგრამ ბრალი შენ არ მიგიძღვის,
ცხარე ცრემლებით მე დავტირი ჩემს უბედობას,
მე კარგად ვიცი, რომ ღირსების შებღალვას მაინც
ძალგულოვნება ვერასოდეს ვერ ურიგდება.
შენ მოიხადე უწმინდესი მოვალება
და მიმახვედრე, ჩემი ვალი ვით მოვიხადო.
ეგ სიფიცხე და თავგანწირვა მაგალითია,
თუ ვით დავიცვა შებღალული ჩემი ღირსება.
საუბედუროდ, მეც მაწუხებს ეგ საზრუნავი
და უნდა ახლა მამაჩემის შური ვიძიო.
მაგრამ, ვაი რომ, გულს მისერავს ეგ თანაგრძნობა.
რომ მომკვდარიყო მამაჩემი სულ სხვა მიზეზით,
მკმუნვარე სული შენი ხილვით შეებას ჰპოვებდა
და იქნებოდა ერთადერთი ჩემი ნუგეში.

შენ მწუხარებას ჯადოქრულად გამიქარვებდი,
როცა თვალეზზე მაგ ხელებით ცრემლს შემეშრობდი.
დავკარგე მამა და შენ უნდა დავკარგო ახლა
და სიყვარული ჩემს ღირსებას შეეწირება.
მე გულზე მაწევს საზარელი მოვალეობა
და ძალას მატანს, რომ გაგწირო და ვიმოქმედო.
თავგანწირული სიყვარულიც ვერ მაიძულებს,
ლაჩრულად უკან დავიხიო და არ დავსაჯო.
ამაოდ ცდილობს ჩემი გრძნობა, გამოგესარჩლოს.
მაგ შენს სიქველეს უპასუხებს ჩემი სიქველე.
შური იძიე ღირსეულად და ღირსეულზე
შურს თუ ვიძიებ, შენი ღირსი ვიქნები მაშინ.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ნუ აგვიანებ, აღასრულე, რასაც გიბრძანებს
შენი ღირსება. თავი ჩემი მომირთმევიან,
კეთილშობილურ მისწრაფებას მსხვერპლად შესწირე.
ეგ განაჩენი უტკბილესი იქნება ჩემთვის. .
მსჯავრს დროზე თუ არ გამოიტან, ვერ აღსრულდება
ეგ განაჩენი და ვერც სახელს ვერ დააბრუნებ.
მე შენი ხელით სანეტარო სიკვდილს მოველი.

ხ ი მ ე ნ ა

ბრალმდებელი ვარ. მე არა ვარ შენი ჯალათი.
არ დამიხარო თავი, ნაჯახს მე ვერ მოვიქნევ.
მე ბრალს გდებ მხოლოდ და შენ თავი უნდა დაიცვა.
ღიახ, მოვითხოვ, მკვლელს სიკვდილი რომ მიუთსაჯონ,
მაგრამ განაჩენს სისრულეში მე ვერ მოვიყვან.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ეტყობა, ჩვენი სიყვარული ჩემს მხარეზეა,
ამიტომ უნდა ვაჟკაცობა მოიშველიო.
შურისძიება შენს ნაცვლად რომ სხვას დააქისრო,
ეგ, დამიჯერე, გონივრული სულ არ იქნება.
მე ჩემი ხელით დავიცავი ჩემი ღირსება
და შენც ასევე შენი ხელით იძიე შური.

ხ ი მ ე ნ ა

ო, რატომ მტანჯავ, ულმობელო? რად მეხმარები?
შური იძიე, მაგრამ არვინ დაგხმარებია!
აღბათ მეყოფა, რომ მოგბაძო, გამბედაობა,
ჩემი დიდება რატომ უნდა გაგინაწილო,
არ ეკადრება ჩვენს ღირსებას, დავალებული
რომ იყოს შენი სიყვარულით და თანაგრძნობით.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

სულო ამაყო! რაც ვეწამე, ვაიმე, ნუთუ
სულ ამოა და შენდობა არ მეღირსება?
ან სიყვარულის ანდა მამის სახელით მაინც
ან თანაგრძნობის გამო მაინც მომიღე ბოლო!
ო, დამიჭერე, საბრალო ვარ, ასეთ სიცოცხლეს
და შენს სიძულვილს შენი ხელით სიკვდილი მიჯობს.

ხ ი მ ე ნ ა

არა, არ მძულხარ!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

უნდა გძულდე!

ხ ი მ ე ნ ა:

არ შემიძლია.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

არ გეშინია მითქმა-მოთქმის, ანდა გაკიცხვის?
ასე იტყვიან: მამის მოკვლა შეილმა მამის მკვლელს
აპატია და სიყვარულით უპასუხაო!
ისე მოიქეც, რომ დადუმდნენ. გადაარჩინე
ჩემი სიკვდილით დამცირებას შენი სახელი.

ხ ი მ ე ნ ა

უმჯობესია, თუ სიცოცხლეს შეგინარჩუნებ.
მტერიც რომ იყოს, აღიდებდეს უნდა ჩემს სახელს
და დასტიროდეს ცხარე ცრემლით ჩემს უბედობას,
თუკი ვაივო, რომ გაღმერთებ და მსხვერპლად გწირავ.
წადი, აქ ყოფნით მწუხარებას ნუ მიორკეცებ,

რადგან მიყვარხარ, მაგრამ მაინც უნდა დაგკარგო.
შენ წახვალ, როცა ჩამოდგება ღამის წყველიაღი.
არ ვისურვებდი, რომ აქედან გასული გნახონ.
საქმარისია ალბათ ისიც ჩემს დასაძრახად,
რომ შენ მოხვედი, რომ აქ იყავ და ვისაუბრეთ.
ისე მოიქეც, რომ ღირსება არ შემეღახოს.

დონ როდრიგო
მომკალი

ხიმენა
წადი.

დონ როდრიგო
რას აპირებ, ის მაინც მითხარ?

ხიმენა
გულს, მართალია, ვერაფერი ვერ მოვუხერხე,
მაგრამ ვიძიო მინდა შური მამაჩემისა
და მაინც ჩემი გულქვაობის მიუხედავად,
სწორედ ის მინდა, რომ განზრახვა ვერ შევისრულო

დონ როდრიგო
ო, სიყვარულის სასწაულო!

ხიმენა
ო, უბედობავ!

დონ როდრიგო
მამების გამო სატანჯველი არ დაგველევა!

ხიმენა
როდრიგო, ამას მოველოდით?

დონ როდრიგო
ან ვიფიქრებდით?

ხ ი მ ე ნ ა

რომ სიხარულის მოლოდინი გაგვიქრებოდა!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

რომ ნავსადგურთან ქარიშხალი, მოულოდნელად
თავსდატეხილი, დაგვიმსხვრევდა მომავლის იმედს!

ხ ი მ ე ნ ა

ო, უნუგეშო მწუხარებავ!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ო, სინანულო!

ხ ი მ ე ნ ა

არ გისმენ, არა, წადი-მეთქი, არ გეცოდები?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

მშვიდობით. მივალ, სავალალოდ უნდა ვათრიო
მე ეს სიცოცხლე, სანამ ბოლო არ მომეღება.

ხ ი მ ე ნ ა

თუკი საწადელს მივადწიე, პირობას გაძლევ,
უშენოდ ერთ წუთს არ ვიცოცხლო. მშვიდობით, წადი.
თვალს შეუმჩნეველად მიეფარე, არ დაგინახონ.

ე ლ ვ ი რ ა

როცა გეგონია, რომ იმედი აღარსად არის...

ხ ი მ ე ნ ა

გაჩუმდი. კარგი. მომასვენე, ხელს ნუღარ მიშლი.
ღამე მოვიდა, დავჯდები და ვიტყვებ ჩემთვის.

გაგონსვლა მენსუთე

დონ დიეგო

დონ დიეგო

არ ეღიროსება ნეტარება ქვეყნად არავის.

ბედნიერები როდესაც ვართ, მაშინაც ფხიზლობს
და გვადვას ჩრდილი მწუხარების, რადგან გვაწუხებს
სულ მუდამ რალაც საზრუნავი და არ გვასვენებს.

ბედნიერ სულში უჩინარი ფუთფუთებს მატლი.

მიხარია და ამავე დროს, შიშით ვკანკალებ.

ვნახე ცხედარი ჩემი მტრისა, შეურაცხყოფა

ვინც მომაყენა, მაგრამ არ ჩანს შურისმგებელი.

ჯანგატეხილი რა უაზროდ დავეხეტები

და ეს ქალაქი რა უაზროდ შემოვიარე.

მე ის მხნეობა, მოხუცებულს რომ შემრჩენოდა,

გამარჯვებულის უნაყოფო ძებნამ წამართვა.

შვილს მინდა, გულში რომ ჩავეკრა და ჩავეხვიო,

მაგრამ სულ ყველგან მხოლოდ შვილის ლანდსლა ვეხვევი.

ასე დავდივარ ამ ცთუნებით მოტყუებული

და ეჭვი ცდილობს ჩემი შიში დამიდასტუროს.

მე ვიცი, იგი ქალაქიდან არ წავიდოდა.

არ დაედევნონ, იმას ვფიქრობ, გრაფის მომხრენი.

ბევრნი არიან? ჩემს გონებას ესლა აშფოთებს.

იქნებ ცოცხალი აღარც არის? თუ დილეგშია?

ო, ღმერთო ჩემო, ეს ვინ არის? ისევ მოვტყუედი

თუ ჩემს ერთადერთ იმედს ვხედავ, ბოლოს და ბოლოს?

არა, ის არის, საწადელი ამსრულებია,

არც გული აღარ შემომკვნენის, შიშით გამიქრა.

გაგონსვლა მენაჟსე

დონ დიეგო, დონ როდრიგო

დონ დიეგო

ღმერთმა ინება რომ მენახე ბოლოს, როდრიგო!

დონ როდრიგო

ვაგლახ!

დონ დიეგო

სიხარულს, გევედრები, ნუ ჩამიმწარებ, მაცალე, სული რომ მოვითქვა და ქება გითხრა. მჯეროდა მტკიცედ, ჩემს ღირსებას არ შეზღალავდი. მომბაძე შენი სიმამაცით და გააცოცხლე სახელოვანი წინაპრების გამბედაობა. ჩემი შვილი ხარ, ღირსეული მათი მემკვიდრე. ყველა ჩემს ბრძოლას უტოლდება შენი მახვილის ერთი ძგერება და ჩემს სახელს— შეუპოვარი ყმაწვილკაცობით მიღწეული შენი დიდება. ჩემი სიბერის დასაყრდენი რომ ყოფილიყავინება ღმერთმა, ჩემს ჭაღარას შეახე ხელი და მეამბორე იმ ლოყაზე, ზედ რომ წაშაღე კაღნიერებით აღბეჭდილი სირცხვილის დაღი.

დონ როდრიგო

ღირსება მხოლოდ თქვენ გეკუთვნით; შვილი ვარ თქვენი და სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავ. სულს დაეფულა სიხარული, ბედნიერი ვარ, პირველი ბრძოლით ჩემს მშობელს რომ გული მოვუგე. სწორედ ამიტომ გევედრებით, არ გამირისხდეთ თუ ამის შემდეგ შეშფოთებულ გულს გადაგიშლით. გთხოვთ, აიტანოთ თუ შეატყოთ უნუგეშობა. თქვენი სიტყვები მეტად დიდხანს ეფერებოდა და სულ არ ნანობს სამსახური თუ გაგიწიათ. მე მინდა მხოლოდ რაც დავკარგე, ის დამიბრუნოთ. შური იძია და იმ დარტყმით ჩემმა მახვილმა სიყვარულს ბოლო მოუღო და სული წამართვა. ნურათფერს მეტყვით, ყველაფერი დავკარგე, მაგრამ მე აღვასრულე უწმინდესი ვალი შვილისა.

დონ დიეგო

ნუ დააკნინებ შენს სიქველეს და გამარჯვებას. მე გშობე, მაგრამ შენ ღირსება კვლავ დამიბრუნე; რადგან სიცოცხლეს მირჩევნია ჩემი ღირსება, ვალდებული ვარ შენს წინაშე ამიერიდან.

სულს წინ აღუდექ, არასოდეს დაემორჩილო.
ქალი ბევრია, ღირსება კი ერთია მხოლოდ,
იგი ვალია, სიყვარული კი გართობაა.

დონ როდრიგო
რას ამბობთ?

დონ დიეგო
იმას, რაც ისედაც უნდა გცოდნოდა.

დონ როდრიგო
ჩემი ღირსება შურისგებით რომ მემუქრება,
თქვენ გინდათ გრძნობას ვულვალატო, ვით სულმდაბალმა?
სულმოკლეობა და სირცხვილი თანამგზავრია
მხოლოდ ვერაგი მიჯნურისა და ჯაბანისა.
ჩემს ერთგულებას ჩირქს ნუ მოსცხებთ, ნუ აიძულებთ
დიდსულოვნებამ ვერაგობა რომ ჩაიღინოს.
მე ვერ დავამსხვრევ ერთგულების მძიმე ბორკილებს,
უნუგეშო ვარ, მაგრამ სიტყვას ვერ ვულვალატებ.
ვერც დავიბრუნებ ხიმენას და ვერც ზურგს შევაქცევ
და ჩემთვის ახლა ერთადერთი ხსნაა სიკვდილი.

დონ დიეგო
ჯერ დრო არ არის სიკვდილისა; შენი მარჯვენა
გამოადგება შენს ხელმწიფეს და შენს ქვეყანას.
დიდ მდინარეში შემოსული მტრის ხომალდები
ქალაქს დაქცევით და დარბევით ემუქრებიან.
ბნელი ღამით და ზღვის მოქცევით ისარგებლებენ
და ერთ საათში შეიძლება თავზე დაგვადგნენ.
მღელვარებაა სასახლეში და დაფრთხა ხალხი.
ყველგან ტირიან, ყველა მწრიდან ისმის ყვირილი.
საბედნიეროდ, ამ საერთო მღელვარებაში
დამხვდა ხუთასი მეგობარი, შინ რომ მივედი.
ჩემი ამბავი გაეგოთ და მელოდებოდნენ,
რომ ჩემი შური ეძიათ და მტერს შეჰკვდომოდნენ.
შენ მათ დაასწარ, მაგრამ ახლა შეიღებავენ

აფრიკელების სისხლით ხელებს უმამაცესნი.
წადი, ჩაუდექ სათავეში, შენი ღირსება
გიხმობს, გაუძებ, წინამძღოლად შენ აგირჩიეს.
წადი და მომხდურს ღირსეული პასუხი გაეც,
თუ სიკვდილს ეძებ, წადი, სიკვდილს იქ შეეყრები,
ვერსად წაგივა, შენთან მოვა თავისი ფეხით
და შენს ხელმწიფეს გადაარჩენ შენი სიკვდილით.
მაგრამ ეცადე, დამიბრუნდე შუბლდადაფნული.
შენ არ იქნები მხოლოდ ერთი შურისძიებით
სახელოვანი, აიძულე უმამაცესმა
მართლმსაჯულება, რომ შეგინდოს და რომ დამშვიდდეს
შენი ხიმენა. თუკი გიყვარს, გამარჯვებული
რომ დაბრუნდები, დაიბრუნებ იმის სიყვარულს.
მაგრამ დრო ჩვენთვის ძვირფასია, ტყუილად ვკარგავთ,
დაგაყენე და ვლაპარაკობთ, დროა გაფრინდე.
მტერს ისე უნდა შეებრძოლო, მეფე დარწმუნდეს,
რომ ჭეშმარიტად ღირსეულმა შეცვალა გრაფი.

მ ე ო თ ხ ბ მ ო ჯ მ ე ღ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

ხიმენა, ელვირა

ხ ი მ ე ნ ა

ჭორი არ არის, ნამდვილია, მითხარ, ელვირა?

ე ლ ვ ი რ ა

ო, რომ იცოდეთ, გარეშემო ვით ეხვევიან,
რა აღტაცებით შესტკერიან, ვით აღმერთებენ
ჭაბუკს, სახელი სიმამაცით რომ მოიხვეჭა.
იმის წინაშე შეირცხვინეს თავი მავრებმა,
სწრაფად მოვიდნენ, მაგრამ უფრო სწრაფად გაიქცნენ.
ბრძოლა სამ საათს გრძელდებოდა და გამარჯვება

ბოლოს ჩვენ დაგვრჩა, ორი მეფე დაგვნებდა მავრთა.
ჩვენმა ბელადმა იმათ ქედი მოახრევიანა.

ხ ი მ ე ნ ა

მხოლოდ როდრიგომ ჩაიდინა ეს სასწაული?

ე ლ ვ ი რ ა

მისი გმირობის გვირგვინია ის ორი მეფე,
რომლებიც თვითონ დაამარცხა და თვით შეიპყრო.

ხ ი მ ე ნ ა

შენ დაწვრილებით ეს ამბები საიდან იცი?

ე ლ ვ ი რ ა

ახლა ყველანი იმის ქებას ამბობენ მხოლოდ,
მას ეძახიან ხალხის მხსნელს და მფარველ ანგელოსს,
თავისუფლების გადამრჩენელს და შვების მომტანს.

ხ ი მ ე ნ ა

მეფეს? როდრიგოს გმირობაზე რა უთქვამს მეფეს?

ე ლ ვ ი რ ა

ვერ გაბედა და ვერ ეჩვენა მეფეს როდრიგო.
გახარებულმა დონ დიეგომ დატყვევებული
გვირგვინოსნები სასახლეში ძლევამოსილი
შვილის სახელით მიიყვანა და დიდსულოვან
სელმწიფეს სთხოვა შეწყალება ხალხის მხსნელისა.

ხ ი მ ე ნ ა

იგი დაქრილი ხომ არ არის?

ე ლ ვ ი რ ა

ეგ არვის უთქვამს.
რა მოგდით, ფერი დაგეკარგათ! გამაგრდით-მეთქი!

ხ ი მ ე ნ ა

დიახ, დამცხრალი მრისხანება რომ დამიბრუნდეს,

ძალ-ლონე მინდა, მე კი მისი ბედი მაწუხებს.
მე ვურიგდები, რომ აქებენ, ხოტბას ასხამენ,
გადამავიწყდა ღირსება და მოვალეობა!
დალიე სული, სიყვარულო, გაცოცხლდი, რისხევაჲ
მან ორი მეფე დაამარცხა, მაგრამ მომიკლა
მამა და არის ეს ძაძები, მე რომ მაცვია,
მისი პირველი გამარჯვების მაუწყებელი.
როგორც არ უნდა ადიდებდნენ მის სულგრძელობას,
მის დანაშაულს მე მახსენებს აქ ყველაფერი;
ჩემს მრისხანებას ცეცხლს უკიდებთ თქვენი საუბრით,
ამ შავი კაბით, ამ პირბადით და ამ მანდილით
ის თავის პირველ გამარჯვებას დღესასწაულობს.
ისე ნუ იზამთ, სიყვარულმა რომ დაიჯაბნოს
ჩემი ღირსება, მაგრამ მაინც თუ დაიჯაბნა,
თქვენ უწმინდესი შემახსენეთ მოვალეობა
და მიიტანეთ იერიში გამარჯვებულზე.

ე ლ ვ ი რ ა
დამშვიდდით, ჩემო ქალბატონო, ინფანტა მოდის.

გამოსვლა მეორე

ინფანტა, ხიმენა, ლეონორა, ელვირა

ი ნ ფ ა ნ ტ ა

სანუგეშებლად არ მოვსულეარ, რით განუგეშო?
შენს ცრემლებს მინდა შევუერთო ჩემი ცრემლები.

ხ ი მ ე ნ ა

თქვენც ის საერთო სიხარული გაიზიაროთ
არ გირჩევნიათ, დღეს უფალმა რომ გვიწყალობა?
მე უნდა ვიყო, ქალბატონო, მხოლოდ მკმუნვარე.
იხსნა ხალხი და დაამარცხა მტერი როდრიგომ
და იარაღით მოაშორა ქვეყანას ჭირი.
მხოლოდ მე უნდა ვქვითინებდე და სხვა არაეინ.
გადაარჩინა ხელმწიფე და ჩვენი სამშობლო,
მისმა მარჯვენამ მე დამლუპა მხოლოდ ბედშავი.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მან სასწაული ჩაიდინა, მართლაც, ხიმენა.

ხ ი მ ე ნ ა

გამომაყრუა ამ ხმაურმა აუტანელმა,
ყველანი იმის გმირობაზე ლაპარაკობენ,
გმირობას ეძმო, მტრად გაუხდა მხოლოდ სიყვარულს.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

თავს რატომ უნდა გაბეზრებდეს იმისი ქება,
შენი რჩეული ხომ ის იყო, ჭაბუკი მარსი?
ის იყო შენი ქვეშევრდომი და მბრძანებელი,
იმისი ქებით შენს არჩევანს ადასტურებენ.

ხ ი მ ე ნ ა

ვინც იხსნა ხალხი, ქებაც უნდა უთხრან უთუოდ,
ღირსია, მაგრამ ეგ ახალი სატანჯველია,
სულს მწუხარება ემატება, რომ აღიდებენ,
ვიცი, ვკარგავ და ფასიც ვიცი დაკარგულისა.
ო, სიყვარულის უღმობელო გულისტკივილო!
მესმის ხოტბა და ვნების ცეცხლი უფრო ბრიალებს
და მაინც ჩემზე ძლიერია მოვალეობა,
გრძნობას ჩავიკლავ და ვიქნები დაუნდობელი.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მოვალეობამ შენ გვირგვინი დაგადგა გუშინ,
დიდსულოვანი დაუნდობლად ებრძოდი შენს თავს
და იყავ ისე ღირსეული, რომ სასახლეში
შენი გლოვით და სიმამაცით იხიბლებოდნენ.
მაგრამ მითხარი, დაუჯერებ მეგობრის რჩევას?

ხ ი მ ე ნ ა

აღბათ ურჩობა მკრეხელობად ჩამეთვლებოდა.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მოვალეობა დღეს სხვა არის, გუშინ სხვა იყო.

როდრიგო ჩვენი ერთადერთი დასაყრდენია.
ის ახლა ხალხის იმედია და სიყვარული,
მავრთა რისხვაც და მცველია კასტილიისა.
ამბობს ხელმწიფე და ხელმწიფეს ეთანხმებიან,
რომ როდრიგოა მამაშენი გაცოცხლებული.
ბოლოს და ბოლოს, ისიც მინდა გაგაგებინო,
რომ სახელმწიფო შეირყევა მისი სიკვდილით.
როგორ! სამშობლო მამაშენის შურისძიებას
უნდა ემსხვერპლოს? ეგ იქნება კანონიერი?
რომ დაისაჯოს, დანაშაულს ხელი შევეწყობთ?
შენი ნებაა და იმაზე ჯვარს ნუ დაიწერ,
ვინც მამაშენი წუთისოფელს გამოასალმა.
მაგრამ მე გირჩევ, თუ ასეა, რომ სიყვარულზე
უთხრა უარი და სიცოცხლე შეუნარჩუნო.

ხ ი მ ე ნ ა

ო, არა, ასე ლმობიერი მე ვერ ვიქნები!
წინ ვერაფერი დაუდგება მოვალეობას.
თუმცა ეკუთვნის გამარჯვებულს ჩემი სიცოცხლე,
თუმცა ხალხს უყვარს და იგია მეფის რჩეული,
თუმცა გულადი მეომრები უდგანან გვერდით,
მაგრამ მწუხარე კვიპაროსი დაჩრდილავს დაფნას.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ო, მხოლოდ სულდიდ ადამიანს თუ შეუძლია,
შურისძიებას სიყვარული რომ ანაცვალოს.
მაგრამ იგია უფრო მეტად დიდსულოვანი,
ვინც ღირსებას და სიამაყეს სამშობლოს სწირავს.
ისიც სასჯელი არ იქნება, ცეცხლს თუ ჩაიქრობ?
შენი როდრიგო ვით აიტანს შენს გულგრილობას?
ამას გკარნახობს მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობა:
მაინც რას ფიქრობ, რას მოელი, რას გეტყვის მეფე?

ხ ი მ ე ნ ა

თუნდაც უარი მითხრას, მაინც ვერ მოვისვენებ.

ი ნ თ ა ნ ტ ა

კარგად დაფიქრდი, არ გადადგა ისე ნაბიჯი.
მშვიდობით. ჭკუა მოიკრიბე, ნუ აჩქარდები.

ხ ი მ ე ნ ა

სხვა გზა არა მაქვს მამაჩემის სიკვდილის შემდეგ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი,
დონ როდრიგო, დონ ხანჩო

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

შენ, ღირსეულო მემკვიდრეო იმ დიდი გვარის,
რომელიც იყო დასაყრდენი კასტილიისა;
სახელგანთქმული წინაპრების შთამომავალო,
მათთან პირველმა გმირობამ რომ გაგათანაბრა.
ფასდაუდებელ სიმამაცეს შესაფერისი
ჯილდო ეკუთვნის, მაგრამ რითი დაგაჯილდოვო?
უკუაქციე მომხდურა და ქვეყანა იხსენ
და შენი ხელით განამტკიცე სამეფო სკიპტრა,
ვიდრე ბრძანებას გავცემდი და მტრის დასახვედრად.
განგაშს ავტეხდით, დაამარცხე რაზმები მავრთა.
განუზომელი ეგ გმირობა მადლიერ მეფეს
იმედს უკარგავს, რომ საჩუქრით ვალს გადაგიხდის.
დატყვევებულმა მეფეებმა გიბოძეს ჯილდო,
მე აქ ვიყავი, მათ ორივემ გიწოდეს სიდი
და რადგან სიდი მათ ენაზე მბრძანებელს ნიშნავს,
ამიერიდან ეგ იქნება სახელი შენი.
იყავი სიდი, დე, ამ სახელს დაემორჩილოს
მთელი გრანადა, შიშის ზარი დასცეს ტოლედოს.
მათ აგრძნობინოს, ვინც ჩემს კანონს ემორჩილება,
როგორ გაფასებს შენი მეფე და რად უღირხარ.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

დაინდეთ ჩემი მოკრძალება, დიღო მეფეო,

ნუ აზვიადებთ ჩემს სამსახურს, ესოდენ მცირეს.
და თქვენს წინაშე რომ გავწითლდე, ნუ მაიძულებთ.
არა ვარ ღირსი მე ასეთი ქება-დიდებას.
მე მოვალე ვარ, რომ შეევწირო თქვენი სამეფოს
კეთილდღეობას სისხლი ჩემი და სუნთქვა ჩემი.
და თუ შეევწირე, ღირსეულად მოვიხდი მხოლოდ
თქვენი ერთგული ქვეშევრდომის მოვალეობას.

დონ ფერნანდო

განა ყველანი, ვინც არიან ჩემს სამსახურში
ასე ბრწყინვალედ ასრულებენ მოვალეობას?
თავგანწირულად ვინც იბრძვის და თავს არ იზოგავს,
ამ ქვეყნად მისი ხვედრი არის მხოლოდ გმირობა,
რომ უნდა გაქონ, შეურიგდი და კარგად მამცნე
ამ საარაკო გამარჯვების თავი და ბოლო.

დონ როდრიგო

თქვენ უკვე იცით, ხელმწიფეო, იმ განსაცდელში,
რომელიც ქალაქს თავს დაატყდა მოულოდნელად,
მამას ეახლა მეგობრების მთელი ლაშქარი
და სწორედ იმათ წამაქეზეს აღელვებული...
მეფევ, თქვენ უნდა მაპატიოთ, რომ ვმოქმედებდი
თქვენი სახელით, არა მქონდა თუმცა დასტური.
მტერი მზად იყო, განსაცდელი გვემუქრებოდა.
თავს წავაგებდი, სასახლეში რომ მოვსულიყავ;
ჯობდა, ბრძოლაში დამეკარგა და თუ სიკვდილი
მელოდა, ჯობდა ისევ თქვენთვის რომ მოვმკვდარიყავ.

დონ ფერნანდო

შური იძიე, მაგრამ გმირმა დაღვრილი სისხლი
გამოისყიდე, ქვეყანა რომ გადაარჩინე.
ამიერიდან, რაც არ უნდა მითხრას ხიმენამ,
მე მხოლოდ უნდა მოვეუსმინო და ვანუგეშო.
თუმცა, განაგრძე.

დონ როდრიგო

რაზმი ჩემი წინამძღოლობით

წინ მიიწევდა. ჩვენ ვიყავით რწმენით სავსენი. გვიერთდებოდნენ ბევრნი, გავხდით ჩვენ ხუთასიდან სამი ათასი, ნავსადგურში როცა მივედით. ასე მრავალნი თუ რა მტკიცედ მივაბიჯებდით, რომ გვიყურებდნენ, მხნევდებოდნენ შეშინებულნი მე ლაშქრის ორი მესამედი მისვლისთანავე სწრაფად დავმალე იქ რომ დაგვხვდა, იმ ხომალდებში. დანარჩენები, აღვზნებულნი (იმათი რიცხვი კვლავ იზრდებოდა) ჩემს გარშემო იკრიბებოდნენ. ყველანი მიწას გაეკრნენ და ლამის წყვედიადში მიწაზე ასე გართხმულები ხმას არ იღებდნენ. რაკი ვუბრძანე, გუშაგებიც ასე მოიქცნენ და ხელს უწყობდნენ ჩემს განზრახვას დამალულები. მე თავი ისე დავიჭირე, განკარგულებას რომ ვიძლეოდი, თითქოს თქვენი ბრძანება იყო. და აი, ბოლოს ვარსკვლავების შუქზე ვიხილეთ ჩვენ ოცდაათი იალქანი ზღვის მოქცევისას. ათამაშებდა გემებს ტალღა და მოქცეულმა ზღვამ და მავრებმა ნავსადგურში შემოაღწიეს. არავინ დახვდათ. სიმშვიდეა. არც ნავსადგურში და არც ქალაქში ჯარისკაცი არ მოჩანს არსად. მოტყუებული არის მავრი ჩვენი ღუმილით. მოულოდნელად თავს დაგვესხა, ასე ჰგონია. მოადგა ნაპირს გაბედულად. ჩაუშვა ღუზა და მორბის ჩვენკენ, რომ ხაფანგში ამოყოს თავი. მაშინ ჩვენც ვდგებით ერთდროულად, ომახიანი ჩვენი ყიჟინა ცასა სწვდება და ჩვენს ყიჟინას ხომალდებიდან პასუხობენ და გამორბიან. შეძრწუნდა მტერი, შიშის ზარმა შეიპყრო, შედრკა, თუმც წესიერად ჯერ ნაპირზე არ გადმოსულა, არ უბრძოლია, დაღუპული ჰგონია თავი. მოსული არის საძარცვავად, დაუხვდა ომი. შეეავიწროვეთ როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. და სანამ გონზე მოვიდა და ხელი გაიღო, წინ გავირეკეთ. მოდიოდა სისხლის მდინარე. მავრამ მავრები ბელადებმა შემოაბრუნეს.

გაერთიანდნენ, მოაკრიბეს ისევ მხნეობა.
იფიქრეს, ასე უბრძოლველად როგორ მოკვდეთო,
გავმაგრდეთ, ხმალი ერთხელ მაინც მოვიქნიოთო.
მათ დაუბრუნდათ სიმამაცე, ხმალი იშიშვლეს
და ჩვენი სისხლი მათ დაქცეულ სისხლს შეუერთეს.
მიწაც, მდინარეც, ხომალდებიც და ნავსადგურიც
მხოლოდ სიკვდილსლა დარჩენოდა და ის ხარობდა.
ვაი, რამდენი გმირობა და დიადი სული
გაქრა უკვალოდ და წყვედიადში გაუჩინარდა.
თავის გასაჭირს ყველა თვითონ უმკლავდებოდა
და ვერ გაეგო, ბედი საით მიაქანებდა!
მე ყველგან ყველას მხარში ვედექ და ვამხნეებდი,
ზოგს ვაქეზებდი, ზოგს ვიცავდი, ზოგს ვაკავებდი.
მოსულებს მწყობრში ვაყენებდი, რიგს ვუწესებდი
და არ ვიცოდი, გარიჟრაჟი რას მოგვიტანდა.
დილის ნათელმა გამარჯვება გვაუწყა ჩვენი,
მავრმა დანაკარგს რომ დახედა და ესპანელთა
მაშველი ჯარი რომ იხილა, სულით დაეცა.
სიკვდილის შიშმა გამარჯვების წადილს აჯობა.
მტრებმა ხომალდებს მიაშურეს, კრიან ბაგირებს
და ცასა სწვდება შემზარავი მათი ყვირილი.
უკან იხევენ უწესრიგოდ, ისე ჩქარობენ,
რომ არ აწუხებთ ბედ-იღბალი მეფეებისა.
სიკვდილის შიში მორევია მოვალეობას.
მოქცევას მოჰყვენენ, ზღვის მიქცევა წაიყვანს იმათ.
ხოლო მეფენი კვლავ იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ,
გვერკინებიან ვაჟკაცურად მათი მხლებლები,
კვდებიან, მაგრამ მტერს ადვილად არ ნებდებიან.
იმათ ამოდ მოვუწოდებ, ჩააგონ ხმალი,
ყურს არ მიგდებენ და იბრძვიან გაშმაგებულნი.
მაგრამ როდესაც მეომარი უკანასკნელი
ეცემა მავრთა, მეფეები მაშინ წინამძღოლს
მიხმობენ, ბრძოლა უაზროა, იარაღს ყრიან.
მე თქვენ გიგზავნით ერთდროულად ორივე მეფეს.
რადგან მეტოქე აღარ არის, თავდება ომი.
მეფეო, თქვენთვის სამსახური რომ გაგვეწია...

გამოსვლა მეოთხე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ როდრიგო, დონ არიასი,
დონ ალონსო, დონ სანჩო

დონ ალონსო

ხიმენა მოდის, რომ შეიტყოს, რა გადაწყვეტეთ.

დონ ფერნანდო

ბედმა მარგუნა უმძიმესი მოვალეობა

წადი, ხიმენას რომ არ შეხვდეს, წადი, როდრიგო.

წყალობის ნაცვლად გაძევებით გიმასპინძლები.

მაგრამ მანამდე მოდი ჩემთან, რომ გეამბორო.

(დონ როდრიგო გადის.)

დონ დიეგო

სდევნის ხიმენა, მაგრამ გულში, იხსნას, ის უნდა.

დონ ფერნანდო

მაგ სიყვარულზე მეც მსმენია. დღეს დავრწმუნდება.

თავი მწუხარედ მოაჩვენეთ.

გამოსვლა მესამე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი, დონ სანჩო,
დონ ალონსო, ხიმენა, ელვირა

დონ ფერნანდო

აღსრულდა ბოლოს,

რასაც ელოდით, გიხაროდეთ უნდა, ხიმენა.

თუმცა მავრები დაამარცხა, მაგრამ როდრიგოს

სისხლი სდიოდა და ჩვენს თვალწინ დალია სული,

შური იძია თქვენს მაგიერ მაღალმა ღმერთმა.

(დონ დიეგოს)

ყვეტრად როგორ შეიცვალა, როგორ გაფითრდა.

დონ დიეგო

შეუღონდება ალბათ გული, ეს შეღონება

არის დასტური მშვენიერი სიყვარულისა.
სულის წუხილმა საიდუმლო გამოამჟღავნა
და თუ რა ცეცხლი უკიდია, მისახვედრია.

ხ ი მ ე ნ ა

მოკვდა როდრიგო?

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

არა, არა, იმას სინათლე
არ გაჰქრობია და უყვარხარ კვლავინდებურად.
ცნობას მოეგე და ეგ გული დაიშოშმინე.

ხ ი მ ე ნ ა

მეფეო, მხოლოდ მწუხარებით არ ეკარგავთ გრძნობას.
გვერთმევა ძალა და ჩვენ ხშირად ვერ ვუმკლავდებით,
მოზღვავებული სიხარული რომ გვეუფლება.

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

გინდა, რომ შენი სიყვარული ვერ დავინახოთ?
ის შენმა გულის შეღონებამ გამოამჟღავნა.

ხ ი მ ე ნ ა

სხვა გზა არ არის, ავიტანო უნდა, მეფეო,
ჩემს მწუხარებას თუ ეს ცეცხლიც მიემატება.
მისმა სიკვდილმა, ვალიარებ, თავზარი დამცა.
თუმც, მართალია, შურისგებას ამარიდებდა
თუ იგი ქვეყნის სასიკეთოდ თავს გასწირავდა,
მაგრამ მე მაშინ წადილს ვედარ ავისრულებდი,
მისი ლამაზი აღსასრული შეურაცხმყოფდა.
სიკვდილი მსურდა, მაგრამ არა სახელოვანი,
არ მსურდა თავზე დასდგომოდა შარავანდედი;
მამაჩემისთვის ეშაფოტზე რომ შეეწირათ
და ბრძოლის ველზე მამულისთვის არ მომკვდარიყო;
მეხსიერებას სამარცხვინოდ შემორჩენოდა.
უკვდავი არის სამშობლოსთვის თავდადებული,
ხოლო სიკვდილი დიადი და ულამაზესი.

მახარებს მისი გამარჯვება, ის დამიბრუნდა
მსხვერპლად და მამულს მოუტანა უძლეველობა.
სწორუბოვარი, ამაყი და სახელგანთქმული,
მხედართმთავარი, შემკობილი არა ყვავილით,
არამედ დაფნით, როგორც მსხვერპლი, იგი ღირსია,
რომ მოკვდეს ახლა და მამაჩემს რომ შეეწიროს.
მაგრამ, ვაი რომ გამიტაცა ფუჭმა ოცნებამ,
მე ვინ ვარ, განა ეშინია როდრიგოს ჩემი?
რას დაუშავებს მძულვარებით დაღვრილი ცრემლი?
თქვენს ჩრდილში იმას ვერაფერი დაემუქრება,
უძლეველია, რადგან კალთა გადააფარეთ.
ის ისე ხარობს ჩემზე, როგორც მტრებზე ხარობდა.
მართლმსაჯულება მან მავრების სისხლში ჩაახრჩო
და მორჩილებით დამნაშავეს ემსახურება.
გათელილია სამართალი და ვურიგდებით
რომ მისი ეტლი ტყვე მეფეებს გვერდით მისდევდეს.

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

ო, შვილო ჩემო, შენი თავი დაიმორჩილე.
ჩვენ სწორად განვსჯით თუ ყველაფერს ავწონ-დავწონით.
მამა მოგიკლეს, მაგრამ ჩხუბი მან წამოიწყო,
მსჯავრს გამოვიტანთ თუ ვიქნებით მიუდგომლები.
მანამდე, სანამ გამამტყუნებ, გულს დაეკითხე:
რას ამბობს? მისი მბრძანებელი ხომ როდრიგოა?
ჩემს მოწყალებას ხომ მადლობას სწირავ ფარულად,
რადგან ხელმწიფემ სიყვარული დაიცვა შენი?

ხ ი მ ე ნ ა

ვინ დაიცავით? მტერი ჩემი! მიზეზი ჩემი
უბედურების! იგი — მკვლეელი მამაჩემისა!
გროზად არ უღირთ, ჩემს საჩივარს თუ ყურადღებას
არ მიაქცევენ, მადლობელი მე უნდა ვიყო.
ჩემი ცრემლები თუ არაფერს არ გეუბნებათ,
ნება მომეცით, იარაღი ავიღო ხელში,
მან მხოლოდ ასე მომიტანა უბედურება
და მეც პასუხი უნდა გავცე იარაღითვე.

შურისძიებას ყველა რაინდს შევევედრები
და ვინც როდრიგოს თავს მომიტანს, მისი ვიქნები.
დე, მოჰკლან იგი, გათავდება ბრძოლა, მეფეო,
და ამ ბრძოლაში გამარჯვებულს ცოლად გავყვები.
მე გთხოვთ, უბრძანოთ, ეს პირობა ყველას აუწყონ.

დონ ფერნანდო

ეს უძველესი ჩვეულება დანაშაულის
აღმოსაფხვრელად არის ჩვენში დამკვიდრებული
და ბევრს იწირავს, ქვეყანას რომ გამოადგება.
ის ესარჩლება დამნაშავეს და უფრო ხშირად
ისჯება, ვისაც არ მიუძღვის დანაშაული.
როდრიგო ისე ძვირფასია, არ მემეტება
და ვერ ჩავუგდებ სათამაშოდ ბრმა ბედისწერას.
ამ დიდსულოვან ადამიანს უნდა შევუნდოთ,
იმისი ცოდვა წაჰყოლიათ გაქცეულ მავრებს.

დონ დიეგო

როგორ, მეფეო! ის კანონი გინდათ შეცვალოთ,
რომელსაც წმინდად ვასრულებდით ამ სასახლეში!
რას იტყვის ენა ღვარძლიანი, ხალხი რას იტყვის?
თუკი როდრიგო, სიცოცხლე რომ შეინარჩუნოს,
ამოეფარა თქვენს კალთას და იქ არ გამოჩნდა,
სადაც რაინდებს ღირსეული სიკვდილი უხმობს?
მის სახელს მსგავსი მფარველობა ჩრდილს მიაყენებს.
უმწიკვლო, დაე, გამარჯვების ნაყოფით დატკბეს.
არ შეარჩინა გრაფს როდრიგომ გათავხედება
და ეგ ღირსება კვლავაც უნდა შეინარჩუნოს.

დონ ფერნანდო

რაკი ასე გსურთ, ასე იყოს, მე თანახმა ვარ.
ოღონდ ეგ არის, დამარცხებულს შეცვლის მსურველი,
თუკი ერგება გამარჯვებულს ჯილდოდ ხიმენა,
ბრძოლას უთუოდ მოისურვებს ყველა რაინდი.
როდრიგო ყველას ვერ გასწვდება. ეგ იქნებოდა
უსამართლობა. მხოლოდ ერთი უნდა შეებას.

ვინ შეებრძოლოს, აირჩიე ერთი, ხიმენა,
და ბრძოლის მერე ნულარაფერს შემევედრები.

დონ დიეგო

ნუ გაამტყუნებთ, მისი მკლავი თუ შეაშინებთ
და თუ გამოსვლას ასპარეზზე ვერვინ გაბედავს.
დღეს, იმის შემდეგ, რაც როდრიგომ მოიმოქმედა,
ვინღა გაბედავს შეებრძოლებას, ვინ არ დაინევს?
ვინღა ჩაიგდებს თავს საფრთხეში და ვინ იქნება
ის გამბედავი, უფრო სწორად, ის უგუნური?

დონ სანჩო

მე გამოვდივარ ასპარეზზე! ეს მე გახლავართ
ის უგუნური, უფრო სწორად, ის გამბედავი.
(ხიმენას)

მოიღეთ თქვენი მოწყალება, მე გთხოვთ, ხიმენა,
სხვა არჩევანი რომ არა გაქვთ, არ დაივიწყოთ.

დონ ფერნანდო

გაშურს, შენი ღავა მისი ხელით რომ გადაწყვიტო?

ხიმენა

პირობა დავდე.

დონ ფერნანდო

ხვალისათვის მაშ, მზად იყავით.

დონ დიეგო

არა, მეფეო, ხვალისათვის რატომ გადავდოთ,
მუდამ მზად არის საბრძოლველად, ვინც მამაცია.

დონ ფერნანდო

ბრძოლიდან ახლად გამოსული შეებრძოლება!

დონ დიეგო

როდრიგომ მაშინ დაისვენა, რომ მოგითხრობდათ!

დონ ფერნანდო

რომ დაისვენოს ერთი-ორი საათით მაინც
აჯობებს მგონი. არასოდეს ასეთი ბრძოლა
რომ არ მომწონდა, და ჩვენს შემდეგ რომ არ დაიქცეს
სისხლი ამგვარად, მინდა ყველა მიხვდეს ამიტომ,
რა უხალისოდ დაერთე ნება შებრძოლებისა
და სასახლიდან, მსურს, არავინ რომ არ დაესწროს.

(დონ არიასს)

მათი მსაჯული თქვენ იქნებით. თქვენ გევალებათ,
ისე მოიქცნენ, რაინდობას როგორც შეჰფერის
და ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულს თქვენვე მომიყვანთ.
სულ ერთი არის, ვინ იქნება, ის იმსახურებს,
რომ ჩემი ხელით მივუყვანო იგი ხიმენას.
რაინდს იმისი ერთგულება ეკუთვნის ჯილდოდ.

ხიმენა

თქვენ მაძიებთ, სასტიკ კანონს დავემორჩილო

დონ ფერნანდო

წუხხარ და წუხილს შენი გული ვერ ეგუება
და თუ როდრიგო გაიმარჯვებს, ბედს შეურიგდი.
დაემორჩილე, უტკბილესი განაჩენია,
ვინც გაიმარჯვებს, ის მეუღლე იქნება შენი.

მეხუთე მოქმედება

გამოსვლა პირველი

დონ როდრიგო, ხიმენა

ხიმენა

რა თავხედი ხარ, დღისით მოსვლა როგორ გაბედე!
რას იფიქრებენ, წადი-მეთქი, წადი, როდრიგო!

დონ როდრიგო

მე უნდა მოვკვდე და ვიფიქრე, რომ სიკვდილის წინ

მოვსულიყავ და პატიება მეთხოვა თქვენთვის.
თქვენა ხარო ჩემი მბრძანებელი და ამ ბრძოლაში
მხოლოდ თქვენ უნდა შემოგწიროთ ჩემი სიცოცხლე.

ხ ი მ ე ნ ა

შენ უნდა მოკვდე?

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

აწლოვდება ნეტარი წამი,
რომ ეს სიცოცხლე მოვიტანო თქვენს სამსხვერპლოზე.

ხ ი მ ე ნ ა

შენ უნდა მოკვდე? ნუთუ ასე უძლეველია
დონ სანჩო, შიმშა რომ მამაცი გული შეგიკრთო?
ის ასე როდი გაძლიერდა, შენ კიდევ ასე
ვით დაუძღურდი, განწირული გგონია თავი?
შენ, ვინც მავრებს და ვინც მამაჩემს არ შეუშინდი,
სასომიხდილი დღეს დონ სანჩოს წინაშე შედრკი?
ვაი, რომ ზოგჯერ შენც გღალატობს თურმე მხნეობა!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

მე საბრძოლველად არ მივდივარ, უნდა დამსაჯონ.
ჩემი სიკვდილი რაკი გინდათ, თქვენი ერთგული
ვარ და ამიტომ ჩემს სიცოცხლეს როგორ დავიცავ.
არ ვარ ლაჩარი, მაგრამ როგორ შევინარჩუნო
სიცოცხლე ჩემი, საძულველი თქვენთვის ესოდენ.
საბედისწერო იქნებოდა ჩემთვის ეს ღამეც,
გამიმართავდნენ თუკი ბრძოლას, მაგრამ რადგანაც
ჩემს ხალხს ვიცავდი, ჩემს ხელმწიფეს და ჩემს ქვეყანას,
ვულალატებდი იმათ, თავი რომ არ დამეცვა.
მე ეს ქვეყანა ჯერ ისე არ მომბეზრებია,
რომ სამარცხვინოდ დავადწიო სიცოცხლეს თავი.
მე მოვალე ვარ თქვენს წინაშე და რაკი გინდათ
ჩემი სიკვდილი, თქვენს განაჩენს მეც ვურიგდები.
თქვენ მოისურვეთ, განაჩენი რომ სისრულეში
სხვას მოეყვანა. თქვენი ხელით სიკვდილის ღირსი

თუ არ გამხადეთ, რაღად უნდა მოვიგერიო,
ვიც თქვენს მაგიერ ღირსეულად შემებრძოლება.
ის მებრძვის-მეთქი, ვიტყვი თქვენზე, თუმც სხვა იქნება,
რადგან დაიცავს თქვენს ღირსებას მისი მახვილი.
შევეგებები, დაე, მკერდი ორად გამიპოს
უძვირფასესი თქვენი ხელით იმისმა ხელმა.

ხ ი მ ე ნ ა

დაუნდობელმა, უმძიმესმა მოვალეობამ,
შენი მტრობა და სიძულვილი რომ მაიძულა,
შენ სიყვარულის ერთგულება თუკი გიბრძანა
და მორჩილებით იარაღი დაგახრევეინა,
ის გაგახსენდეს, დაბრმავებულს შენი სიკვდილით
საფრთხე შენს სახელს და დიდებას რომ ემუქრება.
გარემოსილი ბრწყინვალეობით, ორთაბრძოლაში
თუ დაეცემი, დამარცხდამო, იმას იტყვიან.
შენთვის ღირსება ჩვენს გრძნობაზე ძვირფასი იყო
და შეიღებე მამაჩემის სისხლით ხელები,
შენ შესძელ ცეცხლი რომ ჩაგეჭრო სიყვარულისა
და ტკილ იმედზე სამუდამოდ გეთქვა უარი.
ახლა ადვილად შეელიო გინდა ღირსებას
და გადაწყვიტი, უბრძოლველად რომ დაგამარცხონ?
სად გაქრა შენი ვაჟკაცობა ასე უეცრად?
ან დღევანდლამდე ასე რატომ უფრთხილდებოდნი?
რომ მხოლოდ ჩემთვის მოგეტანა უბედურება?
ან იქნებ შენი ვაჟკაცობა მხოლოდ ეგ იყო?
ო, მამაჩემის შენი ხელით სიკვდილი მაშინ
მამაჩემისთვის სამარცხვინო იქნება უფრო.
წადი, ღირსება დაიცავი ორთაბრძოლაში,
თუნდაც სიციოცხლე აღარ იყოს ძვირფასი შენთვის.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

გრაფის სიკვდილი და მავრების განადგურება
ნუთუ არ კმარა, რაღად მინდა მე სხვა დიდება?
იმას ვერავინ დაამცირებს და ვერ დაჩრდილავს.
ჩემს ვაჟკაცობას წინ ვერავინ ვერ დაუდგება,

ჩემს ძლიერებას ყველაფერი ხელეწიფება.
 ყველაზე უფრო ძვირფასია ღირსება ჩემთვის.
 ო, არა, არა, რაც არ უნდა იფიქროთ ჩემზე,
 მოგვდები ისე, რომ ღირსება არ შემებლალოს.
 არა თქვან, მხდალი ყოფილათ, არ დამამცირონ
 და აღრე წასულს უძლეველის სახელი შემრჩეს.
 იტყვიან მხოლოდ: „ის ხიმენას აღმერთებდაო,
 მოკვდაო, რადგან მის სიძულვილს ვერ აიტანდა,
 დამორჩილდაო წუთისოფლის უკუღმართობას,
 როცა მიჯნური სასიკვდილოდ იმეტებდაო.
 რადგან მიჯნური შურისგებას ესწრაფოდაო,
 ვერა თქვა, ლალატს უდრიდაო მისთვის უარი.
 და თუ ღირსებას სიყვარული შესწირა მსხვერპლად,
 ახლა მიჯნურის შურისგებას შეეწირაო.
 წმინდა სიყვარულს მან ღირსება ამჯობინაო,
 ხოლო ხიმენას სიყვარული — სიცოცხლესაო“.
 არა და არა, ჩვენს დიდებას არ მიაღდება
 სიკვდილის ჩრდილი, გაბრწყინდება ჩემი სახელი.
 და მე მოგვკვდები სიხარულით, რადგან ვერავინ
 ვერ გაგიწევდათ ვერასოდეს ასეთ სამსახურს.

ხ ი მ ე ნ ა

თუკი სიკვდილი ისე გიხმობს, ისე ესწრაფი,
 რომ ეგ სიცოცხლე და ღირსება არაფრად გიღირს,
 ის გაიხსენე, ვით მიყვარდი, ჩემო როდრიგო,
 დონ სანჩოს მედგრად შეებრძოლე და მე დამიხსენ.
 დამიხსენ, მუ მსურს, დავაღწიო თავი ტყვეობას,
 იმას, ვინც ჩემთვის საძულველი არის ესოდენ.
 რა გითხრა კიდევ? თავგანწირვით იბრძოლე, წადი
 და მაიძულე, რომ დუმილით ბედს შეგვურიგდე.
 თუკი გიყვარვარ ძველებურად, ორთაბრძოლიდან
 გამარჯვებული დამიბრუნდი. იმ ბრძოლის ჯილდო
 მე ვარ. მშვიდობით. მე მრცხვენია ჩემი ნათქვამის.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

წინ რომ დამიდგეს, ვინ იქნება, ვინც ვინდათ, მოდით,

ნავარელებო, მავრებო და კასტილიელნო,
უმამაცესნო, ესპანეთში დაბადებულნო,
თუგინდ ყველანი შეერთდით და გამოილაშქრეთ,
რომ გამხნეებულ ჩემს მარჯვენას მდგრად დაუხვდეთ.
თვით ვარსკვლავებზე უმრავლესნი რომ იყოთ, მაინც
მე ვერ მეყოფით, სანუკვარი იმედით ძლიერს.

გამოსვლა მეორე

ინფანტა

ინფანტა

დაგემორჩილო, ბრწყინვალეზავ ჩემი გეარისა,
გულს უმოწყალოდ რომ უსწორდები?
დაგემორჩილო სიყვარულო, რომ მაიძულებ,
ჩემი სურვილი შეერკინოს ქედმაღალ მტარვალს?
მეფის ასულო, ნუთუ არ იცი,
თუ მორჩილება რომელს აღუთქვა?
ო, ჩემი ღირსი, უძლეველო როდრიგო, შენ ხარ,
მაგრამ არა ხარ უფლისწული, რომ დაგაფასონ.

ო, ულმობელო ბედისწერავ, ჩემმა ღირსებამ
რად შეიწირა ოცნება ჩემი
ან არჩევანი ასე ძვირად რატომ დამისვი,
რომ სიყვარული მწუხარებად გადამიქციე?
ო, ღმერთო! გულმა როგორ ითმინოს
და ამ სატანჯველს როგორ გაუძლოს;
არ ეღირსება მოსვენება, რადგან სიყვარულს
ვერ მოერევა და ვერც მიჯნურს შეეგებება!

ჩემმა გონებამ არჩევანი რომ დააფასოს,
უნდა თამამი იყოს გონება:
თუმც ეკადრება მეფის ასულს მხოლოდ მონარქი,
მაგრამ, როდრიგო, ქვეშევრდომი ვიქნები შენი.
ვინც დაატყვევა მავრთა მეფენი,

არის სამეფო გვირგვინის ღირსი;
რაკი გიწოდა მბრძანებელმა სიდის სახელი,
უნდა ბრძახო და უნდა კიდევ დაგემორჩილონ.

ის ჩემი უნდა ყოფილიყო და სხვას ეკუთვნის
და მე დავუთმე იგი ხიმენას.
ვერ დაემუქრა მათ სიყვარულს მამის სიკვდილიც,
რადგან უგულოდ ასრულებენ მოვალეობას.
ჩემს ტანჯვას ბოლოს როგორ მოუღებს
აბა, როდრიგოს დანაშაული,
როცა მარგუნა ბედმა ისიც ვიხილო, თუ ვით
გაუძლებს მათი სიყვარული მტრობის განსაცდელს.

გამოსვლა მესამე

ინფანტა, ლეონორა

ინფანტა
საით მიდიხარ, ლეონორა?

ლეონორა
მსურს, ქალბატონო,
დაბრუნებული მოგილოცოთ სულის სიმშვიდევ.

ინფანტა
სიმშვიდეს განა მწუხარება მომანიჭებდა?

ლეონორა
ცოცხლობს და კვდება სიყვარული იმედთან ერთად.
დღეიდან ვეღარ დაატყვევებს თქვენს გულს როდრიგო.
ღონ სანჩოს უნდა შეებრძოლოს; ის ან ხიმენას
ქმარი იქნება ან ბრძოლაში დაიღუპება.
იმედის სიკვდილს განკურნება მოსდევს სულისა.

ინფანტა
ო, ნეტავ მართლა ასე იყოს!

ლ ე ო ნ ო რ ა

რის იმედი გაქვთ?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

იმედი ახლა უფრო ძნელი დასათმობია.
თუ ასეა და ამ პირობით იბრძვის როდრიგო,
ალბათ როგორმე მოვახერხებ, რომ ჩავერიო.
შეყვარებულებს სიყვარული გვაწამებს ხოლმე
და ათასნაირ ეშმაკობას ჩავგადენინებს.

ლ ე ო ნ ო რ ა

რა იმედს უნდა მოეჭიდოთ? მამის სიკვდილმა
ვერ ჩამოაგდო იმათ შორის უთანხმოება.
ვგონებ, ხიმენას საქციელით მისახვედრია,
რომ სიძულვილი ვერ ერევა, ვერ იმორჩილებს.
დაანიშნინა ორთაბრძოლა და პირველადვე
ვინც სამსახური შესთავაზა, ის აირჩია.
მან აუარა კეთილშობილ რაინდებს გვერდი,
შარავანდელით შემოსილებს, სახელმორკმულებს
და არჩევანი შეაჩერა მან დონ სანჩოზე,
რადგან იარაღს დღეს პირველად მოჰკიდა ხელი.
გამოუტდელი არის სანჩო ორთაბრძოლისთვის,
უსახელოა და ამიტომ ის სურს ხიმენას.
ამ არჩევანმა მიგახვედროთ უნდა უთუოდ,
მოვალეობის დათრგუნვა რომ გადუწყვეტია.
მოულოდნელი არ იქნება, ალბათ, როდრიგომ
თუ გაიმარჯვა და ხიმენა ბედს შეურიგდა.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მეც ვხედები მაგას და ამიტომ ხიმენას ბედი
მშურს და ვალმერთებ გამარჯვებულს კვლავინდებურად.
რა გზას დავადგე უნუგეშოდ შეყვარებული?

ლ ე ო ნ ო რ ა

მოგესხენებათ, ვინ ბრძანდებით, თქვენი ღირსია
მეფე და არა ქვეშევრდომი, ნუ დაივიწყებთ.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

სხვა არის ახლა, ვისაც ელტვის ჩემი ოცნება.
მე აღარ ვეტრფი დონ როდრიგოს — უბრალო რაინდს
მას უხმობს ჩემი სიყვარული სულ სხვა სახელით.
მე მიყვარს გმირი, შემკობილი დაფნის გვირგვინით,
მამაცი სიდი — მბრძანებელი ორი მეფისა.
დავიმორჩილო უნდა თავი; არა, გაკიცხვის
არ მეშინია, არ მსურს ხელი რომ შევეუშალო
მის გატაცებას და რომ მეფედ აკურთხონ კიდეც,
უნდა ბოლომდე ჩემი სიტყვის ერთგული დავრჩე.
რადგან ბრძოლაში გაიმარჯვებს იგი უთუოდ,
მე მას დავეუთობ ხელმეორედ ხიმენას, ხოლო
შენ, მოწმევ ჩემი წამებისა, რომ დამაფასო,
მოდო, იხილე დასასრული დასაწყისისა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო ტ ხ ა

ხ ი მ ე ნ ა, ე ლ ვ ი რ ა

ხ ი მ ე ნ ა

ელვირა, როგორ ვიტანჯები, რა საბრალო ვარ!
რას მოვეკიდო, ამიტანა შიშმა ბედშავი.
სურვილს სურვილი ენაცვლება, ხოლო სინანულს —
კვლავ სინანული და სიმშვიდეც — დაბნეულობა.
მე დავაყენე დღეს სიკვდილის პირისპირ ორნი
და ორთაბრძოლა მწუხარებას მომიტანს მხოლოდ,
ან ბედისწერა მამაჩემის ჯავრს ვერ ამომყრის
ან ვინც ყველაზე ძვირფასია, იმას მომიკლავს.

ე ლ ვ ი რ ა

ისეც და ასეც დარდი უნდა შეგიმსუბუქდეთ:
ან შურს იძიებთ, ან როდრიგო თქვენი იქნება,
და რაც არ უნდა გადაწყვიტოს ღმერთმა, ან სირცხვილს
ჩამოირეცხავთ, ან მეუღლე მხარს დაგიმშვენებთ.

ხ ი მ ე ნ ა

ვინ ვამჯობინო! ის — მტერია, ეს — საძულველი
ან მამაჩემის, ან როდრიგოს მკვლელს მთავაზობენ!
ჩემი მეუღლე ის იქნება, ვინც შეილება,
ან შეილებავეს ხელებს ჩემთვის ძვირფასი სისხლით;
ამბობებულები არის სული და მეშინია
სიკვდილზე მეტად ორთაბრძოლის დასასრულისა.
ო, სიყვარულო, სანატრელო შურისძიებავე,
თუ ასე ძვირად ეღირებით, რაღად მინდინხართ.
ღმერთო ძლიერო, განსაცდელი რომ მომივლინე,
ისე წარმართე ორთაბრძოლა, გემუდარები,
რომ ორივენი ვერც დამარცხდნენ, ვერც გაიმარჯვონ.

ე ლ ვ ი რ ა

ეგ იქნებოდა მეტისმეტი დაუნდობლობა.
ეს ბრძოლა თქვენთვის სატანჯველად არის ქცეული,
რადგან ჯიუტად სამართალი გსურთ გააჩინოთ;
თვალისჩინივით უფრთხილდებით შურისძიების
უმადლეს გრძნობას და როდრიგოს სიკვდილს უმზადებთ,
უმჯობესია, ქალბატონო, მისმა სიქველემ,
თავს რომ გვირგვინით დაუმშვენებს, დაგიცხროთ რისხვა,
თქვენს მწუხარებას ორთაბრძოლამ ბოლო მოუღოს
და მეფის რჩევით გულის ხმას რომ დაემორჩილოთ.

ხ ი მ ე ნ ა

იქნებ გგონია, ქედს მოვუხრი, რომ გაიმარჯვოს?
მოვალეობა არის წმინდა და დამცირება
აუტანელი; არ იკმარებს შურისძიებად
ეს ორთაბრძოლა ან სურვილი მბრძანებელისა.
როდრიგო ალბათ დაამარცხებს დონ სანჩოს, მაგრამ
ამ გამარჯვებით ვერ დათრგუნავს ჩემს სიამაყეს
და გამარჯვებულს რაც არ უნდა აღუთქვას მეფემ,
მე მასთან ბრძოლის ათასობით მსურველს მოვნახავ.

ე ლ ვ ი რ ა

არ გეშინიათ, რომ განრისხდეს მაღალი ღმერთი

მაგ ქედმაღლობით, გაგწიროთ და შური იძიოს?
თქვენ გინდათ ზურგი შეაქციოთ ბედნიერებას,
იმის ნაცვლად რომ ღირსეული დუმილით შეხვდეთ?
მისი სიკვდილით მამათქვენი ვერ გაცოცხლდება.
ნუთუ არ გეყოთ სიმძიმელი? მაგ მწუხარებას
თქვენ გინდათ ისევ მწუხარება რომ მიუმატოთ?
არა, მე ვატყობ, მაგ სიკერპით და სიჯიუტით
თქვენ იმას, ვისაც გაკუთვნებენ, არ იმსახურებთ.
სამართლიანი არის ღმერთი, ვერ გაექცევით
მის გულისწყრომას და დონ სანჩო ქმრად გეყოლებათ.

ხ ი მ ე ნ ა

ისევ გატანჯულს მწუხარებით, ელვირა, ახლა
მაგ წინათგრძნობით ჩემს სატანჯველს ნუ მიორკეცებ.
არც ერთს არ მინდა ვეკუთვნოდე, თუ მოვახერხე.
მაგრამ როდრიგოს გამარჯვებას ვუსურვებ მაინც,
განა იმიტომ, რომ გმბრობა მხიბლავს იმისი,
თუ დამარცხდება, დონ სანჩოსი ვიქნები მაშინ.
ჩემი სურვილი შიშით არის ნაკარნახევი.
ვაი, ელვირა! ყველაფერი დამთავრებულა...

გამოსვლა მესამე

დონ სანჩო, ხიმენა, ელვირა

დონ სანჩო

ამ მახვილს, ჩემო ქალბატონო, ვხრი შენს წინაშე...

ხ ი მ ე ნ ა

როდრიგოს სისხლში გასერილ მახვილს! დაუნდობელო,
როგორ გაბედე, შენი ფეხით როგორ მოხვედი,
ეს, ვისაც ასე ვალმერთებდი, თუკი წამართვი.
იტირე, ჩემო სიყვარულო, ნუ გერიდება,
აღებულია უკვე სისხლი მამაჩემისა
და ერთის დაკვრით აღდგენილი არის ღირსებაც.
უსასოოა სული, გრძნობა — თავისუფალი.

დონ სანჩო

აღელვებული რომ არ იყოთ...

ხიმენა

რას მეუბნება

მკვლელი, რომელმაც მოუსწრაფა სიცოცხლე ჩემს გმირს!
წადი, გამშორდი, ვერაგულად დაამარცხებდი,
თორემ ვერაფერს დააკლებდი, არ დაგიტოვებდა.
რა სამსახური გამიწიე, რის იმედი გაქვს,
თითქოს მიცავდი, გამიყარე გულში მახვილი.

დონ სანჩო

უცნაურია, იმის ნაცვლად რომ მომისმინოს...

ხიმენა

არა, არ მინდა მოვისმინო შენი ტრაბახი,
თუ თავხედურად იმის სიკვდილს როგორ ამიწერ,
ან შენს გმირობას, მის წინაშე ჩემს დანაშაულს.

გამოსვლა მეექვსე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი, დონ სანჩო,
დონ ალონსო, ხიმენა, ელვირა

ხიმენა

ახლა კი დროა, ხელმწიფეო, რომ გაგიმკლავნოთ,
რაც მსურდა თქვენთვის დამემალა და ვერ შეეძელი.
მე ის მიყვარდა, თქვენ ეს იცით, მაგრამ მიხმობდა
შურისგება და გავიმეტე ის სასიკვდილოდ.
დიდო მეფეო, თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ,
ვის ვემსახურე, სიყვარულს თუ მოვალეობას.
მაგრამ როდრიგო დაეცა და მისმა სიკვდილმა
მრისხანე მტერი უნუგეშო სატრფოდ მაქცია.
შურისძიებას, ვინც მე შემქმნა, იმას ვუბადლი,
ხოლო ცრემლები სიყვარულმა დამადგრევეინა.
მაშინ დამკარგა, ჩემი დაცვა რომ მოინდომა

დონ სანჩომ, მაგრამ ახლა მაინც მისი ჯილდო ვარ,
თუ სიბრალული აგაღელვებთ, დიდო ხელმწიფევე,
იწამეთ ღმერთი, გააუქმეთ მკაცრი პირობა.
იმ გამარჯვების გასამრჯელოდ, მე რომ წამართვა
ის, ვინც მიყვარდა, დაე, ერგოს ჩემი ქონება.
მე დამეთხოვოს, მონასტერში უნდა წავიდე,
სიყვარული და მამაჩემი რომ დავიტირო.

დონ დიეგო

ამბობს, მიყვარსო და არც არის დანაშაული,
ეს უცოდველი სიყვარული რომ აღიაროს.

დონ ფერნანდო

დამშვიდდი, შვილო, ცოცხალია შენი რაინდი,
ტყუილი უთქვამს დამარცხებულ დონ სანჩოს შენთვის.

დონ სანჩო

მიზეზი მისი შეცდომისა, მღელვარებაა.
მე მსურდა, ბრძოლა ვით დამთავრდა, მეუწყებინა.
როდესაც მისმა სალოცავმა, მამაცმა სიღმა
გამაგდებინა იარაღი, მითხრა: „ნურათრის
ნუ გეშინია, გამარჯვებას ნეტა რას ვაქნევ,
და ვინც ხიმენას ეწირება, ვერ გავიმეტებ.
რადგან მეფესთან მოვალე ვარ, რომ გამოვცხადდე,
ანიტომ წადი, ესაუბრე მას ჩემს მაგიერ
და ეს მახვილი მიუტანე ჩემი სახელით“.
დიდო მეფეო, მე მოვედი და ამ მახვილით
შეცდა ხიმენა, მე ვეგონე გამარჯვებული.
გამეხებულმა სიყვარული გამოამყდაგნა
იმგვარი რისხვით და იმგვარი თავდავიწყებით,
რომ არ მაცალა, ერთი წამით არ მომისმინა.
თუმცა დავმარცხდი, თუმც დავკარგე სამარადისოდ
ვინც მე მიყვარდა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ,
მე დღევანდელი დამარცხებით იმათ სრულყოფილ
სიყვარულს რადგან ვუწყალობე ბედნიერება.

დონ ფერნანდო

ნუ გაწითლდები, ჩემო შვილო, თუ მშვენიერი გინთია ცეცხლი, განა ცეცხლი დასამალია? რა სირცხვილია სიყვარული? შენ აღადგინე შენი სახელი, აღასრულე მოვალეობა. ამოიყარე მამის ჭავრიც, რადგან როდრიგოს სიცოცხლეს ბევრჯერ განსაცდელი ემუქრებოდა. მაღალმა ღმერთმა გადმოგხედა, ის მოწყალეა. ზეცას მადლობა შესწირე და იფიქრე შენზეც. დაემორჩილე ჩემს ბრძანებას კვლავ უდრტვინველად, მე ჩაგაბარებ უნაზეს და ძვირფას მუხლს.

გამოსვლა მუხვიდა

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი, დონ როდრიგო,
დონ ალონსო, დონ სანჩო, ინფანტა, ხიმენა,
ლეონორა, ელვირა

ინფანტა

ხიმენა, ცრემლი შეიმშრალე და ჩაიბარე,
მე მოგიყვანე ბედნიერი გამარჯვებული.

დონ როდრიგო

ნუ მიწყენთ, თქვენი თანდასწრებით, დიდო მეფეო, შეყვარებული მის წინაშე მუხლს თუ მოვიყრი. გამარჯვებულის კუთვნილ ჯილდოს კი არ მოვიტხოვ, მე აქ მოვედი, ჩემი თავი რომ შემოგწიროთ. ვერც ჩემს სიყვარულს, ქალბატონო, ვერც მეფის სურვილს და ვერც პირობას ბოროტად ვერ გამოვიყენებ. თუ თქვენს წინაშე ჯერ არა მაქვს გამოსყიდული დანაშაული, ბრძანეთ, რა ვქნა და რა ვიღონო? კიდევ და კიდევ შევებრძოლო ურიცხვ მეტოქეს? მოვფინო ჩემი სიმამაცის ამბავი ყველგან? გავფანტო მტერი? დაეარბიო ერთმა ბანაკი და გავუხუნო საარაკო გმირებს სახელი?

ო, თუკი ამით დანაშაულს გამოვისყიდო,
მე თანახმა ვარ, ყოველივე რომ ჩავიდინო.
მაგრამ ღირსება უღმობელი რომ არ ისვენებს
ისე, თუ ბოლოს დამნაშავე არ შეიწირა?
ნუ გინდათ სხვისი სამსახური, ნურავის უნებობთ.
მე დაგიჩოქებთ, თქვენი ხელით იძიეთ შური.
თუ შურისგება სხვისთვის არის მიუწევდომელი,
დაუმარცხებელს დაამარცხებს თქვენი ხელები.
ჩემი სიკვდილი თუ დაგიცხრობთ სიძულვილს, მაშინ
გემუდარებით, ნურასოდეს ნუ დამივიწყებთ.
ჩემი სიკვდილი თქვენს დიდებას მოემსახურა
და მე ღირსი ვარ თქვენს უწმინდეს ხსოვნას შემოვრჩე.
რომ მომიგონოთ სიბრალულით და თქვათ: „გუყვარდი
და ამ ქვეყნიდან წავიდაო სწორედ ამიტომ“.

ხ ი მ ე ნ ა

ადექ, როდრიგო. გამოგიტყდით, დიდო მეფეო,
და ვით უარვყო, რაც გითხარით და ვალიარე.
ღიახ, როდრიგო ვერ შევძელ და ვერ შევიძულე
და ხელმწიფესაც წინ ვერავინ გადაუდგება.
და ახლა, როცა განაჩენი ეგ არის თქვენი,
თქვენ როგორ უნდა შეურიგდეთ ამ ქორწინებას?
თუ ეს ნაბიჯი გადავდგი და დაგემორჩილებთ,
არ აღშფოთდება მაშინ თქვენი მართლმსაჯულება?
თუკი როდრიგოს საკადრისი უნდა მიუზღონ
თავდადებისთვის, — საზღაური მე უნდა ვიყო?
თქვით, თავი როგორ დავიტანჯო სამარადისოდ —
განბანილი მაქვს მამის სისხლით ხელები-მეთქი?

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

თავდაპირველად რაც გვეგონა შეუძლებელი
ან უკანონო, დრომ გახადა კანონიერი.
როდრიგო შენი ღირსია და შენ მას ეკუთვნი.
და მაინც, თუმცა თავგანწირვით დაგიმსახურა,
შენი მოსისხლე მტერი უნდა ვიყო, ხიმენა,
რომ გამარჯვების საზღაური ახლა გადავცე.

გადადებული ქორწინებით არ დაირღვევა
ჩვენი პირობა, გადიწევა მხოლოდ დროებით,
თუნდაც ერთი წლით, შეიმშრალე მანამდე ცრემლი.
როდრიგო, შენ კი იარალი არ ჩააბრუნო
ქარქაშში, რაკი დაამარცხე ჩვენს ნაპირებთან
მავრთა ლაშქარი და ჩაფუშე მათი ზრახვები,
წადი, გაუძეხ შენს მხედრობას, ნუ მოასვენებ,
შეიჭერ იმათ ქვეყანაში და ააოხრე,
სიღის სახელის ხსენებაზე რომ აკანკალდნენ
და თუ გიწოდეს მბრძანებელი, მეფედ გაკურთხონ.
ლომგულოვანმა შენს დიდებას არ უღალატო,
იყავ ერთგული, უფრო მეტად ხიმენას ღირსი,
შენი ღვაწლით და სიმამაცით ისე დაფასდი,
ხიმენამ შენთან ქორწინებით რომ იამაყოს.

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

თქვენი მსახური და ხიმენას მონა-მორჩილი,
ბრძანეთ და შევეძლებ შეუძლებელს, დიდო მეფეო,
და ხიმენასთან განშორებულს, ბედნიერება
ვერ მიმატოვებს, თუ იცოცხლებს სულში იმედი.

დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

ხელმწიფის სიტყვას დაენდე და შენს ვაჟაკობას,
ხიმენას გული შენ გეკუთვნის და რომ დასრულდეს
შენს წინააღმდეგ იმის სულში ფარული ბრძოლა,
დრო გენმარება, შენი მეფე და ეგ მარჯვენა.

კორაცოუსი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

მონსინიორ კარდინალ კარცოზ დე რიშელიისადმი¹

მონსინიორ, მე ჩემს დღეში ვერ ვაკადნიერდებოდი ისე, რომ თქვენი უსამღვდელოესობისათვის მომერთმია პორაციუსის ეს უხვირო პორტრეტი, მაგრამ ვიფიქრე, ამდენი წყალობის შემდეგ, რაც თქვენგანა მაქვს ბოძებული, დუმილი, რაიც მიეწერება ჩემს თქვენდამი უზომო პატივისცემას, უმადურობად ჩამეთვლებოდა; თან რაგინდ უნდობლადაც არ უნდა ვეპყრობოდე ჩემს ნამუშავეს, კიდევ უფრო მეტი ნდობა მმართველს თქვენი წყალობიანი გულისა. მისგან მეზოძა, რაც კი ვარ და სირცხვილით ვიწვი, რომ სამადლობლოდ ამ უღირს საჩუქარს გიძღვნიოთ, ესოდენ მცირეს იმასთან შედარებით, რაც მმართველს თქვენი უწმიდესობისა. მაგრამ ამ შიშსა და იქვენულობაში, რომელიც ყველა მწერალს სჩვევია, მე ის უპირატესობა მაქვს, რომ თუ არ ტყუილად, ვერვინ გამიკიცხავს არჩევანს; ეს ქველი რომელიც, თქვენი უსამღვდელოესობის ფერხთით რომ მომირთმევია, იქნებ ნაკლები სირცხვილით წარმსდგარიყო თქვენს წინაშე, პოეტის ნიჟი და უნარი მისი ქების საგნის ღირსებას რომ შეეფერებოდნენ. თავდებად მომყავს ავტორი, რომელსაც ამ ამბავს დავესესხე, ეს სახელოვანი ამბავი ამგვარი შესხმით რომ დიწყო: „წარსულში თითქმის არა არის რა ამ ამბავზე უფრო კეთილშობილური“. მე ვისურვებდი, რაც მან საქმეთა შესახებ თქვა, ჩემგან დახატულ სურათებზედაც თქმულიყოს; იმად კი არა, რომ თავი ავიღადო, იმიტომ მხოლოდ, რომ მოგიძღვნათ იმგვარი რამ, რაც ცოტათი მაინც უფრო ღირსი იქნება მოსაძღვნელად. თვით ამბავს შეიძლებოდა მეტი მომხიბველულობა შეეძინა, უფრო გამოცდილ ხელს რომ წარემართა, მაგრამ მერწმუნეთ, მე ცდა არ დამიკლია, ყველაფერი ზივეც, რასაც გონიერი კაცი შეიძლება გამოელოდეს პროვინციელი მუხისაგან, რომელიც იმდენად ბედნიერი არაა, რომ ხშირად დატკბეს თქვენი უწმიდესობის ხილვით და სხვათა დარად, გამუდმებით გარს რომ გახვევიან, თქვენი შუქი არ ეფინება გზის წარმმართველად. და ცხადია, მონსინიორ, ის დიდი წინსვლა, ჩემს ნაწარმოებებში რომ შეიმჩნევა მას მოღმა, რაც პატივი მაქვს თქვენს უწმიდესობას ვმსახურებდე, არა არის რა, თუ არ შედეგი იმ დიადი აზრებისა, თქვენ რომ შთამაგონებთ, როს კეთილს ინებებთ და სადარბაზოდ მიწვევთ. ან რას უნდა მივაწერო, თუ რამ უხვირო გამომივა, იმ უხეში საღებავების გარდა, რომელთაც კვლავ

¹ თარგმანი ნესტან იორდანიშვილისა.

მიეპყოფ ხოლმე ხელს, როცა მიენებდები ჩემს საკუთარ სიძაბუნეს? მონ-
სინიორ, ყველამ, ვინც ღამეებს თეთრად ათენებს თეატრის სამსახურში,
ჩემთან ერთად ხმაძალა უნდა გააქვეყნოს, რომ თითოეულ ჩვენგანს
მეტად მაღალი ვალი დაგვდეთ: თქვენგან ვისწავლეთ, როგორ გააკეთილ-
შობილოთ ხელოვნების მიზანი, თან გაგვიადვილეთ მისი შეცნობა. თქვენ
გააკეთილშობილეთ მიზანი ხელოვნებისა, რაკი ნაცვლად წადილისა, თავი
მოვაწონოთ ხალხს, როგორც გვასწავლიდნენ ჩვენი მოძღვარნი (რომელთა
მცნებასაც ვერ ვიკმარებთო, თქვა ოდესღაც თავისი საუკუნის ორმა უპა-
ტიოსნესმა კაცმა: სციპიონმა და ლელიუსმა), თქვენ ვალად დაგვდეთ
თქვენ მოგაწონოთ თავი და გაგართოთ; ამგვარად მცირე სამსახურს როდი
ვუწვევთ სახელმწიფოს, რადგან თქვენის შექცევით გინარჩუნებთ ჯანის
სიმართელეს, რაც მისთვის ეგოდენ ძვირფასი და აუცილებელია. თქვენ
ხელოვნების შეცნობაც გაგვიადვილეთ, რაკი სხვა სწავლა აღარ გვეკირ-
დება, საკმარისია, თვალნი მოვაპყრათ თქვენს უსამღვდელოესობას, როცა
თავისი სტუმრობითა და ყურადღებით პატივს დაგვდებს ჩვენა და ჩვენს
ლექსებს. როს მის სახეზე ამოვიკითხავთ, რა მოსწონს და რა არ მოს-
წონს, ჩვენც ვიგულმეცნებთ რაა დასტურ საქებური და რა გასაკიცხი; ასე
ვეზიარებით ურყევ კანონებს, ვხვდებით, რას მივსდიოთ და რას ვერიდოთ;
ხშირად სწორედ ამგვარად შემითვისებია ორ საათში ის, რის გამოც მა-
ყურებელი ტაშით მაჭილდობდა; სწორედ აქ, თქვენის წყალობით ვიმე-
დოვნებ ისე გავიწვართო, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენი საკადრისი
ქმნილებაც შევთხზა. უღირს საქციელად ნუ ჩამითვლით, მონსინიორ, რომ
თქვენგან ბოძებული ჩემი სახელ-ღიდების სამადლობელოდ სტროფს ვე-
სენსებო სხვა ჰორაციუსს და არა იმას, ვისაც მე წარმოგიდგენთ, რომ მით
გამოვხატო ჩემი ჭეშმარიტი სულსიკეთება:

Totum muneris hoc tui est,
Quod monstror digilo prae tereuntium
Scenae non levis artifex:
Quod spiro et placeo, si placeo, tuum est.

ამას მხოლოდ ერთ ჭეშმარიტებას დაესძენდი: გვედრით მერწმუნოთ,
რომ ვარ და მარად დაგვთები თქვენს უმორჩილეს და უერთგულეს მსა-
ხურად.

კო რ ნ ე ლ ი

მ ა რ ჩ ე მ ა

საზოგადოდ გავრცელებული აზრი გახლავთ, თითქოს ეს პიესა ყვე-
ლა ჩემს დანარჩენ ნაწარმოებს აჯობებდა, უკანასკნელი მოქმედებანი რომ
არ ჩამოუყარდებოდეს პირველთ. დაუეინიათ, კამილის სიკვდილი ბოლოს
აფუჭებსო და მეც გეთანხმებით ამაში; მაგრამ, ვეჭვობ, ყველამ იცოდეს

¹ თარგმანი ნესტან იორდანიშვილისა.

არის ბრალია ეს. ამ ამბავს, ჩვეულებრივ, იმას მიაწერენ, რომ კამილი სცენაზე კვდება; ეს კი მსახიობი ქალის ცოდვა უფრო გახლავთ, ვინემ აეტორისა, რადგან, როცა ხედავს, მისი ძმა ხმალს რომ იშიშვლებს, კამილი თავისი სქესისათვის ესოდენ დამახასიათებელ შიშს სცენიდან უნდა გაექცია, სასიკვდილო დარტყმა კულისებში უნდა მიეღო, როგორც ჩემს შენიშვნაში მაქვს აღნიშნული. თუმცა, დღეს თუ მიგვაჩნია, რომ გმირმა სცენაზე არ უნდა დასთხოოს სისხლი, არისტოტელეს დროს როდი ფიქრობდნენ ასე. არისტოტელე გვასწავლის, მაყურებელთა გულების შესაძვრელად შემადრწუნებელი სურათებია საჭირო, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება და სულთა ხდომა ზედ სცენაზეო. ჰორაციუსი კი ფიქრობს, მეტისმეტად არაბუნებრივი ვნებების წარმოდგენაც არა გვმართებს, როგორცია, მაგალითად, საყუთარი შვილების მკვლელი მედეას თავგადასავალიო. მაგრამ ყველა სახის სიკვდილზე ასე როდი მსჯელობს; და მეც ვერ ვიტყვი, თითქოს ძმის რისხვა, თავს რომ ატყდება დას, ვინც მის წინაშე წყევლის და კრულავს სამშობლოს, ამ დედის სისასტიკეს რითიმე მოჰკავდეს. ჰორაციუსის შეგონების მიუხედავად, სენეკა ამ მკვლელობას მაინც წარმოუდგენს მაყურებელს. სოფოკლესთანაც აიაქსი მაყურებელთა თვალს როდი ეფარება, როცა თავს იკლავს. ის სიტყვები, რომლებიც კლიტემნესტრეს სიკვდილის გასამართლებლად მითქვამს, კამილისათვის არ გამოდგება. სასოწარკვეთილებისაგან ის თავად რომ წამოგებოდა ძმისგან ნაშიშვლებ მახვილს, ძმას მაინც ბრალი ექნებოდა მის სიკვდილში: რაკი სცენაზე არა ჩანს მესამე პირი, ვისთვისაც ჰორაციუსს შეეძლო მახვილი მოედერებინა და მაყურებელი ვერ იფიქრებს, როგორც „ორესტეს“ ცქერისას, იქნებ ხმალს ეგვსთეს აძგერებსო. თანაც ამბავი ძალზე ცნობილია და ვერ ამოვადებთ იმ საფრთხეს, ჰორაციუსს რომ სდევს თან ამ უყეთური მკვლელობისათვის; ცოდვა რომ არ დაედო, მამამისსაც აღარ დასჭირდებოდა მისი დაცვა და წყალობის გამოთხოვნა მეფისაგან. ასეა თუ ისე, ვნახოთ, ამ მოქმედებას მხოლოდ ამის გამო თუ შეეძლო პიესა ჩაეგდო, მარტო თვალთათვის თუა უამური და სხვა რამ ნაკლი ხომ არ ახლავს?

რაკი ჩვეული არა ვარ ჩემს ნაკლთა დაფარვას, აქაც ორ-სამ საქმოდ მსხვილ ნაკლს აღვნიშნავ. პირველი ის გახლავთ, რომ ეს მოქმედება, პიესაში მთავარი ადგილი რომ დაუჭერია, წამისყოფით ხდება და არ ახლავს ის კეშმარტი სიდიადე, რომელსაც არისტოტელე მოითხოვს პიესის დასაწყისის, შუა ადგილისა და ფინალისაგან. ის ერთბაშად ხდება და თუმც მაყურებელი შევამზადე ჰორაციუსის პირქვეში სათნოების დახატვით, მის მიერ წარმოთქმული სიტყვებით: ნუ დამინანებ ნურც მე, ნურც შენს მიჭნურს, ბრძოლაში თუ დავიხოცებითო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ამგვარი წრეგადასული სიფიცხის გასამართლებლად და არც დასაწყისად გამოადგა ამ მოქმედებას.

მეორე ნაკლი ის გახლავთ, რომ ეს სიკვდილი ვნებს მოქმედების ერთიანობას, რაკი კვლავ საფრთხეში აგდებს პირველი განსაცდელისაგან თავდახსნილი ჰორაციუსის სიცოცხლეს. საფრთხის ერთიანობა ტრაგედიაში მოქმედების ერთიანობას ბადებს, და როცა ის გარდასულია, პიესაც

სრულდება, თუ თვით კვანძის გახსნა ისევე უცილობლად არ ითხოვს მეორე საფრთხეს, რომელიც პირველთან შერწყმული მასთან ერთ მოქმედებას შეადგენს; აქ კი ეს არ ხდება, რადგან პორაციუსი გამარჯვებული ბრუნდება და სულაც არაფერში სჭირდება დის მოკვლა, არც მასთან საუბარი და მოქმედებაც საკმარისად გასრულდებოდა მისი გამარჯვებით. ეს არცთუ აუცილებელი გადასვლა ერთი საფრთხიდან მეორეზე აქ მით უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ საზოგადო საფრთხე, სადაც მთელი სახელმწიფოს ბედია სასწორზე შეგდებული, კერძო საფრთხედ შემობრუნდა, სადაც მხოლოდ გმირის სიცოცხლის ამბავი წყდება; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გმირული საფრთხიდან, საცა შექმლო გმირულად მომკვდარიყო, პორაციუსი კნინ საფრთხეში ვარდება, რომლისგანაც შეუბღალავი ვერ გამოვა. ამას მესამე ნაკლად დაურთეთ ისიც, რომ კამილი, ვიცაღ პირველ სამ მოქმედებაში მეორეხარისხოვანი როლი აკისრია და პირველობას ყველგან საბინს უთმობს, მთავარ ადგილს იჩემებს ორ უკანასკნელში და საეხებით ჩრდილავს რძალს. ასე და ამრიგად, თუ მიღწეულია ზნეობათა ერთიანობა, პერსონაჟთა ღირსების ერთიანობა წარხოცილა, რაზედაც პორაციუსს უთქვამს:

Servetur ad imum
Qualis ab incepto processerit, et sibi conste.

როდელინდის ეს ნაკლი „პერთარიტეს“ წარუმატებლობის მთავარ მიზეზთაგანი იყო, და მე ჭერ არ მინახავს, რომ პიესის ამგვარ ნაკლს ჩვენს თეატრებში მსახიობისათვის მეტად საეალალო შედეგი არ მოჰყოლოდა. კარგი იქნება, ამის შესახებ სამუდამო, ურყევე კანონებს თუ დავაფუძნებთ.

ღრთის თვალსაზრისით მოქმედება ერთობ დაჩქარებული არ გახლავთ და არაფერი სჭირს ისეთი, ჩემს თვალში უჩვეულოდ რომ მოჩანდეს. რაც შეეხება ადგილს, თუშკადა მისი ერთიანობა არ ხელმიყვია, ზოგი ნაძალადეობა მაინც ახლავს. პორაციუსსა და კურაციუსს არა აქვთ საბაბი გაცილდნენ ოჯახის სხვა წევრებს, რომ მეორე მოქმედება დაიწყონ. მაგრამ მაყურებელს ზოგჯერ ისე გაიტაცებს მიმდინარე მოქმედება, რომ ხშირად მკაცრად ვეღარ ადევნებს თვალყურს ამ სისწორეს და სულაც არაა დანაშაული ბრწყინვალეობით მოვკრათ თვალი, როცა არ ძალგვიძს წესისამებრ მისი დაკმაყოფილება.

საბინის სახე საკმაოდ ოსტატურადაა შეთხზული და არ ლალატობს არც ისტორიას, რომლის თანახმადაც ამ ორ ოჯახს შორის ისეთი თანხმობა და თანასწორობა სუფევდა, რომ ერთხელ დამოყვრებულებს კიდევ დამოყვრებაზე უფიქრიათ. ის მოქმედების განვითარებას „სილის“ ინფანტაზე მეტად არ ემსახურება და მასავით სხვადასხვაგვარად განიცდის მოვლენათა მსვლელობას. მაგრამ ერთს საყოველთაო მოწონება ხედა წილად, მეორეს კი — დაგმობა. შევეცადე მეპოვნა ამის მიზეზი და ორ რასმე მივაგენი: ერთია სცენათა კავშირი, რაც თითქოს, თუ შეიძლება ამგვარი

გამოთქმა მოვიწველო, საბინს რთავს ამ პიესაში, მაშინ, როცა „სიდში“ ინფანტას ყოველი სცენა განცალკევებით მდგომი გახლდათ და თითქოს ნაწარმოებიდან გამოწყვეტილი.

Tantum series juncturaque pollet.

მეორეც ისაა, რომ რაკი საბინი ჰორაციუსის ცოლია, ამ პიესის ყველა პერიპეტეიებმა მას ის გრძნობები უნდა აღუძრას, რომელთაც გვიმელანებს, რაკი მოვალეა სისწლხორცეულად აინტერესებდეს ის საქმე, რაც მის ქმარსა და ძმებს შეეხებათ; ინფანტას კი არაფერი აიძულებს სიღის ბედით დაინტერესებას; და თუ როდრიგო იღუმალ გულში ჩავარდნია, აუცილებელი არაა, რაიმე გაამელავნოს, რაკი მაინც არ აღიძვრის სამოქმედოდ.

წინასწარმეტყველება, პირველ აქტში რომ გაისმის, თავის ქეშმარიტ მნიშვნელობას მეხუთე მოქმედების ბოლოს იძენს. ის ჭერ ნათელი ჩანს და წარმოსახვას საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავს; მე ამგვარ წინასწარმეტყველებათ ვაძლევ უპირატესობას, ისინი მირჩევენია მისანთა იმ ბუნდოვან ღალადის, ჩვენს სცენაზე რომ გაისმის ხოლმე, რაკი მათი ქეშმარიტი ეფექტისაგან გამოწვეული გაოცება უფრო მშვენიერია. ამგვარი წინასწარმეტყველებანი გამოვიყენე ჩემს „ანდრომედასა“ და „ოიდიპოსში“. მე იგივეს როდი ვამბობ სიზმრებზე, რომელთაც შეუძლიათ დიდად შეამკონ პროტასისი, თუკი მათ მაინცდამაინც ხშირად არ მიემართათ ხოლმე. მე ვისურვებდი, რომ ისინი პიესის ქეშმარიტ დასასრულზე მიაწინებდნენ მნახველს, მაგრამ ერთგვარი ბუნდოვანებაც უნდა ახლდეთ, რომელიც ყველაფრის ბოლომდე გაგების საშუალებას არ იძლევა. სიზმარი მე ორგზის გამოვიყენე, აქა და „პოლიევქტში“, მაგრამ უფრო მეტის ბრწყინვალეობითა და ხელოვნებით ამ უკანასკნელში, სადაც იგი მოვლენის ყველა თავისებურებას აღნიშნავს, მაშინ, როდესაც „ჰორაციუსში“ ის მხოლოდ ბუნდოვნად მიგვანიშნებს, რა საბედისწერო ამბები უნდა დატრიალდეს.

ყველა აღიარებს, რომ მეორე მოქმედება ერთი ყველაზე უფრო ამაღლებულია, რაც კი დადგმულა ჩვენს სცენაზე, მესამე კი ერთი ყველაზე ხელოვნური და ნაძალადევიო. მასში მხოლოდ სამ ძმათა ბრძოლის ამბის ნახევარია გადმოცემული, თანაც ეს ამბავი ალაგ-ალაგ წყდება, რომ მამა ჰორაციუსს საშუალება მიეცეს თავისი მრისხანება და გულისწყრომა გადმოაფრქვიოს. მეოთხეში კი კვლავ სიხარული იპყრობს. მის შეტდომაში შესაყვანად ქალის მოუთმენლობა მარჯვედ გამოვიყენეთ. ქალი ბრმად მისდევს თავის პირველ შთაბეჭდილებას და ვარაუდობს, რომ ბრძოლა დასრულდა, რაკი ნახა, რომ ორი ჰორაციუსი მიწაზე დაეცა, ხოლო მესამემ გაქცევით უშველა თავს. კაცო, რომელიც უფრო დინჯი და გონიერია, ამგვარ უსაფუძვლო განგაშს არ ატეხდა; იგი მეტ მოთმინებას შემოიკრებდა, რომ უფრო დაბეჭითებით შეეტყო, როგორ წარიმართა საქმე; მას არცინ მიუტეებდა ასე ბრმად მიყოლოდა გარეგან ნიშნებს და წაგებულად ჩაეთვალა ბრძოლა, რომლის ბოლო არც კი უნახავს.

თუმცა კი მეფე მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში ჩნდება, მას მეტი ღირ-
სება გააჩნია, ვიდრე „სიღში“ გამოყვანილ ხელმწიფეს, რადგან მთელ
თავის სამეფოზე ზრუნავს პიესის ბოლომდე და მუდამ მეფურად ირჩება.
თანაც ამ მეხუთე მოქმედებაში როგორც ჰფერობს, ისე მოდის მამასთან,
რომლის ვაჟიშვილებმაც მას გვირგვინი შეუნარჩუნეს და თავიანთი სისხ-
ლის დათხევით ალბის გვირგვინიც მოაპოვებინეს. თუ აქ მსაჯულად გვევ-
ლინება, ეს შემთხვევითი როდი გახლავთ; მსაჯულობს თვით პორაციუსის
სახელში მხოლოდ იმ იძულების ძალით, ადგილის ერთიანობა რომ მოი-
თხოვს. ეს მეხუთე მოქმედება ერთი მიზნუთაგანია, რამაც ამ ტრაგედიას
ბევრი დამძრახველი გაუჩინა: ის მთლად დასაცავ სიტყვებს მოხმარდა; აქ
კი არც კინკლაობისა და არც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების ადგილი არ
იყო; მათი ატანა პიესის თავში შეიძლება, სადაც მოქმედება ჯერ კიდევ
არ გამძაფრებულა, მაგრამ მეხუთე აქტს მსჯელობაზე უფრო მოქმედება
ჰფერობს. მსმენელის უკვე დაღლილ ყურადღებას აღარ ეამება ეს სჯა-
ბაასი, აგრერიგად რომ აგრძელებს ფინალს.

ზოგი იმას მიკვირებს, ვალერი პორაციუსის ღირსი ბრალმდებელი
არაა, რადგან პიესაში კამილის მიმართ საკმარისი ტრფობა არ გამოუჩე-
ნიაო; ამის მთქმელს მივუგებ, ამ კაცს ტყუილად სწამებთ, თითქოს კა-
მილი დიდი სიყვარულით არ ყვარებოდეს; დაწუნებულ მიჯნურს არ შეეძ-
ლო თავი მოეწონებინა სატრფოსათვის იმ დღეს, როცა ქალი გულის
სწორს ხედებოდა. მისთვის ადგილი არ მოიძეებოდა პირველ მოქმედე-
ბაში, მეორეში — მით უმეტეს; მესამე მოქმედებაში მას ჯარში ყოფნა მარ-
თებდა; მეოთხე მოქმედებაში კი, როს რაყიფის სიკვდილი მისთვის იმე-
დის სხივს წარმოშობს, იგი მყის გამოჩნდება და ცდილობს მოიგოს მამის
გული, რაკი მოაქვს მეფის წყალობა და ამბავი იმ პატივისა, მეფეს პო-
რაციუსისათვის რომ აღუთქვამს; თან ამცნობს მოხუცს მისი ვაჟის გამარ-
ჯების ამბავს, რის შესახებაც მან არაფერი იცოდა. ვალერს სიყვარული
კი არ აკლია სამი პირველი მოქმედების მანძილზე, შემთხვევა არ მისცე-
მია მის გამოსახატავად; მაინც პიესის პირველი სცენიდანვე ჩანს, რომ
კამილს საკმაოდ ევლება თავს, რაკი საბინი ძმის ბედით უშფოთებულა.
თუკი ვალერი საფრანგეთის კავალრებივით არ ირჩება, უნდა ვიფიქროთ,
იმიტომ, რომ რომაელია და რომში მას არ შეეძლო დუელში გამოეწვია
მეორე რომაელი ისე, რომ სახელმწიფო დანაშაული არ ჩაედინა; და მეც
დანაშაულს ჩაივინდნი თეატრის წინაშე, რომაელი ფრანგივით რომ გა-
მოემეწყო.

მოქმედი პირნი

ტულიუსი, რომის მეფე.

მოხუცი ჰორაციუსი, რომელი მხედარი.

ჰორაციუსი, მისი ვაჟი.

კურაციუსი, ალბელი თავადი, კამილის სატრფო.

ვალერი, რომელი მხედარი.

საბინი, ჰორაციუსის მეუღლე, კურაციუსის და.

კამილი, კურაციუსის სატრფო, ჰორაციუსის და.

ციული, რომელი მანდილოსანი, საბინისა და კამილის მეგობარი.

ფლავიანი, ალბელი ჯარისკაცი.

პროკულუსი, რომელი ჯარისკაცი.

მოქმედება წარმოებს რომში, ჰორაციუსთა
სასახლის დარბაზში.

(რომაული წელთაღრიცხვით 85 წელი; 667 წელი ქრისტეს
დაბადებამდე.)

პირველი მოქმედება

ბამოსვლა პირველი

საბინი, უიული

ს ა ბ ი ნ ი

ასე რომ ვწუხვარ, ნუ მიაწერთ ჩემს სუსტ ბუნებას...
როგორ გავუძლო ამ საშინელ უბედურებას:
ვატყობ, ღმერთების წყევლა-კრულვა ჩვენ არ აგვცდება,
რისხვა ისეთი, დევ-გმირიც კი შებარბაცდება.
როცა იხილავს მზის ნათელი რარიგ ჩაუქრეს,
განეფანტება ვაჟკაცობა და სიჩაუქე!
თუმც ველოდები ამ ჯოჯოხეთს გულდაუმცხრალი,
მაინც შევძელ და დავიოკე თვალში კურცხალი.
თუმც ზეცას სწვდება ჩემი ოხვრა, ჩემი გოდება,
ვფიცავ, ცრემლები დაწვებზე არ დამიგორდება!
ვისაც შიშის წინ დაჩოქება არა სწადია,
იგრ მამაკაცს უტოლდება და გულადია.
ქალს რაღად უნდა სხვა გმირობა და სხვა დიდება,
თუკი ამგვარი წამების დროს არ ატირდება.

უ ი უ ლ ი

ეგ კმარა მათთვის, მდაბიონი რომელთაც ჰქვიათ,
რომლებიც წვრილმან ფათერაკსაც ღვთის რისხვად თვლიან.
ეგ სულმდაბლობა სულით მაღალს არა, არ სწვდება,
ვისაც სწამს, იქაც გაიმარჯვებს, სადაც მარცხდება!
გალავნის ძირას გაყოფილა ბანაკი ორად,
რომს კი არასდროს წაუგია აქამდე ბრძოლა!
რას ჰქვია თრთოლვა?! შეეგებე ჩვენს ქალაქს ტაშით!

ის გაიმარჯვებს, გაიზრდება, ფრთებს უფრო გაშლის.
მაშ, რატომ უნდა კანკალებდე შიშით და ძრწოლით?
რომელი ხარ! რომელი ვაჟკაცის ცოლი!

ს ა ბ ი ნ ი

მე, რომელი? რომელი რადგან ქმარი მყავს,
რომელი ვარ და ქვეყანა ჩემი არ მიყვარს?
დაქორწინება მე მაქცევდა უმდაბლეს მონად,
თუ ჩაქრა გულში საოცნებო სამშობლოს ხსოვნა.
ოჰ, ალბა, ალბა! სად ვიხილე დილის ნათელი,
პირველი ტრფობა შეუჩუყნელი და სანატრელი.
და ჩვენს ორ ქალაქს როცა ომის ღრუბელი ფარავს,
გამარჯვება და დამარცხება ერთგვარად მზარავს!
თუ ღალატს ხედავ, რომო, ამ ჩემს სიმწუხარეში,
მაშ, მოგენახა შენი მტერი სულ სხვა მხარეში
თქვი, ორ ლაშქარში მე რომელის მხარე დავიცვა?
ერთგან ქმარია, მეორეგან ღვიძლი სამი ძმა.
ან ვით შევფიცო, რომ ზენაარსს შევევედრები,
რომს მფარველობდეს, განურისხდნენ ალბას ღმერთები.
რომო, მე ვიცი, რა სიკეთეს ელი ომიდან,
ძლიერება გწადს! დიახ, ფრთების გაშლა მოგინდა!
ვიცი, ღმერთები რას დაგპირდნენ და რასაც ელის
შენი ოცნება არა მარტო ლათინთა ერის
დამონებაა სხვაც აქციო გინდა მონებად.
დიახ, შენ გწადის მსოფლიოზე გაბატონება!
და საბრძოლველად ამიტომაც აგრე ამხედრდი,
შენს მყოფადს თავზე გსურს დაადგეს შარავანდედი
სულაც არ მიკვირს, რომ აენტე ბრძოლის ხანძართ,
რადგან ღმერთებს სურთ, გაეშურე, გასწი, დაქკარის
წინასწარ ვხედავ, პირინეის მთები მაღალი
როგორ შედრკება, მუხლმაგარი შენი ლაშქარი
როს გადალახავს! მაშ, რაინიც ფეხით გათელე,
აღმოსავლეთი გასრისე და გააცამტვერე!
დაე, შენს ფერხთქვეშ თრთოდნენ სვეტნი ჰერკულესისა!
მაგრამ არასდროს დაივიწყო მაღლი ქვეყნისა,
რომლის მეფეთა სისხლი გიჩქევს, იმათი სისხლი,

ვინც შენ გიბოძა რომული და სახელი მისი
ოჰ, უმადურო, კანონები პირველი ნეტავ
ვინ დაგიწესა? დიას, ალბამ — მშობელმა დედამი
მახვილს ნუ ჩასცემ დედას მკერდში ეგ ძალა სხვა მტერს
ჯობს დაატეხო! სისხლს მშობლისა რად უნდა სვამდე?
რომ დედულეთმა, ტკბილმა ალბამ, ვით გულმა დედის
ლოცვა-კურთხევა მზის შუქივით აფრქვიოს შენთვის.

ჟ ი უ ლ ი

ველარ გცნობთ! როცა ჩვენი ბედი ბეწვზე ეკიდა,
რომი და ალბა ერთმანეთს რომ გადაეკიდა,
არ გაღლეებდათ ალბელების სეე და ილბალი,
პირწავარდნილი რომაელი ქალი იყავით.
მე ცას ვწვდებოდი სიხარულით, მსხვერპლს რომ იღებდით
და თქვენს სურვილებს ქმრის სურვილებს უმორჩილებდით.
როს გიხილავდით სევდიანს და თანაგიგრძნობდით,
რომის ილბალი გაწუხებდათ, ასე ვფიქრობდი.

ს ა ბ ი ნ ი

დიას! სანამდის ერთმანეთთან მხოლოდ ვდაობდით,
კი არ ვომობდით, ვკინკლაობდით, ვძიძგილაობდით,
და მოველოდი შერიგებას ორი ქვეყნისა,
მაშინ სახელით ვამაყობდი რომაელისა!
რომის დიდება თუ ჩემს გულში აღძრავდა სევდას,
ჩუმად ვკიცხავდი იღუმალი ფიქრისთვის ჩემს თავს,
და თუ ხანდახან რომს ბრძოლებში ვერ უმართლებდა,
ეს ჩემში მაცდურ სიხარულის გრძნობას ბადებდა.
მწარედ ვგოდებდი, საკუთარ თავს ვწყევლიდი მაშინ,
თუ ზეიმობდნენ გამარჯვებას ჩემს ძმათა სახლში.
დღეს კი, როდესაც იმდაგვარად გამძაფრდა ომი,
უნდა დაემხო, გაცამტვერდეს ალბა ან რომი,
გამარჯვებული სიხარულის მზით აივსება,
ძირს დაცემული საბოლოოდ გაისრისება,
მე უნდა ალბას დამარცხებას შევთხოვდე გამჩენს,
თუ მსურს ნამდვილი რომაელის სახელი დამჩჩენს.
ხოლო თუ ღმერთებს შევავედრე თქვენი სახელი,

უმალ გავხდები წინაპართა მე დამძრახველი
ფარული ცრემლით ჩემი გული დღეს ისე დალბა,
ცალ-ცალკე აღარც რომს ვემხრობი და აღარც ალბას.
მინდა ორივეს მფარველობდეს ზეცის განგება,
მაგრამ მე იმას თანაუფრძნობ, ვინც დამარცხდება.
შემუსერილისთვის აღმომხდება ვიში და ოხვრა,
მტრად გავუხდები მოზეიმეს, მწუხარეს — ძოყვრად!
მსურს მივაგებო გამარჯვებულს ზიზლი და წყევლა,
დამონებულს კი სულის გვემა, ქცეული ცრემლად!

ქ ი უ ლ ი

უბედურება თუ ერთია, მაშ, რატომ ხდება,
სხვადასხვა სულში სულ სხვადასხვა იფეთქებს ვნება?
კამილის ქცევა თქვენს საქციელს არ ჰგავს სრულიად,
თუმც იგი თქვენი სარძლოა და თანაც მულია,
მაგრამ ის ქალი ორ ლაშქარში სხვაგვარად იცავს
თავის სისხლს ერთში, მეორეში — სიყვარულს თვისას.
როძის დიდებით თქვენი სული როცა მზეობდა,
კამილი ქაშინ ყოყმანობდა და იბნეოდა,
და სულ მცირედი კინკლაობა მიაჩნდა დიდად,
ნიავის ქროლვას დაჰანგრეველ ქარიშხლად თვლიდა.
არც ერთი ლაშქრის გაძარჯვება არ სურდა კეთილს,
დამარცხებულის აღონებდა მიატოდენ ბედი...
და აი, როცა შეტაკების დღე დაინიშნა,
ორივ ლაშქარმა საბრძოლველად ხმლები იშიშვლა,
კამილის მზერა სიხარულის ნაპერწკლებს ისვრის...

ს ა ბ ი ნ ი

რარივ მაშინებს უეცარი ცვლილება მისი
ვალერს იმგვარად შესციცინებს და თავს აწონებს,
ჩემს ძმას სულ მალე მიატოვებს მისი საცოლელი..
ორი წლის ჩხუბმა და ქიშპობამ ისე არია,
რომ დაავიწყა, ვინც ნამდვილი მეგობარია!
ჩემი ძმის სვე-ბედს თუ შეეყურებ უიმედობით,
გთხოვთ მომიტევეთ, კამილს უკვე ველარ ვენდობი.
თავქარიანი უნდა იყოს ქალწული ამ დროს,

ასეთ ყოფაში მიატოვოს თავისი სატრფო!
ომის ქარცეცხლში, როცა ისმის ირგვლივ გოდება,
ტრფობის ახალი ისრით გული არ იკოდება!
მწუხარების დროს არ მინახავს ასე ართობდნენ
ყმაწვილკაცებს და მათთან ტკბილად მასლაათობდნენ,

ე ი უ ლ ი

ღიახ, თქვენსავით არც მე ვიცი ამის მიზეზი,
ჩემს ეჭვს და გუმანს ნისლი ბურავს უსაშინლესი...
როს ბრძოლის ველზე შენი ქვეყნის ქველი შვილები
ღაფავენ სულს და შესცქეროდენ გულდამშვიდებით,
ესეც ბევრია... სიხარული? მეტისმეტია!..

ს ა ბ ი ნ ი

ხედავთ? კამილი მოდის!.. ალბათ ჩვენი ბედია!..
მეგობარი ხართ და უყვარხართ, ვიცი, ნამდვილად,
და თქვენთან იქნებ ყველაფერი თქვას გულახდილად!
აბა, თქვენ იცით, ჩემო კარგო, დაგტოვებთ ახლა!..
რადგან ჩემს სახეს სულ სევდა და ნაღველი ახლავს,
მრცხვენია სხვებთან მკმუნვარების ცრემლი დავღვარო
და მსურს ჩემს ურვას მარტოობა შემოვავთარო.

ზამოსვლა მეორე

კამილი, უიული

კ ა მ ი ლ ი

რაოდენ ცდება, რომ იკოდეთ, საბინი, თითქოს
ჩემი ვარამი მის ვარამზე ნაკლები იყოს!
განა ეს გული ნაკლებ ღაზს და კაეშანს იტევს,
ნაკლებ ცრემლს ვურევ კენესა-ოხვრით წარმოთქმულ

სიტყვებს?

ვეჭვობ, რომ ბედმა მე შიში და ღელვა მაკმაროს,
მალე ან ღვიძლ ძმას დავეტირებ, ანდა საქმაროს,
კურაციუსი, ვინც მე აგრე მხიბლავს და მომწონს,

ან თავს შესწირავს თავის მამულს ან ჩემსას მოსპობს
ერთი მითხარით, გულის სწორზე ვით არ ვიჯავრო? |
იგი ან უნდა დავიტირო, ან შევიჯავრო?..

ქ ი უ ლ ი

საბინს ვიცოდები თქვენზე მეტად უნდა ეწვალოს,
მიჯნურს შეიცვლი, მაგრამ ქმარი ვინლა შეცვალოს?
კურაძციუსი დაივიწყეთ, გაჰყევით ვალერს,
და როს მთლიანად რომელი გახდებით მალე,
სულს თავისუფალს დასაკარგი არაა ექნება
მტერთა ბანაკში! და დარდებიც წამს გაგეყრებათ!

კ ა მ ი ლ ი

ბოროტებისკენ ნუ მიბიძგებით მე მყოფნის ჩემი
უბედურება! დამეხმარეთ მეგობრულ რჩევით.
თუმცა მძიმეა ნაღველი და გამდრიკოს ლამის,
მიჯობს ვიტანჯო და ვეწამო, მომხრე ვარ ამის!

ქ ი უ ლ ი

ბოროტებაა თუ გონებამ ასე არჩია?

კ ა მ ი ლ ი

რაო? | ღალატი თქვენ არაფრად არ მიგაჩნიათ?

ქ ი უ ლ ი

მტრის ერთგულებას, დამერწმუნეთ, ჩალის ფასი აქვს!

კ ა მ ი ლ ი

აქვე რომ მომკლან, ფიცს ვერ გავტეხ, რა ვქნა, ასეა!..

ქ ი უ ლ ი

აბა რად ტყუით, ჩემო კარგო? განა წინა დღეს
ვალერის თვალნი სინარულით არა ბრწყინავდნენ,
როს საუბრობდით ისე ტკბილად? ქაბუკ ვალერის
რა ახარებდა, თუ თანხმობას თქვენგან არ ელის?

კ ა მ ი ლ ი

თუმცა იმ ყმაწვილს ვესაუბრე გულთბილად გუშინ,
რაც გიფიქრიათ, იმის მსგავსიც არ მქონდა გულში,
და თუ სიხარულს ვერ ვმაღავდი, მიზეზიც მქონდა..
გიაზობთ ყოველს, მე არ მინდა დაეჭვდეთ ოღნავ;
კურაციუსი მიყვარს ისე თავდავიწყებით,
არ ძალმიძს მასთან განშორება, ნუ გამიწყრებით!
გახსოვთ, მისი დის ოცნება და ნატვრა როს ახდა, —
ჩვენი ოჯახის სანატრელი რძალი რომ გახდა?
და მას, ვინც ჩემი მოტფრიალე დარჩა ბოლომდი,
დასტური მისცა მამამ, ცოლად რომ გაეყოლოდი.
ის დღე შეიქმნა საამოც და საწამებელიც,
მოყვრად აქცია ოჯახები და მტრად მეფენი .
გადაწყდა ჩვენი ქორწინება! დაიწყო ომიც!
ჩვენმა კავშირმა გადაჰკიდა ალბა და რომი
დაიმედებას უმაღ მოჰყვა იმედის ნგრევა,
იმ დღესვე, ოდეს დავმეგობრდით, ვიქეციო მტრებად!
მას შემდეგ რა არ განვიცადეთ, ჰმუნვა და ურვა,
კურაციუსი ცას უთვლიდა წყევლას და კრულვას!
ღვარად დამდინდა დამწუხრებულს ცრემლი მიჩქეფარე,
როცა დამშორდა სატრფო ჩემი, თვალს მოეფარა.
ვით ვერ დავიცხრე მღელვარება ჩემი გულისა,
მოგესმათ კენესა შექირვებით გათანგულისა.
შიშით ვხვდებოდი ყოველ ბრძოლას ტანჯვით დაგული,
მებრალეზოდა ხან სატრფო და — ხანაც მამული
და როცა ვიგრძენ, არ შემეძლო მოთმენა მეტის,
ვიფიქრე, წავალ და მოგვის ხმას მოვუხმობ-მეთქი.
პასუხით, რაიც მოვისმინე გუშინ მისნისგან,
გულში იმედის ნაპერწკალი ამიციმციმდა.
ავენტიანასთან ცხოვრობს ბრძენი ბერძენი ერთი,
თავად ლაღადებს მისი პირით აპოლონ ღმერთი
და, რასაც აგრე შევნატროდი იდუმალ დიდხანს,
სწორედ ისა თქვა! მომისმინეთ, აი, რა მიიხრა!
„ხვალდან სახეს შეიცვლიან ალბა და რომი.
გისმინათ ღმერთმა! დაიძინებთ მშვიდად და წყნარად,
თქვენს შორის ხვალვე დასრულდება შუკოთი და ომი,

კურაციუსიც თქვენთან ერთად იქნება მარად!“
 გამოიღარა, თითქოს ჩემთვის განათლა ზეცა,
 უმალ დავმშვიდდი, ეს სიტყვები მალამოდ მექცა!
 ნეტარ მომავალს ოცნებაში ისე ვსახავდი,
 ჩემზე ბედნიერ მიჯნურს ალბათ ვერსად ნახავდით!
 ვალერს რომ შევხვდი, სიხარულით ვფრინავდი მაშინ,
 ენამზეობდა, აღელვება დავატყვე ხმაში:
 მეფიცებოდა სიყვარულს და სულ არ მწყენია,
 მის მიმართ ზიზღის ნატამალიც არ ჩამრჩენია.
 როს ვიგონებდი კურაციუსს, გული დნებოდა,
 ვალერის სახით ნანდაური მელანდებოდა...
 და როს მაუწყეს, დაიწყოო ომი ფიცხელი,
 თავზარდაცემა, შეშინება როდი ვიგრძენი.
 ჩემს გულში ენთო ყველა შუქი, სადმე თუკია,
 ასეთ ღროს სხვისი სიყვარული ვის გაუგია?..
 მაგრამ გაჭვანტა ბნელმა ღამემ ტკბილი შეცდომა,
 ფიქრს დახოცილთა აჩრდილები გადაეღობა!
 ხოცვამ და ჟღერამ, შემზარავმა ბრძოლამ და მტრობამ
 შიში და ეჭვი დამიბრუნეს, წამართვეს ნდობა!
 ხან დაღვრილ სისხლის ნიაღვარი მელანდებოდა,
 ხან სამარიდან დაჩეხილი გვაში დგებოდა,
 მიქნევდა თავს და მას მეორე ენაცვლებოდა!
 ერთი ქრებოდა და მეორე ისევ ჩნდებოდა!..

ქ ი უ ლ ი

სიზმარს პირუკუ ხსნიან ხოლმე!

კ ა მ ი ლ ი

ვირწმუნო უნდა,

რადგანაც ჩემს გულს ამდაგვარი პასუხი სურდა,
 მაგრამ წადილი, გამხმნარიყავ კეთილი ცოლი,
 მშვიდობის ნაცვლად დაგვირგვინდა ომით და ბრძოლით!

ქ ი უ ლ ი

სისხლიან დღეებს მალე ზავი მოჰყვება ალბათ.

კ ა მ ი ლ ი

გაგრძელდეს ომი! გინდ დაეცეს რომი, გინდ ალბა..
ნუ იმედოვნებ, ჩემო სატრფოვ, და ეს გახსოვდეს,
შენ ჩემი ქმარი არ იქნები აღარასოდეს!
მეომართ შორის ჩემს ცალობას ნურვინ მოელის,
რადგან გახდება რომის მონა ან დამპყრობელი!
არ ვისურვებდი ამნაირი ქმარი მენახა!
ვილაცა მოდის! კურაციუს, ნუთუ შენა ხარ?!

გამოსვლა მისამე

კურაციუსი, კამილი, უიული

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ვინც აქ გახლათ, არ იფიქროთ, რომის მტერია!
ის არ დაგიპყრობთ, არც მონობა არ უწერია!
ხედავთ ჩემს ხელებს? გააფთრებულ მტერთან მორკინალს,
არც რომაელთა სისხლი სცხია, არც შებორკილა!
მეც მეტრფით, რომსაც! ვერასოდეს შეძლებთ არჩევანს,
ჩემი მონობაც გეზიზღებათ და გამარჯვებაც!
რახან ისურვა ზეცამ ჩვენი კეთილდღეობა,
არც დამპყრობელის გვირგვინი მსურს და არც ტყვეობა!

კ ა მ ი ლ ი

ჰო, კარგი რისი თქმაც გწადიათ, ჰე უკვე ვიცი!
გამოექეცით ბრძოლას მედგარს, გატეხეთ ფიცი!
ჩუმიად მოჰპარეთ მამულს ძალა თქვენი ხელების,
რომ ჩამეხვიოთ ვნებიანად და გახელებით!
დაე, გაგვიცხოვონ! თქვენი ქცევა ჩათვალონ მტრობად!
თუკი სამშობლოს ამჯობინეთ ჩემდამი ტრფობა,
რა მოხდა მერე?! გულის სწორი თუ გეყვარებათ,
კამილსაც მუდამ ეყოლებით სათაყვანებლად!..
და, რაც გამოგყვათ მძიმე ვალად მშობლიურ მიწის,
განძია ჩემთვის, რადგან ჩემი ტრფილით იწვეით!
ახლა ეგა თქვით, მამაჩემმა როცა გიხილათ,
მოიღუშა თუ სიამისგან ჩაიღიმილა?

ოჯახზე მეტად განა რომის სიკეთე არ სურს?
მას სახელმწიფო ურჩევნია საყვარელ ასულს
ბედნიერება საბოლოოდ დალოცა ჩვენი?
ისე მიგიღოთ, როგორც სიძე, თუ როგორც მტერი?

კ უ რ ა ც ი უ ს ი

მეძვდა ვით სიძეს, მამობრივი თბილი ალერსით,
და სინარულის შუქი ედგა მოხუცს თვალეში
იცოდეს ღმერთმა, რომ არც მაშინ და არც მანამდე,
თქვენი ოჯახის არ ვყოფილვარ მე მოღალატე.
გგონიათ, ბრძოლა მივატოვე და გავიქეცი?
აღბას ვაღმერთებ და კამილის მონად ვიქეცი!
იმ დროს ალალი სასიძოც და გმირიც ვიყავი,
სატრფოც, ვაჟკაციც, სამშობლოსგან გაურთიყავი.
კურაციუსი, ჯადოქმნილი კამილის ეშხით,
იცავდა მამულს ალესილი მახვილით ხელში!
და თუ ქვეყანამ კვლავ მოგვიხმო თვისი შვილები,
კრემლს დავღვრი თქვენთვის და ჩემს მიწას შევეწირები!
ღიახ, ლაშქარში ვიქნებოდი, ვფიცავარ, ახლაც,
და არ ვიგრძნობდი მამულისთვის ბრძოლაში დაღლას,
მაგრამ მშვიდობამ აგვაცილა ვაება, კენესა,
მისი წყალობით ფრთა შეესხა ოცნებას ჩემსას!

კ ა მ ი ლ ი

რაო?! მშვიდობა?! სასწაულის არ მჯერა, არა!

ქ ი უ ლ ი

გულთმისანს მაინც დაუჯერეთ! ჰო, კარგი, კმარა!
ჯერ ეს გავიგოთ, ვინ გავგიღო სამოთხის კარი,
ვინ ჩამორეკა საოცნებო მშვიდობის ზარი?!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ორი ლაშქარი საბრძოლველად როს განემზადა,
და ყოველ მათგანს მტრის ჩეხვა და მოსვრა ეწადა,
როცა უთრთოდათ ბრძოლის ჟინით მთელი სხეული
და ერთმანეთზე მიიწევდნენ გულამღვრეულნი,

მათ წინ აღუდგა ჩვენი მეფე! აღაპყრო ხელი,
 სთხოვა თქვენს მეფეს, დამდგარიყო ლაშქარი მთელი.
 და როს დადუმდნენ, წამოიწყო: „მკვიდრნო რომისა,
 რომელმა ეშმა მთავავაგონა უინი ომისა?
 შავზნელ ბურუსში ვინ გახვია ჩვენი გონება,
 როცა აღბელი ასულნი გყავთ ერთგულ ცოლებად?!
 დაფიქრდით, ჩვენთან ბევრი არის თქვენი ძმისწული,
 მეზობლები და მოყვრები ვართ, ძმად გაფიცულნი,
 ერთი ვართ სისხლით, წინაპარიც გვყავდა საერთო,
 მაშ, დღეს ჩვენს შორის ომის ცეცხლი რატომ აენთა?!
 დაძაბუნდებით, მოკეთეს თუ ვერ ნახავთ ცოცხალს,
 და გამარჯვების დღესასწაულს ცრემლები მორწყავს!
 ჩვენს ომს ელიან სიხარულით, საერთო მტრები.
 ვინც წაიქცევა, დაჯიჯნიან ისე, ვით მგლები!
 ძლევეამოსილი, ცოცხალ-მკვდარი ვის მოსთხოვს შველას,
 ვინდა უშველის თუ დამხსნელი თვით მოსპო ყველა?!
 ჩვენი ქიშპობით ჩვენი მტრები რომ არ ვახაროთ,
 შევიკრათ მტკიცედ, ერთმანეთის სისხლი არ ვღვაროთ!
 რა ოხრად გვინდა კინკლაობა, ქიშპი და მტრობა,
 ერთმანეთს შორის თუ დავკარგეთ მოყვრობა, ძმობა!
 გაბატონების, ქედმაღლობის მოვსპოთ სურვილი
 და მოისპობა თავისთავად ბრძოლის წყურვილიც!
 რად უნდა ვიყოთ ომისაგან ვნებააშლილი,
 ამას ხომ გვიჯობს ერთობა და მტკიცე კავშირი!
 მოდით, გამოვყოთ მეომრები ყოველ ლაშქრიდან,
 დე, მათ გვიჩვენონ, ბედისწერამ რაც გადაწყვიტა!
 ვინც მოიპოვებს პატიოსნად აქ გამარჯვებას,
 ემონოს სუსტი და ნაწყენიც აღარ დარჩება
 დამარცხებული! ბატონობას ნურავინ ნატრობს!
 ვინც დაეცემა, ქვეშევრდომი იქნება მარტო!
 ნუ დავამდაბლებთ, ნუ შევურცხვენთ მეომრის სახელს,
 მოზეიმეთა აღმებს დაე, ერთგულად გაჰყვეს!
 ამიერიდან იმპერია ვიქნებით ერთი!“
 თქვა და თითქოსდა გადაწყდაო მშვიდობის ბედი
 მტრებმა ერთმანეთს გადახედეს, ენა დაებათ,
 იცნეს ერთურთი მეგობრებმა, ნათესავებმა...

და მათ თვალეზში თითქოს ახლა გამოკრთა შიში,
ვით აპირებდნენ ხელის გასვრას მოძმეთა სისხლში?!
სახეზე ერთად აღებეჭდათ ლხენაც და ძრწოლაც,
თუ ზავი ყველას ახარებდა, აკრთობდა ბრძოლას
მიიღეს რჩევა, მაგრამ დადეს იქვე პირობა,
თუ სურთ ნამდვილად მიალწიონ ნანატრ მშვიდობას,
მეომართაგან საბრძოლველად სამი დარჩება!
ითხოვეს მცირე შესვენება მათ შესარჩევად
და ბჭობენ ახლა, ვინ გავიდეს საასპარეზოდ!

კ ა მ ი ლ ი

შენს მიჯნურს გული სიხარულის შუქით აევსო!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ვიდრემდე ბჭობენ, შესაბმელად ვინ გაიჭრება,
თავისუფლება და სილადე იგრძნეს ბიჭებმა!..
ამ ორ საათში, რასაც ბრძანებს ზეცის განგება,
მათი სვე-ბედიც სწორედ ისე წარიმართება!..
ჩვენთან რომია, ხოლო რომში ჩვენი ბანაკი,
ერთმანეთს ხვდება მახლობელი და ამხანაგი!
მე კი ტრფილით ფრთაშესხმული გავფრინდი თქვენთან,
და მამათქვენმა სიტყვა მომცა თქვენს ძმებთან ერთად:
ხვალადან უკვე შეუღლება შემოგთავაზოთ,
და ჩვენი ნატვრა მით აღსრულდეს, ჩემო ლამაზო!
მჯერა, ხალისით შეასრულებთ მამის ბრძანებას!

კ ა მ ი ლ ი

მშობლის სურვილის უარყოფა შეილს ეკრძალება!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

მამ, გაეშურეთ მამისაკენ ძღვევამოსილი,
რომ მიჯნურობა დაგვირგვინდეს ჩვენი ქორწილით!

კ ა მ ი ლ ი

თქვენთან წამოვალ! მითხრან ძმებმა საკუთარ პირით,
როგორ შეცვალა დაღბინებამ ვაება, ქირი!

ქ ი უ ლ ი

მე კი ტაძარში დავიჩოქებ წინაშე ღმერთის,
წყალობისათვის მადლს ვეტყვი და ვილოცებ თქვენთვის!

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

ჰორაციუსი, კურაციუსი

კ უ რ ა ც ი უ ს ი

უკეთეს გმირთა გამონახვა მართლაც ძნელია,
რომში მოლაშქრე თქვენისთანა სხვა რომელია?!
ღიახ! უკეთესს ვერ ისურვებს კაცი არჩევანს,
თქვენ და ძმებს თქვენსას ჯერ არ განსოვთ მტრის გამარჯვება! }
თქვენმა ჯილაგმა იმდაგვარი მადლი დათესა,
სხვა ოჯახთ შორის რომი თქვენ გცნობთ უპირატესად
და ჩვენც ვირწმუნეთ, რომ თქვენაირ მეომარს ახლა
ჰორაციუსთა მოდგმის გარდა ვერავენ ნახავს.
ეს ბედი სამი ოჯახისთვის საესებით ემარა,
რათა უკვდავყონ ამ კერათა სახელი მარად!
რომაელებმა თქვენ ისეთი პატივი დაგდეს,
სამ ოჯახს თავზე დაადგამდა სამ შარავანდედს.
სახლობამ თქვენმა სიძეობის მომცა უფლება
და მეც კამილთან ვნატრობ ყოფნას და შეუღლებას,
ხოლო საბინი რადგან ჩემი და და ღვიძლია,
თქვენს აღტაცებას ვიზიარებ, ვით შემიძლია.
მაგრამ ტკბილ განცდებს, რაიც მოჰყვა ჩვენს დამოყვრებას,
შეძრწუნება და საზარელი შიში მოჰყვება.
ომის ქარცეცხლში ღეთიურ მადლით ისე ივსებით,
რომ გამარჯვებას ვერასოდეს ვერ ველირსებით!
თქვენ ბედი ისე გმფარველობთ და ისე უყვარხართ,
რომ ალბელები გაიმეტა დასალუპავად.
ალბელებს არა ეშველებათ, უსასოდ შთენილთ,
ამიერიდან ქვეშევრდომი ვიქნები თქვენის!

ჰორაციუსი

აღბა კი არა, რომი არის შესაბრალოსი,
რადგან მოტყუვდა, ბრმად განსაჯა, ბედი თავისი
ჩვენ გვანდო — სამ ძმას. აბა, ეს რა არჩევანია?!
რომში ისეთი ღირსეული მამრნი არიან,
რომ კაცი მათი შეხედვითაც აცახცახდება,
პირისპირ ასეთ მოლაშქრეთა ვინ არ წახდება!
მაგრამ, დე, რისხვა ღმერთებისა დამატყდეს თავზე,
ეს არჩევანი სიამაყის ნექტარით მავსებს!
გულში მინთია ვაჟკაცური რწმენა ისეთი,
მაქვს ჩემი მცირე გულოვნების დიდი იმედი
და რასაც უნდა მიმზადებდეს ბედი მუხთალი,
ო, ვერ დამთრგუნავს, მოწამეა მალლა უფალი!
რომც შეცდეს რომი, რადგან ჩემი ამდენად სჯერა,
ან გაუუმართლებ, ან მახვილის გაეხდები წერა!
ან გამარჯვება, ან სიკვდილი არა, არ ცდება,
ვინც ასე ფიქრობს, არც არასდროს არ დამარცხდება!
ღიადი რომი არასოდეს არ წაქცეულა,
და სულთმობრძავეიც თავს არ ჩავთვლი დამარცხებულად!

კურაციუსი

ვაგლახ! სწორედ აქ ჩემი სულის მომესმის კვნესა:
რაც ჩემს ქალაქს სურს, იგი ზარავს მეგობარს ჩემსას!
ორთავ შედეგი შეჭირვების ლოდად მაწვება,
დაცემა თქვენიც და მშობლიურ მიწის დაცემაც!
აღბას მიზანი სანუკვარი ის არის მხოლოდ,
რომ ამ ჟღერტაში თქვენს სიცოცხლეს მოედოს ბოლო!
თქვით, რა ვიღონო, რა ვარჩიო, ვილოცო ვისთვის?
ასეც და ისეც მჭმუნვარება, ცრემლები მიცდის.
საითაც წავალ, მოლაღატის გზაა ირიბი!

ჰორაციუსი

თქვენ დამითირებთ, თუ სამშობლოს შევეწირები?!
იტყვიან მაინც, ვაჟკაცისგან ეს მსხვერპლი ღირდა,
ვერ ეგუება ცრემლი სახელს დაღუბულ გმირთა!
ჩემს სვეს დავლოცავ, ამდაგვარად თუ უნდა მოვეკვდე,
მამულის ხსნაში მცირე წვლილი ოღონდაც მქონდეს!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

მჯერა, მეგობრებს მაინც მისცემთ ნებას იმისა,
რომ ეწინოდეთ მშვენიერი ამ სიკვდილისა,
რაიც ჯილდოა თქვენთვის, ხოლო სასჯელი ჩვენთვის!
თქვენს უკვდავებას თანატოლთა ცრემლები ერთვის...
ყველაფერს კარგავს დამკარგველი თვისი მეგობრის...
ფლავიანეა...

გამოსვლა მიორა

პორაციუსი, კურაციუსი, ფლავიანე

კ უ რ ა ც ი უ ს ი

გვეტყვი სახელს იმ სამ მეომრის,
რომელნიც ალბამ შეარჩია?

ფ ლ ა ვ ი ა ნ ე

ახლავე გეტყვით.

სწორედ ამიტომ გეახელით.

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ვინ არის-მეთქი?

ფ ლ ა ვ ი ა ნ ე

თქვენა ხართ სამი...

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ვინა?

ფ ლ ა ვ ი ა ნ ე

თქვენ და ორი ძმა თქვენი...

რატომ მიიღეთ ეს ამბავი ასეთი წყენით?

არ გინებართ?

კ უ რ ა ც ი უ ს ი

პატივია ეს ჩემთვის დიდი...

მიკვირს, რამეთუ ამის ღირსად თავს არა ვთვლიდი.

ფ ლ ა ვ ი ა ნ ე

თუ არ გახარებთ ეს პრძანება, დიქტატორს ვეტყვი:
უნდილად შეხვდა კურაციუს ამ ამბავს-მეთქი...
და მეც მოოცებს, აჰგვარ პატივს რად შეხვდით მწყრალად?

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ასე უთხარი: სიყვარულის და ძმობის ძალა
შესწირეს ალბას და სამივე იძლევა სიტყვას,
დაუხვდება-თქო ჰორაციუსთ ელვას და რისხვას!

ფ ლ ა ვ ი ა ნ ე

ახლა კი მიხვდით, მზერას თქვენსას რა სევდაც ახლავს...

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ასე გადაეც ჩვენს დიქტატორს! დაგვტოვე ახლა!

გამოსვლა მისამ

ჰორაციუსი, კურაციუსი

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ამიერიდან ბედისწერამ, ღმერთმა და ეშმამ
ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად თუნდ პირი შეჰკრან!
დე, აგვიმხედრდეს ჯოჯობეთი, ზეცა და მიწა,
მე მათ ვაჯობებ ამ ბრძოლაში, დავჯაბნი, ვფიცავ,
რადგან ვისმინეთ ისეთი რამ და ელდა გვეცა,
შეჰზარავს ყველა ძეხორციელს, სატანას, ღმერთსაც!
მათი სიავე, მრისხანება, წარღვნა და დელგმა
რაა პატივთან, რაიც დავგდო წყეულმა ბედმა?!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

პატივისცემით ბედისწერა ისე გვეპყრობა,
სიქველეს ჩვენსას განგებ უქმნის შესაძლებლობას,
რომ გამოსცადოს ჩვენი ძალა და ერთგულება,
აი, ამიტომ დავგატენხა უბედურება!

სურდა რწმენა და სიმამაცე მოეცა მეტი
და ამის გამო უჩვეულოდ მოგვექცა ბედის
შესარკინებლად რომ უცნობი მტრისკენ გასწიო
და ურდტივინველად მამულისთვის თავი გასწირო,
დაე, მახვილი მტრების სისხლით იყოს ნაფერი,
მამაცობაა ეს უბრალო, სხვა არაფერი
ამგვარ აღსასრულს ყველა ჩათვლის ჩინებულ ხვედრად,
ხალისით გასწევს მთელი ჯარი მის შესახვედრად!
მაგრამ, ალბელო, ის შესწირო სამშობლო მიწას,
ვისაც აღმერთებ და სალოცავ ხატად თელი ვისაც,
არ დაინდო და შებრალებს ღირსადაც არ სცნო,
რომლის დამცველი ცოლისძმაა ან შენი სარძლო;
გაწყვიტო ყველა ეს კავშირი, ხასი მოყვრობა,
მსხვერპლად გაიღო სიყვარული და მეგობრობა,
შესწირო მამულს ის, ვინც შენი ძმა და ღვიძლია,
ასე მოქცევა მარტოოდენ ჩვენ შეგვიძლია!
არცთუ ბევრს ნახავ მოყმეს ამგვარ ღირსებით საყვებს,
რომ სანეტარო დიდებისკენ ილტვოდეს ასე!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ჩვენი სახელი თუმც არასდროს არ წარიშლება
და ასპარეზიც დიდებისკენ გვეპატიყება,
თუმც არანაკლებ შეგვიძლია ღუშმანთ მოსპობა,
ეგ თქვენი წყრომა მიმაჩნია ბარბაროსობად.
ღედამიწაზე არც ერთ გმირს არ დაუდგამს ფეხი,
დაუფლებოდეს უკვდავებას ამგვარი ხერხით!
ძვირად გვიჯდება განდიდების ეს განთიადი,
სისხლიან ნათელს მირჩევნია შავი წყველიადი.
თქვენა ხართ მოწმე, რომ ჭოჭმანი არ დამიწყია
და სიყვარულზე ქვეყნის ვალი არ გამიცვლია,
ვერცა მოყვრობამ, სატრფოსადმი ვერც ერთგულებამ
ვერ დამავიწყა ჭეშმარიტი ვალდებულება.
და რაკი ალბამ ჩემში მსხნელი იპოვა თვისი,
როგორც თქვენ რომმა, მეც გამხადა პატივის ღირსი!
მეც მინდა ალბას გაუთენდეს დილა მზიანი,
მეომარი ვარ, მაგრამ მაინც ადამიანი!

თვალეზში გატყობთ, ჩემი სისხლის დაღვრა გწადიათ,
 მეც უნდა თქვენი მოკვდინება მსურდეს ცხადია!
 მამული მიხმობს, ბედმა დიდი მარგუნა ძრწოლა:
 ძმა უნდა მოვკლა და მისი და შევირთო ცოლად!
 რადგან ასე სწადს ჩემს ქვეყანას, დე იყოს აგრე,
 ყოფა ამგვარი სისხლს მიწამლავს და გულსაც ანგრეც!
 მე ჩემი თავი მეცოდება, მებრალების ისე,
 რომ მშურს იმათი, ვინც ვერ ხედავს სინათლეს მზისა.
 მოვალეობას არ ვაპირებ განვუდგე განზე,
 სულ არ მაშინებს იგი, თუმცა მაშფოთებს ძალზე,
 რაც მომცა — მხიბლავს, რაც წამართვა — იმაზე ვტირი,
 და თუ რომს არად მიაჩნია ამგვარი გმირი,
 მადლობა ღმერთს, რომ არ ეკუთვნის რომს სისხლი ჩემი,
 თუ რომაელი არ ვარ, კაცად ხომ მაინც ვრჩები?!

პო რ ა ც ი უ ს ი

რომაელი რომ გახდეთ, ღირსი ამ სახელისა,
 იმაზე მეტი უნდა შეძლოთ, რაც მე მეღირსა!
 შეუღრეკელი თუა კაცი, მყარი და მტკიცე,
 ის არ დაუშვებს, სარბიელი სისუსტეს მისცეს.
 ვინც უკვდავების გზას დაადგა, ვაშა იმ მხედარს!
 ო, არასოდეს იგი უკან არ მოიხედავს!
 მძიმეა ჩვენი განსაცდელი და მწუხარება,
 მაგრამ გულს კრთობა ოდნავადაც არ ეკარება.
 ვისაც მიმისევს ჩემი რომი, ცაა თავდები,
 არ შევიცოდებ, საკუთარ ძმის მტერი გავხდები!
 ბრმა აღტყინებით დავუხვდები ამგვარ დიდებას
 და ქვეყნად ჩემზე ბედნიერი პრინი იქნება!
 წმიდათაწმიდა ხვედრს ამდაგვარს როცა მოელი,
 უნდა ჩაიხშო სხვა რამ ზრახვა, ზრუნვა ყოველი,
 თორემ სინდისი გილალატებს, შეგეშინდება!
 რამეთუ ჩემი ამორჩევა რომმა იწება,
 იმგვარი ნდომით, ვით შევირთე თქვენი დაიკო,
 მზად ვარ ცოლისძმას მკერდი ახლავ ორად გაგებოთ!
 ენამქვევრობას, ენის ტარტარს ზედმეტს ვერ ვიტან,
 მე ვარ მოსისხლე თქვენი მტერი ამიერიდან!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

არა! კვლავ ძმა ხართი სწორედ ეს მკლავს, რადგან სიმწარე
განდიდებისა, თქვენ რომ ეგ'ხომ მტკიცედ იწამეთ,
თუმც დიადია, ვითარც ჩვენი ტანჯვა-ვარამი,
მხიბლავს და მაინც საშიშია და შემზარავი

ჭ ო რ ა ც ი უ ს ი

რა საჭიროა თვალთმაქცური წილადობილა,
თქვენი ხელობა ცრემლის ღვრა და ურვა ყოფილა,
აგერ ჩემი დაც! მასთან ერთად თუ ატირდებით,
ეკვი არა მაქვს, საუცხოოდ შეხმატებილდებით!
ხოლო მე თქვენს დას მივაშურებ და ასე ვეტყვი:
არ დაივიწყო, რომაელის ცოლი ხარ-მეთქი,
რომც მომკლათ, მაინც ჰყვარებოდეთ, მაგრამ არასდროს,
ჭორაციუსის მიწა-წყალსაც არ უღალატოს!

გამოსვლა მეოთხე

ჭორაციუსი, კურაციუსი, კამილი

ჭ ო რ ა ც ი უ ს ი

დაო, შენც იცი, არჩევანი რომელთ ეღირსათ?

კ ა მ ი ლ ი

ვაგლახ, რომ ჩარხი შეტრიალდა ჩემი ბედისა!

ჭ ო რ ა ც ი უ ს ი

გამხნევედი, კამილ! ჩვენს გვარს ცრემლი როდი უხდება!
თუ საქმრო მძლე და სხივმოსილი დაგიბრუნდება,
გთხოვ, არ მიიღო, ვით ღუშმანი, შენი ძმის მკვლელი,
არამედ, როგორც მეომარი, რაინდი ქველი
ქვეყნის წინაშე ვინც ვალს იხდის, კეთილშობილად
უნდა ჩათვალო! შენი ქმრობის ღირსი ყოფილა!
ცოლად გაჰყევი, დაუფასე ეგ სიჩაუქქე!
ხოლო შენს სატრფოს მზის ნათელი თუკი ჩავუქრე,

ოდეს ლაწევებზე ცხარე ცრემლებს გადმოაგორებ,
ნურც საყვედურს და ნურც სინანულს ნუ გამაგონებ.
დასწყევლე შენი ბედისწერა, რამაც გაგსრისა,
გადმონათხიე მწუხარება, გესლი დარდისა,
შეპრისხე ცა და დედამიწა, მწუხარე ბინდი,
მიჯნური რატომ მომიკლესო, არ დასძრა კრინტი.
(კურაციუსს)

მარტო დაგტოვებთ ერთი წუთით, თუ შეიძლება,
მერე კი წავალთ, სადაც გვიხმობს ჩვენი ღირსება!

გამოსვლა მახუთე

კურაციუსი, კამილი

კ ა მ ი ლ ი

განა სახელი და პატივი თქვენთვის მეტია,
ვიდრე პირუთენელ სიყვარულით როცა გეტრფიან?

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ვაგლახ, რომ ვუწყი, კარგად ვუწყი, რაც უნდა მოხდეს:
ან დარდი მომკლავს, ან თქვენი ძმის ხმლით უნდა მოვკვდე!
მე ამ მადლს ვიღებ ისე, როგორც უმძიმეს სასჯელს,
ვინც ამირჩია, კრულვას ვუთვლი და ვწყევლი ასჯერ!
მაწამებს ის, რომ ვიმსახურებ ამდაგვარ პატივს,
დამსაშავე ვარ სამშობლოსთან და ცაში აღის
ვაება ჩემი!.. მებრალებით თქვენც, ჩემი თავიც...
საასპარეზოდ, რა ვქნა, უნდა გავიდე მაინც!

კ ა მ ი ლ ი

არა! მე გიცნობთ! ჩემგან ელით თხოვნას, მუდარას,
თორემ გულს თქვენსას ტრფობის გარდა არა უნდა რა!
გმირობით ბრწყინავთ!.. თქვენზე უკეთ სხვა ვინ ილაშქრებს?
უდიდესია თქვენი ღვაწლი ქვეყნის წინაშე!
თქვენებრ მებრძოლი და მამაცი ვინმე ყოფილა?
თქვენსავით მიწა მტრის გვაშებით ვინმემ მოჰფინა?

თქვენს შუქს და სახელს ვერაფერი აწ ველარ მოშლის,
დე, ისახლოს თავი სხვადაც სისხლიან ომში!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

დაფნის გვირგვინით თავი რატომ შეამკონ სხვისი,
როცა გვირგვინის და ძეგლისა თავად ვარ ღირსი?
არ მსურს სამშობლომ დამიწუნოს რკინის მარჯვენა,
რომელსაც ძალუძს მოუტანოს მას გამარჯვება
თქვენდამი ვნებით გათანგული ჩემი დიდება
და ვაჟკაცობა საძრახისად დაგვირგვინდება
ოხ, ალბა! ჩემში ბრძოლის ყინი აღარ დაცხრება,
ჩემზეა შენი გამარჯვება ან დამარცხება!
რახან მოგვანდე მე და ჩემს ძმებს ბედი, იცოდე,
თავს არ შევირცხვენ, ან თუ მოვკვდე, ნუ შემიცოდებ!

კ ა მ ი ლ ი

მაგრამ ამით რომ მე მლალატობ?

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ზეცის ნებაა!

კაცის სიცოცხლე მისი მიწის საკუთრებაა!

კ ა მ ი ლ ი

შორდები სიძეს! გაშორდება შენი დაც, ალბათ,
მეუღლეს თვისას!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

მეც ეს მტანჯავს! რომმა და ალბამ
საასპარეზოდ როცა მე და თქვენი ძმა გვისმო,
ღისა და სიძის ნეტარ სახელს წაართვა სიტბო!

კ ა მ ი ლ ი

ნუთუ შენ შეძლებ, გეცხოს სისხლი ჩემი ძმებისა,
და ხელი მთხოვო, როგორც ჯილდო გამარჯვებისა?!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ნულარ მაგონებთ, დავიწყებას ვნატრობ რაისაც,
ჩვენი ტრფიალი ავბედობის ბინდმა დანისლა.
ნუ ტირით, კამილ!.. გევედრებით...

კ ა მ ი ლ ი

რად ამატირეთ?

მიჯნურმა ჩემმა სასიკვდილოდ როგორ გამწირეთ?
როცა აანთო ჩირალდანი ჩვენთვის ჰიმნევესმა,
საზარელ შხამით თქვენი გული რად დაიგესლა,
რატომ ჩააქრეთ?.. ბოროტებას რატომ მინებდით,
რად მატყუებდით, მიყვარხარო, თუ მაკვლინებდით?!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

რა მეტყველია ცრემლთა ელვა სატრფოს თვალეში,
ღვთაებრივ სახეს როცა ახვევს სიმწუხარეში
გული მიკვდება, როცა მიჯნურს ნაღვლიანს ვხედავ,
რწმენაც მერყევა და პატივის შერისხვას ვხედავ...

სევდა-ვარამით ნუ გამდრიკავთ, ღმერთებს გაფიცებთ,
მოვალეობას ცხარე ცრემლით ნუ დამაგიწყებთ.

ვყოყმანობ, ვეჭვობ და ძალ-ღონეც მეღევა, ვატყობ,
კურაციუსში მეომარი დაჩრდილა სატრფომი
თუკი ვაჯობე მეგობრობას, გამტეხა თითქმის,

ხომ უნდა ვძლიო სიყვარულს და ნანატრის ქვითინს?

ნუ მებრძვით ცრემლით! სულ ერთია არ დაგთანხმდებით,

თქვენს ყოველ მოთქმას მრისხანების ცეცხლით დავხვდები!

თავს სისასტიკის ისრებისგან უმალ დავიცავ,

არ მსურს ცრემლების აღმოდებულ ტბაში დავიწვა.

გწყევლით! დამსაჯეთ! უმადურზე შური იძიეთ!

არ მიჯავრდებით?! გული მაინც ვერ გაგიციეთ?!

თავლაფს რომ გასხამთ, რად არ ჰგოდებთ ბოღმით, სიმწარით?

წავიდა, გაქრა ტრფობა ჩვენი, ვითარც სიზმარი!

შეგეწირები, სათნოებავ, მსხვერპლად, ზვარაკად,

და მაინც უნდა გილალატო, სხვა გზა არა მაქვს!

კ ა მ ი ლ ი

ნუ უღალატებ, და ღმერთები იყვნენ თავდები,
კი არ შეგრისხავ, უფრო მეტად შემიყვარდები!
რაგინდ მზაკვარი იყო, ჩემთვის ხარ სათაყვანო,
ნუ, ნუ ისწრაფი ძმების სისხლი ჩქარა დაღეარო!
ნეტავ შენც იყო რომაელი, შევკრავდი ამ წუთს
გვირგვინს და თავზე დაგადგამდი ლამაზად დაწნულს,
ტანზე სასწრაფოდ აგასხამდი ბეგთარს საომარს,
გაგამხნევებდი, შეგმატებდი გამბედაობას!
ღირსი ვარ ვიყო ღმერთებისგან აწ გამიჯნული,
ძმას რომ ვლოცავდი და გაწირვა მსურდა მიჯნურის...
დაბრუნდა! ქვეყნად არ იქნება ჩემსავით კრული,
თუ ცოლმა მასაც ვერ მოუღობო სიკერპე გულის!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ა მ კ ს ე

შორაციუსი, საბინი, კურაციუსი, კამილი

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ცაო, ჩემს გულის დასათრგუნად რომ არ იკმარე
საცოლე, ვხედავ, ახლა კიდევ და მომიყვანე?
თუ ეს დევგმირი ცოლის ცრემლმა გატეხა, უცდით
მეც მისებრ გავტყდე და შევიქმნე ჯაბანი, სუსტი?!

ს ა ბ ი ნ ი

გთხოვ, ძმაო ჩემო, შემისრულო სურვილი ბოლო,
განშორებამდე მოგეხვიო, ეს მინდა მხოლოდ.
თქვენნი სისხლი მაქვს! თქვენს ღირსებას მეც თქვენებრ ვუვლი
და არ ვეცდები აგითრთოლოთ ვაჟკაცებს გული!
თუ ჩემი ცრემლი თქვენს სიმტკიცეს ცვილივით დასწვავს,
არ გიწოდებდით არასოდეს არც ქმარს და არც ძმას.
თუ ნებას მომცემთ, კიდევ ერთს გთხოვთ: გამხადეთ ღირსად
ვიყო ერთგული ამგვარი ძმის, ამგვარი ქმრისა.
თქვენს სათნობას მკრეხელობა ვაშორო მინდა,
რომ არ შებღალოს თქვენი სული წმიდათაწმიდა!

რომ არ ჩაგთვალონ დამნაშავედ, რახან გაგწირათ
 ბელ-ილბალმა და ერთმანეთის მტრებად გაქციათ.
 ნათესაობის მე ვკერავდი თქვენს შორის კავშირს,
 მე რომ არ ვიყო, თქვენც უცხონი იქნებით მაშინ.
 იავარპყავით ეს მოყვრობა, მოსპეთ სრულიად,
 რადგან სულს თქვენსას მძულვარება უფრო სწყურია.
 ჩემი სიკვდილით მოიპოვეთ უფლება ზიზღის,
 ასე სურს ალბას, დიდი რომიც ამისთვის იბრძვის!
 მომაშთეთ ერთმა, რომ მეორემ შური იძიოს,
 და ამ ბრძოლაში უხიაკად არ გაიწიროს!
 ალალ მეომრად ღმერთი თქვენში მას მაინც ჩათვლის,
 ვინც სისხლს აიღებს თავის დისთვის ან ცოლისათვის!
 მაღალ სიქველის ბრწყინვალეებას, გთხოვთ, ნუ წაბილწავთ
 და სხვა საბაბით სიცოცხლესაც ნუ გადაიწვავთ!
 გწამდეთ, სამშობლო არ დაგაკლებთ კრულვას და წყევლას,
 თუ მტრების ნაცვლად არ მიუტანთ მოყვარეს მსხვერპლად!
 მას სურს, არ გაჟღდეთ ერთმანეთი და ისე მოკვდეთ!
 ნულარ აყოვნებთ, მოსახდენი ახლავე მოხდეს!
 ნუ გებრალებათ, სასიკვდილოდ გამიპეთ მკერდი,
 სისხლში შეღებეთ ჩემი ძმების და ერთადერთი!
 აჰა, რას უცდით? ვერ გაიგეთ? ჩემით დაიწყეთ,
 თქვენი სიცოცხლე ნამდვილ მსხვერპლად რომ გადაიქცეს!
 ზეცამ ინება, ჩენი სისხლი რომ აერია,
 ძმა ალბელი მყავს, ხოლო ქმარი რომაელია,
 მე კი ორთავე! იმისათვის არ მკლავთ კიდევაც,
 თქვენს გამარჯვებას რომ დავესწრო და თქვენს დიდებას,
 ვნახო მოკლული ან ღვიძლი ძმა, ან ჩემი ქმარი,
 დაფნის გვირგვინზე ძვირფას სისხლის ვიხილო ცვარი!
 აბა ორთავეს სული როგორ გაგინაწილოთ?
 ძმა რომ დავლოცო, უმაღ ქმარი უნდა გავწირო.
 ღიმი ვაფრქვიო აღზევებულს, მორეკილს ცრემლი?
 ოჰ, არა, არა, მე ამდაგვარ სიცოცხლეს ვწყევლი
 ომს ვერ დავუტედი, რომელიმემ გამიპეთ მკერდი,
 თორემ ახლავე თავს მოვიკლავ, მოვიკლავ-მეთქი
 კერპო მხედარნო, რას აყოვნებთ! ბოლოს და ბოლოს,
 ჩავაქრო თქვენი ალტყინება მე ძალმიძს მხოლოდ!

როს ერთმანეთზე ხმლებს აღმართავთ, რალას გახდებით,
გულგანგმირული როცა ფერხთქვეშ ჩაგეარდებით?!
უარს თუ მეტყვიოთ, ეს მახვილი, ვფიცავარ, მყისვე,
ჩემში გაივლის და თქვენს სხეულს განგმირავს ისე!

ჰო რ ა ც ი უ ს ი

ოჰ, ცოლო!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

ღაო!

კ ა მ ი ლ ი

ყოჩალ, საბინ! ტყდებიან, ვატყობი

ს ა ბ ი ნ ი

მკვდრის ფერი გადევთ! ოხვრა რატომ აღმოგხდათ, რატომ?
შიშმა შეგიპყროთ? აბა რატომ გაკმიდეთ ენა?
რომის და ალბას დამცველები თქვენა ხართ, თქვენა?!

ჰო რ ა ც ი უ ს ი

აგრე რად ელტვი შურისგებას, რას მემართლები,
რად მებრძვი ასე უღმობელად და შემართებით?
რას ერჩი პატივს, რაც ქვეყნისგან დავიმსახურე,
სიქველეს ჩემსას სიძულვილით რატომ დაპყურებ?
იკმარე, საბინ, აგრერიგად რომ აეწრიალდი,
და მომეც ნება დავასრულო ეს დღე დიადი.
ან დაკნინება ჩემი სულის რად სთხოვე გამჩენს?
გიყვარდე ისე, საამაყო მეუღლედ დავრჩე!
საეჭვოდ ნუ ხდი გამარჯვებას, დაგვტოვე ჩქარა!
რატომ ვკამათობთ უსაფუძვლოდ ამდენ ხანს, კმარა!
მსურს სასახელოდ დავასრულო დინება დღეთა!

ს ა ბ ი ნ ი

აწ ნულარ შიშობ, ჰა, მაშველნი მოდიან შენთან!

გამოსვლა მეშვიდე

მოხუცი ჰორაციუსი, ჰორაციუსი, კურაციუსი, საბინი, კამილი

მოხუცი ჰორაციუსი

რა მოხდა, შვილნო? აპყოლინხართ ღელვას ვნებათა?
დედაკაცებთან დროს რად ჰკარგავთ, რა დაგემართათ?
აღსდექით, მტერთან შესაბამელად გასწიეთ მალე,
აქ რას დამდგარხართ, ეგ ცრემლები დაუთმეთ ქალებს,
ამათ თუ ყური დაუგდეთ და დიდხანს იდგებით,
მათი გოდება გაგალბობთ და თქვენც ატირდებით.
გაიქეცით და აიცდინეთ ცდუნება ჩქარა!

საბინი

ნუ შიშობთ, მათზე არ მოქმედებს მუდარა, არა!
რა არ ვეცადეთ: თხოვნით, ხვეწნით, ვაით და ვიშით,
ვერ დავიყოლეთ თქვენი მოდგმა და თქვენი ჯიშო,
ჩვენი კვითინით გული ოდნავ თუ უნაზღვრათ,
მობრძანდით თქვენ და ძალგიძთ კიდევ მათი აღგზნება,
წავიდეთ, დაო, ვაებაში აბა რა ჰყრია,
მათთან ბრძოლაში იგი ჩლუნგი იარაღია.
სასომიხდილნი დაგიტირებთ კვნესა-გოდებით,
წადით, იბრძოლეთ, ჩვენ კი სიკვდილს დაველოდებით!

გამოსვლა მერვე

მოხუცი ჰორაციუსი, ჰორაციუსი, კურაციუსი

ჰორაციუსი

ძალზე ღელავენ, მამაჩემო, ჩვენი ქალები,
მიხედეთ, გარეთ არ გაუშვათ, გემუდარებით!
მათი ვაება, გულის ხეთქა და აწივლება,
ბრძოლას ჩაგვიშლის და შეგვარცხვენს აუცილებლად!
უფრთხილდით, თორემ მათ უზნეო დედაკაცობას
მიიჩნევს ყველა ჩვენს სილაჩრედ და თვალთმაქცობად

და ეს პატივი, დაფასება, ჩვენი ღირსება,
სამართლიანი დაექვეებით დაინისლება.

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

მათ მე მოვუვლი! თქვენ კი წადით, ძმები გიცდიან,
მამულს შესწირეთ ყველაფერი, რაც შეგძლიათ!

კ უ რ ა ც ი უ ს ი

რა ვთქვა წასვლისას აღარ ვიცი, სიტყვებს დავეძებ...

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ვერ ამიჩვილებთ გულს ვერაფრით!.. იასპარეზეთ,
როგორც ვაჟაკებს ეკადრება! არ მყოფნის სიტყვა
ცასამხნევებლად! როგორც მინდა, ისე ვერ მითქვამს!
თვალცრემლიანი გეთხოვებით! თქვენ მოიხადეთ
თქვენი ვალი და დანარჩენი ღმერთებს მიანდეთ!

მ ე ს ა მ ე მ ო ჟ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

ზ ა ბ ი ნ ი

რა გზას დავადგე, სულო ჩემო, მარქვი, რა გიყო,
ვიყო ერთგული მეუღლე თუ მკვიდრი და ვიყო?!
ორად ნუ გავყოფთ ჩვენს სურვილებს, რაღაც ვილონოთ,
ვეცადოთ, მძიმე განსაცდელმა არ დაგვიმონოს.
ვის მივეკედლო, ვის მივემხრო, რომ აღარ ვიცი?
მტრად ვინ ვიგულო: მეუღლე თუ ჩემი ძმა ღვიძლი?
ქმარს სიყვარული იცავს, ძმას კი თვითონ ბუნება,
და ორივესთან მიმაჯაჭვა ვალდებულებამ!
მათ მაღალ ზრახვებს უნდა აჰყვეს ჩემი ფიქრები,
ვიქნები ცოლიც და სამი ძმის დაიც ვიქნები!
ოთხთა წინაშე, ვით ღმერთებთან მუხლებს მოვიყრი,
მათ ვაჟკაცობას მეც მივბაძავ, ქედს არ მოვიხრი!
მათი სიკვდილი ლამაზია, ვითარც ოცნება,

როდი შემაკრთობს არნახული ეგ საოცრება!
 მართლად თუ განვსჯი, არც ბედი მაქვს უსასტიკესი,
 მსხვერპლი კი არა, მთავარია მსხვერპლის მიზეზი!
 აღგვაფრთოვანოს გამარჯვებამ და აღტყინებამ
 ძლევამოსილის მთელ ოჯახს რომ მოეფინება!
 ნულარ ვიფიქრებთ, როგორ გახდა ქვეყნის დამხსნელი,
 რა სისხლის ფასად ამობრწყინდა მისი ნათელი.
 ოჯახის ნდომა, ვფიცავ, ჩემი სურვილიც არი,
 ერთის შვილი ვარ, მეორესი ქებული რძალი
 ხუნდებით ისე მივიჯაჭვე ეს ვაჟკაცები,
 ორივე ხელი მომაწყდება ერთის დაცემით!
 ო, ბედისწერავ, შენი გესლი თუმცა მწარეა,
 შენი სიმკაცრე მაინც მხიბლავს და მიხარია
 ვკვრეტ შეტაკებას უშფოთველად ჩემი მკვიდრების,
 მკვდარს არ ვიტყვებ, ცოცხლისათვის არ შევშინდები!
 ოი, ოცნებავ, საამოვ და თანაც მაცდურო,
 ჯანო, შუქისგან სულმთლად დაცლილ-გამონაწურო,
 სხივო, წამით რომ ცის ტატნობზე ავარვარდები;
 დამაბრმავებ და სიზმარივით ხელად გაქრები,
 უკუნეთში რომ ელვასავით უცბად ინათებ,
 დაისს განაგდებ, ბნელეთს უფრო გააწყვდიადებ,
 ასე მალიად გაიბრწყინე შენ ჩემს თვალებში,
 რომ ჩაგეძირე მწუხარების მრუმე ღამეში.
 შენი ციაგი კაეშნიანს მხიბლავდა უცებ,
 ძვირად მისვამდი დალხინების ხანმოკლე წუთებს!
 ჩემს გულს დარდების უამრავი დაესო ხმალი,
 მიმკურნალებენ ისევ ძმები, ან ჩემი ქმარი!
 მათ აღსასრულზე როცა ვფიქრობ, საბაბზე მეტი
 ჭმუნვის მიზეზად მესახება მებრძოლთა ბედი!
 და მას მარჯვენა წმინდა სისხლში ამოესვრება,
 ვინც განდიდებას ამდაგვარი მსხვერპლით ეცდება
 დამდაბლებულის ოჯახს ვგლოვობ და დავტირივარ,
 ერთის ცოლი ვარ, მეორესი ქალიშვილი ვარ!
 და ეს ჯაჭვები ისე არის გადახლართული,
 გამარჯვების ხმა მომესმება, როგორც დასტური
 მისი სიკვდილის, ვინც ძალიან მიყვარდა ერთ დროს,

თქვენი მშვიდობა, თქვენი ზავი ეს არის, ღმერთნო?!
თუ მფარველობას ზეცისაგან ესრეთს მოველით,
რისხვის ქამს, ალბათ, რა მკაცრი ხართ, რა უღმობელი..
ან როგორ დასჯით მკრეხელობას და ბოროტებას,
თუ სჯით ამგვარად კეთილშობილ სულის გოდებას?!

ბამოსვლა მეორე

საბინი, ქიულო

ს ა ბ ი ნ ი

ვინ აღესრულა, ვინ ემსხვერპლა მახვილს ალესილს,
ჩემი ძმები თუ ჩემი ქმარი უსაყვარლესი?
თუ მათ უწმინდურ იარაღებს ბედმა დასცინა
და ვით ზვარაკი სათითაოდ ყველა გასწირა?!
იქნებ სურს ზიზლით მოზეიმე არ გავახარო,
და მომიწოდებს, ყველასათვის ცრემლი დავღვარო?!

ქ ი უ ლ ი

ნუთუ არ იცით, ზენაარსმა რარიგ ინებბ
შეცვლა ყოვლისა?

ს ა ბ ი ნ ი

მე საიდან მეცოდინება?
როს მამამთილმა ჩვენთვის დიდი ზრუნვა გასწია
და ეგ სასახლე სატუსალოდ გადააქცია!
მე და კამილი დაგვამწყვდია, რადგან ელოდა
შვილი და რძალი ბრძოლის ველზე გაიჭრებოდა!
და ჩვენი ურვა, ვაი-ვიში, კვნესა-გოდება
ორივე ბანაკს სიბრალულით აათრთოლებდა!

ქ ი უ ლ ი

ნუ გაირჩებით, ვარამი და სევდა გეყოფათ!
ასპარეზობას დაბრკოლება გადაეღობა.
და აი, როცა ქამი დადგა ბრძოლის დაწყების,

გაისმა ღრტვინვა და ყიჟინა ჯარისკაცების.
რა დაინახეს, მოყვრებს შორის იწყება შეხლა,
ეწირებიან ვაჟკაცები სამშობლოს მსხვერპლად,
ერთს სიბრალული გაეღვიძა, მეორე შეკრთა,
მესამე ბრძოლის გააფთრებას ზეიმით შეხვდა,
ზოგი თვლის სულის სიღიადედ გმირობას ამგვარს,
ზოგმა უხეში მკრეხელობა შეარქვა ამას;
ბოლოს ვინც გამობდა ამ საქციელს და ვინც იცავდა
გაერთიანდნენ, პირი შეკრეს, ყველა კიცხავდა,
ბარბაროსული შერკინებით აღშფოთდა ყველა,
ყვირილ-ყიჟინით განაშორეს მებრძოლნი ხელად!

ს ა ბ ი ნ ი

დიდო ღმერთებო, მომიტევეთ, თუ რამ შევცოდე...

ქ ი უ ლ ი

არ კი შეგფერით დამშვიდებით იყოთ ესოდენ!
იმედის შუქი გამოკრთაო, ეს როდი ნიშნავს,
რომ მივალწიეთ სანუკვარი მშვიდობის მიჯნას!
ვინ შეაჩერებს ქედმაღლური ბუნებით სავსე
მამაც რაინდებს სახელოვან დიდების გზაზე?!
რაკი განგებამ უწყალობა ასეთი ბედი,
მათში სურვილს და ჟინს ბრძოლისა ვერ ჩაკლავს ღმერთიც!
გმირს უხარია, როცა ესმის ნაღარის ცემა,
სიბრალული კი მიაჩნია თავხედურ ქცევად!
სწამს, რომ ბანაკთა აღშფოთება მის სახელს არცხვენს,
ბრძოლის დათმობა ამიტომაც არ უნდა არც ერთს!
ვინც დაიმონებთ, უჯობთ იმან გაუპოს მკერდი,
ვიდრე უარჰყონ სასახელო ამგვარი ხვედრი!

ს ა ბ ი ნ ი

ოჰ, რა ჯიუტნი არიან და კერპი გული აქვთ!

ქ ი უ ლ ი

ყველა აჯანყდა! ზოგს ახლავე ბრძოლა სწყურია,
ზოგი მოითხოვს ზავს, მშვიდობას და შერიგებას,

შფოთვა, გნიასი ერთმანეთში ისე ირევა,
არვინ დაგიღვეთ არც უფროსებს და არც წოდებას,
მეფეც განცვიფრდა და მეომრებს ეს უთხრა მხოლოდ:
„რადგან თქვენს დაეას და თქვენს კამათს არ უჩანს ბოლო,
ღმერთებს მივმართოთ! დე, განაგოს განგებამ მალლა,
ჯობს მორკინალთა შერიგება, თუ სისხლის დაღვრა?
თუ ზეცამ ზავი უარპყო და ბრძოლა ინება,
ჩვენი ვალია უდრტვინველად დამორჩილება!“
მეფის ნათქვამმა იმოქმედა ყველაზე ისე,
ექვსივე მებრძოლმა იარაღი დაყარა მყისვე!
თუმცა ექვსივე აღზევების წადილით თრთოდა,
უნდა ესმინათ ზენაარსის, სხვა რა გზა ჰქონდათ!
და ტულიუსის ბრძნულმა აზრმა ქცეულნი ხელად,
რიდით თუ კრძალვით უნებლიეთ მოტეხა ყველა!
ორთავ ლაშქარი გადაიქცა ერთ ლაშქრად თითქოს,
თითქოს ორთავეს მბრძანებელი ტულიუს იყოს.
თუ რა მოხდება, მსხვერპლთშეწირვის შემდეგ გვამცნობენ!

ს ა ბ ი ნ ი

მწამს, რომ ამ ბრძოლას — ბოროტეულს ღმერთნი დაგმობენ!
არ სცნობენ, როცა უკეთური ბრძოლა ცხადდება,
და ჩემი ნატვრაც სიზმარივით ამიცხადდება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ს ა ბ ი ნ ი, კ ა მ ი ლ ა, უ ი უ ლ ი

ს ა ბ ი ნ ი

კარგი ამბავი შევიტყვე და უნდა გახარო!

კ ა მ ი ლ ი

მეც ვიცი, მაგრამ კარგ ამბავად როგორ ჩავთვალო?!
მამაჩემს უთხრეს, მაგრამ ისე გასახარელი
ვერა ვისმინე, გადამყროდა სევდა-ნაღველი.
ღრობით თუნდაც შეწყდეს ქლეტა და სისხლში ცურვა,

გახანგრძლივდება მხოლოდ ჩვენი ვიში და ურვა.
შეება ერთი გვაქვს, თუ ღმერთებმა ასე ინებეს,
მოგვიანებით დავიტირებთ დასატირებელს.

ს ა ბ ი ნ ი

ღმერთებმა მამ რად შთააგონეს ხალხს აჯანყება?

კ ა მ ი ლ ი

მერწმუნე, ზეცა მშვიდობაზე არ დათანხმდება,
ეს არჩევანი თვით ღმერთებმა არ გვიკარნახეს...
არა ერის ხმა, ხმა ღვთისაა, ბედს რომ განაგებს!
გულგოროზ ღმერთებს ძირს დაშვება არც ისე უყვართ,
მხოლოდ მეფის სულს ეწვევიან ხანდახან სტუმრად,
რამეთუ მეფე, რომლის ძალას მორჩილებს ყველა,
ღვთაებრიობის იღუმალი ნათელით ელავს!

ქ ი უ ლ ი

რადა ქმნით, კამილ, დაბრკოლებას ნაძალადევად?
გახსოვთ, მისანმა რა გაუწყათ? მოგვი არ სცდება!
რად გსურთ ჩათვალთ დაკარგულად უკვე ყოველი,
ნანატრ იმედის აღსრულებას სანამ მოელით?!

კ ა მ ი ლ ი

მოგვი-მკითხავი არასოდეს ნიღაბს არ იხსნის,
ნაკლებად გესმით მისნის, როცა მისი ხმა ისმის,
ბრძენის ღალადში თუ ვერ ამჩნევ ფარულ ცდუნებას,
ვაი უბედურს, მის განაჩენს ვინც ერწმუნება!

ს ა ბ ი ნ ი

გვმართებს ვუსმინოთ ზენაარსს და რწმენით ვიცადოთ,
რათა სიამე სასოების კვლავ განვიცადოთ!
აღსავლის კარებს როცა ზეცა ნახევრად გვიხსნის,
თუ არ იწამე, არ იქნები არც მისი ღირსი!
და ჩვენი სული ღვთის განაჩენს თუ არ ენდობა,
ბედნიერებას გააძევებს უიმედობა!

კ ა მ ი ლ ი

ყოველ მოვლენას თვით განაგებს ზეცა იმთავად
და აწესრიგებს საქმეს ხალხის დაუკითხავად!

ქ ი უ ლ ი

ნუ შიშობთ, მადლი დაიფრქვევა ზეციდან მალე!
მშვიდობით, წავალ გასაგებად, რა ხდება გარეთ.
მწამს, ჩემს მოსვლამდე მოგცილდებათ ჭმუნვა და დარდი,
კვლავ აღივსებით ვნებისა და ტრფიალის მადლით!
აწ გულში ნულარ ჩაიგუბებთ ნალველს გესლიანს
და საქორწინოდ მოემზადეთ, უმჯობესია!..
ასე იქნება!

კ ა მ ი ლ ი

არა მგონი! რა ვქნა, არ მჯერა!

ქ ი უ ლ ი

არ გჯერათ? საქმით დარწმუნდებით, კამილ, ამჯერად!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ა

ს ა ბ ი ნ ი , კ ა მ ი ლ ი

ს ა ბ ი ნ ი

მსურს არ დავმალო და პირდაპირ გითხრათ სათქმელი:
რად დაგიშრიტათ მწუნხარებამ გულში ნათელი?
ნეტავ თქვენ როგორ გაუძლებდით გასაჰირს ამგვარს,
თქვენც რომ გხედავდეთ განსაცდელის პირისპირ დამდგარს,
ელოდეთ დარტყმას ყოველ წუთში საბედისწეროს
და ბოროტებამ გული ბოლმით რომ დაგისეროთ!

კ ა მ ი ლ ი

თქვენი თათბირი არც მე მომწონს! ქვეყნად არავის
არ შეაწუხებს სხვისი გვემა, სხვისი ვარამი
დაფიქრდით, როგორ შეეწირა ეს სული ზეცას
და სიზმრად ჩათვლით თქვენს კაეშანს და ურვას თქვენსას!

რაა საშიში თქვენი ქმარის სიკვდილის გარდა,
ძმები ვით უნდა შეაწონო საყვარელ ქმართან?
ოჯახის შექმნას ჰიმენევის როცა ხელს უწყობს,
საკუთარ ოჯახს ამავე დროს გაგვიხდის უცხოდ.
ცოლ-ქმრის კავშირი ყველაფერზე მეტია! ოდეს
მიჰყვები შენს ქმარს, მეყვსეულად შორდები მშობლებს!
მაგრამ იმ ჭაბუკს, რომელზედაც ქალი თხოვდება,
ქმარს ვერ შეადრი, სიყვარულით ძმებს უტოლდება!
ორთავე გრძნობა ჩემს სურვილებს იმგვარად უხმობს,
ვერ ავარჩიე, რომელია მთავარი უფრო!
თქვენ კი ამჟამად მისწრაფება ერთი გაქვთ მხოლოდ:
გადარჩეს ქმარი, რაც თქვენს შიშსაც მოუღებს ბოლოს!
და ჰა, დასასრულ, როს დაგვატეხს რისხვას განგება,
ნატვრაც, სურვილიც, ყველაფერი დამეკარგება!

ს ა ბ ი ნ ი

როს ერთის ხელით მეორესი ხდება მკვლელობა?!
ოხ, რომ იცოდეთ, რა ყალბია ასე მსჯელობა!
სხვაგვარად გვიყვარს მეუღლე და ძმები — სხვაგვარად,
მშობლებს რომ ტოვებ, ხმა სისხლისა ხომ არ ჩამწყდარა?!
მცდარია ყველა, ვინც ორივე გრძნობას არ უვლის,
ძმების სიძულვილს სულ არ ნიშნავს ქმრის სიყვარული.
ტრფობის უფლებას ბუნება თუ უხვად იძლევა,
სხვისი სიცოცხლის ხარჯზე მაინც არ შეიძლება!
თვალის ჩინია ჩემი ქმარი! ძმები ღვიძლია!
და არ ვიდარდო ორთავეზე, არ შემიძლია!
მაგრამ მიჯნური, ვინც ესოდენ ახლოა გულთან,
ხომ შეიძლება არ აღმოჩნდეს, როგორიც გსურდა?!
ქმარა ოდნავად დაეჭვდე, ან ცუდად განეწყო,
რომ გულგრილობამ სიყვარულის ცეცხლი წარეცხოს!
დაქორწინებას სულ მცირედი მიზეზიც ჩაშლის,
კაცში თუ შევცდი, არ ვისურვებ არც მასთან კავშირს!
ბოროტებაა შეადარო ტრფიალი იმას,
ვინც შენი სისხლთა სისხლია და ყრმობიდან გიყვარს!
მაგრამ თუ რისხვა ღმერთებისა კვლავ არ აგვცდება,
ნატვრაც, სურვილიც, ყველაფერი გამიქარწყლდება!

ერთ რამეზე რომ ოცნებობდეთ, თქვენ გაქვთ უფლება,
ძმები გადარჩენენ! ამით ნატვრაც აგისრულდება!

კ ა მ ი ლ ი

რომ წარეტაცეთ ნამდვილ ტრფობას, ჯერ არ გიცდიათ,
და ჭეშმარიტი სიყვარული არ განგიცდიათ!
ახლად ჩასახულ მიჯნურობას გაუმკლავდები,
ხოლო თუ გულზე გაბატონდა, ვერას გახდები!
და ამ სიყვარულს თუ გაჰყევი უდრეკი რწმენით,
იცოდე, იგი უძლეველი მეფეა შენი!
შეფარვით იწყებს, მაგრამ წამსვე ცეცხლი გედება,
ვნების ანკესი როცა გულზე წამოგედება!
ამაო არის მასთან შებმა და შეჭიდება,
ვერ შეაჩერებ, რაიც შენს გულს აგრე სჭირდება!
ჯაჭვები მათი ძალუმი, წარმტაციც დიდად!

გამოსვლა მხუთე

მოხუცი ჰორაციუსი, საბინი, კამილი

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

მოვედი, რათა სამწუხარო ამბავი გითხრათ!
ვაგლახ, რომ არ მსურს ეგ სიმართლე პირში გახალოთ,
გარნა მეც რა ვქნა, ან სანამდე უნდა დავმალო?
ბრძოლა დაიწყო! ასე ბრძანა უზენაესმა!

ს ა ბ ი ნ ი

ვაი, ეს რა თქვეით, მამამთილო, ო, ეს რა მესმა!
მე არ მეგონა, უსამართლო თუ იყო ღმერთი,
ვფიქრობდი, მეტი სიკეთე სურს ხალხისთვის-მეთქი.
და თუ განგებას ჩვენი ტანჯვა ეგზომ სწყურია,
სიბრძნეც, გონებაც, შეწყალებაც უსუსურია.
დაგვრჩა უსაზღვრო მწუხარება და სიმძიმელი,
სევდას დათრგუნავს, ვისაც უნდა მხოლოდ სიკვდილი!
თორემ ჩვენ ძალგვიძს კაეშანი და უმწეობა

ძალზე ადვილად მოგაჩვენოთ სულის მხნეობად.
თუმც ასეც ხდება: ფლიდი კაცი, ლირფი და მრუში,
თავს იკატუნებს და გვიფარავს, რაცა აქვს გულში.
მამაკაცთათვის დაგვიტმია ეს ხელოვნება,
ჩვენ კი დავრჩებით გულწრფელობის ერთგულ მონებად.
ნუ იმოქმედებს თქვენზე ჩვენი ცრემლი და მოთქმა,
რომ არ დაკნინდეს შეუღრეკელ მამაცთა მოდგმა!
მხნედ შეეგებეთ სასიკვდილო ბუქს და ნალარას,
გვიყურეთ, ცრემლმა ჩვენი სახე როგორ დაღარა.
მაგრამ ამას გთხოვთ, რაც არ უნდა ცრემლები ვლვართო,
არ აგვყვეთ ჩვენ და ქელი ოღნავ არ მოიხაროთ!

მ ო ხ უ ც ი კ ო რ ა ც ი უ ს ი

თუ ბრძოლა თქვენთვის მწუხარების საბაბს იძლევა,
ცრემლების ღვარის შეკაეებაც არ შეიძლება,
მეც კი მომდრეკდა მწუხარება, რაც გულზე გაწევთ,
რომ აეყოლოდი თქვენნაირად ნაღველს და განცდებს.
ნუ ფიქრობთ, გულში თქვენი ძმების მტრობას ვატარებ,
ვით მახარებდა მათი ხილვა, კვალად მახარებს.
მაგრამ სისხლი და ნაშიერი სულ სხვა რამ არი,
არც მეგობრობა, არც ტრფობაა მისი სადარი!
მე იმ კაეშნის ცეცხლი არ მწეავს, რაც ეგზომ ადნობს
საბინს როგორც დას, ხოლო კამილს — მიჯნურს და სატრფოს!
კურაციუსი დღეს მტერია, მოსისხლე მტერი,
და ძეთა ჩემთა გამარჯვებას ცახცახით ველი!
მაჟულიშვილნი, ზეცის მადლით, ქველნი არიან
და უღირსობას მათზე ჯერ არ გაუხარია!
პირიქით, ყველა გოლიათი ჩამოიტოვეს,
დაზავება და შერიგება რომ არ ინდომეს.
მაგრამ ოღნავ რომ დაჰყოლოდნენ სურვილებს ხალხის,
ჩემივე ხელით აღემართავდი შვილებზე მახვილს,
შურს ვიძიებდი, თუ იტყოდნენ ზავზე თანხმობას,
ვერ ავიტანდი ბრბოს წინაშე შეურაცხყოფას!
რაკი ინებეს თვით ღმერთებმა ბრძოლის დაწყება,
მეც თქვენნაირად დამიმონა მძიმე განცდებმა!
მოწყალე ცას რომ მოესმინა ჩემი ვედრება,

ალბა სხვა მოყმეთ აირჩევდა მებრძოლ მხედრებად,
 ჰორაციუსთა მოელვარე ბასრი მახელი
 არ იქნებოდა კურაციუსთ სისხლით გასვრილი
 ღიად რომს დაე გამარჯვებით ისე ეხარა,
 ერთგულ ძმებს სისხლი ერთმანეთის არ დაედვარათ.
 მაგრამ უფალმა სულ სხვაგვარი განსჯა ინება
 და ჩემი აზრიც მის ბრძანებას ემორჩილება!
 და საზრუნავიც ღმერთს დღეიდან ერთი ექნება:
 ხალხს მოუტანოს სიკეთე და ბედნიერება!
 რაღას ვალაღებთ, ცხარე ცრემლის გამართებთ დათრგუნვა,
 რომაელობა, ზეცის მადლით, ბედმა გარგუნათ!
 თქვენ რომაელად დაიბადეთ! რაღა სჯობს, როცა
 ხალხი რომაელს გიწოდებს და გადიდებს, გლოცავს?
 მალე ისეთი დღეც დადგება, განგებას ვფიცავ,
 შეაზანზარებს დიდი რომი მთელს დედამიწას!
 მის წინააღმდეგ ველარავინ გამოილაშქრებს,
 მთელი სამყარო განერთხმება რომის წინაშე!
 რასაც შეჰპირდა ცა ენეასს, ახდება ჩქარა!

გამოსვლა მეექვსე

მოხუცი ჰორაციუსი, საბინი, კაშილი, უიული

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

რა გსურს გვაუწყო, გავიმარჯვებ? გვითხარი!

უ ი უ ლ ი

არა!

არა! პირიქით, საშინელი ამბავი მოხდა!

ჰორაციუსი ერთი დარჩა და ორი მოკვდა!

დამარცხდა რომი! თქვენი ქმარი გადარჩა მხოლოდ!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

შემზარავია იმედების ასეთი ბოლო!

რომი დამარცხდა! ვაი ღვთისგან შერისხულ ჩემს ძეს,

თავი ვერ დადო მამულისთვის, ვით ძმებმა შეძლეს.

არა, არ მჯერა, რაც გვაუწყეთ, ვფიქრობ, მცდარია,
თუ რომი დასცეს, ჩემს ძეთაგან ყველა მკვდარია
მე ვიცნობ ჩემს შვილს! მამამისის სისხლი უღელავს!

ქ ი უ ლ ი

მისი გმირობით მოიხიბლა, ვფიცავ, სუყველა!
ვიდრემდის ძმები მხარში ედგნენ, ტოლს არ უდებდა
არავის, მაგრამ სამს მარტოკა რას გაუძლებდა,
როს ძმები მოკლეს, ამჯობინა მტრისგან გაქცევა.

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ეგ უსინდისო რად არ მოკლეს ჯარისკაცებმა?!
თავშესაფარი როგორ მისცეს გამტეხელს ფიცის?!

ქ ი უ ლ ი

შემდეგ რა მოხდა, არ მინახავს და აღარც ვიცი!

კ ა მ ი ლ ი

ოხ, ჩემო ძმებო!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ერთნაირად ყველას ნუ გლოვობ!
სამ შვილში ჩემი ორი ვაჟის შური მაქვს მხოლოდ!
მე მათ საფლავებს ყვავილების მოვრთავ გვირგვინით,
მათი გმირობით გაფერმკრთალდა მათი სიკვდილი!
სიქველეს ამგვარს ვინ არ ელტვის და ვინ არ ნატრობს?!
მათ თავისუფალ რომის ხილვა შეეძლოთ მარტო!
ისე დაეცნენ, არ უხილავთ რომის დაცემა,
მოკვდნენ ხელმწიფის და სამშობლოს პატივსაცემად!
ის დაიტირეთ, ვისაც ხელი ვეღარ მიუწვდა
გმირობასთან და წარყვნა სისხლი ჰორაციუსთა!
ღიახ, გლისპი და უსირცხვილო ის ლაწირაკი,
ვინც შეარცხვინა ჩვენი მოდგმა, ჩვენი ჯილაგი!

ქ ი უ ლ ი

სამ მეომართან რა შეეძლო?

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

სიკვდილი მხოლოდ!

თუ არ შეეძლო გამარჯვება, ბოლოს და ბოლოს,
დააყოვნებდა დამცირებას და დამარცხებას,
შეაფერხებდა წამით მაინც რომის დაცემას!
თავს გასწირავდა იმისათვის, რასაც იცავდა
და ჩემს ჰალარას აგრერიგად არ შებილწავდა!
მისთვის რა უნდა ყოფილიყო მამულზე მეტი?!
მას არცხვენს სისხლის დაუღვრელი ყოველი წვეთი!
მისი უგვანო არსებობის ყოველი წამი
თავლადფდასხმაა როგორც შვილის, ისევე მამის!
თვით შევუჩერებ ჩემს ძეს მკერდში გულისა ფეთქვას,
რომ ჩვენს ოჯახზე სამდურავი ვერავინ ვერ თქვას!
მამას უღირსი შვილის დასჯა ჩქარა მიანდეთ,
რომ ამ სირცხვილის ჩამორეცხა არ დაგვიანდეს!

ს ა ბ ი ნ ი

დამშვიდდით, მამა! დაიოკეთ გრძნობები ცოტა,
გთხოვთ შემიბრალოთ, გეფიცებით, ცოდვა ვარ, ცოდვა!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ვხედავ, გულს თქვენსას დამშვიდების გრძნობა იფარავს,
ვერვინ გაიგებს, ვერ ჩასწვდება მამის ჭირ-ვარამს!
ამგვარი ურვა თქვენ ჯერ კიდევ არ განგიცდიათ,
სახლში ცოცხალი მეუღლე და ძმები გიცდიან!
აღბას ვმორჩილებთ რომაელნი აწ და მარადის!
თქვენ გაიმარჯვეთ, ხოლო ჩემს შვილს ერგო ღალატი!
თქვენ თქვენი ძმების მწვერვალიდან მშვიდად დაგეყურებთ,
და ვერც კი ამჩნევთ, რა თავსლაფი დავიმსახურეთ!
მაგრამ დრო მოვა და ქმრისადმი ტრფობა რომ დაგრჩათ,
გადაგექცევათ თქვენც ჩვენსავით საზარელ ტანჯვად!
შორს მლაშე ცრემლი — უმწეობის გამომსახველი!
უზენაესის ძალას ვფიცავ, ღმერთთა სახელით
დღესვე აღმოვრეცხ ჩემის ხელით საშინელ სირცხვილს
სისხლში, რომელიც შერცხვენაა რომაელთ სისხლის!
(მოხუცი ჰორაციუსი გადის)

ს ა ბ ი ნ ი

ჩვენც გავყვეთ უკან! მრისსანებით თავგზა აებნა!
ღმერთებო, ნუთუ აღარ გეყოთ ჩვენი წამება?!
მთლად ნუ გავგწირავთ! გვედღრებით, რომ ამ საღამოს
მშობელმა შეილი სიცოცხლეს არ გამოასალმოს!

მ ე ო თ ხ ე მ ო მ მ ე ღ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

მოხუცი ჰორაციუსი, კამილი

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

უნამუსო და ლაჩარ კაცზე ნურაფერს მეტყვი,
ვით მის ცოლის ძმებს, ასე უთხარ, თუ საღმე შევხვდი,
და სურს სიკვდილმა არ შეცვალოს სიცოცხლე მისი,
რამეთუ ასე ძვირფასია მისთვის ეგ სისხლი,
არ დამენახოს თვალით, თორემ ვფიცავარ ღმერთთა,
კვლავ ვიმეორებ, არ დავზოგავ, თუ საღმე შემხვდა...

კ ა მ ი ლ ი

ოჰ, მამაჩემო, გულისწყრომა გონებას გაცლის,
მის მიმართ რომიც არ იქნება ესოდენ მკაცრი!
თუ უღიბლობა დაატეხეს თავზე ღმერთებმა,
ამდენ ბრძოლაში გამარჯვებულს ვინ შეედრება!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

რომის განაჩენს რა ფასი აქვს, ღირებულება?
მშობელი მე ვარ!.. რომზე მეტი მე მაქვს უფლება!
როს გმირი იბრძვის, კარგად ვიცი მაშინ რაც ხდება,
მოკვდება, მაგრამ არასოდეს არ დამარცხდება!
ვაეკაცს ვერ ნახავ შიშისაგან თრთოლდეს და ძრწოლდეს,
დაე, დაეცეს, არ მოიხრის ქედს არასოდეს!
ჩუმიად! მოდიან! აბა, ვალერ, რას გვეტყვი ახალს?

გამოსვლა მეორე

მოხუცი ჰორაციუსი, ვალერი, კამილი

ვალერი

მეფემ მიბრძანა, ნუგეში ვცე დაღუპულთ მამას,
თქვენს მწუხარებას იზიარებს...

მოხუცი. ჰორაციუსი

როცა ვარამის

ტყვეობაში ხარ, თანაგრძნობა ჩაღად არა ღირს!
ამგვარ ცოცხალი შვილის ყოლას, მკედარი მერჩია,
ოღონდ სამშობლო სირცხვილისგან გადაერჩინა!
თუ ორი მოკვდა, დამრჩა მათი პატიოსნება!
მაგრამ მესამე...

ვალერი

მესამეა მთლად საოცრება!

მის გმირობასთან ვერც ერთს ხელი ველარ მიუწვდა.

მოხუცი ჰორაციუსი

მისმა ლაჩრობამ გვარი შერყვნა ჰორაციუსთა.

ვალერი

მხოლოდ თქვენ ჰკიცხავთ მის საქციელს რომაელთაგან!

მოხუცი ჰორაციუსი

ვინც შემარცხვინა, წაიშლება ჩემთა ძეთაგან!

ვალერი

რატომ? რადგანაც ივაჟაკა? აბა, რა ექნა?

მოხუცი ჰორაციუსი

მტრისგან გაქცევას ვაჟაკობა როდის დაერქვა?

ვალერი

ოი, გაქცევა ამდაგვარი სანატრელია!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

მოხუც კაცს აგრე რად დამცინით, არა გრცხვენიათ?!
ეს რა უბადლო მაგალითის ნახვა მეღირსა,
როს სიმხდალეში პოულობენ გზას დიდებისა!

ვ ა ლ ე რ ი

აბა რად არის ეგ სიმხდალე თავლაფდამსხმელი,
თუ თქვენი შვილი სამშობლოს არის დამსხნელი,
მსგავსი დევგმირის მამა აბა სხვა რომელია,
მამა, რომლის ძეც უნარჩუნებს რომს იმპერიას?!
.

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

სადღაა ძველი გამარჯვება, ძველი დიდება!
დღეს ალბას ფერხთქვეშ რომი კვდება და იფლითება!

ვ ა ლ ე რ ი

რისი სიკვდილი, რისი ფლეთა და რისი ალბა?!
თუ ვით დასრულდა მათი ბრძოლა არ იცით ალბათ!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ვიცი, გაიქცა! ულალატა თავის ქვეყანას!

ვ ა ლ ე რ ი

ულალატებდა, იარალი რომ დაეყარა!
რატომ გაიქცა, თქვენი თვალით უნდა გენახათ,
შერკინებისთვის ძალ-ღონე რომ შემოენახა.

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

რაო?! მაშ, რომი არ დამარცხდა?

ვ ა ლ ე რ ი

არა და არა!

გმირის მამა ხართ, საამაყოდ ნამდვილად კმარა!
სამის პირისპირ სანამ ველზე მარტოკა ბრძოდა,
სამივ დაიჭრა, მხოლოდ თვითონ არ დაიკოდა.
შემდეგ მიხვდა, რომ სამთან ბრძოლა ხელს არ აძლევდა;

ხოლო სამივეს სათითაოდ უმაღლეს დამღევდა.
 და აქ იხმარა ეშმაკობა, გაიქცა წამსვე!
 კურაციუსნი დაედევნენ, ოღონდაც გზაზე,
 ვისაც კრილობა მეტი ჰქონდა, მეტი იარა,
 დაიქანცა და შემართებით ველარ იარა.
 და რა შენიშნა, დაშორდნენო ერთმანეთს ძმები,
 წამს გაიზარა, უკვე უამი დადგაო ჩემი,
 შემოტრიალდა და თვითეულს საომრად ელის;
 ეკვეთა პირველს! იგი გახლდათ სასიძო თქვენი!
 სამ კაცს რომ გვიტევს, ვით ბედავსო, ისე განრისხდა,
 და მომხვდურს ისე შეუტია, გადაავიწყდა,
 სისხლისგან დაცლილს სიჩაუქე რომ ველარ მოსდევს!
 შეშინებული ალბა აქეთ ღრიალებს, გოდებს!
 დაენმარეო, ეძახიან მეორე მის ძმას;
 ძმა მოჩანჩალებს, მაგრამ თქვენი სასიძოც მიწვა...
 აგერ მესამეც... გაჭირვებით მიათრევს ტანს და...
 ბოლოს მივიდა!.. ძმა კი უკვე მოკლული დახვდა!..

კ ა მ ი ლ ი
 ვაგლახ!..

ვ ა ლ ე რ ი

სულს დაფავს! დაეცემა და დგება ისევ...
 ჰორაციუსის გამარჯვება ექვს აღარ იწვევს!..
 მომაკვდავ მებრძოლს მაინც შერჩა სული გმირული,
 ძმას შეეწირა და დაეცა გულგანგმირული!
 შეჰკივლა ყველამ! შეტორტმანდა ღრიალით ზეცა!
 ზეიმობს რომი! ალბელების გაისმის კენესა!
 რაინდმა იცის, რომ მიალწევს მიზანს, საწადელს,
 ხალხის წინაშე საზეიმოდ ასე აცხადებს:
 „ორი მოვკალი! ჩემი ძმების სისხლი ავიღე!
 მესამე ძმას კი დიდი რომის მსხვერპლად გავიღებ!
 დე, შეეწიროს ჩემს ქვეყანას მისი სხეული!“
 თქვა და უმაღვე მტერს მიეჭრა გაშმაგებული
 ძლივს იდგა ფეხზე ალბელი და ვერას არჩევდა,
 აშკარად ჩანდა, რომაელი, რომ იმარჯვებდა

და ვით ზვარაკი სამსხვერპლოსთან დგას თავდახრილი,
ისე ელოდა დასცემოდა ბასრი მახვილი.
ასედაც მოხდა მოკვდა იგი დამთავრდა ომი
და კვლავ კვარცხლბეკზე აღიმართა დიადი რომი!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ო, შვილო ჩემო! სიამაყევ მამაშენისა,
მამაცო მხსნელო შენი მოდგმის, შენი ერისა,
ფუძევ რომისა, დედაბოძო! არწივო მთისა
გულში ჩაგიკრა, ჩაგეხვიო, გამხადე ღირსად!
ვისაც ვწყევლიდი, ახლა მასვე შემოვევლები
და მსურს ვაპკურო სიხარულის წმინდა ცრემლები
ო, სისხლთა სისხლო, ვაჟკაცობით ეგზომ ქებულო,
რომაელების სადიდებლად დაბადებულო!

ვ ა ლ ე რ ი

მალე იხილავთ, ვისაც ყველა ღვთაებად სახავს,
ის თქვენს წინაშე მეფის ნებით წარსდგება ახლა!
ხვალ კი ზეიმით შეხედებიან სხივმოსილ დევგმირს,
სამადლობელი მიერთმევით დიდ ღმერთებს, მსხვერპლიც!
ისმის ყიჟინა გამარჯვების, ლოცვა-კურთხევა,
სადიდებელი ზიმღერები წინ მოუძღვება!
მეფე მოჰყვება თქვენს ძესი მე კი მათრინა თქვენთან,
გაუწყოთ კარგი და საწყენი ამბავი ერთად.
თვით გეახლებათ დიდებული მეფე ამჟერად,
მამის წინაშე რომ შეაქოს შვილის მარჯვენა,
დალოცოს მისი რაინდობა, მისი მშობელი
და თვით წარმოთქვას ვაჟკაცობის სამადლობელი
ხოტბას ვით ასხამს ჰორაციუსს, რარეგ აფასებს!..

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

მისი მადლობაც ბრწყინვალეა, შუქით აღსავსეი
ვხარობ, რომ ორნი შეეწირნენ სამშობლო მიწას,
ხოლო მესამე სახელს მისას ესოდენ იცავს!

ვ ა ლ ე რ ი

მეფეს ყასიდად მადლობის თქმა არ შეუძლია.

გამოგლეჯილი მტრისგან კვერთხი ხელთ რომ უპყრია,
თქვენი მადლია, თქვენი ძის და პირადად თქვენი!
და ისიც უნდა მოეახსენო, რაოდენ ქველი
ბრძანდებით თვითონ და სამშობლოს რაოდენ ეტრფით!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი
მადლობელი ვარ, ჩემო ვალერ, რა გითხრათ მეტი?!

გამოსვლა მესამე

მოხუცი ჰორაციუსი, კამილი

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი
ასულო ჩემო, რატომ ტირი, რა მოგივიდა?
პირიქით, უნდა გიხაროდეს, რომ ხარ გმირის და.
ვაი-ვიში და მკმუნეარება ღმერთმა გვაშოროს
როცა იმარჯვებს საყვარელი შენი სამშობლო!
რამეთუ ალბა რომს დამპყრობელ ქვეყნად იწამებს,
ჩვენც ტკბილად უნდა მივიჩნიოთ ყველა სიმწარე.
საქმრო მოგიკვდათ! დაილოცოს მარჯვენა, რომლის
სიკვდილის ფასად დამარცხებას გადარჩა რომი!
მთელს რომში ალბათ ვერ შეხვდები ყმაწვილკაცს ისეთს,
რომ არ ნატრობდეს ჰორაციუსთ გაუხდეს სიძედ!
ახლა წავალ და საბინს ვეტყვი ამ ახალ ამბავს,
მაგრამ საბრალოს ლახვარივით ეცემა ალბათ.
მეუღლის ხელით განგმირული საძი ძმის ბედი
უფრო მწარეა! ჩვენს ახლანდელ ვარამზე მეტი
მაგრამ მწამს, მისი ნათელი და საღი გონება
მწუხარებას და კაეშანს არ დაემონება,
და მისთვის მარად საოცნებო გმირად დარჩება
ქმარი, რომელმაც მოგვიტანა ეს გამარჯვება!
ასეთ დროს ცრემლი კარგ სამსახურს ვერას გაგიწევს,
ასული რომ ხარ რომაელთა, არ დაგავიწყდეს!
მას შეეგებე, ვის ეფრქვია მადლი ციური,
შენ ხომ სისხლი ხარ, ღვიძლი დაი ჰორაციუსის!

კ ა მ ი ლ ი

დედაკაცს გულში თუ ტრფობის და ვნების ჟინი აქვს,
 მას ბედისწერის ქალღმერთების არ ეშინია!
 არაფრად აგდებს იმ ტირანთა სასტიკ კანონებს,
 ზეცამ მშობლები რომ შეარქვა და მათ გვამონებს!
 შენ შეურაცხყოფ და დასცინი ჩემს ცრემლს და სევდას,
 რაც მეტად ბრაზობ, ჩემთვის იგი ტკბილია მეტად!
 თხ, გულგოროზო მამაჩემო, ჩემი ნაღველი
 მინდა მაშობდეს, ვით იღბალი ჩემი მსახვრელი
 ამდენი განცდა, აბა მითხარ, ვის გულში ნახე,
 თანაც მალიმალ, ასე სწრაფად ეცეალოს სახე?!
 ხან ტკბილი იყო მღელვარება, ხან ავი ზრახვის,
 გამტანჯა, სანამ სასიკვდილოს ჩამცემდა მახვილს!
 ვინ ნახა, გული ხან ხარობდეს და ხან კვდებოდეს,
 იმედი, ცრემლი სულ ერთმანეთს ენაცვლებოდეს?!
 თავს რად დამატყდა, დამიმონა, დამიმორჩილა
 და უკუღმართი ჩემი ბედის გავხდი თოჯინა!
 მისანი მაძლევს იმედსა და სიზმარი მტანჯავს,
 მამშვიდებს ზავი და ვცახცახებ, ზავი რომ არ ჩანს,
 ჩემი ქორწილის ახლოვდება წუთი და ამ დროს
 ძმასთან საომრად უცაბედად ირჩევენ საქმროს!
 ხალხს ბრძოლა არ სურს, შეშფოთების ხმები ცას სწვდება,
 მყარდება ზავი და ისევე ომი ცხადდება!
 რომი მარცხდება! და ალბელი სამი ყმაწვილი
 ხარობს, ჩემს სისხლში რომ არა აქვთ ხელი გასვრილი!
 ეგების მე ვარ დამნაშავე, მაგრამ რას ვიზამ!
 არ მომსპო, არა, მწუხარებამ და არ გამსრისა!
 ზეცაო, იქნებ შეგაშფოთე და გაწყენინე,
 რომ ჩემს სიყვარულს სამშობლო და ძმები შევწირე?
 იქნებ ამიტომ დამსაჯე და საქმრო მომისპე?
 თანაც ამ ამბავს მაგებიანებს მისი მოქიშპე,
 ვისი თვალებიც სიხარულის ნაპერწკლებს ისვრის
 მხოლოდ იმიტომ, რომ დაიქცა მეტოქის სისხლი!
 დღეს რომში მისებრ არ ზეიმობს, ალბათ, არავინ,

რა სათქმელია ჩემი ურვა და ჭირ-ვარამი?!
 კურაციუსის ძვლებზე აგებს იმედის კოშკებს
 და ჩემს ძმასავით უხარია, რომ იგი მოსპეს!
 მაგრამ ეს რაა?! ეს ცოტაა! მეტი სჭირდებათ!
 მთხოვენ, ვუმღერო გამარჯვებულ რაინდს დიდება!
 ხელს ვეამბორო მოდრეკილი და თავდახრილი,
 იმ ხელს, რომელმაც გამიყარა გულში მახვილი!
 რაც მტანჯავს, თურმე დაცინვის და ზიზღის ღირსია,
 თურმე ცრემლების გადმოდრეკვევაც საძრანსია!
 მხოლოდ სიმკაცრეს აღმერთებენ და შენატრიან,
 კაციჭამია თუ არა ხარ, კაცად არ გთვლიან!
 მაშ, გარდაიქმენ, ჩემო სულო, თუკი ასეა
 ბარბაროსობა, ყლექა, სისხლი თუ სინაზეა,
 დე, ნუ ჩამთვლიან ამგვარ მამის შვილობის ღირსად,
 მინდა უღირსი დაი ვიყო სულგრძელი ძმისა!
 არარაობად თუ ჩამთვლიან, დიდებულისა,
 როცა მხეცობა სათნოებად მიჩნეულია!
 მაშ, აელვარდი, ჩემო სევდავ, ნუ იმალები,
 ჯიქური მზერით გაუსწორე ჯალათს თვალების
 სიხარულისთვის გულის კარი გადაიჩაზე
 და თუ განრისხდა, გიხაროდეს მისი სიბრაზე.
 აჰა, მობრძანდა! მე ვუჩვენებ რომაელ ბატონს,
 რა შეუძლია ქალს, როდესაც უკლავენ სატრფოს!

გამოსვლა მახუთა

ზორაციუსი, კამილი, პროკულუსი

(პროკულუსს შემოაქვს კურაციუსთა სამი მახვილი)

ზორაციუსი

მას შეეგებე, ვინც აიღო სისხლი ძმებისა,
 ვინც აგაცდინათ მწარე სირცხვილს დამარცხებისა!
 და მე რომ არა, რომის ბედი ბეწვზე ეკიდა,
 დღეს კი შეიკრა ერთ სამეფოდ ორი ქვეყნიდან.

აი დასტური, შენი ძმა რომ მხდალი არ იყო,
გადამეხვიე, მომილოცე, ჩემო დაიკო!

კ ა მ ი ლ ი

თქვენი გამირობა ჩემთვის ახლა ცეცხლზე მწველია!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

რად ტირი, კამილ, ჩუმად-მეთქი, რა დროს ცრემლია?!
იმდენი სისხლი. ჩვენს ძმათათვის დავღვარე ახლა,
რომ არ გჭირდება, გეფიცები, ცრემლების დაღვრა!
შურისძიება დანაკარგის საზღაურია.

კ ა მ ი ლ ი

სხვა სისხლის დაღვრა, კარგად ვუწყვი, არა გწყურია,
და მკუმუნვარების სიმძიმით თავს აღარ დავხრი,
რადგან იძიეთ შური მტერზე, არც ცრემლებს დავღვრი,
მაგრამ, მითხარით, სატრფოს სისხლი ვინლა აილოს,
მისი სიკვდილი წამით მაინც რომ დამავიწყოს?!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ჩუმად!

კ ა მ ი ლ ი

ეს გული, კურაციუს, მხოლოდ შენია!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

არა, ასეთი თავხედობა ჯერ არ მსმენია!
გავანადგურე რომის მტერი! მოვსპე! გავწყვიტე!
შენ კი კვლავ ეტრფი, ვერ იქნა და ვერ დაგავიწყე!
შენი ბიწიერ გულის კუნჭულს დღეს მივაგენი,
კამილ, მაშმაგებს მოცახცახე შენი ბაგენი!
გთხოვ, დაიოკო ეგ სურვილი, უხმე გონებას,
თორემ ეს გული ჭკუას აღარ დაელოდება
და... არა, კამილ! შემომხედე! გთხოვ, გევედრები!
ჩემზე იფიქრე, მტრის ტრფიალით ნუ იფერფლები,
მხოლოდ მე გყავარ საზრუნავი ამიერიდან!

კ ა მ ი ლ ი

შენს გულს თუ მისცემ, არც მხეცობას იგრძნობს შენი და!
ნუ მომკვეთ მიჯნურს, თუ გსურს ვიყო წრფელი და სათნო,
ან მომეც ნება დავიტირო ბედკრული სატრფო!
დალხინება თუ სევდა მისით სუნთქავდა მხოლოდ,
ცოცხალი იყო — ვაღმერთებდი მოკვდა და ვგლოვობ!
გადავიწყე შენი დაი, ერთ ღროს კეთილი,
დღეს შენს წინაშე მიჯნური დგას გულდაფლეთილი.
ის, ვით ფურია, გამოაყვება შენს ნათესურებს
და ყოველ წუთში, რად მოჰკალო, გისაყვედურებს!
რად ამიკრძაღე, სისხლისმსმელო, მოთქმა, ვიშვიში,
სიამოვნებას ვინ პოულობს საქმროს სიკვდილში?
შენს გმირობაზე რომ ვილოცო და ვილაღადო,
მეც შენთან ერთად მისი მკვლელი გინდა გამხადო?
შავსვიანობა სდევდა ალბათ შენს ბედს აკვნიდან!
მაშ, რად გშურს ჩემი, აგრერიგად რამ დაგაკინა?
უნამუსობით შეიბღალა შენი დიდება,
დიდება, რაიც შენს მხეცურ სულს აგრე სჭირდება!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

გაბოროტება ვის უნახავს, ცაო, ამგვარი?
შეურაცხყოფა გულს მიფატრავს როგორც ლახვარი
სიბრაზით ვიწვი, სისხლად მიღირს თავსლაფის დასხმა,
არ გებრალება, უბედურო, არც თავი, არც სხვა?
რომს ანაცვალე ვარამი და დარდი ყოველი,
მთელი მსოფლიოს ის გახდება მალე მპყრობელი!

კ ა მ ი ლ ი

რომია ჩემი გააგების, ჰმუნვის მიზეზი,
რომს შეეწირა სატრფოს სული უფაქიზესი,
რომია მხოლოდ შენი კერპი, შენი ღირსება,
რომი, რომელიც შენ გადიდებს, მე მეზიზღება.
მის წინააღმდეგ რომ დაიწყოს სუყველამ ომი,
ნუთუ ვერ შეძლებს გაასწოროს მიწასთან რომი?
თუ იტალია დაძაბუნდა, სისხლი ვერ ღვარა,
დე, აღმოსავლეთ-დასავლეთი, მთელი ქვეყანა,

გაერთიანდეს და დაიძრას ურიცხვი ჯარით,
მის მოსასპობად გადალახონ მთანი და ზღვანი,
ისე დაინგრას, აღდგინება აღარც ინატროს,
საკუთარ ხელით შიგნეული გამოიფატროს!
ჩემი დაღადით აღგზნებულმა ზეცის ძალებმა
თავს დაატეხონ ცეცხლის წარღვნა და მრისხანება!
ნეტავ დაეცეს მეხი რომს და ნანგრევთა მტვერით
ამოიგანგლოს დაფნის ხენი, გვირგვინი შენი.
ურვა მომესმას უკანასკნელ რომაელისა,
მეც მოვკვდე და თან გავიცინო ნეტარებისგან!

ჰორაციუსი

(კამილი გარბის, ჰორაციუსი უკან მიჰყვება)
მეტისმეტია! ამდენ ჭიჭგნას გული ვერ ითმენს!
მისი ნახეა გსურს? გზა გქონია ჯოჯოხეთისკენ!

კამილი

(სცენის უკან, დაჭრილია)

ოჰ, მუხანათო!

ჰორაციუსი

(სცეაზე ბრუნდება)

ეგ სასჯელი მას არ ასცდება,
ვინც გლოვის ღირსად გაიხადა მტრის დამარცხება!

განოსვლა მუხანათს

ჰორაციუსი, პროკულუსი

პროკულუსი

რა ჩაიდინეთ, გესმით?!

ჰორაციუსი

ჩემი განაჩენია!

ასეთი ქცევა ამდაგვარად დასასჯელია!

პ რ ო კ უ ლ უ ს ი

მე მგონი მკაცრად მოეპყარით, ძალიან მკაცრად!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ის უკვე ჩემთვის არ ითვლება არც ღვიძლად, არც რად!
მერე რა ვუყოთ, დედაჩემმა იგი რომ შობა,
სამშობლოს ღალატს ვერ მოვუთმენ, მამულის გმობას!
მტრად მოიკიდა, ვინც ოჯახში ჰყავდა კეთილი,
დარჩა ნათესავ-ახლობლებში ამოკვეთილი
სინდის-ნამუსი ჯილაგს თავზე გადაახია,
ოჰ, უმკაცრესი შურისგებაც მასზე ახია!
ლირწია მისი სურვილები, მრუშობით სავსე,
ძირში სჭირდება ამოკვეთა ურჩხულის ზრახვებს!

გამოსვლა მეშვიდე

ჰორაციუსი, ხაზინი, პროკულუსი

ს ა ბ ი ნ ი

შენი ბრწყინვალე მრისხანება რატომ შენეულა?
წადი, სულს ღაფავს მამის მკერდზე ღვიძლი შენი და!
ჰა, წადი, დასტკბი მისი ხილვით და გაიხარე,
ერთიც შესწირე, კიდევ ერთი ჰორაცია მოდგმას,
კურაციუსთა გეარში ობლად რომ სწუხს და მოთქვამს!
ნულარ დაინდობ მის ნაშიერთ დასცხე, დაჰკარი,
და ძვირფას შენს დას შენი ცოლიც ზედ დააკალი
ერთნაირად ვართ დამნაშავე, ვგოდებთ და ვდარდობთ,
მე სამ ძმას ვტირი, იგი მიჯნურს დასტირის მარტო,
რახან მკაცრი გაქვს კანონები, აღბათ ისა სჯობს,
რომ შენს საყვარელ დასთან ერთად მეც დავისაჯო.
აღმართე ხმალი, ჩემო ქმარო, ველი განაჩენს.

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

შეიშრე ცრემლი, რისხვას ჩემსას თუ გსურს გადარჩე!
შენ უნდა გახდე ღირსეული მეუღლე ჩემი,

შებრალება და ცრემლი მხოლოდ გლახაკებს შვენით.
 ბინძურ ვნებისთვის ჩვენს ნამუსს რომ არ ვუღალატოთ,
 სულის ფსკერიდან ყოყმანი და ეჭვი ავლავდით!
 ჩემს აზრებამდე აღიმალე შენი ფიქრები,
 მე თუ დავეშვი შენს დონემდე, ჩვარი ვიქნები!
 მე შენ მიყვარხარ! კარგად ვიცი, რაიც გაწუხებს,
 ენდე ჩემს ძალას, რომ დაუძვრე ტანჯვის მარწუხებს.
 ნუკი შებლაღავ ჩემს დიდებას, გახდი მოწილე,
 არც კი შეგრცხვება გმირის სახელს თუ მოვიცილებ?!
 ნუთუ მტერი ხარ და დაცემას ჩემსას ელოდი,
 რომ შერცხვენილი უფრო მეტად შეგყვარებოდი?!
 დაი კი არ ხარ, მეუღლე ხარ! და ვით უფალის,
 ქმრის სიტყვა მარად კანონია გარდაუვალი!

ს ა ბ ი ნ ი

ეძიე, ვისაც გააჩნია ამგვარი ძალა!
 რაც მე დავკარგე, არ აფიქრო, შენ გადებ ბრალად!
 და თუ ვკმუნვარებ, ასეთია ქალის ბუნება,
 ჩემს ბედს ვამტყუნებ და არა შენს ვალდებულებას.
 მაგრამ არა მსურს ქველი ვიყო, შენსავით გმირი,
 ადამიანის თუ დავკარგე სახე და ნირი,
 გამარჯვებულის ცოლად თავი როგორ ჩავთვალო,
 დამარცხებულის დაი თუ ვარ, დაი საბრალო?!
 მოზეიმე ხალხს არ ვაჩვენებ გულის იარებს,
 შენ კი, რომც მომკლა, რა ვქნა, მაინც ვიმგლოვიარებ.
 დაე, მის გულში, ვინც იმარჯვებს, მარად მზე იყოს,
 მაგრამ ბედისგან განაწირმა ვით იზეიმოს?!
 აქ ვინ გელოდა დაისა და მეუღლის გარდა?
 დაფნის გვირგვინი ვერ დატოვე ოთახის კართან?!
 რად დუმხარ, ნუთუ ამ სიტყვებმა არ გაგაცოფა?
 ნუთუ არ არცხვენს შენს ღირსებას, შენს ვაჟკაცობას?
 ქმრის მოღალატეს ვინც იბრალებს, ის რა კაცია?
 აფერუმ, კამილ, გააფთრებულ მგლად რომ გაქცია!
 აუხდა ნატვრა! სხვას უკეთესს რაღას მოელის,
 რაც კი დაკარგა, დაიბრუნა ამით ყოველი!
 ნადველმა დამღრღნა, გამათავე, რად გასურს ვიწვალო?

კაცზე ან უნდა განრისხდე და ან შეიწყალო
ან ერთი ქენი, ან მეორე, გემუდარები,
ან დამსაჯე და ან მომაპყარ მშვიდად თვალები!
ვით შებრალებას, ისე ვითხოვ შენს მკაცრ განაჩენს,
ოლონდ სიმართლე, სიყვარული ოლონდ გადარჩეს!
ო, დამერწმუნე, ბედს ჩემსავით ვერვინ ეწევა,
მახვილი მკერდში მეუღლისგან თუ დამეცემა!

ჰორაციუსი

უსამართლობად ჩაგეთვლებათ, ღმერთნო, რომ ცდილობთ,
დიდსულოვანნი ქალის ნებას დაუმორჩილოთ;
ო, ეგ უმწეო არსებანი რარიგ ტკბებიან,
ვაქვაცთა გულზე იოლად რომ ბატონდებიან!
თავი მომქონდა გულოვნებით, ლაჩრად ვიქეცი,
სულ დავგლახდები, თუ საჩქაროდ არ გავიქეცი
მშვიდობით! ნულარ გამომყვები!

საბინი

ოჰ, შეწყალებავ!
ოჰ, მრისხანებავ! რად არ გაკრთობთ ჩემი წამება?!
თან ბრალს არა მდებთ, თან იღლებით ჩემი გოდებით,
ნუთუ დაყრუდით, რომ არც მსჯით და არც გეცოდებით?!
თითქოს მკვდარი ვარ მწუხარებით და არცა ვკვდები,
წავალ და სადმე ნანატრ სიკვდილს გადავაწყდები!

მ ე ხ უ თ ე მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

მოხუცი ჰორაციუსი, ჰორაციუსი

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ნუ მოვიგონებთ ამბებს, სული რომ გაგვიმწარეს,
და აღტაცებით შევხვდეთ, რასაც ზეცა გვიბრძანებს.

მან კარგად უწყის, დღეს რომ რომი აგრე გადიდებს,
ქეჩოში მაგ შენს აღზევებას ვით ჩააფრინდეს.
უტკბეს სიაშეს კაეშანსაც გაურევს ცოტას,
ასე თუ ისე, თვით გმირობაც სისუსტით სცოდავს,
ძეხორციელის განდიდებას და ამალლებას,
შარავანდელის შუქთან ერთად ჩრდილიც დაჰყვება.
არ მებრალება ჩემი ქალი, ცოდვით აღსავსე,
შესაბრალისნი მხოლოდ ჩვენ ვართ ამ ქვეყანაზე!
მე შვილი შევექმენ მოღალატე, ჩვენი მსახვრელი,
შენ მოკალი და შეგებოლა წმინდა სახელი!
მართალი იყავ სრულიად და მაინც მეწყინა,
რადგან შეგეძლო ეგ სირცხვილი რომ აგეცდინა!
დამნაშავეა, დასასჯელი, სიკვდილის ღირსი,
და მაინც მაკრთობს, დას და ჭილაგს ძმა რომ კლავს მისი.

პორაციუსი

თქვენა ხართ, მამავ, ჩემი სისხლის მფლობელად ვინც მწამს!
მაგრამ დის სისხლი მიეუძღვენი სამშობლო მიწას!
ეს საქციელი ბოროტებად თუ მიგაჩნიათ,
და ჩემს მარჯვენას სამარცხვინო ლაქა აჩნია,
თუ წმინდა სისხლი უნამუსოდ წამიბილწია,
პორაციუსი მაშ სიკვდილით დასჯის ღირსია!
უკან წაიღეთ ჩემი სისხლი, ის ხომ თქვენია!
და თუ ჩემი დის ქცევა მე ვერ მომითმენია,
თქვენც ნუ მომითმენთ! ჩამორეცხეთ ეს ლაქა ჩვენს გვარს,
თუ გასურთ აუგი თქვენს ოჯახზე ვერავინ ვერ თქვას!
რადგან ყოველ წევრს ოჯახისა, ვინც სახელს არცხვენს,
მშობელმა უნდა საკადრისი პასუხი გასცეს!
მამა თუ ფარავს მას, სასჯელის ვინც ღირსი არი,
თვითონვე ხდება დამნაშავეს თანაზიარი.
მშობლის სიყვარულს რა ფასი აქვს, გვარის დიდებას
თუ ვერ მოუვლის, პირმშოსავით არ უფრთხილდება?!

მოხუცი პორაციუსი

არ ძალმიძს მუდამ სისასტიკით აღვინთო გული,
როცა ძეს ვიცავ, ჩემს მომავალს, ჩემს მყოფადს ვუვლი!

აბა, სიბერედ მიდრეკილსა სხვა ვინ დამრჩება,
დასჯა შვილისა გარდიქცევა მამის სასჯელად!
შენ სხვა აზრი გაქვს, ჰორაციუსს, მე კი სხვაგვარი...
აჰა! თვით მეფეც მობრძანდება თავის ამალით!

გამოსვლა მეორე

ტულიუსი, მოხუცი ჰორაციუსი, ვალერი, ჰორაციუსი, მცველები

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ოჰ, ხელმწიფეო! რაოდენი პატივი დამდეთ,
ჩემს ოჯახში რომ შემობრძანდით და ნება დამრთეთ,
რომ დავიჩოქო!

ტ უ ლ ი უ ს ი

არა, მამავ! ადექით ჩქარა!

თქვენ რაც მეფისთვის გააკეთეთ, ისედაც კმარა!
პატივი არ გცეთ როგორც მშობელს, არ შემიძლია!
(ვალერზე მიუთითებს.)

ამ ყმის სიწრფელე შესაძლოა ცასაც შეშურდეს,
ისე მიაგებო, წამსვე თქვენკენ გამოვეშურე!
თან მითხრა, როგორ ვერ დაგძლიათ ურვამ და სევდამ,
და რა კაცურად აიტანეთ დაკარგვა ძეთა.

თუ სული თქვენი ვერ შეება ბოღმის უღელში,
რა საჭიროა ლაციცი და ჩემი ნუგეში?

მაგრამ გავიგე, მწუხარება დიდი გქონიათ,
რაც გამარჯვებულ ძის გმირობას თან მოჰყოლია.
სამშობლოს ჭარბმა სიყვარულმა და თავგანწირვამ
თქვენი ასული ერთადერთი თურმე გასწირა.
რვალი ყოფილხართ! მედგარი და შეუდრეკელი,
უბედურებას აღუდექით, როგორც კედელი!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ჭირ-ვარამს ვიტანთ, თუმც ფარულად მოვთქვამთ და ვოხრავთ!

ტ უ ლ ი უ ს ი

როგორ გეტყობათ, გასაჭირში ნაწრთობი რომ ხართ!
შევერცხლილ მამებს შეასწავლა თვითონ ცხოვრებამ,
ბედნიერ წამებს უბედობა რარიგ მოჰყვება.
ეგ საღბუნია, რომ გიშუშებთ სულის კრილობებს,
ვაჟკაცის კირი ცრემლების ღვრას არ საჭიროებს!
თუ ეს გულწრფელი სამძიმარი ჭაღარა რაინდს
შეგიმსუბუქებთ დარდს და ნალველს ოღნავად მაინც,
რარიგ მიყვარხართ, რარიგ მწამხართ, ნეტა იცოდეთ,
და თან უსაზღვროდ მებრალეებით, ვწუხვარ, გიცოდებთ!

ვ ა ლ ე რ ი

მეფევე, თქვენა ხართ მოციქული უზენაესის,
როცა დაღადებთ სამართალზე, ზეცის ხმა გვესმის,
უფლისწულისგან სახელმწიფო ითხოვს და ელის,
ბოროტმოქმედი დასაჯოთ და შეაქოთ ქველი!
ქვეშევრდომი ვარ, მაგრამ არ ვთქვა არ შემოძლია,
თქვენ მას იბრალებთ, ვინც ნამდვილად დასჯის ღირსია!
გთხოვთ მომიტევოთ...

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

ვინც იმარჯვებს, ღირსია დასჯის?!

ტ უ ლ ი უ ს ი

გთხოვთ, დაასრულოს! სამართალს კი თავადვე განვსჯი
იმიტომ მქვია ნახევრად ღმერთს მეფე ძლიერი,
ყველგან, ყოველთვის უნდა ვიყო კანონიერი!
მაგრამ ვწუხვარ, რომ უმოწყალოდ უნდა დავსაჯო,
ვინც რომი იხსნა, ვინც სამშობლოს ნათელს დარაჯობს!

ვ ა ლ ე რ ი

ოჰ, შემიწყნარეთ, დიღო მეფევე, მეფევე სვიანო,
მსურს თქვენს წინაშე წრფელი სიტყვა ავახმინო,
არავის არ შურს ჰორაციუსთ დიდი სახელის,
მათი ჯილდოა მათი ღვაწლის გამომსახველი!
მეტე მიუზღეთ! ის ღირსია დიდად ქებისა,
განდიდებისა და ყოველმხრივ დაფასებისა!

მაგრამ თუ ცოდვა ჩაიდინა, განა არა სჯობს,
 ხოტბა შევასხათ, ხოლო მერმე მკაცრად დავსაჯოთ?..
 მის გააფთრებას ამოსდევით ლაგამი მალე,
 თორემ ცოცხალი ვინც გადარჩა, დღესა თუ ხვალე
 ყველას მისწვდება უღმობელი მსახვრალი ხელი
 და სისხლისაგან დაიცილება ქვეყანა ჩვენი!
 როცა მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება გექონდა,
 აკავშირებდა ჰიმენესი სიყვარულს ორთა,
 და ვერ ნახავდით მტრის ლაშქარში მეომარს ისეთს,
 ვინც არ გლოვობდა ან ცოლისძმას ან თავის სიძეს!
 თუმცა სამშობლოს გამარჯვებით ხარობდა დიდად,
 აწლობლებს მაინც დასტიროდა და ცრემლებს ღვრიდა.
 და მათ თვალებში მწუხარების კვალი თუ დარჩა,
 განა შერისხვა ეკუთვნით და სიკვდილით დასჯა?!
 ეს ბარბაროსი ვის დაინდობს, ან ვის აიტანს,
 როცა არ ინდობს მგლოვიარე ძვირფას თავის დას?!
 საქმროს სიკვდილმა ქალის გული ორად გაჰკვეთა,
 და ამ დროს სევდა არ შეუწოდო, სასოწარკვეთა.
 ქალს საქორწინო კელაპტრების კაშკაში სწადდა
 და ეს იმედი ჩაესვენა მომავალ ქმართან.
 რომის დამცველი რომაელებს უწყალოდ ხოცავს.
 დღეს ის განაგებს! ვის დატოვებს ჩვენს შორის ცოცხალს!
 თუ ჩვენი ქიევა სიავე და ბოროტებაა,
 დიდხანს გვაცოცხლებს თუ ცოტა ხანს, მისი ნებაა!
 კვლავ მსურს დაესძინო, რადგან რომის მკვიდრი და ძე ვარ,
 რომაელისთვის უღირსია ამგვარი ქიევა!
 თვით რომ გეხილათ, ხელმწიფეო, ქველმა ვაჟკაცმა
 ნაქები ხმალი რა გმირობით ააკაშკაშა,
 აღშფოთდებოდით! ცოფიანი მგელიც არ იზამს,
 საკუთარი დის სისხლი ხელზე რომ გადაისხას!
 ეს იყო რალაც არნახული საშინელება!..
 სისხლში ცურავდა ახალგაზრდა ქალის მშვენიება...
 თუმც კაცმა რომ თქვას, ვის რად უნდა მანკვა ამდენი?!
 მსხვერპლის შეწირვა ხვალისათვის რომ გადადევით,
 თქვენ ფიქრობთ, ზეცა, უცოდველთა მოსარჩლე, მცველი,
 გუნდარუჟის კმევას დათანხმდება დის მკვლელის ხელით?!

რომის ღმერთებმა თან გაჰხადეს დიდების ღირსი,
თან ეს დიდება აზღვევინეს საკუთარ სისხლით.
თან ააღზევეს, არ დააკლეს ხოტბა, ალერსი,
მოაკვლევინეს თანაც დაი უსაყვარლესი!
ღიახ, მეფეო, თქვენს განაჩენს მოველით, მაგრამ
ჯერ არ მინახავს, ძმამ თავის დას მახვილი ჩაჰკრას!
ზეცაც დაგვყურებს ალბათ ზიზღით და განრისხებით.
შმაგი ურჩხულის კლანჭებისგან მალე გვიხსენით!

ტ უ ლ ი უ ს ი

თავი დაიცავ, ჰორაციუს!

ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

— რად მინდა დაცვა?!

თავადვე უწყით ჩემი ღვაწლი, ვინცა ვარ, რაც ვარ!..
ხელმწიფის აზრი კანონია და არვის არგებს
მეფესთან დავა ვინც ღირსია, პასუხსაც აგებს!
უმწიკვლო კაცი დამნაშავედ ითვლება მაშინ,
თუ დამნაშავედ მოჩანს იგი მბრძანებლის თვალში.
ჩვენი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით! თავის მართლზე,
თავმდაბალ რაინდს ხელმწიფესთან არ ეკადრება!
რასაც გვიბრძანებს, ვირწმუნოთ და არ ვიუაროთ,
ჩვენს სისხლს არ დაღვრის დღეს ხელმწიფე ტყუილუბრალოდ!
დაე, აღსრულდეს, როგორც თქვენი ნება იქნება,
ზოგს სურს სიცოცხლე, მე მძაგს იგი და მეზიზღება!
სასაყვედურო ვალერისთან არა მაქვს თითქოს,
ჩემს დას ეტრფოდა, მისი მკვლელი ძმის დასჯას ითხოვს,
დღეს მის სურვილთან, ალბათ, ჩემიც შეხმატებილდება,
რამეთუ დასჯა მეც მასავით მსურს და მჭირდება,
მაგრამ სულ სხვაა საბოლოო ჩვენი მიზანი;
ჩემი ოცნება სანუკვარი მხოლოდ ის არი,
უფრო მაღალი დიდებისთვის თავი გავწირო,
მას კი სურს სულ მთლად დამამდაბლოს და დამამციროს!
ზოგჯერ მკვებარა მეომარი გმირად უცვნიათ,
ვაქვაცს კი უჭირს ის გიჩვენოს, რაც შეუძლია
ზორგავს დამწყვედულ ლომივით და შემთხვევას უცდის,

ხან ძლიერი ჩანს სხეების თვალში და ხანაც სუსტი.
ხალხი აფასებს იმას, რაიც გარედან მოჩანს,
თუ მიაღწიე, მამ ძლიერი ყოფილხარ, მორჩა!
გმირის სახელი მარად შეგრჩეს, ძნელზე ძნელია,
შენგან გმირობას ყოველ წუთში თუ არ ელიან.
და თუ საქვეყნოდ აკაშკაშდა კაცის დიდება,
ვაი მას, ვისაც შუქი ოდნავ დაებინდება!
სულ ყალყზე დგომა გმირისთვისაც ძნელი ყოფილა,
ვაითუ ფეხი დაუცდა და წაიფორხილა!
თუ ბედისწერამ უმტყუნა და ერთხელ მოკვეთა,
და სასწაული დიდი ველარ მოიმოქმედა,
არვინ იხსენებს რაინდობას შენსას, არც სახელს,
ყოველ წუთს ცეცხლის ენასავით თუ არ ჩახჩახებ!
ჩვეულებრივი კაცის უღელს როცა ეწევი,
ნულარ დაშვრები, სანამ სულ მთლად არ დაეცემი!
მომიტყვეთ, რომ საკუთარ თავს თქვენთან ვერ ვიქებ,
სამივე ბრძოლა თვით იხილეთ, დიდო ხელმწიფე!
კაცს ვერ იხილავთ, ამდაგვარი ბრძოლა ახსოვდეს,
განმეორდება, ასე ეფიქრობ, არც არასოდეს!
მსგავს შერკინებას ვერ გავუძლებ ალბათ თავიდან,
და როგორც უნდა მოვინდომო, ვერ გადავიტან!
რაკი ვოცნებობ, ჩემზე ხსოვნა წმინდა დავტოვო,
მსურს ჩემი თავი საიქიოს განვიმარტოვო!
რომ გავიმარჯვე, მოვმკვდარიყავ იქვე მერჩია,
ოლონდ სახელი ჩემი მოდგმის გადამერჩინა!
ვაქკაცი ეგრეთ დამცირებას როდი ინებებს,
შეურაცხყოფას ვით აიტანს დამაკნინებელს?!
თავის თავს ისპობს იმწუთშივე საკუთარ ხელით,
მაგრამ აქ ჩემს სისხლს როგორ დავღვრი?! ნებართვას ველი!
ის თქვენ გეკუთვნით და ამიტომ ნება თქვენია,
აქ დავღვარო თუ სხვა მიზნისთვის დასაღვრელია?!
რომში ბევრია მეომარი, სათნო რაინდი,
ისიც დაიდგამს გვირგვინს თავზე, ვით მე დავიდგი!
თავისუფლება მომანიჭეთ დღეიდან, ვინძლო
მაქვს მე უფლება, მოვითხოვო რაიმე ჯილდო.
გთხოვთ, შევეწირო კეთილშობილ ვაქკაცის სახელს,
არ მსურს დის მკვლელის სამარცხვინო სახელი გამყვეს.

ტულიუსი, ვალერი, მოხუცი ჰორაციუსი, ჰორაციუსი, საბინი

ს ა ბ ი ნ ი

მეფეო, ზეცას ჩემი ტანჯვა რატომ არ ეყო? |
 ცრემლებმა დის და მეუღლისა ლამის წამლექოს |
 თქვენს ფეხთან მსურდა დატირება საყვარელ ძმათა, |
 მაგრამ შევეშფოთდი, არვინ მრჩება მეუღლის გარდა! |
 თქვენ არ იფიქროთ, რომ ცბიერი ზრახვით მოვედი |
 და მსურს სამართალს გამოვტაცო ბოროტმოქმედი. |
 როგორც მოიქცა, სამართალიც ისე განსაჯეთ, |
 მაგრამ ერთსა გთხოვთ, მის მაგივრად მე, მე დამსაჯეთ! |
 გამოვისყიდი მისი სისხლით ჩემს შეცოდებას, |
 რა ბედენაა, თუ ქმრის ნაცვლად ცოლი მოკვდება?! |
 კარგი მოკვდეს და ცუდი დარჩეს, ეს რა წესია?! |
 დე, შევეწირო მას, ვინც ჩემზე უკეთესია! |
 ჩვენ ისე მტკიცედ შევკავშირდით ცოლქმრობის ჯაჭვით, |
 სულ ერთი არის ჩვენში რომელ მეუღლეს დასჯით! |
 თუ მე მომკლავთ და აქვე სული თუ ამომხდება, |
 ჩემი მეუღლე ჩემში უფრო ადრე მოკვდება! |
 სიკვდილის შემდეგ დამშვიდების გარდა რა მრჩება! |
 მე მოვისვენებ, ის კი უფრო დაიტანჯება! |
 უსაზღვრო არი, ხელმწიფეო, ჩემი ვარამი, |
 რასაც განვიციდი, მტანჯველია და შემზარავი! |
 ჰკოცნიდე იმ კაცს, დამერწმუნეთ, საზარელია, |
 რომელიც შენი უძვირფასეს ძმების მკვლელია! |
 მკრებელობაა ამ დროს გძულდეს მეუღლე, რადგან |
 თავისი ქვეყნის დასაცავად გმირულად აღსდგა, |
 გიყვარდეს ქმარი ძმების სისხლში ხელამოსვრილი, |
 და არ გიყვარდეს გამარჯვების შუქით მოსილი! |
 არ ვეწამები, როცა გულში გამიყრით დანას, |
 მეტი ტანჯვაა თან გძულდეს და გიყვარდეს თანაც! |
 სიკვდილის გარდა სხვა სიხარულს არაა, არ ველი, |
 თუ დამკრავთ მახვილს, თქვენ იქნებით ჩემი მფარველი! |
 რამეთუ ჩემს ქმარს თავისი დის სისხლი მოეცხო, |
 ჩემი სიკვდილით ეგ სირცხვილი მსურს ჩამოვრეცხო!

სისხლით ჩავაქრო იქნებ ცაში იმათი რისხვა,
ვინც ალაშფოთა მეტისმეტმა სიმკაცრემ ქმრისა!
მისი დის სულიც დაწყნარდება და დამშვიდდება,
და რომსაც გვერდით ეყოლება ის, ვინც სჭირდება!

მ ო ხ უ ც ი ჰ ო რ ა ც ი უ ს ი

რომ ვუპასუხო ამ ვაჟს, ალბათ, მომცემთ უფლებას,
ჩემი შეილებიც აპყოლიან ამ შეთქმულებას,
სამთავეს უნდათ არ მომაკლონ ოხვრა და ტანჯვა,
მათ სურთ მომისპონ, ჩემს ოჯახში თუ ვინმე დარჩა!
(საბინს)

რად გსურს განშორდე მეუღლეს და ძმებს დაეწიო,
სჯობს სახელოვან შენი ძმების იღბალს ეწიო!
და რჩევა ჰკითხო უსპეტაკეს მათ სათნო სულებს,
თუ ვით ემსხვერპლნენ მშობელ მხარეს და უერთგულეს!
სიკვდილის შემდეგ რამე გრძნობა თუ შერჩა ცხედარს,
რამეთუ ალბას დამონება ისურვა ზეცამ,
ნაკლებ მწარეა მათი ხვედრი და უღმობელი,
რადგანაც მთელი ამ დიდების ჩვენ ვართ მფლობელი!
სამთავე ერთად შეგრისხავენ მაგ ტანჯვისათვის,
ყოველ აღმომხდარ კვნესისათვის, ცრემლთა ღვრისათვის!
მადიდებელი შენი ქმრისა იყავი კვალად,
და სამსახური შენი ქვეყნის არ გაგყვეს ვალად!
(მეფეს)

ამის მეუღლეს ვალერი კი ბრალს სდებს ამაოდ,
კაცი რომ ბორგავს, შესაძლოა გიყს მიამგვანო;
ასეთ გმირს უნდა მოეფერო, გადაეხვიო,
კი არ დასაჯო, დაუჩოქო, ხელზე ემთხვიო.
სამშობლოს მტერი გააღმერთა მისმა დამ! გესმით?
არ დაიშურა ოჯახისთვის შხამი და გესლი.
ქვეყანას შენსას სწყევლიდე და არაფრად თვლიდე,
აი როკაპი! და ძემ ჩემმა დასაჯა კიდეც!
მგზნებარედ რომ არ ჰყვარებოდა სამშობლო ჩემს შეილს,
დის მოსაკლავად აიღებდა ბასრ მახვილს ხელში?
ჰორაციუს რომ მარტოოდენ მკვლელი ძმა იყოს,
ვფიცავ, ამ ხელით მისი გული თუ არ გაიპოს!

თავს არ დავზოგავ, მაქვს უფლება და ძალაც მყოფნის,
ჩავცე მახვილი ჩემის ხელით ჩემგანვე შობილს!
ეს გული მარად სახელსა და ღირსებას ეძებს,
არ ვაპატიებ დანაშაულს არასდროს ჩემს ძეს!
რა მკაცრი იყო ჩემი რისხვა, რა შემზარავი,
ვალერის გარდა არ მჭირდება მოწმედ არავინ,
როცა მეგონა, დაივიწყა ნამუსის ღმერთი,
გაიქცა როგორც ლაჩარი და მშიშარა-მეთქი!
მიკვირს, რად უნდა შურისგება ჩემს უნებურად,
ქალის სიკვდილით ასე რატომ აღშფოთებულა?!
ბედი ესოდენ რად აწუხებს ჩემი ასულის,
როს არას ამბობს მამამისი გულგაბასრული?!
რადგანაც მოკლა, ხელმწიფეო, ახლა რას ელით,
სხვასაც მოკლავსო? ბრალდებაა აუტანელი!
დე, სხვებს როგორც სურთ, მბრძანებელო, მოიქცნენ ისე,
ჩვენ სირცხვილისგან გაწითლების ვერ ვხედავთ მიზეზს!
(ვალერს)

ცრემლის მორევად რომ აქციო შენი ნაღველი,
მას არ აწუხებს არაფერი, გარდა სახელის!
ისე წმინდაა, ისე სათნო მისი ბუნება,
გმირის გვირგვინში ფოთოლიც კი არ შეუჭკნება
იმ დაფნის ტოტებს, რომ უპირებთ აგრე მომტკრევას,
და თვით მოელით ციურ ძალთა აბობოქრებას!
თქვენ გსურთ აძგეროთ ჩემს შვილს დანა ცივი და ბასრი,
ჯალათის ხელით ბილწებს თავს რომ უმაღვე აცლის!
რომაელთ შორის თუ არსებობს ვინმე, ყმაწვილო,
რომელსაც ძალუძს რომის მხსნელი შვილი გასწიროს!
თქვენ, ერთი კაცი, რად უბღალავთ ქველ ვაჟკაცს სახელს,
ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის და მიწის დამხსნელს?!
მისი დაღუპვა თუ გწადიათ, ჭაბუკო ვალერ,
დის მკვლელის სისხლი სად დაეღვაროთ, გვითხარით მალე!
იქნებ აქა გსურთ, აღმართულა სადაც კედელი
და ქება ისმის რაინდისა განუწყვეტელი,
ანდა იქ, სადაც გმირის მახვილს დაუკვესია,
და მტრის სისხლს ორთქლი ისევ ასდის?! უკეთესია
იქნებ იმ წმინდა მოედანზე, სამ საფლავს შორის,

მოწმე რომ გახდა თავგანწირულ, გმირული ბრძოლის?!
არ ძალუძთ მისი დავიწყება რომაელთ მოდგმას,
ყოველი ქეაც კი მას აღიდებს და ასხამს ხობას!
და ფერმკრთალდება სიყვარული შენი, რადგანაც
აჲმა ქმედებამ წარმტაცი დღე სისხლით გასვარა!
ამგვარ სურათის შემხედვარე ალბაც წახდება,
და რომის ცრემლიც დაბრკოლებად აღიმართება!
(მეფეს)

ახლა კი თქვენგან სამართლიანს ველით განაჩენს,
მწამს, რომ ეცდებით ქების ღირსი სიკვდილს გადარჩენს!
დიდი რომისთვის გრიგალივით კვალად იშხუვლებს,
უკანასკნელი სისხლის წვეთსაც არ დაიშურებს!
მოხუცი რომ ვარ, ნუ იქნებით მიტომ მოწყალე,
ოთხი შვილისგან აღარა მყავს სამი ცოცხალი,
რომს შეეწირა სამივე და ერთილა დამრჩა,
ვინც კვლავ იომებს და რომისთვის აისხამს აბჯარს!
ბურჯს უძლიერესს ნუ მოუშლით კარიბჭეს მისას!..
მსურს ორიოდე სიტყვა ვუთხრა საკუთარ შვილსაც...
მისმინე, შვილო: სიტუტუცე უბირი ხალხის
კეთილშობილი გმირის სახელს ვერასდროს წაშლის!
შენს აღზევებას გალობით თუ წინ წარუძღვება,
მეორე წუთში ხელმრუდივით გაიძურწება!
და ერთხელ მაინც თუ გაგხადა დიდების ღირსი,
მოყირკდები და მიგატოვებს, ვით დილის ნისლი.
მარტოდენ მეფის, ანდა ბრძენი კაცის აზრებით
კაი ვაჟკაცის, მოყმის ფასი განისაზღვრება.
მათი მადლია, რომ სახელი დაღუპულ გმირთა
არ იფარება დავიწყების ფერფლით და მტკრითა.
იცოცხლე, შვილო, ისე, როგორც ჩვენს ოჯახს შვენის,
მაღლე მზესავით გაბრწყინდება სახელი შენი!
თუ ბედისწერამ გაგწიროს და მწარედ გატიროს,
ბრიყვთა გულეები მუდამ თუ ვერ მოინადირო,
სიცოცხლე ჩაღად არა ღირსო, ნუ მეტყვი ამას!
ქვეყანას, მეფეს ემსახურე! ერწმუნე მამას!
უფალო, ვატყობ გამიგრძელდა ძალიან სიტყვა,
მაგრამ ამ ბაგით თვითონ რომის სათქმელი ითქვა.

ვ ა ლ ე რ ი
გთხოვთ, ხელმწიფეო...

ტ უ ლ ი უ ს ი

არა, ვალერ! საკმარისია!..
თქვენი აზრები ჭეშმარიტად ქების ღირსია!
მაგრამ მე მხოლოდ სახელმწიფოს ბედი მაწუხებს,
და ამიტომაც, აი, ვალერ, რას გიპასუხებთ:
შემზარავია, რაც აქ მოხდა, ასეთი მტრისას!
ჩირქს ცხებს ბუნებას! იმსახურებს შერისხვას ცისას!
ზოგჯერ იმდაგვარ რამეს სჩადის, ვინც ფიცხელია,
კანონს რომ გაჰყვე, პატიება მართლაც ძნელია.
ნაკლებად მკაცრი კანონებიც გიდასტურებენ,
რომ ამგვარ ქცევით მხოლოდ სიკვდილს იმსახურებენ.
დანაშაული, ყველამ ვიცით, მისი რაც არი,
ბოროტებაა არნახული, უზარმაზარი!
მაგრამ როგორღა შევარცხვინო მახვილი მისი,
ვინც მე გამხდა ორი ქვეყნის მეფობის ღირსი?!
ორი კვერთხი მაქვს! რომს მორჩილებს ალბელთა მიწა!
და ეს ყოველი ამ რაინდის სიცოცხლეს იცავს!
მე უიმისოდ ვიქნებოდი ალბას მორჩილი,
დღეს კი ალბაა ჩემი მონა, ყმა ყურმოჭრილი!
რომში კეთილი ქვეშევრდომი ბევრია, ვიცით,
ვალს რომ უხდიან უფლისწულებს უსუსურ ფიცით,
სულყველას უყვარს მეფე, მაგრამ ძალა დალატობს,
სამშობლო თვისი უძლიერეს ქვეყნად გახადოს!
გმირების მადლით მეფის კვერთხი მტკიცედ გვიჭირავს,
რაც ძალუძს იმას, ზეციური ვისაც ნიჭი აქვს!
მსგავსი მსახურნი ითვლებიან მეფეთა მცველად,
და მათ ვერ დასჯი ისე, როგორც ისჯება ყველა!
თუ ამდაგვარი კანონები რომზეც ვრცელდება,
თვით რომულუსის შეწყალებაც გაგვიძნელდება!
და რომის შემქმნელს ბოროტება ვით აპატია,
უნდა შევინდოთ მისი მხსნელიც, ცხადზე ცხადია!
დაე ცოცხლობდეს, სირცხვილისგან ვინც რომი იხსნა,
დანაშაულსაც ვაჟკაცობამ აჯობა მისმა!
გმირო, უებრო ჰორაციუს, დაი გასწირე,

მიზეზი გიცავს და ამართლებს მაგ შენს საქციელს!
კვლავ ერთგულებით ემსახურე სამშობლო მხარეს,
გულისწყრომა და სისასტიკე შეუნდე ვალერს.
ქალის და ქვეყნის სიყვარულმა ააწრიალა,
გთხოვ, არ მოეპყრო ბოროტად და გულღვარძლიანად!
საბინ, როგორმე დაივიწყე წუხილი შენი,
კეთილშობილ სულს უფრო მეტი მოთმენა შეგენის!
ცრემლს თუ შეიშრობ, ეს იქნება დასტური მხოლოდ,
რომ ღირსეული და ხარ მათი, რომელთაც ჰგლოვობ!
ხვალ მსხვერპლს შეეწირავთ, რომ ისმინონ ცაში ღმერთებმა
ჩვენი ღალადი, ჩვენი თხოვნა, ჩვენი ვედრება!
ქურუმთა ლოცვა თუ ცოდვისგან ვერ განწმენდს რაინდს,
ჰადარა მამას შეინდობენ ღმერთები მაინც!
მისი მუდარა ზენაარსთან უთუოდ გასჭრის,
რათა სიმშვიდე დაუმკვიდროს კამილის აჩრდილს.
ლოცვა-კურთხევა ქალწულს, ჩვენგან უდროოდ წასულს,
მკაცრად მოექცა ბედისწერა საბრალო ასულს!
ორთავე მიჯნურს ერთნაირი იღბალი შეხვდა,
რამეთუ ერთ დღეს დაასრულეს სიცოცხლე ერთად!
საბედისწერო როს დაუდგათ ბედკრულებს ჟამი,
დე, იმ დღეს ერთად დაიმარხოს ორთავეს გვამი!

გამოსვლა მეოთხე

ქ ი უ ლ ი

(მარტო)

საბრალო კამილ! განგვიცხადა ცამ ამასწინათ,
თუ რა დასასრულს გიმზადებდა მუხთალი ბედი,
მაგრამ უმაღლავს საიდუმლოს ნახევარს იმათ,
ვისაც უნარი გააჩნია ნათელი ხედვის.
მან მომავალი ჭორწინება თითქოს გახარა,
დაგპირდა, ძვირფას სატრფოსთან რომ მარად იქნები,
მაგრამ უცბად თუ მოკვდებოდი, არ თქვა, დაფარა,
და ჰა, აღსრულდა გულთმისანი მოგვის სიტყვები:
„ხვალღიდან სახეს შეიცვლიან ალბა და რომი,
გისმინათ ზეცამ, დაიძინებთ მშვიდად და წყნარად,
ვერ დაგაშორებთ ვერასოდეს შფოთი და ომი,
ერთად იქნებით საყვარელი მიჯნურნი მარად!“

ც რ უ პ ე ნ ტ ე ლ ა

კომედია ხუთ მოქმედებად

მ ო ძ ლ ვ ნ ა

ბატონო ჩემო,

გიძღვნით პიესას, რომლის სტილი იმდენად განსხვავებულია წინა პიესის სტილისაგან, რომ ძნელი დასაჯერებელია, თუ ერთი ხელიდან გამოვიდა ერთიცა და მეორეც, თანაც ერთ ზამთარში. ასევე განსხვავებულია მათი შექმნის მიზეზებიც. მე დავწერე „პომპეუსი“, რათა დაშეკამაყოფილებინა ისინი, ვისაც „პოლიევქტის“ ლექსი „სინას“ ლექსივით ძლიერი არ ეჩვენა, და დაძინებებინა მათთვის, რომ კვლავაც ძალშიც ამალღებული განწყობილების შექმნა, როცა სიუჟეტი ამის საშუალებას იძლევა. მე დავწერე „ცრუპენტელა“, რათა შემესრულებინა მათი სურვილი, ვინც ყველა ფრანგით ცვალებადობის მოყვარულია, და ამდენი სერიოზული პიესის შემდეგ, რითაც ჩვენი საუკეთესო პოეტების კალამმა გაამდიდრა ჩვენი სცენა, მთხოვდა შემექმნა რამე უფრო მხიარული, მხოლოდ გასართობად გამიზნული. პირველ შემთხვევაში მინდოდა მენახა, რა შეუძლია ჩანაფიქრის სიღრმესა და ლექსის სიძლიერეს მიმზიდველი სიუჟეტის გარეშე, მეორეში კი — მომესინჯა, რა შეუძლია მიმზიდველ სიუჟეტს ძლიერი ლექსის გარეშე. თანაც, რაკი ჩემს პირველ წარმატებას კომედიურ ეპიკურს ვუმაღლი, არ შემეძლო, ხელი საბოლოოდ ამეღო მასზე, ეს ერთგვარად უმადურობის გამოჩენა იქნებოდა. როგორც მაშინ, პირველად რომ მივატოვე კომედია, ვერ გავბედე მხოლოდ საკუთარი ძალების იმედით შევდგომოდი ტრაგედიის აღმართებს და დიდ სენეკას დავეყრდენი, დავესესხე ყოველივეს, რაც რამ იშვიათი ვნახე მის „მედეაში“, ასევე ახლაც, ჰეროიკულიდან მიაშტურისკენ უჯუქცეულმა, ვერ გავბედე, იმ სიმაღლიდან ძირს უმეგზუროდ დავშვებულეყავი და სახელგანთქმული ლოპე დე ვეგე ვიწინამძღვრე, რათა ჩვენი ცრუპენტელას იკლიკანტურ ზვანჯებში გზაკვალი არ ამზნეოდა. ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ ასლია მის მიერ შექმნილ ბრწყინვალე დედნიისა, რომელსაც „La Verdad sospechosa“ ეწოდება. მიეყვები ჩვენი პორაციუსის რჩევას, გაბედულებისაკენ რომ მოუწოდებს პოეტებსა და მხატვრებს, და მიუხედავად ორი გვირგვინის ომისა, თავს ნება მივეცი, ესპანეთთან ურთიერთობა არ გამეწყვიტა. თუ ეს დანაშაულია, მასში დიდი ხანია ბრალი მიმიძღვის. ეს შეეხება არა მარტო „სიდს“, რომელშიც დონ გილემ დე კასტრო დავიხზარე, არამედ ზემოთ ნახსენებ „მედეასაც“ და თვით „პომპეუსსაც“; როცა მათ ვწერდი, მეგონა, ორ ლათინს, ვთხოვდი შველას, სინამდვილეში კი ორი ესპანელისათვის მიმი-

მართავს, რადგან სენეკაცა და ლუკანუსიც კორდოველები არიან. ვინც არ მპატიებს ჩვენს მტრებთან ურთიერთობას, ის მაინც უნდა აღიაროს, რომ მე ისინი გაეძარცვე. რაღაც არ უნდა ჩამითვალონ, მოპარვად თუ სესხებად, მე ეს საქმიანობა ისე გამიტკბა, იოლად ველად დავეხსნები. იმედია, თქვენც ჩემი აზრისა ბრძანდებით და ამით თქვენს თვალში პატივისცემა არ დამაკლდება.

გახლავართ,

ბატონო ჩემო,

თქვენი მონა-მორჩილი

კორნელი

მკითხველისადმი

თუმცა ეს კომედიაც და მისი მომღვენოც, ორივე ლოპე დე ვეგას ჩანაფიქრს ემყარება, მაინც უმართებულო იქნებოდა, ისინიც იმავე წესით წარმომედგინა თქვენთვის, როგორც წარმოვიდგინეთ „სიდი“ და „პომპეუსი“, რადგან პირველ მათგანში თქვენ იხილეთ ესპანური ლექსი, ხოლო მეორეში — ლათინური, ალაც თარგმნილი გილემ დე კასტროდან და ლუკანუსიდან, ალაც კი მათი მიბაძვით დაწერილი. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს აქაც ბევრი რამ არ მესესხებინოს მომხიბლავი დენდიდან, მაგრამ, რაკი პერსონაჟები მთლიანად გავაფრანგე და ჩვენებურ სამოსელში გამოვაწყვე, იმდენად ცოტა რამეს იპოვიტ საერთოს ესპანურსა და ფრანგულს შორის, კმაყოფილებას კი არ მიიღებთ, გული გაგიწვრილდებათ.

მაგალითად, მე თუ ჩვენს ცრუბენტელას ვატრაბახებ, გერმანიის ომში ვიყავიო, ესპანელი მას პერუსა და ვესტ-ინდოეთზე ალაპარაკებს, საიდანაც ვითომ ეს-გისაა დაბრუნდა. ასევეა სხვა ადგილების უმეტესობა. მართალია, ყველა ამბავი დედნის თარგზვა მოკრილი, მაგრამ არავითარი მსგავსება არაა არც აზრებს შორის და არც სიტყვებს შორის, რომლებითაც ეს აზრებია გამოთქმული. ამიტომ მხოლოდ იმის აღიარებით დაეკმაყოფილდები, რომ სიუჟეტი მთლიანად ესპანელისაა, რაშიც თვითონვე დარწმუნდებით, თუ გადაშლიტ მისი კომედიების ოცდამეორე ტომს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გადმოვიღე მხოლოდ ის, რაც ჩვენს ზნე-ჩვეულებებს ეხამებოდა. თუ კაღნიერებად არ ჩამომერთმევა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება საგნისადმი, რომელშიც სრულიად უმნიშვნელო წვლილი მიმიძღვის; მაშინ ვაღიარებ, ამ ჩანაფიქრით ისე ვარ მოხიბლული, რომ კომედიურ ტანრში არც ძველებთან და არც ახლებთან მსგავსი არაფერი მეგულება. იგი თავიდან ბოლომდე ისე მახვილგონივრულია, ყველაფერი ისე ზუსტად და ლამაზადაა მიგნებული, კაცი მართლაც ძალიან უხიაგ გუნებაზე უნდა იყოს, რომ არ მოეწონოს ქარგა და დადგმისაგან სიამოვნება ვერ მიიღოს.

უთუოდ შევეპყდებოდი, ამ პოემის მიმართ მეტისმეტ აღფრთოვანებას ხომ არ ვიწინ-მეტყი, ჩემი აზრი განმტკიცებული რომ არ იყოს ჩვენი საუ-

კუნის ერთ-ერთი უსაჩინოესი ადამიანის შეხედულებით, ვინც არა მარტო სწავლული მუშების მფარველია პოლანდიაში, არამედ თავისი მაგალითით იმაშიც გვარწმუნებს, რომ პოეზიის ხიბლი სრულებითაც არაა შეუთავსებელი პოლიტიკაში ყველაზე მაღალ მდგომარეობასთან და სახელმწიფო მოღვაწის ყველაზე კეთილშობილ საქმიანობასთან. მხედველობაში მყავს ბატონი დე ზუილიხემი, მონსენიორ პრინც ორანელის კანცლერი. ეს ის პიროვნება გახლავთ, ჰეინსიუსმა და ბალზაკმა თავიანთი გახმაურებული დაეის არბიტრობა რომ მიანდეს და მეცნიერული არგუმენტები გაუგზავნეს. მან არ ითაკილა, საჭაროდ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ კომედიის მიმართ, დაწერა ორი ეპიგრამა, ერთი ლათინური, მეორე — ფრანგული და ელზევიერების ლეიდენურ გამოცემას წაუძღვარა. მით უფრო მეტი სიამოვნებით მომყავს აქ ისინი, რომ არ მაქვს პატივი, პირადად ვიცნობდე მათ ავტორს, ამიტომ ექვს ვერავენ შეიტანს მის მიუკერძოებლობაში. ვერც მეთისმეტ პატივმოყვარეობას დამდებენ ბრალად, რადგან მთელი ეს ზოტბა მე კი არა, ლოპე დე ვეგას ეკუთვნის; ბატონმა დე ზუილიხემმა, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ ამ თეატრალური საოცრების პირველი ავტორი ლოპე დე ვეგა იყო.

**In praestantissimi poetae Gallici Cornelii
comoediam que inscribitur Mendax**

Gravi cothurno torvus, orchestra truci
Dudum cruentus, Galliae justus stupor
Audiuit et vatum decus Cornelius.
Laudem poetae num mereret comici
Pari nitore et elegancia, fuit
Qui disputaret, et negarunt inscii;
Et mos gerendus insciis semel fuit;
Et, ecce, gessit, mentiendi gratia
Facelisque, quas Terentius, pater
Amoenitalum, quas Menander, quas merum
Nectar Deorum Plautus et mortalium,
Si saeculo reddantur, agnoscant suas,
Tandem poeta est: fraude, iuoco, fabula
Mendace scena vindicavit se sibi.
Cui stagirae venit in mentem, putas,
Quis qua praeivit supputator algebra,
Quis cogitavit illud Euclides prior,
Probare rem verissimam mendacio?

Constanter, 1645.

ბ-ნ კორნელს „ცრუბენტელას“ გამო

ისე განითქვა „ცრუბენტელა“, შენი პიესა,
ტიბრიც, მასიც, პოც, რაინიც გლოვას მიეცა,
შურით აღესილნი ბედს წყველიან და ყრიან ცოფებს,
მისი ავტორის შესაღარი რომ ვერვინ შობეს.

თვით სწავლულებსაც ერთხმად ასე გადუწყვეტიათ:
 „ტერენციუსზე და პლატეზე უფრო მეტია“.
 მე, ჩემდათავად, ამ პიესას მოვთხრიდი ძირით,
 უგერგილოა, უგემური, მშრალი და მწირი,
 არ გააჩნია იუმორი, სუსტია ქარგა,
 ქალი ქალს არ ჰგავს, მამაკაცი მამაკაცს არ ჰგავს.
 მაგის მაქებართ ალბათ საქმე გამოელიათ.
 იშვას კორნელი, განა მართლა ასე ძნელია!
 წყალწყალა ღვინოს შეუურიეთ ლენტოვის წვენი
 და სულ ეგ არის, კორნელები წამოვლენ ცვენით.
 ამას რას ვამბობ? ჰოი, კორნელ, გთხოვ პატივბას!
 ერთი ვიცრუე და ტყუილი ტყუილს მიება,
 რადგან დღეს უკვე ვაქცაობას ტყუილით ვზომავ,
 დავგმე სიმართლე, მხდალს ვეძახი ტყუილის ქომავს.
 ასე უეცრად შემეყვარდა, რაც მძულდა დღემდე,
 შენი ბრწყინვალე „ტრუპენტელას“ წაკითხვის შემდეგ.
 ეგება ვცდები, სულ უკბილოდ ვხუმრობ ეგება,
 მაგრამ არ ძალმიძს ღირსეულად მისი შექება
 და მწირი ხობტა რომ არ ეღერდეს შეურაცყოფად,
 ამ ტყუილისტყვიტ განვიზრახე ლექსის გაწყობა.
 თუკი ვერ შეძლებ და ბოლომდე ვერ იტყვი მართალს,
 რა დაერქმევა ამ სიმართლეს ტყუილის გარდა?
 ღმერთების თვალშიც ერთნაირი ფასი აქვს თითქმის,
 იცრუებს კაცი თუ ნახევარ სიმართლეს იტყვის.

კონსტანტერი

შ ა ნ ხ ი ლ ვ ა

ეს პიესა ნაწილობრივ თარგმნილია და ნაწილობრივ გადმოკეთებულია
 ესპანურიდან. მისი სიუჟეტი ისე მახვილგონივრული და ისე ოსტატურად
 აგებული მეჩვენება, რომ ხშირად მითქვამს, ჩემს ორ საუკეთესო სიუ-
 ჟეტს უყოყმანოდ დავთმობდი, ოღონდ ეგ ჩემი ყოფილიყო-მეთქი. მის
 ავტორობას სახელგანთქმულ ლოპე დე ვეგას მიაწერდნენ, მაგრამ ამას-
 წინათ ხელში ჩამივარდა დონ ხუან დე ალარკონის ტომი, სადაც იგი თა-
 ვისად აცხადებს ამ კომედიას და ესაყვედურება გამომცემლებს, ჩემი
 ნაწარმოები სხვისი სახელით გამოაქვეყნესო. თუ ეს მისი საკუთრებაა,
 დაიბრუნოს, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ვისი ხელიდანაც არ უნდა
 გამოსულიყო ეს კომედია, მაინც საოცრად მახვილგონივრულია, ესპანურ
 ენაზე ჭერ არაფერი შემგებდრია, უფრო რომ მომწონებოდეს. ვცადე,
 ჩვენი გემოვნებისა და წესებისათვის მიმესადაგებინა იგი, მაგრამ იძულე-
 ბული გავხდი, დამეძლია ჩემი ზიზღი u parte-ების¹ მიმართ, რომელთა-

¹ განზე ნათქვამი (იტალ.).

განაც ისე არ გაიწმინდებოდა, რომ დიდი ზიანი არ მისდგომოდა მის სილამაზეს. ამიტომ, რაც შემეძლო, შევამოკლე ისინი და თითქმის ყოველთვის, როცა კი მიემართავ, სცენაზე სმადაბლა ვასაუბრებ ორ განაპირებულ პერსონაჟს, სანამ არ წარმოითქმის ის რეპლიკები, ამ ორმა რომ ვერ უნდა გაიგონოს. ასეთი პარალელიზმი, მართალია, არ არღვევს მოქმედების ერთიანობას, მაგრამ რამდენადმე ძაბავს მათეურბელს, რომელმაც აღარ იცის, რას მიაღვენოს თვალი და იძულებულია, ყურადღება ორმხრივ წარმართოს, რასაც მიჩვეული არაა. ადგილის ერთიანობა დაცულია, ყველაფერი პარიზში ხდება, თუმცა პირველი მოქმედება ტიუილრიში მიმდინარეობს, დანარჩენი ოთხი კი სამეფო მოედანზე. არც დროის ერთიანობაა დარღვეული, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორის განკარგულებაში მთელი ოცდაოთხი საათია. რაც შეეხება მოქმედების ერთიანობას, აქ უკვე აღარ ვიცი, რითი ვიმართლო თავი: დორანტს მთელი პიესის მანძილზე კლარისა უყვარს, ფინალში კი ლუკრეციას ირთავს, რაც არ შეესატყვისება პროტასისს. ესპანურშიც იგივე მდგომარეობაა, ოღონდ იქ ცრუ-პენტელა ისჯება თავისი ტყუილებისთვის და მას ძალით აქორწინებენ ლუკრეციაზე, რომელიც არ უყვარს. იმის გამო, რომ სახელები აერევა, ჰგონია, კლარისას უთვლის, ცოლად გამომყევრო, თანსმობას კი ლუკრეციასგან იღებს. როცა მისი შეცდომა გამომქვლიანდება, მედიდურად აცხადებს, სახელი შეემშალა, თორემ ქალი კი არ შემშლიაო. ამაზე ლუკრეციას მამა მოკვლით ემუქრება, თუ არ შეირთავს მის ქალიშვილს, მას შემდეგ, რაც ხელი სთხოვა და თანსმობა მიიღო. საკუთარი მამაც იმავე მუქარას უშვრებს. ასეთი დასასრული ცოტა ტლანქი მეჩვენა და გადავწყვიტე, რომ ძალდაუტანებელი ქორწინება უფრო გუნებაში მოუვიდოდა ჩვენს მათეურბელს. ამიტომ ასეთი გამოსავალი გამოვინახე: დორანტი მეხუთე მოქმედებაში თანდათან ლუკრეციასკენ იხრება, რომ ბოლოს საკუთარი შეცდომით ისარგებლოს და კომედია დაინტერესებულ მხარეთა სრული თანხმობით დამთავრდეს.

მოქმედი პირნი

- ჟერონტი, დორანტის მამა.
- დორანტი, ჟერონტის ვაჟი.
- ალსიპი, დორანტის მეგობარი და კლარისას შეყვარებული.
- ფილისტი, დორანტისა და ალსიპის მეგობარი.
- კლარისა, ალსიპის შეყვარებული.
- ლუკრეცია, კლარისას მეგობარი.
- იზაბელა, კლარისას მოახლე.
- საბინა, ლუკრეციას მოახლე.
- კლიტონი, დორანტის მსახური.
- ლიკასი, ალსიპის მსახური.

მოქმედება ხდება პარიზში.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

დორანტი, კლიტონი

დორანტი

დაშნა ვარჩიე მოსამართლის მანტიას, კლიტონ.
საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამიმტყუნდა
და მამაჩემმა მომიწონა ეს არჩევანი.
მოკლედ, მეშველა, კანონების ზუთხვას გადაეჩი.
მაგრამ, მითხარი, ამ დიდებულ ტიუილრიში,
ამ რჩეულ ხალხში თუ ვივარგებ გამოსაჩენად?
ჩემს სიტყვა-პასუხს, მიხრა-მოხრას, თავის დაქერას,
ასე მგონია, სქოლარობის ბეჭედი აზის.
იქ ხომ, კოდექსის ქვეყანაში, არც კარგი ტონი,
არც დახვეწილი მანერები არ ისწავლება.
ჰოდა, ძალიან მეშინია...

კლიტონი

ნუ გეშინიათ.

სქოლარს რა გიგავთ, გაახუნებთ ყველა დარდიმანდს!
თვალტანადობა არ გაკლიათ, შნო და ლაზათი.
თვითონ ბარტოლსაც რომ ენახეთ, შემოგნატრებდათ.
საწყალი ქმრების რა იციან, რა საფრთხე ელით!
მოგწონთ პარიზი?

დორანტი

ერთი რამე არ მომწონს მხოლოდ:
სწავლის საბაბით პარიზიდან რომ გამამგზავრეს

და ასე უქმად წამივიდა ამდენი ხანი.
შენ კი რა გიჭირს, ხარ პარიზში და დროს ატარებ.
აქაურ ქალებს ბევრი დევნა სჭირდება, ალბათ.
ისე, იცოცხლე, კი ღირს დევნა, თუ გახდი რამეს.

კ ლ ი ტ ო ნ ი

რამეს კი არა, თუ გაცალა, ყველაფერს გახდი!
მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, რაკილა გატყობთ,
რომ ამ საქმეში თქვენ ხუმრობა არ გყვარებით:
პარიზში წუხელ ჩამოხვედით პუატიედან
და ამ დილითვე იერიშზე გასურთ გადახვიდეთ,
გნებავთ, ერთბაშად მთელ საქალეთს გაავლოთ მუსრი,
დასაქარგავად ერთი წუთიც არ გემეტებათ.
თქვენ ახლა ვინმე გამოცდილი მოძღვარი გინდათ,
ამ კეთილშობილ ხელობაში რომ დაოსტატდეთ.
ნება მიბოძეთ, ჩემი თავი შემოგთავაზოთ.
თან საქმეც ვიცი, თან სირბილიც არ მეზარება.

დ ო რ ა ნ ტ ი

ბევრი სირბილი არ მოგიწევს, ნუ შეშინდები.
მე, სწორი გითხრა, მხოლოდ ისეთ ნაცნობებს ვეძებ,
მივიდე ხოლმე, გაგიცინო, გავმხიარულდე,
დრო გავატარო ლაღობით და სიამტკბილობით.
რაკი არ მიცნობ, ვერც მიმიხვდი რისი თქმა მსურდა.

კ ლ ი ტ ო ნ ი

გასაგებია, თქვენ ამბობთ, რომ ავხორცი არ ხართ
და არ გწადიათ იმ ქალებთან საქმის დაჭერა,
პირველ შემხედურს რომ უწვებიან ფულის გულისთვის.
მაგრამ არც ისეთ კდემამოსილ კეკლუცებს ელტვით,
რომ გაგიღიმებს, იელურტულებს, თვალებს მინაბავს
და საბოლოოდ ყველაფერი იმით თავდება,
რითაც დაიწყო — ჟღურტულით და თვალების ნაბვით.
ამ მეტისმეტად თავშენახულ ლამაზმანებთან
დროს მოკლავ, მაგრამ გატარების რა მოგახსენო.
თქვენ ქალი გინდათ ზომიერად პატიოსანი,

რომ გაუბრბოდეს ცოდვას, მაგრამ... ძალიან არა,
მეტადრე მაშინ, თუ ძალიან მოეწონებოდა.
აქ, ღვთის წყალობით, ასეთებიც მრავლად არიან.
მაგრამ, მე მგონი, სულ ტყუილად მალაპარაკებთ
და არავისი გაკვეთილი თქვენ არ გჭირდებათ,
თქვენი ღიმილი, თუ არ ვცდები, აშკარად ამბობს,
რომ შეგიძლებოდა გავლილი გაქვთ კარგა ხანია.
ჩანს, იმდენ დროსაც არ გართმევდათ კანონის ზუთხვა,
რომ სწავლის გარდა ვერაფრისთვის ვერ მოგეცალათ.

დორანტი

რალა კაცი ხარ, მაგ საქმისთვის თუ ვერ მოიცილი.
ღიას, ვიცლიდი და ერთგვარი გამოცდილება
მივიღე, მაგრამ... სად მივიღე? პუატიეში.
პუატიეში! სად პარიზი, სად პუატიე!
აქ იმ ხერხებით ფონს ვერ გახვალ, ჩაიძირები.
რაც სხვაგან მოსწონთ, ის პარიზში ყავლგასულია.
პროვინციული ქეცეები და საუბრის კილო
უმეტესწილად იწვევს მხოლოდ დამცინავ ღიმილს.
პროვინციაში რასაც ხვდები, იმას სჯერდები,
ვინც სხვაზე ნაკლებ სულელაა, ბრძენთა ბრძენია.
აქ კი ვერავის ვერ შეაყრი თვალეზში ნაცარს,
ვერავის ყალბი ბრწყინვალეობით ვერ დააბრმავებ.
როცა ამდენი ღირსეული ხალხია ირგვლივ,
შენც ღირსეული თუ არა ხარ, ვინ ჩავთვლის რამედ.

კლიტონი

აი, რას ნიშნავს, რომ სრულებით არ იცნობთ პარიზს
და მის ავ-კარგზე ყურმოკრული ამბებით მსჯელობთ.
პარიზი დიდი ქალაქია, სადაც ზღვა ხალხი
მიდის და მოდის, აქ ერთმანეთს ცუდად იცნობენ,
სულ იოლია, გაასაღო ტყუილი მართლად
და, ჩვეულებრივ იმად ფასობ, რა ფასსაც იღებ.
აქაც ისევე, როგორც ყველგან, რჩეულთა გვერდით
ათასი ჯურის ნაძირალა დაეხეტება.
მე, ჩემდათავად, ვერ ვიტყვოდი, თითქოს პარიზში
განსაკუთრებით იგრძნობოდეს ბრძენთა სიმრავლე,

ანდა რეგვნების ნაკლებობა: ერთ ჭკვიან კაცზე ზუსტად იმდენი ბრიყვი მოდის, რამდენიც სხვაგან. მაგრამ როგორღაც შეუმჩნევლად გადავუხვიეთ საუბრის საგანს. რა მინდოდა მეკითხა თქვენთვის? ჰო, ხელგაშლილი თუ ბრძანდებით?

დორანტი

ძუნწი არა ვარ.

კლიტონი

მაშ, ქალთა გულებს სულ ადვილად მოინადირებთ, ეს გასაღები თითქმის ყველა ცხრაკლიტულს აღებს. ოღონდ, გახსოვდეთ, ძალზე დიდი სიფრთხილე გმართებთ, ხელგაშლილობით ვინმეს წყენა არ მიაყენოთ, იმგვარად გასცეთ, რომ არავის დაადოთ ვალი. ჭკვიანი კაცი დიდი ტაქტით აკეთებს ამას. შემთხვევით ტოვებს საგანგებოდ მიტანილ ნობათს, ან ძვირფას ბეჭედს მოიხსნის და ბანქოში აგებს, რითაც სასურველ ნაყოფს იმკის, რომელსაც ყველა ვერ მოიმიკიდა. მაგალითად, გულუხვი ზეპრე სასურველ ქალთან სწორედ ძღვენით წაიხდენს საქმეს, ისე მიუგდებს, მოწყალება გაიღო თითქოს. ზეპრე ზეპრეა...

დორანტი

ამიტომაც, მოდი, შევეშვათ და ეს მითხარი, ხომ არ იცნობ ამ ქალიშვილებს, აქ რომ მოდიან?

კლიტონი

მე, ბატონო? აბა, საიდან. ასეთი ხალხი სათოფეზე არ მიმიკარგბს. გნებავთ, გაგიგებთ, ვინ არიან, მეეტლეს ვკითხავ.

დორანტი

მერედა გეტყვის?

კლიტონი

მაშ, მეეტლე რის მეეტლეა, თუ გააჭენა, ვისაც გინდა გამოაჭენებს.

გამოსვლა მეორე

დორანტი, კლარისა, ლუკრეცია, აზაბელა

კლარისა (წაიფორხილებს და კინლამ დაეცემა.)
ვაიმე!

დორანტი

იცი, ბედმა თქვენი პაწია მარცხი
მე მიწყალობა, რათა ხელი მომეცა თქვენთვის
და განმეცადა უდიდესი, უზენაესი
ბედნიერება — თქვენი ხელის შეხება მეგრძნო.

კლარისა

მე მგონი, ბევრი არაფერი უწყალობნია,
რადგან ეს თქვენი უდიდესი ბედნიერება
ისე მცირეა, რომ არცა ღირს სალაპარაკოდ.

დორანტი

აბა, რა გითხრათ, რაც აქ ბედის წყალობით მოხდა,
არ მოხდებოდა, მე რომ ბედი არა მწყალობდეს,
მაგრამ მე ბედი რომ მწყალობდეს, არ მოხდებოდა
ბედის წყალობით, მოხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ
თქვენი წყალობით და ძალიან სამწუხაროა,
რომ ამ წყალობას მე ვერასდროს დავიმსახურებ.
ყველაზე მეტად რაც მალონებს, სწორედ ეს არის,
ღირსი არა ვარ ამოდენა ბედნიერების.

კლარისა

ჩვენი აზრები არ ემთხვევა ერთიმეორეს,
თქვენ რაც გაღონებთ, მე, პირიქით, გამახარებდა.
სწორედ ის მიყვარს, რასაც ჩემით ვერ ვიმსახურებ,
თორემ ის, რასაც ვიმსახურებ, საზღაურია
და საზღაური როგორ უნდა ინატრო კაცმა.
ბედნიერება მაშინაა ბედნიერება,
როცა რითიმე კი არ ვაღწევთ, თავისით მოდის.
აბა, ყველას რომ ის მოგვაგონ, რისი ღირსიც ვართ,
ბედნიერება ცოტა ვინმეს ხვდებოდა წილად.

დორანტი

მეც ასე ვფიქრობ და ამიტომ არც მაქვს იმედი,
რომ მხოლოდ ჩემი ღირსებებით მივალწევ რამეს.
მაგრამ ეს გული, სიყვარულის ცეცხლით რომ იწვის,
ბედნიერია და მით უფრო ნეტარებს ახლა,
რაც უფრო ნაკლებ იმსახურებს ამ ნეტარებას.
თან იტანჯება საკუთარი ბედნიერებით,
რადგან თქვენს მიერ ნაბოძები არ არის იგი
და ბრმა შემთხვევამ უწყალობა თქვენს უნებურად.
შეყვარებულს კი მხოლოდ ის ჰგვირის კმაყოფილებას,
სრული ნებით და თანაგრძნობით რასაც მიაღწევს,
ხოლო რაიმეს უცაბედად თუ მიაღწია,
ასე ჰგონია, ზიზღის ფასად აქვს მიღწეული.
ჩემს ბედს რა ვუთხრა! ამირია ტკბილი და მწარე:
ხელი კი მომცეს, მაგრამ გულზე მითხრეს უარი.
რისთვის მიპყრია თქვენი ხელი, რისთვის ვეხები,
თუკი არ ძალმიძს ხელთან ერთად გულსაც შევებო.

კლარისა

თქვენ, ჩემო კარგო, მეტიმეტად იოლად იწვით,
თუ ამ ნაკვერჩხლებს ვერწმუნებით, აქ რომ გაჰყარეთ.
მე, სამწუხაროდ, ეგ უნარი არ მომცა ღმერთმა,
არ შემიძლია ასე უცბად აბრიალება.
მაგრამ კაცნი ვართ, შეიძლება, მაგ თქვენმა გრძნობამ
თანდათანობით ჩემშიც ჰპოვოს გამოძახილი.
ახლა ხომ ხედავთ, ბედს ტყუილად რომ ემდურებით
და რომ ისეთი საგანგაშოც არაფერია.

ბამოსვლა მისაგე

დორანტი, კლარისა, ლუკრეცია, იზაბელა, კლიტონი

დორანტი

სულაც არ არის გასაკვირი, ბედს ვემდუროდე.
მთელი წელია, ჩამოვედი გერმანიიდან,

მთელი წელია, იმის ნაცვლად, მტერი მემუსრა,
დავიარები ბალებზე და პრომენადებზე,
თქვენ რომ წაგაწყდეთ, თქვენს სარკმელთან ვარ ასვეტილი,
ჩრდილივით დაგდევთ, სერენადებს გიმღერით ღამით.
მაგრამ არა და არ მომეცა მარჯვე შემთხვევა,
მოვსულიყავ და თქვენთვის გული გადმოიმეშალა.

კ ლ ა რ ი ს ა

გერმანიიდან ჩამოხვედით? ომში იყავით?

დ ო რ ა ნ ტ ი

ჰო, ოთხი წელი გავატარე.

კ ლ ი ტ ო ნ ი

ხომ არ გაგიყდა!

დ ო რ ა ნ ტ ი

წარმოიდგინეთ, ამ ოთხი წლის განმავლობაში
ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, კვებით არ ვამბობ,
ბრძოლა მოგვეგოს და ამაში თქვენს მონა-მორჩილს
წვლილი და თანაც დიდი წვლილი არ შეეტანოს.
გაზეთმაც აკი არაერთხელ შემასხხა ხოტბა...

კ ლ ი ტ ო ნ ი (სახელოზე ქაჩავს.)

ბატონო, როგორ გეკადრებათ...

დ ო რ ა ნ ტ ი

ჩუმად იყავი.

კ ლ ი ტ ო ნ ი

თუ სიზმარში ხართ...

დ ო რ ა ნ ტ ი

გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი!

კ ლ ი ტ ო ნ ი

თქვენ ან წუხელის ჩამოხვედით პუატიედან,
ან მე ჭკუაზე...

დორანტი

არ გარეკა?! რა თავს გახვედი
ხმა ჩაიწყვიტე! ისე ქუხდა ჩემი სახელი,
ვერას მაკლებდა მოშურნეთა ცილისწამება.
ო, რა დიდებას მივალწევდი, ცოტაც დამცლოდა!
მაგრამ პარიზში ჩამოვედი, თქვენ დაგინახეთ
და იმ წუთიდან სამუდამო ტყვე გავხდი თქვენი!
ვერ გავუმკლავდი გულგამგმირავ თვალთა იერიშს,
უცებ დაეყარე იარაღი, როგორც ჯაბანმა!
მას შემდეგ აღარ შენატრება ომის ქარ-ცეცხლი,
ბრძოლის ყიჟინა, გულს სიამით რომ მიჩქროლებდა,
მას შემდეგ აღარც საბელი და დიდება მახსოვს,
თქვენდამი ტრფობამ ყველაფერი გადამაეფიყა
და პარიზიდან ფეხი აღარ მომაცვლევინა.
ერთი სურვილი შემოჩა მხოლოდ: თქვენ გამსახუროთ.

იზაბელა (ჩუმად კლარისას.)

აღსიბი მოდის, გაგიჟდება, სხვასთან რომ გნახოთ.

კლარისა

დროა, წავიდე. ალბათ კიდევ შევხვდებით სადმე.
ნახვამდის.

დორანტი

ნუთუ გამწირავთ და ბნელში დამაგდებთ!

კლარისა

კარგია, თქვენი დათაფლული სიტყვების სმენა,
მაგრამ ვაი რომ მოსაცდელად აღარ გვცალია,
ახლა ცოტა ხანს მართო გვინდა გავისეირნოთ.

დორანტი

რაკი ასეა, ერთზე მაინც ნუ მეტყვით უარს:
ნება მიბოძეთ, რომ მიყვარდეთ, თუნდაც შორიდან.

კ ლ ა რ ი ს ა

თუ სიყვარული ნამდვილია, სხვისი ნებართვა
მას არ სჭირდება, საკუთარი ნებართვაც ყოფნის.

გამოსვლა მეოთხე

დორანტი, კლიტონი

დორანტი
უკან გაჰყევი.

კლიტონი

რაც გვინდოდა, უკვე შევიტყვე,
მეეტლის ნათქვამს სიტყვა-სიტყვით გაგიმეორებთ:
შესახედავად უკეთესი რომელიცაა,
ისაა ჩემი ქალბატონი, სახელად ჰქვია
ლუკრეცია და მოედანზე ცხოვრობსო, მითხრა.

დორანტი
სადო?

კლიტონი

სამეფო მოედანზე. მეორე ქალიც
იქვე ცხოვრობსო, სახელი კი ვერ მითხრა მისი,
მაგრამ გაგიგებთ.

დორანტი

არ მჭირდება, ნუ შეწუხდები.
ვინც მესაუბრა და მომხიბლა, ლუკრეციაა,
ნამდვილად ვიცი. თავდება ჩემი გუმანი
და თვითონ მისი სილამაზე, რაც მთავარია.

კლიტონი

მთავარი, ალბათ, გუმანია, ჩემო ბატონო,
თორემ, ღმერთმანი, სილამაზით მეორე სჯობდა.

დორანტი

ის ბაიყუში სჯობდა არა, განზე რომ იდგა
და ვერც კი შეძლო საუბარში სიტყვა ჩაერთო?

კლიტონი

ბატონო ჩემო, როცა ქალი სიტყვაძვირია,
დიდი ცოდვია, ასეთ ქალზე აუგი ითქვას.
მისი გაჩენა, გეუბნებით, სასწაულს უდრის!
ამ დროს ბუნება თავისსავე შესაძლებლობას
აჭარბებს ხოლმე და არასგზით არ შეიძლება,
რომ ღმერთის ხელი არ ერიოს მის გაჩენაში.
დღეს სიყვარული ძველებურად ვერ მიბნევს თავგზას,
მაგრამ, როდესაც ქალს შევხვდები, ვისთვისაც უფალს
დუმბილის ნიჭი მიუცია, გონებას ვკარგავ
და მაიმახიც მეჩვენება მზეთუნახავად.
ჩუმად რომ იდგა, ლუკრეცია ის ქალი იყო,
ხოლო ვისითაც მოიხიბლეთ, სულ სხვა ვინმეა
და გიჯობთ, მისი ვინაობა დროზე გაიგოთ.
თუ ამ საქმეში მე მართალი არ გამოვდექი,
ბრიყვი ვყოფილვარ, რასაც ფიცით დავადასტურებ.

დორანტი

ფიცი რად გინდა, ჩემო კლიტონ, ფიცი რად გინდა.
ბიჭოს, შეხედე, ჩემი სკოლის ამხანაგები
აქეთ მოდიან, რაღაცაზე ცხარედ მსჯელობენ.

გამოსვლა მხუთე

დორანტი, ალსიპი, ფილისტი, კლიტონი

ფილისტი (ალსიპს)

მაშ, მუსიკაც და ვახშამიცო?

ალსიპი (ფილისტს)

დიახ, მუსიკაც

და ვახშამიცო.

ფილისტი (ალსიპს)
წუხელ?

ალსიპი (ფილისტს)
წუხელ.

ფილისტი (ალსიპს) და ყველაფერი
კარგად ყოფილა მოწყობილი?

ალსიპი (ფილისტს)
ძალიან კარგად.

ფილისტი (ალსიპს)
ვის მოუწყვია, რას ამბობენ?

ალსიპი (ფილისტს)
ჯერავინ მითხრა.

არადა...

დორანტი (ესალმება)
როგორ გამიხარდა თქვენი დანახვა,
ვერ წარმოიდგენთ.

ალსიპი
მეც უზომოდ მოხარული ვარ.

დორანტი
მომიტყვეთ, რომ საუბარი შეგაწყვეტინეთ,
მაგრამ არასგზით არ შემეძლო, არ მოვსულიყავ.

ფილისტი
კარგი, ჩვენს შორის ბოდიშები რა საქიროა.

დორანტი
გთხოვთ, საიდუმლო თუ არ არის, მეც გამიმხილოთ,
რაზე მსჯელობდით ასე ცხარედ?

ა ლ ს ი პ ი

ერთ პაემანზე.

დო რ ა ნ ტ ი

სასიყვარულო პაემანზე?

ა ლ ს ი პ ი

ასე გამოდის.

დო რ ა ნ ტ ი

რაკი დაიწყეთ, ყველაფერი მითხარით ბარემ.

ა ლ ს ი პ ი

გუშინ კონცერტი გაუმართავთ ერთი ქალისთვის.

დო რ ა ნ ტ ი

სად?

ა ლ ს ი პ ი

მდინარეზე.

დო რ ა ნ ტ ი

მდინარეზე? ჩინებულია.

როგორც ამბობენ, წყალი ხანძარს უფრო ახელებს.

ფ ი ლ ის ტ ი

მეც გამიგია.

დო რ ა ნ ტ ი

დღისით მოხდა თუ ღამით?

ა ლ ს ი პ ი

ღამით.

დო რ ა ნ ტ ი

ჩინებულია. ცეცხლი ღამით უკეთ ანათებს.

თქვენ ეს მიიხარით, ქალზე რა თქვენს, ლამაზიაო?

ა ლ ს ი პ ი

აქეს.

დო რ ა ნ ტ ი

მუსიკაც აქეს?

ა ლ ს ი პ ი

აქეს.

დ ო რ ა ნ ტ ი

ბოლოს ნადიმი

თუ გაიმართა?

ა ლ ს ი პ ი

გაიმართა.

დ ო რ ა ნ ტ ი

ნადიმიც აქეს?

ა ლ ს ი პ ი

ნადიმიც აქეს.

დ ო რ ა ნ ტ ი

ვინ გამართა, არ იცით?

ა ლ ს ი პ ი

არა.

რატომ იცინით?

დ ო რ ა ნ ტ ი

თქვენ რომ გხედავთ გაკვირვებულებს.

ეს ყველაფერი მე მოვაწყვე.

ა ლ ს ი პ ი

თქვენ?

დ ო რ ა ნ ტ ი

მე.

ა ლ ს ი პ ი

გილოცავთ.

ქალის მოხიბვლა ასე უცებ სად მოასწართ?

დ ო რ ა ნ ტ ი

სულ ბოთე უნდა ვყოფილიყავ, რომ ვერ მომესწრო.

თვეზე მეტია პარიზში ვარ, თუმცა ჯერხნობით

არც ისე ხშირად გამოვდივარ დღისით სახლიდან,

სამაგიეროდ ღამლამობით ორიოდ ნაცნობს

ვაკითხავ ხოლმე...

კლიტონი (დორანტს ყურში)

რეებს ამბობთ, ღმერთი არა გწამთ?..

დორანტი

ხმა კრინტი-მეთქი! კიდევ ერთხელ თუ გაგიბედავს...

კლიტონი

რა მწარედ ტყუის, ღმერთო ჩემო, რა მწარედ ტყუის!

ფილისტი (ალსიპს ჩურჩულით)

როგორ მარტივად ამოიხსნა ეს გამოცანაც.

თქვენმა მეტოქემ თავის თავი თვითონვე გასცა.

დორანტი

გატყობთ, ამ საქმით მეტისმეტად დაინტერესდით.

ხათრს არ გაგიტეხთ და ყველაფერს წვრილად გაიმბობთ.

მაშ ასე: ხუთი დიდი ნავი დავიჭირავე,

მომღერლები და დამკვრელები ოთხ გუნდად დავყავ

და ოთხივენი მოვათავსე ცალ-ცალკე ნავში.

როგორ უკრავდნენ ან რა გრძნობით მღეროდნენ, ღმერთო!

ჯერ უკეთესი არაფერი მომისმენია,

ტკბილი ჰანგები იღვრებოდა ოთხივე მხრიდან.

მეხუთე ნავში, უფრო დიდი რომელიც იყო,

გავამართვინე ტალავერი და ტოტებს შორის

ბროწეულების, ჟასმინების და ფორთოხლების

ფერად-ფერადი ყვავილები ჩავაწნევიანე.

როცა შელამდა, მოვიყვანე ჩემი ღვთაება,

და რომ პირისპირ უხერხულად არ გვეგრძნო თავი,

კიდევ სხვა ხუთი ლამაზმანი დავუპატიჟე.

როგორი სუფრა გაიშალა, ნუ მომაცოლებთ,

სიტყვით ამისი გადმოცემა არ შეიძლება.

მაინც რა იყო, რა კერძები, რა საწებლების

რა სასმელების თავზე ექვსი მოსამსახურე

დაგეტრიალებდა და ნადიმად ვიდრე ვისხედით,

სმენას გვიტკობდა ღვთაებრივი მუსიკის ხმები.

როცა პურობა დავამთავრეთ, ორსავ ნაპირზე,

სანამდე თვალი გასწვდებოდა, ზღვა მაშხალები
ავარდა ცაში და სინათლედ გადმოიღვარა.
გეგონებოდა, წამოვიდა ვარსკვლავთა წარღვნა,
მთელი მდინარე აღმოდებულ ნაკადად იქცა.
მერე ცეკვები გაიმართა. ეს დროსტარება
გაგრძელდა, სანამ არ გამოჩნდა დილის მნათობი.
ჩვენი სურვილი მის სურვილად რომ ქცეულიყო,
კიდევ კარგახნით გადადებდა, ალბათ, ამოსვლას,
მაგრამ ჩვენს ხვეწნას არ მოხედა და შურნეულმა
შეგვაწყვეტინა მხიარული ცეკვა-თამაში.

ა ლ ს ი პ ი

კარგი ნადიმი ყოფილა და კარგადაც ჰყვებით.
ასეთი რამე პარიზს დღემდე არ მოსწრებია.

დ ო რ ა ნ ტ ი

მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩემმა ლამაზმა
მოსამზადებლად მხოლოდ ორი საათი მომცა.

ფ ი ლ ი ს ტ ი

მაინც ბრწყინვალედ მოგისწრიათ. საოცარია.

დ ო რ ა ნ ტ ი

სხვა შემთხვევაში მაგას როგორ დავჭერდებოდი,
მაგრამ ვაი რომ არჩევანის დრო აღარ მქონდა.

ა ლ ს ი პ ი

აბა, მომავალ შეხვედრამდე. მშვიდობით გნახეთ.

დ ო რ ა ნ ტ ი

მშვიდობით გნახეთ.

ა ლ ს ი პ ი (ფილისტს)

ექვისაგან გავგეჟდე ლამის.

ფ ი ლ ი ს ტ ი

საექვიანო, მე თუ მკითხავთ, არაფერია,
თქვენც ხომ შენიშნეთ, წვრილმანები სულ არ დაემთხვა.

ა ლ ს ი პ ი

დრო და ადგილი ხომ დაემთხვა, მეტი რა გინდა.

განმოსვლა მუდმივად

დორანტი, კლიტონი

კლიტონი

ბატონო ჩემო, შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ?

დორანტი

ნება შენია, გინდა მკითხე და გინდა არა.

აი, ხალხში კი ცოტა ფრთხილად მოქცევა გმართებს.

კლიტონი

დიდი ხანია, რაც თვალდია ძილი დაგჩემდათ?

დორანტი

თვალდია ძილი?

კლიტონი

თან გძინავთ და თან სიზმრებს ჰყვებით.

ჰო, სიზმრებს ვარქმევ, თორემ ისე სხვა რამე ჰქვია.

დორანტი

შენ ჰკუაზე ხარ?!

კლიტონი

ჰმ, ჰკუაზე როგორ ვიქნები,

ამდენი ბრძოლის და ასეთი ნადიმის შემდეგ.

თქვენ ბრძოლებს იგებთ ყოველგვარი რისკის გარეშე

და ერთი გროშის გაუღებლად ნადიმებს მართავთ.

ჰო, მართლა, შარშან დავბრუნდიო, ეგ რაღა იყო?

დორანტი

მაგის გარეშე ხომ სარწმუნო არ იქნებოდა,

რომ შორით ვეტრფი.

კ ლ ი ტ ო ნ ი

ხოლო მაგით სარწმუნო გახდა?

დ ო რ ა ნ ტ ი

შენგან არ მიკვირს? მაშ, მივიდე და მივახალო:
„იცით, მე გუშინ სკოლის მერხზე ვიჯექი ისევ
და თქვენ შეძელით გუშინდელი ღლაპის მოხიზვლა.
ზეპირად ვიცი კოდექსების პარაგრაფები,
წაკითხული მაქვს ალციატი, ბალდი, აკურსე
და თუკი ჩემთვის ცოტაოდენ დროს გამონახავთ,
მათი ძვირფასი ციტატებით დაგიტკობთ სმენას“.
ამას ეტყვი და, მორჩა, ქალი უკვე შენია,
ზედ არ შეხედავს სიმამაცით განთქმულ მეომრებს,
რადგან ქალები, როგორც თვითონ მოგეხსენება,
პარაგრაფების მზუთხველებზე ჭკუას კარგავენ.
ასეთ სიმართლეს არ სჯობია, ტყუილი უთხრა
და ამით მისი მოწონება დაიმსახურო?
ტყუილის თქმას კი დიდი სიბრძნე არა სჭირდება,
უნდა გაბუჭო, სახელების და ტერმინების
კორიანტელი დააყენო, ახსენო გალა,
ვერტი, ლამბუა, ადგილები დაასახელო,
ხშირ-ხშირად ჩართო „ავანპოსტი“, „შტურმი“, „რედუტი“,
„არიერგარდი“, „კონტრესკარპი“, „კურტინი“, „კარე“,
აზრიანს იტყვი, თუ უაზროს, ეგ სულ ერთია,
ოღონდ როგორმე ყური მოსჭრა და განაცვიფრო,
და თუ განცვიფრდა, სანახევროდ მოხიზლულია,
კიდევ ცოტაც და მოკლე ხანში კრედიტს გავიხსნის.

კ ლ ი ტ ო ნ ი

კარგი, დავუშვათ, გერწმუნათ და განცვიფრდა კიდევ,
მალე სხვებისგან ხომ გაიგებს, ვინ ხართ და რა ხართ.

დ ო რ ა ნ ტ ი

აღბათ, გაიგებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება,
ამასობაში გააკეთა ჩვენმა ტყუილმა
თავისი საქმე: საფუძველი უკვე ჩაყარეთ.

გარდა ამისა, თუკი სხვებმა გადაარწმუნეს,
ხომ შეგვიძლია ისევ აქეთ გადმორწმუნება.

კლიტონი

აზრი მერევა, სადაცაა თავბრუ დამესხმის.
ისევ თქვენს ნადიმს დავუბრუნდეთ, რომლის ბადალსაც
ვერ გამოართავდნენ ვერც ურგანდა, ვერც მელუზინდა.
თქვენთან იმათი ჯაღოქრობა რა სათქმელია.
არა, თქვენ უნდა სარაინდო რომანებს წერდეთ,
ერთიმეორეს უნაცვლებდეთ ომსა და ნადიმს,
ვინ დაგძრახავდათ, თუ ხანდახან იშტაზე მოსულს,
ბრძოლა და ლხინი ერთმანეთში აგერეოდათ.
მთავარი გმირიც უსათუოდ თქვენ უნდა იყოს.
ელვის სისწრაფით დაივლიდით ქვეყნიერებას.
ო, რა გულდაგულ იომებდით დიდ ნადიმებზე
და დიდ ომებში რა განცხრომით ინადიმებდით!

დორანტი

ეჰ, ჩემო კლიტონ, შენ ამისი გემო არ იცი.
ვერ წარმოიდგენ, რა გრძნობაა, მოულოდნელად
რომ გააოცებ, გაოცებას ვინც გიპირებდა.
როცა სათქმელი უცებ ყელში გაეხირებათ,
პირს დააღებენ, შემომცქერენ გაოგნებულნი,
ხმას ვერ ძრავენ და მხოლოდ თვალებს ახამხამებენ,
სიამოვნების ქრუანტელი დამივლის ხოლმე.

კლიტონი

მაგ ქრუანტელმა ავი საქმე არ გიყოს ბოლოს,
მოულოდნელად სადმე ფეხი არ წაიტეხოს.

დორანტი

შენ დარდი ნუ გაქვს. მაგრამ, მოდი, ამ ფუჭ კამათში
დროს ნუ დავკარგავთ და ვიპოვოთ ის ქალიშვილი,
წედან რომ გულში ჩამივარდა. აბა, მომყევი,
მე შენ ცხოვრების სულ სხვა წესი უნდა გასწავლო.

გამოსვლა პირველი

ჟერონტი, კლარისა, იზაბელა

კ ლ ა რ ი ს ა

მჯერა, ბატონო, უეჭველად კარგი იქნება, არ შეიძლება თქვენი შვილი კარგი არ იყოს, მაგრამ არ ვიცნობ, შორიდანაც არ დამილანდავს და უნახავად როგორ გავყვე, ხალხი რას იტყვის. ვნახავ და მერე მოგახსენებთ გადაჭრილ პასუხს, თორემ გამოვა, გათხოვებას დავხარბდი თითქოს. ოღონდ სახლში რომ მომაყენოთ, როგორც სასიძო, უხერხულია, მეზობლები ჭორს დაარხევენ. რამენაირად ისე უნდა მანახოთ სადმე, ჩემს სახელს ჩრდილი არ მოადგეს, ბატონო ჩემო.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

რა მეტქმის, შვილო, მართალი ხართ, ცამდე მართალი. ვხედავ, ჭკუითაც ისე ბრწყინავთ, როგორც მშვენებით. მაშინ ასე ვქნათ, გამოვიყვან სახლიდან ღორანტს, მოედნისაკენ სასეირნოდ გამოვატარებ და თქვენს სარკმელთან გავაჩერებ, ვითომ შემთხვევით. დააკვირდებით და ყველაფერს აწონ-დაწონით, როგორი საქმრო შეგირჩიეთ, თქვენ თვითონ ნახავთ. პუატიედან გუშინ დილით ჩამოვიყვანე, მაგრამ ნამდვილად სქოლარისა არა სცხია რა. მისი ქცევები, გარეგნობა, სიტყვა-პასუხი მეფის კარზედაც, დამერწმუნეთ, ბევრს შეეშურდება. სანდო არაა, მშობელი რომ თავის შვილს აქებს, მაგრამ იკითხავთ და ამასვე გეტყვიან სხვებიც, ეს ერთი მყავს და დროზე მინდა დავაქორწინო, რძლად კი უკეთესს ვის ვინატრებ.

კ ლ ა რ ი ს ა

გმადლობთ, ბატონო.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მშვენივრად ვიცი,
მაგ არჩევანით რაოდენი პატივი დამდეთ.
მაშ, მოუთმენლად ველოდები თქვენს გამოჩენას.
ლამის წინასწარ შემეყვარდეს, ვიღრე ვნახავდე.

გამოსვლა მემორე

კლარისა, იზაბელა

იზაბელა

რა კარგი ქენით, რომ არაფერს შეჰპირებიხართ,
ნახავთ და მერე რასაც გნებავთ, იმას გადაწყვეტთ.

კ ლ ა რ ი ს ა

როგორ გადავწყვეტ, იზაბელა, არ გადამრიო.
კაცს ერთი წამით თვალს შევაგლებ, ისიც შორიდან,
რას დაეინახავ? გარეგნობას, მეტს ხომ ეწერაფერს?
ვთქვათ, მოხდენილი ყმაწვილია, წარმოსადეგი.
მერედა ამით შეიძლება კაცზე მსჯელობა? -
რას უნდა მივხვდე? მთავარია, შიგნით რა არის.
ზოგჯერ ლამაზი გარეგნობა საფარველია
და სულმდაბლობა იმალება ამ საფარველქვეშ.
ყველაზე უკეთ კაცის სული თვალეებში მოჩანს,
მაგრამ თვალეებსაც მეტისმეტად ნუ მიევენდობით:
მათში ყოველთვის უცნაური ცეცხლი ანთია.
სახიფათოა, იზაბელა, ცეცხლთან თამაში.
ცოლქმრობის საქმე სახუმარო საქმე როდია,
სიფრთხილე გვმართებს, თორემ ერთხელ ჯაჭვს რომ შევიბამთ,
მორჩა, ეს ჯაჭვი სიკვდილამდე უნდა ვატაროთ.
დღეს თუ შეცდომა მოგვივიდა, ხვალ ვერ ვუშველით,
ჯერ, სანამ რამეს გადავწყვეტდე, უნდა გავიცნო,
ვნახო, რა სულის პატრონია.

იზაბელა

მერე ვიზ გიშლით,
თქვენც ადექით და შეხვდით საღმე.

კლარისა

აღსიპს რა ვუყო.
ხომ იცი, როგორ ექვიანობს.

იზაბელა

ვინ ჰკითხავს აღსიპს,
იექვიანოს, სანამღისაც არ მოსწყინდება.

კლარისა

არა, აღსიპი რომ დაეკარგო, ესეც არ მინდა.
ჩვენ პირობა გვაქვს მიცემული ერთმანეთისთვის
და ახლა მხოლოდ მამამისის ჩამოსვლას ვუცდით
ტურიდან პარიზს, რომ ქორწილი გადავიხადოთ.
მაგრამ არა და არ დაადგა დღემდე საშველი
მის აბარგებას, ორი წელი შესრულდა უკვე,
ხან ავადაა, ხან საქმეებს ვეღარ აუღის,
ხან მგზავრობაა სახიფათო, ხან დღეა მოკლე,
ხან რა და ხან რა, მე კი გული გადამეღია.
არ ვიცი, რა ვქნა, მოლოდინსაც ხომ უნდა ბოლო,
ასე როდემდე შეიძლება მართლა და მართლა.
რაც უფრო ხანი მემატება, ფასი მაკლდება,
კიდევ ცოტაც და შინაბერას დამიძახებენ.
ხოტბას ასხამენ, ვინც ინახავს უმანკოებას,
მაგრამ თუ დიდხანს შეინახე, მშრალზე დარჩები
და ხოტბის ნაცვლად მხოლოდ ხითხითს დაიმსახურებ.

იზაბელა

კარგი, დავუშვათ, სხვა მთხოვნელი გამოჩნდა უცებ,
ვინც თქვენ თვითონაც გუნებაში მოგივიდოდათ,
მიატოვებდით მაშინ აღსიპს?

კ ლ ა რ ი ს ა

ერთი პირობით:

დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს ამბავი უმოკლეს ხანში ქორწინებით დაგვირგვინდება. სხვა შემთხვევაში ასეთ რამეს არ ვიკადრებდი. თუკი დაცდა, ბარემ ისევე აღსიბს დავუტედი, ბოლოს და ბოლოს მამამისიც ჩამოვა, ალბათ.

ი ზ ა ბ ე ლ ა

მაშინ პატარა ეშმაკობა უნდა იხმართო: ლუკრეცია ხომ თქვენი კარგი მეგობარია და ჯერჯერობით, როგორც ვიცი, სატრფო არა ჰყავს; ამიტომ მასზე არც არავინ იეჭვიანებს. სთხოვეთ, როგორმე გაუგზავნოს წერილი დორანტს, თავის საარკმელთან დაიბაროს ამ სალამოსთვის. ყმაწვილი კაცი, რა თქმა უნდა, სულ ფრენით მივა. იქ რომ თქვენ შეხვდეთ, ლუკრეცია ვითომ თქვენა ხართ, ვერ წარმოიდგენს, თუ სხვის ნაცვლად სხვას ესაუბრა და, მით უმეტეს, ვერც აღსიბი შეიტყობს რამეს.

კ ლ ა რ ი ს ა

რა ჰქვიანი ხარ, იზაბელა! აი, ეს მესმის! არა, ამაზე ლუკრეცია არ მეტყვის უარს.

ი ზ ა ბ ე ლ ა

ერთი მიბრძანეთ, ის ყმაწვილი თუ მოგეწონათ, ტიუილრიში ამ დილით რომ ელაპარაკეთ?

კ ლ ა რ ი ს ა

ღმერთო, დორანტიც თუ ისეთი მომხიბლავია, დაუყოვნებლივ დაუთმობდა აღსიბი ადგილს.

ი ზ ა ბ ე ლ ა

აღსიბს ხმამაღლა ნუ ახსენებთ, ვგონებ, მოვიდა.

კ ლ ა რ ი ს ა

ბედი არ გინდა? რალა ახლა დამაცხრა თავზე!

მოდის, ასე ვქნათ: გაიქეცი ლუკრეციასთან
და ჩვენი გეგმა გაუმჟღავნე, რას იტყვის, ვნახოთ.

გამოსვლა მასამი

კლარისა, ალსიპი

ალსიპი

ვაი, კლარისა, როგორ დამთმეი როგორ გამწირე!

კლარისა

ნუთუ გაიგო, რა საქმისთვის იყვნენ მოსული?
მიტხარით, ალსიპ, რატომ ოხრავთ, რა მოგივიდათ?

ალსიპი

რა მომივიდა, მოლალატევე? ვითომ არ იცი
შენს სინდისს ჰკითხე, ყველაფერზე ის გაგცემს პასუხს.

კლარისა

ოკტა ხმადაბლა! მამაჩემი არ შემოვიდეს.

ალსიპი

მამა და მამა! წამდაუწუმ მამით მაშინებს!
მარტო ჩემთვის გყავს? მარტო ჩემთვის? სხვებისთვის არა?
მთელი ღამე რომ მდინარეზე...

კლარისა

რა მთელი ღამე?

რა მდინარეზე?

ალსიპი

რა და ის რომ... ვერ ხვდები, არა?

კლარისა

ვერა, ვერ ვხვდები.

ა ლ ს ი პ ი

ღმერთო ჩემო, არც კი წითლდება!

კ ლ ა რ ი ს ა

გავწითლდე? რაზე?

ა ლ ს ი პ ი

მიწა როგორ არ გაგისკდება,
ეს ორი სიტყვა როცა გესმის!

კ ლ ა რ ი ს ა

რა ორი სიტყვა?

ა ლ ს ი პ ი

ღმერთო, კიდევ რომ მეკითხება! მაშ, გითხრა? გითხრა?

კ ლ ა რ ი ს ა

რა უნდა მითხრათ?

ა ლ ს ი პ ი

აგიწერო თქვენი სერობა!

კ ლ ა რ ი ს ა

ვერ გამოგია, რას გულისხმობთ.

ა ლ ს ი პ ი

ვერ გაუგია!

ჩმა თუ დავძარი, მამამისის შემოსვლით მაფრთხობს!
წუხელ დილამდე საყვარელთან რომ ბრძანდებოდი,
მაშინ სად იყო, რატომ მაშინ არ მოგიკითხა?

კ ლ ა რ ი ს ა

აღსიპ, გაგიუდიო?

ა ლ ს ი პ ი

ბო, გავგიუდი, მართლა გავგიუდი!
ნუ გავგიუდები, თუ ბიჭი ხარ! ვერ გაუგია!
მოკრძალებული ასულია, მამის ხათრი აქვს
და ეშინია, საუბრისას არ შემოგვისწროს!

წუხელ სახლიდან უკითხავად რომ გაიპარე
და მთელი ღამე გაატარე საყვარლის გვერდით,
მაშინ არ გქონდა მამის ხათრი? არც შიში გქონდა?

კ ლ ა რ ი ს ა

თქვენ, ალბათ, ხუმრობთ! ამისთანა რა გითხრეს, ალსიპ!

ა ლ ს ი პ ი

მითხრეს! უკლებლივ ყველაფერი მითხრეს, ორბირო!
სხვა საყვარელი გამოქებნე! ეს — ყბედი შეგხვდა!
თვითონვე გაგცა.

კ ლ ა რ ი ს ა

ვინ?

ა ლ ს ი პ ი

დორანტმა.

კ ლ ა რ ი ს ა

დორანტმა?

ა ლ ს ი პ ი

დიახ!

ვითომ არ იცნობს! კმარა! თავს ნუ იმიაშიტებ.

კ ლ ა რ ი ს ა

ალსიპ, შე მოვკვდე, თუ ვიცნობდე.

ა ლ ს ი პ ი

აჰა, არ იცნობ?

მაშ, ამიხსენი, მამამისი რისთვის გეწვია?

რატომ გაჩუმდი? რა უნდოდა? რა ითათბირეთ?

ჩინებულა! ღამით — შვილთან, დღისით — მამასთან!

კ ლ ა რ ი ს ა

რა ვქნა, გავაგდო? მამაჩემის მეგობარია.

ა ლ ს ი პ ი

და მამაშენთან მეგობრობის ამბებს გიყვება?

გამოსავალი აღარა გაქვს, უნდა გამოტყდე!

კ ლ ა რ ი ს ა

მაგის ვაჟიშვილს სახითაც კი არ ვიცნობ, ალსიპ!

ა ლ ს ი პ ი

ჰო, ღამე იყო, სიბნელეში ვერ გაარჩიე!
წუხანდელ ამბავს მოგახსენებ, ნავში რომ ჰყავდი,
მუსიკოსების ოთხი გუნდი რომ დაგახვია!
მაგრამ, მითხარი, მაშხალები როცა აინთო,
ნუთუ მაშინაც არ შეხედე? ასე მორცხვობდი?
მისი სახისკენ ერთხელ თვალი არ გაგეპარა?
ან მაშინ მაინც შეგეხედა, როცა გათენდა.
როგორ უტიფრად შემომცქერის! გაწითლდი მაინც!

კ ლ ა რ ი ს ა

მე არასოდეს არ ვწითლდები, ზღაპრებს რომ ვისმენ.

ა ლ ს ი პ ი

მაშ, ზღაპრებს ვყვები? მაშ, ეჭვები მაბრმავებს, არა?

კ ლ ა რ ი ს ა

ალბათ, გეზუმრნენ, თქვენ კი ჰკუა გადაგიბრუნდათ.
სხვა ვერაფერი დამისკვნია.

ა ლ ს ი პ ი

თავს ვერ იმართლებს
ასე თვალთმაქცი თუ იყავი, რას ვიფიქრებდი
მშვიდობით. ღმერთმა მოგახმაროს შენი ღორანტი.
ჩემი სახელი არ ახსენო.

კ ლ ა რ ი ს ა

მოიცათ, ალსიპ.

მეც მათქმევინეთ.

ა ლ ს ი პ ი

მამაშენი არ შემოვიდეს.

კ ლ ა რ ი ს ა

მშვენიერად იცით, მამაჩემი აქ არ შემოდის.
გთხოვთ, მომისმინოთ.

ა ლ ს ი ბ ი

არ მოგისმენ, თუკი ახლავე
სამარადისო ერთგულებას არ შემომფიცავ
და ორ კოცნასაც არ მაჩუქებ.

კ ლ ა რ ი ს ა

მისმინეთ, ალსიბ.

ვიდაცა შეცდა, ან ბოროტად ცილი დამწამა.
მაგრამ ვხედავ, რომ ჩემი სიტყვის თქვენ აღარ გჯერათ,
სხვა რა ვქნა, რითი დაგარწმუნოთ?

ა ლ ს ი ბ ი

ფიცით და კოცნით.

კ ლ ა რ ი ს ა

ალსიბ...

ა ლ ს ი ბ ი

იცოდე, უმაგისოდ წუთს არ მოვიცდი.

კ ლ ა რ ი ს ა

რას შევებით, ალსიბ, მამაჩემი არ შემოვიდეს.

გამოსვლა მართხა

ალსიბი

ა ლ ს ი ბ ი

მოდრი, მაცთურო, და დასცინე ჩემს მწუხარებას,
ეგება ამხსნა მაგ სიცილით ტრფობის ხუნდები
და ეს სახმილი შურისგების ცეცხლად მიქციო.
უნდა. შენს ნაცვლად შენს სატრფოზე ვიყარო ჯავრი.
ორთაბრძოლაში გამოვიწვევ! დღესვე! ამწამსვე!
და მოვკლავ, ანდა შევაკედები, რომ ჩემი თვალით
არ დავინახო, როგორ ურცხვად ესაკუთრება
იმას, რაც დღემდე ჩემი იყო! მეგონა ჩემი
დღეს გადაწყდება, გაიცინებ თუ ცრემლებს დაღვრის

მოდის ის არის გუშინ ისევ მეგობრად ვთვლიდი.
დღეს ხმაღში ვიწვევ. მეგობრობა მტრობამ შეცვალა.
მაგრამ მარტოკა არ ყოფილა, მამას ხლებია.
სამწუხაროა. ახლა მისვლა არ შეიძლება.
აფსუს, ხელიდან რა შემთხვევა უნდა გავუშვა!

გამოსვლა მისუთა

ქერონტი, დორანტი, კლიტონი

ქ ე რ ო ნ ტ ი

ცოტა ხანს შევდგეთ. დავიღალე და სუნთქვა მეკერის.
ჩემთვის ამდენი სიარული არ შეიძლება.
რა შენობები წამოკიმეს, თუ ხედავ, დორანტ!

დ ო რ ა ნ ტ ი

ასე მგონია, ზღაპარში ვარ. ველარ ვცნობ პარიზს.
აქ ჩემს წასვლამდე უდაბური ადგილი იყო,
ამდენი რამის აშენება როდის მოასწრეს!
კაცს ეგონება ამფიონმა ჩაჰბერა საკრავს
და შენობები თავისთავად წამომიშრატა.

ქ ე რ ო ნ ტ ი

სხვა უბნებშიაც ასეთივე ამბავი ხდება.
პარიზმა სახე შეიცვალა, უფრო დამშვენდა.
კიდით კიდემდე ქვეყანა რომ შემოიარო,
ვერაფერს ნახავ კარდინალის სასახლისთანას.
მთელი ქალაქი მშენებლობის ყინმა მოიცვა.
მაინც რა სახლებს აშენებენ! სასწაულია!
უცხომ რომ ნახოს, ღმერთკაცების სამყოფლად ჩათვლის,
შიგ თუ უბრალო ხალხი ცხოვრობს, არ დაიჯერებს.
მაგრამ შევეშვათ... შენ თუ იცი, როგორ მიყვარხარ?

დ ო რ ა ნ ტ ი

ვიცი და ამას სიცოცხლეზე მეტად ვაფასებ.

უ ე რ ო ნ ტ ი

და ისიც იცი, რომ შენს გარდა შვილი არა მყავს,
შენ კი მეომრის სახითათო ხელობას ირჩევ,
გინდა სახელი მოიხვეჭო და არად აგდებ,
რომ მეომარი მუდამ სიკვდილს ეთამაშება.
ნება შენია. მე არ გიშლი, რაც გინდა ქენი.
ოლონდ, იცოდე, ვიდრე ომში გაგისტუმრებდე,
უნდა მანამდე ცოლი შეგროთო.

დ ო რ ა ნ ტ ი

ო, ლუკრეცია!

უ ე რ ო ნ ტ ი

საცოლე უკვე შეგიჩიე, თვალადი ქალი,
პატიოსანი, შეძლებული.

დ ო რ ა ნ ტ ი

ნუ ამჩქარებთ,
ჩემით შევარჩევ. არ გადავდებ, გაძლევთ პირობას.

უ ე რ ო ნ ტ ი

მაგრამ უკეთესს ვერ შეარჩევ, ლამაზიც არის,
ჭკვიანიც, სათნოც, მოკლედ წუნი არ დაედება.
თან მამამისი ჩემი ძველი მეგობარია.
უკვე შევთანხმდით.

დ ო რ ა ნ ტ ი

რომ იცოდეთ, რა ცეცხლში მაგდებთ!
რად გინდათ ყმაწვილს ამოდენა ტვირთი ამკიდოთ!

უ ე რ ო ნ ტ ი

რასაც გიბრძანებ, გააკეთებ.

დ ო რ ა ნ ტ ი

იქნებ მანამდე
ცოტა სახელი მომეხვეჭა, მკლავი მეცადა.
დავბრუნდები და ცოლის შერთვას მერეც მოვასწრებ.

ქ ე რ ო ნ ტ ი

ერთიც ვნახოთ და ვერ მოასწრო, მე რა ვქნა მაშინ?
უბემკვიდრეოდ გადავეგო? ამოწყდეს გვარი?
სანამ შვილიშვილს არ მაჩუქებ, ფენს ვერ მოიცვლი,
შინ იჯდომები.

დ ო რ ა ნ ტ ი

თქვენი სიტყვა საბოლოოა?

ქ ე რ ო ნ ტ ი

საბოლოოა.

დ ო რ ა ნ ტ ი

შეუძლებელს მოითხოვთ ჩემგან.

ქ ე რ ო ნ ტ ი

რატომ მოვითხოვ შეუძლებელს?

დ ო რ ა ნ ტ ი

დამნაშავე ვარ...

მუხლმოდრეკილი გვეედრებით, არ გამირისხდეთ.
უკვე...

ქ ე რ ო ნ ტ ი

რა უკვე?

დ ო რ ა ნ ტ ი

უკვე ცოლი...

ქ ე რ ო ნ ტ ი

ადექი ზეზე!

თქვი გასაგებად, რასაც ამბობ!

დ ო რ ა ნ ტ ი

პუატიეში

უკვე ცოლი მყავს.

ქ ე რ ო ნ ტ ი

მე არ მკითხე, ისე შეირთე?

დორა ნ ტ ი

თქვენი რისხვისა შემეშინდა, ვერ გაგიბედეთ...
ვერც მოვასწრებდი... ძალით შემერთეს... არ მქონდა სხვა გზა...
ო, რომ იცოდეთ...

ე ე რ ო ნ ტ ი

თქვი, ნურაფერს ნუ დამიმალავ.

დორა ნ ტ ი

ერთი ნაკლი აქვს: ღარიბია, თითქმის უმზითვო.
სხვაფრივ, მე მგონი, დასაწუნი არ უნდა იყოს,
საკმაოდ დიდი გვარისაა, მაღალი წრისა.

ე ე რ ო ნ ტ ი

მაღალი წრისა? შეიძლება ვიცნობ. რა ჰქვია?

დორა ნ ტ ი

ორფიზა. მამას — არმედონი.

ე ე რ ო ნ ტ ი

პირველად მესმის.

კარგი, განაგრძე.

დორა ნ ტ ი

სულ ახალი ჩასული ვიყავ, როცა ვნახე და შემეყვარდა ნახვისთანავე. გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო მომაჯადოვა. დიდხანს ვცდილობდი მისი გულის მონადირებას. სანამ თანხმობას მივიღებდი, ექვსმა თქვემ განვლო. ბოლოს ვხვდებოდით, მაგრამ საზღვარს არ გადავსულვართ, ისე მომენდო, ზოგჯერ შინაც შემაპარებდა და მთელი ღამე ვსაუბრობდით განმარტოებით. იმ საღამოსაც მის ოთახში ვისხედით ერთად (ეს იყო ორი სექტემბერი, მშვენიერად მახსოვს) და სწორედ შუა საუბარში როცა ვიყავით, კარზე უეცრად მამამისმა მოგვიკაკუნა. საწყალ ორფიზას ელდა ეცა, ფერი ეცვალა,

იცოდა, მამა სტუმრად იყო სადღაც წასული
 და ასე მალე არ ელოდა მის დაბრუნებას.
 წამით დაიბნა, მაგრამ სწრაფად მოეგო გონზე,
 საწოლის უკან დამშალა და კარი გაუღო.
 მაშინვე ყელზე შემოეჭდო, რათა ბერიკაცს
 მისი შეკრთომა და სიფთორე ვერ შეენიშნა.
 მოხუცმა სათქმელს ჯერ შორიდან შემოუარა
 და სიტყვა ფრთხილად ჩამოუგდო ქორწინებაზე,
 ბოლოს კი უთხრა, მავანმა და მავანმა კაცმა
 ვაჟიშვილისთვის შენი ხელი მთხოვაო წელან.
 ძალიან კარგი ხალხიაო, მე მგონი, ღირსო.
 რა გუნებაზე დავდგებოდი, თვითონ მიხედვებით.
 მაგრამ ორფიზამ ისე მარჯვე პასუხი მისცა
 და თავი ისე დაიძვრინა, რომ მეც დავმშვიდდი
 და მამამისიც კმაყოფილი დარჩა სრულიად.
 ბოლოს წამოდგა. გავიფიქრე, გადავრჩით-მეთქი,
 მაგრამ კარი რომ გამოაღო, სწორედ იმ წუთას
 ჩემმა საათმა არ დარეკა? (ბედი თუ იყო!)
 საათის ხმა რომ გაიგონა, უკან მობრუნდა
 და — ეს საათი საიდანო, შვილს შეეკითხა.
 „აკასტმა, ჩემმა ბიძაშვილმა გამომატანა, —
 მიუგო შვილმა, — თხუთმეტ წუთში ორ-ორჯერ რეკავს
 და მის უბანში მესაათე რაკი არ არის,
 მე დამავალა მიმეტანა შესაკეთებლად“.
 „ჯობს, მე მომეცი, — უთხრა მამამ, — თვითონ წავიღებ“
 ორფიზა ჩუმად დაიხარა საწოლის ფეხთან,
 მაგრამ საათს რომ ვაწოდებდი, ძეწკვი შემთხვევით
 დამბაჩის ჩახმახს გამოედო, ჩახმახი დასხლტა
 და დამბაჩამაც იგრიალა. (ბედს ვერ წაუხვალ!)
 ორფიზას გული შეუღოწდა, მე კი მეგონა,
 მოვკალი-მეთქი, და გიჟივით წამოვიჭერი.
 შეშინებულმა მამამისმა ყვირილი მორთო
 და მის ყვირილზე შემოცვივდა მთელი ჯალაბი —
 ვაჟიშვილი და კიდევ ორი მოსამსახურე.
 დაშნა ვიშიშვლე და ყველანი წინ გავირეკე,
 მაგრამ ვაი რომ ამჯერადაც მიმუხთლა ბედმა,

დაშნა გამიტყდა და ვიკადრე უკანდახევა —
ორფიზას ოთახს მივაშურე. ზღურბლს რომ გადაველ,
ამ დროს ორფიზამ (იგი უკვე გონს მოსულიყო)
თავისიანებს კარი ცხვირწინ მიუჭახუნა
და გადაარაზა. რაც ოთახში ავეჯი იყო,
სკივრი, კარადა, საწოლები, კარებს მივადგით
და საიმედოდ გადავხერგეთ შემოსასვლელი.
ამას რომ მოვრჩით, ცოტა მშვიდად ამოვისუნთქეთ,
რადგან გვეგონა, ველარავინ მოგვიდგებოდა,
მაგრამ კედელი შემოლეწეს მეორე მხრიდან
და შემოცვივდნენ. რა გზა იყო, ბედს დავმორჩილდი.

უ ე რ ო ნ ტ ი

და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯვარი დაგწერეს.

დ ო რ ა ნ ტ ი

რა მექნა, ძალაც და სიმართლაც მათ მხარეს იყო.
ქალის ოთახში შუალამით წამასწრეს მარტოს,
რა უნდა მეთქვა, თავი რითი მემართლებინა?
თან მეტნი იყვნენ, ვერც ხელიდან წავუვიდოდი.
შემომთავაზეს, რომ ეს ჩემი დანაშაული
დაუყოვნებლივ ქორწინებით გამომესყიდა.
იძულებული შევიქენი, დავთანხმებოდი,
უარს ვიტყოდი და სიკვდილი არ ამცდებოდა.
თან ორფიზაზე კიდევ უფრო გამითბა გული.
რა უანგაროდ ვეყვარებივარ, თავად განსაჯეთ,
ჩემი გულისთვის წინ აღუდგა ძმასა და მამას.
მოკლედ, ასეთი არჩევანის წინაშე ვიდექ:
ან მოვმკვდარიყავ, ან შემერთო ის, ვინც მიყვარდა.
რა ამერჩია?

უ ე რ ო ნ ტ ი

არ გამტყუნებ, სწორი გიქნია.
შენ რომ გგონია, ისე მკაცრიც არა ვარ, შვილო.
ერთი მწყინს მხოლოდ: ასე დიდხანს რად მიმაღავდი?
მე ეს ამბავი თავიდანვე უნდა მცოდნოდა.

დორახტი

გერ გაგიბედეთ, მეშინოდა, რომ სიღარიბით
დაიწუნებდით.

ქერონტი

სისულელეს ნუ ლაპარაკობ.
თუ ლამაზია, ჭკვიანია, კარგად გაზრდილი,
უყვარხარ, გიყვარს, სხვა რა გინდა? აბა, წავედი,
უნდა ბოდიში მოვუხადო კლარისას მამას.

გამოსვლა მემკვსე

დორახტი, კლიტონი

დორახტი

ძალიან მარჯვედ არ დავუსხლტი? რას იტყვი, კლიტონ?
სხვა ჩემს ადგილას დაიწყებდა ხვეწნა-მუდარას,
მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდოდა
და სასურველი ქალის ნაცვლად სულ სხვას შერთავდნენ.
ათას სიმართლეს სჯობს ხანდახან დროზე ნათქვამი
ერთი ტყუილი.

კლიტონი

რაც უამბეთ, ტყუილი იყო?

დორახტი

მაგრამ ისეთი, კეთილშობილ კაცს რომ შეჭფერის,
სატრფოსთანაც და სინდისთანაც მართალი დავრჩი.

კლიტონი

მაშ, ის საათიც, ის დამბაჩაც...

დორახტი

ტყუილი იყო.

კლიტონი

ბატონო, დიდად დამავალებთ თქვენს ერთგულ მსახურს,
თუ ერთ პატარა სათხოვარზე არ მეტყვიით უარს:

როდესაც ტყუილს დააპირებთ, მანიშნეთ ხოლმე,
რომ სხვებთან ერთად თქვენს მახეში მეც არ გავება.

დორანტი

კარგი აზრია. ჩინებული აზრია, კლიტონ.
მაშ, იყავ ჩემი ერთადერთი მესაიდუმლე.
მიბოძებია ეგ მაღალი წოდება შენთვის.
ამიერიდან აღარაფერს არ დაგიმაღავ.

კლიტონი

მადლობელი ვარ, რომ ასეთი პატივი დამდეთ.
თავს არ დავზოგავ თქვენი ნდობის გასამართლებლად.
რაც შეეხება იმ ქალიშვილს, თქვენ რომ დაექებთ...

გამოსვლა მუხვიღე

დორანტი, კლიტონი, საბინა

ს ა ბ ი ნ ა (დორანტს წერილს აწვდის.)
წერილი გახლავთ.

დორანტი

ვისგანაა?

ს ა ბ ი ნ ა

ლუკრეციასგან.

დორანტი (გადაიკითხავს.)

აუცილებლად ვეახლები.

(საბინა გადის. დორანტი განაგრძობს.)

არც ახლა გჯერა?

აი, წერილი, ლუკრეციას გამოგზავნილი.

რომ დალამდება, პაემანზე უნდა მივიდე.

როგორ თქვი, როგორ? თუ გავმტყუნდი, ვინ ვიქნებო?

ხომ აღიარებ, რომ მართალი არ გამოდექი?

შენ რომ გეგონა ლუკრეცია, იმ ასულისთვის

სიტყვა არ მიტყვამს, ასეთ წერილს როგორ მომწერდა?

კლიტონი

ბატონო ჩემო, ჯერ ადრეა ნიშნის მოგება,
მივალთ და ვნახავთ.

დორანტი

ლუკრეციას სახლში შეპარვას
ვერ შეძლებ, კლიტონ? მსახურთაგან არავის იცნობ,
რომ გამოჰკითხო, ვინ არიან, რა აბადიათ?

გამოსვლა მერვე

დორანტი, ლიკასი

ლიკასი (წერილს აწვდის.)

ბატონო...

დორანტი

კიდევ წერილია.

(გადაიკითხავს.)

ლუელში მიწვევს!

ნეტა ვიცოდე, ამისთანა რა ვაწყენინე!

მაგრამ ეს უკვე სულ ერთია.

(ლიკასს)

წადი, მოგყვები.

(ლიკასი გადის.)

პარიზში წუხელ ჩამოვედი პუატიედან
და პირველ დღესვე რა ამბები დამატყდა თავზე!

ჯერ იყო, ქალი გავიცანი ტიუილრიში
და შემიყვარდა. მერე ცოლი კინაღამ შემრთეს.

ახლა ეს საქმეც დაემატა, ხმალში მიწვევენ.

ერთილა დამრჩა: დაკითხვაზე რომ დამიბარონ.

და გავთავდები, ხვალ დილამდე ველარ მივატანი!

მაგრამ მეტოქე მელოდება და თავის დროზე

უნდა მივიდე, არ ეგონოს, რომ შემეშინდა.

მისამომოქმედება

გამოსვლა პირველი

დორანტი, ალსიპი, ფილისტი

ფილისტი

ღიას, ორივემ დაამტკიცეთ, რომ გული გერჩით.
ერთმანეთისთვის ხმალში ტოლი არ დაგიდვიათ
და ორთაბრძოლის ყველა წესის დაცვით გაშველდით.
ხელი მიეცით შერიგების ნიშნად ერთმანეთს!
მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა.
ისე კი ერთობ უცნაური ამბავი იყო.
მართლა გავოცდი.

დორანტი

გაოცება ჩემი იკითხეთ:

კაცი დუელში გავედი და არ ვიცი, რატომ.
მითხარით, ალსიპ, ამისთანა რა ციადეა მქონდა,
რა დაგიშავეთ, მოსაკლავად რომ მიმეტებდით?
მე თქვენი ავი გუნებაშიც არ გამივლია
და ვერ მივმხვდარვარ, ანუ უნდა შემომწყრობოდით.

ალსიპი

მშვენივრად იცით.

დორანტი

რომ ვიცოდე, არც ვიკითხავდი.
ღმერთია მოწმე, თქვენს წინაშე ბრალი არა მაქვს.

ალსიპი

კარგი, მაშ, გეტყვით, რაკი თვითონ არ გსურთ გამოტყდეთ.
ერთ ქალიშვილზე საიდუმლოდ ვარ დაწინდებული,
ორი წელია, რაც ცოლქმრობის პირობა დავდეთ,

თუმცა ამ ამბავს გარკვეული მიზეზის გამო
ჯერ არ ვამხელდით, მაგრამ რაკი საცოლედ ვთვლიდი,
გასაგებია, ერთგულებას ვითხოვდი მისგან.
თქვენ იმ ქალიშვილს კარგად იცნობთ. რა გაგიკვირდათ?
სწორედ ის არის, თქვენ რომ თავბრუ დაგიხვევიათ,
მდინარეზე რომ სანადიმოდ გყოლიათ გუშინ.
თვეზე მეტია, პარიზში ხართ და იმალებით.
მე გამირბოდით, შესახვედრი პირი არ გქონდათ.
დღეს კი დატოვეთ სამალავი, შემთხვევით შემხვდით,
ვერ გაუძეღლით ცთუნებას და თავი გაეციეთ,
გსურდათ უიღბლო მეტოქისთვის ნიშნი მოგეგოთ.

დო რ ა ნ ტ ი

მაინცდამაინც თავი გინდათ მამართლებინოთ!
ვიცი, რომ ამას სიმხდალეში ვერ ჩამომართმევთ,
თორემ ახლავე ორთაბრძოლას განვაახლებდი
და თქვენი ეკვის გაქარწყლებას არც ვეცდებოდი.
მაშ, მომისმინეთ: მე რომ ქალზე გელაპარაკეთ,
არამც და არამც არ იქნება თქვენი საცოლე,
თუნდაც იმიტომ, რომ კარგა ხნის გათხოვილია.
ესეც არ იყოს, აქაური არ გახლავთ იგი,
პროვინციიდან ჩამოვიდა რაღაც საქმეზე
და არავითარ შემთხვევაში არ გეცნობებათ.

ა ლ ს ი პ ი

მოწარული ვარ, ყველაფერი რომ გავარკვიეთ
და რომ ჩვენს შორის ისევე აღდგა კეთილგანწყობა.

დო რ ა ნ ტ ი

და რაკი აღდგა, ერთ საჭირო რჩევასაც მოგცემთ:
ვიდრე გულისთქმას აპყვებოდეთ, დაფიქრდით ხოლმე,
უფრო უნდობლად მოეკიდეთ საკუთარ ეჭვებს
და ნურასოდეს ნუ დაიწყებთ საქმეს ბოლოდან.
მშვიდობით გნახეთ.

აღსიპი, ფილისტი

ფილისტი

მინც ოხრავთ? ხომ გაიგონეთ,
სულ სხვა ყოფილა.

აღსიპი

ვერაფერი შეღავათია.
თუ დორანტს არა, ვილაცას ხომ ნამდვილად შეხვდა,
ვაგლახ, მეტოქე საძებარი მყოლია ისევ.

ფილისტი

ტყუილად შფოთავთ, არავისაც არ შეხვედრია,
სხვა ქალისათვის გაუმართავთ ნადიმი გუშინ,
ჩვენ კი შეცდომით კლარისაზე ავიღეთ ექვი
და ეს შეცდომა თქვენი პაუის წყალობით მოხდა.
მან დაინახა, რომ კლარისა ლუკრეციასთან
მივიდა სტუმრად. გადაწყვიტა, დალოდებოდა,
მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ ლუკრეციას
შეიძლებოდა სხვა სტუმრები ჰყოლოდა კიდევ.
იქ კი დაფნე და იპოლიტა მსხდარან სადილად
(ეს ლუკრეციას მსახურისგან შევიტყვე წელან).
როცა შეღამდა, გამოვიდნენ და ეტლში ჩასხდნენ.
შორიდან მათი სახეები ვერ გაარჩია,
მაგრამ რადგანაც ლუკრეციას კარეტა იყო
და კოფოზედაც ლუკრეციას მეეტლე იჭდა,
ის ორი ქალი სიმაღლის და ჩაცმის მიხედვით
თქვენს საბედოდ და მის მეგობრად ჩათვალა პაუმა,
ეტლს შორიანლო აედევნა, რათა გაეგო,
სად მიდიოდნენ. ნახა, როგორ გადასხდნენ ნავში
და, რომ დარწმუნდა, სანადიმოდ იყვნენ მისულნი,
აღარ უცდია სიმართლეში გარკვეულიყო
და თქვენს საბედოს უნებლიეთ ცილი დასწამა.

ა ლ ს ი პ ი

შე უბედურო ჩემო თავო, ეს რა გიქნია!
როგორ მივიღე კლარისასთან იმ ამბის შემდეგ!

ფ ი ლ ის ტ ი

უკვე ეჩხუბეთ? შეგარიგებთ, ეგ არაფერი.
მაგრამ მისმინეთ, კიდევ ერთი ამბავი გითხრათ:
თქვენი დორანტი, ამ დილით რომ რეტი დაგვასხა,
თვეზე მეტი რომ პარიზშია, მაგრამ ნაცნობებს
არ ეკარება, ინკოგნიტოდ ერთ ქალთან დადის
და მდინარეზე ჭერარნახულ კონცერტებს უწყობს,
თურმე ნუ იტყვიო, მხოლოდ წუხელ დაბრუნებულა
და მთელი ღამე არხეინად შინ სძინებია.

ა ლ ს ი პ ი

მაშ, ის ნადიმი...

ფ ი ლ ის ტ ი

თუ გამართა, სიზმრად გამართა.
სისულელეა. ყველაფერი თვითონ მოჰკორა.

ა ლ ს ი პ ი

არა მგონია დორანტს ჩვენთვის ტყუილი ეთქვა,
შენ თვითონ ნახე, რა უშიშრად გამომყვა ხმალში,
რა სიმტკიცე და სიმამაცე გამოიჩინა,
მამაცი კაცი კი ყოველთვის სიტყვის კაცია,
მაგ სიმდაბლემდე არასოდეს არ დაეშეება,
სიცრუითა და ბაქიობით თავს არ შეიარცხვენს.
მოკლედ, არ მჭერა.

ფ ი ლ ის ტ ი

ასე თავსაც ნუ გამოიღებ.
გამბედაობა ბუნებაა, ტყუილი — ჩვევა.
ღიახ, პირველი ღმერთისაგან ნაბოძებია,

ხოლო მეორე — საკუთარი მონაპოვარი.
თქვენ ღორანტისა კი ნუ გიკვირთ, ჩვენი გიკვირდეთ,
რა დაგვემართა, ასე როგორ გამოვეტუტუცდით,
რომ სინამდვილედ მივიჩნიეთ ის აბღაუბდა.
სახელდახლოდ მოწყობილი დიდი კონცერტი
უსამზადისოდ გამართული დიდი ნადიმის
როგორც ზღაპარში! ჯადოსნური კვერთხის მოქნევით
კაცი, რომელსაც შეუძლია ეს დაიჭეროს,
ვერ დაიჩემებს, რომ აკლია გულუბრყვილობა.
მე, ვთქვათ, ის მაინც შევაძინიე — ნუ დამიკარგავთ —
მისი ნათქვამი პაუის ნათქვამს რომ არ დაემთხვა.
თქვენ სად იყავით?

ა ლ ს ი პ ი

ეჭვისაგან თავგზა ამებნა,
ამ დროს ყველაფერს დაიჭერებ, რასაც გეტყვიან.
მაგრამ შევეშვათ, ღორანტისთვის არ მცხელა ახლა,
აუცილებლად კლარისასთან უნდა მივიდეთ
და პატიება უნდა ვთხოვო.

ფ ი ლ ი ს ტ ი

იცით, რას გეტყვით?
უკეთესია, ზვალისათვის გადადოთ მისვლა,
ჯერ მე ვეწვევი და წინასწარ გზას გაგიკვალავთ,
ვეტყვი ჩვენს ამბავს, შეიძლება ვაცინო კიდევ.
თქვენ მერე მიდით, როცა ბრაზი გაუნელდება,
თორემ ახლა რომ დაენახოთ, შავ ღღეს დაგაყრით.

ა ლ ს ი პ ი

თუ ბინდში თვალი არ მატყუებს, კლარისა მოდის.
დიახ, ის არის. იზაბელაც გვერდით მოჰყვება.
თქვენ მართალი ხართ, ღღეს ჯობია, არ დავენახო,
გამწყრალია და შეიძლება არც შემირიგდეს.

კლარისა

ლუკრეციასთან მისვლის დროა.

იზაბელა

ცოტა ადრეა.

სიმართლე გითხრათ, დიდი ხათრი ჰქონია თქვენი.
როცა გაიგო, რა საქმისთვის ვიყავ მისული,
დაჯდა მაშინვე და შეუდგა წერილის წერას.

კლარისა

მას რომ ეთხოვა, მეც ასევე მოვიქცეოდი.
შენ ეს მითხარი, თუ იცანი ჟერონტის ვაჟი?
იცანი, არა? ჯერ მეგონა, მეშლება-მეთქი.
ის ყმაწვილია, ტიუილრის ბაღში რომ ვნახეთ.

იზაბელა

უმალ ვიცანით იგი მეც და ლუკრეციამაც,
ერთად ვისხედით და ფანჯრიდან ვუთვალთვალეზდით.
ცოტა ხნის შემდეგ მარტო დარჩა მსახურთან ერთად
და ჩემი თვალით დავინახე, როგორ მივიდა
მასთან საბინა და წერილი როგორ გადასცა.
უთქვამს, მოვალო.

კლარისა

უსინდისო! ტყუილის გუდა!

იზაბელა

რაზე უწყრებით? მეომრობა რომ დაიბრალა?
ეს, ქალბატონო, ყმაწვილების ძველი სენია,
ასე იქცევა სქოლარების უმეტესობა.
ისეთი რიხით მოყვებიან ბრძოლების ამბებს,
რომ გეგონებათ, ლაშქრობებში გამოიბრძმედნენ
და ყველა ომმა მაგათ ზურგზე გადაიარა.
სინამდვილეში არასოდეს გაუდგამთ ფეხი
პარიზისა თუ საკუთარი სოფლის გადაღმა

და ყველაფერი, თავმომწონედ რასაც ჰყვებიან,
ყურმოკრული აქვთ, ან გაზეთში ამოკითხული.
ასე ჰგონიათ, მცირდებიან ქალების თვალში
და ზედ არავინ არ შეხედავს, თუ აღიარეს,
ხელში კალამი რომ ეჭირათ და არა დაშნა.
რატომღაც სჯერათ, იმისთვის რომ ქალი მოხიბლონ,
უნდა გამოცდილ მეომრებად აჩვენონ თავი
და სინამდვილედ გაასაღონ ნაოცნებარი.
ჰოდა, დორანტმაც ასე სცადა თქვენი მოხიბვლა
და წარმოგიდგათ არა იმად, რაც არის მართლა,
არამედ იმად, რაც უნდოდა, რომ ყოფილიყო.

კ ლ ა რ ი ს ა

კარგი, ვთქვათ, ჩემგან რა ეწადა, გასაგებია,
თავს მაწონებდა, კეთილი და პატიოსანი.
აღსიპისაგან რა უნდოდა, რომ გადარიას
თურმე ნუ იტყვი, მდინარეზე ვყოლივარ წუხელ
და იქ ნავებზე მთელი ღამე ერთად ვღრეობდით.
მოკლედ, ათასი აბდაუბდა მოუგონია
და აღსიპისთვის უამბნია ეს ყველაფერი.
აღსიპს ასეთი გაგიჟება უნდოდა კიდევ?
ისეც გიჟია, ლამის მომკლას ეჭვიანობით.
იქ არ იყავი, წელან სახლში რომ მომივარდა?
უნდა გენახა საცოდავი, რა დღეში იყო.
ერთი ამბავი დამაწია, რა არ მიწოდა

ი ზ ა ბ ე ლ ა

ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილად უყვარხართ დორანტს
და საწადელის მისაღწევად ყველა ხერხს ხმარობს.
აღბათ, გაიგო, თქვენი შერთვა რომ უნდა აღსიპს
და გადაწყვიტა, სანამ დროა, ჩამოგაშოროთ.
სწორედ ამიტომ მოიგონა ასეთი ჰორი.
მერე ადგა და მამამისი გამოგიგზავნათ.
ამ მოკლედ დროში ორი საქმე ერთად მოასწრო:
თქვენს სატრფოსთანაც წაგაჩხუბათ და მამათქვენიც
დაიყოლია. ატყობთ, როგორ მოსწონებიხართ?
თვითონაც მოგწონთ, ესე იგი, საქმე დასრულდა.

კ ლ ა რ ი ს ა

დასრულდა, მაგრამ არა ისე, შენ როგორც ფიქრობ.

ი ზ ა ბ ე ლ ა

რა მოხდა? გული აიყარეთ? აკი მომწონსო?

კ ლ ა რ ი ს ა

დიდი დამცველი და ქომაგი გამოუხვედი.

კარგი, მისმინე, ვნახოთ ერთი, როგორ დაიცავ:

ცოლი ჰყოლია მაგ ვაუბატონს პუატიეში.

ჩემად შეურთავს. მამამისმაც ახლა გაიგო,

შეწუხებული მოვარდა და ბოდიშს გვიხდოდა.

ი ზ ა ბ ე ლ ა

რას მეუბნებით! ეს კი აღარ ეპატიება.

კი მაგრამ, რაში სჭირდებოდა, რომ გატყუებდათ,

რას მოელოდა, რა ნაყოფი სურდა მოემკა?

რაღაც მიზანი რომ ჰქონოდა, კიდევ სხვა იყო.

მართლა ძალიან უსინდისო ვინმე ყოფილა.

რატომღა ხედებით, რა გაქვთ მასთან სალაპარაკო?

მასხრად აიგდებთ, ქალბატონო? თუ გამოლანძღავთ?

კ ლ ა რ ი ს ა

უცბად წახდება, ყველაფერს რომ პირში მივახლი.

რას გავერთობით!

ი ზ ა ბ ე ლ ა

თქვენი ვიყო, არც ვეჩვენები.

იღგეს და მარტომ იყურყუტოს, არა ჯობია?

კ ლ ა რ ი ს ა

რას ამბობ, ასეთ თავშესაქცევს სადღა ვიშოვი.

დახე, ვიღაცა სიბნელეში აქეთკენ მოდის.

მგონი, ის არის. გავერიდოთ, არ მინდა მიცნოს.

შიგნით შევიდეთ და ფანჯრიდან თვალი ვადევნოთ.

ნეტავი ჩემი ფეთიანი რას შერება ახლა?

მაინტერესებს, დაწყნარდა თუ ბობოქრობს ისევ.
უნდა დავუტყუებ. შაგის იქით გზა არ მქონია.

ბამონავლა მეოთხე

დორანტი, კლიტონი

დორანტი

უკვე მოვედით. პაემანი აქ დამინიშნეს.

პო, რას ამბობდი?

კლიტონი

დიახ, იმას მოგახსენებდით,
მოსამართლეა, მაგის მეტი შვილი არა ჰყავს.
თუ რა ქონების პატრონია, უკვე გითხარით.
რაც შეეხება მის ქალიშვილს, ძალიან მიქვს.
ისე კი, მართლა დიდებული რამე იქნება,
ლუკრეციასაც თქვენი ნიჭი რომ აღმოაჩნდეს
და აქ შეჯიბრი გაიმართოს ტყუილის თქმაში.
ერთიც ვნახოთ და დაგამარცხათ...

დორანტი

იმედი ნუ გაქვს.

ტყუილის ნიჭი იშვიათი ნიჭია, კლიტონ.
ამ საქმისათვის საჭიროა სხარტი გონება,
გამბედაობა, წარმოსახვის დიდი უნარი.
და მახსოვრობა, მახსოვრობა, რაც მთავარია,
ერთხელ ნათქვამი აღარ უნდა გადააკეთო.
მაგრამ ფანჯარა გამოიღო. ახლოს მივიდეთ.

ბამონავლა მხუთე

კლარისა, ლუკრეცია, იზაბელა, დორანტი, კლიტონი

კლარისა

შენ მანდ დადექი, იზაბელა, და ფხიზლად იყავ.

იზაბელა

ნუ გეშინიათ. მამათქვენი თუ გამოჩნდება,
მე ნიშანს მოგცემთ.

(გაუჩინარდება.)

ლუკრეცია (კლარისას)

ალარც მახსოვს, როდის მოვიდა.

ზის მამაჩემთან და დორანტის ამბავს უამბობს.

მიდი, დაიწყე, რაღას უცდი, მე გავჩუმდები.

კლარისა

თქვენა ხართ, დორანტ?

დორანტი

მე გახლავართ, ჩემო ღვთაებაე.

გემუდარებით ან მომკალით, ან დამარჩინეთ.

ლუკრეცია (კლარისას)

ისევ იმავე ჰანგზე მღერის.

კლარისა (ლუკრეციას)

ალარ უშველის.

როგორ გგონია, ვითომ უკვე მიცნობდა ხმაზე?

კლიტონი (დორანტს)

სწორი ყოფილხართ, მისი ხმაა, არა მეთქმის რა.

დორანტი

არ ვიცი, როგორ ვარსებობდი დღემდე უთქვენოდ.

ეს ხომ ცხოვრება არ ყოფილა, ეს ტანჯვა იყო,

ნელ-ნელი კედომა, უდიდლამო, უსიხარულო.

ნეტავი ჩემი ცხოვრებიდან სამარადისოდ

ამოშლილიყო თვითეული დღე და საათი,

როცა ჯერ კიდევ არ მიყვარდით, ჯერ არ მენახეთ.

ასე მგონია, სანამ თქვენი ყმა გავხდებოდი,

ამ ქვეყანაზე ერთი წამი არ მიცხოვრია.

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)

როგორც ეტყობა, ყველა ქალთან ამავეს ამბობს.

ლ უ კ რ ე ც ი ა (კლარისას)

ასეთი კაცის არაფერი დაიჯერება.

დ ო რ ა ნ ტ ი

ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით, მე არ მეკუთვნის.

წაიღეთ იგი, მოიხმარეთ, როგორც გენებოთ.

თქვენი გულისთვის მე არც სიკვდილს შეევეპუები.

კ ლ ა რ ი ს ა

მართლა, მინდოდა, ერთი რაღაც მეტხოვა თქვენთვის,

მაგრამ არა ღირს, სულ ერთია, ვერ შემისრულებთ,

შეუძლებელი რატომ გთხოვოთ.

დ ო რ ა ნ ტ ი

თქვენ თუ მიბრძანებთ,

შეუძლებელსაც გავაკეთებ.

კ ლ ა რ ი ს ა

უცებ რომ გითხრათ,

შემირთეთ-მეთქი, შემირთავდით? თქვენ ხომ ცოლი გყავთ...

დ ო რ ა ნ ტ ი

რაო? ცოლი მყავს? მე ცოლი მყავს? რას არ იტყვიან!

ღმერთო, ასეთი სისულელე ვის მოაფიქრდა!

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)

რა თვალთმაქცია!

ლ უ კ რ ე ც ი ა (კლარისას)

თან უტეხი და უტიფარი.

დ ო რ ა ნ ტ ი

მაშ, ცოლი ჰყავსო? თუ ასეთი ხერხით ცდილობენ,

რომ თქვენ...

კლარისა

გაჩუმდით, სულ ერთია, არ დაგიჯერებთ.

დორანტი

აქვე გავთავდე, თუ ვტყუოდე.

კლარისა

ცრუ კაცის ფიცი

სანდო არ არის.

დორანტი

ცუდი აზრის ყოფილხართ ჩემზე. მართლა გგონიათ, თითქოს ავი განზრახვა მქონდეს და გატყუებდეთ? თუ გგონიათ, სასტიკად ცდებით. ვილაც უმსგავსო ჭორიკანებს როგორ აპყვევით! საოცარია, მათი გჯერათ, ჩემი კი — არა.

კლარასა (ლუკრეციას)

ისე გულწრფელად ლაპარაკობს, ცამდე მართალი მეგონებოდა, სინამდვილე რომ არ ვიცოდე.

დორანტი

უნდა სასწრაფოდ გაგიქარწყლოთ ეგ უნდობლობა და ხვალ დილითვე ჩემი ხელი შემოგთავაზოთ.

კლარისა

ხვალ მერამდენე უნდა ვიყო, ათას მეერთე?

დორანტი

ვატყობ, სულ მალე მთელ ქალაქში სახელს გამოიტყვამთ და ისეთ ნდობას მომიპოვებთ, რომ მოშურნეებს ვეღარ ავუვალ.

კლარისა

მაშ, უკეთესს რას იმსახურებს ის, ვინც ტრაბახობს, ომში ვიყავ, მტერს ვმუხრავდიო,

და ნამდვილად კი მხოლოდ კალამს აწრიპინებდა,
ის, ვინც პარიზში მთელი წელი ლანდივით დამდევეს
და ნამდვილად კი სკოლის მერხზე კოდექსს ზუთხავდა,
ის, ვინც დილამდე თავაწყვეტით ქეიფობს ქალთან
და ნამდვილად კი შინ არის და გულმშვიდად სძინავს.
თან ცოლი ჰყავს და თან არასდროს ჰყოლია ცოლი.
თუ შეიძლება კაცისაგან ეს ყველაფერი
მოისმინო და მისი ნდობით არ გაიმსჭვალო?

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს)
ახლა კი ველარ დაუსხლტებით.

დ ო რ ა ნ ტ ი

მაგასაც ვნახავთ.

(კლარისას)

იძულებული შევიქენი, ტყუილი მეთქვა,
მაგრამ მიზეზი რომ იცოდეთ, გამამართლებდით.
მერე აგინხნით, მაგისი დრო არაა ახლა.
ამჟამად მხოლოდ უმთავრესი ბრალდებისაგან
დავიხსნი თავს და თქვენს ნდობასაც დავიმსახურებ.
გაინტერესებთ, რად ვიცრუე, ცოლი მყავს-მეთქი?
რაში დამჭირდა? ყველაფერი თქვენი ბრალია.
ჩემი ტყუილის ერთადერთი მიზეზი თქვენ ხართ.

კ ლ ა რ ი ს ა
მე ვარ?

დ ო რ ა ნ ტ ი

ჰო, თქვენ ხართ. გიკვიროთ, არა? მაშ, მომისმინეთ.

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს)
აკი შევთანხმდით, თუ ტყუილის თქმას დააპირებთ,
უნდა მანიშნოთ.

დ ო რ ა ნ ტ ი (კლიტონს)

ამოგაძრობ მაგ ბოროტ ენას.

(კლარისას)

მამაჩემს სურდა, სულ სხვა ქალი შემერთო ცოლად,
მე კი თქვენს გარდა არავისი შემრთველი არ ვარ
და, როცა ვნახე, რომ უარი არ გამდიოდა,
ეს ხერხი ვცადე.

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)

რაღაც ახალ ტყუილს იგონებს.

დ ო რ ა ნ ტ ი

ცოლი მყავს-მეთქი, დავარწმუნე და ჩამომეხსნა.
ჩემს ამ საქციელს ერთადერთი მიზანი ჰქონდა,
არ მეღალატა მშვენიერი ლუკრეციასთვის.
თქვენ შეგიძლიათ, დამიძახოთ ცბიერიც, ფლიდიც,
მამის წინაშე დამნაშავედ გამომიყვანოთ,
მაგრამ თქვენდამი ორგულობას ვერ დამაბრალებთ
და ჩემს უმწიკვლო სიყვარულში ეჭვს ვერ შეიტანთ.
ნუ გოცდებით, თუ ამისთვის ჯილდოს მოველი,
უმადლეს ჯილდოს, თანაგრძნობის გამოცხადებას.
საქმე ჩავშალე. ყოველგვარი ღონე ვიხმარე,
რომ ქორწინების ბორკილისგან თავი დამეხსნა,
რადგან მწაღია, ეს ბორკილი თქვენგან დავიდო.

კ ლ ა რ ი ს ა

ისე უეცრად აგიზგიზდა თქვენი ხანძარი,
ძალიან ეჭვი მეპარება, ნამდვილი იყოს.
ჟერ არც კი მიცნობთ, დღეს პირველად მომკარით თვალი
და წარმოდგენაც კი არა გაქვთ, ვინ ვარ და რა ვარ.

დ ო რ ა ნ ტ ი

მაშ, არც კი გიცნობთ? კეთილი და პატიოსანი.
დედა აღარ გყავთ, პერიანდრი ჰქვია მამათქვენს.
მოსამართლეა. შეძლებული, გავლენიანი.
თუ გნებავთ, გეტყვით, რამდენი აქვს შემოსავალი.
ათი ათასი ეკიუ აქვს ყოველწლიურად.
თქვენი ძმა ომში დაიღუპა, იტალიაში.
ერთი დაც გყავდათ. იულია ერქვა სახელად.

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)
ხედავ, ცნობიხარ, მართლა ხომ არ მოსწონხარ ნეტა?

ლ უ კ რ ე ც ი ა (თავისთვის)
ღმერთმა ქნას.

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)
ვნახოთ, მაგის მიღმა რა იმალება.
(დორანტს)

ახლა კი მინდა, კლარისაზე გელაპარაკოთ.
დღეს ახსენებდნენ სწორედ თქვენთან დაკავშირებით.
რა აზრისა ხართ? შეირთავდით, რამე რომ იყოს?

დ ო რ ა ნ ტ ი
როგორი მას შემდეგ, რაც აქ გული გადმოგიშალეთ,
შეიძლებოდა, ამნაირი კითხვა დაგესვათ?
მშვენივრად იცით, მე ჩავშალე ეს ქორწინება,
რადგან მიყვარხართ და თქვენი ვარ სულით ხორცამდე.
კლარისა ჩემთვის არ არსებობს. ზიზღს იწვევს ჩემში.
არც გავიხედავ კლარისასკენ.

კ ლ ა რ ი ს ა
ზიზღს როგორ იწვევს!
ეთქვათ, ლუკრეცია სხვებზე მეტად გელამაზებათ,
უნდა ადგეთ და ამის გამო დალანძლოთ სხვები?
კლარისა კარგი აღზრდილია, გონჯიც არაა,
მე მგონი, თქვენზე უკეთესი ქმარი ეკუთვნის.

დ ო რ ა ნ ტ ი
ჰო, შესაძლოა, სწორიც იყოთ, მაგრამ კლარისას
ერთი ნაკლი აქვს.

კ ლ ა რ ი ს ა
რა ნაკლი აქვს?

დ ო რ ა ნ ტ ი

ის, რომ არ მომწონს.

უკეთესს გაჰყვეს, უკეთესი თუკი ეკუთვნის,
მე, ჩემდათავად, მისი შერთვა არ შემძლია.

კ ლ ა რ ი ს ა

მე კი გადმომცეს, რომ ამ დილით კლარისას ხელდ
ხელში გეჭირათ და სიყვარულს ეფიცებოდით.

დ ო რ ა ნ ტ ი

წილაცა მჭორავს, ჩემი თავი რომ შეგაძულოთ.

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)

შეხედე, ახლა დაიფიცებს.

დ ო რ ა ნ ტ ი

გამიწყრეს ღმერთი,

ყველა გამიწყდეს...

კ ლ ა რ ი ს ა (ლუკრეციას)

რა გითხარი?

დ ო რ ა ნ ტ ი

...თუკი თქვენს გარდა

სხვა ქალისათვის ხმა გამეცეს.

კ ლ ა რ ი ს ა

კმარა, გაჩუმიდით!

არც კი გრცხვენიათ, იქვე მაინც არ ვმდგარიყავი
და ყველაფერი ჩემი ყურით არ მომესმინა.

რაც ბრძანდებოდით, თავიდანვე კარგად შეგატყვეთ.
მახის დაგებას მიპირებდით, მაგრამ მე თვითონ
დაგივეთ მახე და ორივე ფეხით გაგაბით.

ახლა კი წადით. ჩინებულად გავერთე თქვენით.
მართლა ისეთი მიაპიტიც ნუ გეგონებთ,
თქვენისთანებით თავი ბევრჯერ შემოქცევია.

დორანტი, კლიტონი

კლიტონი

გაიგეს თქვენი ოინები. გაფუჭდა საქმე.

დორანტი

დანა რომ დამკრან, წვეთი სისხლი არ გამომივა.

კლიტონი

ჩემი ბრალია, საფუძველი ჩაყრილი გქონდათ და მალე კიდევ მიაღწევდით სასურველ მიზანს. მაგრამ, ეტყობა, მე დაგნავსეთ ჩემი აქ ყოფნით. სხვა დროს, იცოდეთ, პაემანზე ნუ წამომიყვანთ.

დორანტი

შენ ასე ფიქრობ? შეიძლება.

კლიტონი

თქვენ გეეჭვებათ?

დორანტი

ჯერ არავითარ შემთხვევაში არ დაეყრი ფარ-ხმალს, კიდევ მაქვს შანსი, ყველაფერი არ დაკარგულა, რას იტყვი, კლიტონ?

კლიტონი

შანსის მეტი რა გაქვთ, ბატონო, ოღონდ შემთხვევით თუ წააწყდით მაგ შანსის მუშტარს, უცებ მიჰყიდეთ, არ დაუწყოთ დიდი ვაჭრობა.

დორანტი

როგორ ვერ უნდა დაეარწმუნო, რომ მართლა მიყვარს!

კლიტონი

კაცი ერთბაშად ამდენ ტყუილს რომ დაახვავებს...

დორანტი

აქ არ იყავი? ხომ სიმართლე ველაპარაკე?

კლიტონი

ტყუილის მთქმელს რომ სიმართლესაც არ უჭერებენ, პირველად გესმით?

დორანტი

სხვისი პირით შევუთვლი მაშინ, ეგებ ნაკლები უნდობლობა გამოიჩინოს. მაგრამ ვინ ვნახო, ტყუილი რომ არასდროს ეთქვას? შენ რომ გგონია, ისე შავად არაა საქმე. ქალის გუნება მთვარესავით ცვალებადია, დღეს მოლუშული რომ შეგხვდება, ხვალ გაგიცინებს. არ შეიძლება, არ გამოჩნდეს გამოსავალი. ხვალამდე რამე უეჭველად მომათქმრდება.

მ ი ო თ ხ ი მ ო ქ მ ი დ ე ბ ა

გაგონსკლა პირველი

დორანტი, კლიტონი

კლიტონი

ბატონო, ალბათ, ლუკრეციას ჯერ ისევე სძინავს, არა მგონია, ასე ადრე რომ ამდგარიყო.

დორანტი

ჰო, რა თქმა უნდა, ასე ადრე არ ადგებოდა, მაგრამ მე მაინც მირჩევნია, აქ ვიტრიალო, მის სიახლოვეს. სხვაგან გული არ მიჩერდება. თანაც რა იცი, რა შემთხვევას გადავეყრებით.

კლიტონი

მხოლოდ შემთხვევის იმედზე ხართ? მე კი მეგონა, რომ წუხელ რამეს უეჭველად მოიფიქრებდით.

დორანტი

გახსოვს, გუშინ რომ დამარიგე ტიუილრიში და სიყვარულის საიდუმლო რომ გამიმჟღავნე: მიზანს ყოველთვის მიაღწევსო, ვინც გულუხვია? მინდა ის შენი დარიგება გამოვიყენო.

კლიტონი

მაგრამ მე მაგას სხვა ქალებზე მოგახსენებდით. ლუკრეციასთან საჩუქრებით რა გამოგივია!

დორანტი

ლუკრეციასთან არაფერიც არ გამომივა. მართლა სულელი ვიქნებოდი, ეგ რომ მეფიქრა. ასე დაბალი წარმოდგენის არა ვარ მასზე. როგორ არ გესმის, ჩემო კლიტონ, რომ საჩუქრებით მისი კი არა, მსახურების მოხიბვლა მინდა. კარგი იქნება, მის მოახლეს ველაპარაკოთ, აი, იმ გოგოს, წერილი რომ გადმომცა გუშინ, ეგებ როგორმე გამოვნახოთ საერთო ენა. დატრიალდება, ქალბატონის ამბებს მომიტანს, წერილს წაუღებს, ზოგჯერ ქებით მომიხსენიებს, ჰოდა, ამ საქმის გაკეთებას მეტიც არ უნდა.

კლიტონი

მისი რომ ვიყო, უეჭველად ხელს შეგიწყობდით. მე, ჩემდათავეად, იმნაირი ხასიათი მაქვს, არ შემიძლია ვულალატო, ვისაც ვუყვარვარ, სიყვარულით კი მას ვუყვარვარ, ვინც რამეს მაძლევს.

დორანტი

მე ვფიქრობ, შენი ხასიათი ექნება მასაც.

კლიტონი

მაშ, დაველოდოთ, სად წაგვივა, აქ არ გაივლის?
თქვენ ეს მითხარით, ალსიპისა თუ იცით რამე?
ყური მოგკარი, ორთაბრძოლა ჰქონია გუშინ.

დორანტი

გისთანო, რა თქვეს?

კლიტონი

ვნახეთ, მაგრამ ვერ ვიცანითო,
რომ ამიწერეს, ზუსტად თქვენი პორტრეტი იყო,
იმდენად ზუსტი, მთელი დღე რომ თან არ გხლებოდით,
ნამდვილად თქვენზე ვიფიქრებდი.

დორანტი

მთელი დღე მახლდი?
ლუკრეციასთან რომ გაგიშვი, ეს აღარ გახსოვს?

კლიტონი

არ მოველოდი, თუ მეც ასეთ ოინს მიზამდით.
მაშ, თქვენ იყავით?

დორანტი

მე ვიყავი, ოღონდ იცოდე,
არსად წამოგცდეს, თორემ ველარ გადამირჩები.
არ შეიძლება ეს ამბავი ვინმემ გაიგოს,
მხოლოდ შენ გიმხელ, ჩემს ერთადერთ მესაიდუმლეს.
პუატიეში ექვსი თვის წინ მე და ალსიპი
ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შევებოდით,
მაგრამ დუელი მეგობრებმა არ დაგვანებეს.
მათთვის რომ თვალი აგვეხვია, ვითომ შევრიგდით,
ხოლო ჩვენს შორის მტკიცედ დავთქვიით, როგორც კი სადმე
წავაწყდებოდით პუატიეს გარეთ ერთმანეთს,
მაშინვე დუელს გავმართავდით. ასედაც მოხდა.
გუშინ შევხვდით და კიდევ დავთქვიით დრო და ადგილი,
ერთმანეთს ყურში წავჩურჩულეთ ორიოდ სიტყვა.

მერე, ის იყო, ლუკრეციას სახლში გავიშვი,
მე კი სასწრაფოდ მივაშურე დუელის ადგილს
და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი მეტოქე
გულგანგმირული დაბლა ეგდო.

კლიტონი

ეს რა მითხარით?!

მოკვდა?

დორანტი

მე მგონი.

კლიტონი

საცოდავი! აცხონოს ღმერთმა.

გამოსვლა მეორე

დორანტი, ალსიპი, კლიტონი

ალსიპი

ძვირფასო დორანტ, მომილოცე, ამიხდა ნატვრა,
მოულოდნელად მამაჩემი...

დორანტი

რა?!

ალსიპი

ჩამოვიდა.

კლიტონი (დორანტს)

ბატონო, შეხეთ, ალსიპია, მკვდრეთით აღმდგარა!

დორანტი

მამის ჩამოსვლა შეიძლება კაცს გაუხარდეს,
მაგრამ ასეთი აღტაცება მეტისმეტია.

ალსიპი

ისე ვარ, დორანტ, სიხარულით გაოგნებული,

ჩემი ამბავი რომ არ იცი, არც გამახსენდა.
გადაწყდა უკვე ექორწინდებით მე და კლარისა!
ორი წელია, მამაჩემის ჩამოსვლას ვუცდი,
სხვა არაფერი აბრკოლებდა ჩვენს ქორწინებას.

დორანტი

ბიკოს, შენ მართლა მოსალოცად გქონია საქმე!
ახლა რას შევები? კლარისასთან მიდინხარ, ალბათ.

ალსიპი

ჰო, კლარისასთან. ეს ამბავი მინდა ვახარო.
თვალი მოგკარი და გულგრილად ვერ ჩაგვიარე,
ვიფიქრე, ბარემ ვეტყვი-მეთქი.

დორანტი

გულით გილოცავ.

აღარაფერი აღარ გიშლით?

ალსიპი

აღარაფერი!

ამიხდა ნატვრა! ბედნიერი დღე გამითენდა!

კლიტონი (დორანტს)

სულ არ ეტყობა, განგმირული რომ ეგდო გუშინ.

ალსიპი

გთხოვ, მაპატიო, ასე ჭიჭურ რომ მოგეკერი.
აბა, წავედი. მამაჩემი სანამ ისვენებს,
უნდა მოვასწრო და კლარისა მოვინახულო.
კარგად იყავი.

დორანტი

კარგად. ღმერთმა გაბედნიეროს.

დორანტი, კლიტონი

კლიტონი

ან მკვდრეთით აღდგა, ან არადა მეც აღარ მინდობთ,
თქვენს ერთგულ მსახურს, თქვენს ერთადერთ მესაიდუმლეს.
რატომ მიბოძეთ ეს მაღალი წოდება გუშინ,
ან თუ მიბოძეთ, ასე მაღე რატომ წამართვით?
და თანაც ასე უპატიოდ.

დორანტი

რაო, არ გჯერა,
რომ მართლა შედგა ის ღუელი?

კლიტონი

მჯერა, ბატონო,
მსახური ვარ და ყველაფერი უნდა მჯეროდეს,
ბატონი ხართ და ყველაფერი დაგეჯერებათ.
არ გსაყვედურობთ. ანდა რა მაქვს სასაყვედურო,
არავის ზოგავთ, არც რჯულიანს და არც ურჯულოს,
მე რას დამზოგავთ?

დორანტი

ასე გიკვირს, ცოცხალს რომ ხედავ?
მართლა ძალიან მძიმედ იყო, სიკვდილს ებრძოდა,
მაგრამ წამალი არის ერთი, ყველაფერს კურნავს,
მომაკვდავსაც კი უცებ ფეხზე წამოაყენებს...
რა იყო, რატომ გელიმება, გგონია, ვხუმრობ?
ნუთუ სიცოცხლის ელიქსირი არ გაგიგია?

კლიტონი

როდის იხმარა ის წამალი, სიკვდილის შემდეგ?
კარგი, ვთქვათ, მკვდარი არ ყოფილა, ჯერ სული ედგა,
ასე ერთბაშად რა წამალი იმოქმედებდა,

რომ უთენია ქალთან გარბის საღ-საღამათი
და საქორწინოდ ემზადება?

დორანტი

მაინც არ სჯერა!

შენ, ჩემო კარგო, ჩვეულებრივ წამლებს გულისხმობ,
ის წამალი კი, მე რომ ვამბობ, სხვა წამალია,
მკედრის გაცოცხლება შეუძლია, ხომ გეუბნები.
მეც მიხმარია.

კლიტონი

დამზადება თუ იცით?

დორანტი

ვიცი.

როგორ არ ვიცი.

კლიტონი

მეც მასწავლეთ, ჩემო ბატონო,
და სიკვდილამდე უსასყიდლოდ გემსახურებით.

დორანტი

შენ ვერ ისწავლი. ეს წამალი არ იმოქმედებს,
თუ რამდენჯერმე ებრაულად არ შეულოცე,
თან ყველა სიტყვა ისე ზუსტად უნდა გამოთქვა,
რომ შენ კი არა, ებრაულის მცოდნესაც უჭირს.

კლიტონი

როგორ, თქვენ იცით ებრაული?

დორანტი

მშობლიურივით.

მე ათი ენა ვიცი, კლიტონ.

კლიტონი

რა? ათი ენა?

და, ღმერთო ჩემო, ათივეზე თანაბრად ტყუით?

მშობლიურივით? კიდევ კარგად გადავრჩენილვარ.
ბედი ჩემი, რომ ერთის მეტი ენა არ ვიცი,
თორემ ხშირ-ხშირად შემაჰმევედით ენების პაშტეტს,
ცხარე ტყუილით შენელებულს...

დო რ ა ნ ტ ი

მე როგორც ვატყობ,
მართლა მომიწევს შენი ენის დაპაშტეტება.
მაგრამ შეხედე, მამაჩემი!

გამოსვლა მეოთხე

ჟერონტი, დორანტი, კლიტონი

ჟ ე რ ო ნ ტ ი

შენ დაგეძებდი.

დო რ ა ნ ტ ი

წაიღო ტვინი, კიდევ რამეს აიხირებდა.
ეჰ, ჩემს ასაკში მამის ყოლა დიდი ჭირია.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

ცოლი და ქმარი ერთად უნდა ცხოვრობდეს, შეილო.
თქმულა, რაც ღმერთმა შეაერთა, ნურვინ გათიშავს.
ვალდებული ხარ, შენი ცოლი შენს სახლში გყავდეს,
ამას მოითხოვს წესიცა და გონიერებაც.
თან მისი ნახვაც მეჩქარება, რა დაგიმალო.
მინდა წერილი გავაგზავნო ქალის მამასთან.
დავწერე კიდევც. ვატყობინებ, რომ ყველაფერი
მიამბე უკვე, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ
და არ გიწყრები უკითხავად ცოლის შერთვისთვის,
რაკილა ასეთ კეთილშობილ ხალხთან მამოყვრებ.
ბოლოს კი ვუთვლი, რომ დღე-დღეზე პუატიეში
გაემგზავრები შენი ცოლის წამოსაყვანად.
ჰო, შეილო, უნდა უეჭველად თვითონ ჩახვიდე,
თორემ მსახური რომ გავგზავნოთ, უხერხულია.

დორანტი

თქვენი ნებაა, თუ მიბრძანებთ, ახლავე წაველა, თუმცა წინდაწინ უნდა გითხრათ, რომ მამამისი ჯერ არავითარ შემთხვევაში არ გამომატანს. უკვე შვიდი თვის ორსულია.

ქერონტი

შვიდი თვის?

დორანტი

დიახ.

ან ცოტა მეტის.

ქერონტი

რომ იცოდეთ, რა გამახარე!

დორანტი

კარგი, ვცდი მაინც, ეგებ კიდევ გამომატანონ.

ქერონტი

რას ამბობ, როგორ შეიძლება! არც კი იფიქრო! იმხელა გზაზე ვაჭაყჭაყოთ ფეხმძიმე ქალი? რატომ ჩავადგოთ მაგ საფრთხეში, რა ძალა გვადგას! ჯერ მოლოდინდეს, ჩამოყვანას მერეც მოვასწრებთ. არ გავგოჯდები, ჩემს შვილიშვილს რომ დავინახავ? სიხარულისგან შეიძლება გულიც გამისკდეს! ახლა კი წავალ და მძახალთან სხვა წერილს დავწერ, შევეხვეწები, გაუფრთხილდეს თვალის ჩინივით.

დორანტი

რა კმაყოფილი გავისტუმრე, თუ ხედავ, კლიტონ?

ქერონტი (ბრუნდება)

ერთი წერილი შენც მისწერე.

დორანტი

აუცილებლად.

ოქრო გული აქვს.

კ ლ ი ტ ო ნ ი

კვლავ ბრუნდება, ჩუმად იყავით.

ქ ე რ ო ნ ტ ი

მძახლის სახელი ველარაფრით ვერ გავიხსენე.
რაო, რა ჰქვია?

დ ო რ ა ნ ტ ი

თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით,
მე გაგიგზავნით, მისამართსაც თვითონ დავაწერ.

ქ ე რ ო ნ ტ ი

არა, შეამჩნევს, რომ წერილი სხვა ხელითაა,
მისამართი კი სულ სხვა ხელით და ეწყინება.

დ ო რ ა ნ ტ ი

არ დაიჩემა? აღარ ვიცი, რა მოვუხერხო.
რას ბრძანებთ, როგორ ეწყინება.

ქ ე რ ო ნ ტ ი

პროვინციაში
ასეთ წვრილმანებს ყურადღებას აქცევენ, დორანტ.

დ ო რ ა ნ ტ ი

პროვინციელი ნუ გგონიათ. ახალგაზრდობა
სამეფო კარზე გაატარა.

ქ ე რ ო ნ ტ ი

ამდენ ლაპარაკს
არ გირჩევნია, თქვა, რა ჰქვია?

დ ო რ ა ნ ტ ი

პირანდრი ჰქვია.

ქ ე რ ო ნ ტ ი

პირანდრი? რაღაც სხვა სახელი მითხარი გუშინ.
დაიცა, ეგებ გავიხსენო. ჰო, არმედონი.

დორანტი

ღიან, პირანდრსაც ეძახიან და არმედონსაც.
ერთი სახელი თავისია, ხოლო მეორე
მის მამულს ჰქვია. ამ მეორე, შერქმეულ სახელს
ჯარში ყოფნისას ეძახდნენ და დღემდე შემორჩა.

ქერონტი

ჰო, ამნაირი ჩვეულება მართლაც არსებობს.
სიჭაბუკეში მეც მეძახდნენ მეორე სახელს.
მაშ, წავალ, ახალ წერილს დავწერ.

გამოსვლა მისუთი

დორანტი, კლიტონი

დორანტი

ძლივს არ მოგეშორდა?

კლიტონი

მეხსიერებამ გიღალატათ, ჩემო ბატონო,
რაც თქვენნაირთ კაცისათვის დიდი ნაკლია.

დორანტი

მაგრამ ეს ნაკლი მონერხებამ გამოასწორა.

კლიტონი

იცოდეთ, მალე ყველაფერი გამომეღავენდება.
ზოგი რამ უკვე გამომეღავენდა და, როგორც ვწახე,
მანინცდამანინც კმაყოფილი არ დარჩენილხართ.
კლარიანა თქვენზე ნაწყენია იმ ამბის შემდეგ.
სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობს, ალბათ,
და თქვენს ოინებს თუ გაიგებს, ქვეყანას მოჰფენს.

დორანტი

ეგ შენი შიში უსაფუძვლო როდია, კლიტონ.
უნდა სასწრაფოდ რამეს გავხდე ლუკრეციასთან.
მაგრამ შეხედე! ვისი ნახვაც მინდოდა, მოდის.

დორანტი, კლიტონი, საბინა

დორანტი

საბინა, გუშინ იმ წერილის წაკითხვის შემდეგ,
სიხარულისგან გაბრუნებულს სულ დამავეიწყდა,
შენთვის მაშინვე ჭეროვანი პატივი მეცა
და ის შეცდომა ახლა მინდა გამოვასწორო.
აჰა!

საბინა

ბატონო...

დორანტი

ნუ გრცხვენია.

საბინა

თუ მართლა ფიქრობთ,

რომ მე...

დორანტი

აიღე!

საბინა

რასა ბრძანებთ!

დორანტი

აიღე-მეთქი!

მინდა იცოდე, უმადური კაცი რომ არ ვარ.
ჰა, ნუ მახვეწებ.

კლიტონი

გამოართვი, რას იბრანქები
შენ, ჩემო კარგო, მიამიტი ყოფილხარ მართლა,
შენი საშველი არ იქნება, თუ არ დაგმოძღვრე.
რა იყო, გოგო, რამოდენა თავპატიყს იღებ,
გატყობ, ზრდილობად მიგაჩნია ეგ საქციელი,
მედიდურობა რომ გამოგდის, ვერ ამჩნევ, ალბათ.
ვინც ამ ხელობას დაადგება, ჩვენ რომ ვადგავართ,

უნდა მეტისმეტ სიმორცხვეზე ხელი აიღოს.
მე როცა ვინმე რამეს მაძლევს, პირდაპირ ვართმევ
და, თუ ცალ ხელში არ მეტევა, მეორეს ვუშვერ.
ასეთი წვიმა როცა მოდის, გაშალე კალთა
ამას ჩვენს დროში დიდკაცებიც არ თაკილობენ.
თუ გებევრება, შემოძლია ჩაგეზიარო.

ს ა ბ ი ნ ა

მაგაზე როგორ შეგაწუხებ.

დ ო რ ა ნ ტ ი

ჯერ ეს იკმარე,

მერე და მერე უკეთესად დაგასაჩუქრებ.

ახლა კი შენთან, ჩემო კარგო, ერთი საქმე მაქვს:

აი, ამ წერილს შენს ქალბატონს ხომ ვერ გადასცემ?

მისი წერილის პასუხია.

ს ა ბ ი ნ ა

რატომაც არა.

სიამოვნებით გადავცემ და ორიოდ სიტყვას

მეც შემოგაწევთ, ოღონდ იმას ვერ შეგპირდებით,

რომ წაიკითხავს.

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს ჩუმად)

შენეთ, შენეთ, როგორ დაგიტკბათ!

დადნა პირდაპირ!

დ ო რ ა ნ ტ ი (კლიტონს ჩუმად)

იცის ბიჭმა!

(საბინას)

რატომ? რას მერჩის?

ისე მტრულადაც არ მიყურებს, შენ რომ გგონია.

აბა, წავალ და ერთ საათში კვლავ აქ გავჩნდები.

ს ა ბ ი ნ ა

მაგ დროისათვის ყველაფერი მეცოდინება.

კლიტონი, საბინა

კლიტონი

ხელს თუ შეუწყობ, ოქროების წვიმა წამოვა.
შენ წარმოდგენაც კი არა გაქვს, რა გულუხვია.
ახლა კი გეტყვი რა უნდა ქნა. ყური დამიდგე.

საბინა

შენ წვიმისა თქვი. რა უნდა ვქნა, მე თვითონ ვიცი.

კლიტონი

გაგეხსნა მადა?

საბინა

მართლა შტერი კი ნუ გგონივარ,
მეც მშვენივრად მაქვს შესწავლილი ჩენი ხელობა.
ჩემი მორცხვობით ნაკლებ ნაყოფს არ ვიმკი ხოლმე,
ვიდრე შენ შენი სიხარბით და სულწასულობით.

კლიტონი

თუ მართლა ასე კარგად იცი შენი ხელობა,
გეცოდინება ქალბატონის გულის ნადებიც.
როგორ გგონია, ამ საქმიდან გამოვა რამე?

საბინა

რაკი ასეთი გულუხვი და კარგი ვაჟია,
არ დაგიმაღავ და ყველაფერს პირდაპირ გეტყვი:
სულაც არ არის ლუკრეცია დორანტის მიმართ
ისე გულგრილი, როგორც ცდილობს თავი აჩვენოს
და თუ არ ვცდები, სანახევროდ უყვარს კიდევაც,
წარმოიდგინე, მთელი ღამე არ სძინებია.

კლიტონი

მაგრამ თუ უყვარს, მაშინ მასხრად რატომ აიგდო?
ისეთი გახდა, რომ კინალამ გათავდა კაცი.

მაგ სანახევრო სიყვარულის არა მესმის რა.
დორანტს რომ ჩემი რჩევისათვის ყური დაეგდო,
შეეშვებოდა საბოლოოდ მაგ თქვენს ქალბატონს.

ს ა ბ ი ნ ა

გულს ნუ გაიტეხს, გეფიცები, ნამდვილად უყვარს.

კ ლ ი ტ ო ნ ი

კაცი დავბერდი და არავინ მინახავს დღემდე,
რომ ამნაირად ამქლავნებდეს თავის სიყვარულს.

ს ა ბ ი ნ ა

ორ ცეცხლს შუაა ჩავარდნილი, არ იცის რა ქნას.
გული ერთს უთქვამს, გონება კი სულ სხვას კარნახობს,
სურს რომ მიენდოს, თან მინდობაც არ შეუძლია,
რადგან შენს ბატონს უცნაური ჩვევა აქვს ერთი:
მართალს არ იტყვის, განურჩევლად ატყუებს ყველას.
ამიტომაც, რომ ქალბატონს არ სჯერა მისი.

კ ლ ი ტ ო ნ ი

ყველაზე დიდი მატყუარაც არ ტყუის ზოგჯერ.

ს ა ბ ი ნ ა

როგორ გაიგოს, როდის ტყუის და როდის არა.

კ ლ ი ტ ო ნ ი

მე ვარ თავდები, რომ ამჯერად სიმართლეს ამბობს.

ს ა ბ ი ნ ა

რა ვიცი, იქნებ შენც ისევე გიყვარს ტყუილი,
როგორც შენს ბატონს.

კ ლ ი ტ ო ნ ი

ნუ მაყენებ შეურაცხყოფას,
ჩემგან ტყუილი ჯერ არავის გაუგონია.

ს ა ბ ი ნ ა

აბა, კლარისა აღარ უყვარს?

კ ლ ი ტ ო ნ ი

დორანტს? კლარისა?

არც ყვარებია.

ს ა ბ ი ნ ა

მართლა?

კ ლ ი ტ ო ნ ი

მართლა.

ს ა ბ ი ნ ა

თუკი ასეა,

გადაეცი, რომ ნუ ექნება ნურათურის შიში.

როგორც კი ჩემმა ქალბატონმა აქ თვალი მოგკრათ,

ვერ მოითმინა და სასწრაფოდ ჩამომავზავნა,

სურდა ენახა, რას იზამდა შენი ბატონი,

მეტყოდა რამეს ამ საქმეზე, თუ არ მეტყოდა.

ახლა კი წადი. დარიგება არა მჭირდება,

მე თვითონ ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო.

კ ლ ი ტ ო ნ ი - - -

კარგი, მაშ, წავალ. დანაპირებს თუ შეასრულებ,

წვიმის მოყვანა ჩემზე იყოს. აბა, ნახვამდის.

გამოსვლა მერვე

ლუკრეცია, საბინა

ს ა ბ ი ნ ა

რას გაიხარებს ლუკრეცია! აგერ, თვითონაც.

ეტყობა, ნახა, წერილი რომ გამომატანეს

და მოთმინება აღარ ეყო, დამლოდებოდა.

ლ უ კ რ ე ც ი ა

რაო, რა გითხრეს ბატონმა და მისმა მსახურმა?

ს ა ბ ი ნ ა

ბატონიც ზუსტად იმას ამბობს, რასაც მსახური.
ჰა, წაიკითხეთ, ყველაფერი შიგ ეწერება.

ლ უ კ რ ე ც ი ა (წერილის წაკითხვის შემდეგ.)
ისევ სიყვარულს მეფიცება. მატყუებს ალბათ.
კაცი ერთ დღეში ამდენ ტყუილს რომ დაახვავებს,
მისი სიტყვისა არაფერი დაიჭერება.

ს ა ბ ი ნ ა

მისი სიტყვისა არც მე მჯერა, საჩუქრის მჯერა.

ლ უ კ რ ე ც ი ა
გაჩუქა რამე?

ს ა ბ ი ნ ა

აი, ნახეთ.

ლ უ კ რ ე ც ი ა

და შენ აიღე?

ს ა ბ ი ნ ა

ავიღე, რადგან დამშვიდება მინდოდა თქვენი:
დორანტისაგან მოცემული ყოველი ოქრო
თქვენდამი მისი სიყვარულის დასტური გახლავთ.
გნებავთ, სხვებს ვკითხოთ, ქალბატონო, სხვებმა განსაჯონ,
თუ შეიძლება, რომ გულგრილი იყოს თქვენდამი,
ვინც თქვენს მოახლეს ამოდენა საჩუქარს მისცემს.

ლ უ კ რ ე ც ი ა

არა, საჩუქრის გამორთმევას სულაც არ გიშლი,
ოღონდ მეორედ მაგ საქმეში მე არ გამრიო,
აიღე, მაგრამ ჩემთან სიტყვა ნუ წამოგცდება.

ს ა ბ ი ნ ა

ახლა მიბრძანეთ, რა გადავცე.

ლ უ კ რ ე ც ი ა

თქვენი წერილი

წაუკითხავად დახია-თქო.

ს ა ბ ი ნ ა

მხოლოდ ეს ვუთხრა?

ვაიმე, ჩემო საჩუქრებო, საით გაფრინდით!

ლ უ კ რ ე ც ი ა

არა, მთლად გულსაც ნუ გაუტეხ. კარგი იქნება, თუ შენი მხრიდან სანუგეშოს ეტყვი რაიმეს. ამნაირია ქალის ზნე-თქო, ჯერ წყრება, მაგრამ თანდათანობით მოლბება-თქო და შუბლს გაგიხსნით. უთხარი, როდის სად დავდივარ: თუ მართლა მეტრფის, ნახვის შემთხვევას არ გაუშვებს, დამხვდება ხოლმე.

ს ა ბ ი ნ ა

თქვენ რომ იცოდეთ, ქალბატონო, რა დღეში გახლავთ და როგორ მწარედ იტანჯება, შეიბრალებდით. წუხელის თურმე თვალზე ცრემლი არ შეშრობია.

ლ უ კ რ ე ც ი ა

ჰოდა, იმედი მთლად არ უნდა გადაუწურო, მაგრამ ნურც ისე გაამხნევებ, რომ აღარაფრის შიში არ ჰქონდეს. ხომ გაიგე, რასაც ვუპირებ? ერთხანს შიშსა და იმედს შორის ვამყოფო მინდა.

გამოსვლა მაცხრა

კლარისა, ლუკრეცია, საბინა

კ ლ ა რ ი ს ა

მე დამეხსნა და ახლა შენზე გადმოინაცვლა, მაგრამ დღეს უკვე არ მაწუხებს მისი დაკარგვა: ალსიპის მამა ჩამოვიდა.

ლ უ კ რ ე ც ი ა

რას მეუბნები

მაშ, თქვენი საქმე საბოლოოდ გადაწყვეტილა.

კ ლ ა რ ი ს ა

ჰო, როგორც იქნა... ხოლო დორანტს რაც შეეხება,
ჯერ არ მიენდო. მე რაც მითხრა ტიუილრიში,
დასაეჭვებლად ეგვიც კმარა.

ს ა ბ ი ნ ა

მაშინ ტყუოდა,

ახლა კი მართალს ლაპარაკობს, ნამდვილად ვიცი.

კ ლ ა რ ი ს ა

ასე ნამდვილად როგორ იცი, გულში ჩახედე?

ლ უ კ რ ე ც ი ა

რა მატყუარა კაციცაა, ხომ ვნახეთ უკვე,
მაგრამ თუ ასე დაჟინებით განაგრძო ხვეწნა
და ასე მდია, შეიძლება გული მომიღბეს.

კ ლ ა რ ი ს ა

შეგყვარებია და ეგაა! მაშ, მით უმეტეს
უნდა უფრთხილდე, რომ თანხმობა არ გამოგტყუოს.

ლ უ კ რ ე ც ი ა

შემყვარებია? სულაც არა! საიდან ასკვნი?
მე ის გითხარი, შეიძლება ვერწმუნო-მეთქი.

კ ლ ა რ ი ს ა

ნდობიდან ერთი ნაბიჯია სიყვარულამდე.
ვისაც უყვარხარ, შენც უმაღვე შეგიყვარდება,
როგორც კი კარგად დარწმუნდები მის სიყვარულში.
ასეა ყველა, შენ არა ხარ გამონაკლისი.

ლ უ კ რ ე ც ი ა

ცდები, კლარისა, ზოგჯერ ცნობისმოყვარეობა
ისე გვიკარგავს მოსვენებას, კაცს შეიძლება
შეყვარებულიც კი ვეგონოთ.

კ ლ ა რ ი ს ა

ჰო, გეთანხმები,
რადგან არ მინდა გაწყენინო.

ს ა ბ ი ნ ა

თქვენ მე გადამრევთ!
რალაცას მსჯელობთ და რას მსჯელობთ, თვითონ არ იცით.
იქნებ დიდ სიბრძნედ მიგაჩნიათ ეგ აბლაუბდა?
შეეშვით ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს და საქმეს მიხედეთ.

ლ უ კ რ ე ც ი ა

ყურს ნუ ათხოვებ, მგონი მართლაც გადაგვერია.
მაშ, ის რა იყო, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა,
თუ რალაც მეტი, გუშინ ბალში რომ გაუჩერდი
და ყურს უგდებდი მის დაშაქრულ ქათინაურებს?
რა იყო-მეთქი?

კ ლ ა რ ი ს ა

მხოლოდ ცნობისმოყვარეობა.
მეტი რა უნდა ყოფილიყო? ცოტა გავერთე.
ყურს ვუგდებდი და გუნებაში მეცინებოდა.

ლ უ კ რ ე ც ი ა

მეც მაგის გამო წავიკითხე მისი წერილი,
შენ კი რატომღაც სიყვარულით გინდა რომ ახსნა.
რა შუაშია სიყვარული? ცოტა გავერთე.
ვკითხულობდი და გუნებაში მეცინებოდა.
მეტი რა უნდა ყოფილიყო?

კ ლ ა რ ი ს ა

ნუთუ არ იცი,

ყურის გდებასა და წერილის წაკითხვას შორის
ძალიან დიდი სხვაობაა? როდესაც ვინმე
გესაუბრება და არ უსმენ, უზრდელობაა,
ხოლო წერილი შეგიძლია არ წაიკითხო.

ლ უ კ რ ე ც ი ა

საბინა ეტყვის, რომ დავხიე წაუკითხავად.

კ ლ ა რ ი ს ა

კარგი, ვთქვათ, ეტყვის. მერე მაგით რა შეიცვლება?
ცნობისმოყვარე გახდი ერთობ.

ლ უ კ რ ე ც ი ა

ზუსტად შენსავით.

კ ლ ა რ ი ს ა

ეკლესიაში წასვლის დროა.

ლ უ კ რ ე ც ი ა

მაშ, რაღას ვუტყდით.

(საბინას)

დორანტს თუ შეხვდეთ, თვითონ იცი, რა უნდა უთხრა.

ს ა ბ ი ნ ა

მშვიდად იყავით. ასეთები არ მესწავლება.

თქვენც და დორანტსაც ერთნაირი სენი გაწუხებთ
და ორივენი უარესად რომ არ შეიქნეთ,
უნდა წამალი მოგაშველოთ.

ლ უ კ რ ე ც ი ა

მოკლედ, გენდობი.

აბა, შენ იცი.

ს ა ბ ი ნ ა

მაშ, იდინეთ, ოქროს წვიმებო!

გამოსვლა პირველი

ჟერონტი, ფილისტი

ჟ ე რ ო ნ ტ ი

რა კარგ დროს შეგხვდით, თქვენი ნახვა მინდოდა სწორედ
თუ არსად ჩქარობთ, ორიოდე წუთი მაჩუქეთ.

დორანტთან ერთად თქვენც სწავლობდით პუატიეში
და იქ საერთო ნაცნობები გეყოლებოდათ.

ძალიან თუ არ შეწუხდებით, იქნებ პირანდრზე
და მის ოჯახზე მითხრათ რამე?

ფ ი ლ ი ს ტ ი

ვინ პირანდრია?

ჟ ე რ ო ნ ტ ი

პუატიელი აზნაური. კარგი გვარისა.

მაღალი წრისა. მაგრამ ცოტა ხელმოკლედ ცხოვრობს.

ფ ი ლ ი ს ტ ი

პირანდრი? არა, ამნაირი არავინ ვიცი,

ამ წუთას მაინც, როგორ გითხრათ, არ მაგონდება.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

მაშინ, იქნება, არმედონის სახელით იცნობთ?

ზოგნი არმედონს ეძახიან, ზოგნი კი პირანდრს.

ფ ი ლ ი ს ტ ი

მსგავსი არავინ შემხვედრია.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

საოცარია.

კარგად დაფიქრდით. მის ქალიშვილს ორფიზა ჰქვია,

ორფიზა მაინც უეჭველად გაგეგონებათ,

სიმშვენიერით განთქმულია მთელ იმ მხარეში.

ფილისტი

არც არმედონი, არც პირანდრი და არც ორფიზა
პუატიეში არ ცხოვრობენ, ნამდვილად ვიცი.
იქნებ, გეშლებათ, სხვა ქალაქში ცხოვრობენ სადმე.

ქერონტი

აჰ, მივხვდი, მივხვდი, საიდუმლოს უნახავთ დორანტს,
არ გინდათ, გასცეთ მეგობარი და ამიტომაც
თავს ისე იჭერთ, არაფერი იცოდეთ ვითომ.
მაგრამ გარწმუნებთ, ზედმეტია თქვენი სიფრთხილე:
უკვე გავიგე ყველაფერი და ვაპატიე-
მართლაც, რა ექნა, აღარ ჰქონდა გამოსავალი,
მარტო შეისწრეს შუალამით ქალიშვილ ქალთან,
რომ არ შეერთო, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა.

ფილისტი

რას მეუბნებით, აბა, დორანტს ცოლი ჰყავს უკვე?

ქერონტი

დიახ, ცოლი ჰყავს, არც კი მკითხა, ისე შეირთო.
ახალგაზრდობით მოუყიდა და ვაპატიე.

ფილისტი

ვისგან შეიტყვეთ?

ქერონტი

თვითონ მითხრა.

ფილისტი

აჰ, თვითონ გითხრათ?

მაშან, ბატონო, მანდ საეჭვო არაფერია,
თუ ასე გითხრათ, ესე იგი, ასე იქნება,
რადგან დორანტის ყველა სიტყვას ბეჭედი აზის.
ოღონდ ეგაა, წარმოსახვის დიდი ნიჭი აქვს
და მე ხანდახან ვერც კი ვხვდები, რისი თქმა უნდა.

ქ ე რ ო ნ ტ ი

მაშ, თქვენი აზრით, შეიძლება ტყუილი მითხრა?

ფ ი ლ ი ს ტ ი

არა, დორანტი ასეთ რამეს როგორ იკადრებს, მაგრამ ხანდახან შთაგონება ეწვევა ხოლმე. ისეთი ლხინი გაგვიძარტა, ბატონო, გუშინ, რომ თუკი ცოლიც ამნაირი ხერხით შეირთო, მაშინ მეორე სასწაულის მოწმე გავმხდარვართ.

ქ ე რ ო ნ ტ ი

თქვენ ალბათ გინდათ, ბოლმისაგან გული გამისკდეს.

ფ ი ლ ი ს ტ ი

ჩერ ჩვენც გავბრაზდით, მაგრამ მერე გადავეიარა. მოკლედ, მე ჩემსას მოგახსენებთ, თქვენ თქვენი იცით. ორფიზას გარდა თუკი რძალი არ გეყოლებათ, თქვენს უახლოეს ნათესაებს ბევრი შენატრებს. მიმიხვდით, არა? კარგად გნახეთ. სხვას არას ვეტყვით.

გამოსვლა მეთრე

ქერონტი

ქ ე რ ო ნ ტ ი

ო, გულუბრყვილო ბერიკაცო, მოგეპრა თავი! შებღალულია სამუდამოდ შენი ჭალარა! თუ არის ჩემზე უბედური მშობელი სადმე? ჩემი დორანტი, ერთადერთი ჩემი ნუგეში თაღლითია და არამზადა! რა მეშველება! მეც ხომ თაღლითი გამოვდექი მისი წყალობით! დავდიოდი და მის მონაჩმასს ხალხში ვყვებოდი. ამ სიბერეში ცრუპენტელას სახელს დავიგდებ, სირცხვილისაგან თავი სადღა გამომეყოფა. თვალს ველარავის გავუსწორებ ჩემს სიცოცხლეში:

ცალკერძ დორანტის გაზრდისათვის უნდა გავწითლდე,
ცალკერძ ამ ჩემი სულელური სიბრმავის გამო.

გამოსვლა მესამე

ჟერონტი, დორანტი, კლიტონი

ჟ ე რ ო ნ ტ ი

თქვი, აზნაური ხარ თუ არა?

დ ო რ ა ნ ტ ი

აღარ დამეხსნა!

ღიახ, გახლავართ, რამდენადაც შვილი ვარ თქვენნი.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

მერე ამისთვის მხოლოდ ჩემი შვილობა კმარა?

დ ო რ ა ნ ტ ი

ჩვენს ქვეყანაში ასე არის, სხვაგან — არ ვიცი.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

გვარიშვილობა, შენი აზრით საკმარისია,
რომ საფრანგეთში კეთილშობილ კაცად ჩატვალონ?
ხოლო შენ თვითონ არაფერი მოგეთხოვება,
კეთილშობილი წინაპრები რაკილა გყავდა?

დ ო რ ა ნ ტ ი

ამ შემთხვევაში ჩემი აზრი ყველას აზრია:
გვარიშვილობა მხოლოდ სისხლით გადაიცემა.

ჟ ე რ ო ნ ტ ი

გვარიშვილობა ციდან კი არ ჩამოვარდნილა,
კაცურკაცობით მოიპოვეს შენმა ძველებმა,
ხოლო უღირსი საქციელით და ცუდკაცობით
ბევრს დაუკარგავს წინაპრების მონაპოვარი.

თუ შენს საქციელს ამ საზომის მიხედვით განვსჯით,
არ შემიძლია კეთილშობილ კაცად ჩაგთვალო.

დორანტი
მე მეუბნებით?

ჟერონტი

დიახ, დიახ, შენ გეუბნები.
რა გაგიკვირდა? ყველა, ვინც კი შენსავით ტყუის,
ტყუის, როდესაც თავს ასალებს კეთილშობილად.
ვის დაემსგავსე, ამისთანა რა გამოხვედი,
ოჯახისა და მთელი გვარის შემარცხვენელი!
იმაზე უფრო სათაკილო თუ არის რამე,
იმაზე უფრო საზიზღარი, იმაზე უფრო
თავის მომპრელი, კაცს ტყუილში რომ დაიჭერენ.
ასეთი კაცი სამუდამოდ დალდასმულია
და ამ შავ ლაქას ვერასოდეს ვერ მოიშორებს,
თავისი ხელით თუ სიცოცხლე არ მოისწრაფა.
დიახ, ეს ჩირქი მხოლოდ სისხლით მოიბანება!

დორანტი
მე რომ ტყუილი არ მჩვევია?

ჟერონტი

თუ არ გჩვევია,
მითხარი შენი გუშინდელი ცოლის სახელი.
ხომ შეიძლება მასაც ორი სახელი ჰქონდეს?
რატომ გაჩუმდი?

კლიტონი (დორანტს)

მეძინა-თქო და მიმავიწყდა.

ჟერონტი

თქვი, გაიხსენე! თან ახალიც მითხარი რამე!
კიდევ სხვა ცოლიც გეყოლება პუატიეში.
მიდი, იცრუე, ნურაფრისა ნუ გერიდება!

კლიტონი (დორანტს)

რაო, ბატონო, ვეღარ გშველით სხარტი გონება?

ჟერონტი

ვისთან მივიდე, ვის შევჩივლო ჩემი ამბავი,
ხალხის სამასხრო შევიქნები, ყბად ამიღებენ
კაცი ამ ხნამდე მოვიყარე და ჰკუა ჯერაც
ვერ მისწავლია, გუშინდელი ღლაპი მატყუებს!
ვაი, სირცხვილო, ასე როგორ გამოვთაყვანდი,
რა ჩიტიც იყავ, ხომ აქამდეც უნდა მცოდნოდა!
რა აზრი ჰქონდა, რომ ტყუოდი? რაში დაგჭირდა?
თქვი, ყელში დანა მოგაბჯინე? ძალა ვიხმარე?
კარგი იქნება, რომ კლარისა შეირთო-მეთქი.
რატომ პირდაპირ არ მითხარი, თუ არ მოგწონდა?
რა იყო, რისთვის იგონებდი იმხელა ტყუილს,
სხვისი შოყვანა თუ ვინდოდა, მე დაგიშლიდი?
დატაკი ცოლი შევირთეო, როცა მითხარი,
არც გაწყრომივარ, გული ოდნავ რომ არ გტკენოდა.
უსინდისო ხარ, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს,
თორემ მითხარი, ამისთანა მოყვარულ მამას
კაცური კაცი ასეთ რამეს გაუკეთებდა?
შენ ჩემი შვილი აღარა ხარ, წადი, გამშორდი,
არ დამენახო!

დორანტი

მამაჩემო, გთხოვთ, მომისმინოთ.

ჟერონტი

კიდევ რაღაცა ტყუილს იტყვი.

დორანტი

მხოლოდ სიმართლეს.

ჟერონტი

მაშ, სიმართლესაც ამბობ ხოლმე?

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს)

უნდა გამაგრდეთ
და მთელი თქვენი ოსტატობა მოიშველიოთ.

დ ო რ ა ნ ტ ი

გუშინ აქ ერთმა ქალიშვილმა მომაჯადოვა,
იქნება იცნობთ, ლუკრეცია ჰქვია სახელად,
ამ სახლში ცხოვრობს.

ქ ე რ ო ნ ტ ი

ლუკრეციას როგორ არ ვიცნობ.
მთელ ოჯახს ვიცნობ, მამამისი ჩემი ბავშვობის
მეგობარია.

დ ო რ ა ნ ტ ი

ეს ამბავი გუშინ მცოდნოდა
ბედი არ გინდა? ჰოდა, თქვენი მეგობრის ასულს
შემთხვევით შევხვდი წინა დილით ტიუილრიში
და გულში მყისვე სიყვარულის ცეცხლმა იფეთქა.
ახლადლატრილი რომ ვიყავი ამურის ისრით,
თქვენ სწორედ მაშინ ცოლის შერთვა შემომთავაზეთ
და რატომ გიკვირთ, რომ გონება გადამიბრუნდა?
რას ვიფიქრებდი, თუ მამამისს კარგად იცნობდით,
თორემ ხვაშიადს იმავ წამში გაგიმჟღავნებდით
და მალე ალბათ ყველაფერი მოგვარდებოდა.
მაგრამ რადგანაც გამოსავალს ვეღარ ვხედავდი,
მივკიბ-მოვკიბე, უცებ თავში რაც მომივიდა.
მე არ მეგონა, თუ ამგვარი ხერხის ხმარება
სასიყვარულო საქმეშიაც საძრახისია.
ვნებავთ, დამსაჯეთ, მაგრამ ერთზე ნუ მეტყვით უარს:
ქენით სიკეთე, ლუკრეციას მამასთან მიდით
და ქალიშვილის ხელი სთხოვეთ.

ქ ე რ ო ნ ტ ი

ისევ მატყუებ.

დორანტი

არა, რას ბრძანებთ. ჩემი სიტყვის თუ არა გჯერათ, აგერ კლიტონი აქ არის და ყველაფერს გეტყვით. ჰკითხეთ თუ გნებავთ.

ქერონტი

მაშ, თავდებად კლიტონს იყენებ?

შე უბედურო, სულ დაკარგე სირცხვილ-ნამუსი? მსახურს ჰკითხეთ! ეს რა მითხრა, რა გავიგონე! მსახური ჩემზე სანდოაო, მსახურს ჰკითხეთ! თუმცა სწორი ხარ, შენ მსახურიც ბევრად გჯობია. მიუხედავად იმისა, რომ ღირსი არა ხარ, ამ ერთხელ კიდევ დაგიჭერებ, რაც იყოს, იყოს, და ლუკრეციას მამის სახლში მიგეგზავნები. მაგრამ იცოდე, კვლავ ხელიდან თუ დამსხლტომიხარ და ქორწინება ამჯერადაც თუ ჩაგიშლია...

დორანტი

მშვიდად რომ იყოთ, მე თვითონაც თან წამოგყვებით.

ქერონტი

არ მინდა შენი წამოყოლა, აქ დამელოდე, ამ ადგილიდან ფეხი არსად არ მოიცივალო. აბა, წავედი. ცოტა ხანში ამბავს მოვიტან. ოღონდ იცოდე, თუ რაიმეს იოინბაზებ და ლუკრეციას დღეს შენს გამო წყენა შეხვდება, ვფიცავ ყველაფერს, საფიცარი რაც გამაჩნია, აღარ გაცოცხლებ, ჩემი ხელით ყელს გამოგლადრავე და, რომ იცოდე, კაციშვილი არ გამამტყუნებს.

, გამოსვლა მერთხე

დორანტი, კლიტონი

დორანტი

ნუთუ ჰგონია, მაგ მუქარის შემეშინდება?

კლიტონი

აბა, რა ვიცი, ფარ-ხმალი კი უცებ დაჰყარეთ.
გუშინ ხომ ორჯერ მოატყუეთ? დღეს რატომ შედრკით?
რა იქნებოდა, კიდეც ერთხელ გეცადათ ბელი,
ბარემ გასამდეს, აკი ღმერთიც სამობითაა.

დორანტი

შემეშვი, კლიტონ, არ მაქვს შენი ხუმრობის თავი,
ერთი ახალი საწუხარი გამიჩნდა კიდეც.

კლიტონი

რაო, სიმართლე რომ წამოგცდათ, სინდისი გქენჯნით?
თუმცა სიმართლე არ იქნება, ფანდი იქნება.
ძალიან ვეჭვობ, ლუკრეცია მართლა გიყვარდეთ,
რადგან თქვენ თვითონ განაცხადდეთ, მართლა მიყვარსო.
თქვენი ნათქვამი ხომ უკუღმა უნდა გავიგოთ.

დორანტი

არა, რას ამბობ, სიყვარულით როგორ არ მიყვარს,
ოღონდ ესაა, მეტიმეტად ავჩქარდი მგონი.
მამამისმა რომ დღეს უარი შემომითვალოს,
რალა ვქნა მერე, ყველაფერი წყალში მიყრება.
მაგრამ დავუშვათ, მამამისი თანახმა იქნა,
საკითხავია, ლუკრეციას დაიყაბულლებს?
თან მე თვითონაც ცოტა გული მეთანაღრება.
კი არ ვიწუნებ, მშვენიერი ქალია, მაგრამ...
იცი, დღეს უფრო მომეწონა მისი დობილი,
თვალი მოკვარი, ამ ადგილას რომ გაიარეს
და ჩემი გული ახლა ორად გაყოფილია.
მე მგონი, სწორი არჩევანი ვერ გავაკეთე.

კლიტონი

თუ არ იცოდით, რა გინდოდათ, რალას ჩქარობდით,
რატომ გაგზავნეთ მამათქვენი სამოციქულოდ?

დორანტი

ეს რომ არ მექნა, აღარაფერს დამიჯერებდა.

კლიტონი

ნუთუ სიმართლეს როცა ამბობთ, მაშინაც ტყუით?

დორანტი

რა მექნა, კლიტონ, ხომ ხედავდი, როგორ გაბრაზდა.
ვინ უთხრა ნეტავ? ცოტა გვიან მაინც გაეგო,
ღრო მექნებოდა არჩევანის გასაკეთებლად
და ლუკრეციას იმ დობილსაც უკეთ ვნახავდი.

კლიტონი

ის დობილი ხომ კლარისაა?

დორანტი

ჩემი თავისთვის

რა დიდებული სამსახური გამიწევია!

ო, რომ იცოდე, რანაირად შევნატრი აღსიპს!

არადა, ჩემი წყალობაა, ბედს რომ ეწია.

მაგრამ შევეშვათ... გვიანაა ამაზე ფიქრი.

კლიტონი

კლარისაც ისე გაგიფრინდათ, როგორც ორფიზა.

დორანტი

ჰოდა, ამიტომ ყველა ღონე უნდა ციხმარო,

რომ ლუკრეციაც მათ მსგავსადვე არ გამიფრიწდეს.

მაგრამ საბინა მოდის აქეთ.

გამოსვლა მახუთა

დორანტი, საბინა, კლიტონი

დორანტი

რაო, საბინა,

წერილი უკვე გადაეცი?

საბინა

ღიახ, ბატონო,

მაგრამ...

დორანტი

რა მაგრამ? თქვი

საბინა

დახია.

დორანტი

წაუკითხავად?

საბინა

წაუკითხავად.

დორანტი

როგორ! მერე შენ სად იყავი?

საბინა

მე რა შემეძლო? რომ იცოდეთ, როგორ დამტუქსა!
აღბათ, დამითხოვს.

დორანტი

გადაუვლის, ნუ გეშინია.

აჰა, აილე, რომ გუნება გამოგიკეთდეს.

საბინა

ბატონო ჩემო...

დორანტი

ყური მიგდე, თუ შეგიძლია,
რომ შენს ქალბატონს ერთხელ კიდევ ელაპარაკო?

კლიტონი

შეხედეთ, როგორ გაუნათდა ერთბაშად სახე,
დათხოვნის შიშმაც როგორ უცებ გადაუარა!
ახლა სხვა ჰანგზე ამღერდება: თუ რაღე იცის,
არ დაგიმალაეთ.

დორანტი

მაშ, დახია ჩემი წერილი!

საბინა

მიბრძანა თქვენთვის გადმომეცა, ვითომ დახია,
სინამდვილეში...

კლიტონი

ყოჩად გოგოა იცის ხელობა!

საბინა

მაშინვე გახსნა და ჩემს თვალწინ გადაიკითხა.
არ შემიძლია თქვენისთანა მოწყალე ბატონს
ტყუილი ვუთხრა.

კლიტონი

შეგირდადაც არ ამიყვანდა!

დორანტი

არ ვეჯავრები შენს ქალბატონს?

საბინა

არ ეჯავრებით.

დორანტი

იქნებ ვუყვარვარ?

საბინა

არც უყვარხართ.

დორანტი

ნამდვილად იცი?

საბინა

ნამდვილად ვიცი.

დორანტი

მაშინ იქნებ სხვა ვინმე უყვარს?

საბინა

არა, ბატონო.

დორანტი

გამომივა რამე?

საბინა

ვერ გეტყვით.

დორანტი

მაშ, ეს მითხარი...

ს ა ბ ი ნ ა

რა, ბატონო?

დ ო რ ა ნ ტ ი

რა და სიმართლე.

ს ა ბ ი ნ ა

აკი სიმართლეს მოგახსენებთ.

დ ო რ ა ნ ტ ი

როგორ გგონია,

თუ შემეყვარებს?

ს ა ბ ი ნ ა

შეიძლება.

დ ო რ ა ნ ტ ი

მერედა როდის?

ს ა ბ ი ნ ა

როცა თქვენს ნათქვამს ერწმუნება.

დ ო რ ა ნ ტ ი

მაშ, ჩემი საქმე

ქარგად ყოფილა.

ს ა ბ ი ნ ა

თუ დარწმუნდა, რომ მართლა გიყვართ,
აუცილებლად შეგიყვარებთ.

დ ო რ ა ნ ტ ი

სულ ცოტა ხანში

გაეფანტება ყველა ექვი. დღეს მამაჩემი
ხელს...

ს ა ბ ი ნ ა

კლარისა და ლუკრეცია მოდიან აქეთ.

კლარსა, ლუკრეცია, დორანტი, საბინა, კლიტონი

კლარისა (ლუკრეციას)
ეგებ არც ტყუის, მაგრამ მაინც ნუ აჩქარდები.
კარგად დაფიქრდი, ასეთ კაცთან სიფრთხილე გმართებს.

დორანტი (კლარისას)
ნულარ მაწამებთ, ან მომკალით, ან დამარჩინეთ.

კლარისა (ლუკრეციას)
მე მეუბნება. დააკვირდი? მე შემომხედა.

ლუკრეცია (კლარისას)
არა, რას ამბობ, ასეთ რამეს შენ არ გეტყოდა,
ალბათ შემთხვევით შემოგხედა.

დორანტი

მოვეკვდი, გავთავდი!

ჯოჯობეთური წამებაა ჩემთვის ყოველი
წუთი და წამი, როცა შორს ვარ, თქვენს გვერდით არ ვარ.
არა, უთქვენოდ მე სიცოცხლე არ შემიძლია!

კლარისა (ლუკრეციას)
არც ახლა გჯერა?

ლუკრეცია (კლარისას)
მაშ, ამ წერილს რაღაზე მწერდა!

კლარისა (ლუკრეციას)
კარგი, ვუსმინოთ.

ლუკრეცია (კლარისას)
არა, არა, ნამდვილად ცდები.

კლარისა
თუ გინდა, ვკითხავ. მართლა ასე გიყვარვართ, დორანტი?

დორანტი

იმავე წამიდან შემიყვარდით, როგორც კი გნახეთ.
მაგრამ თქვენ ექვი გეპარებათ, არ გჯერათ ჩემი...

კლარისა (ლუკრეციას)

აჰა, რას იტყვი, ეგეც მე ვარ?

ლუკრეცია (კლარისას)

სულ დავიბენი.

ალარც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

კლარისა (ლუკრეციას)

ის, რომ ფლიდია.

ლუკრეცია (კლარისას)

ღმერთო, როგორი გაიძვერა ვინმე ყოფილა.

კლარისა (ლუკრეციას)

მორიგეობა დაგვიწესა, როგორც ეტყობა:

მზის ამოსვლამდე შენ უყვარხარ, მე — მზის ჩასვლამდე.

დორანტი (კლარისას)

რაზე ბჭობთ ამდენს? მაგის ნათქვამს არ დაუჯეროთ,

ჩემი მტერია, სასიკეთოს არაფერს გირჩევთ.

გამინაწყენდა გუშინდელი ამბების გამო

და ახლა ჯავრის ამოყრაზე ოცნებობს, ალბათ.

ლუკრეცია

ქალი არ ვიყო, ეს ამბავი თუ არ განანო.

კლარისა (დორანტს)

ერთი ძალიან უცნაური ამბავი მითხრა.

დორანტი

ვიცი, გეტყობდათ, ისე არის გულზე გამსკდარი.

კლარისა

სანამ გაგიმხელთ, მინდა გკითხოთ, მე თუ მიცანით?

დორანტი

რატომ დამცინით? სამაგისო რა დაგიშავეთ?
თქვენ ის არა ხართ, ტიულიორის ბაღში რომ შემხვდით
და სამუდამოდ მოსვენება დამაკარგვინეთ?

კლარისა

თუ მართალია, რაც მიამბო, თქვენ მოსვენება
დიდი ხნის წინათ დაგიკარგავთ სხვა ქალის გამო.

დორანტი

სხვა ქალის გამო?! სიცრუეა. არ დაიჯეროთ.
ნუთუ ამ ჩემი სიყვარულის გულწრფელობაში...

კლარისა

როგორც ეს ამბობს, ცოლიანი ყოფილხართ უკვე.

დორანტი

ისევ დამცინით. ვერ იქნა და ვერ დაგარწმუნეთ,
რომ ეს ამბავი ტყუილია, მოგონილია,
მე მოვიგონე, რადგან ძალით მაქორწინებდნენ,
მე კი თქვენს გარდა არავისი შერთვა არ მინდა.

კლარისა

მაშ, ის რა იყო, რომ ამბობდით, ვერ შევირთავო,
მეზიზღებო?

დორანტი

ამას, აბა, როგორ ვიტყვოდი!
აღბათ ისა ვთქვი, სხვას არავის შევირთავ-მეთქი.
არ შეიძლება, მსგავსი რამე წამომცდენოდა.

კლარისა

ის, რაც თქვენ გუშინ კლარისაზე ილაპარაკეთ...

დორანტი

მშვენივრად იცით ყველაფერი, რაც გუშინ მოხდა.
ვითომ არ გესმით, რა მინდოდა.

კ ლ ა რ ი ს ა

თქვენ თვითონ გესმით?

მაშინ ხომ ცოტა სხვანაირად მოიქცეოდით.

მისმინე ერთი, ლუკრეცია...

დ ო რ ა ნ ტ ი (კლიტონს)

რაო, რა უთხრა?

ლუკრეციაო?

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს)

დიახ, დიახ, თქვენ თურმე შეცდით

და ლუკრეცია ეს მეორე ქალი ყოფილა.

სამწუხაროა, სანაძლეო რომ არ დაგიდეთ.

დ ო რ ა ნ ტ ი (კლიტონს)

მაშ, წუხელ ვისთან ვისაუბრე, ვისი ხმა იყო?

კ ლ ი ტ ო ნ ი (დორანტს)

წუხელ, ბატონო, კლარისასთან ვისაუბრიათ.

თქვენთვის ოინი მოუწყვიათ. მე ეს ამბავი

საბინამ მითხრა წუთის წინათ.

დ ო რ ა ნ ტ ი (კლიტონს)

ოქრო ხარ, კლიტონს!

ორთავ ასული ლამაზია, მაგრამ მე მაინც

თანდათანობით ეს მეორე უფრო მომწონდა.

კარგი შედეგი გამოიღო ჩემმა შეცდომამ.

ახლა მიყურე, რანაირი ცეცხლი დავანთო

და საუბარი როგორ უცებ შევატრიალო.

ლ უ კ რ ე ც ი ა (კლარისას)

ბარემ გამყლავნდეს მთელი მისი უსირცხვილობა.

რას გაოგნდება, როცა ბოლოს ყველაფერს ეტყვის!

კ ლ ა რ ი ს ა (დორანტს)

ლუკრეცია რომ ჩემი კარგი მეგობარია

და ყველაფერს რომ მიაბობდა, უნდა გცოდნოდათ.
როდის ტყუოდით, წინა დღით მე რომ მსიბლავდით,
თუ ლუკრეციას რომ უხსნიდით სიყვარულს წუხელ?

დორანტი

რაც პარიზში ვარ, მე თქვენს გარდა სხვა ქალისათვის
სიტყვა არ მითქვამს.

კლარისა

აბა, წუხელ ვის ესაუბრეთ?

დორანტი

რატომ გგონიათ, რომ თქვენს ოინს ვერ მივხვდებოდი?
თქვენ გესაუბრეთ. იმ წუთასვე გიცანით ხმაზე.

კლარისა

პირველად თავის სიცოცხლეში მართალი გვითხრა.

დორანტი

მაშინვე მივხვდი, გამასხრებას რომ მიპირებდით.
ვთქვი გუნებაში, საჭიროა დავსაჯო-მეთქი,
ამიტომ თავი მოგაჩვენეთ, ვითომ მოვტყუვდი
და, როგორც ხედავთ, თქვენს ანკესზე თქვენ წამოგაგეთ.
ვიცოდი, სიტყვას კლარისაზე ჩამომიგდებდით,
და გადავწყვიტე, ერთი კარგად გამომელანძღეთ.
მაგრად აგწვიათ. ახიცაა. ღირსი იყავით.
ახლა შევრიგდეთ. რაც ვითხარით, უკანვე მიმაქვს,
რადგან მიყვარხართ, უთქვენობა არ შემიძლია
და მინდა ჩემი ბედ-იღბალი დაგიკავშიროთ.

კლარისა

თუ გიყვარვართ და მართლა გინდათ, ცოლად შემირთოთ,
მაშინ ეს საქმე თავიდანვე რატომ ჩაშალეთ,
რად დაარწმუნეთ მამათქვენი, ცოლი გყავთ ვითომ?

ლუკრეცია (დორანტს)

სხვა თუ გიყვარდათ, ეს წერილი რატომ მომწერეთ?

დორანტი (ლუკრეციას)
იცით, ძალიან მიხარია, რომ ასე ბრაზობთ.
აქედან ვასკვნი, რომ ჩემდამი გულგრილი არ ხართ.
ახლა კი მინდა ყოველგვარი ეჭვი გავფანტო
მე მიყვარს მხოლოდ ლუკრეცია.

კლარისა (ლუკრეციას)
ისევ თვალთმაქცობს.
ასეთი კაცის არაფერი დაიჭერება.

დორანტი (ლუკრეციას)
არ გჯერათ, არა? მაშ, ყველაფერს უცებ აგიხსნით:
თქვენზეც გავჯავრდი, კლარისას რომ მხარი აუბით,
როდესაც ჩემი გამასხრება მოიწადინა,
და წუხანდელი წყენისათვის სამაგიერო
გადაგიხადეთ. სულ ეს იყო.

ლუკრეცია
ის რაღა იყო,
ტიუილრიში რომ სიყვარულს ეფიცებოდით?
რა იყო-მეთქი?

დორანტი
ზრდილი კაცის გალანტურობა.

კლარისა (ლუკრეციას)
სულ მასხრად გვიგდებს. ნუთუ გჯერა ეს სისულელე?

დორანტი (ლუკრეციას)
დიხს, კლარისას სიყვარულზე ველაპარაკე,
ხოლო გულწრფელი სიყვარულით თქვენ შემეყვარდით.
როგორ გგონიათ, ვინაობა რად დავუმაღლე?
რად დავებრალე ომში ყოფნა? მხოლოდ იმიტომ,
რომ დანარჩენიც სინამდვილედ არ მიეჩნია.

კლარისა (ლუკრეციას)
წავიდეთ, აღარ შემეძლია მაგის მოსმენა,
არ ვარ ასეთი უტიფარი კაცის მნახველი.

დორანტი (ლუკრეციას)
ახლაც არ გჯერათ, რომ მიყვარხართ?

ლუკრეცია (დორანტს)

როგორ მჯეროდეს,
როცა ერთს ამბობთ, ხოლო საქმით სულ სხვას ამტკიცებთ.

დორანტი

დღეს მამაჩემი რომ მოვიდეს სამოციქულოდ
და მამათქვენი დაითანხმოს, რას იტყვით მაშინ?
კვლავ დაგჭირდებათ სხვა საბუთი?

ლუკრეცია

არ ვიცი, ვნახოთ.
დაეჭვებისთვის თუ საბაბი აღარ მექნება...

დორანტი (ლუკრეციას)

მალე მიხვდებით, რომ საბაბი მართლა არა გაქვთ.

(კლარისას)

თქვენ კი, კლარისა, კვლავ გიყვარდეთ თქვენი აღსიბი.
სწორედ მის ბედზე მოვიგონე ის ქორწინება.
ნუ გეშინიათ, მასთან სიტყვა არ წამომცდება,
ჩვენს შორის დარჩეს ეგ ამბავი... მაგრამ შეხედეთ!
თქვენი საქმრო და მამაჩემი მოდიან აქეთ.

გამოსვლა მეზვიდამ

ერონტი, დორანტი, აღსიბი, კლარისა, ლუკრეცია, იზაბელა,
ხაბინა, კლიტონი

აღსიბი (კლარისას სახლიდან გამოდის და მიმართავს
კლარისას)

ჩვენი მშობლები შეთანხმდნენ და უკვე ჩემი ხარო.

ჟ ე რ ო ნ ტ ი (ლუკრეციას სახლიდან გამოდის და მიმართავს ლუკრეციას)
თანახმა არის მამათქვენი, რომ დორანტს გაჰყვით.

ა ლ ს ი პ ი (კლარისას)
საქმე გადაწყდა, ახლა სიტყვა მხოლოდ თქვენზეა.

ჟ ე რ ო ნ ტ ი (ლუკრეციას)
თქვენი დასტური — და ქორწილიც გაიმართება.

დ ო რ ა ნ ტ ი (ლუკრეციას)
გემუდარებით, ნულარ მტანჯავთ, იწამეთ ღმერთი!

ა ლ ს ი პ ი
რამ დაგამუნჯათ ორივენი, რა მოგივიდათ,
ხმა ამოიღეთ!

კ ლ ა რ ი ს ა
მამის ნებას მე ვერ გადავალ.

ლ უ კ რ ე ც ი ა
შვილის ვალია, მშობლის სურვილს დაემორჩილოს.

ჟ ე რ ო ნ ტ ი (ლუკრეციას)
მაშ, წამოდით და განუცხადეთ მამას თანხმობა.

ა ლ ს ი პ ი (კლარისას)
მაშ, წავიდეთ და ქორწილის დღეც დავნიშნოთ ბარემ.
(აღსიპი კლარისასთან და იზაბელასთან ერთად
კლარისას სახლში შედის. დანარჩენები ლუკრეციას
სახლში შედიან.)

ს ა ბ ი ნ ა (დორანტს შესვლის წინ.)
ჯვარს რომ დაიწერთ, ოქროს წვიმა აღარ წამოვა.

დორანტი

წვიმა რა არის, წვიმის ნაცვლად მდინარე იდენს.

საბინა

ველარ მოიცილით სამაგისოდ. ეჰ, ჩემს ხელობას
რაღა ფასი აქვს, უმისოდაც თუ ფონს გავიდნენ.

კლიტონი (მარტო.)

კინალამ ბედმა უღალატა ჩვენს ცრუპენტელას,
მაგრამ განსაცდელს მაინც მარჯვედ დაუსხლტა ბოლოს.
გირჩევდით: მისი მაგალითი თქვენც გადაგელოთ.
ისწავლეთ ყველამ ხელოვნება ტყუილის თქმისა!

ქან ჩანონი



ო ზ ი ბ ე ნ ი ა

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

შ ი ნ ა თ მ შ ა

იფიგენიას მსხვერპლშეწირვაზე ცნობილი სიუჟეტი პოეზიაში არ არ-
ნებობს. მაგრამ ყველა პოეტი როდო თანხედება ერთმანეთს ამ მსხვერპლ-
შეწირვის უმთავრეს გარემოებათა გამო. ერთნი, როგორც ესქილე „აგა-
მემნონში“, სოფოკლე „ელექტრაში“ და მათ კვალდაკვალ ლუკრეციუსი,
პორაციუსი და სხვა მრავალი, მიიჩნევენ, რომ აგამემნონის ასულის
იფიგენიას სისხლი მართლა დაინთხა, რომ ის მოკლულ იქნა ავლისში. საკ-
მარისია გადაეციოთხოთ ლუკრეციუსის პირველი წიგნის დასაწყისი:

ავლისს, დიანას წმინდა სამსხვერპლო
დანაელების წინამძღოლებმა
იფიგენიას უმანკო სისხლით
შებლალეს...

ხოლო ესქილესთან კლიტემნესტრე ამბობს, რომ მისი ახალგარდაცე-
ლილი მეუღლე აგამემნონი ჰადესში შეხედება თავის ასულ იფიგენიას,
რომელიც მან ოდესღაც მსხვერპლად შეაწირვინა.

სხვები კი ისე წარმოგვისახავენ, თითქოს ქალღმერთმა დიანამ შეიბ-
რალა ხელმწიფის ნორჩი ასული, ბოლო წამს მოიტაცა და ტავრისში გა-
დაიყვანა, ხოლო მის ნაცვლად ფურირემი თუ რაღაც ამდაგვარი მსხვერპ-
ლი იქნა შეწირული. ეს გადმოცემა გამოიყენა ევრიპიდემ და იგი ოვი-
დიუსმა თავის „მეტამორფოზებში“ შეიტანა.

ასრებობს მესამე თვალსაზრისი და ის არანაკლებ ძველია, ვიდრე
ორი დანარჩენი. მრავალი ავტორი და მათ შორის სტესიპორე, ერთ-ერთი
უსაჩინოესი და უძველესი ლირიკული პოეტი, წერდა, რომ ქალღმერთს
მართლა შესწირეს მსხვერპლად მეფის ასული, სახელად იფიგენია, მაგრამ
ეს სულ სხვა იფიგენია იყო: იგი ელენეს თეზევსისგან შეეძინა. როგორც
ეს მწერლები ამბობენ, ელენემ ვერ გაბედა, შეილად ელიარებინა იგი,
რადგან მაშინ ისიც უნდა გაემხილა მენელაოსისთვის, ფარულად რომ
იყო ნაქორწინევი თეზევსთან. პავსანია სახელდებით იმოწმებს ყველა
პოეტს, ვინც ამ შეხედულებისა იყო, და დასძენს, რომ ამასვე ფიქრობდა
მთელი არგოსი.

და ბოლოს პომეროსისთვის, პოეტთა მამისთვის, იფიგენიას მსხვერპ-
ლად შეწირვისა თუ სკეითეთს გადაყვანის ამბავი იმდენად უცხოა, რომ
აგამემნონი „ილიადის“ მეცხრე სიმღერაში, ე. ი. ტრაში ბერძენთა ჩას-

ვლიდან თითქმის ათი წლის შემდეგ აქილევსს ცოლად სთავაზობს თავის ასულ იფიგენიას, რომელიც შინ, მიყენში ჰყოლია დატოვებული.

ყველა ეს განსხვავებული შეხედულება, განსაკუთრებით კი პავსანიასეული ვერსია აქ იმისთვის მოვიტანე, რომ სწორედ ამ ავტორს ვუმაღლი ჩემს ბედნიერ აღმოჩენას — ერთილეს, ურომლისოდაც ეს ტრაგედია ვერ დაწერებოდა. მართლაცა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა, ისეთი სათნო და მომხიბლავი არსების საზარელი სიკვდილით რომ წამებოდა სცენა, როგორადაც უნდა იქნეს წარმოდგენილი იფიგენია? ანდა ტრაგედიის კვანძი ქალმერთისა და მანქანის საშუალებით, მეტამორფოზის საშუალებით რომ გახსნილიყო, რასაც ევრიპიდეს დროს, შესაძლოა, ჯერ ისევე ნდობით ეკიდებოდნენ, მაგრამ ჩვენს დროში სრულიად მიუღებელი და დაუჭერებელი იქნებოდა?

ამიტომაც ვთვლი, რომ ბედმა გამიღიმა, როცა ძველ წყაროებში ამ მეორე იფიგენიას წავეწყდი, რომელიც შემეძლო ისეთი გამომეყვანა, როგორც მინდოდა. მას უყვარს აქილევსი და შურით შეჰყურებს თავის რაყიფს, ცდილობს მის დაღუპვას, მაგრამ თვითონვე იღუპება და, შეიძლება ითქვას, იმსახურებს კიდევ ამას, თუმცა რამდენაღმე თანაგრძნობის ღირსიცაა. ამრიგად, პიესის კვანძი თვით პიესის მონაცემითვე იხსნება. კაცმა იგი სცენაზე უნდა ნახოს, რომ იგრძნოს, თუ რა სიამოვნება მივანიჭე მაყურებელს, როცა დასასრულს სიკვდილისგან ვიხსენი ხელმწიფის სათნო ასული, რომელიც ტრაგედიის მსვლელობის მანძილზე მისთვის ესოდენ ახლობელი ხდება, თანაც ვიხსენი სრულიად ჩვეულებრივი გზით და არა სასწაულის მოშველიებით, რასაც მაყურებელი ვერ შეეგუებოდა, რადგან ვერ ირწმუნებდა.

არც აქილევსის მიერ ლესბოსის დაპყრობისა და ერიფილეს ტყვედ წამოყვანის ამბავია საფუძველს მოკლებული. იგი მოთხრობილი აქვს ევფორიონ ქალკიდელს, ძველ დროში საკმაოდ ცნობილ პოეტს; მას პატივისცემით იხსენიებენ ვერგილიუსი და კვინტილიანე. ეს ევფორიონ ქალკიდელი ერთ-ერთ ლექსში პართენიუსთან დაკავშირებით ამბობს, რომ აქილევსმა, ვიდრე ბერძენთა ლაშქარს შეუერთდებოდა, დაიპყრო კუნძული ლესბოსი და იქ შეხვდა მეფის ასულს, რომელსაც იგი შეუყვარდა.

აჲ, ის მთავარი, რაშიც გავემიჯნე ევრიპიდესეულ ქარგას. ვნებათა გამოხატვაში კი ვცდილობდი უფრო ზუსტად გავყოლოდი. ვაღიარებ, რომ ჩემი ტრაგედიის საკმაოდ ბევრი ადგილი ევრიპიდესგან მომდინარეობს და ყველაზე დიდი მოწონება სწორედ მათ ხვდათ წილად. ამას მით უფრო სიამოვნებით ვაღიარებ, რომ ამ მოწონებამ კიდევ უფრო განმამტკიცა პატივისცემა და მოწონება ანტიკურ ქმნილებათა მიმართ. ვაკვირდებოდი, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენს თეატრზე ყველაფერი ის, რაშიც პომეროსსა და ევრიპიდეს ვბაძავდი და კმაყოფილებით ვრწმუნდებოდი, რომ საღი ზარი და კეთილგონიერება ყველა საუკუნეში ერთნაირი ყოფილა. ბარიზისა და ათენის გემოვნება მსგავსი აღმოჩნდა. ჩემს მაყურებელსაც ის აღელვებდა, რაც ოდესღაც ცრემლს აღვრევინებდა საბერძნეთის უგანათლებულეს ერს, რომელსაც ევრიპიდე პოეტთა შორის ყველაზე ტრა-

გიკულ პოეტად" მიიჩნდა, რადგან საოცარი ძალით შეეძლო გამოეწვია თანაგრძნობა და ძრწოლა, ტრაგედიის ქეშმარიტი ეფექტები.

მით უფრო საკვირველია, რომ ჩვენი ზოგიერთი თანამედროვე ასე აუგად იხსენიებს ამ დიდ პოეტს და თავს ესხმის მის „ალკესტეს“. აქ „ალკესტეზე“ არა გვაქვს საუბარი, მაგრამ ევრიპიდესგან იმდენად ვარ დავალბებულნი, არ შემძლია მისი ხსოვნისთვის არ ვიზრუნო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევარიგო ის ამ ბატონებთან. დარწმუნებული ვარ, ასეთი ავი თვალთ არ შეხედავდნენ, მათ მიერ განქიქებული ნაწარმოები კარგად რომ წაეკითხათ. მე შევარჩიე მათი უმთავრესი შენიშვნები, რათა დავამტკიცო, რომ მაქვს ამის თქმის უფლება. დიახ, ის უმთავრესი შენიშვნები, რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებენ და აზრდაც არ მოსდით, რომ მათზე შეიძლება პასუხის გაცემა.

„ალკესტეში“ არის ერთი შესანიშნავი სცენა, სადაც მომაკვდავი ალკესტე მეუღლეს ეთხოვება. ცრემლმორიეული აღმეტე ევედრება, გამხნევდეს და ძალა მოიკრიბოს. ალკესტე, რომელსაც თავს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს, ასე მიუგებს:

ჩამომდგარია ბედითი ნავი.

გესმის ძახილი? ეს — ბებერი მენაეე მიხმობს.

რას უცდი, — ყვირის, — დროზე ჩაჯექ, მაგვიანდება,

გასამგზავრებლად ყველაფერი მზადაა უკვე.

ვისურვებდი, მქონოდა საიმისო ძალა, დედნის მთელი სიღამაზე გადმომეცა. აზრი, ყოველ შემთხვევაში ასეთია. აი, როგორ გაიგეს იგი ამ ბატონებმა: მათ ხელში ჩაუვარდათ ევრიპიდეს უბადრუტი გამოცემა, სადაც გამომეცემლს. დავიწყებია ამ სტრიქონების გასწვრივ მიებეჭდა ლათინური ალ., იმის აღსანიშნავად, რომ ეს ალკესტეს სიტყვებია, მომდევნო სტრიქონების გასწვრივ კი — აღ., იმის აღსანიშნავად, რომ ეს აღმეტეს პასუხია. ამიტომ თავში მოუფიდათ ყოველად უცნაური აზრი, ალკესტეს სიტყვებიცა და ქარონის ნათქვამიც აღმეტესთვის მიეწერათ. გამოდის, რომ საღ-სალამათ აღმეტეს მის წასაყვანად მოსული ქარონი ელანდება. და იმის ნაცვლად, რომ ალკესტეს, როგორც ეს ევრიპიდესთან ხდება, ქარონი აჩქარებდეს, ამ ბატონების შეხედულებით აღმეტე აჩქარებს, ეშინია, ქარონმა თვითონ ის არ წაიყვანოს. ასე ევედრება მეუღლეს — ეს მათი სიტყვებია — მოიკრიბოს მხნეობა, დასძლიოს შიში და ხალისით დალიოს სული, გამოთხოვებასაც აღარ აცლის, მოკვდი, რაღას აქინაურებო. მათი აზრით, ლამის თვითონვე კლავს. მათ ეს სულმდაბლობად მიიჩნევს და მართლებიც არიან: არ არსებობს კაცი, რომ ამან არ შეზაროს. მაგრამ ასეთი რამ ევრიპიდეს როგორ მიაწერეს! ვთქვათ, ყველა დანარჩენი გამოცემა, სადაც ეს ალ. თავის ადგილასაა დასმული, ამხელს მხოლოდ ბედუკუღმართ გამომეცემლს, რომელმაც ისინი შეაცდინა, მაგრამ ამ ოთხი სტრიქონის გაგრძელება და, საერთოდ, აღმეტეს მიერ ამ სცენაში წარმოთქმული მთელი მონოლოგი განა საკმარისზე მეტი არაა საიმისოდ, რომ ასეთი უგუნური შეცდომა არ მოსელოდათ? აღმეტე იმას კი არ ცდილობს,

აღკვეთეს სიკვდილი დააჩქაროს, არამედ, პირიქით, წამოიძახებეს რაც კი ქვეყანაზე სიკვდილია, ყველა ერთბაშად რომ გამომცხადებოდა, ასე ვერ შემადრწუნებდა, როგორც შენი ამ დღეში დანახვა მაძრწუნებს, გვედრები, მეც თან წამიყვანე, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, მხოლოდ შენით ვსულდგმულობ, შენით ვსუნთქავო.

უფრო მართებული არც სხვა შენიშვნებია. ამბობენ, მაგალითად, თითქოს ევრიპიდემ აღმეტე და აღკვესტე დიდი ხნის შეუღლებულ წყვილად გამოიყვანა, ქმარი ბებერია და აღარც ცოლია ახალგაზრდაო. ევრიპიდემ წინასწარ გასცა მათ პასუხი ერთადერთი სტრიქონით, რომელშიც ქოროს პირით ამბობს, რომ ნორჩი აღკვესტე თავისი ქაბუჯი მიუღლისთვის კვდება.

ისინი საყვედურობენ აღკვესტეს, ვითომდა მას ორი მოწიფელი, უკვე დასაქორწინებელი შეილი ჰყოლოდეს. ნუთუ ასგან მაინც ვერ ამოიკითხეს სრულიად საპირისპირო რამ, განსაკუთრებით იმ მშვენიერ მონათნრობში, რომელიც გვიხატავს მომაკვდავ აღკვესტეს თავის პატარა შეიღებთან ერთად, ატირებულები კალთაზე რომ ებლაუქებიან დედას და მას საკოცნელად აპყავს ხელში ხან ერთი, ხან მეორე?

დანარჩენი შენიშვნებიც დაახლოებით ამავე ძალისაა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი ავტორის გასამართლებლად ეგვეც კმარა. ვურჩევ ამ ბატონებს, ძველთა ქმნილებებს ასე ხელაღებით ნულარ განსჯიან. ევრიპიდესთანა კაცი, სხვა თუ არაფერი, იმას მაინც იმსახურებს, რომ კარგად შეისწავლონ, რაკი მისი განქიქების ეინი გასჩენიათ. გაიხსენონ კვინტილიანეს ბრძნული ნათქვამი: „*Modeste tamen et circumspecto iudicio de tantis viris pronunliandum est, ne quod plerisque accidit, damnent quae non intellagunt. Ac si necesse est in alteram errare partem, omnia eorum legentibus placere quam multa displicere maluerim*“.

მოქმედი პირნი

აგამემნონი.

აქილეუსი.

ულისე.

კლიტემნესტრე, აგამემნონის მეუღლე.

ოფიგენია, აგამემნონის ასული.

ერიფილე, ელენესა და თეზეესის ასული.

არკასი, ევრიპატე, აგამემნონის მსახურნი.

ეგინე, კლიტემნესტრეს სეფექალი.

დორისი, ერიფილეს მესაიდუმლე.

მცველები.

მოქმედება ხდება ავლისში, აგამემნონიძე კარავში.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

აგამემონი, არკასი

აგამემონი

ადეჟი, მე ვარ, შენი მეფე, აგამემონი
ეს მე გეძახი, გაიღვიძე, გამოდი, არკასი

არკასი

ხელმწიფის ხმაა! თქვენ ბრძანდებით, მეფე ბატონო?
რამ შეგაწუხათ, რომ ამდგარხართ ამ უთენია?
ავლისში ახლა ჩვენ ორს გარდა არავის ღვიძავს.
ხომ მშვიდობაა? რამე ავი ხომ არ მომხდარა?
ანდა იქნება ქარი ადგა და ტროასაკენ
მივემგზავრებით? მაგრამ არა, ჩქამი არ ისმის.
სძინავთ მეომრებს, სძინავთ ქარებს და სძინავს ნეპტუნს.

აგამემონი

ნეტავი იმას, ვისაც ჩემებრ მძიმე უღელი
არ ღგმია ქედზე, ვინც უჩინრად ცხოვრობს თავისთვის,
მცირედიც ყოფნის და განგებას არ ემდურება.

არკასი

თქვენ კი რაღა გაქვთ სამღურავი, რას ყველრით ღმერთებს,
მათი წყალობა საძულველი რად გაგხდომიათ?
ვის ღირსებია ესოდენი წყალობა მათგან?
სვებედნიერი ხელმწიფე ხართ, სვებედნიერი
ქმარი და მამა, ღვთაებრივი ატრევისის პირმშო,

მთელ საბერძნეთში უმდიდრესი მხარის მპყრობელი,
 შთამომავალი მარსისა და იუპიტერის
 და იმათივე შთამომავლის თანამეცხედრე.
 თვითონ აქილევესს, დიდ აქილევესს, უებრო მოყმეს,
 სწადია თქვენთან დამოყვრება და ბრძოლად ილტვის,
 რომ საქორწინო ჩირაღდანი უნეტარესი
 დამარცხებული ილიონის ხანძრით აანთოს.
 თქვენს დაძახილზე ოცი მეფე საომრად აღდგა,
 ათასი გემი მოაყენა ავლისის ნაპირს,
 აბჯარასხმული მეომრები ქარსლა ელიან,
 რომ აზიაში გადასხდნენ და ეკვეთონ ტროას.
 რაც მართალია, მართალია, გიმტყუნათ ქარმა
 და ილიონში მიმავალი გზები დაგისშოთ.
 მესამე თვეა ნიავიც კი არ იძვრის არსით.
 მაგრამ რას იზამთ, კაცის ბედი ცვალებადია.
 ნუ გაეიწყლებათ, ხელმწიფეო, რომ თქვენც კაცი ხართ
 და, როგორც ყველა, თქვენც განგებას ემორჩილებით,
 ხოლო განგება აუმიღვრეველ ბედნიერებას
 არვის ანიჭებს... ხელმწიფეო, რა გემართებათ?
 უხმოდ ჩასტყერით რალაც წერილს და ცრემლი დაგდით!
 ალბათ, რაიმე სამწუხარო ამბავს გამცნობენ.
 ხომ არაფერი შემთხვევია ყმაწვილ ორესტეს?
 ხომ კარგად არის კლიტემნესტრე? ხომ კარგად არის
 იფიგენია?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

არა, არა, შენ არ მოკვდები!
 არავის მივცემ მაგის ნებას!

ა რ კ ა ს ი

მეფევე ბატონო...

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ხომ ხედავ, არკას, რა დღეში ვარ. მიზეზსაც გეტყვი
 და შენ მიხვდები, ძილი რატომ არ მეკარება.
 განსოვს, ავლისში რომ მოვედით, რა ქარი იყო,
 თითქოს თვითონვე გვაქეზებდა გასამგზავრებლად!

აღტაცებული გუგუნებდა ჩვენი ლაშქარი
და ხმათა ზავთი გადალეკვას უქადდა ტროას.
მაგრამ უეცრად სასწაულის მსგავსი რამ მოხდა:
ქარი ჩადგა და სანაოდან ველარ გავედით,
ამაოდ ღლიდნენ უსარგებლო ჩვენი ნიჩბები
ზღვას, რომელზედაც ერთი ჭავლი არ ირხეოდა.
მოულოდნელმა სასწაულმა თვალი მაშინვე
ამ მხარის მფარველ ღვთაებისთვის მიმაპყრობინა.
ბერი ნესტორი, ულისე და მენელაოსი
წავიყვანე და უხვი ძღვენი მივართვი ქალღმერთს.
აი, პასუხი, წარმოთქმული კალხასის მიერ:
„თუ გსურთ, კეთილმა ქარმა დაგბეროთ
და ტროასაკენ გზები გაგეხსნათ,
ამ სამსხვერპლოზე ქალღმერთ დიანას
უნდა შესწირო მსხვერპლად ქალწული,
თვითონ ელენეს სისხლი და ხორცი.
სახელი მისი — იფიგენია“.

ა რ კ ა ს ი

თქვენი ასული?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

უთქმელადაც მიხვდები, ალბათ,
ამის გამგონეს რა თავზარი დამეცემოდა.
ვიგრძენი, როგორ გამეყინა უეცრად სისხლი,
თქმა ვერაფრისა მოვახერხე, ავტირდი მხოლოდ.
როდესაც სიტყვამ ცრემლებს შორის გზა გაიკვალა,
დავგმე ღმერთები, სამართალი დავწყევლე მათი
და ფიცი დავდე, რომ არასგზით შვილს არ დავთმობდი.
იქვე, ცხელ გულზე ვაპირებდი ლაშქრის გაშვებას;
მაგრამ ულისეს ცბიერება შენც კარგად იცი,
ჯერ მომიწონა განზრახული, მანამ მაცალა,
სანამ პირველი გაოგნება გადამივლიდა,
მერე მიხსენა სამშობლო და მოვალეობა,
მითხრა, რომ მთელი საბერძნეთი მე შემომყურებს,
ჩვენს წილხვედრ მიწას უნდა ჩვენვე დავეპატრონოთ

და ეს ლაშქრობა საუკუნო სახელს მომიტანს;
 რომ უსახელო, უდიდამო სიბერე მელის,
 თუ შვილის გამო საბერძნეთის დიდებას დავთმობ.
 მრცხვენია, მაგრამ ვალიარებ, ვეცთუნე ამით,
 ვერ შეველიე მეფეთმეფის ბრწყინვალე სახელს,
 წინამძღოლობის პატივსა და ძალმოსილებას.
 ჩემს უბედობას მერე კიდევ ისიც დაერთო,
 რომ ღამით, როცა მომნახავდა ხანდახან ძილი
 და ერთი წამით მწუხარებას მიმიყუჩებდა,
 მეცხადებოდნენ ღმერთები და შიშის ზარს მცემდნენ
 განრისხებულნი მკრეხელური ჩემი უარით:
 ხელთ ეპყრათ ელვა, შემართული ჩემს დასამეხად.
 ულისეც საშველს არ მაძლევდა... და მოვტყდი ბოლოს,
 ატირებულმა შვილის სიკვდილს დასტური დავეცე.
 მაგრამ ჯერ უნდა წამერთმია დედამისისთვის
 და თანაც ისე, რომ სიმართლეს ვერ მიმხვდარიყვნენ.
 ჰოდა, სიმუხთლე ჩავიღინე, სიმუხთლე, არკას,
 სასწრაფოდ ვიხმე არგოსიდან იფიგენია,
 მივწერე, ვითომ აქილევისი არ მაძლევს საშველს,
 ახლავე უნდა, რომ ქორწილი გადაიხადოს
 და მის მეუღლედ გაემგზავროს ილიონისკენ.

ა რ კ ა ს ი

აქილევისს რაღას ეუბნებით, მეფეე ბატონო?
 როგორ გგონიათ, დაგანებებთ, რომ მისი სასძლო
 მისი სახელით მოიტყუოთ და მერე მოკლათ?
 იცოდეთ, დიდი ცოდვა-ბრალი დატრიალდება,
 თუ ეს ამბავი აქილევისის ყურამდე მივა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

როცა ეს მოხდა, აქილევისი წასული იყო.
 მამამისს, პელევსს აეშალნენ ყმადნაფიცები
 და, რაკი მარტო ვერას გახდა, ვაჟიშვილს უხმო.
 ყველას ეგონა, რომ კარგახანს გასტანდა ომი
 და აქილევისი ავლისს ველარ ჩამოგვისწრებდა.
 მაგრამ, მითხარი, ვინ დაუდებს ქარიშხალს სამანს?

ქარიშხალია, თავის გზაზე ყველაფერს ანგრევს.
მტერს გონზე მოსვლა არ აცალა, ისე შემეუსრა,
დააცხრო შფოთი და ავლისში დაბრუნდა წუხელ.
მაგრამ მთავარი აქილევსი როდია ახლა,
უფრო მაგარი ზორკილით ვარ ხელფეხშეკრული.
ჩემი ასული ავლისისკენ მოემგზავრება...
მოდის მამაზე დანდობილი და არ კი იცის,
რა ხვედრს ვუმზადებ... შეიძლება მლოცავს კიდეცა...
არა იმიტომ, რომ სისხლი და ხორცია ჩემი
და არც იმიტომ, რომ სრულიად ნორჩია, არა...
მე ვტირი, არკას, მის სიწმინდეს, მის სათნოებას
და მამისადმი მის ნირჟცეულ სიყვარულს ვტირი,
არ აეყრება გული ჩემზე, რაც უნდა მოხდეს,
მე კი, ბედკრული, რითი ვუხდი სამაგიეროს!
არა, ისეთი უმოწყალო არაა ზენა,
ჩემგან ეს მსხვერპლი მოითხოვოს, მცდიდნენ მისნები:
დავთანხმდებოდი და სასჯელი არ ამცდებოდა!
არკას, ერთ ფრიად საიდუმლო საქმეს გავალებ,
არ მეშინია, ვიცი, გულით მოეკიდები.
შენ დედოფალმა სპარტაშივე გამოგარჩია
და მე თვითონაც ულალატო კაცად მიცენიხარ.
აი, წერილი, დედოფლისთვის გადასაცემი.
უნდა საჩქაროდ გაემგზავრო მიკენისაკენ,
ოლონდ ძალიან ფხიზლად იყავ, არ ასცდე გზაში,
კარგი მეგზური წაიყვანე, შენს თავს არ ენდო.
დედოფალს წერილს გადასცემ და ეტყვი, გაბრუნდნენ,
თორემ თუ ავლისს ჩამოვიდა ჩემი ასული,
მორჩა, მკედარია. მოუთმენლად ელის კალხასი
მის გამოჩენას. მყის ჩაახშობს ჩემს მწარე მოთქმას,
ლაშქრის წინაშე თავად ღმერთებს აამეტყველებს.
ღვთისმოსავ ბერძნებს მისი ყველა სიტყვისა სჯერათ,
ბანაკში დრტვინვა დაიწყება, წინასწარ ვიცი,
ხოლო მტრებსა და მოშურნეებს რა უნდათ მეტი,
დროს იხელოებენ და მთელ ლაშქარს ამიბედრებენ,
პატივს ამყრიან, წამარომევენ ძალაუფლებას.
მაშ, წადი, არკას, იხსენ ჩემგან ჩემი ასული,

ოღონდ, იცოდე, საიდუმლო არ გაუმჟღავნო,
 დე, ნურასოდეს ნუ გაიგებს ჩემს დანაშაულს,
 რომ მოტყუებით ჩამომყავდა მოსაკვდინებლად.
 თანაც მეუღლის მოთქმა-ტირილს გადავურჩები.
 რამე ზედმეტი არ წამოგცდეს, ხომ გესმის, არკას,
 შენი ნათქვამი ჩემს მინაწერს უნდა დაემთხვეს.
 მე კი მივწერე, შენ თვითონაც ამასვე ეტყვი,
 რომ აქილევსმა შეიცვალა უცებ განზრახვა
 და ჯერჯერობით არ აპირებს დაქორწინებას.
 გინდა, დასძინე, ამბობენ-თქო, ვითომ ამაში
 ბრალი მიუძღვის ერიფილეს, იმ ლამაზ ტყვექალს,
 აქილევსმა რომ ლესბოსიდან ჩამოიყვანა
 და მერე არგოსს შეიკედლა იფიგენიამ.
 მოკლედ, რაც გინდა ის უთხარი, სიმართლის გარდა,
 სიმართლეზე კი, ხომ გაიგე, სიტყვა არ დაგცდეს.
 ამასობაში, ხედავ, კიდეც გათენებულა.
 ფეხის ხმა ისმის. ჩქარა წადი! აქილევსია!
 ჰოი, ღმერთებო, ეს ულისე მოჰყვება გვერდით!

გამოსვლა მეორე

აგამენონი, აქილევსი, ულისე

აგამენონი

მითხარით, ნიკემ საკუთარი ფრთებით გატარათ,
 თუ როგორ მოხდა, ასე უცბად რომ დაგვიბრუნდით!
 ჯერ ყმაწვილი ხართ და ამნაირ სასწაულს გვივლენთ,
 რისი მხილველნი შევიქნებით მერე და მერე!
 მარტომ, ულაშქროდ, დაიპყარით მთელი ლესბოსი,
 ელვის სისწრაფით თესალაია მოითარეშეთ.
 ის, რითაც სხვები საუკუნო ძეგლს დაიდგამდნენ,
 თამაშია და გართობაა აქილევსისთვის.

აქილევსი

ჯერ სამაგისო არაფერი ჩამიდენია,
 ასე რომ მაქებთ, მაგრამ, დაე, ინებოს ზენამ,

იქ, ფრიგიაში რომ დამეცხროს ბრძოლის წყურვილი,
რომელიც თქვენმა დაპირებამ გამიათქცა.
მაგრამ, მეფეო, აქ ერთ ამბავს მოვკარი ყური,
ჩემთვის სრულიად უეცარს და სასიხარულოს.
მითხარით, მართლა მისრულდება რასაც ვნატრობდი
და დღეს ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ მართლა?
როგორც გადმომცეს, ავლისს მოდის თქვენი ასული,
რომ აქ ჰიმნეგსმა სამუდამოდ დაგვაკავშიროს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჩემი ასული ავლისს მოდის? როგორ? ვინ გითხრათ?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რატომ გაოცდით? ეს ამბავი პირველად გესმით?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი (ულისეს)

იცის რაიმე? ხომ არ მიხვდა, რასაც ვაპირებთ?

უ ლ ი ს ე

აგამემნონის გაოცება გასაგებია.

მომიტყვეთ და ქორწილის დრო არ არის ახლა.

ნუთუ ვერ ხედავთ, რა დღეში ვართ? ღმერთებს, ეტყობა,
მსხვერპლი სჭირდებათ, სისხლი უნდათ, ძვირფასი სისხლი!

ველარ გადიან ზომალდები ნავსადგურიდან,

თანდათანობით ძაბუნდება ჩვენი ლაშქარი

და მწუხარებას შეუპყრია მთელი ელადა,

აქილეესი კი განცხრომაზე, ქორწილზე ფიქრობს!

თქვენ გნებავთ ერის წინამძღოლმა, ერის რჩეულმა

ერის ტკივილი დაივიწყოს და საქორწინო

სეფა გაშალოს, როცა ყველას გული გვიკვნესის?

ღმერთების რისხვა დაატყდება ასეთ წინამძღოლს!

მაშ, იმის ნაცვლად, რომ სამშობლოს ბედზე ვზრუნავდეთ...

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

იქ გამოჩნდება, ფრიგიაში, ფიცხელ ბრძოლაში,

ვინ უკეთ ვზრუნავთ სამშობლოზე, მე თუ ულისე.

მანამ კი, მოდით, ჩვენ-ჩვენს საქმეს მივხედოთ ყველამ.
ხელს არ შევიშლით, კი ბატონო, დადეთ აღთქმები,
შეჭფიცეთ მამულს სიყვარული და ერთგულება,
საკუთრებელები მოილოცეთ, მსხვერპლი დაქალით
და მის შიგანზე თქვენ თვითონვე იმარჩიელეთ,
ღმერთმა ქნას, ეგებ უქარობის მიზეზსაც მიხვდეთ.
მე მაგ საქმეში არ ვერევი, კალხასს ვენდობი
და ამიტომაც ნება დამრთეთ, მე ვიქორწინო.
არ გამოიწვევს ეს ამბავი ღმერთების რისხვას
და არც განცხრომას მივეცემი, თქვენ როგორც ბრძანებთ,
ილიონისკენ მე პირველი გავემგზავრები
და ნაპირზედაც მე გადავალ პირველი, ალბათ.

აგამემნონი

ნეტავი რისთვის სჭირდებოდა შურნელ ზეცას,
რომ გზა დაეხშო აზიისკენ ასეთ გმირთათვის?
რად მომივლინა თქვენი გზნება კეთილშობილი?
გულისტკივილით რომ გიბრძანოთ შინ დაბრუნება?

აქილევისი

შინ დაბრუნება?

ულისე

ეს რა მესმის!

აგამემნონი

დიახ, მეფენო,
უნდა დავბრუნდეთ. აქ დარჩენას არა აქვს აზრი.
არა აქვს აზრი ფუჭ იმედებს ველოლიავოთ
და ქარს ველოდოთ, ამოვარდნას რომ არ აპირებს.
ღმერთები ტროას მფარველობენ და უკვე გვამცნეს,
რომ ჩვენი ჭარით აზიაში ვერ გადავსხდებით.

აქილევისი

გვამცნეს? არ ვიცი!

აგამემნონი

ის ხომ იცით, რა გვამცნეს თქვენზე.
ვთქვათ ბარემ, თავის მოტყუება რა საჭიროა!
ქვეყანამ იცის, რომ ღმერთებმა ტროას დაცემა
თქვენს სახელთან და ბედ-იღბალთან დააკავშირეს.
ამ გამარჯვების საფასური ასეთი გახლავთ:
ტროადან უკან დაბრუნება არ გიწერიათ.
თუ წახვალთ, ასე ახალგაზრდა დაიღუპებით,
თუ არ წახვალთ და ღრმა სიბერეს მიაღწევთ მაშინ.

აქილევი

როგორ! თქვენ გნებავთ, ეს მეფენი, აქ რომ შეჰყარეთ,
სირცხვილეულნი შინ გაუშვათ? შეარჩინთ პარისს
თქვენი ძმისათვის მიყენებულ შეურაცხყოფას,
მრუშობას თქვენი საკუთარი მეუღლის დასთან?

აგამემნონი

რა? შერჩათ ვითომ? ხომ მიეზლოთ სამავიერო,
როდესაც თქვენმა სიმამაცემ დაასწრო ჩვენსას.
ღიახ, ლესბოსზე მოწეულმა უბედურებამ
ეგვესის მთელი სანაპირო ძრწოლით აღავსო.
ხანძრები, თქვენგან დაგზნებული, ტროაში ჩანდა
და ზღვა რიყავდა მის ნაპირზე აჩეხილ გვამებს.
სულ სხვა ელენეს დასტირიან ახლა ტროელნი, —
ასულს, რომელიც შეპყრობილი გაგზავნეთ მიყენს,
რადგანაც იგი ხელმწიფეთა ნაშიერია,
ჰო, ხელმწიფეთა ნაშიერი, მენდეთ ამაში,
და თუმცა თავის წარმოშობას გულდაგულ მაღავეს,
მისი მეფური სიამაყე ყველაფერს ამხელს.

აქილევი

გთხოვთ, მომიტევოთ, ხელმწიფეო, რომ ვერ ჩავწვდები
მაგ დახლართული მსჯელობების ღრმააზროვნებას.
როგორ, ბატონო! ფუჭ მუქარას დავეკრდე მხოლოდ?
ზურგი ვაქციო ამ დიდებას, რომელიც მელის?
დედაჩემს, თეტისს, როცა იგი მოკვდავს მისთხოვდა,

წინასწარ ამცნეს მოიხრებმა ჩემი მერმისი.
ჩემზე ყოფილა, რას ავირჩევ: ცხოვრებას ხანგრძლივს
და უსახელოს, თუ ხანმოკლეს და სახელოვანს.
რად მინდა მიწას ვამძიმებდე ტყუილუბრალოდ,
ხომ სულ ერთია, უნდა მოვკვდე, როცა იქნება.
ყველაფერს თავი ავარიდო, მაღალს და ღიადს,
ქალღმერთისაგან გადმოცემულ სისხლს გავუფრთხილდე,
მხოლოდ იმისთვის, რომ ოდესმე მოვკვდე მიხრწნილი
და სახელიც კი არ დავტოვო კაცთა გულებში.
ძალით ნუ ვიქმნით დაბრკოლებებს, ნუ გვჭერა მისნის,
დიდება — აი, ერთადერთი ჩვენი მისანი!

კაცის სიკვდილი და სიცოცხლე ცათა ხელშია,
მაგრამ თვით კაცის ხელშივეა კაცის ღირსება.
ნუ შევეცდებით, რომ ღმერთების საწადელს ჩავხვდეთ,
ჩვენ შევეცადოთ, რომ შევიქნათ მათებრ უკვდავნი.
წავიდეთ, სადაც ჩვენი საქმე, ჩვენი სიქველე
აგვამალლებს და ღმერთებივით გაგვადიადებს.
ეს კი ტროაში უნდა მოხდეს. მივდივარ ტროას,
მივდივარ ყველა მისნობათა მიუხედავად
და მაღალ ღმერთებს ქარის გარდა არაფერს შევთხოვ.
სხვა თუ არავინ წამოგვეყვება, მარტონი წავალთ
მე და პატროკლე... მაგრამ არა! ბედმა განაგო,
რომ თქვენ, ელინთა წინამძღოლმა, დაამხოთ ტროა,
ჩემთვის პატივად ისიც კმარა, თან რომ გახლდებით.
გათავდა, სიტყვას აღარ დავძრავ ჩემს სიყვარულზე,
მე იგი ბანაკს ერთი ხანი განმარიდებდა,
თვით სიყვარული მაიძულებს თქვენს გვერდით დავრჩე:
ჯარს გამხნევება დასჭირდება, და თქვენც აგრეთვე,
რათა სიმხდალე არ გადმოგდონ მხდალმა მრჩევლებმა.

გამოსვლა მისამე

აგამემნონი, ულისე

უ ლ ი ს ე

ატყობთ? ტროაში წასასვლელად ყველაფერს დათმობს.
თურმე არც ისე საშიშია, როგორც გვეგონა.

თავისი თავის წინააღმდეგ დღეს აქილევსმა
თვითონვე მოგვცა იარაღი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვაგლახ!

უ ლ ი ს ე

მეფეო,

რას ნიშნავს თქვენი ამოოხვრა? სისხლი აღშფოთდა?
სინდისი გქენჯნით? თუ ეჭვებმა შეგიპყროთ ისევე?
ხომ არაფერი შეიცვალა ამ ერთ ლამეში?
ხომ არ ყოყმანობთ? თქვენს სიტყვაზე მტკიცედვე დგახართ?
უნდა როგორმე მოერიოთ მამობრივ გრძნობას
და სამშობლოსთვის ერთი შვილი მსხვერპლად გაიღოთ.
აღთქმა მოგვეცით და ამ აღთქმას ნუ უღალატებთ,
თორემ კალხასმა, თქვენს სიტყვაში დარწმუნებულმა,
ჟკვე აუწყა საკითხავად მისულ ელჩინებს,
რომ მოლბნენ ცათა ბინადარნი და ქარს შეგვპირდნენ.
როგორ გგონიათ, თუ არ ახდა მისი ნათქვამი,
კალხასი დიდხანს შეინახავს თქვენს საიდუმლოს,
გაგიჩუმდებათ და ხალხს იმას აფიქრებინებს,
თითქოს ღმერთებმა მოგვატყუეს ან თვითონ შეცდა?
ნუ იზამთ, ხალხმა ღმერთებსა და წინამძღოლს შორის
იძულებითი არჩევანი რომ გააკეთოს.
თქვენ არ იყავით, რომ გვიხმობდით ილიონისკენ
და გვახსენებდით ფიცს, რომელიც ელენეს მამამ
ბერძენ მეფეებს, მისი ქალის შერთვის მსურველებს,
მენელაოსის მეტოქეებს დაგვადებინა?
ღიახ, ჩვენ ყველამ დავიფიცეთ, რომ ქალის რჩეულს,
ერთ-ერთ ჩვენთაგანს, სულ ერთია, ვინ იქნებოდა
(როგორც აღმოჩნდა, ეს ყოფილა მენელაოსი),
ვინმე თავხედი თუ ოდესმე ცოლს მოსტაცებდა,
შევგროვდებოდით და ყველანი შურს ვიძიებდით.
ეს სიყვარულის ფიცი იყო, ცრუფიცი იყო
და მერე, როცა სიყვარულმა გადაიარა,
რა ფასი ჰქონდა? იგი ყველამ გადავივიწყეთ

და თქვენ რომ არა, აქ წამოსვლას არც ვიფიქრებდით,
შინ უპატრონოდ არ დავყრიდით ცოლებს და შვილებს.
ახლა კი, როცა მთელი ერი შეგროვდა ავლისს,
როცა ელადამ პირველობა თქვენ მოგაკუთვნათ
და გმორჩილებენ ეს ბრწყინვალე ხელმწიფეები,
რომელთაგანაც პირველობის ღირსია ყველა,
როცა მზადაა თვითეული, რომ სხვის მიწაზე
სხვისი საქმისთვის საკუთარი სისხლი დაღვაროს,
თვითონ ხელმწიფე აგამემნონს, ერის წინამძღოლს
თავისი სისხლის ერთი წვეთიც არ ემეტება,
გამარჯვებაზე, დიდებაზე უარს აცხადებს
და შინისაკენ მიგვიძღვება! პირველი გარბის!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

თქვენთვის, ბატონო, ადვილია ასე მსჯელობა,
გულმაგრად ყოფნა, როცა საქმე სხვის შვილს ეხება.
ღმერთებს მის ნაცვლად ტელემაქე რომ მოეთხოვიათ,
აი, მაშინ კი მიხვდებოდით, რა მიღულს გულში.
მსჯელობისთვის და კამათისთვის არ გეცლებოდათ,
ის რომ თქვენს თვალწინ დასაკლავად მიჰყავდეს კალხასს,
გამწარებული სამსხვერპლოზე აიჭრებოდით
და ჩადგებოდით ქურუმსა და თქვენს პირმშოს შორის.
მე კი დაგთანხმდით და ჩემს სიტყვას ვასრულებ კიდევც,
ასულს მივწერე, რომ სასწრაფოდ გამოემგზავროს.
ოღონდ თუ მაინც არ მოხერხდა მისი ჩამოსვლა —
არგოსში დარჩა ან შემთხვევით შებრკოლდა გზაში,
მოკლედ, რატომღაც ავლისამდე ვერ მოაღწია,
ნება მიბოძეთ, ეს ამბავი განგებით ავხსნა,
ან რომელიღაც მწყალობელი ღმერთის ჩარევით
და ხელმეორედ არ ვეცადო მის ჩამოყვანას.
ჩემზე საოცრად იმოქმედეს თქვენმა სიტყვებმა
და მე მრცხვენია...

ე ვ რ ი ბ ა ტ ე

ხელმწიფეო...

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რაო, რას მეტყვი.

ე ვ რ ი ბ ა ტ ე

თქვენი მეუღლე და ასული მობრძანდნენ აელისს,
წინ გამომიშვეს, რომ ამბავი მეუწყებინა,
საცაა მოვლენ, ერთი ფეხით გამოვასწარი.
გზა დაგვეკარგა, როცა აელისს მოვუახლოვდით,
ბანაკის გვერდით უსიერი ტევრი ყოფილა,
იმ ტევრში მოვხვდით და წვალეებით გამოვაღწიეთ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჰოი, ღმერთებო!

ე ვ რ ი ბ ა ტ ე

ერიფილევ წამოიყვანეს,
რადგან კალხასის ნახვა უნდა ღიღი ხანია,
იმ ლამაზ ტყვეზე მოგახსენებთ, მეფევ ბატონო,
თქვენმა სასიძომ ლესბოსიდან რომ მოიტაცა,
თურმე არ იცის, ვინ არიან მისი მშობლები
და იმედი აქვს, კალხასისგან შეიტყობს ამას.
მთელი ბანაკი სანახავად გამოეფინა,
ყველა მოხიბლა საოცარმა მათმა მშვენებამ,
იფიგენიას სილამაზემ — განსაკუთრებით.
მეკითხებოდნენ მათი აელისს ჩამოსვლის მიზეზს
და თქვენი ქალის დღეგრძელობას შესთხოვდნენ ზენას,
თქვენზე კი, მეფევ, ყველა ერთხმად ამას ამბობდა,
არ ვართო მისებრ ბედნიერი მამის მნახველი,
არ შობილაო ჯერ ხელმწიფე, ვისაც ესოდენ...

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

კარგი, გავიგე, ევრიბატე, საკმარისია.

მადლობელი ვარ. დაგიძახებ, თუ დამკვირდები.

აგამენონი

ვერ გავექეცი თქვენს განგებას, ღმერთებო, ვერაი
როგორ ვიფიქრე მე უგნურმა, თვალს აგიხვევდით.
ო, თავისუფლად ატირება მაინც შემეძლოს,
ცრემლით შემეძლოს მწუხარების შემსუბუქება!
ხელმწიფეების მწარე ხედრი! შიშში ვართ მუდამ,
ცათა ნება და კაცთა აზრი თანაბრად გვზარავს,
ათასი თვალი მოგვპყრობია, ათასი ყური
და ჩვენს ნებაზე ატირებაც არ შეგვიძლია!

ულისე

მეც მშობელი ვარ, სუსტი, როგორც ყველა მშობელი
და ყველაფერი, ყველაფერი მშვენივრად მესმის,
თქვენს მწუხარებას როგორც ჩემსას, ისე განვიცდი,
ცრემლისთვის როგორ გაგამტყუნოთ, მეც ცრემლი მახრჩობს.
მაგრამ არც ხალხი, არც კალხასი არ განსჯის ასე,
კალხასს ღმერთებმა თავიანთი მსხვერპლი მოჰგვარეს,
იცის, ელოდა, გვაჩქარებდა და თუ დაეხანდით,
აქ მოგადგებათ ხალხთან ერთად მის წასართმევად.
მაგრამ ჯერ ისევ მარტონი ვართ, იტირეთ, მეფევ,
იტირეთ, გული მოიოხეთ მღუღარე ცრემლით.
ოლონდ ნურც იმას დაივიწყებთ, წინ რა მოგველის,
ღიადი საქმე, ერის საქმე უნდა აღსრულდეს,
ხვალ აზიისკენ აიღებენ გეზს ხომალდები,
და ჩვენს წიხბებქვეშ ჰელესპონტი გადათეთრდება.
მალე ხანძარში დაინთქმება ცბიერი ტროა,
მალე პრიამოსს თქვენს ფეხებთან ნახავთ დამხობილს,
ელენეს მტრისგან გამოიხსნით, ქმარს ჩააბარებთ
და გამარჯვებით დადაფნული შინ დაბრუნდებით.
თქვენი სახელი, თქვენი საქმე, თქვენი დიდება
საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა.

აგამე მნონი

რა შემძლია, უმწეო ვარ, გემორჩილებით.

კარგი, წაბრძანდით და ამბავი აუწყეთ კალხასს,
ჩემს ქალიშვილსაც გამოვგზავნი ცოტა ხნის შემდეგ.
ოლონდ უთხარით, საიდუმლოს ჯერ ნუ გაამხელს,
არ მინდა ცოლმა რომ წინასწარ შეიტყოს რამე,
იქნებ როგორმე მსხვერპლშეწირვას გამოვარიდო.

მ ი ო რ ი მ ო ქ მ ე დ ი ბ ა

გამოსცლა პირველი

ერიფილე, დორისი

ერიფილე

წავიდეთ, დორის, მათ შეხვედრას ხელს ნუ შევეშლით,
დაე, მარტონი ესაუბრონ ქმარსა და მამას.
მათ ერთმანეთის სიხარული გაიზიარონ,
ხოლო მე ისევ მივეცემი ჩემს მწუხარებას.

დორისი

არ შეიძლება სულ ტირილის მიზეზს ექებდეთ.

რატომ არ გინდათ, რომ ჭრილობამ პირი შეიკრას?!
კი, მართალია, თავს დაგატყდათ უბედურება,

არაფერია ტყვეობაში სასიხარულო;

მაგრამ თუ გახსოვთ, იქ, დამპყრობლის ხომალდზე, გზაში,

როცა კუთხეში მიყუჩულნი ჩუმად ვტიროდით

და თანაც ჩვენი მწუხარების გასამძაფრებლად

მაგ სისხლისმსმელის სიახლოვე უნდა გვეთმინა, —

გითხრათ? გავბედო? უფრო ნაკლებ ცრემლს ღვრიდით მაშინ

და ამნაირი მწუხარება არ გემჩნეოდათ.

მერე კი ბედმა გაგიღიმათ და არგოსს მოვხვდით,

სადაც დასავით შეუყვარდით იფიგენიას,

ყველანი თავზე გველებიან, განებივრებენ,

ამაზე უკეთ ილიონშიც ვერ იქნებოდით.
თანდათანობით გისრულდებათ ყველა სურვილი,
ავლისს წამოსელას ნატრობდით და აჰა, აჰა ხართ,
მწუხარება კი — ვერ მიემხვდარვარ, რა მიზეზია —
დღითი დღე უფრო გიღრმავდებათ.

ე რ ი ფ ი ლ ე

მაშ, რა ვქნა, დორის!

შენ გინდა, სხვების სიხარულით ვხარობდე მხოლოდ,
ცტკებოდდე სხვების უზრუნველი ბედნიერებით,
იმით, რაც ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულია?
რომელ ვარსკვლავზე დავიბადე ასე უიღბლო
იფიგენია, ბედნიერი აი, ვინ არის,
თავის დედ-მამას მზე და მთვარე ამოსდის მასზე.
მე კი თვალთაც არ მინახავს ჩემი მშობლები,
დედის ღიმილი არასოდეს არ მღირსებია,
მუდამ სხვის კარზე ვიზრდებოდი, რაც თავი მახსოვს,
და წარმოდგენაც კი არა მაქვს, ვინ ვარ და რა ვარ.
თანაც მისანმა საშინელი რამე მაუწყა:
როგორც კი ჩემი დაბადების ამბავს შევიტყობ,
გავიგებ, ვინ ვარ, იმავ წამსვე დავიღუპები.

დ ო რ ი ს ი

ო, არა, არა, მანდ ქარაგმა იქნება რამე,
მისნები მუდამ ქარაგმებით ლაპარაკობენ.
თავდაპირველად ერიფილე არ გერქმეოდათ,
როცა გაიგებთ, ვინ ბრძანდებით სინამდვილეში,
ის, რაც ყოფილხართ, არ იქნებით, სულ სხვა განდებით,
ანუ იმ დღიდან ერიფილე არ იარსებებს.
მისანმა, ალბათ, დაღუპვაში ეს იგულისხმა.

ე რ ი ფ ი ლ ე

სხვა ამის გარდა არაფერი არ ვიცი ჩემზე,
მამაშენმა კი იცოდა და არ გამიმხილა.
ეს მითხრა მხოლოდ, ხელმწიფეთა სისხლისა ხარო,
და რჩევა მომცა, ილიონში წავსულიყავი.

თუ მართლა მსურდა მომენახა მშობლების კვალი
და ის პატივი მომგებოდა, რაც მეკუთვნოდა.
დაუყოვნებლივ გავემზადე გასამგზავრებლად,
მაგრამ უეცრად აქილევისი გამოჩნდა ლესბოსს,
მიღწე-მოღწეა ყველაფერი, რაც გზაზე შეხვდა
და მამაშენიც დაიღუპა მასთან ბრძოლაში,
ჩემი გაჩენის საიდუმლო საფლავს წაიღო.
ველარასოდეს ვერ შევიტყობ. ვინღა გამიმხელს?
მეფისწულობას რაღას ვჩივი, მხევალი გავხდი
და თუ მეფეთა სისხლისა ვარ, მართალი მითხრა,
მე იმ სისხლისგან სიამაყე შემომრჩა მხოლოდ.

დო რ ი ს ი

ო, ქალბატონო, რა სისტიკი გეჩვენათ, ალბათ,
ხელი, რომელმაც გამოგტაცათ ასეთი მოწმე.
მაგრამ კალხასი ხომ აქაა, ბრძენი კალხასი,
კაცი, რომელიც თავად ღმერთებს ესაუბრება
და არაფერი დაფარული არ არის მისთვის;
უწყის ყოველი, რაც მომხდარა და რაც მოხდება,
როგორ იქნება თქვენს მშობლებზე ვერ გითხრათ რამე.
გარდა ამისა მფარველები აქ მრავლად გყვანან.
მალე აქილევისს მისთხოვდება იფიგენია
და მერე ერთად იზრუნებენ თქვენს მომავალზე,
აკი კიდევაც შემოგფიცათ, რომ ეს იქნება
უპირველესი საწინდარი, რომელსაც მოსთხოვს.

ე რ ი ფ ი ლ ე

მაშ, გეტყვი, დორის: მთელი ჩემი ტანჯვა-წამება
ამათ ქორწილთან შედარებით არაფრად მიჩანს.

დო რ ი ს ი

ეს რა მითხარით, ქალბატონო!

ე რ ი ფ ი ლ ე

გაოცებს, არა,
ტანჯვა არაფრად მიჩანს-მეთქი, რომ გეუბნები?

მაშ, მომისმინე და გაოცდი, ცოცხალი რომ ვარ.
ჰო, ეს ტყვეობა, უცხოობა, უთვისტომობა
სახსენებელიც კი არაა იმასთან, რაც მჭირს.
ის, ვინც ლესბოსი დააქცია, ვინც დაგვატყვევა,
ვინც აგვირია გზა და კვალი მე და შენ, დორის,
ვინც მამაშენი მომიკლა და ამით წამართვა
ყველა იმედი, რომ ოდესმე მშობლებს მივაგნებ,
ვისი სახელის ხსენებაც კი უნდა მზარადდეს,
ჩემთვის ყველაზე ძვირფასია მოკვდავთა შორის.

დორისი

ვინ, აქილევსი? ეს რა მესმის!

ერიფილე

ჩემს თავს შევფიცე,
რომ სამარეში ჩავეიტანდი ამ საიდუმლოს,
და მაინც გიმხელ, რადგან გულში აღარ მეტევა.
ამ ერთხელ ვიტყვი, მხოლოდ შენთან, მხოლოდ ამ ერთხელ...
ნუ მკითხავ, დორის, რა იმედი ასულდგმულებდა
ჩემს ბრმა სიყვარულს, ამ უგუნურ ავბედით ვნებას.
არა, იმედი არ მქონია! არც ერთი წამი!
არც მაშინ, როცა აქილევსმა (თუ მომეჩვენა?)
თითქოს კიდევაც თანაუგრძნო ჩემს მწუხარებას.
მარტოდენ ჩემთვის მოიცალა უწყალო ზენამ,
ჩემი წამებით ერთობიან, ალბათ, ღმერთები!
წყეულმც იყოს ის დღე, როცა პირველად შევხვდი,
ის წამი, როცა დაგვატყვევა დამპყრობლის ხელმა!
სანამ დანახვას მოვასწრებდი, გრძობა დაკვარგე.
გონს რომ მოვედი, ჩაბლუჯული მივყავდი სადღაც
და ტანზე ვგრძობდი სისხლიანი მკლავების სალტეს.
ძრწოლამ მომიცვა და თვალები დავხუჭე ისევ,
ურჩხულისათვის რომ სახეში არ შემეხედა.
გზაშიც, ხომალდზე, შორიახლო რომ დავლანდავდი,
პირს ვიბრუნებდი, შიშისაგან ტანში გამცრიდა.
ბოლოს შევხედე და განვცვიფრდი: ყმაწვილის სახე!
არავითარი სისასტიკე და უღმობლობა!

უცებ ვიგრძენი რისხვამ როგორ გადამიარა
და მე ავტირდი უსასოო, უმწეო ცრემლით.
მერე მივენდე ძვირფას მეგზურს: მე იგი მიყვარს
და სულ ერთია, სად ვიქნები, ავლისს თუ ლესბოსს.
ტყუილად მიწევს მფარველობას იფიგენია,
ტყუილად ცდილობს მწუხარება გადამაეციყოს.
გულს ვერ მომიგებს, ჩემი ვნება მიკრძალავს ამას,
და თავს მეგობრად თუ ვაჩვენებ, მხოლოდ იმიტომ,
რომ უკეთესად შევინილბო და დავუმსხვრიო
ბედნიერება, რომლის გამოც მძულს, მძულს, მძულს იგი!

დორისი

რა შეუძლია თქვენს უმწეო სიძულვილს? ჯობდა,
რომ მიკენიდან წამოსვლაზე უარი გეთქვათ
და იქ გეცადათ მაგ მძინვარე ხანძრის ჩაქრობა.
ეს ტანჯვა მაინც ავცდებოდათ, აქ რომ მოგვლით.

ქრიფილე

თავიდან მართლა ვაპირებდი, დავრჩენილიყავ,
მაგრამ ვერ დავრჩი. მსურდა, მაგრამ ვერ დავრჩი, დორის!
უნდა გავუძლო ყველა ტკივილს, ყველა წამებას,
რასაც მაგათი სიხარულის ნახვა მომიტანს.
ვერც დავრჩებოდი. ბედისწერა მიხმობდა ავლისს.
გაემგზავრეო, იღუმალი ხმა ჩამძახოდა,
შენი იქ ყოფნით შეიძლება ევნოთო რამე,
ახლოდან უფრო გადასდებო შენს უბედობას.
ჩემთა ჭირთაგან ერთი მაინც დაატყდეთ თავზე! —
აი, სურვილი, რამაც ავლისს ჩამომიყვანა,
კალხასის ნახვა საბაბია მხოლოდ და მხოლოდ.
თუ იქორწინეს, ყველაფერი დამთავრდა მაშინ,
დამთავრდა, დორის! მოუსაველეთ გავემგზავრები,
რომ ეს სირცხვილიც თან წავიღო, საფლავს ჩავგმანო!
მშობლების პოვნა აღარ მინდა. რა პირით შევხვდე
ჩემი გიჟური სიყვარულით პატივაყრილებს!

დორისი

მართლა ძალიან მებრალებით!.. ეს ვნება...

ე რ ი ფ ი ლ ე

ჩუმად.

აგამემნონი მოდის თავის ასულთან ერთად.

გამოსვლა მეორე

აგამემნონი, იფიგენია, ერიფილე, დორისი

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მამავ ბატონო, ასე უცებ სად წამოხვედით?
მე გამირბინხართ? რა საქმე გაქვთ ასე საჩქარო,
რომ ორი წუთით გადადება არ შეიძლება?
სანამ დედასთან საუბრობდით, განზე ვიდექი,
ჩემს ჯერს ველოდი, მაგრამ უცებ ზურგი მაქციეთ
და წამოხვედით, არც მაკოცეთ, არც ხმა გამეციეთ.
ნუთუ მე თქვენთვის ის აღარ ვარ...

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რას ამბობთ, შვილო.

მოდით, გაკოცოთ. ისევ ისე მიყვარხართ ახლაც,
როგორც მიყვარდით.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

და თქვენ იცით, მამავ ბატონო,
ჩემთვის რაოდენ ძვირფასია ეს სიყვარული.
როგორ ვამაყობ, რომ ასეთი მამის შვილი ვარ
ვიცოდი თქვენი აღზევება აქ ჩამოსვლამდეც,
მაგრამ ნახულმა ნაოცნებარს გადააჭარბა,
უსაზღვრო იყო სიხარული და გაოცება.
როგორ უყვარხართ მთელ საბერძნეთს! რა პატივს გცემენ!
თუ ვინმეს ეთქმის ბედნიერი, თქვენ გეთქმით, მამა!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ღირსი ხართ, უფრო ბედნიერი მამა გყოლოდათ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

სხვა რაღა გნებავთ? გული რაზე გეთანაღრებათ?
რა შეიძლება ამის მეტი მეფემ ისურვოს?
ერთს ვნატრობ მხოლოდ, მუღამ ასე გწყალობდეთ ზენა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ღმერთებო, ნუთუ შემზადებაც მე მავალია?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

სახეს მალავთ და მგონი, ოხრავთ... რა მოხდა, მამა?
შეწუნებული შემომხედავთ და თვალს მარიდებთ.
განა თქვენ თვითონ არ მიბრძანეთ აელისს ჩამოსვლა?
აშკარად ვხედავ, შეიცვალეთ ჩემდამი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

არა.

ღრო და ადგილი შეიცვალა, მე არ შევცვლილვარ.
მაგრამ ღღეს ერთი საშინელი საქმე მომელის
და მთელ სიხარულს ის მიწამლავს.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

გადაღეთ საქმე.

წუთით ხელმწიფე ნუ იქნებით, იყავით მამა,
ღღეს დავშორდებით და ვინ იცის, როღის შევხვდებით.
თქვენს წინაშეა ერიფიღე, მეფის ასული,
ვისთანაც თქვენი სიყვარულით თავს ვიწონებღი,
მე არაფერზე მამა უარს არ მეტყვის-მეთქი,
და ვპირდებღღი მიმიღე ხვეღრის შემსუბუქებას.
ახლა რა ვუთხრა, ამ გულცივი შეხვეღრის შემღღე?
ის, რომ ტყუიღი დაპირებით ვუხვევღღი თვალღებს?
მამავ ბატონო, წუთით მაინც შუბღი გახსენით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ო, შვიღო ჩემო...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ბრძანეთ, მამა.

აგამემნონი

არ შემიძლია.

იფიგენია

დაიქცეს ტროა, ეს რა დღეში ჩაგვყარა ყველა!

აგამემნონი

საუბედუროდ ბევრ ცრემლს დაღვრის მისი დამქცევი.

იფიგენია

ღმერთები გექმნან მწყალობელნი, მამავ ბატონო!

აგამემნონი

კარგა ხანია, რაც ღმერთები აღარ მწყალობენ.

იფიგენია

ამბობენ, დიდი მსხვერპლშეწირვა მზადდება მათთვის.

აგამემნონი

ნეტავ შანამდე მოლბებოდნენ, მსხვერპლშეწირვამდე!

იფიგენია

მალე იწყება?

აგამემნონი

უფრო მალე, ვიდრე მე მინდა.

იფიგენია

არ შეიძლება სამსხვერპლოსთან თქვენს გვერდით ვიყო?
რატომ გაჩუმდით? მსხვერპლშეწირვას მეც ხომ დამასწრებთ?

აგამემნონი

ვაგლახ!

იფიგენია

მიტხარით.

აგამემნონი

პო, დაგასწრებთ. უნდა დაგასწროთ.
ნახვამდის.

გამოსვლა მისამდე

იფიგენია, ერიფილე, დორისი

იფიგენია

ნუთუ მოხდა რამე? რად შემხვდა ასე?
გული შიშისგან მეკუმშება, რაღაც ავს მიგრძნობს.
პოი, მოწყალე ღვთაებანო, თქვენ დაიფარეთ!
ნურათერს მოსწევთ! ვის გავედრებთ, თვითონვე იცით!

ერიფილე

ნუთუ მარტოდენ იმის გამო შეშფოთდით ასე,
რომ მამათქვენნი, რაღაც საქმით შეწუხებული,
ვერ შეგხვდათ, როგორც თქვენ გინდოდათ? მე რა ვთქვა მაშინ,
მე, ვინც სრულიად მიმატოვეს ჩემმა მშობლებმა?
აღბათ, არც ერთხელ სიყვარულით არ დაუხვდავთ,
უმაღ თავიდან მომიშორეს, როგორც კი გავჩნდი.
ეჰ, თქვენ რა გიჭირთ, თუ მამისგან გულს დაგაკლდებათ,
დედასთან მიხვალთ და დანაკლისს დედა შეგივსებთ.
ან კიდევ საქმრო... არ არსებობს ისეთი ცრემლი,
ძვირფას არსებას არ შეეძლოს მისი შესრობა.

იფიგენია

არა მეტქმის რა. ყოველგვარი წყენა თუ ღარდი
უცებ მიქრება, აქილევისის გვერდით როცა ვარ.
მის სიახლოვეს საოცარი ძალა აქვს ჩემზე,
ერთად მოქმედებს ყველაფერი — მისი სიქველევც,
მისი ჩემდამი-სიყვარულიც, მამის ბრძანებაც.
თუმცა ამ ბოლოს უცნაურად იქცევა ერთობ.
თითქოს ჩქარობდა ჩემთან შეყრას, ისე ჩქარობდა,
რომ უქორწინოდ არ ისურვა ტროაში წასვლა
და მამაჩემმა გადაწყვიტა, ჩამოვეყვანე.

თვითონ კი — ხედავთ? არსაიდან აღარ გამოჩნდა,
 რა გული უძლებს, რომ სატრფოსკენ არ მოიჩქარის?
 ჩემს წასაყვანად რატომ თვითონ არ ჩამოვიდა,
 ან გზაში მაინც არ იფიქრა შემოგვება?
 რაც არგოსიდან გამოვედით, სულ გზას გავცქერი,
 აი, შემხვდება, აგერ ახლა შემხვდება-მეთქი.
 ყველა გამვლელში აქილევსი მელანდებოდა.
 აჰა, ავლისში მოვედით და იგი კი არ ჩანს,
 მთელი ბანაკი გამოვიდა ჩვენს სანახავად,
 ყველამ გაიგო, აქილევსი ვერ გაიგებდა?
 დამწუხრებული მამაჩემი თვალს ვერ მისწორებს,
 ისე გამშორდა, აქილევსზე ხმა არ დაუძრავს.
 რა ხდება ნეტავ? ვინ ამიხსნის ამ საიდუმლოს?
 მამაჩემივით მოქუფრული თუ შემხვდა ისიც!
 ნუთუ მაშინვე, ომის სუნი როგორც კი იკრეს,
 სინაზეცა და სიყვარულიც ყველაში ჩაკვდა?
 ო, არა, არა, ცილს დავწამებ, ეს რომ ვიფიქრო!
 ტროაში წასვლას არაფერი ავალდებულებს
 და სანამ ჩემს თავს არ შეჰპირდნენ, არ თანხმდებოდა.
 ელადის ყველა მეფეთაგან, ვინც აქ შეყრილა,
 ის ერთადერთი არ ერიო მთხოვნელებს შორის,
 რომელთაც ფიცი ჩამოართვა ელენეს მამამ.
 თუკი საომრად მაინც მიდის, ჩემს გამო მიდის
 და აქედანვე ჩემს მეუღლედ სურს გამგზავრება.

გამოსვლა მეოთხე

კლიტემნესტრე, ოფიგენია, ერიფილე, ღორისა

კლიტემნესტრე

შვილო, სასწრაფოდ გაემზადეთ, უნდა წავიდეთ.
 წუთს ვერ დავრჩებით, თუ არ გვინდა, თავი მოგვეჭრას.
 ახლა კი მესმის, მამათქვენი რად შეგვხვდა ასე,
 არც დაუმაღავს, რომ ეწყინა ჩვენი დანახვა.
 აღარ ეგონა, თუ ავლისში ჩამოვიდოდით:

არკასის ხელით ეს წერილი გამომიგზავნა,
სირცხვილისაგან რომ ეხსენით, სანამ დრო იყო.
მაგრამ ჩვენ ტყე-ტყე ვიარეთ და არკასი აგვცდა,
ახლალა მნახა და გადმომცა მისი წერილი,
რომლითაც იგი მატყობინებს, რომ აქილევსმა
უეცრად თავის განზრახვაზე ხელი აიღო
და აზიიდან ჩამოსვლამდე აღარ აპირებს
დაქორწინებას.

ე რ ი ფ ი ლ ე

ეს რა მესმის!

ქ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

როგორ გაფითრდით!

კეთილშობილი სიამაყე მოიხმეთ, შვილო,
შეინარჩუნეთ ღირსება და წონასწორობა.
რა უნდა გითხრათ, ყველაფერი ჩემი ბრალია,
ეს უმადური ჩემი ხელით მოგგვარეთ საქმროდ.
თან ვამაყობდი, რომ ღმერთების ნაშეიერია
და საბერძნეთში უპირველეს კაცად ითვლება,
მაგრამ მას შემდეგ, თქვენს წინაშე რაც ჩაიდინა,
თქვენ შეგიძლიათ, მისი სისხლის მიუხედავად,
მოკვდავთა შორის უკანასკნელ კაცად ჩათვალოთ.
ავლისს დაგტოვებთ და აქილევსს ვაფიქრებინებ,
თითქოს მორჩილად ელოდებით მის მოწყალებას?
არა, ქორწილი საბოლოოდ უნდა ჩავშალოთ.
მამათქვენს უკვე შეეუთვალე, რასაც ვაპირებ.
გამოვეთხოვოთ და აქ წამსაც ნუ გავჩერდებით.
წავალ, ჩვენს მხლებლებს გავაფრთხილებ, რომ გაემზადონ.
(ერიფილეს)

თქვენ არ გაძალებთ, ქალბატონო, ჩვენთან წამოსვლას,
მასთან დარჩებით, ვისთან ყოფნაც ასე გწყურიათ.
უკვე გავიგეთ მთელი თქვენი გულისნადები:
თქვენ აქ კალხასის სანახავად არ ჩამოსულხართ.

გამოსვლა მხეშთე

იფიგენია, ერიფილე, ღორისი

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რა მგონია და აქ კი თურმე რა მელოდება,
უარს აცხადებს აქილევსი დათქმულ ქორწილზე
და შერცხვენილი კვლავ შინისკენ მივემგზავრები!
ჩანს, მართალია, რომ სხვა ვინმეს ჩამოაკითხეთ
და არა კალხასს...

ე რ ი ფ ი ლ ე

ვერ მივიხვდით, რისი თქმა გნებავთ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მხოლოდ იმიტომ ვერ მიმიხვდით, არ გსურთ მიმიხვდეთ.
მუხთალმა ბედმა, როგორც ხედავთ, საქმრო წამართვა,
მარტოს დამტოვებთ, ქალბატონო, ამ გასაჭირში?
თქვენ ხომ უჩემოდ ვერ შეძელით მიკენს დარჩენა,
მკითხეთ, იქნება არც მე ძალმიძს წასვლა უთქვენოდ?

ე რ ი ფ ი ლ ე

რა ვქნა, კალხასის უნახავად როგორ წამოგყვეთ!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რატომ ახლავე არ შეხვდებით?

ე რ ი ფ ი ლ ე

რალას მოვასწრებ,
თქვენ ხომ ავლისში ერთი წუთიც აღარ ყოვნდებით.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ეს ერთი წუთი რა ყველაფერს გვახვედრებს ზოგჯერ!
მაგრამ მე ვხედავ, ჩემი ხვეწნა არ გაჭრის თქვენზე
იმასაც ვხედავ, რასაც დღემდე თვალს ვარიდებდი:
თქვენ აქილევსი... ჩემი წასვლის სურვილითაა ეწვით!

ე რ ი ფ ი ლ ე

მე, ქალბატონო? ვერაგობას ნუ დამაბრალებთ,
შეიძლებოდა აქილეესი შემყვარებოდა
ჩვენი პირველი საზარელი შეხვედრის შემდეგ?
კაცისკვლის ჟინით ანთებული რომ მძვინვარებდა,
მთლიანად სისხლით შეღებილი თხემით ტერფამდე,
ლესბოსს რომ ცეცხლის აღში ხვევდა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

თქვენ გიყვართ იგი,
გიყვართ, ვერაგო, და სიმართლეს ველარ დამალავთ!
ის მძვინვარებაც, ის ლესბოსიც, სისხლიც, ხანძრებიც
ასეთი ძალით სიყვარულმა აღბეჭდა თქვენში.
მე კი მიკვირდა, გახსენება რომ არ გიმძიმდათ,
სიამოვნებით რომ ყვებოდით ისევ და ისევ.
ვხედავდი, ძალით რომ ტიროდით! ყალბი ცრემლებით!
უნდა ყველაფერს მიემხვდარიყავ! და კიდეც მივხვდი!
მაგრამ თქვენდამი გულუბრყვილო კეთილგანწყობამ
ახელილ თვალზე ისევ ლიბრი გადაამაფარა.
თქვენ გიყვართ იგი! მე კი შლეგმა რა ჩავიდინე!
ჩემი რაყიფი, მტერი ჩემი, სულში ჩავისვი
და მის წინაშე ვმფარველობდი, ვისაც მართმევდა!
ჩემივე ხელით გამოვიბი ყელზე საბელი,
მის ეტლს მოვყვები, გამარჯვების ზეიმს ვუმშვენებ!
მე შემიძლია მოგიტევოთ საქმროს წართმევა,
მაგრამ, რომ დროზე არ მითხარით, რას მიპირებდნენ
და ნახევარი საბერძნეთი გადმომატარეთ,
რომ აქ სახალხოდ, ყველას თვალწინ თავი მომჭროდა,
ო, ვერა, ვერა, მუხანათო, ვერა, ორპირო,
მაგ ვერაგობას ვერასოდეს ვერ გაპატიებთ!

ე რ ი ფ ი ლ ე

ასეთ მომართვას, ქალბატონო, არ ვარ ჩვეული,
არ ვარ ჩვეული, ავიტანო შეურაცხყოფა.
ყველა სიავე და სიმწარე მანახა ბედმა,
ოლონდ ეს არა! ამისაგან დღემდე მინდობდა!

მაგრამ მიჯნურებს ყველაფერი მიეტევებათ.
გამაგებინეთ, მაინც რას მთხოვთ, რა უნდა მეთქვა?
ნუთუ, თქვენ გჯერათ, მართლა გჯერათ, რომ აქილევსი
აგამემნონის, ამ ბრწყინვალე ხელმწიფის ასულს
უარს ეტყვის და უთვისტომო ტყვექალს შეირთავს,
ტყვექალს, ვინც ალბათ, დიახ, ალბათ იმ სისხლისაა,
რომელსაც იგი თავის ხელით უპირებს დაღვრას?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

დამამარცხეთ და ახლა უკვე დამცინით კიდევ?
თქვენს ობლობას და ჩემს ბრწყინვალე მამიშვილობას
რატომ ახსენებთ და ერთმანეთს რატომ ადარებთ?
თქვენს გამარჯვებას მეტი ფასი რომ დასდოთ ამით?
ნუ აჩქარდებით, ჯერ ზეიმი ნაადრევია.
აგამემნონი, საბერძნეთი ვისაც მორჩილებს,
მამაა ჩემი და თქვენ იცით, როგორ ვუყვარვარ,
ჩემს მწუხარებას ჩემზე უფრო თვითონ განიცდის,
სანამ დავღვრიდი, მანამ შეძრეს ჩემმა ცრემლებმა.
როგორ გავოცდი, შუბლშეკრული რომ შემხვდა წელან!
იგი კი თურმე ჩემზე წუხდა, ჩემს გამო წუხდა,
მე გულცივობად ჩავუთვალე და დავაყვედრე.

გამოსვლა მიაქვს

აქილევსი, იფიგენია, ერიფილი, ღორისი

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ეს თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო? მართლა თქვენა ხართ?
მეუბნებოდნენ და ვერაფრით ვერ დამაჯერეს.
რას მივაწერო თქვენი ავლისს ჩამობრძანება?
მაშ, არ მოდისო, მამათქვენი რად მარწმუნებლა?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო,
აქ დიდი ხანი ირ დარჩება იფიგენია.

აქილევსი, ერიფილე, ღორისა

აქილევსი

გამირბის! ნუთუ ნამდვილია? თუ მესიზმრება?
ეს რა ახალი თავსატეხი გამიჩნდა კიდეც.
თუ შეგიძლიათ, ქალბატონო, ორიოდ წუთით
რომ აიტანოთ აქილევსთან პირისპირ ყოფნა,
თუ შეგიძლიათ მტრის ვედრება რომ ყურად იღოთ,
მტრისა, რომელიც თქვენი ხვედრით გულშეძრულია,
მაშინ მიბრძანეთ, რატომ არის ავლისში იგი,
თქვენ, ალბათ იცით...

ერიფილე

თქვენ არ იცით, ბატონო ჩემო?
თვეზე მეტია, არ აძლევდით მამამისს საშველს,
ვევდრებოდით, რომ სასწრაფოდ ჩამოეყვანა...

აქილევსი

თვეზე მეტია, ბანაკიდან წასული ვიყავ
და მხოლოდ წუხელ, გვიან ღამით დავბრუნდი ავლისს.

ერიფილე

მაშ, ხელს, რომელიც ავლისიდან იმ წერილს წერდა,
თქვენი ხელი და სიყვარული არ წარმართავდნენ?
აკი გიყვარდათ, აღმერთებდით...

აქილევსი

ღიახ, მიყვარდა
და ახლაც მიყვარს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.
მე რომ მცოდნოდა, აქ ჩამოსვლას ეპირებოდა,
მაშინ არგოსში მე თვითონვე ჩავაკითხავდი.
გამაგებინეთ, რა შეეცოდე, რატომ გამირბის?
ყველგან მტრის ხელი მელანდება... სწორედ ამ წუთას
კალხასს, ნესტორსა და ულისეს გამოვერიდე,

არ იშურებენ ძალასა და მკვევრმეტყველებას,
რომ დამარწმუნონ: სამარცხენო საქმეს ჩავიდენ,
თუკი ასლავე ვიქორწინებ, ომში წასვლამდე.
ნუთუ შეითქვენ და რაღაცას მიწყობენ მართლა?
ნუთუ ლაშქარმა ყბად ამიღო და მე არ ვიცი?
უნდა წავიდე და გავიგო, რას მიმალავენ.

ბამოსვლა მარკე

ერიფილე, დორისი

ერიფილე

დიდო ღმერთებო, სად დავმალო ჩემი სირცხვილი?
დრტვინავ, გულზვავო? უყვარხართ და შენ მაინც დრტვინავ?
რომელს გავუძლო, დამარცხებას თუ დამცილებას?
თუმცა... ან იქნებ მეჩვენება, მითხარი, დორისი
აქ სადაცაა ქარიშხალი ამოვარდება.
ხედავ? აქილევსს ატყუებენ, გზა-კვალს უბნევენ.
საქმროს ღალატში არწმუნებენ იფიგენიას.
აგამემნონი მწარედ ოხრავს. გულს ნუ გავიტეხთ.
თუ ჩემს სიძულვილს ბედისწერამ მხარი აუბა,
მაშინ, ო, მაშინ აქ ჩემს გარდა სხვაც დაღვრის ცრემლებს,
ჯავრამოუყრელს არ მომიწევს საფლავში ჩასვლა.

ძ ე ს ა მ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ბამოსვლა პირველი

აგამემნონი, კლიტემნესტრი

კლიტემნესტრე

დიახ, ბატონო, გამგზავრება გვინდოდა მართლა,
რომ ავლისსაც და აქილევსსაც დროზე გავცლოდით,
არგოსს ჩაკეტვას აპირებდა ჩემი ასული,

იქ თავის სირცხვილს მარტოდმარტო დაიტირებდა.
მაგრამ განცვიფრდა აქილევსი, ეს რომ შეიტყო,
და დაგვარწმუნა, რომ უმსგავსოდ ცილი დასწამეს,
ქორწილის ჩაშლა ერთი წამით არ უფიქრია,
არც კი იცოდა, ასეთ რამეს თუ აბრალებდნენ.
გაშმაგებული ეძებს ახლა ცილისმწამებელს,
რომ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღოს.
მალე აქ მოვა და ყველაფერს თვითონვე გეტყვით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

საკმარისია, ქალბატონო; მე მჯერა მისი
და, როგორც ძალმიძს, თქვენს სიხარულს მეც ვუერთდები.
ჭორს აეყოლივარ, ბოროტ ენებს შევუტდენივარ.
მაშ, გამოგზავნეთ სამსხვერპლოზე თქვენი ასული,
სადაც კალხასი შეაუღლებს მას და აქილევსს.
მეც იქ დავხვდები. მანამდე კი ერთ რამეს გეტყვით.
თქვენ კარგად ხედავთ, სადაც მოხვდით. აქ ბანაკია,
სად თქვენთვის უცხო, საომარი განწყობა სუფევს,
სად ყველაფერი ომს გვაუწყებს და არა ქორწილს.
სამსხვერპლო ახლა საზარელი სანახავია
შუბებითა და ჰოროლებით ჯაგარაშლილი.
დგას ღრინაცელი ჯარისკაცთა და მეზღვაურთა,
რომლის მოსმენა, ქალბატონო, თქვენ არ შეგფერით.
იქ რომ მიხვიდეთ და იმ ბრბოში თქვენც გაერიოთ,
უხერხულია როგორც ჩემთვის, ასევე თქვენთვის.
გამიგეთ, არა? სამსხვერპლოზე გთხოვთ ნუ წამოხვალთ,
თქვენი ასული სეფექალებს გამოატანეთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

მე ნუ წამოვალ? სეფექალებს გამოვატანო?
კი მაგრამ რატომ? ჩემი მოსვლა რას დააშავებს?
ამხელა გზაზე ავლისამდე მომიყვანია
და სამსხვერპლომდე მიცილება რალა გამიხდა?
კალხასის გვერდით თქვენზე ნაკლებ მეკუთვნის დგომა?
ჩემი ასული, მაშ, მეუღლეს ვინ ჩააბაროს?
ვინ აღასრულოს ის, რაც დედის საღეთო ვალია?

აგამემნონი

თქვენ აქ ატრევისის სასახლეში როდი ბრძანდებით,
აქ ბანაკია...

კლიტემნესტრე

სადაც ყველა გემორჩილებათ,
სადაც ელადამ წინამძღოლად თქვენ აგირჩიათ,
რომ თქვენს ნებაზე გადაწყვიტოთ აზიის ბედი,
და სადაც დედას დამიძახებს თეტისის პირმშო.
ბრძანეთ, რომელი სრა-სასახლე წარმოაჩენდა
ამაზე უკეთ ჩემს დილიზას და ბრწყინვალეობას?

აგამემნონი

გაფიცვით ღმერთებს, ორთავენი ვისგანაც ვიშვით,
დამდეთ ეს ხათრი, ეს მცირედი მსხვერპლი გაიღეთ.
არის მიზეზი...

კლიტემნესტრე

მეც გაფიცვით იმავე ღმერთებს,
ნუ გამომაკლებთ ჩემი შვილის ბედნიერებას.
ვერ გამიგია, ნუთუ ისე გეთაკილებით...

აგამემნონი

იმედი მქონდა ჩემი თხოვნა გაჭრიდა თქვენზე,
მაგრამ რადგანაც ეს იმედი არ გამიმართლდა
და თქვენ ჭიუტად ისევ ისე თქვენსაზე ღვახართ,
რა გზაა, უნდა უქანასკნელ ღონეს მივმართო.
გიბრძანებთ, როგორც მეუღლე და როგორც ხელმწიფე:
თქვენ აქ დარჩებით.

გამოსვლა მეორე

კლიტემნესტრე

კლიტემნესტრე

ასე მკაცრად რატომ მომექცა?
რატომ არ უნდა შვილის ქორწილს მეც რომ დამასწროს?

წინამძღოლობამ ისე როგორ გააგულზეაეა,
რომ მეუღლესთან გვერდით დგომა ესირცხვილება?
თუ ლაშქრის დრტიენვის ეშინია და ამიტომაც
ჩემს გამოჩენას უფრთხის, რაკი ელენეს და ვარ?
მერე რა მოხდა? იმის გამო, რომ და ვარ მისი,
ელენეს სირცხვილს, დავიჯერო, მე მომკითხავენ?
რა გაეწყობა. ასე სურს და, დე, იყოს ასე.
მაგ დარდს იოლად მოვერევი, რადგან ყველაფერს
მინაზღაურებს, შვილო, შენი ბედნიერება.
სულ მალე შენ და აქილეესი... აგერ, თვითონაც.

გამოსვლა მისამე

აქილეესი, კლიტემნესტრი

აქილეესი

უკვე დათანხმდა, ქალბატონო, აგამემნონი.
არავეითარი განმარტება არ უთხოვია,
უსიტყვოდ მენდო, უსიტყვოდვე ამბორმყო მერე
და ამ ამბორით ქორწინების დასტური მომცა.
მაგრამ თუ იცით, რა ბედნიერ ფეხზე მოსულხართ?
თურმე წყალობით გადმოგვხედავს სულ მალე ზენა.
ღიახ, კალხასმა, ეს წუთია, სახალხოდ გვამცნო,
რომ ერთ საათში გამწყრალ ღმერთებს შემოგვირიგებს:
თურმე იმავე წამს გაგვეხსნება გზა ტროასაკენ,
ნებტუნს და ქარებს რაწამს მსხვერპლი შეეწირებათ.
მისნის სიტყვებზე იალქნები უკვე აუშვეს
და აზიისკენ მიაბრუნეს ყველა ზომალდი.
მე კი მერჩია, ცოტაც კიდევ ეტლიათ ქარებს,
მხოლოდ ჰიმნეესის ჩირალდანთა დაგზნების შემდეგ
მინდა აეუშვა ჩემი აფრა და სინანულით
გამოვეთხოვო ჩემთვის ეგზომ ბედნიერ ნაპირს.
მაგრამ თან წასვლაც მიხარია: უნდა ტროელთა
სისხლით დავბეჭდო საქორწინო ჩვენი კავშირი
და იმათ სახელს, ვისაც ახლა ჩემი სახელი
დაუკავშირდა, სამარცხვინო მოვწმინდო ლაქა.

გამოსვლა მეოთხე

აქილეესი, კლიტემნესტრე, იფიგენია, ტრიფილე,
დორისი, ეგინე

აქილეესი

მეფის ასულო, საბოლოო სიტყვა თქვენზეა,
თუ დასტურს ბრძანებთ, სამსხვერპლოსკენ გავემართებით,
რომ ჩემი ბედი სამუდამოდ დაგიკავშიროთ.

იფიგენია

ბატონო ჩემო, სანამ წავალთ, გთხოვთ მომისმინოთ.
მსურს სიყვარულის საწინდარი მივიღო თქვენგან,
წინასწარ დედას ვეთათბირე და ნება დამართო.
მეფის ასული ერიფილე იცით, ვინც არის.
მის შუბლს შეხედეთ და მიხვდებით, რა მოდგმისაა.
რაც ჩემთან ცხოვრობს, თვალზე ცრემლი არ შეშრობია.
თქვენ იცით მისი მწარე ხვედრი. მიზეზი თქვენ ხართ.
დღეს მე თვითონაც, რისხვისაგან დაბრმავებულმა,
შეურაცხყოფა მივაყენე ტყუილუბრალოდ
და ახლა მინდა ჩემი ცოდვა გამოვისყიდო
მისი ტანჯვის და მწუხარების შემსუბუქებით.
მაგრამ მე მასზე ხელი არ მაქვს, თქვენი ტყვე არის
და ამიტომაც ძალმოსილი მხოლოდ თქვენა ხართ,
მე ერთი რამე შემიძლია: შემოგავედროთ.
გემუდარებით, დაუბრუნეთ თავისუფლებამ
თქვენ ოლონდ ბრძანეთ და თავისით დაცვივდებიან
ეს ბორკილები, რომლებზედაც ცრემლი მიღვრია.
ამით დაიწყოს ბედნიერი დღე დღევანდელი,
დე, ჩვენს სიხარულს ნუ მოაპყრობს მწუხარე მზეერას.
დე, ყველამ ნახოს, მეფე, ვისაც მე ვეუღლები,
მხოლოდ შიშსა და მხოლოდ სიკვდილს არ თესავს მუდამ,
ნახონ, როგორი მოწყალე და ლმობიერია,
მის სისასტიკეს როგორ აცხრობს მეუღლის ცრემლი.

ერიფილე

რისხვას, რომელიც დაატეხეთ უბედურ ლესბოსს,
ჩემი შეპყრობა და მწუხარე ტყვეობა მოპყვა.

გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მოისხით ძადლი, განკურნეთ ჩემი უდიდესი ტკივილთაგანი.

აქილეესი

ტკივილთაგანი?

ერიფილე

დანარჩენით თავს არ შეგაწყენთ. გემუდარებით, ამარიდეთ ეს სატანჯველი, ვუყურო იმათ ნეტარებას, ვინც მე მღევნიდა და ვისაც ჩემი სამშობლოსთვის სიკვდილი მიაქვს. ყოველი მხრიდან მუქარის და ზავის ხმა მესმის, ვხედავ ელადა აღმდგარია მის დასამხოზად, ვხედავ, ჰიმნეესი (მე რომ ტანჯვა გამიასკეცდეს) მის დასახანძრად საქორწინო ჩირაღდანს გინთებთ. გთხოვთ, მომცეთ ნება გაგეცალოთ თქვენც და ავლისსაც და უთვისტომომ, ყველასაგან მივიწყებულმა, სხვაგან დავმარხო მთელი ჩემი უბედურება, რომლის შესახებ მხოლოდ ცრემლი ვერაფერს გეტყვით.

აქილეესი

მაშ, წამობრძანდით, მშვენიერო მეფის ასულო, ის, რაც თქვენ გნებავთ, ხალხის თვალწინ უნდა გაკეთდეს. დაე, იმ წამმა, ნეტარება რომ მოაქვს ჩემთვის, თქვენც მოგიტანოთ სანატრელი თავისუფლება.

გამოსვლა მისუთე

კლიტემნესტრე, აქილეესი, ოფიგენია, ერიფილე,
არკასი, ეგინე, ღორისი

არკასი

თქვენი მეუღლე გატყობინებთ, რომ ყველაფერი მზადაა უკვე საღვთო წესის აღსასრულებლად, და სამსხვერპლოზე ელოდება იფიგენიას. ბატონო ჩემო, გევედრებით, იხსენით იგი.

აქილევესი
ვინ უნდა ვიხსნა?

კლიტემნესტრე
ვატყობ, რაღაც საშინელს ამბობს.

არკასი
ახლა თქვენს გარდა ველარავინ ველარ დაიცავს.

აქილევესი
ვისგან მიბრძანებთ, რომ დავიცვა?

არკასი
რა გზა მაქვს, გეტყვით.

სანამ შემეძლო, ვუნახავდი ამ საიდუმლოს,
ახლა კი, როცა თვალსახვევიც, ცეცხლიც, ლახვარიც
მზად არის უკვე, უთქმელობა არ შემეძლია.
თუ უნდა, მომკლას.

კლიტემნესტრე
ავიხსენით. შიშით ვკანკალებ.

აქილევესი
თქვით ყველაფერი, ხელს ვერავინ შეგახებთ, მენდეთ.

არკასი
თქვენ მისი საქმრო, თქვენ კი დედა ბრძანდებით მისი.
ო, არ გაუშვათ მამამისთან იფიგენია!

კლიტემნესტრე
რატომ?

აქილევესი
რის გამო?

არკასი
უნდა მსხვერპლად შესწიროს ღმერთებს,
ამისთვის იხმობს.

აქილევსი

ვინ შესწიროს, იფიგენია?

კლიტემნესტრე
თავისი შვილი?

იფიგენია

მამაჩემო!

ერიფილე

ჰოი, ღმერთებო,

ეს რა შევიტყვეთ!

აქილევსი

ვინ იქნება ეს მოისმინოს
და არ შეძრწუნდეს! დაჯერებაც არ შემიძლია!

არკასი

ნეტავ, თქვენსავით მეც შემეძლოს არ დავიჯერო.
ასეთი მსხვერპლი მოითხოვეს მისგან ღმერთებმა,
რომლებიც პარისს მფარველობენ და უამისოდ,
როგორც გვეუწყა, არ გვაძლევენ ქარსა და ტროას.
სხვა შესაწირავს არ იღებენ.

კლიტემნესტრე

ნუთუ ღმერთები

ასეთ ამაზრზენ, გაუგონარ მკვლელობას გეთხოვენ?

იფიგენია

რა დავაშავე სამაგისო, რომ ასე მსჯიან!

კლიტემნესტრე

მოკვლას უპირებს! აი, თურმე რა ედო გულში!
ამიტომ იყო, რომ სამსხვერპლოს არ მაკარებდა!

იფიგენია

ხედავთ, რა ქორწილს გვიმზადებდნენ თურმე ღმერთები!

ა რ კ ა ს ი

ქორწილიც თვითონ მოიგონა. ჩამოგიტყუათ.
მთელმა ბანაკმაც ასე იცის.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

ბატონო ჩემო,
აჰა, თქვენს ფერხთით დამხობილი მუხლებს გიკოცნით.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი (წამოაყენებს)

ო, დედოფალო!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

რას დავეძებ ჩემს დედოფლობას,
დედა ვარ, დედა, ჩემი შვილი უნდა წამგვარონ
და არ მრცხვენია ჩემი შვილის მხსნელს დავუჩოქო.
ნუთუ ასეთი სასოებით ამისთვის ვზრდიდი!
იხსენით იგი! უნდა იხსნათ! გმართებთ, რომ იხსნათ!
თქვენი სასძლოა, მეუღლეა და მას გართმევენ!
თქვენი სახელით მოიყვანეს აქ სასიკვდილოდ,
ავლისში თქვენთვის ჩამოვიდა, თქვენ რომ ენახეთ!
ნუთუ დაუშვებთ, სამსხვერპლოზე რომ აიყვანონ
და აღასრულონ უღმობელი ღმერთების ნება!
ქვეყნად თქვენს მეტი არავინ ჰყავს, თქვენა ხართ მისთვის
მამაც, მეუღლეც, ღმერთებიც და თავშესაფარიც.
სახეზე გატყობთ, შეგძრათ მისმა უბედურებამ.
შვილო, ცოტა ხნით მეუღლესთან დაგტოვებთ მარტოს,
ბატონო ჩემო, ჩემს მოსვლამდე ნუ წახვალთ ნურსად.
მინდა სასწრაფოდ ვნახო ჩემი მზაკვარი ქმარი
და ეს ბალღამი მის წინაშე ამოვანთხიო.
დაე, სხვა მსხვერპლი გამონახოს კალხასისათვის.
შვილო, თუ შევძელ, გამოვიხსნი მათი ხელიდან,
ვერა და მაშინ თქვენთან ერთად დავიღუპებთ.

აქილევსი, იფიგენია

აქილევსი

გაოგნებისგან ველარ ვიძვრი, ხმას ველარ ვიღებ.
 მაშ, არ ცნობიათ აქილევსი, თუ ეს გაბედეს.
 რად დამიჩოქა დედოფალმა, რაში დასჭირდა?
 თავის ასეთი დამცირება რატომ ინება?
 მეც არანაკლებ დამამცირა თავისი თხოვნით.
 თქვენ რომ დაგიცვათ, ეს ხომ ჩემი წმინდა ვალია
 და მაგ საქმეში შეუძლია უთქმელად მენდოს,
 განა მაგისტვის მე ვისიმე თხოვნა მჭირდება?
 ჩემი სიცოცხლის ნაწილია თქვენი სიცოცხლე
 და ჩემი თავის არდაცვაა თქვენი არდაცვა.
 სამართლიანი აღშფოთება მეტსაც მავალეებს:
 დაცვა არ კმარა, საჭიროა შურისძიება.
 უნდა დავსაჯო, ვინც მზაკვრულად მახე დაგიგოთ,
 ჩემს სახელს ყოვლად უსინდისოდ ამოეფარა.

იფიგენია

საით მიდინართ? მოიცადეთ, მეც მათქმევივინეთ...

აქილევსი

რა? ვაპატიო მაგ ბარბაროსს შეურაცხყოფა?
 ვერ ხედავს, სისხლის დასადვრელად სად წამოვედი
 მისი პირადი საქმის გამო, მისი რძლის გამო?
 ან ის არ იცის, რამოდენა შრომა გავწიე,
 ბერძენთა ლაშქრის წინამძღოლად რომ აერჩიათ,
 თუმცა აქ მყოფი ოცი მეფე ეტოქებოდა?
 ყველა ამისთვის და იმ დიდი გამარჯვებისთვის,
 მის ძმას რომ სირცხვილს ჩამორეცხავს, ხოლო მას თვითონ
 დიდებასა და უზარმაზარ ალაფს მოუტანს,
 ერთადერთ პატივს მოვითხოვდი, ერთადერთ ჭილდოს —
 თქვენი მეუღლე გავმხდარიყავ. და, აჰა, ხედავთ?
 ეგ სისხლისმსმელი, ეგ თაღლითი, ფიცის გამტეხი

თქვენს ქმრად კი არა, თქვენს ჯალათად მეპატიჟება
იმ სამსხვერპლოზე, სადაც ვითომ ქორწილს მიმართავს,
თურმე საცოლე ტარიგივით უნდა დამიკლას
და მაცქერინოს, გულს მკერდიდან როგორ ამოგლეჯს,
თან ხმა დაყაროს, რომ ეს ჩემი დასტურით მოხდა!
წუხებელ რომ ბედზე არ მომესწრო ავლისს ჩამოსვლა,
ხედავთ, დღეს თურმე რა სისხლიან ქორწილს მართავდა?
ვინ დაგინსნიდათ მაგ უწყალო მხეცის ხელიდან
როგორ ამაოდ დამიწყებდით თვალებით ძებნას
სამსხვერპლოს ბჭიდან და როდესაც ჯალათის დანა
შეგვხებოდათ, ლალატისთვის მე დამწყევლიდით,
გეგონებოდათ, რომ მე თვითონ ჩამოგიტყუეთ.
უნდა სახალხოდ დაისაჯოს მაგის გულისთვის
თქვენც, ქალბატონო, ქმრის ღირსება თუ რამედ გიღირთ,
ჩემი განზრახვის შესრულებას წინ არ აღუდგეთ.
უნდა გაიგოს მაგ ურჩხულმა, ვინ შეუტრაცხყო,
ვისი სახელით ისარგებლა ასე ბოროტად.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

თუკი ნამდვილად გიყვარვართ და ხათრი გაქვთ ჩემი,
მაშინ მოიღეთ მოწყალება და შემისრულეთ
ერთი სურვილი, იმედია, არ მეტყვეთ უარს.
ეს გულმხეცი და ეს ურჩხული, როგორც უწოდებთ,
ფიცის გამტეხი, სისხლისმსმელი და ბარბაროსი
ჩემი მამაა და მინდა, რომ თქვენ ეს გახსოვდეთ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

დღეიდან იგი აღარაა ჩემს თვალში მამა,
დღეიდან თქვენი მკვლელია და სხვა არაფერი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

და მაინც იგი, ვიშეორებ, მამაა ჩემი,
მამა, რომელსაც ვუყვარვარ და რომელიც მიყვარს.
არ მახსოვს, მისგან რომ ოდესმე გულს დამკლებოდეს,
მეგრძნოს სხვა რამე სიყვარულის და სითბოს გარდა,
და მეც მისდამი მოწიწება და სიყვარული

შევისისხლხორცე ბავშვობიდან და ღღემდე მომდევს.
თქვენ გნებავთ, უცბათ ყველაფერი გადავივიწყო
და თქვენს უეცარ აღშფოთებას მხარი ავუბა?
არათუ ხელის გამოღება მის წინააღმდეგ,
მისი აუგის გაგონებაც არ შემოძლია
და კაცი მართლა ისე ძლიერ უნდა მიყვარდეს,
როგორც მიყვარხართ, ეს სიტყვები რომ ვაპატიო,
რომლითაც ახლა მამაჩემი მოიხსენიეთ.
რატომ გგონიათ, საკუთარი ნებით გამწირა,
რომელი მამა გაიმეტებს შვილს სასიკვდილოდ?
სიკვდილს მიმცემდა, გადარჩენა რომ შეძლებოდა?
მე თვითონ ვნახე, ცხარე ცრემლით როგორ ტიროდა.
რა ჯოჯოხეთი უტრიალებს გულში, ვინ იცის!
თუ გრძნობთ, რა ღღეში ჩავარდება, მის ასეთ ვარაამს
თქვენი მტრობა და სიძულვილი რომ დაემატოს?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

თქვენ თურმე რისი გეშინიათ ყველაზე უფრო!
თითქოს საშიში არაფერი არ გვჭირდეს მეტი
ო, ეგ ურჩხული (სხვა სახელი ვერ მომიხანახავს)
იმასლა ცდილობს, რომ სასწრაფოდ კალხასს გადაგცეთ
და საქმე დროზე მოითაოს: ყელი გამოგჭრათ.
თქვენ კი თვითონვე არ მანებებთ, დაგიცვათ მისგან,
შიშით კანკალებთ, მყუდროება არ დავურღვიო.
ის გებრალებათ, ყველაფერი უკვე შეუუნდეთ,
ხოლო მე გზარავთ, მე სხვა გრძნობას არ აღვძრავ თქვენში.
განა ეს არის ჩემი ზრუნვის სამაგიერო?
ეს არის თქვენი სიყვარული?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რა სასტიკი ხართ!

ნუთუ კვლავ ეჭვი გეპარებათ ჩემს სიყვარულში?
თვითონ ხედავდით, როგორ შევხვდი სიკვდილის მაცნეს,
არც კი გავფითრდი, ერთი ნაკვთი არ შემრხვევია.
ხომ ასე იყო? მაგრამ, აბა, მაშინ გენახეთ,
როდესაც მითხრეს, აქილეესმა გილალატაო.

ასე მეგონა, მიწა მეძრა, ცა ჩამომერღვა,
ვეცადე, მაგრამ თავი მაინც ვერ დავიოკე,
სიტყვების ღვარად გადმოხეთქა ჩემმა ვარამმა.
ყველას ბრალს ეღებდი განურჩევლად, უკვდავს თუ მოკვდავს.
ყოფილიყავით, თქვენ თვითონვე დარწმუნდებოდით,
თქვენი დაკარგვა რომ სიკვდილზე ძნელია ჩემთვის.
ვაგლახ, შეშურდათ ღმერთებს ჩემი ბედნიერება,
მე უკვე მათთან წილნაყარი მეგონა თავი,
ნეტარი ცეცხლი ზეცისაკენ მიმაქროლებდა.

აქილეესი

თუ თქვენთვის ასე ძვირფასი ვარ, ნუ ეძებთ სიკვდილს.

გამოსვლა მეზვიდე

კლიტემნესტრე, ოფიგენია, აქილეესი, იგიინე

კლიტემნესტრე

განწირულნი ვართ, განწირულნი, თუ არ გვიხსენით.

ვერ მოვახერხე, შემედწია აგამემნონთან.

სამსხვერპლოს ყველა შესასვლელთან მცველები დგანან
და მათთვის თავად აგამემნონს უბრძანებია,
რომ საკურთხევლის სიახლოვეს არ გამაკარონ.
ჩემი დანახვის ეშინია და მემალება.

აქილეესი

მაშ, მე მივალ და მოვახსენებ, რაც საჭიროა.

ერთი გაბედონ და შესვლაზე უარი მითხრან.

იფიგენია

ღედა, როგორმე დააკავეთ... ბატონო, საით?

კლიტემნესტრე

რა გიღევთ გულში, შვილო ჩემო?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

გთხოვთ, არ გაუშვათ,
განა ვერ ხედავთ, როგორაა გაშმაგებული?
ახლა მაგათი ერთად შეყრა არ შეიძლება.
ბატონო ჩემო, გევედრებით, ნუ მისცალთ მასთან,
ახლა ვერ შეძლებთ, ისაუბროთ გულდამშვიდებით,
გაფიცხებულნი ზედმეტს ეტყვით ერთიმეორეს
და, რომ დაგიტომოთ, სიამაყე არ მისცემს ნებას,
ატრევსის ძეთა სიამაყე ხომ ცნობილია...
ჯობს, ჩვენ გვაცალოთ. სადაცაა აქ მოვა თვითონ,
ჩემი არმისვლა გააკვირვებს და მომაკითხავს,
აქ კი მოისმენს დედის მოთქმას და მე თვითონაც
ვეცდები, თქვენი მწუხარების მესიტყვე ვიქნე.
ოღონდ თავს უნდა მოერიოთ და არ გამოჩნდეთ,
ნუთუ არ გნებავთ, რომ ვიცოცხლო? ვიცოცხლო თქვენთვის?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

დე, ასე იყოს. ვნახოთ ერთი, რა გამოგივათ.
კარგად უთხარით, შეისმინოს კეთილი რჩევა,
შეაგნებინეთ, რომ ყველასთვის ასე აჯობებს,
თქვენთვის, ჩემთვის და თვითონ მისთვის პირველ ყოვლისა.
მაგრამ უაზრო ლაპარაკში დროს რატომ ვკარგავ,
უკეთესია, წავიდე და საქმეს ვეწიო.

(კლიტემნესტრეს)

თქვენ ნუ იღელვებთ, ქალბატონო, ნურც ერთი წუთით.
ჯობს დაისვენოთ, გზაში, ალბათ, დაიღლებოდით.
პირობას გაძლევთ, რომ იცოცხლებს თქვენი ასული,
მისნის სიტყვაზე უფრო მეტად ჩემს სიტყვას ენდეთ.
წინ თვით ღმერთები რომ აღმიდგნენ, ჩემსას გავიტან.

გამოსვლა პირველი

ერიფილე, დორისი

დ ო რ ი ს ი

აღბათ, სიშმაგე დაგეუფლათ, თორემ ეს რა თქვითი როგორ ვირწმუნო, თითქოს მართლა შეგშურდათ მისი, ჭკუათამყოფელს ახლა მისი ვის შეშურდება, ერთი საათის სიცოცხლედა დარჩა საცოდავს, თქვენ კი, ახლავ, ახლა მშურსო, დაგიყინიათ.

ე რ ი ფ ი ლ ე

გარწმუნებ, დორის, რომ ასეა, სიმართლეს ვამბობ. მშურს და არასდროს მშურებია ამაზე ძლიერ. გაცუდდა ჩემი მოლოდინი, წახდა იმედი, თვით საფრთხეშიაც ბედი სწყალობს, უფრო აღზევდა! ხომ დაინახე, აქილევესი რა დღეში იყო? დიდებულ მხოლოდ აქილევესის ცრემლი ეყოფა. დიახ, ეს გმირი, ყველა სხვისთვის თავზარდამცემი, იგი, ვის გულსაც სიბრალული არ ეკარება, რადგან სიყრმეში — თუ სწორია, რასაც ყვებიან — დათვებისა და ლომ-ვეფხვების სისხლს აწოვებდნენ, იგი, ვის თვალშიც არ უნახავს ცრემლი არავის, სახეშეშლილი გულმდუღარედ ტიროდა მისთვის, შენ კი იბრალე. მის ადგილას მე ვყოფილიყავ, არავინ ჩემზე ბედნიერი არ იქნებოდა, სიამოვნებით ავიტანდი ყოველგვარ ტანჯვას და სულს დავლევდი აქილევესის ერთი ცრემლისთვის. მე რომ ვკვდებოდე მის მაგიერ... თუმცა, რას ვამბობ, ის არ მოკვდება ვინ, ვინ მოკლავს იფიგენიას? თითსაც ვერავინ დააკარებს, აი, შენ ნახავ; მას აქილევესი მოსაკლავად ვინმეს დაუთმობს? აი, შენ ნახავ, ის მისნობაც ყალბი იქნება, მხოლოდ იმისთვის მოიგონეს იგი ღმერთებმა,

სულ სხვა დიდებით რომ შემოსონ იფიგენია
და კიდევ უფრო აამაღლონ მიჯნურის თვალში.
სუყველაფერი ჩვენს გარშემო იმას გვაუწყებს,
რომ სასიკვდილო განაჩენი არ შესრულდება.
დანთებულია სამსხვერპლოზე კოცონი უკვე,
მაგრამ არავინ ჯერ არ იცის, მსხვერპლის სახელი.
არც ერთმა კაცმა მთელ ბანაკში! შენ გესმის, დორის?
ეს იმას ნიშნავს, მამამისი ყოყმანობს ისევ.
როცა ერთბაშად ყველაფერი მიეძალება —
მისი მეუღლის გააფთრება, შვილის ცრემლები,
გულფიცხი სიძის მუქარა და, რაც მთავარია,
სისხლის ძახილი საკუთარი სისხლის ძახილი
გაუძლებს ამას? განაჩენი არ შესრულდება.
სხვა ვარსკვლავზეა გაჩენილი იფიგენია,
მე, მხოლოდ მე ვარ უბედური, ვარ და ვიქნები.
როგორ გავბედო...

დორისი

ქალბატონო, რამეს აპირებთ?

ერიფილე

თავად არ ვიცი, რა მაკავენს, ავდგე ახლავე
და მთელი მათი საიდუმლო ქვეყანას მოვდო.
რაც გავიგონე და რაც ვნახე, ვთქვა ყველაფერი.
ვაუწყო ბანაკს, როგორ ჯიბრში ჩაუდგნენ ღმერთებს,
მათ წინააღმდეგ შეთქმულება როგორ მზადდება.

დორისი

საშინელება განგიზრახავთ.

ერიფილე

ვიხსნიდი ტროას!

ბერძნებზე ჩემი ტყვეობისთვის შურს ვიძიებდი!
არ ეცლებოდათ აზიაში გადასასხდომად,
ახლავე სამკვდრო-სასიცოცხლოდ თუ წაკვიდებდი
აქილევსსა და აგამემნონს, ავშლიდი ბანაკს!
რას დაეტკებოდრი, ერთმანეთზე რომ აღმართავდნენ

ჩემი სამშობლოს შესამუსრად აღებულ მახვილს!
ო, ილიონში რა ზეიმი გაიმართება...

დო რ ი ს ი

ფენის ხმა ისმის. კლიტემნესტრე გვიახლოვდება.
უნდა დამშვიდდეთ, ქალბატონო, ან გაერიდოთ.

გამოსვლა მეორე

კლიტემნესტრე, ეგინე

კლიტემნესტრე

არა, ჩემს ასულს ვერ შეეხვდები, არ შემიძლია.

არ ესმის ჩემი. თავის თავი არ ენანება.

მამამისს უკვე აპატია დანაშაული

და არ მასვენებს, მეხვეწება, მეც ვაპატიო.

საკვირველია, არ აპყრია მამაზე გული,

ეს კი, ეს მხეცი, რითი უხდის სამაგიეროს,

ერთი სული აქვს, დასაკლავად როდის წაიყვანს!

მოვა და ნახავ, საყვედურით აქეთ ამავსებს.

აი, მოვიდა. კვლავ მოირგებს სიცრუის ნიღაბს.

ისე შეეხვდები, არაფერი არ ვიცი ვითომ.

გამოსვლა მესამე

ავამეზონი, კლიტემნესტრე, ეგინე

ავამეზონი

აქ რას აკეთებთ, ქალბატონო, ვის ელოდებით?

ეს როგორ მოხდა, ქალიშვილი გვერდით რომ არ გყავთ?

არკასმა უკვე მოახსენა, რაც დავაბარე?

მერე? სად არის? ასე რატომ დაიგვიანა?

თუ თქვენ აკავებთ? გადაწყვიტეთ, არ გამოუშვათ,

სანამ არ მოგცემთ სამსხვერპლოზე წამოსვლის ნებას?

თქვით.

კლიტემნესტრე

არაფერი არ აბრკოლებს წამოსასვლელად.
თქვენ თვითონ არა გაბრკოლებთ რა?

აგამემნონი

მე, ქალბატონო?

კლიტემნესტრე

უკვე მზადაა ყველაფერი?

აგამემნონი

დიახ, მზადაა.

სამსხვერპლო უკვე მორთულია. კალხასი იცდის.
მეც მოვათავე ჩემი საქმე. იგი კი არ ჩანს.

კლიტემნესტრე

მსხვერპლის შესახებ არაფერი არ გითქვამთ ჩემთვის.

აგამემნონი

რა უნდა მეთქვა? როცა ერთად ამდენ საზრუნავს...

გამოსვლა მეთხუ.

იფიგენია, აგამემნონი, კლიტემნესტრე, ეგინე

კლიტემნესტრე

ჩქარა შემოდით, შვილო ჩემო, თქვენ გელოდებით.
მიდით, მადლობა მოახსენეთ მოყვარულ მამას,
თვითონ მობრძანდა, სამსხვერპლოზე რომ წაგიყვანოთ.

აგამემნონი

რა სხვანაირად ლაპარაკობთ... ამას რას ვხედავ!
ტირიხართ, შვილო? პირს მარიდებთ? რატომ? რა მოხდა?
ეგებ თქვენ მითხრათ, ქალბატონო? თქვენც, თქვენც ტირიხართ?
არკასმა გამცა! მე ვუჩვენებ...

იფიგენია

მამა, დამშვიდდით.

ტყუილად შფოთაეთ, არავისაც არ გაუციხართ.
 თქვენ იცით, ჩემთვის თქვენი სიტყვა რომ კანონია
 და უყოყმანოდ შევასრულებ, რასაც მიბრძანებთ.
 თქვენ მომანიჭეთ სიცოცხლე და თქვენია იგი,
 ძალგისთ უკანვე დაიბრუნოთ, თუ დაგჭირდებათ,
 არ წამოსცდება საყვედური თქვენს ასულს თქვენზე.
 ისევე მშვიდად, დრტყინვისა და ცრემლის გარეშე,
 როგორც ოდესღაც შეეხვდი თქვენგან არჩეულ საქმროს,
 შეეხვდები სიკვდილს, სამსხვერპლოზე მორჩილად ავალ
 და მოწიწებით თავს დაეუხრი კალხასის მახვილს.
 მაგრამ თუ ჩემი მორჩილება, მამავ ბატონო,
 უკეთეს ჯილდოს იმსახურებს, თქვენ ასე ფიქრობთ,
 მაშინ გავბედავ და ყველაფერს გულწრფელად გეტყვით:
 ვარდებით იყო მოფენილი ჩემი ცხოვრება,
 ამიტომ მასთან განშორება ძალიან მიმძიმს,
 როგორ მეგონა, თუ ასეთი ბედი მეწერა
 და სიკვდილამდე ასე მცირე მანძილი მედო.
 მამა, მე ის ვარ, ვინც პირველად თქვენს სიცოცხლეში
 თქვენ დაგიძახათ სანატრელი სახელი: მამა;
 ის ვარ, ვისთვისაც ამ სახელის გაგონებაზე
 მხურვალე ლოცვა აღუვლინეთ მწყალობელ ღმერთებს;
 ის ვარ, ვისზედაც დაიხარჯა, ვინც მიიკუთვნა
 თქვენი პირველი მამობრივი ალერსი, მამა.
 განსოვთ, როგორი ალტაცებით გისმენდით ხოლმე,
 როცა მომავალ ლაშქრობათა ამბავს ყვებოდით,
 და ახლაც, ტროის დასაპყრობად რომ წამოიხვედით,
 მე წინასწარვე ვზეიმობდი თქვენს გამარჯვებას.
 ვინ იფიქრებდა, რომ ღმერთები თუ მოიჩივებენ
 ამ გამარჯვების პირველ მსხვერპლად მე ამირჩევდნენ.
 ნუ გეგონებათ, თითქოს ამას იმიტომ ვამბობ,
 რომ შემადრწუნა აღსასრულის მოახლოებამ.
 ნუ გეშინიათ, არ შეგარცხვენთ თქვენი ასული,
 იგი თქვენს სახელს თქვენზე ნაკლებ არ უფრთხილდება.
 მე რომ საკუთარ სიცოცხლეზე ვზრუნავდე მხოლოდ,
 ამ ლაპარაკით თავს ნამდვილად არ შეგაწყენდით,
 მაგრამ თქვენ იცით, ჩემთანაა გადაჯაჭვული

დედაჩემის და ჩემი საქმროს ბედნიერება.

მეფე და გმირი, ვინც ნამდვილად ღირსია თქვენი, :
თავს ბედნიერად თვლიდა იმით, რომ ნება დართეთ
ჩემი მეუღლე გამხდარიყო, და არ ეგონა,
ამქვეყნად რამე თუ ერთმანეთს დაგვაშორებდა. . . .
მან უკვე იცის ყველაფერი და რა ღლეშია,
აღბათ, მიხვდებით. დედის ცრემლებს თვითონვე ხედავთ.
უმორჩილესად გთხოვთ შემინდოთ, მამავ ბატონო,
ეს მცირე ხარკი რომ გავუღე მათ მწუხარებას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჰო, მართალია. მე არ ვიცი, რა ცოდვის გამო
ასეთი მსხვერპლი მოითხოვეს ჩემგან ღმერთებმა,
თქვენი სიცოცხლე მოითხოვეს, ო, შვილო ჩემო,
პირდაპირ ითქვა სამისნოდან თქვენი სახელი.
არც დედათქვენის და არც თქვენი ხვეწნა-მუღარა
არ მჭირდებოდა იმისათვის, რომ მათ ხელთაგან
დამეხსნა ჩემი საკუთარი სისხლი და ხორცი.
რამდენი ხანი ცათა ნებას ვეუბრებოდი
და რა გადამხდა, ამას უკვე აღარ გიამბობთ,
ჩემს სიყვარულში, ვიცი, ეჭვი არ გეპარებათ.
წუხებლ არკასი გამოვუშვი თქვენს შესახვედრად —
თვითონვე გეტყვით — და წერილი გამოვატანე.
შემოგითვალეთ, რომ შინისკენ წასულიყავით.
ღავთმე პატივი, წოდება და ძალაუფლება,
სიტყვა გავტეხე, მთელ საბერძნეთს გადავუდექი,
მაგრამ განგებამ ეს იმედიც წამართვა, ხედავთ.
ვისაც ღმერთები გაწირავენ, ვინ რას უშველის?
აღარაფერი აღარ ძალმიძს, აღარაფერი.
ჯანყი ატყდება, კვლავ რომ რამე მოვიმოქმედო.
თუ გადაიგდო მორჩილების უღელი ხალხმა,
ყველას წაგვლეკავს, ამ სტიქიონს რა შეაჩერებს?
ბედს დავმორჩილდეთ. უკვე დაკრა თქვენმა საათმა.
იცოდეთ, შვილო, არც მე მომკლავს თქვენზე ნაკლებად
დანა, რომელიც თქვენ სიცოცხლეს გამოგასალმებთ,
ამიტომ ვბედავ... ნუ შემრისხავთ ამ თხოვნისათვის!

არ დაივიწყოთ, ვინა ხართ და ვისი შვილი ხართ.
უნდა იმგვარად შეხვდეთ სიკვდილს, რომ ღმერთებს შერაცხვეთ
და დაღვრილ სისხლში ჩემი სისხლი შეიცივნოს ერმა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

არ უღალატეთ თქვენს დაწყვეტილ გვარსა და ჯილაგს,
თქვენშიც აყვირდა ატრეჯისის და თიესტეს სისხლი.
თქვენივე ნებით თქვენი შვილის ჯალათი გახდით,
ისლა გაკლიათ, რომ საზარელ ნადიმზეც მიხმობთ.
მთელი ჰკუა და მოხერხება გამოიყენეთ
ამ ბედნიერი მსხვერპლშეწირვის გასამართლავად.
თქვით, ხელი როგორ მოგიბრუნდათ, თქვე ბარბაროსო,
როდესაც შვილზე სასიკვდილო განაჩენს წერდით?
თავს ნუ გვაჩვენებთ, ვითომ გული შეგტყივით მასზე,
ცრემლებით გინდათ დამარწმუნოთ, რომ მართლა გიყვართ?
მიიზხარით, რამე გააკეთეთ მის დასახსნელად?
აიღეთ ხელში იარაღი? სისხლი დაღვართ?
რატომ ვერ ვხედავ ბრძოლის ველზე მიმოყრილ ცხედრებს?
რატომ ვერ ვხედავ ხმლებისა და შუბების ნალექს?
აი, საბუთი, რაც ნამდვილად დამარწმუნებდა
თქვენს ღირსებაში, შვილისადმი თქვენს სიყვარულში.
როცა გაუწყყეს სამისნოში ღმერთების ნება,
მისანს ბოლომდე ყველაფერი რად არ ჩაჰკითხეთ?
არ მჯერა, ისე უსამართლო იყოს განგება,
რომ ამ საშინელ, უბუნებო მკვლელობას გვთხოვდეს.
არა, ელენეს ცოდვისათვის თუ ვინმეს სჯიდით,
მისი ასული ჰერმიონე აქ არა გყავდათ?
დაე, ამ ფასად დაიბრუნოს მენელაოსმა
თავისი მრუში ნახევარი, თუ ვერ ელევა.
მისი გულისთვის რატომ უნდა გავიბო მკერდი
და ჩემი სისხლის უწმინდესი წილი დავღვარო?
მაინც რა გახდა ეს ელენე, რომ ვერ დაოკდა,
მთელი ევროპა და აზია შეაწორიალა?
უწინაც ბევრჯერ გვაწურვინა სირცხვილის ოფლი.
მენელაოსი არ ყოფილა მისთვის პირველი,
თვითონაც იცით, კალხასისგან გაქვთ განაგონი,

სანამ თქვენს ძმასთან, ჩემდა ჭირად, შეუღლდებოდი,
თეზევსთან იყო საიდუმლოდ ნაქორწინევი.
ღიახ, თეზევსის სარეცელი გაიზიარა
და მისგან ქალიც შეეძინა, მაგრამ უკვალოდ
გააქრო იგი. სად დამალა, არავინ იცის.
თუმცა ელენეს რას ვახსენებ, რა შუაშია.
არა, ელენეს გულისათვის შვილს არ დათმობდით.
ძმის სიყვარულსაც სულ ტყუილად მოიმიზეზებთ.
თქვენივე თავის სიყვარულით ჩადიხართ ამას.
გეამაყებათ, წინამძღოლად რომ აგირჩიეს
და საბერძნეთის ოცი მეფე გემორჩილებათ.
თქვენი პატივი! პატივი და ძალაუფლება!
აი, ღმერთები, ვისაც შვილი მსხვერპლად შესწირეთ!
ვერ მომატყუებთ, კარგად ვიცი თქვენი მიზანი:
შეინარჩუნოთ მბრძანებლობა, აი, რა გინდათ!
გინდათ, ამ მსხვერპლით მეტოქეებს თავზარი დასცეთ,
ვინღა გაბედავს, შეგეცილოთ წინამძღოლობას!
მე უძლური ვარ, ვერ ჩასწვდება ჩემი გონება
თქვენი ღალატის მთელ სიმდაბლეს და სისასტიკეს.
თქვენა ხართ მამა? თქვენი შვილი თქვენივე ხელით
გინდათ იმ ბოროტ, იმ კაცისმკვლელ ქურუმს მიჰგვაროთ,
რომ მან მახვილით გადაუხსნას გულის ფიცარი
და მფეთქავ გულზე მომავალი ამოიკითხოს.
მე კი მარტო და უნუგეშო უნდა დაგბრუნდე,
შვილის დიდების სანახავად სად წამოსული!
რა გულით უნდა გავიარო იმ გზაზე, სადაც
გუშინ ყვავილებს უფენდნენ და სურნელს უქმევდნენ.
იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგანებებთ.
და თუ ეცდებით, ბარბაროსო, ძალით წამგვაროთ,
მაშინ თქვენს ღმერთებს დღეს ორმაგი მსხვერპლი მიართვით!
მოდით, უწყალო მეუღლე და უწყალო მამავ,
მოდით, შეგვდექით ხელხმლიანი, ხელსისხლიანი
და შვილი ძალით ააგლიჯეთ დედას მკერდიდან!
წამოდით, შვილო, ამ ერთხელაც დამემორჩილებთ,
უკანასკნელად შეასრულეთ დედის ბრძანება.

გამოსვლა მიხუთე

აგამენონი

აგამენონი

ეს იყო, რისიც მეშინოდა, ამას ველოდი,
ვიცოდი, ასეთ წივილ-კივილს რომ ამიტეხდა.
მაგრამ ნეტავი სხვა საშიში არა მჭირდეს რა
და ყველაფერმა ამ კივილზე გადაიაროს.
დიდო ღმერთებო, თუკი ასეთ მსხვერპლს მაკისრებდით,
ჯერ უნდა ჩემში მამობრივი გრძნობა ჩაგეკლათ!

გამოსვლა მებაჟისა

აქილევსი, აგამენონი

აქილევსი

ჩემამდე ერთმა უცნაურმა ხმამ მოაღწია,
მაგრამ მე იგი ნდობის ღირსად არ მივიჩნე.
ასე გადმომცეს (მიჭირს კიდევ განმეორება),
თითქოს სიკვდილი ემუქრება იფიგენიას,
თქვენი ბრძანებით უნდა მსხვერპლად შესწირონ ქალღმერთს
და სადაცაა დასაკლავად მიჰგვრიან კალხასს.
ამბობენ, თითქოს მეც გამრიეთ მაგ ბნელ საქმეში,
გამაბრიყვეთ და სატყუარად გამომიყენეთ,
რითაც ჩემს სახელს სამუდამოდ ჩირქი მოეცხო.
რას იტყვი, მეფევ, ამ ამბავზე, რა პასუხს მომცემთ?
არც თქვენ გდებთ პატივს ეგ ჭორები და მითქმა-მოთქმა.

აგამენონი

ძალიან უღებო, ვალდებულად თუ მიგაჩნივართ,
ჩემს საქმეებზე ანგარიში თქვენ ჩაგაბაროთ.
ამბის გაგება ნაადრევად მოგსურვებიათ,
მაშინ შეიტყობთ, როცა ლაშქარს გამოვუცხადებ.

აქილევესი

უკვე შევიტყვე! კარგად ვიცი, რასაც უპირებთ!

აგამემნონი

თუ იცით, რაღას მეკითხებით!

აქილევესი

ო, ღმერთო ჩემო!

თუ ვიცი, რაღას ვეკითხები! გაჩუმდით მაინც!
მთელ თქვენს სიმდაბლეს თქვენი პირით ნუ აღიარებთ!
არა, რას ფიქრობთ, დაგანებებთ მაგის ჩადენას?
გულხელს დავიკრეფ და ჩემს თვალწინ მოვაკვლევივინებთ?
ჩემი ღირსება, სიყვარული, მოვალეობა
დაუშვებს ამას?

აგამემნონი

მაგ სიტყვებში მუქარა მესმის.

თქვენ გავიწყდებათ, ვის მიმართავთ ასე უკმეხად.

აქილევესი

თქვენ გავიწყდებათ, ვის სიყვარულს ამცირებთ ასე.

აგამემნონი

ჩემი ოჯახის მესვეურად ვინ დაგადგინათ!
საკუთარ ასულს რას ვუბრძანებ, თქვენ უნდა გკითხოთ?
ალარ ვარ მამა? ან თქვენ იქნებ ქმარი ხართ უკვე?
თუ ჩემს უფლებას...

აქილევესი

ეს უფლება მე გადმომეცა,
როცა აღმითქვით, რომ თქვენს ასულს ცოლად მატანდით,
და არ დავუშვებ, თქვენი სიტყვა უკან წაიღოთ,
სანამ ძარღვებში სისხლი მიდგას, ეს არ მოხდება.
განა აქ ჩემთან საქორწინოდ არ ჩამოვიდა?

აგამემნონი

რაკი ასეა, ყველაფერი ღმერთებს მოჰკითხეთ.

ყველას მიუძღვის მაშინ ბრალი, ყველას, მთელ ზანაკს!
კალხასს, ულისეს, მენელაოსს, თქვენ...

აქილეოსი

მე?

აგამემნონი

თქვენ უფრო!

თქვენ არ იყავით, გაშმაგებით რომ მიილტვოდით
აზიისკენ და უქარობას ჰყვედრიდით ღმერთებს?
• სამართლიანი შიშისათვის რომ მამტყუნებდით
და ჯარს გადასდეთ საკუთარი სულწასულობა?
მე გამოსავალს გთაეზობდით მის დასახსნელად,
თქვენ კი არაფრის გაგონება არ მოინდომეთ,
მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდით: ტროაში წასვლას.
წადით, ბატონო, გზას გაგიხსნით მისი სიკვდილი.

აქილეოსი

ღმერთებო, ნუთუ შეიძლება ამის მოთმენა?
ფიცის გატეხა არ იკმარა, ახლა ცილს მწამებს!
მაგ საფასურად მოვითხოვდი ტროაში წასვლას?
რას ვერჩი ტროას, ტროელებმა რა დამიშავეს,
რა დამრჩენია ფრიგიაში, ერთი მითხარით!
ჩემი უკვდავი დედის თხოვნა არ შევისმინე,
შეშფოთებული მამის რჩევას არ ვუგდე ყური
და წამოვედი, თუმცა ისიც მშვენივრად ვიცი,
ტროაში სიკვდილს რომ მიქადის ყველა მისანი.
იქნებ სკამანდრის ნაპირიდან გემები დაძრეს
და თესალიის დასაპყრობად ჯარი გადმოსხდა?
თუ ლარისიდან და ან. ცოლი მომტაცა ვინმემ?
რისთვის მოვდივარ? რაზე უნდა ვიძიო შური?
თქვენთვის მოვდივარ, უმადურო, თქვენი საქმისთვის,
თუმცა წამოსვლა სრულებითაც არ მევალება,
თქვენთვის, ვინც ბერძნებს წინამძღოლად ავარჩევინე,
თქვენთვის, ვის გამოც გადავბუგე მთელი ლესბოსი,
სანამ თქვენ თვითონ მოასწრებდით ლაშქრის შეკრებას!
განა იმისთვის არ შევგროვდით ავლისს ყველანი,

რომ გამოვიხსნათ ელენე და ქმარს ჩავებაროთ?
მერედა რაო, თავის მტერი ხომ არ გვონივართ,
სხვისი მეუღლე დავიხსნა და ჩემი გავწირო?
თქვით, ამიხსენით, თქვენი აზრით ღირსების გრძნობა
მხოლოდ ატრიდებს გააჩნიათ და სხვას არავის?
იფიგენიას ვერ წამართმევთ, თქვენ ეს იცოდეთ,
მე მიყვარს იგი და მგონია, მასაც ვუყვარვარ,
მისი გულისთვის მოვიყვანე აქ ეს ლაშქარი,
მენელაოსი სრულებითაც არ მედარდება
და არც პრიამოსს, პარისსა და ელენეს ვიცნობ.
მენელაოსმა თავის ცოლი თვითონ დაიხსნას.
იმასაც ვნახავთ, რას გახდება უაქილევსოდ.
მე თქვენი ქალის სიყვარულმა ჩამომიყვანა,
სხვამ არაფერმა...

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჰოდა, წადით, დაბრუნდით უკან.
გიშვებთ და თქვენი ფიცისგანაც განთავისუფლებთ.
იქნებ როგორმე უთქვენოდაც ვიძიოთ შური,
იქნებ როგორმე უთქვენოდაც ავიღოთ ტროა.
არ წამოხვალთ და თქვენს მოსახვევს სულ სხვა მოიხვევს
და გამარჯვებით სხვისი შუბლი დაიდაფნება.
მაგ თქვენს ქედმაღლურ ლაპარაკზე ახლავე გატყობთ,
რად დამიჯდება ილიონში თქვენი წამოსვლა.
თქვენ გინდათ, მთელი საბერძნეთი თქვენ გმორჩილებდეთ,
ხოლო მე ერის წინამძღოლი ტყუილად მერქვას.
თქვენი ძალით და სიმამაციით გაამაყებულს
ტოლად არავინ მიგაჩნევართ, ზემოდან დაგემზერთ.
თავს რომ გვამადლით, ეს არაა შეურაცხყოფა?
მე ვამჯობინებ ნაკლებ მამაცს და უფრო მორჩილს.
წადით, გამშორდით, თქვენი რისხვის არ მეშინია,
ვაუქმებ აღთქმას, რაც აქამდე გვაკავშირებდა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

სწორედ მაგ აღთქმას უმადლოდეთ, თავს რომ ვიკავებ,
იფიგენიას მამა ხართ და ამან გიშველათ,

თორემ ბერძენთა წინამძღოლი ამ სიტყვის შემდეგ
შეურაცხყოფას ველარავის მიაყენებდა.

ჩემს ბოლო სათქმელს მოგახსენებთ და გაგეცლებით:
თქვენს ასულსა და ჩემს ღირსებას სისხლით დავიცავ
და თუ მახვილით მოუნდომებთ გაუპოთ გული,
ჩემს გულში უნდა გაიაროს ჯერ იმ მახვილმა.

გამოსვლა მუხვიდ

აგამემნონი

აგამემნონი

მორჩა, ეს საქმე გადაწყვიტა მისმა ჩარევამ.

იფიგენია ბევრად უფრო საშიში იყო.

როგორ ვგონა, ასე ჯიქურ რომ მომივარდა,

მისი გორიზი სიყვარულით შემაშინებდა?

პირიქით, სწორედ ახლა შეწყდა ჩემი ყოყმანი,

რის შეჩერებაც თვითონ სურდა, იმას აჩქარებს.

ახლა რომ უტბად ჩემი სიტყვა უკან წავიღო,

სიბრალულს შიშში ჩამომართმევს და თავს გაუვა.

ჰეი, მცველებო!

გამოსვლა მირვე

აგამემნონი, ევრიბატე, მცველები

ევრიბატე

რას გვიბრძანებთ.

აგამემნონი

როგორ მოვიქცე?

გავცე ბრძანება, სისხლიანი ბრძანება? შესდექ!

შესდექ, ცოდვილო! თქვი, ვის ებრძვი, რომელ მტერს ებრძვი,

ვინ არის იგი, სასიკვდილოდ ვისაც იმეტებ!

გულში ჩაუკრავს საწყალ დედას თავისი შვილი,

რომ ბოროტ მამას, ჯალათ მამას არ დაანებოს,

იგი კი ართმევს, თავის ნებით კისრულობს იმას,
 რაც ვერ იკისრეს ამ უბირმა ჯარისკაცებმა.
 თუმცა ბობოქრობს აქილევსი, მუქარით მიკლებს,
 მაგრამ ჩემს ნებას არ გადავა ჩემი ასული,
 უხმოდ, მორჩილად ელოდება მამის ბრძანებას
 და მასზე ერთი ავი სიტყვა არ დასცდენია.
 ამ მკრეხელური ალტყინებით რას ვითხოვ მისგან?
 მისი დაღვრილი სისხლისაგან რას გამოველი?
 რისი მიღწევა, რა დაფნების მოხვეჭა მინდა?
 ო, ყოვლისშემძლე ღვთაებანო, რად არ მოლბებით?
 მაგრამ რა შეთქმის მე უბედურს ღმერთების მიმართ,
 მათზე უწყალო თვითონვე ვარ ჩემი თავისთვის.
 არ შემძლია. უნდა გრძნობას დავემორჩილო.
 კანონიერი სიბრალულის არ უნდა შემრცხვეს.
 დაე, იცოცხლოს! მაგრამ თავს რომ ვიმცირებ ამით?
 გოროზ აქილევსს გამარჯვება როგორ დავეუთმო!
 ხომ ეგონება, რომ ფარ-ხმალი დამაყრევინა;
 ხომ ეგონება, მისი შიშით ვკანკალებ თითქოს...
 რა არის კაცი, რა მელის და მე რაზე ვშფოთავ!
 ამ საქმეს მოვრჩე და აქილევსს მერე მოვუვლი:
 სულ სხვა ვინმეზე გავათხოვებ იფიგენიას.
 მოკლედ, გადაწყდა. ევრიბატე, გაიქეც ჩქარა,
 ჩემს მეუღლეს და ჩემს ქალიშვილს სთხოვე, მობრძანდნენ.
 ნურაფრის შიში ნუ ექნებათ.

გამოსვლა მეცხრე

აგამემნონი

აგამემნონი

დიდო ღმერთებო,
 თუ თქვენი ნება უცვლელია, მე რას გავხდები,
 რა შეუძლია საწყალ მოკვდავს თქვენს წინააღმდეგ!
 ამით ხომ უფრო გავაწვალე, ვერ კი დავიხსნი.
 ვიცი, თვითონაც კარგად ვიცი. მაგრამ, ღმერთებო,
 ნუთუ ესოდენ დიდი მსხვერპლი არა ღირს იმად,
 რომ თქვენი ნება ერთხელ კიდევ დამიდასტუროთ?

გამოსვლა მხათე

აგამენონი, კლიტემნესტრე, იფიგენია, ერიფილე,
ევრიბატე, ღორისი, მცველები

აგამენონი

უნდა ვიჩქაროთ, ქალბატონო, დრო ცოტა დარჩა,
გიბრუნებთ ასულს, წაიყვანეთ, გადაარჩინეთ,
დაუყოვნებლივ გაარიდეთ ბანაკს და ავლისს.
თან მცველებს გატანთ და უფროსად არკასს ეუნიშნავ,
შენედოს ჩვენთვის საკეთილო დანაშაული.
როგორმე ისე მოახერხეთ, რომ თქვენი ქალი
არავინ ნახოს. საჭიროა ლაშქარს ეგონოს,
რომ თქვენ წახვედით, ხოლო იგი ავლისში დარჩა.
უნდა სასწრაფოდ გაეცალოთ აქაურობას,
სანამ, ღვთის მადლით, ულისე და კალხასი დუმან.
გზა მშვიდობისა. დიდი ხანი აღარ მენახთ.
აბა, მცველებო, გააცილეთ.

კლიტემნესტრე

ო, ხელმწიფეო!

იფიგენია

ო, მამა!

აგამენონი

უნდა სამშვიდობოს გასვლა მოასწროთ,
ვიდრე კალხასი გაიგებდეს გაპარვის ამბავს.
მე კი ვეცდები დრო მოვიგო, კალხასთან მივალ,
ვთხოვ, მსხვერპლშეწირვა საღამომდე მაინც გადადოს.

გამოსვლა მეთერთმეტე

ერიფილე, ღორისი

ერიფილე

არა, ჩვენი გზა აქეთაა, წამოდით, ღორის.

დორისი

მათ არ მიჰყვებით?

ერიფილე

სადაცაა გული წამივია.

მინც დაიხსნა აქილევსმა თავისი სატრფო.

რა ექნა, გავჩუმდე და ბალღამი გულში ჩავიკლა?

არა, დავლუპავ, ან თვითონვე დავიღუპები:

მათი გაპარვა უნდა კალხასს შევატყობინო.

მეხუთე მოქმედება

გამოსვლა პირველი

იფიგენია, ეგინე

იფიგენია

მე ნუ მაკავებ, დედაჩემთან მიდი, ეგინე.

დროა, წავიდე და ღმერთების რისხვა დავაცხრო,

თორემ ხომ ნახე, რა ამბავი დაატრიალეს,

აღტყმული მსხვერპლი რომ ხელიდან არ დასხლტომოდათ.

მთელი ბანაკი აღაშფოთა ჩვენმა გაქცევამ,

რა თავხედურად გავვაჩერეს, თვითონ ხედავდი,

ხმლებს და ჰოროლებს ზედ სახესთან გვიტრიალებდნენ.

ღვთის ანაბარა მიგვატოვეს ჩვენმა მცველებმა

და თავს უშველეს. დედაჩემმა გრძნობა დაკარგა.

გამიშვი-მეთქი, სულ ერთია, არა მიხსნის რა,

სანამ გრძნობაზე მოვიდოდეს, უნდა გავასწრო.

მამას ბრძანება გაუცია, კალხასს მიმგვარონ,

არადა თვითონ გამაპარა, თავისი ნებით.

ეგინე

ასე უეცრად რამ შეცვალა? შეემთხვა რაშე? .

ი ფ ი გ ე ნ ი ა

არ ვიცი, მგონი, აქილევსთან წაღაპარაკდა.
განრისხებულმა სწორედ ახლა არკასის პირით
შემომითვალა, არ ვახსენო მისი სახელი.
შეურაცხყოფა მიაყენა, როგორც ეტყობა.
ასე გასინჯე, ლაპარაკსაც მიკრძალავს მასთან.

ე გ ი ნ ე

ო, ქალბატონო!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რა სასტიკი განაჩენია!
ღმერთებმა უფრო შემიბრალეს: ისინი მხოლოდ
სიცოცხლეს მთხოვენ. რა ექნა, უნდა დავემორჩილო.
პოი, ზეცაო, აქილევსი!

გამოსვლა მეორე

აქილევსი, იფიგენია

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გთხოვთ წამობრძანდეთ.
ნუ შეგაშინებთ მაგ უძლური ბრბოის ყაყანი,
ჩვენს დანახვაზე მოგუგუნე მათი ტალღები
გაიპობიან და მორჩილად გაგვატარებენ.
პატროკლე მოვა და ჩემს რჩეულ ლაშქარს მოიყვანს,
თანდათანობით ჩემს კარავთან შეგროვდებიან
თესალიელთა დანარჩენი მხედართმთავრებიც.
მალე თქვენს ირგვლივ განლაგდება მთელი სადროშო
მტკიცე გალავნად, აუღებელ ციხე-სიმაგრედ
და შეგეძლებათ სამშვიდობოს იგულოთ თავი,
ვინ გამიბედავს, წაგიყვანოთ ჩემი კარვიდან!
როგორ! ესაა, ქალბატონო, თქვენი სათქმელი?
არ გაგაჩნიათ სხვა პასუხი, ცრემლების გარდა?
ასეთი სუსტი იარაღის იმედზე ნუ ხართ!
აგამემნონმა უკვე ნახა ეგ თქვენი ცრემლი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ჩემი იმედი, ერთადერთი, ახლა ისაა,
რომ სამსხვერპლოსკენ სასიკვდილოდ მივემართები.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

თქვენ? სასიკვდილოდ? გევედრებით, ნუ ამბობთ ამას.
ჩვენ წმინდა აღთქმამ სამუდამოდ დაგვაკავშირა,
ჩემთვის უთქვენოდ არ არსებობს ბედნიერება,
თქვენს ბედთანაა ჩემი ბედი გადაჯაჭვული.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

არა, ძვირფასო. ჩანს, ღმერთებმა სხვაგვარ განსაჯეს,
არ გვწერებია, ერთმანეთის ვყოფილიყავით.
დღეს სამსხვერპლოზე უნდა მოკვდეს იფიგენია,
თქვენი ბრწყინვალე მერმისისკენ გზა რომ გაგიხსნათ.
მამაცი ხელით იქ, ტროაში, დიდების ველზე
სულ მალე უხვი მოსავალი უნდა მოიძქოთ,
მაგრამ ავლისში ჩემი სისხლი თუ არ დაინთხა,
ის მოსავალი მოუსთვლელი დაგრჩებათ მარად.
ამაოდ სცადა მამაჩემმა, კალხასის სიტყვას
გადასულიყო: წინ აღუდგა მთელი ლაშქარი
რითაც ღმერთების განაჩენი კვლავ დადასტურდა.
მე თქვენ გაბრკოლებთ. გადალახეთ ეს დაბრკოლება,
გადააბიჯეთ მისინებისგან დადებულ სამანს
და მოუვლინეთ თქვენს სამშობლოს აღთქმული გმირი,
თქვენი ტკივილი მტრებისადმი რისხვად აქციეთ.
თრთის პრიამოსი. შეშფოთებით გვიყურებს ტროა,
დამფრთხალი ჩემი კოცონით და თქვენი ცრემლებით.
გაემგზავრეთ და საფუძვლამდე დაამხეთ იგი,
ტროელთა ქვრივებს აფრქვევინეთ ცრემლები ჩემზე,
მშვიდად მოკვდები იმ იმედით, რომ ეს ახდება.
თქვენი მეუღლე გავმზადარიყავ, მე არ მეღირსა,
მაგრამ სანაცლოდ სხვა დიდებას მიმზადებს ბედი:
მე ხალხის ხსოვნა თქვენს სახელთან დამაკავშირებს
და აქილევისის გმირობათა ბრწყინვალე ფურცელს

იფიგენიას დღევანდელი სიკვდილით გახსნის.
მშვიდობით, გმირო, ღვთისდარო და ღვთისგან შობილო!

აქილევესი

მე ჭერჭერობით არ ვაპირებ დამშვიდობებას.
ვიცი, მაგ მაღალფარდოვანი სიტყვების მიღმა
რაც იმალება: მამათქვენი გსურთ გაამართლოთ.
რაში მარწმუნებთ? რომ საცოლეს თუ მომიკლავენ,
მე ეს ამბავი დიდებას და დაფნებს მომიტანს?
იმავე დაფნებს, ილიონში რისთვისაც მგზავნით,
თქვენი დაცვით და გადარჩენით უკეთ მოვიხვეჭ.
რისი დიდება, სამუდამო სირცხვილი მელის,
სატრფო წამგვარონ, მომიკლან და ხმა ვერ გავიღო.
გრახობაც, გონებაც, ყველაფერი იმას მავალებს,
რომ თქვენ გაცოცხლოთ. წამომყევით, ნუ მახვეწინებთ.

იფიგენია

როგორი მამაჩემს გადავუდგე? გადავივიწყო
მოვალეობა, მშობლისადმი პატივისცემა?
სიკვდილს გადავრჩე და სიკვდილის ღირსი შევიქნე?

აქილევესი

კარგი, მითხარით, თქვენს მეუღლეს დაუჭერებდით,
ვისაც შეგრთავდათ მამათქვენი? მერე მე ვინ ვარ
შემომფიცა და ახლა უცებ გატეხა ფიცი?
მაშ, აქილევესი არაფერი აღარ ყოფილა!
მამის ბრძანებას ვასრულებო, რომ მეუბნებით,
მამინ არ იყო თქვენი მამა, როცა დაგვეწინდა?
ახლა უჭერებთ, ახლა, როცა მკვლელია თქვენი
და არა მამა? წამობრძანდით, ღრო აღარ ითმენს...

იფიგენია

რათ, იქნება ქალით გინდათ ჩემი წაყვანა!
ნუთუ არ კმარა, რა სიმწარეც მარგუნა ბედმა,
რომ თქვენი ხელით ეს სიმწარეც ზედ არ დამირთოთ?
ჩემს სიცოცხლეზე ნაკლებ გიღირთ ჩემი სახელი?

უკვე იმითაც ჩავიდინე მამის წინაშე
დანაშაული, რომ ვდგავარ და ვსაუბრობ თქვენთან.
ნუ მოინდომებთ, უარესი ჩამადენინოთ,
თორემ სიცოცხლეს მოვისწრაფებ აქვე, თქვენს თვალწინ,
ჩემი ღირსება რომ დავიცვა და ავირიდო
შველა, რომელიც თქვენ მოგაქვთ და მე არ მქირდება.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რაკი ასეა, არას გეტყვი, დაემორჩილეთ.
ვხედავ, სიკვდილი სანუკვარი ყოფილა თქვენთვის.
მოყვარულ მამას ძღვნად და მსხვერპლად მიართვით გული,
მისთვის რომ ფეთქავს, მე კი ვინ ვარ? არარაობა.
ჩემს სულს თანდათან მძვინვარების ცეცხლი ედება.
მიდით, წაბრძანდით სამსხვერპლოზე, რაღას აყოვნებთ.
მეც იქ გავჩნდები და თუ ღმერთებს სიკვდილი შიათ,
დავუცხრობ შიმშილს, მთელ სამსხვერპლოს ცხედრებით
მოვფენ.

ჩემს ბრმა სიყვარულს ვერაფერი ვერ დააოკებს,
თვითონ ქურუმში შეიქნება პირველი მსხვერპლი
და კოცონი რომ დაუნთიათ თქვენს დასაწვავად,
იმ კოცონს თქვენი ჯალათების სისხლით ჩავაქრობ.
მაგრამ, იცოდეთ, იმ საშინელ ორომტრიალში
თუ მამათქვენიც დაეცემა გულგანგმირული,
ეს მხოლოდ თქვენი მორჩილების ბრალი იქნება,
სხვა არაფრისა, მისი სისხლი მე არ მომკითხოთ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ჯერ მოითმინეთ... მათქმევიინეთ... მიდის, წავიდა.
პოი, ზეცაო, რაკი ჩემი სიკვდილი გნებავს,
ნულარ მაწვალე, ბარემ მომკალ და გაათავე!
დაე, ჩემს გამო ნურვის სისხლი ნუ დაიღვრება!

კლიტემნესტრე, იფიგენია, ეგინე,
ევრიბატე, მცველები

კლიტემნესტრე

ვერ წამართმევენ, გინდ მოვიდეს მთელი ლაშქარი
ლაჩრებო, ყველამ მიღალატეთ!

ევრიბატე

ეს არ მოხდება.

თქვენ ოლონდ ბრძანეთ: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე
ვიბრძოლებთ თქვენთვის და თქვენს ფერხთით დავიხოცებით,
მაგრამ მარტონი რას გავხდებით. აბა, გახედეთ,
კარვის გარშემო რამოდენა ხალხი მოზღვავდა,
თან უწესრიგო ბრბო კი არა, მწყობრი ლაშქარი,
რომელიც ახლა მარტოოდენ კალხასს მორჩილებს.
მძინეარებს მსხვერპლის მოლოდინში მთელი ბანაკი,
სანამ თავისას არ გაიტანს, არ დამშვიდდება.
უკვე შეფესაც აღარ ძალუძს მისი მოთოკვა
და ჩვენც გვიბრძანა, არ ახლოთო იარაღს ხელი.
უძღურები ვართ, ქალბატონო. რა შეგვიძლია?
ყოველი მხრიდან მტრებითა ვართ გარშემორტყმულნი.
ზათქით მოსკდება და წაგვლეკავს ეგ სტიქიონი,
რომელსაც თვითონ აქილევსი ვერ შეაჩერებს.

კლიტემნესტრე

მაშ, მკრეხელური მძინეარებით შეპყრობილები
შემოვარდნენ და მომისწრაფონ სიცოცხლე ბარემ,
რადგან ისე მყავს ჩემი შვილი გულში ჩაკრული,
მხოლოდ სიკვდილი თუ გამიხსნის მკლავების სალტეს.
სულს სხეულიდან სანამ ძალით არ ამომგლეჯენ,
ვერავინ შეძლებს... ვაი, შვილო...

იფიგენია

საბრალო დედა!

რომელ ვარსკვლავზე დავიბადე მე უბედური
არ გაგეჩინეთ ქვეყანაზე, თქვენთვისვე ჯობდა.
ბედს დამორჩილდით. ყველა თქვენი ცდა ამაოა,
რომელ ერთს უნდა შეებრძოლოთ, ლაშქარს თუ ღმერთებს.
გთხოვთ, ნუ წამოხვალთ, შეასრულეთ მამის ბრძანება.
უმწეო ქალი რას განდებით მძვინვარე ბრბოსთან.
თქვენს უნაყოფო ძალისხმევას უნდა ვუყურო,
ვუყურო, როგორ გაგათრევენ ჯარისკაცები.
გვედრით, დამხსენით ამ საზარელ სანახაობას,
ეს თვით სიკვდილზე უარესი იქნება ჩემთვის.
დე, აღასრულონ თავიანთი საქმე ბერძნებმა,
თქვენ კი წაბრძანდით, გაეცალეთ ავბედით ავლისს,
ჩემი კოცონის სიახლოვე თვალებს აგიწვავთ.
გეთხოვებით და უკანასკნელ ანდერძს გიბარებთ:
გაფიცებთ, დედა, ჩემს სიყვარულს, ჩემს თავს გაფიცებთ,
მამას ჩემს სიკვდილს ნურასოდეს წამოაყვედრით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

როგორ, მაგ გულმხნეცს, ვინც კალხასის წერა გაგხადათ...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რაც კი შეეძლო, სულ იღონა ჩემს დასახსნელად.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

მან ყველაფერი გააკეთა, რომ მოეკალით.

მუხანათურად არგოსიდან ჩამოგიტყუათ...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მას ჩემი თავი ზენამ მისცა და ზენა ართმევს.

მე, მართალია, ვკვდები, მაგრამ ორესტე გრჩებათ,

ჩემი ადგილი დედის გულში მან დაიკავოს,

დე, მწუხარებას ნუ მოგიტანთ მისი დედობა.

ხომ გესმით, უკვე მოუთმენლად გუგუნებს ხალხი.

უკანასკნელად ჩაგეკვრებით გულში და წავალ.

თქვენს უზენაეს სათნოებას ნუ უღალატებთ.

აბა, წამიძეხ, ევრიბატე, სამსხვერპლოსაკენ.

კლიტემნესტრე, ეგინე, შივილები

კლიტემნესტრე

ო, არა, მარტოს არ გაგიშვებთ, მეც თან წამოვალ
ვზას არ მაძლევენ, გასასვლელში ხალხი ჩამდგარა.
სისხლისმსმელებო, მოიკალით თქვენი წყურვილი!

ეგინე

საით გარბიხართ, ქალბატონო, არ გაგიშვებენ.

კლიტემნესტრე

მორჩა, გათავდა, სულ ამაოდ ვაწყდები კედლებს.
მეცლება სული, მეცლება და კვლავ მიბრუნდება.
ნუთუ ამდენჯერ შეიძლება ცოცხლადვე მოგკვდე?

ეგინე

თქვენ ის თუ იცით, ქალბატონო, ვის გაუციხართ?
ო, გულზე გველი მიუთბია იფიგენიას,
გველი, ასპიტი, არ დაინდო, დაშხამა ბოლოს!
აქ მაინც რაღას ჩამოგყავდათ, შინ ყოფილიყო!
თქვენი გაქცევა ერიფილემ აუწყა ბერძნებს.

კლიტემნესტრე

ჰოი, ურჩხულო, ვინ, რომელმა მეგერამ გშობა!
ვინ ამოგიშვა ქეესკნელიდან, ბოროტო სულო
შენ ცოცხალი ხარ, შენ არ გკლავენ... ო, რომ შემეძლოს...
მაგრამ რა მსხვერპლი დააყუჩებს ჩემს ტკივილს ახლა?
ზღვაო, დასძარი ბობოქარი შენი ტალღები
და ეს ლაშქარი გეშებითურთ უფსკრულში დანთქე!
ანდა როდესაც ამ წყეული ნავსადგურიდან
დაიდრებიან ხომალდები და გავლენ ზღვაში,
ქარმა, რომელსაც სასოებით შესთხოვენ ზენას,
ისე დაჰბეროთ, რომ ცოცხალი არვინ გადარჩეს!
შენ კი, ო, მზეო, შენ, რომელმაც მაგ კაცისმკვლელში

იცან ატრევსის ქეშმარიტი ძე და მემკვიდრე,
აკრიფე შუქი, განერიდე მათ ბილწ ქმედობას,
როგორც ოდესღაც განერიდე ატრევსის ნადიმს!
ამასობაში, უბედურო, გულმკვდარო დედავ,
შენს ასულს უკვე სასიკვდილო რიდე დაჰბურეს,
აჰა, ყელს უწვდის მამისაგან ალესილ დანას,
კალხასი სისხლში მოსვრილია... ჯალათო, შესდექ!
შესდექ, ჯალათო! ეს ღმერთების სისხლი იღვრება,
ამ სისხლისათვის შურს იძიებს მეზთამტეხელი!
გესმით, ცა გრგვინავს, მიწა იძრა! ეს ღმერთი მოდის!

გამოსვლა მთხუთე

კლიტემნესტრე, არკასი, ეგინე, მცველები

ა რ კ ა ს ი

ღიახ, ღმერთია, ღმერთი იბრძვის თქვენს დასაცავად.
ეს აქილევსმა აღასრულა, ცას რაც შესთხოვეთ.
სამსხვერპლოს ირგვლივ განლაგებულ ბერძენთა წყობა
მსწრაფლ გაარღვია და კალხასის წინ აღიმართა.
ქურუმი დაფრთხა, მსხვერპლშეწირვა კვლავ გადაიდო,
ისმის მუქარა, წყევლა-კრულვა, ელავს მახვილი.
აქილევსისა და პატროკლეს თანამებრძოლნი
თქვენი ასულის ირგვლივ დგანან შეუვალ კედლად,
თავს გაწირავენ და არავის არ დაუთმობენ.
წამოსასხამი აიფარა აგამემნონმა,
რომ ამ სისხლისღვრას არ უყუროს, ან ცრემლებს მალავს.
კარგი იქნება, ქალბატონო, თქვენც წამობრძანდეთ,
იქ თვითეული თქვენი სიტყვა ბევრს ნიშნავს ახლა,
ამით აქილევსს კიდევ ახალ მომხრეებს შესძენთ.
თვითონ მიბრძანა, მოვსულიყავ თქვენს წასაყვანად.
ნუ გეშინიათ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

მეშინია? წავილეთ ჩქარა.

ახლა ყველაზე დიდი საფრთხეც წარბს ვერ შემხრის,
მიდი, მოგყვები... მაგრამ, ვაჰმე! ულისე მოდის.
ულისე მოდის. მორჩა, არკას! იგი მკვდარია.

გამოსვლა მუხამბე

ულისე, კლიტემნესტრე, არკასი, ეგინე, მცველები

ულისე

დამშვიდდით, იგი ცოცხალია, ღმერთები დაცხრნენ
და ასულს უკან გიბრუნებენ.

კლიტემნესტრე

მაშ, ცოცხალია?!

ცოცხალია და ეს ამბავი თქვენ მოგაქვთ ჩემთვის?

ულისე

დიახ, მე მომაქვს, ვინც თქვენს ცრემლებს არ დაერიდა,
ვინც თქვენს მეუღლეს ამხედრებდა თქვენს წინააღმდეგ
და მიზნისაკენ განუხრელად მიჰყავდა იგი,
რადგან სჯეროდა, რომ სამშობლო ასე ითხოვდა.
ახლა, როდესაც ცათა რისხვამ გადაიარა,
მსურს ჩემი ცოდვა მე თვითონვე გამოვისყიდო.

კლიტემნესტრე

ღმერთებო... შვილო... გთხოვთ, ბატონო... სულ დავიბენი.
როგორ გადარჩა, ამიხსენით, რა სასწაულით?

ულისე

მეც, ქალბატონო... მე თვითონაც გონს ვერ მოვსულვარ...
სიხარულისგან და შიშისგან თავბრუ მეხვევა.
მძიმე განსაცდელს გადაურჩა დღეს საბერძნეთი.
ავად აბორგდა ჩვენს ბანაკში შუღლის ღვთაება,
ბედითი რიდე ააფარა თვალებზე ყველას
და ხოცვა-ჟლეტის დასაწყებად ბრძანება გასცა.

შეშფოთებული შესცქეროდა თქვენი ასული:
 მის წინააღმდეგ — საბერძნეთის მთელი ლაშქარი
 და ერთადერთი აქილევსი — მის დასაცავად.
 იდგა მარტოკა ამაზრზენი, თავზარდამცემი,
 ძრწოლას თესავდა გარშემო და თიშავდა ღმერთებს.
 ის იყო ზეცა დაიფარა ისრების ღრუბლით,
 ის იყო, მიწას დაეწვეთა პირველი სისხლი,
 ბრძოლის ნარუქი, რომ უეცრად მოშულდართ შორის
 ჩადგა კალხასი, თმააშლილი, სახეშეშლილი,
 ხაფად ყვიროდა, თვალებიდან ცეცხლი სცვიოდა
 და ერთიანად ღვთაებრივი სიშმაგით ენთო.
 „მისმინეთ—ბრძანა—თქვენც, აქილევს, და თქვენც, ბერძნებო:
 იმავე ღმერთმა, ჩემი ხმით რომ ღაღადებს ახლა,
 ჩემივე მისნობის დაფარული აზრი გამიხსნა.
 იფიგენია, ვისაც იგი მოითხოვს მსხვერპლად,
 სულ სხვა ყოფილა და შეცდომით სულ სხვას ვწირავდით.
 ელენე, ვიდრე მენელაოსს მისთხოვდებოდა,
 თეზევსთან იყო საიდუმლოდ ნაქორწინევი,
 ქალი ეყოლა და დაარქვა იფიგენია;
 სანამ ლესბოსში დამალავდა, მე იგი ვნახე
 და ამოვიცან, რა საზარი ხვედრიც ელოდა.
 დღეს იგი მისმა შავბედმა და გიჟურმა ვნებამ
 სულ სხვა სახელით ჩვენს ბანაკში ჩამოიყვანა.
 ახლა აქ არის, მე მიყურებს, ჩემს სიტყვებს ისმენს.
 აი, ვის გვთხოვენ, ელინებო, მსხვერპლად ღმერთები“,
 ბრძანა კალხასმა და გახედა მთელი ლაშქარი,
 ყველა იქ მყოფმა ერიფილეს მიაპყრო მზერა.
 საკურთხეველთან იდგა იგი და, ალბათ, გულში
 წყევლიდა ყველას, მსხვერპლშეწირვა ვინც შეაფერხა.
 სწორედ ეგ იყო, რომ მოვარდა კალხასთან წელან,
 თქვენი გაპარვის საიდუმლო რომ ამცნო ბერძნებს.
 მისმა მალაღმა წარმოშობამ და მწარე ხვედრმა
 თუმცა იდუმალ თანაგრძნობა აღუძრა ყველას,
 მის სიკვდილს მაინც უყოყმანოდ დასტური დასცეს,
 რადგან ტროასთვის არა მსხვერპლი არ ენანებათ.
 კალხასი უკვე შესაპყრობად მიუახლოვდა,

ის იყო, უნდა შეემართა მარჯვენა მასზე,
„შესდექ — უყვია — ბილწი ხელი არ მომაკარო,
სისხლს, გმირებისგან გადმოცემულს, მე თვითონ დავღვრი“
გაშმაგებული სამსხვერპლოზე აიჭრა უმაღ
და საღვთო დანა ორივე ხელით გულში დაიკა.
როგორც კი წითლად შეიღება სისხლისგან მიწა,
მოულოდნელად ცა აგრგვინდა სამსხვერპლოს თავზე,
ჰაერს ერუანტლად დაუარა ქარის შრიალმა,
ზღვა ანმაურდა და გუვუნით მოაწყდა ნაპირს.
ჩვენს წინ თავისით აბრიალდა კოცონი უცებ,
ელვის ხაზებით დასერილი ცა გადაიხსნა
და საღვთო ძრწ ულით შეპყრობილნი ყველაფერს მივხვდით.
ერთმა იქ მყოფმა თვალი ჰკიდა ქალღმერთ დიანას,
ძირს რომ დაეშვა ღრუბლებიდან, შეეხო კოცონს
და კვლავ გაფრინდა ზეცისაკენ, თან წარიტანა
ჩვენგან ნაკმევი სურნელი და ჩვენი ვედრება.
საკურთხეველიდან კმაყოფილი ბრუნდება ხალხი
და ამ საერთო სიხარულში იფიგენია
მარტო დასტირის თავის რაყიფს. გთხოვთ, წამობრძანდეთ,
მეუღლე გელით, თქვენი შვილი რომ ჩაგაბაროთ
და აქილევსიც თქვენი ნახვის სურვილით იწვის.
პელევსის ძეს და საბერძნეთის წინამძღოლს შორის
ისევე დამყარდა მშვიდობა და კეთილგანწყობა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

შევძლებ, ღმერთებო, რომ ოდესმე გადაგიხადოთ
თქვენ და აქილევსს ამ სიკეთის სამაგიერო?

ფ ე ლ რ ა

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

წინასიტყვაობა

აი, კიდევ ერთი ტრაგედია, რომლის სიუჟეტიც ევრიპიდესგანაა აღებული. მიუხედავად იმისა, რომ ევრიპიდესთან მოქმედება სულ სხვა მიმართულებით ვითარდება, მე მაინც ვერ შევძელი არ გადმომეტანა ჩემს პიესაშიც ამ ნაწარმოების სიმღიდრე და მომხიბვლელობა. ფედრას ხასიათის საერთო იდეის გარდა არაფრით რომ არ ვიყო დავალებული ევრიპიდესაგან, მაინც თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მისი წყალობაა, თუკი სცენისთვის რამე გონივრული და ზრძნული მიმიცია. სრულებითაც არ მიკვირს, ამ სახესა და ხასიათს ასეთი დიდი წარმატება რომ ხვდა წილად ევრიპიდეს დროში და ასევე კარგად რომ მიიღო ჩვენმა თანამედროვეობამაც. მას ყველა ის ღირსება გააჩნია, რომელსაც არისტოტელე მოითხოვდა ტრაგედიის გამორჩეულს და რომელსაც თანაგრძნობისა და შეშფოთების გამოწვევა შეუძლია. მართლაც, ფედრა არც მთლად დამნაშავეა, არც მთლად უდანაშაულო. იგი ბედმა და ღმერთებმა გაახვიეს უკანონო ვნებაში და ამ ვნებამ ყველაზე ადრე თვითონ ფედრა შეაძრწუნა. თავისი ვნების დასაძლევად ფედრას მთელი ძალ-ღონის დაძაბვა უხდება და მის გამოყვანებას ისევე სიკვდილი ურჩევნია. მაგრამ როდესაც იძულებულია, გამოამყვანოს თავისი სიყვარული, ფედრას დაბნეულობაცა და მღელვარებაც აშკარად ადასტურებს, რომ მისი დანაშაული ღმერთების რისხვის შედეგია და არა საკუთარი სურვილისა.

მე ისიც კი ვცადე, რომ ჩემი ფედრა ნაკლებად ამზრზენი ყოფილიყო, ვიდრე ძველ ტრაგედიებშია, სადაც იგი თვითონვე გვევლინება იპოლიტის ბრალმდებლად. იმდენი ღვარძლი და სიმდაბლე დავინახე მე ამ ცილისწამებაში, რომ ვერ გავბედე დედოფლისათვის მეთქმევიინებინა, რადგან იგი სხვა მხრივ სათნო და კეთილშობილია. ეს სიმდაბლე ძიძისათვის უფრო შესაფერი მეჩვენა; მას შეიძლება მონური მიდრეკილებებით ახასიათებდეს და დედოფლის სიციოცხლისა და სახელის გადასარჩენად არც სიცრუეს მოერიდება. დაბნეულობასა და განგაშს იმდენად შეუპყრია ფედრა, რომ აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ბოროტებას, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე მზადაა, დაიკვას ღირსება და აღიაროს ჭეშმარიტება.

ევრიპიდე და სენეკა მართლა აბრალებენ იპოლიტს დედინაცვლის გაუპატიურებას („ძალით დაიმორჩილა“). აქ კი მხოლოდ ამგვარი განზრახ-

ვა ედება ბრალად. მე მინდოდა შერცხვენისაგან გადამერჩინა თეზვესი, რათა მაყურებლის თვალში მომხიბვლელობა არ დაეკარგა.

რაც შეეხება იპოლიტის სახეს, ძველადაც საყვედურობდნენ ვერიპოდეს მის ფილოსოფოსობას და ყოვლად უნაკლო ბუნებას, რის გამოც ახალგაზრდა გმირის სიკვდილი აღშფოთებას უფრო იწვევდა, ვიდრე სიბრალულს. ამიტომ საკიროდ ჩაეთვალე, მიმეწერა მისთვის გარკვეული სისულტე და მამის წინაშე, ასე თუ ისე, დამნაშავედ გამომეყვანა, მაგრამ არაფრით არ დამემეტირებინა მისი სიდიადე და სულგრძელობა, რითაც ის ფედრას ღირსებას ინდობს და მსხვერპლადაც ეწირება. მე სისულტეს ვეძახი იმ უნებურ ვნებას, რითაც გამსკვავალულია იგი მამამისის მოსისხლე მტრების ასულისა და დის მიმართ.

არიციას სახე მე არ მომიგონია. ვერგილიუსი ამბობს, რომ იპოლიტმა, მას შემდეგ, რაც ესკულაპმა მკვდრეთით აღადგინა, ცოლად შეირთო არიცია და მისგან ვაჟიც ეყოლა. სხვა ავტორებიც ადასტურებენ, რომ იპოლიტმა იქორწინა და იტალიაში წაიყვანა კეთილშობილი ახალგაზრდა ათენელი ქალი, რომელსაც არიცია ერქვა და რომელმაც იტალიის ერთ-ერთ პატარა ქალაქს თავისი სახელიც მისცა.

ეს წყაროები იმიტომ მოვიშველიე, ზუსტად რომ მიეყოლოდი და დამეცვა თქმულმა. მე არც თეზვესის ამბავი არ შემეცვლია და ზუსტად ისევე გადმოვიცი, რაგორც პლუტარქისა აქვს ნაამბობი.

სწორედ ამ ასტორიკოსთან ვიპოვე საფუძველი იმ მოსაზრებისა, რომლის თანახმად თეზვესი თითქოს ქვესკნელს ჩასულა პროზერპინეს მოსატაცებლად. სინამდვილეში ეს ყოფილა მისი მოგზაურობა ეპირში, აქერონის სათავეებისკენ. პეირითოეს ეპირის მეფის ცოლის მოტაცება ნდომებია, მაგრამ ეპირის მეფეს პეირითოე მოუკვლევინებია, ხოლო თეზვესი დაუტყვევებია. ამგვარად, მე ვცდილობდი, არც ისტორიული სიმართლისთვის მდლალატა და არც ამ მითის სილამაზეს შევებოდი, რაც ასე ამდიდრებს და ასაზრდოებს პოეტურ შთაგონებას. მხოლოდ თეზვესის სიკვდილის ცნობამ, რომელიც ამ ლეგენდარულ მოგზაურობასთანაა დაკავშირებული, გააბედინა ფედრას ის აღსარება, უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რომ ექცა, ამას ვერასოდეს გაბედავდა, ქმრის სიკვდილში ნამდვილად რომ არ ყოფილიყო ღარწმუნებული.

ჭერჭერობით მიინც ვერ ვღიარებ, რომ ეს პიესა ჩემს ტრაგედიებში საუკეთესოა. ასევე მკითხველისთვის და დროისთვის მიმინდვია მისი ღირსეული შეფასება. ერთს კი თამამად ვიტყვი: არც ერთ ჩემს ტრაგედიაში არ ვამოჩენილა სათნოება ასე აშკარად. აქ პატარა შეცდომაც კი მკაცრად ისჯება. დანაშაულზე ფიქრიც დანაშაულივით შეპზარავია. სიყვარულის სისულტე ჰემშარიტ სისულტედ ითვლება. ვნებები მხოლოდ იმიტომ მკლავნდებიან, თავიანთი დამანგრეველი ძალა რომ გვაჩვენონ და მანკიერებაც ისე მკვეთრადაა გამოხატული, რომ გვაიძულებს შევიგნოთ და შევიზიზლოთ მისი სიმანინჯე. კაცმა რომ თქვას, ესაა ერთადერთი მიზანიც ყველა შემოქმედისა, ვინც მაყურებელს ემსახურება ძველი დროის ტრაგიკოსი პოეტებიც მხოლოდ და მხოლოდ ამისკენ ისწრაფოდნენ. მათი თეატრიც

სკოლა იყო, სადაც სიკეთე არ ისწავლებოდა ფილოსოფოსთა სკოლებზე ნაკლებად. აკი თვით არისტოტელემაც ინება დაეწერა წესდება დრამატული პოემისთვის; და არც სოკრატე, უბრძენესი ფილოსოფოსთა შორის, არ თაილობდა ევრიპიდეს ტრაგედიების მოშველიებას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვინატრებდით, რომ ჩვენი ნაწარმოებებიც ყოფილიყვნენ მნიშვნელოვანი და დამრიგებლური იმ პოეტების ნაწარმოებთა მსგავსად. მაშინ კი ნამდვილად შეძლებდა ტრაგედია ბევრი ღვთისმოსავი გულის შემოირიგებას, ამ ბოლო დროს რომ შემოსწყრომია, და მათ წყალობასაც დაიმსახურებდა, თუკი ავტორები მაცურებლის აღზრდაზე დაზედაც ისევე იზრუნებდნენ, როგორც მის გართობაზე ზრუნავენ, და გაამართლებდნენ ტრაგედიის ქეშმარიტ დანიშნულებას.

მოქმედი პირნი

თ ე ზ ე ვ ს ი, ეგეოსის შვილი, ათენის მეფე.

ფ ე დ რ ა, თეზეუსის მეუღლე, მინოსისა და პასიფაეს ასული.

ი პ ო ლ ი ტ ი, თეზეუსისა და ამორძალების დედოფლის, ანტიოპეს ვაჟი-შვილი.

ა რ ი ც ი ა, ათენის სამეფო გვარის შთამომავალი.

ე ნ ო ნ ა, ფედრას ძიძა და მესაიდუმლე.

ტ ე რ ა მ ე ნ ი, იპოლიტის აღმზრდელი.

ი ს მ ე ნ ე, არიციას მესაიდუმლე.

პ ა ნ ო ჰ ე, ფედრას ერთ-ერთი მოახლე.

მ ც ვ ე ლ ე ბ ი.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ხ დ ე ბ ა პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ქ ა ლ ა ქ
ტ რ ო ი ძ ე ნ შ ი.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

იპოლიტი, ტერამენი

იპოლიტი

ველარ ვჩერდები ტროიძენში, ჩემო ტერამენ,
დღითი დღე უფრო მეუფლება მტანჯველი სევდა.
სიცოცხლე აღარ შემიძლია მე ამ ქალაქში,
სულს მიწრიალებს წინათგრძნობა... მეექვსე თვეა,
რაც მამაჩემი არ მინახავს და არც ის ვიცი
მაცდურმა ბედმა სად გარყა, რა შეამთხვია.

ტერამენი

სად გინდა მაინც, რომ ეძებო? შენმა წუხილმა,
შენმა გულწრფელმა მღელვარებამ და შეშფოთებამ
მეც მომატარა ორივე ზღვა, ვეძებე ყველგან
და რაც მე ვნახე, ალბათ, ქვეყნად ბევრს არ უნახავს.
აქერონამდეც მივაღწიე. მისი ზვირთები,
მკვდართა ქვეყნისკენ მიმავალი, ვიხილე თავად.
ვნახე ელიდაც და ტენარიც. ის წყლებიც ვნახე,
ფრთებშეტრუსული იკაროსი სადაც ჩავარდა,
სადღა აპირებ ახლა წასვლას? ან არის სადმე
ის ბედნიერი კუთხე, მხარე, ანდა ქვეყანა,
რომ არ მომეგლოს, არ მეძებნოს მეფე და მამა?
უფრო მეტს გეტყვი: სრულებითაც არ ცდილობს იგი
თავისი მყუდრო თავშესაფრის გამომქლავნებას.
იქნებ არც უნდა, რომ ვეძებოთ მისი გზა-კვალი?

ალბათ, გვიმალავს ახალ ტრფილს და გატაცებას,
თვალახვეული სიყვარულის ნისლით თვითონაც.
ჩვენ კი აქ შიშით გვაკანკალებს.

იპოლიტი

კმარა, ტერამენი

მას სათაკილო საქმე ვედარ შეაფერხებდა.
აღარ აპყვება ახალგაზრდულ ცდუნებებს იგი,
ფედრამ დააცხრო ცვალებადი მისი ბუნება
და ვერც ვერავის წარმოიდგენს ფედრას მეტოქედ.
მე უნდა ვალი მოვიხადო მშობლის წინაშე
და მივატოვო ეს ქვეყანა, სადაც ცხოვრება
არ შემიძლია.

ტერამენი

როდის მერე შეგძულდა ასე
ქვეყანა შენთვის საყვარელი გაჩენის დღიდან?
განა შენ თვითონ არ არჩიე ეს წყნარი მხარე
ათენის მდიდრულ სასახლეთა ფუსფუსს და ბრწყინვას.
რას გაურბიხარ ამ ქვეყნიდან: ხიფათს თუ სევდას?

იპოლიტი

რაც იყო — გაქრა. და ცხოვრებაც გამოიკვალა,
როცა ასული მინოსის და პასიფაესი
ჩვენს სამეფოში გამოგზავნეს თვითონ ღმერთებმა.

ტერამენი

მე მესმის შენი. შენი სევდაც გასაგებია.
მართლაც ძნელია დედინაცვლის ჭერქვეშ ცხოვრება.
ის ხომ შენს მიმართ თავიდანვე განეწყო მტრულად,
შენს განდევნასაც მიაღწია, მაგრამ თანდათან
ხომ დაცხრა მისი უსაფუძვლო ზიზღი და რისხვა?
დრომ გაანელა. ანდა რაღას უნდა ელოდე
მომაკვდავისგან, სიკვდილი რომ უნდა თვითონაც.
ის ავადაა. თუმცა მალავს ავადმყოფობას,
მაგრამ ამ სენმა ისე მწარედ დარია ხელი,

რომ აღარ შესწევს აღარც გული და აღარც ძალა
თავის ვერაგულ განზრახვათა აღსასრულებლად.

ი პ ო ლ ი ტ ი

არა, მე ახლა მისი მტრობა სულ არ მაშინებს.
არც დაგიმალავ, ჩემი წასვლის მიზეზი სხვაა.
მე არიციას გავუბივარ, მან გამაძევა,
ჩვენი ოჯახის ძველთაძველი მტრების ასულმა.

ტ ე რ ა მ ე ნ ი

არ იმსახურებს, მეფის შვილო, შენს რისხვას იგი.
თუმცა მრავალჯერ გაგამწარეს პალანტიდებმა,
ძმების მაგივრად რატომ უნდა აგოს პასუხი?
ნუთუ შენ მტრობით უპასუხებ მის სათნოებას?

ი პ ო ლ ი ტ ი

ასე რომ იყო, არც გაქცევას არ ვეცდებოდი.

ტ ე რ ა მ ე ნ ი

მე აღარ ვიცი, როგორ ავხსნა შენი ქარაგმა.
ან იქნებ უკვე აღარა ხარ ის იპოლიტი,
მტერი რომ იყო სიყვარულის და იმ უღლისა —
გმირი თეზევსი ასე ხშირად ქედს რომ უხრიდა.
იქნებ ქალღმერთმა შენი გულიც მოინადირა?
რომ გაამართლოს შვილის თვალში მამის ცხოვრება,
რომ ჩაგაყენოს ჩვეულებრივ მოკვდავთა რიგში
და გაიძულოს მოწიწება და ერთგულება?
გამოტყდი, ვინმე ხომ არ გიყვარს?

ი პ ო ლ ი ტ ი

შენ მაინც იცი,

რომელი ღმერთი აირჩია შენმა გაზრდილმა
და განა შეძლებს, რომ უარყოს მან ძველი რწმენა?
მე სიამაყე შევიწოვე დედის ძუძუდან.
მე ამორძალმა გამაჩინა. მერე თვითონაც
ამ სიამაყით არაერთხელ აღვტაცებულვარ.

მერე შენთან ვარ, შენგან ვიცი, რაც ვიცი ახლა.
შენ მომიყევი მამაჩემის მთელი ცხოვრებაც.
და გახსოვს, ალბათ, მისი გზები და გამირობანი
როგორ ანთებდა და აწრთობდა ჩემს ჩეილ გონებას.
ჩემი არსება სამუდამოდ მოხიბლა გამირმა.

ის ხომ ჰერაკლეს შეენაცვლა ხალხის იმედად.

ახლა ისაა ავაზაკთა მეხი და რისხვა;

აჰა, ბუმბერაზ პერიფეტეს გაუპო კეფა,

აჰა, სინისის, სკირონის და პროკრუსტეს სულმაც
სამარადისოდ მიაშურა ქვესკნელის წყვედიადს.

და აი, კრეტაც! მინოტავრის სისხლში მოსერილი,
გამოდის გამირი აშმორებულ ლაბირინთიდან.

შენ ისიც გახსოვს, როგორ მკლავდა, როგორ მინდოდა,
რომ მოკლედ გეთქვა, ანდა ჩემთვის სულაც არ გეთქვა,
იმ სიყვარულზე, ის რომ ყველგან ფლანგავდა უხვად.

როგორ მინდოდა, ამომეგდო მასსოვრობიდან

მიტოვებული არიადნეს უსაზღვრო სევდა,

ანდა ელენეს გატაცება და მერე ფედრაც

და სხვაც მრავალი, თვითონაც რომ არ ახსოვს ახლა.

და ნუთუ უნდა გავეხვიო მეც იმ ბადეში?

ნუთუ ღმერთები ისურვებენ ჩემს დაკნინებას?

ვინ გაამართლებს ამ ჩემს გრძნობას, ვნებას და ცოდვას?

ჩემი ცხოვრება მამაჩემის ცხოვრებას არ ჰგავს,

მე არც ურჩხული არ მომიკლავს, არც ავაზაკი,

არც უფლება მაქვს, რომ შევცოდო თეზევსის მსგავსად.

მაგრამ რომ შეეძლო და დავთრგუნო ეს სიამაყე,

როგორ ვეახლო არიციას, ძლეული მისგან?

ან როგორ უნდა დავივიწყო, თუ გიყი არ ვარ,

რომ ჩვენ არასდროს არ მოგვემენ ცოლქმრობის ნებას.

ის ხომ თეზევსმა საშინელი წყევლით დაწყველა

და გათხოვებაც აუკრძალა, რომ სამუდამოდ

ამოიკვეთოს პალანტიდთა შთამომავლობა.

განწირულია არიცია თეზევსის ხელში,

ის ტყვეობაში გადაეგოს უნდა ქალწულად.

ან იქნებ მირჩევ, ავუჯანყდე საკუთარ მამას,

რომ ამის მერე ურჩობაში მომზადონ სხვებმაც
და ხელში მივცე სიყმაწვილე უგონო ვნებას...

ტერამენი

თუ სიყვარულმა მოგაკითხა, ხელმწიფევე ჩემო,
აზრი არა აქვს ამ სჯა-ბაასს, არ ისმენს ზეცა.

შენ ხომ თვალები ავიხილა თვითონ თეზევსმა
და სასურველი გაგიხადა, რაც აგიკრძალა.

ბოლოს და ბოლოს, რატომ გაკრთობს ეს სიყვარული?

ან რატომ უნდა შეაქციო ზურგი ამ ბადაგს?

იქნებ ჰერაკლეს მაგალითმა შეგაყოყმანა?

ვინ არ მიიღო ვენერასგან ეს ტკბილი ძღვენი,

ან იპოლიტი ახლა თვითონ სად იქნებოდა,

რომ სიყვარულის კეთილ ქალღმერთს ეს წმინდა გრძნობა

მისი ამაყი დედის გულშიც არ ჩაენერგა?

მაგრამ ჩვენს კამათს ახლა მართლა არა აქვს აზრი:

გამოტყდი, შენ ხომ უკვე სხვა ხარ?! ეს ბოლო დროა

ყველას გაურბი, ერიდები და ძველებურად

არ დააგელვებ ეტლს ტოლებში. შენი მარჯვენა

აღარ აოკებს ველურ ცხენებს. ტყეს და ხეობას

დიდი ხანია ენატრება შენი ყიჟინა.

სულ სხვა ცეცხლია შენს თვალებში და კარგად ვიცი,

რაც ჰქვია ამ ცეცხლს, რისგან ჩნდება, რა შეუძლია.

შენ უკვე ტყვე ხარ მშვენიერი არიციასი

და მალავ, მაგრამ დამალული გაწამებს ვნება.

იპოლიტი

დროა, ტერამენ — მამაჩემი უნდა მოვნახო.

ტერამენი

ჩემო ხელმწიფევე, ალბათ, ფედრას მოინახულებ
გამგზავრებამდე.

იპოლიტი

რა თქმა უნდა, მე უკვე მზად ვარ
დავემშვიდობო, როგორც წესი მოითხოვს ჩემგან.

მაგრამ ენონას რა ატირებს, რა შემთხვევია?

გამოსვლა მეორე

იპოლიტი, ტერამენი, ენონა

ენონა

ენა ვერ იტყვის ჩემს გასაჭირს და მწუხარებას!
მიკვდება ჩემი დედოფალი, თვალწინ მიკვდება.
თავზე ვადგავარ დღე და ღამე, მაგრამ ვერ ვშველი,
ან რას ვუშველი, ეწიზლება საწყალს ქვეყანა.
ვერ გამიგია, რა ცეცხლი სწვავს, რა სატივიარი,
ანდა რა ფიქრი უწრიალებს სულს და გონებას.
ველარც საწოლში ვერ ვაჩერებ, შექამა სევდამ
და შეშლილივით იწევს გარეთ, ვერ მოვრევივარ,
ან როგორ უნდა დავუშალო... აგერ, თვითონაც.

იპოლიტი

ჩვენ კი, ჯობია, გავერიდოთ, რადგან დედოფალს
სიამოვნებას არ მოუტანს ჩემი დანახვა.

გამოსვლა მესამე

ფედრა, ენონა

ფედრა

აქ შევისვენოთ, მომიცადე, ჩემო ენონა.
სულს ველარ ვითქვამ, სიარული არ შემძლია,
თვალეზიც მტკივა, დღის სინათლეს გადაჩვეული
და ვაი, ფეხებს აღარ ძალუძთ ჩემი ტარება.
(ჯდება.)

ენონა

დიდო ღმერთებო, გადმოგვხედეთ, გვაკმარეთ ტანჯვა!

ფედრა

ლამის დამახრჩოს ტანსაცმელმა და ეს ნაწნავიც

ჩემს სატანჯველად დამიგრაგნეს თავზე ამგვარად.
ყველა მტერია, ვეჭავრები ამქვეყნად ყველას.

ენონა

თავის თავს ებრძვის. აღარ იცის, რა ქნას, რა უნდა.
განა შენ თვითონ არ მთხოვ ხოლმე, რომ მოგრთო ასე,
როდესაც სევდას და სატკივარს ვერ მორევიხარ?
და ძველებურად მხიარული და აღგზნებული
არ ჩქარობ ხოლმე, რომ ეჩვენო ისევ ქვეყანას?
მერე კი შიშით ეფარები ოთახის წყვილიადს
და სიძულვილით წყვევლი ხოლმე დღის სინათლესაც.

ფედრა

ბრწყინვალე მამავ, მე ვარ შენი შთამომავალი,
შენგან გამომყვა მწუხარებაც, სევდაც და ჭმუნვაც.
ახლა ჩემს გამო რომ გაწითლდი, ო, დიდო მზეო,
დღეს შენი სახე უნდა ვნახო უკანასკნელად.

ენონა

მინც რით ველარ ამოიგდე ეგ მწარე ფიქრი?
ან დროზე ადრე რატომ უნდა აჩუქო მიწას
და რატომ უნდა შეაქამო შენი მშვენიება?

ფედრა

ღმერთებო! ისევ წამიყვანეთ უსიერ ტყეში.
როდისღა ვნახავ კეთილშობილ მტვერში გახვეულს
ბრწყინვალე ეტლის თავისუფალ და თამამ ქროლვას.

ენონა

რაო? რას ამბობ?

ფედრა

ოჰ, ღმერთებო, სადა ვარ ახლა?
სად გამიტყუა მეოცნებე ჩემმა გონებამ?
თუმცა გონება აღარცა მაქვს, დაეკარგე ისიც.
სირცხვილის ცეცხლმა ამიღეწა სახე, ენონა.

მინდოდა, მაგრამ ვერ დავმალე ჩემი შერცხვენა
და, მსურს თუ არა, თვალი მაინც ცრემლით მევსება.

ე ნ ო ნ ა

შენ მხოლოდ შენი სიჩიუტის უნდა გრცხვენოდეს,
ის გიორკეცებს მწუხარებას, ტანჯვას და სევდას.
გონება მართლა დაგიბნელდა: თავს იკლავ ძალით.
ალარც მე მისმენ, ყველაფერი წყალში მეყრება.
ძალით სიკვდილი, მე თუ მკითხავ, დიდი ცოდვია,
მან უკეთ იცის, როდის მოვა და ვისთვის მოვა.
აგერ, მესამედ ესევენება უკვე მნათობი,
სამი ლამეა, რაც შენ თვალი არ მოგიხუჭავს.
სამჯერ შეცვალა განთიადმა ლამის წყვდიადი,
მესამე დღეა, პირში ლუკმა არ ჩაგიდვია.
მაინც რა მოხდა, ვინ დაგწყევლა, რა უემურია,
ასე რომ გტანჯავს? ან ვინ მოგცა სიკვდილის ნება?
ნუ გავარისხებთ, თვითნებობა არ უყვართ ღმერთებს.
ნუ უღალატებ ქმარს და შვილებს, ეს ღალატია
ან როგორ უნდა გაიხარონ შენმა შვილებმა?
აბა, დაფიქრდი, დაუკვირდი: შენმა სიკვდილმა
შენი ტახტისკენ ხომ გაუხსნა ხელ-ფეხი ისევ
სკვითის ნაშიერს, ის ხომ შენი დიდი მტერია,
ის იპოლიტი...

ფ ე დ რ ა

ღმერთო ჩემო!

ე ნ ო ნ ა

ხომ მოგვცდა გულზე?

ფ ე დ რ ა

როგორ გაბედე, უბედურო, მისი ხსენება!

ე ნ ო ნ ა

ხედავ? სახელის გაგონებაც არ შეგიძლია.
მეც გამახარა შენმა რისხვამ და სიძულვილმა.
თუნდაც ამ დიდი ვალის გამო უნდა იცოცხლო,
სკვითი მხევალის ნაშიერი რომ არ დაუსვა

შენს შვილებს მეფედ და ბრწყინვალე მთელს ელადაში
არ დაამცირო თქვენი გვარის შნო და დიდება.
მაგრამ იცოდე, ძვირფასია ყოველი წამი,
გახსენი სახე, დაიბრუნე ძველი მხნეობა
და მტერს მიხედე, სანამ შეგწევს გული და ღონე,
სანამ სიცოცხლე შენში სულ მთლად არ ჩაფერფლილა.

ფ ე დ რ ა

ისეც გრძელთა სამარცხვინო დღეების რიგი.

ე ნ ო ნ ა

რომელ სირცხვილზე ლაპარაკობ? რა ცოდვა შენ გაქვს,
იქნებ ხელები დაგიმძიმა უმანკო სისხლმა?

ფ ე დ რ ა

არა, ცის მაღლით ჯერ სუფთაა ჩემი ხელები.
ნეტავი ასე უცოდველი სულიც მქონოდა.

ე ნ ო ნ ა

მე რას მიმაღავ, რა გაწუხებს, რა გკლავს ასეთი,
რომ ვერც კი გითქვამს, გაგაგიჟოს ლამის ნალველმა.

ფ ე დ რ ა

რაც ითქვა, ითქვა! ნულარაფერს ნუ მათქმევინებ,
ისევ სიკვდილი მიჩვენია ამ აღსარებას.

ე ნ ო ნ ა

კარგი, ნუ მეტყვი, თან წაიღე ეგ საიდუმლო!
მაგრამ იცოდე, არ ვიტირებ შენს სარეცელთან.
ბეწვზე ჰკიდია თუმცა უკვე შენი სიცოცხლე,
ენონა ნახავს შენზე ადრე მკვდართა ქვეყანას.
ათასი გზაა მიმავალი იმ ქვეყნისაკენ
და მე მათ შორის უმოკლესის შევძლებ არჩევას.
გულქვა ყოფილხარ! განა ასე უყვარდი ვინმეს?
შენს იქით ცა არ დამინახავს, არც მიძებნია
და ესლა ერგო საფასურად ჩემს ერთგულებას?

ფ ე დ რ ა

რატომ მაწვალე, ან რატომ მთხოვ ასე ჭიუტად?
ჩემი ნათქვამი შეგაძრწუნებს სიკვდილზე მეტად.

ე ნ ო ნ ა

თვალწინ მიკვდები, ვერაფერი ვერ მიშველია —
ისეთს რას მეტყვი, რომ დაჩრდილოს ეს მწუხარება.

ფ ე დ რ ა

კარგი, გაგიმხელ, რახან ვკვდები, მაგრამ იცოდე,
რომ მე ორმაგად დამნაშავე მოგეკვდები ახლა.

ე ნ ო ნ ა

გაფიცებ შენთვის დაღვრილ ცრემლებს, შენს გამო დაღვრილს
და ამ მორთოლვარე მუხლებს, მე რომ ვეხვევი ახლა,
ბოროტი ეჭვი მომამორე, თუ შეგიძლია.

ფ ე დ რ ა

ადექი, გეტყვი.

ე ნ ო ნ ა

აჰა, გისმენ! მითხარი ჩქარა!

ფ ე დ რ ა

როგორ ვთქვა, ცაო, მომეხმარე, მაჩუქე სიტყვა.

ე ნ ო ნ ა

გული მომიკლა, რომ იცოდე, შენმა ყოყმანმა.

ფ ე დ რ ა

დიდო ქალღმერთო! შენმა ძალამ და მრისხანებამ
არც დედაჩემი არ დაინდო და შეარცხვინა.

ე ნ ო ნ ა

ნუ გაეიხსენებთ იმ სიყვარულს. დე, სამუდამოდ
დაფაროს იგი ღუმილის და წყვედიადის ფარდამ.

ფ ე დ რ ა

ო, არიადნე! სიყვარულმა რა მოგიტანა
ტანჯვის, შერცხვენის და საზარელ სიკვდილის გარდა.

ე ნ ო ნ ა

ნურც დას ახსენებ, დაასვენე. ან რისთვის გინდა
მთელი ოჯახის განქიქება და შეგინება.

ფ ე დ რ ა

თურმე მე უნდა მოვმკვდარიყავ ყველაზე ბოლოს,
უბედურიც და შერცხვენილიც ყველაზე მეტად.

ე ნ ო ნ ა

შეყვარებული ხომ არა ხარ?

ფ ე დ რ ა

უგონოდ მიყვარს!

ე ნ ო ნ ა

ვინ გიყვარს?

ფ ე დ რ ა

გეტყვი. შენც ყველაფერს გაიგებ ახლა.
შემზარავია. მიყვარს. ვკვდები... არ შემიძლია...
მიყვარს...

ე ნ ო ნ ა

მითხარი, ნუ მომკალი.

ფ ე დ რ ა

შენც იცნობ კარგად.

ოი, ღმერთებო! ამორძალის შვილია იგი,
მე რომ ვღევნიდი.

ე ნ ო ნ ა

იპოლიტი?

ფ ე დ რ ა

თქვი და გეყოფა!

ე ნ ო ნ ა

დიდო ღმერთებო, გამეყინა ძარღვებში სისხლი
ო, დაწყვეცილო და ცოდვილო გვარო და მოდგმავ!
ო, ბედისწერავ, გარდუვალო, ბრმაო და გულქეავ!
ამ ვერავ ნაპირს ჩვენი ნავი რატომ მოადგა!

ფ ე ღ რ ა

ძველია ჩემი სატკივარი. როცა თეზევსმა
ცოლად შემირთო, მეც ვიფიქრე, რომ ჩემს ცხოვრებას
ველარაფერი შეაკრთობდა და დაარღვევდა.
ან რა ვიცოდი, თუ ათენში მიცდიდა მტერი:
ვნახე და თავგზაც ამერია და იმის მერე
ველარ მიაგნო სიმყუდროვეს შემკრთალმა სულმა.
თვალში სინათლე დამეკარგა, წამერთვა ენა,
ჩაუქრობელი ცეცხლის ალი შიგნიდან მწვავდა.
უკვე ვიცოდი, რას ნიშნავდა ვენერას წყევლა,
ყველგან და მარად ჩვენს უბედურ ჭილაგს რომ სდევდა.
მე მისი რისხვის შერბილება ვცადე ლოცვებით,
დიდი ტაძარი ავუგე და მოვურთე თავად,
მსხვერპლს ვუზიდავდი, არ გამშრალა მის ფერხთით სისხლი,
ვერ დავიბრუნე ვერც სიმშვიდე და ვერც გონება.
ან რითი გინდა უმკურნალო დამღუპველ ვნებას!
სულ ამაოა გუნდრუკის და საკმევლის კმევაც!
სიტყვებით ქალღმერთს მივმართავდი, მაგრამ ჩემს სულში
ის იდგა მხოლოდ, იპოლიტი, და ღმერთის დარად
მე ყველაფერი მარტო მისთვის მიმქონდა მსხვერპლად.
სახელს ვმალავდი, მაგრამ მისთვის ვიდექი ლოცვად.
თავს ვარიდებდი, გაუფრბოდი... და ღმერთო ჩემო!
მამის სახეშიც შეილს ვხედავდი, კვალდაკვალ მსდევდა.
და ბოლოს ჩემს თავს ავუჩანყდი, ვიპოვე ძალა
და მტრობით თავი მოვაბეზრე შეყვარებულმა.
ვიხმარე ავი დედინაცვლის ყველა ხრიკები
და გავაძევე, უბედური, მამის სახლიდან.
ამოვისუნთქე ერთი წუთით და ჩემს ცხოვრებას
კვლავ დაუბრუნდა ძველებური უცოდველობა.
გულში ვმალავდი ჩემს სატკივარს, თუმცა მეუღლის

მოვალეობას ვუსრულებდი ჩემს ქმარს მორჩილად.
 მაგრამ მკაცრია ბედისწერა! და აი, თვითონ
 ჩამომიყვანა ამ ქალაქში მეუღლემ ჩემმა.
 ისიც აქ დასხვდა, ჩემი მტერი, ჩემგან დევნილი,
 და ისევ მალე გახსნა პირი ძველმა იარამ.
 აღარ გიზგიზებს ჩემს მხურვალე ძარღვებში ცეცხლი,
 რადგან მთლიანად შემიწირა უკვე ვენერამ.
 მე ჩემმა ცოდვამ შემადრწუნა და დამიჯაბნა,
 მე ჩემი ვნების მეშინია და მძულს ქვეყანა.
 მსურდა სიკვდილით დამეთარა პატიოსნება
 და არავისთვის ვამემხილა. ეს ჩემი ვნება,
 მაგრამ მომტეხა შენმა რისხვამ და შენმა ცრემლმა
 და გაგიმხილე ყველაფერი, გულზეც მომეშვა,
 მაგრამ დავრწმუნდი, რომ სიკვდილი ხსნა არის მართლა.
 საყვედურებით აო ამავსებ მომაკვდავს, ალბათ,
 და არც ეცდები ძველებურად და შენებურად
 ჩამქრალ სიცოცხლის დაბრუნებას და გაღვივებას.

ბანოსვლა მერთხე

ფედრა, ენონა, პანოპე

პ ა ნ ო პ ე

ცუდი ამბავი მოეუტანე მე ჩემს დედოფალს,
 თქმაც კი ძნელია, მაგრამ მაინც ვერ დაგიმაღლავთ:
 სიკვდილს ემსხვერპლა ყოვლისშემძლე თქვენი მეუღლე
 და ეს ამბავი უკვე ყველამ იცის თქვენს გარდა.

ე ნ ო ნ ა

გესმის, რას ამბობ?

პ ა ნ ო პ ე

იმას ვამბობ, რომ დედოფალი
 უკვე ტყუილად ელოდება ქმრის დაბრუნებას.
 დღეს ბევრი გემი შემოვიდა ჩვენს ნავსადგურში
 და ეს ამბავი იპოლიტსაც იქ გაუგია.

ფ ე ლ რ ა
ოი, ღმერთებო!

პ ა ნ ო პ ე

ახალ მეფეს ითხოვს ათენი.
ზოგს, დედოფალო, თქვენი შვილის მეფობა უნდა,
ზოგიც, ვინც უკვე დაივიწყა თქვენი კანონი,
მეფედ ველური ამორძალის ვაჟს ელოდება.
უფრო მეტს გეტყვით: ბევრმა ისე დაკარგა თავგზა,
რომ მოინდომა არიციას ტახტზე აყვანა.
ესეც ჩემს ვალად მივიჩნიე და მოგასხენებთ,
რომ იპოლიტი ემზადება გასამგზავრებლად
და თუ გამოჩნდა აღელვებულ ათენში იგი,
შეძლებს კიდევაც უგნურ ხალხის გადაბირებას.

ე ნ ო ნ ა

კმარა, პანოპე! დედოფალმა გაიგო კარგად
და უკეთ განსჭვრეტს ამ დიდ საქმეს მისი გონება.

გამოსვლა მახუთი

ფელრა, ენონა

ე ნ ო ნ ა

თავს ვანებებდი, დედოფალო, მე უკვე ბრძოლას.
დავთმე კიდევაც, შევეგუე შენს მწუხარებას
და მხოლოდ სიკვდილს ვაპირებდი მეც შენთან ერთად,
მაგრამ ამ ცნობამ ყველაფერი შეატრიალა.
და შენი ბედიც შეიცვალა მოულოდნელად.
ხელმწიფე მოკვდა და შენ უნდა შეცვალო იგი,
ხელმწიფე მოკვდა — შენ კი მისი შვილის დედა ხარ.
ნუ დაივიწყებ ამ უწმინდეს მოვალეობას:
შენს ხელში ისიც ხელმწიფეა, უშენოდ — მონა.
შენს მეტი ვინ ჰყავს, ვინ გაუწევს მას მფარველობას?
ვის შეუწუხებს მისი ცრემლი გულს და გონებას?

მკედრებსაც მისწვდება უპატრონო ბავშვის ტირილი
 და წინაპრები დაწყევლიან უგულო დედას.
 უნდა იცოცხლო! ნუ გაწუხებს ნულარაფერი,
 დანაშაული აღარ ჰქვია ახლა შენს ვნებას.
 შენი ცოდვილი სიყვარულის კვანძი და ხლართი
 თავის სიკვდილით გახსნა ბოლოს თვითონ თეზეცსმა.
 იპოლიტს უკვე შეგიძლია არ მოერიდო,
 მიიღე კიდევ მეგობრულად, ჩვეულებრივად,
 თორემ ვინ იცის, შენს მტრობაში დარწმუნებულმა,
 შენს ტახტს და გვირგვინს აუჯანყოს მთელი ქვეყანა.
 დაიხლოვე, აუხსენი, გადაარწმუნე,
 მემკვიდრეობით ტროიქენი მართლა მისია,
 მაგრამ ათენი შენს მემკვიდრეს ეკუთვნის მხოლოდ
 და ეს, ძვირფასო, იპოლიტმაც იცოდეს უნდა.
 გაერთიანდით, თქვენ საერთო მტერი გყავთ ახლა,
 არიციას თქვენი მტერი, ებრძოლეთ ერთად.

ფ ე დ რ ა

დე, ასე იყოს! დავუჯერებ შენს დარიგებას.
 იყოს სიცოცხლე, თუკი შეეძლებ მის დაბრუნებას
 და თუკი ჩემი დედობრივი მოვალეობა
 ჩემს ტანჯულ სულში მოიპოვებს ცეცხლსა და ძალას.

მ ე ო რ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

არიცია, ისმენე

ა რ ი ც ი ა

იპოლიტს უნდა ჩემი ნახვა? მე მეძებს იგი?
 გამოთხოვება უნდა ჩემთან? არიციასთან?
 გესმის, ისმენე? მართალს ამბობ? ხომ არ გეშლება?

ი ს მ ე ნ ე

თეზევსის სიკვდილს სხვა ამბებიც მოჰყვება, ალბათ, ბევრი მნახველი გაუჩნდება შენს ბრწყინვალეებას, ადრე თუ მოსვლას ვერ ბედავდა თეზევსის შიშით. მალე იხილავ შენს ფეხებთან მთელ ელადანსაც. თავისუფლება მოგვითანა ჩვენ ამ სიკვდილმა.

ა რ ი ც ი ა

თუ ეს ამბავი მართალია და არა ჭორი, აღარ ვარ მონა და ჩემს მტერსაც მიწაში სძინავს.

ი ს მ ე ნ ე

ღიახ, ღმერთებმა ჩვენც მოგვაპყრეს კეთილი თვალი, მკვდართა სამეფოს მიაშურა თეზევსის სულმაც.

ა რ ი ც ი ა

რითი მოკვდაო, რას ამბობენ, რამ მოკლა ნეტავ?

ი ს მ ე ნ ე

ათასგვარ რამეს ამბობს ხალხი, როგორც ყოველთვის: ამბობენ თითქოს დაიხრჩოო, ზღვაში დამხრჩვალა, როდესაც იგი თავის მორიგ მსხვერპლს იტაცებდა. სხვები ამბობენ, თითქოს თავის ძმობილთან ერთად, გიჟურ განზრახვით შეპყრობილი ქვესკნელს ჩასულა, მიუღწევიათ კოციტოსის ნაპირებამდე, სულებთან ერთად მოუვლიათ მკვდართა ქვეყანა. მაგრამ ვინც ერთხელ გადასცდება ჰადესის ზღუდეს, ველარასოდეს ვერ იხილავს მზის ბრწყინვალეებას.

ა რ ი ც ი ა

ვერ დავიჯერებ, რომ შეეძლოს ამ ქვეყნის მცხოვრებს, თუკი არ მოკვდა, მიწისქვეშა სამეფოს ხილვა. ან რის გულისთვის ჩავიდოდა თეზევსი ქვესკნელს?

ი ს მ ე ნ ე

ის აღარ არის, უკვე დროა რომ დაიჯერო.

ათენი გლოვობს. ტროიქენიც დაუფარავად
უკვე იპოლიტს ასახელებს თავის ხელმწიფედ.
და დედოფალიც, შვილის ბედით შეწუხებული,
მეგობრებისგან ელოდება რჩევას და შველას.

ა რ ი ც ი ა

მაგრამ რა იცი, რომ მამაზე ლმობიერია
ვინც ტროიქენში გამეფდება თეზევსის ნაცვლად?
მომხსნის ბორკილებს?

ი ს მ ე ნ ე

რა თქმა უნდა. მე ასე მჭერა.

ა რ ი ც ი ა

ვითომ არ იცნობ იპოლიტის ამაყ ბუნებას.
რის იმედი გაქვს? პატივს რომ მცემს, რატომ გგონია?
ის ხომ საერთოდ არ სცემს პატივს ქალების მოდგმას.
პირიქით. როგორ გვერიდება შენც ამჩნევ, ალბათ,
სადაც ჩვენა ვართ, იპოლიტი იქ არ იქნება.

ი ს მ ე ნ ე

მეც ბევრი რამე გამიგია თეზევსის შვილზე
და ისიც ვიცი ხალხში მასზე რასაც ჰყვებიან.
ამიტომ მუდამ გულისყურით ვაკვირდებოდი
და ის შევნიშნე, რაც არავის შეუმჩნევია.
სხვა კაცი ვნახე შენ წინ მდგარი, სხვა იპოლიტი,
მუხლი მოკვეთა, დააბნია შენმა დანახვამ,
ცდილობდა აღარ შეეხედა, მაგრამ თვალები
მთლად აურია იღუმალმა და დიდმა ვნებამ.
მას ჯერ რცხვენია აღიაროს ეს სიყვარული,
თუმცა თვალებზე უკეთესად რას იტყვის ენა.

ა რ ი ც ი ა

ჩემო ისმენე, გამახარა შენმა ნათქვამმა,
მაგრამ რამდენად მართალი ხარ, ვინ გვეტყვის ახლა.
აბა, მითხარი, შემიძლია რომ დავივიწყო
მარად ტანჯული უკუღმართი ჩემი ცხოვრება .

და განვიცადო სიყვარულით თავდავიწყება?
ჩვენს ოჯახიდან, ვისაც გეა ჰყავდა წინაპრად,
მე გადავურჩი მხოლოდ ომის საშინელებას,
ექვსი ძმა მყავდა, მიწაშია ახლა ექვსივე,
დაიქცა ჩვენი დიდი გვარი და გადაშენდა.
ბასრმა მახვილმა განუგმირა ექვსივეს მკერდი,
მიწაც ტიროდა, ჩემი ძმების სისხლს რომ იწოვდა.
არც კი აცალა გაციება გვამებს თეზევსმა,
მეც დამატყვევა და რომ უფრო მშვიდად ეცხოვრა,
კანონის ძალით ამიკრძალა დაქორწინება,
რადგან იცოდა და შიშობდა, რომ ჩემი ვნება
მისთვის საზარელ ძმათა ჯილბას გააგრძელებდა.
მე კი ზიზღს მგერიდა მისი შიში, შენც გახსოვს კარგად,
უაზრო იყო მისი ექვიც და შემფოთება:
მე არ შემეძლო სიყვარული. და ეს ტყვეობა
უფრო ნუგეში იყო ჩემთვის და არა ტანჯვა.
მაშინ... ო, მაშინ არ მენახა ჯერ იპოლიტი!
არა, მე მისმა სილამაზემ კი არ მომხიბლა,
რითაც ის უხვად შეუმკია თვითონ ბუნებას,
რასაც თვითონაც დამცინავად უყურებს, ალბათ,
და თვლის არაფრად, რადგან მართლაც არაფერია.
მე მასში მიყვარს, რაც მამისგან კარგი გამოჰყვა,
რაც მამისთვისაც საქებარი იყო ნამდვილად.
მე მისი ლალი სული მიყვარს, თავისუფლება,
ჯერ რომ უღელი არ დაუდგამს და არც დაიდგამს.
დე, ისევ ფედრას უხაროდეს თეზევსის ვნება.
მე სხვანაირად ვარ ამაყი და სულ არ მინდა,
მწყალობდეს იგი, ვინც ასევე წყალობდა სხვებსაც,
არც გული მინდა, ყველასათვის თუკი ღიაა.
ის, რაც არ ტყდება, გადატეხავს მას სიჭიუტე:
უგრძნობელ სულმა უნდა იგრძნოს მტანჯველი სევდა
და სიყვარულის ბორკილებში ის უნდა გყავდეს,
ვისაც არასდროს განუცდია ამგვარი გრძნობა.
აი, რა მინდა, რა მწყურია, რა მენატრება!
მაგრამ ჰერაკლეს უფრო ადრე დავამარცხებდი,
ვიდრე... რას კამბობ?| ყველაფერი სისულელეა.

ჩვენს შორის ბევრი კედელია, ბევრი თხრილია.
და ჩემი გულიც, ალბათ, კიდევ დიდხანს იკვნესებს —
ის იპოლიტის სიამაყემ დაიმორჩილა.
რა სასწაული უნდა მოხდეს მართლაც ისეთი,
რომ შევუყვარდე...

ი ს მ ე ნ ე

თვითონ გეტყვის, ნუ გეშინია.

გამოსვლა მერაბ

იპოლიტი, არიცია, ისმენე

იპოლიტი

გამგზავრებამდე არ შემიძლო, რომ არ მენახეთ.
ვალად ჩავთვალე მოვსულიყავ და მეტყვა თქვენთვის,
რომ მამაჩემი აღარ არის. მე უფრო აღრეც
მიგრძნობდა გული, რადგან კვლიც გაქრა სრულიად.
სიკვდილის გარდა ვის შეეძლო, რომ შეეწყვიტა
მისი საქმენი სასახელო და საგმირონი.
ის ჰადესშია. მიაშურა ქვესკნელის წყვედიადს
დიდი ჰერაკლეს თანამგზავრმა და მეგობარმა.
მის სილიადეს, რა თქმა უნდა, თქვენც აფასებდით
თქვენი მტრობის და სიძულვილის მიუხედავად.
ერთი იმედი მიმსუბუქებს ამ მწუხარებას,
რომ შეიცვლება თქვენი მწარე ხვედრიც დღეიდან.
აღარ არსებობს უკვე თქვენთვის შკაცრი კანონი
და თქვენი თავის მბრძანებელი თქვენვე ხართ ახლა.
ტროიძენში კი, რაც მე შერგო მემკვიდრეობით
და სადაც მეფედ მალიარებს დღეიდან ყველა,
თავისუფლებით ისარგებლებთ თქვენ ჩემზე მეტად.

არიცია

თქვენმა სიტყვებმა დამაბნია, ავლელდი კიდევ.
კეთილშობილი ეს განზრახვა და გულუხვობა

მავალდებულებს თქვენს წინაშე მე უფრო მეტად,
ვიდრე კანონი, თქვენი ნებით დღეს რომ გაუქმდა.

იპოლიტი

ახლა ათენში კამათია: მეფეს ირჩევენ.
თქვენი სახელიც გაიხსენა ისევ ათენმა.

არიცია

ჩემი სახელი?

იპოლიტი

მე ვერ ავალ ათენის ტახტზე.

მე უცხოელი დედა მყავდა. მაგრამ მეტოქედ
მარტო დედოფლის შვილს რომ ვთვლიდე, მე ჩემს უფლებას
დავაყენებდი მაშინ ყველა კანონზე მაღლა.

მოვალეობით შებორკილა ჩემი სიბრაზე:

მე ტახტს თქვენ გითმობთ, უფრო სწორად, უკან გიბრუნებთ.

თქვენვე გეკუთვნით სკიპტრაც თქვენი დიდი წინაპრის,

გეამ რომ შობა, ის ამ სკიპტრით მართავდა ათენს,

მერე თეზევსი აღიარა მთელმა ათენმა

და მორჩილებდა სახელოვან გმირსა და მეფეს.

ხალხს დაავიწყდა თქვენი ძმების ძველი დიდება,

მაგრამ დღეს უკან გეძახიან ტახტის მემკვიდრეს.

დროა ათენმაც დაისვენოს, ეყოფა სისხლი,

ის საკმარისად დაიღვარა უკვე მიწაზე.

მე აქ დავრჩები, ტროიძენში, ხოლო კრეტაზე

წესის თანახმად, ალბათ, ფედრას შვილი იმეფებს.

მაგრამ ატიკა თქვენ გეკუთვნით. მეც იქ მივდივარ,

თქვენს შესახვედრად მთელი ხალხი რომ გამოვიდეს.

არიცია

გაოცებულმა აღარ ვიცი, რა გიპასუხოთ.

ასე მგონია სიზმარში ვარ, ტკბილ სიზმარს ვხედავ.

თუმცა სიზმარიც არ იქნება ასე კეთილი,

თვითონ ღმერთებმა ჩაგაგონეს ეს ფიქრი, ალბათ.

სიმართლე უთქვამთ ყველაფერი, რაც თქვენზე უთქვამთ,

25. ფრანგული დრამა

მაგრამ ყველაფერს ვერ გამოთქვამს მოკვდავის ენა.
მტრობის მაგივრად მსხვერპლსაც მწირავთ, მე კი მეგონა,
რომ თქვენს დიდ სულში სიძულვილიც ჰპოვებდა ბინას.

ი პ ო ლ ი ტ ი

თქვენს შეძლებას ვერასოდეს ვერ შეეძლებ, ალბათ,
და თუმცა ჩემზე ათასნაირ ზღაპარს ჰყვებიან —
მეც დედაკაცმა გამაჩინა და არა მხეცმა.
თქვენს სილამაზეს ბარბაროსიც ქედს მოუხრიდა
და ვერც მე შეეძლებ გავუმკლავდე მშვენიერებას.

ა რ ი ც ი ა

რა თქვით?

ი პ ო ლ ი ტ ი

ბევრი ვთქვი, საკმარისად ბევრი ვთქვი უკვე.
გულს დაუბყრია დაბნეული ჩემი გონება.
აზრი არა აქვს ახლა დუმილს, გაგიმხელ კიდევ
ჩემს საიდუმლოს, რის დამალვაც არ შემძლებია.
ღიახ, მე ვდგავარ შენს წინაშე, თეზევსის შვილი,
ვინც სიყვარულსაც აუჯანყდა და ქედმაღლურად
გადასცქეროდა ნაპირიდან ვენერას მონებს
და მხოლოდ სევდის ღიმილს ჰფენდა მის პირქუს სახეს
ზღვაში ჩამხრჩვალ მათი ვნება და აღტყინება,
მაგრამ ამ კანონს ახლა ისიც ემორჩილება.
თავი დაკარგა საკუთარი მან ამის ფასად.
თვალს და ხელს შუა გაუფრინდა თავისუფლება.
ერთ წამში იქცა მისი რწმენა არარაობად.
მრცხვენია, მაგრამ წელიწადი გახდება მალე,
რაც გულით ჩუმიად დავატარებ შხამიან ისარს.
ამაოდ ვებრძვი, გულთან ბრძოლა არ შემძლებია.
როცა ჩემთან ხარ — გაგიბივივარ, არ ხარ და გეძებ,
ტყუთა წილშიც თვალწინ მიდგას შენი სახება
და მეც ამაოდ გავურბივარ შენს სილამაზეს,
რითაც სავსეა ჩემი გული... მთელი ქვეყანა.
არ ვიცი სად ვარ, ჩემმა ვნებამ სად მომიყვანა,

თავი დავკარგე და საკუთარ თავს ვეძებ ახლა.
არც ეტლი მახსოვს, აღარც შუბი და მშვილდ-ისარი,
აღარ აგიჟებთ დოღის ცხენებს ჩემი ყიჟინა
და ტყეთა წიაღს ახლა ოხვრით ვაყრუებ მხოლოდ.
ჩემი ველური სიყვარული შენც გაკრთობს, ალბათ,
და, ალბათ, სული შეგიშფოთა ჩემმა სიტყვებმა,
სიყვარულმა რომ ამომგლიჯა გულიდან ძალად.
შენ მოგიძღვენი უცნაური ეს საჩუქარი:
მე ამ ენაზე ვლაპარაკობ ახლა პირველად.
უხეშად ყდერენ, მაგრამ მაინც ენდე ამ სიტყვებს,
რადგან ისინი იპოლიტმა შენგან ისწავლა.

გამოსვლა მისამდე

იპოლიტი, არიცია, ტერამენი, ისმენე

ტ ე რ ა მ ე ნ ი

ჩემო ხელმწიფევე, შენი ნახვა უნდა დედოფალს.
აქეთკენ მოდის.

ი პ ო ლ ი ტ ი

ჩემი ნახვა?

ტ ე რ ა მ ე ნ ი

დიახ, მიბრძანა

მომიძებნეო, საუბარი სწალია შენთან.

ი პ ო ლ ი ტ ი

საკვირველია, რა აქვს ჩემთან სათქმელი ფედრას?

ტ ე რ ა მ ე ნ ი

ნუ ეტყვი უარს, შეასრულე რაც გევალება.
ვიცი რომ გიმძიმს, მაგრამ მაინც შენი ვალია,
რომ თანაგრძნობით მოეკიდო მის მწუხარებას.

ი პ ო ლ ი ტ ი (არიციას)

უკვე მიდიხარ? სამწუხაროდ, მეც მალე წავალ

და ვერ გავიგებ ჩემი ღმერთი რას ფიქრობს ჩემზე,
იქნება რამე ვაწყენინე მას უნებურად?

ა რ ი ც ი ა

კეთილშობილი აღისრულე გულის წადილი
და დამიბრუნე ჩემი მიწა, ჩემი ატიკა.
სიამოვნებით ვიღებ შენგან ყველა საჩუქარს,
მაგრამ იცოდე, რომ ყველაზე ძვირფასი მაინც
ამ საჩუქრებში არც სკიპტრაა და არც ტახტია.

გამოსვლა მერთხა

იპოლიტი, ტერამენა

ი პ ო ლ ი ტ ი

ხომ მზად ხართ უკვე? აგერ ფედრაც. წადი, აჩქარდი,
ხალხი ხომალდზე აიყვანე, მზად იყოს ყველა.
შენ კი მაშინვე გამობრუნდი, ეს საუბარი
რაც უფრო მალე დამთავრდება, უკეთესია.

გამოსვლა მახუთა

ფედრა, იპოლიტი, ენონა

ფ ე დ რ ა (ენონას, სცენის სიღრმეში)
აქ არის... ღმერთო, გამეყინა ძარღვებში სისხლი
და აღარ ვიცი, რის თქმა მსურდა, რამ მომიყვანა.

ე ნ ო ნ ა

შვილი გახსოვდეს, შენ ხარ მისი იმედი ახლა.

ფ ე დ რ ა (იპოლიტს)

მითხრეს ათენში აპირებსო. ვიცი რომ ჩქარობთ,
მაგრამ წუხილმა მაიძულა და მომიყვანა,
რომ შეგავედროთ ჩემი შვილი, აღარ ჰყავს მამა,

მალე დედასაც გამოსტაცებს სიკვდილი, ალბათ.
თავი წამოყვეს უკვე მტრებმა, ის კი ბავშვია
და მისი დაცვა ახლა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.
მაგრამ მე მწარე სინანული სულს მიჩანაგებს,
რადგან თვითონ ვარ დამნაშავე, თუ თქვენი სმენა
დღეს დახშულია მისი სუსტი ხმის მოსასმენად
და თუ მასზედაც გავრცელდება, ჩემი მიზეზით,
სამართლიანი თქვენი ზიზღი და მრისხანება.

იპოლიტი

მე, დედოფალო, არც ასეთი სულმდაბალი ვარ.

ფედრა

ბუნებრივია მე რომ გძულვარ, ვერც გაგამტყუნებ,
მე ხომ გდევნიდი, გაძევებდი, გმტრობდი აშკარად.
მაგრამ შენ ფსკერი არ გინახავს ჩემი სულისა.
მე ხომ ყველაფერს ვაკეთებდი მხოლოდ იმიტომ,
რომ არ შემეძლო ერთი ცის ქვეშ შენთან ცხოვრება.
ყველგან, ყველასთან გამტყუნებდი და გაგინებდი,
ავკრძალე კიდევ ჩემს წინაშე შენი ხსენება.
მაგრამ ეს თუკი გულისთქმია და არა ცოდვა,
თუ სიძულვილით პასუხობენ სიძულვილს მარად,
მაშინ იცოდე, სიბრალულის ღირსი ვარ მხოლოდ
და შენ ვერ დამსჯი, შენ არა გაქვს ამის უფლება.

იპოლიტი

არ შეიძლება არ ზრუნავდეს შვილისთვის დედა,
დედინაცვალს კი გერი გულზე არ ახატია.
ასე ყოფილა ძველთაგანვე, ასეა ახლაც
და ვინც არ უნდა მოეყვანა მამაჩემს ცოლად,
ისიც თქვენსავით ეცდებოდა ჩემს დამცირებას.

ფედრა

ოჰ, ღმერთებს ვფიცავ, რომ ამ ძველს და საერთო კანონს
არ მორჩილებდა არასოდეს ჩემი ბუნება.
მე სულ სხვა გრძნობა მაწამებდა და მაგიყებდა.

იპოლიტი

ნაადრევია იქნებ თქვენთვის ეს მწუხარება:
თქვენი მეუღლე, შეიძლება, კვლავ ცოცხალია:
იქნებ ღმერთებმა შეგვიცოდონ და დაგვიბრუნონ,
ის ხომ ყოველთვის თაყვანს სცემდა ღმერთებს გულწრფელად
და არც ღმერთები არ აკლებდნენ მას მფარველობას.

ფედრა

არა, არავინ არ ჩასულა სულეთში ორჯერ
და ვერც ღმერთები ვერ შეძლებენ მის დაბრუნებას.
თეზევსმა ნახა აქერონის შავი ზვირთები,
ხოლო აქერონს არ სჩვევია მსხვერპლის გაშვება.
თუმცა რას ვამბობ? რა თქმა უნდა, ის არ მომკვდარა,
ის შენში ცოცხლობს, შენში სუნთქავს. მე კიდევ ვხედავ,
მე ახლაც მასთან ვლაპარაკობ და ჩემი გული...
მართლა გავგიჟდი მომიტევე ეს აღელვება.

იპოლიტი

სასწაულს ახდენს სიყვარული, თუ ნამდვილია.
თუმცა მეუღლე აღარა გყავთ, მაგრამ თქვენს გულში
ამ სიყვარულის მწველი ცეცხლი ისევ ანთია.

ფედრა

შენ მართალი ხარ. მე ნამდვილად მიყვარს თეზევსი,
მაგრამ ის არა, ქვესკნელში რომ ჩავიდა ახლა:
ვინების მფლანგველი და უაზრო ტრფიალის მონა,
ვისაც ჰადესის სარეცელის წაბილწვაც სურდა.
მე მიყვარს იგი უშიშარი და პირდაპირი,
ამოუხსნელი რომ ანათებს ფიქრი და სევდა,
როგორსაც ახლა მე ვუყურებ, შემცბარი ოდნავ;
სირცხვილმა ასე შეუფაკლა ლაწვები მასაც,
თეთრი აფრებით როცა იგი კრეტას მოადგა
და მეფის ქალებს გაუჩინა ცრემლი და ოხვრა.
სად იყავ მაშინ? ან რად იყავ ისე პატარა,
რომ არ შეგეძლო მოჰყოლოდი მამაშენს ჩვენთან?
შენ განგმირავდი იმ საზარელ მინოტავრს მაშინ

და არიანდნეც შენ მოგცემდა ძაფის გორგალსაც,
გზა რომ გაგეგნო ლაბირინთის ბნელ ტალანებში.
ო, არაა მაშინ ჩემს დას, ალბათ, მე დავასწრებდი,
მოვიფიქრებდი მასზე ადრე ამ ეშმაკობას,
ან შენს სიცოცხლეს ძაფის გორგალს როგორ ვანდობდი,
მეც შეგყვებოდი ლაბირინთში და შენთან ერთად
ან მოვკვდებოდი ბედნიერი სიკვდილით მშვიდად,
ან სამუდამოდ ავცდებოდი ამ ცეცხლს და ტანჯვას.

იპოლიტი

ოი, ღმრთებო! ეს რა მესმის! თუ დაგავიწყდა,
რომ შენი ქმარი, გმირი ქმარი, ჩემი მამაა?!

ფედრა

მე ყველაფერი კარგად მახსოვს, მაგრამ არ ვიცი,
რით ვიმსახურებ ამგვარ რისხვას და დამცირებას.

იპოლიტი

ო, მომიტევე, დედოფალო, თუ ჩემმა სმენამ
შენი ნათქვამი უნებურად შეატრიალა.
დამნაშავე ვარ. სირცხვილისგან თჯალს ვერ გისწორებ,
უნდა წავიდე...

ფედრა

უღმობელო! შენც იცი კარგად,
რისი თქმაც მინდა, რასაც ვამბობ და რაც ვერ მითქვამს.
აჰა, იხილე სიყარულით შეშლილი ფედრა.
ღიახ, მიყვარხარ! მაგრამ მაინც ნუ გეგონება,
თავს ვიმართლებდე შენს წინაშე ამ სიყვარულით,
ან შეწყალებას ვთხოულობდე, არა და არა!
შენი ჩემდამი სიძულვილი ვერც შეედრება
იმ დიდ სიძულვილს, რითაც მე მძულს ჩემი ცხოვრება.
იმ ღმერთებს ვფიცავ, ეს ცოდვა რომ ჩამიდეს გულში,
და სიყვარული მომივლინეს ცეცხლად და შხამად!
იმ ღმერთებს ვფიცავ, სასახელო საქმედ რომ თვლიან,
თუ სათამაშოდ გაიხდიან საბრალო მოკვდავს!

შენც გაიხსენე ყველაფერი: სანამ შემეძლო
 გებრძოდი კიდევ, გაძევებდი, გდევნიდი მარად,
 რომ ჩამეთესა სიძულვილის თესლი შენს სულში
 და არ მქონოდა თანაგრძნობის იმედი შენგან.
 ამოდ დაეშვრი, არაფერი არ გამოვიდა.
 შენ გძულდი, მე კი სიყვარულის ცეცხლი მეკიდა.
 ჩემს თვალში უფრო აგამაღლა უბედურებამ,
 გამაჩანაგა, გამომფიჭა ცრემლმა და სევდამ.
 თვალითაც უმალ შემატყობდი ყველაფერს, ალბათ,
 რომ გდომებოდა, ერთხელ მაინც შემოგეხედა.
 არა, არ მინდა, არასოდეს არ მდომებია,
 რომ მოგესმინა სამარცხვინო ეს აღსარება.
 მე შვილის ბედმა მომიყვანა, მან მაიძულა
 მეთხოვა შენთვის მფარველობა და შემწეობა.
 ვერ შეასრულა განზრახული შეშლილმა სულმა,
 ის უფრო დიდმა მწუხარებამ ალაპარაკა.
 რა გაეწყობა! შეუძლია დამსაჯოს ახლა
 გმირის და მეფის ღირსეულმა შთამომავალმა.
 სახელოვანი გმირის სისხლი დულს შენს ძარღვებში,
 ხოლო ჩემს გულში ურჩხული ზის, განგმირე ჩქარა!
 გადაარჩინე მარადიულ სირცხვილს ქვეყანა!
 მოკალი ფედრა — იპოლიტი რომ შეიყვარა!
 ჰა, ჩემი მკერდი, რაღას უცდი? შენც ხომ ეს გინდა?
 ჩამორეცხე ჩემი სისხლით ეს დამცირება.
 ან იქნებ ჩემთვის ეს სასჯელი გეცოტავენბა?
 ან იქნებ არ გსურს მომანიჭო ეს ნეტარება?
 თუ მართლა არ გსურს გაისვარო ამ ბინძურ სისხლში —
 ხმალი მომეცი!

ე ნ ო ნ ა

დედოფალო, რა მოგივიდა
 წავიდეთ მგონი ვიღაც მოდის. წავიდეთ ჩქარა
 რა საჭიროა, სხვებმაც ნახონ ჩვენი შერცხვენა.

გამოსვლა მემკვსე

იპოლიტი, ტერაშენი

ტერაშენი

ეს ხომ ფედრაა? რატომ მიჰყავთ? რა მოუვიდა?
ხმალი რა უყავ? ანდა ასე რამ გაგაფითრა?

იპოლიტი

ჩქარა წავიდეთ, მეგობარო, საშინელებამ
მუხლი მომკვეთა, ჩემი თავი ველარ მიცვნია.
ოი, ღმერთებო! ფედრა... თუმცა ეს საიდუმლო
გამომჟღავნებას ვერასოდეს ვერ ეღიარება.

ტერაშენი

აღარაფერი არ გვაყოვნებს, წასვლა თუ გვინდა.
მაგრამ იცოდე, რომ ათენის საქმე გადაწყდა.
კენჭისყრის მერე თქვენს ძმას ერგო ათენის ტახტი,
ნამდვილი მეფე, რა თქმა უნდა, ფედრა იქნება.

იპოლიტი

ფედრა?

ტერაშენი

ასეა. ათენიდან მაცნე მოვიდა,
რათა გადასცეს ჩვენს დედოფალს ხელისუფლება.
ათენის მეფე ფედრას შვილია...

იპოლიტი

სათნოებისთვის განადიდეს, ალბათ, ღმერთებმა.

ტერაშენი

მაგრამ ხმაც დადის, რომ თეზევსი ცოცხალიაო,
თითქოს ეპირში შეხვედრია კიდევ ვიღაცას.
მე კი ეპირიც მოვიარე და აღარ ვიცი...

ი პ ო ლ ი ტ ი

რახან ხმა დადის, შევამოწმოთ უნდა კიდევაც.
უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ჩვენ ამ ამბავსაც,
მაგრამ რადგანაც ხელს არ გვიშლის გამგზავრებაში,
ბარემ წავიდეთ ჩვენი ვალის აღსასრულებლად.
დე, ღირსეულმა დაიმკვიდროს სამეფო სკიპტრა!

მ ე ს ა მ ე მ ო ქ მ ე ღ ი ბ ა

გამოსვლა პირველი

ფედრა, ენონა

ფ ე დ რ ა

მე ვერ მივიღებ ათენელებს, არ შემიძლია.
და შენც ტყუილად მაიძულებ. ნუ მთხოვ, გეყოფა!
ველარაფერი ვერ მოხიბლავს ჩემს სულს დღეიდან.
დამმალე საღმესი მე ბევრი ვთქვი უკვე ისედაც.
მაინც თავისი გაიტანა შეშლილმა ვნებამ.
როგორ მისმენდა! რა გულგრილად იგერიებდა
ჩემს აღსარებას! გაქცევაზე ეჭირა თვალი,
რომ კიდევ უფრო ნათლად მეგრძნო და განმეცადა
ჩემი შერცხვენა, დამცირება და შეგინება.
ხელი რაღაზე შემიშალე, არ ჯობდა განა,
წყვეული გული მის მახვილზე რომ დამეხია?
ხომ ნახე: ფერიც არ შეცვლია, არც განძრეულა,
არც ხმლის წართმევა არ უტდია, ჩემმა შეხებამ
მისი მახვილი სამუდამოდ წაბილწა თითქოს.

ე ნ ო ნ ა

ოხვრა და ცრემლი არ უშველის უბედურებას.
რალად აღვივებ ამ დამღუპველ ვნებას თავიდან?
მინოსის ასულს სხვა საქმე აქვს, სხვა ევალება.
უმაღურს თვალი გაქცევაზე უჭირავს მარად.

აიღე სკიპტრა და იმეფე, როგორც წესია.
მით მოუპოვებ შენს სულს შვებას და ნეტარებას.

ფ ე დ რ ა

ვიმეფო? მაგრამ ხალხზე როგორ უნდა ვიმეფო,
როცა ჩემზედაც ველარ მეფობს ჩემი გონება,
როცა საკუთარ გრძნობებისთვის ვერ მომივლია,
როცა დამახრჩო სამარცხვინო ვნების უღელმა
და როცა ვკვდები?

ე ნ ო ნ ა

თუ ასეა, წადი აქედან.

ფ ე დ რ ა

ვერ მოვშორდები, უიმისოდ არ შემიძლია.

ე ნ ო ნ ა

ადრე ხომ თვითონ იშორებდი?

ფ ე დ რ ა

ადრე სხვა იყო,

მე ჩემი ხელით დავარდვიე ყველა ჯებირი
და გამარჯვებულს გავუმჯლავნე ჩემი შერცხვენა.
ფესვი გაიდგა უნებურად გულში იმედმა.
შენ მომამბრუნე სასიცოცხლოდ, როდესაც სული
უკვე მზად იყო გასაფრენად. შენი ბრალია.
შენ ჩამჩურჩულე, გამამბრიყვე და დამაჯერე,
რომ ამ სიყვარულს არსებობის უფლება ჰქონდა.

ე ნ ო ნ ა

მეც ვარ თუ არა დამნაშავე ამ სატანჯველში,
ერთი ცხადია, ყველაფერი შენთვის მინდოდა.
მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა, რომ აიტანო
მისგან ასეთი სიამაყე და დამცილება?
რა ყოყოჩურად გიყურებდა, ერთი გენახა,
ლამის ფეხი რომ დაუკოცნე გრძნობააშლილმა,
ველური იდგა შენს წინაშე, თავხედი, გულქვა,
ჩემი თვალებით შეგეხედა იმ წუთას ნეტავ.

ფ ე ლ რ ა

ენონა, მასაც გადაუვლის ეს ქედმაღლობა.
მან ხომ ტყეებში გაატარა მთელი ბავშვობა.
ისიც იფიქრე, რომ დღეს მისი გული და სმენა
პირველად შეძრა ქალის ვნებამ და სიყვარულმა.
გაოცებისგან, ალბათ, ენა დაება, საწყალს,
მე კი ტკივილმა გამაცეცხლა, ალბათ, ზედმეტად.

ე ნ ო ნ ა

არ დაგავიწოდეს, დედამისი სკვითი რომ იყო.

ფ ე ლ რ ა

სამაგიეროდ სიყვარული შეეძლო მასაც.

ე ნ ო ნ ა

ქალებს ვერ იტანს იპოლიტი, ესეც იცოდე.

ფ ე ლ რ ა

მით უკეთესი არც მეტოქე არ მეყოლება.
დაგავგიანდა, ნულა წვალობ, აღარ მჭირდება,
ებლა ჩემს გრძნობას მოეხმარე, თუ შეგიძლია.
და თუ ამ გრძნობამ მისი გული ვერ შეარყია,
იქნებ სხვა რამით შეიძლება მისი მოხიბვლა.
მე მგონი მეფის გვირგვინია მისი ოცნება,
ათენი უნდა და არც მალავს, აკი თვითონაც
უკვე საცაა ათენისკენ გაემგზავრება.
წადი, ენონა, გადაეცი ჩემგან გვირგვინი,
დე, მისი შუბლი დაამშვენოს სამეფო ჯილამ,
ძალაუფლება მისი იყოს, მე არ მჭირდება,
ოღონდ ის იყოს ჩემთან ერთად და ჩემი მარად.
თვითონვე გაწვრთნის და ასწავლის ჩემს შვილს მეფობას
და მამობასაც ღირსეულად გაუწევს, ალბათ,
დედაც და შვილიც ვალიარებთ მის მორჩილებას.
რაც გინდა ჰქენი, ოღონდ იგი მობრუნდეს უკან,
შენს სიტყვას მეტი შეუძლია, ენონა, ახლა.
სთხოვე, იტირე, ნუ შეგრცხვება თხოვნის და ცრემლის,

ჩემზე უთხარი, მოკვდებო... ენონა, ჩქარა!
შენს იმედზე ვარ, შენ ხარ მთელი ჩემი იმედი
და ჩემი ბედიც შენს ხელშია, შენ გთვლის პატრონად.

გამოსვლა იმორე

ფ ე დ რ ა

აპა, ხომ ხედავ ჩემს შერცხვენას, დიღო ქალღმერთო!
ამაზე მეტად ვინ შეძლებდა ჩემს დამცირებას.
უკვე ყველა ზღვარს გადასცილდა შენი სიმკაცრე,
არ ასცდენია შენი ბასრი ისარი მიზანს.
მაგრამ თუ გინდა, გამარჯვება რომ იზეიმო,
ის გამოცადე, ვინც ნამდვილად შენი მტერია:
იპოლიტია შენი მტერი და შენი ურჩი,
გზაც კი არ იცის შენი ტაძრის და ქების ნაცვლად
ყოველთვის ზიზღით იხსენიებს შენს სახელს ყველგან.
დასაჯე იგი დაგვამცირა მან ორივენი.
დე, შეიყვაროს იპოლიტმაც... აგერ, ენონაც,
ჩემო ენონა, შენს თვალებში ჩემს სიკვდილს ვხედავ!

გამოსვლა მისამე

ფედრა, ენონა

ე ნ ო ნ ა

ნულარ გადელევებს, დედოფალო, ეგ შლეგი ვნება
და კვლავ იცხოვრე პატიოსნად, ვით გიცხოვრია.
მეფე დაბრუნდა, მკვდრად რომ ვთვლიდით უკვე ყველანი,
გმირი თეზევისი გეახლებათ მალე თვითონაც.
მთელი ქალაქი გამოსულა მის შესახვედრად.
როგორც მიბრძანე, მე იპოლიტს ვეძებდი, მაგრამ
უცებ გაისმა ღრიანცელი და ხალხის ზღვაში...

ფ ე დ რ ა

რა თქვი? თეზევისი ცოცხალია? კმარა, ენონა!

მე ერთხელ უკვე შევაგინე მისი სახელი
და ჩემგან კმარა. აღარ მინდა, არც შემიძლია.
ასეც ვიცოდი, სწორედ ამას მიგრძნობდა გული,
მაგრამ მე მაინც გადამძლია შენმა ცრემლებმა.
დილით შემეძლო პატიოსნად მოვმკვდარიყავი,
ახლა კი უკვე შერცხვენილი ვტოვებ ქვეყანას.

ე ნ ო ნ ა

რაო? ვტოვებო?

ფ ე დ რ ა

რა თქმა უნდა, რა დამრჩა მეტი.
ქმარი დაბრუნდა, შეილიც უკან მოჰყვება, ალბათ,
რომ უთვალთვალოს მეუღლესთან ჩემს თვალთმაქცობას
და ნახოს ცრემლი, მის გულისთვის რომ ვლვრიდი წელან,
უსმინოს ოხვრას, თვითონ ზურგი რომ შეაქცია.
მას ეჭვიანად უყვარს მამა და ნუ გგონია,
რომ დაამციროს საამაყო მამის ღირსება
და დაუმალოს სამარცხვინო ეს სიყვარული,
არ უღალატებს იპოლიტი მეფეს და მამას.
გინდაც დამალოს, მე ხომ ვიცი ჩემი ამბავი,
იმ ქალებივით მე ცხოვრება არ შემიძლია,
ქმრებს რომ ზურგს უკან ღალატობენ, ხოლო თვალებში
შესციტინებენ გულუბრყვილო ბავშვების დარად.
მე ფასიც ვიცი ჩემი ვნების და ჩემი ცოდვის.
ალბათ, ჩემს სახელს შეაგინებს მთელი ქვეყანა.
ასე მგონია ეს კედლებიც და ეს თაღებიც
ამოიდგამენ უცებ ენას ჩემს ჩასაქოლად.
მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია ჩემი მშველელი,
რა მოხდა, იგი ნუთუ მართლა ასე ძნელია?!
არა, სიკვდილი არ მაშინებს იმაზე უფრო
სიკვდილის შემდეგ ჩემზე ხალხში რასაც იტყვიან.
მემკვიდრეობად ეს დარჩებათ ჩემს შვილებს მხოლოდ,
იუპიტერის სისხლი უღუღთ ძარღვებში თუმცა,
როგორც არ უნდა იამაყონ დიდი წინაპრით,
მაინც ლოდივით დააწვებათ დედის შერცხვენა.

მათ მომავალზე როცა ვფიქრობ, ფიქრიც კი მზარავს.
ყოველ ნაბიჯზე წამოსძახებს ჩემს სახელს ვილაც.
სამართლიანი საყვედური თავს ჩაუქინდრავთ
და ვერასოდეს შეხედავენ ზეცას თამამად.

ე ნ ო ნ ა

მეც მეცოდება, დამიჯერე, შენი შეილები.
როგორც შენ ამბობ, ყველაფერი ისე მოხდება
და ასეთ დღეში რატომ უნდა ჩაყარო ნეტავ?
ანდა სიკვდილით რას მიაღწევ, რა შეგიძლია?
მხოლოდ და მხოლოდ შენდა სამტროდ განაწყობ ყველას,
ქმარს ვერ დახვდაო, რას იტყვიან, როგორ გგონია?
და იპოლიტსაც გაახარებ, რადგან სიკვდილით
დაუდასტურებ, რასაც იგი შენზე მოპყვება.
როგორ ვუსმინო შენს გინებას და განქიქებას?
რა ვუბასუხო, რითი შევძლებ შენს გამართლებას?
არა, ჯობია ჩამიტანოს მიწაში მეხმა.
ერთსა გთხოვ მხოლოდ, მიბასუხე, ოღონდ გულწრფელად,
ისევ აღმერთებ? ძველებურად კვლავ ძვირფასია?

ფ ე დ რ ა

ის ახლა ჩემთვის ყველა მხეცზე ავი მხეცია!

ე ნ ო ნ ა

თუკი ასეა, რაღად უთმობ მას გამარჯვებას?
ის საშიშია, ამიტომაც დაასწრო უნდა.
შენ გაამტყუნე, სანამ შეძლებს შენს გამტყუნებას.
ვინ არ ირწმუნებს? ყველაფერი შენს მხარეზეა:
მისი მახვილიც, ბედმა ხელში რომ შეგატოვა,
ძველი წუხილიც, ძველი სევდაც და მღელვარებაც,
თვითონ თეზევსიც, ვისაც ხვეწნით და საჩივრებით
ძლივს აიძულე საკუთარი შვილის განდევნა.

ფ ე დ რ ა

კი, მაგრამ, ის ხომ დამნაშავე არ არის მართლა?

ენონა

შენ ერთი რამე გვევალება: იყავი ჩუმად.

ხოლო დანარჩენს მე მოვუვლი, სინდისი მეც მაქვს, მაგრამ მე სინდისს და სიმართლეს რომ ავყვე ახლა, შენ უნდა დაგთმო, სამუდამოდ დაგკარგო უნდა.

მე კი ყველაფერს დავთმოთ ჭკვეყნად შენი გულისთვის. ნუ გეშინია, მამის გული მალე დაცხრება, შვილის განდევნით დაიმშვიდებს თეზევსი რისხვას, მამა როდესაც მსაჯულია, მაინც მამაა.

და გინდაც უფრო მკაცრი იყოს მისი სასჯელი, ჩვენ სახელს უნდა გავუფრთხილდეთ, ეს გვევალება, უნდა გავწიროთ ყველაფერი სახელის გარდა.

ახლა გავჩუმდეთ. გესმის? მგონი აქეთ მოდიან.

ავგრ თეზევსი...

ფედრა

იპოლიტი მისმა თვალებმა

ლამის დამგლიჯონი ვერ გავუძლებ ამ ზიზღს და რისხვას. რაც გინდა ის თქვი, აღარა მაქვს არაფრის თავი, ჩემი სიცოცხლე მომინდვია შენთვის მთლიანად.

გამოსვლა მეოთხე

თეზევსი, იპოლიტი, ფედრა, ენონა, ტერამენი

თეზევსი

თავის ნებაზე უგზო-უკვლოდ მატარა ბედმა და აი, ისევ შენთანა ვარ...

ფედრა

თეზევს, გეყოფა!

დაიცხრე შენი სიხარული და აღტაცება.

მე არ მეკუთვნის ასე თბილი სიტყვები შენგან.

შენ რომ გატარა და გაწამა ამდენი ხანი,

არც შენი ცოლი არ დაინდო წყეულმა ბედმა.

მე შენთან ერთად ვერ ვიცოცხლებ, ღირსი არა ვარ
და ისლა დამრჩა, რომ ჩაებარდე ქვესკნელის წყვილიადს.

გამოსვლა მახუთი

თეზესი, იპოლიტი, ტერამენი

თეზესი

შენ მაინც მითხარ, შვილო ჩემო, როგორ გავიგო,
ან როგორ ავხსნა ეს სიტყვები...

იპოლიტი

დედოფლის გარდა

ამ საიდუმლოს ვერ ავიხსნის ვერავინ ქვეყნად.
მე კი ერთსა გთხოვთ, თუ მომისმენთ და მომცემთ ნებას
დღეიდან ველარ დაინახავს ჩემს სახეს ფედრა.
დაე, წავიდეს იპოლიტი ბედუკუდმართი,
ამ ჭერქვეშ მისთვის აღარ არის ადგილი მართლა.

თეზესი

ჩემგან მიდიხარ?

იპოლიტი

მე ყოველთვის თავს ვარიდებდი.

ის ამ ქალაქში მოიყვანა თქვენმა სურვილმა,
აქ მიუჩინეთ საიმედო თავშესაფარი,
მე კი მიბრძანეთ, რომ ვხლებოდი დედოფალს მცველად.
ახლა კი წავალ, რომ წვრილფეხა მტრებთან ბრძოლაში
არ გაიაროს სიჭაბუკემ უკვალოდ, უქმად.
მეც მინდა ვცადო ჩემი ბედი და ჩემმა ხმალმაც
იგემოს სისხლი, უზრუნველი ცხოვრების ნაცვლად.
ჯერ ჩემი ხნისაც არ იყავით, როცა ტირანებს
ნაგემი ჰქონდათ უკვე თქვენი მარჯვენის ძალა,
დაიმორჩილეთ ორივე ზღვის სანაპირონი,
თქვენი წყალობით ხალხი ზღვებზე მგზავრობდა მშვიდად
და ჰერაკლესაც თავისუფლად შეეძლო უკვე,

თქვენი იმედით, მისცემოდა განცხრომას ნეტარს.
მე კი აქამდე უსახელოდ ვცხოვრობ ჩეროში,
ხალხი კი მიცნობს სახელოვან თეზევის შვილად.
მომეცით ნება, არ შევბოჭო ჩემი ძალ-ღონე
და თუკი დარჩა თუნდაც ერთი ურჩხული ქვეყნად,
დავაგდო მისი მყრალი ლეში მამის ფეხებთან.
და თუ ვერ შევძლებ, ჩემს სიცოცხლეს ისიც ეყოფა,
თუ დასრულდება სახელოვნად და პატიოსნად.
თქვენ რომ იყავით ჰემმარიტად ჩემი მშობელი,
მე ამ სიკვდილით დავუმტკიცებ შთამომავლობას.

თ ე ზ ე ს ი

ოი, ღმერთებო! იმის ნაცვლად რომ მომეგებოს,
შიშისგან ლამის მიმატოვოს მთელმა ოჯახმა.
თუ არავისთვის აღარა ვარ აქ სასურველი,
რად დამიბრუნე, ღიღო ზეცავ, თავისუფლება.
არ მსურდა, მაგრამ ვერ ვუთხარი ძმობილს უარი,
უაზრო იყო და საშიში ჩვენი განზრახვა.
ორივე ტირანს ჩავუყარდით ხელში კიდევაც,
ბოროტმა ბედმა დაგვიბნელა თვალები, ალბათ.
მე თვითონ ვნახე ურჩხულებმა როგორ დაგლიჯეს
ჩემი ძმობილი, ძმობილისთვის ერთგული მარად.
მე კი ქვესკნელში დამამწყვდიეს, რათა წყვილიადმი
კბილებით მელრღნა ბორკილები, სევდა და ბოღმა.
ექვსი თვე ასე გავატარე, მაგრამ ღმერთებმა
წყალობის თვალით გადმომხედეს კვლავ ძველებურად.
შევძელ დარაჯის მოტყუება და ახლა, როცა
ხელებგაშლილი მოვისწრაფი, რომ ჩავიხუტო
ის, რაც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის ამქვეყნად
და როცა ჩქარობს ჩემი სული, რომ კვლავ იგემოს
დიდხანს ნანატრი სიმყუდროვე, ალერსი, შვება —
შვილი ცახცახით შემომცქერის, გამირბის ყველა,
თითქოს ოჯახში მომეტანოს შიში და რისხვა.
გულიც კი მწყდება, რომ დავბრუნდი, ასეთ შეხვედრას
ისევ ქვესკნელი მირჩევნია, ისევ ტყვეობა.
თქვი! იქნებ ვინმემ შეაგინა ჩემი სახელი

ვინ მიღალატა? ვინ შებღალა ჩემი ღირსება?
ან იქნებ ჭერქვეშ შეიხიზნა ბოროტი სული
ჩემმა ქვეყანამ, მე რომ თავი შევწირე მსხვერპლად.
რამ დაგამუნჯა? მიპასუხე! ან იქნებ შვილიც
განაწყვეს მამის წინააღმდეგ ვერაგმა მტრებმა?
წავალ, გავიგებ, თორემ ლამის დამახრჩოს ეჭვმა,
რაც ღვიძლმა შევიღმა ვერ ამიხსნა, ამიხსნას ფედრამ.
კვალს ვერ დამალავს ბოროტება, ეს არ სჩვევია.

გამოსვლა მუჟიკსა

იპოლიტი, ტერამენი

იპოლიტი

ნუთუ გაბედავს და გაუმხელს ფედრა ყველაფერს?
ნუთუ საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავს მართლა?
რას იტყვის მეფე? ან კედლები როგორ უძლებენ
ამ სამარცხვინო სიყვარულის შხამსა და ბალღამს?
მეც ხომ ის მიყვარს, ვინც მამაჩემს თავის მტრად უჩიანს?
ხედავთ, როგორი ვაჟიშვილი გაზარდა გმირმა!
თუმცა მართალი მსაჯულის წინ არ უნდა თრთოდეს —
გულზე უქმური წინათგრძნობა შემომხვევია.
არა, ყველაფერს ის ჯობია, ვეახლო თავად
და გავუმყლავნო ჩემი გრძნობა გულწრფელი, წმინდა.
მას განარისხებს, რა თქმა უნდა, ეს სიყვარული,
მაგრამ ვერ მოსპობს, არ არსებობს ასეთი ძალა.

მეოთხე მონაწილე

გამოსვლა პირველი

თეზვისი, ენონა

თეზვისი

ეს რა გავიგე! მოღალატე, ვერაგი, ბილწი
მამის სახელიც არ დაინდო შესაგინებლად.

ობ, ბედისწერავ, რატომ დამსდევ ფეხდაფეხ ასე!
აღარაფერი აღარ მესმის: სადა ვარ, ვინ ვარ!
ეს ერგო ჭილდოდ ჩემს სიყვარულს და ჩემს სიკეთეს.
ო, რა მზაკვრული განზრახვაა, თქმაც კი მრცხვენია.
ძალა იხმარა, ძალით სურდა, უგნურს და თავხედს,
თავისი ბინძურ მიზნისათვის რომ მიეღწია.
ხმალიც ვიცანი, მე ვაჩუქე ეს ხმალი თვითონ.
ნუთუ არც სისხლმა შეაწუხა და არც სინდისმა!
ფედრა კი მაინც თავს არიდებს მის გამტყუნებას
და ამ საზიზღარ დანაშაულს დუმილით მალავს.

ე ნ ო ნ ა

ფედრა თქვენს სახელს უფრთხილდება, თქვენ გზოგავთ იგი.
სირცხვილისაგან არ იცოდა რა ექნა, საწყალს.
სიკვდილს ნატრობდა, შეაძრწუნა ველურმა ვნებამ,
ის კი თავისას მოითხოვდა, მაინც, ჭიუტად.
და როცა ხმალი დავინახე, ძლიევ მივუსწარი,
თორემ ვერასდროს იხილავდით, ალბათ, დედოფალს.
ესაა მისი შეშფოთების მიზეზი, მეფევ,
ვერ უთქვამს თვითონ, მე კი, რა ექნა, ვერ დაგიმალავთ.

თ ე ზ ე ვ ს ი

არარაობა! ახლა მივხვდი, რატომ გაფითრდა,
ანდა თვალს რატომ მარიდებდა და ცახცახებდა.
მიკვირდა კიდევ, ვერ გამეგო, რა აზინებდა,
მეც დამაბნია, თბილი სიტყვა ტუჩზე შემაშრა.
ნუ დამიმალავ, ამის მსგავსი სიბილწე მისგან
მითხარი, აღრეც, ათენშიაც თუ შეგინიშნავს.

ე ნ ო ნ ა

ფედრამ რამდენჯერ შემოგჩივლათ?! მხოლოდ ეს ვნება
იყო მიზეზი, ეს იწვევედა დედოფლის რისხვას.

თ ე ზ ე ვ ს ი

აქ კი დაიწყო ყველაფერი ისევ თავიდან?

ე ნ ო ნ ა

მე რაც ვიცოდი, მოგახსენეთ, ხელმწიფე ჩემო,
ახლა კი წავალ, დედოფალსაც უნდა მიხედვა,
ვერ მივატოვებ ახლა მარტოს, ისიც ცოდოა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ა

თ ე ზ ე ვ ს ი

თ ე ზ ე ვ ს ი

აგერ, შეხედეთ! მე კი არა, ვის არ შეაცდენს
კეთილშობილი გარეგნობით. ო, დიდო ზეცავ!
დიდო ღმერთებო, რატომ ხდება, რისი ბრალია
ასე უმანკო სახე რომ აქვს მრუშს და გარეწარს.
განა არ ჯობდა მოღალატის დაგესვათ დალი,
რომ არ მოვტყუვდეთ და მაშინვე რომ ვიცნოთ ყველამ?

ი პ ო ლ ი ტ ი

რამ შეაწუხა მამაჩემი, მის ნათელ შუბლზე
წუხილის ღრუბელს შავი კალთა დაუფენია.
რაა მიზეზი? რა გაწუხებთ? იქნებ მეც მითხრათ?

თ ე ზ ე ვ ს ი

ხმას როგორ იღებ, მოღალატევი! როგორ მიბედავი
თუ ურჩხული ხარ, აქამდე რომ დაინდო ზეცამ?
აეზაკი ხარ, შენი მსგავსიც ბევრი მინახავს!
როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა, შენ, ვისაც ენებამ
შხამით და გესლით დაგიბნელა ცა და გონება,
შენ, ვისაც მამის სარეცელის წაბილწვაც გასურდა
და კიდეც გყოფნის თავხედობა, მიყურო მშვიდად
და არც გარბინარ ამ სახლიდან, ამ კედლებიდან,
შენი აქ ყოფნით სამუდამოდ რომ წაბილწულან?
წადი, მომშორდი იქნებ სადმე მონახო კუთხე
სადაც ჩემს სახელს ჯერ კიდეც არ შეუღწევია.
მომშორდი-მეთქი, სანამ რისხვა არ მომრევია,

ნუ გამაცეცხლებ, თორემ გული ისეც ყელში მაქვს.
 ჩემს სახელს შენი ბილწი სისხლით ვერ დავამცირებ,
 შეილი რომ გქვია, სამარცხვინოდ ისიც მეყოფა.
 არ დამენახო, თავს უშველე, თორემ იცოდე
 შენც მიგამატებს იმ ურჩხულებს ჩემი მარჯვენა.
 მომშორდი-მეთქი დღეის მერე ჩემ სიხლოვეს
 აღარ გამოჩნდე, არ დაგლანდონ ჩემმა თვალებმა,
 მზემ არასოდეს არ დახედოს შენს ნაფეხურებს,
 აღარ წაბილწოს შენმა სახემ ჩემი ქვეყანა.
 შენ კი, ნებტუნო! შეისმინე დღეს ჩემი თხოვნა,
 მე მოვაშორე შენს ნაპირებს ბუდე ავსულთა,
 მაგრამ ქვესკნელშიც ვერ გავბედე შენი ხსენება
 და აი, თხოვნით შეგაწუხე ახლა პირველად.
 შენი იმედი, ჩემო დილო და მკაცრო ღმერთო,
 ძუნწი კაცივით შავი დღისთვის შემომინახავს.
 ეს დღეც მოვიდა, შერცხვენილი და უბედური
 შენ დამამშვიდე, შენგან ველი შურისძიებას.
 შეიღმა გამწირა, შეაგინა მამის სახელი,
 სისხლში ჩაუხშვე უგუნური და ბილწი ვნება.
 ამით მივხვდები, ყურს რომ უგდებ თეზევსის თხოვნას.

იპოლიტი

მკაცრი ყოფილხარ, ბედისწერავ! ბარემ ჩამქრლე!
 რატომ ამკიდე, როგორ ვზიდო ამხელა ცოდვა?
 ან თვითონ ფედრას ენა როგორ მოუტრიალდა?
 თუმცა ლაპარაკს რა აზრი აქვს, რას შეცვლის სიტყვა.

თეზევსი

დიახ, მოტყუვდი და ტყუილად გქონდა იმედი,
 რომ დამალავდნენ შენს სიმრუშეს და ავხორცობას.
 ასე თუ გსურდა, ჭკუაც მეტი უნდა გეხმარა:
 რად შეატოვე შენი ხმალი ხელში საბუთად?
 ან, რახან უკვე ჩაიღინე დანაშაული,
 მოგეკლა კიდეც, ვერ გაგცემდა მკვდარი ნამდვილად.

იპოლიტი

შეურაცხოფილს ამ უგვანო ცილისწამებით,

აღარაფერი არ მაჩერებს, სიმართლე რომ ვთქვა.
მაგრამ სიმართლე უფრო მეტად დაამცირებდა
თქვენს სიამაყეს. ამიტომაც ვჩუმდები ახლა.
თავს ნუ იტანჯავთ, მამაჩემო, დაფიქრდით კარგად
და გაიხსენეთ თქვენი შვილის მთელი ცხოვრება.
მხოლოდ ბოროტი იბადება ბოროტისაგან
და ის გაბედავს და წაბილწავს სხვა წმინდა გრძნობას,
ვინც ერთხელ მაინც უღალატებს მოვალეობას.
დიდ დანაშაულს მუდამ უსწრებს პატარა ცოდვა.
როდის ყოფილა, თვითონა თქვით, რომ სათნოებას
სიავკაცეში გაერიოს ხელი უეცრად,
არც პატიოსან ადამიანს არ შეუძლია,
რომ წამში იქცეს გარეწარად, მკვლელად და მრუშად.
მე პატიოსან ძუძუს ვწოვდი, ამ ქვეყანაზე
გზა დამილოცა საამაყო დედის ხელებმა,
მერე პითეი, უბრძენესი მოკვდავთა შორის,
თვითონ მიწვრთნიდა და მიწრთობდა სულს და გონებას.
მე თავის ქებას არ ვაპირებ, რა საჭიროა,
მაგრამ თუ რამე შემიძლია შევიქო მართლა,
ეს ის ზიზღია, რითაც მუდამ თავს ვარიდებდი
ამგვარ საქციელს, რაც მე ბრალად მედებოდა ახლა.
მე ხომ თავიდან სიყვარულის მტრად მიცნობს ყველა,
მე ხომ ყოველთვის გავუბრბოდი ქალის ცდუნებას
და ჩემი სული დღემდე მზეზეც უფრო სუფთაა,
მაინც ამბობენ, თითქოს ველურ და ბინძურ გრძნობას...

თ ე ზ ე ვ ს ი

ნულა თვალთმაქცობ, ყველაფერი ცხადია უკვე.
განგებ გეჭირა, ჩემო კარგო, თავიც ამაყად.
ფედრამ მოხიბლა უსირცხვილო შენი თვალები
და ამიტომაც გაუბრბოდი გულგრილად ყველას.
პატიოსანი სიყვარული არც განგიცდია.

ი პ ო ლ ი ტ ი

არა, გეშლება, მამაჩემო, არც დაგიმაღავ
და ვაღიარებ შენს წინაშე ჩემს ნამდვილ ცოდვას.

ამ წმინდა გრძნობით ჩემი გული მართლაც სავსეა.
ღიახ, მეც მიყვარს და ის მიყვარს ვინც ამიკრძალებთ,
ჩემი ღმერთი და მბრძანებელი არიციანა.
პალანტიდია ჩემი გულის მეფეც და საჭეც,
აი, ხომ ხედავთ, დავარღვიე თქვენი ბრძანება.

თ ე ზ ე ვ ს ი

ვერაფერს ვიტყვი, ეშმაკური ხერხია მართლაც,
ცოდვილი სულის და სიცოცხლის გადასარჩენად.

ი პ ო ლ ი ტ ი

მე გულში ვმალავ ამ სიყვარულს მთელი წელია
და აი, მაინც ვაღიარე, გულმა დამძლია.
ნუთუ არ გჯერა? რა ვიღონო, რომ დაგაჯერო?
ვიფიცებ კიდევ, თუ სჭირდება ფიცი ჩემს სიტყვას!
ღე, ღიღმა ზეცამ, ღედამიწამ, მთელმა ბუნებამ...

თ ე ზ ე ვ ს ი

ბოროტმოქმედი ფიცისათვის მზადაა მუდამ.
ემარა, გეყოფა, თუ უკეთესს ვერაფერს იტყვი,
სჯობს სულ გაჩუმდე, აღარ მინდა შენი მოსმენა.

ი პ ო ლ ი ტ ი

რატომ გგონია, რომ გატყუებ. უსამართლო ხარ,
ფედრაზეც მეტად, ფედრა უფრო დამიჯერებდა.

თ ე ზ ე ვ ს ი

ფრთხილად, თვალთმაქცი, საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას.

ი პ ო ლ ი ტ ი

როდის წავიდე ანდა საით? ველი ბრძანებას.

თ ე ზ ე ვ ს ი

ახლოს იქნები, გინდაც გასცდე ჰერაკლეს სვეტებს,
ეს მწარე გრძნობა არასოდეს არ მომშორდება.

იპოლიტი

საით წავიდე, ვის მივადგე მე ამ ბრალდებით,
როგორ ვითხოვო მოწყალეობა თქვენგან დევნილმა?

თეზესი

მრუშებს მიმართე, ავაზაკებს, ქურდებს და მკვლელებს,
სიამოვნებით მიგიღებენ ძმად და მეგობრად.
ბევრია ქვეყნად შენი მსგავსი, იმათ მიმართე,
ვისაც კანონად გაუხდია უკანონობა.

იპოლიტი

მრუშობას მწამებ, მაგრამ ახლა თავს არ ვიმართლებ.
თქვენი მეუღლე გაიხსენეთ ვისი შვილია,
მისი ჭილაგი გაიხსენეთ და დარწმუნდებით,
რომ ეს ბრალდება მათთვის უფრო შესაფერია.

თეზესი

როგორ გაბედე, უბედურო, ფედრას გინება!
უკანასკნელად გეუბნები: მომწყდი თავიდან,
სანამ ჭერ კიდევ თავს ვიკავებ და სასახლიდან
საქვეყნოდ, ყველას დასანახად არ გამიგდებხარ.

გამოსვლა მისაჟე

თეზესი

სირბილით! შენი სიკვდილისკენ მირბიხარ ახლა!
ფეხდაფეხ მოგდევს მამის რისხვა და მამის წყევლა.
ნებტუნიც, ჩემი დიდი ღმერთი, დიდი მფარველი,
არ დააყოვნებს და იჭეკებს შენს თავზე მეხად.
მე კი მიყვარდი, ის კი არა, მე ახლაც ვღელავ,
ამ განაჩენმა ჩემი სული შეძრა მთლიანად.
მაგრამ თვითონ ხარ დამნაშავე, თავს დააბრალებ,
ვინ მოსწრებია ამგვარ სირცხვილს, რომელი მამა?
დიდო ღმერთებო, თქვენ ხომ მაინც ხედავთ ჩემს ტანჯვას,
რატომ მსჯით ასე, რაც ვიტანჯე, ნუთუ არ კმარა!

ფედრა, თეზესი

ფედრა

თეზეს, გონს მოდი, მოერიე გულსა და რისხვას.
თავზარი დამცა, შემადრწუნა შენმა ყვირილმა
და გულიც მიგრძნობს, რომ მკაცრია შენი სასჯელი,
სისხლს გაუფრთხილდი, ნუ დაიდებ ოჯახის ცოდვას.
აჰა, ცრემლებით გეხვეწები, გემუდარები,
ნუ გამომიყვან, თეზეს, შენი შეილის ჯალათად,
ნუ მომიმატებ, ნუ გამიჩენ ახალ სატანჯველს,
არ წაიბილწო შეილის წმინდა სისხლით მარჯვენა.

თეზესი

არა, ის სისხლი ჩემი ხელით არ დაიღვრება,
მაგრამ სასჯელი არ ასცდება, ადრე თუ გვიან.
განაჩენს თვითონ გამოუტანს უკვდავი ხელი,
თავისი სიტყვის შესრულება იცის ნებტუნმა.

ფედრა

ნებტუნი?! როგორ გაიმეტე ასე გულგრილად...

თეზესი

რა იყო, ხომ არ შეგეცოდა, იქნებ უშველო?!
ჩემი სიბრაზე გააღვივე ის გირჩევნია,
რომ ვეღარ შეეძლო დაოკება, ეერ მოვერიო.
შენ ჯერ არ იცი ყველაფერი! ისიც კი მითხრა
ფედრა ტყუისო, ცილს მწამებსო, მომიგონაო,
მართლა მიყვარსო, მაგრამ სხვაო, არიციო,
ისაა მხოლოდ ჩემი მზეო...

ფედრა

რაო?

თეზესი

ასე თქვა.

მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცური ნაბიჯი იყო,

მეც ხომ მაშინვე დავუჯერე ამ ეშმაკობას.
ნებტუნის განსჯის უკეთესად. მე კი მივდივარ,
მადლი და მსხვერპლი რომ მივართვა ნებტუნის ტაძარს.

გამოსვლა მახუთე

ფ ე დ რ ა

წავიდა. ღმერთო, ეს რა მიფხრა, რა გავიგონე!
ძლივს ჩაფერფლილმა ცეცხლმა თავი წამოყო ისევ,
ისევ დამატყდა ზეცის რისხვა მოულოდნელად.
მე კი, სულელი, მის საშველად მოვრბოდი აქეთ.
ძლივს დავალწიე შეშინებულ ენონას თავი,
სინდისის ქენჯნამ გამომავლო და კიდევ კარგი
თეზევსმა დროზე შემაჩერა, თორემ ყველაფერს
გავუმეღავნებდი, ვაჩვენებდი ჩემს ნამდვილ სახეს.
მას კი სხვა უყვარს! არიცია! რა სიხარულით
ეახლებოდა, ალბათ, იგი თავის საყვარელს.
რა ბრმა ვყოფილვარ! რა სულელი! რა გულუბრყვილო!
მეგონა ვერვინ ვერ შეძრავდა მის სულს და თვალებს,
ჩემ წინ რომ იდგა მოლუშული, ზვიადი, მჭახე.
ამ დროს კი თურმე სხვას ჰქონია მის გულში ბინა,
ის რაც ვერ შეძლო ჩემმა ვნებამ, სხვამ შეძლო თურმე.
იქნებ პირველი არც ისაა? ვინ იცის, იქნებ
მე ვიწვევ მხოლოდ მის სიძულვილს ამ ქვეყანაზე?
მე კი საშველად გამოვრბოდი... ოჰ, ღმერთო, მალე!

გამოსვლა მამქვსი

ფედრა, ენონა

ფ ე დ რ ა

ენონა, იცი რა გავიგე? ვერც კი იფიქრებ!

ე ნ ო ნ ა

მე ერთი ვიცი, რომ ეს შიში მომიღებს ზოლოს,
არ შეიძლება შენი მარტო გაშვება არსად,

ფ ე ღ რ ა

ენონა, თურმე მეტოქე მყავს, გესმის, ენონა?

ე ნ ო ნ ა

რას ამბობ?

ფ ე ღ რ ა

გული იპოლიტსაც ჰქონია თურმე,
შეურაცხყოფად რომ იღებდა ქალების ოხვრას.
მოუთოკია არიციას პირქუში ვეფხვი,
მე რომ შიშისგან ახლოს მისვლაც ძლივს გავუბედე.

ე ნ ო ნ ა

არიციასო?

ფ ე ღ რ ა

ღიახ, თითქოს მაკლდა ტკივილი
და აი, კიდევ მივიმატე ცეცხლად და შხამად.
რაც კი აქამდე ავიტანე: შიშიც და თრთოლვაც,
შფოთიც, სიშმაგეც, სიყვარულიც, სინდისის ქენჯნაც,
ბოლოს უარიც, წინასწარ რომ ვგრძნობდი თვითონვე,
მოგონილია ყველაფერი ამ სატკივართან.
მათ ერთმანეთი მართლა უყვართ! ანდა აქამდე
როგორ ვერ მივხვდი! შენც იცოდი და დამიმალე!
არ შეიძლება არ გცოდნოდა, თქვი სად ხვდებოდნენ?
როდის ხვდებოდნენ? რას ამბობდნენ? რას აკეთებდნენ?
ჩუმად ხვდებოდნენ ტყის წიაღში, იქნებ, ერთმანეთს?
თუმცა რას ვამბობ! მათ შეეძლოთ, რომ ერთმანეთი
დღის სინათლეზეც ჰყვარებოდათ, ვით წმინდა ბავშვებს.
ზეცა ღიმილით დასცქეროდა, ალბათ, მათ ვნებას
და ყოველ დილით უკოცნიდათ მზე ნათელ თვალებს.
მე კი, წყეული, დღის სინათლეს ვემალებოდი,
მზის მეშინოდა, სიკვდილს ვთხოვდი ყოველდღე ღმერთებს,
ველოდებოდი ჩემს აღსასრულს ბედის მორჩილი,
შხამივით ვსვამდი ჩემს საკუთარ ცრემლსა და ნაღველს,
თან ვთვალთმაქცობდი, სხვებისათვის რომ დამემალა
საბედისწერო ჩემი ვნება, შლეგი და მწარე.

ენონა

კი მაგრამ, იმათ რა მოიგეს? ველარასოდეს
ვერ შეხვდებიან.

ფედრა

მაგრამ მათი ვნება იცოცხლებს!

მე ახლა, როცა ვლაპარაკობ, ო, ბედისწერავ,
ჩემს უგნურებას დასცინიან ისინი მწარედ.
რა არის მათთვის გაძევება! უკვდავი ფიციით
ეთხოვებიან აღგზნებულნი ახლა ერთმანეთს.
არა, მე ამას ვერ ავიტან, არ შემიძლია,
ისევ შენ უნდა მომეხმარო, ენონა, მალე!
შენ შემიცოდებ, შენ გამიგებ ამქვეყნად მხოლოდ,
უნდა დავღუპოთ არიცია, უნდა როგორმე
კვლავ გავაღვივოთ ძველი რისხვა თეზევსის გულში.
ის ძმებზე უფრო საშიშია! და მეც ვილოცებ,
რომ გამოვტყუო ღირსეული სასჯელი თეზევსს.
ღმერთო, რას ვამბობ! დამიბნელდა სულ მთლად გონება,
სხვისგან მოკლული, შევლას ქმრისგან მოვითხოვ ისევ,
ის ხომ ჯერ კიდევ ცოცხალია, მე კი სხვა მიყვარს.
თანაც ვინ მიყვარს? ვინ შეუნთო ცეცხლი ჩემს ძარღვებს?
ფიქრიც კი მზარავს და მიჯიჯგნის სულსა და სხეულს,
ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა ჩემი სიბილწე.
კახპა ვარ, კახპა, სიმრუშით და სიცრუით სავსე!
და შეპყრობილი უსამართლო შურისძიებით,
ისევ უმანკო სისხლს ვთხოვლობ, გნატრულობ, ვეძებ.
სასწაულია მე რომ ვსუნთქავ და გცოცხლობ კიდევ
და კეთილშობილ მზეს უტიფრად თვალს რომ ვუსწორებ.
შვილიშვილი ვარ მე ამ მზისა, ოი, სირცხვილო,
ცა და ოლიმპი გაუფსიათ ჩემს დიდ წინაპრებს.
სად დავიმალო, სად გავიქცე! იქნებ ქვესკნელში,
მაგრამ ქვესკნელში მამაჩემი ზის მოსამართლედ.
რა ვუთხრა მინოსს, სასწორი რომ უქირავს ხელში,
ყველა მოკვდავის სულს რომ წონის, ბედს რომ განაგებს.
როგორ შეკრთება, ალბათ, მისი შეფუფრი ჩრდილი,
მისი ასული ვერაფრით რომ ვერ გაამართლებს

ქვესკნელისთვისაც გაუგონარ ვნებას და ცოდვას.
მე უკვე ვხედავ, მამაჩემო, შენს პირქუშ სახეს,
აი, სასწორიც დაგივარდა და რისხვით სავსე
იგონებ სასჯელს, ჯერ არნახულს, ჯერ არგავონილს.
მზად ხარ ჯალათად რომ დაუდგე შენს შვილს თვითონვე,
ნუ მიწყენ, მამავ, ჩვენს დიდ ოჯახს ღმერთები მტრობენ,
მათი ბრალია მეც თუ ვცოდე, მეც თუ ვეწამე.
თვითონვე მზარავს ჩემი ცოდვა და დავილაღე,
მე ხომ ამქვეყნად სიხარული ვერც დავინახე,
მე ხომ ყოველთვის თავზე მადგა უბედურება!
ტანჯვით ვამთავრებ, მამაჩემო, მე ჩემს სიტოცხლეს.

ე ნ ო ნ ა

შიშმა თვალები გაგიდიდა, ნუ აზვიადებ!
ნუ გეშინია, მოევლება ქვეყნად ყველაფერს.
ბედისწერაა სიყვარული. რა მოხდა მერე,
ვინ გაქცევია ბედისწერას. ასეა ღღემდე.
ნურც ის გგონია, რომ შენა ხარ მხოლოდ ასეთი,
არც პირველი ხარ, მსგავსი რამე მომხდარა ბევრჯერ.
ადამიანი უმწეოა, ეს ყველამ იცის,
მაგრამ მოკვდავი მოკვდავივით უნდა ცხოვრობდეს.
ეს ტანჯვა სხვებსაც განუცდიათ. შენ რას უჩივი,
თვითონ ღმერთებიც, ცოდვებისთვის რომ გვსჯიან ხოლმე,
ძალიან ხშირად ნებდებიან უგუნურ ვნებებს.

ფ ე დ რ ა

ხედავთ, რას ამბობს? რა მირჩია? როგორ გაბედე!
თუ შენმა გესლმა ვერ გამეღინთა კარგად, ბოლომდე?
ო, უბედურო! შენ დალუბე იცოდე ფედრა,
შენი ბრალია, რომ გრძელდება მისი სიტოცხლე.
შენი ბრალია, ჩემი ცალი თუ დავივიწყე,
ის დამლუბველი აღსარებაც შენ მათქმევინე.
ან ეგ წყეული ენა როგორ მოგიტრიალდა,
როცა მიწასთან ასწორებდი უცოდველ სახელს?
ხომ შეიძლება დაიღუბოს? ხომ შეიძლება
ნეპტუნმაც მართლა შეუსრულოს პირობა თეზევსს?

მომწყდის, წყეულო, აღარ გისმენ, არ დაძრა სიტყვა,
ჩემს ბოროტ ბედთან ახლა მაინც მარტო დამტოვე.
დაე, სასჯელი მოგიგონონ თვითონ ღმერთებმა,
რომ ყველა ავი და ბოროტი შიშით შეძრწუნდეს,
ვინც ჩვენს სისუსტეს ხელზე იხვევს და ბილწი ენით
უფსკრულისაკენ მიგვაქანებს და ხელს გვიბიძგებს,
წყეულებს იყოს საზიზღარი მლიქვნელთა მოდგმა!
მომშორდი! მძულხარი! მე ამ სიტყვას ვიტყვი ათასჯერ!

ე ნ ო ნ ა

მისი გულისთვის ყველაფერი დავთმე ამქვეყნად
და ერთგულების საფასურად ესღა მარგუნეს.

მ ე ხ უ თ ე მ ო ჭ მ ე დ ი ბ ა

გამოსვლა პირველი

იპოლიტი, არიცია, ისმენე

ა რ ი ც ი ა

სიმართლე რატომ დაუმალე! როგორ გაჩუმდი!
ისედაც სულ მთლად არეგია თეზევეს გონება.
ან მე როგორ მთმობ? მაგრამ მე თუ მთმობ და მიდიხარ,
შენს სიცოცხლეზე და სახელზე მაინც იბრუნე.
ჯერ კიდევ დროა, აუხილე თეზევეს თვალები.
კვლავ მოუბრუნდე იქნებ გული და მოგხსნას წყევლა.
შენ შენი სცადე, უბრძოლველად ნუ დამარცხდები,
ან რატომ უნდა მოითმინო ცილისწამება!
უთხარი თეზევეს...

ი პ ო ლ ი ტ ი

განა რამე დარჩა სათქმელი?

არ შემიძლია, ვერ მივახლი პირში სიმართლეს,
ვერ მოვუწამლავ მზეს და ზეცას. ვერც იმას ვნახავ,

სირცხვილი როგორ გააწითლებს, როგორ დააბნევს.
შენ იცი მხოლოდ ყველაფერი, შენ და ღმერთებმა.
რა ძლიერია ჩემი გრძნობა, თვითონ განსაჯე:
რომ შემძლებოდა არც საკუთარ თავს გავუმხელდი,
შენ კი გითხარი ყველაფერი და თუკი შეძლებ —
გულის სიღრმეში ჩაიმარხე ეს საიდუმლო,
რომ არ იხილოს მზის სინათლე აღარასოდეს.
დაე, განსაჯონ ყველაფერი თვითონ ღმერთებმა,
ისინი, ალბათ, ჩემს სიცოცხლეს არ გაწირავენ.
ფედრაც მოიმკის თავის სასჯელს ადრე თუ გვიან,
გამომქლავნდება ყველასათვის მისი სიმართლეც.
ჩვენ არ გვებება ეს ამბავი, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.
თუმცა ამ ტკივილს ველარავინ ვერ გამინელებს.
შენც მოიშორე სამუდამოდ მონის ბორკილი,
წამოდი ჩემთან, ჩემი ბედი გაიზიარე.
ღათმე სასახლე ცოდვით სავსე და დაწყევლილი,
სადაც სიწმინდეს საწამლავის ახრჩობს სიმყრალე.
ღროს ნუ დავკარგავთ, ახლა ყველა არეულია
და შენს გაქცევას, ალბათ, დიდხანს ვერ შეამჩნევენ.
მეც ხელს შეგიწყობ, გავაფრთხილებ ჩემს ერთგულ მცველებს,
ისინი ჩემთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავენ.
გამოგვიჩნდება ძლიერი და დიდი მფარველიც,
არგოსიც, სპარტაც სიხარულით გავგილებს კარებს
და თუ სიმართლეს გავამქლავნებთ, მივიმხრობთ ყველას,
და კიდევ უნდა გავამქლავნოთ, თორემ ორივეს
ფედრა ტახტიდან სამუდამოდ ჩამოგვიშორებს.
არ შეიძლება ამ შემთხვევის ასე გაშვება.
მთლად გაყინულხარ, მე კი ლამის დამფერფლოს ცეცხლმა,
რატომ ყოყმანობ? რა გაჩერებს? რა გაკანკალებს?
თუმცა, ძნელია გაძევებულ კაცთან ცხოვრება...

ა რ ი ც ი ა

ო, ბედნიერი ვიქნებოდი შენს გვერდით ყველგან
და სიხარულით ვიცხოვრებდი, თუკი ამქვეყნად
შენს გარდა ყველა სამუდამოდ დამივიწყებდა,
მაგრამ ის წმინდა კვანძი სანამ არ შეგვაერთებს,

როგორ ვიცხოვრო შენთან ერთად მე პატიოსნად.
მე არ გავრბივარ საკუთარი მამის სახლიდან,
არ ჩამეთვლება ეს გაქცევა დანაშაულად
და, რა თქმა უნდა, არც ისაა დანაშაული,
ტირანის რისხვას და ბორკილებს თუ მოვიშორებ.
მაგრამ მე სახელს ვუფრთხილდები, ქალის ღირსებას,
და თუკი მართლა ასე გიყვარს შენც არიცია...

ი პ ო ლ ი ტ ი

თვალის ჩინივით ვუფრთხილდები მეც შენს ღირსებას,
უწმინდესია ჩემი გული, ჩემი განზრახვაც.
ქმარი ვარ შენი, წამომყევი შენს ქმარს თამამად,
ფრთები შეასხა ჩვენს სიყვარულს უბედურებამ.
ჩვენ სამუდამოდ შეგვეერთეს თვითონ ღმერთებმა,
ჰიმნევის მაინც ჰიმნევისა უჩირაღდნოდაც.
მაგრამ, მისმინე: ტროიძენის ძველ კარიბჭესთან,
საფლავებს შორის, სადაც დაღლილ წინაპრებს სძინავთ,
არის ტაძარი, სიყალბის და ფლიდობის რისხვა
და იქ ტყუილზე ჭერ კაციშვილს არ დაუფიცავს.
ადგილზე მოსპობს უჩინარი მსაჯული ვერაგს
და გარდუვალი სასჯელის და სიკვდილის შიშით
სიცრუე დღემდე მიჩქმალულა ტაძრის კარებთან.
იქ შემოგფიცავ, იქ დავადგათ წმინდა გვირგვინი
ჩვენს დიდ სიყვარულს, საზღვარი რომ არა აქვს ქვეყნად.
ჩვენს ერთგულებას თვითონ ღმერთი დაუდგეს მოწმედ,
ვთხოვოთ გვიშვილოს, ღმერთი გვეყავდეს დღეიდან მამად,
ოლიმპს შევედრებ, მაღალ ოლიმპს, რომ ყველა ღმერთმა
არ დააყოვნოს ჩემი სიტყვის დადასტურება.

ა რ ი ც ი ა

თეზევსი მოდის, გაიქეცი, არ დაგინახოს.
მე კი დავრჩები, დაეჭვდება, მეც რომ ვერ მნახავს.
ერთგული მცველი დამიტოვე ოღონდ მეგზურად,
უკან რომ მოგყვე. ახლა წადი, ნახვამდის! ჩქარა!

გამოსვლა მეორე

თეზესი, არიცია, ისმენე

თეზესი

დიდო ღმერთებო, გაანათეთ ჩემი გონება!
სიმართლეს ვეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვია.

არიცია

უნდა გავიქცეთ, მზად იყავი, ჩემო ისმენე.

გამოსვლა მესამე

თეზესი, არიცია

თეზესი

შეკრთი თუ შეგრცხვა? აღარ გადევს სახეზე ფერი.
რა საქმე ჰქონდა ჩემს ვაჟიშვილს, რისთვის მოვიდა?

არიცია

დამემშვიდობა, სამუდამოდ დამემშვიდობა.

თეზესი

შენმა თვალებმა მოარჯულეს ჩიუტი სული
და მიითვისეს სიყვარულის პირველი ოხვრაც.

არიცია

არ დაგიმალავთ, უსამართლო ეს სიძულვილი
არ გადასულა თქვენს შვილზედაც მემკვიდრეობად.

თეზესი

გავიგე, გული მოუძღვნია შენთვის საჩუქრად.
მაგრამ შენ მაინც ნუ ენდობი იმ თავქარიანს,
მას სიყვარული აუხსნია ბევრჯერ სხვისთვისაც.

ა რ ი ც ი ა

სხვისთვისაც?

თ ე ზ ე ვ ს ი

მაგრად ამოგედო უნდა აღვირი.
ან როგორ ითმენს საზიარო ვნებას და გრძნობას?

ა რ ი ც ი ა

კი მაგრამ თვითონ როგორ ითმენთ, ბილწი ენები
ასე ურცხვად რომ გიგინებენ შვილის ღირსებას?
იქნებ არ იცნობთ საკმარისად საკუთარ შვილსაც,
დაუდევრად რომ დააკისრეთ ამხელა ცოდვა?
ან რატომაა, რომ სიბრაზით თვალეზაბეულს,
ყველასთვის ცხადი, სათნოება ვერ დაგინახავთ?
მიხედეთ, ავსულს ნუ ჩაუგდებთ პირში საჯიჯგნად,
მონიანიეთ, სანამ ღროა, თქვენი შეცდომა
და გეშინოდეთ, გეშინოდეთ, თეზევს, ღმერთების,
უკან წაიღეთ უსაფუძვლო რისხვა და წყევლა,
თორემ იცოდეთ, მსხვერპლსაც მართლა შეიწირავენ,
ამგვარად სჯიან სიბეცისთვის ღმერთები მოკვდავს.

თ ე ზ ე ვ ს ი

ტყუილად ცდილობ, გაამართლო ჩემს თვალში იგი,
იმ უმადურის სიყვარულით დაბრმავებულმა.
მე ამ საქმეში უტყუარი მოწმე მყავს ბევრი,
ღამიდასტურეს ყველაფერი მათმა ცრემლებმაც.

ა რ ი ც ი ა

გონს მოდიო, თეზევს! გამწარებულ ხალხს და ქვეყანას
ბევრი ურჩხული მოაშორა თქვენმა მარჯვენამ,
მაგრამ ჭერ კიდევ ცოცხალია ერთი ურჩხული...
გეტყოდით, მაგრამ ფიციოთა მაქვს შეკრული ენა.
თქვენს შვილს შევფიცე და არც მინდა მოვუკლა გული,
თქვენი სახელი და ღირსება მისთვის წმინდაა.
და ამიტომაც, პირაკრულმა და შერცხვენილმა,
ახლა მეც უნდა მიგატოვოთ, ვით თქვენმა შვილმა.

გამოსვლა მეოთხე

თ ე ზ ე ვ ს ი

რისი თქმა უნდათ? რა იციან ნეტავ ასეთი,
რომ ვერც კი უთქვამთ, შუა გზაზე უწყდებათ სიტყვა.
რა ხდება, ველარ გამიგია, ნუთუ ორივე
მართლა თვალთმაქცობს, მართლა ცდილობს ჩემს მოტყუებას?
თუკი ასეა, გულში ეწევი საიდან გაჩნდა?
რატომ წუხს გული, რას მანიშნებს, რას მთხოვს, რა უნდა?
არა, ენონა ერთხელ კიდევ უნდა დავკითხო,
ვინ იცის, იქნებ ძაღლის თავი სხვაგან მარხია.
ჰეი, მცველებო, მოიყვანეთ ენონა ჩემთან!

გამოსვლა მესამე

თ ე ზ ე ვ ს ი, ბ ა ნ ო ბ ე

ბ ა ნ ო ბ ე

არ ვიცი, ჩემმა დედოფალმა რა განიზრახა,
მაგრამ საზღვარი აღარა აქვს მის მღელვარებას.
განწირულია დედოფალი, დიდო ხელმწიფევე,
გადაუთეთრა სულ მთლად სახე სიკვდილის შუქმა.
ხალღო ენონა, დედოფალმა რომ გააძევა,
აბოზოქრებულ ზღვის უფსკრულში გადაჩეხილა.
არაგინ იცის რა მიზეზით მოიკლა თავი,
მაგრამ ვერასდროს დაბრუნდება უკან ენონა.

თ ე ზ ე ვ ს ი

თავი მოიკლა?

ბ ა ნ ო ბ ე

დედოფალიც გაგიყდეს ლამის.

გაურკვეველი და უთქმელი აწამებს სევდა,
ცდილობს, როგორმე გადიყაროს გულიდან დარდი,
ბავშვებს იხუტებს და იღვრება მაინც ცრემლებად.

მერე კი, თითქოს უცხო იყოს, იშორებს შვილებს,
დადის ოთახში და ბრმასავეთ კედლებს აწყდება.
ჩვენ სულ ვეღარ გვცნობს, დააბრმავა წუხილმა მართლა.
წერილი სამჯერ დაწერა და სამჯერ დახია.
იქნებ უშველოთ, ჩქარა, მეფევე, დროც აღარაა.

თ ე ზ ე ვ ს ი

ენონა მოკვდა, ფედრაც მალე მოკვდება, ალბათ,
დაე, დაბრუნდეს ჩემი შვილი და თუკი შეძლებს
იმართლოს თავი, მე მზადა ვარ მის მოსასმენად.

(მარტო.)

დიდო ნებტუნო, მომიტევე ეს აჩქარება,
ნურც ჩემს სათხოვარს ნუ შეისმენ, ნუ აღსრულდება
ის, რაც სიბრაზემ და სიბეცემ გულს ათქმევინა.
იქნებ ბოროტი და ცბიერი მოწმის მსხვერპლი ვარ
და შეგაწუხებ ნაადრევად, დაუფიქრებლად.

გამოსვლა მუხმისა

თეზესი, ტერამენი

თ ე ზ ე ვ ს ი

მარტო რატომ ხარ? იპოლიტი რაღა უყავი?
ის ხომ შენს ხელებს ჩავაბარე გაჩენის დღიდან?
რა მოხდა-მეთქი? რა გატირებს? რა მექნა შვილი?
ხმა ამოიღე!

ტ ე რ ა მ ე ნ ი

დაგვიანდა, თქვენი სინაზე
და მზრუნველობა ვერ უშველის იპოლიტს ახლა!

თ ე ზ ე ვ ს ი

ოი, ღმერთებო!

ტ ე რ ა მ ე ნ ი

უკეთესი მოკვდავთა შორის
ჩაბარდა სიკვდილს უსამართლოდ და განუსჯელად.

თ ე ზ ე ვ ს ი

მოკვდაოი როდის? როგორ მოკვდა ანდა რამ მოკლა?
ძლივს მომიბრუნდა შვილზე გული და სწორედ მაშინ
ვერ მოითმინეს სულწასულმა ღმერთებმა ცოტა!

ტ ე რ ა მ ე ნ ი

გავცდით თუ არა ტროიძენის მალალ კარიბჭეს,
ის ეტლზე შედგა. გვერდით გაჰყვნენ მცველები მწკრივად.
სიტყვა არავის არ დაუძრავს, დუმდნენ ყველანი.

თვითონ აიღეს მიკენისკენ გეზი ცხენებმა.

ფიქრებში წასულს მიშვებულნი ჰქონდა სადავე.

ცხენებიც, მისი ერთგულნი და მორჩილნი მუდამ,

თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, თითქოს ესმოდათ

მათი პატრონის უსასრულო ფიქრი და ჭმუნვა.

უცებ ზღვის ტალღებს შემზარავი მოსწყდა კივილი.

ძარღვებში სისხლი გაგვეყინა, შეგვეკრა სუნთქვა.

პაერიც შეეკრთა, შეტორტმანდა და მიწიდანაც

უფრო ძლიერმა და საზარმა ხმამ ამოხეთქა.

ყალყზე დაუდგათ აწეწელი ფაფარი ცხენებს.

წამოიშართა უზარმაზარ მთასავით ტალღა

და ნაპირისკენ გამოქანდა, ქეებს მიენარცხა,

ქირგვლივ შეეფებად დაიღვარა, ხოლო ქაფიდან

ამოიშვირა საზარელი რქები ურჩხულმა.

ყვითელმა ქერცლმა მზის სხივებზე გაიბრჭყვიალა.

ის გაცოფებულ ხარსაც ჰგავდა და გველეშაპსაც,

ეკლავებოდა გრძელი კუდი ათასნაირად.

მთელი ნაპირი შეარყია მისმა ბლავილმა,

შიშისგან პირი მოარიდა ურჩხულს ზეცამაც.

მიწა ათრთოლდა, მთლად გაჟღინთა პაერი შხამმა.

ტალღაც, ურჩხული ნაპირზე რომ გადმოისროლა,

შეშინებული და შემცბარი, ზღვას დაუბრუნდა.

ჩვენც შეგვეშინდა და ტაძარში შეეცვივდით ყველა,

აზრი არ ჰქონდა გულადობას, ხმალსა და მაცას.

მაგრამ ის მაინც არ დაიბნა, მტკიცე მარჯვენით

ეტლი ადგილზე გააშეშა თეზევსის შვილმა,

შემართა შუბი, ნამდვილ გმირებს როგორც სჩვევიათ,

და ურჩხულს ფერდი შეუნგრია და შეუღეწა.
მაგრამ ურჩხული გადარია ტკივილმა სულ მთლად,
უფრო აღმუვლდა, მიუჩოჩდა ცხენებს ფეხებთან
და ქვესკნელივით საშინელი დაალო ხახა
და ცეცხლთან ერთად შავი სისხლიც ამოანთხია.
მაშინ კი დაფრთხნენ იპოლიტის ფიცხი ცხენები,
ვერც პატრონის ხმამ შეაჩერა და ვერც აღვირმა,
გადაირივნენ, შეეღებათ ლაგამი სისხლით,
გეგონებოდათ უხილავი ღმერთი სდევნიდა.
და აი, უკვე კლდეებს შორის მიქროდა ეტლი,
გადატყდა ღერძი, აისხლიტა ქვეები ბორბალმა.
მან კი ბოლომდე არ გაუშვა სადავეს ხელი,
არ გაიხლართა სადავეში სანამ თვითონაც.
გამოეცალა ფეხქვეშ ეტლი, სულ მთლად დაშლილი,
ო, მაპატიე ეს ცრემლები, მაგრამ სიკვდილზეც
შემზარავია, რაც ვიხილე მე უბედურმა.
მე ვნახე, როგორ მიათრევენ თქვენს შვილს ცხენები,
თავის ხელით რომ გამოკეება, თვითონ რომ ზრდიდა.
ეძახდა თავის ერთგულ ცხენებს, მაგრამ ისინი
უფრო დააფრთხო, გააცოფა მისმა ძახილმა.
მისი სხეული უზარმაზარ კრილობად იქცა.
მიდამო შეძრა ჩვენმა მოთქმამ, ჩვენმა ყვირილმა.
ბოლოს კი დაცხრნენ, დაიოკეს ლტოლვა ცხენებმა.
მოიკლეს ყინი და შეჩერდნენ იმ ძველ სამარხთან
სადაც ზვიადად განისვენებს ნაშთი მეფეთა.
ჩვენც გავიქეცი, მივაშურეთ იმ ადგილს ყველამ.
სისხლი და ხორცის ნაფლეთები გზას გვიჩვენებდა,
წითლად ელავდნენ ბასრი ქვები, ხოლო ბუჩქებზე
მისი სამოსის ნაგლეჯები და თმა ეფინა.
მე ძლივს მიეფორთხდი, თან ვეძახდი და აი, ღმერთო...
გამოიშვირა ჩემკენ ხელი, ძლივს გაახილა
ჩამქრალი თვალი, შემომხედა და ჩუმად მითხრა:
„გკვდებიო, მაგრამ უსამართლოდ ვკვდებიო მართლა.
შენ გაბარებო არიციას და მამაჩემმა
თუკი როდისმე იგლოვოსო თავის შეცდომმა,
რომ დაისვენოს ჩემმა სისხლმა და ჩემმა სულმა,

შენ უთხარიო, არიცია შეიწყალოსო,
დაუბრუნოსო..." ამ სიტყვაზე კიდევ გათავდა.
და ჩემს მუხლებზე გმირის გვამი ესვენა მხოლოდ,
ის, რაც გადარჩა განრისხებულ ღმერთების რისხვას,
საბრალო ნაშთი, ვერ იცნობდა მშობელი მამაც.

თ ე ზ ე ვ ს ი

ჩემივე ხელით მოვიკვეთე იმედი ყველა.
რატომ აჩქარდი, უღმობელო! ჩემი ცხოვრება
ერთ გაბმულ ტანჯვად და წამებად იქცა დღეიდან.

ტ ე რ ა მ ე ნ ი

უეცრად თვითონ არიცია დამადგა თავზე,
გამოქცეული უსამართლო ზიზღს და ტყვეობას,
მოვიდა, რათა გაჰყოლოდა იპოლიტს ცოლად.
მაგრამ რა დახვდა, დაფლეთილი სხეული მხოლოდ.
დახვდა, თუმცა ჯერ ვერ მიხვდა, ვერ დაიჯერა,
მაგრამ როდესაც შეაღწია მის გონებაშიც
მკაცრმა სიმართლემ, გაუშეშდა სახე უეცრად,
ცას მიაშტერა საყვედურით სავსე თვალები
და გულწასული ჩაიკეცა გმირის ფეხებთან,
რომ მზის სინათლე არასოდეს აღარ ეხილა.
თავზე ადგია უბედური ისმენე ახლაც,
რომ მოაბრუნოს საწამებლად და სატანჯველად.
მე კი აქეთკენ წამოვედი, რათა გადმოგცე,
კეთილმა სულმა სიკვდილის წინ რაც დამიბარა.
დღეიდან ვიხსნი მე ყოველგვარ მოვალეობას,
ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი ვალილა დამრჩა:
იმას მივხედო, ვინც მომანდო ჩემმა გაზრდილმა.
აგერ მტარვალიც, გაიხარა მოსისხლე მტერმა...

გამოსვლა მუხვიდან

თეზესო, ფედრა, ტერამენი, პანოპე, მცველებო

თ ე ზ ე ვ ს ი

რამ გაგაჩუმა იზეიმე, აღარ მყავს შეილი

ტყუილად როდი მეშინოდა, სულს და გონებას
ტყუილად როდი მიწეწავდა ეს წინათგარძნობა!
მაგრამ ის უკვე აღარ არის და რა აზრი აქვს
ახლა სიმართლეს, იზეიმოს დაე, ტყუილმა.
სიმართლევ ველარ დამიბრუნებს შვილის სიცოცხლეს,
პირიქით, უფრო მომიმატებს შხამსა და ურვას.
გამარჯვებული ამ ბრძოლაში შენა ხარ მხოლოდ.
წადი, ნადავლი ჩაიბარე. მე კი დღეიდან
ვერ გავჩერდები, ვერ ვიცოცხლებ თქვენს სიახლოვეს,
უნდა გავეჭვე ჩემი შვილის აჩრდილს სისხლიანს,
რომ ქვეყნის წყევლა მომყვებოდეს ლტოლვილს კვალდაკვალ;
მაგრამ სად უნდა დავიმალო, ჩემი სახელი
მთელ ქვეყანაზე მოფენილა კვლავ ჩემდა ჭირად.
მძულს ყველაფერი, არც ღმერთების წყალობა მინდა,
გამოვიგლოვებ და მოვუვლი ტკივილს თვითონაც.
რა უნდა ვთხოვო ანდა ღმერთებს, რაც დღეს წამართვეს
იმას ვერასდროს და ვერაფრით ვერ შემეცვლიან.

ფ ე დ რ ა

თეზევს, მე ველარ გავჩუმდები და შენც იცოდე,
რომ მართალია შენი შვილი, მისი ცხოვრება
არ შებღალულა არასოდეს.

თ ე ზ ე ვ ს ი

ო, უბედურო!

მე კი შენს სიტყვებს დავუჯერე, რომ დამედუპა
ბოროტო, გულქვავ! ახლა მაინც რას მოიგონებ...

ფ ე დ რ ა

ყოველი წუთი ძვირფასია, თუ შეგიძლია
ყური დამიგდე: შენი შვილის ნათელი ზეცა
წაბილწა ჩემმა ცოდვიანმა და ხარბმა თვალმა.
ენონას ენამ გააკეთა, რაც მერე მოხდა.
მას ეშინოდა, რომ იპოლიტს არ გაემხილა
ეს სამარცხვინო და ბინძური გრძნობა და ვნება,
ჩემი სისუსტით, რა თქმა უნდა, მეც მივეხმარე.

და უკუღმართად დაგიხატა შვილის ბუნება.
ის დაისაჯა. ჩემი რისხვით შეშინებულმა
ცოდვილი სული მოიშორა უფრო იოლად.
მეც მსურდა ხანჯლით გამეგმირა ეს ბილწი გული,
მაგრამ წყვდიადში დარჩებოდა სიმართლე მარად.
მე მინდა შენს წინ ჩემი ცოდვა მოვიანაო
და მერე მშვიდად შევუერთდე ქვესკნელის წყვდიადს.
ჩემს სისხლში უკვე გამჭდარია ძლიერი შხამი,
ერთხელ ათენში მედემ რომ ჩამოიტანა.
აი, გულზედაც შემომმენტო ის შხამი უკვე
და გული უკვე ამომივსო სამარის თოვლმა,
ჩემგან გულმოკლულს ველარ ვხედავ ჩემს მეუღლესაც,
უკვე წყვდიადში გაეხვია ჩემთვის ქვეყანა.
აი, სიკვდილის შავი ლანდი წინ ამეფარა,
რომ მზის სინათლე არ წაბილწონ ჩემმა თვალებმა.

პ ა ნ ო პ ე

მოკვდა! გათავდა!

თ ე ზ ე ვ ს ი

მაგრამ ხსოვნას მაინც შერჩება
ეს არნახული უხამსობა და ბოროტება.
წავიდეთ, კარგი გაკვეთილი გვაჩვენა ბედმა,
ცრემლად და ფიქრად ყველა ჩვენგანს დიდხანს გვეყოფა.
წავიდეთ, გულში ჩავიხუტოთ წმინდა ცხედარი,
მდულარე ცრემლით ჩამოვრეცხოთ ყალბი ბრალდება
და ვცეთ პატივი ღირსეული, როგორც წესია,
გამოვისყიდოთ უმეცარი რისხვა და წყევლა.
და რომ დამშვიდდეს ბობოქარი შვილის აჩრდილი,
დღეიდან მისი გულისწორი ჩემი შვილია.

გოთოლია

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

შინათქვა

როგორც ცნობილია, იუდევეთის სამეფო ორი ტომისაგან, იუდასა და ბენიამინისაგან შედგებოდა, დანარჩენი ათი ტომი აუჯანყდა რობოამს და ისრაელის სამეფოდ გაერთიანდა. იერუსალიმი და მისი ტაძარი იუდევეთის მეფეთა, დავითის შთამომავალთა, წილხვედრი იყო, ქურუმებმა და ლევიტებმაც სწორედ დავითიანთა გარშემო მოიყარეს თავი და ბოლომდე მათთან დარჩნენ, რადგან მას შემდეგ, რაც სოლომონის ტაძარი აშენდა, ღვთისმსახურება მხოლოდ იქ იყო ნებადართული, ყველა სხვა საკურთხეველი, მთებზე რომ იდგა და ამის გამო საღვთო წერილი სიმაღლეებს უწოდებს, ღმერთს სძაგდა. ამრიგად, კანონიერი კულტი მხოლოდ იუდევეთში არსებობდა. დანარჩენი ათი ტომი, მცირეოდენი გამონაკლისით, ან კერპთაყვანისმცემელი გახდა, ან განდგა.

ქურუმები და ლევიტები ცალკე ტომი იყო, საკმაოდ მრავალრიცხოვანი. ისინი, სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფილნი, რიგრიგობით ემსახურებოდნენ ტაძარს ერთი შაბათიდან მეორემდე. მსხვერპლშეწირვის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ქურუმებს, აარონის შთამომავლებს. ლევიტები მათ მორჩილებდნენ. ევალეზობდათ ვალობა, მსხვერპლის მომზადება და ტაძრის მოვლა. ლევიტის სახელს ზოგჯერ განუჩრევლად უწოდებდნენ ყველას, ვინც კი ლევის მოდგმისა იყო. მღვდელმთავარი და ისინი, ვისაც იმ კვირით მორიგეობა უწევდა, ცხოვრობდნენ ტალანებსა და სტოვებში, ტაძარს რომ ეკრა და ტაძრისავე ნაწილს შეადგენდა. მთელ შენობას, ერთიანად, წმინდა ალაგი ერქვა, უფრო ზუსტად კი ეს სახელი ეწოდებოდა ტაძრის შიდა ნაწილს, სადაც იდგა ოქროს სასანთლე, სურნელთა საკმევი სამსხვერპლო და შესაწირავი პურების ტაბლა. მაგრამ ეს ნაწილიც გამოიჩნული იყო წმიდათაწმიდა ალაგისაგან, სადაც აღთქმის კიდობანი ესვენა და მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა შესვლის ნება წელიწადში ერთხელ. საკმაოდ მყარი გადმოცემის მიხედვით, ტაძარი სწორედ იმ მთაზე იყო დაშენებული, აბრაჰამმა რომ თავისი ძის ისააკის მსხვერპლად შეწირვა დააპირა.

საჭიროდ მიმანია, ზოგი რამ აქვე განვმარტო, რათა ის მკითხველები, რომელთაც კარგად აღარ ახსოვთ ძველი აღთქმის სათანადო ადგილები, არ შებრკოლდნენ ტრაგედიის კითხვისას. წესის მიხედვით ბიესისათვის „იოასი“ უნდა მეწოდებინა, მაგრამ რაკი თავიდან „გოთოლიას“ სახელით განმარტდა, სათაურის შეცვლისაგან თავი შევიკავე: გოთოლია ხომ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია და ბიესაც მისი სიკვდილით თავდება.

✓ აი, ძირითადი ამბების ერთი ნაწილი, რომელიც ამ დიდ მოვლენას უძღოდა წინ:

იორამმა, იოსაფატის ვაჟმა, იუდეველთა მეშვიდე მეფემ დავითის გეარჩიდან, ცოლად შეირთო გოთოლია, ისრაელის მეფის აქაბისა და იეზაბელის ასული. გოთოლიას დედ-მამას, განსაკუთრებით იეზაბელს, ბევრი წინასწარმეტყველის სისხლი ჰქონდა დათხეული. უსჯულოებაში დედამისს არც გოთოლია ჩამორჩებოდა. სულ მალე აიძულა მეუღლე, კერპთაყვანისმცემელი გამხდარიყო და იერუსალიმში ტაძარიც კი აუგო ბაალს, იეზაბელის სამშობლო ქვეყნის — ტვიროსისა და სიდონის ღმერთს. იორამი ყველა თავისი ვაჟშვილის სიკვდილს მოესწრო, ოქოზიას გარდა. ისინი არაბთა და ფილისტიმელთა ხელით დაიხოცნენ. თვითონ მას ხანგრძლივმა სნეულებამ მთელი შიგნეული ამოუქამა და უბედურს საშინელი ტანჯვით ამოხდა სული. მამის მწარე ხვედრს არ შეუშფოთებია ოქოზია და ისიც მშობლების კვალზე შედგა. მაგრამ სულ ერთი წელი დასცალდა მეფობა. გოთოლიას ძმასთან, ისრაელის მეფესთან სტუმრად ყოფნისას იგი მოაკვლევინა იუმ, რომელიც ღმერთმა თავისი შურისძიების იარაღად აირჩია და წინასწარმეტყველთა ხელით მეფედ აკურთხა. იუმ მუსრი გააელო აქაბის მთელ შთამომავლობას, ხოლო იეზაბელი მისი ბრძანებით ფანჯრიდან გადმოაგდეს და, როგორც ელიამ უწინასწარმეტყველა, ძაღლებმა დაგლიჯეს იგი ნაბოთისეულ ვენახში, რომლის ხელში ჩასაგდებად მან ნაბოთი მოაკვლევინა. იერუსალიმში მყოფმა გოთოლიამ, როცა ამ სისხლისღვრის ამბავი შეიტყო, გადაწყვიტა, სულ ერთიანად მოესპო დავითის მოღვაძე, და თვითონვე მოაშთობინა ოქოზიას შვილები, თავისი საკუთარი შვილიშვილები. საბედნიეროდ, იოსაბეთმა, იორამის ასულმა, ოქოზიას ნახევარდამ, რაღაც სასწაულით სიკვდილისაგან იხსნა იოასი, ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვი. იგი ძიძასთან ერთად ჩააბარა მღვდელმთავარს, თავის მეუღლის, რომელმაც ორივენი ტაძარში დამალა. ბავშვი საიდუმლოდ იზრდებოდა იქ, ვიდრე იუდევეთის ტახტზე არ აიყვანეს. მეფეთა წიგნის მიხედვით, ეს მოხდა რვა წლის შემდეგ, ნეშტთა წიგნის ბერძნულ ტექსტში კი, რომელსაც ემყარებოდა სუბლიციუსი, ნათქვამია, რომ ეს ცხრა წლის შემდეგ მოხდა. ამან უფლება მომცა, უფლისწული ცხრა-ათი წლისად გამომეყვანა, რათა იმ შეკითხვებზე, რომლებსაც მას უსვამენ, ჯეროვანი პასუხის გაცემა შეძლებოდა.

მე მგონი, არაფერი მითქმევინებია მისთვის ისეთი, ამ ხნის ბავშვის გონებასა და მეხსიერებას რომ არ შეეფერებოდეს. მაგრამ დიდი ცოდვა არ იქნებოდა, ცოტათი გადაეცდენოდი კიდევ ამ საზღვარს: არ უნდა დაგვაიფყდეს, რომ იოასი არაჩვეულებრივი ბავშვია, იგი ტაძარში იღზარდა მღვდელმთავარმა, რომელიც მას ერის ერთადერთ იმედად თვლიდა, თავიდანვე სამეფოდ ამზადებდა და ჩაქულში წვრთნიდა. ძველად ებრაელები თავიანთ ბავშვებს სულ სხვაგვარად ზრდიდნენ, ვიდრე ჩვენ ვზრდით ჩვენი ბავშვების უმეტესობას: მათ საღეთო წერილს მხოლოდ იმ ასაკიდან კი არ ასწავლიდნენ, როცა გონებრივად მომწიფდებოდნენ საამისოდ, არა-

მედ, წმინდა პავლეს გამოთქმა რომ ვიხზაროთ, დედის ძუძუდან. ყოველი ებრაელი ვალდებული იყო, ერთხელ თავიდან ბოლომდე გადაეწერა სჯულის წიგნი, მეფეები კი ვალდებულნი იყვნენ ორჯერ გადაეწერათ და მუდამ ხელთ ჰქონოდათ. აქვე მინდა დავძინო, რომ დღეს მთელი საფრანგეთი აღტაცებული შეპყურებს რეაწლინახევრის უფლისწულს, რომელიც ბრწყინვალე ნიშნული იმისა, რას შეიძლება მიადლოს ბავშვმა თანდაყოლილი ნიჭისა და საუკეთესო აღზრდის წყალობით. იოანისთვის რომ ის მახვილგონიერება და საზრიანობა მიმეცა, რითაც ბრწყინავს პატარა უფლისწულის პასუხები, სამართლიანად დამაბრალებდნენ სინამდვილის ღალატს.

მღვდელმთავრის ვაჟის ხნოვანება არსადა აღნიშნული, მაგრამ ვეარაუდობ, რომ იგი იოსაზე ორი-სამი წლით უფროსი იქნებოდა.

მე მივყვებოდი იმ გამოცდილ კომენტატორთა მოსაზრებას, რომლებიც თვით საღვთო წერილის ტექსტივე ასაბუთებენ, რომ მთელი ლაშქარი, რიგითი მეომრებიცა და მათი ხუთივე წინამძღოლიც, ყველანი, ვისაც იოდაემ (იოსების მიხედვით იოაღმა) დავითის მიერ ღვთისადმი შეწირული იარაღი აასხა, ქურუმები და ლევიტები იყვნენ. მართლაც, ამბობენ ხსენებული კომენტატორები, ასეთ წმინდა საქმეში უნდა ყველაფერი წმინდა ყოფილიყო და ვერც ერთი ერისკაცი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდაო. საქმე ეხებოდა არა მხოლოდ იმას, რომ ტახტი შენარჩუნებოდა დავითის მოდგმას, არამედ იმასაც, რომ ამ დიდ მეფეს დარჩენოდა გვარის გამგრძელებელი, ვისი შთამომავალიც იქნებოდა მესია. „რადგან ეს მესია, რომელიც აბრაჰამის ძედ იყო აღთქმული, ამავე დროს დავითისა და იუდევეთის ყველა მეფის ძეც უნდა ყოფილიყო“. ამიტომაც, რომ სახელოვანი და სწავლული პრელატი¹, რომელსაც ამ სიტყვებს დავესესხე, იოსას დავითის სახლის ძვირფას ნაშთს უწოდებს. დაახლოებით ამასვე ამბობს იოსებიც. საღვთო წერილშიც გარკვევითაა ნათქვამი, ღმერთმა იორამის ოჯახი მთლიანად იმიტომ არ ამოწყვიტა, რომ არ ჩამქრალიყო დავითისთვის აღთქმული ლამპარი. ეს ლამპარი კი სხვა არა იყო რა, თუ არ ის ნათელი, კაცობრიობას რომ უნდა მოვლენოდა.

ისტორია არ გვიზუსტებს იოსას გამეფების დღეს, მაგრამ, ზოგიერთი კომენტატორის ვარაუდით, ეს ამბავი დღესასწაულის დროს მოხდა. მე ავირჩიე ერგასობა, ებრაელთა სამ უდიდეს დღესასწაულთაგანი. ამ დღეს ისინი რჩულისდებან ზატიკობდნენ და, გარდა ამისა, ღმერთს ახალი მოსავლის პირველ პურებს სწირავდნენ, ამიტომ ეს დღესასწაული ნარუქობადაც იწოდებოდა. ვფიქრობდი, რომ ეს საშუალებას მომცემდა, ქოროს საგალობლებში მეტი მრავალფეროვნება შემეტანა.

ეს ქოროს ლევის ტომის ასულთაგან შედგება და მას სათავეში ჩაუყენე ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც ზაქარიას დად გამომყავს. სწორედ ეს ქალიშვილია, ქოროს რომ დედასთან შემოუძღვება. იგი ქოროსთან ერთად მღერის, ქოროს მაგიერ ლამპარაკობს და, საერთოდ, იმ პერსონაჟის

¹ ბ-ნი დე მო (რასინის შენიშვნა).

მოვალეობას ასრულებს, ძველ ქორეებში რომ კორიფე ეწოდებოდა. ძველების მიბაძვითვით, მოქმედება რომ უწყვეტად მიმდინარეობს, სცენა არასოდეს ცარიელდება. შუალედები მოქმედებებს შორის შევსებულია ქოროს სადიდებლებითა და შეგონებებით, რომლებიც მომხდარ ამბებს უკავშირდებიან.

შეიძლება მეტისმეტ სითამამელ ჩამითვალონ, რომ გავბედე და სცენაზე გამოვიყვანე ქადაგად დაცემული წინასწარმეტყველი, მაგრამ მე აქ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოვიჩინე: ყოველი მისი სიტყვა წინასწარმეტყველთა წიგნებიდანვე ამოღებული. მართალია, საღეთო წერილში არსადაა ნათქვამი, რომ იოდაეს თავისი ვაჟის მსგავსად წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, მაგრამ იგი ღმრთივ შთაგონებულ კაცად წარმოგვიდგება და, ეგეც არ იყოს, განა სახარებიდან არ ჩანს, რომ მას, როგორც ქურუმთუპირველს, წინასწარმეტყველებაც შეეძლო? ამიტომაც ვუშვებ, რომ მან იმათივე განქვერიტა, რა ავბედითი ცვლილება უნდა მომხდარიყო იოასში, რომელიც ოცდაათი წლის ღვთისმოსავი მეფობის შემდეგ აპყვა მლიქვნელთა ბოროტ რჩევებს და მოაკვლევინა ზაქარია, მღვდელმთავრის ძე და მემკვიდრე. ტაძარში მომხდარი ეს მკვლელობა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ებრაელებზე მოწეული ღვთის რისხვისა და ყველა იმ უბედურებისა, რაც მათ შემდგომში დაატყდათ თავს. იმასაც კი ამბობენ, თითქოს ღმერთის პასუხები აღთქმის კიდობანთან საბოლოოდ სწორედ ამ დღეს შეწყდა. ამან მომცა საბაბი, იოდაეს რომ ტაძრის დანგრევა და იერუსალიმის განადგურება ვაწინასწარმეტყველებინე. მაგრამ, რაჟი წინასწარმეტყველებს ჩვეულებად ჰქონდათ, მუქარისთვის ნუგეშიც დაერთოთ, და რაჟი ამბავი მესიის ერთ-ერთი წინაპრის გამეფებას ეხება, მიზანშეწონილად ვეცი, ორიოდე სიტყვა მესიის მოსვლაზეც თქმულიყო, რასაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ღვთისკაცნი. ამ სცენას, რომელიც ერთგვარ ჩანართს წარმოადგენს, ბუნებრივად ერწყმის მუსიკა, რადგან წინასწარმეტყველთა უმრავლესობას საღეთო სიმშავე სწორედ საკრავთა ხმაზე ეუფლებოდა. ამის დადასტურებაა წინასწარმეტყველთა გუნდი, საელეს რომ მიუძღოდა ჩანგებითა და ქნარებით ხელში, და თვითონ ელისე, რომელმაც ბრძანა: *Adducite mihi psalten*¹, ზუსტად ისევე, როგორც აქ იოდაე ამბობს. დაუმატეთ ისიც, რომ ეს წინასწარმეტყველება ამჟამურებს პიესის დაძაბულობას შეძრწუნებითა და მღვლევარებით, რომელიც ქოროსა და მთავარ მოქმედ პირებს ეუფლება.

¹ მომგვარეთ მეფესალმუნე (ლათ.).

მომგებილი პირნი

იოასი, იუდევეთის მეფე, ოქოზიას ძე.

გოთოლია, იორამის ქვრივი, იოასის ბებია.

იოდაე, მღვდელმთავარი.

იოსაბეთი, იოასის მამიდა, მღვდელმთავრის მეუღლე.

ზაქარია, იოდაესა და იოსაბეთის ვაჟი.

აბენერი, იუდევეთის მეფეთა ერთ-ერთი მხედართმთავარი.

მათანო, განდგომილი ქურუმი, ბაალის მსახური.

ნაბალი, მათანის მესაიდუმლე.

აგარი, გოთოლიას სეფექალი.

იოასის ძიძა.

ლევის ტომის ასულთა ქორო.

მოქმედება ხდება იერუსალიმის ტაძარში,
მღვდელმთავრის საცხოვრებელ დარბაზთა წინ.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

აბენერი, იოლაე

ა ბ ე ნ ე რ ი

ტაძარში მოველ, რომ ვადიდო უზენაესი,
რომ აღვასრულო, რაც ოდითგან წესად გვდებია
და ვიზეიმო ეს დიადი ღღესასწაული,
ეს ღღე, როდესაც სინას მთაზე რჩული მივიღეთ.
რა დრო დაგვიდგა გახსოვს, უწინ საღეთო საყვირი
რომ გვახარებდა ამ ნანატრი ღღის გათენებას,
მოირთვებოდა ყვაეილებით წმინდა ტაძარი,
მოზღვავებოდა წმინდა ერი ტაძრის კარებთან.
ქვეყნის შემოქმედს მოართმევდნენ ადათისამებრ
ბაღ-ვენახების პირველ ნაყოფს, პირველ თაველებს,
საკურთხეველზე დადგებოდა ნარუქის ხვაეი
და ძლივს ასწრებდნენ ქურუმები დამწყალობნებას.
რა ქნა ამ ბილწმა დედაკაცმა, როგორ დაგვლია!
მზე დაგვითალხა, უკაცურჰყო ღღესასწაული
როგორც აჩრდილი, წარსულიდან გამოხმობილი,
თითო-ოროლა მლოცველიდა შემოდის ტაძრად.
იუდევეთმა დაივიწყა თავისი ღმერთი,
დააგდო რჩული და მიაწყდა ბაალის ბომონს.
რასაც მამები თაყვანს სცემდნენ, შვილებმა დაგმეს,
აალორძინეს უწმინდური კერპთმსახურება.
მართალი გითხრა, შიში მიპყრობს, რომ გოთოლია
ღღესა თუ ხვალე საბოლოოდ აიხდის ნილაბს,

ძალით აგაგლეჯს საკურთხეველს და ხალხის თვალწინ
გულს მოიოხებს საზარელი შურისძიებით.

ი ო ღ ა ე

ასეთი ავი წინათგრძნობა რამ გაგიჩინა?

ა ბ ე ნ ე რ ი

როგორ გგონია, ვინც სიმართლის კვალზე შემდგარა,
დღეს დაუსჯელი გადარჩება? ზარავს დედოფალს
შენი სიმტკიცე, მაგ ტიარას ბრწყინვას რომ მატებს.
სარწმუნოების ერთგულებას ამბოხად გითვლის,
ღალატად გითვლის სიწმინდეს და პირუთვნელობას.
სძულხართ ორივე, შენც და შენი სათნო მეუღლეც,
და საკვირველი იქნებოდა, რომ არა სძულდეთ!
შენ ღირსეული მემკვიდრე ხარ აარონისა,
განსვენებული მეფის დაა იოსაბეთი.
ხოლო მათანი, ღრჯუ მათანი, კერპის ქურუმი,
გოთოლიაზე კიდევ უფრო გულბოროტია.
მოგვიოხრა და შეგვიბღალა საკურთხეველები,
რწმენა, სიკეთე, სათნოება, ფეხქვეშ გათელა.
გადამთიელთა მიტრა შუბლზე შემოიხვია
და ეს ლევიტი ახლა ბაალს ემსახურება.
ამ ტაძრის ჯავრმა მოინელა, სურს აქედანაც
განდევნოს ღმერთი, თავისად რომ მიაჩნდა წინათ.
იცილდე, შენი დაღუპვა აქვს გადაწყვეტილი,
მაგრამ ხვაშიადს ჯერ არ ამხელს, ჯერ გეპარება.
ხან ცილს დაგწამებს, გადმოგაღვრის შხამსა და ბალღამს,
ხან კი შეგაქვებს, სამსალაში თაფლსაც გაუტრევს.
უფრო სარწმუნო რომ გახადოს ცილისწამება.
თან, რაკი იცის გოთოლიას ხარბი ბუნება,
გაბრალებს, ვითომ დავითისგან გადანახული
განძი გეპოვოს და სამალავს არავის უმხელ.
ეს ორი დღეა, დედოფალი წარბშეკრულია,
ეტყობა, რაღაც შავი ფიქრი გუნებას უმღვრევს.
გუშინ მე თვითონ შევესწარი, ისეთი რისხვით
და მძულვარებით ეყურებდა ამ წმინდა ალაგს.

თითქოს აქ, სადღაც უცაბედად თვალი დაედგას
მის დასამზობად მოვლენილი შურისმგებლისთვის.
აშკარად ვატყობ, სადაცაა იფეთქებს უკვე
იეზაბელის სისხლიანი ასულის რისხვა,
აღარ მიხედავს აღარაფერს, წამოვა ჭიქურ,
რომ აქვე, თავის ტაძარშივე შემეუსროს ღმერთი.

ი ო ღ ა ე

ვინც შეაჩერა ბობოქარი ტალღების დენა,
იგი ავკაცთა ბნელ ზრახვებსაც იოლად აღკვეთს.
მე ღვთის განგებას ვემყარები, ჩემო აბენერ,
და ღმერთის გარდა არავისი არ მეშინია.
მადლობელი ვარ მაინც შენი, რომ მოხველ ჩემთან
და ამიხილე მოსალოდნელ საფრთხეზე თვალი.
თურმე იღუმალ შენც გაშფოთებს უსჯულოება
და ისევ ისე ძველი რწმენის ერთგული დარჩი.
მაგრამ, მითხარი რა ფასი აქვს ამ ერთგულებას,
რას გვარგებს რწმენა დაფარული და უმოქმედო,
გულში ჩაკლული აღშფოთება რის მაქნისია?
რვა წელი გახდა, ეს ურჯულო, ეს უცხოთესლი,
იუდეველი მეფეების სისხლში მოსვრილი,
დედოფლად გვიზის, მიიტაცა დავითის ტახტი,
თავისი ხელით ამოხოცა შვილიშვილები,
არც ეს იქმარა, ახლა ღმერთის ხელყოფას ლამობს.
შენ კი ერთ-ერთი თავკაცი და ბურჯი ერისა,
ვინც დიდ ბრძოლებში გამოგაწრთო იოსაფატმა,
ვინც მისი ვაჟის, იორამის ქარებს სარდლობდი,
ვინც ამბოხებულ ქალაქებში დააცხრე შფოთი,
როცა ბედკრული ოქოზია განგმირულ იქნა
და იუს თვალწინ გაიფანტა მისი ლაშქარი,
ღღეს ამბობ, უფალს ვმსახურებო, სიმართლე მწამსო.
აჰა, ისმინე, ჩემი პირით გეტყვის უფალი:
„რად მინდა შენი უსულგულო ღვთისმსახურება?
შენი აღთქმები, შენი მსხვერპლი, შენი ლოცვები?
რაში მჭირდება ვაცების და მოზვრების სისხლი?
მეფეთა სისხლი შურისგებას შემოგლალადებს!

შენ კი მკვლევებთან, ავკაცებთან ზავით შეკრულხარ!
წადი, ჯერ მოსპე მათი მოდგმა და გასაგისი,
ჯერ ამოძირკვე ბოროტება ჩემი ერიდან,
მერე მოდი და შემომწირე შენი ზეარაკი!“

ა ბ ე ნ ე რ ი

მე მარტომ რა ვქნა, გვერდით კაცი თუ არ მეგულვის?

ბენიამინი უმწეოა, იუდა განდგა.

იმ დღიდან, როცა გადაეგო მეფეთა გვარი,

დაკარგა ერმა უწინდელი ქედუბრელობა.

გაუტყდათ გული, აღარავინ ხსნას აღარ ელის.

ამას ამბობენ, გაგვწირაო მალაღმა ღმერთმა

და ახლა იგი, ოდინდელი მფარველი ჩვენი,

ვინც შურნეული დაოჯობდა დიდებას ჩვენსას,

ვინც კაცთა მოდგმას თავზარს სცემდა სასწაულებით,

მშვიდად უცქერსო ებრაელთა მზის ჩასვენებას,

დადუმდა აღთქმის კიდობანი, სასწაულები

აღარ ხდებოა.

ი ო დ ა ე

დღე არ გადის უსასწაულოდ!

რამ დაგაბრმავათ, უგუნურნო! ჯერ ასე ცხადლევ

განგების ძალა არასოდეს გამოვლენილა.

ურწმუნო ეროს უყურებ და ვერაფერს ხედავ,

ხმა გესმის, მაგრამ შენს გულამდე არ აღწევს ის ხმა.

ნუთუ, აბენერ, შენც არ გახსოვს, შენც დაგავიწყდა,

რამდენი დიდი სასწაულის მომსწრენი გავხდით?

ხომ მწარე იყო ისრაელის მეფეთა ხვედრი?

რაც ღმერთმა ბრძანა, ყველაფერი ახდა თუ არა?

იმ ვენახშივე ხომ დაინთხა აქაბის სისხლი,

სისხლის ფასად რომ მიიტაცა აქაბმა თვითონ?

ხომ იქვე მოკვდა, იმ ავბედით ვენახთან ახლოს,

იეზაბელი, ცხენებისგან გადათქერილი?

უწმინდურს მიწაც არ ეღირსა დასამარხავი,

მისი სისხლით და მისი ლეშით ძაღლები დაძინენ.

გახსოვს ბაალის ქურუმებზე დამტყდარი რისხვა,
ცეცხლი, ზეგარდმო მოვლენილი საკურთხეველზე?
გახსოვს ელია, სტიქიონებს რომ მბრძანებლობდა?
გახსოვს, ცარგვალი რომ შეკრა და რვაღად აქცია
და სამი წელი წვეთი ცვარი არ დავარდნილა?
გახსოვს, მკვდრები რომ ცოცხლდებოდნენ ელისეს ხმაზე?
და ყოველივე ამის მხილველს ექვები გძალავს?
არა, უფალი კვლავ ის არის, რაც იყო წინათ,
გამობრწყინდება დიდებით და მადლით მოსილი,
თავისი ერი არასოდეს დავიწყებია.

ა ბ ე ნ ე რ ი

მაშინ ის აღთქმა რაღა იქნა, რომელიც ღმერთმა
დავითისა და სოლომონის წინაშე დადო?
განა ამო არ გამოდგა ჩვენი იმედი,
რომ არ ეწერა გადაგება დავითის მოდგმას
და რომ დავითის ღვთაებრივი შთამომავალი
მთელ ცისქვეშეთში მეუფებას დაიმკვიდრებდა,
რომ დაცხრებოდა ქვეყანაზე ომი და შფოთი
და ხელმწიფენი იმის ფერხთით განერთხმებოდნენ?

ი ო დ ა ე

გწამდეს, ყოველი აღსრულდება, რაც აღთქმულია.

ა ბ ე ნ ე რ ი.

მაშინ ეს მეფე, დავითის ძე, ხომ უნდა გაჩნდეს?
ვისგან იშვება, აღარ არის დავითის მოდგმა!
ხმელი ხე, ფესვებგადაჭრილი, მოიღებს ნაყოფს?
მიცვალებული რვა წლის შემდეგ აღდგება მკვდრეთით?
ჩვილი ბავშვიც კი გოთოლიამ აკვანში ჩაკლა.
რომ მომხდარიყო საოცრება და იმ ყრმათაგან
ჯალათის მახვილს ერთი მაინც გადარჩენოდა...

ი ო დ ა ე

შენ რას იზამდი?

ა ბ ე ნ ე რ ი

რას ვიზამდი, საკითხავია?
მივიდოდი და თაყვანს ვცემდი, თავს შევწირავდი
მე კი არა და მთელი ერი, დიდი თუ მცირე...
მაგრამ ეს ფუჭი ოცნებები რას გვარგებს ახლა?
სამეფო გვარის ერთადერთი შთამომავლები
ოქოზია და ოქოზიას შვილები იყვნენ.
იუს ისარმა მოკლა თვითონ ის უბედური,
ხოლო შვილები ღვიძლმა ღედამ ამოუწყვიტა.

ი ო ღ ა ე

ჯერ არ გაგიმხელ საიდუმლოს, ერთს გეტყვი მხოლოდ:
როცა გაივლის დღის ვარსკვლავი მესამედს ცისას,
სამი საათი, ლოცვის ჟამი როცა დადგება,
ტაძარში მოდი ასეთივე გულანთებული
და თვითონ ნახავ, რა წყალობას მოგვივლენს ღმერთი,
მაშინ ირწმუნებ, მისი სიტყვა რომ ურყევია.
ახლა კი წადი, მე სამზადისს უნდა შევუდგე,
ტაძრის გუმბათი გარიჟრაჟმა თეთრად შეფერა.

ა ბ ე ნ ე რ ი

რა წყალობაზე ლაპარაკობ, ვერაფერს ვხვდები.
შენი მეუღლე მობრძანდება, შენ გეძებს, ალბათ.
აბა, მე წავალ და მლოცველებს შევუერთდები,
იქ ხალხი ტაძრის კარიბჭესთან თავს იყრის უკვე.

გამოსვლა მთორე

იოღაე, იოსაბეთი

ი ო ღ ა ე

მეფის ასულო, მეტი მოცდა არ შეიძლება,
აწ დადგა ჟამი, დაფარული უნდა გაცხადდეს,
თორემ ბოროტის მზრახველები, სიმართლის მტრები,
ჩვენმა სიჩუმემ მეტისმეტად გაათამამა.

ბორგნეულები ღმერთის გმობას არ სჯერდებიან და, როგორც ვხედავ, საქმე უკვე იქამდე მიდის, რომ მალე შენი უკეთური დედინაცვალი ბაალს დაუწყებს ამ საყდარში გუნდრუკის კმევას. დროა, ვაჩვენოთ ერს თავისი ყმაწვილი მეფე, შენ რომ იხსენი და ტაძარში ფარულად ვზრდიდით. დროა, გამეფდეს, უჩვეულო ბავშვია იგი, და თავის ხნისთვის გასაოცრად გონიერია. ვიდრე გავუმხელ საიდუმლოს, მსურს შეგავედრო უფალს, ვისითაც ხელმწიფებენ ხელმწიფეები, მერე კი ვიხმობ ჩვენს ქურუმებს და ჩვენს ლევიტებს, ტახტის მემკვიდრეს ვაჩვენებ და ყველაფერს ვეტყვი.

იოსებეთი

მან ჯერ არ იცის, ვინ არის და ვისი შვილია?

იოღაე

არა, თავის თავს ელიაკიმს უწოდებს ისევ. ასე ჰგონია, დედისაგან მიტოვებული ჩვენ ვიპოვეთ და სამოწყალოდ გუწევ მამობას.

იოსებეთი

ღმერთო, რა ხიფათს გადაურჩა ეგ უბედური! ვინ იცის, საწყალს რა ხიფათი მოელის კიდევ!

იოღაე

როგორ, შენც შიში მოგერია? შეგერყა რწმენა?

იოსებეთი

შენი სიტყვის და შენი საქმის მე მუდამ მჯერა. აკი სიკვდილს რომ გამოვტაცე უმწურო ჩვილი, შენ მოგიყვანე, მისი ბედი შენ ჩაგაბარე. მე კი მას შემდეგ, შენ თვითონაც ამჩნევდი, ალბათ, თავს ვარიდებდი, გავურბოდი მის სიახლოვეს, ზედმეტი ცრემლით ან ზედმეტი მისათუთებით ჩემდაუნებურ საიდუმლო რომ არ გამეცა.

ღმერთო, მოხედე! სამი ღამე გავტეხე ლოცვით,
რა შემოდის ტირილის და ვედრების გარდა?
ახლა კი მინდა, იოდაე, პირდაპირ გკითხო,
ნუ დამიშალავ, ვინ მოიხმე თანამდგომლებად?
მამაც აბენერს ხომ გაენდე? რას ამბობს იგი?
თავის ყრმა მეფეს ერთგულება უკვე შეჰფიცა?

ი ო ღ ა ე

სანდო კაცია აბენერი, მაგრამ ჯერ მასაც
არ გავუმჟღავნე, ჩვენი მეფე რომ ცოცხალია.

ი ო ს ა ბ ე თ ი

მაგრამ იოასს მტრებისგან რომ დაცვა სჭირდება!
ვისა ხვდა წილად ეს პატივი? ობედს და ამნონს?
მამაჩემისგან მათ იმდენი სიკეთე ახსოვთ...

ი ო ღ ა ე

არა, ისინი გოთოლიამ გადაიბირა.

ი ო ს ა ბ ე თ ი

მაშ, მითხარ, ვისი იმედი გაქვს? ვინ გამოგვეყვება?

ი ო ღ ა ე

აკი გითხარი, ქურუმები და ლევიტები.

ი ო ს ა ბ ე თ ი

ეს ხომ მეც ვიცი, მე თვითონაც კარგად ვხედავდი,
როგორ იკრებდი შენს გარშემო უფლის მსახურებს,
ვიცი, რომ შენი ერთგულია ყველა მათგანი,
ფიცით შეკრულებს მათაც შენებრ სძულთ გოთოლია
და უყოყმანოდ თავს დადებენ დავითის ძისთვის.
მაგრამ როდესაც მტერი მახვილს აღმართავს ჩვენზე,
ვითომ გვიშველის მარტო მათი გულმხურვალება?
ნუთუ შენ ეჭვი გეპარება, რომ გოთოლია,
რაწამს გაიგებს იოასის აქ ყოფნის ამბავს,
დაუყოვნებლივ შემოგვერტყმის თვისტომთა ლაშქრით,

შემოგვიღეწავს ტაძრის კარებს და დაგვერევა?
რას გახდებიან მათთან შენი ღვთისმსახურები?
რა შეუძლიათ? ღალადისი? შენდობის თხოვნა?
უმანკო ხელთა ცადაპყრობა? დამწყალობნება?
მათ ხომ არასდროს იარაღი არა სჭერიათ
და არც სხვა სისხლი დაუღვრიათ, ზვარაკის გარდა?
ხოლო თუ მტერმა იოასი ხელში ჩაიგდო...

ი ო დ ა ე

მაგრამ ღმერთი რომ ჩვენკენაა, ეს გავიწყდება?
ღმერთი, რომელიც განსაცდელში იფარავს ობოლს
და ხშირად თავის ძლიერებას უძღურა გვივლენს,
ღმერთი, რომელიც ყველა მტარვალს რისხავს და ამზობს,
როგორც დაამხო აქაბი და იეზაბელი,
ღმერთი, რომელმაც მათი თესლის აღმოსაფხვრელად
მათი ასულის ქმარიცა და შვილიც განგმირა,
ღმერთი, რომელმაც ერთი წამით დაუშვა მხოლოდ
ამ ბილწ მოდგმაზე აღმართული მსახვრალი ხელი.

ი ო ს ა ბ ე თ ი

სწორედ ეგაა, რაც მაშინებს ყველაზე უფრო,
ახლა იოასს არ მოჰკითხოს მათი ცოდვები.
ვაითუ ჩემი უბედური ძმის ნაშვიერიც
დასაღუპავად წინასწარვე განწირულია.
ან იქნებ ღმერთმა ყველასაგან გამოარჩია,
წყევლა ახსნა და შეივრდომა დავითის ხათრით?
რა საზარელი ბოროტების მხილველი გავხდები
ღღესაც კი გონზე ვერ მოვსულვარ, კვლავ თვალწინ მიდგას
ჯალათთა ხროვა, აჩეხილი მეფისწულეები
და უმოწყალო გოთოლია, მახვილით ხელში
მსხვერპლზე დახრილი... უცებ თვალი მოგვარ იოასს,
გულწასულ ძიძას ჩაებღუჭა... ცოცხალი იყო...
ჩანდა, რომ ძიძა გააფთრებით ეძგერა მომხვედურთ
და ბავშვი რაღაც სასწაულით გადარჩა სიკვდილს.
ეტყობა, მკვდარი ეგონათ და თავი ანებეს.
წამოვიყვანე, თან ცრემლებით ვულტობდი სახეს,

ნელ-ნელა გრძნობა დაუბრუნდა და მე არ ვიცი, შიშისგან იყო, თუ უბრალოდ ალერსი სურდა, ყელზე მომხვია ხელები და გულში ჩამეკრა. ღმერთო მაღალო, ჩემი ზრუნვა და სიყვარული საბედისწერო ნუ გახდება ამ სათნო ყრმისთვის, დღეს ერთადერთი ნუგეშია ერისა იგი, დავითის სახლის ერთადერთი ძვირფასი ნაშთი, აქ, შენს ტაძარში შენი სჯულის ერთგულად ვზრდიდით და ზეციერი მამის გარდა მამა არ იცის. თავს ვეველებოდით სასოებით და ახლა, როცა პირისხლიანი დედოფალი მოსრას გვიქადის, თუ ჩემი შიში და ცრემლები შეცოდებაა, მოისხი მაღლი და ჩემს გარდა ნურავის დასჯი. გადაგვირჩინე შენი აღთქმის მემკვიდრე, ღმერთო!

ი ო ღ ა ე

არა, ცრემლები შეცოდებად არ ჩაგეთვლება, მაგრამ ჯობია, ღვთის მამობრივ ზრუნვას მიენდო. ზეგარდმო რისხვა ბრმად არავის ატყდება თავზე და სათნო შვილი არ ისჯება მშობლის ცოდვისთვის. ებრაელთაგან დღეს ერთგული თუ ვინმე დარჩა, აქ მოვა ყველა, უფალს აღთქმა რომ განუახლოს. თვითეულ მათგანს რამდენადაც დავითი უყვარს და მისი მოდგმა, იმდენადვე სძულს გოთოლია, მათ იოასი ყველას შეძრავს სულით ხორცამდე უმანკოებით და მეფური სისხლის ნიშაბით. გადაიხსნება ამ ტაძარში გულები მათი და გულთა წიაღ თვითონ ღმერთი ამეტყველდება. ზედინედ ორი ღვთისმგმობელი მეფე ვითმინეთ. დღეს იუდევეთს ღვთისმოსავი მეფე სჭირდება, მეფე, რომელსაც სიკვდილამდე ემახსოვრება, რომ ღმერთმა იგი აღამაღლა ქურუმთა ხელით, ქურუმთა ხელით გამოსტაცა ქვესკნელის წყვდიადს, რათა ლამპარი დავითისა არ ჩამქრალიყო. ღმერთო მაღალო, თუ ეს ბავშვი თავისი გვარის ღირსი არ არის და არ წავა დავითის კვალზე,

გადაამსხვრე, როგორც ლერწამს ამსხვრევს გრიგალი,
 დააჭკნე, როგორც უდაბნოში ყვავილი ჭკნება.
 მაგრამ, უფალო, თუკი იგი სიმართლით ივლის
 და თუკი გულში ჩაიბეჭდავს შენს წმინდა მცნებას,
 მაშინ ბრწყინვალე წინაპრების გადაეც სკიპტრა,
 სუსტი ხელებით მტრის სიმძლავრე დაგვათრგუნინე.
 შენ აუძღვრე დედოფალს და მათანს გონება,
 სმენა დაუხშე, ჩაუსახლე გვამში ორთავეს
 სიბრძავესა და ცთომის სული, რაც მეფეთათვის
 მათი დამხობის ავბედითი საწინდარია.
 ახლა კი წავალ, უამრავი საქმე მიმელის.
 ნახვამდის. აქეთ მოუძღვება შენი ქალ-ვაჟი
 ჩვენი ერთგული ლევიტების ასულთა წყებას.

გამოსვლა მისამე

იოსაბეთი, ზაქარია, სალომითი, ქორო

იოსაბეთი

შენ წადი, შვილო ზაქარია, გაჰყევი მამას,
 ღვთისმსახურება სადაცაა, უნდა დაიწყოს.
 ლევის ასულნო, მშვენიერო უფლის მხვევლებო,
 ღვთის სიყვარულით ანთებულნო, სალამი თქვენდა
 უცხოდ მორთულხართ, ყვავილები გიპყრიათ ხელში,
 შროშნებისა და სუმბულების გვირგვინი გხურავთ.
 ეს მხიარული ფერები და ვარდ-ყვავილები
 მართლა შევნოდა ჩვენს უწინდელ დღესასწაულებს,
 ამ დღესასწაულს უფრო თალხი შეეფერება.
 აჰა, საყვირის ხმა გაისმა! ღვთისმსახურება
 უკვე იწყება, გააღებენ ტაძრის კარიბჭეს.
 უნდა წავიდე მძღოცვლებთან შესაგებებლად.
 თქვენ კი იმღერეთ, ხმაშეწყობით აღიღეთ ღმერთი.

ქორო

ქორო

ჟამთუწინარეს სუფევდა იგი.
მისი დიდება სამყაროს ავსებს.
საგალობელი ვუმღეროთ, დებო,
ნუმც მოგვკლებოდეს წყალობა მისი.

ერთი ხმა

ამოდ ლამობს უსჯულოება,
რომ დაადუმოს ერი უფლისა,
რომ დაგვაფიწყოს უფლის სახელი.
დღე დღეს აუწყებს მის ძლიერებას
სადიდებელი ვუმღეროთ, დებო,
ნუმც მოგვკლებოდეს წყალობა მისი.

ქორო

სადიდებელი ვუმღეროთ, დებო,
ნუმც მოგვკლებოდეს წყალობა მისი.

ერთი ხმა

ამოშლის ყვავილს, ფერადს და ფერადს
ყვავილის გულში განასკვავს ნაყოფს.
წვიმას ცვლის დარი,
სითბოს — სიგრილე
და ყოველ მარცვალს ერთიასად
აბრუნებს მიწა.

სხვა ხმა

მისი განგებით იქმნა ყოველი,
მზე მისით ბრწყინავს,
დღე მისით ნათობს,

მაგრამ კაცთათვის მაინც სჯულია
უზუნაესი წყალობა მისი.

ს ხ ვ ა ხ მ ა

ო, სინას მთაო, მარად გახსოვდეს
ის დღე ნეტარი, დღე კურთხეული,
როცა თავისი დიდების სხივი
მან, მიმალულმა ღრუბელთა შორის,
აღმოდებული შენი თხემიდან
გამოუბრწყინა მოკვდაეთა თვალებს.
ეს ცეცხლი, ელვა, კვამლის სვეტები,
ქექა-ქუხილი, საყვირთა გრგვინვა
რას ნიშნავს ნეტავ?
ხომ არ მოდის რისხვით აღვსილი,
რომ დაარღვიოს კავშირთა წყობა,
რომ შეარყიოს ქვეყნიერება?

ს ხ ვ ა ხ მ ა

არა, ის მოდის თავის ერთან
წმინდა მცნების უკვდავი ნათლით,
მოდის და მისგან
მარადიულ სიყვარულს ითხოვს.

ქ ო რ ო

ო, ღვთაებრივი და წმინდა სჯული
ო, სამართალი,
ო, სიკეთე უზუნაესი!
ო, რწმენისა და სიყვარულის
სიტკბო და სიბრძნე!

ე რ თ ი ხ მ ა

მონობას დახსნა მამები ჩვენი,
მწირ უღაბნოში მანანით კვება,
გვითნო და გვეთნო,
გვიბოძა სჯული
და ჩვენგან მხოლოდ სიყვარულს ითხოვს.

ქორო
ო, სამართალის
ო, სიკეთე უზენაესი

იგივე ხმა
ზღვა გადაგვიხსნა, გამოგვატარა,
მშრალი ტინიდან გვიდინა წყარო,
გვითნო და გვეთნო,
გვიბოძა სჯული
და ჩვენგან მხოლოდ სიყვარულს ითხოვს.

ქორო
ო, ღვთაებრივი და წმინდა სჯულის
ო, რწმენისა და სიყვარულის
სიტკბო და სიბრძნე!

სხვა ხმა
ღვთისუმაღურნო, რომელნიც მხოლოდ
მონური შიშით მორჩილებთ უფალს,
რად გეძნელებათ, გიყვარდეთ იგი,
სიკეთისათვის მაღლი მიაგოთ?
მონის ხვედრია შიში და ძრწოლა,
სიყვარულია შვილების ხვედრი.
თქვენს მორჩილებას, ლოცვა-ვედრებას
არა აქვს ფასი უსიყვარულოდ!

ქორო
ო, ღვთაებრივი და წმინდა სჯულის
ო, სამართალის
ო, სიკეთე უზენაესი
ო, რწმენისა და სიყვარულის
სიტკბო და სიბრძნე!

მეორე მოქმედება

გამოსვლა პირველი

იოსებეთი, სალომითი, ქორო .

იოსებეთი

კმარა, შვილებო, დაასრულეთ ახლა გალობა,
დროა, ყველანი გავეშუროთ საკურთხეველისკენ,
წარუდგეთ უფალს, ვიზეიმოთ დღესასწაული
და ჩვენი ხმებიც შევუერთოთ მლოცველთა ქოროს.

გამოსვლა მეორე

ზაქარია, იოსებეთი, სალომითი, ქორო

იოსებეთი

როგორ მორბინარ, ზაქარია! რა ფერი გადევს!

ზაქარია

დედა!

იოსებეთი

რა მოხდა!

ზაქარია

წაგვიბილწეს წმინდა ტაძარი!

იოსებეთი

რა თქვი?

ზაქარია

უფალმა მიატოვა საკურთხეველი.

იოსებეთი

გამაგებინე, ნუ მომკალი! შიშით აღარ ვარ.

ზ ა ქ ა რ ი ა

იყო ახალი დაწყებული ღვთისმსახურება
და სამსხვერპლოზე მამაჩემი, დიდი ქურუმი,
უფალს სწირავდა სამშვიდობო ზეარაკის შიგანს
და წლევანდელი მოსავლისგან დამცხვარ ხმიადებს.
გვერდით ვედექით მამას მე და ელიაკიმი,
სელის ქათქათა სამოსელში გამოწყობილნი,
ხოლო ჩვენს ირგვლივ ქურუმები დაკლული მსხვერპლის
სისხლს აპკურებდნენ საკურთხეველს და საკრებულს.
უეცრად ხალხი შეჩოჩქოლდა, ყველამ ერთბაშად
მიაპყრო თვალი შემოსასცლელს და გაირინდა.
ის დედაკაცი იდგა ზღურბლზე... ღმერთს როგორ ვცოდო,
როგორ წარმოვთქვა უწმინდური მისი სახელი...
ის დედაკაცი... გოთოლია...

ი ო ს ა ბ ე თ ი

ძალნო ცათაწო!

ზ ა ქ ა რ ი ა

მერე ქალთათვის აკრძალული სტოვა გამოვლო
და წამოვიდა მედიდურად თავადერილი
იმ საგანგებოდ მონიშნული ადგილისაკენ,
სადაც არავის შეესვლება ლევიტთა გარდა.
შემკრთალმა ხალხმა გზა უტია და ის-ის იყო,
ზღურბლზე გადმოსვლას აპირებდა, რომ მამაჩემი
წინ გადაუდგა არნახული რისხვით მზირალი,
ალბათ მოსეც კი არ უმზერდა ასე ფარაონს...
„განვედ! — უბრძანა, — გაეცალე ამ ადგილს, სადაც
გიკრძალავს ყოფნას შენი სქესი და უღმერთობა.
რისთვის მოხვედი? გინდა ხელპყო ღმერთი ცხოველი?
განვედ!“ დედოფლის თვალებიდან ცეცხლმა დაკვესა,
ეტყობა, რადაც მკრეხელური უნდოდა ეთქვა,
მაგრამ არ ვიცი, რამ შეზარა, ღვთის ანგელოზი
თუ მოველინა ცეცხლოვანი მახვილით ხელში,
ხმა ველარ დასძრა, მთელი მისი ამპარტავნება
უკვალოდ გაქრა და ადგილზე გაქვაგებული
მონუსხულივით მიაჩერდა ყრმა ელიაკიმს.

იოსაბეთი

ყრმა ელიაკიმს? ღმერთო! მერე? მერე რა მოხდა?

ზაქარია

ჩვენ ორივენი უჩვეულო შიშმა შეგვიპყრო,
მაგრამ გარშემო ქურუმები და ლევიტები
შემოგვეხვივნენ და სასწრაფოდ იქაურობას
გამოგვარიდეს. ამის მეტი არა ვიცი რა.
მაშინვე შენთან გამოვქანდი ამბის სათქმელად.

იოსაბეთი

უეჭველია, მისი ხელში ჩაგდება უნდა,
თორემ მაგ ავსულს ჩვენს ტაძარში რა მოიყვანდა!
ვინც ჩემი ცრემლის მიზეზია, ვაითუ უკვე,
სწორედ ამ წუთას... მაგრამ არა! ღმერთი დიდია!

სალომითი

მაინც ვინ არის შენი ცრემლის მიზეზი, დედა?

ზაქარია

ვისი ჩაგდება უნდათ ხელში? ელიაკიმის?

სალომითი

ელიაკიმი ასე რითი განარისხებდა?

ზაქარია

უმწეო ყრმისა ეშინია? ვერ დაეიჭერებ!

იოსაბეთი

აქეთკენ მოდის! გავერიდოთ. მომყევით ყველა.

გამოსვლა მესამე

გოთოლია, აგარი, აბენერი, გოთოლიას ამაღა

აგარი

გემუდარები, დედოფალო, აქ ნუ დარჩები.
გიჯობს, გასცილდე ამ ღრიანცელს და ორომტრიალს,

თავის ქურუმებს მიანებო ეგ სამლოცველო.
კმუნვის ღრუბელი, ასე მძიმედ რომ გაწევს გულზე,
შინ, სასახლეში უფრო მალე გაგიქარდება.

გოთოლია

არ შემიძლია, ხომ უყურებ, თავს ვერ გერევი.
წადი და მათანს მოახსენე, მოვიდეს ჩქარა.
იქნებ მან მაინც მომიტანოს სულის სიმშვიდე,
მთელი არსებით რომ ვეძებ და ვერ მიპოვია.

გამოსვლა მეოთხე

გოთოლია, აბენერი, გოთოლიას ამაღლა

ა ბ ე ნ ე რ ი

გთხოვ, მომიტეეო, იოდაეს დაცვას რომ ვბედავ,
მაგრამ მე მისმა აღელვებამ არ გამაკვირვა.
თვითონ ღმერთისგან, ჩვენ რომელსაც ვემსახურებით,
დასაზღვრულია ჩვენი ტაძრის ყოველი არე.
აქ თავ-თავისი ადგილი და საქმე აქვს ყველას,
ლევიტია თუ აარონის შთამომავალი,
და მათთვის, მთელი მოდგმისათვის, აკრძალულია
კერპმსახურებთან ყოველგვარი ურთიერთობა.
განსვენებული იორამის თანამეცხედრემ,
განსვენებული ოქოზიას მშობელმა დედამ
რომ არ იცოდეს ჩვენებური ადათ-წესები,
ვერ დავიჭერებ. აჰა, თქვენი მათანიც მოდის.
მე წავალ.

გოთოლია

არა, მოიცადე, საქმე მაქვს შენთან.
კარგი, შევეშვათ იოდაეს თავხედურ ქცევას,
ნურც მაგ უაზრო ცრურწმენებზე ვილაპარაკებთ,
თქვენს ტაძარში რომ უცხოელთა შემოსვლას კრძალავს.
გამოგიტყდები, სულ სხვა რამე მაწუხებს ახლა
და მინდა ჩემი საწუხარი შენც გაგიმხილო,

შენ ხომ ჰკვირები კაცი ხარ და მშვენივრად იცი,
ღმერთს და ხელმწიფეს თავ-თავისი როგორ მიაგო.
პოდა, ნუ წახვალ.

გამოსვლა მახუთა

გოთოლია, მათანი, აბენერი, გოთოლიას ამაღა

მათანი

დედოფალო, თვალს არ ვუჯერებ
აქ როგორ მოხვდის რა წუხილმა, რა მღელვარებამ
გაფიქრებინა ამ უწმინდურ ტაძარში მოსვლა,
ამ უნდო ხალხში, სადაც ყველა შენი მტერია.
ვერ გამიგია, ასე როგორ მოგიღბა გული...

გოთოლია

მომიხსლოვდით და ორივემ ყური დამიგდეთ!
მე არც წარსულის გახსენებას ვაპირებ ახლა
და არც დაღვრილი სისხლის გამო თავის მართლებას,
რაც ჩავიდინე, არა ვნანობ, არ მერცხვინება.
არავინაა ჰქვეყანაზე ჩემი განმსჯელი,
მოცლილი ხალხი რას იყბედებს, არ მედარდება.
ზენამ სავსებით დაამტკიცა ჩემი სიმართლე,
როდესაც მტრებზე გამიმარჯვა და აღმაზევა.
ღღეს ზღვიდან ზღვამდე მოკრძალებით მახსენებს ყველა,
ჩემი წყალობით თქვენს მიწაზე მშვიდობა სუფევს.
ველარ ბედავენ თავმოწონე ფილისტიმელნი,
თქვენი საზღვრები ძველებურად მოითარეშონ.
იორდანეზე არაბებიც აღარსად ჩანან.
სირიის დიდი მბრძანებელი კრძალვით მიწოდებს
დას და დედოფალს, ხოლო იუ, გულზვავი იუ,
ვინც ვერაგულად ამოხოცა ჩემიანები
და მეც დამხოხას მიქადიდა, ღღეს ნირწამხდარ
სამარიაში შეყუყულა და შიშით კვდება,
ძღვევამოსილი მეზობლები არ მივუსიო.
აღარათფერი ჩემს დიდებას არ ემუქრება

და მშვიდად ვტკბები საკუთარი სიბრძნის ნაყოფით.
 მაგრამ ეს ბოლო დღეებია, საგონებელში
 ვარ ჩავარდნილი, გული რაღაც ავბედითს მიგრძობს.
 ერთმა სიზმარმა (ზოგჯერ სიზმარს რა ძალუძს თურმე!)
 თილისმით შემკრა, მოსვენება დამაკარგვინა,
 ყველგან თან დამდევს, ველარსაით ვერ გავეჭეცი.
 აი, ვიამბობთ, რა ვიხილევ: უკუნი ღამით
 გამომეცხადა დედაჩემი იეზაბელი,
 ისევე მორთულ-მოკაზმული, როგორც ოდესღაც,
 იმავე სამოსში, აღსასრულის დღეს რომ ემოსა,
 სახეც ისევე მოეხატა ფერ-უმარილით,
 ყამთასვლის კვალი, წარუშლელი, სულ ოდნავ მაინც
 რომ წაეშალა, და ამდენი უბედურების
 მიუხედავად ისევ ისე ამაყი ჩანდა.
 ახლო მოვიდა ჩემს საწოლთან და მითხრა: „ძრწოდე,
 ასულო ჩემო, დედაშენის კვალზე შემდგარო,
 შენც ჩემებრ გრისხავს ებრაელთა უწყალო ღმერთი
 და მებრალეები, რადგან მისი მსახვრალი ხელი
 გიანხოვდება“. ამ საზარი სიტყვების შემდეგ
 ჩემს სასთუმალზე დაიხარა. მსურდა მკლავები
 შემომეხვია, მაგრამ, ვაგლახ, წავაწყდი მხოლოდ
 დაჩეჩქვილ ძვლებს და სისხლიანი ხორცის ნაფლეთებს,
 ძაღლები ღრენით ერთმანეთს რომ გლეჯდნენ პირიდან.

ა ბ ე ნ ე რ ი
 ღმერთო!

გ ო თ ო ლ ი ა

უეცრად სხივოსანი ბავშვი ვიხილევ
 იუდეველი ქურუმების თეთრი სამოსით.
 მისმა ნათელმა გამოხედვამ, სათნო იერმა
 იმ საშინელი ხილვის შემდეგ შვება მომფინა,
 მაგრამ ანაზღად მუხანათმა ბასრი ხანჯალი
 პირდაპირ გულში მისწორა და ვადამდე ჩამკა.
 ვიცი, თქვენ ამას წარმოსახვის თამაშად ჩათვლით,

არაფერს მისწერს ჩემს სიზმარში არ დაინახავთ.
 თავდაპირველად მე თვითონაც ასე მეგონა.
 ეს ყველაფერი ცხელი ღამის დახუთულ ჰაერს
 დავაბრალებ და ჩემი შიშის თვითონვე შემრცხვა.
 მაგრამ თავიდან განმეორდა ჩემი ზმანება
 და იმავ ბავშვმა იმავ ხანჯლით გული გამიპო.
 თავზარდაცემულს გამეღვიძა. ოფლში ვცურავდი.
 სასწრაფოდ ავდექე, მივაშურე ბაალის ტაძარს,
 საკურთხეველთან დამხობილმა დიდხანს ვილოცე,
 მაგრამ ამაოდ. ყოვლისშემძლე ყოფილა შიში.
 დღეს გულმა აქეთ, ამ ტაძრისკენ გამომიწია,
 რომ ებრაელთა ღმერთისათვის შესაწირავი
 მომერთმია და მისი რისხვა ამით დამეცხრო.
 დიღო ქურუმო, გთხოვ, შემიწოდო ბაალის მიმართ
 ეს შეცოდება: უკვე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.
 ტაძარში როგორც შემოვვდი, ხალხი იმწამსვე
 გასასვლელს ეცა, ჩაიშალა ღეთისმსახურება.
 წინ იოდაე გადამიდგა სახეშეშლილი
 და რალაც მითხრა... რა, არ მახსოვს... ყურს არ ვუგდებდი...
 ჩემს თვალწინ, ჰოი საოცრებავ, ის ბავშვი იდგა,
 (უმაღ ვიცანი!) სიზმარში რომ გული გამიპო.
 წარმოიდგინეთ ჩემი შიში და განცვიფრება!
 იგივე სახე! ისეთივე სათნო იერი!
 ზუსტად იგივე გამოხედვა! ქურუმის გვერდით
 იდგა და სელის მოჭათქათე სამოსი ეცვა.
 მერე კი გაქრა, ეტყობოდა, მე გამარიდეს.
 აი, ეს არის, რაც მინდოდა მემბნა თქვენთვის,
 აი, ეს არის, აქედან რომ აღარსად მიშვებს.
 ხომ საოცარი დამთხვევაა? რას იტყვი, მათან?

მ ა თ ა ნ ი

სიმართლვე გითხრა, ეს დამთხვევა ძალზე მაშინებს.

გ ო თ ო ლ ი ა

შენც იქ იყავი და ის ბავშვი ნახე, აბენერ.

ვინ არის იგი? ვისი სისხლის? ვისი გვარ-ტომის?

ა ბ ე ნ ე რ ი

იქ ორნი იყვნენ, ქალბატონო, ქურუმის გვერდით.
ერთი მათგანი იოდაეს შვილია, ვიცი,
ხოლო მეორეს მე არ ვიცნობ.

მ ა თ ა ნ ი

ვინც გინდა იყვნენ,
კარგი იქნება, ორივესგან თავს თუ დავიზღვევთ.
იოდაეზე რასაც ვფიქრობ, მოგეხსენებათ.
სულაც არ მინდა წყენისათვის შური მივაგო.
არა, მე მხოლოდ უზენაეს სამართალს ვიცავ.
ვთქვავთ, იოდაეს შვილიცაა, მერე რა მოხდა?
ბოროტმოქმედი უნდა მოკვდეს!

ა ბ ე ნ ე რ ი

ბოროტმოქმედი?
იმ ბავშვს უწოდებ ბოროტმოქმედს? ასეთი რა ქნა?

მ ა თ ა ნ ი

რა და ხანჯალი დაგვანახა მის ხელში ზენამ
და ზენა რასაც მიგვანიშნებს, არ შეიძლება
სანდო არ იყოს.

ა ბ ე ნ ე რ ი

ასე როგორ უჯერებ სიზმარს!
ტყუილუბრალოდ გასურს დაღვარო უმანკო სისხლი?
ჯერ არც კი იცი, ვინ არის და სადაურია!
მაინც რაშია დამნაშავე?

მ ა თ ა ნ ი

შიში აღგვიძრა.
თუ იგი დიდი გვარისაა, ეს კიდევ უფრო
გვავალდებულებს, რომ დავსაჯოთ. თუ მდაბია,
ღირს კია, ვილაც მდაბიოზე ამდენს ვლაობდეთ?
ხელმწიფემ უნდა სამართალი მსწრაფლ განაჩინოს.
მრავალი ტახტი, დამხობა რომ ელოდა თითქოს,

საექვო პირთა სწრაფი დასჯით გადარჩენილა.
ზედმეტს ნუ ვიზამთ. ხელმწიფისგან ეჭვმიტანილი
დამნაშავეა და თავისი უნდა მიეზლოს.

ა ბ ე ნ ე რ ი

არ ეკადრება ეს სიტყვები ღვთისმსახურს, მათან!
მე, ვინც ბრძოლებში გავიზარდე, ვინც ხელმწიფეთა
შურისძიების იარაღი ვიყავი ოდით,
მე, ომის მსახურს, სისხლისა და სიკვდილის როშარს,
იმაზე უნდა მიხდებოდეს აქ ლაპარაკი,
რომ გვმართებს ვიყოთ ლმობიერნი მოყვასის მიმართ?
შენ კი, ვინც მასზე მამობრივად უნდა ზრუნავდე,
ვინც აქ მშვიდობის მსახურად ხარ დადგინებული,
იმის ნაცვლად, რომ შეანელო მეფეთა რისხვა,
უცოდველ ყრმათა განუკითხავ დასჯას ქადაგები
პირდაპირ გეტყვი, ქალბატონო, რაკი შენ თვითონ
მიბრძანე, ვიყო პირდაპირი: რა გაკრთობს ასე?
ფუჭი ზმანება? უსუსური ბავშვი, რომელიც
ალბათ შეცდომით ვიამსგავსე სიზმარში ნანახს?

გ ო თ ო ლ ი ა

მე თვითონ მინდა დავიჭერო, რომ მართლა შეეცდი,
და, რომ შიშისთვის საფუძველი მართლა არა მაქვს.
მაგრამ ეჭვები საბოლოოდ რომ გამეფანტოს,
ახლოდან ვნახავ, უკეთესად დავაკვირდები.
გთხოვ, ორივენი ჩემს წინაშე მოაყვანილო.

ა ბ ე ნ ე რ ი

ვაითუ...

გ ო თ ო ლ ი ა

როგორი შენ გგონია, რომ გაურჩებას
გამიბედავენ? მერე უარს რითი ახსნიან?
ამით ხომ ეჭვებს კიდევ უფრო გამიმძაფრებენ?
წადი, უბრძანე იოდაეს და იოსაბეთს,
ორივე ბავშვი აქ მომგვარონ დაუყოვნებლივ.

ვხედავ, აბენერ, რომ ეს თქვენი ღვთისმსახურები
ვერ აფასებენ გოთოლიას დიდსულოვნებას.
ენებს იფხანენ და ჩუმ-ჩუმად ხალხს მიმხედრებენ.
სხვა ჩემს ადგილას ნანგრევებად აქცევდა ტაძარს
და მის მსახურებს ერთიანად ამოუყუჟავდა.
მეც ამეცხება მოთმინების ფიალა, ვატყობ.
ასე უთხარი იოდაეს, თავს ნუ გაუჟვა,
ნუ მომაყენებს ხელმეორედ შეურაცხყოფას,
თორემ ინანებს. აბა, წადი.

გაგონსვლა მეთქვესა

გოთოლია, მათანი, გოთოლიას ამაღლა

მათანი

ახლა კი გეტყვი,
რას ვფიქრობ მართლა. ეს ტაძარი ურჩხულს დაბადებს
და ვიდრე მეხი დაგვეტყდომია, რამე ვიღონოთ.
მეფეთა გვარის ერთგულია ეს აბენერი,
დღესაც მოსულა უთენია და რალაცაზე
იოდაესთან საიდუმლოდ უსაუბრია.
გუმანით ვხედები, იოდაეს სურს ეგ ყმაწვილი
მეფედ აკურთხოს, შეიძლება შვილია მისი,
თუმცა ვისია, სულ ერთია...

გოთოლია

შენმა ნათქვამმა
უეცრად თვალი ამიხილა, ყველაფერს მივხვდი.
და მაინც მინდა, ვნახო იგი და ვესაუბრო,
აუცილებლად წამოსცდება, თუ რამე იცის.
მოკლედ, მე ბავშვთან შევეყოვნდები მცირედი ხანი,
შენ კი წადი და შეუდექი საქმის თადარიგს,
ჩემს ტვიროსელებს გადაეცი, რომ გაემზადონ.
ოლონდ ჩუმი და უგანგაშოდ. ხალხს ნუ შეყრიან.

გამოსვლა ვეუვიდე

იოასი, იოსაბეთი, გოთოლია, ზაქარია, აბენერი, სალომითი,
ორი ლევიტი, ქორო, გოთოლიას ახალა

იოსაბეთი (ორ ლევიტს)

უფლის მსახურნო, თქვენ არ იცით, რა განძს გაბარებთ.
თვალის ჩინივით გაუფრთხილდით ორივე ყმაწვილს.

აბენერი (იოსაბეთს)

მაგათზე ზრუნვა მე მომანდეთ, მეფის ასულო.

გოთოლია

ღმერთო! ის არის, ის ბავშვია სიზმრად ნანახი
კვლავ დამეუფლა წედანდელი შიში და ზაფრას
თქვი, იოდაეს დედაკაცო, შენი შვილია?

იოსაბეთი

რომელზე ბრძანებთ, ქალბატონო?

გოთოლია

ამაზე.

იოსაბეთი

არა.

ჩემი ეს არის.

გოთოლია (იოასს)

შენ ვისი ხარ? მომიახლოვდი
და მიპასუხე.

იოსაბეთი

ქალბატონო, ღმერთია მოწმე...

გოთოლია (იოსაბეთს)

მას ვეკითხები და პასუხსაც თვითონვე გამცემს.
შენ ნუ ერევი.

იოსაბეთი

ხომ უყურებ, ჭერ სულ ბავშვია,
რა უნდა გითხრას, რა პასუხის გაცემას შეძლებს.

გოთოლია

ბავშვი რომ არის და ტყუილი არ უსწავლია,
სწორედ ამიტომ, რასაც ფიქრობს, პირდაპირ იტყვის.
ყველაზე უკეთ სინამდვილეს მისგან გავიგებ.

იოსაბეთი (თავისთვის)

ღმერთო მალალო, შენი სიბრძნით აამეტყველე.

გოთოლია

აბა, პატარავ, თქვი, რა გქვია.

იოსასი

ელიაკიმი.

გოთოლია

ვისი შვილი ხარ?

იოსასი

დედ-მამისა არა ვიცი რა,
არც მინახავს და არც რაიმე მსმენია მათზე,
უფალი არის ერთადერთი ჩემი პატრონი.

გოთოლია

მამ, ობოლი ხარ?

იოსასი

მშობლებისგან მიტოვებული.

გოთოლია

დიდი ხანია, მიგატოვებს?

იოსასი

როგორც კი გავჩნდი.

გოთოლია

სადაური ხარ? სამშობლოზე თუ იცი რამე?

იოსასი

ჩემი სამშობლო ღმერთია და ეს ტაძარია.

გოთოლია
ტაძარში ვინლა მოგიყვანა?

იოასი

უცნობმა ქალმა.

არ თქვა, ვინ იყო. წავიდა და აღარ მოსულა.

გოთოლია
სად უპოვინხარ?

იოასი

მგლებისათვის წავურთმევივარ.

გოთოლია
სანამ ლაპარაკს ისწავლიდი, ფეხს აიდგამდი,
ვინ გზრდიდა, შვილო?

იოასი

ღმერთი მზრდიდა. ღმერთი ზრდის ობოლს,
თავის გაჩენილს განსაცდელში არ მიატოვებს.
ჩიტის ბარტყსაც კი, თოთო ბარტყსაც, ის უჩენს საზრდოს.
მისი სიკეთე ყველასა და ყველაფერს სწვდება.
ბინა ტაძარში დამიღო და საკვებად მომცა
საკურთხეველზე მოტანილი შესაწირავი.

გოთოლია

რა მემართება ასეთი რამ ჯერ არ მომსვლია!
მისმა ბავშვურმა სიწრფელემ და მისი ხმის სიტყვომ
გული მომიღბო, შეუმჩნევლად დამიცხრო რისხვა.
აღარ მეგონა... სიბრაალული მეც შემძლებია.

აბენერი

ნუთუ ამისი გეშინოდათ? ახლა ხომ ხვდებით,
რომ არასოდეს არ ახდება თქვენი სიზმარი.
ან უკვე ახდა ის ხანჯალი, რომელიც ბავშვმა
გულში გიწვდინათ, დღევანდელი სიბრაალულია!

გოთოლია (იოსაბეთს და იოასს)
წასვლას აპირებთ?

იოსაბეთი

რაც გნებავდა, ხომ ჰკითხე უკვე
და თავი რომ არ შეგაწყინოს, ჯობს, გაგარიდო.

გოთოლია

არა, ჯერ დარჩით. ამ ტაძარში მთელი დღეები
რას საქმიანობ?

იოასი

ღმერთს ვადიდებ. წმინდა მამები
საღვთო წიგნიდან მასწავლიან წერას და კითხვას.
სჯულს მიმართავენ.

გოთოლია

მერე სჯული რას გეუბნება?

იოასი

რომ მთელი გულით შევიყვარო უფალი ჩვენი,
რომ წაწყმდებიან, ვინც უარპყო მისი სახელი,
რომ დასჯის ყველა კაცისმკვლელს და ბოროტის მზრახველს,
სძულს ქედმაღლობა და ობლების მწყალობელია.

გოთოლია

კარგი, შენ ახლა ეს მითხარი, მაგ თქვენს ტაძარში
ამდენი ხალხი რას აკეთებს?

იოასი

ადიდებს უფალს.

გოთოლია

სხვა არაფერი აქ არ ხდება?

იოასი

არა. ტაძრიდან
განდევნილია ყოველგვარი საერო საქმე.

გოთოლია

თავშესაქცევი თუ გაქვს რამე?

იოასი

საკურთხეველთან

ზოგჯერ დიდ ქურუმს საკმეველს ან მარილს მივაწვდი,
ყურს ვუგდებ ლოცვებს, თვალს ვადევნებ ღვთისმსახურებას.

გოთოლია

საწყალი ბავშვი მერე მაგით როგორ ერთობი?
წამოდი, შვილო, სასახლეში წაგიყვან ჩემთან,
სამეფო კარის ბრწყინვალეობა არ გინდა ნახო?

იოასი

მერე უფალი დავივიწყო?

გოთოლია

ნუ დავივიწყებ.

ვინ გატანს ძალას.

იოასი

თქვენ რომ მასზე არა ლოცულობთ?

გოთოლია

მერე რა მოხდა, შენ ილოცებ.

იოასი

ყოველ ცისმარტ

უნდა ვუყურო ბაალს როგორ ემსახურებით.

გოთოლია

ჩვენ ჩვენი ღმერთი გვეყოლება, შენ შენი გყავდეს,
განა ორივე დიდი ღმერთი არაა?

იოასი

არა.

ნამდვილი ღმერთი მარტოოდენ ჩემი ღმერთია,
შენი კი მხოლოდ კერპია და არარაობა.

გოთოლია

ჩემს სასახლეში ბედნიერი ცხოვრება გელის.

იოასი

წარმავალია ავკაცების ბედნიერება.

გოთოლია

ავკაცად ვის თვლი?

იოსაბეთი

ჯერ ბავშვია, თვითონ არ იცის,
რას ლაპარაკობს.

გოთოლია (იოსაბეთს)

მხოლოდ იმას, რაც თქვენ ასწავლეთ.

პირდაპირ გეტყვი, ელიაკიმ, მე შენ მომხიბლე.

ჩვეულებრივი ბავშვი არ ხარ, ცხადზე ცხადია.

უთუოდ იცი, მე ვინა ვარ. იუდეეთის

დედოფალი ვარ და მემკვიდრე არ გამაჩნია.

ბარემ ახლავე გაიხადე ეგ უბადრუკი

ხამის ხალათი და ახლავე წამოდი ჩემთან.

რაც მაბაღია, ყველაფერი შენი იქნება.

მეფურად მოგრთავ, ჩემს სუფრაზე მოგიჩენ ადგილს,
ღვიძლი შეილივით მეყოლები.

იოასი

ღვიძლი შეილივითი

გოთოლია

ჰო, რას გაჩემდი, მიპასუხე.

იოასი

ასეთი მამა

უნდა გავწირო სამუდამოდ და მერე ვისთვის...

გოთოლია

ვისთვის?

ასეთი დედისათვის.

გ ო თ ო ლ ი ა (იოსაბეთს)

ხომ გაიგონე.

მეხსიერება არ ღალატობს. ბავშვის სიტყვებში ვხედავ შენსა და იოდაეს ჭეშმარიტ სახეს. გასაგებია. აი, თურმე როგორ ზრდით ბავშვებს, როგორ იყენებთ გოთოლიას ლმობიერებას. შიშს და სიძულვილს თესავთ მათში, რომ სიყრმიდანვე შეუძრწუნებლად ვერ წარმოთქვან ჩემი სახელი.

ი ო ს ა ბ ე თ ი

ჩვენ მხოლოდ იმას ვეუბნებით, რაც ყველამ იცის. აკი თვითონვე არა მალავ. ამაყობ კიდევ.

გ ო თ ო ლ ი ა

ღიახ, ვამაყობ, რომ ავიღე დედ-მამის სისხლი, შური ვიძიე ჩემს საკუთარ სისხლსა და ხორცზე! არადა, რა ქნეს! დამიხოცეს მამა და ძმები! ძაღლებს მიუგდეს დასაჯიჯგნად დედის ცხედარი! ოთხმოც უფლისწულს, (ჰა, როგორი სანახავია!) ოთხმოც უფლისწულს ყველას ერთ დღეს გამოსჭრეს ყელი. მერედა რისთვის? ვილაც უბირ წინასწარმეტყველს დედაჩემმა რომ თავხედობა არ აპატიო! თუ ვიქნებოდი დედაჩემის შვილობის ღირსი, მე ამის მნახველს რომ წყალწყალა ცრემლი მენტხია, დაუოკარი მძვინვარებით არ აღვსილიყავ და მკვლელობისთვის მკვლელობითვე რომ არ მიმეგო! ღიახ, ისევე აღმოვფხარი დავითის თესლი, როგორც ბედშავი მამაჩემის თესლი აღმოფხვრეს. თქვი, რას იზამდით! არა, არა, თქვი, რას იზამდით, რომ ერთი წამით აეყოლოდი დედობრივ გრძნობას, რომ ჩემი სისხლი ჩემივე ხელით არ დამეღვარა და თქვენთვის ყინი არ ჩამეკლა ჯანყის და შფოთის! მაგ თქვენი ღმერთის შურისგებამ აქაბის სახლზე

ბრმა სიძულვილით შემაქულა დავითის მოდგმა,
ღვიძლი შვილიც კი უცხოთესლი გახადა ჩემთვის.

იოსაბეთი

უფალი განსჯის საბოლოოდ მართალს და მტყუანს.

გოთოლია

უფალიდაა ერთადერთი თქვენი ნუგეში.

რას ამბობს, როდის მოგივლენთო, მსხნელს რომ შეგპირდათ?

ძეს დავითისას, მთელი ქვეყნის ნუგეშს და იმედს?

ხომ არ გაწბილდით? მაგრამ, კარგი, გადავდოთ დავა.

დროა წავიდე. რისი ნახვაც მინდოდა, ვნახე,

კმაყოფილი ვარ.

აბენერი (იოსაბეთს)

შევასრულე დანაპირები.

უვნებელია შენი განძი. გთხოვ, ჩაიბარო.

გამოსვლა მერვე

იოღაე, იოსაბეთი, იოსაი, ზაქარია, აბენერი, სალომითი,
ლევიტები, ქორო

იოსაბეთი

თუ გაიგონე?

იოღაე

გავიგონე. გვერდით ვიყავი.

მართლაც რომ დიდი მღელვარება გადაიტანე.

მე და ლევიტებს თვალი ფხიზლად გვეპირა თქვენზე

და ყოველ წუთას მზად ვიყავით მოსაშველებლად.

(კოცნის იოსას.)

მამაცო ბავშვო, ღმერთი იყოს შენი მფარველი,

დღეს კიდევ უფრო განადიდე სახელი ღვთისა.

მადლობელი ვარ, მადლობელი, აბენერ ჩემო,

არ დაგავიწყდეს, დათქმულ დროზე აქ გელოდები.

ჩვენ კი წავიდეთ, გავაგრძელოთ ღვთისმსახურება.
მაგრამ მანამდე უნდა საღვთო ზვარაკი დავეკლა,
უნდა ახლავე გადავრეცხო ბოროტი კვალი,
სისხლი ვაპკურო, ეგ ავსული რასაც შეეხო.

გამოსვლა მაცხრე

ქორო

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი
ეს რა ვარსკვლავი ამოგვიბრწყინდა?
ეს ყრმა ვინ არის,
საკვირველი ეს ყრმა ვინ არის,
ყველა საცთური რომ განირიდა?

ს ხ ვ ა

შეძრწუნებული როცა გარბოდა
ხალხი, რომელიც გოთოლიას ღმერთმა დააფრთხო,
ხმა აღიმალდა ყრმამ უშიშარმა
და ყველას ამცნო,
რომ ის ღმერთი არაა ღმერთი,
რომ ჭეშმარიტი მარტოოდენ ჩვენი ღმერთია.

ს ხ ვ ა

ვინ გვითხრას შენი საიდუმლო,
ძვირფასო ყრმაო,
ვინ ხარ და ვისი შთამომავალი?

ს ხ ვ ა

სწორედ ასევე იზრდებოდა
სამუელი აღთქმის კარავთან,
რომ ბოლოს სიბრძნით დაემწყსო ერი.
მისებრ მოსწმინდე მამულს ცრემლი,
ნუგეში მოეც!

ს ხ ვ ა (მღერის.)

ნეტარ არს იგი, ვინც სიყრმიდანვე
ღვთის კვალზე დადის,
ღვთის სიტყვას ისმენს.

უფლის ტაძარში
მშვენიერი იზრდება ბავშვი,
ბავშვი, ზეგარდმო მადლით მოსილი,
და მის სიწმინდეს
ბოროტება ვერ შექხვებია.

ქ ო რ ო

ნეტარ არს იგი, ვინც სიყრმიდანვე
ღვთის კვალზე დადის,
ღვთის სიტყვას ისმენს.

ი გ ი ვ ე ხ მ ა (მარტო.)

ღელისპირს ყვავის
მშვენიერი თეთრი შროშანი,
ღელისპირს, სადაც
ქართეხილი ვერ ეკარება.
უფლის ტაძარში
მშვენიერი იზრდება ბავშვი,
ბავშვი, ზეგარდმო მადლით მოსილი,
და მის სიწმინდეს
ბოროტება ვერ შექხვებია.

ქ ო რ ო

ნეტარ არს იგი, ვინც სიყრმიდანვე
ღვთის კვალზე დადის,
ღვთის სიტყვას ისმენს.

ე რ თ ი ხ მ ა (მარტო.)

ღმერთო მაღალო,
რატომაა, რომ სათნოებას
ყოველ ნაბიჯზე ხიფათი ელის
და, ვინც გეძიებს,

ვინც სიმართლით გემსახურება,
ღევნილი დაძრწის კარიდან კარად?
სად შეაფაროს ღვთისკაცმა თავი?
ცოდვით აივსო ქვეყნიერება.

ს ხ ვ ა

ვაჰმე, სიონო, წმინდა სიონო,
ღვთის სამყოფელო,
დავითის ფუძევე,
რად გრისხავს ზენა?
წმინდა ტახტზე,
სამეფო ტახტზე,
დავითის ტახტზე ურჯულო გიზის!

ქ ო რ ო

ვაჰმე, სიონო,
წმინდა ტახტზე,
სამეფო ტახტზე,
დავითის ტახტზე ურჯულო გიზის!

ი გ ი ვ ე ხ მ ა

იქ, სადაც უწინ
სადიდებლებს უმღერდნენ უფალს,
სადაც დავითის ებანი ჟღერდა,
ვაჰმე, სიონო,
წმინდა სიონო,
ღღეს უცხო ღმერთის დიდება ისმის,
უფლის სახელი არ იხსენება.

ე რ თ ი ხ მ ა (მარტო.)

ღმერთო, როდემდე,
ჰოი, როდემდე
უნდა ვუცქიროთ შენს დამცირებას?
შენს ტაძარშივე ხმამაღლა გგმობენ,
და ვისაც სწამხარ, შლეგებად თვლიან.
ღმერთო, როდემდე,

პოი, როდემდე
უნდა ვუცქირო შენს დამცირებას?

ს ხ ვ ა

გვეუბნებიან:
ნუთუ ვერ ხედავთ,
რომ თქვენი ღმერთი არაფერს გშველით?
შეეშვით ლოცვას, შეეშვით მარხვას,
მოდით, ვიგემოთ ცხოვრების სიტკბო.

ს ხ ვ ა

მოდით, მოვიკლათ ყველა წყურვილი,
დავიცხროთ ყველა ჟინი და ვნება,
ხვალ რა მოგვივა, არ იცის არვინ!
დრო გავატაროთ მღერით და როკვით!

ქ ო რ ო

გოდება მართებთ და არა მღერა,
წმინდა ქალაქის-
მარადიულ ბრწყინვალებას
ვერ იხილავენ!
მღერა ჩვენ გვმართებს, ვინც ღმერთმა გვითნო,
წარუვალ ნათელს ვინც გვაზიარა!

ე რ თ ი ხ მ ა (მარტო.)

სიამეთაგან რა რჩება ბოლოს?
სიზმრებისაგან რა რჩება დილით?
როცა დადგება განკითხვის ჟამი,
(ო, საზარელი გამოღვიძება!)
როცა გლახაკნი
უფლის ტაბლას მიუსხდებიან
და ნეტარებას იგემებენ,
მათ, უღმრთოთ, ცოდვილთ,
თასს. დაუდგამენ დასაცლელად
მწარეს, უძიროს,
მათ, წმინდა გზებით ვინც არ იარა!

ქორო
ო, რისხვის უამის
ო, სიზმარი მსწრაფლწარმავალი
ო, საზარელი გამოღვიძება!

მისამე მოქმედება

გამოსვლა პირველი

მათანი, ნაბალი, ქორო

მათანი

წადით, ასულნო, იოსაბეთს შეატყობინეთ,
რომ მათანია მოსული და აქ ელოდება.

პირველი ქალიშვილი

მათანი ღმერთო, აუბნიე უკეთურს თავგზა!

ნაბალი

რამ დააფეთათ! ხმაც არ გაგცეცს, ისე გავარდნენ!

მათანი

მოდი, შევიდეთ.

გამოსვლა მეორე

ზაქარია, მათანი, ნაბალი

ზაქარია

არ გაბედოთ გადმობიჯება!
აქ ღვთისმსახურთა ალაგია, წმინდა ალაგი
და ფეხს ვერავინ შემოადგამს ლევიტის გარდა.
გაბრუნდით უკან! რა საქმე გაქვთ? რისთვის მოხვედით?
თუ მამაჩემის ნახვა გინდათ, ფუჰად გარჯილხართ,
დღეს წმინდა დღეა, ურჯულოებს ვერ ეჩვენება!
დღეაჩემი კი ლოცვადაა უკვე დამდგარი
და არავისთან სასაუბროდ არა სცალია.

მათანი

კარგი, ნუ ცხარობ, შვილო ჩემო, დაველოდებით.
მე დედოფლისგან საქმეზე ვარ გამოგზავნილი
და დედაშენის უნახავად ვერ წავალ ვერსად.

გამოსვლა მესამე

მათანი, ნაბალი

ნაბალი

დახე, ეს ლლაპიცი მამასავით რომ იფხორება!
მაინც რა უნდა გოთოლიას, რატომ გაგზავნის?
საოცარია, რა მალიმალ იცვლის განზრახვას!
ჩერ კიდევ დილით მძვინვარებას ვერ იოკებდა,
უნდოდა რისხვა იოდაეს სისხლით დაეცხრო,
ხოლო ტაძარი ბაალისთვის გადმოელოცა.
წელან არ იყო, ეს ამბავი რომ მომახარე?
შემდეგ რა მოხდა? რამ უცვალა ასე გუნება?
მანსოვს, იოლად არ იცოდა თქმულის გადათქმა.
არადა, აფსუს, რა ნადავლი დაგვაქარგვინა!

მათანი

ეს ორი დღეა, მე თვითონაც ვერ ვცნობ დედოფალს.
სად გაქრა ძველი გოთოლია, უღრეკი, მტკიცე,
ის, ვინც იცოდა, მტერს რომ სძლიო, უნდა დაასწრო,
მოკლედ, ვაყვაცი, ნაღდი მამრი, ქალი კი არა!
ეს მძლავრი სულიც შეიწირა ამაო ქენჯნამ,
შიშობს, ყოყმანობს, ერთი სიტყვით, ქალია უკვე.
ვცდილობ, როგორმე წაეაქეზო, ავამოქმედო.
წელანაც უხამი ჩავაწვეთე და, რა გგონია?
გაჭრა! მიბრძანა, შევდგომოდი საქმის თადარიგს,
ტვიროსელთათვის გადამეცა, მზად ყოფილიყვნენ,
თვითონ კი ბავშვთან საუბარი მოიწადინა.
მერე არ ვიცი, რა შეემთხვა, ან ჯადო უყვეს,
ან ბავშვი ველარ მიამსგავსა სიზმარში ნანახს,

ბრაზი თანდათან გაუნელდა, შიში გაუქრა და შურისგებაც ზვალინდელი დღისთვის გადადო. ვხედავდი, საქმე იშლებოდა. საჭირო იყო, რაღაც მეღონა. კვლავ ტყუილი მოვიშველიე. „ის ბავშვი-მეთქი, — მოეახსენე, — სიზმრად რომ ნახეთ, თურმე ბრწყინვალე გვარისაა და იოდაეს, როგორც გადმომცეს, შეთქმულებთან დაპყავს ჩუმ-ჩუმად, კიდევ ცოტაც და ახალ მოსედ გამოაცხადებს, ყალბი მისნობით მორწმუნენი სულ გადარია“. სიმატლე გითხრა, მე თვითონაც არ მოველოდი, ჩემი ნათქვამი ასე გულში თუ მოხვდებოდა. სახე ეცვალა, მიწისფერი დაედო უცებ. „კმარა ყოყმანი — თქვა გადაპრით, — საქმეს ვეწიოთ! უმჯობესია, მოსახდენი ახლავე მოხდეს. წადი, გადაეც იოსაბეთს დედოფლის თქმული: შემართულია მახვილი და ცეცხლი გიზგიზებს. თუ ის ყმაწვილი ჩემთვის მძევლად არ მოგიგვრიათ, თქვენი საყდარი ნასაყდრალად იქცევა დღესვე!“

ნ ა ბ ა ლ ი

თუ მართალია, მაგ ყმაწვილზე რასაც ამბობენ, უთვისტომოა და ტაძარში შემთხვევით მოხვდა, არ ჩაიგდებენ თავს საფრთხეში მისი გულისთვის.

მ ა თ ა ნ ი

შენ იოდაეს გულზვაობა კიდევ არ იცი. ყმაწვილს, რომელსაც ღვთის სახელზე უპირებს გაზრდას, თავისი ხელით გამომიყვანს და ჩამაბარებს? უმალ საზარელ სიკვდილს არჩევს, ისე კერპია. თანაც ზომ ხედავ, რა საეჭვოდ ევლება თავზე. შენ როგორ ფიქრობ, არ იციან ვითომ, ვინ არის? მე კი მგონია, რომ იციან. ეს ჩემი ეჭვი წელან დედოფლის მონაყოლმაც დამიდანტურა. მოკლედ, ასეა თუ ისეა, ბავშვს არ მომცემენ და მეც ეს მინდა! ცეცხლითა და მახვილით მოვალ! — საძულველ ტაძარს პირისაგან მიწისა აღვგვი

ნ ა ბ ა ლ ი

რატომ გძულს ასე? ნუთუ მხოლოდ ბაალის გამო?
გამოტეხილად უნდა გითხრა, არ მესმის შენი.
მე ისმაელის მოდგმისა ვარ, ჩემთვის ერთია
ებრაელების ღმერთიცა და შენი ბაალიც.

მ ა თ ა ნ ი

მართლა გგონია, რომ ისეთი ბრიყვი და ბრმა ვარ,
ღმერთად მიმაჩნდეს გაჩორკნილი უბრალო კუნძი?
ხელში ჩამეფშვნა, ვერაფერი ვერ მიშველია,
თავის საკუთარ სამსხვერპლოზე ჩრჩილები ქამენ.
მე წარმოშობით ლევიტი ვარ, უფლის მსახური,
და რომ პატივი აგრერიგად არ მყვარებოდა,
შეიძლებოდა, ღვთის ერთგული დავრჩენილყავ
და დღესაც ისევ ქედზე მდგმოდა მისი უღელი.
შენ მაინც იცი, არაერთხელ მაქვს მონაყოლი,
იოდაესთან რა სასტიკი ბრძოლა გადამხდა,
როდესაც დავა გაუუმართე საცეცხლურისთვის.
ყველა გზა ვცადე, ყველა ხერხი ვიხმარე, ნაბალ,
მაგრამ არ გაჭრა არაფერმა, დავმარცხდი მაინც.
აქაურობას გავეცალე, რა უნდა მექნა
და მალე ფეხი მოვიკიდე სამეფო კარზე.
თანდათანობით ხელმწიფეთა ყურთან მივჩოჩდი,
მათი ნდობა და სიყვარული დავიმსახურე,
ისე მისმენდნენ, როგორც ნამდვილ წინასწარმეტყველს,
და მეც ყველაფერს ვაკეთებდი მათ საამებლად.
მწარე სიმაართლეს ვუმაღავდი, გუნდრუქს ვუკმევდი,
ვარდებს ვუფენდი ფიანდაზად უფსკრულის პირას.
სიცრუის ბანგით გაბრუებულთ ლამის ამბობად
ეჩვენებოდათ იოდაეს პირდაპირობა.
როცა ბრაზობდნენ, მე, პირიქით, ცეცხლს ვუკეთებდი
და ბევრი მტერიც მოვიცილე, რა დაგიმალო.
ბოლოს კი, როცა გოთოლიამ დიდი ტაძარი
აუგო ბაალს და გვიბრძანა, მასზე გველოცა,
როცა შებლალულ, დამცირებულ იერუსალიმს
ძაძები ეცვა, ხოლო ლევის შთამომავალნი

სირცხვილისა და სიმწრისაგან ცას შებლაოდნენ,
 მაშინ პირველმა დაეუჭირე მხარი დედოფალს,
 რჯულს გადაუდექი და ბაალის მსახური გავხდი,
 მერე ის იყო, დიდ ქურუმად ვეკურთხე კიდეც
 და, როგორც ხედავ, იოდაეს სწორი ვარ ახლა.
 მაგრამ სიმშვიდეს ვერ ველირსე, რადგან ჩემს სულში
 მიტოვებული ღმერთის ხსოვნა ისევ მარხია,
 მოულოდნელად გაიღვიძებს, ძრწოლით ამავსებს,
 ძარღვებში სისხლი მეყინება, თვალთ მიბნეულდება.
 გასაგებია, ჩემო ნაბალ? ახლა ხომ ხედები,
 რა ასაზრდოებს ჩემს სიშმაგეს და მძულვარებას.
 როდის იქნება, დავამხოზდე ამ პირქულ ტაძარს
 როდის იქნება, ცხედრებსა და ნანგრევებს შორის
 სამარადისოდ დავამსხვრევდე სინდისის ქენჯნას,
 მოვისვენებდე. მაგრამ აგერ იოსაბეთიც.

გამოსვლა მითხე

იოსაბეთი, მათანი, ნაბალი

მ ა თ ა ნ ი

მეფის ასულო, დედოფალმა გამომავზაენა,
 სასიკეთო და სამშვიდობო ამბავი მომაქვს,
 ამიტომაა, რომ პირველად შენ მოგაშურე,
 შენ, ვისაც ეგზომ ნაზი სული მოგმადლა ზენამ.
 იოდაეზე ხმა დაირხა, ამბოხს აწყობსო,
 მე ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ჭორი მგონია,
 დედოფალმა კი დაიჯერა, რისხვით აღივსო
 და იოდაეს შესაპყრობად ხალხს აგზავნიდა.
 გადავივიწყე ძველი მტრობა და შენი ქმარი
 სიკვდილს დავხსენი, თუმცა ისიც მშვენივრად ვიცი,
 მის ღღეში მე რომ ცყოფილიყავ, არ დამზოგავდა.
 გული მოვუღბე გოთოლიას, დავაშოშმინე
 და შენს წინაშე ვდგავარ ახლა მშვიდობის მაცნედ.
 მილით, განაგრძეთ ეგ ზეიმი, ნუ შებრკოლდებით,

არავინ გერჩით, არაფერი არ გემუქრებათ,
დედოფალს თქვენთან ერთადერთი თხოვნა აქვს მხოლოდ!
ის ბავშვი უნდა გამატანოთ, აქ რომ უნახავს.

ი ო ს ა ბ ე თ ი
ელაიკიმი?

მ ა თ ა ნ ი

მე მრცხვენია დედოფლის ნაცვლად,
ასე არ უნდა აპყლოდა უაზრო სიზმარს,
მაგრამ მტრად ჩაგთვლით, რომ ეს თხოვნა არ შეუსრულოთ.
„თუ მშვიდობა გსურთ, ბავშვი დღესვე მომგვარეთ მძევლად“,
ამას გითვლით და მოუთმენლად მოელის პასუხს.

ი ო ს ა ბ ე თ ი

რა მშვიდობაა, თუ ამისთვის საფასურს ითხოვს!

მ ა თ ა ნ ი

არ ვიცი, რატომ გებევრებათ ეგ საფასური.
უნდა დათანხმდეთ, საყოყმანო არაფერია.
გულწრფელად გირჩევთ.

ი ო ს ა ბ ე თ ი

ვინ ენდობა შენს გულწრფელობას!
ხომ იქნებოდა სასწაული, რომ ცბიერ მათანს
ალალი გულით ეთქვა ანდა ეზრახა რამე,
ან ერთხელ, თუნდაც უნებლიეთ სიკეთე ექნა!

მ ა თ ა ნ ი

კარგი, დაწყნარდი; რატომ ღელავ, მეფის ასულო,
შენს ზაქარიას, როგორც ხედავ, არავინ გართმევს.
მართლა და მართლა, რა გაგიხდათ ეს უცხო ბავშვი,
ასე რომ თავზე დაჰკანკალებთ და ვერ ელევით.
რა საუნჯეა ამისთანა? იქნებ ისაა,
მხსნელს რომ ეძახით, ოდესღაც რომ აღგითქვათ ზენამ?
სანამ უარით გამისტუმრებთ, გიჯობთ, დაფიქრდეთ,
თორემ ის ჭორი არ ვირწმუნო...

იოსაბეთი

რომელი ჭორი?

მათანი

რომ ბავშვი დიდი გვარისაა და იოდაეს
რალაც ფარული მიზნისათვის სჭირდება იგი.

იოსაბეთი

და ეს მათანმაც დაიჭერა, რაკი ხელს აძლევს.

მათანი

თუ მართლა ეცდები, დამარწმუნე ჩემს შეცდომაში,
ამისთვის შენი ერთი სიტყვა საკმარისია.
ვიცი, რომ ტყუილს არ იკადრებს იოსაბეთი,
ვიცი, რომ იგი სიცოცხლესაც არ ინდომებდა,
სიცრუის ფასად რომ ჰქონოდა გამოსასყიდი.
ჰოდა, მითხარი, ყველაფერში დაგერწმუნები,
მაგ ყრმის შესახებ არაფერი არ იცით მართლა?
მართლა არ იცით, ვინ არის და ვისი შვილია,
შენს მეუღლესთან ამ ტაძარში საიდან მოხვდა?
მისი წარსული ბნელითაა მართლა მოცული?
თუკი ის ღმერთი, თქვენ რომელსაც ემსახურებით...

იოსაბეთი

როგორ გაბედე, უკეთურო, ღმერთის ხსენება!
როგორ წარმოთქვი ბილწი ბავით მისი სახელი!
ვითომ ძალიან გული გეწვის ღვთის სამართალზე,
გაუტანლობის, მზაკვრობის და ბილწების ბუდევ,
სულთ ხორცამდე გაქლენთილო სიცრუის შხამით
და კეთროვანთა საკრებულოს თავში მჯდომელო!

გამოსვლა მხუთე

იოდაე, იოსაბეთი, მათანი, ნაბალი

იოდაე

ეს სად ვარ? ამას აქ რა უნდა? საიდან მოხვდა?
მეფის ასულო, როგორ დგახარ მაგ ავაზაკთან

ვით სწორი სწორთან, შენ, დავითის შთამომავალი
არ გეშინია, მაგის ფერხთით არ გასკდეს მიწა
და ორივენი არ წაგლეკოთ ქვესკნელის ალმა,
ან ეს კედელი უცებ თავზე არ გადმოექცეს
და ნანგრევებში შენც არ მოჰყვე მაგასთან ერთად?
რაზე მოსულა ეს ურჯულო, ეს გარეწარი?
რას წამლავს ჰაერს მყრალი სუნთქვით? რა უნდა ჩვენგან?

მ ა თ ა ნ ი

ისევ მძვინვარებს იოდაე, თუმცა უჯობდა,
გამოეჩინა ცოტა მეტი გონიერება
და უკეთესად შეხვედროდა დედოფლის მაცნეს.

ი ო დ ა ე

რალაც ამბავი მოიტანა, უმაღვე მივხვდი.
წყეულიმც იყოს! კარგს არაფერს მოგვახარებდა!

მ ა თ ა ნ ი

უკვე ვაუწყე იოსაბეთს დედოფლის ნება.

ი ო დ ა ე

ღვთის პირისაგან გავარდნილო, წადი, გამშორდი!
სხვაგან აავსე საწყაული ცოდვათა შენთა!
ღალატისათვის შენც წაწყმდები, როგორც დოეგი,
როგორც დათანი, აბირონი, აქიტოფელის
იეზაბელის ძაღლთა ხროვა მოგყვება კვალზე,
მალე, სულ მალე მოგწვდებიან და დაგფლეთავენ,
ახლოა ჟამი! მოიწია განგება ღვთისა!

მ ა თ ა ნ ი

მაგასაც ვნახავთ... დღესვე ვნახავთ, ჩვენ ორში რომელს...
ვის მოეწევა... მაგრამ კმარა, წავიღეთ, ნაბალ.

ნ ა ბ ა ლ ი

იქით რა გინდა, სად მიდიხარ? ნუ დაიბენი.
გზა აქეთ არის.

იოდაე, იოსაბეთი

იოსაბეთი

ქარიშხალი უკვე დაიწყო.
გაცეცხლებული გოთოლია გეთხოვს ელიაკიმს.
მე მგონი, ბავშვის საიდუმლო უკვე გაიგეს
და რა საქმე გვაქვს განზრახული, ეგეც იციან.
მათანმა ლამის ყველაფერი პირდაპირ მითხრა.

იოდაე

საკვირველია, რა შეეძლო ეყნოსა მათანს?
აღბათ ზედმეტად შეშფოთლი და შეგატყო რამე.

იოსაბეთი

არა მგონია. რაც შემეძლო, თავს ვიკავებდი.
მაგრამ ეს უკვე სულ ერთია. საფრთხე კარზეა.
საქმის დაწყება სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ
და ბავშვიც სადმე გადავმლოთ დაუყოვნებლივ.
ნება მიბოძე, სანამ ლაშქრით შემოგვდგომიან,
წავიყვანო და ხელმეორედ გადავარჩინო.
ჯერ გზა ხსნილია. უდაბნოში გავიხიზნებით.
აქედან ერთი საიდუმლო გასასვლელია,
ისე გავივლით მთელ ქალაქს და გადავალთ კედრონს,
თვალს ვერვინ მოგვეკრავს, არ შეგვხვდება ძეხორციელი.
იმ უდაბნოში დავსახლდებით, სადაც დავითი
ემალეზოდა აჯანყებულ საკუთარ პირმშოს.
თუმცა უდაბნო საშიშია, უდაბნო არ ღირს...
არა, ლომების და აფთრების არ მეშინია,
მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ ჩვენს სამალავს
ვინმე შემთხვევით მოაგნებს და დედოფალს ეტყვის.
ყველაფერს სჯობდა იუსათვის გვეთხოვა შეველა
და ჩვენი განძი შესანახად მასთვის მაგვენდო.
თან გზა მოკლეა, ახლოსაა მისი საჩუქო,
თუ დროზე წავალთ, სამშვიდობოს ვიქნებით დღესვე.

როგორც სახავენ, ისე გულქვა როდია იუ,
თანაც ამბობენ, პატივს სცემსო დავითის სახელს,
არ შეიძლება, იოასი არ შეიფაროს.
ან კი იქნება ქვეყანაზე ისეთი მეფე,
მართლა მეორე იეზაბელს თუ არ უშვია,
არ განიმსკვალოს სიბრალულით ამ ბავშვის მიმართ?

იოღაე

ეტყობა, შიშმა შთაგაგონა ეგ მხდლური აზრი.
მაშ, ისე წახდი, რომ იუზე ამყარებ იმედს?

იოსაბეთი

რატომ გგონია, თითქოს იუ არ იყოს სანდო?
თვითონ უფალმა არ აასხა მას იარაღი
და წმინდა საქმის აღსრულება არ დააეცალა?
ღვთის არჩევანში შეიძლება ეჭვის შეტანა?

იოღაე

იუ, ღვთისაგან არჩეული და ხელდასხმული,
ვისზედაც ახლა უკანასკნელ იმედს ამყარებ,
ღვთისუმაღური არ გამოდგა? ხელი არ ახლო
იეზაბელის და აქაბის ამაზრზენ ასულს
და ისრაელის ხელმწიფეთა უსჯულოება
რჯულად აქცია, ტაძარს უგებს ეგვიპტურ ღმერთებს.
სიმადლეებზე კვლავ გრძელდება საკმევლის კმევა,
რომლის სურნელი ღმერთისათვის უამურია.
იუს არ ძალუძს, უფლის ნება რომ აღასრულოს,
წმინდა გული და სუფთა ხელი სჭირდება ამას.
უნდა მივენდოთ ღვთის განგებას, ტახტის მემკვიდრე
გამოვაჩინოთ და სასწრაფოდ მეფედ ვაკურთხოთ.
ესაა ახლა ერთადერთი გამოსავალი.
მაშ, ვიმოქმედოთ, დათქმულ საათს ნულარ დავუტედიშ
დრო აღარ ითმენს. საჭიროა დავასწროთ მათანს.

იოდაე, იოსაბეთი, აზარია, ქორო და რამდენიმე ლევიტი

იოდაე

ჩაკეტილია, აზარია, ტაძრის კარიბჭე?

აზარია

სწორედ ამ წუთას შევამოწმე, ჩაკეტილია.

იოდაე

არავინ დარჩა ქურუმთა და ლევიტთა მეტი?

აზარია

არა, ბატონო, დავიარე მთელი ტაძარი.
ყველა გაიქცა. ღვთისმსახურნი შემორჩნენ მხოლოდ.
გოთოლია რომ დაინახა, შეძრწუნდა ხალხი,
მიმოიფანტა, როგორც მგლისგან დამფრთხალი ფარა.
ამ ერს, მე მგონი, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ
ასეთი შიში არ უნახავს.

იოდაე

სადღაა ერი

ერი კი არა, მონობისთვის შობილი ბრბოა,
თავს უხრის ყველას, მარტოოდენ ღმერთს ეურჩება.
კი მაგრამ, ბავშვებს აქ რა უნდათ? შინ წადით ჩქარა.

პირველი ქალიშვილი

ნუთუ ასეთი უცხონი ვართ ამ ტაძრისათვის,
რომ გვერეკებით? ჩვენც ბოლომდე აქ გვინდა ვიყოთ,
აქ, სადაც ჩვენი მამები და ძმები არიან.

მეორე ქალიშვილი

გაგლახ, არ ძალგვიძს, რომ სამშობლოს შეურაცხყოფა
ვანანოთ მტარვალს, ჩვენი ხელით გავეგმიროთ იგი,
როგორც განგმირა იაქელმა მტერი უფლისა,

მაგრამ ის ძალგვიძს, რომ სიცოცხლე არ დავიშუროთ,
თქვენს გვერდით ვიყოთ და, როდესაც მტერს ეკვეთებით,
უფალს მოეუხმით თანამდგომლად მდულარე ცრემლით.

ი ო დ ა ე

ღმერთო მაღალო, რა ლაშქარი შემოკრბა, ხედავ,
შენს დასაცავად? ბავშვები და ღვთისმსახურები
მაგრამ თუ მათთან შენ იქენი, ვინ აღუდგებათ!
სურვილისამებრ სწყლავ და ჰკურნავ, ჰკლავ და აცოცხლებ.
უძლეველია შენი წმინდა ლაშქარი, ღმერთო,
არა თავისი სიამამაცით და სიძლიერით,
არამედ იმით, რომ მფარველად შენ ეგულები.
დღეს ერთგულებას შეჰფიცავენ თავიანთ მეფეს,
აქ, ამ ტაძარში, სადაც შენი სამყოფელია,
ცასავით წმინდა და მზესავით ჩაუქრობელი.
მაგრამ რა მომდის? საღვთო ძრწოლა რად მეუფლებს?
რამ შემძრა? ნუთუ ღმერთის სული ჩასახლდა ჩემში?
მომედო მისი მხურვალეობა, მისი ხმა მესმის,
თვალთ მეხილება, ვკვრეტ მომავალ საუკუნეებს.
მომიახლოვდით, მგალობელნო, მესაკრავენო,
და ჩემს ღვთაებრივ გაშმაგებას აუწყვეთ ხმები.

ქ ო რ ო (მღერის ყველა საკრავის თანხლებით.)

ისევე ამო იყოს ჩვენთვის
სიტყვა უფლისა,
ვით გაზაფხულზე ბალახისთვის
ქუეუნა წვიმა.

ი ო დ ა ე

ისმინე, მიწაო!
ისმინეთ, ცანო!
უფალი მეტყველებს,
ცოდვილნო, ძრწოდეთ!
(მუსიკა განახლდება, იოდაე განაგრძობს.)
აწ ოქრო რჩეული რად იქცა ბრპენად?
რად გდია მღვდელმთავარი ყელგამოლადრუელი?
იერუსალიმო, ორპირო ქალაქო,

იტირე, იტირე, დაღვარე ცრემლი
წინასწარმეტყველთა სისხლით ხარ მოსერილი,
აწ პირი იბრუნა უფალმა შენგან
ქალები, ბავშვები სად მიჰყავთ ნეტავი?¹
ქალაქთა დედოფალს რად ვხედავ დაქცეულს?
მეფეებს, ქურუმებს ტყვეებად წასხმულს?
წმინდაო ტაძარო, დაემხე, დაემხე,
დაემხე! მეუფეს აღარა სურხარი
იერუსალიმს
ვინ წაართვა
ძველი მშვენიება?
ცრემლის ორ წყაროდ
ვინ აქცია
თვალები ჩემი?

აზარია

ვაი, ტაძარო!

იოსაბეთი

ვაი, დავით!

ქორო

სიონის ღმერთო,
უწინდებურად გადმოგვხედე წყალობის თვალით!
(მუხიკა განახლდება, იოდაე განაგრძობს.)

იოდაე

ბრწყინვალეებს ახალი იერუსალიმი²,
ფერფლიდან აღმდგარი, აღმდგარი მკვდრეთით,
შუბლზე უკვდავების ბეჭედი აზის!
იმღერეთ, იმღერეთ, ყოველნო ერნო!
მოდიან შვილები ოთხივე კუთხით,
მოდიან შვილები, არ მისგან შობილნი³.

¹ ბაბილონის ტყვეობა (რასინის შენიშვნა).

² ეკლესია (რასინის შენიშვნა).

³ წარმართნი (რასინის შენიშვნა).

იერუსალიმო, მაღლა, სულ მაღლა
ზვიადნი მეფენი, მპყრობელნი ქვეყნისა,
შენს ფერხთით განრთხმულნი
კოცნიან მიწას!

შენი ნათლისაკენ მოდიან ერები.
ვის სულშიც სიონის ანთია რწმენა,
ნეტარ არს, ნეტარ არს, ნეტარ არს იგი!
ცანო, დააპყურეთ ცვარ-ნამი მიწას,
მან უნდა მაცხოვარი გვიშობოს მალე!

ი ო ს ა ბ ე თ ი

თუკი მეფეთა აღარც ერთი შთამომავალი
აღარ გადარჩა, მაცხოვარი ვისგან იშობა!

ი ო დ ა ე

უკვე დრო არის, იოსაბეთ, საქმეს შეეუდგეთ.
დიდი დავითის დიადემა გამოიტანე.

(ლევიტებს)

თქვენ კი, ლევიტნო, იარაღი უნდა აისხათ.
აჰ, საკრძალავში, დამალული უცხო თვალთათვის,
ძველი ხმლები და შუბები გადანახული,
გამარჯვებულმა დავითმა რომ შესწირა უფალს
და იმის შემდეგ კაცის ხელი არ შეჰხებია.
არ შეიძლება, ღვთისმსახურნო, ეს იარაღი
ამაზე უფრო კეთილშობილ საქმეს მოხმარდეს.
უნდა მე თვითონ დაგირიგოთ. აბა, მომყევით!

გამოსვლა მირკე

სალომითი, ქორო

ს ა ლ ო მ ი თ ი

რა შიშის ზარი დაგვეცა, ღმერთო!
ნუთუ ეგაა ის ნარუქი,
ის წმინდა მსხვერპლი,
საკურთხეველზე დღეს რომ უნდა მოტანილიყო!

პირველი ქალიშვილი
ვინ იფიქრებდა, მშვიდობის სახლში
გავიგონებდით აბჯართა ჟღერას,
კაცთა საკლავად აღმართულ მახვილს
ქურუმთა ხელში თუ ვიხილავდით!

ს ხ ვ ა

მითხარით, დებო, რატომაა, რომ ჩვენი ჭირი
არ ენაღვლება იერუსალიმს?
მითხარით, დებო, რატომაა, რომ აბენერი
ჩვენს დასაცავად არ ეშურება?

ს ა ლ ო მ ი თ ი

ვაგლახ, როდესაც სამეფო კარზე
ძალმომრეობას სამართლად თვლიან
და სულმდაბლობას პატიოსნებად,
სიმართლისათვის ხმას ვინ გაიღებს?
საღვთო საქმისთვის თავს ვინ გაწირავს?

ს ხ ვ ა

როდესაც ასე ახლოა საფრთხე,
ვის უმზადებენ ამ დღიღემას?

ს ა ლ ო მ ი თ ი

ღმერთმა გვაუწყა თავისი ნება,
მაგრამ დაფარულს თუ ჩასწვდა ვინმე?
თუ მიხვდა ვინმე,
ჩვენს დასაცავად
თუ მოსასრავად ისხამს იარაღს?

მ თ ე ლ ი ქ ო რ ო (მღერის.)

შეუცნობია განზრახვა მისი,
რა ნებაგს ჩვენთვის?
რა ნებაგს ჩვენგან?
დაპირება და — ამდენი ავი?
სიყვარული და — ასეთი წყრომა?

ე რ თ ი ხ მ ა

აღარ იქნება მალე სიონი,
დაიხანძრება, დაილეწება!

ს ხ ვ ა ხ მ ა

არა, უფალი იფარავს სიონს!
შისი სიტყვაა სიონის ლიბო.

პ ი რ ვ ე ლ ი

ვაგლახ, სიონის წარხდა ნათელი!

მ ე ო რ ე

უკვდავი ნათლით სიონი ბრწყინავს!

პ ი რ ვ ე ლ ი

ქვესკნელის ბჭემდე დაღხდა სიონი!

მ ე ო რ ე

სიონი შეუბლით ცას ებჯინება!

პ ი რ ვ ე ლ ი

სრული დაცემა!

მ ე ო რ ე

დიდება სრული!

პ ი რ ვ ე ლ ი

გოდება მესმის!

მ ე ო რ ე

გამარჯვების მესმის ყიჟინა!

მ ე ს ა მ ე

მალე შევიცნობთ ღვთისაგან ყოველს!
ნუ მივეცემით სასოწარკვეთას!

ს ა მ ი ვ ე

თაყვანი ეცით, როდესაც გეწყალობს!

თაყვანი ეცით, როდესაც გვრისხავს!

ს ხ ვ ა

გულში, რომელსაც უყვარხარ, ღმერთო,

აუმღვრეველი სიმშვიდე სუფევს.

მან ერთადერთი იცის ლტოლვა —

მეუფის ნება.

არ არის ქვეყნად უფრო დიდი ბედნიერება,

ვიდრე სიმშვიდე,

რაიცა სუფევს

გულში, რომელსაც უყვარხარ, ღმერთო!

მ ე ო თ ხ ე მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

იოანე, იოსაბეთი, ზაქარია, სალომითა, ლევითი, ქორო

ს ა ლ ო მ ი თ ი

დედასთან ერთად საზეიმო, მწყობრი ნაბიჯით

აქეთ მოდიან ჩემი ძმა და ელიაკიმი.

ნეტა სტაერაში გახვეული რა მოაქვთ, დებო?

ანდა რას ნიშნავს ეს მახვილი, წინ რომ მოუძღვით?

ი ო ს ა ბ ე თ ი

შეჩერდი, შვილო ზაქარია, და სჯულის წიგნი

მანდ დაასვენე, მაგ ტაბლაზე.

(იოანეს)

შენც შესდექ, შვილო,

და წიგნის გვერდით დაასვენე მეფის გვირგვინი.

დავითის ხმალიც მანდვე დადე, უფლის მსახურო,
გვირგვინის გვერდით, იოდაემ როგორც გიბრძანა.

იოასი

მეფის ასულო, თქვი, რას ნიშნავს ეს ყოველივე,
ეს სჯულის წიგნი, ეს გვირგვინი და ეს მახვილი?
რაც ღმერთმა თავის წმინდა სახლში დამიღო ბინა,
ჯერ არ მინახავს ამნაირი ღვთისმსახურება.

იოსაბეთი

მალე გაიგებ, იოდაე ყველაფერს გეტყვის.

იოასი

მეფის ასულო, ეს მე მხურავ სამეფო გვირგვინს?
არ გეშინია, რომ შებღალავს ჩემი შეხება?
ეს ხომ დავითის გვირგვინია, წმინდა გვირგვინი,
და უკადრებელს ნუ ვაკადრებთ დავითის ხსოვნას.
საბრალო ბავშვი, დედ-მამისგან მიტოვებულნი...

იოსაბეთი (აზომებს გვირგვინს.)

დაწყნარდი, შვილო, მე ნაბრძანებს ვასრულებ მხოლოდ.

იოასი

მაგრამ ეს რაა, შენ ტირიხარ, მეფის ასულო.
ვისზე ტირიხარ? ნუთუ ჩემზე? თქვი, რა მომელისი
იქნება ღმერთმა მოითხოვა წმინდა ზვარაკი
და იეფთაეს ასულივით მსხვერპლად მწირავენ,
ჩემი სიკვდილით რომ დააცხრონ მეუფის რისხვა.
ნება მისია, რადგან შვილი მამას ეკუთვნის.

იოსაბეთი

აჰა, მოვიდა, ცათა ნებას ვინც გაგიმკლავნებს.
დანარჩენები გავეცალოთ.

იოდაე, იოასი

იოასი (დიდ ქუჩაზეთან მიიღებენ და მოეხვევა.)

მამა, მითხარი...

იოდაე

რა გითხრა, შვილო?

იოასი

ამხსენი, რა ხდება ირგვლივ.

იოდაე

უკვე დრო არის, გაგიმეღავნო ეს საიდუმლო, გითხრა შენგან და ერისაგან რას ითხოვს ღმერთი. დათრგუნე შიში და ახალი რწმენით აღივსე. დღეს გამოჩნდება, თუ იხარა, თუ იყვავილა სიუვაარულის და ერთგულების ნერგმა, რომელიც შენს გულში დაერგე და სათუთად ვუვლიდი დღემდე. როგორ გგონია, შვილო ჩემო, მზად ხარ თუ არა, ღმერთის წინაშე მოიხადო დღეს შენი ვალი?

იოასი

თუ მოითხოვა, უყოყმანოდ სიცოცხლეს დავთმობ.

იოდაე

შვილო, შენ ხშირად გიკითხავდნენ ჩვენს მატთანეს. მითხარ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეფე, ისეთი მეფე, ვინც გვირგვინის ღირსია მართლა?

იოასი

გვირგვინის ღირსი ის მეფეა, ამბობს უფალი, ვინც მხოლოდ ოქროს და სიმდიდრეს არ ემყარება, შიში აქვს ღვთისა, ყველა მცნებას წმინდად ასრულებს, სჯულს არ გადადის, თავის სამწყსოს ერთგულად უვლის, ღმობიერი და მოწყალეა თვისტომის მიმართ.

იოღაე

მაშ, ეგეც მითხარ, შეილო ჩემო, მეფე რომ იყო, ვის აირჩევდი შენს ნიშუშად? ვის მიჰბაძავდი?

იოასი

მეფე რომ ვიყო? მხოლოდ დავითს, ღვთისძოსავ დავითს, მასავით წმინდა სხვა არავინ არ მეგულეზა.

იოღაე

სჯულს არასოდეს დააგდებდი? არ იფიქრებდი იორამის და ოქოზიას კვალზე შედგომას?

იოასი

ო, მამაჩემო!

იოღაე

ნუ გაჩუქდა, მე პასუხს ველო.

იოასი

მათსავით წაწყმდეს, ვინც მათსავით რჯულს უღალატოს.

(იოღაე მის ფერხთით დაემზობა.)

ამას რას სჩადი, ვის წინაშე ემზობი, მამა!

იოღაე

დავითის ძის და სჯულიერი მეფის წინაშე.

იყავ, იოას, შენი ღიღი წინაპრის ღირსი!

იოასი

მე? იოასი?

იოღაე

ისმინე და გულისხმაჰყავი:

იოასი ხარ, ოქოზიას ძე და მემკვიდრე.

ძუძუთა ბავშვი რომ იყავი, ჯერ კიდევ მაშინ

ხანჭლით განგძირვა მოგინდომა დიდედაშენმა,

მაგრამ უფალმა გადმოგხედა წყალობის თვალთ,

გამოგარჩია ძმებისაგან და სიკვდილს დაგხსნა.

საფრთხე ჯერ კიდევ არ გამქრალა: დიდგდაშენი
ელიაკიმის შესაპყრობად ამზადებს ლაშქარს,
თუმცა არ იცის ამ სახელქვეშ ვინ იმალება.
ნუ გეშინია, მეც შევკრიბე წმინდა ლაშქარი,
ვინც ერთგულია, ყველას შენი დროშის ქვეშ ვუხმე,
მოდით, ქურუმნო, აარონის შთამომავალნო,
წინამძღოლებად არჩეულნო მღვდელმთავრის მიერ.

გამოსვლა მესამე

იოასი, იოღე, აზარია, ისმაელი და ლევიტების
სამი დანარჩენი წინამძღოლი

იოღე

აჰა, მეფეო, ვინც მტრისაგან უნდა დაგიცვას.
აჰა, ლევიტნო, თქვენი მეფე, მე რომ შეგპირდით.

აზარია

ელიაკიმი? როგორ!

ისმაელი

ნუთუ ეს სათნო ბავშვი...

იოღე

დავითის ტახტის სჯულიერი მემკვიდრე გახლავთ,
ბედუჯულმართი ოქოზიას უმცროსი შვილი,
უთუოდ გახსოვთ, იოასი ერქვა სახელად.
სიკვდილის ცელით მოცელილი ვეგონათ ისიც.
გულამოსკენილი დასტიროდით ამ სათუთ ყვავილს
და თქვენთან ერთად დასტიროდა მთელი იუდა.
მაგრამ ღვთის მადლით გადაურჩა ჯალათის დანას,
დაიქრა მხოლოდ და როდესაც იოსაბეთმა
ნახა უგონოდ დაგდებული და სისხლმდინარი,
მასში სიცოცხლის ნაპერწკალი ისევ ღვიოდა.
ტაძარში მალვით მოიყვანა ძიძასთან ერთად,
ელიაკიმი დავარქვით და ფარულად ვზრდიდით.

იოასო

ვაგლახ, თქვენს ამაგს ვერასოდეს ვერ გადავიხდი

იოდაე

შენი მადლობა სხვა დროისთვის შემოინახე.
ღიახ, ეს არის თქვენი მეფე, უფლის მსახურნო,
დავითის ძე და ერთადერთი თქვენი ნუგეში.
ახლა თქვენ იცით, დანარჩენი უკვე თქვენზეა.
როცა შეიტყობს გოთოლია, რომ იოასი
ცოცხალია და მისი ტახტზე აყვანა გვინდა,
ყველა ხერხს იხმარს, რომ როგორმე ხელში ჩაიგდოს,
და თუ ჩაიგდო, არ აცოცხლებს არც ერთი წამით.
უნდა დავასწროთ, სანამ რამეს მოიმოქმედებს.
დაუყოვნებლივ სასახლეში უნდა მივექრათ
და იქვე, თავის ბუნაგშივე, უნდა მოვაშთოთ,
რომ დაითრგუნოს ბოროტება და აღდგეს რჯული.
დროა, ქურუმნო, გავამეფოთ ნამდვილი მეფე
და ჩვენი ერი სამარცხვინო მონობას დავხსნათ.
ეს რომ ძნელი და სახიფათო საქმეა, იცით:
გოროზ დედოფალს უცხოელთა ლაშქარი იცავს
და განდგომილი ებრაელები, ვინც რჯული დაგმო.
მაგრამ ღმერთშია ჩვენი ძალა, ღმერთი წინ გვიძღვის.
იეზაბელის და აქაბის მოსისხნარ ასულს
გონი წაართვა, დააბრმავა, სმენა დაუხშო
და ვერ მიმხედარა უკეთური რისთვის შეგყარეთ,
უიარაღო ვგონივართ და ზიფათს არ ელის.
მაშ, ვიმოქმედოთ. ჯერ ეს ბავშვი მეფედ ვაკურთხოთ,
მერე კი ღმერთი ვახსენოთ და ვეკვეთოთ მტარვალს.
ყველა, ვინც სასო დაკარგა და ძილქუშს მინებდა,
მაგრამ ვის გულშიც არ ჩამქრალა სიკეთის რწმენა,
როდესაც ნახავს, იარაღი როგორ ავიღეთ,
როდესაც ნახავს, ბოროტების შესამუსრავად
დიდი ქურუმი, აარონის კვერთხის მპყრობელი,
როგორ მიუძღვის ბრძოლისაკენ უფლის მსახურებს
და ხელს, რომელსაც ერი თრთოლვით ეამბორება,
ბეჭდი ხმალი და ძველი შუბი როგორ უპყრია,

მეუფისათვის შენაწირი დავითის მიერ,
არ შეიძლება, რომ იმედით არ განიმსჭვალოს,
რომ არ აისხას ფარ-ხმალი და თან არ გამოგვყვეს.
ნახავთ მტრის ჯარი ჩვენს წინაშე როგორ შედრეკება,
რა ძრწოლას დათესს შურისგების მრისხანე ღმერთი!
ნურვის დაინდობთ, ნურც ტვიროსელს და ნურც ებრაელს,
ღუშმანთა სისხლით განიბანეთ თხემით ტერფამდე!
განა იმ ქველი ლევიტების შთამომავალნი
არ ხართ ყველანი, ვინც იტვირთა საღვთო მკვლელობა,
ვინც უყოყმანოდ დაანთხია თვისტომთა სისხლი,
როცა ღვთის ურჩი ისრაელი განუდგა უფალს
და უდაბნოში ნილოსური კერპი აღმართა?
იმ წინაპართა ღირსეული ქმედების გამო
გიჟნით უფალმა და უწმინდეს საკურთხეველზე -
თავის ერთადერთ მსახურებად თქვენ დაგადგინათ.
ვხედავ, რომ უკვე ბრძოლის ყინით ხართ ანთებულნი.
ამ დიად წიგნზე ერთგულება შეჭფიცეთ მეფეს,
აღთქმა მიეცით, რომ უშიშრად იბრძოლებთ მისთვის
და თავსაც დასდებთ, საღვთო საქმეს თუ დასჭირდება.

აზარია (მივა და წმინდა წიგნზე ხელს დებს.)
ფიცს ვდებ ჩემი და ყველა ჩემი მოძმის სახელით,
რომ დავაძკვიდრებთ მამისეულ ტახტზე იოასს
და ხმლებს მანამდე ქარქაშებში არ ჩავაბრუნებთ,
ვიდრე მოსისხლეს არ მივუზღავეთ სამაგიეროს.
ხოლო ამ აღთქმას თუ დაარღვევს ვინმე ჩვენგანი,
დე, მოლაღატეს ღმერთის რისხვა დაატყდეს თავზე,
წყუულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე
თვითონ იგი და ყველა მისი შთამომავალი.

იოდაე.

შენც დაიფიცე, ხელმწიფეო, ამავე წიგნზე,
რომ სჯულისა და ღვთის ერთგული იქნები მარად.

იოასი

როგორა შენ ფიქრობ, რომ ოდესმე სჯულს გუორგულებ?

ი ო დ ა ე

შვილო (ვბედავ და კვლავაც ასე მოგმართავ), შვილო,
ნუ გეწყინება, შენს მომავალს თუ შიშით ვუშვებ,
რადგან შიშისთვის საფუძველი მართლა არსებობს.
შენ ჯერ არ იცი, რაოდენი საცთური გელის,
არ გიცხოვრია არასოდეს სამეფო კარზე,
ძალაუფლების არ გიგრძნია დამატორობლობა
და კარისკაცთა ლიქნის ბანგი არ გიგემია.
მალე გეტყვიან, რომ ბრბოსთვის შეიქმნა სჯული,
მისი ვნებების ასალაგმად, ხოლო მეფენი
ერთადერთ კანონს მორჩილებენ: საკუთარ ნებას.
რომ მეფე სჯულზე მაღალია და შეუძლია,
თავის დიდებას ყველაფერი მსხვერპლად შესწიროს.
ხალხის ვალია, ღვაროს მიწყვიტოვლი და ტრემლი,
ხალხი ფარაა, რკინის კვერთხით სჭირდება დამწყსვა.
დაგიხატავენ სათნოების შემზარავ სახეს,
შეეცდებიან, შეგაძულონ ჰემმარიტება
და ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულისკენ დაგაქანებენ.
თვით ბრძენთაბრძენი სოლომონი აცთუნა ლაქნამ.
ამ წმინდა წიგნზე შემოგვეფიცე, რომ ყველა საცაურს
წინ აღუდგები და ვით ახლა, მეფობის ქამსაც
შენი მთავარი საზრუნავი ღმერთი იქნება,
საცა კი ხელი მიგიწვდება, სიკეთეს დასთეს,
მეოხ ექმნები, ვინც ბედისგან დაჩაგრულია
და არასოდეს დაივიწყებ შენს სიცოცხლეს,
რომ შენც ოდესღაც ტანზე სელის სამოსი გეცვა,
რომ შენც ობოლი და უმწეო იყავი მათებრ.

ი ო ა ს ი (ხელს დაადებს წიგნს.)

ვფიცავ, რომ წმინდად აღვასრულებ ღვთის ყველა მცნებას.
დამსაჯე, ღმერთო, თუ ოდესმე რჯულს ვუორგულო.

ი ო დ ა ე

აბა, მომყევი, დროა, წმინდა მირონი წაგცხო.
მეფის ასულს, შემობრძანდი! შემოდით ყველა.

გამოსვლა მეოთხე

იოასი, იოდაე, იოსაბეთი, ზაქარია, სალომითი, აზარია,
ისმაელი, ლევიტების სამი დანარჩენი წინამძღოლი, ქორთ

იოსაბეთი (ეხვევა იოასს.)
მეფეო, ძეო დავითისა!

იოასი

ძვირფასო დედა!
აქ მოდი, ძმავო ზაქარია, გულში ჩაგიკრა.

იოსაბეთი (ზაქარიას)

ჰო, მოდი, შვილო, შენს ხელმწიფეს თაყვანი ეცი,
(ზაქარია მუხლს მოუყრის იოასს)

იოდაე (ვიდრე ისინი ერთმანეთს ეხვევიან.)
ღმერთმა ქნას, მუდამ ერთმანეთი ასე გიყვარდეთ.

იოსაბეთი (იოასს)

მაშ, უკვე გითხრეს, დიდ მეფეთა სისხლი რომ გიდგას?

იოასი

შენი წყალობით გადაურჩა დანთხევას იგი.

იოსაბეთი

შენი მეფობა ბედნიერი იყოს, იოას!

იოასი

იოასს ისე ეყვარები, ვით ელიაკიმს.

ქორთ

ნუთუ ეს არის...!

იოსაბეთი

იოასი.

იოდაე

ვუსმინოა ლევიტს.

ოსასი, იოდაე, იოსაბეთი, ზაქარია, ხალომითი, აზარია,
 ისმაელი, ლევიტების სამი დანარჩენი წინამძღოლი, ქორო, ლევიტი

ლ ე ვ ი ტ ი

არ ვიცი, ღმერთის წინააღმდეგ რას იზრახავენ,
 მაგრამ გრგვინავენ საყვირები, გუგუნებს რვალი
 და ჩირაღდნები გარს გვერტყმიან ყოველი მხრიდან.
 ექვი არ არის, ჩვენ გვლაშქრავენ, ჩვენზე მოდიან!
 წმინდა მთას, სადაც ტაძარია დაშენებული,
 უკვე მოადგნენ ტვიროსელთა მეწინავენი.
 ნიშნის მოგებით ამოგვძახა ერთმა მათგანმა,
 ველარ მოვაო აბენერი თქვენს დასახსნელად,
 ღალატისათვის შეიპყრეს და ხუნდი ადევსო.

ი ო ს ა ბ ე თ ი

ვაიმე, შვილო, განწირული ყოფილხარ ღვთისგან!
 რისთვის დაგიხსნა, თუკი ასეთ ხვედრს გიმზადებდა?
 აღთქმა, რომელიც ღვთის მისცა, ჩანს, აღარ ახსოვს!

ი ო დ ა ე

დაუფიქრებლად ლაპარაკობ, მეფის ასულო!
 ჩვენც და მეფესაც ღმერთის რისხვა არ დაგვატეხო!
 თუნდაც რომ უფალს მისი წაგერა უნდოდეს ჩვენგან,
 რატომ გგონია, თითქოს ამით სიკვდილს უქადის?
 ჩვენი ვალია დავმორჩილდეთ მეუფის ნებას.
 ნუ გავიწყდება, წმინდა მთაზე რომ იმყოფები,
 სადაც ოდესღაც ებრაელთა მამამთავარმა
 საკუთარ ძეზე უყოყმანოდ აღმართა ხელი
 და უზენაესს უდრტვინველად სწირავდა მსხვერპლად
 ერთადერთ იმედს, სიბერეში გაჩენილ პირმშოს,
 პირმშოს, რომელსაც წმინდა ერი უნდა ეშობა.
 ახლა კი, ძმებო, დავნაწილდეთ. შენ შენი რაზმით
 აღმოსავლეთის ბქეს დაიცავ, ჩემო ისმაელ.
 თქვენ დასავლეთით განლაგდებით. თქვენ — ჩრდილოეთით.
 თქვენ კი სამხრეთით. იქ ელოდეთ შემდგომ ბრძანებას.

ნუ აჩქარდებით. დროზე ადრე არ გასცეთ თავი,
მტერმა წინასწარ არ გაიგოს ჩვენი განზრახვა.
ალბათ, ჰგონია, რომ დავფრთხებით მის დანახვაზე
და რომ დასაკლავ ფარასავით წინ გაგვირეკავს.
დაე, ეგონოს. უფრო მეტად ეცემა ელდა.
ფსიზლად იყავით. მტერი შიგნით არ შემოუშვათ,
დაიხოცეთ და ადგილიდან ფეხს ნუ მოიცივლით.
შენ აქ დარჩები, აზარია, ხელმწიფის მცველად.

(იოასს)

შენ კი ბრწყინვალე წინაპართა შთამომავლო,
შენი ერთგული მეომრები რწმენით ალავსე.
უნდა ახლავე მათ წინაშე გვირგვინი დაგდგა.
თუკი სიკვდილი გიწერია, დე, მეფედ მოკვდი.
ნუ მოშორდები, იოსაბეთ.

(ლევიტს)

მომეცი ხმალი.

(ქოროს)

თქვენ კი შვილებო, აქ დარჩით და ილოცეთ ჩვენთვის.

გამოსვლა მთავრად

ქორო

ქორო (მღერის)

წინ, აარონის შთამომავალნო!

ამაზე წმინდა საქმისათვის ჯერ არც ერთ ქურუმს
არ აუღია ხელში მახვილი.

ბრძოლად მიდინხართ სჯულიერი თქვენი მეფისთვის,
თქვენი ღმერთისთვის მიდინხართ ბრძოლად.

წინ, აარონის შთამომავალნო!

ერთი ხმა (მარტო)

ღმერთო, სად არის

შენი რისხვა სამართლიანი

და შენი მეხი,

უკეთურთა დამამხობელი?

ს ხ ვ ა ხ მ ა

მოგვხედე, ღმერთო,
იაკობის მფარველო ღმერთო!
ნუთუ შენამდე ჩვენთა ცოდვათა,
ჩვენთა ცთომათა ხმა აღწევს მხოლოდ
და ველარ აღწევს
ხმა გოდების და სინანულის?

ქორო

მოგვხედე, ღმერთო,
იაკობის მფარველო ღმერთო!

ერთი ხმა (მარტო)

ეს შენ გებრძვიან უკეთურები,
ეს შენ გიღერენ შუბებს და ისრებს.
დროა, ამბობენ, შევმუსროთ ღმერთი,
დროა, ამბობენ, გადავიგდოთ მისი უღელი.
დავხოცოთ მისი წმინდანები,
დავლეწოთ მისი საკურთხევლები,
მისი სახელი ხსოვნიდან აღგვათ.
ჩვენზე ნურც იგი
და ნურც ქრისტე
ნუ იმეფებენ!

ქორო

სამართლიანი შენი რისხვა
სად არის, ღმერთო,
და შენი მეხი,
უკეთურთა დამამხოველი?

ერთი ხმა (მარტო)

დავითიანთა მწუხარე ნაშთო,
მათი ხის მორჩო უკანასკნელო,
ისევ დაგეძებს
გულბოროტი დედის მახვილი.
გვითხარ, რომელმა ანგელოზმა

გადაგარჩინა?
თუ სამარეში ჩამოგესმა
ღმერთის ხმა და ფერფლიდან აღდექე?

ს ხ ვ ა ხ მ ა
მას ნუ მოჰკითხავ
წინაპართა ცოდვებს, უფალო,
შეგვიბრალე და სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებს!

ქ ო რ ო
მოგვხედე, ღმერთო,
იაკობის მთარველო ღმერთო!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი
თუ გესმით, დებო,
ტვიროსელთა საყვირის ხმები!

ს ა ლ ო მ ი თ ი
ყიჟინაც მესმის, იერიშზე მოდიან, ალბათ!
ძრწის სული ჩემი
გავიქცეთ, დებო,
საკურთხეველთან შევეფაროთ,
ღვთის სიახლოვეს!

მ ე ხ უ თ ე მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

ზაქარია, სალომითი, ქორო

ს ა ლ ო მ ი თ ი
გვითხარი, ძმაო ზაქარია, რა ხდება გარეთ?

ზ ა ქ ა რ ი ა
ილოცე, დაო, მგონი ჩვენმა უკანასკნელმა

საათმა დაჰკრა! გულმხურვალედ ილოცე, დაო.
საცაა, ბრძოლა დაიწყება.

ს ა ლ ო მ ი თ ი

მეფე სად არის?

ზ ა ქ ა რ ი ა .

დიდმა ქურუმმა ეს წუთია დასდგა გვირგვინი.
ღმერთო, როგორი სიხარულით ბრწყინავდა ყველა,
როგორ შეფრთხინვით შესცქეროდნენ თავიანთ მეფეს,
დიდი ხნის მკვდარი რომ ეგონათ და მკვდრეთით აღდგა,
ჯალათის დანას სასწაულით გადარჩენილი.
იცი, ის ძველი ნახანჯლარი ისევე ეტყობა.
ძიძაც იქ იყო, იოასის ერთგული ძიძაც,
ამდენი ხანი ჩვენს ტაძარში ცხოვრობდა თურმე,
ვერვინ ხედავდა დედაჩვენის და ღმერთის მეტი.
უნდა გენახა, ლევიტები რა დღეში იყვნენ!
ზოგი ხმამაღლა ლოცულობდა, ზოგი ტიროდა,
ქვითინის ხმა და აღტაცების მძლავრი ყიჟინა
ერთად ისმოდა, ერთი გრძნობის გამომხატველი.
იოასი კი გვიღიმოდა, ხელებს გვიწვდიდა,
ძმასა და მამას უწოდებდა თვითეულ ჩვენგანს.

ს ა ლ ო მ ი თ ი

გვითხარი, გარეთ ეს ამბავი უკვე იციან?

ზ ა ქ ა რ ი ა

არა, ჯერ გარეთ საიდუმლოს არ გაუჟონავს.
ღვთისმსახურებმა იარალი ჩუმად აისხეს,
ჩუმად გავიდნენ და განლაგდნენ ოთხივე ბჰესთან.
ხელმწიფის მცველად აზარია დანიშნა მამამ.
გალავნის ძირას ხანჯლით ხელში დგას გოთოლია,
დგას და დასცინის გოდოლსა და სპილენძის კარებს,
მათ შესამუსრად ტარანების დადგმასლა ელის,
ორი სურვილი ასულდგმულებს: კაცის კვლა, ნგრევა.
ზოგიერთ ქურუმს ღვთის კიდობნის აღება სურდა
და მიწისქვეშა სამალავში გადასვენება.

„შიშმა გონება ნუ წაგართვით! — გაუწყრა მამა, —
წმიდათაწმიდა კილობანი, ლეთის კილობანი,
რომელმაც დასცა შეუვალი ქალაქის ზღუდე,
მუსრი გაავლო წარმართების უწმინდურ ღმერთებს
და მოვარდნილი იორდანე აღმა აღინა,
ერთი თავხედი ქალის შიშით მიწაში ჩავეფლათ?“
თვალცრემლიანი დედაჩვენი დამდგარა უხმოდ,
ხან მეფეს, ხანაც საკურთხეველს მიაპყრობს მზერას,
დროდადრო მივა იოასი, მიეფერება,
ცდილობს როგორმე დაამშვიდოს... წამოდით, დებო,
ჩვენც იქ მივიდეთ, მეფის ბედი გავიზიაროთ,
ღმერთს თუკი მისი დაღუპვა აქვს გადაწყვეტილი,
დაე, ჩვენც მასთან დავიღუპოთ.

ს ა ლ ო მ ი თ ი

რა ხმაურია?

ვინ არის, კარზე თავხედურად რომ გვიბრახუნებ? რატომ შეშფოთდნენ ლევიტები? რატომ მორბიან? რატომ მალავენ ხმლებს და შუბებს? ნუთუ ტაძარში შემოაღწია უკვე მტერმა?

ზ ა ქ ა რ ი ა

არა, დამშვიდდი,

ღმერთმა მოგვხედა: აბენერი გამოგვიგზავნა.

გამოსვლა მეორე

აბენერი, იოდაე, იოსაბეთი, ზაქარია, სალომითი,
ისმაელე, ორი ლევიტი, ქორე

ი ო დ ა ე

აბენერ, თვალებს არ ვუჭერებ! ნუთუ ეს შენ ხარ? აქ როგორ გაჩნდი? რანაირად გამოგატარეს? აღარ მეგონა, ასე მალე თუ გიხილავდი, მე მითხრეს, ვითომ გოთოლიამ ხუნდი დაგადო, რომ შენი შიში არ ჰქონოდა.

ა ბ ე ნ ე რ ი

მართალი უთქვამთ,

დიახ, დედოფალს შეეშინდა, რომ აბენერი
მისი განზრახვის შესრულებას ხელს შეუშლიდა.
ჩემი შეპყრობა და დილეგში ჩაგდება ბრძანა.
ძრწოლამ მომიცვა. არა, სიკვდილს როდი ვუფრობოდი,
რადგან მას შემდეგ, რაც ამოწყდა მეფეთა მოდგმა,
სიკვდილი მხოლოდ შვებად მიჩანს. მე ის მწარავედა,
რომ ტაძარს უკვე ნანგრევებად ქცეულს ვხედავდი,
ხოლო თქვენ ყველას — ნანგრევებში ცოცხლად დამარხულს.

ი ო ლ ა ე

მერე კი უცებ შეგიწყნარა? სასწაულს მოკვავს.

ა ბ ე ნ ე რ ი

არავინ იცის ღმერთის მეტმა, მაგ ბოროტ დიაცს
რა უღევს გულში. დამიბარა და ასე მითხრა:
„ხომ ხედავ, უკვე ალყაშია თქვენი ტაძარი,
ბრძანებას გავცემ და ახლავე ხანძარი დანთქავს.
განწირული ხართ. თქვენი ღმერთი ველარ დაგისწნით.
მაგ თქვენს ქურუმებს თუ სწადიათ, ცოცხლები დარჩნენ,
უნდა უსიტყვოდ შემისრულონ ორი პირობა:
დაუყოვნებლივ გამოგვეარონ ელიაკიმი
და ჩამაბარონ თქვენი მეფის, დავითის განძი,
რომელიც სადღაც მანდ ყოფილა გადამალული
და სამალავი იოდაემ იცის მარტოდენ.
წადი, ქურუმებს გადაეცი, რაც დაგაბარე“.

ი ო ლ ა ე

ჩემო აბენერ, შენ რას მიჩიევ, როგორ მოვიქცე?

ა ბ ე ნ ე რ ი

თუ, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჭორი არ არის
და მართლა იცი, მეფის განძი სად ინახება,
რა მეტი გზაა, იოდაე, უნდა დათანხმდე.
მე, ჩემდათავად, ველარ ვხედავ სხვა გამოსავალს.

მაშ, გირჩევნია, დაიღწეოს საკურთხეველი,
წმინდა ალაგი ქურუმების სისხლით მოირწყას,
ქერუბინები ნაცრად იქცეს, ხოლო კილობანს,
უფლის კილობანს უწმინდურთა ხელი შეეხოს?

იოდაე

მაგრამ, აბენერ, ბავშვს რა ვუყო, რომელიც თვითონ
ღმერთმა მომანდო? მოსაკლავად მივცე ჭალათებს?
თქვი, კეთილშობილ ადამიანს თუ ეკადრება,
ბავშვის სიკვდილით საკუთარი სიცოცხლე იხსნას?

აბენერი

ვაგლახ, მაგ ამბით შენზე ნაკლებ არ ვიტანჯები.
ღმერთმა ქნას, ჩემო იოდაე, რომ გოთოლიას
მაგ სათნო ბავშვის არსებობა დავიწყებოდეს
და მძვინვარება აბენერის სისხლით დაეცხროს.
მაგრამ, მითხარი, ჩვენ ყველანი რომ დავიღუპოთ,
მერედა ამით ელიაკიმს რამეს ვუშველით?
არა, უფალი შეუძლებელს არ ითხოვს ჩვენგანს
თვით მოსეს დედამ აღასრულა მტარვალის ნება
და შვილი ნილოსს გაატანა ახალშობილი.
ვინ იფიქრებდა მდინარეში ყრმის გადარჩენას,
მაგრამ მეუფემ გადარჩენა ინება მისი,
გამორიყა და თვითონ მტარვალს გააზრდევინა.
ვინ იცის, იქნებ მაგ ყმაწვილსაც მოხედოს ღმერთმა
და მოსეს დარად ეგეც იხსნას სასწაულებრივ?
თავად განსაჯე, სასწაული არ იყო განა,
რაც გოთოლიას მოუვიდა მის დანახვანზე?
როგორ მოიცივა სიბრალულის უჩვევემა გრძნობამ
და ბრაზი როგორ გაუნელდა?

(იოსაბეთს)

მეფის ასულს,

რატომ გაჩუმდი? ბრძანე რამე! თქვი, რასაც ფიქრობ!
სწორი იქნება იოდაემ შენც, შენი პირმშოც,
მთელი ეს ხალხიც და ტაძარი, რაც მთავარია,
წმინდა ტაძარი, ერთადერთი მთელ ქვეყანაზე,

ადგილი, თვითონ უფლისაგან ამორჩეული,
დაუფიქრებლად ერთ პატარა ყრმას განაცვალოთ,
თუნდაც ეს ბავშვი ხელმწიფეთა სისხლისა იყოს,
დავითიანთა ნაშთი იყოს უკანასკნელი?

იო ს ა ბ ე თ ი (იოდაეს ჩუმად)
ხომ ატყობ, ისევ ერთგულია მეფეთა გვარის,
უთხარი ბარემ.

იო დ ა ე

ნუ ვიჩქარებთ, დრო კიდევ დაგვრჩა.

ა ბ ე ნ ე რ ი

დრო გაცილებით ცოტა დაგვრჩა, ვიდრე გგონია.
სანამ ყოყმანობ და არ იცი, რა გადაწყვიტო,
მათანი ავად ჩასისინებს ყურში დედოფალს,
სთხოვს, ხოცვა-ჟლეტის დასაწყებად ბრძანება გასცეს.
აჰა, მუხლს გიყრი და გაფიცებ ამ წმინდა ალაგს,
სადაც კაცთაგან მარტოოდენ შენ შეგესვლება
და სადაც ღმერთის წარუვალი დიდება სუფევს,
ნუ გაჭიქდები და მიიღე მათი პირობა,
მოულოდნელი მძიმე დარტყმა რომ ავირიდოთ.
მერე მე ვიცი, შენ ხეალამდე მადროვე ოღონდ
და სიტყვას გაძლეე, ისეთ რამეს მოვიმოქმედებ,
ველარ გაბედოს ველარავინ ტაძრის ხელყოფა.
ვხედავ, რომ შენზე არ მოქმედებს არც ჩემი რჩევა,,
არც ჩემი ცრემლი, შენი სიტყვა შეუვალთა.
რა გაეწყობა, იარალი მაინც მომეცით,
ძველი შუბი და ძველი ხმალი გექნებათ სადმე,
მტერს კარიბჭესთან უნდა დავსვდე და იქ შევება.
თუ სიკვდილია, მირჩევნია ბრძოლაში მოვკვდე.

იო დ ა ე

არა, აბენერ, თანახმა ვარ, შენ სწორად მსჯელობ,
თუ არ დავთანხმდი, სუყველანი დავიღუპებით.
რას ვიზამთ, უნდა აღვასრულოთ დედოფლის ნება.
მართლა აქ არის, ტაძარშია დავითის განძი
და მას, მწუხარე ებრაელთა ერთადერთ იმედს,

ფრთხილად ვმალავდი, დღის სინათლეს არ ვაკარებდი,
მეგონა, მისი არსებობა არეინ იცოდა.

მაგრამ შევმცდარვარ. საიდუმლო გამჟღავნებულა
და გოთოლიას ყურამდისაც მიულწევია.

ბედს დავმორჩილდეთ და გავულოთ გალავნის კარი,
მოვიდეს განძის სანახავად მხლებლებთან ერთად,
ოღონდ არაეინ საკურთხეველს არ გაეკაროს
და ვერაგულად არ იფიქროს ტაძრის გაძარცვა.

აღბათ, ამ ბავშვებს და ქურუმებს საშიშად არ თვლის
და მთელი ლაშქრის შემოყვანას არ განიზრახავს.

ერთად შეთანხმდით, რამდენ მხლებელს მოიყოლიებს.
ხოლო თვით ყმაწვილს, ელიაკიმს, რაც შეეხება,
მის ვინაობას გოთოლიას წინაშე გეტყვი,
მინდა მათ შორის სამართალი შენ განაჩინო.

ა ბ ე ნ ე რ ი

მაშ, გავიქცევი და დედოფალს პასუხს მივუტან.

მაგ ბავშვს არათერს გავუჭირებ, ნუ გეფიქრება.

გამოსვლა მისამე

იოდაე, იოსაბეთი, ზაქარია, ხალომითი, ისმაელი,
ორი ლევიტი, ქორო

ი ო დ ა ე

აჰა, უფალო, შენი მსხვერპლი კარზე მოგგვარე!
მოდე, ისმაელ, რაღაც გითხრა.

(ეჩურჩულება.)

ი ო ს ა ბ ე თ ი

ცათა მეუფევე,
გადააკარი მაგ უკეთურს თვალეზზე ლიბრი,
ვით მაშინ, როცა ააცალე მსხვერპლი უმწეო
და ჩემს უბეში გადამალე.

ი ო დ ა ე

ბრძენო ისმაელ,

წადი და საქმეს შეუდექი, დროს ნულა კარგავ.
როგორც გითხარი, ყველაფერი ისე გაკეთდეს:
შემოსასეღელში უნდა სრული სიმშვიდე იყოს,
მცირედი ეჭვიც არაფერმა არ უნდა აღძვრას.
შვილებო, ტახტი მოამზადეთ იოასისთვის.
სთხოვეთ, მოვიდეს, მეომრებიც თანვე იახლოს.
ძიძასაც უნმეთ, საქიროა, აქ იყოს ძიძაც.
მეფის ასულო, ნუ ტირინხარ, შეიშრე ცრემლი.
(ერთ-ერთ ლევიტს)

შენ კი, ლევიტო, გააფრთხილე დანარჩენები,
რომ გოაოლია ზღურბლს როგორც კი გადმოაბიჯებს,
მყისვე ჩაკეტონ ალაყაფი, გზები შეუქრან
და გალავნიდან საომარი საყვირი დასცენ,
დე მტრის ბანაკი უეცარმა მოიცვას ძრწოლამ.
მეფის სამველად იხმეთ ხალხი, აუწყეთ ყველას,
რომ იოასი, ოქოზიას ძე და მემკვიდრე,
სასწაულებრივ გადარჩა და დღეს მეფედ დავსვიო.
აგერ, თვითონაც.

გამოსვლა მეოთხე

იოასი, იოზე, იოსაბეთი, ზაქარია, სალომითი, ანაზია,
ქურუმთა და ლევიტთა ჯგუფი, ქარო

ი ო ღ ა ე

ქურუმებო და ლევიტებო,
მანდ, კედლის გასწვრივ განლაგდით და ნუ გამოინდებით.
ჩემს ბრძანებამდე ადგილიდან არვინ დაიძრას,
თორემ ზედმეტი აღტყინებით საქმეს წაახდენს.

(ქურუმები და ლევიტები მიიმალებიან.)

მგერა, მეფეო, რაც აღგეთქვა, ის აღსრულდება;
მაღე შენს დუშმანს შენს წინაშე ნახავ დამბობილს.
ის, ვისი შიშიც შენს ბავშვობას ლანდივით სდევდა,
სწრაფი ნაბიჯით ტაძრისაკენ მოემართება.
მაგრამ საშიში აღარაა ის ახლა შენთვის,

შურისძიების ანგელოზი მხარმარჯვნივ გიდვას.
ტახტზე დაბრძანდი... ჰა, კარიბჭე უკვე გაიღო.
გთხოვ, მომიტევეო, ხელმწიფეო, უნდა ეს ფარდა
ჩამოგაფარო მცირე ხანი.

(ფარდას ჩამოუშვებს.)

მეფის ასულს,

როგორ გაფითრდი!

იოსაბეთი

შეიძლება, გაუფითრებლად
შეხვდე ამ მკვლელთა გამოჩენას? მაინც რამხელა
ამალა ახლავს!

იოდაე

ვხედავ, კარი ისევ ჩარაზეს.

აღსრულდა!

გამოსვლა მისუთი

გოთოლია, იოასი, იოდაე, იოსაბეთი, აბენერო,
გოთოლიას ამალა

(იოასი ფარდის უკანაა დამალული.)

გოთოლია

აჰა, ეს შენა ხარ, მაცთურო სულს?!
შენით იწყება ყველაფერი, რაც მზაკვრულია,
ყველა ღალატი, შეთქმულება, ამბოხი, შფოთი
მხოლოდ შენს ღმერთზე ამყარებდი, უგუნურო, იმედს
და ძირს უთხრიდი უზენაეს ხელისუფლებას.
ხომ გაგმტყუნა მოლოდინი მაგ შენმა ღმერთმა
და ტაძრიანად გოთოლიას ხელში ჩაგაგდო.
საკურთხეველზე, საცა მისთვის ამდენი ხანი
მსხვერპლი გიწირავს, შემძლია, დღეს შენ თვითონვე...
მაგრამ რაკილა დაგიზავდი, სიტყვას არ გაეტეხ.
რასაც შემპირდი, შემისრულე? სად არის ბავშვი?
განძი სად არის?

ი ო ლ ა ე

ყველაფერი მზად დაგახვედრე:
ორივეს ნახავ ერთდროულად ამ ფარდის უკან.

(ფარდა გადაიწევა. გამოჩნდება ტახტზე მჯდარი იო-
ასი; მარჯვნივ ძიძაა დაჩოქილი; მარცხნივ აზარია
დგას მახვილით ხელში; გვერდით, ტახტის საფეხუ-
რებზე ზაქარიას და სალომითს დაუჩოქნიათ; აქეთ-
იქით რამდენიმე ხმალამოწვდილი ლევიტი დგას.)
გამოჩნდი, ყრმაო, ხელმწიფეთა შთამომავალო!
(გოთოლიას.)

იცანი შენი საკუთარი სისხლი და ხორცი?
ქარგად შეხედე, ნახანჯლარი ისევ ატყვია.
შენი მეფეა, ოქოზიას უმცროსი შვილი.
აჰა, აბენერ, იოასი!

ა ბ ე ნ ე რ ი

ღმერთო!

გ ო თ ო ლ ი ა (იოდაეს)

მზაკვარო!

ი ო ლ ა ე

ამ ებრაელის ქალს შეხედე! ესეც გეცნობა?
ღიახ, ის არის, ვინც იოასს აწოვა ძუძუ.
არადა იცი, როგორ მოხვდა ეს ბავშვი ჩვენთან?
იოსაბეთმა გამოგტაცა. ღმერთმა მოგვხვდა.
დავითის განძი, მე რომ ვმალავ, აი, ეს არის.

გ ო თ ო ლ ი ა

ჩემო ერთგულო მეომრებო, რაღას უყურებთ,
ამ ჯოჯოხეთურ მოლანდებას დროზე დამხსენით!

ი ო ლ ა ე

ღვთის მეომრებო, დაიცავით თქვენი ხელმწიფე!
(გადაიხსნება სცენის სიღრმე. გამოჩნდება ტახტის
შიდა ნაწილი. ყველა მხრიდან შეიარაღებული ლე-
ვიტები გამოდიან.)

გოთოლია

სად ვარ? რა ხდება? დალატია! პირი მიტეხეს!
გარშემო მტერი მახვევია, გზა არსად არის!

იოდაე

ველარ წაგვიხვალ, სულ ტყუილად აცეცებ თვალებს,
ეს თვით ღმერთია, ღმერთითა ხარ გარემოცული,
ღმერთით, რომელიც ხელჰყავი და რომელიც დაგსჯის!
უნდა დაღვრილი სისხლისათვის პასუხი აგო!

გოთოლია

ჩემი ჯაბანი მეომრები შიშმა მონუსხა.

(აბენერს)

შენ, შენ გამაბი ამ მახეში!

აბენერი

იკოდეს ღმერთმა,

რომ მე...

გოთოლია

არ მინდა შენი ფიცი, თუ შეგიძლია,
შური იძიე ჩემს მაგიერ!

აბენერი

კი, მაგრამ ვისზე?

ჩემს ხელმწიფეზე?

გოთოლია

ეს ლაპია შენი ხელმწიფე?
ნუ გავიწყდებათ, კარზე ჩემი ლაშქარი გადგათ.
გესმით? მიხმობენ! აქ მოდიან ჩემს დასახსნელად.
მეამბოხენო, ძრწოდეთ, ძრწოდეთ!

ისმაელი, იოასი, იოდაე, გოთოლია და წინა გამოხელის
ყველა მონაწილე

ი ს მ ა ე ლ ი

დიდო ქურუმო!

აღყაში უკვე აღარა ვართ, მტერი გაიქცა!
მეუფის ხმაზე შეეცარმა შიშმა შეიპყრო
და თავს უშველა! გაიფანტა, ვით ქარში კვამლი.
ჯერ იყო, ტაძრის გალავნიდან მთელ ქალაქს ვამცნეთ,
რომ ცოცხალია იოასი, ტახტის მემკვიდრე
და გოთოლია ჩვენს მახეში არის გაბმული.
მერე საყვირი დავაქუხეთ და მისმა გრგვინვამ
დედოფლის ლაშქარს ისეთივე თავზარი დასცა,
როგორც ოდესღაც გედეონმა მადიანელებს.
ყველაზე უწინ აირივნენ ტვიროსელები,
უცებ დაჰყარეს იარაღი და უკუიქცნენ,
შეძრწუნებულნი გაიფანტნენ ოთხივე მხარეს.
მათ უკან მიჰყვა ებრაელთა ერთი ნაწილიც.
დანარჩენებმა ამჯობინეს ჩვენკენ გადმოსვლა,
ყრმა იოასი აღიარეს თავიანთ მეფედ
და უფალს მადლი აღუვლინეს ყმაწვილის ხსნისთვის.
აუწერელმა სიხარულმა მოიცივა ხალხი,
მთელი ქალაქი ქუჩებშია გამოფენილი,
ყველა ერთმანეთს ეხვევა და სიმღერებს მღერის
დავითიანთა მკვდრებით აღმდგარ, შთამომავალზე.
უკვე შელევს წარმართული ბომონის კარი,
ბაალის კერპი შემუსრეს და მათანი მოკლეს.

გოთოლია

მანინე შენ მძლიე, ებრაელთა მრისხანე ღმერთო!
არა, არ ვცდები, ის ბავშვია, იოასია,
ვცნობ ნაჭრილობევს, მანდ დავკარი ხანჯალი სწორედ,
ვცნობ ოქოზიას გარეგნობას, მიმოხრას მისას.
საცნაურია ყველა ნაკვთში დავითის სისხლი,
სისხლი, რომელიც ჩემთვის ეგზომ საძულველია.

მხოლოდ აქაბი გადაეგო, დავითი სუფევს!
 უწყალო ღმერთო, შენ, შენ ჰქმენი ეს ყველაფერი,
 შენ იყავ, ფუჟი იმედებით რომ მამბრმავებდი,
 შენ იყავ, ასჯერ რომ მიცვლიდი ღღეში განზრახვას.
 ხან სიბრალული აღმიძარი მაგ ბავშვის მიმართ,
 ხან კიდევ განძი მომალანდე, რომ განძის ხათრით
 არ დამეჭვია დასაქცევი შენი ტაძარი.
 ელოლიავე შენს მემკვიდრეს, დავითის ნაგრამს!
 თუ ფიქრობ, მისი გამეფება რაიმეს შეცვლის,
 დაე, გამეფდეს, მე კი გული ხანჯლით გამიძოს,
 დედის ცხედარზე დააფუძნოს, დაე, მეფობა
 ნუ გავიწყდება, ჩემი სისხლი რომ უდგას ძარღვში —
 აქაბის სისხლი! — და ეს სისხლი იყივლებს ბოლოს!
 მივდივარ, მაგრამ უკანასკნელ წყევლას ვუტოვებ —
 წყევლას კი არა, ანდერძს, ანდერძს — გათელოს რჯული,
 დაგიფრთხოს მრევლი, შეგიბლალოს საკურთხეველი
 და მან, დავითის ერთადერთმა შთამომავალმა,
 აქაბისა და გოთოლიას სანაცულო გიზღას!
 (გოთოლია გადის, ლევიტები გაჰყევიან.)

ი ო დ ა ე

წადით, ლევიტნო, აღასრულეთ მართლმსაჯულება,
 დაე, სიკვდილმა სამუდამოდ ხმა ჩაუწყვიტოს.
 აქვე არ მოკლათ, არ წაბილწოთ წმინდა ტაძარი,
 გაიყვანეთ და ტაძრის გარეთ მოაშთეთ სადმე.
 თუ ვინმემ ხელი გამოიღო მის დასაცავად,
 ვინც უნდა იყოს, სულ ერთია, ზედ წააკალით.

გამოსვლა მეოთხედი

იოასი, იოდაე, იოსაბეთი, აბენერი და წინა გამოსვლის
 ყველა მონაწილე

ი ო ა ს ი (ტახტიდან ჩამოდის.)

დაე, ეგ წყევლა ნურასოდეს ნუ მომეწყევა,
 უფალო ჩემო, სამაგისოდ არ გამიმეტო.

გემუდარები, სახიერო, მოისხი მადლი,
ვიდრე შენს ღალატს ვიფიქრებდე, მანამდე მომკალ.

ი ო დ ა ე (ლევიტებს)

დროა, ხელმწიფის სანახავად რომ ვიხმოთ ერი,
სჯულიერ მეფეს ერთგულება შევფიცოთ ყველამ.
ხალხნო, ქურუმნო, ხელმწიფეო, მაშ, დავდოთ აღთქმა,
რომ აღარასდროს განუდგებით სარწმუნოებას,
რომ ღმერთისა და იაკობის ოდინდელ კავშირს
კვლავ განვაახლებთ და სიმართლის გზით ვივლით მხოლოდ.
მოდო, აბენერ, აქ დადექი, ხელმწიფის გვერდით.

გამოსვლა მერვე

ლევიტი, იოასი, იოდაე და წინა გამოსვლის
ყველა მონაწილე

ი ო დ ა ე (ლევიტს)

უკვე დასაჯეს უკეთური?

ლ ე ვ ი ტ ი

დიახ, დასაჯეს.

გალაენის გარეთ ძირს აგდია ხმლით განგმირული.
წმინდა ქალაქი, ამდენ ჭირთა მომსწრე და მთმენი
განთავისუფლდა საბოლოოდ მისი უღლისგან
და შვებით სავსე დამზერს ახლა მტარვალის ცხედარს.

ი ო დ ა ე

ეგ საზარელი აღსასრული მრავლისმთქმელია.
იუდეველთა ხელმწიფეო, მარად გახსოვდეს,
მეფეთათვისაც არის ცაში მკაცრი მსაჯული,
ღმერთი, ჩაგრულთა მეოხი და ობოლთა მამა.

ქან-ბატისტ მოლიერი



სასაცილო პრესიოზები

კომედია ერთ მოქმედებად

წიგნისი ტყვეობა

უცნაურია, ღმერთმანი, შენი სურვილის მიუხედავად რომ გიბეჭდავენ ნაწარმოებს! ჩემი აზრით, ეს დიდი უსამართლობაა, და შემძლია ყველაფერი მოვითმინო, ასეთ რამეს კი ვერ ავიტან.

არ იფიქროთ, თითქოს მოკრძალებულ ავტორად მინდა მოგაჩვენოთ თავი და სინდისის ქენჯნა მაიძულებდეს ამრეზით შეეხედო საკუთარ კომედიას: ამით ხელალებით შეურაცხყოფდი მთელ პარიზს, ბრალს დაედებდი, რალაც სისულელეს ტაში დაუკრა-მეთქი! რაკი ამგვარი ნაწარმოებში უმაღლესი მსაჯული მყოურებელია, ჩემი მხრივ კანდიერება იქნებოდა პიესის განქიქება; და თუნდაც ცუდი აზრისა ვყოფილიყავი ჩემი „სასაცილო პრესიოზების“ შესახებ სანამ მას სცენაზე წარმოდგენდნენ, ახლა მაინც უნდა დავრწმუნდე, რომ იგი რალაცად ღირს, რაკი ამდენმა ხალხმა ერთხმად მოიწონა. მაგრამ თუკი მყოურებლის მიერ ამ პიესაში აღმოჩენილი ღირსებების დიდი ნაწილი მსახიობთა ინტონაციასა და მიმიკას უნდა უმაღლოდეს; ჩემთვის მთავარი იყო, ეს სამკაულები არ მოკლებოდა პიესას. მე ვთვლიდი, წარმატება, რაც ამ ნაწარმოებს ხედა წარმოდგენის დროს, საკმარისია და ამას უნდა დავერდე-მეთქი. ვიმეორებ, გადაწყვეტილი მქონდა ჩემი პიესა მხოლოდ სანთლების შუქზე მეჩვენებინა, რათა საბაბი არ მიმეცა ვისმესთვის გაეხსენებინა ცნობილი ანდაზა; არც ის მინდოდა, რომ ბურბონის თეატრიდან მას პალეს გალერეაში გადაეცვლა; და მაინც ვერ ავიცილნე ეს თავიდან; ჩემდა სამწუხაროდ, პიესის ასლი გამომცემელთა ხელში დაეინახე, თანაც ანაზღეულად მოპოვებული პრივილეგიებითი ამაოდ გავყვიროდი: „ოო, დრონო! ოო, ჩვეულებანო!“ აშკარად მაგკრძობინეს, რომ ან ნება უნდა დამერთო დაებეჭდათ ჩემი პიესა, ან სასამართლოში მეჩივლა, ხოლო მოგეხსენებათ — ორ ქირში ნაკლების ამორჩევა სჯობია! რალა დამრჩენია? ბედს უნდა შეეუბრებოდა და თანხმობა განვაცხადო ისეთ რამეზე, რასაც ჩემი თანხმობის გარეშეც გააკეთებდნენ!

ღმერთო დიდებულო, რა ძნელია წიგნის გამოშვება და რა გამოუცდელია ავტორი, როცა იგი პირველად იბეჭდება! ცოტაოდენი დრო მაინც რომ მოეცათ, უკეთ ვიზრუნებდი საკუთარ თავზე და ყოველგვარ სიფრთხილეს გამოვიჩენდი, რასაც ბატონი ავტორები, ამჟამად ჩემი კოლეგები, ასეთ შემთხვევაში იჩენენ ხოლმე. უპირველეს ყოვლისა, ჩემი ნაწარმოების მფარველად ავიყვანდი რომელიმე წარჩინებულ პირს და შეეცდებოდა, ფერადოვანი მიძღვნილ მომეგო მისი გული; ამას გარდა შეეადგენდი

ლაშა, ღრმააზროვან წინასიტყვაობას; მე იმდენი წიგნი მაქვს, ყველას მოვიშველებდი და ამოკრეფდი ყველაფერს, რაც კი საპირო იქნებოდა იმისთვის, რათა მეცნიერული სტილით დამეწერა ტრაგედიისა და კომედაიას შესახებ, მათი სახელწოდების ეტიმოლოგიის, მათი წარმოშობისა, არსის შესახებ და ასე შემდეგ. მე მოველაპარაკებოდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც უარს არ მეტყობდნენ და ჩემს პიესას ფრანგული ან ლათინური ლექსით შეასხამდნენ სოტბას; მე ისეთი მეგობრებიც მყავს, ბერძნული ლექსითაც კი შემაქებდნენ; ხოლო ყველასათვის ცნობილია, რა ძალა აქვს წიგნის თავში ბერძნულ ენაზე დაწერილ სოტბას მამრამ ჩემს ნაწარმოებს ისე აქვეყნებენ, საშუალებას არ მაძლევენ გონება მოვიკრიბო. ის კი არა, უფლება არა მაქვს ორი სიტყვა მაინც ვთქვა იმის შესახებ თუ რატომ ავირჩიე სწორედ ეს სიტყვები ჩემი კომედიისთვის. მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ ოგი წესიერი და ნებადართული სატირის ჩარჩოებს არ სცილდება; რომ დიდად სანაქებო საქციელსაც კი ელის საშიშროება უხეირო მიმბაძველებისგან, რომლებიც თავად იმსახურებენ დაცივნას; რომ თვით სრულყოფილი ამბის ეს მანკიერი მიბაძვა ყველა დროში იძლეოდა მასალას კომედიის დასაწერად, და რომ ამავე მიზეზით ქეშმარიტი მეცნიერი და ქეშმარიტი ვაყაყებები ერთხელაც არ განაწყენებულან კომედიის გამოყვანილი დოქტორისა თუ კაპიტნის ნახვისას, ისევე როგორც მოსამართლეებს, უფლისწულებსა და მეფეებს შეურაცხყოფილად. არ უგაძნიათ თავი, როცა ტრიველინი და სხვა მსახიობი სასაცილოდ წარმოადგენდნენ სცენაზე მოსამართლეს, უფლისწულს თუ მეფეს. ზუსტად ასევე, ნამდვილი პრესიოზები შეცდებიან თუ განაწყენდებიან, როცა მათი სასაცილო და უხეირო მიმბაძველების განქიქებას ნახვენ. მაგრამ როგორც ვთქვი, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევენ და ბატონი დე ლუინი დაუყოვნებლივ ამირებს ყდაში ჩემს ჩასმას დაე, იყოს ასე, რაკი ღმერთმა ასე ინება!

მოკმედი პირნი

ლა გ რ ა ნ ე ი } დაწუნებული თაყვანისმცემლები.
 დ ი უ კ რ უ ა ზ ი }
 გ ო რ ე ი ბ უ ს ი, ბურჟუა.
 მ ა დ ლ ო ნ ი, გორეიბუსის ქალიშვილი. } სასაცილო პრესიოზები.
 კ ა ტ ო, გორეიბუსის ძმისწული. }
 მ ა რ ო ტ ი, პრესიოზების მოახლე.
 ა ლ მ ა ნ ზ ო რ ი, პრესიოზების მსახური.
 მ ა რ კ ო ზ დ ე მ ა ს კ ა რ ი ლ ი, ლა გრანჯის მსახური.
 ვ ი კ ო ნ ტ დ ე ე ო ლ ლ ე, დიუ კრუაზის მსახური.
 ო რ ი მეტახტრევენე.
 ო რ ი მეზობელი ქალი.
 მევიოლინეები.
 მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ხ დ ე ბ ა პ ა რ ი ზ შ ი, გ ო რ ე ი ბ უ ს ი ს ს ა ხ ლ შ ი.

გამოსვლა პირველი

ლა გრანჟი, დიუ კრუაზი

დიუ კრუაზი
ბატონო ლა გრანჟ...

ლა გრანჟი
გისმენთ!

დიუ კრუაზი
ერთი შემომხედეთ, ოღონდ არ გაგეცინოთ!

ლა გრანჟი
რა მოხდა?

დიუ კრუაზი
ჩვენს სტუმრობაზე რას იტყვით? კმაყოფილი ხართ?

ლა გრანჟი
თქვენ როგორღა ფიქრობთ, ან მე, ან თქვენ შეიძლება კმაყოფილი ვიყოთ?

დიუ კრუაზი
გულწრფელად თუ ვიტყვით, რა თქმა უნდა, არა.

ლა გრანჟი
პირადად მე, გამოგიტყდებით, აღშფოთებული ვარ. წარმოგიდგენიათ? ორი პროვინციელი გომბიო რამდენს იმანკებოდა, რა მედიდურად ექცეოდა ჩვენისთანა წესიერ ხალხს! ძღვეს იკადრეს და სკამები შემოგვთავაზეს! გაუთავებლად ეჩურჩულე-

ბოდნენ ერთმანეთს, ამოქნარებდნენ, თვალებს იფშენებდნენ, წამდაუწუმ კითხულობდნენ, რომელი საათიაო. ჩვენს ყოველ შეკითხვაზე ხომ „ჰო“ და „არას“ მეტი სიტყვა არ გამოიმეტეს! ალბათ დამეთანხმებით, სულ უკანასკნელი ვიგინდარა რომ ვყოფილიყავით, ამაზე ცუდად არავინ მოგვეპყრობოდა!

დი უ კ რ უ ა ზ ი

კარგით ერთი ნუთუ გულთან ასე ახლოს მიიტანეთ მათი საქციელი?

ლ ა გ რ ა ნ ე ი

რასაკვირველია. სხვაგვარად არც შემეძლო. ის კი არა, მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ ორთავეს სამაგიეროს არ მივუზღავ ამ თავხედობისთვის. მე კარგად მესმის, ასე რატომ აგვითვალწუნეს. პრესიოზულობამ მარტო პარიზი კი არ მოწამლა, პროვინციებსაც მოედო და ეტყობა, ეს ქარაფშუტებიც წამოეგნენ ანკესზე. ერთი სიტყვით, ამ ქალბატონების მანჭიობასა და კეკლუტობას ზღვარი არა აქვს. ახლა კი ვხვდები, რითი მივალწევდით მათ კეთილგანწყობილებას! არა უშავს, მალე მიხვდებიან რა ბრიყვებიც ბრძანდებიან და ხალხის გარჩევასაც ისწავლიან!

დი უ კ რ უ ა ზ ი

მაინც რას აპირებთ?

ლ ა გ რ ა ნ ე ი

ერთი მსახური მყავს, მასკარილი: გონებამახვილი კაცის სახელი აქვს გავარდნილი. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენს დროში მახვილსიტყვაობით სახელის მოხვეჭაზე ადვილი არაფერია. ჰოდა, ამ ყურუშმსალს თავისი თავი წარჩინებულ კაცად წარმოუდგენია, დარწმუნებულია, რომ დახვეწილი მანერები აქვს, ლექსებს ჭღაბნის და სხვა მსახურებს ისეთი ამრეზით ექცევა, ბრიყვებსაც კი ეძახის.

დი უ კ რ უ ა ზ ი

მერე, მერე? რა განიზრახეთ?

ლა გრანჯი

რა განვიზრახე? მინდა... თუმცა არა, ჭერ აქედან წავიდეთ!

გამოსვლა მეორე

გორეიბუსი, დიუ კრუაზი, ლა გრანჯი

გორეიბუსი

აბა, როგორაა საქმე? ჩემი ქალიშვილი და ძმისწული თუ ნახეთ? როგორ ჩაიარა თქვენმა სტუმრობამ?

ლა გრანჯი

სჯობს მათ დაეკითხოთ. ჩვენზე უკეთ ისინი მოგახსენებენ. ჩვენ ვი ისლა დაგვრჩენია, მადლობა გადაგიხადოთ იმ პატივისთვის, თქვენ რომ დაგვდეთ და გთხოვოთ, თქვენს ერთგულ მსახურებად გვიგულლოთ!

დიუ კრუაზი

გვიგულეთ თქვენს ერთგულ მსახურებად!

გორეიბუსი (თავისთვის)

ეჭვი ეტყობა უკმაყოფილონი მიდიან. ნეტა რა უნდა იყოს მიზეზი? ერთი გავიგოთ რა მოხდა! ჰეი!

გამოსვლა მესამე

გორეიბუსი, მაროტი

მაროტი

რა გნებავთ, ბატონო?

გორეიბუსი

ქალბატონები სად არიან?

მაროტი

თავიანთ ოთახში.

გორჯიბუსი
რას აკეთებენ?

მართო
პომადას.

გორჯიბუსი
ეყოფათ ამდენი ჩაპომადება! უთხარით, აქ მობრძანდნენ.
(თავისთვის)

ამ მეტიჩრებს თავიანთი პომადით, ჩანს. ჩემი გაკოტრება გა-
ნუზრახავთ. სადაც გავიხედავ, კვერცხის ცილა, ნუშის რძე და
რა ვიცი რა ჭანდაბა აღარა ყრია. რაც აქა ვართ, თორმეტ
ღორს მაინც ააცალეს ქონი, ხოლო იმდენი ცხვრის ფეხი მო-
ხარშეს, ოთხ მსახურს თავისუფლად ეყოფოდა საჭმელად.

გამოსვლა მეოთხე

მადლონი, კატო, გორჯიბუსი

გორჯიბუსი
ყური მიგდეთ, ღირს კი თქვენი ცხვირ-პირის გასაგლესად ამ-
დენი ხარჯის გაღება? ერთი მითხარით, რა უყავით იმ ბატო-
ნებს, ასე ცივად რომ გავიდნენ ჩვენი სახლიდან? აკი გიბრძა-
ნეთ, თავაზიანად მოექვეცით, განზრახული მაქვს მათ მიგათხო-
ვით-მეთქი?

მადლონი
განა იქნებოდა, მამაჩემო, თავაზიანად მიგველო ისეთი მამა-
კაცები, წესიერად მოქცევა რომ არ იცინან?!

კატო
ოჰ, ბიძაჩემო, ნუთუ რომელიმე გონიერი ქალიშვილი შეეგუე-
ბოდა მათ უღაზათო მიხრა-მოხრას?

გორჯიბუსი
მაინც რა არ მოგეწონათ?

მ ა დ ლ ო ნ ი

განა მათი საქციელი მოსაწონი იყო? მაშინვე ქორწინებაზე ჩამოაგდეს სიტყვა.

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი

მაშ, რა გნებავდათ? მრუშობა უნდა დაეწყოთ? განა ამით არ დაამტკიცეს რომ თქვენცა და მეც პატივისცემით გვეპყრობიან? ამაზე წესიერ საქციელს როგორღა ითხოვთ? რაკი მაშინვე წმიდათაწმიდა კავშირი შემოგთავაზეს, ჩანს, პატიოსანი განზრახვა ჰქონიათ.

მ ბ დ ლ ო ნ ი

ოჰ, მამაჩემო, რასაც თქვენ ამბობთ, წმინდა წყლის მეშჩანობაა და მეტი არაფერი. თქვენს მაგივრად მე მრცხვენია, დროა ისწავლოთ ამბების ლამაზად გადმომღერება!

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი

თქვენი გადმომღერებისა და გადმოგალობებისა მე არაფერი გამეგება. გეუბნები, ქორწინება წმინდა და დაკანონებული საქმეა და თუკი მაშინვე ხელსა გთხოვენ, ეტყობა, წესიერი კაცები ყოფილან.

მ ა დ ლ ო ნ ი

ღმერთო ჩემო, ყველა რომ თქვენ გგავდეთ, რომანი ხომ ერთბაშად დამთავრდებოდა! წარმომიდგენია, რა იქნებოდა, სირიუსს მაშინვე რომ შეერთო მანდანი, ხოლო არონსს კლეღიაზე მეყსეულად დაეწერა ჯვარი!

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი

რაებს ჩმახავს ეს გოგო?!

მ ა დ ლ ო ნ ი

მამაჩემო, ჩემი ბიძაშვილი კვერს დამიკრავს თუ ვიტყვი, რომ ქორწინება სხვადასხვა სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ უნდა მოხდეს. თუ მიჯნურს სურს თავი მოგაწონოს, ჯერ ამაღლებული გრძნობების გამოხატვა უნდა შეძლოს, თაფლივით

დადნეს, ნაზად მოგექცეს, უნდა იყოს თვინიერი, ვნებიანი, უნდა დაიცვას დადგენილი წესები: ქალი, რომელიც მას შეუყვარდება, პირველად ტაძარში ან სასეირნო ადგილას უნდა ნახოს, ან სულაც რომელიმე ნათესავმა ან მეგობარმა უნდა მიიყვანოს მასთან შემთხვევით და მისი სახლიდან მეოცნებე და კაეშნიანი უნდა წავიდეს. ერთხანს იგი უმაღლავს თავის სიყვარულს სატრფოს, მიუხედავად ამისა, მასთან სიარულს მოუხშირებს და როგორც კი დროს იხელთებს, სასიყვარულო (თემაზე გაუბამს მასლაათს, რაც გონებამახვილობის კარგი სავარჯიშოა. დგება სიყვარულის ახსნის დღე: ჩვეულებრივ ეს ხდება ბალის განმარტოებულ ხეივანში, საზოგადოებისგან მოშორებით. ამ აღიარებამ აღშფოთება უნდა გამოიწვიოს ქალში და სახეზე ცეცხლი წაეკიდოს; მიჯნური ცოტა ხნით ქალის თვალს მიეფარება, მერე მაინც ახერხებს მის დამშვიდებას, ნელ-ნელა შეაჩვევს ვნებიან სიტყვებს და ბოლოს, როგორც იქნება, დასტყუებს ესოდენ მძიმე აღსარებას. აი, სწორედ აქედან იწყება სასიყვარულო თავგადასავლები: მეტოქეების შეხლა-შემოხლა, მამების დევნა, ამო ეჭვიანობა, საყვედურები, სასოწარკვეთა, ბოლოს მოტაცება და ყოველივე ის, რაც მას მოჰყვება. აი, ასე უნდა მოიქცეს ზრდილი მამაკაცი, ასეთია არშიყობის წესები, რისი დაცვაც სავალდებულოა ყოველი გალანტური მიჯნურისთვის. ჰოდა, პირველ შეხვედრისთანავე ქორწინებაზე სიტყვის ჩამოგდება, ე. ი. რომანის ბოლოდან დაწყება, რა საკადრისია? ერთსაც დავუმატებ, მამაჩემო, ამგვარი საქციელი საზიზღრად ვაჭრუკანულია; ამის გაფიქრებაზე ლამის გული შემიღონდეს.

გო რ ე ბ უ ს ი

ეს რა ჯოჯოხეთური სიტყვები მესმის?! მართლაც რომ მაღალფარდოვანი სტილია!

კ ა ტ ო

ჩემი ბიძაშვილი სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. შეგვეძლო განა, კარგად მიგველო ხალხი, გალანტობისა არაფერი რომ არ გაეგება? გინდათ დაგენაძლევებით, იმ უგუნურებს თვალთ არ უნახავთ ქალაქ სინაზის რუკა და რომ სოფლები: ს ა -

სიყვარულო ბარათები, თავაზიანი წერილები, ყურადღება და ღამაზი ლექსები უცნობი მიწები ამათთვის! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ჩაცმულობითაც კი ამელავნებენ თავიანთ უვიცობას და რომ არც ერთმა თვანს სანდომიანს იერი არა აქვს? როგორ შეიძლება მამაკაცი პაემანზე მივიდეს მოურთავი წვივებით, უბუმბულო ქუდით, უპარიკოდ და სამოსით, ერთი-ორი ბაფთა რომ აბია?, ღმერთო ჩემო, ერთი ამ მიჯნურებს დამიხედეთ! ეს რა ღარიბული ჩაცმულობა ნახეს ჩემმა თვალებმა! რა მშრალი საუბარი მოისმინეს ჩემმა ყურებმა! არა, ამის მოთმენა, ამის ატანა როგორ იქნება! მე ისიც შევამჩნიე, რომ მათი ჯორჯალი უხეირო მკერავის ნახელავი გახლდათ, ხოლო შარვალი ნახევარი არმინით მაინც იყო იმაზე ვიწრო, ვიდრე ამას მოდა მოითხოვს.

გორჯიბუსა

ნამდვილად გაგიჟდა ორივე. მათი ნააბდაუბდევისა არაფერი მესმის. ყური მიგდეთ კატო, მადლონ...

მადლონი

ოჰ, თუ შეიძლება, მამაჩემო, დაივიწყეთ ეს უცნაური სახელები და სხვანაირად დაგვიძახეთ!

გორჯიბუსი

უცნაური სახელებიო?! ეს ხომ თქვენი ნათლობის სახელებია?

მადლონი

ღმერთო! რა უხეში ხართ! პირადად მე მიჭირს დაჯერება, რომ თქვენისთანა კაცს ასეთი განათლებული ქალიშვილი ჰყავდეს! განა დახვეწილი სტილით საუბრისას შეიძლება ახსენოთ კატო და მადლონი?! უნდა დამეთანხმოთ, რომ ერთი ასეთი სახელიც კი კმარა იმისთვის, თვით უფაქიზესი რომანი უხამსი გახდეს.

კატო

მართლაც, ბიძაჩემო, ნაზი ყური საშინლად იტანჯება ამ სახელების მკვეთრი ბგერებისაგან. სამაგიეროდ, ჩემი ბიძაშვილის

მიერ არჩეული სახელი პოლიქსენე და ჩემი ახალი სახელი ამენტი კეთილზმონებით გამოირჩევა, რასაც ალბათ ვერც თქვენ უარყოფთ!

გორჯიბუსი

ყური მიგდეთ! უკანასკნელად გაფრთხილებთ: ნათლების მიერ შერქმეული სახელების გარდა არავითარი სხვა სახელი არ გავიგონო! რაც შეეხება თქვენს სანახავედ მოსულ ახალგაზრდებს, მე ვიცნობ მათ ოჯახებს და ვიცი როგორი შეძლებულებიც არიან. გიბრძანებთ, საქმროებად იგულოთ. მე უკვე მომზებრდა თქვენზე ზრუნვა: ორი მოწიფული ქალის მწყემსვა მეტისმეტად მძიმე ტვირთია ჩემი ხნის კაცისთვის.

კატო

მე, ჩემდათავად, ბიძაჩემო, შემეძლია მოგახსენოთ, რომ ქორწინება შეურაცხყოფელ ამბად მიმაჩნია. ვერასგზით ვერ შევეჩვევი ფიქრსაც კი, რომ თითქმის ტიტველ მამაკაცს გვერდით მივუწვი!

მადლონი

ცოტა მაინც დაგვაცადეთ, გვინდა ერთხანს ვისუნთქოთ პარიზის მაღალი საზოგადოების ჰაერით. ჩვენ ხომ დიდი ხანი არ არის, რაც აქა ვართ? მოგვეციოთ საშუალება ჩვენს ნებაზე მოვქსოვოთ რომანის ქარგა და კვანძის გახსნას ნუ გვაჩქარებთ!

გორჯიბუსი (განზე)

არა, ნამდვილად შეიშალენენ! (ხმამალლა) გიმეორებთ, გეყოფათ ამდენი აბდაუბდა ლაპარაკი თქვენი ყბედობისა მე არაფერი გამეგება. ჭერჭერობით ამ სახლის უფროსი მე ვარ; ჰოდა, ამ კამათს რომ ბოლო მოვუვლო, გეუბნებით, უახლოეს ხანში ან გათხოვდებით, ანდა, ეშმაკსაც წავუღივარ, თუ მონასტერში არ გამოგამწყვდიოთ. ეს მე დამიფიცია!

გამოსვლა მესუთი

კატო, მადლონი

კატო

ღმერთო დიდებულო! მამაშენს, ჩემო ძვირფასო, სული მატერიაში აქვს ჩაძირული! რა გონებაჩლუნგია მის სულში ნამდვილი წყვილი სუფევს.

მადლონი

რა ვქნა, საყვარელო? მუდამ ასე მარცხვენს. მიჭირს დავიჭერო, რომ მისი შვილი ვარ. ასე მგონია, ერთ მშვენიერ დღეს ბედნიერი შემთხვევა ჩემი ბრწყინვალე წარმოშობის საიდუმლოებას გამოააშკარაებს-მეთქი!

კატო

ღარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. აი, მეც, როცა ჩემს თავს ვაკვირდები...

გამოსვლა მემამსე

მაროტი, კატო, მადლონი

მაროტი

ვიღაც მსახური მოვიდა და კითხულობს, შინ თუ ბრძანდებიანო. ამბობს, ჩემს ბატონს სურს მათი ნახვაო.

მადლონი

ისწავლე, ბრიყვო, წესიერი ლაპარაკი. ასე უნდა თქვა: მაცნე მოვიდა და კითხულობს, ჩემი ბატონი თქვენი ქალბატონების ხილვის ნებართვას თხოულობსო.

მაროტი

კარგით ერთი! თქვენი ლათინურისა არაფერი გამეგება. ესეც არ იყოს, თქვენსავით... აი, რა ჰქვია იმას... ჰო, „დიდ სირიუსში“ ფილოფობია არ მისწავლია.

მ ა დ ლ ო ნ ი

თავხედის არა, ამ ბრიყვის ატანა შეუძლებელია მაინც ვინ არის
იმ მსახურის ბატონი?

მ ა რ ო ტ ი

მითხრა, მარკიზი დე მასკარილიაო.

მ ა დ ლ ო ნ ი

ო, საყვარელო, მარკიზი მარკიზი წადი, უთხარი, შეუძლია
მობრძანდეს-თქო უეჭველად რომელიმე მახვილგონიერი იქ-
ნება ალბათ ყური მოჰკრა ჩვენზე ლაპარაკს და...

კ ა ტ ო

რასაკვირველია, ძვირფასო.

მ ა დ ლ ო ნ ი

სჯობს ამ დარბაზში მივიღოთ, ვიდრე ჩვენს ოთახში. წამო, თმა
მაინც შევისწოროთ და რაც მთავარია, ღირსება არ შევიზღა-
ლოთ. სწრაფად მოგვიტანე მოხდენილობის მრჩეველი.

მ ა რ ო ტ ი

ღმერთმა შემაჩვენოს, თუ ვიცოდე ეს რაღა ჯანდაბაა თუ გინ-
დათ მივხვდე, ქრისტიანულად მელაპარაკეთ.

კ ა ტ ო

სარკე მოგვიტანე, შე უგუნურო და ერიდე შენი სახის გამო-
სახულებით მინა არ გააჭუჭყიანო
(გადიან)

გამოსვლა მუხვიდე

მასკარილი, ორი მეტახტრევენი

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ეჭვი, მეტახტრევენო ვაი ვაი ეს ოხრები იმდენს მახეთქებენ
კედლებსა და ქვაფენილზე, ეტყობათ, ნეკნებს ჩამამტვრევენს

I მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

რა ვქნათ, კარია ვიწრო. აკი გვიბრძანეთ, შიგ სახლში შემიყვანეთო!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

აბა რა! უღმობელ წვიმას ხომ არ შეეწირავდი ჩემს ფუშფუშა ბუმბულს? ანდა ტალახზე ხომ არ დავტოვებდი ფეხსაცმლის ნაკვალევს? წადით, არამზადებო, მომამორეთ აქედან თქვენი ტახტრევანი!

II მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

ჯერ ფული გადაგვიხადეთ, ბატონო!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რაო?

II მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

გუეზნებით, ბატონო, ტარების ქირა გადაგვიხადეთ-მეთქი!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი (სილას გააწნავს.)

აი, შე გაიძვერა, შენა ჩემისთანა ღირსეულ კაცს ფულის თხოვნას როგორ უბედავ?

II მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

განა ასე უხდით გასამრჯელოს საწყალ ხალხს? როგორ გგონიათ, თქვენი ღირსება ამოგვივსებს კუჭს?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

აბა, აბა! მე თქვენ გასწავლით ჭკუას! კიდევ რომ ბედავენ და მეხუმრებიან!

III მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე (ტახტრევნის ჯოხს სტაცებს ხელს.)

აბა, სწრაფად გადაიხადეთ ფული!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რაო?

I მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

რა და, ახლავე მოგვეცით ფული.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

აი, ეს უკვე გონივრული ლაპარაკია!

I მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

სწრაფად-მეთქი!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

კეთილი კეთილი აი შენ უკეთ უბნობ! სამაგიეროდ, ის გაიძვერა ზედმეტს როტავს... აჰა, დაიჭი, ხომ კმარა?

I მ ე ტ ა ხ ტ რ ე ვ ნ ე

არა, არ კმარა. თქვენ სილა გაარტყით ჩემს ამხანაგს და...
(ჯოხს ასწევს.)

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ნელა! ნელა! აჰა, სილის გარტყმისთვისაც აიღე. ტკბილი სიტყვით ყველაფერს მიაღწევთ ჩემთან. ახლა წადით და მალე დაბრუნდით, სადამოს ლუერში უნდა მიმიყვანოთ.

გამოსვლა მერვე

მასკარილი, მაროტი

მ ა რ ო ტ ი

ჩემი ქალბატონები ახლავე მობრძანდებიან, ბატონო!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ნუ იჩქარებენ. მშვენივრად მოვეწყვე აქ და ლოდინი არ მეზარება.

მ ა რ ო ტ ი

აგერ ისინიც!

გამოსვლა მეცხრე

მაღლონი, კატო, მასკარილი, ალმანჯორი

მასკარილი (მიესალმება.)

ქალბატონებო, ალბათ გაგიკვირდებათ ასეთი სითამამე რომ გამოვიჩინე და გეახელით. მაგრამ ამ კადნიერებას შორს გავარდნილ თქვენს სახელს უნდა უმადლოდეთ. მაღალ ღირსებას ისეთი მიმზიდველი ძალა აქვს ჩემთვის, ფარვანასავით მუდამ უკან დავდე.

მაღლონი

თუკი ღირსებას დაეძებთ, ჩვენს სამფლობელოში ვერ იპოვით!

კატო

და თუ იპოვით, ეტყობა თქვენ მოგიტანიათ!

მასკარილი

ოჰ, ნება მომეცით, არ დაგეთანხმეთ. თქვენზე დარჩეულ ხმას ჭეშმარიტებისათვის არ უღალატნია, სამართლიანად აღუნიშნავს თქვენი ღირსება. ამიერიდან ყველაფერი, რაც კი პარიზში გალანტურად მიაჩნდათ, თქვენ დაჩრდილეთ!

მაღლონი

საშინლად კეთილი ბრძანებულხართ და გულუხვად გვაესებთ ქათინაურებით, სწორედ ამიტომაც არ ძალგვიძს არც მე და არც ჩემს ბიძაშვილს მივითვალთ ამ ხობტა-დიდების სიტყბოება.

კატო

ძვირფასო, სავარძლები ხომ არ შეგვეთავაზებინა?

მაღლონი

ეი, ალმანჯორი

ალმანჯორი

გისმენთ, ქალბატონო!

მ ა დ ლ ო ნ ი

სწრაფად მოაგორეთ საუბრის მოწყობილობა!
(აღმანზორი გადის და სავარძლები მოაქვს.)

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ეს მაინც მითხარით, შემიძლია თუ არა მშვიდად ვიყო?

კ ა ტ ო

რისი გეშინიათ?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

მეშინია გული არ მომტაცონ, დამოუკიდებლობა არ წამართვან მე აქ ორ წყვილ თვალს ვხედავ. ამ პირწავარდნილ ყაჩაღებს შეუძლიათ თავისუფლების ხელყოფა, შეუძლიათ უღმობლად მოექცნენ მამაკაცის გულს და დასაწყობად ეშმაკმა საკმარისია მიუახლოვდე, მაშინვე მუქარით აღიმართებიან შენს წინაშე! ოო, ღმერთმანი, ძალიან მეშინია მათი ან ახლაც უნდა მოვკურცხო აქედან, ან თავდებობა უნდა მოვითხოვო, რომ არაფერს მავნებენ.

მ ა დ ლ ო ნ ი

საყვარელო, რა მხიარული ბუნება ჰქონია!

კ ა ტ ო

ნამდვილი ა მ ი ლ კ ა რ ი ა!

მ ა დ ლ ო ნ ი

ნურათფრის გეშინიათ: ჩვენს თვალებს ცუდი განზრახვა სულაც არა აქვთ. თქვენს გულს შეუძლია მათ პატიოსნებას ენდოს და მშვიდად იყოს!

კ ა ტ ო

ღვთის გულისათვის, ბატონო, უღმობლობას ნუ იჩენთ ამ სავარძლების მიმართ; უკვე საათის მეოთხედია თქვენკენ იწვდიან მკლავებს: დაუკმაყოფილეთ სურვილი, რომ გულში ჩაგიკრან!

მასკარილი (თმას ივარცხნის, სამუხლეს ისწორებს).
აბა, ქალბატონებო, პარიზზე რას იტყვიან?

მადლონი

ეჰ, რა უნდა ვთქვათ? გონიერების ანტიპოდი უნდა იყო, თუ არ აღიარებ, რომ პარიზი ათასი საოცრების წყაროა, კარგი გემოვნების, გონებამახვილობისა და სიფაქიზის ცენტრია!

მასკარილი

ჩემი აზრით, პარიზს გარეთ საშველი არ ექნებოდა პატიოსან კაცს.

კატო

უღაო ქეშმარიტებაა.

მასკარილი

ცოტა არ იყოს, ქუჩები კი არის ტალახიანი, მაგრამ ტახტრევანი გვშველის.

მადლონი

მართალია. ტახტრევანი დიდებული თავშესაფარია ტალახისა და უამინდობის ხელყოფის დროს.

მასკარილი

აღბათ, მნახველებს ვერ აუდიხართ, არა? რომელი მახვილგონიერია თქვენი ხშირი სტუმარი?

მადლონი

ვაი რომ, ჯერჯერობით არავენ გვიცნობს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, წარმატება წინა გვაქვს. ერთი მეგობარი ქალი შეგვპირდა რჩეულ ნაწარმოებთა კრებულის ავტორებს გაგაცნობათო.

კატო

სხვების მოყვანასაც დაგვიბრდნენ, უმაღლეს მსაჯულებს რომ წარმოადგენენ დახვეწილობის დარგში.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ამ საქმეში სხვაზე უფრო მე გამოგადგებით. მაგ მსაჯულთა უმრავლესობა ჩემი ხშირი სტუმარია; უნდა გამოგიტყდეთ, დილით ჯერ ამდგარიც არა ვარ, ექვსიოდე მახვილგონიერი უკვე ჩემთანაა.

მ ა დ ლ ო ნ ი

ოო: ბატონო, ჩვენს მადლიერებას საზღვარი არ ექნება, თუკი ასეთ თავაზიანობას გამოიჩინებ; მაღალ საზოგადოებაში მოსახვედრად აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ ამ ხალხს. სწორედ ისინი უქმნიან სახელს ყველას; კარგად მოგეხსენებათ, ზოგჯერ საკმარისია ერთ-ერთი ამ მსაჯულის ნაცნობობა, რათა მაშინვე ყოვლისმცოდნის სახელი გაუვარდეს ქალს, თუნდაც ამისთვის არავითარი ღირსება არ გააჩნდეს. პირადად მე დიდად ვაფასებ მახვილგონიერებთან ნაცნობობას, რადგან ბევრ ისეთ რამეს სწავლობ მათგან, რაც გონებამახვილობის არსს წარმოადგენს. ისინი ყოველდღიურად გაცნობებენ მაღალი საზოგადოების ამბებს, გაზიარებენ პროზასა და პოეზიას. ზუსტად იცი: მავანმა და მავანმა მსოფლიოში საუკეთესო პიესა დაწერა ამა თუ იმ სიუჟეტზე; მავანმა სიტყვები შეთხზა ამა და ამ მელოდიაზე; მავანს მადრიგალი შეუქმნია სიყვარულზე; მავანს სტანსი შეუთხზავს ვილაცის ლალატზე; ამ კაცმა გუშინ სალამოს ექვსსტროფიანი ლექსი მიუძღვნა ქალიშვილს, რომელმაც არ დააყოვნა და დილის რვა საათზე პასუხიც გაუგზავნა; ერთმა მწერალმა ახალი ნაწარმოების ქარგა მოხაზა, მეორე — რომანის მესამე ნაწილის დამთავრებას შეუდგა, მესამე კი უკვე აბეჭდვინებს თავის ნაწარმოებს. ასეთი ამბების ცოდნა სახელს გიხვეჭს საზოგადოებაში. ჩემი აზრით, ადამიანის გონება ჩალადაც არა ღირს, თუკი ამდაგვარი რამეებისა არაფერი გაეგება.

კ ა ტ ო

მართლაცდა, თუკი ადამიანს ჭკვიან კაცად მოაქვს თავი, მაგრამ პარიზში ყოველდღიურად შეთხზული ოთხტაეპიანი ლექსები ზეპირად არ იცის, მე მიმაჩნია, რომ იგი ყბად აღების ღირსეფ! ჩემთვის რომ ეკითხათ, თუ გინახავთო ისეთი რამ, რაც ნახული არ შექნებოდა, ალბათ სირცხვილით დავიწვებოდი!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

მართალი ბრძანდებით! სამარცხვინოა არ ეკუთვნოდე იმათ რიცხვს, ვინც პირველი იგებს ყველაფერს. მაგრამ ნუ წუხხართ: მე თქვენს სახლში დავაარსებ მახვილგონიერთა აკადემიას და გპირდებით, რომ ერთი უბრალო ლექსი ისე არ დაიწერება პარიზში, სხვაზე აღრე თქვენ რომ არ გეცოდინოთ ზეპირად. სხვათა შორის, მეც ამ დარგში ვმოღვაწეობ. სულ მალე მოისმენთ რა დიდი წარმატებით ასრულებენ პარიზის საუკეთესო ალკოვებთან ჩემს მიერ შეთხზულ ორასიოდე სიმღერას, ამდენსავე სონეტს, ოთხას ეპიგრამას და ათასზე მეტ მადრიგალს! მე არას ვამბობ გამოცანებსა და პოეტურ პორტრეტებზე!

მ ა დ ლ ო ნ ი

გამოვიტყდებით, გაგიუებით მიყვარს პოეტური პორტრეტები. რა უნდა იყოს ამაზე გალანტური?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

პორტრეტების წერა ყველაზე ძნელია, იგი ღრმა გონებას მოითხოვს; დარწმუნებული ვარ, როცა ჩემი წერის მანერას გაეცნობით, მოგეწონებათ.

კ ა ტ ო

მე კი გამოცანები მიყვარს საშინლად!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

გამოცანა გონებას ავარჯიშებს. ჯერ კიდევ ამ დილით ოთხი გამოცანა შევადგინე და მინდა თქვენ მოგართვათ გამოსაცნობად.

მ ა დ ლ ო ნ ი

მოხდენილად დაწერილი მადრიგალიც არაა ურიგო!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

მთელი ჩემი ნიჭი სწორედ მადრიგალებში ვლინდება: ამჟამად ბევრს ვმუშაობ, რომის მთელი ისტორია მადრიგალებით მინდა გადმოვცე.

მ ა დ ლ ო ნ ი

ოპ, რა შესანიშნავი იქნება! თუ თქვენი ნაწარმოები დაიბეჭდება, ერთი ცალი ჩემთვისაც დატოვეთ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

გპირდებით: თითოეული თქვენგანი კარგ ყდაში ჩასმულ თითო წიგნს მიიღებს. წიგნის დაბეჭდვა აბა რა საკადრისია ჩემი მდგომარეობის კაცისთვის, მაგრამ ამას მხოლოდ და მხოლოდ წიგნის გამომცემლებისათვის ვაკეთებ. პირდაპირ გასაქანს არ მაძლევენ, მეც ხათრს ვერ ვუტებ, დაე, ხელი მოითბონ!

მ ა დ ლ ო ნ ი

წარმომიდგენია, რა სასიამოვნო გრძნობაა, როცა საკუთარ ნაწარმოებს დაბეჭდილს ხედავი!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რა თქმა უნდა! სხვათა შორის, მინდა ერთი ექსპრომტი წაგიკითხოთ, გუშინ ჩემს მეგობართან, ჰერცოგის მეუღლესთან შევთხზი. უნდა მოგახსენოთ, ექსპრომტების წერაში ქაჩივით ძლიერი გახლავართ!

კ ა ტ ო

სწორედ ექსპრომტია გონების სასინჯი ქვა!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

მაშ, ყური მიგდეთ!

მ ა დ ლ ო ნ ი

სმენად ვართ ქცეულნი!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ვაი, ვაი, ე როგორი მომივიდა იაღლიში:
უშიშრად და უდრტვინველად შეგციცინებდით თვალებში
მაგრამ, ვაგლახ, მაგ თვალებმა წარიტაცეს ჩემი გული!
ოპ, ოპ! ქურდები! ქურდები! ქურდები! ქურდები!

კატო

ღმერთო ჩემო, დახვეწილობის მწვერვალია სწორედ!

მასკარილი

ყველა ჩემი ნაწარმოები ბუნებრივობით გამოირჩევა, არსად არ იგრძნობა პედანტურობა.

მადლონი

პედანტობისგან ორი ათასი ლიეთია დაშორებული!

მასკარილი

შეამჩნიეთ, როგორ იწყება პირველი სტრიქონი? „ვაი, ვაი“ ორიგინალურია, არა? „ვაი, ვაი“ ადამიანი თითქოს ერთბაშად მოვიდაო გონს... „ოჰი ოჰი!“ გაოცების შეძახილია: „ოჰი ოჰი!“

მადლონი

ღიახ, ეს „ოჰი ოჰი!“ მართლაც დიდებულია!

მასკარილი

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო რამაა.

კატო

ღმერთო! რას ამბობთ? ასეთი რამ ფასდაუდებელია!

მადლონი

რა თქმა უნდა! მირჩევნია ამ ერთი „ოჰი ოჰი“-ის ავტორი ეიყო, ვიდრე მთელი ეპიკური პოემისა.

მასკარილი

ღმერთო ჩემო! რა კარგი გემოვნება გქონიათ!

მადლონი

ეჰ, გემოვნება არცთუ ურიგო გვაქვს...

მასკარილი

ამ გამოთქმაზე რაღას იტყვით? „მომივიდა იაღლიშვი“ იაღლი-

ში მომივიდა, ესე იგი, ყურადღება არ მივაქციე... ბუნებრივი, სასაუბრო ენაა: „იალიში მომივიდა“. „უდრტვინველად“ ესე იგი, ნდობით, უეშმაკოდ, უცოდველ ბატკანივით... „შეგციცინებდით თვალეში“ ე. ი. თვალს არ გაშორებდით, თვალმიშტერებით გიკვირდებოდით, გაცქერდებოდით. სიტყვა „წარიტაცეს“ ხომ კარგადაა შერჩეული?

კ ა ტ ო
გადასარეცია!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი
„წარიტაცეს“, ე. ი. მიმტაცეს; თითქმის კატა ჩუმ-ჩუმად ებარება თავსო.

მ ა დ ლ ო ნ ი
შეუძლებელია უკეთ ითქვას!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი
„ქურდები ქურდები ქურდები“ — თვალწინ ხომ დაგიდგათ კაცი, ქურდს რომ მისდევს და ყვირის: „ქურდები ქურდები ქურდები!“

მ ა დ ლ ო ნ ი
უდაოდ გონებამახვილური და დახვეწილი გამოთქმაა!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი
მელოდიაც შევთხზი და მინდა ახლავე გიმღეროთ.

კ ა ტ ო
როგორ? მუსიკაც გისწავლიათ?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი
მე? სულაც არა.

კ ა ტ ო
მაშ, როგორ?

მასკარილი

ჩვენი წრის ხალხმა ყველაფერი იცის, თუნდაც არაფერი ესა-
წავლოს.

მადლონი (კატოს)

რა თქმა უნდა ასეა, საყვარელო!

მასკარილი

აბა, მელოდია როგორ მოგეწონებათ? ჰმ... ჰმ... ლა, ლა, ლა...
ამინდის სიუხეშემ საშინლად ხელყო ჩემი ხმის სიფაქიზე, მაგ-
რამ არა უშავს, ჭეელობა გავიხსენოთ!

(მღერის.)

„ვაი, ვაი, ე როგორი მომივიდა იაღლიში“...

კატო

ღმერთო, რა ვნებით სავსე მელოდიაა! შეიძლება ადამიანს
გული გაუსკდეს.

მადლონი

რამდენი ქრომატულობაა შიგ ჩაქსოვილი!

მასკარილი

განა სიმღერა დიდებულად არ გადმოსცემს აზრს? „ოჰ, ქურ-
დები! ქურდები!“ იტყვი, სასოწარკვეთილი ბლავილიაო. მერე
თითქოს ერთბაშად სული შეეკრა ადამიანს: „ქურდები! ქურ-
დები! ქურდები!“

მადლონი

აი, ამას ჰქვია სიფაქიზის შეგრძნება, უფაქიზესი, ფაქიზზე
უფაქიზესი ნიუანსის შეგრძნება! გარწმუნებთ, საოცრად დი-
დებულაია პირდაპირ აღმაფრთოვანა სიტყვებმაცა და მელო-
დიამაც.

კატო

ასეთი ძლიერი ნაწარმოები ჯერ არ მომისმენია!

მასკარილი

რასაც ვქმნი, სწავლას კი არ ვუმაღლი, არა, ყოველივე ბუნებრივი ნიჭის ნაყოფია.

მადლონი

ბუნება მოსიყვარულე დედასავით მოგქცევიათ და თქვენც მისი განებივრებული შვილი ბრძანდებით.

მასკარილი

ქალბატონებო, მაინც როგორ ატარებთ დროს?

კატო

არც როგორ!

მადლონი

თქვენს მოსვლამდე თავშესაქცევის მარხვას განვიცდიდით.

მასკარილი

თუ ნებას დამრთავთ, ამ დღეებში თეატრში წაგიყვანთ. ახალ პიესას დგამენ და თქვენთან ერთად მისი ნახვა დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა.

მადლონი

ასეთ რამეზე უარს როგორ გეტყვით?

მასკარილი

ოღონდ გთხოვთ, თეატრში რაც შეიძლება დიდხანს დაუკრათ ტაში; საქმე ისაა, რომ დღეს დილით ავტორი თხოვნით მოვიდა ჩემთან და პირობა მივეცი, პიესის წარმატებაში ხელს შეგიწყობ-მეთქი. აქ ასეთი ჩვეულებაა: ავტორები ჩვენთან, ცნობილ პირებთან მოდიან და ახალ ნაწარმოებს გვიკითხავენ, რათა შემდეგ იგი ვაქოთ და ავტორებსაც სახელი გავუთქვათ. ხოლო თუკი ჩვენს აზრს საჯაროდ განვაცხადებთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ, გაბედავს კი პარტერი წინ აღუდგეს ჩვენს მოსაზრებას? პირადად მე, მუდამ ვასრულებ სიტყვას: თუკი ავტორს შევპირდები, სანამ თეატრში სინათლეს აანთებდნენ, ხმამაღლა გავყვირი, დიდებული პიესაა-მეთქი!

მ ა დ ლ ო ნ ი

ოპ, ნულარაფერს გვეუბნებით! პარიზი გადასარევი ქალაქია. აქ ყოველდღე ხდება ისეთი ამბები, რაზედაც თვით ყველაზე მახვილგონიერ ქალს წარმოდგენაც არა აქვს პროვინციაში!

კ ა ტ ო

კმარა! ახლა ყველაფერი გასაგებია! თეატრში ყოფნისას პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას და ყოველ სიტყვაზე ხმამაღლა გამოვთქვამთ აღტაცებას.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

იქნებ ვცდები, მაგრამ თქვენს გარეგნობაში იგრძნობა, კომედის წერა უცხო არ უნდა იყოს თქვენთვის.

მ ა დ ლ ო ნ ი

ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ნუთუ მართლა? მოდით სცენაზე დავადგმევინოთ. გამოგიტყდებით, მეც დავწერე ერთი პიესა და მის დადგმასაც ვაპირებ.

კ ა ტ ო

რომელ მსახიობებს ანდობთ თქვენი პიესის წარმოდგენას?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რა საკითხავია? ბურგუნდის ოტელის მსახიობებს, რალა თქმა უნდა, მხოლოდ მათ შეუძლიათ პიესის ღირსების წარმოჩინება. სხვა თეატრებში უვცი მსახიობები არიან. ლექსს ისე კითხულობენ, თითქოს ჩვეულებრივ საუბრობენო, არც მაღალფარდოვნება ეხერხებათ, არც პაუზა. როგორ უნდა მიხვდე ლექსის ავ-კარგიანობას, თუ მსახიობი პაუზას არ გააკეთებს და ამით არ გაგრძნობინებს, დროა ტაში დასცხოთო?!

კ ა ტ ო

მართლაცდა, მაყურებელი მუდამ შეიძლება აიძულო ნაწარმოების სიმშვენიერე იგრძნოს: ყოველივე იმის მიხედვით ფასდება, როგორ შეუფასებ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ჩემი კოსტიუმის მორთულობაზე რას იტყვით? ხომ უხდება ამ ქურთუქს?

კ ა ტ ო

ნამდვილად!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ბათაყ ხომ შესაფერისი შეევურჩიე?

მ ა დ ლ ო ნ ი

გადასარეგია! ნამდვილი პერდრიჟონია!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

სამუხლეები როგორ მოგწონთ?

მ ა დ ლ ო ნ ი

დიდებული სანახავია!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ასეა თუ ისე, შემიძლია დავიკვებნო: მთელი მეოთხედი არშინით უფრო განიერია, ვიდრე ახლა ატარებენ.

მ ა დ ლ ო ნ ი

გამოგიტყდებით, ჯერ არ მინახავს ასეთი ელეგანტური სამოსი.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

გთხოვთ, აქვენი ყნოსვა მიაპყროთ ამ ხელთათმანებს!

მ ა დ ლ ო ნ ი

საშინლად კარგი სუნი აქვს.

კ ა ტ ო

ასეთი ფაქიზი სურნელი ჯერ არასდროს მიგრძნია.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ამაზე რაღას იტყვით?

(შეპუდრულ პარიკს მიუშვერს.)

მ ა ლ ლ ო ნ ი

დიდებული სურნელია! ამღლებული და სასიამოვნო კარგადაა
ერთმანეთს შეხამებული!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ბუმბულზე არაფერი გითქვამთ. როგორ მოგწონთ?

კ ა ტ ო

შემადრწუნებლად ლამაზია.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

იციო, თითოეული ბუმბული ერთი ლუიდორი დამიჭდა. ასეთი
ჩვეულება მაქვს: ყველაფერი საუკეთესო უნდა ავარჩიო.

მ ა ლ ლ ო ნ ი

ღმერთმანი, ერთნაირი გემოვნება გექონია. ჩაცმულობაშიც გა-
საგიყებელ სიფაქიზეს ვამყლავნებ. მიყვარს, როცა ყოველივე,
რაც მაცვია, თვით წინდებიც კი, საუკეთესო ოსტატის ნახე-
ლავია.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი (ერთბაშად წამოიყვირებს)

ვაი, ვაი, ვაი! ფრთხილად! ღმერთმა შემაჩვენოს, ქალბატო-
ნებო, ასეთ მოპყრობას თუ მოგიწონებთ ვინმე! აღშფოთებული
ვარ თქვენი საქციელით: ასეთი რამ როგორ გეკადრებათ?

კ ა ტ ო

რა მოგივიდათ? რა მოხდა?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

როგორ თუ რა მოხდა? ორმა მანდილოსანმა ერთდროულად
შეუტია ჩემს გულს! ორივე მხრიდან დამესხნენ თავს! ეს ხომ
აღამიანის უფლებას აღემატება? ძალების არათანაბარი განა-
წილებაა და მზად ვარ ვიყვირო, მიშველეთ-მეთქი.

კ ა ტ ო

უნდა ვალიაროთ, საუბრის მეტად თავისებური მანერა აქვს!

მ ა დ ლ ო ნ ი

აღმაფროვანებელი გონების კაცია!

კ ა ტ ო

თქვენ შიში უფრო გაწუხებთ, ვიდრე ტკივილი. გული არა გაქვთ დაკოდილი, სისხლისგან კი უკვე იცლება.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

როგორ თუ არა მაქვს დაკოდილი? სულ მთლად დაჩეხილია.

გამოსვლა მხათე

კატო, მადლონი, მასკარილი, მაროტი

მ ა რ ო ტ ი

ქალბატონებო, თქვენი ნახვა სურთ.

მ ა დ ლ ო ნ ი

ვის?

მ ა რ ო ტ ი

ვიკონტ დე ჟოდლეს.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ვიკონტ დე ჟოდლეს?

მ ა რ ო ტ ი

დიახ, ბატონო.

მ ა დ ლ ო ნ ი

იცნობთ?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ჩემი საუკეთესო მეგობარია.

მ ა დ ლ ო ნ ი

ახლავე სთხოვეთ, ახლავე!

მასკარილი

რა ხანია არ მინახავს და მოხარული ვარ, აქ რომ შევხვდები

კატო

აგერ ისიც!

გამოსვლა მეთერთმეტე

კატო, მადლონი, უოდლე, მასკარილი, მაროტი, აღმანზორი

მასკარილი

ოო, ვიკონტი!

უოდლე (მასკარილს გადაეხვევა.)

ოო, მარკიზ!

მასკარილი

რა კარგია, რომ შევხვდი!

უოდლე

როგორ მიხარია, აქ რომ გხვდავ!

მასკარილი

მოდო, ერთხელ კიდევ მომეხვეი, გეთაყვა!

მადლონი (კატოს)

საყვარელო, უკვე სახელი გავითქვით. მაღალმა საზოგადოებამ ჩვენთან მოსასვლელი გზა იპოვა.

მასკარილი

ქალბატონებო, ნება მომეცით ეს აზნაური წარმოგიდგინოთ. ბატიოსან სიტყვას გაძლევთ, იგი თქვენი გაცნობის ღირსია.

უოდლე

სამართლიანობა მოითხოვს ჟეროვნად დაფასდეს თქვენი ღირ-

სება, ხოლო თქვენი მომხიბვლელობა სენიორიალურ უფლებებს უყენებს ყოველი წოდების ხალხს.

მ ა დ ლ ო ნ ი

ასეთი თავაზიანობა ქათინაურის უკიდურეს საზღვარს აღწევს.

კ ა ტ ო

• დღევანდელი დღე უბედნიერეს დღედ აღინიშნება ჩვენს კალენდარში!

მ ა დ ლ ო ნ ი (ალმანზორს)

აბა, ყმაწვილო, რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ ერთი და იგივე? ნუთუ ვერ ხედავთ, სავარძლების გამრავლებმა რომაა საპირო?!
•

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ვიკონტის იერმა არ გაგაკვირვოთ! ცოტა ხნის წინ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და ამიტომაც ადევს ასეთი მკრთალი ფერი.

ქ ო დ ლ ე

ყოველივე ეს სასახლის კარზე მორიგეობისა და მძიმე სამხედრო ლაშქრობის შედეგია.

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

იცით თუ არა, ქალბატონებო, რომ ვიკონტი ჩვენი დროის უმატესი ადამიანია? თქვენს წინაშე განლავთ გამოზრდილი მეომარი!

ქ ო დ ლ ე

არც თქვენ ხართ ნაკლები, მარკიზ. გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რაც მართალია, მართალია! ბევრი განსაცდელი გვინახავს ერთად!

ქოღლე

და რაც მთავარია, ცხარე ბრძოლები!

მასკარილი (კატოსა და მადლონს უყურებს).

ღიახ, მაგრამ ასეთი ცხარე შემოტევა ჯერ არასოდეს გვიგრძნია. ვაიმე! ვაიმე! ვაიმე!

ქოღლე

ერთმანეთი ჯარში გავიცანით: იმ ხანებში მარკიზი კავალერიის პოლკს მეთაურობდა მალტის გაღერებზე.

მასკარილი

სრული ჭეშმარიტებაა, ოლონდ თქვენ, ვიკონტ, ჩემზე ადრე დაიწყეთ სამხედრო სამსახური. რამდენადაც მახსოვს, ორი ათასი მხედრისგან შემდგარ ჯარს მეთაურობდით, მე კი მხოლოდ უმცროსი ოფიცერი ვიყავი.

ქოღლე

ოში კარგი საქმეა. მაგრამ მართალი გითხრათ, სამეფო კარი ჯეროვნად არ აფასებს ჩვენსავით მამაც მეომრებს.

მასკარილი

ამიტომაც გადავწყვიტე, ხმალი ქარქაშში ჩამეგო.

კატო

პირადად მე, საშინლად მიყვარს სამხედრო პირები.

მადლონი

მეც გაგიჟებით მიყვარს მებრძოლი ხალხი. განსაკუთრებით მომწონს, როცა სიმამაცე ფაქიზ ჰკუთასთან არის შეხამებული.

მასკარილი

ვიკონტ, ის ნახევარმთვარე თუ გახსოვს, ჩვენ რომ არასის ალყის დროს ჩავიგდეთ ხელში?

ქოღლე

რის ნახევარმთვარე? ის ხომ ბადრი მთვარე იყო!

მასკარილი
მეც ასე მგონია.

ყოფლე
სხვაზე რა მოგახსენო, მე კი კარგად მახსოვს ეს შემთხვევა. მა-
შინ ყუმბარით დამჭრეს ფეხში, ნაჭრილობევი ახლაც მაჩნია.
ღეთის გულისათვის, აბა ერთი ხელით მოსინჯეთ! გრძნობთ,
რა დარტყმა იქნებოდა?

კატო (ფეხს მოუსინჯავს)
მართლაც ღრმა იარაა.

მასკარილი
ხელი მიბოძეთ და აი, აქ, კეფაზე მომისვით! გრძნობთ?

მადლონი
ღიახ, რაღაცას მართლა ვგრძნობ.

მასკარილი
ბოლო ლაშქრობაში მუშეკეტით დამჭრეს.

ყოფლე (მკერდს გადაიღელავს)
აი, აქ ტყვიამ გამჭოლ გამიარა გრაველინთან ბრძოლის დროს.

მასკარილი (შარვლის ღილზე წაივლებს ხელს)
ახლა კი ყველაზე საშინელ ნაიარევს გაჩვენებთ!

მადლონი
არაა საჭირო: ისედაც დაგიჭერებთ.

მასკარილი
ყველა ეს საპატიო ნიშანი ჩემი ვაჟკაცობის თავდებია.

კატო
თქვენი გარეგნობა ისედაც ბევრზე მეტყველებს.

მასკარილი
ვიკონტ, ეტლი ხომ გელოდება?

ქოღღე
რატომ მეკითხები?

მასკარილი
კარგი იქნებოდა, ქალბატონები ქალაქგარეთ გაგვესეირნებინა
და რაიმე საჩუქარიც მიგვეერთმია.

მადლონი
დღეს ვერასგზით ვერ გავალთ სახლიდან.

მასკარილი
მაშინ მევიოლინეები მოვიწვიოთ და ვიცეკვოთ!

ქოღღე
კარგი აზრია, მე და ჩემმა ღმერთმა!

მადლონი
ამაზე სიამოვნებით დაგთანხმდებით. ოღონდ საზოგადოების
გამრავლება დაგვჭირდება.

მასკარილი
ეპეი, ხალხნო შამპან, პიკარ, ბურგინიონ, კასკარე, ბასკ, ლა
ვერდიურ, ლორენ, პროვანსალ, ლა ვიოლეტი ეშმაქსაც წაუ-
ღია ეს მსახურების გეფიცებით, არც ერთ ფრანგ აზნაურს ისე
უხეიროდ არ ემსახურებიან, როგორც მე. ეს არამზადები თვა-
ლის დახამხამებაში მიმატოვებენ ხოლმე.

მადლონი
ალმანზორ, ბატონი მარკიზის მსახურებს უთხარით, მევიოლი-
ნეები ჭოიხმონ, შენ კი მეზობლები დაგვიმატიე მეჭლისის
უღაბნოს შესავეებად.

(ალმანზორი გადის.)

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ვიკონტ, ამ თვალეებზე რას იტყვი?

ჟ ო დ ლ ე

ჯერ შენი აზრი მომახსენე, მარკიზ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

მე მგონია, ჩვენს თავისუფლებას კარგი დღე არ დაადგება აქედან გასვლისას. პირადად მე უცნაურ თავბრუსხვევას ვგრძნობ და გულიც გალევაზე მაქვს.

მ ა დ ლ ო ნ ი

რა ბუნებრივად ლაპარაკობს! ყველაფერს იმდენ სილაზათეს აძლევს...

კ ა ტ ო

ენამახვილობაში საშინელი მფლანგველი ყოფილა!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

იმის დასამტკიცებლად, რომ სიმართლეს მოგახსენებთ, ახლავე შეგითხზავთ ექსპრომტს.

(დაფიქრდება.)

კ ა ტ ო

ოჰ, ისმინეთ ჩემი გულის ვედრება და ლექსი შეგვითხზით!

ჟ ო დ ლ ე

მეც სიამოვნებით დაგიწერდით ლექსს, მაგრამ ბოლო დროს იმდენჯერ მომიხდა ხელის გახსნა, პოეტური ძარღვი დაწყვეტაზე მაქვს!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ეშმაკმა დალახვროს! ეს რა მომდის? პირველი სტრიქონი, როგორც ყოველთვის, ადვილად მოვიფიქრე, დანარჩენი კი რაღაც არ გამომდის. ღმერთმანი, ეტყობა, აჩქარების ბრაღია. არა უშავს, სამაგიეროდ ისეთ ექსპრომტს დაგიწერთ მოცალეობის ჟამს, უკეთესს ვერაფერს წაიკითხავთ!

ქოღღე
დემონიურად ჭკვიანი კაცია!

მადლონი
რა ნატიფი, დახვეწილი სიტყვა-პასუხი აქვს!

მასკარილი
ერთი მითხარით, ვიკონტ, რამდენი ხანია რაც გრაფის მეუღლე
არ გინახავთ?

ქოღღე
სამი კვირაა მასთან არ ვყოფილვარ.

მასკარილი
იცი, დღეს დილით ჰერცოგი მესტუმრა, უნდოდა. ირმებზე
სანადიროდ წავეყვანე.

მადლონი
აგერ, ჩვენი მეგობრებიც მოვიდნენ.

გამოსვლა მეთორმეტე

ლუხილი, ხელიშენი, კატო, მადლონი, მასკარილი, ქოღღე, მაროტი,
ალმანზორი, მევიოლინეები

მადლონი
ოჰ, საყვარლებო! გვაპატიეთ, რომ შეგაწუხებთ. ბატონ მარ-
კიზსა და ბატონ ვიკონტს აზრად მოუვიდათ სული ჩაედგათ
ჩვენი ფეხებისათვის და ამიტომაც მოგიწვიეთ: გვინდოდა ჩვე-
ნი საკრებულოს სიცარიელე შეგვესოთ.

ლუხილი
თქმა არ უნდა, ძალიან დაგვაგალებთ!

მასკარილი
ამჯერად სახელდახელო მეჯლისი გამოგვივა, სამაგიეროდ, ამ

დღეებში ისეთ დარბაზობას გავმართავთ, როგორც ჩვენ გვე-
კადრება. მევიოლინეები თუ მოვიდნენ?

ა ლ მ ა ნ ზ ო რ ი
მოვიდნენ, ბატონო.

კ ა ტ ო
აბა, ძვირფასო ქალებო, ადგილები დაიკავეთ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი (მარტო ცეკვავს, ვითომდა ცეკვის პრელუ-
დიას).
ლა, ლა, ლა, ლა!

მ ა დ ლ ო ნ ი
რა ტანი აქვს!

კ ა ტ ო
ეტყობა, სუფთა ცეკვის ჯადოქარია!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი (მადლონს გაიწვევს საცეკვაოდ)
ჩემი სილალე და ფეხები ერთნაირად ეწყობა კურანტს! აბა,
მევიოლინეებო რიტმულად! ტაქტის აყოლებით! ფუი, რა უგუ-
ნურები არიან ამათ დაკრულ მელოდიაზე რა უნდა იცეკვო?
ეშმაკმა წაგიღოთ! ნუთუ შეწყობილად დაკვრა არ შეგიძლიათ?
ლა, ლა, ლა... ცოცხლად! ფუი, თქვე ნებრეებო, თქვენა!

შ ო დ ლ ე (ცეკვავს)
ეი, თქვენს ტემპი შეანელეთ! ავადმყოფობის მერე ჯერ კიდევ
ჯერ მოვლონიერებულვარ.

გამოსვლა მესამეზე

დიუ კრუაზი, ლა გრანჟი, კატო, მადლონი, ლუსილი, სელიმენი,
შოდლე, მასკარილი, მაროტი, მევიოლინეები

ლ ა გ რ ა ნ ჟ ი (ხელში ჯოხი უჭირავს)
ო, თქვე ყალთაბანდებო, თქვენა აქ რას აკეთებთ? სამი საათია
გეძებთ.

მასკარილი (ჯონის დარტყმაზე ყვირის)
ვაიმე! ვაიმე! ცემაზე როდის შევეთანხმდით?

ქოღღე
ვაიმე, მიშველეთ!

ლაგრანჟი
აზნაურობა მოგინდათ, არა? მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, არამ-
ზადებო!

დიუკრუაზი
ამიერიდან ჭკუას ისწავლით!
(გადიან.)

გამოსვლა მეთოთხმეტე

კატო, მადლონი, ლუსილი, სელიმენი, მასკარილი, ქოღღე,
მაროტი, მევიოლინეები

მადლონი
ეს რას ნიშნავს?

ქოღღე
სანაძლეო დავდეთ და...

კატო
როგორ? ცემის ნება მიეცით?

მასკარილი
ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ, როგორ ვიკავებდი თავს! მე
ხომ ისეთი ფიცხი ვარ, წონასწორობას ადვილად ვკარგავ.

მადლონი
მიანც როგორ აიტანეთ ასეთი შეურაცხყოფა, ისიც ჩვენი თან-
დასწრებით?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

რა უშავს! სჯობს ვიცეკვოთ. დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ჰოდა მეგობრებს შორის ასეთი წვრილმანეშის გამოღვევება აბა რა საკადრისია?!

გამოსვლა მეთხუთმეტე

დიუ კრუაზი, ლა გრანჟი, მადლონი, კატო, სელიმენი, ლუსილი, მასკარილი, უოდლე, მაროტი, მევოლინეები.

ლ ა გ რ ა ნ ჟ ი

აბა, ახლა ვნახოთ თუ დადგებით სიცილის გუნებაზე, თქვე არამზადებო! ეი, თქვენ, შემოდით!

(შემოდის სამი თუ ოთხი ახმახი ჩხუბისთავი.)

მ ა დ ლ ო ნ ი

ჩვენს სახლში ასე უკითხავად შემოჭრა თავგასულობაა და მეტი არაფერი!

დ ი უ კ რ უ ა ზ ი

რას ბრძანებთ, ქალბატონებო? მაშ, მშვიდად ავიტანოთ ის ამბავი, რომ ჩვენს მსახურებს ჩვენზე უკეთ ხვდებით, ჩვენს მაგივრად ისინი გეარშიყებიან და მეკლისიც კი გაუმართავთ?!

მ ა დ ლ ო ნ ი

თქვენს მსახურებს?

ლ ა გ რ ა ნ ჟ ი

ღიას, ჩვენს მსახურებს. რაც მთავარია, ქალბატონებო, ასეთი უტაფრობა არ გეკადრებათ, თქვენ ხომ მსახურებს გვიფუჭებთ?!

მ ა დ ლ ო ნ ი

ღმერთო დიდებულო, რა თავხედობაა!

ლ ა გ რ ა ნ უ ი

ამიერიდან ველარ გამოეწყობიან ჩვენს ტანსაცმელში, თავი რომ მოგაწონონ! თუკი მათი შეყვარება გასურთ, ვინ გიშლით, შეიყვარეთ, ოღონდ ჩვენს სამოსში გამოეწყობილნი კი არა, უბრალოდ, მათი ლამაზი თვალების ხათრით. აბა, სწრაფად გახადეთ ორივეს!

ქ ო დ ლ ე

მშვიდობით, ჩვენო პეწიანო მორთულობავ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ეკ, მარკიზობაც ჩამოგვართვეს და ვიკონტობაც!

დ ი უ კ რ უ ა ზ ი

ოო, თქვე ოინბაზებო! ჩვენთან გატოლება მოისურვეთ, არა? კმარა! ახლა წაბრძანდით და სადაც გინდათ იქ იშოვეთ ლამაზ-ლამაზი მოსართავები თქვენი ლამაზმანების გულის მოსაგებად!

ლ ა გ რ ა ნ უ ი

ის არ იკმარეს, ჩვენი ადგილები რომ დაიჭირეს, ჩვენს ტანსაცმელშიც გამოიპრანჭნენ!

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ოო, ზედისწერავ, რა ცვალებადი ხარ!

დ ი უ კ რ უ ა ზ ი

აბა, აბა ცოცხლად! თავიდან ფეხებამდე გახადეთ ყველაფერი!

ლ ა გ რ ა ნ უ ი

ახლავე წაიღეთ ეს ბარგი-ბარხანა. როგორც იქნა, ქალბატონებო, თქვენმა მიჯნურებმა აღიდგინეს, თავიანთი ბუნებრივი სახე. ასე რომ, შეგიძლიათ სანამ არ მოგეწყინებათ, განაგრძოთ მათთან კურკური. ჩვენდათავად, ნებაზე გიშევებთ და გარწმუნებთ, ეკვიანობის ნატამალი არ გაპკარებია ჩვენს გულს.

გამოსვლა მითაქმსმება

მადლონი, კატო, ყოდლე, მასკარილი, შევიოლინეებო

კ ა ტ ო

ღმერთო, რა სამარცხვინო ამბავია!

მ ა დ ლ ო ნ ი

ბოღმა მახრჩობს, ლამის გული გამისკდეს!

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე (მასკარილს)

ერიჰაა! ფულს ვინღა გადაგვიხდის?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

ბატონ ვიკონტს მიმართეთ!

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე (ყოდლეს)

გასამრჯელო მოგვეცით, ბატონო.

ყ ო დ ლ ე

ბატონ მარკიზს მიაკითხეთ.

გამოსვლა იანვიდმება

გორჟიბუსი, მადლონი, კატო, ყოდლე, მასკარილი, შევიოლინეებო

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი

ეს რა მიყავით, თქვე გომბიოებო? სადღა გამოვეყო თავი?
სტუმრებმა ისეთი რამეები მიაგზეს...

მ ა დ ლ ო ნ ი

ოჰ, მამაჩემო, რომ იცოდეთ, რა ოინი გვიყვეს!

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი

სწორედ რომ ოინი გვიყვეს, მაგრამ ახია თქვენზე! საკუთარ
ამპარტავენობას დააბრალეთ, თქვე ტუტუცებო! აბა რა გეგო-

ნათ, იმ აზნაურებს შეურაცხყოფა რომ მიაყენეთ! მთელი ეს სირცხვილი კი მე უბედურმა უნდა ჩავყლაპო.

მ ა დ ლ ო ნ ი

ვფიცავ, ჩვენს მაგივრად შურს იძიებენ, ან არადა, ჯაერისგან სიკვდილი არ ამცდება. თქვენ კი, თქვე თავეხედებო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, აქ დგომას როგორღა ბედავთ?

მ ა ს კ ა რ ი ლ ი

გავიწყდებათ, ქალბატონო, რომ მარკიზს ასე არ ექცევიან?! ესეც თქვენი მაღალი საზოგადოება საკმარისია ოღნავ დაგიცდეს ფეხი და ვინც კი გუშინ დითირამბებს გიმღეროდა, დღეს ამრეზით გიყურებს. წამო, მეგობარო, სხვაგან ვეძებოთ ბედი. როგორც ვხედავ, აქ მხოლოდ გარეგნულ პეწს აფასებენ და არაფრად აგდებენ შეულამაზებელ სათნოებას.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ა თ ვ რ ა მ ი ბ ა

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი, მ ა დ ლ ო ნ ი, კ ა ტ ო, მ ე ი ო ლ ი ნ ე ბ ი

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე

ბატონო, თქვენ შინც გადაგვიხადეთ ფული. ამდენ ხანს ტყუილუბრალოდ ვუკრავდით?

გ ო რ ჟ ი ბ უ ს ი (სცემს)

კეთილი და პატიოსანი! აჰა, მიიღეთ გასამრჯელო! თქვენ კი, მატრაკვეცებო, მაღლობა მითხარით, ასევე რომ არ გაგისწორდით. თავს ლაფი დაგვესხა, ამიერიდან ყველას ყბადასაღები გავხდებით. აი, სანამდე მიგიყვანათ თქვენმა ახირებამ! აქედან დამეკარგეთ, უსირცხვილოებო! არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა! (თავისთვის) თქვენ კი, ვისაც მათ სისულელეებში მიგიძღვით ბრალი: ამო ბოძვავ, უსაქმურთა დამღუპველო გასართობებო, რომანებო, ლექსებო, სიმღერებო და სონეტებო — ეშმაკსაც წაუღინხართ!

ტარტიუფი ანუ ფარისეველი

კომედია ხუთ მოქმედებად

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამ კომედიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, დიდხანს თავს ესხმოდნენ და აღამიანებმა, რომლებიც ამ კომედიაში გამასხრებულნი იყვნენ და თავისი თავი იცნეს, საკმით დაამტკიცეს, რომ საფრანგეთში ისინი უფრო გავლენიანი არიან, ვიდრე ჩემს მიერ თხზულებებში დღევანდლამდე გამასხრებული ხალხი. პრანციები, გატყლარქულები, მოტყუებული ქმრები და ცოლები, მკურნალები ჰოთმინებით იტანდნენ, როცა სცენაზე გამოჰყავდათ და თავი ისე ექირათ, თითქოს მათგან გადახატული პერსონაჟები სხვა მაყურებელზე ნაკლებად არ ართობდათ. მაგრამ ფარისეველებმა დაიცინივერ აიტანეს; მათ მაშინვე ალიაქოთი ატეხეს და ენით აუწერელი კადნიერებით განაცხადეს, რომ მათი ჰანქვა-გრეხა გამოეხატე და ვცადე ჩრდილი მიმეყენებინა მათი ხელობისათვის, რომელსაც ამდენი პატივცემული ბიროვნება მისდევს. ეს დანაშაული ვერ იქნა და ვერ მაპატიეს, ყველამ ერთსულოვანი, გააფთრებული მრისხანებით გამოილაშქრა ჩემი კომედიის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მათ შეეშინდათ, იმას დასხმოდნენ თავს, რაც ყველაზე მეტად მოხდათ გულში: საკმაოდ ვირეშმაკები და გამობრძენილინი არიან და გულში ნადებს აღვილად არ გაამეღვენებენ: მათთვის დამახასიათებელი ფრიალ სანაქებო ჩვეულებისამებრ თავისი ინტერესებში დასაყვად ღვთის სათნო საქმეს ამოეფარნენ. მათ რომ ყური დაეუგდოთ, ტარტიუფი ფარსია, რომელიც შეურაცხყოფს ღვთისმოსაობას, ეს კომედია თურმე თავიდან ბოლომდე უმსგავსობით არის სახეს და ყველაფერი კოცონზეა დასაწვავი. მასში ყოველი სიტყვა ბიწიერია და ყოველი ვესტი მკრეხელობაა. თვალის შევლება, თავის დაქნევა, ნაბიჯი მარჯნივ ან მარცხნივ არ არის შემთხვევითი და თურმე ჩემი ბოროტი განზრახვის ხორცშესხმას ემსახურება. ტყუილებრალოდ წარმოვადგინე კომედია ჩემი მეგობრების უგანათლებულეს სამსჯავროს წინაშე, მაყურებლის განსახილველად: ჩემს მიერ შეტანილმა შესწორებებმა, უმაღლესმა შეფასებამ შეფისა და დედოფლისა, რომელთაც ეს კომედია იხილეს, მოწონებამ კეთილშობილ პრინცთა და ბატონ მინისტრთა, რომელთაც თავისი დასწრებით წარმოდგენა ესოდენ დააფასეს, დასტურმა დიდადღირსეულ ბიროვნებათა, რომელთაც კომედია საჭიროდ მიიჩნიეს — მას ვერავითარი სამსახური ვერ გაუწია. ავის მსურველებმა კბილი ჩაასვეს და დღე არ გავა, რომელიმე თავგამოდებული ენაშემკვერი მათი ჩაგონებით საჭაროდ რომ არ გამიმასპინძლდეს ღვთისმოსავის შეჩვენებით და გულმოწყალის წყველა-კრეღივით.

მათ ლაპარაკს დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი, ასე მარჯვედ ჩემი პატივისმცემელი მეგობრების ჩემს მტრად გადაკიდებას რომ ვერ ახერხებდნენ და თავის ზხარეზე რომ არ გადაჰყავდნენ ზოგი კეშმარიტი ქომაგი სათნოებისა, რადგან ბოროტად იყენებენ ამ მალემარწმენთა გულუბრყვილობასა და სიმსუბუქეს, რის მიზეზითაც ღეთისმოსავის მგზნებარებით შეპყრობილები მათს ჩაგონებას სიმართლედ მიიჩნევენ ზოლზე. აი, რა მაიძულებს, თავი დავიცვა. სხვასთან არავისთან, მხოლოდ კეშმარიტად ღეთისმოსავი აღამიანების წინაშე მინდა გავამართლო ჩემი კომედიის მიმართულება და ყველას გულმხურვალედ შევთხოვ, ყურმოკრულით ნუ დამძრახავენ, ყურადღებას ნუ მიაქცევენ წინასწარ შექმნილ აზრს და ნუ მოემსახურებიან იმათ, ვინც თავისი მანქვა-გრეხით მათ არცხვენს.

ყველა, ვინც კი გადაწყვეტს კეთილსინდისიერად განიხილოს ჩემი კომედია, დარწმუნდება, რომ ბოროტი ზრახვები სულაც არ მქონია, და რომ მიზნად სულაც არ დამისახავს მასხრად ამეგლო ის, რაც მხოლოდ მოწიწების ღირსია. ყველაფერი ვიღონე, რომ ის სიფრთხილე გამომიჩინა, რაც ასეთ უფაქიზეს საკითხს შეეფერებოდა; ყოველი ჩემი შესაძლებლობა გამოვიყენე და ყოველი ძალა ვიხმარე, რომ ჩემს მიერ ხორკშესხმულ თვალთმაქცისათვის კეშმარიტად ღეთისმოსავი აღამიანი დამეპირისპირებინა. ამ მიზნით ორი მოქმედება მოვანდომე იმას, რომ ჩემი ცოდვის განმოჩენა მომეზადებინა. მაყურებელს არ ეშლება და თავიდანვე სცნობს მას იმ ნიშნების მიხედვით, მე რომ დავაჯილდოვე; დასაწყისიდან პიესის დასასრულამდე იგი ერთ სიტყვას არ ამბობს და არაფერს არ აკეთებს, მაყურებლის წინაშე მის არამზადობას რომ არ ააშკარაებდეს და მე რომ იმას აღამიანი დავუპირისპირე, იმის კეშმარიტ სათნოებას შუქს არა ჰფენდეს.

მე კარგად ვიცი, რომ საპასუხოდ ეს ბატონები იმის მტკიცებას დაგვიწყებენ, თითქოს ეს არ იყოს თეატრის განსჯის საგანი. მაგრამ მე მათის ნებართვით ასეთ შეკითხვას მივცემდი: ვინ შეიმუშავა ეს ბრძნული აზრი? ამ ბრძნულ აზრს თავს ისე გვახევევენ, რომ რაიმე საბუთითაც არ უმავრებენ მხარს. თუმცა ის კი უნდა ახსოვდეთ, რომ ძველად კომედიის რელიგია მისცა დასაბამი და რომ თეატრალური სანახაობა მაშინდელი რელიგიური მისტიკების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა; რომ ჩვენი მეზობლები, ესპანელები დღესასწაულს ისე არ გამართავენ, კომედია რომ არ წარმოადგინონ; რომ ჩვენში კომედია იმ ძმათა მეცადინეობით დაიბადა, რომელთაც ბურგუნდის ოტელი ახლაც ეკუთვნით; და რომ ეს იდგილსამყოფელი უფრო მნიშვნელოვანი მისტიკების წარმოსადგენად იყო განკუთვნილი; რომ იქ შემონახულია კომედიების ტექსტები ჩამოსხმული გოთური შრიფტით და ხელმოწერილი ერთ-ერთი სორობონელი დოქტორის მიერ; და ბოლოს, მაგალითებისათვის შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს დროშიც იდგმებოდა ბ-ნ დე კორნელის სასულიერო პიესები, რომელთაც მთელი საფრანგეთი აღტაცებაში მოჰყავდა.

თუკი კომედიის დანიშნულება აღამიანის მანკიერებათა გამათრახე-

ბაა, ზოგს გვერდი ჩატომ უნდა აეუაროთ? ჩემს პიესაში მხსლებული მანკიერება სახელმწიფოსათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ზოლო თეატრი, როგორც ჩვენ ამაში დავრწუნდით, ზნეობის გამოსწორების უდიდესი საშუალებაა. მორალის თემაზე შექმნილ ბრწყინვალე ტრაქტატებს უფრო მცირე ზეგავლენა მოუხდენიათ, ვიდრე სატირას, რადგან აღამიანებს გულზე ისე არაფერი ხვდებათ, როგორც მათი ნაკლოვანებათა გამოხატვა. როცა მათი მანკიერებანი საჯაროდ გამოგვაქვს, ჩვენ იმათ ხალხში თავს ვჭრით, გაიციხვა აღვილი გადასატანია, მაგრამ დაიცნეა ძნელი მოსასმენია. ზოგი თანახმა არის, ავანაკის სახელი ჰქონდეს დაგდებული, მაგრამ ყველამ რომ აბუჩად აიგდოს, ამას კი ვერ მოითმენს.

მსაყვედურობენ, თითქოს ჩემს თაღლითს ღვთისმოსავის ენით ცალპარაკებდე. მაგრამ თუკი ფარისევლის ხასიათი უნდა დამეხატა, ამას თავს როგორ ავარიდებდი. ისიც საკმაოდ მეჩვენება, რომ მაინც შეღიენდება ის ბოროტი განზრახვა, რაც მის საუბარს სარჩულად უდევს და რომ გვერდი აეუარე იმ საეკლესიო ენასა და გამოთქმებს, რომლის მოსმენაც ყურს მოგეპირდა. მაგრამ მეოთხე მოქმედებაში მის სიტყვებში ხომ ზნეობა არის შერყენილი? დიახ, ასეა, მაგრამ ზნეობის ამგვარი შერყენით განა თავი არა გვაქვს მოზებრებული? ამ მხრივ რას ამბობენ ახალს ჩემს კომედიაში? განა შესაძლებელია, რომ ამგვარმა გაცვეთილმა და თავმოსაბეზრებელმა აზრებმა უღდი ზეგავლენა იქონიოს მსმენელზე და რომ გაიძვევრას პირით ნათქვამი ეს სიტყვები ჩამდენადმე დამაჭერებელი იყოს? ამგვარი რამ საფუძველს სრულიად მოკლებულია და ამიტომ ტარტიუფზე კომედია ან უნდა მოგვეწონოს, ან ყველა კომედია უნდა უარეყოთ საერთოდ.

უკვე ჩამდენიმე ხანია, თავგამოდებით სწორედ ამას ცდილობენ ზოგიერთები; თეატრის წინააღმდეგ ასე არასოდეს ამხედრებულან. იმას ვერ ვიტყვით, ეკლესიის წარჩინებულნი პირნი არ კიცხავდნენ-მეთქი თეატრს, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგიერთები წყალობის თვალით უყურებდნენ. ამგვარად, მათი ავტორიტეტი, რომელსაც სიმკაცრის მომხრენი ეყრდნობიან, მერყევია, რაკი თანხმობისთვის თვითონაც ვერ მიუღწევიათ. რახან ეს ერთი და იმავე სიბრძნით განათლებული გონების ხალხი სხვადასხვა აზრისანი იყვნენ, მაშასადამე, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ კომედიას სხვადასხვანაირად უყურებდნენ: ერთნი მის ზნეობრივ მხარეს განიხილავდნენ, მეორენი ყურადღებას ამახვილებდნენ მის უზნეობაზე და არ ანსხვავებდნენ კომედიას იმ უზნეო სინახაობისაგან, რომელთაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სასირცხო თამაშობანს.

საგანთა არსზე უნდა ვიკამათოთ და არა სიტყვებზე; კამათი უმრავლეს შემთხვევაში გამოწვეულია ურთიერთგაუგებრობით და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა აზრია ნაგულისხმევი, ამიტომ აუცილებელია კომედიას მოვაშოროთ ორაზროვნების ბურუსი, განვიხილოთ მისი ჭეშმარიტი არსი და მერე დავადგინოთ, იმსახურებს თუ არა იგი გაიციხვას. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა დარწმუნდება, რომ რახან ეს ნაწარმოები უფრო პოეტური ხელოვნების ნაყოფია და კაცთა მანკიე-

რების გამოაქვარავენის მიზნით მასში სასიამოვნოც არის გავრთიანებულ და კუჟის სასწავლებელიც, უსამართლობა იქნებოდა, შეგვევიწროებინა ან იგვიკრძალა. თუკი მოვისურვებდით და ისტორიას დავეკითხებოდით, ისტორია გვეტყოდა, რომ კომედიის ქება-დიდებას ასხამდნენ სახელგანთქმულნი ფილოსოფოსნი, რომელნიც მკაცრ ცხოვრებასა და კეთილგონიერებას ქადაგებდნენ და თავისი ღრის მანკიერებანი სააშკარაოზე გამოქჷონდათ. ისტორია გვეტყოდა თუ რა უძილო ღამეები შესწირა თეატრს არისტოტელემ და რჩევა-დარიგებით რა სამსახური გაუწია მან კომედიის ხელოვნებას. ისტორია გვამცნობს, ძველი ღრის გამოჩენილი ადამიანები, რომელთაც საზოგადოებაში საპიტიო აღგილი ექირათ, თუ ვით ამაყობდნენ, რომ კომედიებს წერდნენ, ხოლო სხეებს სამარცხენოდ სულაც არ მიაჩნდათ, რომ ეს კომედიები საჭაროდ წარმოედგინათ. ისტორია შეგვახსენებს, რომ საბერძნეთში ამ ხელოვნებისადმი პატივისცემამ გამოხატულება საპიტიო ჯილდოებში და გრანდიოზული თეატრების მშენებლობაში ჰპოვა და რომ შემდეგ რომშიც მერტისმეტად იფასებდნენ ამ ხელოვნებას; მე გარყვნილი რომის ზნედაცემულ იმპერატორებზე არ მოგახსენებთ, არამედ ბრძენი კონსულების ზნემაღალ რომზე მისი აყვავების პერიოდში.

რა დასამალოა, ისეთი ღროცა ყოფილა, რომ კომედიის ბუნებას ამახინჯებდნენ. განა არის ამ ქვეყანაზე რაიმე, რომელსაც ყოველდღიურად არ ამახინჯებდნენ? ადამიანებმა ყველაზე უცოდველი საქმიანობაც კი დანაშაულად შეიძლება გადააქციონ, ყველაზე საქველმოქმედო ხელოვნებას სახელი გაუტეხონ და ყველაზე კეთილი საქმე ბოროტების სამსახურში ჩააყენონ. მედიცინა ყველასათვის სასარგებლო და პატივსაცემი ხელოვნებაა და ჩვენს ერთ-ერთ ფასდაუდებელ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ დრო ყოფილა, სიძულვილი დაუშასხურებია და ხალხის მოწამელის ხელოვნებად გადაუქცევიათ. ფილოსოფია ცით მოვლენილი ნიჭია და ღმერთმა იმიტომ გვიწყალობა, რომ ჩვენი გონება ბუნების სასწაულების კერტის წყალობით ღვთაებრივს ეზიაროს, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი არაერთგზის იძულეს, მისი დანიშნულებისათვის ეღალატა და ბოროტების სამსახურში ჩამდგარიყო. ადამიანისაგან ხელჯოფას თვით უწმინდესი სალოცავიც კი ვერ გადაურჩება. ჩვენ ვხედავთ ბოროტმოქმედებს, რომლებიც ყოველდღიურად ღვთისმოსაობით ინიღბებიან და ღვთის სახელით საშინელ დანაშაულს სჩადიან. ამიტომ, მით უმეტეს, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ის, რაც ერთმანეთში არ უნდა აფუროთ. გულკეთილობით ზერეღე დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ და არ უნდა გავაიგივოთ ამაღლებულობა დამახინჯებულისა დამამახინჯებლის სულმდაბლობასთან. აუცილებელია ხელოვნებით განზრახული მუდამ განვასხვავოთ მისი ცუდი გამოყენებისაგან. არავის თავში არ მოუვა მედიცინა იმ მიზეზით აკრძალოს, რომ მას ოდესღაც რომში ივეწროებდნენ, ან ფილოსოფია აკრძალოს იმის გამო, რომ იგი ათენში დაგმეს საჭაროდ. სწორედ ასევე არ უნდა გვსურდეს, კომედია აკრძალოთ იმის გამო, რომ მას ოდესღაც აკრიტიკებდნენ. რომ აკრიტიკებდნენ, მიზეზები არსებობდა, ახლა ეს მიზეზები აღარ არსებობს. კრიტიკას საზღვრები გარკვეული

ჰქონდა და მის მიერვე დაწესებული საზღვრები რატომ უნდა გადაეალახინოთ, რას გვარგებს, რომ გავრცელდეს და უბრალოცა და ბრალიანც თაყის საზღვრებში მოიქციოს. კომედია, რომლის წინააღმდეგაც მან ხმა აიმაღლა, ის კომედია სულაც არ არის, ჩვენ რომ გვინდა გამოვექომაგოთ. ერთმანეთში არ უნდა აეურიოთ. მათ სხვადასხვა ხასიათი აქვთ. მათ არაფერი აქვთ საერთო, გარდა სახელისა. განა შემზარავი დანაშაული არ იქნებოდა, ოლიმპია, ეს წესიერი ქალი ბოძზე მხოლოდ იმიტომ გადავეყრა, რომ კიდევ სხვა გარყენილი ოლიმპიაც არსებობდა. ასეთი სამართალი მთელს ქვეყანაზე უთუოდ არეულობას გამოიწვევდა და ბრალიანცა და უბრალოც ერთ ტაფაში მოექცეოდა. ბევრ რაიმეზე, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, შემწყნარებლობას იჩენენ ხოლმე, ასეთსავე შემწყნარებლობას უნდა იჩენდნენ აგრეთვე კომედიისადმი და იწონებდნენ ზნეობისა და პატიოსნების მქადაგებელ პიესებს.

მე ვიტყვობ ისეთი ნატიფი აზროვნების ადამიანებს, რომლები! თვისაც ყველა კომედია მიუღებელია. ისინი ფიქრობენ, რომ პიესაში რაც უფრო მეტად არის პატიოსნებაზე ლაპარაკი, მით უფრო სახიფათოა, რომ მასში გამოხატულ გრძნობებს მით უფრო დიდი ზემოქმედება აქვს, რაც უფრო კეთილშობილურია და რომ ამგვარი წარმოდგენა მაყურებლის გულში გამოთახილს პოულობს. მე მკრეხელობად არ მიმაჩნია, კეთილ გრძნობებს რომ თანუგრძნონ. ეს საფეხური ქველმოქმედებისა, — სრული უსულგულობა, — რომელზედაც ამ ადამიანებს ჩვენი სული უნდათ რომ აიტანონ, მეტისმეტად მაღალი ხომ არ არის? მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ასეთი სრულქმნილება ადამიანის ბუნებისათვის ხელმისაწვდომი იყოს. განა ის უფრო გამართლებული არ არის, ჩვენი გულმოდგინება და შრომა არ დავიშუროთ კაცთა ენებათაღელვის დასაცხრობად და განსაწმენდად, ვიდრე მის აღმოსაფხვრელად? მე ვღიარებ, რომ არის ადგილები, რომელთა ხშირად მონახულება უფრო მისასალმებელია, ვიდრე თეატრისა. თუკი უყოყმანოდ უნდა დავეძმით ყველაფერი, რაც ღმერთსა და ჩვენი სულის გადარჩენას არ ემსახურება, მაშინ კომედია იმათ რიცხვში უნდა ჩავთვალოთ და წინააღმდეგ, როგორ ვიქნები, თუკი იმასაც სხვებთან ერთად დაგმობენ. მაგრამ თუკი დაეუშვებთ რომ ღმერთისმსახურების შემდეგ, და ეს ნამდვილად ასეც არის, ადამიანმა უნდა შეისვენოს და თავი რაიმეთი გაართოს, მე ვებღაღვ და ვამტკიცებ, რომ კომედიაზე კარგი გასართობი არც არსებობს და ვერც მონახავთ. მაგრამ ძალიან შორს წავედი. მე მინდა ჩემი საუბარი დიდი მთავრის ამ სიტყვებით დავამთავრო, კომედია „ტარტიფი“ რომ თქვა.

კომედიის აკრძალვიდან ერთი კვირის შემდეგ სასახლეში პიესა „სკარამუშ-განდგილი“ წარმოდგინეს. წარმოდგენის შემდეგ მეფემ დიდ მთავარს უთხრა: „ნეტავი გამაგებინა, მოლიერის კომედიით შეურაცხყოფილნი სკარამუშზე რატომ არიან ზუმად?“ რაზეც მთავარმა ასე უპასუხა: ამის მიზეზი ის არის, რომ სკარამუშზე დაწერილ კომედიაში გამასხრებულთა და რელიგია, რომელიც ამ ბატონებს სულაც არ ეკითხებათ, ხოლო მოლიერის კომედიაში თვით ეს ბატონები არიან გამასხრებულნი და ამას კი, აბა, როგორ აიტანენო.

ხელმწიფო!

რადგან კომედიის დანიშნულება ადამიანების გართობა და მათი გამოსწორებაა, ვიფიქრე იმაზე უფრო ღირსეულს რას ვიზამ, ჩემი საუკუნის მანკიერ მხარეებს თუ გავამასხრებ და თავს დავესხმი-მეთქი. და რახან ფარისევლობა უთუოდ ყველაზე მეტად გავრცელებული, შემაწუხებელი და საშიში მანკიერებაა, მე, თქვენო უდიდებულესობავ, ვიფიქრე, თქვენს სამეფოში პატროსან ადამიანებს მცირე სამსახურს არ გავუწევ-მეთქი, თუკი ისეთ კანკიას შეექმნი, სადაც გამთარახებულნი იქნებიან ფარისეველნი და როგორც წესი და რიგია, სააშკარაოზე გამოტანილი იქნება ამ ფრიადმორწმუნეთათვის ჩვეული მანკეა-გრეხა და იღუმალი ხრიკები ამ ყალბი ღეთისმოსავეებისა, რომლებიც ცდილობენ ადამიანებს თავბრუ დაახვიონ ღეთისმოსავეის თვალთმაქცური გულმხურვალებითა და მოჩვენებითი ქველმოქმედებით.

მე შევთხზე ასეთი კომედია, თქვენო უდიდებულესობავ, შევთხზე, ჩემის აზრით, მთელის იმ გულმოდგინებითა და წინდახედულებით, რასაც ეს სათუთი თემა იმსახურებდა. რომ არ შემერყუა ის პატივისცემა და რესპექტაბელურობა, რომლითაც გარემოსილნი არიან ქვეშაირტად ღეთისმოსავი ადამიანები, მე, როგორც შემეძლო, ხაზი ისე გავუსვი განსხვავებას მათსა და ჩემს მიერ დახატულ ხასიათებს შორის. მე თავიდან ავირიდე თრაზროვნება და არავის მივეც საბაბი ერთმანეთში აერიათ ბოროტი და კეთილი, ჩემი სურათები ექსპრესიული საღებავებითა და მკაცრი ხაზებით არის შესრულებული, რაც საშუალებას იძლევა ერთბაშად შევიცნოთ ნამდვილი და პირწაყარდნილი ფარისეველი.

მაგრამ ჩემი წინდახედულება მაინც ფუჭი აღმოჩნდა; ზოგმა, თქვენო უდიდებულესობავ, ბოროტად გამოიყენა ის, რომ თქვენ გულთან ახლოს მიგაქვთ ყველაფერი, რაც ღეთისმოსაობას ეხება და თქვენი გული რომ მოენადირებინა, ამ ერთადერთ საშუალებას მიმართა — მე მხედველობაში მაქვს თქვენი მოწიწება უფლის წინაშე. ტარტიუფებმა შეძლეს თქვენი უდიდებულესობის ნდობა დაემსახურებინათ და ორიგინალებმა ასლის აკრძალვას მიადრწიეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასლი კეთილი განზრახვით არის შექმნილი და როგორც ამბობენ, ზუსტიც გახლავთ.

ამ თხზულების აკრძალვა ჩემთვის მეტად საგრძნობი დარტყმა იყო და ეს მწუხარება მხოლოდ იმან შემიმსუბუქა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ იხედა და განმმარტა მომხდარი ამბავი. მე ვფიქრობდი, კმუნჯის მიზეზი არ უნდა მქონოდა, რამეთუ თქვენმა უდიდებულესობამ სულგრძელად განაცხადა, რომ ჩემს კომედიაში ცუდს ვერაფერს ხედავდა, თუმცა საჭაროდ წარმოდგენას მაინც კრძალავდა.

და მაინც, მთელს ქვეყანაზე უდიდესი და უგანათლებლესი მეფის ამ შესანიშნავი სიტყვების მიუხედავად, მიუხედავად ბატონი ლეგატისა და ჩვენი პრელატების უმრავლესობის მოწონებისა, თქვენი უდიდებულესო-

ბის აზრი რომ ერთსულოვნად გაიზიარეს, როცა მათ ჩემი თხზულება განსაკუთრებულ გარემოებაში წავუკითხე, მიუხედავად იმისა, გამოდის ვილაც კიურეს წიგნი, სადაც საჭაროდ უარყოფილია უზენაეს პირთა ზემოთ მოხსენიებული მოსაზრებანი. რა აზრიც არ უნდა ჰქონდეს გამოთქმული თქვენს უდიდებულესობას, რა აზრისანიც არ უნდა იყვნენ ბატონი ლეგატი და პრელატები, ის მაინც იმას ფიქრობს, რომ ჩემი კომედიაც (სცენაზე არცა აქვს ნანახი, ისე) და ჩემი აზრებიც სატანური; რომ მე მართალია, კაცის სახე და სხეული მაქვს, მაგრამ უწმინდური სულის პატრონი, უღვთო და ურწმუნო კაცი ვარ და სამავალითო სიკვდილს ვიმსახურებ. თურმე ისეთი ცოდვები მაქვს ჩადენილი, რომ კოცონზე საჭაროდ დაწვაც კი არაფერი ყოფილა ჩემთვის. ეს თავგამოდებული და კეშმარიტი ღვთისმოსავი უფრო შორს მიდის: მე თურმე ღირსი არა ვარ ღვთის წყალობისა და გადაჭრით მოითხოვს, რომ სამუდამოდ შემაჩვენონ და ეკვიც არ ეპარება, რომ ეს ასეც იქნება.

ეს წიგნი თქვენს უდიდებულესობას წარუდგინეს და ახლა, ხელმწიფეო, თქვენვე ძალგიძთ განსაჯოთ, ამ ბატონებისაგან გამუდმებული შეურაცხყოფის ატანა ჩემთვის თუ რაოდენ ძნელი იქნება, თუ ხალხის თვალში რა ზიანს მომიტანს მათი ასეთი ცილისწამება, რომელსაც იძულებული ვიქნები გავუძლო, და თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩემთვის იმას, რომ ბრალდება თავიდან ავიცილო და მაყურებელს დავეუმტკიცო, რომ ჩემი კომედია სულაც არ არის ის, რასაც არქმევენ. მე არ მინდა თქვენს უდიდებულესობას მოვახსენო თუ ჩემთვის რა იქნებოდა სასურველი, ჩემს რეპუტაციას ჩრდილი რომ აღარ მისდგომოდა და ჩემი თხზულების უღანაულობაში საჭაროდ რომ დავრწმუნებულყოფიყავით. ისეთ უგანათლებულეს მონარქებს, თქვენ რომ ბრძანდებით, ხელმწიფეო, იმას არ კარნახობენ, რასაც მათგან მოვლიან; ისინი ღმერთების მსგავსად თვითვე ხედვებან თუ რა გვჭირდება და ჩვენზე უკეთ იციან თუ რა წყალობა მოიღონ. ჩემთვის ისიც დიდი ნუგეშია, რომ ჩემს სურვილებს თქვენს უდიდებულესობას ვანდობ და ყველაფერს მოწინააღმდეგებით შევხედები, რასაც ამის გამო ინებებთ და ბრძანებთ.

მ ე ო რ ბ ე ო ს ო ვ ნ ა უ მ ყ ყ ნ ა რ ბ ი ს ა

მართმეული მეფისათვის ბანაკში ქალაქ ლილთან, ფლანდრიაში

ხელმწიფეო!

ჩემის მხრივ დიდი თავხედობაა, რომ ვებდავ და თავს ვაბეზრებ დიდ მონარქს მისი ძლევამოსილი ლაშქრობის დროს, მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელშიც მე აღმოვჩნდი, სად უნდა ვეძებო მფარველობა, ხელმწიფეო, თუ არა იქ, სადაც ვეძებ? ვის უნდა ვთხოვო, რომ ჩემს შემავიწროებელ ძალაუფლებას წინ აღუდგეს, თუ არა ძლიერებისა და ძალაუფლების წყაროს, თუ არა უმაღლესი კანონიერების სამართლიან სჯულმდებელს, თუ არა უზენაეს მსაჯულსა და მბრძანებელს?

ჩემს კომედიას, ხელმწიფეო, არ ეწერა თქვენი უდიდებულესობის წყალობა რომ დავმსახურებინა, მას არც იმან უშველა, რომ ფ ა რ ი ს ე - 560

ველი დავარქეი და მთავარი პერსონაჟი მაღალი წრის კაცივით გამოეაწყეო მერე რა არის, რომ პატარა ქული დაეხურე და გრძელ თმას ატარებს, რომ განიერი საყელო აქვს, დაშნა ჰკილია და მაქმანებიათი კამზოლი აცეია, რომ კომედიაში ზოგიერთი ადგილი შეეარბილე და ამოვილე ყველაფერი, რაც, ჩემის აზრით, ჩემს მიერ დახატული პორტრეტის ღრმადპატივცემულ ორიგინალებს იმის მცირე საბაბადაც კი არ გამოადგებოდათ, რომ რაიმე ხელზე დაეხვიათ. მაგრამ ამან ვერაფერი სამსახური გამოიწია.

მთელი მათი კრებული აიშალა, მათთვის უბრალო იქვიც კი საკმარისი გამოდგა. მათ საშუალება გამონახეს ემოქმედათ იმათ გონებაზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში უკან არ დაიხედდნენ და ყველას გასაგონად იტყოდნენ, ჩვენ სხვას ყურს არ ვუგდებთო. როგორც კი ჩემი კომედია სცენაზე წარმოადგინეს, მას რისხვით თავს დაატყდა ხელისუფლება, რომელიც შეუძლებელია პატივს არ იმსახურებდეს; ასეთ გარემოებაში, თავს დატეხილი ქარიშხალი რომ ამეშორებინა, ისლა შევიქმელ მეტქვა, ჩემი კომედის წარმოდგენა სცენაზე მისმა უდიდებულესობამ ინება და ამიტომ საჭიროდ აღარ მივიჩინე კიდევ სხვას დაეკითხებოდი, რადგან პიესის წარმოდგენა მხოლოდ მის მიერ იყო აკრძალული-მეტქი.

მე ექვიც არ მეპარება, ხელმწიფეო, რომ ჩემს კომედიაში გამოყვანილი ადამიანები შეძლებენ და თქვენს გარშემო მრავალ ძაფს გააბამენ და როგორც ეს არაერთხელ უქნიათ, ახლაც გადაიბირებენ მრავალ ქეშმარიტ ღვთისმოსავ ადამიანს, რომელთა მოტყუება ადვილია, რამეთუ სხეებზეც თავისი თავის მიხედვით მსჯელობენ. ისინი მიეჩვივნენ, ხელოვნებაში თავიანთი ნამდვილი ზრახვანი რომ შეალამაზონ. რა ოსტატურადაც არ უნდა ინიღბებოდნენ, ცხადია, ღვთის სამსახური არ ამოძრავებთ: ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მათი გულგრილობა სხვა კომედიების მიმართ, რადგან მათი მრავალგზის საჯაროდ წარმოდგენის მიუხედავად ერთხელ მცირე უმაყოფილებაც კი არ დასცდენიათ. თუმცა იმ კომედიებში ღვთისმოსაობასა და რელიგიას ესხმოდნენ თავს, მაგრამ ისინი ამას არ აუღელეებია. ჩემი კომედია კი მათ ესხმის თავს, მათ დასციინის და ეს არ უნდათ რომ აიტანონ. ისინი ვერასოდეს მაპატიებენ, სააშკარაოზე მათი ფარისევლობა რომ გამომაქვს. თქვენს უდიდებულესობას, ამ კომედით ყველა აღშფოთებულთაო რომ მოახსენებენ, ამაში ექვიც არ მეპარება. ქეშმარიტება კი, ხელმწიფეო, იმაში მდგომარეობს, რომ მთელი პარიზი მისი აკრძალვით არის აღშფოთებული, რომ უმკაცრესი შეხედულებების ადამიანებმა იგი სასარგებლოდ მიიჩნიეს და გაკვირვებულნი არიან, წესიერებით ცნობილმა პიროვნებებმა როგორ გამოიჩინეს ასეთი შემწყყნარებლობა იმათ მიმართ, რომლებიც ყველგან ზიზღს იმსახურებენ და არაფერი აქვთ საერთო იმ ქეშმარიტ ღვთისმოსაობასთან, ისინი რომ იჩემებენო.

მე მოკრძალებით დაველოდები იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც თქვენი უდიდებულესობა ინებებს და ამ საგანზე გამოიტანს, მაგრამ ექვი არ არის, ხელმწიფეო, რომ თუკი ტარტიუფები გამარჯვებას იხეიმებენ, კომედიების წერაზე ხელი უნდა ავიღო, რადგან ეს მათ საუფუძველს მისცემს

36. ფრანგული დრამა

შემავიწროვონ და ჩემი კალმით ქალღმერთს გადატანილი გულუბრყვილო სიტყვაც კი ხელზე დაიხვიონ.

მოიღეთ მოწყალეობა, ხელმწიფეო, და დამიფარეთ მათი სასტიკი მრისხანებისაგან, რადგან მე ძალმიძს ესოდენ სახელოვანი ლაშქრობიდან დაბრუნებული, გამარჯვებებით დაღლილი, გმირულად ნაშრომი და ნაღვაწი მეფისათვის მოვაწყო გულუბრყვილო გართობა და გაეცინო მონარქი, როგლის წინაშეც მთელი ევროპა კანკალებს და თრთის.

მ მ ს ა მ ე თ ხ ო ვ ნ ა შ ე ჯ ყ ნ ა რ ე ბ ი ს ა

მართმეული მეფისათვის

ხელმწიფეო!

ერთი უპატიოსნესი ექიმი, რომელთანაც პატივი მაქვს მკურნალობისა, მპირდება და მზად არის თავისი დაპირება ხელწერილით დამიდასტუროს, რომ მისი ხელშეწყობით კიდევ ოცდაათ წელიწადს ვიცოცხლებ, თუკი თქვენს უდიდებულესობას მისთვის მოწყალეობას შემოგვედრებო. დაპირებაზე ასე ვუპასუხე: ოცდაათი წელიწადი მეტისმეტია და თუკი იმ ქვეყანაში ვადაზე ადრე არ გამისტუმრებ, დიდი მადლობელი ვიქნები-მეთქი. ხოლო მოწყალეობას რაც შეეხება, ხელმწიფეო, ვენსენში თქვენი სამეფო კაპელის წინამძღვრის თანამდებობა სურს, წინამძღვრის გარდაცვალების შემდეგ რომ განთავისუფლდა.

გაკებდო და თქვენს უდიდებულესობას კიდევ ეს მოწყალეობაც ვთხოვო ტარტიუფის აღდგენის ამ ღირსშესანიშნავ დღეს, თქვენის ნებართვით რომ სული ჩაედგა? პირველმა მოწყალეობამ ფარისევლებს შემარიგა, მეორე მოწყალეობა კი მკურნალებთან შემარიგებდა. ამდენი წყალობა ჩემთვის ერთად, რა თქმა უნდა, მეტისმეტია, მაგრამ იქნებ თქვენი უდიდებულესობისათვის არ იყოს მეტისმეტი, ამიტომ ჩემს თხოვნაზე პასუხს უღრმესი პატივისცემითა და იმედით დაველოდები.

მომხმედი პირნი

ქ-ნი პერნელი, ორგონის დედა.

ორგონი, ელმირის ქმარი.

ელმირი, ორგონის ცოლი.

დამისი, ორგონის შვილი.

მარიანი, ორგონის ქალიშვილი და ვალერის შეყვარებული.

ვალერი, მარიანის შეყვარებული.

კლეანტი, ელმირის ძმა.

ტარტიუფი, ფარისეველი.

დოტონი, მარიანის მოახლე.

ბ-ნი ლოიალი, სასამართლოს აღმასრულებელი.

ოფიცერი.

ფლიპოტი, ქ-ნი პერნელის მოახლე.

მოქმედება წარმოებს პარიზში, ორგონის სახლში.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

ქ-ნი პერნელი, ელმირი, მარიანი, დორინი, ღამისი,
კლენტი, ფლიპოტი

ქ-ნი პერნელი

წავიდეთ, ფლიპოტ, გავეცალოთ აქაურობას.

ელმირი

თქვენ ისე ჩქარობთ, მოგდევთ, მაგრამ ველარ გეწევით.

ქ-ნი პერნელი

დაბრუნდით უკან, ჩემო რძალო, ნულარ მომყვებით.

აქ დარჩით, თქვენი გაცილება არა მჭირდება.

ელმირი

რას ბრძანებთ, ჩვენი ვალი არის ასე მოვიქცეთ,
მაინც რა მოხდა, ასე მალე რად მიბრძანდებით?

ქ-ნი პერნელი

იმიტომ მივალ, რომ ამ სახლში ველარ მოვიციდი,
აქ არვინ ცდილობს, რომ ცოტათი მასიამოვნოს.
დიახ, მივდივარ თქვენგან ძალზე გულამღვრეული.
ვატყობ, აქ ჭკუის დამრიგებლად არვის ვუნდივარ,
არც პატივს მცემენ და ყვირილით ლაპარაკობენ,
არა, ეს სახლი კი არ არის, საგიჟეთია.

დორინი

კი, მაგრამ...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ჩემო მშვენიერო, თქვენ კი მოახლე
ბრძანდებით ურცხვი მეტისმეტად და თავგასული,
გაგიტლევიათ ეგ ენა და ყველგან ეჩრებით.

დ ა მ ი ს ი

ხო, მაგრამ...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

შენ კი ჩერჩეტი ხარ, ჩემო ბიჭიკო,
მე გეუბნები, გესმის, ამას შენი დიდება,
ჩემს ვაჟს, მამაშენს ბევრჯერ ვუთხარ შენზე, მიხედე,
თავი აიშვა, გათავებდდა და უტიფარი
ბოლოს სიცოცხლეს მოგიწამლავს, შეგარცხვენს-მეთქი.

მ ა რ ი ა ნ ი

მე კი მგონია...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

დმერთო ჩემო, და ესარჩლება,
მოკრძალებული ქალიშვილი, სათნო და ჩუმი.
იმ მდინარისა გეშინოდეთ, რომ არ ხმაურობს,
ამბობენ, კარგი მუზმუზელა ბრძანდებით თურმე.

ე ლ მ ი რ ი

კი, მაგრამ, ნუთუ, დედაჩემო...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ნუ გეწყინებათ,
რასაც მე გეტყვით, ჩემო რძალო, მაგრამ იქცევით
ცუდად, ეგ თქვენი საქციელი სამაგალითო
ვერ არის მათთვის, ცხონებული ამათი დედა
სხვა ქალი იყო, გული მტკივა, როცა გიყურებთ,
ფულს რომ ფლანგავთ და კაბებს იცვლით დედოფალივით.
ვინც საკუთარ ქმარს თავს აწონებს მხოლოდ და მხოლოდ,
ის ქალი ასე არასოდეს მოიპრანჭება.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

თქვენ კი, ბატონო,

თუმცა მიყვარხართ და გეპყროხით პატივისცემით,

მაგრამ მე მაინც ჩემი ვაჟის ადგილზე ალბათ

თქვენნაირ სიძეს ოჯახში არ შემოვუშვებდი:

ამ ცხოვრებაზე ისეთ აზრებს ქადაგებთ ხოლმე,

რომ მოგერიდოთ უნდა კაცი პატიოსანი.

ამას გულწრფელად გეუბნებით, რა ვქნა, ასეთი

ხასიათი მაქვს, ვერ დავმაღავ, რაც სათქმელია.

დ ა მ ი ს ი

როგორც ჩანს, წმინდა მხოლოდ თქვენი ტარტიუფია...

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

იგი ღირსია მოუსმინოთ პატივისცემით

და თქვენისთანა სულელმა რომ ასე აუგად

მოიხსენიოს, ამას მე ვერ შევუვრიდებდი.

დ ა მ ი ს ი

როგორ? მე იმას შევუვრიდებ, ვილაც თვალთმაქცი

და მუზმუზელა ტირანივით გამომეჭიმოს?

და ჩემს ოჯახში იმის შიშით, ეს ვაჟბატონი

ვიდრე არ დამრთავს ნებას, ისე ვერ გავიციხო?

დ ო რ ი ნ ი

რომ ირწმუნოს და იმის აზრებს რომ აჰყვეს კაცი,

ყოველ ნაბიჯზე დანაშაულს ჩაიდენს მხოლოდ.

მოვა და ყველას გულმოდგინედ ჰკუთას გვარიგებს.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

სწორად იქცევა, რომ ყველაფერს თვალყურს ადევნებს

და დაჟინებით გიქადაგებთ უფლის სამსახურს;

ჩემს ვაჟს ის უჯობს, ტარტიუფი რომ შევაყვაროთ.

დ ა მ ი ს ი

დიდედაჩემო, მე ვერც სხვა და ვერც მამაჩემი
ვერ მაიძულებს და ტარტიუფს ვერ შემაყვარებს;
აბა, რად მინდა, ტყუილი რომ ვილაპარაკო:
მე მძულს იმისი მანჭვა-გრეხა და საქციელი,
ერთ მშვენიერ ღლეს მოთმინება დამეკარგება
და ამ უტიფარს სამუდამოდ თავს დავახსოვებ.

დ ო რ ი ნ ი

გული გაგისკდეს შეიძლება, როდესაც ხედავ,
რომ შენს სახლს ვიღაც მოთრეული ეპატრონება.
თავი დაგვიკრა ფეხშიშველმა და მაწანწალამ,
არ სცმია გროშის საღირალი. ტანისამოსი,
ის აღარ ახსოვს, აღარავის არ ეპუება,
თავის ღუდუკზე უნდა ახლა რომ გვათამაშოს.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ოჰ, ეს რა მესმის! საქმე უკეთ წაგივიდოდათ,
თუ ამ წმინდანის ქადაგებას ყურს დაუგდებდით.

დ ო რ ი ნ ი

თქვენ გეჩვენებათ, თქვენთვის არის იგი წმინდანი,
მერწმუნეთ, მისი წმინდანობა თვალთმაქცობაა.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ოჰ, რა ენა აქვს!

დ ო რ ი ნ ი

ვერც იმას და ვერც იმის მსახურს
ვერ ვენდობი და ვერც თავდებად ვერ დავუდგები:

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

არ ვიცი, აბა, მსახურისა რა მოგახსენოთ,
იმის პატრონს კი მზადა ვარ რომ გამოვესარჩლო.
თქვენ ის იმიტომ შეიძულეთ და გეზიზღებათ,
რომ პირში გითხრათ სიმართლე და არ მოგერიდათ;

ის ქვეყანაზე უზნეობას ვერ ეგუება
და მხოლოდ უფლის ნება-სურვილს ემორჩილება.

დო რ ი ნ ი

თუ ასე არის, ამ ბოლო დროს ვერ გაუვლია
კაცს ჩვენა ოჯახში, რას უშავებს, აბა, სტუმარი?
ღმერთის გმობაა ღირსეული კაცის სტუმრობა?
თავებელს იმიტომ გვაწყვევლინებს გაათვრებული?
დღეს მოგვიყრია შინაურებს თავი და ვიტყვი:
(ელმირზე ანიშნებს.)

მე მგონი, უნდა ქალბატონზე ექვიანობდეს.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

გაჩუმდით-მეთქი, დაუფიქრდით, რას ლაპარაკობთ.
ის ფუსფუსი და ღრიანცელი, გამოწვეული
სტუმრიანობით, მხოლოდ მას არ აღიზიანებს.
ჩამწკრივებული კარეტები ჭიშკართან დგანან
და თავშეყრილი მსახურების ორომტრიალი
არის ქცეული მთელი ქვეყნის სალაპარაკოდ.
განა არ ვიცი, არაფერი არა ხდება რა,
მაგრამ ხომ ხედავთ, ხალხმა მაინც ყბად რომ აგკალო.

ქ ლ ე ა ნ ტ ი

როგორ? თქვენ გინდათ, ხალხმა აღარ ილაპარაკოს?
ჩვენი ცხოვრება იქნებოდა აუტანელი,
თუკი საყვარელ მეგობრებზე უარს ვიტყოდით
იმის გამო, რომ ჩვენზე აღარ ელაპარაკათ.
რომც შეძლოს ვინმემ და ქვეყანას განზე განუდგეს,
განა ის ამით გააჩუმებს ხალხს და ქვეყანას?
ავსიტყვაობას კაციშვილი ვერ გაექცევა;
გულთან არ უნდა მივიტანოთ უაზრო ჭორი
და პატიოსნად გავატაროთ წუთისოფელი,
ყბედმა რაც უნდა ისა თქვას და ილაპარაკოს.

დო რ ი ნ ი

ჯან ამბობს? ჩვენი მეზობლები, დაფნე და მისი

პატარა ქმარი იქნებ ჩვენზე ავსიტყვაობენ?
სხვას ის უძრახავს საქციელს და სხვას ის დასცინის,
ყველაზე მეტად ვისი ქცევაც დასაძრახია.
მიგიხვდებიან მაშინათვე თუ უნაზესი
გრძნობა რაიმე გიციმციმებს სულის კუნჭულში;
გაგივრცელებენ, ხელზე სწორედ მას დაიხვევენ
და როგორც უნდათ, მერე ისე ატრიალებენ.
შელამაზებულ სხვის საქციელს და ნამოქმედარს
გადიბრალებენ და თავისად გაასადებენ.
თავიანთ ცოდვებს მიჩქმალავენ, ხალხში გამოვლენ,
კეთილშობილი კაცის ნიღაბს აიფარებენ
და თავზე ხალხის მრისხანებას სხვებს დაატეხენ,
მაშინ როდესაც ამის ღირსნი თვითონ არიან.

ქ- ნ ი პ ე რ ე ლ ი

ეგ ლაპარაკი, ჩემის აზრით, უადგილოა;
ორანტი მეტად ღვთისმოსავი, პატიოსანი
ქალი რომ არის, ყველას კარგად მოეხსენება
და, როგორც მითხრეს, რაც აქ ხდება, არც იმას მოსწონს.

დ ო რ ი ნ ი

ღიახ, სიწმინდის მისაბაძი მაგალითია
ეს ქალბატონი იგი ცხოვრობს: მონაზონივით;
და ამ სიწმინდის მიზეზია მხოლოდ ასაკი,
დამცხრალ სხეულში შაცხოვარმა დაისადგურა.
სანამ სუყველას სილამაზით აჯადოებდა,
არ გაურბოდა ამქვეყნიურ სიამოვნებას.
ახლა თვალემა ძველებურად აღარ უბრწყინავს
და აღარც თავზე ევლებიან ფარვანასავით,
ჭკუა იხმარა და პირბადე ჩამოიფარა,
რომ დაემალა სილამაზე გახუნებული.
ასე ექცევა ლამაზმანებს ჟამი ვერავი,
გული უკვდებათ, როს მიჯნურნი ზურგს შეაქცევენ,
დაობლებულნი არიან და უნუგეშონი;
ლოცვლა რჩებათ — ერთადერთი გამოსავალი.
მერე არავის არ ინდობენ, ფარისევლებად

გადაქცეული ეს ქალები და ყოველივეს
ამათრახებენ, სხვის საქციელს გამობენ, კიცხავენ,
შურთ და იმიტომ, ჩვენი სულის გადარჩენაზე
კი არ ფიქრობენ, შურთ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი
არის ის, რასაც სამუდამოდ გამოეთხოვენ.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

(ელმირს)

აი, ასეთი მოგწონთ თურმე დედაკაცური
ენის ჭარტალი, აქ ხმა როგორ ამომეღება:
აქ ზის და ენას აჭარტალებს ეს ქალბატონი.
მაგრამ დღეს ყური მე დამიგდეთ, ჩემი ჭერია:
მაშინ გადადგა ჩემმა ვაჟმა ბრძნული ნაბიჯი,
როცა ოჯახში ეს წმინდანი შემოიყვანა.
თქვენს მოსაქცევად მოგვივლინა უფალმა იგი,
გზააბნეულებს რომ გიჩვენოთ გზა ჭეშმარიტი.
თქვენი სულები უნდა იხსნას, ყური დაუგდეთ,
რა გაუკიცხავს, გასაკიცხი რაც არ ყოფილა?
ეს მეჭლისები, გართობები, წვეულებები
ეშმაკისაა და ეშმაკის მოგონილია.
იქ უფლის სიტყვა უწმინდესი არავის ახსოვს,
მხოლოდ უაზროდ მღერიან და ლაზღანდარობენ,
ახლობელიც კი არა რჩებათ გაუკილავი.
დარბაისელი ვინც არის და წინდახედული,
იმას უთუოდ შეაწუხებს ის თავყრილობა.
დგანან და ყველას დასცინიან ტყუილუბრალოდ,
იქ, როგორც ერთმა ღვთისმეტყველმა თქვა მოხდენილად,
თითქოს მეორედ მოსვლა არის, გადუწყვეტიათ
ენის აღრევა, ბაბილონი რომ დაანგრეონ.
მე მსურს მოგითხროთ სიტყვა-სიტყვით, რაც მან მომიტხრო...

(კლემენტე ანიშნებს)

ჩემს ლაპარაკზე ეცინება, ხედავთ, ვაჟბატონს!
მიბრძანდით, გიჟი, რომ გაგართოთ, სხვაგან მონახეთ.

(ელმირს)

თუმცა... მშვიდობით, ჩემო რძალო, მე აღარაფრის
თქმას არ ვაპირებ, სანახევროდ გაუფასურდა

ჩემთვის ეს სახლი, აქ ფეხს დიდხანს აღარ მოვადგამ.

(ფლიპოტს სილას გააწნავს.)

შეხედეთ ერთი, ბუზებს ითვლის, დასწყევლოს ღმერთმა,
ყურებს აგახვე და ახლავე გამოგაუხიზლებ.

შე, ნეხვო, ფეხი გამოადგი!

გამოსვლა მორა

კლეანტი, დორინი

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე ვერ გავყვები.

რა ვიცი, როდის წამოუვლის და გამომლანძღავს
ეს ბებრუცუნა...

დ ო რ ი ნ ი

ოჰ! ნამდვილად დასანანია,
თქვენი ნათქვამი მან ახლა რომ ვერ გაიგონა:
უთუოდ შავ დღეს დაგაყრიდათ, მე იმ ასაკის
სულაც არა ვარ, ბებრუცუნა დამიძახოთო.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ტყუილ-უბრალოდ გაგვიბრაზდა! ეს ტარტიუფი
მაინც როგორი ღვთისმოსავი კაცი ჰგონია!

დ ო რ ი ნ ი

თქვენ ვაჟიშვილი უნდა ნახოთ, დედას რა უშავს;

შეილი დედაზე ბევრად უფრო უარესია.

მან სამსახური გაუწია მღელვარების ჟამს

მეფეს და დიდი ვაჟკაცობაც გამოიჩინა.

მაგრამ მას შემდეგ, ტარტიუფმა რაც დაახვია

უბედურს თავბრუ, ჩერჩეტივით დაიარება.

ტარტიუფს თავის ძმას ეძახის, თავს ურჩევნია,

დედაზე უფრო მეტად უყვარს, ცოლ-შვილზე მეტად,

ტარტიუფია მხოლოდ მისი მესაიდუმლე,

იმას უჯერებს, ეფერება, ფეხქვეშ ეგება

მხოლოდ ტარტიუფს; სხვებისაგან გამორჩეული
 ისა ჰყავს, პირში შესციცინებს და უხარია
 ის თუ იმდენს ჭამს, ექვსი კაცი ძლივს რომ ერევა.
 კარგი ნაჭრები იმას უნდა გადავულავოთ,
 ასე მოითხოვს და ბოყინი თუ აუვარდა,
 „ალალი! ღმერთმა შეგარგოსო!“ — ელაქუცება
 მისით აბოდებს, მისი კერპი ტარტიუფია
 და ტარტიუფზე იფიცება, იმას იმოწმებს;
 ყოველი მისი ნათქვამი და ნამოქმედარი
 სასწაულია; ტარტიუფი მიხვედრილია,
 თევზი ბადეში რომ გაება და სურს თვალები
 რომ აუხვიოს და გონება მთლად დაუბნელოს.
 გაიძვერობით ფულებს სცინცლავს და უფლება აქვს,
 ყველას ყურები აგვიწიოს მისი წყალობით.
 ტარტიუფივით გაქნილია მისი მსახურიც,
 ისიც ცხვირსა ჰყოფს ყველაფერში, ჭკუას გვარიგებს.
 დაგვეძგერება პირუტყვივით და ილანძღება,
 ძირს გვიყრის ბაფთებს, ფერ-უმარილს და სამკაულებს.
 ამ გაიძვერამ ცხვირსახოცი ნახა ფსალმუნში,
 ამოიღო და ლუკმა-ლუკმად აქცია ერთხელ.
 თან გვითხრა: ასეთ მკრეხელობას რად სჩადიხართო,
 წმიდათაწმიდა ბიწიერით რად წარწყმიდეთო.

გამოსვლა მისაგან

ელმირი, მარიანი, დამისი, კლენტი, დორინი

ელმირი

რომ არ წამოდით, კარგი ჰქენით, არ მოისმინეთ,
 მან რომ კარებთან გაგვიმართა, ის ლაპარაკი.

აი, მოვიდა ჩემი ქმარიც და რაკი იმან

ვერ შემამჩნია, ზევით ავალ და იქ მოეუცდი.

კლენტი

რომ შევიქციო ცოტა თავი, აქ დავუხვდები,
 მივესალმები ორგონს მხოლოდ, მერე კი წავალ.

დ ა მ ი ს ი

მამაჩემს სიტყვა ჩამოუგდოთ იქნებ ჩემი დის
ქორწინებაზე, ტარტიუფი ხელს უშლის მგონი
და მამაჩემიც ალბათ მიტომ აჭიანურებს.
თქვენ იცით, რად მსურს, ეს ამბავი რომ დაგვირგვინდეს.
ვით ძვირფასია ვალერისთვის ჩემი და, ისე
ძვირფასი არის და იმისი ჩემთვის და თუკი...

დ ო რ ი ნ ი

გაჩუმდით, მოდის.

გამოსვლა მეოთხე

ორგონი, კლენტი, დორინი

ო რ გ ო ნ ი

გამარჯობათ, ჩემს ქვისლს ვახლავარ!

კ ლ ე ა ნ ტ ი

მივდიოდი და კარგი არის, რომ მომისწარიოთ.
რა ხდება სოფლად, ხემ ყვაველი გამოითანა?

ო რ გ ო ნ ი

დორინ!...

(კლენტს)

ბოდიში მომიხდია, სიძე-ბატონო.
გთხოვთ, მომითმინოთ, გული მინდა რომ დავიმშვიდო,
და აქაური ამბები მსურს გამოვიკითხო.

(დორინს)

მშვიდობიანად ჩაიარა ორმა დღემ, დორინ?
რაა ახალი? როგორა ხართ? რას საქმიანობთ?

დ ო რ ი ნ ი

ქალბატონს სიცხე სალამომდე ჰქონდა გუშინწინ
და აწუხებდა საშინელი თავის ტკივილი.

ო რ გ ო ნ ი
როგორ ბრძანდება ტარტიუფი?

დ ო რ ი ნ ი
მშვენიერად არის,
ლოყები წითლად ულაქლაქებს, ხორცი ასკდება.

ო რ გ ო ნ ი
საწყალი კაცი!

დ ო რ ი ნ ი
დაეკარგა მადა ქალბატონს
და წუხელ ისე შეაწუხა თავის ტკივილმა,
რომ ვახშმად პირში ერთი ლუკმაც არ ჩაუღვია.

ო რ გ ო ნ ი
რას აკეთებდა ტარტიუფი?

დ ო რ ი ნ ი
კარგად ივახშმა,
მან ქალბატონის თანდასწრებით ორი კაკაბი
მოათავა და ცხვრის ბარკალიც ზედ დააყოლა.

ო რ გ ო ნ ი
საწყალი კაცი!

დ ო რ ი ნ ი
მთელი ღამე ისე გავიდა,
არ გაეკარა გაწამებულ ქალბატონს ძილი.
მადალმა სიცხემ შეაწუხა და ჩვენც დილამდე
იმის საწოლთან ვფხიზლობდით და გვერდით ვუჯექით.

ო რ გ ო ნ ი
როგორ მოიქცა ტარტიუფი?

დ ო რ ი ნ ი
სუფრიდან ადგა

და თავის ოთახს მიაშურა ძილმორეულმა.
საჩქაროდ ჩაწვა ლოგინში და გათენებამდე
ისე ეძინა, რომ ფეხი არ გაუნძრევია.

ო რ გ ო ნ ი
საწყალი კაცი!

დ ო რ ი ნ ი
როგორც იქნა, დავიყოლიეთ,
ცოტა სისხლი რომ გამოეშვა და ქალბატონმა
მაშინვე იგრძნო შეღავათი და გამოკეთდა.

ო რ გ ო ნ ი
როგორღა იყო ტარტიუფი?

დ ო რ ი ნ ი
არ შეუხვრია
წარბი ტარტიუფს ერთი წამით და ქალბატონის
გამოშვებული სისხლი სწრაფად რომ აღედგინა,
წითელი ღვინით საუზმეზე გამოიბრუჟა.

ო რ გ ო ნ ი
საწყალი კაცი!

დ ო რ ი ნ ი
ერთი სიტყვით, ახლა ორივეს
არა უშავთ რა; ქალბატონთან რახან მივდივარ,
ვეტყვი, რომ მისი ჯანმრთელობის აშბავი მკითხეთ.

გამოსვლა მახუთე

ორგონი, კლეანტი

კ ლ ე ა ნ ტ ი
იგი თვალბეჭში გიყურებთ და დაგცინით, ძმაო,
მე თქვენი წყენა განზრახული სულაც არა მაქვს,

სიმართლეს გეტყვით გულახდილად, განა ქცეულა
სადმე ასეთი საქციელი სალაპარაკოდ?
ამ ადამიანს რა ძალა აქვს, რა ჯადოქრობა,
რომ ყველაფერი დაგავიწყათ? იგი თქვენს ჰერქვეშ
გაჭირვებული შეიფარეთ, ბინა მიეცით
და იმ ზომამდე მიგიყვანათ...

ო რ გ ო ნ ი

ჩემო ცოლისძმავ,
გეყოფათ, ვისზეც ლაპარაკობთ, თქვენ სულ არ იცნობთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ნუ ვიცნობ, თუკი ასე გნებავთ, მაგრამ ხომ იცით,
ადამიანის გასაცნობად, ბოლოს და ბოლოს...

ო რ გ ო ნ ი

ჩემო ბატონო, რომ გაიცნოთ, მოიხიბლებით,
გავიხარდებათ მეტისმეტად. ის არის კარგი
ადამიანი... ერთი სიტყვით, ადამიანი!..
ვინც ყურს დაუგდებს იმის რჩევას, დაუბრუნდება
სულის სიმშვიდეს; ყველაფერი არარაობად
მოეჩვენება; სხვა კაცი ვარ მასთან ყოველი
საუბრის შემდეგ; ის მასწავლის, რომ არ ვინადვლო
აღარაფერზე. მიენიჭა თავისუფლება
ჩემს სულს და ახლა დამეხოცნონ თუგინდ ყველანი —
ძმა და ბავშვები, დედაჩემი, ჩემი მეუღლე,
მე ეს ამბავი, დამერწმუნეთ, არ ამალელებს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

აი, მოყვასის სიყვარულიც ასეთი უნდა!

ო რ გ ო ნ ი

ოჰ! ის რომ ისე შეგხვედროდათ, როგორც მე შემხვდა,
ეკვი არ არის, თქვენც ჩემსავით შეიყვარებდით.
ყოველდღე იგი მოდიოდა ეკლესიაში,
ჩემს სიახლოვეს იჩოქებდა და ლოცულობდა.

ის უფალს ისე გულმხურვალედ შექალაქდებდა, რომ თავშეყრილი მთელი ხალხი მას შეჰყურებდა. მუშტებს იცემდა გამეტებით, მწარედ ოხრავდა და ქვის იატაკს თავს ახლიდა თაყვანისცემით. წინ გამისწრებდა, ტაძრიდან რომ გამოედიოდი და კართან მდგომი აიაზმის წყალს მთავაზობდა. მსახურისაგან (პატრონს ჰგავდა ქცევით მსახურიც) როცა შევიტყვე, რა შეძლების პატრონიც იყო, მე დახმარება შევთავაზე, მან მოკრძალებით ნაწილი უკან დამიბრუნა. მითხრა: „ბატონო, მეტიმეტია, ნახევარიც საკმარისია, თქვენი წყალობის არა ვარო ღირსი ნამდვილად“. მერე ჩემს თვალწინ, რახან უკან არ გამოვართვი, ფული მათხოვრებს დაურიგა. ბოლოს და ბოლოს, დაეყოლიე ღვთის წყალობით, წამოვიყვანე შინ და მას მერე ჩემს ოჯახში ბედნიერებამ დაისადგურა. იგი ყველას თვალყურს ადევნებს, ჩემს ცოლს ექცევა უაღრესად პატივისცემით, მან მიმახვედრა, ვინ ვინ არის, თუ ვის უჭირავს თვალი ჩემს ცოლზე, ეჭვიანობს ის ჩემზე უფრო. ვერ წარმოიდგენთ კაცს იმაზე თავგადადებულს; თვითონ იბრალებს სულ უმცირეს დანაშაულსაც; სულის სიმშვიდე შეიძლება დააკარგვინოს რაღაც წვრილმანმა. ერთხელ ლამის თავი მოიკლა, რომ ელოტულობდი დაჩოქილი, რწყილმა მიკბინა, დაეკვირე და მოვკალიო გაბრაზებულმა.

ქ ლ ე ა ნ ტ ი

დასწყევლოს ღმერთმა! ჩემო ძმაო, გაგიყებულხართ! რას ლაპარაკობთ, დაუფიქრდით, ხომ არ დამცინით? იქნებ გგონიათ, რომ თქვენს ნათქვამ სისულელეებს...

ო რ გ ო ნ ი

თქვენს საუბარში არ იგრძნობა თავშეკაცება, თუმცა რად მიკვირს, სიყრმიდანვე ხომ ეგ ზნე გჭირდათ; მე თქვენთვის აღრეც ბევრჯერ მითქვამს და გიმეორებთ; კისერს მოიტეხთ, ბოლოს ხიფათს გადაეყრებით.

კ ლ ე ა ნ ტ ი

აი, ეგ არის თქვენნაირი ხალხის პასუხი: თქვენ გსურთ თქვენსავით ყველა იყოს დაბრმავებული. დაბრმავებული ვინც არ არის, თავხედს ეძახით; თავხედს ეძახით, ვინც არ არის ფარისეველი, ვისაც არა აქვს მონის სული, ის მკრეხელია. ბრძანეთ, მე თქვენი სიტყვებისა არ მეშინია: ღმერთი ჩემს სულში იმზირება და რასაც ვამბობ, ვამბობ გულწრფელად. თვალთმაქცობა ჩემთვის უცხოა, ცრუ ღვთისმოსავი მსგავსი არის ცრუ მამაციისა, მამაცი კაცი გულზე ხელებს არ იბრაგუნებს. ნამდვილ ღვთისმოსავს უსათუოდ გაჰყვება ხალხი, ხალხს ოინბაზი ვერასოდეს აიყოლიებს. ნუთუ სრულებით ვერ ანსხვავებთ ერთმანეთისგან ფარისევლობას და ჭეშმარიტ ღვთისმოსაობას? თქვენ გსურთ მოექცეთ ერთნაირად ან ამჯობინოთ ადამიანის ნამდვილ სახეს მისი ნილაბი? ან გულწრფელობას — თვალთმაქცობა? და ერთმანეთში რომ აურიოთ ნამდვილი და მოჩვენებითი? ან ბაჯალლო და ყალბი ფული? ადამიანი და მისი ლანდი? ჭეშმარიტად უცნაურია კაცის ბუნება, რომ როგორმე მისი ნამდვილი არ გაამჟღავნოს ხასიათი, იმის ცდაშია. გონების ვიწრო ჩარჩოებში გამომწყვდეულმა ზღვარი არ იცის და განზრახვა კეთილშობილი უფასურდება და ირყვნება, ნამოქმედარის გაზვიადება უყვარს რადგან, რომ ხალხის თვალში უფრო გამოჩნდეს... ჩემო სიძევ, ეს სხვათა შორის, რახან დღეს სიტყვამ მოიტანა, მიტომ გითხარით.

ო რ გ ო ნ ი

დიახ, რა გვეთქმის, განსწავლული კაცი ბრძანდებით, მთელს ცოდნას თავი მოუყრია თქვენს გონებაში; თქვენა ხართ ბრძენი ერთადერთი და მოციქული ჭეშმარიტების, კატონი ხართ ამ საუკუნის და ვინც გარშემო გახვევიათ, ყველა ბრყვივა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

არა, მე ბრძენი, ჩემო ძმაო, სულაც არა ვარ
და ჩემი თავი მთელი ქვეყნის ცოდნას არ იტევს.
მაგრამ ავ-კარგი გამეგება ჩემი საქმისა,
და ყალბისაგან ჭეშმარიტის გარჩევა ვიცი.
რამეთუ გმირებს ვერსად ვხედავ, პატივსაცემი
ის არის ახლა, ვინც წმინდანი კაცის ცხოვრებით
ცხოვრობს. ამქვეყნად უფრო მეტად კეთილშობილი
არა არის რა, ვიდრე წრფელი ღვთისმსახურება.
და საძულველი ჭეშმარიტად ის არის, როცა
გულმოდგინება უფლის მიმართ თვალთმაქცურია.
ეს თვალთმაქცები და ეს ბაზრის ოინბაზები
ღვთისმოსაობას თამაშობენ; განუკითხავად
სჩადიან ქვეყნად მკრეხელობას, ფეხით თელავენ
გრძნობას, რომელიც უწმინდესზე უწმინდესია.
ხელმძღვანელობენ ანგარებით, სარწმუნოება
მათთვის წყაროა შემოსავლის; სარწმუნოებით
ვაჭრობენ, უნდათ რომ ღირსება ფულით იყიდონ
ვითომცდა ცისკენ აპყრობილი თვალების ფასად;
მოჩვენებითი ალტყინებით ძირს ემხობიან,
და სამოთხეს და სასუფეველს აქ იმკვიდრებენ;
მეუღაბნოე ბერებივით ფსალმუნს გალობენ
და მეფის კარზე ეძიებენ განმარტობას.
ჩქმაღავენ თავის უზნეობას ღვთისმოსაობით,
არიან ფლიდნი, ღვარძლიანნი, უსინდისონი;
ეფარებიან ანაფორას, არ დაინდობენ
ქვეყნად არავის, ოღონდ თავი გადაირჩინონ.
და უფრო მეტად უღმობელნი მაშინ არიან
იარაღად რომ იყენებენ სარწმუნოებას;
თითქოს ებრძვიან ურწმუნოებს და ბოროტებას
სჩადიან ასე, წმინდა მახვილს სისხლით ღებავენ.
ახლა ასეთი თვალთმაქცები მრავლად არიან,
მაგრამ თუ კაცი ჭეშმარიტად რწმენის კაცია,
გამოიცნობა სულ ადვილად. ამ საუკუნემ
ჩვენ არაერთი პიროვნება წარმოგვიჩინა
სამაგალითო: არისტონი და პერიანდრი,

კიდევ ორონტი, პოლიდორი, ალსიდამასი,
კიდევ კლიტანდრი. დამერწმუნეთ, ღირსნი არიან
თაყვანისცემის; თავის ქება არ დასცდენიათ,
მათს ბრწყინვალეობას ჩრდილს ვერავე ვერ მიაყენებს;
იმათი რწმენა წმინდა არის და მიწიერი.
მათ ჩვენზე მსჯავრი არ გამოაქვთ, რადგან ვაითუ
ეს საქციელი ჩამოერთვათ ქედმაღლობაში.
ისინი სიტყვებს გაუბრძიან მაღალფარდოვანს,
მხოლოდ ქცევით და მხოლოდ მათი ნამოქმედარით
ჰკიცხავენ ჩვენსას; მათი რწმენა სულგრძელობაა,
სურთ დაინახონ, რაც კარგია ადამიანში.
ახლობელს ორმოს არ უთხრიან, არა ხლართავენ
ინტრიგების ქსელს; ღირსეულად იცხოვროს ყველამ,
ეგ არის მათი საზრუნავი; ცოდვილი არ სძულთ,
ცოდვის წყაროა საძულველი იმათთვის მხოლოდ;
არც უფლის ნებას არ გადავლენ უფლის მცველები,
გულმოდგინებით მამამერთს რომ გადაამეტონ.
ხალხი ის არის, მაგალითი სწორედ იმათგან
უნდა ავიღოთ; ტარტიუფი სულ სხვა კაცია:
ბევრჯერ შეასხით ხოტბა იმის გულმოდგინებას,
მაგრამ რაც ბრწყინავს, დამერწმუნეთ, ოქრო არ არის.

ო რ გ ო ნ ი

ჩემო ცოლისძმავ, კიდევ დაგრჩათ სათქმელი?

კ ლ ე ა ნ ტ ი

ღიახ.

ო რ გ ო ნ ი

თქვენი მონა ვარ, მიმსახურეთ.

(წასვლას დააპირებს.)

კ ლ ე ა ნ ტ ი

ღვთის გულისათვის,
შევეშვათ კამათს, მომისმინეთ, თქვენ ალბათ გახსოვთ,
ვალერს შეჰპირდით, რომ ქალიშვილს მიათხოვებდით?

ო რ გ ო ნ ი

ღიახ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

და მერე ქორწინების დღეზეც შეთანხმდით.

ო რ გ ო ნ ი

ასეა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

აბა, ქორწინება რად დაგვიანდა?

ო რ გ ო ნ ი

არ ვიცი.

კ ლ ე ა ნ ტ ი

თავში სხვა ფიქრი ხომ არ გიტრიალებთ?

ო რ გ ო ნ ი

გამორიცხული არც ეგ არის.

კ ლ ე ა ნ ტ ი

სიტყვას გადახვალთ?

ო რ გ ო ნ ი

მე ეგ არ მითქვამს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ჩემის აზრით, შეპირებული
რომ შეასრულოთ, არაფერი არ გელობებათ.

ო რ გ ო ნ ი

ვინ იცის.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ბევრი ეშმაკობა რა საჭიროა?
თქვენ რომ მენახეთ ამ საკითხზე, ვალერმა მთხოვა.

ო რ გ ო ნ ი

ძალიან კარგად მოქცეულა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

რა მოვახსენო?

ო რ გ ო ნ ი

რაც მოგესურვოთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მაგრამ ის ხომ აუცილებლად
უნდა ვიცოდე, რას აპირებთ? მაინც რას ფიქრობთ?

ო რ გ ო ნ ი

უფლის ნებაა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

გონიერულად ვილაპარაკოთ,
მიცემულ სიტყვას შეუსრულებთ ვალერს თუ არა?

ო რ გ ო ნ ი

მშვიდობით.

კ ლ ე ა ნ ტ ი

დღესვე უსათუოდ შევატყობინებ,
რაც აქ გავიგე, რომ ხიფათს არ გადაეყაროს.

მ ე ო რ ე მ ო ჭ მ ე მ დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

ორგონი, მარიანი

ო რ გ ო ნ ი

მარიანი

მ ა რ ი ა ნ ი

დიახ, მამაჩემო!

ო რ გ ო ნ ი

მომიახლოვდი,
ცოტა რამ მინდა საიდუმლოდ გითხრა.
(იყურება პატარა ოთახში.)

მ ა რ ი ა ნ ი

რას ეძებთ?

ო რ გ ო ნ ი

იქ ხომ არ არის ვინმე-მეტეი, მოხერხებული
ადგილი არის, შეუძლიათ ყური დაგვივდონ.
არა, არავენ არ ყოფილა: მარიან, შენი
მუდამ მომწონდა ხასიათი, თვინიერი ხარ,
მუდამ მიყვარდი და ძვირფასი იყავი ჩემთვის.

მ ა რ ი ა ნ ი

მე მინდა თქვენი სიყვარულის ღირსი რომ ვიყო.

ო რ გ ო ნ ი

შენი ნათქვამი მომეწონა, კვლავინდებურად
დაიმსახურებ ჩემს სიყვარულს თუ გამიგონებ.

მ ა რ ი ა ნ ი

ჩემი ოცნებაც, მამაჩემო, სწორედ ეგ არის.

ო რ გ ო ნ ი

ძალიან კარგი. ტარტიუფზე რა აზრისა ხარ?

მ ა რ ი ა ნ ი

ვინ, მე?

ო რ გ ო ნ ი

პო. კარგად დაუფიქრდი და მიპასუხე.

მ ა რ ი ა ნ ი

ოჰ! ტარტიუფზე იმას გეტყვით, რასაც ინებებთ.

განმოსვლა მეორე

იგავენო და ღორინო

(შემოვა უხმაუროდ და ორგონის უკან დადგება.)

ორგონი

აი, ეს მართლა გონივრული საუბარია.

ხომ არის იგი პიროვნება ღირსებით სავსე?

არ აგიჩქროლა გული, შვილო? ჩემს რჩეულს ცოლად

არ იქნებოდა კარგი განა, რომ გააჰყოლოდი?

რას იტყვი?

მარიანი

რაო?

ორგონი

ჰო, რა მოხდა?

მარიანი

რა თქვით?

ორგონი

რა არის?

მარიანი

იქნება ყურმა მომატყუა?

ორგონი

როგორ?

მარიანი

რას ამბობთ?

თქვენ ვისზე გინდათ, მამაჩემო, რომ გითხრათ, გული

ამიჩქროლა და ბედნიერი ვიქნები-მეთქი

თუ მიმათხოვებთ და ვინ არის თქვენი რჩეული?

ორგონი

ტარტიუფია.

მარიანი

არასოდეს ეგ არ მოხდება,

ტყუილი გინდათ, მამაჩემო, რომ მათქმევინოთ?

ო რ გ ო ნ ი

არა, ტყუილი არ იქნება, შენ მართალს იტყვი,
ასე მოხდება, მე ასე მაქვს გადაწყვეტილი.

მ ა რ ი ა ნ ი

როგორ? თქვენ გინდათ...

ო რ გ ო ნ ი

დიახ, მინდა, ჩემო გოგონავ,
რომ ჩემს ოჯახში ტარტიუფი შემოვიყვანო
მაგ ქორწინებით. გადავწყვიტე, ცოლად გაჰყვები,
რადგან მიცემულ პირობაზე...

(დორინს შეამჩნევს.)

თქვენ აქ რა გინდათ?

ეტყობა, ისე ვერ გასვენებთ ცნობისწადილი,
რომ ურცხვად დგახართ და ყურს გვიგდებთ, ჩემო ძვირფასო,

დ ო რ ი ნ ი

სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი მოულოდნელი
არ არის ჩემთვის, ხმა გაერცელდა და მეც გავიგე,
ქორწინებაზე მოგახსენებთ, მაგრამ არაფრად
არ ჩავთვალე და ყურადღება არ მივაქციე.

ო რ გ ო ნ ი

დაუჭერებელს აქ რას ხედავთ?

დ ო რ ი ნ ი

დაუჭერებელს
ვხედავ იმდენად, თქვენს ნათქვამსაც კი არ ვუჭერებ.

ო რ გ ო ნ ი

საშუალება მეგულება, რომ დაგაჯეროთ.

დ ო რ ი ნ ი

თქვენ ხუმრობთ, გინდათ, გულიანად რომ გაგვაცინოთ.

ო რ გ ო ნ ი

მე იმას ვამბობ, რასაც ნახავთ ხვალ თქვენი თვალით.

დ ო რ ი ნ ი

ოჰ, კარგით ერთი!

ო რ გ ო ნ ი

ჩემო შვილო, არ გეხუმრებით.

დ ო რ ი ნ ი

არ დაუჯეროთ, ქალბატონო, დღეს მამათქვენი
გუნებაზეა.

ო რ გ ო ნ ი

გეუბნებით...

დ ო რ ი ნ ი

არა და არა,

ვინ დაგიჯერებთ.

ო რ გ ო ნ ი

თუ გავბრაზდი, ბოლოს და ბოლოს...

დ ო რ ი ნ ი

ნუ გაბრაზდებით! გვჯერა, კარგით. მით უარესი.
სად გაგონილა, გონიერმა, ჰკუადამკდარმა
ადამიანმა, თეთრი წვერით დამშვენებულმა,
უგუნურება ჩაიღინოს...

ო რ გ ო ნ ი

ყური დამიგდეთ,

მეტისმეტია, თქვენ იქცევით მოურიღებლად,
მე ეს არ მომწონს და მიფრთხილდით, ჩემო ძვირფასო.

დ ო რ ი ნ ი

ვისაუბროთ და ნუ მოგვივა გული, ბატონო.
რა გიფიქრიათ, გინდათ, ხალხი რომ გააცინოთ?
თქვენს ქალიშვილთან გაიძვერას და ფარისეველს
რა ესაქმება? სხვა ფიქრი აქვს, სხვა საზრუნავი.
ან ეს კავშირი რითი არის სახარბიელო?

და რა მიზეზით ეჭიდებით თქვენი ქონების
პატრონი ასეთ მაწანწალას?..

ო რ გ ო ნ ი

გაჩუმდით, დორინ,
რომ არაფერი აბადია, სწორედ ამიტომ
პატივისცემა ერთიორად უფროა, მისი
პატიოსნების საწინდარი სიღარიბეა;
ამ უქონლობით მქონებელზე ამალღებულა,
მას ერთხელ თავის სიმდიდრეზე უარი უთქვამს,
რადგან სიამე დაუთმია ამქვეყნიური
და მისი სული მარადიულს შეერთებია.
ის ახლა ჩემის შემწეობით ფეხზე დადგება,
თავის ქონებას დაიბრუნებს, თავის მამულებს,
კეთილშობილი დაიბრუნებს მემკვიდრეობას,
იქნება გვარის ღირსეული გამგრძელებელი.

დ ო რ ი ნ ი

ეს ყველაფერი ხომ მან გითხრათ; მერე ღვთისმოსავს
შეეფერება ქედმაღლობა გვარიშვილობით?
ვინც განერიდა ამქვეყნიურ ამაოებას,
გვარიშვილობას ძველებურად ებღაუჭება?
სული მორჩილი და მიწიერს განშორებული
სახელს ესწრაფვის და დიდებას ეპოტინება?
ცოდვა არ არის ქედმაღლობა?.. ეს ლაპარაკი,
ვიცი, არ მოგწონთ; გავანებოთ გვარიშვილობას
ამიტომ თავი და შევეხოთ მის პიროვნებას.
ნუთუ თქვენ გინდათ, თქვენს ქალიშვილს დაეპატრონოს
ისეთი კაცი, როგორც ეს ტარტიუფია?
დაფიქრებულხართ ერთხელ მაინც, რომ ეს კავშირი
სამართლიანი თუ იქნება ან რა მოჰყვება?
ნაძალადევი ქორწინებით როგორი საფრთხე
დაემუქრება თქვენი შვილის პატიოსნებას?
ქალი მეუღლის ერთგულია იმ შემთხვევაში
თუკი მეუღლე ღირსი არის ამ ერთგულების.
და თუ ქმარს რქები ამოუვა, ამის მიზეზი

ქმარია ისევ, დამნაშავე ისევ ქმარია.
და ბოლოს, ქალმა ღირსეულმა ვით უერთგულოს
უღირს კაცს, გვერდით თუკი ძალით ამოუყენეს?
ქალიშვილს ძალით ვინ ათხოვებს საძულველ კაცზე?
ვინ სცოდავს ასე ღვთის წინაშე? რა განსაცდელი
მოგელთ, კარგად დაუფიქრდით და გადაწყვიტეთ.

ო რ გ ო ნ ი

მე თურმე ჭკუას ამას უნდა ვეკითხებოდე!

დ ო რ ი ნ ი

ეჰ, კარგს იზამდით, ჩემს რჩევას რომ დაუჯერებდეთ.

ო რ გ ო ნ ი

(მარიანს)

თავს ნულარ ვირთობთ ამ საუბრით, ჩემო გოგონავ,
მე შენთვის მხოლოდ კარგს ვინდომებ, მამა ვარ შენი.
რა მოხდა მერე, თუ პირობა მივეცი ვალერს,
მე როგორც მითხრეს, კარტს თამაშობს და კიდევ, მგონი,
თავაშვებულებს უნდა იყოს და არც საყდარში
მინახავს, რადგან არასოდეს დაიარება.

დ ო რ ი ნ ი

აბა, ის გინდათ, რომ სხვებივით თქვენს დასანახად
საყდარში როცა თქვენ იქნებით, მაშინ ირბინოს?

ო რ გ ო ნ ი

გაჩუმდით-მეთქი, თქვენ არავინ არ ვეკითხებათ.

(მარიანს)

ჩემს გამორჩეულს, ღვთის წყალობით, მხოლოდ ის უნდა,
რაც ღმერთს სწადია და ეს უფრო დიდი განძია.
შენ ბედნიერი შეიქნები ამ ქორწინებით,
შემოგვევლება ქმარი თავს და ხელით გატარებს.
ერთმანეთს მუდამ უერთგულებთ და ერთმანეთი
თქვენ გვრიტებივით გეყვარებათ და ილუღუნებთ.
თქვენ არასოდეს არ მოგივათ უთანხმოება
და შეგისრულებთ ქმარი, რასაც მოიწადინებთ.

დორინი

მარიანი კი რქებს დაადგამს, მე თქვენ გარწმუნებთ.

ორგონი

რას ლაპარაკობი

დორინი

აბა, გვერდით ამოუყენეთ,
მერე შეხედეთ და მიბრძანეთ, ამ კაცის ხელში
რომ სცოდოს თქვენმა ქალიშვილმა, გაემტყუნება?

ორგონი

ჩემად იყავით, სიტყვა აღარ გამაწყვეტინოთ
და ცხვირს იქ ნუ ჰყოფთ, სადაც არა გესაქმებათ რა.

დორინი

გული მტკივა და გეუბნებით, ჩემო ბატონო.
(ლაპარაკს მაშინ აწყვეტინებს, როცა ორგონი თავის
(ქალიშვილს მიუბრუნდება ხოლმე.)

ორგონი

ეგ მზრუნველობა ზედმეტია, გაჩუმდით-მეთქი.

დორინი

რომ არ მიყვარდეთ...

ორგონი

სიყვარული არა მჭირდება.

დორინი

და მაინც, გინდათ თუ არ გინდათ, მე თქვენ მიყვარხართ.

ორგონი

ოჰ!

დორინი

ძვირფასია ჩემთვის თქვენი კეთილდღეობა
და ვერ ავიტან, რომ ყველანი თქვენ დაგცინოდნენ.

ო რ გ ო ნ ი

ბოლოს და ბოლოს, გაჩუმდებით?

დ ო რ ი ნ ი

ნუთუ სინდისი უფლებას მოგცემთ და არ ჩაშლით ამ ქორწინებას?

ო რ გ ო ნ ი

არ გააჩერებ მაგ მოწამლულ ენას, შე გველო?..

დ ო რ ი ნ ი

ოჰ! ღვთისმოსავი კაცი ასე როგორ განრისხდით!

ო რ გ ო ნ ი

მაგ ენას ისე ატარტარებ, ვერ მოვითმინე, სისხლი ამემღვრა, თქვი, იქნები ჩუმი თუ არა?

დ ო რ ი ნ ი

ჩუმი ვიქნები, მაგრამ ფიქრით მაინც ვიფიქრებ.

ო რ გ ო ნ ი

ჯანდაბას, რახან ასე გინდა, იფიქრე, მაგრამ შენი ხმა აღარ გაევიგონო...

(ქალიშვილს მიუბრუნდება.)

რა გონიერულად

ავწონ-დავწონეთ ყოველივე.

დ ო რ ი ნ ი

(გვერდზე)

მე გავგიუღები

თუ ასე ხმას არ ამოვიღებ.

(ორგონი მოიხედავს თუ არა, გაჩუმდება.)

ო რ გ ო ნ ი

თუმცა არა აქვს

ტარტიუტს კარგი გარეგნობა, მაგრამ იქცევა...

დორინი

(გვერდზე)

ლორის დინგი აქვს.

ორგონი

ის იმგვარად, რომც არ მოგწონდეს,
თავს მოგაწონებს...

დორინი

(გვერდზე)

შეუმკია ღმერთს იგი უხვად!

(ორგონი შემობრუნდება, ყურს უგდებს დორინს,
სახეში შესცქერის და ხელები გულზე აქვს დაკრეფილი)
ოჰ! მე რომ თქვენი ქალიშვილის ადგილზე ვიყო,
ძალდატანებით ვერავინ ვერ გამათხოვებდა,
მეორე დღესვე მთელ ქვეყანას დავანახებდი
თუ როგორ იცის დედაკაცმა შურისძიება.

ორგონი

(დორინს)

ეტყობა, შენთვის ჩემი სიტყვა არაფერია?

დორინი

არა, რას ბრძანებთ, თქვენ არაფერს არ გეუბნებით.

ორგონი

მაშ, რას აკეთებ?

დორინი

მხოლოდ ჩემს თავს ვესაუბრები.

ორგონი

ძალიან კარგი.

(გვერდზე)

ამ უტიფარს თავხედობისთვის
ეტყობა, ბოლოს სილა მაინც უნდა გავაწნა.

(მარიანს ელაპარაკება და დორინს შეჰყურებს, რომ
სილა გააწნას, მაგრამ დორინი ხმას არ იღებს.)

იცოდე, ჩემი არჩევანი, ჩემო გოგონავ,
მოგეწონება... შეგიჩივებ საჭმრო ისეთი...
(დორინს)

ჩუმად რადა ხარ?

დორინი

ყველაფერი გითხარით უკვე.

ორგონი

რომ გეთქვა ერთი სიტყვა მაინც?

დორინი

არა, არ მინდა.

ორგონი

თქვი, გელოდები...

დორინი

მე ჭერ ჭკუა არ დამიკარგავს.

ორგონი

(მარიანს)

მაშ, ასე. ჩემი არჩევანი შენ იცი, შვილო.

ჩემს სურვილს უნდა უყოყმანოდ დაემორჩილო.

დორინი

(თან გარბის.)

ქვეყნის სამასხროდ გამოდგება, საჭმროდ კი არა.

(ორგონს უნდა, რომ სილა გააწნას, მაგრამ დორინი
იქ აღარ არის.)

ორგონი

შვილო, მოახლე კი არ არის, შავი ჭირია.

ცოდო ხარ, ნეტავ, როგორ უძლებ, ჭკუაზე შეგშლის.

ენა მებმის და სიტყვა აღარ მემორჩილება:

რა მიქნა, როგორ გადამრია ამ უტიფარმა,

იქნებ დაემშვიდდე, წავალ, ცოტას გარეთ გავივლი.

გამოსვლა მისამე

მარიანი, დორინი

დორინი

მითხარით ერთი, ლაპარაკი გადაგავიწყდათ?
რა დაგემართათ, თქვენი როლი მე დამაკისრეთ?
თუ შეურიგდით ამ უგუნურ წინადადებას
და ერთი სიტყვა ვერ მონახეთ თქვენს დასაცავად!

მარიანი

როგორ აღვუდგე მამის სურვილს, რა ვქნა, რა ვუყო?

დორინი

რა და, თავიდან მაგ განსაცდელს რაც აგაშორებთ.

მარიანი

მანც რა?

დორინი

მამას მოახსენეთ, რომ თქვენს გულს საქმრო
არ ეკარება და რომ ყველა ქალი თავისთვის
თხოვდება მხოლოდ თუ თხოვდება; და რომ ჯერ საქმრო
უნდა მოგწონდეთ თქვენ და მერე ალბათ მამათქვენს.
თუ ტარტიუფი მისთვის ასე მიმზიდველია,
წინ არაფერი ელობება, თვითონ მისთხოვდეს.

მარიანი

გამოგიტყდები, მამას ისე ვემორჩილები,
რომ ღღემდე სიტყვის შებრუნება ვერ გამიბედავს.

დორინი

ჰო, მაგრამ, აბა, დაუფიქრდით, ვალერმა რა ქნას;
გემუდარებით, თქვით, ვალერი გიყვართ თუ არა?

მარიანი

ოჰ! განა ჩემი სიყვარული საკითხავია?

არ მიბრალებ და უსამართლოდ მექცევი, დორინ.
ეს ჩემი გული შენთვის ბევრჯერ გადამიშლია
და სიყვარული იცი, როგორ წამკიდებია.

დორინი

ენა კი ამბობს, მაგრამ გული თუ ემოწმება?
ვინ იცის, მისი სიახლოვე კი გსიამოვნებს?

მარიანი

მე მეწყინება, ჩემს გრძნობაში ეჭვს თუ შეიტან,
რასაც განვიცდი, მხოლოდ იმას ამჟღავნებს ენა.

დორინი

მაშ, მართლა გიყვართ?

მარიანი

მგზნებარებით და გატაცებით.

დორინი

აღბათ იმასაც ეყვარებით ასევე, არა?

მარიანი

ასე მგონია.

დორინი

და სურვილი შეუღლებისა
ასევე გტანჯავთ ერთნაირად?

მარიანი

ჰო, რა თქმა უნდა.

დორინი

რომ გაიტანოს მამათქვენმა მაინც თავისი?

მარიანი

არა, თუ ძალას დამატანენ, თავს არ ვიცოცხლებ.

დორინი

ოჰ, რა კარგია ამას სწორედ არ მოველოდი

თავს არ იცოცხლებს და ყველაფერს თავს აარიდებს,
თურმე წამალი სიკვდილია, ხსნა ერთადერთი...
ვცოფდები ხოლმე, როცა ამას მეუბნებიან.

მ ა რ ი ა ნ ი

რა დაგეშართა, ღმერთო ჩემო, დორინ, რა მოგდის?
გაჭირვებული შენ სრულებით არ გებრალება.

დ ო რ ი ნ ი

ის, ვინც უაზროდ ლაპარაკობს და განწირული
ბედს ურიგდება, აბა, როგორ შემებრალება.

მ ა რ ი ა ნ ი

რა ვუყო თუკი ღმერთს მორჩილი გავუჩენივარ?

დ ო რ ი ნ ი

სულის სიმტკიცე სიყვარულმა უნდა შთაგბეროთ.

მ ა რ ი ა ნ ი

მერედა, ვალერს ჩემს სიყვარულს როდის ვუმაღავ?
მამიჩემისგან განა იმან არ უნდა მიხსნას?

დ ო რ ი ნ ი

როგორ? თუ არის მამათქვენი უემური კაცი
და ტარტიუფის სიყვარულმა თუ დააბრმავა,
თუკი ვალერთან წინ აღუდგა თქვენს ქორწინებას,
განა ამაში დამნაშავე ვალერი არის?

მ ა რ ი ა ნ ი

დაუფარავი ჩემი ზიზლით, ჩემი უარით
მე ხომ საჭვეყნოდ ჩემს სიყვარულს გამოვამჟღავნებ?
მისი სახელი გავამჟღავნო? და ქალიშვილმა
მოვალეობა დავივიწყო და მოკრძალება?
გამოვიტანო სიყვარული სააშკარაოდ?

დ ო რ ი ნ ი

არა, არ მინდა არაფერი. თქვენ ტარტიუფის

ცოლობა გინდათ, მიეხვდით ამას და დამნაშავე
ვიქნები, ხელი მე ამ საქმეს თუ შევეშალე.
თქვენს სურვილს როგორ შევებრძოლოთ თუ თავისთავად
ეს ქორწინება თქვენთვის ასე ხელსაყრელია?
განა ბატონი ტარტიუფის მეუღლეობა
ხუმრობა არის? კარგად იცის ამ ვაჟბატონმა
თუ ვინ ითხოვოს, ის ვაგლახად ვერ მოტყუვდება
და იმას ცოლად ვინც გაჰყვება, ბედნიერია.
ტარტიუფს უკვე დაფნის გვირგვინს ადგამენ თავზე.
წარმოსადეგი ვაჟკაცია, კეთილშობილი,
სახელაუღაჟა გახლავთ, წითელყურებიანი,
შეაბერდებით ასეთ ქმარს და იცხოვრებთ ტკბილად.

მ ა რ ი ა ნ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო!..

დ ო რ ი ნ ი

სიხარული თავბრუს დაგახვევთ,
ასეთ ღირსეულ კაცს გვერდით რომ ამოუდგებით!

მ ა რ ი ა ნ ი

კარგი, შეწყვიტე, გევედრები, ეს ლაპარაკი
და დამეხმარე, რომ ჩავშალო ეს ქორწინება.
გემორჩილები, რასაც მეტყვი, ყველაფერს ვიზამ.

დ ო რ ი ნ ი

ოჰ, არა, შეილი უნდა მამის მორჩილი იყოს,
თუ გინდა მამამ მაიმუნზე დასწეროს ჯვარი.
ჰოდა, იქცევით წესიერად: რალა გატირებთ?
გაემგზავრებით პაწაწინა ქალაქში ეტლით
და იქ ქმრის ბიძებს გაეცნობით, ქმრის ბიძაშვილებს,
მათთან საუბრით მეტისმეტად ისიამოვნებთ.
ჯერ წარუდგებით მაღალი წრის ადამიანებს.
როგორც სტუმარი სასურველი, მოინახულებთ
ხშირად ქალაქის მოსამართლის ანდა ქალაქის
თავის მეუღლეს, მასპინძლები თქვენ ღირსეულად

დაგიხვდებიან და დასაკეც სკამს დაგიტომობენ.
გაიმართება მეჯლისები და, რა თქმა უნდა,
თქვენც მიგიწვევენ, დაიქუხებს დიდი ორკესტრი,
სადაც დაუკრავს ორი სტვირი, მოვა ჯამბაზი
და თოჯინების წარმოდგენაც გაიმართება,
იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე...

მ ა რ ი ა ნ ი

მაგ ლაპარაკით
ბოლოს მომიღებ; დამეხმარო ის გირჩევნია!

დ ო რ ი ნ ი

როგორც გენებოთ, მიმსახურეთ.

მ ა რ ი ა ნ ი

მიშველე, ღორინ!

დ ო რ ი ნ ი

ახი იქნება, ტარტიუფზე ჯვარს თუ დაგწერენ.

მ ა რ ი ა ნ ი

ო, ღორინ!

დ ო რ ი ნ ი

არა.

მ ა რ ი ა ნ ი

ყველაფერი რომ ვაღიარო...

დ ო რ ი ნ ი

თქვენი საქმროა ტარტიუფი. მიდით და სინჯეთ.

მ ა რ ი ა ნ ი

შენ კარგად იცი, მუდამ მხოლოდ შენ გენდობოდი,
მირჩიე რამე...

დ ო რ ი ნ ი

არა-მეთქი, გატარტიუფდით.

მ ა რ ი ა ნ ი

მაშ, კარგი! რახან ჩემი ბედი აღარ გაღელვებს,

დღეიდან მარტო დავნებდები უნუგეშობას,
იქნება ხელი იმან მაინც გამომიწოდოს,
იქნებ ის ექცეს ჩემს ტკივილებს უებარ წამლად.
(წასვლას დააპირებს.)

დორინი

აღბათ გამივლის ეს სიბრაზე, კარგით, შეჩერდით,
დაბრუნდით-მეთქი, მებრალებით, ვერ მიგატოვებთ.

მარიანი

დორინ, იცოდე, თავს მოვიკლავ, დღეს მოვისწრაფებ,
თუ ამ სატანჯველს ახლა თავი ვერ დავადწიე.

დორინი

ნუ სწუხხარ, რამეს მოვახერხებთ, მე იმედი მაქვს,
რომ ხელს შევუშლით... თუმცა აი, თქვენი ვალერიც.

გამოსვლა მეოთხე

ვალერი, მარიანი, დორინი

ვალერი

ამბავი მითხრეს, ჩემთვის ეგზომ მოულოდნელი,
რაც, ქალბატონო, რა თქმა უნდა, მოსალოცია.

მარიანი

მაინც რა გითხრეს?

ვალერი

რომ მიპყვებით ცოლად ტარტიუფს.

მარიანი

ასეთი არის მამაჩემის ნება-სურვილი.

ვალერი

მამათქვენმა რომ, ქალბატონო...

მარიანი

მერე შეცვალა,
დიახ, განზრახვა და ახალი შემომთავაზა.

ვალერი

სერიოზულად ამბობთ?

მარიანი

დიახ, სერიოზულად.
როგორც შევატყე, ეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

ვალერი

თქვენ, ქალბატონო? თქვენმა გულმა რა გადაწყვიტა?
რა სურს?

მარიანი

არ ვიცი.

ვალერი

მშვენიერი პასუხი არის.

არ იცით, არა?

მარიანი

არა.

ვალერი

არა?

მარიანი

თქვენ რას მირჩევდით?

ვალერი

მე გირჩევთ, მამის წება-სურვილს დაემორჩილოთ.

მარიანი

თქვენ ასე მირჩევთ?

ვალერი

დიახ.

მ ა რ ი ა ნ ი

ხუმრობთ?

ვ ა ლ ე რ ი

არა, არ ვხუმრობ.

უარი არ თქვათ, დიდებული არჩევანია.

მ ა რ ი ა ნ ი

ძალიან კარგი ესე იგი, თქვენ ამას მირჩევთ.

ვ ა ლ ე რ ი

ფვიქრობ, ჩემს რჩევას შეასრულებთ ძალზე იოლად.

მ ა რ ი ა ნ ი

უფრო იოლად, ვიდრე თქვენ ეს რჩევა მომეცით.

ვ ა ლ ე რ ი

თქვენი სურვილი ეგ არის და მეც ეგ გირჩიეთ.

მ ა რ ი ა ნ ი

რახან მირჩიეთ, შეგისრულებთ სიამოვნებით.

დ ო რ ი ნ ი

(სცენის სიღრმეში შევა.)

შევხედოთ ერთი, ამ კამათით რა გამოუვათ.

ვ ა ლ ე რ ი

მაშ, არ გიყვარდით? და ტყუილი ყოფილა თურმე,
როცა...

მ ა რ ი ა ნ ი

ამაზე მე გთხოვთ, ნულარ ვილაპარაკებთ.
წელან გულწრფელად არ მირჩიეთ: ვისაც გაყოლებთ
თქვენ მამათქვენი, ცოლად იმას უნდა გაჰყვეთო?
მეც სწორედ ასე მოვიქცევი, თქვენი სურვილიც
სწორედ ეგ არის და ეგ არის გულწრფელი რჩევაც.

ვ ა ლ ე რ ი

ჩემს რჩევას ხელზე ნუ დაიხვევთ, თქვენ უკვე გქონდათ
გადაწყვეტილი, ეს ნაბიჯი რომ გადაგედგათ.
ახლა იმიტომ ეჭიდებით უბრალო მიზეზს,
რომ თქვენი სიტყვა გატეხოთ და თავი იმართლოთ.

მ ა რ ი ა ნ ი

სწორედ ასეა, კარგად ამბობთ.

ვ ა ლ ე რ ი

დიახ, არასდროს

ჩემი ნამდვილი სიყვარული არა გქონიათ.

მ ა რ ი ა ნ ი

რა გაეწყობა, როგორც გნებაეთ, ისე იფიქრეთ.

ვ ა ლ ე რ ი

ასეც ვიფიქრებ, დიახ, დიახ. გულდაფლეთილი
მალე ჭრილობას მოვიშუშებ და ერთგულებას
სხვას შეეფიცებ და ჩემს სიყვარულს სხვას შევთავაზებ.

მ ა რ ი ა ნ ი

ოჰ! სხვა ნამდვილად დაათვასებს თქვენს დიდ ღირსებას...

ვ ა ლ ე რ ი

ჩემს ღირსებაზე დავანებოთ ლაპარაკს თავი,
რა ღირსება მაქვს, თუკი გავხდი თქვენი უღირსი.
სხვისი სიკეთის იმედით ვარ; მე მეგულება
ადამიანი, ვისი გულიც მტლად დამედება,
არ შედრკება და უყოყმანოდ მიზლავს დანაკლისს.

მ ა რ ი ა ნ ი

დიდი არ არის დანაკლისი და ამ დანაკლისს
ალბათ სხვა გიზლავთ სულ ადვილად და განუგეშებთ.

ვ ა ლ ე რ ი

ჩემი ნათქვამი, გთხოვთ, ირწმუნოთ, მე ალბათ შევიძლებ,

შევიწინარეო სიამაყე და მოვახერხო,
ვინც დამივიწყებს, რომ როგორმე მეც დავივიწყო.
უნდა დამალო თუკი გრძნობას ვერ იმორჩილებ
და გულგრილობას სიყვარულით თუ უპასუხე,
თავს სულმდაბლობას ვერასოდეს ვერ აპატიებ.

მ ა რ ი ა ნ ი

ეგ თქვენი გრძნობა წმინდაა და ამაღლებული.

ვ ა ლ ე რ ი

სწორედ ასეა; და ყველანი ასე ფიქრობენ.
როგორ? თქვენ გსურდათ, ცეცხლი თქვენი სიყვარულისა,
თქვენ რომ აღაგზნეთ, არასოდეს გამწვანდებოდა?
რომ დამენახეთ სხვის მკლავებში გამომწყვდეული
და უარყოფილს სხვა არაფერ შეწყვარებოდა?

მ ა რ ი ა ნ ი

პირიქით, სწორედ ეგ სურვილი მამოძრავებდა.
ნეტავი გყავდეთ ვინმე უკვე ამორჩეული.

ვ ა ლ ე რ ი

ეგ არის თქვენი ნატვრა?

მ ა რ ი ა ნ ი

დიახ.

ვ ა ლ ე რ ი

ნულარ მაცენებთ, შეგისრულებთ ნატვრას, მივდივარ.
(კარისკენ გადადგამს ნაბიჯს.)

მ ა რ ი ა ნ ი

ძალიან კარგი.

ვ ა ლ ე რ ი

(დაბრუნდება.)

მაგრამ მინდა, მუდამ გახსოვდეთ,
თქვენ მაიძულეთ, ეს ნაბიჯი რომ გადამედგა.

მარიანი
დიახ.

ვალერი
და მე რომ განზრახული არ მქონდა ასე
და თქვენ მომეცით მაგალითი.

მარიანი
დე, ასე იყოს.

ვალერი
(კარისაკენ მიდის.)
საკმარისია! სწორედ დროზე გამომაფხიზლეთ.

მარიანი
მით უკეთესი.

ვალერი
თქვენ მე მხედავთ უკანასკნელად.

მარიანი
გზა მშვიდობისა!

ვალერი
(მიდის. კარს მიახლოებული შემობრუნდება.)
რაო?

მარიანი
რა თქვით?

ვალერი
თქვენ დამიძახეთ?

მარიანი
მე? მოგეჩვენათ.

ვალერი
ქალბატონო, აბა, მივდივარ,
მშვიდობით!

მარიანი
კარგად ბრძანდებოდეთ!

დორინი

მე კი მგონია,
გამოჩერჩეტდით ორივენი, ჭკუა დაკარგეთ,
ვიდექ ასე და თქვენს ლაპარაკს დიდხანს ვუსმენდი,
რომ გამეგონა, ბოლოს რითი გათავდებოდა.

ბატონო ვალერ, არა კმარა?

(მივა მასთან და ხელით შეაჩერებს. ვალერი
ისე იქცევა, თითქოს დიდ წინააღმდეგობას უწევს.)
რა გინდა, დორინ?

დორინი

აქ მოდით-მეთქი

ვალერი

არა, არა, ხელს ნუ შემიშლი.
დაე, ის მოხდეს, ქალბატონმა რაც გადაწყვიტა.

დორინი

შეჩერდით-მეთქი

ვალერი

ვერა ხედავ, უკვე გადაწყდა.

დორინი

ოჰ!

მარიანი

(გვერდზე)

ეტყობა, რომ ველარ მიტანს, ჩემს გამო გარბის
და უკეთესი იქნება თუ მე გავეცლები.

დორინი

(ვალერს თავს დაანებებს და მარიანისკენ გარბის.)
ახლა ეს გარბის, სად გარბიხართ!

მარიანი

ხელი გამიშვი!

დორინი

დაბრუნდით-მეთქი

მარიანი

არა, დორინ, ვერ დამაკავებ.

ვალერი

(გვერდზე)

ჩემი აქ ყოფნა მისთვის მხოლოდ სატანჯველია და ის აჯობებს, ამ სატანჯველს რომ ავაშორო.

დორინი

(მარიანს თავს დაანებებს და ვალერისაკენ გარბის.)
ეს ისევ გარბის? გეყოფათ ეს ბუტიაობა, გაგიწყრეთ ღმერთი! ორივენი მომიახლოვდით!
(ორივეს ხელს ჩაჰკიდებს და უკან აბრუნებს.)

ვალერი

(დორინს)

არ იტყვი, რა გაქვს განზრახული?

მარიანი

(დორინს)

თქვი, რას აპირებ?

დორინი

თქვენს შერიგებას, რომ როგორმე იქნებ გიშველოთ.
(ვალერს)

თქვენ ჭკუა ხომ არ დაგიკარგავთ, რა დროს ჩხუბია?

ვალერი

რა ლაპარაკი გამიმართა, გეყურებოდა?

დორინი

(მარიანს)

თქვენ რალა მოგდით, სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოთ!

მარიანი

აქ არ იყავი, ვერა ნახე, როგორ მოიქცა?

დორინი

სულელები ხართ ორივენი.

(ვალერს)

ეს მხოლოდ თქვენთვის

სუნთქავს და ცოცხლობს, შემიძლია, დავუდგე მოწმედ.
(მარიანს)

ეს კიდევ მხოლოდ თქვენ გალმერთებთ, თქვენს ქმრობას
ნატრობს
და სხვა არ უნდა არაფერი, ღმერთს გეფიცებით.

მ ა რ ი ა ნ ი

(ვალერს)

თუ ასე არის, მაშ, ის რჩევა რატომ მომეცით?

გ ა ლ ე რ ი

(მარიანს)

თუკი გიყვარვართ, რჩევას რატომ მეკითხებოდით?

დ ო რ ი ნ ი

სულელები ხართ ორივენი. მომეცით ხელი.

(ვალერს)

აბა!

გ ა ლ ე რ ი

(ხელს აძლევს დორინს.)

რად გინდა ჩემი ხელი?

დ ო რ ი ნ ი

(მარიანს)

ახლა ეგ თქვენი

ხელი მომეცით.

მ ა რ ი ა ნ ი

საჭიროა?

დ ო რ ი ნ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო,

თქვენ ერთმანეთი უფრო გიყვართ, ვიდრე გგონიათ.

(ვალერს და მარიანს ხელი ჩაუვლიათ ერთმანეთისთვის,
მაგრამ ერთმანეთს არ უყურებენ.)

გ ა ლ ე რ ი

(მარიანს მიუბრუნდება.)

ერთი ნაბიჯიც არ გადადგათ ძალდატანებით
და ეგ თვალები სიძულვილით ნუ აგვესებათ.
(მარიანი ვალერს შეხედავს და ოდნავ გაუღიმებს.)

დო რ ი ნ ი

შეყვარებულებს ჭკუა რატომ არ ეკითხებათ!

ვ ა ლ ე რ ი

(მარიანს)

ოჰ, განა ღირსი არ იყავით საყვედურისა?
თქვენ ხომ სასტიკად მომექეცით, თქვენ ხომ ტკბებოდით,
თქვენი ნათქვამის მოსმენით რომ ვიტანჯებოდი?

მ ა რ ი ა ნ ი

თქვენ? განა თქვენ კი უმადური არა ბრძანდებით?..

დო რ ი ნ ი

ამაზე მერე იკამათეთ, დღეს ის ვიფიქროთ,
თავიდან როგორ ავიცილოთ ეს ქორწინება.

მ ა რ ი ა ნ ი

თქვი, ხელი როგორ შევუშალოთ, რამე გვირჩიე.

დო რ ი ნ ი

რაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა ვილონოთ.

(მარიანს)

გვამასხარავენს მამათქვენი.

(ვალერს)

მისახვედრია.

(მარიანს)

ის რომ კაცია უცნაური ხასიათისა,
თქვენც კარგად იცით და ამიტომ თუ მოაჩვენებთ
თავს ისე, ვითომ თანახმა ხართ, მგონი აჯობებს.
უმტკივნეულოდ მოახერხებთ ამ შემთხვევაში,
რომ დანიშნული ქორწინების დღე გადაიდოს.
ჩვენს საქმეს მაშინ ეშველება, დროს თუ მოვიგებთ.

მოიმიზეზოთ უნდა ზოგჯერ ავადმყოფობა,
რომელიც ალბათ შეგეყრებათ მოულოდნელად;
ავადმყოფობას ხანი უნდა; ხელზე დაიხვევთ
ხან წინათგრძნობას, ვითომ გზაში მიცვალებული
შემოგხვდათ უცებ ანდა ვითომ სარკე გაგიტყდათ
ან კიდევ წყალი დაგესიზმრათ ტალახიანი.

ბოლოს და ბოლოს, ვერც სხვასთან და ვერც ტარტიუფთან,
„ჰოს“ თუ არ იტყვით, თქვენ ვერავინ ვერ შეგაუღლებთ.
მაგრამ საქმისთვის, მე მგონია, მაინც აჯობებს,
თუნდაც დროებით, რომ თქვენ ერთად არ დაგინახონ.

(ვალერს)

წადით და ნულარ აგვიანებთ. დღეს საჭიროა
რომ მეგობრებმა შეგისრულონ დანაპირები.

(მარიანს)

ჩვენ კი კლევანტი სწრაფად უნდა გამოვაფხიზლოთ
და ალბათ მაშინ მხარს დაგვიჭერს დედინაცვალიც.

(ვალერს)

მშვიდობით!

ვ ა ლ ე რ ი

(მარიანს)

ერთად შევეცდებით, მაგრამ ყველაზე
დიდი იმედი, გეფიცებით, მაინც თქვენა ხართ.

მ ა რ ი ა ნ ი

(ვალერს)

ვერაფერს გეტყვით მამაჩემის სურვილზე, მაგრამ
ვალერის გარდა არავისი მე არ ვიქნები.

ვ ა ლ ე რ ი

ვინ არის ჩემზე ბედნიერი! და თუ გაბედეს...

დ ო რ ი ნ ი

ოჰ! მიჯნურები ლაპარაკით ვერ გაძლებიან.

არ წახვალთ?

ვ ა ლ ე რ ი

(ნაბიჯს გადადგამს და დაბრუნდება.)

მერე...

დ ო რ ი ნ ი

რა ყბედია ეს თქვენი საქმრო
(ორივეს ცალ-ცალკე ხელს უბიძგებს და ერთმანეთს
დააშორებს.)

თქვენ ამ კარიდან გაბრძანდებით, თქვენ — ამ კარიდან.

მ ე ს ა მ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

დამისი, დორინი

დ ა მ ი ს ი

თავზე გრუხუნით დაე, აქვე დამეცეს ჭეხი,
ვით არამზადას, უკანასკნელს, ისე მომექცენენ,
ან მოკრძალებამ ანდა შიმშია თუ შემაჩეროს
და ამ ცხელ გულზე თუ ღვთის რისხვა არ დავატეხე.

დ ო რ ი ნ ი

გეთაყვათ, თავი შეიკავეთ, ასე ნუ ცხარობთ,
ეს ქორწინება მამათქვენმა გაკვრით ახსენა.
ვერ ასრულებენ მუდამ, რასაც მოისურვებენ
და საქმესა და სიტყვას შორის დიდი ზღვარია.

დ ა მ ი ს ი

არა, დრო არის, რომ განზრახვა შევაცვლევი
და ყურში იმას ვუჩუროჩულო ორიოდ სიტყვა.

დ ო რ ი ნ ი

ოჰ, არა, არა! მამათქვენზეც და ტარტიუფზეც
თქვენს დედინაცვალს დააცადეთ რომ იმოქმედოს.

იმას ენდობა ტარტიუფი, მის ყოველ სიტყვას
ემორჩილება უყოყმანოდ და ქალბატონის
სიყვარულითაც უცემს გული თუ არა ვცდები.
თუ ეს ასეა, ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე იყოს,
კარგი იქნება ჩვენთვის მეტად. იგი შეიტყობს
მაშინ ადვილად, ტარტიუფი ქორწინებაზე
თუ რასა ფიქრობს. ის ყველაფერს გამოიძიებს
და დაარწმუნებს, ჩვენს ტარტიუფს თუ იმედი აქვს,
უბედურება რომ მოჰყვება ამ ქორწინებას.
ვიყავი ახლა ტარტიუფთან, მაგრამ ვერ ვნახე;
ლოცულობს, მალე ჩამოვაო, მსახურმა მითხრა;
თქვენ წადით, მე აქ დავრჩები და დაველოდები.

დ ა მ ი ს ი

ხომ შეიძლება, ამ საუბარს მეც რომ დავესწრო.

დ ო რ ი ნ ი

არა. მარტონი უნდა იყვნენ.

დ ა მ ი ს ი

არ ჩავერევი.

დ ო რ ი ნ ი

არა, რას ამბობთ, რა გულფიცხი კაციც ბრძანდებით,
განა არ ვიცოი, თქვენ უთუოდ საქმეს წაახდენთ.
წაბრძანდით.

დ ა მ ი ს ი

არა, დავრჩები და ხმას არ გავიღებ.

დ ო რ ი ნ ი

რა ჯიუტი ხართ! აგერ მოდის. წაბრძანდით-მეთქი.
(დამისი პატარა ოთახში იმალება, სცენის სიღრმეში.)

გამოსვლა მეორე

ტარტიუფი, ღორინი

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

(ღორინს შენიშნავს და სცენის მიღმა მოსამსახურეს
ხმამალლა ეუბნება.)

ლორან, წაიღე ეს მათრახი და მოსასხამი
და ილოცე, რომ გადმოგვხედოს მალალმა ღმერთმა.
თუკი მიკითხოს ვინმემ, უთხარ, საპატიმროში
არის წასული, მოწყალეა რომ გაიღოს-თქო.

ღ ო რ ი ნ ი

(გვერდზე)

როგორ იქცევა, ღმერთო ჩემო, რა სიყალბეა!

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

რა გნებავთ?

ღ ო რ ი ნ ი

მე მსურს...

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თუ ღმერთი გწამთ, სანამ რაიმეს
მეტყოდეთ, აი, გამომართვით ეს ცხვირსახოცი.

ღ ო რ ი ნ ი

რისთვის?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მაგ მკერდზე მიიფარეთ, ნუ შემახედებთ,
არ მინდა სული წავიწყმიდო და ის ვიფიქრო
სულწაწყმედილმა, რასაც ღმერთი არ მაპატიებს.

ღ ო რ ი ნ ი

როგორც ეტყობა, თქვენ ვერ ებრძვით მედგრად ცდუნებას,
ვერ უმკლავდებით სურვილსა და სხეულის ლტოლვას;
როგორც ეტყობა, გეკიდებათ ცეცხლი ადვილად.
მე კი ადვილად ვიმორჩილებ სურვალს და თუნდაც

შიშველი გნახოთ, თქვენი ჟინი არ ამეშლება,
რადგან არ მხიბლავს, არ მიზიდავს თქვენი სხეული.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ცოტაოდენი მოკრძალება შეინარჩუნეთ,
თორემ ახლაცე თავს დაგიკრავთ და მიგატოვებთ.

დ ო რ ი ნ ი

არა, მე წავალ, მოისვენეთ, ხელს არ შეგიშლით,
მხოლოდ ორად ორ სიტყვას გეტყვით და მიგატოვებთ.
ახლა აქ მოვა ქალბატონი, თუკი მოუცდით,
სურს, რომ მოიღოთ მოწყალება და ესაუბროთ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი
სიამოვნებით!

დ ო რ ი ნ ი

(თაეისთვის)

როგორ მოლბა ანა ვტყუვდები
და რასაც ვამბობ, იმას ყველგან გავიმეორებ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი
მალე მოვალო?

დ ო რ ი ნ ი

მგონი, მისი ფეხის ხმა არის,
აი, მოვიდა კიდევ, წავალ, მარტო დაგტოვებთ.

-- გამოსვლა მესამე

ელმირი, ტარტიუფი

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაკლავთ და ღვთის წყალობით
არ მოგეშალოთ სიმტკიცე და სულის მხნეობა,

ისე იხარეთ უკუნითი უკუნისამდე,
ღმერთს რომ სწაღია, სიყვარული მან შთაგვაგონა.

ე ლ მ ი რ ი

მადლობელი ვარ ჩემი ლოცვა-კურთხევისათვის,
მაგრამ რომ დავსხდეთ, უმჯობესი იქნება, მგონი.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

(დაჯდება.)

როგორ ბრძანდებით, გადაურჩით ავადმყოფობას?

ე ლ მ ი რ ი

ძალიან მალე დამიწია სიცხემ, უკეთ ვარ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ალბათ არა აქვს ჩემს ვედრებას ისეთი ძალა,
რომ შეისმინოს მაცხოვარმა, მაგრამ ცისმარე
მზურვალე ლოცვით ღმერთს შეევთხოვდი, კეთილი თვალით
გადმოეხედა და მენახეთ განკურნებული.

ე ლ მ ი რ ი

თქვენ ჩემზე ფიქრით მეტისმეტად შეწუხებულხართ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ოღონდაც საფრთხე თქვენს სიცოცხლეს არ დაემუქროს
და მზად ვარ, მსხვერპლად რომ გავიღო ჩემი სიცოცხლე.

ე ლ მ ი რ ი

ო, ეგ აჭარბებს ქრისტიანულ ქველმოქმედებას.
თქვენი სიკეთით უზომოდ ვარ დავალებული.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ვერ მოვერევი იმას, რასაც თქვენ იმსახურებთ.

ე ლ მ ი რ ი

ერთ საქმეზე რომ საიდუმლოდ მელაპარაკა,
მინდოდა თქვენთან, აქ ყურს მგონი არავინ გვიგდებს.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მონხარული ვარ მეტისმეტად, ზენი ოცნება
იყო დარჩენა, ქალბატონო, თქვენთან პირისპირ,
ამას ვნატრობდი და ღმერთს ამას ვევედრებოდი,
ღმერთმა მისმინა და ეს წამი ახლა მიზოძა.

ე ლ მ ი რ ი

მე მინდა თქვენთან საუბარი და იმედი მაქვს,
გულს გადამიშლით და არაფერს არ დამიმაღავთ.
(დამისი კარს ოდნავ გამოაღებს, რომ უკეთ გაიგონოს,
მაგრამ თვითონ არ გამოჩნდება.)

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ო, ერთადერთი ჩემი ნატვრაც სწორედ ეგ არის,
მე მინდა ერთხელ ჩემი გული რომ გადაგიხსნათ
და გაგიმხილოთ, რომ ჩემს მიერ გამოწვეული
აურზაური სტუმრის გამო, რომელსაც თქვენი
მომხიბვლელობა იზიდავდა, სულაც არ იყო
თქვენი ზიზლით და სიძულვილით ნაკარნახევი.
პირიქით, თქვენზე მზრუნველობა მაიძულებდა
და გრძნობა ჩემი ქეშმარიტი...

ე ლ მ ი რ ი

მე მესმის თქვენი
და მჯერა, ჩემზე რომ ზრუნავდით, ჩემი ხსნა გსურდათ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

(თითებზე ხელს მოუჭერს.)
ო, დიან, ჩემო ქალბატონო, და გატაცება...

ე ლ მ ი რ ი

ოჰ, ხელს ნუ მიჭერთ...

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მზრუნველობის ბრალია ესეც.
თქვენ რომ გტყენოდით, ეს მე სულაც არ განმიზრახავს,
ასე რომ იყოს, უმალ მე...
(მუხლზე ხელს დაადებს.)

ე ლ მ ი რ ი

თქვენს ხელს აქ რა უნდა?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თქვენს კაბას ვსინჯავ, უნაზესი ქსოვილი არის.

ე ლ მ ი რ ი

აჰ! არა, თავი დამანებეთ, ლიტინს ვერ ვიტან.

(თავის სკამს გასწევს, მაგრამ ტარტიუფი სკამს ისევ მისკენ მიაჩოჩებს.)

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

რა მშვენიერი ნაქარგია, ო, ღმერთო ჩემო!

ბოლო დროს როგორ დახელოვნდნენ, ჯერ არ მინახავს არსად ასეთი დახვეწილი ნამუშევარი.

ე ლ მ ი რ ი

ასეა! მაგრამ ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ.

დაურღვევია, როგორც მითხრეს, ჩემს ქმარს პირობა და ქალს თქვენ გაძლევთ თურმე ახლა. მართალი არის?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სხვა არის, რომ გამოგიტყდეთ, ჩემი ფიქრი; სხვა საოცარი მშვენიერება გამხდომია დღეს საოცნებოდ და მასთან ველტვი ნეტარებას მთელის არსებით.

ე ლ მ ი რ ი

და თუკი თქვენთვის მიწიერი აღარ არსებობს?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე, ქალბატონო, გულის ნაცვლად ლოდი არ მიდევს.

ე ლ მ ი რ ი

მე მგონია, რომ მზერა ცისკენ აპყრობილი გაქვთ და მიწიერი თქვენს გულისთქმას არ ააჩქროლებს.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

იმიტომ ვეტრფით მარადიულ მშვენიერებას,
რომ წარმავალის სიყვარული სულში ჩაგვიკლას?
ჩვენ ის ქმნილება გვაჯადოებს მხოლოდ, რომელსაც
უფალმა სული ჩაუდგა და ხორცი შეასხა.
თქვენა ხართ მისი სრულქმნილება, მან მოუყარა
თავი იშვიათ, ენითუთქმელ მშვენიერებას:
ყველანი ასე აღტაცებით რომ შეჰყურებენ.
მე ვერ შევძელი, მშვენიერო, ვერ შემოგხედეთ
ისე, რომ უფლის ხელოვნებას არ მოვეხიბლე.
მეც წამეკიდა სიყვარული, რადგან ღვთის მიერ
შესრულებული სურათი ხართ საუკეთესო.
ცეცხლი, ჩემს სულში დანთებული, ჯერ მეშინოდა,
ბოროტის ხელით აღგზნებული არ ყოფილიყო,
და მე ისიც კი გადავწყვიტე, რომ გაგქცეოდით,
არ იყოს-მეთქი, მოვლენილი ჩემს წარსაწყმედად,
მაგრამ, მე მივხვდი, ო, ღვთაებაე, უნეტარესო,
რომ წმინდა არის სიყვარული და უცოდველი,
ჩემს მოკრძალებას რომ ებრძვის და არ ეთავსება,
რამაც დამაფრთხო მეტისმეტად და შემაშინა.
გამოგიტყდებით, ქალბატონო, თავხედობაა,
რომ გაგიმულავენეთ სიყვარული, ეს რომ გავბედე
და იმედი მაქვს მხოლოდ თქვენი გულკეთილობის;
ვერ შეედრება ვერაფერი ჩემს უძლურებას;
ჩემი იმედი, ჩემი განძი, სულის მშვიდობა
თქვენა ხართ მხოლოდ; ნეტარებას ან მწუხარებას
მე თქვენგან ველი, განაჩენი გამომიტანეთ
და მე ვიქნები ბედნიერი ან უბედური.

ე ლ მ ი რ ი

აღსარებაა მეტისმეტად მოკრძალებული
და ამავე დროს, უნდა გითხრათ, მოულოდნელი,
მე კი მეგონა, რომ გულისთქმას არ აჰყვებოდით
და თქვენ, ასეთი ღვთისმოსავი ადამიანი,
დაუფიქრებელ განზრახვაზე ხელს აიღებდით...

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ოი გინდ წმინდანი ვიყო, მაინც მე ჯერ კაცი ვარ,
როცა შევეცქერი თქვენს მშვენებას არამიწიერს,
თქვენ გემონებათ ჩემი გრძნობაც, ჩემი გონებაც.
თქვენ შეიძლება უცნაურად გეჩვენებოდეთ
ჩემი ამგვარი ლაპარაკი, მაგრამ არა ვარ,
ბოლოს და ბოლოს, ანგელოსი და თუ დამძრახავთ
აღსარებისთვის, იცოდეთ, რომ თქვენი ბრალია;
ეგ ღვთაებრივი სილამაზე როცა ვიხილე,
დამიმორჩილეთ, ქვეშევრდომი გამხადეთ თქვენი.
მაგ შემოხედვამ ღვთაებრივმა, თქვენმა სიმშვიდემ
შემუსრა ჩემი სიმტკიცე და შეუვალობა,
ლოცვის და მარხვის ერთგულება დამარღვევინა
და სურვილები თქვენს მშვენებას დავემორჩილე.
ჩემი ოხვრით და ჩემი მზერით გეუბნებოდით
ათიათასჯერ, ჩემმა ენამ რაც დღეს გაუწყათ.
თუ ინებებთ და ღმობიერად თუ მომეპყრობით,
თქვენი უღირსი მონის ჩივილს თუ შეიწყნარებთ,
თუ მანუგეშებთ გულყეთილი და ჩემისთანა
არარაობის დამცირებას არ მოისურვებთ,
ო, მშვენიერო, გულმხურვალედ თქვენზე ვილოცებ,
თქვენს მონა-მორჩილს მეყოლებით სალოცავ ხატად
და თქვენს ღირსებას შევინახავ შეუბღალავად.
მსხვერპლს არ მოვითხოვ, განსაცდელი არ გელით ჩემგან.
თავქარიანი ყმაწვილები, ქალებს რომ ჭკუას
აკარგვიანებენ, იქცევიან დაურიდებლად;
ლაპარაკობენ ქედმაღლურად და ტრაბახობენ,
როცა აღწევენ წარმატებას; მათ სიბრალული
სულ არ იციან და ის უნდათ, ყველას ახარონ
და გამარჯვება მთელ ქვეყანას გააგებინონ;
ბლაღვენ, სადაც მსხვერპლი სწირეს, იმ საკურთხეველს.
ჩვენ კი ფარული ცეცხლით ვიწვით და ვერასოდეს
ჩვენს საიდუმლოს ვერ მიხვდება ქვეყნად ვერავინ;
რახან ღირსებას ვუფრთხილდებით, სწორედ ამიტომ
ძვირფას არსებას განსაცდელი არ ემუქრება;

ჩვენ ვართ იმათი ერთგულები და ვაჯილდოვებთ
გაუმჟღავნებელ სიყვარულით და ნეტარებით.

ე ლ მ ი რ ი

გასაგებია, მესმის, თქვენმა ოქროპირობამ
მე მიმახვედრა თქვენს განზრახვას მოხერხებულად.
არ გეშინიათ, შინაარსი ამ საუბრისა
რომ მოვისურვო და მეუღლეს გავაგებინო?
რომ სიყვარულის აღსარებამ მოულოდნელმა
ასე ერთგული მეგობარი დაგაკარგვინოთ?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თქვენ რომ ბრძანდებით გულკეთილი და ლმობიერი,
ეგ კარგად ვიცი, შეიწყნარებთ ჩემს თავხედობას;
თქვენ მაპატიებთ ამ სისუსტეს ადამიანურს
და ჩემს სიყვარულს, თქვენ ღირსება რომ შეგილახათ.
მაგრამ მიხვდებით, იმედი მაქვს, თქვენი მშვენიერების
ბრალიც რომ არის, მეც კაცი ვარ ჩვეულებრივი.

ე ლ მ ი რ ი

აღბათ სხვა ქალი სხვანაირად მოიქცეოდა,
მაგრამ მე მინდა, სულგრძელობა გამოვიჩინო.
არაფერს ვეტყვი ჩემს მეუღლეს, სამაგიეროდ
უნდა შემპირდეთ, რომ უთუოდ დამეხმარებით,
თქვენ ხელს შემიწყობთ, მოახერხებთ და დააჩქარებთ,
რომ მარიანზე იქორწინოს მალე ვალერმა;
უსამართლობას არ ჩაიდენტ და არ ეცდებით
ის მიითვისოთ უსინდისოდ, რაც სხვას ეკუთვნის,
ამასთან...

გამოსვლა მეოთხე

დამისა, ელმირი, ტარტიუფი

დ ა მ ი ს ი

(გამოდის იმ პატარა ოთახიდან, სადაც იმალებოდა.)
არა, ქალბატონო, უნდა ამხილოთ.

მე აქ ვიყავი, ყველაფერი მეყურებოდა;
მე ალბათ ღმერთმა მომიყვანა აქ ჩემი ფეხით,
დღესვე ნილაბი რომ ავხადო ამ არამზადას.
დღის სინათლეზე გამოვიყვან და შურს ვიძიებ
აი, ამ ცრუზე, თავზედზე და გაიძვერაზე;
რომ მამაჩემი შეცდომაში არ შეიყვანოს
ამ არამზადამ, სიყვარულს რომ გეფიცებოდათ.

ე ლ მ ი რ ი

ო, არა, დამის, ესეც კმარა, იგი ეცდება,
გული მომიღბოს, გამოსწორდეს, გამოისყიდოს
დანაშაული; ველარ გავთქვამ, პირობა მივეც.
სალაპარაკო რად გავხადო. მხოლოდ და მხოლოდ
უნდა იცინოს ქალმა ასეთ სისულელეზე
და ამით ქმარი არასოდეს არ შეაწუხოს.

დ ა მ ი ს ი

როგორც თქვენ გნებავთ, უფლება გაქვთ ისე მოიქცეთ,
მაგრამ მე, რა ვქნა, თქვენნაირად ვერ მოვიქცევი.
იქნება ჩვენი გამასხრება, ეს რომ დავინდოთ.
მისმა ფლიდობამ, უტიფარმა ამპარტავენობამ
სამართლიანი მრისხანებით გული ამივისო.
ჩვენი ოჯახი აურია და მამაჩემი
დაიმორჩილა ამ თაღლითმა ძალიან დიდხანს,
ჩვენ, მე და ვალერს, მოგვაყენა მხოლოდ ზიანი.
დროა, მამაჩემს ავუხილოთ თვალი, უფალმა
გზა დამანახა, რომ ეს კაცი გამოვამჟღავნო
და ვერ გავუშვებ ამ შემთხვევას ახლა ხელიდან;
ეს ხელსაყრელი შემთხვევაა და მე რეგვენი
ვიქნები თუკი უარს ვიტყვი ღვთის წყალობაზე.
როგორ! ხელში მყავს და ხელიდან გინდათ გავუშვა?

ე ლ მ ი რ ი

დამის...

დ ა მ ი ს ი

ვერაფრით დამარწმუნებთ, არ დაგთანხმდებით,

არ მთხოვოთ, ჩემი სიხარული უსაზღვრო არის;
ნეტარებაზე, შურისგება რომ მაგრძნობინებს,
უარს ვერ ვიტყვი, ვერ გადავდებ საქმეს ხვალისთვის,
(ორგონს დაინახავს.)
აი, ვის გამოც სხვანაირად ვერ მოვიქცევი.

გამოსვლა მესუთე

ორგონი, ელმირი, დამისი, ტარტიუფი

დ ა მ ი ს ი

დროზე მობრძანდით, მამაჩემო, ჩვენ დაგიხედვით
ახალი ამბით, ეს ამბავი მოულოდნელი
იქნება თქვენთვის. აი, თურმე როგორ გიხდიან
ჩემო ბატონო, მაგ სიკეთეს და მაგ სიყვარულს.
სწორედ ამგვარი ერთგულება გამოამქლავნა
ახლა ამ კაცმა, მოისურვა რომ გაეთელა
თქვენი სახელი. თავს დავადექ მოულოდნელად
როცა სიყვარულს უსირცხვილოდ ეფიცებოდა
ის თქვენს მეუღლეს. სათნო არის და ღმობიერი
თქვენი მეუღლე, ეს ამბავი რომ თქვენ გაგვგოთ,
მას არ უნდოდა; თუმც მიჩქმალვა ამ თავხედობის
ფვიქრობ, იქნება მხოლოდ თქვენი შეურაცხყოფა.

ე ლ მ ი რ ი

დიახ, მე მჯერა, რომ უაზრო ენის ჭარტალით
ცოლმა არ უნდა დაუკარგოს ქმარს მოსვენება;
არ მიადგება ჩრდილი ამით პატიოსნებას;
თავდასაცავად ჩვენი ფიციც უნდა კმაროდეს.
ასეთი არის ჩემი აზრი; პატივს რომ მცემდეთ,
დამიჯერებდით და არაფერს იტყოდით, დამის.
(მიდის.)

გამოსვლა მუხანათო

ორგონი, დამისი, ტარტიუფი

ორგონი

ო, ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის, რა დავიჯერო?

ტარტიუფი

ღიას, ძვირფასო ძმაო, მე ვარ ერთი ბოროტი,
გარყვნილი კაცი, უნამუსო და მოძალადე;
არცა ყოფილა ჩემზე დიდი ბოროტმოქმედი;
მთელი ცხოვრება გავატარე გარყვნილებაში,
გზას ვიკაფავდი მრუშობით და დანაშაულით,
მაგრამ დღეს ღმერთმა ჩემი დასჯა ილება ალბათ
და ავიტანო უნდა ახლა შეუტრაცხყოფა.
დღეს რაც არ უნდა დამაბრალონ, მე უდრტვინველად
შევეგებები და არაფრით თავს არ დავიცავ.
რაც მოგახსენეთ, დაიჯერეთ, ვით დამნაშავეს
თავს დამატეხეთ თქვენი რისხვა და გამაძევეთ.

ორგონი

(თავის ვაჟს)

ო, მუხანათო, როგორ ბედავ, ცილისწამებით
რომ ჩირქი მოსცხო მის სიწმინდეს და სათნოებას?

დამისი

როგორ? ტყუედებით ამ ორპირის მოჩვენებითი
გულკეთილობით?..

ორგონი

შეგაჩვენოს ღმერთმა, გაჩუმდი!

ტარტიუფი

ო, ხელს ნუ უშლით, ნუ ამტყუნებთ, ილაპარაკოს,
თუ დაუჯერებთ ამის ნათქვამს, აჯობებს-მეთქი,
ამ შემთხვევაში მე არაფრით არა ვარ სანდო.
თქვენ იცით, განა, რა კაცი ვარ, რა შემოიძლია

მოვიმოქმედო? ან ენდობით ჩემს გარეგნობას?
რატომ გგონივართ თქვენ ყველაზე პატიოსანი?
გატყუებთ ჩემი გარეგნობა და სამწუხაროდ
ესენი ჩემზე რომ ამბობენ, სწორედ ისა ვარ.
ყველას ვგონივარ ღირსეული ადამიანი -
და ჩაღის ფასად არა ვღირვარ სინამდვილეში.

(დამისს მიუბრუნდება.)

ღიახ, ძვირფასო ჩემო შვილო, ილაპარაკეთ,
მიწოდეთ ბილწი და ვერაგი, ქურდი და მკვლეელი.
ამაზე უფრო უარესიც დამარქვით, განა
ხმას ამოვიღებ, ღირსეულად დავიმსახურე.
მსურს მუხლმოყრილმა ავიტანო ეს დამცირება,
ვით ჭეროვანი საზღაური ჩემი ცოდვების.

ო რ გ ო ნ ი

(ტარტიუფს)

მეტისმეტია, ჩემო ძმაო!

(თავის ვაჟს)

შე მუხანათო,

გული არა გაქვს?

ღ ა მ ი ს ი

რა ვქნა, ასე როგორ ტყუვდებით?

ო რ გ ო ნ ი

გაჩუმდი-მეთქი!

(ტარტიუფს)

თუ ღმერთი გწამს, ფეხზე წამოდექ!

(თავის ვაჟს)

უხამსო!

ღ ა მ ი ს ი

მაგრამ...

ო რ გ ო ნ ი

ხმა გაკმინდე!

ღ ა მ ი ს ი

რაო? მივდივარ...

ო რ გ ო ნ ი

იცოდე, ხმა რომ ამოიღო, თავს გაგინებოქავ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ღვთის გულისათვის, ჩემო ძმაო, დამშვიდდით ახლა.
ავიტან ტანჯვას ჯოჯოხეთურს, ოღონდ ამ ყმაწვილს
გული ჩემს გამო ნურასოდეს ნუ ეტკინება.

ო რ გ ო ნ ი

(თავის ვაჟს)

შე უმადურო!

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

დაანებეთ თავი. თუ გნებავთ,
რომ აპატიოთ, დაგიჩოქებთ...

ო რ გ ო ნ ი

არა რას ამბობთ!

(თავის ვაჟს)

შეხედე ერთი, რა გული აქვს.

ღ ა მ ი ს ი

მაშ...

ო რ გ ო ნ ი

ხმა გაკმინდე!

ღ ა მ ი ს ი

როგორ? მე...

ო რ გ ო ნ ი

ღიას, გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი,
მე კარგად ვიცი, რატომ ებრძვი, რა გაიძულე, რა
ცილი დასწამოთ. თქვენ გძულთ იგი. მის წინააღმდეგ
ამხედრებულხართ ჩემი ცოლი, ჩემი შვილები
და მსახურები. თქვენ არაფერს არ ერიდებით,
რომ მომაშოროთ და წამართვათ ეს ღვთისნიერი
ადამიანი. მაგრამ ვერას გახდებით ასე;

თქვენ მას რაც უფრო შეიძლება, მე ის მით უფრო
შემიყვარდება და სულ მალე ჩემს ქალიშვილზე
ჯვარს დავწერ და თქვენს თავნებობას ბოლოს მოვუღებ.

დ ა მ ი ს ი

თქვენ გსურთ ჩემი და გაათხოვოთ ძალდატანებით?

ო რ გ ო ნ ი

ღიახ, მე ასე მოვიქცევი დღესვე, თავხედო
უნდა გულები დაგიხეთქოთ და გაგახსენოთ,
რომ მე ვარ თქვენი მბრძანებელი. მე თქვენ გასწავლით
თუ როგორ უნდა მორჩილება! მოდი, ფეხებში
ჩაუვარდი და პატიება სთხოვე ახლავე.

დ ა მ ი ს ი

ვის დავუჩოქო? ამ მუხანათს, ვინც ცბიერებით...

ო რ გ ო ნ ი

მაშ, არ მიჯერებ, არამზადავ და ლანძღავ კიდევ?

(ტარტიუფს)

ჯოხი, ეგ ჯოხი მომაწოდეთ! ხელი გამიშვით!

(თავის ვაჟს)

იცოდე, ჩემი ოჯახიდან ვისაც დავითხოვ,
ის უკან ველარ დაბრუნდება ველარასოდეს.

დ ა მ ი ს ი

ღიახ, მე წავალ, მაგრამ...

ო რ გ ო ნ ი.

წადი, ჩქარა, მომშორდი!

ღირსი არა ხარ, არამზადავ, მემკვიდრეობის,
ამიერიდან ჩემი წყევლის ღირსი ხარ მხოლოდ.

(დამისი მიღის.)

ტარტიუფი, ორგონი

ორგონი

ღმერთო, ამ წმინდა ადამიანს ეს რა შექადრა!

ტარტიუფი

ვით მე შევუნდე, დაე, ღმერთმა ისე შეუნდოს!
(ორგონს)

ოჰ, რომ იცოდეთ, გული როგორ მიკვდება ხოლმე,
ჩემს გაშავებას თქვენს წინაშე როცა ცდილობენ...

ორგონი

ოჰ!

ტარტიუფი

თქვენ უთუოდ მიმიხვდებით, უმადურობის
მიზეზით გული მეტანჯება უკიდურესად...
გაფიქრებაც კი ძნელი არის... უმწეოს სულში
მეხუთება და ლაპარაკის თავი არა მაქვს.

ორგონი

(აცრემლებული მიიბრუნს იმ კართან, საიდანაც თავისი
ვაჟი გაისტუმრა.)

ოჰ, არამზადავ! ეს რა გქენი, როგორ გავუშვი
და ჩემი ხელით აქვე როგორ არ გავათავე.
(ტარტიუფს)

დამშვიდდი, ძმაო, ჯავრი გულში აღარ გაივლო.

ტარტიუფი

არ გვინდა, მოდი, ჩვენ ამაზე ნუ ვისაუბრებთ.
მისახვედრია, თქვენს ოჯახში არეულობის
მიზეზი მე ვარ და კარგს ვიზამ, თუ გაგეცლებით.

ორგონი

რას ამბობთ? ალბათ მეხუმრებით?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

აქ ვერ მიტანენ
და ცდილობენ, რომ დაგაეჭვონ ჩემს სიწრფელეში.

ო რ გ ო ნ ი

ილაპარაკონ, მე ხომ ამათ ყურსაც არ ვუგდებ?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

არ დაიშლიან, მოსვენებას დაგიკარგავენ
და ბოლოს იმას მიაღწევენ, მათი ნათქვამი,
რომელსაც ახლა არ იჯერებთ, რომ დაიჭერთ.

ო რ გ ო ნ ი

ეგ არ მოხდება არასოდეს...

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ცოლს, ჩემო ძმაო,
ქმარი ადვილად შეუძლია გადაიბიროს.

ო რ გ ო ნ ი

არა და არა.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მოვწორდები აქაურობას
და საფუძველი მოეშლებათ ჩემი მტრობისა.

ო რ გ ო ნ ი

ფეხს ვერ მოიცვლით, უთქვენობას მე ვერ გავუძლებ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თქვენ თუ ასე გასურთ, ავიტანო უნდა, ეტყობა,
კვლავ დამცირება...

ო რ გ ო ნ ი

ოპი

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ასეა, გემორჩილებით,
ამაზე ნულარ ვისაუბრებთ, მაგრამ მე ვიცი,
როგორ მოვიქცე, ღირსება რომ შევინარჩუნო.
ყველა საუბარს და შეხვედრას თავს ავარიდებ,
ველარც თქვენ მნახავთ და თქვენ ცოლსაც მოვერიდები...

ო რ გ თ ნ ი

არა, პირიქით, ჩემს მეუღლეს ამიერიდან
შეხვედებით ხშირად; ჩემი დიდი სიხარულია,
თქვენ ერთად თუკი გნახავენ და გაცოფდებიან.
მაგრამ ამასაც არ ვაკმარებ, რომ დავუხეთქო
გულეები, უნდა ჩემს მემკვიდრედ გამოგაცხადოთ;
ღიახ, ამ საქმეს ვერ გადავდებ მე სახვალიოდ,
მთელ ჩემს ქონებას მე გიბოძებთ დღესვე, თქვენა ხართ
ჩემი ერთგული მგობარი და ჩემი სიძე,
თქვენა ხართ ჩემთვის ვაჟიშვილზე უფრო ძვირფასი,
უფრო ძვირფასი მეუღლეზე და ნათესავზე.
ისურვებთ იმას, რაც მე ახლა შემოგთავაზებთ?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე ზეციერის ნება-სურვილს ვერსად წაუვალ!

ო რ გ თ ნ ი

საბრალო კაცი! წამომყევით ჩქარა, ქალღმერთი
რომ შევადგინოთ და გულეები მთლად დავუხეთქოთ!

მ ე ო თ ხ ე მ ო ჯ მ ე ღ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

კლეანტი, ტარტიუფი

კ ლ ე ა ნ ტ ი

ღიახ, ამაზე ლაპარაკობს მთელი ქვეყანა
და ეს ხმაური, დამიჯერეთ, არ უნდა იყოს,

მე ვფიქრობ, თქვენთვის საამაყო; სწორედ რომ დროზე შემხვდით, ბატონო, ჩემი აზრი ორიოდ სიტყვით მსურს მოგახსენოთ გულახდილად, ვერ შეეჩერდები ალბათ ზოგზე და გვერდს ავუვლი. მე მინდა მხოლოდ რომ გითხრათ: ვთქვათ და ამ საქმეში სტყუის დამისი, ტყუილუბრალოდ ალალმართალს ცილი დაგწამათ, ნუთუ არ უნდა აპატიოთ, ვით ქრისტიანმა ეს შეეცოდება? ან თქვენს გამო, როგორ აიტანთ, რომ გააძევოს მამამ შვილი სახლიდან ასე? დიახ, გულწრფელად გეუბნებით და გიმეორებთ, რომ ყველა თქვენზე ლაპარაკობს აღშფოთებულნი, ბავშვიც და დიდიც, გეუბნებით, მე დამიჯერეთ, აჯობებს თქვენთვის თუ ამ საქმეს არ გაამწვავებთ, თუ დამშვიდდებით, მოთმინებას თუ არ დაკარგავთ და გულისწყრომას თუ დაგიცხრობთ მალალი ღმერთი, შეილსა და მამას თუ ეცდებით და შეარიგებთ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ოჰ, გეფიცებით, მამოძრავებს მეც ეგ სურვილი, არა ვკიცხავ და ვაპატიე, რაც მაწყენინა და არაფერი აღარ მახსოვს, ჩემო ბატონო; მე გულით მსურდა, სამსახური რომ გამეწია, მაგრამ რა ვუყო, არ ინება ასე უფაღმა და თუ ის სახლში დაბრუნდება, უნდა წავიდერადგან მას შემდეგ, რაც მოხდა და რაც ჩაიღინა, ერთ ჰერკვეშ ჩვენი ცხოვრებაა შეუძლებელი: ღმერთო, რას იტყვის მაშინ ხალხი! რას დამწამებენ ანდა რა სარჩულს დაუდებენ, რას იფიქრებენ! დამნაშავეა, მაგრამ ახლა თავს იკატუნებს, ღვთისნიერ კაცად თავი უნდა მოგვაჩვენოსო, ეტყობა, რასან შეუურიგდა, პირშავად არის, ელაქუცება, რომ როგორმე გააჩუმოსო.

კ ლ ე ა ნ ტ ი

თქვენ გინდათ თავი დაიძვრინოთ ლამაზი სიტყვით და თქვენი ყველა მოსაზრება უსაფუქვლოა.

უფალს თავდებად რად უდგებით? ჩვენ რად ვუნდივართ,
განა უჩვენოდ მსჯავრს უფალი ვერ გამოგვიტანს?
თავის მრევლს, თავი დაანებეთ, თვითონ მოუვლის.
გახსოვდეთ, ჩვენი ნება არის, რომ კაცს შევეუნდოთ.
დაე, რაც უნდა ის თქვას ხალხმა, თქვენ რას დაეძებთ
თუ უზენაეს ღვთის განგებას ემორჩილებით.
იმ უბადრუტკმა აზრმა, ხალხი რას იფიქრებსო,
კეთილ საქმეზე ხელი უნდა აგაღებინოთ?
არა და არა; მაცხოვარი რომ შთაგვაგონებს
და სინდისი რომ გვიკარნახებს, ისე მოვიქცეთ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე აკი წელან მოგახსენეთ, შევეუნდობ-მეთქი
და მოვიქცევი ისე, როგორც ღმერთი ინებებს,
მაგრამ რაც მე ღღეს ავიტანე, არა მგონია,
ჩვენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება რომ ღმერთმა ინებოს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მაშ, ღმერთს ის ნებაგს, რომ უსმინოთ პირდაღებულმა
ხარბად გონებაარეული კაცის ლაპარაკს?
რომ დათანხმდეთ და უკანონოდ დაეპატრონოთ
ქონებას, თქვენ რომ არ გეკუთვნიოთ და გთავაზობენ?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ვინც მიცნობს, იმას არ მოუვა ფიქრად, რომ თითქოს
ავუტანივარ ანგარებას. აურაცხელი
წინ რომ დამიდონ მთელი ქვეყნის თვალმარგალიტი,
ვერ დამაბრმავებს, თვალს ვერ მომჭრის მისი ციმციმი.
ორგონის სურვილს თუ დავყევი და თუ მივიღე
ძღვენი, რომელიც მან უეცრად შემომთავაზა,
მხოლოდ იმიტომ, რომ იმისი ავლადიდება
არამზადას და უღირსს ხელში არ ჩაუვარდეს —
ვინც ამ სიმდიდრეს ვერ მოუვლის, დააქუცმაცებს,
ჩაიდენს ცოდვას ღვთის წინაშე და ვერ მოიხმარს
ისე, ვით მე მაქვს განზრახული რომ მოვიხმარო —
ღვთის სადიდებლად და მომავლის საკეთილდღეოდ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ო, ამის ფიქრი ნუ გექნებათ, ჩემო ბატონო,
ნუ ღელავთ-მეთქი ჭეშმარიტი მემკვიდრის გამო.
თქვენ რატომ უნდა შეიწუხოთ თავი. მემკვიდრე
თავის ქონებას, დაე, თვითონ დაეპატრონოს.
დაფიქრდით, განა შვილზე არ სჯობს, მემკვიდრეობას
ვერ გაუძღვაო, რომ თქვან, ვიღრე თქვენ დაგდონ ბრალი,
კანონიერ შვილს წაართვაო მემკვიდრეობა?
მე ის მაოცებს მეტისმეტად, რომ თქვენ ესოდენ
აუღელვებლად შეხვდით მამის წინადადებას.
გულმოდგინება ჭეშმარიტი, მიბრძანეთ, განა
თქვენ ნებას გაძლევთ, სხვას წაართვათ მემკვიდრეობა?
და რაკი ღმერთმა მოგისაჯათ და მძიმე არის
ერთ ჭერქვეშ თქვენი და დამისის ცხოვრება, მაშინ,
ვით მოკრძალებულ ადამიანს შეეფერება,
ხომ არ აჯობებს, ამ სახლიდან რომ პატიოსნად
წასულიყავით? რომ ტყუილად არ დაიტანჯნონ
და რომ თქვენს გამო არ გააგდოს შვილი სახლიდან
მამამ და თქვენ კი დაგვარწმუნოთ, პატიოსანი
ადამიანი რომ ბრძანდებით?..

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ბატონო, ოთხის

ნახევარია. ღვთისმოსავის მოვალეობა
მე ზევით მიხმობს. მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ.
(მიდის.)

კ ლ ე ა ნ ტ ი
ოჰი..

გამოსვლა მეორე

ელშირი, მარიანი, დორინი, კლენტი

დ ო რ ი ნ ი

(კლენტს)

ღვთის გულისთვის, გაუწოდეთ ხელი მარიანს
და დაეხმარეთ, იტანჯება იგი, ბატონო.

რაც დღეს მოხდა და რაც შეიტყო მამის სურვილი,
არის მას შემდეგ უსასოო და განწირული.
აქ ახლა მოვა ორგონი და გემუდარებით,
რომ დამეხმაროთ, მოვიკრიბოთ უნდა ძალ-ლონე
და ჩვენ როგორმე, ნებითა თუ ძალდატანებით
ამ განზრახვაზე ხელი უნდა ავალებინოთ.

გამოსვლა მისამე

ორგონი, ელმირი, მარიანი, კლენტი, ღორინი

ორგონი

ოჰ! რა კარგია, ყველას ერთად თავმოყრილს გხედავთ.
(მარიანს)

მე ამ ქალაქით მოგანიჭებთ მხოლოდ სიხარულს
და თუ რას ნიშნავს ეს ქალაქი, თქვენ უკვე იცით.

მარიანი

(ორგონს დაუჩოქებს.)

ო, მამაჩემო, ღვთის სახელით, რომელმაც იცის
ჩემი უზომო მწუხარება, გემუდარებით,
რომ არტახები მამობრივი ძალაუფლების
შემიმსუბუქოთ, შემეცვალოთ ღმობიერებით.
გთხოვთ, დამიმსხვრიოთ ბორკილები მორჩილებისა,
არ ამომხადოთ უმკაცრესი კანონით სული,
არ მიმიყვანოთ იმ ზომამდე, ის დღე დავწყევლო,
თქვენ რომ ჩამიდგით სული; დიახ, გემუდარებით,
ო, მამაჩემო, წუთისოფელს ნუ გამიმწარებთ.
თუ ჩემს ტკბილ იმედს, რომელსაც მე ვეაღერებები,
ბოლოს მოუღებთ და სიყვარულს დამისამარებთ,
ის მაინც ქენით, მუხლმოყრილი გემუდარებით,
რომ ამაცილოთ სატანჯველი და ვინც მძულს, მისი
აღარ გამხადოთ, შემებრალოთ მე უსასოო
და არ შემწიროთ თქვენს მამობრივ ძალაუფლებას.

ო რ გ ო ნ ი

(გული აუჩვილდება. თავისთვის.)
გამაგრდი, გულო, ახლა რა დროს სიბრაულელია!

მ ა რ ი ა ნ ი

მე ვიცი, თქვენთვის ტარტიუფი რა ძვირფასია.
ეგ არ მაწუხებს. არ მაწუხებს, მთელი ქონება
რომ დაუმტკიცოთ. თქვენ თუ გნებავთ, მე რაც მეკუთვნის, -
ისიც მიეცით, თანახმა ვარ, ვამბობ გულწრფელად,
ოლონდ მე თავი დამანებეთ და ნუ გამწირავთ.
ნება მომეცით, შევაფარო მონასტერს თავი,
იქ გავატარო ნაღვლიანი ჩემი ცხოვრება.

ო რ გ ო ნ ი

აჰ! მონასტერი სწორედ მაშინ გაახსენდებათ,
მათ გატაცებას როცა მამა წინ აღუდგება!
ქმარა! ახლავე წამოდექით! ეს ქორწინება
თუ სასჯელია, თქვენ ღირსი ხართ ამ სასჯელისა.
თქვენს გატაცებას მოერიეთ ამ ქორწინებით
და ღღეის შემდეგ ამით თავი არ მომაბეზროთ.

დ ო რ ი ნ ი

რა ამბავია?

ო რ გ ო ნ ი

თქვენ გაჩუმდით და ლაპარაკში
სხვას ნუ ეჩრებით. ეგ თქვენი ხმა არ გამაგონოთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

თუ ნებას დამრთავთ, ცოტაოდენ რჩევას მეც მოგცემთ...

ო რ გ ო ნ ი

ჩემო ცოლისძმავ, თქვენი რჩევა მშვენიერია
და გონივრულიც არის მუდამ, ძალზე ვაფასებ,
მაგრამ ამჯერად ვერაფერში გამომადგება.

ე ლ მ ი რ ი

(ქმარს)

გაოცებული შემოგყურებთ და ველარ მითქვამს
სათქმელი, ასე, მე არ ვიცი, რამ დაგაბრმავათ:
თქვენ ტარტიუფმა რა წამალი დაგაღვინათ,
რომ ყველას ებრძვით და არავის აღარ უჯერებთ.

ო რ გ ო ნ ი

თქვენი მონა ვარ, ქალბატონო, უმორჩილესი,
მაგრამ, მე ვიცი, ჩემს ვაჟიშვილს, იმ ვიგინდარას,
რომ თანაუგრძობთ; შეშინდით და ვერ შეაჩერეთ,
როცა საბრალლო აღამიანს ცილი დასწამა;
მშვიდად იდექით, ეგ მართალი რომ ყოფილიყო,
თქვენ უსათუოდ სხვანაირად აღშფოთდებოდით.

ე ლ მ ი რ ი

შეყვარებულის აღსარებამ, მიაშიტურმა,
განა ჩვენ უნდა მრისხანებით გული აგვივსოს?
ან განა უნდა თვალებიდან ცეცხლი ვაფრქვივით
და ცეცხლმოდებულს ვუპასუხოთ ლანძღვა-გინებით?
მე მეცინება მხოლოდ ასეთ სისულელეზე
და აბა, ბრძანეთ, რად შეეყარო მთელი ქვეყანა?
ფრთხილად მოვიქცე მირჩვენია და გონივრულად,
გაწიწმატება არას მარგებს მოჩვენებითი;
ვითომ ღირსების დასაცავად ზოგ მანდილოსანს,
კაცს რომ თვალეხი დაათხაროს, ის შეუძლია;
მე კიდევ დმერთმა დამიფაროს! სხვა საზომი მაქვს
სათნობისა, მე როკაპი ქალი არა ვარ.
ასე მგონია, რომ უარი, თავშეკავებით
ნათქვამი, უფრო გამოდგება თავდასაცავად.

ო რ გ ო ნ ი

როგორც ვთქვი, ისე მოვიქცევი, რაც იყო, იყო.

ე ლ მ ი რ ი

მაოცებს თქვენი უძლურება. მაგრამ მითხარით,

თქვენს უნდობლობას როგორ ახსნით, რომ დაგარწმუნოთ ჩვენს სიმართლეში და რომ ვამბობთ მხოლოდ სიმართლეს?

ო რ გ ო ნ ი
რომ დამარწმუნოთ?

ე ლ მ ი რ ი

დიახ.

ო რ გ ო ნ ი

ხუმრობთ!

ე ლ მ ი რ ი

არ გეხუმრებით!

რას იტყვით, საქმით რომ შევძლოთ და რომ დაგიმტკიცოთ?

ო რ გ ო ნ ი
სისულელეა!

ე ლ მ ი რ ი

რა კაცია! მითხარით მაინც:

რომ დაგვიჩეროთ სიტყვიერად, არ გვინდა-მეთქი მაგრამ დავუშვათ, რომ სწორედ აქ და ამ ადგილას მაგ თქვენი ყურით მოისმინოთ და თქვენი თვალით თქვენი მეგობრის ვერაგობა რომ დაინახოთ?

ო რ გ ო ნ ი
ამ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ... არაფერს. არა, ეგ არ მოხდება.

ე ლ მ ი რ ი

თქვენს გარშემო უნდა იცოდეთ რა ხდება. არ მსურს, რომ გეგონოთ, თითქოს მე ვცრუობ. თქვენც გაერთობით და შორს წასვლაც არ დამჭირდება. მე ჩემს ნათქვამში დაგარწმუნოთ უნდა ახლავე.

ო რ გ ო ნ ი

დე, ასე იყოს. დაგიჭიროთ უნდა სიტყვაზე. ვნახოთ, პირობის შესრულებას თუ მოახერხებთ.

ე ლ მ ი რ ი

(დორინს)

აქ მომიყვანეთ

დ ო რ ი ნ ი

(ელმირს)

ცბიერია და შეიძლება

მიხვდეს, საფრთხე რომ ემუქრება და არ წამომყვეს.

ე ლ მ ი რ ი

არა, ადვილად ტყუედებიან, როდესაც უყვართ
და ჩვენს სიფხიზლეს სიამაყეც აძინებს ხოლმე.
წადით, მოუხმეთ იმას ჩემთან.

(კლევანტს და მარიანს)

თქვენ კი წაბრძანდით.

(დორინი, კლევანტი და მარიანი მიდიან.)

გამოსვლა მეოთხე

ელმირი, ორგონი

ე ლ მ ი რ ი

თქვენ ამ მაგიდის ქვეშ შექვერით და დაიმალოთ.

ო რ გ ო ნ ი

რაო?

ე ლ მ ი რ ი

არ უნდა შეგამჩნიონ, რომ იმალებით.

ო რ გ ო ნ ი

რად დაეიმალო?

ე ლ მ ი რ ი

ხელს ნუ მიშლით, ოჰ, ღმერთო ჩემო!
რაც განვიზრახე, იმას ალბათ მერეც მიხვდებით.

ახლა კი ჩქარა დაიმაღლეთ და მოიქეცით
ისე, რომ თავი არ გასცეთ და არ დაგინახონ.

ო რ გ ო ნ ი

ნებას არ უნდა დაგყოლოდით, მაგრამ ძალიან
მაინტერესებს, თავს ამ საქმეს როგორ გაართმევთ.

ე ლ მ ი რ ი

მე მგონი, სხვა გზა არ გექნებათ და შურს იძიებთ.

(მაგიდის ქვეშ შემძვრალ ქმარს.)

ამრიგად, ახლა მოვიქცევი მე უცნაურად
და არაფერი გაიკვირვოთ და არ აღელდეთ.
მე ჩემი მიზნის მისაღწევად, რომ დაგარწმუნოთ,
რაც არ უნდა ვთქვა, არ აღელდეთ, არ ჩამერიოთ.
რახან შევტოპე, დავუტკბები, მოვეფერები,
თვალთმაქცს ნიღაბი რომ ჩამოვხსნა, დავაიბედებ,
რომ თითქოს იგი აისრულებს თავის საწადელს
და არ მოვთოკავ საწადელით გათავხედებულს,
რადგანაც ასე თავს შეირცხვენს სააშკარაოდ.
თავს მოვაჩვენებ ისე, თითქოს მეც ვუთანაგრძნობ,
მაგრამ როგორც კი ბოლოს საქმე იქამდე მივა,
რაც სულ არ არის სასურველი, თქვენ გამოჩნდებით
და მის ყინსა და მგზნებარებას თქვენ შეაკავებთ.
თქვენ უნდა იხსნათ, როცა საფრთხე დაემუქრება,
ცოლი, რომელმაც განსაცდელში თავი ჩაიგდო,
რომ აეხილა თქვენთვის თვალი. კარგათ გახსოვდეთ,
რომ ახლა მხოლოდ თქვენს ხელშია ჩვენი ღირსება
და... აქეთ მოდის. იჭეკით და ხმა არ გაიღოთ.

გამოსვლა მახუთა

ტარტიუფი, ელმირი, ორგონი (მაგიდის ქვეშ.)

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მითხრეს, გინმობსო, საუბარი გასურთ თურმე ჩემთან.

ე ლ მ ი რ ი

დიახ. გაგანდოთ საიდუმლო მინდა და სანამ
რამეს გეტყოდეთ, გაიხედეთ და შეამოწმეთ,
თავზე არავინ არ დაგვადგეს, კარი ჩაკეტეთ.

(ტარტიუფი კარს ჩაკეტავს და დაბრუნდება.)

ახლაზან მოხდა ასეთი რამ და, რა თქმა უნდა,
რომ განმეორდეს, სასურველი სულაც არ არის.
სიფრთხილე მაინც საჭიროა, როგორც ეტყობა.
დამისმა მეტად შემაშინა თქვენს გამო, ალბათ
დაინახავდით, ვით ვეცადე, რომ განზრახული
არ მოეყვანა სისრულეში და დამცხრალიყო.
ისე შემიძყრო მღელვარებამ, რომ იქვე იმის
გასამტყუნებლად ვერა ვთქვი რა და, მადლობა ღმერთს,
რომ ეს გამოდგა უკეთესი და ყოველივე
მაინც დასრულდა კარგად. თქვენმა მომხიბვლელობამ,
რომ აქადოებს ჩემს მეუღლეს ასე, გაფანტა
ჭექა-ქუხილი; თქვენზე ეჭვიც არ გასჩენია.
მითქმა-მოთმას რომ სამუდამოდ ბოლო მოუდოს,
პირიქით, სურს რომ ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდეთ.
სწორედ ამიტომ შემიძლია დაურიდებლად
თქვენთან ოთახში ჩავიკეტო, თავს ნება მივცე,
გადაგიშალოთ ჩემი გული და შევფურიგდე
დაუოკებელ, თავაწყვეტილ თქვენს მგზნებარებას.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

დასაჯერებლად ძნელი არის, რასაც თქვენ ბრძანებთ,
რადგან ახლაზან, ქალბატონო, სულ სხვას ამბობდით.

ე ლ მ ი რ ი

ოჰ! ჩემს წედანდელ უარზე თუ ასე განრისხდით,
როგორც ეტყობა, ქალის გული არა გცოდნიათ!
არაფერს ნიშნავს, უკვე დროა იცოდეთ, ქალი
თავს რომ იცავს და უარს ამბობს გაუბედავად.
ეს იმას ებრძვის სათნოება ამ შემთხვევაში,
რაც შეიძლება სიყვარულმა რომ მოგვანიჭოს.

რადგან, რაც უფრო გვეკიდება ცეცხლი ტრფობისა, მით უფრო მეტად გვრცხვენია და თავს არ ვუტყდებით; ჯერ ვუმკლავდებით, მაგრამ მაინც გვემჩნევა ხოლმე, შეუვალობის ციხე მალე რომ დაირღვევა, რომ რასაც ენა ლაპარაკობს, ჩვენი სურვილი ის აღარ არის და უარი დაპირებაა.

თქვენ ვერ მიხვდით და მე პირდაპირ გითხარით ჩემი გულის ნადები; ჩემს რიდსა და ჩემს მოკრძალებას არ გავუწიე ანგარიში; აბა, დაფიქრდით, განა დამისის შეჩერებას შევეცდებოდი, განა გულდასმით მოვისმენდი თქვენს აღსარებას ან ასე მშვიდად შევხვდებოდი, როგორც მე შევხვდი და თქვენც იხილეთ, რომ გულით არ თანაგიგრძნობდით? და განა მე არ გაიძულეთ, გამოცხადებულ ქორწინებაზე რომ უარი გეთქვათ, ეგ განა მე არ ვისურვე? ჩემმა თხოვნამ დაჟინებულმა ვერ მიგახვედრათ ნუთუ, თქვენგან რას მოითხოვდნენ? რომ ამ კავშირით სანახევროდ თქვენს გულს მტაცებდნენ და მე კი იმას საზიაროდ ვერ ვიმეტებდი?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ო, ქალბატონო, ჩემთვის არის ენით უთქმელი ბედნიერება, რომ ამ სიტყვებს თქვენი ბაგენი ღალადებენ და სიტკბოება სულში მეღვრება იმ ნეტარებად, აქამდე რომ არ მღირსებია.

თქვენს დაჟინებულ ყურადღებას ვიმსახურებდე, ეგ ჩემთვის მხოლოდ ოცნებაა მიუწვდომელი. მაგრამ მომეცით ნება, ეჭვი რომ შევიტანო, არ დავიჯერო კარს მომდგარი ბედნიერება.

ვაითუ თქვენი საუბარი მოხერხებულ იფანდი არის, რომ ქორწინება ჩამაშლევინოს; ვიქნები თქვენთან გულწრფელი და თქვენი სიტყვები აღერსიანი არა მჯერა და მხოლოდ მაშინ დაეჯერება, სიტყვას საქმით თუ დაამტკიცებთ და სულში მტკიცედ იმის იმედს თუ ჩამისახავთ, რომ ამისრულებთ გულკეთილად, რასაც მპირდებით.

ე ლ მ ი რ ი

(ჩაახველებს, რომ ქმრის ყურადღება მიიქციოს.)
როგორ? თქვენ გინდათ, ასე სწრაფად და ერთის დაკვირვით
რომ დაეწაფოთ და მოიკლათ ხარბი წყურვილი?
თქვენ ვერ მიხვდებით, რად მიღირდა ეს აღსარება,
მაგრამ ეგ თქვენთვის საკმარისი არ არის თურმე.
და მხოლოდ მაშინ დამშვიდდებით და გაიხარებთ,
როცა, ეტყობა, უკანასკნელ ზღვარს გადალახავთ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

რაც უფრო მეტად უღირსნი ვართ ნეტარებისა,
მით უფრო გვიქირს ვიოცნებოთ ნეტარებაზე
და მხოლოდ სიტყვით ვერ ვიჭერებთ, რომ ახლო არის
ბედნიერება სანატრელი; ამიტომ გვინდა,
საქმით ვირწმუნოთ. მე პირადად ასე მკონია,
თქვენი ესოდენ ყურადღების ღირსი არა ვარ;
ვერ დავრწმუნდები, ქალბატონო, თქვენს სიყვარულში
თუ არ მექნება რეალური ამის საბუთი.

ე ლ მ ი რ ი

ო, ღმერთო, თქვენი სიყვარული დაუნდობელი
არ მიბრალებს და უცნაურად მიმღვრევს გონებას!
თვითმპყრობელივით იმორჩილებს გულს და მბრძანებლობს!
ესწრაფვის, ძალით რომ მოიკლას მძაფრი წყურვილი
როგორ! თქვენ უნდა ვერ გაგექცეთ აღამიანი?
სული ვერ უნდა მოიბრუნოს? ასეთი მკაცრი
ვის მოსწრებია სიყვარული? მიზნად დასახულს
რატომ მიელტვით ჯიუტად და შეუბრალებლად?
ასე ბოროტად რად იყენებთ, თუ გიმჟღავნებენ
თავდავიწყებას, თქვენს სიყვარულს და უმწეობას?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

კეთილი თვალთ თუ მიყურებთ, რატომ არ გნებავთ,
თქვენს სიყვარულში თქვენი ქცევით რომ დამარწმუნოთ?

ე ლ მ ი რ ი

კი, მაგრამ, ვთქვათ და არ გითხარით უარი, მერე?
მერედა ღმერთი? თქვენს მწყალობელს რას ეუბნებით?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თუ მხოლოდ ღმერთი ელობება ჩემს სურვილს, მაშინ
ამ დაბრკოლების გადალახვა არ გაძნელებდა
და ჩემი გულის მისწრაფებას ვერ შეაფერხებს.

ე ლ მ ი რ ი

ღმერთმა რისხვით რომ გადმოგვხედოს? მე მეშინია!

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მაგ გულუბრყვილო შიშმა რომ არ დაგიმორჩილოთ,
მე ვიცი, როგორ მოგაშოროთ თავიდან ექვი.
ღმერთი გვიკრძალავს, რომ ცთუნებას აუყვეთ და მაინც
გულმოწყალეა მაცხოვარი და კაცი მასთან
საერთო ენას გამონახავს. ჩვენი სინდისი,
თუ გაუქირდა, გამართლებას მაინც იპოვის.
რადგან, რაც უფრო მძიმე არის დანაშაული,
მოიძებნება გამართლება იმით, რომ თითქოს
ჩვენი განზრახვა წმინდა იყო. ამ საიდუმლოს
რაზან გიმელავნებთ, ქალბატონო, ის გირჩევნიათ.
ჩემს ნებას დაჰყვეთ, ნუ გეჭნებათ ნურაფრის შიში,
მე პასუხს ვაგებ, რომ საწყენი თქვენ არ შეგხვდებათ.
(ელმირი უფრო ძლიერ ჩაახველებს.)
როგორ ახველებთ, ქალბატონო.

ე ლ მ ი რ ი

ღიახ, გავწამდი.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

რატომ არ დალევთ, ქალბატონო, ძირტკბილას ნაყენს?

ე ლ მ ი რ ი

ისეთი სურდო შემეყარა, როგორც ეტყობა,
რომ მთელი ქვეყნის წამალიც კი ველარ მიშველის.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი
რა საწყენია!

ე ლ მ ი რ ი

ვერ აგიწერთ, ისე მაწუხებს.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თქვენი შიში კი, დამიჯერეთ, უსაფუძვლოა,
ჩემი ღუმილი მყუდროების საწინდარია.
თუ გაგვიმქლავნდა საქციელი, გველის ხიფათი.
რომ აეხდება ფარდა, აი, ცოდვა ის არის,
რაც ჩუმად ხდება, იგი ცოდვად არ ჩაითვლება.

ე ლ მ ი რ ი

(კიდევ ჩაახველებს და მაგიდაზე დააკაკუნებს.)
მე, ერთის სიტყვით... როგორც ვხედავ, უნდა დაგიომოთ,
რასაც მთხოვთ, უნდა აგისრულოთ და ნებას დაგყვეთ.
და ასე თუ არ მოვიქეცი, როგორც ეტყობა,
ვერ დაწყენარდებით და ამიტომ უნდა დაგნებდეთ.
საწყენი არის უსათუოდ, მე რომ არ მინდა,
სწორედ იმგვარად რომ ვიქცევი, მაგრამ რა ვუყო,
რა ვუყო-მეთქი, ჭიუტად რომ მაიძულებენ,
არ იჯერებენ სიტყვიერად და მოითხოვენ,
დავუსაბუთო არა სიტყვით, არამედ საქმით.
როგორც ეტყობა, უამისოდ ვერ გადავრჩები
და თუკი ჩემი საქციელით ცოდვას ჩავიდენ,
ვინც ძალას მატანს, რომ ეს ცოდვა ჩამადენინოს,
მისი ბრალია, ეგ არ არის ჩემი შეცდომა.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე მომეკითხოს, ქალბატონო, დიან და თუკი...

ე ლ მ ი რ ი

მანამდე კარი გამოაღეთ და გაიხედეთ,
ჩემი მეუღლე დერეფანში არ დადიოდეს.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ზედმეტი არის ეგ სიფრთხილე. ჩვენში დარჩეს და,

თქვენი მეუღლის გაბრიყვება ადვილი არის.
ის მხოლოდ იმას ამომძახებს, რასაც ჩაეძახებ
და თვალებს ისე არ ენდობა, მე რომ მენდობა.

ე ლ მ ი რ ი

არა, ახლავე გადით გარეთ და შეამოწმეთ,
გემუდარებით, ყველა კუთხე, ყველა კუნჭული.
(ტარტიუფი გადის.)

გამოსვლა მუჰამადის

ორგონი, ელმირი

ო რ გ ო ნ ი

(მაგიდის ქვემოდან გამოძვრება.)

ეს რა გაეიგე, არამზადა ყოფილა, ფლიდი
გონს ვერ მოვსულვარ, გამისკდება გული ახლავე.

ე ლ მ ი რ ი

როგორ, ბატონო! გამოძვერით? ხომ არ დამცინით?
ისევ მაგიდის ქვეშ შეძვერით, ჯერ ადრე არის.
ბოლომდე უნდა მოითმინოთ, ვერ დაგარწმუნებთ
მხოლოდ სიტყვა და ვარაუდი, საქმით დარწმუნდით.

ო რ გ ო ნ ი

ასეთ სატანას ჯოჯოხეთიც ვერ ჩასახავდა!

ე ლ მ ი რ ი

ო, ღმერთო ჩემო! ასე უცებ ნუ დაიჭერებთ,
დაუფიქრდით და მსჯავრი ისე გამოიტანეთ,
ვაითუ სული წაიწყმიდოთ, ნუ აჩქარდებით.
(ქმარს აეფარება.)

გამოსვლა მუშვიდი

ტარტიუფი, ელმირი, როგონი

ტარტიუფი

ღმერთმა ინება, ქალბატონო, რომ შევეისრულო
სურვილი, რადგან მოვიარე ყველა ოთახი,
მაგრამ ვერაფერ ვერ ვნახე; ბედნიერი ვარ...

(როცა ხელგაწვდილი ტარტიუფი ელმირს მიუახლოვდება, რომ
მოეხვიოს, ელმირი გვერდზე გადგება და ტარტიუფი როგონის
პირისპირ აღმოჩნდება.)

როგონი

(შეაჩერებს ტარტიუფს.)

დაწყნარდით! როგორ დაგიკარგათ თავგზა სურვილმა,
ვნებათაღელვამ ასე როგორ დაგიმორჩილათ.
ო, აი, თურმე ღვთის მორჩილი რას მიპირებდით!
ცთუნებას როგორ აპყობიხართ! თქვენ ცოლად ირთავთ
ჩემს ქალიშვილს და ჩემს ცოლზე კი გიჭირავთ თვალის
ეჭვი მტანჯავდა, მაგრამ ჩემს თავს არ ვუტყუდებოდი,
ასე მეგონა, რომ თავს მაინც შეიკავებდით.
ახლა თვალები ამეხილა, ყველაფერს ვხედავ
და სხვა საბუთი რაღად მინდა, რა საჭიროა.

ელმირი

(ტარტიუფს)

ჩემთვის ამგვარი საქციელი უჩვეულოა,
იძულებული გავხდი, ასე რომ მოგქცეოდით.

ტარტიუფი

როგორ? თქვენ გჭერათ...

როგონი

ნურას იტყვით, იყურეთ, კმარა;
მომშორდით-მეთქი, ჩქარა! უკან არ მოიხედოთ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი
მე მსურდა...

ო რ გ ო ნ ი

ახლა ეგ სიტყვები უადგილოა,
უნდა დატოვოთ ჩემი სახლი დაუყოვნებლად.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

სახლიდან წასვლა თქვენ მოგიწევთ, სახლის მფლობელი
რომ მე ვარ, ამას დაგიმტკიცებთ თუ გნებავთ დღესვე.
მე დაგარწმუნებთ, რომ ხრიკებით ვერ მომატყუებთ,
ტყუილად ცდილობთ, ჩემთან ჩხუბით ვერას გახდებით.
არც ჩემს გინებას გაპატიებთ, მე კარგად ვიცი,
თუ როგორ უნდა გავუსწორდე ცილისმწამებლებს;
ვინც ღმერთს სცოდავს და ვინც აქედან ჩემს გაძევებას
აპირებს, თავბელს ვაწყვევლინებ და შურს ვიძიებ.
(მიდის.)

გამოსვლა მერვე

ელმირი, ორგონი

ე ლ მ ი რ ი

რას ამბობს? რითი იმუქრება, რა ამბავია?

ო რ გ ო ნ ი

ღმერთო, რა წყალში გადავევარდე, რა დამემართა!

ე ლ მ ი რ ი

მაინც რა მოხდა?

ო რ გ ო ნ ი

დავაშავე, როცა ვუბოძე
მემკვიდრეობა, დამარწმუნა მისმა ნათქვამმა.

ელმირი
მემკვიდრეობა...

ორგონი

დიახ, ამას რა ეშველება,
მე სხვა რამ უფრო მედარდება და ის მაწუხებს.

ელმირი
რა არის?

ორგონი

გეტყვით, მომიცადეთ, ჯერ ზემოთ ავალ
და შევამოწმებ, ჩემი ყუთი ისევ იქ თუა.

მეხუთე მოქმედება

გამოსვლა პირველი

ორგონი, კლენტი

კლენტი
საით გარბიხართ?

ორგონი

მეც არ ვიცი.

კლენტი

მე კი მგონია,
კარგი იქნება, თუკი ერთად მოვითათბირებთ,
ამ შემთხვევაში რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ.

ორგონი

იმ ყუთის ბედი მეტისმეტად მაწუხებს, რა ვქნა,
რომ დაიკარგოს, მოსაკლავი მექნება თავი.

კ ლ ე ა ნ ტ ი

იმ ყუთში ალბათ საიდუმლო ქალაღდებია?

ო რ გ ო ნ ი

მე იგი დიდი სასოებით მანდო არგასმა,
ჩემმა საბრალო მეგობარმა. მან საიდუმლოდ,
როცა გაქცევას აპირებდა, გადმომცა ყუთი
და მითხრა: ჩემი სიცოცხლე და კეთილდღეობა
მხოლოდ ამაზე ჰკიდია და შემინახეთო.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მერედა, ასე დაუდევრად რად მოექეცით?

ო რ გ ო ნ ი

გულუბრყვილობით მომივიდა, არ დაეუფიქრდი
და არამზადას საიდუმლო ჩაუუგდე ხელში,
დამარწმუნა და ლაპარაკით დამიყოლია,
რომ შესანახად გადამეცა მისთვის ის ყუთი,
ვითომ იმ მიზნით, რამ ქალაღდებს თუ იკითხავდნენ
და ძებნას თუკი დაუწყებდნენ, იმ შემთხვევაში
მე პირნათელი ვიქნებოდი, ის ქალაღდები
მე არ მაქვს-მეთქი, ტყუილად არ დავიფიცებდი.

კ ლ ე ა ნ ტ ი

თავი ცუდ დღეში ჩაგიგდიათ და გადაჰყრიხართ
დავიდარაბას. რად უბოძეთ მემკვიდრეობა
და საიდუმლო რად გაანდეთ? ეგ ჩემის აზრით,
საქციელია უგუნური. მას შეუძლია,
როგორც სურს, ისე გათამაშოთ, იმის ხელში ხართ,
რადგან მას თქვენი დასაკლავი დანა მიეცით.
თქვენ შეტევაზე ვერ გადახვალთ, ხომ არ აჯობებს,
რომ შეიკავოთ თავი ანდა შემოირიგოთ?

ო რ გ ო ნ ი

რაო? სატანას შევურიგდე, რომ მომატყუა?
მუხანათს, თავი ანგელოსად რომ მომაჩვენა?!

მე წვევიკედლე მაწანწალა და მათხოვარი...
არა აღაჯა მწამს წესიერი ადამიანი,
ამიერიდან მხოლოდ მისი ზიზღი მექნება
და დაუნდობელ ბელზებელად გადავიქცევი.

კ ლ ე ა ნ ტ ი

კარგით! გეყოფათ! მეტისმეტად ნუ გაცხარდებით!
ზომიერება არა გყოფნით, თავს ვერ იკავებთ,
არ უფიქრდებით; ყველაფერი წრეგადასული
გახასიათებთ — მტრობაა თუ სიყვარულია.
დღეს რახან მიხვდით თქვენს შეცდომას, ფრთხილად იქნებით
და მოჩვენებით ერთგულებას არ მიენდობით.
მაგრამ შეცდომა თუ გნებავთ რომ გამოასწოროთ,
აღარ დაუშვათ უარესი. თუ გაიძვერა
გადაგეყარათ, განა ყველა ადამიანი
გაიძვერაა, წესიერმა რა დააშავა?
როგორ? ფლიდი და არამზადა თუ შეინიღბა
და თვალთმაქცური ლაპარაკით თუ მოგატყუათ,
განა ყველანი იმას ჰგვანან და ღვთისნიერი
ადამიანი ქვეყნად აღარ დაიარება?
თქვენ ეგ აზრები უგუნურებს გადაულოცეთ;
არც სათნოების გამოცნობა არ არის ძნელი;
დაუფიქრდით და მსჯავრი ისე გამოიტანეთ;
უმჯობესია, საშუალო გზას თუ მონახავთ.
შორს დაიჭირეთ ფარისევლის პატივისცემა,
თორემ ისეთი ცოდვა არის ეჭვიანობა,
რომ თუკი მაინც უნდა შესცდეთ, ალბათ ამ ორი
შეცოდებიდან აჯობებდა ისევე პირველი.

გამოსვლა მეორე

ორგონი, კლეანტი, დამისი

დ ა მ ის ი

მართალი არის, მამაჩემო? ის არამზადა
რომ დაგემუქრათ? უსირცხვილომ მართლა გადიძრო

ბოლოს ნილაბი წმინდა კაცის და მართლა უნდა,
თქვენ სიკეთე რომ ბოროტად გამოიყენოს?

ორგონი

მართალი არის, შვილო ჩემო და მეც ეგ მტანჯავს.

დამისი

ნება მომეცით, რომ ორივე ყური დავაჭრა,
ბოლოს მოვეუღებ ასე იმის კადნიერებას.
ამ მოძალადეს ჩვენ თავიდან ვერ მოვიშორებთ
თუ ჩემი ხელით სიცოცხლეს არ გამოვასალმე.

კლენტი

აი, ეს არის ლაპარაკი ყმაწვილკაცური.
ისა სჯობს, თავი შეიკავოთ და არ აღელდეთ:
ჩვენ ახლა ვცხოვრობთ იმ დროში და იმ ქვეყანაში,
ძალმომრეობით არაფერი გამოგვივა რა.

გამოსვლა მისამე

ქ-ნი პერნელი, ორგონი, ელმირი, კლენტი, მარიანი,
დამისი, დორინი

ქ-ნი პერნელი

რა ამბავია? შემზარავი ხმები დაირხა.

ორგონი

რასაც ამბობენ, იმ ამბების მხილველი მე ვარ.
კაცმა სიკეთე აი, ასე გადამიხადა.
ბეჩავს და ლატაკს გავუწოდე ხელი და მივეც
თავშესათარი, დაეასახლე, ძმად გავიხადე;
რაც მქონდა, იმას ვუწყალობე და ჩემს ასულზე
გადამეწერა უნდა ჯვარი, მაგრამ ვერაგმა
და უნამუსომ დამიპირა ცოლის შეცდენა;
რაკი მივუხვდი ამ განზრახვას, ახლა ის უნდა
მთელი ქონება რომ წამართვას; ჩემს დასალუბად

გამოიყენოს, მუხანათმა, ის ქალღმერთი,
რომ ჩაუვარდა ხელში ჩემი გულუბრყვილობით
და გამაძევოს ამ სახლიდან, სადაც მე იგი
შემოვიხიზნე, როცა მშიერს სული სძვრებოდა.

დო რ ი ნ ი
საწყალი კაცი!

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი
მე ვერაფრით ვერ დავიჭერებ,
რომ იგი ასეთ ვერაგობას განიზრახავდა.

ო რ გ ო ნ ი
როგორ?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი
წესიერ ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს.

ო რ გ ო ნ ი
ვერ მივხვდი ამით, დედაჩემო, რის თქმას აპირებთ?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი
რომ ამ ოჯახში წესიერად არა ცხოვრობენ
და ტარტიუფის ზიზლი არის გამეფებული.

ო რ გ ო ნ ი
რაც ვთქვით, იმასთან სიძულვილი რა შუაშია?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი
სულ პაწაწინა იყავით, რომ გეუბნებოდით:
ამ ქვეყანაზე სათნოებას სდევნიან-მეთქი;
მოშურნეები კვდებიან და არ კვდება შური.

ო რ გ ო ნ ი
თქვენ რასაც ამბობთ, ამ ამბავთან რა კავშირი აქვს?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

პირი შეკრეს და გააშავეს იგი თქვენს თვალში.

ო რ გ ო ნ ი

ხომ მოგახსენეთ, ჩემი თვალით ვიხილე-მეთქი.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ენას მრავალი ბოროტება ჩაუდენია.

ო რ გ ო ნ ი

ო, რატომ მტანჯავთ, დედაჩემო, აკი გითხარით,
რაც ჩაიდინა, ჩემი თვალით ვიხილე-მეთქი.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ადამიანის ენა ბალღამს თუ გადმონათხევს,
თავს ვინ დაიცავს ან რომელი გადაურჩება!

ო რ გ ო ნ ი

რა უაზრო და უგუნური ლაპარაკია!
მე ვნახე-მეთქი, ვნახე-მეთქი, მე თვითონ ვნახე,
როგორც თქვენ გხედავთ ახლა, ისე. რამ დაგაყრუათ,
ათიათასჯერ ხომ არ უნდა ჩაგძახოთ ყურში?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

ო, ღმერთო ჩემო, თვალი ხშირად არ არის სანდო
და ვერ ვიმსჯელებთ, რასაც ვხედავთ, იმის მიხედვით.

ო რ გ ო ნ ი

გადავირევი.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

გვიმორჩილებს ადვილად ექვი
და ბოროტებად გვეჩვენება ხშირად სიკეთე.

ო რ გ ო ნ ი

თუ ჩემს მეუღლეს საკოცნელად მოეხვევიან,
უნდა ვიფიქრო, მზრუნველობით მოექცნენ-მეთქი?

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

თუ ბრალს სდებთ, უნდა უტყუარი საბუთი გქონდეთ.
რომ მოგეთმინათ, საბოლოოდ დაწმენდებოდით.

ო რ გ ო ნ ი

რა უტყუარი საბუთილა მინდოდა, ღმერთო!
მაშ, დამეცადა, დედაჩემო, რომ მას ჩემს თვალწინ...
ოჰ, სისულელე წამომცდება, ისე შემიჩნდით.

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

არა, ციუნებას ისე არის განრიდებული,
აბა, მიბრძანეთ, როგორ უნდა წარმოვიდგინო,
რომ იგი იმას ჩაიდენდა, რასაც თქვენ ამბობთ.

ო რ გ ო ნ ი

შემეშვით, დედა რომ არ იყოთ, იმას გკადრებდით
გაცოფებული, რასაც ახლა თქვენ იმსახურებთ.

დ ო რ ი ნ ი

(ორგონს)

აქამდე ისე იქცეოდით, ახია თქვენზე,
არ გვიჭერებდით და ახლა კი თქვენი არ სჯერათ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

იმის სანაცვლოდ, რომ რამე ვქნათ და იმ თაღლითის
დაგებულ ხაფანგს დავადწიოთ როგორმე თავი,
უძვირფასეს დროს ლაპარაკში ვკარგავთ უაზროდ.

დ ა მ ი ს ი

ნუთუ საზღვარი აღარა აქვს მის თავხედობას?

ე ლ მ ი რ ი

მე მგონი, საქმეს არ მიიტანს სასამართლომდე,
უმაღლესობა საქვეყნოდ რომ არ გაამჟღავნოს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

არა, იმედი ნუ გექნებათ.

(ორგონს)

იგი იპოვის

მიზეზს, თავისი საქციელი რომ გაამართლოს.

ჩაუდენიათ უფრო დიდი უსინდისობაც,

თუმცა ჰქონიათ უმნიშვნელო ხელმოსაჭიდი.

მე გიმეორებთ: რაბან თავი ხელში ჩაუგდეთ,

მერე არ უნდა მიგეყვანათ საქმე აქამდე.

ო რ გ ო ნ ი

რა ვქნა, თაღლითის უტიფრობით განრისხებული

გულს ავყევი და თავი ველარ დავიმორჩილე.

კ ლ ე ა ნ ტ ი

გულწრფელად მინდა, ო ნეტავი მოხერხდებოდეს,

ისევ გაიბას გაწყვეტილი ძაფი თქვენს შორის.

ე ლ მ ი რ ი

მე რა ვიცოდი, ეს საფრთხე თუ გვემუქებოდა,

თორემ ამ ხმაურს უსაუთოდ ავიცილებდი;

და ჩემი...

ო რ გ ო ნ ი

(დორინს, კართან ბ-ნ ლოიალს რომ დაინახავს.)

წადით და შეიტყუეთ, იმ კაცს რა უნდა?

სტუმარი მინდა ახლა სწორედ, ეგლა მაკლია!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო ო ო ო ო

ბ-ნი ლოიალი, კ-ნი პერნელი, ორგონი, დამიხი, მარიანი,

დორინი, ელმირი, კლეანტი

ბ-ნი ლოიალი

(დორინს სცენის სიღრმეში.)

ძვირფასო დაო, გამარჯობა! პატივი დამდეთ,

მცირე საქმე მაქვს თქვენს ბატონთან.

დორინი

არა სცალია

და რომ მიიღოს ახლა ვინმე, არა მგონია.

ბ-ნი ლოიალი

მე იმას თავს არ მოვაბეზრებ. ჩემი სტუმრობა სასიხარულოდ დაურჩება. მე ისეთ კეთილ საქმეზე მოველ, რომ მიმიღებს სიამოვნებით.

დორინი

ვინა ბრძანდებით?

ბ-ნი ლოიალი

უთხარით, რომ მისი სიკეთე მსურს და ბატონი ტარტიუფის სურვილით მოველ.

დორინი

(ორგონს)

თურმე ბატონი ტარტიუფის გამოგზავნილი არის ის კაცი და იქცევა თავაზიანად; ჩემი სტუმრობა, ამბობს, ბატონს გაახარებსო.

კლეანტი

(ორგონს)

მიიღეთ, ნახეთ, რა უნდა და რას წარმოადგენს.

ორგონი

(კლეანტს)

იქნებ იმიტომ მოვიდა, რომ ჩვენ შეგვარიგოს, რა საუბარი გავუმართო, როგორ მოვექცე?

კლეანტი

არ შეიმჩნიოთ გაბრაზება და მოუსმინეთ შერიგებაზე იმან სიტყვა თუ ჩამოგიგდოთ.

ბ-ნი ლოიალი

(ორგონს)

ჩემო ბატონო, სალამს გკადრებთ. ღმერთმა შერიხოს,

ვინც თქვენთვის ცუდი მოინდომოს, დაე, უფალმა
გადაგაფართო მადლიანი თავისი კალთა.

ო რ გ ო ნ ი

(კლუანტს, ხმადაბლა.)

ეს დასაწყისი ჩემს ვარაუდს უკვე დაემთხვა
და, ჩემის ფიქრით, მორიგების საწინდარია.

ბ-ნ ი ლ ო ი ა ლ ი

თქვენი ოჯახი ჩემთვის მუდამ ძვირფასი იყო
და მე ბატონი მამათქვენის მსახური ვიყავ.

ო რ გ ო ნ ი

ბოდიშს გიხდით და მერიდება, ჩემო ბატონო,
რომ ვერ გიცანით და არც თქვენი სახელი ვიცდი.

ბ-ნ ი ლ ო ი ა ლ ი

ლოიალი ვარ, წარმოშობით ნორმანდიელი,
ღვთის შემწეობით და სურვილის მიუხედავად
ორმოცი წელი შემისრულდა, რაც ღირსეულად
ვასრულებ ჩემთვის დაკისრებულ მოვალეობას.
დიახ, ვმუშაობ სასამართლოს აღმასრულებლად
და რომ გაგაცნოთ სასამართლოს დადგენილება,
თქვენის ნებართვით გეახელით, ჩემო ბატონო...

ო რ გ ო ნ ი

რა ბრძანეთ? თქვენ აქ მოხვედით, რომ...

ბ-ნ ი ლ ო ი ა ლ ი

ნუ აღელდებით,

ჩემო ბატონო, მხოლოდ უნდა გამოგიცხადოთ,
აქაურობა რომ თქვენცა და თქვენიანებმაც
დაუყოვნებლივ დაგვიცალოთ. თქვენი ავეჯი
გაიტანოთ და სხვას დაუთმოთ ეს თქვენი სახლი.
ნაბრძანებია, შევასრულოთ; ნულარ გადავდებთ.

ორგონი

სახლი დავცალო?

ბ-ნი ლოიალი

დიახ, სახლი, ჩემო ბატონო, ვერაფერს იტყვიტ, როგორც იცით, ამიერიდან სახლი ეკუთვნის ჩვენს ღვთისნიერ ბატონ ტარტიუფს და ის იქნება ამ ქონების ბატონ-პატრონი. წესის მიხედვით შედგენილი ხელშეკრულება, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, იმას აკუთვნებს.

დამისი

(ბ-ნი ლოიას)

რა მესმის, ღმერთო, ეს ნამდვილი უტიფრობაა!

ბ-ნი ლოიალი

თქვენთან, ბატონო, არაფერი არ მესაქმება.

(ორგონზე მიუთითებს.)

ამ ბატონთან მაქვს საქმე, იგი დარბაისელი კაცი ბრძანდება, მომექცევა პატივისცემით და დაბრკოლებას არ შეუქმნის მართლმსაჯულებას.

ორგონი

მაგრამ...

ბ-ნი ლოიალი

(ორგონს)

კანონის წინააღმდეგ რომ თქვენ არაფრით არ გაილაშქრებთ, მე ღრმად მჭერა. თქვენ ღირსეულად შეურიგდებით, სისრულეში რომ მოვიყვანო და აღვასრულო საპატიო მოვალეობა.

დამისი

მე კი მსურს, ჯოხით გავუბერტყო შავი მაუდის სამოსი ბატონ სასამართლოს აღმასრულებელს.

ბ-ნი ლოიალი

(ორგონს)

თორემ, ბატონო, გამიხდება სანანებელი
თუ მაიძულა, ესეც ოქმში რომ შევიტანო.

დორინი

ეს ლოიალი არ დაგვიწყებს, ვატყობ ლოლიავს!

ბ-ნი ლოიალი

ულრმეს პატივს ვცემ კეთილშობილ ადამიანებს
და თუ ეს საქმე დავივალე, ჩემო ბატონო,
მხოლოდ იმიტომ, სამსახური რომ გამეწია.
არ მსურდა, თავზე დაგდგომოდით ისეთი კაცი,
თქვენი ხათრი და ერთგულება რომ არ ჰქონოდა,
უფრო მკაცრად და თავხედურად მოიქცეოდა.

ორგონი

ვინც მოვიდოდა, ამაზე მეტს რაღას იზამდა,
ჩვენი სახლიდან გვერეკებით?

ბ-ნი ლოიალი

თქვენ დრო გეძლევათ,
ვინც ვინც ხვალამდე გაგიგრძელებთ და აღვასრულებ
დადგენილებას ხვალ, ბატონო, ოღონდ ამ ღამეს
ჩემს ათიოდე ბიჭთან ერთად თქვენთან გავათევ.
არ ვიხმაურებთ. და კანონი რომ არ დაირღვეს,
ძილის წინ სახლის გასაღები უნდა მიბოძოთ.
თქვენს მყუდროებას მე იმათ არ დავარღვევინებ
და არც არაფრის ნებას მივცემ, ვინც გინდა იყოს.
ნუ აჩქარდებით ხვალ დილაამდე, მაგრამ დილით კი
უნდა დაცალოთ სახლი. ძაფი გადასახვევი
არ უნდა დაგრჩეთ. ჩემი ხალხი მოგეხმარებათ.
წამოვიყვანე ლონიერი ბიჭები. გარეთ
ყველაფერს სწრაფად გაიტანენ და გიშველიან.
ამაზე უკეთ განა ვინმე მოგექცეოდათ
ანდა შელავათს ჩემნაირად სხვა გაგიწევდათ?
ჩემო ბატონო, დაინახეთ ჩემი სიკეთე,
გემუდარებით და საქმეში ხელს ნუ შემიშლით.

ორგონი

(კლენტს, ხმადაბლა.)

ხომ არაფერი აღარ შემრჩა, მაგრამ, ღმერთს ვფიცავ, რომ უკანასკნელ ას ლუიდორს არ დავიშურებ, ოღონდ შემეძლოს ახლა გულის მოსაოხებლად ამ ბილწ სიფათში გემრიელად გავულაწუნო.

კლენტი

(ორგონს, ხმადაბლა.)

მე გირჩევთ, თავი შეიკავოთ.

დამისი

ამ უტიფრობის

მნახველს ხელები მექავება და ველარ ვითმენ.

დორინი

(ბ-ნ ლოიალს)

ისეთი კარგი ბეჭები აქვს ბატონ ლოიალს, რომ არ აწყენდა, ერთხელ ჯოხით თუ გაუვლიდით.

ბ-ნი ლოიალი

ფრთხილად იყავით, დაუფიქრდით სიტყვას, ძვირფასო, ჩვენ შეგვიძლია ვაგებინოთ პასუხი ქალსაც.

კლენტი

(ბ-ნ ლოიალს)

კარგით, ბატონო, დავამთავროთ, რომ მოგვცეთ, დროა, ეგ სასამართლო ფურცელი და დაგვეტოვოთ ახლა.

ბ-ნი ლოიალი

ნახვამდის. ღმერთმა სიხარული ნუ მოგიშალოთ!

ორგონი

(უკან მიაყოლებს.)

შენცა და შენი გამომგზავნიც დაგწყევლოთ ღმერთმა!

გამოსვლა მხეხუთე

ორგონი, კლევანტი, მარიანი, ელმირი, ქ-ნი პერნელი,
დორინი, დამისი

ორგონი

აი, ხომ ხედაეთ, დედაჩემო, მართალი ვიყავ; ახლა დანარჩენს თქვენც მიხედებით; ბოლოს და ბოლოს, აშკარა არის თქვენთვის მისი მუხანათობა?

ქ-ნი პერნელი

ისე ვარ, თითქოს ციდან ეიყო ჩამოვარდნილი!

დორინი

(ორგონს)

რა გაწუწუნებთ და ტარტიუფს რას ემართლებით, ის ღვთისნიერი კაცი არის, ხომ დაგარწმუნათ; მხოლოდ მოყვასზე ფიქრით არის გატაცებული. მან იცის, ოქრო თუ რაოდენ დამღუპველია, თქვენი სული რომ ფუფუნებით არ გარყვნილიყო და თქვენი ხსნა რომ შეძლებოდა, გაგალატაკათ.

ორგონი

დღეს მხოლოდ ამას გვეედრები, გაჩუმდი-მეთქი.

კლევანტი

როგორმე უნდა მოვიფიქროთ, რა გზას დავადგეთ.

ელმირი

წადით ახლავე, მთელ ქვეყანას გააგებინეთ იმისი ქცევა თავხედური და უმადური და რადგან ყველა შეძრწუნდებით მისი ფლიდობით, გამარჯვებაში იმას ეჭვი შეეპარება.

გამოსვლა მუხეხვე

ვალერი, ორგონი, ქ-ნი პერნელი, ელმირი, კლევანტი,
მარიანი, დამისი, დორინი

ვალერი

მიმძიმს, ბატონო, რომ გაცნობოთ, სამწუხაროა

და დაგალონებთ, მაგრამ, რა ვქნა, უნდა გაცნობოთ:
უახლოესმა მეგობარმა, რომელმაც იცის,
რა სიყვარულიც მაკავშირებს მე თქვენს ოჯახთან,
თუმცა კი ამით უღალატა მოვალეობას,
ეს სახელმწიფო საიდუმლო რომ გამიმჟღავნა,
მაგრამ მან მაინც მითხრა თქვენზე დიდი სიფრთხილით:
რომ აჯობებსო თუ სასწრაფოდ თავს უშველისო.
იმ გაიძვერამ, ასე დიდხანს რომ გატყუებდათ,
თურმე მეფესთან დაგასმინათ და მოახერხა,
რომ გადაეცა ყუთი მეტად საყურადღებო
და ამით თქვენი პიროვნება გამოამჟღავნა,
რადგან აქამდე დანაშაულს ხელს აფარებდით,
თვით დანაშაულს სჩადიოდით და ყუთს მალავდით.
რას გაბრალებენ, დაწვრილებით ვერ მოგახსენებთ,
მაგრამ ბრძანება თურმე თქვენი დაპატიმრების
გაცემულია და მოუძღვის თქვენს შესაპყრობად
წამოსულ კაცებს ტარტიუფი, რომ არ გაიქცეთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

იგი ამჟამად ჩვენთვის უფრო სახიფათოა;
ის ამ გზით ცდილობს თქვენს ქონებას დაეპატრონოს.

ო რ გ ო ნ ი

თურმე ვერაგი ნადირია ადამიანი!

ვ ა ლ ე რ ი

ღრო ახლა ჩვენთვის ძვირფასია. მე წამოვიღე
თქვენთვის ათასი ლუიდორი. ჩემი კარეტა
კარებთან გიცდით. ნუ აყოვნებთ. გაუარდა მეხი
და სადაც არის, დაეცემა. თქვენ მეხს აიცდენთ
მხოლოდ გაქცევით. იმ ადგილას წაგიყვანთ, სადაც
არავითარი საფრთხე აღარ დაგემუქრებათ.
მე გაგაცილებთ და ბოლომდე თქვენთან ვიქნები.

ო რ გ ო ნ ი

მშვიდობით, თქვენი მედარღება, აბა, თქვენ იცით...

კ ლ ე ა ნ ტ ი

იჩქარეთ, ძმაო, მოვახერხებთ ალბათ რაიმეს.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ზ ვ ი ლ ე

ტარტიუფი, ოფიცერი, ქ-ნი პერნელი, ორგონი, ელმირი,
კლეანტი, მარიანი, ვალერი, დამისი, დორინი

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

(ორგონს შეაჩერებს.)

წყნარად, ბატონო, მოითმინეთ, საით გარბიხართ.
თქვენ წასვლა ღამის გასათევად შორს არ მოგიწევთ,
მეფემ ბრძანა და გაპატიმრებთ მეფის ბრძანებით.

ო რ გ ო ნ ი

ნუთუ ამ დანას შენ ამ დღისთვის მალავდი, ფლიდო,
რომ მოსულიყავ აშკარად და ზურგში ჩაგეცა,
ამ საქციელით აგვირგვინებ შენს ვერაგობას?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მაინც მოვითმენ, თქვენი ლანძღვით ვერას გახდებით,
ღვთის შემწეობით ბევრი ტანჯვა ამიტანია.

კ ლ ე ა ნ ტ ი

უნდა ითქვას, რომ ინარჩუნებს სიღინჯეს მაინც.

დ ა მ ი ს ი

როგორ დასცინის ღმერთს უტიფრად ეს ავაზაკი!

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე ასლა თქვენი მრისხანება ვერ ამალეღვებს,
რადგან ვასრულებ დაკისრებულ მოვალეობას.

მ ა რ ი ა ნ ი

თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, დაკისრებული
მოვალეობა მეტისმეტად საპატიოა.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

საპატიოა, აქ საქმეზე ვინც გამომგზავნა
თუ კაცი ისეთ ხელისუფალს ემსახურება.

ო რ გ ო ნ ი

ის აღარ გახსოვს, უმადურო, სილატაკიდან
ამ მადლიანი ხელით როგორ ამოგათრიე?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

თქვენი სიკეთე მახსოვს, მაგრამ უპირველესი
მოვალეობა მეფის წმინდა სამსახურია.
მე რაც თქვენდამი გრძნობა მქონდა, ვერ გაუმკლავდა
ჩემს უპირველეს და ჭეშმარიტ მოვალეობას.
ძღვევამოსილი მეფისათვის თავს გავწირავდი,
ცოლს და მეგობრებს გავწირავდი და ნათესაეებს.

ე ლ მ ი რ ი

რა თაღლითია!

დ ო რ ი ნ ი

ასე იცის, მუხანათობას
მუდამ წმინდანის მოსახსნამით დაფარავს ხოლმე!

კ ლ ე ა ნ ტ ი

როგორც თქვენ ახლა განაცხადეთ, თუკი ასეთი
უერთგულესი ბრძანდებოდით მეფის მსახური,
სანამდე ცოლთან არ შეგისწროთ ქმარმა, მანამდე
ეგ ერთგულება ერთხელ როგორ არ გაგახსენდათ?
ანდა მეფესთან მხოლოდ მაშინ რად დააბეზლეთ,
როცა სახლიდან გაგაძევათ? მე არ მინდოდა,
მემკვიდრეობის საკითხზე რომ მელაპარაკა
და რახან სიტყვამ მოიტანა, მე მინდა გკითხოთ:
ბოროტმოქმედი თუკი იყო, მემკვიდრეობა
თქვენ რომ გიბოძათ, ბოროტმოქმედს როგორ დათანხმდით?

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

(ოფიცერს)

მე ამათ ყაყანს ვერ ავიტან, ჩემო ბატონო,
კეთილ ინებეთ, შეასრულეთ მეფის ბრძანება.

ო ფ ი ც ე რ ი

ღიას, ბრძანების შესრულება დაეაგვიანე.
სწორედ ასეა, შემახსენეთ ნამდვილად დროზე.
მეფის ბრძანება სისრულეში რომ მოვიყვანო,
მე გთხოვთ, ციხეში წამობრძანდეთ, ჩემო ბატონო.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

ვინ? მე?

ო ფ ი ც ე რ ი

ღიას, თქვენ.

ტ ა რ ტ ი უ ფ ი

მე რას მერჩით, რა დავაშავე?

ო ფ ი ც ე რ ი

ეგლა მაკლია, ანგარიში თქვენ ჩაგაბაროთ. .

(ორგონს)

ნუ აღელდებით, დაიმშვიდეთ გული, ბატონო,
სამართლიანი არის მეფე, გულთამხილავი,
დედამიწაზე არაფერი დაემალება
და ამისთანა გაიძვერა ვერ მოატყუებს.
გონიერია ხელმწიფე და დიდსულოვანი,
მან იცის, როგორ გაარჩიოს ერთმანეთისგან
ავი და კარგი გულდინჯად და აულელებლად;
მისი გონება არასოდეს ემორჩილება
ვნებათაღელვას და სიფიცხე წრეგადასული
უცხოა მისთვის. ღირსეულებს დიდებით ამკობს,
არც ერთგულება არ აბრმავებს და თვალს არ უხვევს
და ღირსეულის სიყვარული ვერ შეაკავებს
მისი უღირსი საქციელის დასათრგუნავად.
ამ კაცს უნდოდა, სახელმწიფო მართლმსაჯულება

რომ შეცდომაში შეეყვანა და დაეძვრინა
თავი როგორმე. მაგრამ მეფემ, ნათელმხილველმა
(ტარტიუფსე ანიშნებს.)

ამის ბნელ სულში შეაღწია და ამოიცირო
სული ბოროტი. ტარტიუფმა თქვენ დაგასმინათ
და საკუთარი თავი გასცა და დაიღუპა.
ქვემარაბების მეუფებით და ღვთის წყალობით
ხელმწიფემ მისი სულმდაბლობა გამოამჟღავნა.
თუმცა დამალა ვინაობა, მაგრამ თაღლითი
იცნო ხელმწიფემ. ტარტიუფის შავბნელ საქმეებს
ღღეს დაწვრილებით ვერ გაგაცნობთ, დიდი დრო უნდა
და ალბათ ჟამთა აღმწერელიც ვერ ჩამოთვლიდა.
იგი ხელმწიფეს, ერთი სიტყვით, ასე წარუდგა,
სხვისი სახელით, ვერაგი და დაუნდობელი,
და ახლა კიდევ სჩადიოდა ერთ ვერაგობას.
მეფემ მიბრძანა, რომ ამ თაღლითს წამოეყოლოდი
და ყველას თვალწინ დამენახა თუ რა უტიფრად
მოიქცეოდა და თავს როგორ გაამჟღავნებდა.
მეფემ მიბრძანა, დაგიბრუნოთ ის ქაღალდები,
რომელიც თქვენმა მოძალადემ მიისაკუთრა.
ჩვენმა ხელმწიფემ დაარღვია ხელშეკრულება,
რომლითაც იგი თქვენს ქონებას ისაკუთრებდა
და ბოლოს, ისიც გაპატიათ ხელმწიფის გულმა,
თქვენ სახელმწიფო დამნაშავე რომ შეიფარეთ,
მეფის წყალობა აღრინდელი იმ სამსახურის
საზღაურია, თქვენ რომ მისთვის გაგიწევიათ;
და ისიც უნდა მეფეს, თავის სულგრძელობაში
რომ დაგარწმუნოთ, როცა ამას არ ელოდებით;
რომ სამსახური ახსოვს თქვენი და რომ სიკეთე
ბოროტებაზე უფრო მეტად ამახსოვრდება.

დო რ ი ნ ი

ოპ, მადლობა ღმერთს!

ქ-ნ ი პ ე რ ნ ე ლ ი

მეშველა და სული მოვითქვი.

ელმირი

კარგად დასრულდა ყველაფერი!

მარიანი

ვინ იფიქრებდა?

ორგონი

(ტარტიუფს)

აჰა, ესეც შენ, არამზადავ...

(ოფიცერს მიჰყავს ტარტიუფი.)

კლევანტი

ნუ! ჩემო სიძევ,

შეჩერდით-მეთქი, ნუ ჩაიდენთ უღირს საქციელს. აკმარეთ ბედშავს მწარე ხვედრი, სინდისი ალბათ ისედაც ქენჯნის და სატანჯველს ნუ მიუმატებთ. არა, თქვენ მხოლოდ ის უსურვეთ, ამიერიდან რომ აღაღანდეს იმის სულში სიკეთის თესლი და გამოსწორდეს, შეუბრუნოს ბიწიერს ზურგი, რომ შეიცვალოს, ჩვენს ხელმწიფეს გული მოუღბოს, ვისაც თქვენ უნდა დაუჩოქოთ და სკეთ თაყვანი, რადგან სულგრძელად გაპატიათ და დაგიფარათ.

ორგონი

ეგრევეა არის გონივრული: სულგრძელობისთვის, წავიდეთ, თავი მოვეუდრიკოთ ჩვენს დიდ ხელმწიფეს, ხოლო შემდეგ კი, უპირველეს ვალს რომ მოვიხდით, სხვა საზრუნავი გველოდება, დროა, ვალერის თავგანწირული სიყვარული და ერთგულება რომ სანატრელი ქორწინებით დავაგვირგვინოთ.

დონ ქუანი
ანუ
ქვის სტუმარი

კონედია ხუთ მოქმედებად

მოქმედი პირნი

დონ ქუანი, დონ ლუისის ვაჟი.
სგანარელი, დონ ქუანის მსახური.
ელვირა, დონ ქუანის ცოლი.
გუსმანი, ელვირას მეჭინბე.
დონ კარლოსი } ელვირას ძმები.
დონ ალონსო }
დონ ლუისი, დონ ქუანის მამა.
ფრანცისკო, მათხოვარი.
შარლოტა } გლეხის ქალები.
მათურინა }
პეირო, გლეხი.
კომანდორის ქანდაკება.
ლა ვიოლეთი } დონ ქუანის მსახური.
რაგოტენი }
ბატონი დიმახში, ვაჟარი.
ლარამე, ყაჩაღი.
დონ ქუანის მხლებლები.
დონ კარლოსის და მისი ძმის, დონ ალონსოს მხლებ-
ლები.
აჩრდილი.

მოქმედება ხდება სიცილიაში.

პირველი მოქმედება

სენა წარმოადგენს სასახლეს.

გამოსვლა პირველი

სგანარელი, გუსმანი

სგანარელი (ხელში სათუთუნე უკავია.)

რაც არ უნდა მიმტკიცოს არისტოტელემ და მასთან ერთად თუნდაც მთელმა ფილოსოფიამ, თამბაქოს არაფერი შეედრება. ეს ხომ პატიოსანი ხალხის გატაცებაა და ვისაც თამბაქო არ უყვარს, მერწმუნე, სიცოცხლის ღირსიც არაა. ერთი, რომ ტვინს წმენდს და ახალისებს, ესეც არ იყოს, სულსაც აღამალლებს და პატიოსნებას შთააგონებს. ალბათ შეგიძინევია, როგორ მოწიწებით შემოგთავაზებენ თამბაქოს, თხოვნასაც არ გაცლიან, პირდაპირ ხელში გაჩეჩებენ! აკი ვამბობ, თამბაქო კაცს აკეთილშობილებს და ზნეობრივად ხვეწს-მეთქი. თუმცა, კმარა ამაზე. საქმეზე ვილაპარაკოთ. მაშ, ძვირფასო გუსმან, როგორც შენ-ამბობ, დონა ელვირა, შენი ქალბატონი, ჩვენს კვალს გამოჰყვა. ეგონებ ისიც კი თქვი, ქალბატონი ისე მოიხიბლა, უიმისოდ სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენიაო. ჩვენში დარჩეს და ერთს გეტყვი: ეჭვი მეპარება, შენი ქალბატონის იმედები გამართლდეს და ამ მგზავრობამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს. გერჩიათ სახლში დარჩენილიყავით.

გუსმანი

ამას რად ამბობთ? რატომ გგონიათ, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანს? შენი ბატონი ხომ არ გაგენდო? იქნებ ვითხრა, რომ გრძნობა გაუნელდა და სწორედ ამიტომაც გამოემგზავრა ასე ნაჩქარევად?

ს განარელი

არც არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ბევრ რამეს მოვსწრებივარ და შემძლია ვიწინასწარმეტყველო, თუნდაც რომ არაფერი ეთქვა. სანაძლეოს ჩამოვალ, საქმე სწორედ იქითკენ მიდის. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ გამოცდილებამ ჰკუთხა მასწავლა.

გუსმანი

მაშ, რაღა? გამოდის, რომ ეს მოულოდნელი გამგზავრებაც და-
ლატია და სხვა არაფერი?! შეუძლია კი შენს ბატონს ასე შეუ-
რაცხოს დონა ელვირას სათნობა?

ს განარელი

მაგას რად ბრძანებ, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ჩემი
ბატონი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და გაბედულებაც აკლია.

გუსმანი

მერედა ასეთი გვარიშვილი მსგავს უსამართლობას სჩადის?

ს განარელი

ჰმ, გვარიშვილობა!.. ჩალის ფასად უღირს ეგ შენი გვარიშვი-
ლობა.

გუსმანი

კი მაგრამ, ქორწინების წმინდა აღქმას სადღა წაუვა!

ს განარელი

ეჰ, ჩემო საბრალო გუსმან, ჩემო მეგობარო, შენ ჯერ კიდევ
არ იცნობ დონ ქუანს.

გუსმანი

მართლაცდა არ ვიცი რა ვიფიქრო კაცზე, რომელიც ასეთ სიმ-
დაბლეს ჩაიდენს. ვერც წარმომიდგენია, რომ შენმა ბატონმა
მიცემულ სიტყვას გადაუხვიოს. თანაც ამდენი ფიცის, სამიჯნუ-
რო წერილის, ოხვრა-კენესის და გატაცების შემდეგ, რომლის
წყალობითაც დედათა მონასტრის კარიც კი შეანგრია და დონა
ელვირას გული მოიგო.

ს გან არ ე ლ ი

ჩემთვის კი ყოველივე ცხადზე უცხადესია. შენც რომ ჩემსავით იცნობდე მის ცბიერებას, არაფერს გაიკვირებდი. დონა ელვირაზე გული აიყარა-მეთქი, ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვი. შენც იცი, რომ ადრე გამომაგზავნა აქეთ; მისი ჩამოსვლის შემდეგ კი ჯერ არ გვისაუბრია. მაგრამ *inler nos* დარჩეს, ჩემი პატრონი, დონ უჟანი, ყველაზე დიდი ნაძირალაა, ვინც კი ოდესმე დედამიწის ზურგს უტარებია, ცოფიანი ძაღლია, ეშმაა, ურწმუნო თურქია, მწვალბელია, რომელსაც არც სამოთხისა სწამს, არც ჭოჭოხეთისა და არც ჭადო-თილისმისა. ველური მხეცია, ეპიკურელი ღორი და ნამდვილი სარდანაპალი, რომელსაც ვერც ვერაფერს შეაგონებ და ვერც ვერაფერს დაუმტკიცებ. ჰკუის სწავლებას დაუწყებ თუ არა, წამსვე წაუყრუებს. არც რაიმეს გაგიგონებს და ჩვენი რწმენაც ფეხებზე ჰკიდია. აი, ხომ ამბობ, ჩემი ქალბატონი მოიყვანა ცოლადო. მერწმუნე, საკუთარი ვნების დასაოყებლად შენს ქალბატონს კი არა, შენც, თქვენს ძაღლებსაც და კატებსაც დაგიმტკიცებდათ სიყვარულს. არაფრად უღირს ჯვარი დაიწეროს. ლამაზმანებს სწორედ ამ საკენიკით იტყუებს. ოჯახის ქალი იქნება თუ შინაბერა, უჩინო და ჩინიანი, ქალაქელი თუ გლეხი — გარჩევა არ იცის. მარტო იმათი სახელების ჩამოთვლას რომ მოვყვე, ვინც კი ოდესმე ცოლად ჰყოლია, საღამომდე ვერ ჩავათავებ. გიკვირს განა? ვხედავ, ფერიც გეცვალა. ჯერ სადა ხარ ეს პორტრეტის უბრალო მონახაზია მხოლოდ, შენ მთლიანი სურათი უნდა ნახო! ისიც არ დაივიწყო, რომ ურჯუკი ხასიათი აქვს. მასთან ყოფნას ეშმაკის სამსახური მიჯობს. ბევრჯერ ვინატრე, ჯანდაბაშიც გადახვეწილა-მეთქი. მერწმუნე, დიდგვაროვანი ნაძირალა საშინელი ასატანია. მაგრამ რა, მინდა, არ მინდა, უნდა ვუერთგულო, თუმცა კი მძაგს. შიში გრძნობებს მითოკავს და მაიძულებს ისიც კი გავამართლო, რაც სრულიად არ მეპიტნავენა. აგე, აქეთ მოდის. უმჯობესია, გავიყაროთ. ერთი კი გახსოვდეს: ყოველივე გულწრფელად გითხარი და ვგონებ ცოტა კიდევ აეჩქარდი. მაგრამ იცოდე, ერთმა სიტყვამაც რომ მიაღწიოს მის ყურამდე, ხატზე დავიფიცებ, იცრუა-მეთქი.

გამოსვლა მეორე

ღონ ქუანი, სგანარელი

ღონ ქუანი

ვის ელაპარაკებოდით? თუ არა ვცდები, დონა ელვირას მსახური უნდა ყოფილიყო.

სგანარელი

ღიახ, რაღაც ამისდაგვარო.

ღონ ქუანი

რაო? მართლა ის იყო?

სგანარელი

სწორედ რომ ის გახლდათ.

ღონ ქუანი

როდის ჩამოსულა?

სგანარელი

გუშინ საღამოს.

ღონ ქუანი

რამ ჩამოიყვანა?

სგანარელი

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რაც აწუხებდა.

ღონ ქუანი

ჩვენი გამომგზავრება ხომ არა?

სგანარელი

პირდაპირ ცოცხალ-მკვდარია. ჩემგან სურდა მიზეზის გაგება.

ღონ ქუანი

მერედა შენ რა უთხარი?

ს განარელი
ამის არაფერი ვიცი-მეთქი.

დონ ქუანი
კარგი, მაგრამ, შენ რაღას ფიქრობ? როგორ გგონია, რატომ
წამოვედით?

ს განარელი
მე თუ მკითხავთ, ნუ მიწყენთ და მგონია ახალი სიყვარული
გაგიჭდათ ტანში.

დონ ქუანი
ასე ფიქრობ?

ს განარელი
დიახ.

დონ ქუანი
გამოცანა გერგება. გამოგიტყდები, ერთმა ქალმა სრულიად
დამავიწყა დონა ელვირა.

ს განარელი
მაღალო ზეცავ! ხუთი თითივით გიცნობთ. ისიც ვიცი, რომ
როცა კი საქმე ქალებს ეხება, ბადალი არ მოგეპოვებათ. ფუტ-
კარივით დაფრენთ ერთიდან მეორეზე, მოსვენება არა გაქვთ.

დონ ქუანი
განა სწორად არ ვიქცევი?

ს განარელი
ეჰ! ბატონო ჩემო...

დონ ქუანი
ჰო, რაო? თუ დაიწყე, დაამთავრე კიდევ.

ს განარელი
თქვენი ნება თუ ასეთია, სწორი ბრძანდებით. თუ არა და მაშინ
სხვა საქმეა.

დონ ქუანი

ლაპარაკს არავინ გიშლის. რაც სათქმელი გაქვს, თქვი.

სგანარელი

თუ ასეა, ჩემო ბატონო, პირდაპირ გეტყვით, თქვენი საქციელი არ მომწონს. წამდაუწუმ ქალების შეყვარება საძაგლობაა და მეტი არაფერი.

დონ ქუანი

რაო? შენ გინდა, რომ სამუდამოდ მივეჩაქვო პირველსავე შემხვედრს, მთელი სამყარო ვანაცვალო იმ ერთს და სხვა ქალისკენ არც კი გავიხედო? კარგი კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რაღაც ყალბი პატიოსნების გულისთვის ერთგულებას ვეფიცებოდე ვინმეს, მხოლოდ ერთი გატაცება ვიკმარო და ყმაწვილობიდანვე აუუკრძალო თავს სხვა ლამაზმანებით ტკობა! არა და არა! ერთგულება სულელების მონაგონია. ყველა ლამაზ ქალს უფლება აქვს დაიპყროს ჩემი გული და თუკი შემთხვევით ერთერთ მათგანს სხვებზე ადრე შევხვდი, იმ სხვებმა რაღა დააშავეს? ჩემი თუ გინდა, სილამაზე, სადაც არ უნდა შემხვდეს, ყველგან მხიბლავს და მის ნაზ გამოწვევას არც ვუძალიანდები. ვერც ვინმე ლამაზმანის სიყვარული მაიძულებს სხვებს უსამართლოდ მოვექცე. მზად ვარ ყველას ღირსეული მივავო და არვის დავაკლებ იმას, რასაც ასეთ შემთხვევაში ბუნება ჩვენგან ითხოვს. არა, რაც გულს ესალბუნება, იმაზე უარს ვერ ვიტყვი. ლამაზი ქალის ერთი გამომწვევი ღიმილი კმარა და ათასი გულიც რომ მქონდეს, ყველას შევთავაზებ. აბა, რა შეედრება ახალდაბადებულ გრძნობას და სხვა რომ არა, სიყვარულის ხიბლიც ხომ ცვალებადობაშია. რა არის იმაზე საამო, როცა ათასი პატივისცემით თანდათანობით მოხიბლავ ლამაზმანის გულს, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევ წინ, ან როცა კენესითა და ოხვრით ამარცხებ გაძალიანებულ უბიწოებას, ერთიმეორის მიყოლებით ამსხვრევ ყველა დაბრკოლებას, თვით პატიოსნებას, რომელიც ფარად აუფარებია და ხედავ, რომ ისიც მორჩილად მოგყვება იქით, საითკენაც მოგყავს. მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც დაიმორჩილო, რომ არც არაფერი გრჩება სათქმელი ან სანატრელი და გრძნობის სიცხოველც

ნელდება. ასეთი სიყვარული წამსვე ძილს მოგგვრის, თუკი არ გამოჩნდა ვინმე სხვა, ვინც სურვილებს გაგიღვიძებს და ახალი გამარჯვებისაკენ მოგიწოდებს. ერთი სიტყვით, ლამაზი ქალის ცდუნებით გამოწვეულ სიამოვნებას არაფერი შეედრება და თუ გამარჯვებაზე მიდგება საქმე, მე იმ სარდალს უფრო ვგავარ, ვინც, მარადიულ ლტოლვას აყოლილი, ერთი გამარჯვებიდან მეორისკენ ისწრაფის. ვერაფერი შეაჩერებს ჩემს სრბოლას: ვინძლო, მთელი სამყარო დავიტიო გულში და ალექსანდრე მაკედონელისა არ იყოს, ახლა უკვე სხვა სამყაროებს ვწატირობ, რათა კიდევ უფრო ვამრავლო სამიჯნურო გამარჯვებების ნუსხა.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ღმერთო ჩემო, რარიგ ჩაარაკრაკეთ! გეგონება, ზეპირად გაგიზუთხავთ, ან პირდაპირ წიგნიდან კითხულობთ.

დ ო ნ უ უ ა ნ ი

აბა, ამაზე რაღას იტყვი?

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ვიტყვი რომ... თუმც რა მეტქმის. საქმეს ისე შემოატრიალებთ, კაცი იფიქრებს, მართალიაო, და მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ცდებით. თქვენმა სიტყვებმა სულ დამაბნია. იმდენი კარგი აზრი მომდიოდა თავში, ახლა კი ვერაფერს ვიხსენებ. მოდიოთ, გადავდოთ. სხვა დროს წერილობით მოგახსენებთ ჩემს აზრს.

დ ო ნ უ უ ა ნ ი

კარგსაც იზამ.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ნებას თუ დამრთავთ, მაშინაც იმას გაგიმეორებთ, რომ უწესო ცხოვრებას ეწევიო.

დ ო ნ უ უ ა ნ ი

როგორ ცხოვრებას ვეწევიო, რა თქვი?

ს განარელი

წესიერს, ჩემო ბატონო, სავსებით წესიერს. მაგრამ აი, ვხედავ, თვე ისე არ გავა, რომ არ დაქორწინდეთ.

დონ ქუანი

აბა, ამას რა სჯობს?

ს განარელი

თქმა არ უნდა, ერთობ სასიამოვნო გართობაა. ამაზე არც მე ვიტყვოდი უარს, ცოდვის ჩადენისა რომ არ მეშინოდეს. მაგრამ როცა წმინდა და კურთხეულ საქმეს ესოდენ უდიერად ექცევი...
ვით...

დონ ქუანი

კარგი, კარგი. ამაზე ნუ წუხნარ. მე და ზეცა უშენოდაც მოვირიგდებით.

ს განარელი

ღმერთს ვფიცავ, ბევრჯერ მსმენია, ზეცასთან ხუმრობა არავის გასვლია და თავისუფლად მოაზროვნე კაცსაც კეთილი ბოლო არ ელისო.

დონ ქუანი

კმარა, ბრიყვო, ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ჰკუთას მარიგებენ.

ს განარელი

ღმერთმა დამიფაროს, ამას თქვენს გასაგონად არ ვამბობ. თქვენი საქმისა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. თუკი არაფრისა გწამთ, უეჭველად რაღაც მიზეზიც გექნებათ. მაგრამ განა არ შეგხვედრიათ ამქვეყნად თავხედი ვინმე, ვინც უმიზეზოდ მრუშობს და თავისუფლად მოაზროვნე კაცის ნიღაბსაც მხოლოდ იმიტომ იფარებს, რომ ჰგონია უხდება? ასეთი პატრონი რომ მყავდეს, წამსაც არ დავახანებდი და პირში მივახლიდი: „როგორ ბედავთ ზეცასთან გახუმრებას? ნუთუ არ გეშინიათ, რომ ესოდენ უდიერად ექცევი იმას, რაც ყველაზე წმიდაა ამ-

ქვეყნად? თქვენ, უძლებო ჭიავ, საცოდავო ხოქო (ამას, თქვენც ხვდებით, იმ პატრონს ვეუბნები), ბედავთ და ლაფში სვრით იმას, რასაც ადამიანები პატივს მიუგებენ. ან იქნებ გგონიათ, რომ თქვენი წარმომავლობა, პულრწყარილი და დახუჭუქებულ-ლი პარიკი, ფრთიანი ქუდი, მოსირმული კაბა და წითელი ბაფთები (ეს თქვენ არ გეხებათ, იმას ველაპარაკები, მეორეს), იქნებ გგონიათ-მეთქი, რომ ყოველივე ეს ჭკუას გამატებთ, რომ თქვენ ყველაფრის ნება გაქვთ და სიმართლის თქმასაც ვერცინ გაგიბედავთ? მაშ, მე გეტყვით, თქვენი ერთგული მსახური — იცოდეთ, ადრე თუ გვიან ზეცა რისხვად მოველინება ყველა ურწმუნოს და ისიც კარგად განსოდეთ, რომ ბოროტ ცხოვრებას ავი დასასრული აქვს. კიდეც...

დონ უუანი
კმარა...

სგანარელი
რაზე ვლაპარაკობდით?

დონ უუანი
იმაზე, რომ ერთმა ლამაზმანმა ჩემი გული დაიპყრო და ამ ქალაქშიც მას ჩამოვყევი.

სგანარელი
მერედა, არ გეშინიათ? კომანდორი ხომ სწორედ ამ ქალაქში მოკალით ექვსი თვის წინათ?

დონ უუანი
რისი უნდა მეშინოდეს? პატიოსან ორთაბრძოლაში არ მოვკალი?

სგანარელი
მეტეც რომ არ შეიძლება, პატიოსნად გააცხებიანთ სული. ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეს.

დონ უუანი
ჰოდა, აკი გამამართლეს კიდეც.

43. ფრანგული დრამა . .

ს განარელი

დიახ, მაგრამ ვეჭობ, რომ სასამართლოს სულგრძელობამ წათესავეებისა და მეგობრების რისხვა დააცხროს...

დონ უუანი

ერთი შენც. ნულარ ვიფიქრებთ მოსალოდნელ უბედურებებზე, მოდი იმაზე ვიფიქროთ, რაც სიამოვნებას გვანიჭებს. ის მშვენიერი ასული, რომელზედაც გელაპარაკებოდი, ეს-ეს არის დაინიშნა და აქეთ სწორედ საქმრომ წამოიყვანა. სამი თუ ოთხი დღით ადრე შემთხვევით გადავეყარე ამ წყვილს. ფერი ფერსაო, სწორედ მათზე ითქმის. მათი ტრფობის ცეცხლი თითქოს მეც გადმომედო და ჩემი სიყვარულიც სწორედ ეჭვიანობით დაიწყო. მუდამ ერთად რომ ვხედავდი, ესეც კი მალიზიანებდა. ბრაზმა სურვილი გამოიორკეცა. ო, რა სიამოვნებით დავარღვევდი მათ სიმშვიდეს და კავშირს, რომელიც ესოდენ მძაფრ ტკივილს აყენებს ჩემს სათუთ გულს. რა არ ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა; ახლა კი ბოლო ღონეს მივმართავ, საქმრო აპირებს დღეს ზღვაზე გაასეირნოს თავისი სატრფო. შენთვის არ მითქვამს, მაგრამ ყოველივე მზადა მაქვს. ნავი და ხალხი დავიჭირავე. ჰოდა, ქალის გატაცებასაც წინ აღარაფერი უდგას.

ს განარელი

ო! ჩემო ბატონო!..

დონ უუანი

რაო? რის თქმას აპირებ?

ს განარელი

ყოველივე კეთილად აგეწყოთ და დარწმუნებული ვარ, საწადელსაც მიადწევთ. ამ წუთისოფელში საკუთარი სიამოვნების გარდა არაფერზე არ უნდა იფიქრო კაცმა.

დონ უუანი

შენც გაემზადე. იარალი წამოიღე, იქნებ დაგვჭირდეს (შეამჩნევს დონა ელვირას.). ო! ესლა მაკლდა! სალახანავ, რატომ არ გამაფრთხილე, აქ თუ იყო?

ს განარელი

არ გიკითხიათ, ჩემო ბატონო.

დონ ქუანი

სულ მთლად ჭკუიდან გადასულა. ხედავ, სამგზავრო კაბაც კი არ გამოუცვლია.

ბამოსვლა მესამე

დონა ელვირა, დონ ქუანი, სგანარელი

დონა ელვირა

იქნებ მოწყალება მოიღოთ და მიცნოთ, დონ ქუანი? სხვა თუ არა, თავის მობრუნება მაინც იკადრეთ.

დონ ქუანი

ქალბატონო, გამოგიტყდებით, გონზე ჭერაც ვერ მოვსულვარ. არ მოგელოდით.

დონა ელვირა

ამას მეც კარგად ვხედავ. გაოცებული კი ბრძანდებით, მაგრამ მე მაინც სხვაგვარ დახვედრას ველოდი. კიდეც ერთხელ ვრწმუნდები იმაში, რისი დაჭერებაც არა მსურდა. პირდაპირ მანცვიფრებს ჩემი გულუბრყვილობა და გულჩვილობა. თქვენი ლალატის არ მჭეროდა, თუმც საბუთი საკმაოზე მეტი მქონდა. არ ვიცი, რას დავაბრალო, იქნებ ჩემს სიკეთეს, ან უფრო ზუსტად სიბრიყვეს? თავს ვიტყუებდი, თვალებს და გონებას ვიბრმავებდი. რას არ ვიგონებდი იმისთვის, რომ ჩემი სიყვარულის წინაშე თქვენი გულგრილობა გამემართლებინა. ამ ნაჩქარევი გამომგზავრების მიზეზებს ვეძებდი, გონების აღმფოთება რომ მიმეჩუმებინა. ამაოდ მღრღნიდა სამართლიანი ეჭვი. ყურს არ ვუღვებდი ხმას, ბოროტებაში რომ გადანაშაულებდათ და სიამოვნებით მივენდობოდი იმ ათას სასაცილო მონაჩმასს, რომელიც გამართლებდათ და თქვენს უცოდველობას მიმტკიცებდა, მაგრამ ამ შეხვედრამ ჩემს ყოყმანს ზღვარი დაუდო. თქვენმა თვალებმა იმაზე მეტი მითხრა, რის ცოდნაც

მსურდა. და მაინც თქვენგან ველი მიზეზის ახსნას. გისმენთ,
ღონ ქუან. ვნახოთ, როგორ იმართლებთ თავს.

ღონ ქუანი.

ქალბატონო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ სგანარელი. მან
ქარგად იცის, რატომაც წამოვედი.

სგანარელი

მე, ჩემო ბატონო! მე არაფერი ვიცი, ღმერთმანი.

ღონა ელვირა

დაიწყეთ, სგანარელ! ჩემთვის სულ ერთია რომელი ილაპარაკებთ.

ღონ ქუანი

აბა, ყოველივე მოახსენე ქალბატონს.

სგანარელი

კი მაგრამ, რა უნდა ვთქვა?

ღონა ელვირა

რადგანაც გიბრძანებენ, ახლოს მოიწით და თქვენი აქ ჩამობრძანების მიზეზი ამიხსენით.

ღონ ქუანი

რაო! ენა ხომ არ გადაყლაპე! იქნებ პასუხი გვადირსო!

სგანარელი

სათქმელი არაფერი მაქვს. ნუ იწებებთ თქვენი ერთგული მსახურის გაბითურებას.

ღონ ქუანი

უპასუხებ თუ არა, გეკითხები!

სგანარელი

ქალბატონო...

დონა ელვირა
გისმენთ...

სგანარელი (მიუბრუნდება დონ ჟუანს).
ბატონო ჩემო...

დონ ჟუანი
თუ ახლაც...

(ემუქრება.)

სგანარელი
ქალბატონო, ჩვენი გამომგზავრების მიზეზი მხედართმთავრე-
ბი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა სამყაროები გახლავთ.
ეს არის და ეს, ჩემო ბატონო.

დონა ელვირა
დონ ჟუან, ეგებ თქვენ მაინც ამიხსნათ ეს არაჩვეულებრივი
საიდუმლოება?

დონ ჟუანი
მართალი თუ გნებავთ, ქალბატონო...

დონა ელვირა
არ გეკადრებათ, დონ ჟუან, კარისკაცი ბრძანდებით და თავის
დაცვა კი არ ძალგიძთ. მსგავს საქმეში გაწაფული უნდა იყოთ.
მებრალეებით, ასეთ დღეში რომ ხართ. თქვენი რომ ვიყო,
უმანკო უტიფრობას მოვიხმობდი საშველად! ფიცს მოვყვებ-
ბოდი, რომ ისევ ძველებურად გიყვარვართ, რომ არაფერს
ძალუძს ტრფობა გაგინელოთ და რომ მხოლოდ სიკვდილი თუ
დაგვაშორებს ერთურთს. რატომ არ მეუბნებით, რომ მხოლოდ
გადაუდებელმა საქმემ დააჩქარა თქვენი გამომგზავრება და
ჩემი გაფრთხილება ველარ მოასწარით. იმასაც დამიმტკიცებ-
დით, რომ თითქოს იძულებული ხართ რამდენიმე დღე კიდევ
დარჩეთ აქ. მე უკან გამაბრუნებდით იმ იმედით, რომ რაწამსაც
საქმეს მოილევდით, გამომყვებოდით. იმასაც მეტყოდით, რომ
ჩემთან შეყრას ესწრაფით, და რომ სულის გარეშე შთენილი

სხეულის მსგავსად იტანჯებით. აი, როგორ უნდა თავის დაცვა! თქვენ კი ენა ჩაგივალათ.

დონ ქუანი

უნდა გამოგიტყდეთ, პირმოთნეობა ჩემი ხელობა არ გახლავთ, ქალბატონო. პირდაპირობა და გულწრფელობა მჩვევია მუდამ და ყველგან. ვერც იმას გეტყვით, ძველებურად მიყვარხართ, მუდამ თქვენს ნახვას ვესწრაფი-მეთქი. დღესავით ნათელია, რომ გამოგექვცით. თუმცა ამას სხვა მიზეზიც ახლავს. საქმე თქვენ რომ გგონიათ, ისე არ არის. საკუთარმა სინდისმა შემაწუხა. მივხვდი, რომ ჩვენი ერთად ყოფნა მკრეხელობა იქნებოდა. ექვი გამიჭდა და თვალი ამიხილა ჩემს წარსულზე. ვიფიქრე, ცოლად რომ შევიერთო, დედათა მონასტერი უნდა დათმოს და აღთქმაც უნდა დაარღვიოს-მეთქი. ზეცა კი, მოწყალე ქალბატონო, ასეთ ცოდვას არ გვაპატიებს. ციური რისხვისა შემეშინდა და შეცოდების მონანიება განვიზრახე. ჩვენი ცოლქმრობა შენიღბული მრუშობა იქნებოდა და ორთავეს ღვთის რისხვა დაგვატყდებოდა თავს. ამიტომაც გადავწყვიტე დამევიწყებინეთ და თქვენც საშუალება მოგეცით ისევ ძველი ბორკილები აგესხათ. ნუთუ წინ აღუდგებით ამ სათნო აზრს. შეგიძლიათ კი მაიძულოთ დაგტოვოთ ჩემთან და ამით ღვთის რისხვა დავიმსახურო? ნუთუ...

დონა ელვირა

ახლა კი ჩემთვის ყოველივე ნათელია. საუბედუროდ, გვიანდაა და ახლა უიმედობის გარდა აღარაფერი დამრჩენია. მაგრამ მინდა იცოდეთ — ბოროტმოქმედება დაუსჯელი ვერ გადაჩრება და ზეცა, რომელსაც აგრერიგად აგდებულად ელლებუცებით, ჩემი სახელით შურს იძიებს თქვენს სიმდაბლეზე.

დონ ქუანი

სგანარელ, გესმის? ზეცით გვაშინებენ!

სგანარელი

ვერ მოგართვეს! ლაჩრები როდი გახლავართ!

დონ ჟუანი
ქალბატონო...

დონა ელვირა

კმარა. აღარაფრის გაგონება აღარ მსურს. რაც მოვისმინე, ისიც მეყოფა. საკუთარ სირცხვილზე მელაპარაკებოდით და მეც გისმენდით — ამაზე მეტი სულმოკლეობა გაგონილა? კეთილშობილ ადამიანს იმთავითვე უნდა მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება. ნუ გგონიათ, რომ შეგრისხავთ, ან შეგაჩვენებთ. არა, ფუჭად არ გავხარჯავ ჩემს რისხვას. შურისძიების უამრავი დადგება. გიმეორებთ, ჩემს მაგიერ ზეცა იძიებს შურს. და თუკი ზეცის რიდი არა გაქვთ, შეურაცხყოფილი ქალის რისხვისა მაინც გეშინოდეთ!

გამოსვლა მართხმ

დონ ჟუანი, სგანარელი

სგანარელი (თავისთვის)
სინდისის ქენჯნამ მაინც შეაწუხოს.

დონ ჟუანი (ცოტა ხანს ჩაფიქრდება)
ახლა კი ჩვენი გეგმის აღსრულებაზე ვიფიქროთ.

სგანარელი (თავისთვის)
ო, ღმერთო. ეს რა საშინელ კაცს გადამკიდდე.

მეორე მოქმედება

ადგილი ზღვის ნაპირზე.

გამოსვლა პირველი

შარლოტა, პიერო

შარლოტა
ბედად მიგისწრია, პიერო.

პ ი ე რ ო

მეც ამას არ ვამბობ. ეშმაკმა დალახვროს, ცოტაც და, ორივენი დაიხრჩობოდნენ.

შ ა რ ლ ო ტ ა

დილის ქარმა ააყირავა ნავი?

პ ი ე რ ო

დამაცა, შარლოტა. ყველაფერს დალაგებით აგიხსნი: პირველ-მა ხომ მე შევამჩნიე ისინი. დიახაც, პირველი მე ვიყავი. სქელ-ლუა ლუკას ველაბუცებოდი ზღვის ნაპირზე: ერთმანეთს ტალახის გუნდებს ვესროდით თავში. შენც ხომ იცი, სქელუა ლუკა რას არ მოიფიქრებს, ჰოდა არც მე ვამბობ უარს გართობაზე. აი ასე ვთამაშობთ, ვთამაშობთ და უცებ ვხედავ, წყალში რაღაცა ფართხალებს და რის ვაი-ვაგლახით ჩვენკენ მოცურავს. მერე უცებ ვხედავ, რომ ველარაფერს ველარ ვხედავ. „ეი, ლუკა, — ვეუბნები, — მგონი ვილაც მოცურავს“. „მოგცლია, — მეუბნება, — თვალი გატყუებს, შე ბრუტიანო“. „ხატზე დავიფიცებ, — ვეუბნები, — ბრუტიანო კი არა, ნამდვილად ადამიანები არიან“. „ვერ მოგართვესო, — მეუბნება, — ლიბრი გადაგეკრა თვალზეო“, „სანაძლეოს ჩამოვდივარ, — ვეუბნები, — რის ლიბრი, რა ლიბრი, — ვეუბნები, — ორნი არიან და პირდაპირ ჩვენკენ უჭირავთ გეზი-მეთქი“. „ეშმაკსაც წაუღიხარო, — მეუბნება — დავნაძლევედეთ, რომ იგონებო“. „თუ ასეა, ათი სუ ჩამოდი-მეთქი, — ვეუბნები“. „მოდი-სო, — მეუბნება, — აჰა, ჩამოვედიო“. მეც არ დავახანე, ავიღე და დავყარე მიწაზე ოთხი პარიზული სუ, ხუთიც ტურენული ზედ მივაყოლე — აი, ასე ერთი დაკვრით, თითქოს ჭიქა ღვინო გადავყლაპე. ხომ იცი, რა ფიცხიც ვარ, არაფერს დაგიდევი, აქ კი, ვხედავ, ნაღდი საქმეა. თუ ვინმე მოვიგდე ხელთ, იცოცხლე, ვაჩვენებ თავისას. ფულის დადებაც ვერ მოვასწარი, რომ ვხედავ, აი, ახლა შენ რომ გხედავ ისე, ორი კაცია წყალში და შველას ითხოვს. ამის დანახვა იყო და მთელ ფულს ხელი წამოვავლე. „აბა, ლუკა, — ვეუბნები, — ხომ ხედავ, საშველად გვიხმობენ. მოვუსვათ“. „არაო, — მეუბნება, — თავშიც ჭვა უხლიათ, ფული დამაკარგვინესო“. დავანამუსე, რა

არ ვუთხარი, ასე იყო თუ ისე, დავიყოლიე, ნავში ჩავჯექით და რის ვაი-ვაგლახით ამოვართიეთ წყლიდან ორივენი. მერე ჩემთან წავიყვანე. ტანსაცმელი დაიხადეს და დედიშობილა ცეცხლს ეფიცებოდნენ. მალე კიდევ ორი შემოუერთდათ. იმათ თავისით გამოეცურათ. მერე ის იყო და მათურინაც მოვიდა. მოვიდა და არშიყობაც წამოუწყეს. ეს იყო და ეს, ჩემო შარლოტა.

~

შ ა რ ლ ო ტ ა

თუ არ ვცდები, პიერო, ადრე ისიც თქვი, ერთი მათგანი ლამაზი კაციყო.

პ ი ე რ ო

ჰო, ბატონზე გეუბნებოდი. ეტყობა დიდი კაცია, ოქრომკედით ნაქარგი კაბა აცვია. მსახურებს რომ შეხედო, ისინიც ბატონები გეგონება. მაგრამ მე რომ არ მიმესწრო, არც ბატონიშვილობა უშველიდათ და არც დიდი კაცობა.

შ ა რ ლ ო ტ ა

ოჰო, ერთი ამას დამიხედე!

პ ი ე რ ო

ღმერთს გეფიცები. გათავებული იყო მაგათი საქმე.

შ ა რ ლ ო ტ ა

ახლაც დედიშობილა ზის შენს სახლში ის ბატონი?

პ ი ე რ ო

ვერ მოგართვეს! მსახურებმა ჩემს თვალწინ გამოაწყვეს. პირველად ვნახე, კაცი ასე იკანშებოდეს. აქეთ მოსაქერებით, იქით კიდევ დილებიო... რას არ მოიგონებენ ეს კარისკაცები! თავგზა ამებნა, მარტო ამის დანახვაზე დავქაჩე თვალები. იცი, თმას თავზე კი არ იმაგრებენ, პირდაპირ ჩაჩივით იცვამენ. ახლა სახელოებს არ იკითხავ? იმ სიფართისაა, რომ ორთავეს დაგვიტევს. შარვლის მაგივრად რაღაც წინსაფარი აუფარებიან, დიდმარხვასავით გრძელი და უშველებელი. კამზოლი

ჭიამდეც არ სწვდებათ, საყელოს ნაცვლად კი ფართო, ჭრელი ხილაბანდი მოუხვევიათ, ოთხი, ფაშემდე ჩამოგრძელებული ფოჩით. სახელოებზედაც უამრავი მანქეტი აქვთ. შარვლები ვეებერთელა კასრებს მიუგავთ. სადაც კი რამე აღგილი უნახავთ, პატარ-პატარა ბაფთები დაუბნევიათ. ფეხსაცმელებიც ყელიდან ლანჩებამდე ასეთი ბაფთებითაა გაწყობილი და ისეა შეკერილი, რომ მათი ჩაცმა და კისრის წაბნევა ერთი იქნება.

შ ა რ ლ ო ტ ა

ღმერთმანი, მართლაც ღირს ამის ნახვა.

პ ი ე რ ო

მოიცა, შარლოტა, კიდევ რაღაც უნდა გითხრა.

შ ა რ ლ ო ტ ა

გისმენ.

პ ი ე რ ო

იცი რა, შარლოტა, რაც გინდა, ის იფიქრე. მაგრამ აი, როგორც ამბობენ, გული უნდა გადაგიხსნა. შენც კარგად იცი, რომ მიყვარხარ. ჰოდა, ცოლად უნდა წამომყვე. ერთი ესეცაა, ცოტა არ იყოს, ნაწყენიც კი ვარ შენზე.

შ ა რ ლ ო ტ ა

ეს კიდევ რატომაო?

პ ი ე რ ო

იმიტომ, რომ მამრახებ, მართალს გეუბნები.

შ ა რ ლ ო ტ ა

აღარ იტყვი, რას მემართლები?

პ ი ე რ ო

არ გიყვარვარ. მორჩა და გათავდა.

შ ა რ ლ ო ტ ა
სულ ეგ იყო?

პ ი ე რ ო
მეტი რაღა უნდა იყოს?

შ ა რ ლ ო ტ ა
იცი რა, ჩემო კარგო, ყურები ნუ გამომიჭედე. მუდამ ერთსა და იმავეს მიმეორებ.

პ ი ე რ ო
ჰო, ერთსა და იმავეს გიმეორებ, იმიტომ, რომ ჩვენს შორის მუდამ ერთი და იგივეა. ჰოდა, ერთი და იგივე რომ არ იყოს, მაშინ ერთსა და იმავეს აღარ გაგიმეორებდი. ხომ გაიგე?

შ ა რ ლ ო ტ ა
რას მემართლები რასა მთხოვ?

პ ი ე რ ო
ეშმაკმა დალახვროს. მინდა, რომ გიყვარდე.

შ ა რ ლ ო ტ ა
მერედა არ მიყვარხარ?

პ ი ე რ ო
არა, არ გიყვარვარ. მე კი შენთვის ლამისაა საკუთარი ტყავი-დან გამოვძვრე. გზაზე მეწვრილმანეს დავლანდავ თუ არა — ბაფთების საყიდლად თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ. შაშვების დასაჭერად ხეებზე ძრომილით მუხლისთავები გადავიტყავე. დაბადების დღე გაქვს და მუსიკოსებს გაახლებ. შენც არ მომიკვდე, შეაყარე კედელს ცერცვი. იცი, რას გეტყვი, შარლოტა, აბა სადაური სინდისია ასე ექცეოდე იმას, ვისაც შენზე მზე და მთვარე ამოსდის.

შ ა რ ლ ო ტ ა
მეც ხომ მიყვარხარ, ჩემო კარგო.

პ ი ე რ ო

ესეც თუ სიყვარულია და...

შ ა რ ლ ო ტ ა

ერთი მითხარი, როგორღა მოვიქცე?

პ ი ე რ ო

ისე უნდა მოიქცე, როგორც ნამდვილ შეყვარებულს შეჰფერის.

შ ა რ ლ ო ტ ა

მე რა, ყასილად მიყვარხარ?

პ ი ე რ ო

სწორედაც რომ ასეა. როცა ვინმე გიყვარს, ამას ყველა ამჩნევს. ვისაც შეიყვარებ, იმას მოსვენებაც არ უნდა მისცე. აგე, აბა ერთი ნახე, რარიგ უყვარს ზონზროხა ტომასას თავისი რობენი. რეებს არ უკეთებს, როგორ არ აწვალებს. ისე არ ჩაუვლის, კინკრიხოში არ წამოართყვას. აი, წინეებზე სკამი გამოატალა და მიწაზე მოადენინა ზღართან. ასეთი სიყვარული მესმის! შენ კი ერთი ზედმეტი სიტყვა არ გემეტება ჩემთვის. თეფზივით დუმხარ, ბარე ოცკერ რომ გაგიარო გვერდით, წარბსაც არ შეახრი, ხელის წამორტყმას ვინღა ჩივის. აბა, ასე სად გაგონილა? ძალიან გულცივი ვინმე ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა.

შ ა რ ლ ო ტ ა

ვერას გააწყობ. რას იზამ, ასეთი გუნებისა ვარ და სხვაგვარად არც შემძლია.

პ ი ე რ ო

გუნება რა შუაშია? როცა ვინმე გიყვარს, უნდა კიდევ აგრძნობინო.

შ ა რ ლ ო ტ ა

როგორც შემძლია, ისე მიყვარხარ. თუ არ მოგწონს, მიდი და სხვა შეიყვარე.

პ ი ე რ ო

ერთი ამას დამიხედეთი ახლა მე აღარ მკითხავ? რომ გიყვარდე, განა ამას მეტყოდი?, †

შ ა რ ლ ო ტ ა

აბა რა გამიწყალე გული?

პ ი ე რ ო

ფუი ეშმაკს, კი მაგრამ, რას მემართლები? ალერსიანი იყავი-მეთქი, მეტი ხომ არაფერი მითხოვნია.

შ ა რ ლ ო ტ ა

ჰოდა, თუ ასეა, მაშინ თავს ნუღარ მახეზრებ. რა იცი, იქნებ სიყვარული თავისითაც მოვიდეს, ფიქრისა და სიტყვების გარეშე.

პ ი ე რ ო

დაჰკა ხელი.

შ ა რ ლ ო ტ ა

აჰა!

პ ი ე რ ო

პირობა მომეცი, რომ ცოტა უფრო მეტად შემეყვარებ.

შ ა რ ლ ო ტ ა

ვეცდები, მაგრამ ხომ იცი, ძალად სიყვარულიც არ შეიძლება. პიერო, ეს ხომ არ არის ის ბატონი?

პ ი ე რ ო

ჰო, ის გახლავს.

შ ა რ ლ ო ტ ა

რა ლამაზია. მადლი ღმერთს, რომ არ დაიხრჩო.

პ ი ე რ ო

ახლავე მოვბრუნდები, ერთ ჰიქა ღვინოს გადავკრავ, ეგებ გულზე მომეშვას.

გამოსვლა მეორე

დონ უუანი, სგანარელ, შარლოტა

დონ უუანი

ხელი მოგვეცარა, სგანარელ. ამ ქარიშხალმა ნავეც აგვიტრია-
ლა და გეგმაც ჩაგვიშალა. ისე კი, მართალი თუ გინდა, ამ
გლახის ქალმა, აი, ახლა რომ დავშორდი, ცოტა არ იყოს,
უწამლა ჩემს უბედრობას. მისმა სილამაზემ დილანდელი მარცხი
გადამავიწყა. ხელიდან არ უნდა გავუშვა, მგონი კიდევ მოვ-
ხიბლე და ახლა მიზანთან ახლოს ვარ.

სგანარელი

მართლაც რომ მაოცებთ, ბატონო. ძლივს განსაცდელს თავი
დააღწიეთ და იმის მაგივრად, რომ გადარჩენისათვის ზეცას
მადლობა მოახსენოთ, გსურთ ძველებური ოინებით ისევ მისი
რისხვა დაიტეხოთ თავს. (დონ უუანი ემუქრება.) აბა, აბა,
გეყოფა, გაიძვერავე, თვითონაც არ იცი, რას როშავ, შენმა
ბატონმა კი კარგად უწყის, რასაც იქმს. გზას გავუდგეთ.

დონ უუანი (შეამჩნევს შარლოტას)

ოჰო! ეს გლახის გოგო აქ საიდან გაჩნდა, სგანარელ? გინახავს
მსგავსი სილამაზე? იმ პირველს არაფრით ჩამოუვარდება. ჰა,
რას იტყვი?

სგანარელი

მართალი ბრძანდებით. (თავისთვის.) აი, ახალი საქმეც იშოვა.

დონ უუანი (შარლოტას)

რას უნდა ვუმადლოდე ამ სასიამოვნო შეხვედრას? განა აქაც,
ტრიალ მინდორში, ხეებსა და კლდეებს შორისაც არიან თქვე-
ნებრ ლამაზი ასულები?

შარლოტა

როგორც ხედავთ, ჩემო ბატონო.

დონ ქუანი
ამ სოფლიდან ბრძანდებით?

შარლოტა
დიახ, ჩემო ბატონო.

დონ ქუანი
მაშ, აქა ცხოვრობთ?

შარლოტა
დიახ, ბატონო.

დონ ქუანი
რა გქვიათ?

შარლოტა
თქვენის ნებართვით, შარლოტა.

დონ ქუანი
რა ლამაზია თვალებიც როგორ უბრწყინავს!

შარლოტა
ნუ მარცხვენთ, ჩემო ბატონო.

დონ ქუანი
ქეშმარიტების მოსმენა განა სირცხვილია? სგანარელ, რას გა-
ჩუმებულხარ? გინახავს მეტი მშვენიერება? შემოტრიალდით,
გეთაყვა. ო, რა წელია აბა ერთი თავი ასწიეთ ო, რა ნაზი
სახე გაქვთ. თვალებიც ვნახოთ! ო, მშვენიერია აბა, ერთი
კბილებიც მაჩვენეთ, ძვირფასო თითქოს სიყვარულს ითხო-
ვენ. ტუჩებიც რა ვნებისმომგვრელად გიელავთ. არაფერი მეთ-
ქმის. მომხიბლეთ და ეგ არის. ასეთი მშვენიერი ასული ჭერაც
არ შემხვედრია.

შარლოტა
რაც გენებოთ, ისა თქვით, მაგრამ მე კი მგონია, რომ დამცი-
ნით.

დონ ქუანი

მე დაგცინით? ღმერთმა დამიფაროს! თქვენდამი სიყვარული მალაპარაკებს მხოლოდ. მერწმუნეთ, ყოველივეს გულწრფელად მოგახსენებთ.

შარლოტა

თუ ასეა, მადლობის მეტი რა მეტქმის.

დონ ქუანი

აბა, რას ბრძანებთი ჩემი სამადლობელი რა გაქვთ? თქვენს სილამაზეს უმადლოდეთ!

შარლოტა

ჩემო ბატონო, ისე ლამაზად ლაპარაკობთ, რომ არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ.

დონ ქუანი

სგანარეულ, აბა ერთი ამ ხელებს დააკვირდი!

შარლოტა

ეჰ! ჩემო ბატონო, ხედავთ, რა ჩაშავებულია.

დონ ქუანი

რას ამბობთი უნატიფესი თითები გაქვთ. ნება მომეცით ხელზე გეამბოროთი

შარლოტა

მეტისმეტი პატივია, ბატონო. აღრე რომ მცოდნოდა, დავიბანდი მაინც.

დონ ქუანი

ერთი ეს მიბრძანეთ, მშვენიერო შარლოტა, გათხოვილი ხომ არ ბრძანდებით?

შარლოტა

არა, ჩემო ბატონო. მაგრამ სადაცაა პიეროზე უნდა ვიქორწინო. ჩემი მეზობლის — სიმონეტას შვილი გახლავთ.

დონ ქუანი

რაო? ვიღაც გლახუქას ცოლი უნდა გახდეთ? ეს ხომ თქვენი სილამაზის შეურაცხყოფა იქნება. თქვენ სოფელში საცხოვრებლად არ დაბადებულხართ. მერწმუნეთ, უკეთეს ხვედრს იმსახურებთ. ჩანს ზეცამ საგანგებოდ წარმომგზავნა, რომ ამ ქორწინებას ხელი შეეშალო და საკადრისი მიეუზლო თქვენს მშვენიერებას. შარლოტა, მთელი გულით მიყვარხართ და თუ თქვენი ნებაც იქნება, ამ მიყრუებულ ადგილს მოგაცილებთ. რა თქმა უნდა, ერთი დანახვით კი შემეყვარდით, მაგრამ მერედა რა? მხოლოდ და მხოლოდ თქვენი მშვენიერებაა ამის მიზეზი და თუკი სხვა ქალის შეყვარებას ექვსი თვე მაინც უნდა, თქვენი შეყვარება თხუთმეტ წუთშიც შეიძლება.

შარლოტა

ალარც კი ვიცი რა ვქნა. თქვენი სიტყვები მსიამოვნებს და გულით მინდა, რომ გენდოთ. მაგრამ მუდამ ამას მიჩიჩინებდნენ, ბატონებს არ ენდო, მაკდურნი არიან და სულ ქალიშვილების ცდუნებისაკენ უქირავთ თვალიო.

დონ ქუანი

ჩემზე ასე ნუ იფიქრებთ. იმ ბატონების რიცხვს არ ეყეუთენი.

სგანარელი (თავისთვის)

ისე თავი დაგიმშვენდა.

შარლოტა

იცი, ჩემო ბატონო, ცუდია, როცა გატყუებენ. მე ერთი ღარიბი გლახის გოგო ვარ, მაგრამ პატიოსნებას ვუფრთხილდები და სახელის დაკარგვას სიცოცხლის დაკარგვა მირჩევნია.

დონ ქუანი

განა ასეთი ავი სული ვარ, რომ თქვენისთანა ქალიშვილი ვაცდუნო? ან ისე როგორ გავბოროტდები, რომ თქვენი ნდობით ვისარგებლო? არა და არა! ჩემი ღირსება და სინდისი ამის ნებას არ მომცემს. სულით ხორცამდე მიყვარხართ და ჩემს სიმართლეში რომ დაგარწმუნოთ, იმასაც გეტყვით, თქვენი ცო-

ლად მოყვანა გადავწყვიტე. მეტი რაღა გითხრათ? ინებეთ და ახლავე დავქორწინდებით. ჩემი სიტყვის თავდები აი ეს კაცი გახლავთ.

ს გან ა რ ე ლ ი

ღიახ, ღიახ, ნურაფრის გეშინიათ — როცა კი მოისურვებთ, წამსვე ჯვარს დაიწერს თქვენზე.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

შარლოტა, თქვენ ჯერ კიდევ არ მიცნობთ. განა უსამართლობა არ არის სხვების საქციელით იმსჯელოთ ჩემზე? შეიძლება მართლაც არიან ისეთები, ვინც ქალიშვილების შეცდენაზე ფიქრობენ. მე მათში ნუ გამრევთ. ენდეთ ჩემს გულწრფელობას. თქვენს პატიოსნებას თქვენი სილამაზე უდგას მცველად. ასეთი ეპვი გულში არც უნდა გაივლოთ. იმ ქალებს სულ არ ჰგაუხაროთ, ვისი შეცდენაც ადვილად შეიძლება. მე კი უმალ გულს გავიპობ, ვინემ თქვენს დალატს განვიზრახავ.

შ ა რ ლ ო ტ ა

არ ვიცი, ღმერთმანი, მართალს ამბობთ თუ არა, მაგრამ მაინც გენდობით.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

არც შეცდებით. კიდევ გიმეორებთ ჩემს წინადადებას. თანახმა ხართ თუ არა ჩემი მეუღლე გახდეთ?

შ ა რ ლ ო ტ ა

ღიახ, თუკი დეიდაჩემსაც დაითანხმებთ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

თუ ასეა, ხელი მომეცით.

შ ა რ ლ ო ტ ა

გემუდარებით, არ მომატყუოთ, ხომ ხედავთ, გენდობით და ცოდვით სული არ დაიმძიმოთ.

დონ ჟუანი

კიდევ ეპვობთ? გსურთ საშინელი აღთქმა დაგიდოთ? დე, ზეცამ...

შარლოტა

ღმერთო ჩემო, ნუ იფიცებით, ისედაც მჭერა.

დონ ჟუანი

მაშ, თუ ასეა, თანხმობის ნიშნად მემამბორეთ.

შარლოტა

ჯერისწერას დაველოდოთ. მერე კი რამდენსაც მოისურვებთ, იმდენს გააკოცებთ.

დონ ჟუანი

თქვენი ნებაა, ძვირფასო. მეც ისა მსურს, რასაც თქვენ ინებებთ. ხელი მიბოძეთ, რომ ჩემი ტრფობა ამბორით მაინც გამოვხატო...

გამოსვლა მესამე

დონ ჟუანი, სგანარელი, პიერო, შარლოტა

პიერო (ხელს ჰკრავს დონ ჟუანს, რომელიც შარლოტას ჰკოცნის).

აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! ძალიან კი შეხურებულხართ, ციება არ შეგეყაროთ!

დონ ჟუანი (უხეშად უბიძგებს პიეროს).
ეს თაუხელი ვინლაა?

პიერო (ჩადგება დონ ჟუანსა და შარლოტას შორის).
განზე მიდექით და ჩვენს საცოლეებს შეეშვით.

დონ ჟუანი (კვლავ უბიძგებს პიეროს).
რა ხეპრე ვინმეა!

პ ი ე რ ო

ეშმაკმა დალახეროს, რას მირტყამთ, რომ მირტყამთ?

შ ა რ ლ ო ტ ა (ხელს ჰკიდებს პიეროს).

დაწყნარდი, პიერო.

პ ი ე რ ო

როგორ თუ დავწყნარდე? ნებას არ მივცემ!

დ ო ნ ე უ ა ნ ი

ერთი ამას დამიხედეთ!

პ ი ე რ ო

ჰო, რაო? რადგანაც აზნაური ბრძანდებით, შეგიძლიათ ცხვირ-
წინ აგვწაპნოთ საცოლეები, არა? ვერ მოგართვეს, თქვენს დე-
დაკაცებს მოუარეთ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

რაო?

პ ი ე რ ო

ღიახაც, (დონ ეუანი სილას გაართყამს.) აბა, აბა, რას მირ-
ტყამთ? (დონ ეუანი ხელმეორედ გაართყამს.) ეშმაკმა დალახე-
როს (დონ ეუანი კიდევ ურტყამს.), ეშმაკმა წაიღოს თქვენი
თავი და ტანი. განა საქმეა, პატიოსან ადამიანებს რომ ურ-
ტყამთ? დახრჩობას გადაგარჩინეთ და აჰა, ესეც თქვენი სამად-
ლობელი.

შ ა რ ლ ო ტ ა

ნუ წყრები, პიერო!

პ ი ე რ ო

ღიახაც რომ გავწყრები. შენც კარგი ვინმე ხარ. რეებს აბე-
ღინებ?

შ ა რ ლ ო ტ ა

პიერო, აქ სულ სხვა საქმეა. ამ ბატონს ჩემი ცოლად შერთვა
სურს. აბა, ეგ რა საწყენია?

პ ი ე რ ო

ეს როგორ? ელოდე! ჩვენ ხომ დანიშნულები ვართ?!

შ ა რ ლ ო ტ ა

მერედა რა. თუ მართლა გიყვარვარ, კიდევ უნდა გიხაროდეს, რომ მალე ქალბატონი გავხდები.

პ ი ე რ ო

დიდი შეღავათია! მიჯობს მოკვლე, ვინემ სხვას მითხოვდე.

შ ა რ ლ ო ტ ა

კარგი, პიერო, კმარა. ქალბატონი თუ გავხდი, შენც რამეს გამორჩები: ყველსა და კარაქს მხოლოდ შენგან ვიყიდით.

პ ი ე რ ო

ორჯერ მეტიც რომ შემადლიოთ, ჩემგან ვერაფერს ეღირსები. მაგრად კი დაუბიხარ! ეშმაკმა დალახვროს, ადრე რომ მცოდნოდა, თითსაც არ გავანძრევდი მის საშველად. ერთს კარგადაც ვუთავაზებდი ნიჩაბს.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (დასარტყმელად უახლოვდება პიეროს)
რაო, რა ბრძანეთ?

პ ი ე რ ო (შარლოტას ამოეფარება)
არავისაც არ მეშინია.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (მოუვლის შარლოტას და პიეროს უახლოვდება)
აბა, მაშ, ენახოთ.

პ ი ე რ ო (გაურბის დონ ყუანს და ახლა სხვა მხრიდან ეფარება შარლოტას)
ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ!

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (გაედევნება პიეროს).
აბა, დამაცადე!

პიერო (ისევ შარლოტას ამოეფარება).
თქვენისთანები მინახავს?!

დონ ქუანი
ოჰო!

სგანარელი

მოეშვით, ჩემო ბატონო! ცოდვას ნუ ჩაიდენთ! (მოპაექრებს შუა ჩადგება და პიეროს მიუბრუნდება.) ყური მათხოვე, ჩემო კარგო. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო... შენც რალას ეპასუხები?

პიერო (გვერდით ჩაუვლის სგანარელს და ამაყად მიმართავს დონ ქუანს)

საცა თქვენი დაიკვებნოთ, იქ ჩემიცა თქვით.

დონ ქუანი (ხელს მოუქნევს პიეროს).

ჭკუას გასწავლი! (პიერო თავს ხრის და სილა სგანარელს ხვდება.)

სგანარელი (უყურებს წახრილ პიეროს)
პირსაც წაუღიხარ!

დონ ქუანი (სგანარელს)

ესეც შენ. არამკითხე მოამბეო, ხომ გაგიგია...

პიერო

ახლა კი წავალ და ყოველივეს დეიდამისს ვუამბობ.

დონ ქუანი

მაშ ასე, ცოტა ხანში უბედნიერესი ადამიანი ვიქნები და ამქვეყნად არც არაფერი მეგულება ისეთი, რაშიც ჩემს ბედნიერებას გავცვლიდი. ო, რამდენი სიტკბოება მელის, როცა ჩემი ცოლი გახდებით და როცა...

დონ ეუანი, სგანარელი, შარლოტა, მათურინა

სგანარელი (შეამჩნევს მათურინას)
ოჰ! ოჰ!

მათურინა (დონ ეუანს)
ჩემო ბატონო, აქ რას აკეთებთ? შარლოტასაც ხომ არ ეკურ-
კურებით?

დონ ეუანი (ჩუმად მათურინას)
რას ამბობთ, პირიქით, თვითონ მთხოვს ცოლობას, მე კი ვემ-
ტყიებ, რომ სიტყვა თქვენ მოგეცით.

შარლოტა (დონ ეუანს)
მათურინას ჩაღა უნდა თქვენგან?

დონ ეუანი (ჩუმად შარლოტას)
თქვენ რომ გელაპარაკებით, იმაზე ექვიანობს. სურს ცოლად
შევირთო, თუმცა კი ვუთხარი, რომ თქვენ მიყვარხართ.

მათურინა
რაო? შარლოტა...

დონ ეუანი (ხმადაბლა მათურინას)
ნურას ეტყვი, ტყუილი წყლის ნაყვია. დაიქინა, გინდა თუ
არა, ცოლად უნდა წამოგყვეთო.

შარლოტა
რაო? მათურინა...

დონ ეუანი (ხმადაბლა შარლოტას)
უბრალოდ იხარებთ, თავიდან შაინც ვერ ამოაგდებინებთ
ამ აზრს.

მ ა თ უ რ ი ნ ა
განა?

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ხმადაბლა მათურინას)
ვერას შეაგონებთ...

შ ა რ ლ ო ტ ა
მე მინდა...

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ხმადაბლა შარლოტას)
თუკი რაიმე აიჩემა, მერე ველარ გადაათქმევიანებთ.

მ ა თ უ რ ი ნ ა
მართლაცდა...

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ჩუმად მათურინას)
არაფერი უთხრათ, ნამდვილი აღქაჯია.

შ ა რ ლ ო ტ ა
ვფიქრობ...

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ჩუმად შარლოტას)
თავი დაანებეთ, ახირებული ვინმეა.

მ ა თ უ რ ი ნ ა
არა, უნდა მოველაპარაკო..

შ ა რ ლ ო ტ ა
ერთი გამაგებინა, რისი იმედი აქვს?

მ ა თ უ რ ი ნ ა
რაო?

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ჩუმად მათურინას)
ნაძღვეს ჩამოვალ, მტკიცებასაც დაგიწყებთ, ცოლად მოყვანას შემპირდით.

შ ა რ ლ ო ტ ა
მე...

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ჩუმად შარლოტას)
დაგენაძლევეებით, იმასაც იტყვის, ცოლქმრობა შემომფიცაო.

მ ა თ უ რ ი ნ ა
რაო, შარლოტა, ნავაჭრი საქონელი გინდა ამწაპანო?

შ ა რ ლ ო ტ ა
პატიოსანი ქალი რომ იყო, არც იეჭვიანებდი.

მ ა თ უ რ ი ნ ა
ბატონმა შენზე აღრე მე მნახა.

შ ა რ ლ ო ტ ა
სწორი ხარ, ჩემზე აღრე კი გნახა, მაგრამ ქმრობას მე შემ-
პირდა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ხმადაბლა მათურინას)
აკი გეუბნებოდით.

მ ა თ უ რ ი ნ ა
ვერ მოგართვი. შენ კი არა, მე მითხრა, ცოლად გითხოვო.

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ხმადაბლა შარლოტას)
ასეც ვიცოდი.

შ ა რ ლ ო ტ ა
ეგ საკენკი სხეებს დაუყარე, ხომ გეუბნები, მე ამირჩია-მეთქი.

მ ა თ უ რ ი ნ ა
დამცინი კიდეც. კიდეც ერთხელ გიმეორებ, ამ ბატონის რჩეუ-
ლი მე გახლავარ.

შ ა რ ლ ო ტ ა
თუ ჩემი არ გჯერა, აგერაა და ჰკითხე.

მათურინა

ჰოდა, თვითონვე თქვას, ვტყუი თუ არა.

შარლოტა

ბატონო ჩემო, თქვენ მას ცოლად მოყვანას შეჰპირდით?

დონ ეუანი (ხმადაბლა შარლოტას)

ხუმრობთ?

მათურინა

თქვენ მას სიტყვა მიეცით, ჩემო ბატონო?

დონ ეუანი (ხმადაბლა მათურინას)

ეს რამ გაფიქრებინათ?

შარლოტა

აბა, მაშ, რატომ ჯიუტობს?

დონ ეუანი (ხმადაბლა შარლოტას)

ყურადღებას ნუ აქცევთ.

მათურინა

აი ხომ ხედავთ, თავისას მაინც არ იშლის.

დონ ეუანი (ხმადაბლა მათურინას)

დე, რაც უნდა, ის იფიქროს. ყურს ნუ ათხოვებთ.

შარლოტა

არა, მაინც მინდა მართალი ვიცოდე.

მათურინა

გადავწყვიტოთ, ან ასე, ან ისე.

შარლოტა

ჰოდა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩები.

მ ა თ უ რ ი ნ ა

ასე, ჩემო შარლოტა, ერთი ლაზათიანი წკიპურტი შენც მოგხვდება.

შ ა რ ლ ო ტ ა

ბატონო ჩემო, ინებეთ და გაგვარიგეთ.

მ ა თ უ რ ი ნ ა

ბატონო ჩემო, განგესაჩეთ.

შ ა რ ლ ო ტ ა (მათურინას)

აი, ნახავ.

მ ა თ უ რ ი ნ ა (შარლოტას)

შენ თვითონ ნახავ.

შ ა რ ლ ო ტ ა (დონ ჟუანს)

აბა, ბრძანეთ.

მ ა თ უ რ ი ნ ა (დონ ჟუანს)

გვითხარით, რას ფიქრობთ.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი (შეცბუნებული უყურებს ორთავეს).

აბა, რა გითხრათ? ორივენი ამტკიცებთ, რომ ცოლად მოყვანას შეგპირდით. განა თითოეულმა თქვენგანმა კარგად არ იცის საქმის ვითარება? მეტი რა მეტქმის? რატომ გავიმეორო ის, რაც ერთხელ უკვე ვთქვი? იმისთვის, ვისაც მართლაც აღვუთქვი ცოლად მოყვანა, ვგონებ ესეც საკმარისია, რომ უდრტივინველად აიტანოს მეტოქის შემოტევა. ღირს კი ამისთვის თავის შეწუხება? მე ხომ მართლა ვაპირებ ჩემი განზრახვის შესრულებას! ვინც რა უნდა თქვას, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. სიტყვით საქმეს ვერ მოვევლება. მოქმედებაა საჭირო. მეც სწორედ ასე ვაპირებ თქვენი კამათის გადაწყვეტას და როცა ვიქორწინებ, ყველასთვის ცხადი გახდება, რომელია ჩემი რჩეული. (მათურინას) რაც მოეპრიანება, ის იფიქროს. (შარლოტას) დე, რაც სურს, ის ილაპარაკოს. (მათურინას) გაღმერ-

თებთ. (შარლოტას) თქვენი მონა ვარ. (მათურინას) ულამაზესი ხართ ულამაზესთა შორის. (შარლოტას) თქვენს შემდეგ სხვებს ზედაც არ შეხედავს კაცი. (ხმამალლა) ახლა კი ნება მიბოძეთ, ჩემს საქმეებს მივხედო. რამდენიმე წუთში გეახლებით. (გადის.)

შ ა რ ლ ო ტ ა (მათურინას)

ექვიც არ მეპარება, რომ ვუყვარვარ.

მ ა თ უ რ ი ნ ა

აი ნახეთ, ცოლად მე შემირთავს.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (აჩუმებს ორთავეს)

ექ, თქვე საცოდავებო. გული მიკვდება, თქვენს გულუბრყვილობას რომ ვხედავ. საკუთარი ფეხით უფსკრულისაკენ მიექანებით. აბა, ერთი მეც მომისმინეთ: ნუ ერწმუნებით ჩემი ბატონის მონაჩმახ ზღაპრებს. გირჩევთ, სოფლიდან ფეხიც არ დაძრათ.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (ბრუნდება)

სგანარელი რაღას დაყოვნდა?

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ჩემი ბატონი დიდი ცბიერი ვინმეა. ერთი აზრი უტრიალებს თავში: როგორმე გაგაცუროთ. რამდენი ქალი აცდუნა, რომ იცოდეთ! ყველას ცოლად შერთვას ჰპირდება, მერე კი... (შეამჩნევს დონ ყუანს.) მაგრამ ყოველივე ეს ჭორია და თუკი ვინმემ რამე გითხრათ, არ დაიჭეროთ. ჩემი ბატონი არავის არ აძლევს პირობას, არც ვინმეს ცდუნება ჩაუდევს როდისმე გულში და არც არავინ მოუტყუებია. აი, ისიც, თვითონვე ჰკითხეთ!

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (უყურებს სგანარელს; ხვდება, რომ მასზე ლაპარაკობდნენ)

მაშ, ასე.

ს განარელი

ჩემო ბატონო, ქვეყანა ბოროტი ენებითაა სავსე, მსურდა ქალიშვილები გამეფრთხილებინა, ვინმეს რომ რამე ცუდი დასცდეს ჩემს ბატონზე, არ დაუჭეროთ-მეთქი.

დონ ქუანი

სგანარელი

ს განარელი (შარლოტას და მათურინას)

ჰოდა ასე, თავს დავდებ, რომ ჩემი პატრონი პატიოსანი კაცია.

დონ ქუანი

ჰმი

ს განარელი

თავხედი და ნაძირალა თუ იტყვის მასზე...

გამოსვლა მესამე

დონ ქუანი, ლა რამე, შარლოტა, მათურინა, სგანარელი

ლა რამე (ჩუმიად დონ ქუანს)

ბატონო... მინდა გაგაფრთხილოთ: განერიდეთ აქაურობას. თქვენი აქ დარჩენა სახიფათოა.

დონ ქუანი

ვითომდა რატომ?

ლა რამე

თორმეტი მხედარი დაგეძებთ. სადაცაა, აქ გაჩნდებიან. არ ვიცი როგორ მიაგნეს თქვენს კვალს, მაგრამ ეს-ეს არის გლენისაგან შევიტყვე, რომ თქვენ გკითხულობდნენ, გარეგნობაც ზუსტად აუწერეს. დრო აღარ ითმენს — რაც სწრაფად გაერიდებით, უმჯობესია.

დონ ქუანი (შარლოტასა და მათურინას)

სასწრაფო საქმე მოითხოვს და იძულებული ვარ, დაგტოვოთ.

მაგრამ გახსოვდეთ ჩემი პირობა და ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ხვალ საღამომდე ხმას მოგაწვდენთ. ძალები უთანაბროა, ამიტომაც ხერხი უნდა ვიხმაროთ. მოდი ერთი, სგანარელს ჩემს ტანსაცმელს ჩავაცმევ, მე კი...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

მე თავი დამანებეთ, ჩემო ბატონო. სულაც არ მეპიტნავენა, თქვენს კაბაში მომკლან..

დ ო ნ უ უ ა ნ ი

აბა, სწრაფად! თქვენთვის ეს დიდი პატივია, მოწყალეო ხელმწიფევ! ბედნიერია ის მსახური, ვისაც პატრონისთვის თავის დადება ერგება წილად.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

მადლობა მომიხსენებია ესოდენი პატივისათვის. (თავისთვის) ო, ღმერთო! თუკი სიკვდილს მიპირებ, ერთი მოწყალეობა მაინც მოიღე: დე, ნურვის შევეშლები სხვაში.

მ მ ს ა მ მ მ ო ჟ მ მ დ ე ბ ა

სცენა წარმოადგენს ტყეს.

გამოსვლა პირველი

დონ უუანს გლეხის ტანსაცმელი აცვია, სგანარელს — ექიმისა.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ახლა ხომ დარწმუნდით, ბატონო ჩემო, რომ სწორი ვიყავი. მარჯვედ კი გადავიცვით ორთავემ. აი, თქვენი მაშინდელი გეგმა კი... რა მოგახსენოთ... ერთობ უხეირო გახლდათ. ამ კაბაში, მგონი, ეშმაკიც ვერ გვიცნობს.

დ ო ნ უ უ ა ნ ი

კარგი სანახავი კი ხარ! ერთი მითხარი, ეს სამოსი სადღა გამოძებნე?

ს განარელი

ახლავე მოგახსენებთ. ვილაც ბებრუხანა ექიმისაა. გირაოში დაეტოვებინა და მისი გამოხსნა კარგადალი ფულიც დამიჯდა. ერთი კია, ამ კაბამ ეტყობა წონა შემმატა. ქუჩაში მოწიწებით მესალმებიან და ზოგ-ზოგი რჩევასაც კი მთხოვს, თითქოს დიდი ცინმე სწავლული ვიყო.

დონ ქუანი

ერთი ამას დამიხედეთ?!

ს განარელი

აი, ახლაც, აქეთ რომ მოვდიოდი, ექვსიოდე გლუხმა ისიც მკითხა, ამა და ამ სნეულებას როგორ ვუმკურნალოთ?

დონ ქუანი

ჰოდა, შენც ეტყოდი, ამისა არაფერი გამეგებაო. ასე არ იყო?

ს განარელი

სრულიადაც არა. გადავწყვიტე ჩემი ტანსაცმლის ღირსება დამეცვა. რალაც მივკიბ-მოვკიბე და წამლებიც კი დაუენიშნე.

დონ ქუანი

ოჰო! კი მაგრამ, რა გამოუწერე?

ს განარელი

მერწმუნეთ, ბატონო ჩემო, ყველა ის წამალი, რაც იმ წუთს თავში მომივიდა. რეცეპტებს ჰაიპარად ვუნიშნავდი. ღმერთმანი, რას ვიცინებ, ჩემმა ავადმყოფებმა რომ მოიკეთონ და ერთ მშვენიერ დღეს ძღვენიც მომართვან.

დონ ქუანი

რატომაც არა? თუკი ყველა ექიმი ამ უპირატესობით სარგებლობს, შენ რალა დააშავე? ავადმყოფის განკურნვაში მათაც ისეთივე წვლილი მიუძღვით, როგორც შენ, რადგან მთელი მათი ხელოვნება მანკვა-გრეხაა და სხვა არაფერი. ისინიც ხომ ბედნიერი დამთხვევის წყალობით იხვევენ სახელს. ჰოდა, თუ

ასეა, შენც არაფერი გიშლის მიითვისო ავადმყოფის გამარჯვება და ის, რაც მხოლოდ ბუნების ძალებსა და კეთილმყოფელ გარემოებაზეა დამოკიდებული, შენი წამლების მადლს მიაწერო.

ს გან არ ელი

ჩემო ბატონო, თქვენ რაო, მედიცინისაც არა გწამთ?

დონ უუანი

მედიცინა, ჩემო კარგო, კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ცდომილებაა.

ს გან არ ელი

გამოდის, თქვენ არც ალექსანდრიული ფოთლისა გწამთ არაფერი, არც სამკურნალო რევენდისა და არც პირსაქმებელი ზეთისა?

დონ უუანი

კი მაგრამ, რატომ უნდა მწამდეს?

ს გან არ ელი

მართლაც რომ წარმართის სული გქონიათ! იმას მაინც ვეღარ უარყოფთ, რომ ამ ბოლო დროს პირსაქმებელმა ზეთმა ყველა აალაპარაკა. რა სასწაულებს არ ახდენს! თავგადადებულმა ურწმუნოებმაც კი იწამეს მისი კეთილმყოფელი ძალა. სხვისას არ გეტყვი. სამიოდე დღის წინათ მე თვითონ ვიყავი მოწმე მისი გასაოცარი მოქმედებისა.

დონ უუანი

აბა, უფრო წვრილად მოყევი!

ს გან არ ელი

ერთი კაცი ექვსი დღე სიკვდილის პირას იყო. აღარ იცოდნენ რა ელონათ და ხსნის იმედიც გადაეწურათ. ბოლოს იფიქრეს და გადაწყვიტეს პირსაქმებელი ზეთი მიეცათ.

დონ ქუანი

ჰოდა, ავადმყოფიც გამოკეთდა.

სგანარელი

თქვენი მტერი იყოს ისე. გარდაიცვალა.

დონ ქუანი

ბრწყინვალე შედეგია, მე და ჩემმა ღმერთმა.

სგანარელი

მაშ რა გეგონათ? მთელი ექვსი დღე კვდებოდა და ვერ მოკვდა. წამალი დალია თუ არა, წამსვე ფეხები გაჭიმა. ხომ უებარი საშუალებაა?

დონ ქუანი

რა მეთქმის, მართალი ხარ.

სგანარელი

მოდით, მოვეშვათ მედიცინას, თქვენ მაინც არ გჯერათ მისი და სხვაზე ვილაპარაკოთ. იცით, ამ კაბაში ჰკვიან კაცად ვგრძნობ. თავს და მსურს რამეზე გეკამათოთ. თქვენ ხომ მაძლევთ კამათის ნებას, თუმცა უენიშვნებს კი ვერ იტანთ.

დონ ქუანი

მაინც რაზე ვისაუბროთ?

სგანარელი

თქვენი აზრების ამოცნობა მსურს. ნუთუ სრულიად არ გწამთ ზეციერი ძალებისა?

დონ ქუანი

ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

სგანარელი

ერთი სიტყვით, არა გწამთ და ეგ არის. ჯოჯოხეთზე რაღას იტყვით?

დონ უუანი
მოგვლია ერთი.

სგანარელი
აჰა, მაშ, არც ჯოჯოხეთისა გწამთ. ეშმაკისა?

დონ უუანი
როგორ არა!

სგანარელი
ეტყობა, არც ამის გწამთ არაფერი. თქვენი ნებაა. საიქიო
ცხოვრებისა თუ გწამთ რამე?

დონ უუანი
ჰა-ჰა-ჰა...

სგანარელი
მართლაც ძნელია თქვენი მოქცევა. რუხ ბერზე რაღას იტყვით?

დონ უუანი
ეშმაკსაც წაუღიხარ შენი სულელური კითხვებით!

სგანარელი
ეს უკვე მეტისმეტია. შემიძლია თავი დავდო, რომ რუხ ბერზე
ნაღდი ამქვეყნად არაფერი მეგულეება. მაგრამ რაღაცისა მაინც
ხომ უნდა გწამდეს კაცს? თქვენი კი ვერაფერი გამიგია.

დონ უუანი
გინდა იცოდე, რა მწამს?

სგანარელი
ღიახ, ღიახ.

დონ უუანი
მე ის მწამს, სგანარელ, რომ ორჯერ ორი ოთხია, ორჯერ ოთხი
კი ორვა.

ს გან ა რ ე ლ ი

რწმენაც ხომ ჭეშმარიტი გქონიათ და საბუთებიც ღირსეული გიპოვიათ! გამოდის, თქვენი ხატი არითმეტიკაა. ეჰ, რას არ მოჩმახავს კაცის ტვინი. მეტსაც ვიტყვი. რაც უფრო მეტს სწავლობს ადამიანი, მით უფრო გაუწვრთნელი რჩება ბოლოს. მე, ბატონო ჩემო, მაღლი გამჩენს, თქვენსავით განსწავლული არა ვარ და ვერც ვერავინ დაიკვებნის, რომ ოდესმე რაიმე ესწავლებინოს ჩემთვის, მაგრამ ჩემი ერთი ციციქნა ტვინით და პაწია სალი გონებით უფრო ბევრ რამეში ვერკვევი, ვიდრე ყველა წიგნი ერთად აღებული და ისიც კარგად მომეხსენება, რომ ეს სამყარო, რომელსაც ჩვენს გარშემო ვხედავთ, სოკოსავით ერთ ღამეში არ გაჩენილა. ერთი ესეც მიბრძანეთ, ვინ შექმნა ეს ხეები, ეს კლდეები, ეს დედამიწა და ეს ცა, თავზე რომ დაგვეუბრებს? ან შეიძლება ყოველივე ეს არაფრისგან იშვა? აი, თუნდაც თქვენ, თქვენც ხომ თავისთავად არ მოსულხართ ამქვეყნად? ამისათვის ჯერ მამათქვენს დედათქვენი უნდა დაეორსულებინა, ასე არ არის? განა არ გაოცებთ ის, თუ როგორი სიმარჯვითაა ერთმანეთს მორგებული ყველა ის პატარა ხრახნი თუ ჭანჭიკი, რომელთაგანაც ადამიანის სხეული შედგება? ძარღვები, ძვლები, ვენები, არტერიები, მერე კიდევ აი ის... ჰო, ფილტვები, გული, ღვიძლი და რამდენი კიდევ სხვა... ღმერთო ჩემო, სიტყვას რატომ არ მაწყვეტინებთ? ასე კამათი არ შემიძლია. თქვენ, მგონი, თავს იკატუნებთ, განგებ ღუმხართ და ამდენი ლაპარაკის ნებას რომ მაძლევთ, აქაც ეშმაკურ ფანდს მიგებთ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

ველი, როდის დაასრულებ მსჯელობას.

ს გან ა რ ე ლ ი

მე კი ასე ვიტყვოდი: რაც არ უნდა თქვათ, ადამიანში მაინც არის რაღაც არაჩვეულებრივი, რაღაც ისეთი, რასაც ვერც ერთი ბრძენი ვერ ახსნის. საოცარი არ არის, რომ ახლა აი აქ ვდგავარ, ხოლო თავში კი უამრავი აზრი მომდის ერთდროულად და ჩემს სხეულსაც რასაც მინდა, იმას ვუბრძანებ მოვისურვებ თუ არა ხელი ხელს შემოვკრა, ზეცისკენ აღვაპყრო

თვალი, თავი დავხარო, ფეხები დავაბაკუნო, წავიდე მარჯვნივ ან მარცხნივ, წინ ან უკან, დავტრიალდე (ტრიალებს და ეცემა)...

დონ უუანი

აი, შენმა მსჯელობამაც ცხვირი წაიტეხა.

სგანარელი

ეშმაკმა დალაზროს! მეც კარგი ბრიყვი ვარ, თქვენ რომ გეკამათებითი რაც გსურთ, ის იწამეთ — მე რა მენადვლება, მარადიული სატანჯველით თუ დაისჯებით.

დონ უუანი

ვგონებ, კამათში ისე გავერთეთ, რომ მხარი გვეცვალა. ერთი აი იმ კაცს დაუძახე და გზა ჰკითხე.

გამოსვლა მეორე

დონ უუანი, სგანარელი, მათხოვარი

სგანარელი

ეი, შენი მეგობარო ქალაქის გზას ხომ ვერ მიგვასწაველი?

მათხოვარი

ამ გზას გაჰყევით, ბატონებო, და ტყიდან რომ გახვალთ, მარჯვნივ გაუხვიეთ. მაგრამ გაფრთხილდით: ამ ბოლო დროს ტყეს ყაჩაღები შემოეჩვივნენ.

დონ უუანი

მიდლობელი ვარ, მეგობარო.

მათხოვარი

ეგებ მოწყალება გაიღოთ რამე, ჩემო ბატონო?

დონ უუანი

აი თურმე რა ყოფილა! გამოდის, რჩევა უნგაროდ არ მოგიცია.

მათხოვარი

ერთი საწყალი კაცი ვარ. ათი წელია მართოსულივით ვცხოვრობ ამ ტყეში. თუკი რამეს გამოიმეტებთ, თქვენზე ვილოცებ.

დონ ქუანი

უმჯობესია ზეცას სთხოვო, ტანსაცმელი გიბოძოს. სხვისთვის კი თავს ნუ აიტყივებ.

სგანარელი

შენ, ძმაო, ჩემი ბატონი არ გცნობია. მას მხოლოდ ის სწამს ამქვეყნად, რომ ორჯერ ორი ოთხია, ორჯერ ოთხი კი — რვა.

დონ ქუანი

ამ ტყეში რას დაეძებ?

მათხოვარი

მთელი დღე იმ კეთილ ხალხზე ვლოცულობ, ვისი წყალობითაც ლუკმაპურს ვშოულობ.

დონ ქუანი

დალხინებული ცხოვრება გქონია და ეგ არის.

მათხოვარი

აბა, ეს რა სათქმელია? უსაშველო ჭირში ვარ ჩავარდნილი, შიმშილით ლამისაა სული გამძვრეს.

დონ ქუანი

აბა, რას ამბობ! ვინც მთელ დღეებს ლოცვა-ვედრებაში ატარებს, იმას ღმერთი არას გაუჭირვებს.

მათხოვარი

მგრწმუნეთ, ხშირად ერთი ლუკმა პურიც კი მენატრება...

დონ ქუანი

საკვირველია, ღმერთმანის გამოდის, ამაოდ შვრები. რადგან

ასეა, აჰა, ლუიღორი დაიჭი, მაგრამ სანაცვლოდ ღმერთს შეუ-
კურთხე.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

მომიტევეთ, ბატონო, გსურთ რომ შეეცოდო?

დ ო ნ ე უ ა ნ ი

შენი საქმისა შენ იცი... აგერ შენ და აგერ ოქრო, ზეცას
თუ შერისხავ, ფულიც შენია.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

ბატონო ჩემო...

დ ო ნ ე უ ა ნ ი

სხვაგვარად ვერ მოვრიგდებით.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

შენც მიდი და ერთი კარგად შეახურე ღმერთი... არაფერი მო-
გივა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

აჰა, გამომართვი! გამომართვი-მეთქი, მხოლოდ იცოდე, პირობა
პირობაა.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

არა, ბატონო ჩემო, ამას ვერ ვიზამ. მიჯობს, ისევე შიმშილით
გამძვრეს სული.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

აიღე, მებრალეები და იმიტომ გაძლევე. ეს რაღა ამბავია? ერთი
იქით გაიხედეთ. ერთ კაცს სამი ესხმის თავს. უთანასწორო
ბრძოლაა. არა, ასეთ სიმდაბლეს ვერ ავიტან. (დაშნამომარჯვე-
ბული გარბის მებრძოლებისაკენ.)

გამოსვლა მისამე

სგანარელი მარტოა.

სგანარელი

გულფიცხი კაცია ჩემი ბატონი — თვითონვე ეტანება ხიფათს. თუმცა მისმა ჩარევამ საქმეს უშველა. ორმა სამი უკუაქცია.

გამოსვლა მეოთხე

დონ ჟუანი, დონ კარლოსი, სგანარელი

დონ კარლოსი (დაშნას ქარქაშში აგებს).

ყაჩაღები თქვენი მკლავის ძალას შეუშინდნენ. ნება მიბოძეთ, მოწყალეო ხელმწიფევე, მადლობა მოგახსენოთ და...

დონ ჟუანი

დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილზე თქვენც ასე მოიქცეოდით. თქვენი ღირსება ხომ სწორედ ორთაბრძოლებში იწრთობა, ხოლო ამ სალახანებმა ისეთი სიმდაბლე ჩაიდინეს, რომ განზე გადგომა მათ მხარდაჭერას ნიშნავდა უცილობლად. ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ მოგიხელთეს?

დონ კარლოსი

ჩემს ძმასა და მხლებლებს ჩამოვრჩი. გზის ძებნაში კი ამათ გადავეყარე. ცხენი მომიკლეს და თქვენ რომ არა, მეც მის გზას გამაყოლებდნენ.

დონ ჟუანი

ქალაქისკენა გაქვთ გზა?

დონ კარლოსი

ღიახ, გზა იქით მაქვს, მაგრამ ქალაქში არ შევივლი. მე და ჩემი ძმა იძულებულნი ვართ ქალაქის შემოგარენში ვიხეტიალოთ. ერთი მეტად საჩოთირო საქმე გვაქვს. ასეთი საქმეები

აზნაურს ხშირად აიძულებს საკუთარი თავი და მთელი ოჯახიც კი მსხვერპლად შესწიროს ღირსების მკაცრ მოთხოვნებს. შედეგი კი მუდამ სავალალოა. თუ სიცოცხლე შეინარჩუნე, სამშობლოდან მაინც უნდა გადაიხვეწო. ამიტომაცაა, რომ აზნაურის ყოფა არცთუ ისე შესაშურია. კეთილდღეობასა და სიმშვიდეს ვერც საკუთარი წინდახედულობა და ვერც კეთილშობილება ვერ შეგძენს. ღირსების კანონები სხვისი აღვირახსნილობის მსხვერპლად გვაქცევს ხოლმე. ჩვენი სიცოცხლეს, სიმშვიდეს და სიმდიდრეს ვიღაც ვიგინდარას ხუმტურზეა ხშირად დამოკიდებული. თუ მოეპრიანა, ისეთ შეურაცხყოფას მოგაყენებს, რომ კეთილშობილ აღამიანს დაღუპვამდე მიგიყვანს.

დონ ქუანი

ჩვენ ერთი უპირატესობა მაინცა გვაქვს. თუკი ვინმემ შეურაცხყოფა მოგვაყენა, ძალგვიძს სამაგიერო მივუზღოთ და თუ გული გვატყინებს, არც ჩვენ დავრჩებით ვალში. ნუ დამძრახავთ და ეგებ ისიც მიბრძანოთ, რა შეგემთხვათ?

დონ კარლოსი

აბა, დამალვას რაღა აზრი აქვს? თუკი შეურაცხყოფა მოგაყენებს, შურისძიებაზე უნდა იფიქრო და დასამალიც არაფერი გაქვს. ამრიგად, ჩემო ბატონო, თვითვე განსაჯეთ, რა დღეში ჩავცვივდით: ჩვენი და აცდუნეს და დედათა მონასტრიდან გაიტაცეს. მოძალადე ვინმე დონ ქუან ტენორიო განსაჯეთ, დონ ლუის ტენორიოს ვაჟი. აი, უკვე რამდენიმე დღეა დავეძებთ დამნაშავეს. ამ დილით კი აქ ჩავუსაფრდით. ერთმა მისმა მსახურმა გვამცნო, ოთხი თუ ხუთი ცხენოსნის თანხლებით ამ გზაზე გამოივლისო. მაგრამ ამაოდ დავშვერით. დონ ქუანის კვალსაც ვერ მივაგენით.

დონ ქუანი

იცნობთ დონ ქუანს?

დონ კარლოსი

არ მაქვს პატივი. არც არასოდეს მინახავს, მხოლოდ ძმისგან

გამიგია. მაგრამ ცუდი სახელი აქვს დავარდნილი და მისი ცხოვრებაც...

დონ ქუანი

მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ სიტყვა უნდა გაგაწყვეტინოთ. დონ ქუანს საკმაოდ კარგად ვიცნობ და მის აუგად ხსენებას გულგრილად ვერ მოვისმენ.

დონ კარლოსი

თქვენი ღიდი ხათრი მაქვს. სიტყვასაც არ დავძრავ. ეს-ეს არის სიკვდილისგან მიხსენით. მეც რალა დამრჩენია, უნდა დაგემორჩილოთ. თქვენ დონ ქუანს იცნობთ, მე კი მასზე ცუდის მეტი რა მეთქმის? მაგრამ იმედი მაქვს ეს სიახლოვეც არ მოგცემთ ნებას მისი საქციელი გაამართლოთ, ან ჩვენი შურისძიების სურვილი დაძრახოთ.

დონ ქუანი

პირიქით, მზად ვარ გითანაგრძნოთ და ზედმეტი დავიდარაბა აგაცილოთ. დონ ქუანის მეგობარი გახლავართ, ეს მართალია, მაგრამ აზნაურის ღირსების ხელყოფასაც ვერ მოვითმენ. მერწმუნეთ, ვაიძულებ დაგაკმაყოფილოთ.

დონ კარლოსი

ამას როგორღა შეძლებს?

დონ ქუანი

ისურვეთ და ისიც ყოველივეს აღასრულებს. ხოლო მის ძებნაში დრო რომ არ დაკარგოთ, დღე დამითქვით და სიტყვას გაძლევთ, სადაც ინებებთ, იქ მოგვკრით.

დონ კარლოსი

ჩემო ბატონო, თქვენი სიტყვები მალამოდ ეცხება შეურაცხყოფილ გულს. მაგრამ ახლა, როცა ესოდენ დავალებული ვარ თქვენგან, იმის გაფიქრებაც კი მიკვირს, რომ ჩემი მოწინააღმდეგის მოწმედ უნდა გიხილოთ.

დონ ქუანი

რა გაეწყობა. მეგობრის ერთგულება მავალდებულებს მუდამ მის გვერდით ვიყო და თუკი დონ ქუანს ბრძოლა მოუხდა, მეც უნდა ვიძრო დაშნა. დანიშნეთ ღრო და ადგილი და დონ ქუანიც გეახლებათ. ამის თავდები მე ვარ.

დონ კარლოსი

ოი რარიგ უსამართლოდ მექცევა ბედი! ჩემი მოსისხლე მტრის მეგობრისგან სიცოცხლით ვარ დავალებული!

გამოსვლა იახუთე

დონ ალონსი, დონ კარლოსი, დონ ქუანი, სგანარელი

დონ ალონსი (მიმართავს მხლებლებს, ვერ ამჩნევს დონ კარლოსს და დონ ქუანს).

ცხენები დაარწყულეთ და უკან მომყევით. ცოტას ფეხით გავივლი. (ამჩნევს მოსულთ.) მაღალო ღმერთო! ამას რას ვხედავი? შეუძლებელია ნუთუ ეს თქვენ ხართ? ჩემი ძმა და ჩვენი მოსისხლე მტერი ერთად?

დონ კარლოსი

მოსისხლე მტერი?

დონ ქუანი (ხელს დაავლებს დაშნის ვადას).

ღიახ, არ შემცდარხართ, დონ ქუანი გახლავართ. თუმც კი ძალები უთანაბროა, სახელის დამალვას მაინც არ ვაპირებ.

დონ ალონსი (დაშნას იშიშვლებს).

შენი აღსასრულიც მოვიდა, მოლალატევ... (სგანარელი იმალება.)

დონ კარლოსი

შესდექ, ძმაო! ამ კაცმა სიცოცხლე მაჩუქა. რომ არ მომშველებოდა, ყაჩაღები წესს ამიგებდნენ.

დონ ალონსი

ნუთუ ამან უნდა აგვადებინოს ხელი განზრახვაზე! მტრის მიერ გაწეული სამსახური არაფრით გვავალდებულებს და ვერც იმ შეურაცხყოფას გადაწონის, მან რომ მოგვაყენა. თქვენი მადლიერება სასაცილოდაც მეჩვენება და თუკი საკუთარი ღირსება თვით სიცოცხლეზე ძვირად გვიღირს, მაშ, არც არაფრით ვყოფილვართ დავალბებული კაცისაგან, ვინც ჩვენი სიცოცხლე კი იხსნა, მაგრამ ღირსება ხელყო.

დონ კარლოსი

ჩემო ძმაო, ამ სხვაობას მეც კარგად ვხედავ და გარწმუნებ, მადლიერების გრძნობა ტკივილს ვერ დამავიწყებს. მაგრამ, ნება მომეცი, ვალი დაეუბრუნო დონ ჟუანს და სიცოცხლის საფასურად, რომელიც მისი წყალობით შევინარჩუნე, რამდენიმე დღე მეც ვაჩუქო, რომ თავისი კეთილი საქმის ნაყოფით დატკბეს.

დონ ალონსი

დახანება ჩვენს საქმეს ავნებს. მერე კიდევ ვინ იცის, როდის მოვიხელთებთ დონ ჟუანს? დღეს თვით ზეცამ გვიბოძა იგი და ჩვენც ნულარ ვყოყმანობთ. როცა პატივი და ღირსება ესოდენ უღმობლადაა შელახული, თავის შეკავება ვერაფერი ვაყაყობაა და თუ თქვენ ამ საქმისკენ გული არ მიგიწევთ, მე დამითმეთ პატივი საკუთარი ხელით საიქიოს გავისტუმრო ჩვენი მტერი.

დონ კარლოსი

გემუღარებით, ძმაო...

დონ ალონსი

ნუ ირჩებით... დონ ჟუანი უნდა მოკვდეს.

დონ კარლოსი

შეჩერდით-მეთქი. ბრძოლის ნებას არ მოგცემთ. ზეცას ვფიცავ, მხარში ამოვუდგები და ყოველ მომხდურს შევებრძოლები. დე, სიცოცხლე, რომელიც დაიხსნა, ფარად იხმაროს. თუ დონ ჟუანის სიკვდილს ისურვებთ, ჯერ მე უნდა მომკლათ.

დონ ალონსო

ეს რა მესმის? ჩვენს მტერს უამხანაგდებით და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას აპირებთ? მე ბრაზი მახრჩობს, თქვენ კი ლამისაა გული აგიჩვილდეთ.

დონ კარლოსი

გირჩევთ ზომიერება დავიცვათ ჩვენი ვალის ასრულებაში და შურისძიების სურვილს სიმშაგეს ნუ მივთავაზებთ. ვიყოთ დიდსულლოვანნი და თავი დავიოკოთ. ამით ღირსებასაც შევიწინააღმდეგებთ, რომელიც გონების კარნახს უფრო ეთანხმება, ვინემ ბრმა რისხვას. არ მსურს მტრის დასაყვედრი მქონდეს რამე და ამიტომაც პირველ რიგში ვალი უნდა გავისტუმრო. მერწმუნეთ, აჩქარებით ჩვენს მიზანსაც მივაყენებთ ზიანს. რაც დრო გავა, იგი უფრო სამართლიანი გამოჩნდება ქვეყნის თვალში და ვერც ვერვინ დაგვძრახავს!

დონ ალონსო

რაღაც ვალდებულებებს იგონებთ და ამით საკუთარი დაღატაკის გამართლებას ცდილობთ.

დონ კარლოსი

ო, არა, ძმაო, ამაოდ ცხარობთ. თუკი ჩემდაუნებურად რაიმე ცოდვას ჩავდივარ, მე თვითვე გამოვისყიდო და შელახული ღირსების აღდგენასაც ვიღებ თავს. კარგად მესმის, რაც შევალე და შურისძიების ერთი დღით გადატანაც კი, რომელსაც კეთილშობილება მაიძულებს, კიდევ მეტად აღანთებს ჩემს სურვილს. დონ ჟუან, მოწმე ბრძანდებით, რომ სიკეთეს სიკეთითვე ვიხდით. გარწმუნებთ, სასჯელსაც ასეთივე სიზუსტით მოგიზომავთ. არც იმასა გთხოვთ, ახლავე აგვიხსნათ თქვენი ქვეყნის მიზეზები. დროს გაძლევთ, დაფიქრდით და გადაწყვეტილება მიიღეთ! კარგად უწყით საკუთარი დანაშაული და პასუხიც თვითვე გამოძებნეთ. ჩვენი დავის გადაჭრა მშვიდობიანადაც შეიძლება და სისხლისღვრითაც; რომელიც გსურთ, ის აირჩიეთ. ერთი კი გახსოვდეთ, დონ ჟუანს შეგახვედრებთო — შემპირდით. ამას ნუ დაივიწყებთ და ისიც იცოდეთ, რომ ამიერიდან მხოლოდ საკუთარი ღირსების დაცვა მაწევს ვალად.

დონ ქუანი

მე არაფერი მითხოვია თქვენთვის და მოცემულ სიტყვასაც ატ
გაძვირალ.

დონ კარლოსი

წავდეთ, ძმაო. წამიერი გულმოწყალება აროდეს ყოფილა სი-
სუსტის ნიშანი.

გამოსვლა მუხრანსა

დონ ქუანი, სგანარელი

დონ ქუანი

ეი, სგანარელ!

სგანარელი (გამოდის სამალავიდან).

რას მიბრძანებთ?

დონ ქუანი

რაო, გაიძვერავი მე აქ ერთ დავიდარაბაში ვარ, შენ კი იმა-
ლები?

სგანარელი

მომიტევეთ, ბატონო ჩემო, აქვე ვიყავი. იცით, ეს კაბა საფა-
ლართო ზეთივითაა, რაღა ეს ჩაგიცვამს და რაღა წამალი
დაგილევია.

დონ ქუანი

თავხედო! სხვა ვერაფერი მოიგონე თავის გასამართლებლად?
თუ იცი, ვინ გადავარჩინე?

სგანარელი

აბა, საიდან უნდა ვიცოდე?

დონ ქუანი

დონა ელვირას ძმა.

ს განარელი
ძმა?

დონ ქუანი

პატიოსანი ყმაწვილი ჩანს. თავიც ღირსეულად ეჭირა და ვნანობ, რომ ჩემი მტერია.

ს განარელი

ხომ შეგიძლიათ მშვიდობიანად მოურიგდეთ?

დონ ქუანი

ადვილი საქმეა, მაგრამ დონა ელვირასკენ გული აღარ მიმიწევს და არც ვალდებულების აღება მეპიტნავენა. შენც კარგად იცი, რომ სიყვარულში თავისუფლებას ვაფასებ ყველაზე მეტად. რამდენჯერ მითქვამს და ახლაც გიმეორებ, დაბადებიდანვე დამყვა ჩვეულებად მხოლოდ იმას მივეცე სულითა და ხორციით, ვინც ამ წუთს მიტაცებს. ჩემი გული ყველა ლამაზ ქალს ეკუთვნის. ყოველ მათგანს ძალუძს დაიპყროს იგი და სანამდეც კი შეძლებს, იქამდე ებატონოს. მაგრამ შენ ეს მითხარი, ის რა შენობაა, ასე ლამაზად რომ წამომართულა ხეებს შორის?

ს განარელი

განა არ იცით?

დონ ქუანი

წარმოდგენაც არა მაქვს.

ს განარელი

რას ამბობთ? ეგ სწორედ ის აკლდამაა, კომანდორმა რომ ააგებინა ცოტა ხნით ადრე, სანამ საიქიოს გაისტუმრებდით.

დონ ქუანი

გამახსენდა! მაგრამ აქ თუ იყო, ეს კი არ ვიცოდი. რას არ ჰყვებიან ამ შენობასა და კომანდორის ქანდაკებაზე! მინდა საეკუთარი თვალით ვიხილო!

ს განარელი
ნუ ინებებთ, ბატონო.

დონ უუანი
რატომ?

ს განარელი
წესი არ არის, შენივე ხელით მოკლულ კაცს ჭიჭურ თვალეში
უცქირო.

დონ უუანი
პირიქით, მინდა პატივი მივაგო კომანდორს და თუ ისიც თავა-
ზიანი აღამიანია, კიდეც უნდა გამიგოს.
(აკლდამა იღება; სიღრმეში მოჩანს კომანდორის ქანდაკება.)

ს განარელი
ღმერთო ჩემო, რა მშვენიერებაა! რა ლამაზი ქანდაკებაა! რა
მარმარილოა! რა სვეტებია! რა სილამაზე! ჰა, რას იტყვით?

დონ უუანი
ამაზე მეტი ამპარტავნობა გაგიგია? საკვირველია, ღმერთმანი,
მიცვალებულმა სიცოცხლეში ასე თუ ისე მოკრძალებული
სახლი იქმარა, საიქიოს გადაბარგებულმა კი ესოდენ ბრწყინ-
ვალე სრა-სასახლე ისურვა, რომელიც არც არაფრად არგია.

ს განარელი
აი კომანდორის ქანდაკებაც.

დონ უუანი
ეშმაკმა დალახვროს! რომელი იმპერატორის სამოსი ძალზედ
უხდება.

ს განარელი
პატიოსნებას ვფიცავ, ზორბა ვინმეა. თითქოს ცოცხალია და
სადაცაა დაილაპარაკებს კიდეც. ისეთი თვალით გვიყურებს,
მარტო რომ ვიყო, შიშით სული გამძვრებოდა. მგონი არცთუ
ისე ხალისით გვღებულობს.

დონ ქუანი

თუ ასეა, კომანდორი ცდება და ჩემს პატივისცემას აბუჯდ
იგდებს. ერთი ჰკითხე, ვახშმად ხომ არ მეწვევა?

სგანარელი

აბა, ახლა თქვენ ვახშამს რა თავში იხლის?

დონ ქუანი

ჰკითხე-მეთქი.

სგანარელი

დამცინით? გიჟი ხომ არა ვარ, ქანდაკებას რომ ველაპარაკო.

დონ ქუანი

რასაც გიბრძანებ, ის გააკეთე.

სგანარელი

უცნაურია, ღმერთმანის სენიორ კომანდორო... სასაცილო კია,
მაგრამ რა ვქნა, ბატონი მადალეზს... სენიორ კომანდორო, ჩემი
პატრონი, ბატონი დონ ქუანი გთხოვთ პატივი დასდოთ და
ვახშმად ეწვიოთ. (ქანდაკება თავს ხრის.) ოჰ!

დონ ქუანი

რა მოხდა? რა მოგივიდა? ხმა ამოიღე!

სგანარელი (იმეორებს ქანდაკების მოძრაობას და მასავით
ხრის თავს).

ქანდაკებამ...

დონ ქუანი

ჰო, რაო? რას ამბობ?

სგანარელი

იმას, რომ ქანდაკებამ...

დონ ქუანი

რა დაიჩემე? ამოღერღე, თორემ აქვე გაგათავე.

ს განარელი
ქანდაკებამ თავი დამიკრა.

დონ ქუანი
ცშმაქსაც წაუღიხარ.

ს განარელი
მერწმუნეთ, თავი დამიკრა. ნანდვილად ასეთ! ახლაც თვალწინ.
მიღვას. თუ გნებავთ, თავად ელაპარაკეთ. შეიძლება...

დონ ქუანი
ერთი აქეთ მოიწი, ცრუპენტელავ. ახლავე ღაკიქერ ტყუილში.
აი, მაშინ კი მიფრთხილდი. ხომ არ ისურვებს ბატონი კომან-
დორი ჩემთან ერთად ივანშმოს? (ქანდაკება ხელმეორედ ზრის
თავს.)

ს განარელი
მადლობა ღმერთს, გადავრჩი. ახლა რაღას იტყვით, ბატონო?

დონ ქუანი
წავიდეთ.

ს განარელი (თავისთვის)
აი ესაა თავისუფლად მოაზროვნე კაცი. არაფერს იწამებს.

მეოთხე მთავარი

სენა წარმოადგენს დონ ქუანის ბინას

გამოსვლა კირველი

დონ ქუანი, სგანარელი

დონ ქუანი
რაც იყო, იყო, ამაზე ნულარ ვიფიქრებთ. დიდი არაფერი მომხ-
დარა. შეიძლება ბნელოდა და ვერ გავარჩიეთ, ან იქნებ რაღაც
ბურუსი ჩაგვიდგა ტვინში და თვალმაც გვიმტყუნა.

46. ფრანგული ღრამა.

ს განარელი

არა, ბატონო, ნუ ცდილობთ იმის დაფარვას, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ. გარწმუნებთ, ნამდვილად თავი დაგვიყრა. ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენი საქციელით აღშფოთებულმა ზეცამ ეს სასწაული ჭკუის სასწაელებლად მოგივლინათ. ამიტომაცაა, რომ...

დონ ქუანი

მისმინე, სგანარელ, თუ კვლავაც მომაბეზრებ თავს შენი სულელური ქადაგებით და ერთი სიტყვა მაინც დაგცდება, ვუბრძანებ ხელ-ფეხი გაგიკრან და ხარის ძარღვით აგიჭრელებ ზურგს. ხომ კარგად გაიგე?

ს განარელი

ძალიან კარგად, ბატონო, ძალიან კარგად. ანდა რა არის აქ გაუგებარი? ყველაფერი დღესავით ნათელია. აი ეს მომწონს თქვენი — მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ გიყვართ. გასაოცარი სიზუსტით ბრძანებთ სათქმელს.

დონ ქუანი

მაშ, თუ ასეა, უბრძანე ვახშამი გააწყონ და რაც შეიძლება სწრაფად. ეჭვი სკამი მომართვით.

გამოსვლა მეორე

დონ ქუანი, ლა ვიოლეტი, სგანარელი

ლა ვიოლეტი

ბატონო, თქვენი ვაჭარი, ბატონი დიძანში გეახლათ. თქვენთან საუბარს ითხოვს.

ს განარელი

ესეც ასე, მევახშის ქათინაურებილა გვაკლდა და აჰა ისიც! რალა ახლა მოგვადგა ფულის სათხოვნელად! შენც აგელო და გეთქვა, ბატონი შინ არ გახლავთ-თქო.

ლ ა ე ი ო ლ ე ტ ი

მეც ამას არ ჩავჩიჩინებ. ყურსაც არ იბერტყავს. ზის და იც-
დის.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ვგრე უქნია, ლოდინში ამოხდომია სული.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი

არა, არა, სთხოვე. მევალებებისგან მალვა ვერაფერი ვაქცა-
ბაა. სახრავი ძვალი მაინც უნდა მიუგდო. ერთი ისეთი საი-
ღუმლო ვიცი, მერწმუნეთ, გახვრეტილ გროშსაც ვერ მიიღებს
და მაინც კმაყოფილი დარჩება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

დ ო ნ ყ უ ა ნ ი, ბ ა ტ ო ნ ი დ ი მ ა ნ შ ი, ს გ ა ნ ა რ ე ლ ი, მ ს ა ხ უ რ ნ ი

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (მოწიწებით ესალმება ვაჟარს).

ო, მობრძანდით, ბატონო დიმანშ. მოხარული ვარ თქვენი ხილ-
ვისა. ვერ მიპატიებია ჩემი მსახურებისათვის, რომ აქამდე გა-
ლოდინეს. ვუბრძანე არავინ შემოეშვათ ჩემთან, მაგრამ ეს
ბრძანება თქვენ არ გეხებათ. ჩემი სახლის კარი თქვენთვის
მუდამ ღიაა.

ბ - ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ბატონო ჩემო, დიდად დავალებული ვარ თქვენგან.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი (მიუბრუნდება მსახურებს).

ეშმაკმა დალახვროს! დამაცადეთ, სალახანებო, გაჩვენებთ, რო-
გორ უნდა აცდევინოთ ბატონ დიმანშს წინკარში. მე თქვევ
გასწავლით ხალხის გარჩევას.

ბ - ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ნუ ბრაზობთ, ჩემო ბატონო. ისეთი არც არაფერი მომხდარა.

დ ო ნ ყ უ ა ნ ი

როგორ? ჩემს საუკეთესო მეგობარს ცხვირწინ კარი მიუხურეს,
თქვენ კი ამბობთ, არაფერი მომხდარაო?

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

თქვენს მონა-მორჩილად შიგულეთ, ბატონო. გეახელით, რა...ა...

დ ო ნ ე უ ა ნ ი

აბა, გაინძერით. სავარძელი მოართვით სტუმარს.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ნუ წუნდებით, ასეც კარგად ვარ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

არა, არა, პირისპირ დამიჯექით.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

აუცილებელი არ არის, ჩემო ბატონო. ფეხზე ვიდგები.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

ეგ დასაკეცი სკამი უკან წაიღეთ და სავარძელი მოართვით.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

მეტისმეტი პატივია, ჩემო ბატონო.

დ ო ნ ე უ ა ნ ი

სრულებითაც არა. ბევრით ვარ თქვენგან დავალებული და ამიტომაც, როგორც ჩემს სწორს, ისე მსურს მოგექცეთ.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ბატონო ჩემო...

დ ო ნ ე უ ა ნ ი

იი აქ დაბრძანდით.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ნუ წუნდებით, თავს არ მოგაწყენთ. მე...

დ ო ნ ე უ ა ნ ი

გთხოვთ დაბრძანდეთ.

ბ-ნი დიმიანში

გმადლობთ. ასეც არა მიშავს რა. გეახლეთ, რომ...

დონ ქუანი

დაბრძანდით, თორემ არ მოგისმენთ.

ბ-ნი დიმიანში

თქვენი ნებაა. მე...

დონ ქუანი

ემშაკმა დალახვროს, ძალიან კარგად გამოიყურებით!

ბ-ნი დიმიანში.

მზად ვარ გემსახუროთ. გეახელით...

დონ ქუანი

შესაშური ჯანმრთელობა გაქვთ, ბატონო დიმიანში. ალუბლის-
ფერი ტუჩები, ლაქლაქა ლოყები და ბრღვიალა თვალები.

ბ-ნი დიმიანში

იცით, მე მინდა...

დონ ქუანი

თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდება?

ბ-ნი დიმიანში

ღვთის წყალობით არა უშავს რა.

დონ ქუანი

ერთობ გულმოწყალე მანდილოსანია.

ბ-ნი დიმიანში

მუდამ მზადაა გემსახუროთ. გეახელით რათა...

დონ ქუანი

თქვენი შეილიშვილი კლოდინი რაღას იქმს?

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
აბა, იმას რა უჭირს?!

დ ო ნ ე უ ა ნ ი
მშვენიერი გოგონაა! იცით, ძალიან მიყვარს.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
დიდი პატივია, ჩემო ბატონო. მე... თქვენ...

დ ო ნ ე უ ა ნ ი
პატარა კოლენი ისევ ძველებურად აბრაახუნებს თავის დოლს?

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
ყურები გამოგვიჭედა, ჩემო ბატონო. მე...

დ ო ნ ე უ ა ნ ი
თქვენს ლეკვს ბრიუსკე ჰქვია, არა? რაო, ისევ ისე უღრენს
და კოჭებზე კბენს სტუმრებს?

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
კიდევ უარესად. ველარაფერს გუხერხებთ, ჩემო ბატონო.

დ ო ნ ე უ ა ნ ი
ნუ გიკვირთ. ძალიან მიყვარხართ და ამიტომაცაა რომ ასე
წვრილ-წვრილად გამოვიკითხე თქვენი ამბავი.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
დიდად დავალებული გახლავართ. მე...

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ხელს უწვდის).
ხელი მიბოძეთ, ბატონო დიმანშ. ნება მომეცით მეგობრად გი-
გულოთ.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი
ბატონო ჩემო, დიდ პატივს მდებთ, თქვენს მონა-მორჩილად გი-
ჩამთვალეთ.

დონ ქუანი

მეც მთელი გულით მიყვარხართ.

ბ-ნი დიმანში

არ ვიცი რა გიპასუხოთ. მე...

დონ ქუანი

თქვენთვის არაფერს დავიშურებ.

ბ-ნი დიმანში

არ ვარ ამდენი სიკეთის ღირსი, ჩემო ბატონო.

დონ ქუანი

მერწმუნეთ, უანგარო საყვარული მალაპარაკებს.

ბ-ნი დიმანში

არც ვიცი, რით დავიმსახურე ესოდენი წყალობა. მაგრამ, ჩემო ბატონო...

დონ ქუანი

ჰო, მართლა, ბატონო დიმანში, ერთად ხომ არ გვეყავართ? ნუ მომერიდებით.

ბ-ნი დიმანში

სამწუხაროდ, უკან უნდა გავბრუნდე. მე...

დონ ქუანი (დგება)

ეი, თქვენ, მაშხალები მოიტანეთ და შეიარაღებული მცველები გააყოლეთ ბატონ დიმანშის.

ბ-ნი დიმანში (წამოდგება)

ღვთის გულისთვის, ნუ წუხდებით. მარტოც კარგად გავიგნებ გზას. მაგრამ... (სგანარელს სწრაფად გააქვს სკამები.)

დონ ქუანი

რას ბრძანებთ? მინდა გულმშვიდად ვიყო და ამიტომაც ვბრძა-

ნე სახლამდე მიგაცილონ. გთხოვთ, თქვენს მონა-მორჩილად და მეველედ მიგულოთ.

ბ-ნი დიმანში
ღიას, სწორედ რომ...

დონ ქუანი
არაფრის მალვა არ მიყვარს და ამასაც საჭაროდ ვაცხადებ.

ბ-ნი დიმანში
თუკი იმასაც...

დონ ქუანი
ხომ არ გამოგყვეთ?

ბ-ნი დიმანში
ხუმრობთ, ჩემო ბატონო? იცით...

დონ ქუანი
ნება მიბოძეთ, მოგეხვიოთ, გეთაყვა. დაბეჭითებით გთხოვთ, თქვენს ერთგულ მსახურად მიგულოთ და ისიც გახსოვდეთ, რომ თქვენთვის არაფერს დავინანებ. (გადის.)

სგანარელი
მართალი თუ გნებავთ, ჩემს ბატონს ძალიან უყვარხართ.

ბ-ნი დიმანში
სწორი ბრძანებაა. ისე თავაზიანად მექცევა და იმდენ ქათინაურს მეუბნება, რომ ფულის სათხოვნად ენა არ მიტრიალდება.

სგანარელი
გარწმუნებთ, ჩემი ბატონის ჯალაბობაც თავგადადებულია თქვენთვის. უბედურებამ თუ გიწიათ, ან თუ ვინმემ ჯოხით გცემათ, აი მაშინ ნახეთ რა რიგ...

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ექვიც არ მეპარება, სგანარელ. ერთსა გიხოვთ. ეგებ ფულის თაობაზე სიტყვა შემაწიოთ თქვენს ბატონთან.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ამაზე ნუ ფიქრობთ. ულაპარაკოდ გაგისტუმრებთ ვალს.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

თქვენს ვალსაც ნუ დაივიწყებთ, სგანარელ.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ასეთ წვრილმაზე ლაპარაკიც არ ღირს.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

როგორ? მე ხომ...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

მახსოვს, მახსოვს, ბატონო დიმანშ.

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

კი, მაგრამ...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ახლავე აგიხსნით, ბატონო დიმანშ...

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

ჩემი ფული...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (ხელს გამოსდებს დიმანშს).

სუმრობთ, არა?

ბ-ნ ი დ ი მ ა ნ შ ი

მე მინდოდა...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (ექაჩება).

აქეთ მობრძანდით.

ბ-ნი დ ი მ ა ნ შ ი
იმას ვამბობდი, რომ...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (უბიძგებს).
სალაპარაკოდ არც ღირს.

ბ-ნი დ ი მ ა ნ შ ი
კი, მაგრამ...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (ხელს ჰკრავს).
ერთი თქვენც, მოგცლიათ.

ბ-ნი დ ი მ ა ნ შ ი
მე...

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი (გარეთ აგდებს დიმანშს).
მიბრძანდით, მიბრძანდით.

გამოსვლა მეოთხე

დონ ლუისი, დონ ეუანი, ლა ვიოლეტი, სგანარელი

ლ ა ვ ი ო ლ ე ტ ი
მამათქვენი გეახლათ, ბატონო.

დ ო ნ ე უ ა ნ ი
აი, ახლა კი გავები, მამაჩემის მოსვლა მაკლდა სწორედ!

დ ო ნ ლ უ ი ს ი
ვატყობ, ჩემი სტუმრობა გულზე არ გეხატებათ. მართალი თუ
გნებავთ, ჩვენ კარგა ხანია ერთმანეთს ვეღარ ვეგუებით. თუკი
თქვენ ჩემი ნახვა მოგბეზრდათ, მეც აღარ შემიძლია თქვენი
უმსგავსობის ატანა. ეჰა! რარიგ გვებნევა გზა-კვალი, როს
ღვთის ხელი აღარ წარმართავს ჩვენთა საქმეთ, როს არად
დაგიდევთ მის ნებას და ზღვარუდები მოთხოვნებით ან ბრმა

სურვილებით ზეცის რისხვას ვიწვევთ. მერედა როგორ ცნატ-
რობდი ვაჟიშვილს! დღედაღამ ამაზე ვლოცულობდი. და აი,
ბოლოს ჩემი ვედრებით დაღლილმა ზეცამ მომივლინა ვაჟი, რო-
მელმაც, იმის ნაცვლად, რომ სიტკბოება და სიმშვიდე მოეტანა
ჩემთვის სიბერეში, ცხოვრება უბედურებად და ტანჯვად მიქ-
ცია. ერთი მიბრძანეთ, რით ავხსნა ამდენი უღირსი საქციელი,
ყველას რომ აგრერიგად ხვდება თვალში, ბოროტ საქმეთა ეს
გაუთავებელი წყება, რომელიც თვით სიკეთით სავსე ღმერთ-
საც აღუვსებს მოთმინების ფიალას? თქვენი უზნებობის შემყურე
ღმერთმა ყველა ჩემი კეთილი საქმე დამავიწყა და მეგობრებ-
მაც ხომ კარგა ხანია ზურგი მიქციეს. ო! რა სულმდაბალი
ხართ! სინდისი მაინც არ გქენჯნით? მისხალითაც რომ ვერ
გაამართლეთ თქვენი წარმომავლობა! ან კი რა უფლების ძა-
ლით შეგიძლიათ იამაყოთ ამით? წამით თუ შეიწუხეთ თავი
იმისთვის, რომ ჭეშმარიტი აზნაური გამხდარიყავით? ხომ არა
გგონიათ, რომ მხოლოდ გვარისა და იარაღის ტარება კმარა?
ან იქნებ ფიქრობთ, რომ კეთილშობილი სისხლი განბანს ბი-
წიერებას? არა და არა, იქ, სადაც სათნოება არაა, მხოლოდ
გვარიშვილობით ფონს ვერ გახვალ. ამრიგად, წინაპართა დაღ-
ვრილი სისხლი საქმეს ვერ უშველის. მათი ღირსეული მემ-
კვიდრე უნდა იყო! მამა-პაპათა დიდების შარავანდელი, რო-
მელიც ჩვენც გვმოსავს, გვავალებს მათი გზით ვიაროთ და არ
შევბღალოთ მათი ვაჟკაცობა, თუ გვსურს, რომ ჭეშმარიტ შთა-
მომავლებად ვრაცხდეთ თავს. ვაგლახ, რომ თქვენი წინაპრე-
ბისა არაფერი გცხიათ. თქვენ მათი სისხლი აღაშფოთეთ და
მათი დიდებაც ბევრს არაფერს გმატებთ. პირიქით, მისი ნათე-
ლი თქვენს უმსგავსობას ჰფენს შუქს და სააშკარაოზე გამოაქვს
თქვენი სიმდაბლე. შეისმინეთ, უზნეო დიდგვაროვანი ურჩხუ-
ლად იბადება, სათნოება კი უპირველესი წოდებაა ადამიანისა
და მეც გვარიშვილობაზე მეტად საქმეს ვაფასებ, ამიტომაც
ათასწილ მეტს მივუგებ უბრალო მეკუთრტნის პატიოსან შვილს,
ვინემ თქვენებრ ბიწიერ ვინმე მეფისწულს.

დონ უუანი

ბატონო ჩემო, რომ დაბრძანებულყავით, სათქმელსაც გაია-
ღვილებდით.

დონ ლუისი

თაეხედო, არც დაჯდომა მსურს და მეტი ლაპარაკის თავიც აღარა მაქვს, რადგან კარგად ვუწყვი, რომ ამაოდ ვიხარჯები. მაგრამ იცოდე, უმადურო შეილო, შენმა უმსგავსობამ მოთმინების ფიალა ამივსო და ციურ რისხვაზე აღრე მე გამოგიტან. განაჩენს. შენი დაბადება ცოდვად მაწევს და ამ ცოდვას თვითვე გამოვისყიდი.

(გადის.)

გამოსვლა მკაშთე

დონ ეუანი, სგანარელი

დონ ეუანი

ეჰ! კაცი რაც უფრო აღრე მოკვდები, მით უკეთესია. ყველას თავისი რიგი აქვს და მამებიც შეილებზე უმალ უნდა ეთხოვებოდნენ საწუთროს.

სგანარელი

ღმერთს ნუ შესცოდავთ, ჩემო ბატონო.

დონ ეუანი

რაო? შენი აზრით, ვცდები?

სგანარელი

ბატონო...

დონ ეუანი (წამოდგება)

ესე იგი, ვცოდავ, ჰა?

სგანარელი

ღიახ, ჩემო ბატონო, სწორედ რომ შეცდით, ამდენ ხანს რომ უთმინეთ და კინწისკერით არ მოიშორეთ თავიდან. გაგიგიათ ასეთი თავხედობა? გინახავთ, მამა შეილს ჭკუას არიგებდეს, საქციელს უწუნებდეს, გვარიშვილობას ახსენებდეს, პატიოსან

ცხოვრებას ურჩევდეს და ვინ იცის კიდევ რა... მერე და როგორ შეიღოს? კაცს, რომელმაც თვითონაც კარგად უწყის, როგორ და რანაირად იცხოვროს! აღტაცებული ვარ თქვენი სულგრძელობით. თქვენს ადგილზე ჟანდაბის იქით დაველოცავდი გზას. (თავისთვის) ო, წყეულო მორჩილებავ! აი, სადამდე მიმიყვანე!

დონ ქუანი

ვახშამს მალირსებთ თუ არა?

გამოსვლა მთავრად

დონ ქუანი, დონა ელვირა, რაგოტენი, სგანარელი

რაგოტენი

ბატონო, ვილაც პირბადიანი ქალბატონი გეწვიათ.

დონ ქუანი

ვინ უნდა იყოს?

სგანარელი

ვნახოთ ერთი.

დონა ელვირა

ჩემი უდროო სტუმრობა და ჩაცმულობა ნუ გაგაოცებთ, დონ ქუან. სასწრაფო და აუცილებელმა საქმემ მომიყვანა თქვენთან. სასაყვედუროდ არ მოვსულვარ. დილანდელი ამბავიც დაივიწყეთ. ის დონა ელვირა აღარა ვარ, თქვენს დაღუპვას რომ ეშურებოდა და ღმერთს შურისძიებას შესთხოვდა. ხომ ხედავთ, აღარც კი გემუქრებით, ზეცამ გამბანა ქვენა სურვილებისგან, მშფოთვარე ვნება დამიციხრო, და თქვენდამი მიწიერი და ბილწი ტრფობაც გამიქარვა. ამის სანაცვლოდ გრძნობებისგან დაცლილ სულში მან უბიწო და უანგარო სიყვარული ჩამისახა, რომელიც მხოლოდ თქვენს სასიკეთოდ იღვეის.

დონ ქუანი (სგანარელს).
რაო, სგანარელ, აცრემლდი?

სგანარელი
მომიტევეთ და...

დონა ელვირა

სწორედ ამ წრფელმა და წმინდა გრძნობამ მომიყვანა თქვენთან. მსურს ზეცის ნება გამცნოთ და დალუპვისგან გიხსნათ. დიახ, დონ ქუან. ვიცი თქვენი უღირსი ცხოვრების ამბავი. ზეცამ, რომელმაც მეც თვალი ამიხილა ჩემს საკუთარ საქციელზე, შთამაგონა მოვსულიყავი თქვენთან, რათა მეთქვა: აღივსო მოთმინების ფიალა, დაშრა ზეცის სიკეთე და ახლა იგი მზადაა რისხვად დაგატყდეთ თავს. მხოლოდ ცოდვათა მონანიება თუ გიხსნით სასტიკი მსჯავრისაგან. ერთი დღის სიცოცხლე გიწერიათ, დონ ქუან. იჩქარეთ, თუ არადა, ამქვეყნიურ უბედურებათაგან უარესს ელოდეთ. მე კი თქვენთან არავითარი გრძნობა აღარ მაკავშირებს. მადლი ღმერთს, დავთმე გიქური ლტოლვა. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და ახლა ღმერთს ერთს შევთხოვ — ეგების იმდენი ხნის სიცოცხლე მაინც მიბოძოს, რომ ლოცვა-მუდარითა და მკაცრი თვითგვემით იმ ცოდვის მონანიება შევძლო, რაიც ჩემმა ბიწიერმა ვნებამ შემამთხვია. მაგრამ შეგრძნება იმისა, რომ აღამიანი, რომელიც ესოდენ მიყვარდა, ზეცის სამართლის მსხვერპლი გახდა, სანანებლად გამყვება ჩემს სიმართლევში. ო, რარიგ გავიხარებ თუ შევძელი და ღვთის რისხვა აგაცილეთ. ღვთის გულისათვის, დონ ქუან, ეს მცირე საჩუქარი მაინც გამოიმეტეთ. თვალცრემლიანი გემუდარებით. უარს ნუ იტყვით თავის დახსნაზე. თუკი საკუთარი ბედი არ განადგვლებთ, მე მაინც შემიბრალებთ და თქვენი მარადიული ტანჯვის მოწმედ ნუ მაქცევთ.

სგანარელი
საბრალო ქალი.

დონა ელვირა

უნაზესი გრძნობით მიყვარდით, დონ ქუან და თქვენზე ძვირ-

ფასი ამქვეყნად არავინ მეგულებოდა. თქვენი გულისთვის საკუთარი ღირსება დავივიწყე, ყოველივე თქვენ შემოგწირეთ. ახლა კი სანაცვლოდ იმასლა გთხოვთ, რომ გამოსწორდეთ და ამით ზეცის მაღლი მოისხათ. იხსენით სული საკუთარი თავის, ან ჩემი სიყვარულის გულისთვის მაინც. კიდევ ერთხელ გვედრით, დონ ჟუან. და თუ ამისთვის ერთ დროს საყვარელი ქალის ცრემლი არა კმარა, ყოველივე იმას გაფიცებთ, რაც კი ძვირფასია თქვენთვის.

ს განარელი (თავისთვის).

ქვის გული აქვს!

დონა ელვირა

ამის თქმა მსურდა. ახლა კი, მშვიდობით.

დონ ჟუანი

ქალბატონო, გვიანი დროა. დარჩით. ღირსეულ მასპინძლობას გაგიწევთ.

დონა ელვირა

არა, დონ ჟუან, ნულარ მაკაეებთ.

დონ ჟუანი

გარწმუნებთ, ქალბატონო, დიდად მესიამოვნება თქვენი დარჩენა.

დონა ელვირა

ტყუილი დროის კარგვაა. ჩემი სიტყვები კი კარგად აწომდაწონეთ.

გამოსვლა მეზვილად

დონ ჟუანი, სგანარელი, მხლებლები

დონ ჟუანი

იცი, ეტყობა კიდევ შემრჩა რაღაც ამ ქალის მიმართ. მისმა

სტუმრობამ, ჩაცმულობამ, სევდიანმა იერმა და ცრემლებმა მიმქრალი ცეცხლი გააღვია.

ს გან არ ე ლ ი
გამოდის, ტყუილუბრალოდ გაისარჯა.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი
ვახშამი გააწყვე.

ს გან არ ე ლ ი
ახლავე გაახლებთ.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (მაგიდას მიუჯდება).
სგანარელ, მგონი დროა გამოვსწორდე.

ს გან არ ე ლ ი
მართალსა ბრძანებთ.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი
ჰო, დროა ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო. ერთი ოცი-ოცდაათი წელი კიდევ ასე ვიცხოვრებ და შერე თავს მივხედავ.

ს გან არ ე ლ ი
რას ამბობთ!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი
შენ რაღას იტყვი?

ს გან არ ე ლ ი
რა მეთქმის. ვახშამი ინებეთ! (მალულად იღებს კერძის ნაჭერს თეთშიდან და პირისკენ გააქანებს.)

დ ო ნ ქ უ ა ნ ი
ყბა გაგსივბია. რა დაგემართა? ჰო, რა შეგემთხვა-მეთქი?

ს გან არ ე ლ ი
არათერი ისეთი.

დონ უუანი

აბა, ერთი მაჩვენე! მუწუკი ამოგსელია. ლანკეტი მომიტანე, ახლავე გამოვრწყავ. ხომ გაწუხებს? შეიძლება სისხლი მოგეწამლოს. დამაცა, როგორ მომწიფებულა ეს რაღაა!.. ა, შე გაიძვერავე!

სგანარელი

მერწმუნეთ, ბატონო ჩემო, გემო გავუსინჯე. ვიფიქრე, მზარეულმა ხომ არ გადაამლაშა-მეთქი.

დონ უუანი

აბა მაშ, დაჯექი და ჭამე. ვახშამს მოვრჩებით და მოგელაპარაკები. ეტყობა, გშია.

სგანარელი (მაგიდას მიუჯდება)

მეც მანდა ვარ, ბატონო ჩემო. დილას აქეთია ლუკმა არ ჩამსვლია პირში. აჰ, რა ნუვბარი კერძებია. (გადაიღებს თუ არა საჭმელს, მსახური უმაღ ააცლის თეფშს) ჩემი თეფში! სად მიგაქვს? მოიცა... სული ელევა, სანამ თეფშს გამომიცვლის. რა უდროო დროს იცი ღვინას ჩამოტარება, ლა ვიოლეტ. (სანამ მსახური ღვინოს უსხამს, თეფშს უცვლიან.)

დონ უუანი

ვინ აბრაზუნებს? ლამის კარები შემოანგრის!

სგანარელი

რა ჯანდაბამ მოიყვანა ამ დროს?

დონ უუანი

ვახშამი მაინც შემარგონ. ნურვის შემოუშვებთ.

სგანარელი

დამაცადეთ. მე თვითონ გავხედავ.

დონ უუანი

ალარ იტყვი, ვინ გვესტუმრა?

სგანარელი (თავს ხრის ისე, როგორც ადრე ქანდაკება).
ის... გეახლათ.

დონ ეუანი

აბა, ერთი დამენახოს. დავუმტკიცებ, რომ უკან დახევა არა
მჩვევია.

სგანარელი

ო! უბედურო ჩემო თავო! რას შევეფარო?

გამოსვლა მერვე

დონ ეუანი, კომანდორის ქანდაკება, რომელიც ის-ის არის მაგიდას
მიუჯდა, სგანარელი, მსახურნი

დონ ეუანი

სკამი და თეფში მოართვით სწრაფად. (სგანარელს) შენი ად-
გილი დაიკავე.

სგანარელი

ბატონო ჩემო, მაღა წამერთვა.

დონ ეუანი

დაჯექი-მეთქი. ჩამოასხით! კომანდორის დღეგრძელობისა იყოს.
სასმისს შენთან გადმოვდივარ, სგანარელ. ჭიქა შეუვსეთ.

სგანარელი

ბატონო ჩემო, სულ არა მწყურია.

დონ ეუანი

შესვი და მერე გვიმღერე. კომანდორი გავამხიარულოთ.

სგანარელი

ხმაღ წამერთვა, ბატონო ჩემო.

დონ ეუანი

არაფერია. მიდი, დაიწყე. თქვენც აპყევით.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა

კმარა, დონ ქუან. ხვალ ვახშმად ჩემთან ველით. ხომ არ გე-
შინიათ?

დ ო ნ ქ უ ა ნ ი

გესტუმრებით. სგანარელს ვიასლებ და ეგ იქნება.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

მადლობას შემოგწირავთ, მაგრამ ხვალ ვმარხულობ.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (სგანარელს).

მაშხალა აიღე.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა

ზეცის წარმოგზაენილი ციური ნათელი გვინათებს გზას.

მ ე ხ უ თ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ა

გ ა მ ო ს ც ლ ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

დ ო ნ ლ უ ი ს ი, დ ო ნ ქ უ ა ნ ი, ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

დ ო ნ ლ უ ი ს ი

ეს რა მესმის? შვილო ჩემო, განა კეთილმა ზეცამ ისმინა ჩვე-
ნი ვედრება? ხომ არ მატყუებთ? ყალბ იმედს ხომ არ მინერ-
გავთ? ანდა ვით ვერწმუნო თქვენს ესოდენ უეცარ მოქცევას?

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (თავს იკატუნებს).

ღიახ, სრული სიმართლეა. თავი ვანებე ცდომილ ცხოვრებას.
ის აღარა ვარ, რაც გუშინ ვიყავი. ზეცამ ყველას გასაოცრად
სრულიად გარდამქმნა; სული შემიტოკა, თვალი ამიხილა და
ახლა ძრწოლით ვიხსენებ გარდასულ დღეთა სიბრძავეს და
მთელ ცოდვებს. ვიხსენებ და მიკვირს, რად ითმენდა ზეცა ან

ასჯერ მაინც რად არ დამატება თავს საშინელი რისხვა? ვგრძნობ, რომ მისმა უსაზღვრო სიკეთემ მიხსნა განსაცდელი-საგან და არ მაზღვევინა ცოდვები ჩემი. ვფიცავ, კეთილად მოვისმარო ციური მადლი, ახალ ცხოვრებას ვეზიარო დღეი-დან და იმედი მაქვს, რომ ქველი საქმეებით წავშლი წარსულ დღეთა მთელ ბოროტებას. ვინ უწყის, იქნებ ახლა მაინც გავზ-დე ზეციური შეწყალების ღირსი. ეს გახლავთ ამიერიდან ჩემი ფიქრი და ოცნება. და გთხოვთ, მოწყალეო ბატონო, თქვენც მხარში ამომიდგეთ. შემირჩიეთ ღირსეული კაცი, ვინც მოძღ-ვრად შეიძლება დავიგულო, რომ მასთან ერთად მტკიცედ ვია-რო აწ და მარადის არჩეულ გზაზე.

დონ ლუისი

ო! შეილო ჩემო. რომ იცოდეთ, რა ადვილია მამის გულის მოღობა და რა სწრაფად ვივიწყებთ შეილის მიერ მოყენე-ბულ შეურაცხყოფას, როცა მისგან მონანიების თუნდ ერთ სიტყვას მაინც მოვისმენთ. ამ სიტყვებმა ყველა მწარე ტკი-ვილი დამავიწყა, რაც კი ოდესმე თქვენგან განვიცადე და ძველის გახსენებაც აღარ მსურს. ლამის ცას ვეწიო სიხარუ-ლით. ნეტარების ცრემლებია ეს, შეილო ჩემო. აღმისრულდა ყველა სურვილი და ზეცასაც ამიერიდან არაფერს ვთხოვ. გა-დამეხვიეთ, შეილო ჩემო, გემუდარებით, ნურასოდეს უღალა-ტებთ არჩეულ გზას. ახლა კი დაგტოვებთ. მიინდა დელათქვენს ვამცნო ეს ბედნიერი ამბავი, რომ მასთან ერთად დაგტკბე უზომო სიხარულით და ღმერთსაც მადლობა შევწირო, ეს სათნო აზრი რომ შთაგაგონათ.

გამოსვლა მეორე

დონ შუანი, სგანარელი

სგანარელი

ეს რა ბედი მეწვია, ჩემო ბატონო. დიდი ხანი ველოდი ამ დღეს და აი, მოვესწარ კიდევ. ღმერთს ვმადლი, რომ ყურად ილო ჩემი ვედრება.

დონ ქუანი

ეშმაკმა ჯალახვროს, რა ყეყეჩი ხარ!

სგანარელი

ყეყეჩი?

დონ ქუანი

ნუთუ მართალი გგონია, რაც ახლა ვთქვი? შეიძლება იმასაც ფიქრობ, რომ გულისნადები გაგიმელავნეთ?

სგანარელი

აი, თურმე რა!.. გამოდის... არა, თქვენ... თქენი... (თავის-თვის) ო, რა კაცია, რა კაცია, ღმერთო ჩემო!

დონ ქუანი

არა, ძვირფასო, სრულებითაც არ შევცვლილვარ და გრძნობაც არ მიცვლია.

სგანარელი

მოლაპარაკე და მოსიარულე ქანდაკების შემყურეც არ იცვლით აზრს?

დონ ქუანი

ამაში მართლაც არის რაღაც ისეთი, რასაც მეც ვერ მივმხვდარვარ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, არაფერს ძალუძს გონება ამირიოს ან სული შემეშფოთოს. და თუკი ვთქვი, ზნეს ვიცვლი-მეთქი, ამას თავისი გამართლებაც ჰქონდა. წმინდა წყლის პოლიტიკაა, ფანდია, აუცილებელი პირფერობაა, რომელსაც მამაჩემის გულის მოსაგებად ვიყენებ და კიდევ იმატომაც, რომ ათასი მოსალოდნელი უბედურებისაგან დავიცვა თავი. არაფერს გიმაღავ, სგანარელ, მოხარული ვარ, რომ მოწმეც მყავს, ვისაც შეიძლება გული გადაეუშალო და ჩემი საქციელის ჭეშმარიტი მიზეზი ავუხსნა.

სგანარელი

გამოდის, გსურთ, რომ წესიერადამიანად მოაჩვენოთ სხვებს თავი?

დონ ქუანი

მერედა რა არის ამაში ცუდი? რომ იცოდე, რამდენი მისდევს ამ ხელობას და სხვების თვალის ასახვევად ნიღაბს იფარებს!

სგანარელი

თქვენი ვერაფერი გამიგია.

დონ ქუანი

ამაში საძრახისი არაფერია. პირმოთნეობა მოდური მანკიერებაა, ხოლო ის, რაც მოდად იქცევა, წამსვე სათნოების სახეს იღებს. წესიერი ადამიანის როლი ყველა სხვა როლს სჯობს. ჩვენს დროში პირმოთნეობას უამრავი უპირატესობა ახლავს თან. ამ ხელოვნების წყალობით სიცრუესაც ფასი ედება — ნიღაბი რომ აგხადონ, ძვირს მაინც ვერვინ გეტყვის. ყველა სხვა ადამიანური სისუსტე შეიძლება გაკიცხო, სააშკარაოზე გამოიტანო, პირმოთნეობას კი განსაკუთრებული უფლებები აქვს. იგი პირს აუკრავს ყველას და დაუსჯელად დათარუშობს. ნაირ-ნაირი ხრიკების საშუალებით ფარისევლები პირს შეკრავენ და საქმარისია ერთ მათგანს მაინც შეეზო, რომ ყველა ერთად დაგუსხას თავს. პოტიოსანი ადამიანი კი მუდამ პირში ჩალაგამოვლებული რჩება: საკუთარი გულუბრყვილობის წყალობით იგი ამ მანჭიათა მახეში ებმება და ხშირად, მისდაუნებურად, ჭუჭყიანი საქმეების გარიგებაშიც კი ეხმარება მათ. რამდენი ვიცი, ვინც სწორედ ამ ეშმაკობის წყალობით ახალგაზრდული შეცოდებები მიჩქმალა, ღვთისმოსავის კაბას ამოეფარა და ამ პატივცემულ სამოსში გამოწყობილი ისევ ძველებურად მრუშობს. მათი ცბიერების ამბავი და ნამდვილი არსი რომ გამჟღავნდეს, ამით არაფერი შეიცვლება — მაინც მიენდობიან. საქმარისია ფარისეველმა თავი მოკრძალებით დახაზოს, თვალნი ზეცისკენ აღაპყროს და უცოდველი კრავივით ამოიხვნეშოს, რომ პატივბაც ზედა აქვს. მეც სწორედ ამ კეთილისმყოფელ ჩრდილს უნდა შევეფარო, რომ დაუსჯელად ვაკეთო ჩემი საქმე. ჩვეულ საამო გართობებზე უარს ვერ ვიტყვი. მაგრამ ახლა უკვე ხალხს გავერიდები და მალულად ვისიამტკბილებ. თუკი მამხილეს, არც ამანვე შევიწუხებ თავს: მთელი ბრბო აღსდგება ჩემს დასახსნელად. ბევრი რომ არ

გავაგრძელო, პირმოთნეობა ყველაზე ნაღდი საშუალებაა, რომ
კაცმა დაუსჯელად ითარეშო. სხვებს მსაჭული გავხვევთ, ყვე-
ლას ლაფში გავსვრი, საკუთარ თავზე აუგს კი ვერფინ მაიქ-
მეინებს. თითოეუ რომ ვინმემ შემახოს, არ დავუვიწყებ და
გულში დაუოკებელ ბოღმად ჩავიგუებ. ზეციური კანონების
ერთგულ დამცველად მოვევლინები ადამიანებს და ამ კეთილ-
შობილი საბაბით ჩემს მტრებს გასაქანს არ მივცემ, მკრეხე-
ლობაში დავდებ ბრალს, გულუბრყვილო ადამიანების ჭოგს
მივუსევ და ისინიც, იღუმალის სამართლიანობის სახელით, სა-
ბოლოო განაჩენს გამოუტანენ მათ. აი, ასე, ჩემო კარგო, ადა-
მიანური სისუსტე უნდა მოიხმარო და ღროის ბიწიერებას
უნდა აეწყო.

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის?! ფარისევლობაღა გაკლდათ. ეს
უკვე მეტისმეტია. იცით, ამის მოთმენა აღარ შემძლია და
ჩემს სათქმელს პირუთვნელად მოგახსენებთ. რაც გსურთ, ის
მიყავით: მირტყით, გამროზგეთ, ჩამაძაღლეთ, თქვენი ნებაა,
მაგრამ ჩემსას მაინც გეტყვით და, როგორც ერთგულ მსახურს
სჩვევია, რასაც საჭიროდ ჩავთვლი, ყოველივეს წვრილ-წვრი-
ლად გადმოვილაგებთ. ერთი იცოდეთ, ჩემო ბატონო, კოკა
წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს და ერთი მწერლისა არ იყოს,
სახელი კი ვერ გამიხსენებია, ადამიანი ტოტზე შემომჯდარ
ჩიტს ჰგავს. ტოტი ხის ტანზე ამოდის და საკვებსაც აქედან
იღებს. ეს საკვები კი ტოტისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის კე-
თილთ რჩევა-დარიგება. კეთილი რჩევა კი იმ ბრტყელ-ბრტყელ
სიტყვებს სჯობს, მეფის კარზე რომ ფანტავენ. იქ, მოგეხსენე-
ბათ, კარისკაცები არიან. ისინი მოდას მისდევენ, მოდას წარ-
მოსახვა ბადებს, წარმოსახვა სულის თვისებაა, სული კი ის
არის, რაც სიცოცხლეს გვანიჭებს; სიცოცხლე სიკვდილით
სრულდება; სიკვდილი გვაიძულებს ზეცაზე ვიფიქროთ; ზეცა
დედამიწის თავზეა, დედამიწა იგივე არ გახლავთ, რაც ზღვა;
ზღვაზე ქარიშხალი იცის; ქარიშხალი ზომალდებს ჩაძირავს;
ზომალდს გამოცდილი და ბრძენი მესაჭე სჭირდება; ასეთი
მესაჭე მულამ კეთილგონიერია; ახალგაზრდებს კი მისხალი
კეთილგონიერებაც არ გააჩნიათ; ყმაწვილებმა მოხუცებისა

უნდა ისმინონ; მოხუცებს სიმდიდრე უყვართ, სიმდიდრე კი ადამიანს მდიდარს ხდის; მდიდარი კაცი სხვაა, ღარიბი კი სხვა; ღარიბებს უჭირთ; გაჭირვება კი კანონს არად დაგიდევს; ის, ვინც კანონს არ იცავს, პირუტყვივით ცხოვრობს და გამოდის, რომ თქვენც, ჩემო ბატონო, კუპრის ქვაბში ამოყოფთ თავს.

დონ უუანი

უზადო მსჯელობაა, ღმერთმანი.

სგანარელი

თუკი ისევ თქვენს აზრს ადგახართ, მით უარესი თქვენთვის.

გამოსვლა მესამე

დონ კარლოსი, დონ უუანი, სგანარელი

დონ კარლოსი

რა კარგია, რომ შეგხვდით. დონ უუან! თქვენი პასუხის გაგება აქ უფრო მოსახერხებელია. მოგეხსენებათ, საქმის მოგვარება მე ვითავე. არც იმას დაგიმალავთ, რომ მშვიდობიან გარიგებას ვესწრაფი. კარგი იქნება, თუ თქვენც მხარს ამიბამთ და ჩემს დას დაუბრუნდებით.

დონ უუანი (თავს იკატუნებს).

ვაგლახ, რომ მეც ამას ვაპირებდი, მაგრამ ზეცა წინ აღუდგა ჩემს განზრახვას. სწორედ მისი შეგონებით ვიცვალე ზნე და ამიერიდან ვესწრაფი სრულიად გავერიდო მიწიერ კავშირებს. დავთმე ამქვეყნიური ამაოება და ვცდილობ მკაცრი ცხოვრებით გამოვისყიდო შლეგური ახალგაზრდობის ცოდვები.

დონ კარლოსი

თქვენი გადაწყვეტილება ჩემს გეგმას უახლოვდება: ღვთით ბოძებული მეუღლე ზეცის მიერ მითითებული კეთილი გზით სიარულის სურვილს განგიმტკიცებთ.

დონ ქუანი

ცდებით! თქვენმა დამაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მონაზვნად სურს აღიკვეცოს. როგორც ხედავთ, ღვთიური მადლი ორთავეს ერთდროულად გვეახლა.

დონ კარლოსი

მისი აღკვეცა საქმეს ვერ უშველის. იტყვიან, ქალიც და მისი ოჯახიც ქმარმა უარყო. ჩვენი ღირსების შველა კი მაშინ მოხერხდება, როცა ერთად იცხოვრებთ.

დონ ქუანი

შეუძლებელსა მთხოვთ. განა მე არ ვოცნებობდი ამაზე? აი, დღესაც რჩევას ვთხოვდი ღმერთს. მან თქვენს დაზე ფიქრიც კი ამიკრძალა, რადგან სულის დახსნა მხოლოდ მარტობაშია შესაძლებელი.

დონ კარლოსი

ნუთუ გგონიათ, რომ ამ მონაჩმანით ამირევთ გზა-კვალს?

დონ ქუანი

ღვთის მორჩილება მაწევს ვალად.

დონ კარლოსი

და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საკმარისია?

დონ ქუანი

ასეთია ზეცის განჩინება.

დონ კარლოსი

ჩემი და დედათა მონასტრიდან გაიტაცეთ და ახლა უპატრონოდ უნდა მიაგდოთ?

დონ ქუანი

ყოველივე ღვთის ხელშია.

დონ კარლოსი

მერედა ჩემი ოჯახის შელახული ღირსება?

დონ ქუანი
ზეცას მოჰკითხეთ.

დონ კარლოსი
რა ამოიჩემეთ — ზეცა-ზეცაო?

დონ ქუანი
ზეცის ნებას ვერ გადავალ.

დონ კარლოსი
კმარა, დონ ქუან. კარგად გაგიცანით. სამაგიეროს სხვაგან გადაგიხდით, აქ საამისო ადგილი არ არის, მაგრამ იცოდეთ, მალე შევხვდებით.

დონ ქუანი
თქვენი ნებაა. მოგეხსენებათ, ლაჩართა რიცხვს არ ვეკუთვნი და თუ დამჰკირდა, დაშნასაც კარგად ვხმარობ. ახლა კი ამ ვიწრო და ბნელი ქუჩით ეკლესიისკენ გავეშურები. ღმერთია მოწმე, ორთაბრძოლა არ მსურს, მაგრამ თუ თავს დამეხსნით, ვნახოთ, ვინ რას მოიგებს.

დონ კარლოსი
სწორი ბრძანებაა. აჰა, თქვენ და აჰა, მე.

გამოსვლა მეოთხე

დონ ქუანი, სგანარელი

სგანარელი

ეს რა უცნაურად ალაპარაკდით, ჩემო ბატონო! ამაზე უარესს ვერ არაფერს მოვსწრებივარ. პატიოსნებას ვფიცავ, ჯობდა ისევ ის ძველი დონ ქუანი დარჩენილიყავით. სულ იმას ვოცნებობდი, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს გამოსწორება ელირსოსმეთქი, ახლა კი იმედი გადამეწურა. არა მგონია, ზეცამ, რომელმაც აქამდე გითმინათ, ეს სიმდაბლვე შეგარჩინოთ.

დონ ჟუანი
კარგი, გეყოფა, ზეცა არც ისე გულაზიზია, შენ რომ გგონია.
ასე რომ იყოს...

გამოსვლა მახუთე

დონ ჟუანი, სგანარელი, პირბადიანი ქალის აჩრდილი

სგანარელი (შეამჩნევს აჩრდილს).
ოჰ! ბატონო ჩემო, ეტყობა, თვით ზეცას სურს თქვენთან საუბარი. ხედავთ, მაცნეც გაახლათ.

დონ ჟუანი
თუკი ზეცას ჩემთან საუბარი სურს, კეთილინებოს და გარკვევით ილაპარაკოს. უფრო კარგად გავუგებ.

აჩრდილი
დონ ჟუანს მხოლოდ წუთი რჩება იმისთვის, რომ ზეცას თავი შეავედროს. და თუკი ეს დრო ცოდვათა მონანიებას არ დაუთმობ, უცილობლად დაიღუპება.

სგანარელი
გაიგეთ, ბატონო?

დონ ჟუანი
როგორ მიბედავს? მგონი, ხმა ვიცანი.

სგანარელი
აბა რას ამბობთ, ეს ხომ აჩრდილია, მიხრა-მოხრაზე ეტყობა.

დონ ჟუანი
აჩრდილი ხარ, მოჩვენება თუ ეშმაკი? შიპასუხე!
(აჩრდილი სიკვდილის სახეს იღებს, რომელსაც ხელში ცელი უპყრია.)

სგანარელი
ო, მაღალო ზეცავ! ხედავთ, როგორ იცვალა სახე?

დონ ეუანი

ნურას უკაცრავად. ნუ გგონია, რომ შევშინდი, ჩემი დაშნის წვერით გავსინჯავ, უსულო გვამია თუ სულიერი რამ.

(დაშნას მოუქნევს, მაგრამ აჩრდილი ქრება.)

სგანარელი

ჩემო ბატონო, ერწმუნეთ ამდენ გაფრთხილებას და ცოდვები მოინანიეთ.

დონ ეუანი

არა-მეთქი, რაც უნდა მოხდეს, ჩემს მორჩილებას ვერვინ იხილავს. აბა, მომყევი.

გამოსვლა მემქვსა

კომანდორის ქანდაკება, დონ ეუანი, სგანარელი

ქანდაკება

შეჩერდით, დონ ეუანი. გუშინ პირობა მომეცით, რომ ჩემთან ივანშმებდით.

დონ ეუანი

მახსოვს. გამიძეხით!

ქანდაკება

ხელი მიბოძეთ.

დონ ეუანი

ინებეთ.

ქანდაკება

დონ ეუანი, ბიწიერებაში ჩაფლული კაცის ხვედრი საშინელი აღსასრულია და ციური მადლის უარყოფა თავზე ღვთის რისხვას დაგატეხთ!

დონ ეუანი

მალალო ცაოი რა მემართება? უხილავი ცეცხლი მწვავს, ალი

ედება მთელ სხეულს! ო, მეტის ატანა არ ძალმიძს! (ისმის მეხის ქუხილი; თვალისმომკრელი ელვა ეცემა დონ ჟუანს, მიწა პირს იხსნის და ნთქავს მას. იმ ადგილიდან, სადაც დონ ჟუანი გაუჩინარდა, ცეცხლის ენები ამოიზიდება.)

ს გ ა ნ ა რ ე ლ ი

ო, ჩემი ჯამაგირი, ჩემი ჯამაგირი! ყველა კმაყოფილია დონ ჟუანის სიკვდილით: შეურაცხყოფილი ზეცა, გათელილი კანონები, ცდუნებული ქალიშვილები, შერცხვენილი ოჯახები, სახელგატეხილი მშობლები, გზასაცდენილი ცოლები, განრისხებული ქმრები. დიახ, დიახ, ყველა კმაყოფილია, მხოლოდ მე არ გამიმართლა ბედმა. ამდენი წელი მხოლოდ იმიტომ ვიმსახურე, რომ ბოლოს ჩემი ურწმუნო ბატონის საშინელი აღსასრულის მოწმე ვყოფილიყავი. ეს არის და ეს. ო, ჩემი ჯამაგირი, ჩემი ჯამაგირი!

ექვით ავადმყოფი

კომედია სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი

არგანი, ექვით ავადმყოფი.

ბელინი, არგანის მეორე ცოლი.

ანჯელიკი, არგანის ქალი და კლევანტის საყვარელი.

ლუიზონი, არგანის უმცროსი ქალი და ანჯელიკის და.

ბერალდი, არგანის ძმა.

კლევანტი, ანჯელიკის საყვარელი.

დიადუარიუსი, ექვით.

თომა დიადუარიუსი, იმის შვილი და ანჯელიკის საქმრო.

პიურგონი, არგანის ექვით.

ფლერანი, აფთიაქარი.

დებონფუა, ნოტარიუსი.

ტუანეტი, გოგო.

მოქმედება ხდება პარიზში.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

არგანი

(ზის მაგიდასთან და თავის აფთიაქარის ანგარიშსა სინჯავს).
სამი და ორი, ხუთი; ხუთიც ათი; ათიც ოცი; სამი და ორი,
ხუთი. „კიდევ ოცდათხუთს ამ თვეს პატარა ოცნა ნელა გასა-
კეთებელი, მომამზადებელი და გამარბილებელი, რათა გარ-
ბილოს, დაასველოს და გააგრილოს გულ-გვამი ბატონის არ-
განისა“. ეს მომწონს ამ ჩემის აფთიაქარისა, რომ იმის ანგა-
რიში ყოველთვის ზრდილობიანად არის დაწერილი. „გულ-
გვამი ბატონის არგანისა — მანეთ ნახევარი“. ახლა, ბატონო
ფლერან, მარტო ზრდილობა არა კმარა, უნდა წესიერად მოიქ-
ცე და ავადმყოფებს ტყავი არ გააძრო. ერთი ოცნა — მანეთ
ნახევარი ბატონს ჩემს გაუმარჯოს! სხვაგან ყოველთვის მანუ-
თად მიანგარიშებდი და მანეთი აფთიაქარის ენით ათი შაურია.
აი შენი ათი შაური. „კიდევ, იმავე დღესვე, ერთი კარგი გამ-
წმენდი ოცნა, შედგენილი ყოვლად ძლიერი სამკურნალოსა,
რევანდისა, უცეცხლო თაფლისა და სხვათაგან, როგორც ეჭი-
მისაგან ნაბრძანებია, რათა გაჰგავოს, განბანოს და გასწმინდოს
უკან ტანი ბატონის არგანისა — მანეთ ნახევარი“. თუ თქვენი
საწყენი არ იქნება, ათი შაური ჩავაგდოთ. „კიდევ, იმავე დღეს-
ვე, საღამოზე, ღვიძლის გასაგრილებელი სასმელი, მომასვე-
ნებელი და დამაძინებელი, რათა მოასვენოს და დააძინოს ბა-
ტონი არგანი — მანეთი და თხუთმეტი შაური“. აი, ამ წამლისა
მადლიერი ვარ, ძალიან კარგად დამაძინა. ესეც ნახევრად ვიან-
გარიშოთ — ჩვიდმეტ შაურ ნახევარი. „კიდევ, ოცდათხუთს ამ
თვეს, ერთი კარგი მუცელში გამხსნელი სასაქმებელი, შედგი-

ნილი კასიისა, ხიარშამბარისა და სხვათაგან, როგორც ბატონი პიურგონისაგან არის ნაბრძანები, რათა გარეთ გაიყვანოს ბატონი არგანი და მოაშოროს უეარგისი ნივთეულეზანი გვამსა მისსა — ოთხი მანეთი“. ხუმრობ, ბატონო ფლერან, თუ რა არის? როდი უნდა შემოიმწყრალო ავადმყოფები. პიურგონმა როდი გითხრა, ოთხი მანეთი ჩასწერო. დასწერე სამი მანეთი და ჩვენ მანეთ ნახევარს ჩავაგდებთ. „კიდევ იმავე დღესვე, წკლარტის გემოს სასმელი, ტკივილების დამაყუჩებელი, რათა მოასვენოს ბატონი არგანი — მანეთ ნახევარი“. თხუთმეტი შაური. „კიდევ, ოცდაექვსს, ერთი შემავიწროებელი ოყნა, რათა განაგდოს ქარები ბატონის არგანის უკან ტანიდან — მანეთ ნახევარი“. ათი შაური, ბატონო ფლერან, ათი შაური! „კიდევ ზემოხსენებული ოყნა, განმეორებული საღამოს ჟამს — მანეთ ნახევარი“. ესეც ათი შაური. „კიდევ ოცდაშვიდს, ერთი კარგი წამალი, რათა ხშირად გაიყვანოს გარეთ ბატონი არგანი საჭიროებისათვის — სამი მანეთი“. ესეც მანეთ ნახევარი. მადლობა ღმერთს, ძლივს პატარა ადამიანურად ანგარიშობს. „კიდევ, ოცდარვას, ერთი ჭიქა გაწმენდილი და დაშაქრული რძე, რათა დაატკბილოს, გაანოყიეროს, დაამშვიდოს და გაარბილოს სისხლი ბატონის არგანისა — ერთი მანეთი“. ესეც ათი შაური. „კიდევ, ერთი მინა სასმელი სისადისა და ჯანმრთელობის მიმცემი, შედგენილი თორმეტ მარცვალ ფაზარისა, ლიმონისა და ბროწეულის წვენიისა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბრძანებია — ხუთი მანეთი“. ახლა, ბატონო ფლერან, პატარა სინდისიცი იქონიე, ასე რომ იანგარიშო, ვინ იქნება გიჟი, ავად გახდეს. ოთხი მანეთი დასწერე და ორი ვიანგარიშოთ. სამი და ორი ხუთი; ხუთიც ათი; ათიც ოცი, ექვსი თუმანი, სამი მანეთი, ერთი აბაზი და ნახევარი შაური. ამ თვეში მე დამილევია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი და რვა მინა წამალი; მე გამიკეთებია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი და თორმეტი ოყნა. იმ თვეში იყო თორმეტი მინა წამალი და ოცი ოყნა, რა გასაკვირველია, რომ ამ თვეში უფრო ავად ვარ, ვიდრე იმ თვეში. მე ვეტყვი პიურგონს, რომ ამაში წესიერება დაადგინოს. შემომაცალეთ ეს რაღაებიც მახვევია გარსა. (რომ ვერავის დაინახავს, დაიყვირებს.) რამდენიც უნდა ვიყვირო, არავინ არ

მომხედავს; სულ მარტო ვგდივარ: აქ რომ ვერავეინ დაეაყენე!
(დაუწყებს რეკვას პატარა ზარს.) დაყრუვდნენ, თუ ჩემი ზარი
კარგად ვერ რეკავს? (რეკავს.) არაეინა სჩანს. (რეკავს.) სწო-
რედ დაყრუებულან, ტუანეტ! (რეკავს.) გინდა დამირეკნია,
გინდა ნუ. ტუანეტ! შე საძაგელო, შე უნამუსო! (რეკავს კი-
დევ.) სწორედ გამაცოფიანებენ! (რეკვას თავს დაანებებს და
ყვირილს დაიწყებს.) ძინ, ძინ, ძინ! შე ნამუსზე ხელაღებულო!
გაგონილა, ავადმყოფის ესე მარტო დაგდება! ძინ, ძინ, ძინ!
ასეთი თავს გასვლა იქნება?!

სურათი მეორე

არგანი და ტუანეტი

ტუანეტი (შემოდის)

მოვდივარ.

არგანი

აი, შე ღორო, შე უნამუსო!

ტუანეტი (თავზე ხელს იღებს, თითქოს კედელზე მიერ-
ტყას).

ღმერთმა დასწყევლოს თქვენი ხასიათი, ისე აჩქარებთ ადა-
მიანს, რომ კინალამ კარებს ტვინი ზედ შევასხი.

არგანი (გაჯავრებული).

შე მუხანათო...

ტუანეტი

ვაიმე!

არგანი

მთელი ერთი...

ტუანეტი

ვაიმე!

არგანი
სათია.

ტუანეტი
ვაიმე!

არგანი
რაც მარტოკა ვგდივარ.

ტუანეტი
ვაიმე!

არგანი
ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხო, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

ტუანეტი
მერე, ამ ამბის შემდეგ, მე კი ვალში დაგრჩებით?

არგანი
ყვირილით ხმა წამივიდა.

ტუანეტი
მე რომ კინალამ თავი გავიტეხე, ეგ არაფერი? მოდი, თუ გინდათ ქვითნი ვიყოთ. მგონი ხმის წასვლა სჯობდეს თავის გატეხვას.

არგანი
რაო, რას მიედ-მოედები?

ტუანეტი
თუ გამაჯავრებთ, კბტირებ აი.

არგანი
შე ორგულო, მარტო გამიშვი... დამტოვე...

ტუანეტი (შეაწყვეტინებს).
ვაიმე!

ა რ გ ა ნ ი

შე ძაღლო, შენა, შენ გინდა...

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვაიმე!

ა რ გ ა ნ ი

განა, შე უნამუსო, გაჯავრებასაც არ დამაცლი?

ტ უ ა ნ ე ტ ი

იჯავრეთ, რამდენიც გინდათ, მე რას გიშლით.

ა რ გ ა ნ ი

შენ იმას მიშლი, რომ ყოველს სიტყვაზე მაჩერებ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ბუ თქვენ გინდათ იჯავროთ, მე მინდა ვიტყვო, ყველა თავის ქეიფზე მოიქცეს. ვაიმე, დედავ!

ა რ გ ა ნ ი (წამოდგება).

ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ჰქენი გამაცალე ეს რაღაც არი. ჩემმა ოყნამ დღეს გასჭრა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

თქვენმა ოყნამ?

ა რ გ ა ნ ი

ჰო, კარში კარგად გავედი?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეგ რა ჩემი საქმეა; თქვენს აფთიაქარს უნდა ჰკითხოთ; ის გეტყვით პასუხს. ფულს ის იღებს და სულიც იმან უნდა აიღოს.

ა რ გ ა ნ ი

ჩქარა წყალი გამითბე; საცაა მეორე ოყნა უნდა გავიკეთო.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ძალიან კარგი საწველი თხა ჩაიგდეს ხელში თქვენმა აფთიაქარმა ფლერანმა და თქვენმა ექიმმა პიურგონმა; უხაროდეთ; ნეტავი ერთი მითხრან, რა გჭირთ, რომ მაგდენი წამლებით დაგალპეს.

ა რ გ ა ნ ი

გაჩუმდი, უმეცარო; შენც უნდა ექიმების ბრძანება სასაცილოდ აიგლო! წადი ჩემს ქალს ანჯელიკს დამიძახე, მინდა ვუთხრა რამე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აგერ თვითონვე მოდის; ალბათ თქვენს აზრს მიხვედრილა.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ა რ გ ა ნ ი, ტ უ ა ნ ე ტ ი, ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ა რ გ ა ნ ი

აქ მოდი, ანჯელიკ! კაი დროს გაჩნდი, მე შენთან სალაპარაკო მაქვს.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მიბრძანეთ, ბატონო.

ა რ გ ა ნ ი

ბატარა მომიცადე. (ტუანეტს) ერთი ჯოხი მომეცი, ახლავ დავბრუნდები.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მიბრძანდით, ბატონო, მიბრძანდით. კაი საქმე კი გაგვიჩინა ბატონმა ფლერანმა.

ანჯელიკი და ტუანეტი

ანჯელიკი
ტუანეტ!

ტუანეტი
რაო?

ანჯელიკი
აბა, შემომხედე.

ტუანეტი
მერე რაო, რომ შემოგხედო.

ანჯელიკი
ტუანეტ!

ტუანეტი
ტუანეტ და ტუანეტ... სთქვი, რისაც თქმა გინდა.

ანჯელიკი
ვერ მიხვდი, რის თქმაც მინდა?

ტუანეტი
უეჭველია, შენს ახალგაზრდა საყვარელზე გინდა ილაპარაკო;
მთელი ექვსი დღეა, რაც ის შენ ენაზე გადგას და გული ვერ
მოგიტმენს, რომ ყოველს წუთს არ ახსენო.

ანჯელიკი
თუ ეგვეც იცი, რატომ შენვე პირველი არ ჩამომიგდებ ლაპა-
რაქსა? რათა მტანჯავ? რათ ელი, რომ მე პირველი გამოგე-
ლაპარაკო იმაზე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მაცლი მერე! შენ თვითონ პირველი კისრულობ იმაზე სიტყვის ჩამოგდებას; დასწრება ძნელია.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

უნდა გაგიტყდე, იმაზე ლაპარაკით არ დავიღლები და როცა კი დროს ვპოულობ, მე შეჭირვება ჩემი გრძნობა გაგიმხილო, მაგრამ, ერთი მითხარ, ტუანეტ, განა გამკიცხავ ამ სიყვარულისტვის?

ტ უ ა ნ ე ტ ი

სრულებითაც არა.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

განა დამნაშავე ვარ, რომ ამ ტრფობის ტკბილს ძალას ვემორჩილები?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვინ გეუბნება?

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

დავიჭერო, გულგაქევაებული უნდა დავუხვდე იმის ნაზ ხვეწნას, იმის მხურვალე სიყვარულს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ღმერთმა ნუ ჰქნას.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ერთი ეს მითხარ, ნუთუ შენც განგებისაგან მოვლენილი არ გგონია ის შემთხვევა, რომელმაც ჩვენ ერთმანეთთან შეგვყარა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

უეჭველია.

ანჯელიკი

ახლა ისა სთქვი, როგორ პატიოსნურად მოიქცა, ჯერ არ მიცნობდა და ჩემთვის ასეთნაირად თავი გამოიღო.

ტუანეტი

ოღონდაც.

ანჯელიკი

სხვა ვინ იზამდა ამას?

ტუანეტი

მართალს ამბობთ.

ანჯელიკი

წარბი არც კი შეუქმუხენია, საქმეს ისე გულიანად მოეკიდა.

ტუანეტი

ნამდვილია.

ანჯელიკი

მშვენიერი თვალ-ტანადია არა, ტუანეტ?

ტუანეტი

მშვენიერია.

ანჯელიკი

სახეზე წუნი არა აქვს.

ტუანეტი

არასფერი.

ანჯელიკი

საქმეშიაც, სიტყვაშიაც დიდკაცობა ეტყობა.

ტუანეტი

სწორედ.

ანჯელიკი

გაგიგონია სადმე ისეთი მხურვალე სიტყვები, რომელსაც ის მეუბნება.

ტუანეტი

არ გამიგონია.

ანჯელიკი

ამაზედ მეტი უბედურება იქნება, რომ დაკეტილში ვზივართ და ღონისძიებას არ გვაძლევენ, მე და იმან გულის გრძნობა ერთმანეთს გავუზიაროთ.

ტუანეტი

სწორად ბრძანებთ.

ანჯელიკი

ახლა, ტუანეტ, როგორა გგონია, გულშიაც ის უღევს, რასაც სიტყვით მეუბნება?

ტუანეტი

მაგისი კი რა მოგახსენო. ეგეთი საქმე ხშირად საექვოა. ცრუ სიყვარული ნამდვილს სიყვარულს ძალიან ჩამოჰგავს და მე დიდი თვალთმაქცები მინახავს მაგ საქმეში.

ანჯელიკი

რას ამბობ, ტუანეტ? განა ის პირიდან სიცრუეს ამოუშვებს? რაში ეტყობა, ერთი მითხარი.

ტუანეტი

მაგას მალე გაიგებ, გუშინ ხომ მოგწერა, შენს თავს ცოლადა ვთხოვო: ვნახოთ, შეასრულებს თუ არა; ეს იქნება კარგი საბუთი.

ანჯელიკი

ოჰ, ტუანეტ, თუ მე მაგან მომატყუა, აღარავის არას დაეუჭერებ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აგერ მამათქვენი მოდის.

სურათი მხუთა

არგანი, ანჯელიკი, ტუანეტი

არგანი

იმას ვამბობდი; მე მინდა, შეილო, შენ ერთი ამბავი შეგატყობინო, რომელიც შენთვის მოულოდნელია. მე შენს თავსა მთხოვენ. რა მოგდის, რას იცინი? გიამა განა გათხოვება? ყმაწვილი ქალებისთვის სწორედ უკვდავების წყაროა ეს კითხვა. ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი. როგორც ვატყობ, ქალბატონო, იმის კითხვა საჭირო აღარ არის, ინებებთ გათხოვებას თუ არა?

ანჯელიკი

რასაც მიბრძანებთ, ბატონო, მე ის უნდა შეევასრულო.

არგანი

მე მსიამოვნებს, რომ ეგეთი მორჩილი ქალი მყავხარ, მაშ, საქმე გათავებულა. საქმრო მე კიდევ აჩენილი მყავდა.

ანჯელიკი

მე ბრმად უნდა მივდიო ყოველს თქვენს ბრძანებას.

არგანი

ჩემი ცოლი, შენი დედინაცვალი მოითხოვს, მოლოზნად მივეთო და შენი პატარა და ლუიზონიც ამას იძახდა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

არ ეწყინებოდა, ეგრე რომ მომხდარიყო.

არგანი

იმას არ უნდოდა დათანხმებულიყო. ამ ქორწინებაზე, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი და სიტყვა მივეცი ერთს კაცს.

ან ჯელიკი

ოპ, მამა, თქვენის გულკეთილობით როგორი დავალებული ვარ.

ტუანეტი

მეც მადლიერი ვარ თქვენი მაგ საქმისათვის; მაგისტანა ჭკვიანური თქვენს დღეში არა ჩაგიდენიათ რა.

არგანი

თვითონ საქმრო მე ჯერ არ მინახავს, მაგრამ მეუბნებიან, კარგი რამ არისო; მამასაცა და შვილსაც მოგეწონებათო.

ან ჯელიკი

უეჭველად მოგეწონებათ, მამა.

არგანი

შენ გინახავს მერე?

ან ჯელიკი

რადგან თქვენც თანახმა ხართ, მე ვალდებული ვარ ჩემი საიდუმლო შეგატყობინოთ. მე გაგიტყდებით და გეტყვით, რომ ჩვენ იმ დღეს შემთხვევით ერთმანეთს შევხვდით და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ამის გამო იმას გაუბედნია ჩემი ცოლად თხოვნა.

არგანი

იმათ მაგაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ; მაგრამ ეგ უკეთესი. საქმე საქმეზე მოდის. როგორც იმათ მითხრეს, ზორბა ყმაწვილი კაცი უნდა იყოს.

ან ჯელიკი

ღიას, ბატონო.

არგანი

ლაზათიანის ტანისა.

ან ჯ ე ლ ი კ ი
სწორედ.

ა რ გ ა ნ ი
სასიამოვნო სანახავი.

ან ჯ ე ლ ი კ ი
ძალიან სასიამოვნო.

ა რ გ ა ნ ი -
კაი თვალ-ტანადი.

ან ჯ ე ლ ი კ ი
მშვენიერი.

ა რ გ ა ნ ი
ჰკვიანი და კარგის გვარისა.

ან ჯ ე ლ ი კ ი
ნამდვილია.

ა რ გ ა ნ ი
ძალიან პატიოსანი.

ან ჯ ე ლ ი კ ი
ვიღა იქნება იმაზე პატიოსანი.

ა რ გ ა ნ ი
ლათინურსა და ბერძნულს თურმე კარგად ლაპარაკობს.

ან ჯ ე ლ ი კ ი
მაგისი კი რა მოგახსენოთ!

ა რ გ ა ნ ი
ამ სამს დღეში ექიმობას მისცემენ!

ანჯელიკი
იმას მისცემენ ექიმობასა?!

არგანი
ჰო, იმას. განა მაგაზე კი არა გითხრა რა?

ანჯელიკი
არა უთქვამს რა; თქვენ ვილამ მოგახსენათ?

არგანი
პიურგონმა.

ანჯელიკი
განა პიურგონი იმას იცნობს?

არგანი
მაშ ვილას უნდა იცნობდეს, თუ თავის დისწულსაც არ იცნობს.

ანჯელიკი
როგორ თუ დისწულს? განა კლევანტი პიურგონის დისწულია?

არგანი
რომელ კლევანტზე ლაპარაკობ? მე იმაზედ გელაპარაკები, რომელმაც შენი თავი მთხოვა.

ანჯელიკი
მეც იმაზე არ გელაპარაკებით?

არგანი
ჰოდა, ის არის პიურგონის დისწული; იმის სიძის, ექიმ დიაფუარიუსის შვილი; ამას ჰქვიან სახელად თომა დიაფუარიუსი და არა კლევანტი. დღეს დილით მე, პიურგონმა და ფლერანმა გადავწყვიტეთ ეგ საქმე. ხვალ ჩემს სასიძოს თავის მამა ექ მოიყვანს. რა ამბავია, რამ გაგაოცა?

ან ჯ ე ლ ი კ ი

მე ასე მეგონა, მამა, თქვენ სხვაზე ლაპარაკობდით.

ტ უ ა ნ ე ტ ი

როგორ არა გრცხვენიათ, ბატონო! თქვენის შეძლების პატრონი ქალს ექიმს უნდა აძლევდეს?!

ა რ გ ა ნ ი

შენ ვინა გკითხავს, ბალი ათ შაურად არისო, შე ურცხვო, შე უნამუსო?

ტ უ ა ნ ე ტ ი

რას იგინებით? გაუცხარებლად საქმეზე ლაპარაკი არ იქნება განა?! დავწყნარდეთ და ისე გავსინჯოთ საქმე. ახლა რატომ გინდათ თქვენი ქალი ექიმს მიათხოვოთ?

ა რ გ ა ნ ი

იმათა, რომ მე ავადმყოფი და უძლური კაცი ვარ და მინდა ექიმებს დავემოყვრო. მე მინდა, იმათ შემწეობა გამიწიონ და ჩემს სახლშივე იყოს იმისთანა კაცი, რომელსაც ჩემი მორჩენა შეეძლოს; მე მინდა, რომ ექიმების რჩევა და რეცეპტები არ მაკლდეს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აი ეგ კაი საბუთია. სასიამოვნოა ეგრე მშვიდობიანი ბაასი ერთმანეთთან, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, მართლა, ხუმრობა გაშვებით, თქვენი თავი ავადმყოფი გგონიათ?

ა რ გ ა ნ ი

როგორ თუ ავადმყოფი არა მგონია, შე არაწმინდავ, შე უნამუსო!

ტ უ ა ნ ე ტ ი

კარგი, ბატონო, კარგი, ნუ ჯავრობთ, ავადმყოფი ხართ, ავადმყოფი, მაგაზე რა გვაჩხუბებს. დიახ, ძლიერ ავადა ხართ; ბატონი ბრძანდებით, უკანასკნელ დღეში ხართ; მაგრამ თქვენმა

ქალმა თავისთვის უნდა შეირთოს ქმარი, თუ თქვენთვის? ის რომ ავად არ არის, რაში ეჭირვება ექიმში!

ა რ გ ა ნ ი

იმას რომ არ ეჭირვება, მე მეჭირვება, და მორჩილმა შეიღწა ის უნდა შეირთოს, ვინც იმის მამის ჯანმრთელობისათვის საჭიროა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

შეიძლება ბატონო, ერთი რჩევა გაგიბედოთ?

ა რ გ ა ნ ი

რა რჩევა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეკავიანოვებო გულიდამ ამოირეცხეთ.

ა რ გ ა ნ ი

ვითომ რათაო?

ტ უ ა ნ ე ტ ი

მათაო, რომ თქვენი ქალი არ დათანხმდება.

ა რ გ ა ნ ი

ჩემი ქალი არ დათანხმდება?!

ტ უ ა ნ ე ტ ი

არა.

ა რ გ ა ნ ი

ჩემი ქალი?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ჰო, თქვენი ქალი. იმას არაფრად ეპრიანება არც ის თქვენი ექიმში დიაფუარიუსი, არც იმისი შვილი თომა დიაფუარიუსი, არც სხვა დიაფუარიუსები.

ა რ გ ა ნ ი

მე შეპრიანება, თუ მაგას არ ეპრიანება. საქმროც დასაწუნი არ არის, ექიმს დიაფუარიუსს მაგის მეტი შვილი არა ჰყავს; პიურგონსაც არც ცალი ჰყავს, არც შვილი და შთელს თავის ქონებას ამ ქორწილის შემდეგ იმას დაუმტკიცებს. ეს ზუმრობა ნუ გგონიათ: მარტო პიურგონს სამასი თუმანი აქვს წელიწადში შემოსავალი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მაშ, ეტყობა ბევრი ხალსი დაუხოცავს, რომ ეგრე გამდიდრებულა.

ა რ გ ა ნ ი

სამასი თუმანი შემოსავალი წელიწადში, მამის ქონების გარდა, ზუმრობა არ არის.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეგ ყველა კარგი, მაგრამ მე მაინც ჩემად გირჩევთ, რომ სხვა ქმარი ამოუჩიოთ; მაგას არ შეეფერება დიაფუარიუსი.

ა რ გ ა ნ ი

მე ჩემს სიტყვას არ გადავალ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მაგას ნუ იტყვით, ბატონო.

ა რ გ ა ნ ი

როგორ თუ ნუ ვიტყვი

ტ უ ა ნ ე ტ ი

ისე ნუ იტყვით.

ა რ გ ა ნ ი

ვითომ რა დამიშლის?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ასე იფიქრებენ, რას ამბობს და რას არა, არ ესმისო.

ა რ გ ა ნ ი

ვის რაც უნდა, ისა სთქვას. მე კი ეს მინდა, რომ მაგან ჩემგან მიცემული სიტყვა შეასრულოს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

არ შეასრულებს.

ა რ გ ა ნ ი

ძალით შევასრულებინებ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

გეუბნებით, ვერ შეასრულებინებთ.

ა რ გ ა ნ ი

აბა ნუ შეასრულებს და მაშინვე მონასტერში ვუკრავ თავსა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

თქვენა?

ა რ გ ა ნ ი

სწორედ მე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ენახოთ.

ა რ გ ა ნ ი

რა ნახოთ?

ტ უ ა ნ ე ტ ი

თქვენ მაგას მონასტერში თავს ვერ უკრავთ.

ა რ გ ა ნ ი

მე ვერ ვუკრავ თავს მონასტერში?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვერა.

არგანი
ვერა?

ტუანეტი
ვერა.

არგანი
ბატონს ჩემს გაუმარჯოს! მე ვერ მივცემ ჩემ ქალს მონას-
ტერში, თუ მინდა!

ტუანეტი
ვერა-მეთქი, გეუბნებით!

არგანი
მერე ვინ დამიშლის?

ტუანეტი
თქვენ თვითონ.

არგანი
მე?

ტუანეტი
ღიახ, თქვენ. თქვენი გული მაგას ვერ იზამს.

არგანი
ვიზამ-მეთქი მაგას.

ტუანეტი
ხუმრობთ.

არგანი
მე სულაც არ მეხუმრება.

ტუანეტი
მამობრივი სიყვარული დაგძლევათ.

ა რ გ ა ნ ი

მე ვერაფერი ვერ დამძლევს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

კმარა, ორი ცრემლი ჩამოუვარდეს, ხელები კისერზე მოგ-
ხვიოთ თავისებურად ნაზად, ჩემო მამილოო, გითხრათ და მა-
შინვე გული მოგირბილდებათ.

ა რ გ ა ნ ი

ტყუილი იმედებია.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ძლიერ მართალია.

ა რ გ ა ნ ი

მე შენ გეუბნები, ჩემს სიტყვას არ გადავალ-მეთქი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეგ სულ მასხარაობაა:

ა რ გ ა ნ ი

რას მიედ-მოედები, რაა მასხარაობა!

ტ უ ა ნ ე ტ ი

ბატონო, მე თქვენ გიცნობთ, მე ვიცი თქვენი კეთილი გული.

ა რ გ ა ნ ი

მე კეთილი კი არა ვარ, ავი ვარ, თუ მოვინდომებ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ახლა ნუ ცხარობთ, ნუ გავიწყდებათ, რომ ავადა ხართ.

ა რ გ ა ნ ი

მე მაგას ვუბრძანებ, რომ ჩემგან ამორჩეულზედ ჯვარის და-
საწერად მოემზადოს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მაგას ვუბრძანებ, რომ ეგ ფიქრადაც არ გაიტაროს.

ა რ გ ა ნ ი

ხედავთ ამ თავხედობას! ვის გაუგონია, რომ ვილაც გომბიო თავის ბატონს ასე უკადნიერდებოდეს!

ტ უ ა ნ ე ტ ი

როცა ბატონი ღობე-ყორეს ედება, ერთგულმა მოახლემ უნდა კარგს გზას დააყენოს.

ა რ გ ა ნ ი (წამოხტება და ტუანეტს გამოუდგება).

გამიშვით, მოვკლა, სული ამოვართვა.

ტ უ ა ნ ე ტ ი (გაიქცევა და სკამს დასდგამს თავისსა და არგანს შუა).

ჩემი ვალია, დაგიშალოთ იმისთანა საქმე, რომელიც თქვენ არ შეგეფერებათ.

ა რ გ ა ნ ი (ჯობით დასდევს ტუანეტს. ორივენი ამ ლაპარაკის დროს სკამს გარშემო უვლიან).

აქ მოდი, აქ მოდი, რომ ლაპარაკი გასწავლო.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე თქვენ სულელური საქმე არ უნდა ჩაგადენინოთ.

ა რ გ ა ნ ი

აი, შე ძაღლო.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მაგ ქორწინებაზე თავის ღლეში ვერ დამათანხმებთ.

ა რ გ ა ნ ი

შე ჩამოსახრჩობო!

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე არ მინდა, რომ თქვენმა ქალმა თქვენი თომა დიაფუარიუსი შეიერთოს.

არგანი

ურცხვო, უნამუსო

ტუანეტი

ის ჩემს სიტყვას უფრო დაიჯერებს, ვიდრე თქვენსას.

არგანი (გაჩერდება).

ანჯელიკ, რატომ არ მიშველი და არ დამაჰერინებ ამ არაწმინდას.

ანჯელიკი

მამაჩემო, გულს ნუ იშფოთებთ, თორემ უფრო ავად გახდებით.

არგანი (ანჯელიკს).

თუ არ დამიჰერ, დაგწყევლი, შეგაჩვენებ.

ტუანეტი (გაიქცევა).

მე კი, თუ ეგ თქვენს სიტყვას გაიგონებს, მემკვიდრეობას წავართმევ.

არგანი (თავის სკამზე დაეცემა).

ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან; ლამის სული ამომივიდეს.

სურათი მთავრდება

არგანი და ბელინი

არგანი

ჰო, ჩემო საყვარელო, აქ მოდი ერთი.

ბელინი

ხომ არა გტკივა რა, ჩემო სიცოცხლე?

არგანი

მოდით, მომხედეთ.

ბ ე ლ ი ნ ი

რა გტკივა, შენ გენაცელოს ჩემი თავი?

ა რ გ ა ნ ი

ოჰ, ჩემო ერთგულო.

ბ ე ლ ი ნ ი

რა იყო, ჩემო სიცოცხლე?

ა რ გ ა ნ ი

გამაჯავრეს, გული მომაყვანინეს.

ბ ე ლ ი ნ ი

როგორ, რაზედა, ჩემო სულისდგამ?

ა რ გ ა ნ ი

იმ ურცხვმა ტუნანტმა ნამუსზედ სულ ზელი აიღო.

ბ ე ლ ი ნ ი

ნუ ჯავრობ, გეთაყვა, დამშვიდდი.

ა რ გ ა ნ ი

ყელში სისხლი მომგვარა.

ბ ე ლ ი ნ ი

ნუ იბრუნებ გულსა, ჩემო პატარავ.

ა რ გ ა ნ ი

მთელი ერთი საათი რასაც ვამბობდი, ყველაფერზე უარს მეუბნებოდა.

ბ ე ლ ი ნ ი

დაწყნარდი, შენი ჭირიმე, დაწყნარდი.

ა რ გ ა ნ ი

ენა ისე დაიგრძელა, რომ მიბედავს და მეუბნება, ავად არა ხარო.

ბ ე ლ ი ნ ი
სიბრიყვე მოსვლია.

ა რ გ ა ნ ი
შენც ხომ იცნობ, რაც არის, ჩემო სულის კოლოფო.

ბ ე ლ ი ნ ი
ვიცი, შენს თავს შემოვევლე, ვიცი, რომ დამნაშავეა.

ა რ გ ა ნ ი
მე ეგ სულს ამომართმევს.

ბ ე ლ ი ნ ი
სუ, გეთაყვა, სუ.

ა რ გ ა ნ ი
იმის ბრალია, რომ მუცელში ასე ავადა ვარ, სულ ნალველაზე
გავდივარ.

ბ ე ლ ი ნ ი
გული დაიმშვიდე, ჩემო სიცოცხლე.

ა რ გ ა ნ ი
რა ხანია, გეუბნები, დაითხოვე-მეთქი.

ბ ე ლ ი ნ ი
ახლანდელს დროში ვის იბოვნე, გენაცვალე, იმისთანა მოსამ-
სახურეს, რომ წუნი არ ედვას. ზოგიერთი ცუდი ხასიათი უნდა
იმათს კარგს ხასიათს მიუტევო. მეტი გზა არ არის. ტუანეტი
მარდია, გულის შემატკივარი, გამრჯე და ერთგული. ხომ იცი,
ახლა დიდი სიფრთხილე გემართებს მოსამსახურის დაჭერაში.
ტუანეტი!

სურათი მუხვიდა

არგანი, ბელინი, ტუანტი

ტუანტი

რას მიბრძანებთ, ქალბატონო?

ბელინი

რად გააჩაერე შენი ბატონი?

ტუანტი (თავს მოიკატუნებს).

მე, ქალბატონო? მაგას რას მიბრძანებთ? მე სულ იმას ვფიქრობ, ჩემი ბატონი რითიმე ვასიამოვნო.

არგანი

შეხედეთ ამ ურცხვსა!

ტუანტი

მაგანა ბრძანა, ჩემი ქალი დიაფუარიუსს უნდა მივათხოვო. მე მოვახსენე, რომ თუმცა საქმრო კარგი ამოგირჩევიათ, მაგრამ ისა სჯობს, თქვენი ქალი მონასტერში მისცეთ-მეთქი.

ბელინი

ურიგოდ არ ამბობს.

არგანი

ოჰ, განა მაგას სიტყვას უჯერებ? მაგ ავმა სულმა რაები არ მაკადრა:

ბელინი

მჯერა, მჯერა, ჩემო სიხარულო, ოღონდ დამშვიდდი. ტუანტი, ყური მომიგდე: თუ კიდევ შენი ბატონი ავიშფოთებია, სახლში აღარ დაგაყენებ. მოიტა, მომეც ამისი ტყავი და ბალიშები, რომ სკამზე კარგად დავსვა. ასე ჯდომა იქნება? ქუდი ყურებამდის ჩამოიცივი; ხომ იცი, კაცი ყურებიდან უფრო გაცივდება.

ა რ გ ა ნ ი

ოჰ, ჩემო ერთგულო, როგორ გადაგიხადო, რა შეწუხებასაც მე შენ გაყენებ.

ბ ე ლ ი ნ ი (გარშემო ბალიშებს შემოუწყობს).

პატარა ზეზე წამოიწიე, რომ ეს ქვეშ ამოგიდო; ამაზე დაეყუდები; ეს მეორე გვერდზე დავდოთ; ეს ზურგს უკან ჩავდოთ; ესეც თავქვეშ დასადებლად იყოს.

ტ უ ა ნ ე ტ ი (ერთ ბალიშს თავზედ ჩამოათარებს).

ესეც იმისთვის, რომ მალლიდან ნამმა არ დაგკრას.

ა რ გ ა ნ ი (წამოხტება და ტუანეტს ბალიშების სროლას დაუწყებს. ტუანეტი გაიქცევა).

გინდა, დამახრჩო, შე უნამუსო!

სურათი მერვე

არგანი და ბელინი

ბ ე ლ ი ნ ი

ეს რა არის, რა ამბავია?

ა რ გ ა ნ ი (თავის სკამზე დაეცემა).

ოჰ, ოჰ, ოჰ! მეტი აღარ შემიძლიან.

ბ ე ლ ი ნ ი

რა არის ეგეთი გაცეცხლება. განგებ ხომ არ უქნია.

ა რ გ ა ნ ი

შენ ჯერ მაგას არ იცნობ, რა ეშმაკობა გამოუვა ხელიდან. სული ამომართვა, რვა მინა წამალი და თორმეტი ოყნა მაინც დამჭირდება, რომ პატარა სული მოვიბრუნო.

ბ ე ლ ი ნ ი

დამშვილდი, ჩემო გვრიტო, ნულარა ჯავრობ.

ა რ გ ა ნ ი

შენა ხარ ჩემი ნუგეში, ჩემო მტრედო.

ბ ე ლ ი ნ ი

უი შენი გულისა!

ა რ გ ა ნ ი

ჩემო სულიკო, მე მინდა შენის სიყვარულის მაგიერი გარდა-
გიხადო და ანდერძი დაგიმტკიცო.

ბ ე ლ ი ნ ი

ეგ პირიდან როგორ ამოუშვი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი,
როგორ გააგონე ეგ ჩემს ყურებს? მარტო ანდერძის ხსენება
შიშით კანკალი ამიტეხა.

ა რ გ ა ნ ი

შენს ნოტარიუსს მაგაზე მოელაპარაკე?

ბ ე ლ ი ნ ი

მოველაპარაკე და თანაც მოვიყვანე.

ა რ გ ა ნ ი

მაშ შემოაყვანინე.

ბ ე ლ ი ნ ი

ოჰ, ჩემო სიცოცხლევ, ვისაც კი ქმარი უყვარს, მაგაებზე რო-
დილა ფიქრობს.

სურათი მცხრამ

დე ბონფუა, ბელინი, არგანო

ა რ გ ა ნ ი

აქეთ მობრძანდით, ბატონო დე ბონფუა; სკამი მოიდგით. ჩემ-
მა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ ძალიან პატიოსანი კაცი ბრძან-

დებით და ჩემი ცოლის კაი მეგობარიც. მე ამას დავაბარე, რომ თქვენთან ანდერძზე მოელაპარაკნა.

ბ ე ლ ი ნ ი

ოჰ, მე მაგაზე ლაპარაკის ღონე არა მაქვს.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

თქვენმა მეუღლემ მიაძხო თქვენი განზრახვა და სურვილი; მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ანდერძით თქვენს მეუღლეს ვერას გადასცემთ.

ა რ გ ა ნ ი

რატომ ვითომ?

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

ეგ ჩვეულების წინააღმდეგია. ამ ქვეყანაში წერილი კანონები რომ იყოს, მაშინ სხვაა, მაგრამ პარიზში და ზოგს იმისთანა ქვეყნებშიაც, სადაც ჩვეულებაა კანონის მაგიერი, ეგ არ შეიძლება და ანდერძი უქმი იქნება. მეუღლეთ თუ ერთმანეთის სიკეთე უნდათ, სიცოცხლითვე უნდა გადასცენ ერთმანეთს ქონება და ესეც მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, თუ ორივენი უშვილონი არიან.

ა რ გ ა ნ ი

შეარცხვინა ღმერთმა მაგისთანა ჩვეულება, რომელიც ქმარს უშლის თავისი ქონება თავის საყვარელს და მოამაგე ცოლს გადასცეს, მე ჩემს ვეჟილს დავეკითხები, როგორ უნდა მოვიქცე მაგ შემთხვევაში.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

ეგ ვეჟილების საქმე არ არის. ისინი ძალიან მკაცრად იქცევიან და ასე ჰგონიათ დიდი ბოროტმოქმედებაა კანონის გაცურებაო. იმათ ყველაფერი უძნელდებათ და თავიანთ სინდისს ბრმად მისდევენ. თქვენ სხვა პირთ უნდა დაეკითხოთ; იმათ, რომელთანაც საქმის დაჭერა უფრო ადვილია, რომელთაც მრავალგვარი საშუალება აქვსთ კანონის გადასვლისა და აკრძალულის გამართლებისა; იმათ, რომელთაც შეუძლიანთ სიძნე-

ლის დამარცხება და ჩვეულების გადაბიჯება. უიმათოდ ვინ იცის, რა დაგვემართებოდა! უნდა კაცმა ყოველისფერი გააადვილოს, თუ არა და ჩვენი ხელობა რა ხელობაა.

ა რ გ ა ნ ი

ჩემმა ცოლმა მართალი მითხრა თქვენზე, მოხერხებული და პატიოსანი კაციო. ახლა, არ შეიძლება, მიბრძანოთ, როგორ მოვახერხო, რომ ჩემი ქონება მაგას გადავცე და ჩემი შვილები ცარიელზე დავტოვო.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

როგორ მოახერხოთ? თქვენ უნდა ამოირჩიოთ თქვენი ცოლის ერთი კარგი მეგობარი, რომელსაც წესიერად დაუმტკიცებთ ანდერძით, რისი მიცემა გინდათ; ის მეგობარი მასუკან ყოველისფერს დაუბრუნებს თქვენს ცოლს. შეგიძლიანთ კიდევ თქვენი ფული გაასესხოთ და თამასუქები თქვენს ცოლს მისცეთ. შეგიძლიანთ აგრეთვე, სიცოცხლითვე ჩააბაროთ ნაღდი ფული.

ბ ე ლ ი ნ ი

რაზე იწუხებ თავსა, ჩემო სიცოცხლევ, თუ ღმერთი გამიწყრება და შენ აღარ მეყოლები, რილასთვის ვიცოცხლო ქვეყანაზე!

ა რ გ ა ნ ი

ჩემო სიცოცხლევ!

ბ ე ლ ი ნ ი

შენი დამკარგავი...

ა რ გ ა ნ ი

ჩემო გვრიტო!

ბ ე ლ ი ნ ი

რალად გამოვიყენებ ამ ფუჭ სიცოცხლეს.

ა რ გ ა ნ ი

ჩემო მტრედო!

ბ ე ლ ი ნ ი

მე საფლავში თან ჩამოგყვები: მე უშენოდ როგორღა გავძლები

ა რ გ ა ნ ი

გულს ნუ მიხეთქავ, შენ გეთაყვანე.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

ტყუილად იწუხებთ თავს ტირილით; ჯერ სატირალი არა გაქვთ რა.

ბ ე ლ ი ნ ი

ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით, რა არის საყვარელი ქმარი ქალისთვის.

ა რ გ ა ნ ი

თუ მოვკვდები, დარდად მხოლოდ ეს ჩამყვება, რომ შენგან შვილი არა მყავს! მაგრამ პიურგონმა კი მითხრა, რომ ერთს მაინც უეჭველად გაყოლებთო.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა.

ა რ გ ა ნ ი

მაშ, ჩემო გვრიტო, როგორც ეს ბატონი ბრძანებს, ისე შევადგინოთ ანდერძი. ახლავე ხელში შვიდასი თუმნის ოქროს მოგცემ, ჩემს მუთაქაში მაქვს ჩადებულნი და ორს თამასუქს, ერთს დამონზე და მეორეს ჯერანტზე.

ბ ე ლ ი ნ ი

არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მე არაფერი არ მინდა რა... რამდენი ოქროა შენს მუთაქაში?

ა რ გ ა ნ ი

შვიდასი თუმნისა, ჩემო გვრიტო.

ბ ე ლ ი ნ ი

რა დროს ფულზე ლაპარაკია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... რამდენისაა ის ორი თამასუქი?

ა რ გ ა ნ ი

ერთი ორასი თუმნისა და მეორე ას ოცდაათისა.

ბ ე ლ ი ნ ი

რა არის ჩემთვის მთელი ქვეყნის ქონება, თუ შენ არ მეყო-
ლები.

დ ე ბ ო ნ ფ უ ა

გნებავთ, ანდერძი შევადგინოთ.

ა რ გ ა ნ ი

ღიახ, ბატონო; მაგრამ ისა სჯობს ჩემს პატარა ოთახში შე-
ვიდეთ; ხელი მომეცი;

ბ ე ლ ი ნ ი

წავიდეთ, ჩემო პაწია!

სურათი მათე

ანჯელიკი და ტუანეტი

ტ უ ა ნ ე ტ ი

ნოტარიუსიც მოუყვანიათ და ანდერძზე ლაპარაკსაც ყური მოვ-
კარ. შენს დედინაცვალს ჭკუას ვერავინ ასწავლის. რაღაც შეთ-
ქმულება გაუმართავს შენს წინააღმდეგ და მამაშენიც ჩაუთ-
რეგია.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ქონებას რაც უნდა უყონ, ოღონდ ჩემს გულს დაეხსნან. ზომ
ხედავ, ტუანეტი, ჩემს სურვილს როგორ ძალას ატანენ. ნუ და-
მანებებ თავს ამ უკიდურეს მდგომარეობაში.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე შენ უნდა თავი დაგანებო?! უი, უწინაც დღე დამელიოს.
შენი დედინაცვალი კი ცდილობს თავისკენ მიმიზროს, მაგრამ
მე იმისკენ გული ვერ მიმივა და ვერც შენ გიღალატებ. მე
მომანდღე ეგ საქმე; მე ვიცი რა სამსახურსაც გაგიწევ. მაგრამ,

თუ გვინდა, რომ საქმე კარგად მოგვიხდეს, უნდა სხვაფრივ მოვიქცე; ჩემგან შენი სიყვარული დაეფარო და ისე ვაჩვენო თავი, ვითომც შენი მამის, დედინაცვლის მხარე მეჭიროს.

ანჯელიკი

ეცადე გეთაყვა, რომ კლევანტს ამ საქმროს ამორჩევის ამბავი შეატყობინო.

ტუანეტი

არ ვიცი, ვინ გავგზავნო, ისევ ჩემს ბებრუცანა საყვარელს, მევახშე პოლიშინელს თუ გავგზავნი. ამისათვის ორიოდ ტკბილი სიტყვა დამჭირდება. ამას თქვენთვის არ დავიშურებ. ამაღამ გვიან იქნება; ხვალ კი სისხამ დილაზე...

სურათი მათეართმება

ანჯელიკი, ტუანეტი
ბელინი (სცენის უკან)

ბელინი

ტუანეტ!

ტუანეტი

აგერ ის მიძახის. ღამე მშვიდობისა. შენ ფიქრი ნუ გაქვს.

მეორე მოქმედება

სურათი პირველი

კლევანტი და ტუანეტი

ტუანეტი

რა გნებავთ, ყმაწვილო?

კლევანტი

რა მნებავს?!
782

ტ უ ა ნ ე ტ ი

ოჰ, თქვენა ბრძანებულხართ; აქ რამ მოგიყვანათ?

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე იმან მომიყვანა, რომ მინდა ჩემი ბედი შევიტყო, ჩემს საყვარელს ანჯელიკს ველაპარაკო, დავეკითხო იმის გულს და ვათქმევინო, რას ფიქრობს ამ გათხოვებაზე. ეს არის ახლა შევიტყვე მე ეგ საშინელი ამბავი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ღიახ, კარგი, მაგრამ ანჯელიკთან ლაპარაკი აგრე ადვილი არ გახლავთ; უნდა სხვა გზა მონახოს კაცმა; ხომ იცით, მწარედ გამომწყვდელი ჰყავთ; არც კარში უშვებენ და არც არავისთან ალაპარაკებენ. ერთს ამის ბებერს მამიდას რომ არ მოენდომა თეატრში წასვლა და ანჯელიკის თან წაყვანა, თქვენ ერთმანეთს ვერ შეხვდებოდით და არც ეგ ცეცხლი გაგიჩნდებოდათ გულში. რაღა თქმა უნდა, რომ იმ ამბავზე კრინტიც არ დაგვიძრავს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე ხომ როგორც კლენტი არ მოვდივარ, რომ სიყვარული გამოვუცხადო. მე ანჯელიკის მუსიკის მასწავლებლის მეგობარი ვარ და იმან ნება დამრთო, მის მაგივრად მოვსულიყავ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აგერ იმისი მამა; პატარა უკან დადექით; მე ვეტყვი, მუსიკის ოსტატია-მეთქი.

სურათი მეორე

არგანი და ტუანები

ა რ გ ა ნ ი (თავისთავი მარტო ჰგონია).

პიურგონმა დამარიგა, ყოველ დილით შენს ოთახში ისეირნეო; თორმეტჯერ გაიარე და თორმეტჯერ გამოიარეო: მაგრამ ის რომ ვერა ვკითხე, სიგრძეზე უნდა გაეიარო, თუ სიგანეზე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ბატონო, აგერ ერთი..

ა რ გ ა ნ ი

ხმადაბლა ილაპარაკე, შე ბრიყვო! ლამის თავი გამომილაყო. ეგ როგორ არ იცი, რომ ავადმყოფს აგრე არ უნდა დაუღრიალო!

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე უნდა მომეხსენებინა, ბატონო, რომ...

ა რ გ ა ნ ი

ხმადაბლა-მეტქი, მე შენ გეუბნები.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ბატონო. (ვითომ ყურში უჩურჩულებს.)

ა რ გ ა ნ ი

როგორა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მოგახსენებთ, რომ... (კიდევ ყურთან ტუჩებს მიიტანს და აცმაცუნებს.)

ა რ გ ა ნ ი

რაო, რას ამბობ?

ტ უ ა ნ ე ტ ი (ხმამალა).

მე ვამბობ, რომ ერთს კაცს თქვენთან ლაპარაკი უნდა.

ა რ გ ა ნ ი

მოვიდეს. (ტუანეტი კლეანტს შემოსვლას ანიშნებს.)

კლინტი, ტუანეტი, არგანი

კლ ე ა ნ ტ ი
ბატონო...

ტ უ ა ნ ე ტ ი
ეგრე მალლა ნუ ლაპარაკობთ, ბატონს თავს ნუ გამოულა-
ყებთ.

კლ ე ა ნ ტ ი
მადლობა ღმერთს, ბატონო, რომ ზეზედა გხედავთ და ეგრე
კარგადა ბრძანდებით.

ტ უ ა ნ ე ტ ი (ვითომ ჯავრობს).
როგორ თუ კარგადა ბრძანდება! სრულებითაც არა ბრძანდება
კარგად, სულ ავადმყოფობს.

კლ ე ა ნ ტ ი
მე კი გავიგონე, რომ ძალიან კარგადა ბრძანდებო; ფერიც
ძალიან კარგი აქვს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ვინ გითხრათ კარგი ფერი აქვსო? ძალიან ცუდი ფერი აქვს;
ეგ ვილაცა მეტიჩრებს მიუქარავთ და უთქვამთ, კარგად არისო;
ეს თავის დღეში ესე ავად არა ყოფილა.

ა რ გ ა ნ ი
მართალს ამბობს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
მართალია, სხვასავით დადის, სძინავს, სჭამს და სვამს, მაგრამ
მაინც ძალიან ავად არის.

ა რ გ ა ნ ი
სწორედ მართალია.

50. ფრანგული ღრამა

ქ ლ ე ა ნ ტ ი

ძალიან ვწუხვარ ზაგისთვის, ბატონო. მე თქვენი ქალის სიმღერის მასწავლებელმა გამომგზავნა; თითონ იმას რამდენიმე დღით სოფელში წასვლა მოუხდა და, რადგან იმისი გულითადი მეგობარი ვარ, თავის მაგიერად დამნიშნა, რომ სწავლება არ შეჩერდესო და რაც იცის თქვენმა ქალმა, არ დაივიწყოსო.

ა რ გ ა ნ ი

ძალიან კარგი. (ტუანეტს) ანჯელიკს დაუძახე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მგონია, ის ეჯობინება, ეს ბატონი იმის ოთახში წავიყვანო.

ა რ გ ა ნ ი

არა, აქ მოიყვანე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

თუ ცალკე არ იქნებიან, კარგად ვერ ასწავლის.

ა რ გ ა ნ ი

ვითომ რატომო?

ტ უ ა ნ ე ტ ი

თქვენ სიმღერა ტყვილად თავს გაგიბრუებთ; თქვენს მდგომარეობაში მყოფს კაცს სიფრთხილე მართებს, არამ ააღელვოს, ტვინი არამ შეურყიოს.

ა რ გ ა ნ ი

ზაგის ფიქრი ნუ გაქვს. მე მუსიკა მიყვარს და უფრო მესიამოვნება... აგერ თვითონვე მოდის. (ტუანეტს) წადი, ნახე, ჩემი ცოლი ჩაცმულია, თუ არა.

არგანი, ანჯელიკი და კლევანტი

არგანი

აქ მოდი, შეილო; შენი მუსიკის ოსტატი სოფელში წასულა და ეს ყმაწვილი გამოუგზავნია თავის მაგიერად.

ანჯელიკი (კლევანტს იცნობს).

ღმერთო!

არგანი

რა იყო, რამ გაგაკვირვა?

ანჯელიკი

მე...

არგანი

რა მოგივიდა, რომ ეგრე აღელდი.

ანჯელიკი

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ამაღლევა.

არგანი

როგორაო?

ანჯელიკი

მე წუხელის სიზმარში ვნახე, რომ საშინელს გაჭირვებულს მდგომარეობაში ვიყავ; ერთი ყმაწვილი კაცი მოვიდა, რომელიც სრულებით ამასა ჰგავდა. მე ვთხოვე იმას შეწევნა და იმან დამიხსნა იმ მწუხარებიდან. აქ რომ შემოველ, მე გამაკვირვა იმისმა მოულოდნელმა დანახვამ, რომელიც მთელი ღამე თვალწინ მიდგა.

კლევანტი

დიდი ბედნიერებაა კაცისათვის, რომ თქვენ იმაზე ფიქრობ-

დეთ, თუნდა ძილში, თუნდა ცხადად და ჩემს ბედს ქვეყანას
შევანატრულებდი, რომ რომელსამე მწუხარებაში გნახოთ და
თქვენის დახსნის ნება მომეცეს; არას დავზოგავდი თქვენს...

სურათი მახუთე

არგანი, ანკელიკი, კლევანტი, ტუანეტი

ტუანეტი

ახლა, ბატონო, მეც თქვენი მხარე მიჭირავს; რაც გუშინ გი-
თხარით, ყველაფერი გადამითქვამს. თქვენს სანახავად მობრძან-
დნენ ბატონი დიაფუარიუსი-მამა და მეორე ბატონი დიაფუა-
რიუსი-შვილი. ოჰ, რა სიძე გეყოლებათ! თქვენ ნახავთ უმშვე-
ნიერესს და უგონიერესს ყმაწვილკაცს; მართალია, ორის სი-
ტყვის მეტი კი არ უთქვამს, მაგრამ მაინც ალტაცებაში მომიყ-
ვანა; თქვენს ქალსაც ძალიან მოეწონება.

არგანი (კლევანტს, რომელიც წასვლას დააპირებს).

აქ დარჩით, ყმაწვილო. მე ჩემს ქალს ვათხოვებ და ახლა მაგის
საქმრო მოუყვანიათ, რომელიც მაგას ჯერ არ უნახავს.

კლევანტი

დიდად მავალებთ, ბატონო, რომ ნებას მაძლევთ, დავესწრო
ასეთ სასიამოვნო შეხვედრას.

არგანი

ის არის შვილი ერთი სანაქებო ექიმისა; ქორწილიც ამ ოთხს
დღეზე მოხდება.

კლევანტი

ძალიან კარგი.

არგანი

მაგის მუსიკის მასწავლებელსაც შეატყობინეთ ეს ამბავი, რომ
ქორწილს დაესწროს.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ბატონი ბრძანდებით.

ა რ გ ა ნ ი

აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, მობრძანდეთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ღირსი არ გახლავართ მაგ პატივისცემისა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ჩამოდექით, მობრძანდებიან.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ძ ვ ს ა

ღიაფუარიუსი, თომა ღიაფუარიუსი, არგანი, ანჯელიკი, კლენტი,
ტუანეტი და ერთი მოსამსახურე

ა რ გ ა ნ ი (ქულზე ხელს დაიდებს, მაგრამ კი არ მოიხდის).
პიურგონმა ამიკრძალა ქულის მოხდა და თქვენც მოგეხსენებ-
ბათ, როგორც ექიმს, რა შედეგი მოსდევს თავის გაშიშვლე-
ბას.

ღ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

ჩვენ იმიტომ დავდივართ, ავადმყოფებს შევეწიოთ და არა
იმიტომ, რომ უსიამოვნება მივაყენოთ.

(არგანი და ღიაფუარიუსი, ორივენი ერთსა და იმავე დროს
ლაპარაკობენ.)

ა რ გ ა ნ ი

მე, ბატონო, დიდად...

ღ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

ჩვენ მოვედით აქ, ბატონო...

ა რ გ ა ნ ი

მოხარული ვარ...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
მე და ჩემი შვილი თომა...

ა რ გ ა ნ ი
თქვენის ნახვისა...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
რათა აღვიაროთ...

ა რ გ ა ნ ი
და უფრო მოხარული ვიქნებოდი...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ჩვენი უზომო სიხარული...

ა რ გ ა ნ ი
შემძლებოდა თქვენთან ხლება...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
იმ წყალობისთვის...

ა რ გ ა ნ ი
რომ გადამეხადა თქვენი პატივისცემა...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
რომელიც თქვენ ჩვენ მოგვანიჭეთ...

ა რ გ ა ნ ი
მაგრამ თქვენ თვითონ იცით, ბატონო...

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
და ინებეთ...

ა რ გ ა ნ ი
რა არის უძლური ადამიანი...

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ჩვენთან კავშირი...

ა რ გ ა ნ ი
რომელსაც იმის მეტი არა შეუძლიან რა...

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
და რათა გაცნობოთ...

ა რ გ ა ნ ი
რომ სიტყვით მოგახსენოთ...

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
რომ რაც ჩვენს ხელობას შეეფერება...

ა რ გ ა ნ ი
როგორ ეცდება ყოველს შემთხვევაში...

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
და აგრეთვე სხვა ყოველს საქმეს...

ა რ გ ა ნ ი
გაცნობოთ...

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ჩვენ მზად ვიქნებით...

ა რ გ ა ნ ი
მისი თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა.

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
თქვენის სამსახურისა. (თავის შვილს) აბა, თომა, რაღას უყუ-
რებ, საღამი მიართვი.

თ ო მ ა (თავის მამას).
ჯერ მამას ვუთხრა?

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ღიახ.

თ ო მ ა (არგანს).

მე მოველი, რათა გიწამოთ, აღვიაროთ, შეგიყვაროთ და თაყვანი გცეთ, ვითარცა მეორესა მამასა ჩემსა, მეორესა მამასა, რომლისადმი მაწევს მე ვალი მომეტებული, ვიდრე პირველისადმი, რადგან პირველმა მე ჩამსახა და თქვენ ამომირჩიეთ. მან მე მიმიღო შვილად ძალითა საჭიროებისათა და თქვენ მიმიღეთ ძალითა წყალობისა თქვენისათა; რაიცა მომანიჭა მე პირველმან, მომანიჭა, ვითარცა ნაყოფსა სხეულისა მისისასა; რაიცა მომანიჭეთ მე თქვენ, მომანიჭეთ, ვითარცა ნაყოფსა ნებისა თქვენისასა და ვითარცა ნიჭიერებანი სულიერნი აღემატებიან ნიჭიერებათა ხორციელთა, ეგრეცა ვარ მე ვალდებული თქვენდა და ვრაცხ უძვირფასესად მომავალსა კავშირსა ჩვენსა, რომლისათვისაც მოველ წინაშე თქვენსა, რათა განვიცხადოთ მადლობა უმდაბლესი და პატივისცემა უაღრესი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

გაუმარჯოს იმ სკოლას, საიდანაც ამისთანა სწავლულები გამოდიან.

თ ო მ ა (თავის მამას).

კარგადა ვსთქვი, მამა?

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

ძალიან კარგად.

ა რ გ ა ნ ი (ანჯელიკს).

მოდო, მიესალმე.

თ ო მ ა (თავის მამას).

მამილო, ვაკოცო?

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

ღიახ, ღიახ.

თომა (ანჯელიკს).

სრულის სიმართლით მიუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი
კარგი დედისა, რადგან...

არგანი (თომას).

ეგ ჩემი ცოლი არ გახლავთ, ჩემი ქალია.

თომა

ის სადღაა?

არგანი

ახლავე მოვა.

თომა

მოეუცადო, მამილო?

დიათუარიუსი

ჭერ შავ ქალს მიესალმე.

თომა

ვითარცა ძეგლი მემნონისა გამოსცემდა ხმათა, სმენათა დამატკ-
ბობელთა, ოდეს სხიენი მზისანი განანათლებდნენ მას, ეგრეცა
აღვტყინდი მე აღტაცებითა ტკბილითა, რა ვიხილე მზე მშვე-
ნიერებათა თქვენთა და ვითარცა მეცნიერნი ბუნებისანი ამტ-
კიცებენ, რომ ყვავილი, სახელწოდებული მზეუჭვრეტად, მიქ-
ცეულ არს დღისა მნათობისადმი, ეგრეცა გული ჩემი აწინ-
დელის ჟამით მიქცეულ იქმნეს ბრწყინვალე მნათობთადმი
თვალთა თქვენთა განსაცვიფრალთა, ვითარცა მიზიდულნი ძა-
ლითა ანდამატისათა. მომეციოთ დართვა ნებისა, რათა შემოგ-
წიროთ მსხვერპლად საკურთხეველსა ზედა თქვენის მშვენიე-
რებისა გული ესე, რომელ არა სუნთქავს და არ ეძიებს არა
რაიმე დიდებასა სხვასა, თვინიერ მისა, რათა იყოს დღემდე
სიკვდილისა თქვენი უმორჩილესი, უმდაბლესი და უერთგუ-
ლესი მონა, მოსამსახურე და ქმარი თომა.

ტუანეტი

აი სწავლა ამან დაიკვეხოს: აი დალოცვილი სიტყვები!

არგანი (კლენტს).

რას იტყვით ამაზე?

კლენტსი

საოცრად ლაპარაკობს და თუ ეგ ყმაწვილი ისეთივე კარგი ექიმია, როგორც ორატორი, ნეტავი მაგის ავადმყოფებს.

ტუანეტი

თუ ისე კარგად არჩენს, როგორც ლაპარაკობს, გასაკვირველი რამ უნდა იყოს.

არგანი

მომეტით ჩემი სკამი და სხვებსაც სკამი მოართვით. (მოსამსახურეები სკამებს მოიტანენ. ანჯელიკს) მანდ დაჯექ, შვილო. (დიაფუარიუსს) ხედავთ, ბატონო, როგორ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოჰყავს თქვენს შვილს; ბედნიერი ხართ, რომ ეგეთი შვილი გყავთ.

დიაფუარიუსი

მე მამობით კი არ ვიტყვი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ მაგისი. ვინცა ნახავს, ყველა ამბობს, ავი არ უნდა იყოსო. მართალია, ცოცხალი გონება არა აქვს, მაგრამ ეგ უფრო ამტკიცებს, რომ გამჭრიახობა არ აკლია, რომელიც ჩვენის ხელობისათვის საჭიროა. პატარაობისას ეგ ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი არ იყო; იყო თავისთვის ჩუმაღ და მშვიდობიანად, ხმას არ იღებდა და არც ბავშვების თამაშობაში ერეოდა; კითხვა ძლივს ასწავლეს; ცხრა წლისას ძლივს შეეძლო ასოების ცნობა. მე ვფიქრობდი, ეს ურიგო არ არის, ნაგვიანევი ხე ნაყოფს უღერო ბევრს მოიტანს-მეთქი; მარმარილოზე უფრო ძნელია ამოჭრა, ვიდრე ქვიშაზე დაწერა, მაგრამ ნაწერი იქ უფრო დიდხანს დარჩება-მეთქი; მძიმე ხასიათი და გონების სისუსტე იმის ნიშანია, რომ შემდეგში სჯას კარგად შეიძლებს. სკოლაში რომ მივეც, ჯერ გაუძნელდა სწავლა, მაგრამ სიძნელეს შეებრძოლა და ზედამხედველები ყოველთვის მიქებდნენ მაგის გულის ყურს და შრომისმოყვარეობას. ბოლოს ბევრი ტანჯვითა და წვალებით კურსის გათავების მოწმობა მიიღო და უკვებრად

მოგახსენებთ, რაც ეს ორი წელიწადია ექიმობასა სწავლობს, მაგას ლაპარაკში ვერავინ აჯობებს. მეცნიერებაზე ბაასის დროს ჩვენს სკოლაში ყველას მაგისი ეშინია და ისეთი ბაასი არ გაიმართება, რომ ეგ ძალდაძალ წინააღმდეგს არ ამტკიცებდეს. ეგ მტკიცეა სჯამი; რასაც ჩააცივდება, აღარ მოეშვება და ყოველ სჯას ლოდიკის უკანასკნელ კუთხემდე მიიყვანს. მაგრამ მე ეს მომწონს მაგაში და იმითი მგავს მე, რომ ყოველისფერში ბრმად მისდევს ჩვენთა წინაპართა სწავლას; ყურში არ შეუშვებს ხოლმე სიტყვას, როდესაც ჩვენის დროის რაღაც ახალს აღმოჩენებზე ლაპარაკობენ, მაგალითად, სისხლის ბრუნვაზე და სხვა ოცობოდო ამბებზე.

თ ო მ ა (ამოიღებს ერთს დიდს, სიგელივით გრძელს ქალაღდს და ანჯელიკს აძლევს).

მე შევებრძოლე სისხლის ბრუნვის მომხრეთ ამ ქალაღდის ძალით და, თუ სურვილი გექნებათ, (არგანს თავს დაუკრავს.) მე წარვუდგენ ამას თქვენს ასულს, როგორც ჩემის გონების პირველს ნაყოფს ნიშნად ღრმა პატივისცემისა.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ბატონო, ეგ რად გამოვიყენო, რა საჭიროა ჩემთვის.

ტ უ ა ნ ე ტ ი (ქალაღდს გამოართმევს).

მომეცით, მომეცით, მე მაგას გამოვიყენებ, როგორც სურათს, ოთახის მოსართავად.

თ ო მ ა (არგანს თავს დაუკრავს და მერე ანჯელიკს ეუბნება). თუ დაგრთავთ ნებას მამათქვენი, გთხოვთ, მობრძანდეთ ამ დღეებში დროს გასატარებლად, როდესაც გავჭრი გვამსა ერთის ქალისასა და ვიწყებ სჯასა მასზე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

კაი შესაქცევს ალაგს გაბატიყობს; ზოგს თავის საყვარელი თეატრში მიჰყავს, მაგრამ ეგ უფრო დიდკაცურია, მკვდარის აღამიანის გაჭრაზე წაიყვანოს.

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

რაც შეეხება ცოლქმრობისათვის და გვარის გასამრავლებლად საჭირო თვისებას, მე გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ უნდა, ჩვენი მეცნიერების ნიშნების მიხედვით, იგი ისეთია, როგორსაც კაცი მოისურვებდა. მაგას აქვს საკმაო ძალა შვილთა გაჩენისა და ისეთი ხასიათისა, რომ სწორედ კარგად შეიძლებს საღის შვილების გამრავლებას.

ა რ გ ა ნ ი

თქვენ ფიქრობთ, მგონი, თქვენს შვილს სასახლის ექიმის ალაგი უშოვნოთ.

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

უნდა გაგიტყდეთ, მე არ მომწონს დიდებული ხალხის ექიმობა; მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ ისევე დაბალს ხალხში დარჩენა სჯობს. დაბალი ხალხი ჩუმიცა; თქვენს მოქმედებას ვერაფერს გაჰკიცხავს; ოღონდ მეცნიერების წესს მისლიოს კაცმა და რაც უნდა მოხდეს, ის არ არის პასუხისმგები. დიდებულებთან კი ეს არის ძნელი, რომ, როცა ავად გახდებიან, გინდა თუ არა, უნდა მოარჩინო.

ტ უ ა ნ ე ტ ი

კაი ბატონები ბრძანებულან; დიდი თავხედობაა, გინდა თუ არა, მომარჩინეო; განა მაგისთვისა ხართ დანიშნული. თქვენი საქმე ჯამაგირის აღება და რეცეპტების წერაა; მასუკან თუ უნდათ, მორჩნენ.

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

სწორად ამბობს. ჩვენი მოვალეობა ავადმყოფის მოვლაში ის არის, რომ წესი და რიგი არ დაეარღვიოთ.

ა რ გ ა ნ ი (კლეანტს).

ახლა ჩემს ქალს სტუმრების წინ არ ამღერებ?

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე თქვენს ბრძანებას ველოდი. მე აზრად მომივიდა, რომ თქვენს

შესაქცევად ერთი ახლახან დაწერილ პატარა რპერტიდამ ვიმ-
ღეროთ მე და თქვენმა ქალმა. (ანჯელიკს ქაღალდს მისცემს.)
აი თქვენი სათქმელი.

ანჯელიკი
ჩემი?

კლექანტი (ხმადაბლა ანჯელიკს).

უარს ნუ იტყვი, თუ ღმერთი გწამს; ახლავე გეტყვი, რაც უნდა
იმღერო. (ხმამალლა.) მე სიმღერიწთვის თუმცა ხმა არა მაქვს,
მაგრამ კმარა სიტყვები წარმოვსთქვა და ქალი ისე მიპასუხებს.

არგანი
ლექსი კარგია?

კლექანტი

ეს გახლავთ პატარა, საჩქაროდ შედგენილი ოპერა; ლექსები
ლექსებს არა ჰგვანან, რადგანაც ისინი არიან უცბად სიყუა-
რულისაგან ჩაგონებულნი.

არგანი
ძალიან კარგი; აბა ვნახოთ.

კლექანტი

აი ოპერის შინაარსი: ერთი ღრმად ჩაფიქრებული მწყემსი უც-
ქერის ერთს წარმოდგენას; უცებ რაღაც ხმაურობა აფხიზლებს;
ის მიიხედავს, დაინახავს ერთს ბრიყვს კაცს, რომელიც ერთს
მწყემსს ქალს უკადრისი სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებს.
ის მიეშველება ქალსა, რადგან ყველანი ვალდებულნი ვართ
ქალს პატივი ვცეთ; ჯეროვანად საჯავს იმ ბრიყვის უგვანობას
და შემდეგ მიუახლოვდება ქალსა; ხედავს ერთ ახალგაზრდა
ქმნილებას, რომელიც მშვენიერის თვალებით აფრქვევს მარგა-
ლიტის მსგავსს ცრემლებს; განა ამისთანა მშვენიერების შეურა-
ცხყოფა იქნებაო: ვინ იქნება ისეთი ბარბაროსი, რომ ამისმა
ცრემლმა გული არ აღუძრასო, ფიქრობს ისა; ცდილობს შეუშ-

როს ეს ცრემლები. მშვენიერი ქალი უმადლის იმ გარჯისთვის ისე ნაზად, ისეთის აღელვებით და ისეთის გულკეთილობით, რომ მწყემსს გულში იმისი სიყვარული ეგზნება; ქალის ყოველი სიტყვა, ყოველი შეხედვა არის სიყვარულის ალის მომდები ისარი, მწყემსის გულის გამგმირი. რა შეედრებაო ქალის მადლობის სიტყვებს; რას არ მოითმენს კაცი, რა შიშსა და საჩველს არ აიტანს სიხარულით, თუ ერთ წუთსაც არის, ამ მშვენიერის ქალისაგან მადლობის სიტყვებს გაიგონებსო? წარმოდგენა თავდება, მაგრამ მწყემსი იმას ყურს აღარ უგდებს; ის ნანობს მხოლოდ, რომ ასე მალე გათავდა და უნდა გაშორდეს იმ საგანგებო ქალს. ამ პირველმა ნახვამ ისეთი ცეცხლი აუწოთ გულში, რომ რამდენიმე წელიწადს ცხარე სიყვარული ვერ აღუნთებდა. აგერ იგრძნო მწყემსმა განშორების მწუხარება; იტანჯება, რომ ველარა ნახავს იმას, რომლის ნახვაც ისე ცოტას ხნით ეღირსა. ცდილობს, რითაც შეუძლიან, მეორედ ნახვის ღონე მოიპოვოს; დღე და ღამე იმისი სახე თვალწინ უდგას. მაგრამ იმ ქალზე ისე უჭირავთ თვალყური, რომ ნახვა შეუძლებელია. სიყვარულის ძლიერება აბედღინებს იმის ცოლად თხოვნას, რადგან უიმისოდ სიცოცხლე აღარ შეუძლიან; ქალი ბრათით ატყობინებს, რომ ის თანახმაა, მაგრამ იმავე დროს სხვა მხრით ეუბნებიან, რომ იმ მშვენიერების მამას გადაწყვეტილი აქვს თავისი ქალი სხვას მიათხოვოს და ყოველისფერი მზად არის საქორწილოდ. რა საზარელი ხვედრი ელის მწყემსსა?! სევდა და მწუხარება მიწასთან ასწორებს; იმას ვერ წარმოუდგენია საშინელი აზრი, რომ მისი ქვეყნიური საუნჯე სხვის ხელში უნდა ჩავარდეს. განწირულებით შეპყრობილი ის პოულობს ღონეს თავის საყვარლის სახლში შესვლისას, რომ შეიტყოს იმისი გრძნობა და თავისი ბედი; ის ხედავს, რომ ყოველისფერი მზად არის იმ საშინელი ქორწინებისათვის; ის ხედავს იქ იმ უღირსს მოცილეს, რომელსაც ქალის ჭირვეული მამა მწყემსის სიყვარულს წინ უყენებს; ის ხედავს თავის სასაცილო მოცილეს ძღვეამოსილს თავის საყვარლის გვერდით, ხედავს, რომ გამარჯვება იმისია და ეს ისე აბრაზებს, რომ თავი ძლივს შეუმაგრებია. ის მწუხარებით შესცქერის თავის საყვარელს; იმისი პატივისცემა და იმის მამის რიდი უშლის სიტყვით გამოთქმას, მხოლოდ თვალებით ლაპარაკობს. ბოლოს,

თავის შემაგრებას თავს ანებებს და სიყვარულით აღტაცებულ
ლი ამას ამბობს:

(მღერის)

ნულარ მტანჯავ, მშენიერო ფილისა,
გადმიშალე შენი ტკბილი გულისთქმა,
მითხარ რამე ჩემის ბედისწერისა,
რა მომელის, სიცოცხლე, თუ სიკვდილი?

ან ჯ ე ლ ი კ ი (მღერის).

მე შენ მხედავ, ტირისი, მოცულს სევდითა,
ამ ბედკრულის ქორწინების მაკერალს;
ცას შევეუტრებ ცრემლიანის თვალითა;
შენ არა გრძნობ ჩემი მწველი ცეცხლის აღს?

ა რ გ ა ნ ი

ოჰო, არ მეგონა, ჩემი ქალი ესეთი მარჯვე იყო; საცა არ გა-
დღუშლი, მღერის.

ქ ლ ე ა ნ ტ ი

ოჰ, ვინ მისცემს მაგ ბედს მიჯნურს ტირისისა,
რომ შენს გულში ჰქონდეს მცირე ადგილი!

ან ჯ ე ლ ი კ ი

არ ვუმაღავ ამას აღარავისა;
შენ მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი წადილი.

ქ ლ ე ა ნ ტ ი

ეს რა სიტყვა გავიგონე მე დღესა?
ჩემს ყურებსა ნუთუ დაეჭერება!
ერთხელ კიდევ გამაგონე, ფილისა,
ამაილე მწუხარება ეჭვისა.

ან ჯ ე ლ ი კ ი

ღიახ, ტირისი, ღიახ, მე შენ მიყვარხარ!

ქ ლ ე ა ნ ტ ი

ერთხელ კიდევ, თუ ღმერთი გწამს! კიდევ სთქვი.

ან ჯ ე ლ ი კ ი

მე შენ მიყვარხარ.

კლექტი

ასჯერ გაიმეორე.

ანჯელიკი

ღიას, ტირისი, ღიას, მე შენ მიყვარხარ.

კლექტი

ჩემს ბედს ახლა არაა შეედრება;
ქვეყნის მეფე და ღმერთი რას მიქვია!
მაგრამ ესე ალტაცება მიქრება,
რადგან გვერდზე მოცილე მომდგომია.

ანჯელიკი

ეგ მოცილე ეამსავით მეჯავრება;
მაგის ცქერა ჩემთვის დიდი ჰიროია.

კლექტი

მამაშენს სურს მაგაზე მითხოვება.

ანჯელიკი

მაგის ქმრობას სიკვდილი მიჩვენია.

არგანი

მერმე მამა მაგაზე რაღას ამბობს?

კლექტი

არაფერს.

არგანი

ქკვიანი მამა კი ყოფილა, თუ მაგ სულელური ლაპარაკის ნებას აძლევს.

კლექტი

აჰა, ჩემო საყვარელო...

(უნდა განაგრძოს სიმღერა.)

არგანი

კმარა, კმარა! ეგ ამბავი დიდი სიმხეცე და სისულელეა, მწყემსი ტირისისი დიდი ბრიყვი ყოფილა და ფილისა ურცხვი და უნამუსო, რომ თავის მამის წინ მაგაებს ბედავს. (ანჯელიკს)

მაჩვენე ეგ ქალაღი, სად არის ეგ სიტყვები დაწერილი, ახლა რომ ამბობდი; აქ ნოტების მეტი არა არის რა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

ეგ არ იცოდით, ბატონო, რომ ამ უკანასკნელ დროს ნოტებით სიტყვების დაწერას ასერხებენ.

ა რ გ ა ნ ი

კარგი, კარგი, ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ნახვამდის. ჩვენ ისეც არა გვიჭირდა რა, თქვენი ახირებული ოპერა რომ არ გაგვეგონა.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე თქვენს შესაქცევად მოგახსენეთ.

ა რ გ ა ნ ი

სისულელე არაფერი შექცევაა. აგერ ჩემი ცოლიც.

სურათი მეხვილე

ბელინი, არგანი, ანჟელიკი, დიაფუარიუსი,
თომა დიაფუარიუსი, ტუანეტი

ა რ გ ა ნ ი

აი, ჩემო საყვარელო, ბატონი დიაფუარიუსის შვილი.

თ ო მ ა

სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი კარგი დედისა, რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა...

ბ ე ლ ი ნ ი

მე დიდად მოხარული ვარ, ბატონო, რომ თქვენი გაცნობა მე-ღირსა.

თ ო მ ა

რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... რადგან დახა-

ტულ არს სახესა ზედა თქვენსა... სიტყვა შუაზე გამაწყვეტი-
ნეთ და დამავიწყეთ, რისაც თქმა მინდოდა.

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

თომა, ეგ სხვა დროსთვის დარჩეს.

ა რ გ ა ნ ი

ნეტავი, ჩემო სიცოცხლე, პატარა ადრე მოსულიყავი.

ტ უ ა ხ ე ტ ი

დიდად დააშავეთ, ქალბატონო, რომ აქ არ იყავით და სარ-
გაიგონეთ ლაპარაკი მეორე მამაზე, მემნონის ძეგლზე და წო-
დებულს მზეუჭვრიტად ყვავილზე.

ა რ გ ა ნ ი

აბა, შვილო, მიეცი ხელი ამ ყმაწვილს, როგორც შენს ქმარს
და შეპფიცე ერთგულება.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მამაჩემო...

ა რ გ ა ნ ი

რა მამაჩემო, რა გინდა სთქვა?

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

გთხოვთ, ეგრე ნუ ჩქარობთ; მოგვეცით დრო ერთმანეთის
გაცნობისა, რომ ჩვენს გულში დანერგდეს ის სიყვარული, რო-
მელიც საჭირო არის თანხმობის დასამყარებლად.

თ ო მ ა

ჩემს გულში ეგ სიყვარული უკვე დანერგილ არს და მოცდა
საჭირო აღარ არის.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

თუ თქვენ გეჩქარებათ, მე სრულებით არ მეჩქარება და უნდა
გაგიტყდეთ, თქვენს ღირსებას ჯერ ეგრეთი შთაბეჭდილება არ
მოუხდენია ჩემზე.

ა რ გ ა ნ ი

ეგ ჯერ საჭირო არ არის; როცა ჯვარს დაიწერთ, მაშინ მორიგდებით ერთმანეთში.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მამაჩემო, ამასა გთხოვთ, ზატარა ვადა მომეცით. ქორწინება ისეთი ჯაჭვია, რომ ამ ჯაჭვით ძალად შეეკრა არ ვარგა და, თუ ეს ყმაწვილი პატიოსანი ბრძანდება, არ მოინდომებს ძალად ვისმეს შერთვას.

თ ო მ ა

ეგ ლოდიკის წინააღმდეგია. შეიძლება, პატიოსანი ვიყო და მაინც კიდეგ თქვენ შეგიერთოთ მამათქვენის ნებადართვით.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ძალად თავის შეყვარება კარგი საშუალება არ არის.

თ ო მ ა

ძველნი მწერალნი მოგვითხრობენ, რომ ძველად ჩვეულებად ჰქონიათ საცოლის ძალით წაყვანა მშობელთ სახლიდამ. ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ არავის ჰგონებოდა, ვითომ ის ქალნი ნებით მისდევდნენ საქმროს.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ძველნი თავისთვის იყვნენ; ჩვენ ახლანდელი ხალხი ვართ; ჩვენს დროში თვალთმაქცობა საჭირო არ არის და როცა მოგვწონს ვინმე, ძალით წაგვრა არ გვეჭირვება. მოითმინეთ, თუ თქვენ მართლა გიყვარვართ, თქვენც ის უნდა გინდოდეთ, რაც მე მინდა.

თ ო მ ა

დიახ, მაგრამ სიყვარული ჩემი ხელუხლებელ უნდა დარჩეს.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მაგაზე შეატყობენ სიყვარულს, თუ კაცი სატრფოს ნებას ემორჩილება. ეს იქნება სიყვარულის ნამდვილი გამოხატულება.

თ ო მ ა

რაც შეეხება სატრფოს მფლობელობას, თანახმა ვარ, რაიცა შეეხება ქალს, უარმიყვია.

ტ უ ა ნ ე ტ ი (ანჯელიკს).

ტყუილი ლაპარაკით თავს რად იტყენ? ეგ ყმაწვილი ტიტინს დაუჩვევიათ და ლაპარაკში არ ჩამოგივარდებათ. რას ეწინააღმდეგებით და რად არა გსურთ ეგ დიდება, რომ თქვენც სწავლულებში გაერიოთ.

ბ ე ლ ი ნ ი

იქნება მაგას უყვარს ვინმე.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

თუ მე მეყვარება ვინმე, ეს სიყვარული ჭკუისა და პატიოსნების წინააღმდეგი არ იქნება.

ა რ გ ა ნ ი

მაშ, აქ მე რის მაჩანჩალა ვყოფილვარ!

ბ ე ლ ი ნ ი

მე რომ შენი ვიყო, ჩემო სიცოცხლე, მაგას ძალით ქმარს არ შევერთავდი. მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მე ვიცი, რისი თქმაც გინდათ და თქვენს კეთილს გულსაც ვიცნობ, მაგრამ იქნება თქვენი რჩევის ასრულება საჭირო არ იყოს.

ბ ე ლ ი ნ ი

ღიან, თქვენისთანა ბრძენი და პატიოსანი ქალი თავის მშობლებს რაღად დაემორჩილება. (ამოიხვერით) ოჰ, უწინ სხვა იყო!

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ქალის მოვალეობასაც თავის საზღვარი უძევს; გონებასა მღწკანონს განა ყველაფერი მორჩილებაზე დაუფუძნებია.

ბ ე ლ ი ნ ი -

როგორც ვატყობ, თქვენ გათხოვება გნებავთ, მაგრამ ამორჩევა
კი თქვენი შეხედულებით გინდათ.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

თუ მამაჩემი იმას არ შემრთავს, ვინც მე მინდა, ამას ვთხოვ
მხოლოდ, რომ იმას მაინც ნუ შემრთავს, რომელსაც მე ვერ
შევიყვარებ.

ა რ გ ა ნ ი

მე ბოდიშს ვინღი თქვენთან, ბატონებო.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

ქმრის შერთვის დროს ყველას თავისი სურვილი აქვს. მე ამ
საქმეში სიფრთხილე მმართველს, რადგან გაგიტყდებით, თუ მე
ქმარს შევიერთავ, მხოლოდ იმისთანას, რომ სულითა და გულით
შევიყვარო და ჩემი სიცოცხლე იმას შევსწირო. ზოგიერთი
ქმარს იმიტომ ირთავს, რომ თავის მშობლებისაგან თვალყურის
დაჭერას მოშორდეს და მასუკან, როგორც უნდა, ისე მოიქცეს.
არიან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ფულისთვის ირთავენ
ქმრებს, მხოლოდ საქვრივოს ეძებენ: ერთი ქმარი მოუყვდებათ,
მეორეს ირთავენ, მეორე მოუყვდებათ, მესამეს და ცდილობენ
ყველას სარჩოს დაეპატრონონ. ამისთანა ქალები, უნდა გაგი-
ტყდეთ, არჩევით არავის არჩევენ და ვინც უნდა იყოს, სულ
ერთია, ოღონდ ფული კი ჰქონდეს.

ბ ე ლ ი ნ ი

დღეს თქვენ ენას ძალას ატანთ და კარგი იქნებოდა, რომ თქვე-
ნი აზრი ბარემ უკლებლად წარმოგეთქვათ.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მე მარტო იმისი თქმა მინდოდა, რაცა ვთქვი.

ბ ე ლ ი ნ ი

შენ, ქალბატონო, ისე თავს გახვედი, რომ შენი გაძლება ალა-
რავის შეუძლიან.

ანჯელიკი

გინდათ, მგონი, უკადრისი რამ გაკადროთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ეგ ცდა ტყუილად ჩაგველით.

ბელინი

შენმა ურცხვობამ ზომას გადააცილა.

ანჯელიკი

ტყვილა სცდილობთ.

ბელინი

შენს სულელურს ამპარტავნობას, შენს გოროზობას, შენს აზრობას ველარავინ ველარ მოითმენს.

ანჯელიკი

რაც უნდა სთქვათ, მაინც თქვენს ჯიბრზე არას გაკადრებთ და თქვენის იმედის გასაცრუებლად ახლავ თვალიდან მოგშორდებით.

სურათი მერვე

არგანი, ბელინი, დიაფუარიუსი, თომა დიაფუარიუსი, ტუანეტი

არგანი (ანჯელიკს მიჰყვირებს).

გამიგონე, მეტი აღარ შემიძლიან; ან ეს ყმაწვილი უნდა შეირთო ამ ოთხ დღეში, ან მონასტერში გიკრავ თავსა. (ბელინს) შენ ნუ იშფოთებ გულსა, ჩემო სულისდგმავ, მე ვიცი და მაგან.

ბელინი

მე დიდათა ვწუხვარ, რომ შენ თავი უნდა დაგანებო, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ ქალაქში ერთი ძალიან საჭირო საქმე მაქვს; მალე დავბრუნდები.

არგანი

წადი, გეთაყვა და ნოტარიუსთანაც შეიარე, უთხარი, ის საქმე დააშუროს.

ბ ე ლ ი ნ ი
მშვიდლობით, ჩემო კარგო.

ა რ გ ა ნ ი
მშვიდლობით, ჩემო სიცოცხლე.

სურათი მეცხრე

არგანი, დიაფუარიუსი, თომა დიაფუარიუსი, ტუნეტი

ა რ გ ა ნ ი
აი, ცოლისაგან სიყვარული ასეთი უნდა! ძნელი წარმოსადგენია,
როგორ ვუყვარვარ.

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ახლა კი, ბატონო, ჩვენ შინ უნდა გიახლოთ.

ა რ გ ა ნ ი
ჯერ ერთი მნახეთ, როგორა ვარ.

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი (მაჯას უსინჯავს).
აბა, თომა, მეორე ხელი შენ 'გამოართვი და ვნახოთ, რას გვე-
ტყვი ამ მაჯაზე.

თ ო მ ა
მე მოგახსენებთ, რომ მაჯა ესე არ არის მაჯა კარგამყოფისა.

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
კარგი.

თ ო მ ა
რომ ეს არის მკაცრი, რათა არა ვთქვათ უმკაცრესი.

დ ი ა ფ უ ა რ ი უ ს ი
ძალიან კარგი.

თომა
მხტომი...

დიაფუარიუსი
კარგი.

თომა
და ცოტა მოანჩხლო.

დიაფუარიუსი
ძალიან კარგი.

თომა
ესე არს ნიშანი ავადმყოფობისა პარენქიმასა შინა სპლენი-
ქურსა, ანუ ელენთასა შინა.

დიაფუარიუსი
ძალიან კარგი.

არგანი
პიურგონმა კი მითხრა, ღვიძლი გტკივაო.

დიაფუარიუსი
ღიას, ვინც ამბობს პარენქიმა, ასახელებს ღვიძლსაცა და ელენ-
თასაც. რადგან იმათა აქვთ ერთმანეთთან კავშირი მოკლე ლუ-
ლითა, პილორითა და ლულითა ნაღველისათა. ალბათ ის გირ-
ჩევთ შემწვარი მიირთვათ.

არგანი
არა, წენიანის მეტს არას მაჭმევს.

დიაფუარიუსი
შემწვარი, წენიანი, ეგ სულ ერთია. ძალიან კარგად ურჩევია,
უკეთესს ხელში ვერ ჩავარდებოდით.

არგანი
ბატონო, რამდენი მარილი უნდა ვუყუო ერთს კვერცხსა? ;

დი ა ფ უ ა რ ი უ ს ი

ექვსი კიშეკი, რვა, ათი, წყვილ-წყვილი რიცხვი, როგორც წამ-
ლების მიღება კენტის რიცხვით უნდა. ✓

ა რ გ ა ნ ი

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო.

სურათი მათე

არგანი და ბელინი

ბ ე ლ ი ნ ი

მე მინდა, ჩემო სიხარულო, ვიდრე სხვაგან წავიდოდე, ერთი
ამბავი შეგატყობინო, რომელზედაც თვალყური უნდა გექი-
როს. ანჯელიკის ოთახის წინ რომ გავიარე, ერთი ყმაწვილი
კაცი ვნახე იმასთან; დამინახა თუ არა, მაშინვე მოჰკურცხლა.

ა რ გ ა ნ ი

ჩემს ქალთან ყმაწვილი კაცი!

ბ ე ლ ი ნ ი

ღიას, შენი პაწია ლუიზონიც იმათთან იყო; ის გაიმბობს ყვე-
ლაფერს.

ა რ გ ა ნ ი

ახლავ აქ გამოგზავნე, ამწუთში. აი ის ურცხვი (მარტო) ახლა
კარგად მესმის, უარს რისთვისაც მეუბნებოდა.

სურათი მეთერთმეტე

არგანი და ლუიზონი

ლ უ ი ზ ო ნ ი

რა გინდა, მამილო? დედამ მითხრა, მამა გიბრძანებსო.

ა რ გ ა ნ ი

აქ მო; წინ წამოდექი; ასე მობრუნდი: აბა შემომხედე. ეგრე თვალში მიყურე. აბა?

ლ უ ი ზ ო ნ ი

რაი, მამა?

ა რ გ ა ნ ი

აბა?

ლ უ ი ზ ო ნ ი

რაი?

ა რ გ ა ნ ი

შენ მე რაღაც უნდა მითხრა.

ლ უ ი ზ ო ნ ი

თუ გინდა, მამილო, მე ვირის ტყავის ზღაპარს გეტყვი, ან არა და ყვავისა და მელიის არაკს, გუშინ რომ მასწავლეს.

ა რ გ ა ნ ი

მე მაგას არა გკითხავ.

ლ უ ი ზ ო ნ ი

მა რასა, მამა?

ა რ გ ა ნ ი

აი შე ეშმაკის ბარტყო, ვითომ არ იცი რასაცა გკითხავ.

ლ უ ი ზ ო ნ ი

მაპატიე, მამილო.

ა რ გ ა ნ ი

განა ეგრე უნდა მემორჩილებოდე?

ლ უ ი ზ ო ნ ი

რაი, მამა?

ა რ გ ა ნ ი

მე შენ არ გითხარი, რაცა ნახო, ყველაფერი შემატყობინე-
მეთქი.

ლ უ ი ზ ო ნ ი

ჰო, მამა.

ა რ გ ა ნ ი

მერე შეასრულე ჩემი ბრძანება?

ლ უ ი ზ ო ნ ი

აქი ყველას გეუბნები.

ა რ გ ა ნ ი

დღეს რალა ნახე?

ლ უ ი ზ ო ნ ი

არაფერი.

ა რ გ ა ნ ი

არაფერი?

ლ უ ი ზ ო ნ ი

არაფერი.

ა რ გ ა ნ ი

მართლა არაფერი?

ლ უ ი ზ ო ნ ი

ნამდვილად არაფერი.

ა რ გ ა ნ ი

მაშ, მე გაჩვენებ შენს სეირს.

ლ უ ი ზ ო ნ ი (დაინახავს, რომ არგანი წკეპლის კონას აიღებს).

აჰ, მამილო!

ა რ გ ა ნ ი

აჰ, შე პატარა თვალთმაქცო, მაშ, არ მეტყვი, ვინ იყო შენი ღის
ოთახში?

ლ უ ი ზ ო ნ ი (ტირილით).

მამილო.

ა რ გ ა ნ ი (ლუიზონს ხელს წაავლებს).

სიცრუემ ეგ იცის.

ლ უ ი ზ ო ნ ი (დაიჩოქებს).

მაპატიე, მამილო; მე ანჯელიკმა მითხრა, ნურას ეტყვიო, მაგ-
რამ მე შენ ყველას გეტყვი.

ა რ გ ა ნ ი

ჯერ უნდა გაგწვიბო და მასუკან მიამბე.

ლ უ ი ზ ო ნ ი

მაპატიე, მამა.

ა რ გ ა ნ ი

არა, არ იქნება.

ლ უ ი ზ ო ნ ი

ნუ მცემ, მამილო.

ა რ გ ა ნ ი

უნდა გცემო.

ლ უ ი ზ ო ნ ი

თუ გიყვარდე, მამა, ნუ მცემ.

ა რ გ ა ნ ი (წკებლების დარტყმას დააპირებს).

აქ მო, აქ მო.

ლ უ ი ზ ო ნ ი

ვაიმე! სისხლი მოგკვდი (ვითომ კვდება.)

ა რ გ ა ნ ი

ვაიმე! ლუიზონ, შვილო ღმერთო! ეს რა მომივიდა ვაიმე, უბედურს! ჩემი პაწია გოგო მომიკვდა. ეს რა ვქენი, ვაიმე, ღმერთმა დასწყევლოს ეს წყებლები! კირმა კი წაილოს! ჩემი გოგუნა, ჩემი პაწია ლუიზონი!

ლ უ ი ზ ო ნ ი

ნუ ტირი, მამილო, მე ჯერ მთლად არ მოემკვდარვარ.

ა რ გ ა ნ ი

ხედავ ამ თვალთმაქცსა! კარგი, ახლა მიპატიებია, მაგრამ ყველაფერი კი უნდა მითხრა.

ლ უ ი ზ ო ნ ი

ყველაფერს გეტყვი.

ა რ გ ა ნ ი

გამიფრთხილდი; თუ გიცრუენია, ჩემი ნეკი ყველაფერს მეტყვის.

ლ უ ი ზ ო ნ ი

ანჯელიკს კი ნუ ეტყვი, მამა, რომ გითხარი.

ა რ გ ა ნ ი

არ ვეტყვი, ნუ გეშინიან.

ლ უ ი ზ ო ნ ი (მიიხედ-მოიხედავს, ყურს ხომ არავენ მიგდებს-სო).

ერთი ვილაცა მოვიდა ანჯელიკის ოთახში, მე რომ იქ ვიყავი.

ა რ გ ა ნ ი

მერე?

ლ უ ი ზ ო ნ ი

მე ვკითხე, ვინა ხარ-მეთქი და მითხრა, მუსიკის ოსტატი ვარო.

არგანი (იქით).

ჰმ, ჰმ, ახლა კი მივხვდი (ლუიზონს) მერე, მერე?

ლუიზონი

მერე? ანჯელიკე მოვიდა.

არგანი

მერე?

ლუიზონი

იმან უთხრა, წადი, წადიო; სირცხვილიაო!

არგანი

მერე?

ლუიზონი

მერე ის არ წავიდა.

არგანი

მაშ, რას ამბობდა?

ლუიზონი

არ ვიცი, რაღაეზსაც ამბობდა.

არგანი

მაინც?

ლუიზონი

ის ამბობდა, ასეო, ისეო, მიყვარხარო, ძლიერ ლამაზი ხარო.

არგანი

მერე?

ლუიზონი

მერე დაუჩოქა.

ა რ გ ა ნ ი
მერე?

ლ უ ი ზ ო ნ ი
მერე ხელეზზე აკოცა.

ა რ გ ა ნ ი
მერე?

ლ უ ი ზ ო ნ ი
მერე დედა მოვიდა კარებთან და ის გაიქცა.

ა რ გ ა ნ ი
სხვა ხომ არა მომხდარა რა?

ლ უ ი ზ ო ნ ი
არა, მამა.

ა რ გ ა ნ ი
ეს ნეკი რომ რალაცას მეჩურჩულემა. (ნეკს ყურზე მიიდებს.)
მოიცა, ჰო, ჰო! ხედავ, ეს მეუბნება, რომ შენ რალაცა გინახავს
და კი არ მეუბნები.

ლ უ ი ზ ო ნ ი
მამილო, შენი ნეკი ცრუპენტელაა.

ა რ გ ა ნ ი
გამიფრთხილდი.

ლ უ ი ზ ო ნ ი
მამა, ნუ დაუჯერებ ნეკსა; გეფიცები, ტყუის.

ა რ გ ა ნ ი
კარგი, კარგი, ამასაც ვნახავთ. წადი და ყველაფერს ყური უგ-
დე. გასწი. (მარტო.) ბავშვებიც რომ ბავშვებს აღარა ჰგვანან;
გაგონილა ამისთანა ამბავი! დროც არა მაქვს, რომ ჩემს თავს
მოვუარო. ამის მეტი აღარ შემიძლიან. (სკამზე დაჯდება.)

სურათი მეთორმეტე

არგანი და ბერალდი

ბერალდი

რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ძმაო?

არგანი

შენი მტერი იყოს, ძმაო, რომ მე ვარ, საშინლად უქეიფოდ შევიქენ.

ბერალდი

როგორ თუ უქეიფოდ?

არგანი

ისე სუსტადა ვარ, რომ ვერ წარმოიდგენ.

ბერალდი

ეგ ვერაფერი ამბავია.

არგანი

ლაპარაკის ღონეც კი არა მაქვს.

ბერალდი

მე მოვედი ანჯელიკზე მოსალაპარაკებლად: ერთი კაი საქმრო მყავს.

არგანი (გაცხარებული წამოდგება სკამიდან).

იმაზე ნულარაფერს მეტყვი: ის ურცხვი, ის აშარი, ის ოჯახის შემარცხენელი! მე იმას ხვალვე მონასტერში შევამწყვდევი.

ბერალდი

მადლობა ღმერთს, რომ ეგრე უცებ კარგად შეიქენი და ჩემმა მოსვლამ გარგო. საქმეზე მასუქან ვილაპარაკოთ. ახლა კი ერთუ ხროვა მოვიყვანე თანა შენს შესაქცევად, მასუქან უფრო დამ-შვიდებით მოვილაპარაკებთ ჩვენს საქმეზე. ისინი არიან ბოშები

მავრების ტანისამოსში, თამაშობენ, მღერიან და, მგონია, კარგად შეგაქცევენ. პიურგონის რეცეპტს ეგ ემჯობინება.

მ ე ს ა მ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

სურათი პირველი

ბერალდი, არგანი და ტუანეტი

ბ ე რ ა ლ დ ი

აბა, ძმაო, ეგ შექცევა არა სჯობდა წამლებით კუჭის წახდენას.

ტ უ ა ნ ე ტ ი

კაი წამლები კარგია.

ბ ე რ ა ლ დ ი

ახლა მე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრა.

ა რ გ ა ნ ი

პატარა მომიცადე, ახლავ დავბრუნდები.

ტ უ ა ნ ე ტ ი

დაიჭით ეს ჯოხი; ეგ როგორ არ იცით, რომ უჯოხოდ გავლა არ შეგიძლიანთ.

ა რ გ ა ნ ი

მართალს ამბობს.

სურათი მეორე

ბერალდი და ტუანეტი

ტ უ ა ნ ე ტ ი

თუ ღმერთი გწამთ, ბატონო, თქვენის ძმისწულის საქმეს თავს ნუ დაანებებთ.

52. ფრანგული ღრამა

ბერალდი

ვეცდები, რითაც კი შემძლიან, იმის სურვილი ავასრულო.

ტუანეტი

ეს გათხოვება რომ დაუყინია ბატონს, უეჭველად უნდა დავაშლევინოთ. მე ფიქრად მომივიდა, რომ კარგი იქნება ერთი ექიმი ვიპოვნოთ ვინმე, გავაცნოთ ბატონს და ისე მოვახერხოთ, რომ იმან ახლანდელი წამლობა დაუწუნოს და პიურგონი უძაგოს. რადგან არავინა გვყავს, მევე ვიკისრებ ექიმობას.

ბერალდი

როგორ თუ ექიმობას?

ტუანეტი

ეს სასაცილო ამბავი იქნება. ჭკუა კი არა სჭირია ამ საქმეს, მაგრამ იქნება კი ჩვენ ჩვენსას მივხვდეთ. საქმე მე დამანებეთ და თქვენ თქვენი იცოდეთ. აგერა ბატონიც მობრძანდება.

სურათი მესამე

არგანი და ბერალდი

ბერალდი

ძმაო, ერთი რამ უნდა გთხოვო. მე შენთან სალაპარაკო მაქვს და თავიდანვე ამას გეხვეწები, ლაპარაკის დროს ნუ გაცხარდები.

არგანი

ეგ ადვილი შესასრულებელია.

ბერალდი

რაც გითხრა, ყველაფერზე წყნარი პასუხი მომეც.

არგანი

ბატონი ხარ.

ბერალდი

ჩვენი ბაასის დროს აღელვებასა და გულის მოსვლას თავი დაანებე; საქმე დაწყნარებით გასინჯე.

არგანი

აჰა. ღმერთო ჩემო. ვერ გაათავე ეგ წინასიტყვაობა.

ბერალდი

ერთი ეს გამაგებინე, რამ გაფიქრებინა შენისთანა მდიდარს კაცს და მხოლოდ ერთი ქალის პატრონს, — პატარა ლუიზონი ჯერ ანგარიშში ჩასაგდები არ არის, — რამ გაფიქრებინა იმ ერთადერთი ქალის მონასტერში მიცემა.

არგანი

იმან მაფიქრებინა, რომ ჩემს ოჯახში ბატონი მე ვარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ.

ბერალდი

შენს ცოლს მგონი ისიც არ ეწყინება, შენი ორივე ქალი თავიდან მოიშოროს. ის ისეთი ღვთის მოყვარეა, მოლოზნებადაც რომ ნახოს ისინი, არ ეწყინება.

არგანი

ვაი ჩემი ცოლის ბრალიც თქვენს ხელში; ყოველთვის იმას მივარდებიან; მთელი ქვეყანა იმას გადაჰკიდებია.

ბერალდი

იმას, ძმაო, თავი დავანებოთ. ის იმისთანა ქალია, რომ შენი ოჯახისათვის ცუდს არ მოინდომებს; ფულის მონა არ არის და შენც გასაოცრად უყვარხარ; შენი შვილებიც თავის ღვიძლს შვილებად მიაჩნია; ეგ სულ მართალია; მაგაზე ლაპარაკს ნუღარ გავაბამთ, შენს ქალზე ვილაპარაკოთ: რას დაგიყინებია, გინდა თუ არა, ექიმს უნდა მივათხოვო.

არგანი

იმისთვის დამიყინებია, რომ ჩემთვის გამოსადეგი კაცი მინდა სიძედ მოვიკიდო.

ბ ე რ ა ლ დ ი

ეგ, ჩემო ძმაო, შენს ქალს უნდა მიაწებო. მე ერთი ყმაწვილი კაცი ვიცი, რომელიც უფრო შეჰფერის შენს ქალს.

ა რ გ ა ნ ი

მე კი ის უფრო შემფერის.

ბ ე რ ა ლ დ ი

ახირებულია, შენმა მზემ! შენი ქალი თავისთვის ირთავს ქმარს, თუ შენთვის?

ა რ გ ა ნ ი

თავისთვისაც ირთავს და ჩემთვისაც. მე ჩემს ოჯახში ჩემთვის სასარგებლო კაცი მინდა მყავდეს.

ბ ე რ ა ლ დ ი

მაშ, შენი სიტყვით, როცა შენი პაწია ქალი გაიზრდება, აფთიაქარს შერთავ.

ა რ გ ა ნ ი

რა დამიშლის!

ბ ე რ ა ლ დ ი

ახლა, ხუმრობა გაშვებით, როდემდის უნდა იყო ეჭიმებსა და აფთიაქრებს გადაკიდებული, რად გინდა ავად იყო, როდესაც კაციცა და ბუნებაც გეუბნება, კარგადა ხარო.

ა რ გ ა ნ ი

როგორაო, რას ამბობ?

ბ ე რ ა ლ დ ი

იმას ვამბობ, რომ თუ შენც ავად ხარ, ყველანი ავად ვყოფილვართ; ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი ავადმყოფობისთანა ავადმყოფობა. აი, თუ გინდა დაგიმტკიცებ, რომ შენ ძალიან კარგადა ხარ. შენ იმდენსა ზრუნავ შენს თავზე და მაინც ავადმყოფობა არ გეკარება და სხვას უშენოს შენოდენა წამ-

ლები რომ დაელია, აქამდისინ ათჯერ დაადგებოდა საიქიოს გზას.

ა რ გ ა ნ ი

კიდეც ეგ მაძლებინებს. პიურგონი მეუბნება, სამი დღე რომ მე შენ ყური არ გიგდო, ცოცხალი არ დარჩებო.

ბ ე რ ა ლ დ ი

თუ არ გაუფრთხილდი, ის იმდენს გიგდებს ყურსა, რომ მალე საფლავში ჩაგდებს.

ა რ გ ა ნ ი

შენ, როგორცა ვხედავ, ექიმობა არაფრად მიგაჩნია.

ბ ე რ ა ლ დ ი

უნდა სწორე გითხრა, მე ესე მგონია, თუ კაცს სიმართლე უნდა, ექიმებს თავი უნდა დაანებოს.

ა რ გ ა ნ ი

რაებს ამბობ? როგორ არა გჯერა და არა გწამს, რაც ყველასგან მიღებულია და ყოველთვის მიღებული ყოფილა.

ბ ე რ ა ლ დ ი

მწამს კი არა, მე ესე მგონია, რომ ექიმობისთანა სულელობა კაცს არა მოუგონია რა. მე მაგ საქმეს ფილოსოფოსსავით ვუცქერი და ყოველთვის მასხარაობად მიმაჩნია, როდესაც ვხედავ, რომ ერთი ადამიანი მეორეს მორჩენას აპირებს.

ა რ გ ა ნ ი

მერე რადა გგონია, რომ ერთი ადამიანი მეორეს ვერ მოარჩენს?

ბ ე რ ა ლ დ ი

იმათა, რომ ჩვენი აგებულობა დღემდის საიდუმლოებაა და კაცს იმისი არაფერი გაეგება რა. ბუნებამ თვალეზზე ისეთი სქელი საბურველი ჩამოგვაფარა, რომ მაგ საქმეში ბნელაში დავფათურებთ.

ა რ გ ა ნ ი

მაშ, შენი სიტყვით ექიმებმა არა იციან რა?

ბ ე რ ა ლ დ ი

რატომ, იციან. ლაპარაკში ბევრს მეცნიერების სიტყვას ჩაურთავენ, ლათინურს კარგად გელაპარაკებიან, ყოველს ავადმყოფობას ბერძნულს სახელს უპოვნიან, ასწერენ და თავის ადგილს დაუნიშნავენ, მაგრამ მორჩენისას კი ნურასა ჰკითხავ.

ა რ გ ა ნ ი

მაინც მაგ საქმეში ექიმებმა მეტი იციან.

ბ ე რ ა ლ დ ი

მე შენ გეუბნები, იმათ ის იციან, რაც ავადმყოფს არ გამოადგება და მათი ხელოვნების სიკეთე ის არის, რომ ღრმა ოცობოცო ლაპარაკს მოგიყვება, მიზეზის თქმის მაგივრად ყურებს სიტყვებით გამოგიტენის და, თუ არ მოგარჩენს, დაპირებას ხომ არ დაიშურებს.

ა რ გ ა ნ ი

ახლა, ჩემო ძამია, შენისთანა ჰკვიანი და გონიერიც ბევრი მინახავს, რომ ავადმყოფობის დროს ექიმებს ეკითხებოდეს.

ბ ე რ ა ლ დ ი

ეგ კაცი სისუსტის ნიშანია და არა ექიმების უებარი მკურნალობის ნიშანი.

ა რ გ ა ნ ი

ალბათ ექიმებს სჯერათ, რომ მათი ხელოვნება ნამდვილია, თუ თავის თავსაც იმ ხელოვნებით ირჩენენ.

ბ ე რ ა ლ დ ი

ზოგნი მათგანი ხალხსავით შემცდარნი არიან და სარგებლობაც ხელავენ; ზოგნი კი, თუმცა შემცდარნი არ არიან, მაგრამ მაინც სარგებლობის თავის დანებება არ უნდათ. აი თუნდა პიურგონი ავილოთ; ეგ კაცი თვალთმაქცი არ არის; ეგ თავით

ფეხებამდე ექიმია. იმასა სჯერა, რომ წამლობის წესები მათე-მატიკურს კანონებზე მტკიცენი არიანო და მათი უარყოფა ცოდვა ჰგონია. იმას ექიმობაში არა მიაჩნია რა ბნელად, საექვოდ, საძნელოდ. ის, მტკიცედ გულდაჯერებული, გულდანდობილი, უთავბოლოდ, დაურიდებლად სისხლსაც გამოგიშვებს, სასაქმებელსაც მოგცემს, ფიქრი არაფრისა აქვს. რაც უნდა აგიტეხოს, მაინც არ უნდა გეწყინოს იმისაგან. თუნდა მოგკლას კიდევ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ განგებ არ სჩადის; რაც შენ დაგმართა, იმასვე თავის ცოლსაც, თავის შვილებსაც დამართებს და, თუ გაუჭირდა, თავის თავსაც.

ა რ გ ა ნ ი

შენ იმის სიძულვილი დედის რძესთანვე შეგიწოვია. მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ. რა უნდა ჰქნას კაცმა, როცა ავად გახდება?

ბ ე რ ა ლ დ ი

არაფერი.

ა რ გ ა ნ ი

არაფერი?

ბ ე რ ა ლ დ ი

სრულებით არაფერი. მხოლოდ მოსვენებული უნდა იყო. თუ შენ აგებულებას არ უშლი, თითონვე გამოგიყვანს იმ უწყსო მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენა ვცვივდებით. ჩვენი მოუთმენლობა, ჩვენი მოუსვენრობა, გაცხარება ახდენს საქმეს და, მგონია, ვინც კი კვდება, წამლებითა კვდება და არა ავადმყოფობით.

ა რ გ ა ნ ი

ამაზედაც ხომ არ ახირდები, რომ ჩვენ შეგვიძლიან სხვა და სხვა გზით შემწეობა გავუწიოთ ჩვენს აგებულებას.

რთმ:

ბ ე რ ა ლ დ ი

ეგ აზრები იმიტომა გვაქვს თავში ჩანერგილი, რომ ჩვენთვის

სასიამოვნონი არიან. ადამიანის ტვინს ბევრი იმისთანა ოცობლო აზრები შეუთვისებია, რომელნიც იმიტომ მოგვწონს, რომ იმედის მომცემნი არიან და კარგი იქნებოდა, მართალნი ყოფილიყვნენ; როდესაც ექიმი გეუბნება, მე შევეწევი, ვუშველი შენს აგებულებას, მოვაშორებ, რაც აწყენს და მივცემ, რაც აკლია, გავამთლებ და მოქმედებას გავუადვილებო, როდესაც ის გეუბნება, სისხლს თავის შედგენილებას მივცემ, გულგვამსა და ტვინს გაგიგრძობ, ელენტას დაგიცხრობ, მკერდს გაგიძლიერებ, ღვიძლს მოგიჩინებ, გულს გაგიმაგრებ, ბუნებითს სითბოს მოგიმატებ და შეგინახავ და სიცოცხლეს მრავლის წლით გაგიგრძელებო, მაშინ ის შენ სწორედ ექიმების ზღაპარს გიამბობს. ცხოვრებაში კი ამას ვერაფერს ხედავ და ეს ზღაპარი სწორედ იმ მშვენიერს სიზმრებს ემსგავსება, რომელთაც გამოღვიძების შემდეგ მხოლოდ სინანულში შევყავართ, სიზმარს რად ვუჯერებდით.

ა რ გ ა ნ ი

მამ, მთელი ქვეყნის მეცნიერება შენს თავში ყოფილა! შენ რომ გკითხოს კაცმა, ყველა ჩვენს გამოჩენილ ექიმებზე მეტი იცი.

ბ ე რ ა ლ დ ი

თქვენი გამოჩენილი ექიმები სიტყვასა და საქმეში ერთნი არ არიან. იმათ ლაპარაკს რომ ყური დაუგდო, იმათთანა გონიერი არავინ არის და საქმეზე რომ მივარდება, მაშინ ეტყობათ სრული უმეცრება.

ა რ გ ა ნ ი

კაცმა რომ ყური დაგიგდოს, შენ ყოფილხარ დიდი მეცნიერი. ნეტავი არა მინდა რა ერთ-ერთი ექიმი იყოს აქ, რომ შენი სჯა და სიტყვა პირშივე გაგიქარწყლოს!

ბ ე რ ა ლ დ ი

ექიმებთან ბრძოლა რა ჩემი საქმეა. ყველამ თავისი იცის და რაც მოუვა, თავისივე ბრალი იქნება. მე ამას შენის სიკეთის გულისათვის გეუბნები. მე ის მინდოდა, ცოტა მაგ შეცდომი-

ლებიდან გამომეყვანე და წამეყვანე მოლიერის ერთ-ერთის
კომედიის საყურებლად ამ საგანზე.

ა რ გ ა ნ ი

დიდი უზრდელობა მოსდის, ის ვილაც მოლიერია, რომ იმისთანა
კომედიებსა ბლაჯნის. გაგონილა ექიმებისთანა პატროსანი ხალ-
ხის მასხარად აგდება!

ბ ე რ ა ლ დ ი

ის ხომ ექიმებს არ იგდებს მასხარად; ის დასცინის მხოლოდ
იმას, რაც ექიმობაში სასაცილოა.

ა რ გ ა ნ ი

რა იმისი საქმეა ექიმებში გარევა! ის უგუნური, ის წინდაუხე-
დავი! დასცინის ექიმების რჩევას და იმათ რეცეპტებს, ებრძ-
ვის იმათ წოდებას და იმათთანა დარბაისელ პირთ სათეატროდ
ხდის.

ბ ე რ ა ლ დ ი

თუ სხვადასხვა წოდების ხალხი არ წარმოადგენინა, მაშ ვილა
წარმოადგენინოს; თეატრში ყოველდღე თავადებსა და მე-
ფეებს არდგენენ და ექიმებს არ ეკადრებათ? მგონი იმათზე
უკეთესის ჩამომავლობისა არ არიან.

ა რ გ ა ნ ი

მე რომ ექიმი ვყოფილიყავი, გადავუხდიდი იმის ურცხვობას.
ავად რომ განდებოდა, არაფერს შევეწევოდი, დეე, მომკვლა-
რიყო, რაც უნდა ექნა, ერთი ბეწვის ოდენსაც კი არ გამოვუშ-
ვებდი სისხლსა, ერთ პატარა ოყნასაც კი არ გავუჟეთებდი; ვე-
ტყოდი, ჩაკვდი, ჯანი გაგვარდეს, ეგ გასწავლის ჭკუას, როგორ
უნდა დასცინო ექიმების წოდებასა-მეთქი.

ბ ე რ ა ლ დ ი

შენ იმას ძალიან გაუჯავრებინარ.

ა რ გ ა ნ ი

ის ბრიყვი ისა! ექიმებს რომ ჰკუთა ჰქონდეთ, როგორც ვამბობ, ისე მოიქცეოდნენ.

ბ ე რ ა ლ დ ი

იმას უფრო მეტი ჰკუთა აქვს, ვიდრე შენს ექიმებს; ის იმათ როდი ეტყვის, მიშველეთო.

ა რ გ ა ნ ი

სული ამოუვა, თუ არ იწამლა.

ბ ე რ ა ლ დ ი

ის თავისებურად სჯის, ის ამბობს, რომ წამლების დაღვევა მხოლოდ ღონიერსა და ზორბა ადამიანებს შეუძლიანთო; იმათ იმდენი ძალა აქვთ, რომ თავიანთი ავადმყოფობაც აიტანონ და წამლების სმაცაო. მე კი ჩემის ავადმყოფობის მეტს ვერას ავიტანო.

ა რ გ ა ნ ი

სისულელე შენ სჯა გგონია! კაია, იმაზე ნულარ ვილაპარაკებთ, თორემ ნაღველა გამიცხელდება და უარესად შევიქნები.

ბ ე რ ა ლ დ ი

როგორც გინდა. ახლა სხვაზე ვილაპარაკოთ. იმას ვამბობდი, მე შენ ამასა გთხოვ, რომ შენს ქალს ნუ აძალებ მონასტერში შესვლას იმ მცირე ზიზღისათვის, რომელიც იმან შენგან არჩეულს საქმროს გამოუჩინა. საქმროს ამორჩევაში შენს ცხარე გულს ბრმად არ უნდა მისდიო; შენს ქალსაც უნდა დაეკითხო. ნუ დაივიწყებ, რომ ეგ კავშირი სიკვდილამდე გასწევს და კაცის ბედნიერება ბედნიერს ქორწინებასთან არის დამოკიდებული.

სურათი მეოთხე

არგანი, ბერალდი,
ფლერანი (ხელში ოყნა უქირავს.)

არგანი

შენთან უკაცრავად კი ვიქნები, ძმაო...

ბერალდი

რას აპირებ?

არგანი

ერთი პატარა ოყნა უნდა გავიკეთო; ახლავ გათავდება.

ბერალდი

რაებს ჩადიხარ? ერთს წუთს ვერ გაგიძლია, ან წამალი არ დალიო, ან ოყნა არ გაიკეთო. ეგ საკვლავად დარჩეს, პატარა ხანს მოსვენებით იყავი.

არგანი

ბატონო ფლერან, ეგ ამდამ იყოს, ან ხვალ დილით.

ფლერანი

რა თქვენი საქმეა, რომ მკურნალთ ბრძანებას ეწინააღმდეგებით და უშლით, რომ ეს ოყნა გაიკეთოს! ძალიან თავს გასვლაა ეგეთი კადნიერება.

ბერალდი

წადით, ბატონო, მოგვეშორდით; თქვენი ხელობის კაცი ადამიანის სახესთან ლაპარაკს დაჩვეული არ არის.

ფლერანი

აგრე წამლებთან ხუმრობა ვის გაუგონია? მეც დროს ტყუილად მაკარგვინებთ. მე ექიმის ბრძანებით მოვედი აქა; ახლავე წავალ და პიურგონს მოვახსენებ, რომ მე დამიშალეს იმის ბრძანების და ჩემის ვალის ასრულება. ნახავთ, ნახავთ, რაც მოგივათ.

სურათი მახუთა

არგანი და ბერალდი

არგანი

შენ უეჭველად ხიფათს შემამთხვევ რასმე.

ბერალდი

დიდი ხიფათია, თუ პიურგონის ოყნა არ გაიკეთე! კიდევ გეტყვი და გაწყენინებ: მაშ, ხსნა აღარ არის მაგ წამლების ახირებისაგან? გინდა მთელი შენი სიცოცხლე წამლებში გაატარო.

არგანი

ღმერთო, დამიფარე! შენ ეგრე იმიტომ ლაპარაკობ, რომ კარგად ხარ, აბა ჩემს ადგილას იყო, მალე სხვა ბანს შესძახებდი. როცა კაცს არა სტკივა რა, ადვილია ეჭიმების წინააღმდეგ ლაპარაკი.

ბერალდი

მერე შენ რაღა გტკივა?

არგანი

ნაღველა გამისკდა ამდენი ყბედობით! ნეტავი, რაც მე გტკივა, შენცა გტკიოდეს; ვნახავდი, ეგრე ილაპარაკებდი მაშინაც თუ არა. აგერ პიურგონიც მობრძანდება.

სურათი მემკვსე

პიურგონი, ტუანეტი, არგანი

პიურგონი

კაი ამბები დამახვედრეს შენს კარებთან! ჩემს ბრძანებას აღარ ასრულებენ, სასაცილოდ იგდებენ!

არგანი

ბატონო, ეს მე...

პ ი უ რ გ ო ნ ი

გაგონილა ასეთი თავხედობა; ავადმყოფისაგან ექიმის წინააღ-
მდეგობა!

ტ უ ა ნ ე ტ ი

საშინელი ამბავია!

პ ი უ რ გ ო ნ ი

ჩემი ხელით შედგენილი ოყნა უნდა დაეწუნათ!

ა რ გ ა ნ ი

ეგ მე არ...

პ ი უ რ გ ო ნ ი

აღმოჩენილი და შედგენილი ხელოვნების კანონები!

ტ უ ა ნ ე ტ ი

დამნაშავეა...

პ ი უ რ გ ო ნ ი

რომელსაც უნდა საკვირვლად ემოჭმედნა გულგვამზე!

ა რ გ ა ნ ი

ჩემი ძმა...

პ ი უ რ გ ო ნ ი

ზიზლით უკანვე დააბრუნეს!

ა რ გ ა ნ ი (ბერალზე უჩვენებს).

ეს არის...

პ ი უ რ გ ო ნ ი

ეგ მეტიმეტი კადნიერობაა!

ტ უ ა ნ ე ტ ი

მართალს ბრძანებთ.

პ ი უ რ გ ო ნ ი

ეგ არის მკურნალთ წინააღმდეგ შეთქმულება!

ა რ გ ა ნ ი (ბერალდზე უჩვენებს)

ეს არის მიზეზი...

პ ი უ რ გ ო ნ ი

წოდების შეურაცხმყოფელი ცოდო, რომლისთვის ღირსი სას-
ჯელიც კი ძნელად მოსაპოვებელია!

ტ უ ა ნ ე ტ ი

კეშმარიტია.

პ ი უ რ გ ო ნ ი

ამას იქით მე შენთან საქმეს აღარ დავიჭერ!

ა რ გ ა ნ ი

ჩემი ძმის...

პ ი უ რ გ ო ნ ი

მე აღარ მინდა შენთან კავშირი!

ტ უ ა ნ ე ტ ი

ახია მაგაზე.

პ ი უ რ გ ო ნ ი

იმის დასამტკიცებლად, რომ შენთან ვწყვეტ ყოველგვარ და-
მოკიდებულებას, აი ის ჩუქების ქალაღდი, რომელიც საქორ-
წილოდ მე უნდა ჩემის ძმისწულისთვის მიმეცა! (ხევეს ქალაღდს
და ნაკუწებს მიაბნ-მოაბნევს.)

ა რ გ ა ნ ი

ეს უბედურება სულ ჩემი ძმის ბრალია.

პ ი უ რ გ ო ნ ი

ჩემი ოყნა უარპყო!

ა რ გ ა ნ ი

მოატანიეთ, გავიკეთებ.

პ ი უ რ გ ო ნ ი

ამ ცოტას ხანში მორჩენას გიპირებდი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ახლა ღირსი აღარ არის.

პ ი უ რ გ ო ნ ი

მე მინდოდა გამეწმინდა შენი გვამი და გამეგლო უვარგისი ნივთეულობანი.

ა რ გ ა ნ ი

ოჰ, ჩემო ძმაო!

პ ი უ რ გ ო ნ ი

ერთი დუჟინი მინა წამალი კიდევ რომ დაგელია, სულ გაგწმენ-
დდი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

არ არის ღირსი თქვენი ზრუნვისა, არა.

პ ი უ რ გ ო ნ ი

რადგან არ მოინდომე ჩემის ხელით მორჩენა...

ა რ გ ა ნ ი

ეგ ჩემი ბრალი არ არის.

პ ი უ რ გ ო ნ ი

რადგან შენ უარპყავ მორჩილება, რომელიც ეჭიმს ეკუთვნის...

ტ უ ა ნ ე ტ ი

სწორედ უნდა გადაუხადოთ.

პ ი უ რ გ ო ნ ი

რადგან შენ ჩემგან დანიშნული წამლები შეურაცხყავ...

ა რ გ ა ნ ი
ფიქრადაც არ მომსვლია.

პ ი უ რ გ ო ნ ი
მე შენ მიმინებებიხარ შენს ცუდს აგებულებას, შენის გულ-
გვამის არეულობას, შენის სისხლის წახდენას, შენის ნაღვე-
ლის სიმწარეს, შენის განავლის სიხმელეს!

ტ უ ა ნ ე ტ ი
ეგრე ურჩევნიან.

ა რ გ ა ნ ი
ღმერთო ჩემო.

პ ი უ რ გ ო ნ ი
მე მსურს, რომ ამ ოთხს დღეზე მოურჩენელი გახდე.

ა რ გ ა ნ ი
შემიბრალებთ.

პ ი უ რ გ ო ნ ი
რომ შენ შეგეყაროს ბრადიპეპსია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონ!

პ ი უ რ გ ო ნ ი
ბრადიპეპსიის შემდეგ დისპეპსია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონ!

პ ი უ რ გ ო ნ ი
დისპეპსიის შემდეგ აპეპსია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონ!

პ ი უ რ გ ო ნ ი
აპექსიის შემდეგ ლიენთერია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონს!

პ ი უ რ გ ო ნ ი
ლიენთერიის შემდეგ დიზენაერია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონს!

პ ი უ რ გ ო ნ ი
დიზენთერიის შემდეგ პიდროფიზია!

ა რ გ ა ნ ი
ბატონო პიურგონს!

პ ი უ რ გ ო ნ ი
პიდროფიზიის შემდეგ განშორება სიცოცხლისა, რააც აქ-
ნება შედეგი შენის უკუკუობისა!

სურათი მუხვიღე

არგანი და ბერალდი

ა რ გ ა ნ ი
მოეკვდი, ეს არის, სული ამომივიდა. შენ დამღუპე, დამანელე-
დმერთო!

ბ ე რ ა ლ დ ი
რა არის? რა ამბავია?

ა რ გ ა ნ ი
შეუძლოდ გავხდი; მე ვგრძნობ კიდევ, რომ ჩემზე ჯავრს
ყრილობს.

ბერალდი

სწორედ გაგიუბულხარ. მადლობა ღმერთს კიდევ, არაინა გხედავს. პატარა გული მოიბრუნე, შენს თავს დაუფიქრდი, შიშს ნუ ეძლევი.

არგანი

ვერა ნახე, რა ავადმყოფობას მიქაღდა!

ბერალდი

ეგრე გამოყეყეჩებაც არ ვარგა.

არგანი

არ გესმოდა, ოთხ ღღეზე მოურჩენელს ავადმყოფად გაგხდიო.

ბერალდი

რაო, მერე რომ მესმოდა? წინასწარმეტყველი ხომ არ არის! შენ რომ კაცმა ყური დაგიგდოს, ასე ეგონება, შენი სიცოცხლის ძაფი პიურგონს უჭირავს და თავისი უმალლესი ნებით, თუნდა გააგრძელებს, თუნდა შეამოკლებს. შენი სიცოცხლე შენს ხელშია. პიურგონის წყრომა შენ ისე ვერ მოგკლავს, როგორც იმისი წამლები ვერ გაგამრთელებენ. ეს კარგი მიზეზი იქნება, რომ ექიმებს დაეხსნა; თუ მაინცადამაინც არ დაიშლი, უნდა სხვა იმისთანა ექიმი იპოვნო, რომელიც მაგასავით ცხარე არ იყოს.

არგანი

მაგან იცის ჩემი აგებულება; იცის რა მარგებს და რა მაწყენს.

ბერალდი

უნდა გითხრა, საშინელი ჭირვეული კაცი ხარ! შენ საგნებს უცნაურად ხედავ.

სურათი მერვე

არგანი, ბერალდი, ტუანეტო

ტუანეტო

ბატონო, ერთი ექიმი გეახლათ თქვენს სანახავად.

არგანი
ვინ ექიმი?

ტუანეტი
ავადმყოფების ექიმი.

არგანი
მე მაგას როდი გკითხავ; სახელი მითხარი-მეტქი.

ტუანეტი
მე იმას არ ვიცნობ, მაგრამ ისე მგავს, როგორც შუაზე გაპო-
ბილი ვაშლი. მე რომ დედიჩემის პათიოსნებაზე დარწმუნე-
ბული არ ვიყო, ვიფიქრებდი, ალბად იმას მამაჩემის სიკვდი-
ლის შემდეგ ჩემთვის ერთი პაწია ძმა გაუჩენია მეტქი.

არგანი
შემოიყვანე.

სურათი მესხრა

არგანი და ბერალდი

ბერალდი
აბა, ესეც შენი სურვილი. ერთი ექიმი წაგივიდა, მეორე მოდის.

არგანი
მე მეშინიან, რომ შენმა ქცევამ უბედურება არ დამმართოს
რა.

ბერალდი
კიდეც რა დაგემართა, ველარ გაათავე!

არგანი
არა, რალაც უცნაური ავადმყოფობა მიქადა, სულ გულზე მა-
წევს, ესენი...

სურათი მათე

არგანი, ბერალდი, ტუანეტი (ექიმის ტანისამოსში.)

ტუანეტი

ბოდიშს ვიხდი ბატონო, რომ თქვენს სანახავად გეახელით, რათა გაგიწიოთ სამსახური, რაიცა შეეხება თქვენთვის საჭირო სისხლის გამოშვებასა და ოყნასა.

არგანი

დიდათა გმადლობთ, ბატონო. (ბერალდს) ეს თვითონ ტუანეტი არ არის?

ტუანეტი

თუ უკაცრავად არ გახლდებით, მე ერთი ბრძანება უნდა მივცე ჩემს მსახურს. ახლავე გეახლებით.

სურათი მეთერთმეტე

არგანი, ბერალდი

არგანი

სწორედ პირწავარდნილი ტუანეტია.

ბერალდი

მართლა რომ ძალიანა ჰგავს, მაგრამ ეს ხომ პირველი მაგალითი არ არის. ისტორია სულ ამ ბუნების საკვირველებით არის სავსე.

არგანი

მე კი გაცეებული ვარ და!

სურათი მეთორმეტე

არგანი, ბერალდი, ტუანეტი

ტუანეტი

რას მიბრძანებდით, ბატონო?

არგანი
როგორა?

ტუანეტი
თქვენ არ დამიძახებთ?

არგანი
მე? არა.

ტუანეტი
მაშ ყურებმა თუ მიწივლეს.

არგანი
პატარა ხანს აქ დარჩი; ენახოთ ის ექიმი როგორ გგავს.

ტუანეტი
იჰ, თვალიც დაუდგება! მე ძირს საქმე მაქვს.

სურათი მესამე

არგანი და ბერალდი

არგანი
ორივეს რომ არა ვხედავდე, ასე მეგონებოდა ერთი და იგივე არიან-მეთქი.

ბერალდი
მე ამგვარს მსგავსებაზე ბევრი მიკითხავს. ჩვენს დროშიაც ბევრი იმისთანა შემთხვევა ხდება, რომ ორს პირს ვერაფერ არჩევს ერთმანეთისაგან.

არგანი
მე ამგვარს შემთხვევაში მოვტყუდებოდი და სწორედ დავი-
ფიცავდი, რომ ეს ექიმი ტუანეტია.

სურათი მეთოთხმეტი

არგანი, ბერალდი, ტუანეტი (იქიმის ტანისამოსში.)

ტუანეტი

უკაცრავად გახლავართ თქვენთან, ბატონო.

არგანი (ხმადაბლა ბერალდს).

საკვირველება!

ტუანეტი

იმედი მაქვს არ გაწყრებით, რომ თქვენისთანა გამოჩენილის ავადმყოფის ნახვა შოვინდომე. თქვენი სახელი ისეა ქვეყანაზე გავარდნილი, რომ მომიტევებთ ამ კალნეირებას.

არგანი

მზად გახლავართ თქვენის სამსახურისა.

ტუანეტი

თქვენ მე, ბატონო, გაშტერებული მიცქერით, ხომ არა გსურთ, გამოიცნოთ რამდენის წლისა ვარ.

არგანი

ბევრისა იყოთ, ოცდაექვსისა, ოცდაშვიდისა, მეტისა არ იქნებით.

ტუანეტი

ჰა, ჰა, ჰა! მე გახლავართ ოთხმოცდაათი წლისა.

არგანი

ოთხმოცდაათისა!

ტუანეტი

ღიახ. მე ჩემის ხელოვნების წყალობითა მაქვს ასეთი სალი და ყმაწვილური სახე.

ა რ გ ა ნ ი

ოთხმოცდაათის წლის ბერიკაცი და ასეთი ლამაზი ყმაწვილი
კაცი რომ არ გაგონილა!

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მოგზაური ექიმში გახლავართ; დავდივარ სოფლით სოფლად, სხვადასხვა თემებში, სხვადასხვა სახელმწიფოებში. მე ვეძებ ჩემის ნიჭიერების შესაფერ საქმეს; მე ვეძებ იმისთანა ავადმყოფებს, რომელნიც ჩემის შრომის ღირსნი არიან, რომელთაც გამოადგებათ დიადნი და მშვენიერნი საიდუმლოებანი, აღმოჩენილი ჩემგან ექიმთა ხელოვნებაში. მე ვხადი ჩემთვის უღირსად, დავკარგო დრო რაღაც უბრალო ავადმყოფების მოსარჩენად; მე როგორ შევიწუხებ თავს რაღაც ქარებისა, ანთებისა, ციებისა, თავის ტკივილისა, ჰიპოქონდრიისათვის! მე მეჭირვება ძნელი ავადმყოფობა: კარგი გამოუჩნებელი ციებცხელება, ტვინის ანთება, დამპალი ციება, კარგი წყალმანკი, მაგარი პლევრიტი, ფილტვების ანთებით. აი ჩემი საქმე რა არის; აქ შემიძლიან მე გავიმარჯვო. მე მსურს ბატონო, რომ რაც ავადმყოფობა დაგისახელეთ, სულ თქვენა გჭირდეთ, რომ თქვენ იყოთ ყველა ექიმებისაგან ხელაღებული, უკანასკნელს დღეში, და მაშინ გიჩვენებთ ჩემის წამლების ძალას და ჩემს სურვილს თქვენი სამსახურისას.

ა რ გ ა ნ ი

მადლობელი გახლავართ, ბატონო, მაგ უზომო გულკეთილობისათვის.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აბა, მაჯა მაჩვენეთ! იმუშავე, როგორც წესია! მე გაგასწორებ შენ! ოჰო, ეს მაჯა ძალიან ურჩობს; როგორც ვატყობ, ჯერ მე არ მიცნობს. ვინა გწამლობთ?

ა რ გ ა ნ ი

ექიმში პიურგონი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეგ ჩემს წიგნში არ არის ჩაწერილი გამოჩენილ ექიმთა შორის.
რას გეუბნებათ, რითი ხართ ავადო?

ა რ გ ა ნ ი

ის ამბობს, ღვიძლი გტკივაო და სხვები მეუბნებიან ელენთაო.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ყველანი უმეცარნი ყოფილან. თქვენ ფილტვები გტკივათ და
იმითი ხართ ავადა.

ა რ გ ა ნ ი

ფილტვები?

ტ უ ა ნ ე ტ ი

დიახ. რითი გრძნობთ თქვენს ავადმყოფობას?

ა რ გ ა ნ ი

ხანდისხან თავი მტკივა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

სწორედ ფილტვების მიზეზია.

ა რ გ ა ნ ი

ხანდისხან თვალეზზე თითქო ბინდი მეკვრის.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ფილტვებია.

ა რ გ ა ნ ი

ხანდისხან გულიცა მტკივა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ფილტვებია.

ა რ გ ა ნ ი

ხანდისხან მთელი ტანი დამტვრეულსავითა მაქვს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ფილტვებია.

ა რ გ ა ნ ი
ხანდისხან გულგვამიცა მტკივა, მუცელსა მგვრემს ხოლმე.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ფილტვებია. მადა კარგი გაქვთ?

ა რ გ ა ნ ი
ღიახ, ბატონო.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ფილტვებია. ღვინოსაც ხომ მიირთმევთ ცოტას?

ა რ გ ა ნ ი
გეახლებით.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ფილტვებია. საკმლის მიღების შემდეგ ხომ ძილი მოგდით, ხომ თვალეზი გეხუჭებათ?

ა რ გ ა ნ ი
სწორედ.

ტ უ ა ნ ე ტ ი
ფილტვებია, ფილტვები-მეთქი; სულ ფილტვების მიზეზია. რას გაჭმევთ თქვენი ექიმში?

ა რ გ ა ნ ი
წვნიანს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი

ა რ გ ა ნ ი
ქათამს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი!

ა რ გ ა ნ ი
ხბოს ხორცს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი!

ა რ გ ა ნ ი
ბულიონს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი!

ა რ გ ა ნ ი
ახალ კვერცხებს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი!

ა რ გ ა ნ ი
ღამ-ღამე ჭანჭურს მაჭმევს მუცელში გასაყვანად.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი.

ა რ გ ა ნ ი
ღვინოში ბევრს წყალს მირევს.

ტ უ ა ნ ე ტ ი
უმეცარი, უცოდინარი, უსწავლელი! ღვინო უწყლო უნდა და-
ლიოთ და თქვენის თხელის სისხლის გასასქელებლად უნდა
სჭამოთ კარგი კამბეჩის ხორცი, კარგი ღორის ხორცი, კარგი
პოლანდიის ყველი, ფაფა, ფლავი, წაბლი, შაქრის კვერი და
მახონი, რათა შეწებდეს და მოსქელდეს სისხლი თქვენი. თქვენი

ექიმი დიდი ყეყეჩი ვინმე ყოფილა, მე სხვას გამოგიგზავნით
და მეც, როცა ამ ქალაქში ვიქნები, უნახავს არ გაგიშვებთ.

ა რ გ ა ნ ი

დიდად მავალებთ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ეს მკლავი რად გინდათ?

ა რ გ ა ნ ი

რას მიბრძანებთ?

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე რომ თქვენი ვიყო, მაგას ახლავ მოვაჭრევენივინები!

ა რ გ ა ნ ი

როგორ თუ მოვაჭრევენივინები?!

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვერა ხედავთ, მაგას მთელი საზრდო თავისკენ მიაქვს და მეორე
მხარეს საზრდოობას უშლის!

ა რ გ ა ნ ი

ეგ მართალია, მაგრამ მკლავიც ჩემთვის საჭიროა.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე რომ თქვენი ვიყო, მაგ მარჯვენა თვალსაც ამოვითხრიდი.

ა რ გ ა ნ ი

თვალის ამოთხრა რაღაა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვერა ხედავთ, რომ მეორეს საზრდოსა სტაცებს და სჩაგრავს.
დამიჯერეთ, ჩქარა ამოათხრევენეთ; მასუკან მარცხენა თვალით
უფრო კარგა დაინახავთ.

ა რ გ ა ნ ი

მაგაზე მასუკან ვილაპარაკოთ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მშვიდობით. ვწუხვარ, რომ ასე მალე თავს განებებთ, მაგრამ ერთს ექიმების თათბირს უნდა დავესწრო, სადაც ბაასი იქნება გამართული ერთს კაცზე, რომელიც გუშინ გარდაიცვალა.

ა რ გ ა ნ ი

გუშინ გარდაიცვალაო?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ღიას, ჩვენ გვსურს შევიტყოთ, რითი შეიძლებოდა იმის მორჩენა. ნახვამდის.

ა რ გ ა ნ ი

მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ხომ მოგეხსენებათ, ავადმყოფები არ აცილებენ.

სურათი მათხუთმეაბა

არგანი და ბერალდი

ბ ე რ ა ლ დ ი

აი ეგ უნდა იყოს კაი ექიმი.

ა რ გ ა ნ ი

იქნება, მაგრამ ძალიან კი ჩქარობს.

ბ ე რ ა ლ დ ი

ყოველი გამოჩენილი ექიმი ეგეთია.

ა რ გ ა ნ ი

მკლავი მოიჭერი, თვალი ამოითხარეო, რომ მეორე მკლავი და თვალი კარგად იყვენენო. თუ აგრეა, მე ის მიჩვენეიან, რომ კარგად არ იყვენენ. კაი წამალია, მომარჩინოს, მაგრამ ცალხელა და ცალთვალა გამხადოს!

ორგანი, ბერალდი, ტუანეტი.

ტუანეტი (ვითომ კარში ვილაცხას ელაპარაკება).
თავი დამანებეთ; მე ხუმრობა არ მიყვარს.

არგანი
ვის ელაპარაკები?

ტუანეტი
თქვენს ექიმს უნდოდა ჩემთვის მაჯა გაესინჯა.

არგანი
კარგი-ოთხმოცდაათი წლის ბებერი ყოფილა.

ბერალდი
ახლა ხომ პიურგონსაც წაეჩხუბე; არ შეიძლება ჩემის ძმის-
წულის საქმეზე მოგელაპარაკო?

არგანი
არა, უეჭველად უნდა მონასტერში მივცე, რადგან ჩემს სურ-
ვილს წინააღმდეგა. მე მესმის, რომ მანდ რაღაც არშიყობის
ამბავია. მე შევიტყვე, რომ ჩემი ქალი სხვებს ჩუმად ნახულობს,
სხვამ კი ჯერ არავენ იცის, რომ მე ეს შეტყობილი მაქვს.

ბერალდი
მერე, სწორედ რომ გული მისდიოდეს ვიზედმე, მომაკვდინე-
ბელი ცოდვია? შენ არა შეგარცხვენს რა, თუ სურვილი წმინ-
დაა და ჯვარისწერა განუზრახავთ.

არგანი
რაც გინდა ილაპარაკე, მაინც მოლოზნად უნდა შევიდეს, ეგ
გადაწყვეტილია.

ბერალდი
შენ სხვის ჩაგონებით სჩადიხარ მაგას.

ა რ გ ა ნ ი

ვიცი, ვისაც გადაჰქარი აპ, ღმერთო ჩემო! ჩემი ცოლი რა ყელზე ფხად დაგდგომია.

ბ ე რ ა ლ დ ი

რახან გინდა, გულმართლად ვილაპარაკო, სწორეს გეტყვი; სწორედ შენს ცოლზე მინდოდა ლაპარაკი. მე არც შენი წამლების დაჟინება მომწონს, არც ისა, რომ შენს ცოლს ფეხქვეშ ეგები და ყოველს იმისაგან დაგებულს მახეში ფეხსა ჰყოფ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ნუ, ბატონო, ქალბატონზე ცუდს ნურას იტყვით; სწორედ ანგელოზია; ეშმაკობა იმას არა აქვს რა და ისე უყვარს ჩემი ბატონი, ისე უყვარს, რომ... თქმაც კი მიჭირს.

ა რ გ ა ნ ი (ბერალდს).

ერთი ამას ჰკითხე, როგორ მებაღერსება ხოლმე.

ტ უ ა ნ ე ტ ი

მართალსა ბრძანებს.

ა რ გ ა ნ ი

როგორა სწუხს ჩემის ავადმყოფობისთვის.

ტ უ ა ნ ე ტ ი

გულს ეყრება.

ა რ გ ა ნ ი

როგორ მივლის და თავს დამტრიალებს.

ტ უ ა ნ ე ტ ი

ნამდვილსა ბრძანებს. (ბერალდს) გნებავთ, დაგარწმუნოთ და ახლავე გაჩვენოთ, როგორ უყვარს იმას ჩემი ბატონი? (არგანს) გნებავთ, ამათ თვალები ავუხილო და შეცდომილებას ავაცილო?

არგანი
როგორ მერე?

ტუანეტი

ქალბატონი საცაა მობრძანდება; თქვენ ამ სკამზე გაწეკით და თავი მოიმკვდარუნეთ. ერთი ნახეთ როგორ თავს მოიკლავს, ამ ამბავს რომ გაიგონებს.

არგანი
ძალიან კარგი.

ტუანეტი

დიდხანს კი ნუ აწვალვებთ, თორემ მწუხარება თან გადაიტანს.

არგანი
ეგ შევიცი.

ტუანეტი (ბერალდს).
თქვენ იმ კუთხეში დაიმაღეთ.

სურათი მჩვიდვება

არგანი და ტუანეტი

არგანი
საშიში ხომ არ არის თავის მომკვდარუნება?

ტუანეტი

რა საშიში უნდა იყოს! გაწეკით, ნულარ უყურებთ. (ხმადაბლა)
რა კარგი იქნება, თქვენს ძმას რომ შევარცხვენთ. აგერა ქალ-
ბატონი; ფრთხილად იყავით.

სურათი მეთვრამება

არგანი (სკამზე გაწოლილი), ტუანეტი და ბელინი

ტუანეტი (ვითომ ბელინს ვერა ხედავს).
ვაიმე ბატონო, ვაიმე ამ დღის მომსწრეს!

ბ ე ლ ი ნ ი

რა ამბავია, ტუანეტ?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ვაიმე, ქალბატონო, შენი ჭირიმე!

ბ ე ლ ი ნ ი

რა არის, რა ამბავია?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ბატონი გარდაიცვალა.

ბ ე ლ ი ნ ი

გარდაიცვალა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

დიახ, ქალბატონო, თქვენი ჭირი წაიღო.

ბ ე ლ ი ნ ი

მართლა?

ტ უ ა ნ ე ტ ი

მართალს მოგახსენებთ. ჯერ ეს ამბავი არავის შეუტყვია. მე აქ მარტო გახლდით; ეს არის ახლა ჩემს ხელში დალია სული, ხედავთ ამ სკამზე როგორ გაშობილა.

ბ ე ლ ი ნ ი

მადლობა ღმერთს; ძლივს ეგ ჭირი თავიდან არ მოვიცილე. რამ გაგაგიჟა, ტუანეტ, რასა სტირი?

ტ უ ა ნ ე ტ ი

მე მეგონა, უნდა მეტირნა.

ბ ე ლ ი ნ ი

საქმე გამოგლევია ერთი მითხარ, რა დაგვაკლდა მაგის სიკვდილით? რას მიკეთებდა? ყველას შემაწუხარი, უსუფთაო,

ბილწი, მურტალი, მყრალი! მუდამ წამალი, მუდამ ოყნა, მუდამ ცხვირის ხოცვა, ხველება, ფურთხება! უჭკუო, სულელი, ანჩხ-ლი, ყველას ილაჯის წამრთმევი, ღლე და ღამე ბიჭებისა და გოგოების დამტუქსი!

ტ უ ა ნ ე ტ ი

კაი შესანდობელია!

ბ ე ლ ი ნ ი

ტუანეტ, შენ მე უნდა ჩემის აზრის შესრულებაში ხელი მომიმართო; შენს ერთგულებას უთუოდ გადაგიხდი. ჭერ ვიდრე ეს არავინ იცის, მიშველე, ეს თავის ლოგინზე გადაეიტანოთ და ნურავის რას ვეტყვით, ვიდრე ჩემს საქმეებს მოვაგვარებდე. ქაღალდებია, ფულია; მე მინდა ზოგიერთი რამ ხელში მოვიგდო. მაშ რისთვის შევალიე მაგას ჩემი ახალგაზრდობა. აქ მო, ტუანეტ, ეს გასაღებები შემოვხსნათ.

ა რ გ ა ნ ი (წამოხტება).

მოიცა, მოიცა, ნუ ჩქარობ.

ბ ე ლ ი ნ ი

ვაი!

ა რ გ ა ნ ი

მაშ ეგრე გიყვარვარ?

ტ უ ა ნ ე ტ ი

ჭერ სულ მკედარი არა ყოფილა.

ა რ გ ა ნ ი (ბელინს, რომელიც გარბის).

კარგია, შენი გულის ტკივილი შევიტყვე, გავიგე. შენგან ჩემი ქება. ეს მე ჭკუას მასწავლის, ბევრს საფრთხეს ამაცილებს.

სურათი მცხრამეტი

არგანი, ტუანეტი და ბერალდი (რომელიც კუთხიდან გამოვა, საცა
დამალული იყო.)

ბერალდი

ახლა რაღას იტყვი?

ტუანეტი

ამას თავის დღეში როგორ დავიჭერებდი მოიცადეთ, აგერ
თქვენი ქალიც მოდის. აბა ისევ ისე გაწექით, როგორც იყა-
ვით; ვნახოთ, ის რაღას იტყვის თქვენს სიკვდილზე. ურიგო
არ არის, კაცმა ეს შეიტყოს. თქვენ ხომ არა დაგიშავდებათ
რა და ყველაფერს კი გაიგებთ, რა თვალითაც თქვენი ცოლ-
შვილი გიყურებთ. (ბერალდი დაიმალება.)

სურათი მეოცე

არგანი, ანჯელიკი, ტუანეტი

ტუანეტი (ვითომ ანჯელიკს ვერ ხედავს).
ეს რა საშინელებაა! ეს რა დღე გაგვითენდა!

ანჯელიკი

რასა სტირი, ტუანეტი; რა ამბავია?

ტუანეტი

ვაიმე, ბატონის ქალო, რა ცუდი ამბავი უნდა გაგიმქლავნო.

ანჯელიკი

რა ამბავია?

ტუანეტი

მამათქვენი გარდაიცვალა.

ანჯელიკი

მამაჩემი გარდაიცვალა?

ტუანეტი

ეს არის ახლა სული ამოუვიდა, სისუსტემ თან გადაიტანა.

ანჯელიკი

ამას რას მოვესწარი ეს რა საზარელი ამბავი გავიგონე. მაგის მეტი ვინღა მყავდა ქვეყანაზე, რომ ეგეც არ დამეკარგა, ვაი ჩემს თავს, რომ უკანასკნელი წუთი მე იმას გავუმწარე რაღა ვარ ამ ქვეყანაზედა რითღა ვინუგეშო, მაგისთანა მამის დამკარგავმა

სურათი ოცდამეერთე

არგანი, ანჯელიკი, ტუანეტი, კლეანტი

კლეანტი

რა მოგივიდა, მშვენიერო ანჯელიკ, რას დასტირი?

ანჯელიკი

ვაიმე უბედურსა! მე დავტირი ჩემს ძვირფასს, ჩემს საყვარელს, ჩემს მოამაგე მამას.

კლეანტი

ეს რა მესმის? რა მოულოდნელი უბედურება გწვევიათ. ეს იყო, მე ბიძაშენი მოვიმხრე და ვთხოვე ჩემთვის ეშუამდგომლა; მასუკან ვაპირებდი მოსვლასა; ზვეწნითა და მუდართ ვლამობდი იმის გულის მოლბობას, რომ თქვენი თავი ჩემთვის მოეცა და აი რა სანახავსა ვხედავ.

ანჯელიკი

ოჰ, კლეანტი, რა დროს ეგ არის! რა დროს გათხოვებაზე ლაპარაკია. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველისფერი უარმიყვია. ჩემო ძვირფასო მამავ, თუ მე შენ ურჩობა გავიწიე, ერთს შენს სურვილს მაინც შევასრულებ და მოვინანებ იმ მწუხარ-

რებას, რომელიც მე შენ მოგაყენე. (დაიჩოქებს.) გპირდები
ამას, მამაჩემო, და გთხოვ ჩემი შეცოდების მოტევებას; ნება
მომეცი, რომ უკანასკნელად გამოგესალმო.

ა რ გ ა ნ ი (შემოეხვევა ანჯელიკს).
შვილო!

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი
ვაიმე!

ა რ გ ა ნ ი
აქ მო; ნუ შეგეშინდება; მე ჯერ არ მოვმკვდარვარ. აქ მოდი.
შენა ხარ ჩემი ზორცი, ჩემი სისხლი. ახლა გიცან, რაცა ხარ,
ჩემო ძვირფასო შვილო!

სურათი ოცდამეორე

არგანი, ანჯელიკი, კლენტო, ტუანეტი, ბერალდი

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი

მამაჩემო, რადგან, ჩემდა საბედნიეროდ, ზეცამ თქვენი თავი
დამიბრუნა, ნება მიბოძეთ მუხლმოდრეკით ერთი თხოვნა გა-
გიბედლოთ. თუ ვინც მიყვარს, იმას არ მიმათხოვებთ, თუ
კლენტს არ შემრთავთ, სხვის შერთვას მაინც ნუ დამაძალებთ.
მოიღეთ ჩემზე მხოლოდ ეს მოწყალება.

კ ლ ე ა ნ ტ ი (არგანს დაუჩოქებს).

გზა მიეცით თქვენს გულში ჩვენს ვედრებას; ნუ დაგვიშლით
ჩვენი სიყვარულის დაგვირგვინებას.

ბ ე რ ა ლ დ ი

განა უარის თქმას კიდევ მოახერხებ?

ტ უ ა ნ ე ტ ი.

ამისთანა სიყვარული თქვენ არას გაგრძნობინებს?

ა რ გ ა ნ ი

თუ ექიმი გახდება, ყაბულსა ვარ. (კლევანტს) ჰო, გახლი ექიმი და ქალს მაშინ მოგცემ.

კ ლ ე ა ნ ტ ი

დიდის სიამოვნებით. თუ ამაზე არის საქმე მომდგარი, ექიმი კი არა, თუ გნებავთ აფთიაქარი გაეხდები. ეგ რა დიდი ამბავია, ჩემი კარგი ანჯელიკის გულისთვის რა გამიჭირდება.

ბ ე რ ა ლ დ ი

თუ აგრეა, ჩემო ძმაო, მოდი შენ თვითონ გახლი ექიმად: ის უფრო კარგი არ იქნება, რომ შენვე იყო ექიმი.

ტ უ ა ნ ე ტ ი

აი კაი სიტყვა; აი ეგ მოგარჩენთ მალე. რა ავადმყოფობა იქნება იმისთანა, რომ ექიმიც არ დაინდოს.

ა რ გ ა ნ ი

რას მემასხარავეებით, რალა დროს ჩემი სწავლა!

ბ ე რ ა ლ დ ი

რის სწავლა! შენ საკმაოდ სწავლული ხარ და ბევრი ექიმი ვიცი, რომ შენოდენაც არ იცის.

ა რ გ ა ნ ი

ექიმი ხომ ლათინურს უნდა ლაპარაკობდეს, ავადმყოფობის გარჩევა უნდა იცოდეს; იცოდეს რა წამალი მოუხდება.

ბ ე რ ა ლ დ ი

თუ ექიმების ტანისამოსი ჩაიცვი და იმათებური ქუდი დაიხურე, ყველაფერი გეცოდინება და ისეთი სწავლული გახდები, რომ შენი მოწონებულნი.

ა რ გ ა ნ ი

ექიმების ტანისამოსი რომ ჩაეიცვა, ავადმყოფობის შეტყობა შემეძლება?

ბ ე რ ა ლ დ ი

რასაკვირველია. ოღონდ ის ტანისამოსი გეცვას და ის ქუდი გეხუროს და, რაც უნდა იყბედო, ყოველი სისულელე სიბრძნე ეგონებათ.

ტ უ ა ნ ე ტ ი

თქვენს წვერზე რალსა ბრძანებთ; წვერი თითქმის ნახევარი ექიმია.

კ ლ ე ა ნ ტ ი

მე ყველაფერზე მზად გახლავართ.

ბ ე რ ა ლ დ ი (არგანს).

გინდა, ეგ ყველაფერი ახლავ მოხერხდეს?

ა რ გ ა ნ ი

ახლავე?

ბ ე რ ა ლ დ ი

ახლავ, აქვე, შენს სახლში.

ა რ გ ა ნ ი

ჩემს სახლში?

ბ ე რ ა ლ დ ი

მე იმისთანა მეგობრები მყვანან მაგ წოდებაში, რომ ახლავ აქ მოვიყვან და ექიმად მიგაღებინებ. არაფერი არა დაგიჭდება რა.

ა რ გ ა ნ ი

მერე მე რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო?

ბ ე რ ა ლ დ ი

ყველაფერს თვითონ გასწავლიან, დაგიწერენ, რაც უნდა სთქვა. წადი, რიგიანად ჩაიცვი, ახლავ მოვაძებნინებ.

ა რ გ ა ნ ი
ბატონი ხარ.

სურათი ოცდამეხუთე

ბერალდი, ანჯელიკო, ტუანეტი, კლენტი

კ ლ ე ა ნ ტ ი
რომელს მეგობრებზე ელაპარაკებოდით?

ტ უ ა ნ ე ტ ი
რა გნებავთ, მოახდინოთ?

ბ ე რ ა ლ დ ი
პატარა დროს გავატარებთ, შევექცევით და ჩემს ძმასაც ავი-
ყოლიებთ.

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი
ბიძაჩემო, მამიჩემის ეგრე მასხარად აგდება რას ეგვანება.

ბ ე რ ა ლ დ ი
მასხარად აგდება რად იქნება, თუ რაც უნდა, იმას ვუსრულებთ.
ჩვენ ხომ შიგ გავერევით და ყველას თავ-თავისი როლი გვექ-
ნება; ყველანი ერთმანეთს შევაქცევთ. წავიდეთ, ყოველისფერი
მოვამზადოთ.

კ ლ ე ა ნ ტ ი (ანჯელიკს).
ყაბულსა ხართ?

ა ნ ჯ ე ლ ი კ ი
რახან ბიძაჩემს ნებავს, რალა მეთქმის.

შენიშვნები

პიერ კორნელი

ს ი ღ ი

გვ. 20. პერცოგ დ'ეგიონის ასული — მარი მადლენ დე ვინიერი, მარკიზ დე კომბალეს ქვრივი, კარდინალ დე რიშელიეს დეს-წული.

გვ. 24. წინასიტყვაობა — წინასიტყვაობის ეს ტექსტი პირველად 1648 წლის გამოცემაში დაიბეჭდა.

მანამ, რამდენიმე წლის წინ — კორნელს ციტატა მოაქვს „ესპანეთის ზოგადი ისტორიიდან“, რომელიც ესპანელ ისტორიკოსს პ. მარიანას ეკუთვნის.

ღონ გილემ დე კასტრო (1569—1631) — ესპანელი დრამატურგი, ლაზე დე ვეგას მიმდევარი. გილემ დე კასტროს დრამები „გრაფი ალარკოსი“, „სიდის სიყრბე“ და „სიდის გმირობანი“ ესპანური ხალხური რომანსეროების სიუჟეტზეა შექმნილი.

როლანდი — ფრანკების მეფის, კარლოს დიდის, ლეგენდარული რაინდი, რომელსაც ქება-დიდება აქვს შესხმული ფრანგულ ჰეროიკულ ეპოსში „სიმღერა როლანდზე“.

ესპანეთის ისტორიის ფრანგო ავტორი — ეტყობა, კორნელი აქ ლაპარაკობს ლ. მაიერნ-ტიურკზე, რომლის „ესპანეთის ზოგადი ისტორია“ ლიონში გამოვიდა 1587 წელს.

გვ. 20. ამჭორს ბატონ დე ბალზაკამ დე რომ მიეღწია — გეზ დე ბალზაკი (1597—1654) — გამოჩენილი ფრანგი პროზაიკოსი და პუბლიცისტი. კრიტიკოსების „სიღზე“ თავდასხმის გამო დე სკიუდერი-სადმი მიწერილ ბალზაკის ერთ-ერთ ბარათში იყო ასეთი წინადადება: „...მსაჯულები, რომლებსაც, როგორც ამბობენ, ორივენი დაეთანხმებით“. „სიდის“ „წინასიტყვაობაში“ კორნელი გაცხარებით უარყოფს იმ აზრს, რომ თითქოს იგი ემხრობა „ფრანგული აკადემიის შეხედულებას „სიდის“ ტრაგიკომედიურობის შესახებ“.

მომხიბვლელ ბარათში — იგულისხმება გეზ დე ბალზაკის პასუხი სკიუდერის შენიშვნაზე „სიდის“ გამო: ეს პასუხი მეტად კეთილსასურველი იყო კორნელისათვის. ბალზაკი კერძოდ წერდა: „მთელი საფრანგეთი მას ემხრობა ამ პროცესში... და თქვენი მტკიცებანი რომ შეურყეველიც იყოს და თქვენმა მოწინააღმდეგემ რომ აღიაროს კიდევ, სულ ერთია, მას მაინც შეუძლია იზეიმოს, რადგან მთელ სამეფოს რომ მოე-

წონოს, ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პიესის შედგენა დაკანონებული წესების მიხედვით“.

იმ ორ თვეაღის მომქრელ მარგალიტს, მან რომ მკითხველს ამ ბოლო დროს აჩუქა — იგულისხმება „ბატონ დე ბალზაის რჩეული წერილები“, რომელიც ორ ტომად გამოვიდა 1647 წელს.

გვ. 27. ღვთაებრივი ტრაქტატის ერთ-ერთ კომენტატორს... — კორნელი ლაპარაკობს იტალიელ რობორტელოზე, რომელიც 1548 წელს გამოსცა კომენტარები არისტოტელეს „პოეტიკისათვის“: „ოიდიპოსს მეფე“ — ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს (V ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ტრაგედია.

გვ. 28. გარჩევა — ეს გარჩევა კორნელის თხზულებათა გამოცემებში 1660 წლიდან იბეჭდება.

გვ. 29. ორმოცდაათი წლის განმავლობაში — ეს რიცხვი ზუსტი არ არის; აქ მოყვანილი „გარჩევის“ ტექსტი კორნელმა 1682 წლის გამოცემისათვის დაწერა. იმ დროისათვის „სიღის“ დადგმიდან ორმოცდაათი კი არა, ორმოცდაექვსი წელი იყო გასული.

გვ. 31. ესპანელი ავტორის თხზულებაში — იგულისხმება გილემ დე კასტროს „სიღის სიყრმე“.

გვ. 32. მე უკვე მქონდა შემთხვევა, გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი ინფანტასა და მეფის შესახებ — „დრამატულ პოემაზე საუბარში“ კორნელი წერდა, რომ ინფანტას სიყვარული სიღისადმი მის პიესაში დამოუკიდებელი ეპიზოდია; ხოლო დონ ფერნანდოსთან დაკავშირებით იგი „კლიტანდრეს“ „გარჩევაში“ წერდა, რომ მეფე „სიღში“ მსაჯული უფროა, ვიდრე მბრძანებელი და ამგვარად, ამ პერსონაჟის მეფური სიღიადე მთლიანად ვერ არის გამოქვეყნებული.

გვ. 33. ჰორაციუსი პოეტს მათგან ათავისუფლებს ამ სტრიქონებით — ნაწყვეტი მოტანილია „პოეზიის მეცნიერებიდან“ (ლექსი 44, 45, 148).

გვ. 34. შენიშვნებს ჰორაციუსის სიტყვებით ვათავარებ — კორნელი იმოწმებს ჰორაციუსის „პოეზიის მეცნიერების“ 180-ე და 181-ე ლექსს:

სცენაზე ხდება მოქმედება ან მოთხრობაში.

გულს ის ნაკლებად ეკარება, რასაც ჰყვებიან.

დონ ფერნანდო, კასტილიის პირველი მეფე — კასტილია, ფეოდალური სახელმწიფო პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, 1035 წლიდან სამეფოდ გადაიქცა. ფერნანდო (ფერდინანდ I დიდი) მეფობდა 1035—1065 წლებში. მეზობელ სამეფოსთან — ლეონთან გაერთიანების შემდეგ კასტილიამ მისი მეფობის დროს აქტიურად გაილაშქრა ესპანეთსა და პორტუგალიაში არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, რის შედეგადაც XI საუკუნის მიწურულში მრავალი ესპანური ქალაქი იქნა განათვისუფლებული მუსულმანთა ბატონობისაგან.

სევილია — ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, ანდალუსიის

ისტორიული ოლქის ცენტრი. XI საუკუნის შუა წლებში აბადიტების საგვარეულოს მბრძანებელთა ხელში იყო, ხოლო 1063 წლიდან სევილიის ემირი ყოველწლიურად უხდიდა ხარკს ფერდინანდ I-ს.

გვ. 44. გრანადა — ოლქი და ქალაქი სამხრეთ ესპანეთში; 1492 წლამდე არაბების ხელში იყო.

არაგონისა და კასტილიის შორის საუკუნეების მანძილზე არსებული ქიშპობა ამ ორი, სამეფოს გაერთიანებით დამთავრდა XV საუკუნეში.

გვ. 64. ანდალუსია — ოლქი სამხრეთ ესპანეთში; არაბების ბატონობის პერიოდში ოთხ საემიროდ იყოფოდა. ფერდინანდ პირველის დროს ანდალუსიის სამუსულმანოს ემირებმა კასტილიის ვასალებად ცნეს თავი.

გვ. 80. ტოლედო — ქალაქი და ოლქი ცენტრალურ ესპანეთში. ფერდინანდ I-ის დროს არაბების ხელში იყო, მაგრამ ხარკს კასტილიას უხდიდა; 1085 წლიდან კასტილიის სამეფოს დედაქალაქად გადაიქცა.

კორაციუსი

გვ. 114. მონსინიორ კარდინალ დე რიშელიესადმი — ეს მიძღვნა იბეჭდებოდა 1641—1656 წლების გამოცემებში.

ამდენი წყალობის შემდეგ, რაც თქვენგანა მაქვს ბოძებული... — ეს სიტყვები მიგვანიშნებს იმ წყალობაზე, რომლითაც კარდინალმა აავსო „სიღის“ ავტორი; რათა მის შემოქმედების მრწამსზე ზეგაულება მოეხდინა. რიშელიემ მიადწია იმას; რომ კორნელი დაქილდობულ იქნა დიდი ფულადი პრემიით და აზნაურის ტიტულიც ებოძა.

წარსულში თითქმის არა არის რა ამ ამბავზე უფრო კეთილშობილური — ციტატა მოტანილია ძველრომაელი ისტორიკოსის — ტიტუს ლივიუსის I წიგნიდან (თავი XXIV).

პროვინციელი მუზისაგან — ამ წლებში კორნელი ჯერ კიდევ რუანში ცხოვრობდა. იგი მხოლოდ 1662 წელს გადმოსახლდა დედაქალაქში.

გვ. 115. სციპიონი და ლელიუსი — ანტიკური დროის ეს ორი დრამატურგი ძველრომაელი კომედიოგრაფის ტერენციუსის თანავტორებად ითვლებოდა.

სტროფს ეესესხები სხვა პორაციუსს — ე. ი. პოეტ პორაციუსს, „პოეზიის ხელოვნების“ ავტორს. აქ მოტანილი სიტყვებით პორაციუსი მუზეუსს მიმართავს (წიგნი IV, ოდა III).

Totum muneri hoc tui est... — ეს მიძღვნა მთლიანად შენია, არცთუ მთლად მახვილგონიერი ოსტატი ზოგადად მიეუთითებ გარეგნულ მხარეს: რასაც ვადიდებ და რაიც მომწონს, შენი რომაა, მის გამო მომწონს (ლათ.).

გვ. 117. *Servetur ad Imum qualis ab Incepto processerit, et sibi conste...* — დასასრული უნდა ეხამებოდეს დასაწყისის ისე, რომ მისგან გამომდინარეობდეს და თვალნათელი იყოს (ლათ.).

გვ. 118. *Tantum series juncturaque pollet...* — ფასდება მხოლოდ რიგი და კავშირი (ლათ.).

გვ. 120. ტულიუსი, რომის მეფე — ტულიუს გოსტილიუსი რიგით მესამე მეფე იყო ძველი რომის შვიდ მეფეთაგან; მისი მმართველობა ჩვენს ერამდე 672—640 წლებზე მოდის. მისი მეფობის ხანა ხშირი ომიანობით გამოირჩეოდა.

გვ. 121. გალაცენის ძირას გაყოფილა ბანაკი ორად — ტიტუს ლივიუსის ცნობით ალბელთა ჯარი მკიდროდ შემოსწყობია რომის კედლებს.

გვ. 122. ალბა, ანუ ალბა-ლონგა — ძველი ქალაქი, რომელიც რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ალბანის მთის კალთებზე იყო შეფენილი (დღეს მონტე-კავო რომ ჰქვია). ქალაქი რომის დაარსებამდე 300 წლით ადრე იყო აგებული და ლათინურ ქალაქთა კავშირში წამყვანი ადგილი ეპყრა. იგი რომაელებმა დაანგრიეს ტულიუს გოსტილიუსის მეფობის ეპას.

სვეტნი ჰერკულესისა — ასე უწოდებდნენ ძველად გიბრალტარის სრუტეს, რომლის ნაპირებზედაც ორი ვეება კლდე იდგა, გადმოცემის მიხედვით ჰერკულესის მიერ მოტანილი და აღმართული.

გვ. 123. შენ გიბოძა რომული და სახელი მისი — ლეგენდის მიხედვით, რომის დამაარსებელი პირველი მეფე რომული (753—716 ძვ. წ.) ალბელთა მეფის გვარიდან იყო გამოსული.

გვ. 127. ავენტინა — ავენტინას ბორცი ერთი იმ ბორცეთაგანია, რომელზედაც ქ. რომია გაშენებული; ძველად მის კალთებზე რამდენიმე ტაძარი იდგა.

გვ. 133. უკეთეს გმირთა გამოჩახვა მართლაც ძნელია — ამ სიტყვებს ტიტუს ლივიუსიც ემოწმება: „ძველ მეომართა შორის მათზე მამაცი და ღირსეული არავინ იყო“.

გვ. 157. რასაც შეჰპირდა ცენეასს, ახდება ჩქარა — ტროას ომის ლეგენდარული გმირი ენეასი ითვლება რომაელ მეფეთა მამამთავრად. ვერგილიუსის მიხედვით ენეასი სანამ იტალიის ნაპირებს მოადგებოდა და იმ ქალაქს დააარსებდა, საიქიოს ეწვია, რათა თავისი მომავალი შეეტყო.

გვ. 169. ის, ვით ფურია, გამოჰყვება შენს ნათესურებს და ყოველ წუთში, რად მოჰკალო, გისაყვედურებს — ფურიებს ძველი რომაელები უწოდებდნენ გვაროვნული შურისგების დემონებს, რომლებიც სიკვდილამდე სდევნიან იმას, ვინც ნათესავის სისხლი დასთხია. მოგვიანებით მათზე წარმოდგენა შეიცვალა: მათ სინდისის ქენჯნის ღვთაებებად თვლიდნენ, ყველა მკვლელს რომ სდევნიან.

გვ. 184. თვით რომულუსის შეწყალებაც გაგვიძ-

ნ ე ლ დ ე ბ ა — ტულიუსს მხედველობაში აქვს დანაშაული, ძველი გადმოცემების მიხედვით რომულუსს რომ მიეწერება. რომის კედლები რომ ამოჰყავდათ, ძმები წაიკიდნენ და რომულუსს ღვიძლი ძმა რემი შემოაკვდა.

გვ. 185. ქ უ რ უ მ თ ა ლ ო ც ვ ა თ უ ც ო დ ე ი ს გ ა ნ ვ ე რ გ ა ნ წ მ ე ნ დ ს რ ა ი ნ დ ს — სისხლით ნათესაის მკვლელობა ძველებს უმძიმეს ცოდვად მიაჩნდათ. შემცოდეს, მკვლელს, საგანგებო განწმენდა მართებდა. ტიტუს ლივიუსი წერს, რომ პორაციუსს თავის განსაწმენდელად ღმერთებისათვის მსხვერპლი უნდა შეეწირა და მერე თავდახრილს გაეგლო გრძელი სვეტის ქვეშ, სახარობელას რომ მოჰკავდა.

ქ ა დ ა რ ა მ ა მ ა ს შ ე ი ნ დ ო ბ ე ნ ღ მ ე რ თ ე ბ ი მ ა ი ნ ც... რ ა თ ა ს ი მ შ ე ი დ ე დ ა უ მ კ ვ ი დ რ ო ნ კ ა მ ი ლ ი ს ა ჩ რ დ ი ლ ს — ძველ რომაელთა რწმენისამებრ მიცვალებულის სულის მოღობვა შეიძლებოდა ლოკით, მსხვერპლშეწირვით. ტიტუს ლივიუსი გვამცნობს, რომ მოხუცმა პორაციუსმა ქვის ძეგლი აღმართა იქ, სადაც ძმის ხმლით ვანგირულმა კამილმა დალია სული.

ც რ უ კ ა ე ნ ტ ა ლ ა

გვ. 180. ს ე ნ ე კ ა, ლ უ ც ი უ ს ა ნ ე უ ს (4 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე — 64 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით) — რომაელი ფილოსოფოსი და მწერალი.

თ რ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს ო მ ი — ასე უწოდებდნენ ომს, რომელიც საფრანგეთის სამეფოს იმ წლებში ჰქონდა ავსტრიასა და ესპანეთთან.

გვ. 187. ლ უ კ ა ნ უ ს ი, მ ა რ კ უ ს ა ნ ე უ ს (39—65) — რომაელი მწერალი, ეპიკური და დრამატული ნაწარმოებების ავტორი.

გვ. 188. დ ე ზ უ ი ლ ი ხ ე მ ი (1596—1687) — პოლანდიელი პოლიტიკოსი და ლიტერატორი.

ქ ე ი ნ ს ი უ ს ი ს ა დ ა ბ ა ლ ზ ა კ ი ს გ ა მ ხ მ ა უ რ ე ბ უ ლ ი დ ა ე ა — ჰეინსიუსი, დანიელ (1580—1655) — პოლანდიელი ჰუმანისტი იყო. ბალზაკი, გეზ დე (1597—1654) — ფრანგი მწერალი და პუბლიცისტი. ჰეინსიუსის ტრაგედიასთან („პეროდე ყრმათამელეტელი“) დაკავშირებით მათ შორის პოლემიკა გაიმართა.

In praestantissimi poetae Gallici Cornelii comoediam que inscribitur Mendax — ვალ პოეტთა შორის უწარჩინებულესი კორნელიუსის კომედიის გამო, რომელსაც „სტრუპენტელა“ ეწოდება. მკაცრი, მძიმე კოთურნით, საშინელი სანახაობის სისხლიანი კვალით ვალთა ქვეყნის ქეშმარიტ საოცრებად პოეტთა გვირგვინი კორნელიუსი აღიარეს. კომედიური პოეტის დიდებაც დაიმსახურა ბრწყინვალეობითა და დახვეწილობით. იყვნენ ისეთებიც, ვინც სადაოდ ხდიდა ამას, უარყოფდნენ უმეტრები და ზოგჯერ გვჩვევია უმეტართა აყოლა. და, აჰა, ტყუილისა და ხუმრობის საშუალებით შექმნა ისეთი რამ, რასაც ტერენციუსიც, სიამეთა მამა, მენანდრეც და ღმერთთა და მოკვდავთა წმინდა ნექტარი პლავტე თავისად აღიარებდნენ, საუკუნე რომ მობრუნებულიყო.

მართლაც რომ პოეტია გამონაგონითაც, ტყუილითაც, ქარგითაც, „ცრუ პენტელათი“ ეკლავ განდიდდა სენა. როგორ გგონია, რომელ სტაგირელ მოუეიდოდა აზრად, რომელი მათემატიკოსი რა ალგებრით გაიკვლია დგზას, რას იფიქრებდა უწინდელ დროში თვით ევკლიდე, თუ სიცრუი შეიძლებოდა ქვეშაბრტების დამტკიცება? (კონსტანტერი, 1645 წ.).

ტერენციუსი (დაახ. 190—159 ძვ. წ.) — რომელი კომედიოგრაფი მენანდრე (342—290 ძვ. წ.) — ბერძენი კომედიოგრაფი.

პლავტე (დაახ. 244—184 ძვ. წ.) — რომელი კომედიოგრაფი.

სტაგირელი — იგულისხმება არისტოტელე.

კონსტანტერი — ზუილისხმის ფსევდონიმი.

გვ. 100. ტიულირი — პარკი პარიზში, სამეფო სასახლის გარშემო პროტასისი — პიესის ექსპოზიცია.

გვ. 102. პუატრე — ძველი ფრანგული საუნივერსიტეტო ქალაქი.

გვ. 207. ალციადი, ბალდი, აკურსე — ალორძინების ხანის

იტალიელი იურისტები.

გვ. 208. ურგანდა და მელუზინდა — შუა საუკუნეების სარაინდო რომანების კეთილი ფერები.

გვ. 218. ამფიონი — ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი. მის ფლეიტის ხმაზე კედლები თავისით შენდებოდა.

შ ა ნ რ ა ს ი ნ ი

ი ვ ი ზ ე ნ ი ა

გვ. 289. „აგამემნონი“ — ესქილეს (525—456 ძვ. წ.) ტრილოგიის „ორესტეას“ პირველი ნაწილი. მასში მოთხრობილია კლიტემნესტრე მიერ თავისი ქმრის აგამემნონის მოკვლის ამბავი.

„ელექტრა“ — სოფოკლეს (496—406 ძვ. წ.) ტრაგედია. მოთხრობილია, როგორ იძიეს შური საკუთარ დედაზე აგამემნონის შვილებმა — ელექტრამ და ორესტემ აგამემნონის მოკვლისათვის.

ტიტუს ლუკრეციუს კარუსი (დაახ. 98—55 ძვ. წ.) — რომელი პოეტი, ავტორი ფილოსოფიური პოემისა „სავანთა ბუნებისათვის“.

პორაციუსი, ფლავუს (65—8 ძვ. წ.) — რომელი პოეტი. რასინს მხედველობაში აქვს მისი II წიგნის IV სატირა, სადაც იფიგენია შეწირავს ლაპარაკი.

სტესიქორე — ბერძენი პოეტი, ცხოვრობდა VI საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

პავსანია — II საუკუნის ბერძენი მწერალი.

გვ. 200. ეფფორიონ ქალკიდელი — ბერძენი პოეტი და მოაზროვნე, ცხოვრობდა III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

კეინტილიანე, მარკუს ფაბიუს (35—96) — რომელი მწერალი, ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსი.

გვ. 202. *Modeste lamen et circumspecto iudicio de lantis viris pronuntiandum est...* — დღი აღკვიანების ქმნილებათა შეფასებისას განსაკუთრებული წინდახედულება და თავშეკავება გვმართებს, რომ არ დაეწუნოთ ის, რაც უბრალოდ ვერ გავიგეთ, ასეთი რამ კი ხშირად მომხდარა; და თუ უკიდურესობაში გადავარდნას მაინც ვერ ავცდებით, ნაკლები ცოდვა იქნება, მათ ნაწერებში ერთიანად ყველაფერი მოვიწონოთ, ეიღრე მრავალი რამ დავკმოთ.

გვ. 202. მოიარები — ბელისწერის ქაღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში.

გვ. 242. ატრევისის სისხლი — ატრეცმა, აგამემნონისა და მენელაოსის მამამ, შვილები დაუხოცა თავის მძა თიესტეს, მერე კი სანადიმოდ მიიწვია და მათი ხორცი შეაქამა.

გვ. 250. აკრიფე შექი, განერიდე მათ ბილწ ქმედობას, როგორც ოდესღაც განერიდე ატრევისის ნადიმს... — იხ. ზემო შენიშვნა: სენეკას პიესაში „თიესტე“ ატრევისის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა მზეც კი შეაძრწუნა და შექს აღარ ჰქენდა დედამიწას.

ფეღრა

გვ. 282. აიკიდევ ერთი ტრაგედია, რომლის სიუჟეტიც ევრიპიდესგანაა აღებული — ლეგენდა ფეღრას დანაშაულბერივი სიყვარულისა თავისი გერის — იპოლიტისადმი საფუძელად უდევს ძველი ბერძენი დრამატურგის ევრიპიდეს (დაახლ. 480 ან 484—406 ძვ. წ.) ტრაგედიას „იპოლიტი“. ეს სიუჟეტი გამოუყენებიათ სენეკასა და ვერგილიუსსაც. ევრიპიდესგანევა ნასესხები ამ კრებულში მოთავსებული მეორე ტრაგედიის „ფიფენიას“ სიუჟეტიც.

გვ. 304. პლუტარქე — ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში (დაახლ. 46—127) მცხოვრები ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი; დელფოსის ქურუმთა საკრებულოს წევრი. მისი „პარალელური ბიოგრაფიები“ საქვეყნოდაა განთქმული. ამ თხზულებაში ატორის აღწერილი აქვს თეზეუსის ცხოვრებაც, ისევე, როგორც ბევრი მითიური გმირის თავგადასავალი, რადგან ანტიკურ ხანაში ისინი ისტორიულ პირებად იყვნენ მიჩნეულნი.

პროზერპინე — ქვეყნელის მითიური დედოფალი, მკვდართა სამეფოს განმგებლის — აიდის ცოლი.

პერიოთი — ლაფიტა ტომის მეფე, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით თეზეუსის მეგობარი.

გვ. 308. აქერონამდეც მივალწიე, მისი ზვირთები, მკვდართა ქვეყნისკენ მიმავალი, ვიხილე თავად... — ძველ ბერძენთა რწმენით მკვდართა სამეფოში, რომელსაც აიდი განაგებდა, მეგდინებოდა მდინარე აქერონი (ასე ეწოდებოდა საბერძენთა: სამხრეთ-დასავლეთის მთიანი მხარის მდინარეს).

ვნახე ელიდაც და ტენარიც — ელიდა, პელოპონესის დასავლეთით მდებარე მხარეა. ტენარი — საბერძნეთის ერთ-ერთი კონცხი, რომელიც მდებარეობს პელოპონესის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ წერტილში.

ის წყლებიც ვნახე, ფრთებშეტრუსული იკაროსის სადაც ჩავარდა — ძველმა ბერძნებმა იკაროსის ზღვა უწოდეს ეგეოსის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მცირე აზიას რომ აკრავს. გადმოცემის მიხედვით სწორედ აქ დაინთქა ზღვის უფსკრულებში ქაბუკი იკაროსი, დედალოსის ვაჟი, ცვილით შეწებებული ფრთებით მაღლა ცაში, მზესთან ახლოს რომ გაბედა ფრენა.

გვ. 867. ასული მინოსის და პასიფაესი — გადმოცემის თანახმად, მინოსი იყო კუნძულ კრიტოსის მეფე, ზევსის ვაჟი; ბერძნებს იგი ათენის მტრად ჰყავდათ დასახული. პასიფაე — მისი მეუღლე იყო, მზის ღმერთის — ჰელიოსის ასული.

გვ. 868. თუმცა მრავალჯერ გაგამწარეს პალანტიდებმა — ავტორს მხედველობაში აქვს ეგეოსის ძის პალანტეს მოდგმა. როდესაც ეგეოსმა ათენის სამეფოს შემკვიდრედ თავისი ვაჟი თეზევსი გამოაცხადა, პალანტეს ვაჟები აუჩანყდნენ ახალ ხელმწიფეს, მაგრამ თეზევსმა ყველანი ამოხოცა. დახოცილ პალანტიდთა დას, არიციას კი გათხოვება აუკრძალა.

გვ. 869. აჰა, ბუმბერაზ პერიფეტეს გაუპოვედა — ევრიპიდე მოგვითხრობს, რომ თეზევსმა ყაჩაღ პერიფეტესაც სძლია, რომელიც კეტით კლავდა ყველას, ვინც გზად შემოეყრებოდა.

სინისი, სკირონი, პროკრუსტე — ათენს მიმავალმა თეზევსმა გზად სამი ყაჩაღი გამოასალმა სიცოცხლეს. სინისი ორი მოღუნული ფიჭვის წერჩე აბამდა ფეხებით თავის მსხვერპლს და ისე ხლეჩდა. სკირონი უფსკრულში ყრიდა ყველას, ვისაც მოიხელთებდა; პროკრუსტე კი თავის სარეცელზე აწვენდა დატყვევებულს და თუ სარეცელი მოკლე მოუვიდოდა, ფეხებს აჭრიდა, თუ გრძელი გამოადგებოდა, წელავდა და ისე კლავდა.

მინოტავრი — თეზევსის ერთ უდიდეს გამირობად ითვლება კუნძულ კრიტოსზე (კრეტაზე) მცხოვრები საშინელი ურჩხულის — მინოტავრის მოსპობა. მინოტავრს ადამიანის ტანი ჰქონდა, თავი კი ხარისა ება. იგი ყოველ ცისმარე ღლეს შვიდ ყმაწვილკაცსა და შვიდ ქალწულს ნთქავდა.

...როგორ მინდოდა ამომეგდო მახსოვრობიდან მიტოვებულნი არიადნეს უსაზღვრო სევდა... — მინოტავრის მოკვლის შემდეგ თეზევსმა გაიტაცა ფედრას და არიადნე; მაგრამ კუნძულ ნაკსოსზე მიატოვა მძინარე ქალი.

მლენეს გატაცება — გადმოცემის მიხედვით ძველბერძნული ეპოსის გმირი ქალი — მშვენიერი ელენე ჭერ თეზევსმა გაიტაცა და თავისთან მალავდა, სანამ ელენეს ძმებმა გატაცებულის კვალს არ მიაგნეს და ქალი ისევ სპარტაში არ დააბრუნეს.

გვ. 370. იქნებ ჰერაკლეს მაგალითმა შეგაყოყმანა? — გმირთგმირი ჰერაკლე სამ წელს ლიდიის დედოფლის ომფალიას ტყვეობაში იყო; ამ ქალს ზოგი მითი აფროდიტესთან აიგიეებს. ომფალიას ბრძანებით გმირს დედაკაცის სამოსი ეცეა, ხან სართავს უჯდა და ხანაც დედოფალს ემსახურებოდა.

გვ. 373. სკევითი მხევეალის ნაშიერი — როგორც ცნობილია, იპოლიტი შავი ზღვის პირას, სკევითა მხარეში მცხოვრები მეომარი ქალების — ამორძალების დედოფლის ვაჟი იყო.

გვ. 375. დიდო ქალღმერთო! შენმა ძალამ და მრისხანებამ არც დედაჩემი არ დაინდო და შეარცხვინა — ფედრა სიყვარულის ღმერთს, აფროდიტეს მიმართავს. პასიფავს მამამ, ჰელიოსმა წაასწრო სასიყვარულოდ შეყრილ აფროდიტესა და არესს, მათი ამბავი აფროდიტეს მეუღლეს ჰეფესტოს მიუტანა, რის გამოც სიყვარულის ქალღმერთი სასტიკად სდევნიდა ჰელიოსის მთელ შთაშობავლობას.

გვ. 381. მკვდართა სამეფოს მიაშურა თეზეესის სულმაც — ე. ი. თეზეესიც მკვდარია, მკვდართა სამეფოს ბინადარია ისევე, როგორც მის მიერ დახოცილი პალანტიდებო.

კოციტოსი — ერთი იმ მდინარეთაგანი, მკვდართა სამეფოში რომ მიედინება.

გვ. 388. გეა — დიდი ქალღმერთი, დედაშიწის განსახიერება, ტიტანებისა და კიკლოების მშობელი. აღამიანთა დამბადებლად და მკვდართა მეუფედაც ითვლებოდა.

გვ. 384. მიაშურა ქვესკნელის წყედიაღს დიდი ჰერაკლეს თანამგზავრმა და მეგობარმა — ზოგი მითი თეზეესის შესახებ ჰერაკლეს მითების ციკლს შეერწყა. გადმოცემის თანახმად თეზეესი თან ახლდა ჰერაკლეს, როცა ამ უკანასკნელმა ამორძალთა წინააღმდეგ გაილაშქრა.

გვ. 391. და არიადნეც შენ მოგცემდა ძაფის გორგალსაც — მინოტავრის მიერ ლაბირინთში შესულ თეზეესს გზა რომ არ აბნეოდა, არიადნემ მას ძაფის გორგალი მისცა. თეზეესი ამ ძაფს მიჰყვა და ისე მიაკვლია მინოტავრს; მისი მოკვლის შემდეგ ამ ძაფის დახმარებითვე გამოვიდა ლაბირინთიდან.

გვ. 398. მემკვიდრეობად ეს დარჩებათ ჩემს შეილებს მხოლოდ, იუპიტერი სისხლი უღუღთ ძარღვეებში თუ მცა... — ფედრას პაპა დედის მხრიდან თავად ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი იყო.

გვ. 409. თქვენი მეუღლე გაიხსენეთ ვისი შვილია, მისი ჯილაგი გაიხსენეთ — აქ იპოლიტი მამას სიტყვას გადაუყრავს იმ გარემოებაზე, რომ პასიფავმ, ფედრას დედამ პოსეიდონის მიერ გამოგზავნილი ხარისაგან გააჩინა ხარისთავიანი ურჩხული მინოტავრი, რომელიც შემდეგ მოკლა თეზეესმა.

გვ. 418. მაგრამ ქვესკნელში მამაჩემი ზის მოსამართლედ — სიკვდილის შემდეგ მიხოსი მკვლართა სამეფოს მსაჯულად იქცა და ცოდვილ სულებს სასჯელს განუწესებდა.

გვ. 420. ჩემს სისხლში უქვე გამჭდარია ძლიერი შხამი, ერთხელ ათენში მედემ რომ ჩამოიტანა — გადმოცემის მიხედვით კოლხიდის მეფის ასული, გრძნეული მედეა, რომელიც ეგეოსმა შეირთო ცოლად, კმარს აიძულებდა ლხინის დროს თეზეისათვის საწამლავის შეპარებას და რაკი საწადელს ვერ ვწია, ისევ თავის მშობლიურ კოლხიდას მიაშურა.

გ ო თ ო ლ ი ა

გვ. 427. რობოამი — ისრაელიანთა მეფის — სოლომონის შვილი, ჭერ მთელი ისრაელის, ხოლო შემდგომში იუდევეთის მეფე. (III მეფეთა, XII).

ლევიტები (ქართული ბიბლიის მიხედვით ლევიტელები) — მემკვიდრეობითი ღვთისმსახურები, ბიბლიური გადმოცემით იაკობის ერთ-ერთი ვაჟის ლევის შთამომავლები.

აარონი — მოსეს ძმა (გამოსლავათა და სხვ.).

გვ. 428. აქაბი და იეზაბელი — ისრაელის მეფე-დედოფალი (III მეფეთა და II ნეშტთა). იეზაბელი სიდონელთა მეფის ასული იყო, თავისი ქვეყნის ღმერთების კულტი ისრაელშიც გადმოიტანა და თავისი ქმარიც აზიარა მას, ე. ი. კერბთაყვანისმცემელი გახადა.

ელია — ებრაელთა წინასწარმეტყველი (IV მეფეთა).

ნაბოთი — III მეფეთა, XXI.

სევერუს სუპლიციუსი — აკვიტანელი მღვდელი (365—425), ავტორი წიგნისა „საღვთო ისტორია“, რომელშიც გადამუშავებული სახით მოთხრობილია ბიბლიური გადმოცემები და აღწერილია ქრისტიანობის გავრცელება რომსა და გალეთში.

გვ. 420. წმინდა პავლეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ... — იხ. ახალი აღთქმა, მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, III, 15.

უფლისწული... — იგულისხმება ლუი მეთოხმეტის შვილიშვილი პერცოგი დე ბურგონი, რომელიც ტახტის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული, მაგრამ თავის პაპზე ადრე გარდაიცვალა.

იოსებ ფლავიუსი — ებრაელი ისტორიკოსი (37—100), ავტორი ბერძნულ ენაზე დაწერილი წიგნებისა „იუდევეთის ომი“ და „იუდევეთის სიძველენი“.

პრელატი, რომელსაც ამ სიტყვებს დავესესხე... — იგულისხმება ეპისკოპოსი ბოსიუე (1627—1704), ცნობილი ფრანგი საეკლესიო მწერალი.

აღთქმული ლამპარი — IV მეფეთა, VIII, 19. რასინი აქ ქრისტიანობას გულისხმობს.

გვ. 484. ვინც შეაჩერა ბობოქარი ტალღების დენა... — ე. ი. ღმერთი. ბიბლიურ სიუჟეტებში ორჯერ გვხვდება შემთხვევა, როცა ტალღები კედლად აღიმართებიან და ისრაელიანებს ფსკერზე გაატარებენ: ერთხელ ზღვა გაიპობა და გაატარებს მოსეს მიერ ეგვიპტიდან წამოყვანილ ხალხს, ხოლო მეორედ იორდანეს სელა შეჩერდება, რათა ისუ ნავეს ძის ლაშქარი გაატაროს.

ეს ურჯული, ეს უცხოთესლი, იუდეველი მეფეების სისხლში მოსერილი... — გოთოლიას, როგორც უცხოელს, ებრაელთა კანონის მიხედვით არ ჰქონდა უფლება იუდევეთში ემეფა. კანონიერ მეფეებად დავეითის შთამომავლები ითვლებოდნენ.

გვ. 488. გახსოვს ბაალის ქურუმებზე დამტყდარი ისხვა — წინასწარმეტყველმა ელიამ კარძელის მთაზე შეკრიბა ცრუ-წინასწარმეტყველნი, ბაალის ქურუმები და უბრძანა, ბაალისადმი ღოცვით სამსხვერპლოზე ცეცხლი გაეჩინათ, რაც მათ ვერ შეძლეს. მერე თვითონ ელიამ ადავლინა ღოცვა უფლის მიმართ და სამსხვერპლოზე ცეცხლი დაინთო. ამის შემდეგ ელიამ შეაპყრობინა ხალხს ისინი და თავისი ხელით დახოცა (III მეფეთა, XVII).

მკვდრები რომ ცოცხლდებოდნენ ელისეს ხმაზე — წინასწარმეტყველმა ელიამ ღოცვით გააცოცლა მკვდარი ბავშვი (IV მეფეთა, IV, 20—36).

გვ. 460. ზღვიდან ზღვამდე — იგულისხმება მეწამული და ხმელთაშუა ზღვები.

ძღვეამოსილი მეზობლები — ე. ი. სირიელები.

გვ. 471. მე ისმაელის მოდგმისა ვარ — ისმაელი იყო აბრაჰამის შვილი, მოახლისაგან გაჩენილი, რომლის შთამომავლებდაც იოვლებოდნენ ეგვიპტის მეზობლად მცხოვრები არაბული ტომები.

გვ. 476. დოეგი, დათანი, აბირონი, აქიტოფელი — დოეგი მეფე საულის მსახური იყო, მისი დასმენით საულმა მოაკლევინა აქიმელქი, რომელიც აჯანყებულ დავეითს დაეხმარა, და დავეითმა დაწყევლა დოეგი (II მეფეთა, XXI—XXII). დათანი და აბირონი აუმხედრდნენ მოსეს, რის გამოც მიწამ პირი გახსნა და ორივენი შთანთქა (რიცხვთა, XVI). აქიტოფელი მეფე დავეითის მრჩეველი იყო, უღალატა დავეითს და მერე თავი ჩამოიხრჩო.

გვ. 470. კედრონი — მდინარე იერუსალიმის ახლოს, რომლის იქითაც უღაბნო იწყება.

გვ. 486. იეფთაეს ასული იგი... — ისრაელის წინამძღოლმა და მსაჯულმა იეფთამ მტერზე გალაშქრების წინ აღთქმა მისცა უფალს, რომ გამარჯვების შემთხვევაში მსხვერპლად შესწირავდა, ვინც ან რაც პირველი შემოხვდებოდა თავის სახლთან. პირველად თავისი ერთადერთი ქალიშვილი გამოეგება. იეფთამ არ უღალატა მიცემულ აღთქმას და იგი მსხვერპლად შესწირა ღმერთს.

სასაცილო პრესიოზები

გვ. 513. პრესიოზი, პრესიოზულობა — ეს ტერმინი აღნიშნავს „დაქვეწილს, ფასეულს“. XVII საუკუნეში მარკიზა დე რამბუიემ (1558—1665) თავის სასახლეში შექმნა სალონი, სადაც თავს იყრიდა არისტოკრატთა, ხელოვანთა და ლიტერატორთა ჩვეული საზოგადოება. მათ მიზნად დაისახეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლა. XVI საუკუნის შვიდ ენიდან დევნიდნენ ყოველგვარ ხალხურ გამოთქმებს და ახალი სიტყვები შემოჰქონდათ, ჩვეულებრივ სასაუბრო გამოთქმებს ცვლიდნენ პერიფრაზიული გამოთქმებით, მეტაფორებით. მაგ. სიტყვა „სარკე“ შეიცვალა გამოთქმით: „მოხდენილობის მრჩეველი“, „თვალეზი“ — „სულის სარკე“, „სავარძელი“ — „საუბრის მოწყობილობა“ და სხვ. სიტყვები — საშინლად, შემადრწუნებლად, დემონიურად, გასაგიებლად ფართო ხმარებაში იყო: საშინლად მიყვარს, შემადრწუნებლად ლამაზი, გასაგიებლად კარგი, დემონიურად ჰკვიანი და სხვ. პრესიოზული სტილით იწერებოდა რომანები, ლექსები, რომელთა შორის მადმუაზელ მადლენ დე სკიუდერის (1607—1701) რომანები „კლელია“ და „არტამენი ანუ დიდი სირიუსი“ პრესიოზულობის ერთგვარ პროგრამასაც კი წარმოადგენდა. ენის სიწმინდის ამ მქადაგებლებს საფრანგეთის საზოგადოება „პრესიოზებს“ უწოდებდა. მაგრამ მალე მიხედნენ, რომ ექსპრესიული, მოქნილი ენის ნაცვლად ხელში შერჩათ ხელოვნური, მაღალფარდოვანი სტილი. ერთი მხრივ ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საფრანგეთის ყველა ფენას მოედო პრესიოზთა საქმიანობა, პროვინციელებიც ცდილობდნენ მიემაძთ რამბუიეს სალონის მანერებისათვის, უბადასაღები გახდნენ და „სასაცილო ანუ ყალბი პრესიოზები“ სახელწოდება დაიმსახურეს. მოლიერმა თავისი კომედიით აშკარად დასცინა არისტოკრატთა ამ მოდასა და გაილაშქრა მეშხანურ სფეროებში მისი გავლენის წინააღმდეგ.

რათა საბაბი არ მიმეცა ვისმესთვის გაეხსენებინა ცნობილი ანდაზა — მოლიერი გულისხმობს ანდაზას: „რაც სანთლის შუქზე ლამაზია, დღის სინათლე მას აფუჭებს“.

ბალეს გაღერვა — აქ, დიუ ლუინთან, იყიდებოდა ახალი პიესები.

გვ. 514. დოქტორი, კაპიტანი და ტრიველინი — იტალიური ფარსის პერსონაჟები.

გვ. 519. სირიუსი, მანდანანი — მადლენ დე სკიუდერის რომანის — „არტამენი ანუ დიდი სირიუსის“ გმირები.

არონსი, კლელია — დე სკიუდერის რომანის — „კლელიას“ გმირები.

გვ. 520. სინაზის რუკა — მადლენ დე სკიუდერის რომანს — „კლელია“ თან ერთვის რუკა; აქ დასახელებული პუნქტები იმ თავაზიანობისა და ყურადღების აღვგორიული ნიშნებია, რაც მამაკაცმა უნდა

გამოიჩინოს მანდილოსანთან არშიეობისას. სინაზის ქალაქში წი-
სასვლელად მიჯნურმა უნდა გადალახოს მდინარე: „ჩეთილგანწყო-
ბილები“, ზღვა: „განხეთქილები“, ტბა: „გულჯარილობა“,
ალყა უნდა შემოარტყას და აილოს სოფლები: „თავანია ჩერ-
ილები“, „სასიყვარულო ბარათები“, უნდა დაიპყროს კოშკი:
„უკრადლები, გულისმოგება“.

გვ. 522. პოლიქსენე, ამენტი — არისტოკრატულ სალონებში
წოდებულ იქცა ნათლობის სახელების შეცვლა მითოლოგიიდან ან პრესიო-
ზულ რომანებიდან ამოღებული საკუთარი სახელებით.

გვ. 524. მახვილგონიერი — ასე უწოდებდნენ ახალგაზრდა
არისტოკრატებს, მაღალი საზოგადოების სალონთა ხშირ სტუმრებს, რომ-
ლებიც დახვეწილ ფორმას აძლევდნენ თავიანთ მეტყველებას.

გვ. 525 ტახტრევეანი — ტახტრევენით მგზავრობა — ინგლისიდან
შემოტანილი ეს მოდა საფრანგეთში მეფე ლუი XIII-ის მეფობის დროს
დამკვიდრდა.

გვ. 528. ამილკარი — რომანტიული მიჯნურის ტიპი მადლენ დე
სკიუდერის რომანიდან — „კლელია“.

გვ. 529 სამუხლე — არშიებით გაწყობილი განიერი ბაფთა, რომ-
ელსაც მუხლზევით ირტყამდნენ მამაკაცები.

ჩიეულ ნაწარმოებთა კრებულში — ამ სახელწოდებით
გამოვიდა ძმები კორნელების, ბენსერადას, დე სკიუდერის, ბუარობერის
და სხვათა პრესიოზულ ლექსთა კრებული 1653 წელს.

გვ. 531. ალკოვი — ნიში საწოლ ოთახში. XVI—XVII საუკუნეებში
ჩვეულებად იქცა დაახლოებულ პირთა მიღება პრესიოზის საწოლთან. ალ-
კოვი დიდი გემოვნებით იყო მორთული. მამაკაცს, რომელსაც პატივი
ჰქონდა დასწრებოდა დილის ამ თაყვარილობას, ალკოვისტი ერქვა.

პორტრეტები — მოკლე პოეტური ესკიზი, რაც მადლენ დე სკიუ-
დერიმ შემოიღო მოდაში. პორტრეტების ნიმუში მოცემული აქვს თავის
რომანში „კლელია“.

მადრიგალი — ქალისადმი მიძღვნილი მცირე ზომის ლირიკული
ლექსი.

რომის ისტორია მადრიგალებით — ესაა ნართაული მად-
ლენ დე სკიუდერიზე, რომელიც ისტორიულ მამაც გმირებს ერთგულ,
მოკრძალებულ მიჯნურებად ხატავდა.

გვ. 532. როგორი მომივიდა იაღლიში — პაროდია „ჩიე-
ულში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ მადრიგალზე.

გვ. 535. ქრომატიული ბა — „ქრომატიული“ მუსიკალური ტერ-
მინია, რაც ნიშნავს ნახევარტონით ბგერის ამადლებას ან დაწევას. გან-
სწავლულობით თავმოსაწონებლად მადლონი უადგილო ადვილას ხმარობს
ამ სიტყვას.

გვ. 537. ბუგუნდის ოტელი — დრამატიული თეატრი პარო-
დი. თეატრის მსახიობებისათვის დამახასიათებელი იყო თამაშისა და და-
ლაშქვის ხელოვნური, მაღალფარდოვანი მანერა. ამ თეატრის მტკნალი
დამოკიდებულება ჰქონდა მოლიერის თეატრთან.

გვ. 538. კოსტიუმის მორთულობა — იგულისხმება ბაფთე-
ნი, ბუმბული, არშიები, რითაც იმ ხანებში გაწყობილი იყო მამაკაცის
სამოსი.

პერდრიონი — მოღერი საგალანტერიო მადანის მფლობელი
პარიზში.

გვ. 541. ერთხელ კიდევ მომეხვეიე — ნართაულია იმ ხა-
ნებში სასახლის კარზე გამფეხებულ ჩვეულებაზე: ახალგაზრდა მამაკაცები
ხმამალალი შეძახილებით ხვდებოდნენ და კონცინდნენ ერთმანეთს.

გვ. 542. სავარძლების გამრავლება როშაა საქირო —
საუბრის პრესიოზული მანერა: სავარძლების დამატებაა საქირო.

გვ. 543. არასი — ქალაქია საფრანგეთში, სადაც 1654 წ. მარშალმა
ტურენმა უკუვადლო კონდესა და ესპანელთა ჯარი.

გვ. 544. გრაველინი — ქალაქია საფრანგეთში. აქ 1658 წ. ესპა-
ნელებმა სძლიეს ფრანგებს.

გვ. 545. მეჭლისის უდაბნო — პრესიოზული გამოთქმა: სა-
მეჭლისო დარბაზი.

გვ. 547. სული ჩაედგათ ფეხებისათვის — პრესიოზული
პერიფრაზაა, რაც „ცეკვას“ ნიშნავს.

საკრებულოს სიციარიელე — მცირერიცხოვანი საზოგადოე-
ბა.

გვ. 548. სუფთა ცეკვა — პრესიოზული გამოთქმაა და ნიშნავს
„კარგად ცეკვას“.

კურანტი — ძველებური ნელი ცეკვა.

ბარბიუში ანუ შარისეველი

გვ. 554. წინასიტყვაობა — მოლიერმა კომედია 1669 წ. მარ-
ტში გამოაქვეყნა. წინასიტყვაობას, რომელშიც იგი თავის პოზიციებს მტკი-
ცედ იტყვდა, კომედიის მეორე გამოცემაში (1669 წ. იენისში) მეფისადმი
ორი შეწყნარების თხოვნაც დაემატა 1664 და 1667 წლებსა.

გვ. 556. ჩემს მიერ ხორცშესხმული თვალთმაქცი-
სათვის ქეშმარიტად ღვთისმოსავე ადამიანი დამე-
პირისპირებინა... — აღზათ კლვანტი იგულისხმება.

ბურგუნდის ოტელი ახლაც ეკუთვნის — „უფლის ვნე-
ბათა ძმობა“ წარმოიშვა XIV საუკუნეში და 1402 წლიდან მისტერიების
შესრულების პრივილეგიით სარგებლობდა. 1548 წელს „ძმობამ“ აიგო
ახალი თეატრალური შენობა — ბურგუნდის ოტელი, სადაც მოლიერის
დროს გამოდიოდა „სამეფო მსახიობთა“ დასი, რომელიც მათ ექიშებოდა.

ერთ-ერთი სორბონელი დოქტორის მიერ — ლაპარაკია
ჯან მიშელზე, „უფლის ვნებათა მისტერიების“ (1486) ავტორზე, რომელიც
ჯანათლებით ექიმი იყო.

მთელი საფრანგეთი აღტაცებაში მოჰყავდა —

იგულისხმება პიერ კორნელის ტრაგედიები „პოლიექტი“ (1643) და „თეოდორა“ (1645).

გვ. 550. თეატრის წინააღმდეგ ასე არასოდეს ამხედრებულან — იგულისხმება იანსენისტთა წინაპროლოის, ნიკოლის „ტრაქტატი კომედიის შესახებ“ (1659) და პრინც კონტის ამავე სახელწოდების თხზულება, რომელშიც თეატრი ბიჭიერების ბუდედ იყო გამოცხადებული.

გვ. 557. თუ ვით ამაყოფდნენ, რომ კომედიებს წერდნენ — მინიშნებულია რომელი კონსულის სეპიონის თანამშრომლობა კომედიოგრაფ ტერენციუსთან.

ჩვენს ერთ-ერთ ფასდაუდებელ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს — მოლიერისაგან მოულოდნელი ქება-დიდება მედიცინისა იმის დასტურია, რომ იგი პიესებში მხოლოდ მკურნალობის მოძველებულ მეთოდებსა და უვიც, თაღლით ექიმებს დასცინოდა.

იგი ათენში დაგმეს საჯაროდ — მინიშნებულია სოკრატეს სიკვდილით დასჯა.

გვ. 558. კომედია „ტარტიუფზე“ რომ თქვა — იგულისხმება პრინცი კონდე, წარსულში ფრონდის ბელადი, ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი ლუი XIV-ის არმიაში. კონდე მხარს უჭერდა მოლიერს „ტარტიუფისათვის“ ბრძოლაში და ოფიციალური ნებართვის მიღებამდე ხელს უწყობდა, რომ ეს კომედია კერძო სახლებში წარმოედგინათ.

„სკარამუშ-განდგილი“ — იტალიელი კომედიანტების უხამსი ფარსი.

გვ. 559. ბატონი ლეგატი — კარდინალ-ლეგატი კიჭი, პაპის — ალექსანდრ VII-ის ძმისწული და მისი საგანგებო ელჩი პარიზში, ესწრებოდა „ტარტიუფის“ კითხვას ფონტენბლოში 4 აგვისტოს.

გვ. 560. გამოდის ვილაკიურეს წიგნი — კორნელს მხედველობაში ჰყავს წმინდა ბართლომეს ეკლესიის კიურე — პიერ რულე.

ჩემს შემავიწროებელ ძალაუფლებას წინ აღუდგეს — იგულისხმება პრეზიდენტი ლამუანიონი, რომელიც პარიზში მეფის არყოფნის დროს პოლიციას სათავეში უდგებოდა და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა.

გვ. 562. ერთი უპატროსი ნესი ექიმი — ლაპარაკია მოვილენზე — მოლიერის მკურნალ ექიმზე, რომელიც მას „ექიმად კურთხევის“ კომიკური ცერემონიალის შეთხზვაში დაეხმარება პიესაში „ექვით ავადმყოფი“.

ტარტიუფი — მოლიერის მიერ შეთხზული სახელის — ტარტიუფის ფუძე შეესატყვისება ძველფრანგულ სიტყვას, რომელიც ტყუილსა და სრიკს ნიშნავს.

გვ. 570. მანსამსახური გაუწია მღვდელვარების ქამს — ანუ სამოქალაქო ომის. — ფრონდის წლებში (1648—1653).

გვ. 578. დავიკირე და მოეკალიო გაბრაზებულმა — ლეგენდის თანახმად განდევილ ლ. მაერს, რომელსაც ეგვიპტის უდაბ-

ნოში სამოცი წელი გაუტარებია, ერთხელ რწყილი მოუკლავს და ამის გამო თავი დაუსჯია, ექვსი თვე შიშველსა და მშიერ-მწყურვალს უვლია. ღორმუცელა ტარტიუფი, რა თქმა უნდა, ასეთი მსხვერპლის გამღები არ არის.

გვ. 500. და დასაკეც სკამს დაგთმოზენ — XVII საუკუნის საფრანგეთში სასტუმრო ოთახებში როცა სტუმრებს სხამდნენ, იერარქიას მკაცრად იცადენენ; იყო სავარძლები, სკამები, ტაბურეტები. დასაკეც სკამებზე ყველაზე დაბალი წოდების პირებს სხამდნენ.

გვ. 545. მე იგი დიდი სასოებით მანდო არ გასმა — არგასი, ორგონის მეგობარი, ეტყობა, ფრონდის მონაწილე ყოფილა, მისი დაცემის შემდეგ საფრანგეთიდან გაქცეულა და თავისი ქალაქები ორგონისათვის გადაუცია.

გვ. 051. ბატონი ლოიალი — ლოიალი ფრანგულად „კანონიერს“ ნიშნავს. მოლიერი განზრახ არქმევს ამ სახელს ტარტიუფის მიერ მოსყიდულ ადამიანს.

ღონ შუანი ანუ ძვის სტუმარი

გვ. 004. მოქმედი პირნი — მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ხდება სიცილიაში, რომელსაც იმდროისთვის ესპანელები ფლობდნენ, გმირთა სახელებსა და ხასიათებში ნათლად მოსჩანს ესპანური და ფრანგული გავლენა. ფრანგული ელემენტი განსაკუთრებით საგრძნობია გლეხთა პერსონაჟებში. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ მოლიერი ერთობ თავისუფლად ექცევა ესპანურ სიუჟეტს. თვით პიესის მთავარი გმირი, თუმცა კი ესპანურ სახელს ატარებს, ჭეშმარიტად ფრანგი არისტოკრატია.

გვ. 005. რაც არ უნდა მიმტკიცოს არისტოტელემ — არისტოტელეს მოხსენიებით სგანარელი თავს იწონებს განსწავლულობით. ეს თავმოწონება კომიკური მსახურის დამახასიათებელი თვისებაა.

გვ. 067. inter nos — ჩვენ შორის (ლათ.).

ეპიკურელი ღორი — გამოთქმა აღებულია ჰორაციუსის ერთ-ერთი წერილიდან. ეპიკურე ძველბერძენი მატერიალისტი ფილოსოფოსია, რომელიც გრძნობად ტუბობათა ზომიერებას ქადაგებდა. მატერიალიზმის მტრები მას გარყვნილებისა და აღვირახსნილობის მეხოტბედ სახავდნენ.

სარდანაპალი — ასურეთის ლეგენდარული მეფე, განთქმული თავისი ორგიებით და წრეგადასული გარყვნილებით.

გვ. 073. კომანდორი — რანდული ორდენის უმაღლესი წოდება.

გვ. 080. პარიზული სუ — XVII საუკუნის საფრანგეთში ერთიანი ფულადი სისტემა არ არსებობდა და ყოველი ქალაქი თავის საკუთარ ფულს ჰქრიდა. ერთი პარიზული სუ ოთხ ტურინულს უდრიდა.

გვ. 704. მედიცინა... კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ცდომილებაა — მოლიერის კომედიებში მედიცინაც და ექიმებიც მულმივად კომიკურ ფერებშია წარმოდგენილი.

პირსაქმებელი ზეთი — XVI საუკუნეში გამოგონილი სამკურნალო ნაყენი.

გვ. 708. რუხი ბერი — მოწვევება, რომელიც ცრუმორწმუნე ადამიანების აზრით ლამაზობით ქუჩებში დახეტებოდა და დაგვიანებულ მგზავრებს თავს ესმოდა.

ვინ შექმნა ეს ხეები, ეს კლდეები, ეს... დედამიწა და ეს ცა — მოლიერი დასცინის ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ ეგრეთ წოდებულ ონტოლოგიურ საბუთებს, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველივე არსებულს თავისი საბოლოო მიზეზი უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ამ სიტყვებს წარმოთქვამს სგანარელი, მიაპიტი და უმეცარი მსახური.

გვ. 708. მესამე მოქმედება. გამოსვლა მეორე მთხვართან შეხვედრის სცენა) — ეს ეპიზოდი, მეტად მნიშვნელოვანი დონეუანის ხასიათის გახსნისათვის, თავიდან ბოლომდე მოლიერის მიერ არის მოგონილი და ეს სიუჟეტი არც ერთ სხვა წინამორბედ ვერსიაში არ გვხვდება.

მეხუთე აპაღმუოზი

გვ. 750. პიურგონი — ეჭიმი, გვარი წარმომდგარია ფრანგული სიტყვიდან purger, რაც კუჭის გაწმენდას ნიშნავს.

ბონფუა — ნოტარიუსი, მისი გვარი ორი სიტყვის bonue-ისა და foi-საგან არის შემდგარი, რაც „კეთილსინდისიერებას“ ნიშნავს.

გვ. 752. კასია — სასაქმებელი.

ფაზარი — ზოგი ცხოველის ლეიძლში გაჩენილი კენკები, რომელთაც ძველად სამკურნალო და სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. სპარსული სიტყვისგან „ფაზარ“, რაც „შხამის საწინააღმდეგოს“ ნიშნავს.

გვ. 798. ძეგლი მემონისა — მითიური მეფის, მემონის ქანდაკება, თებებს მახლობლად რომ იყო აღმართული (სინამდვილეში იგი ფარაონ ამენხოტეპ III-ს გამოსახავდა) და მთრთოლვარე ხმებს გამოსცემდა მზის ამოსვლისას, რაკი ქანდაკების ნაპრალებში ქარი სტვენით ატანდა.

გვ. 798. ჩვენნი დროის ახალს აღმოჩენებზე ლაპარაკობენ — აეტორი მიგვანიშნებს პერვეუსის ცნობილ აღმოჩენაზე, რის გამოც მას თავს დაატყდა სქოლასტიკური მედიცინის რისხვა.

გვ. 808. ავადმყოფობისა პარენქიმაშია შინა სპლენიქურსა — ფსევდოპენიურული სახელწოდება არგანის სენისა, შუა საუკუნეების მედიცინის ერთადერთად აღმოჩენილი.

გვ. 882. ბრადიპეპსია, დისპეპსია, აპეპსია, ლიენთერიია, დიზენტერიია, პიდროფიზია — ეუქ-ნაწლავის სნეულე-ბათა ნაწილობრივ მოძველებული სახელწოდებანი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მაღალი კმუნვა და მღაბალი სიცილი—(წინასიტყვაობა გასტონ ბუაჩიძისა) 5

პიერ კორნელი

სიღი (თარგმანი ვივი გეგეჰკორისა)	23
პორაციუსი (თარგმანი რუსუდან დოდაშვილისა და ლევან კუბაბრიასი)	114
ცრუპენტელა (თარგმანი დავით წერედიანისა)	186

შან რასინი

იფიგენია (თარგმანი დავით წერედიანისა)	289
ფედრა (თარგმანი ოთარ კილაძისა)	363
გოთოლია (თარგმანი დავით წერედიანისა)	427

შან-ბატისტ გოლიერი

სასაცილო პრესიოზები (თარგმანი ნუნუ ჭადვიშვილისა)	513
ტარტიუფი ანუ ფარისეველი (თარგმანი ვივი გეგეჰკორისა)	554
დონ ეუანი ანუ ჭვის სტუმარი (თარგმანი გიორგი ეკიზაშვილისა)	664
ეპეით აჟადმყოფი (თარგმანი ივანე მაჩაბლისა)	750
შენიშვნები	857

რედაქტორი მ. იორდანიშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. ღუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: ლ. არეშიძე, ნ. თავაძე, გ. მალანია
გამომშვები მ. წივწივაძე

ს. ბ. 1527

გადაეცა წარმოებას 11/VII-79 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 30/IV-82 წ. საბეჭდი ქალაღი № 2,
84 X 108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 46, 2. სააღრ.-
საგამომც. თაბახი 32,71.
ტირაჟი 50.000 შეკვ. № 2699
ფასი 3 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის ი. ქაუჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობ-
რობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе
Государственного комитета Грузинской ССР по
делам издательства, полиграфии и книжной тор-
говли, пр. Дружбы № 7.

Библиотека всемирной литературы
(на грузинском языке)

Французская драма

Пьер Корнель

Жан Расин

Жан-Батист Мольер

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили 5

1982